ავთანდილ ფახადაშვილი

მეიახალე



ავთანდილ ფახადაშვილი ● მეიახალე

ავთანდილ ფარადაშვილი

მეიარალე

თბილისი
2015

„მეიარღე“

© ავთანდილ ფარადაშვილი
© „ქარავანი +“

Meiarage

© Avtandil Paradashvili
© „CARAVANI +“

შემდგენელი: **ავთანდილ ფარადაშვილი**
რედაქტორი: **ნატალი ქიტესაშვილი**
ფოტოგრაფი: **თეიმურაზ ქოჩიშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **გოგა გორგილაძე, ლევან შავლაყაძე**

ქარავან +
თბილისი, ბათუმის ქუჩა №29ა, ტელ: 0322344641
მიცკევიჩის ქ. №46, ტელ: 0790300330
www.caravani.ge

დაიბეჭდა: „პეტიტი“

იარაღის ისტორია და განვითარება

კაცობრიობის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული იარაღთან. ჯერ კიდევ პირველიყოფილი ადამიანის გონებას, ჰქონდა უნარი შეექმნა ხელსაწყოები, რომლებიც დაიცავდა მათ სიცოცხლეს და გაუადვილებდა ყოველდღიურ ყოფას. პირველი სანადირო თუ საბრძოლო იარაღები შეიქმნა ქვისაგან. მას მოჰყვა ეშვისგან, რქისგან დამზადებული დანები და სხვა და სხვა ფორმის ბასრი დეტალები. შემდგომ იყო ბრინჯაოს ხანა, როდესაც ბრინჯაოსაგან კეთდებოდა თითქმის ყველა სახის იარაღი. ასე ვითარდებოდა და იხვეწებოდა ადამინი და შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე საჭირო ნივთი ჩვენი ისტორიის არსებობაში. მოგვიანებით აღმოაჩინეს მეტალი, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ და იმ დროინდელი, ჯერ კიდევ „განუვითარებელი“ სამყაროს აღმოჩენების პიკად ითვლებოდა. ფოლადისაგან ამზადებდნენ სატევრებს, დანებს, ხანჯლებს, შუბებს, ხმლებს... მოგვიანებით შეიქმნა შორ დისტანციაზე გამოსაყენებადი იარაღები: მშვილდები, არბალეტები და ა.შ. ასე ნელ-ნელა ვითარდებოდა იარაღის კულტურა, იზრდებოდა მისი დანიშნულების არეალი და იხვეწებოდა განსხვავებული სახეობები. სუნსიმიაოს ქრონიკებში შავი დენთის არსებობა დათარიღებულია ჯერ კიდევ 682 წლით (VII საუკუნე). ამ მეტად საჭირო ნივთიერების შექმნამ რადიკალურად შეცვალა კაცობრიობის ისტორია, აწმყო და მომავალი. მისი გამოყენება თავდაპირველად არასწორედ, არამიზანმიმართულად ხორციელდებოდა. როდესაც გაერკვნენ დენთის თავისურებებში და მიხვდნენ ფეთქებადი ნივთიერებისაგან გარკვეული ენერგიის მიღების წესს, აღმოჩენილ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი. მისმა განვითარებამ და წარმოშობამ მნიშვნელოვნად შეცვალა სხვადასხვა ქვეყნის არმიის ძლიერება და განსაზღვრა მათი უპირატესობა. კონკრეტულად რომელ სახელმწიფოში დამზადდა პირველი იარაღი და სად მოხდა თავდაპირველად მისი გავრცელება, დღევანდელი საზოგადოებისათვის დაუდგენელი რჩება. თუმცა ევროპელი მეიარაღეების აზრით არსებობს ჩანაწერები, საიდანაც ვიგებთ რომ XII-XIII საუკუნეებში არაბეთსა და ინდოეთში უკვე არსებობდა შეიარაღება. დენთის შემქმნელი ჩინელებიც იარაღის განვითარებასა და შექმნაში ერთ-ერთ მთავარ პოზიციას იკავებენ.

დღესდღეობით გამოყენებადი სანადირო თუ სპორტული იარაღები კონსტრუქციულად მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში შექმნილ საბრძოლო პროდუქციაზეა დაყრდნობილი. ბაზისი მათთვის კი გახლდათ ნიტრო ვაზნები, საშუალო ზომის ჰილზებით. თავდაპირველად სანადიროდ და საბრძოლოდ გამოიყენებოდა ერთი და იგივე სახეობის იარაღი. შემდგომ ტენდენციურად გაიყო წარმოებაც და გაყიდვების სფეროც. მზადდებოდა და ვითარდებოდა უამრავი სახეობის იარაღი, ტარდებოდა ექსპერიმენტები სამხედრო ძალების განვითარების მიზნით. დაიხვეწა მათი დასამზადებელი მანქანების კონსტრუქცია, მუშაობის სიჩქარე, ხარისხი. გამოიგონეს იარაღის განსხვავებული სახეობები. ევროპელი მეიარაღეებისაგან ვიგებთ, რომ პირველად პრუსიამ 1841 წელს გამოიყენა მთლიანი არმია, რომელიც შეიარაღებული იყო ცეცხლსასროლი იარაღით. უკვე მოგვიანებით ცალლულიანი თოფებიდან გადავიდნენ ორ ან მეტ ლულიან თოფებზე, რომლებსაც მექანიზმიც უფრო დახვეწილი და თანამედროვე ჰქონდათ. შემდგომ უკვე აღმოჩენილ იქნა ამერიკაში (Spencer, Henry, Winchester) შაშხანა ტარქვეშა ბერკეტიანი, მექანიკურად მტენი სისტემით. მას მოჰყვა „მაუზერი“-ს და „მანლიხერი“-ს მიერ შექმნილი მჭიდიანი შაშხანები, რომლებიც უკვე 5 ან მეტ ვაზნას იტევდა. 1890 წელს შავი დენთი შეცვალა ახლად აღმოჩენილმა დენთმა, რომელიც მასზე ბევრად ძლიერი იყო და ბევრად უფრო კარგი ბალისტიკური შედეგის ჩვენება შეეძლო. სწორედ მის შექმნას მოჰყვა უკვე საბრძოლო იარაღის სწრაფი განვითარება და დახვეწა. თვითმტენი შაშხანები პირველი მსოფლიო ომის დროს გამოჩნდნენ გლობალურ ასპარეზზე. მათ შემდგომ უკვე ავტომატური იარაღი გამოიგონეს, რომლის პირველი მაგალითი იყო გერმანული MP-44 (1944 წელი) შესანიშნავი და ძალზედ საიმედო შაშხანა. ერთ-ერთი ლიდერი კი ამ ტიპის იარაღებში გახლდათ რუსული AK-47, რომელიც შეიქმნა 1947 წელს, (ოფიციალურად) კალაშნიკოვის კონსტრუქტორთა ბიუროს მიერ. იარაღი 70 მილიონამდეა დამზადებული. მისი მუდმივი კონკურენტია ვიეტნამის ომში სახელგანთქმული ამერიკული M-16. ამ სამივე ლეგენდარული სისტემის მაგალითზე უამრავი იარაღი შეიქმნა და განვითარდა. დღესდღეობით მსგავსი ტიპის წარმოება ყოველგვარ ზღვარს ცდება და იარაღების რიცხვი დედამიწაზე ადამიანების რიცხვს ბევრად აჭარბებს.

მეიარაღეობა საქართველოში

ამჟამად უამრავი ქარხანა-ფაბრიკები არსებობს ამა თუ იმ ქვეყანაში. ლიდერი პოზიცია კონკრეტულ სფეროში ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, გერმანიას, ავსტრიასა და რუსეთს უკავიათ. თუმცა ზოგიერთი სხვა ევროპისა, აზიისა თუ სხვა კონტინენტზე არსებული სახელმწიფოებშიც საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული საბრძოლო, სპორტული და სანადირო იარაღების წარმოება. სამწუხაროა ჩვენში ამგვარი ტიპის ქართული პროდუქციის არ-არსებობა, მაშინ როდესაც ყველა ნახსენებ ქვეყნებთან შედარებით საქართველო ბევრად უფრო მდიდარი მეიარაღის და მებრძოლის კულტურის მატარებელი ქვეყანაა. ქართველი მეიარაღეების გადმოცემებითა თუ ისტორიკოსთა ნაშრომებზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ საქართველოში ცხოვრობდნენ საუკეთესო მეომრები და ხელგაწაფული, მთელს ამიერკავკასიაში განთქმული მჭედლები, რომლებიც ხმალსა თუ სხვა ტიპის ცივ იარაღს საუკეთესო ფოლადის გამოყენებით ამზადებდნენ. სავარაუდოდ ქართველების წინაპარი ხალხი, ხალიბები და მოსინიკები ფოლადის ტექნოლოგიების ერთ-ერთ პირველ განმვითარებლებად მოისაზრებიან. ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა აითვისეს აქაური სახელწოდებები, მათ ენაზე „ხალიფუს“ ფოლადს ნიშნავს. საქართველოს ტერიტორიაზე ძვ-წთ-აღ. მე-15 საუკუნემდე და მას შემდეგაც დამზადებული არა ერთი მახვილის ნიმუშია აღმოჩენილი. ძვ-წთ-აღ. მე-4 საუკუნეში შექმნილი – აღმოჩენილი მასალიდან ვიგებთ რომ ჩვენს ტერიტორიაზე უკვე დახვეწილი და გავრცელებული იყო მახვილების სხვა და სხვა სახეობები. უპირატესად წარმოდგენილი იყო ბრინჯაოს მოკლე და გრძელი სატევრები. მათი სახელწოდება კონკრეტული პერიოდიდან გამომდინარეობს, რამეთუ ისინი ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნებიან. იმავე პერიოდის შუა ხანებში ზემოთხსენებული გრძელი სატევარის ბაზაზე წრმოიშვა ეგრეთ წოდებული ბრინჯაოს მახვილი. სწორედ ის გახლავთ მოგვიანებით მთელს მსოფლიოში გავრცელებული ფოლადის









თელავი. ერეკლე მეფის სახლ-მუზეუმი.
დადიანზე ნაჩუქარუ ხმალი

თელავი. ერეკლე მეფის სახლ-მუზეუმი.
ხევსურული ხმალი „გორდა“

მაჭახელას ხეობა,
ძველებური ხანჯალი და დანა

ხმლის წინაპარი. ბრინჯაოს ხანის დასასრულს, გარდამავალ პერიოდში გაჩნდა სხვადასხვა ტიპის მიმართულებები, შეიცვალა ტენდენციაც. სულ მალე ბრინჯაოს მახვილი რკინის მახვილებით შეიცვალა. ძველ, ტრადიციულ ქართულ ხმალს სწორი, მოუხრელი ფორმა ჰქონდა. მიუხედავად ისტორიული მასალის, ლიტერატურისა და დამზადების მეთოდების წერილობითი მასალის განადგურებისა ნამდვილი ქართული სტილისა და მოყვანილობის ხმლის დამზადება დღემდე შემორჩენილია საქართველოში. თუმცა თითებზე ჩამოსათვლელები არიან ის ოსტატები თუ მეიარაღეები, რომელთაც ძალუძთ ჭეშმარიტად ქართული ტიპის ხმლის დამზადება.

საქართველო აღიარებული იყო ევროპასა და რუსეთში უმაღლესი ხარისხის მეტალის დამუშავების ტექნოლოგიებით. ზოგადად ცეცხლსასროლი იარაღის – თოფის შესახებ ცნობები განეკუთვნება მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედს, ხოლო საქართველოში მასზე პირველად „ქართლის ცხოვრებიდან“ მე-15 საუკუნის შუა პერიოდში ვიგებთ: „ამას ზედა ადგეს თათარნი და მოადგეს ტფილისის ციხეს და იყო ყოველთა დღეთა ომი და ესროდეს თოფსა და არა იყო ღონე წაღებისა ციხისა“.

მას შემდეგ ბევრჯერ შეიცვალა დრო ჩვენს ქვეყანაში. XVII-XVIII საუკუნეებში „თოფხანები“, სამჭედლოები და სახელოსნოები მრავლად იყო საქართველოში, სადაც მთელს ამიერკავკასიაში საუკეთესო იარაღი მზადდებოდა. მათ კონკურენციას დაღესტნური და ჩერქეზული ვერსიები უწევდნენ, მაგრამ აქ გაკეთებული იარაღი ყოველთვის მაღალ კლასს განეკუთვნებოდა და ელიტარული საზოგადოებაც ქართულ, „ჩვენში“ დამზადებულ საჭურველს ანიჭებდა უპირატესობას. ქართველი ისტორიკოსებისა და მეიარაღეების გადმოცემის თანახმად ვიგებთ, რომ მოძველებული იარაღის გამო ქართული ჯარი, უფრო მეტად კი მისი მთავარსარდლობა ოსმალებთან ბრძოლაში მიხვდა იარაღის ყადრს, რისმა ნაკლებობამაც და თანამედროვეს უქუნლობამაც ომზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. სხვა და სხვა ქართულ თუ არაქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ვიგებთ რომ საქართველო ხარისხნიანი იარაღის მზადების მიუხედავად, მისი დიდი რაოდენობით დამზადების პრობლემას განიცდიდა და სამეფო კარი თითქმის ყოველთვის შეწუხებული იყო ამის გამო. იმართებოდა მოლაპარაკებები საბრძოლო მასალის შემოტანაზე სხვა ქვეყნებიდან. XVIII საუკუნეში მეფე ვახტანგ VI-მ სცადა იარაღების მასორბივი წარმოება საქართველოშიც დაენერგა და ქარხნის მეშვეობით მომხდარიყო მათი დამზადება. ამ მიზეზით 1725 წელს მიხეილ ელიავიჩმა რუსულიდან ქართულად თარგმნა საარტილერიო სახელმძღვანელო, რაც საქარველოში უფრო დახვეწილი სახით არსებობდა, მაგრამ მისი ასლი არაა შემორჩენილი. ამ თარგმნილი ლიტერატურის გამოყენება მოგვიანებით ერეკლე მეფის (თბილისის) „თოფხანაში“ მოხდა. იმავე ადგილას მომუშავე „თოფჩიბაჩის“ მიერ. იმ დროს „თოფხანები“ ერეკლეს არა მარტო დედაქალაქში, არამედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც ჰქონდა განთავსებული. ერთ-ერთი მთავარი ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის წარმოება თელავში არსებობდა და მეფის პირადი მეთვალყურეობის ქვეშ სხვადასხვა სახეობის ცეცხლსასოლი იარაღი იწარმოებოდა. დღემდე შემორჩნილია პატარა კახის სახლ-მუზეუმში, მისავე სახელოსნოში დამზადებული რამოდენიმე ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი. აქვე ინახება ხევსურული სტილის ხმალი – გორდა, უძველესი სატევრები, შემონახულია ნადირ შაჰის მიერ ნაჩუქარი ხმლის ასლი, რომელიც მან ერეკლეს სინდეთში გამარჯვებისას გადასცა. როგორც თელაველმა, სახლმუზეუმში მომუშავე, ჩვენმა მასპინძელმა მოგვიყვა, არსებობს ლეგენდა იმის თაობაზე, თუ რატომ გადაეცა მე-17 საუკუნის მიწურულს პატარა კახს ასეთი საჩუქარი. ქალაქის აღებისას ლაშქარს ქვაზე დახვდა წარწერა: „დალახვრულ იყოს უკუნითი უკნისამდე ოჯახით და სახლეულით ვინც ამ სვეტს გადააბიჯოს“. გონიერ მეფეს გამჭრიახობა უხმარია და სვეტები სპილოების ზურგით უტარებია, თავად ლაშქარი კი უკან მიუძღოდა მათ. თელავის მუზეუმში მომსახურე სტუმართმოყვარე პერსონალმა მთავარი მათი სიამაყეც გვაჩვენა. ეს გახლდათ ერეკლე მეფის მიერ ასპინძის ბრძოლის მოგებისას ნაჩუქარი ხმალი, რომელიც მან სახალხოდ თავად დადიანს გადასცა. მას ამშვენებს წარწერა: „მეფემან ერეკლემ ი.დადიან უძღვნა 1770 1 მაი“.

საქართველოს დასავლეთით, აჭარაში, მაჭახელას ულამაზეს ხეობაშიც არსებობდა ქართული „თოფხანა“, ქართული იარაღების საწარმო, სადაც დღემდეა შემორჩენილი ცეცხლსასროლი იარაღების განსხვავებული ეგზემპლარები. ქავთარაძეები, გიორგაძეები და კიდევ რამოდენი გვარის სხვა წარმომადგენლები იმ დროისათვის მაჭახელას საუკეთესო ოსტატებად გვევლინებოდნენ. ნიკო ლორთქიფანიძე „თავსაფრიან დედაკაცში“ (1925 წ.) წერს: „გავარდა ტამბაჩა და მაჭახელა“. აქედან ადვილი მისახვედრია თუ როგორი ფართედ იყო მთელს საქართველოში გავრცელებული აჭარული იარაღები.

მაჭახელაში, იარაღების ძველი საწარმოს მახლობლად ცხოვრობს ოჯახი, რომელიც დღემდე პატრონობს და უვლის უკვე მუზეუმად ქცეულ ძველისძველ ქარხანას. სანამ შიგნით შევიდოდით, იქ არსებულმა ბუნების სილამაზემ მოგვხიბლა. ალბათ ნამდვილი ქართველი, ტრადიციების მოყვარული მჭედლისათვის არაფერი სჯობს იქ ყოფნასა და საყვარელი საქმის კეთებას. შიგნით შესვლისას სამწუხაროდ მხოლოდ ერთადერთი თოფი დაგვხვდა ნიმუშის სახით. როგორც თანმხლებმა მასპინძელმა გაგვიმარტა, ასეთი სტილის ვერსიები მზადდებოდა ამ საწარმოში. ცალლულიანი იარაღის კონდახი და ტიბჟირი ერთმანეთზე იყო გადაბმული და თითქმის ლულის ბოლომდე გრძელდებოდა. ტიბჟირი და ლულა შიდა სამაგრების გარდა გარედან სამი სალტეთი ეკვროდა ერთმანეთს. აქედან ერთიღა ეკეთა თოფს, დანარჩენი ორის მხოლოდ ნაკვალევიღა ეტყობოდა. კონდახის ყელი შელახული იყო, მაგრამ პირვანდელი სახის წარმოდგენა მისი ნახვის შემდეგ მაინც შეიძლებოდა.

ერთსასხლეტიანი მექანიზმი ჩახმამით იყო აღჭურვილი და მისი მეშვეობით ახდენდა სავაზნეში აფეთქებას. ამის გარდა ქარხანაში ნახევრად დაშლილი რევოლვერი ინახებოდა, რომელიც კოროზიასა და ჟანგს თითქმის მთლიანად ჰქონდა გაფუჭებული. მასთან ერთად იდო ხანჯლების განსხვავებული ვერსიები. ერთ-ერთ მათგანს ტარზე ჩუქურთმები და ფერები ჯერ კიდევ ეტყობოდა. მათთან ერთად წარმოდგენილი იყო სასხლეტი მექანიზმის ბუდე და საკეტი მექანიზმის გარკვეული ნაწილი. შემონახული იყო ის ნივთები და ხელსაწყოები, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა ამა თუ იმ პროცედურის შესრულება და ცივი თუ ცეცხლსასროლი იარაღის აგება, დამუშავება.

ძალზედ საინტერესო იყო წარმოდგენილი სია, სადაც ჩამოთვლილია აღნიშნული დანადგარების ქართული სახელწოდებები. მინით შემოსილ დახლზე შეიძლებოდა სამკაულებისა და ევროპაში დამზადებული „ლუის გრიოელის“ ხელნაკეთი ჯიბის საათის ხილვა. ყველაზე მეტად მაჭახელას იარაღების პატარა ქარხანაში რატომღაც მისი შიდა მოხატულობა არ მოგვეწონა. მასში აშკარად შეიმჩნეოდა მუსულმანური სტილი. თუმცა კარგად დაკვირვებისას სულ სხვაგვარი აღმოჩნდა ჭეშმარიტება. ჩვენ ბრძენ წინაპრებს გენიალურად მოუფიქრებიათ ყველაფერი და ისე მოუხატიათ და მოუჩუქურთმებიათ კედლები თუ სხვა და სხვა ადგილები შიდა ტერიტორიაზე, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო მეზობელი თუ არა მეზობელი დამპყრობლების სტილი ან ფერთა გამა და ამავრდოულად თითქმის ყოველ მეორე ჩუქურთმაში ბორჯღალო ან ჯვრის გამოსახულება ყოფილიყო გაკეთებული. ეს არც მტრების გაღიზიანებას გამოიწვევდა და ქართველებსაც ქრისტიანულ გარემოში მოუწევდათ მუშაობა.





ძველი თოფხანა აჭარაში, (მაჭახელა).



თოფხანის კედლის ფრაგმენტი, რომელზეც კარგად ჩანს ბორჯღალოს გამოსახულება

თოფხანებში არსებული დაზგა-დანადგარები, რომლებითაც ამზადებდნენ იმდროინდელ თოფებს



XVII საუკუნეში დამზადებული ჩახმახიანი თოფი



საქართველოში ოდითგანვე სანაქებო იარაღებს ამზადებდნენ. იყო დრო, როდესაც მისი დამზადების და წრთობის საიდუმლო მხოლოდ მჭედელთა და ოსტატთა ოჯახებმა იცოდნენ. მათი დამზადების ტექნოლოგიები და თავისებურებანი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მისი გათქმა და საიდუმლოს სააშკარაოზე გამოტანა სამშობლოს წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებად ითვლებოდა. „ბულატი“, არაბული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად ფოლადს ნიშნავს. ზოგიერთი, თანამედროვე მეცნიერი ვარაუდობს რომ „ბულატი“ დაახლოებით 14-15 საუკუნის წინ უკვე შესწავლილი ჰქონდათ და ამზადებდნენ ინდოეთში. ბერძენი ისტორიკოსი-მეიარაღეების ცნობით ჯერ კიდევ ჩვ.წთ.აღ.-მდე მე-4 საუკუნეში არისტოტელე საუბრობდა „ბულატის“ შესახებ (ეს ხდება ალექსანდრე მაკედონელის ინდოეთში შეჭრისას, საიდანაც მოდის ნამდვილი „ბულატი“, რომელიც „ვუცის“ ფოლადის კვერებისაგან მზადდებოდა). მას აგრეთვე ცოტა მოგვიანებით ამზადებდნენ დღევანდელი სირიისა და ირანის ტეროტორიებზეც. მაგრამ ყველგან იყო განსხვებები ჭედვისა თუ წრთობის პროცედურებში. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გახმაურდა ძალზედ საინტერესო ფაქტი, ზღვაში, დანიის სანაპიროს მიმდებარედ, აღმოჩენილ იქნა სამი ძველი რომაული ხომალდი ტვირთთან ერთად. აქედან ორი გემი შტორმის გამო ჩაიძირა, მესამე კი სავარაუდოდ ქვიშის ქარში მოყვა. ბაქანზე ნაპოვნი იქნა 100-მდე ხმალი, ჭურჭელი და მონეტები. მოგვიანებით დადგინდა რომ ეს ნივთები მე-3 საუკუნეში დამზადებული დინარები იყო. ხმლებზე გაკეთებული იყო რომაული ნიშნულები. მათი მეტალის შესწავლისას დადგინდა რომ ფოლადის სტრუქტურა ძალიან ჰგავდა „ბულატს“. იმ დროინდელი მეცნიერები და სპეციალისტები მას აგრეთვე მოიხსენიებდნენ, როგორც „მოხარშულ დამასკოს“.

საქართველოში ბულატის რამოდენიმე სახეობა იჭედებოდა და ამ უნაკლო იარაღთან ერთად, მისი გამოყენებაც კარგად ვიცოდით და სათანადო მეომრებიც გვყავდა ქართველებს. ისტორიაში უამრავი ფაქტი არსებობს, როდესაც ჩვენმა იარაღმა, ტაქტიკამ და მტერთან შედარებით, ბევრად მცირერიცხოვან მეომართა ჯგუფმა მოიპოვეს გამარჯვება და მოახერხეს ის, რასაც ძალიან ბევრი ქვეყანა ვერ ახერხებდა. შორს რომ არ წავიდეთ, თუნდაც სამასი არაგველის გახსნება კმარა ზემოთ აღნიშნულის დასამტკიცებლად. აგრეთვე არსებობს ლეგენდის სახით გადმოცემა, რომ დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლისას მეომართა მცირე რიცხოვნი ამალა, რომელთა რაოდენობა 200 კაცს არ აღემატებოდა,მტრის ბანაკში შეგზავნა. გადმოცემის თანახმად კი მათ ეკეთად ხმლები წელზე, ანუ შემოჭერილი ჰქონდათ ქამრების სახით. ამგვარი საჭურველი გახლდათ მათი იმედი, რითიც ორასამდე მეომარმა შუა ბანაკში ბრძოლა წამოიწყო. ისინი სამშობლოსათვის პირდაპირ სიკვდილზე წავიდნენ და აქ პირველ ადგილზე მათი ვაჟკაცური სული და მამაცობა უნდა დავაყენოთ. თუმცა აღსანიშნავია, რომ არა ასეთი ტექნოლოგიები ხმლის დამზადებისა, შესაძლოა მათი გმირობა ვერ განხორციელებულიყო. შედარებით ახლო წარსულს თუ გადავხედავთ, ყველასათვის ცნობილი ხევსური მებრძოლის, ლიქოკელის შესახებ ლეგენდის გახსენებაც კმარა, ქართულ და ზოგადად ხევსურების მებრძოლ ხასიათსა და იარაღისადმი უნაკლო ცოდნაში რომ დავრწმუნდეთ. მის შესახებაც ინფორმაცია, რომელიც ქართველ ხალხს შთამომავლობით გადაეცემოდა გვამცნობს, რომ ხევსურმა მეომარმა ერთ-ერთ ბრძოლაში 20 იაპონელი განგმირა მარტომ. ოთახში, სადაც ლიქოკელის მიერ დახოცილი მებრძოლები ესვენა, ქართველი გმირი მარტო იყო გამაგრებული. მასთან მეთაური, გამოცდილი სამურაი შევიდა. სანამ სამურაი ხმლის ამოღების პროცესს დაასრულებდა, ოთხად იქნა გადაჭრილი. ამან განაცვიფრა და აღაშფოთა იაპონელები. ხევსურს რომ ვერაფერი დააკლეს პირისპირ ბრძოლაში, ის დახვრიტეს. აღსანიშნავია რომ სამურაები იაპონიაში და ზოგადად მთელს მსოფლიოშიც ერთ-ერთ საუკეთესო მებრძოლებად ითვლებიან. მათ ბავშობის ასაკიდან ასწავლიან ისეთ ილეთებს, რომლებიც მხოლოდ მან, მხოლოდ სამურაიმ იცის. როგორც გადმოცემიდან ჩანს, მას ხევსურმა მებრძოლმა დიდი უპირატესობით აჯობა. აქ ყველაფერი შეეფერება თუ არა სინამდვილეს და ზუსტად როგორ მოხდა ეს ამბავი, ალბათ მხოლოდ იქ მყოფებმა იციან, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ კონკრეტული მოვლენა თუ არა, სხვა ვითარებაში, ხევსურს, შესაძლოა უფრო მეტი გმირობა ჩაედინა და ამის არა ერთი მაგალითი გვაქვს ჩვენ ისტორიაში. ცუდი ისაა, რომ ბევრი სხვა რამ ისტორიამ ვერ შემოგვინახა. ეს ეხება როგორც საბრძოლო ხელოვნებას, ისე იარაღის დამზადების ტექნოლოგიებს.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფოლადის ნიმუში საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ თავად ჩვენს მიწა წყალზე არსებული ბრინჯაოს კულტურა თუ შესაბამისი ნივთმტკიცებულებები ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე მე-5 საუკუნის მასალებში მრავლად გვხვდება და ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია სხვა ბრინჯაოს კულტურებს შორის. უფრო მეტიც, აღნიშნულ გარემოებამდე დაახლოებით 8 საუკუნით ადრე ლაზები ფოლადს მოიპოვებდნენ. ქრისტეს შობამდე II-საუკუნის მიწურულსა და I-ის დასაწყისში ჩვენი წინაპრების საიდუმლოებანი და იარაღის დამზადების ტექნოლოგიები სხვა ქეყნებისა თუ მომთაბარე ტომების მმართველებმაც მოიპოვეს სხვა და სხვა ხერხებით. ამან რა თქმა უნდა უარყოფითად იმოქმედა ჩვენს სახელმწიფოზე. „ბულატის“ ხმლების ჭედვის ტექნოლოგია ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც დღემდე ვაი ვაგლახით და გაჭირვებით შემოინახეს პატრიოტმა და ამ საქმის მოყვარულმა ადამიანებმა საქართველოში. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფოლადის ნიმუში საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ თავად ჩვენს მიწა წყალზე არსებული ბრინჯაოს კულტურა თუ შესაბამისი ნივთმტკიცებულებები ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე მე-5 საუკუნის მასალებში მრავლად გვხვდება და ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია სხვა ბრინჯაოს კულტურებს შორის. უფრო მეტიც, აღნიშნულ გარემოებამდე დაახლოებით 8 საუკუნით ადრე ლაზები ფოლადს მოიპოვებდნენ. ქრისტეს შობამდე II-საუკუნის მიწურულსა და I-ის დასაწყისში ჩვენი წინაპრების საიდუმლოებანი და იარაღის დამზადების ტექნოლოგიები სხვა ქეყნებისა თუ მომთაბარე ტომების მმართველებმაც მოიპოვეს სხვა და სხვა ხერხებით. ამან რა თქმა უნდა უარყოფითად იმოქმედა ჩვენს სახელმწიფოზე. „ბულატის“ ხმლების ჭედვის ტექნოლოგია ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც დღემდე ვაი ვაგლახით და გაჭირვებით შემოინახეს პატრიოტმა და ამ საქმის მოყვარულმა ადამიანებმა საქართველოში. ის დანარჩენ, განსხვავებული ტიპის ქართულ ხმლებთან, ბაწარაულთან, გორდასთან, ფრანგულთან, ჭოლაურთან, კალდიმთან, თუშურ ორლესულთან თუ დავით-ფერულთან ერთად ყველაზე მეტად ფასობდა კავკასიის მთლიან რეგიონში. აღნიშნულ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ კოტე ჩოლოყაშვილს, ბატონ ბადრი ამაღლობელსა და მათნაირ, ქართული იარაღის მოყვარულ პატრიოტებს. ადრეულ წლებშიც ბევრი თვლიდა ფოლადის ვიზუალურობიდან გამომდინარე, რომ ესა თუ ის ხმალი ან სატევარი ჩვეულებრივი „დამასკოს“ (დაკეცილი) ფოლადისაგან იყო გაკეთებული და საერთოდ არ იცოდა „ბულატის“ მოხარშვის ტექნოლოგია და განსაკუთრებით შემდგომ მისი ჭედვისა თუ წრთობის პროცედურების თანმიმდევრობა. ასეთ ვითარებას იმ დროს ვაწყდებით ისტორიულ წყაროებში, როდესაც დამარცხებულ ქართველებს იარაღს ართმევდნენ ან უბრალოდ გემს თუ ქარავანს აპატიმრებდნენ რომელიმე უცხო ქვეყანაში. მათგან ამოღებული იარაღის დამზადების ტექნოლოგია კი რათქმაუნდა არავინ იცოდა. მითუმეტეს ადრეულ წლებში. შესაბამისად ყველას ზემოთხსენებული, სტანდარტული ტიპის „დამასკოს“ ფოლადი ეგონა ხოლმე და ნაკლებად ცდილობდნენ მისი დამზადების არსის გაგებასა და შესწავლას. აღსანიშნავია, რომ ამისი ფიქრის საფუძველს მათ „დამასკოს“ სტილის დიდი პოპულარობა უწყობდა ხელს.

ჯერ კიდევ მე-3 საუკუნეში რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ ქალაქ დამასკოში ბრძანა იარაღების არა ერთი, არამედ რამოდენიმე ქარხნის აგება. მანამდე, დიდი ხნის წინ იქ უკვე ხორციელდებოდა იარაღის საკმაოდ დიდი რაოდენობით დამზადება. აგრეთვე ეწყობოდა ხოლმე ბაზრობები (გამოფენა-გაყიდვები), სადაც იყიდებოდა „დამასკოს“, ანუ იგივე „ბულატის“ ფოლადისაგან შექმნილი უამრავი სახეობის საბრძოლო თუ დავდაცვის საშუალებები და თავად ინდური ფოლადი „ვუცი“-ც. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ვიგებთ რომ იარაღისათვის რკინად მსოფლიოში ძირითადი წამყვანი ქვეყნები ინდურ მასალას, დღეისათვის უკვე ყველასათვის ცნობილ„ვუცისა“ და „სიამის“ რკინას (ფოლადის კვერებს) იყენებდნენ. მათი შეძენა კი ძირითადათ დამასკოში გამართულ ბაზარზე იყო შესაძლებელი. ძალიან ხშირად ამა თუ იმ სახელმწიფოს მეფეთა თუ იმპერატორთა დაკვეთით ხდებოდა ფოლადის დიდი რაოდენობით საკუთარ ქვყენებში შეტანა და შემდგომ ადგილზე დამზადება. სწორედ ასეთ ხერხს მიმართავდნენ ქართველებიც და ინდური „ვუცისაგან“ მოხარშულ „კვერებს“ სამშობლოში ჭედავდნენ, აწრთობდნენ, აპირკეთებდნენ და საუკეთესო ცივ იარაღად – ხმლად აყალიბებდნენ. ბაზრობის სიდიდიდან და პროდუქტის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე იმ დროისათვის რთული იყო გარჩევა თუ რომელი ქვეყანა რა მასალით აკეთებდა იარაღს ან რა ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობდა მის შესაქმნელად. არა ერთ ისტროიულ მასალაზე დაყრდნობით ვარკვევთ რომ „ბულატის“ დამზადების მეთოდიკა სწორედ ზემოთხსენებულ ინდოეთში საფუძვლიანად იყო შესწავლილი და განვითარებული. მაგრამ მიუხედვად ამისა, არსებობს თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ საკმაოდ სერიოზული არაერთი განმასხვავებელი ნიშანი ქართულ, ჩვენთან დამზადებულ „ბულატის“ ხმალსა და ინდურ ხმალს შორის. ეს ალბათ დამოკიდებული იყო ჭედვისა და წრთობის განხვავებულ, ინდივიდუალურ პროცედურებზე. ზემოთხსნებული მიზეზის გამოც იყო ხოლმე, რომ უამრავი ქვეყანა ცდილობდა ქართული იარაღის ათვისებას.

აღსანიშნავია ერთი ძალზედ საინტერესო ფაქტი, XVIII საუკინის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისისათვის დიდი რუსეთის სახელმწიფოს გეგმა გახლდათ ქართული იარაღთმშენებლობის, მისი შექმნისა და დამუშავების ტექნოლოგიების ათვისება. ამას ისიც დაემთხვა, რომ რატომღაც ჩვენში აღნიშნულმა სფერომ რეგრესი განიცადა. შესაბამისად დროთა განმავლობაში დაიკარგა იარაღის წარმოების კულტურა და გაჩანაგდა სამჭედლოები, იარაღის მცირე ზომის ქარხანა საწარმოები და „თოფხანები“. უფრო მეტიც, რუსებმა კარგად იცოდნენ ქართველების მეტალის წარმოებისა თუ წარმოშობის უმდიდრესი კულტურის შესახებ. ისინი ცდილობდნენ შეესწავლათ ის დამზადების ტექნოლოგიები, რომელიც მხოლოდ ჩვენ გაგვაჩნდა





ჯვაროსნების ხმალი





ინდური წარმოების ჯავარის (იგივე დამასკოს) ტიპის დანები



საქართველოში, ბადრი ამაღლობელის მიერ დამზადებული „ნამდვილი“ და „ხელოვნური“ ჯავარის პირები

და თვით უკვე კარგად განვითარებულ ევროპაშიც კი ნაკლებად მოიძიებოდა. როგორც ბატონმა ბადრი ამაღლობელმა პირად საუბრებში განგვიცხადა, რუსებმა, კერძოდ იარაღთმცოდნე პ.პ. ანოსოვმა (რომელიც მჭიდროდ იყო ჩართული ქართული იარაღის ტრადიციული წესით დამზადების შესწავლის საქმეში) გამოგზავნა რუსეთის ქარხნების საუკეთესო ოსტატები საქართველოში. შემდგომ კი თავადაც შეეცადა ჩვენს ქვეყანაში საკუთარი ძალებით განეხორციელებინა ქართული წესით „ბულატის“, „ბაწარაულისა“ თუ სხვა ჩვენში არსებული ტექნოლოგიების ათვისება. ჩვენ კი დიდის პატივითა და სიხარულით მივიღეთ და ქართული ხმლის საიდუმლოება გავანდეთ, მისი დამზადების სტრუქტურული მასალები, მონახაზები ნიმუშები და წესები გავატანეთ რუსეთში. ამ ვისთვის სასიკეთო და ვისთვის საზიანო საქმისათვის დაჯილდოებულნი იქნენ ქართული ხმლის მჭედლები, ელიზარაშვილები. როდესაც რუსეთის იმპერატორს გაუგზავნეს ქართველებისა და მათი ოსტატების მიერ ერთობლივად ნაჭედი ხმალი, განცვიფრებულმა და გახარებულმა რუსთა მბრძანებელმა თანამემამულე ოსტატები ათას-ათასი, მათი შეგირდები კი ხუთას-ხუთასი რუსული ფულით დაჯილდოვა. ამჟამად ანოსოვი საკუთარ ქვეყანაში ერთ-ერთ უძლიერეს ფუძემდებლად მიიჩნევა მეტალის გაუმჯობესების საკითხში. არადა აღნიშნულ სფეროში დღევანდელი ჩვენი განვითარების შედეგები ყველას კარგად მოიხსენება. ანოსოვის განმანათლებლების, ძმები ელიზარაშვილების სახელი კი მეტალურგებისა და ისტორიკოსების მცირე რიცხოვნი ჯგუფის გარდა ძალიან ცოტამ თუ იცის. დღესდღეობით რუსულ ნაკლებებში ვაწყდებით გარკვეულ ინფორმაციას „ბულატის“ შესახებ. მათ ლიტერატურაში ვეცნობით რომ პ.პ. ანოსოვი და სხვა მეტალურგი ისტორიკოსები განასხვავებდნენ ნამდვილ „დამასკოს“ ფოლადსა და ეგრედწოდებულ ახალ, „მოხარშულ დამასკოს“ (სწორედ მოხარშვის წესით ხორციელდება „ბულატის“ ხმლის მასალის, „ვუცის“ დამზადება). ანოსოვი წერს, რომ ქართული „ბულატი“ ახლოა ინდურთან და დამასკურთან. პაველ პეტროვიჩი თვლიდა რომ საუკეთესო ბულატს თურმე ამზადებდნენ ინდოეთში, თურქეთში, სირიაში და ირანში. მისი აზრით ქართველებმა სწორედ ამ ქვეყნებიდან ისწავლეს „ბულატის“ ხმლების კეთება, რომელსაც ჩვენში „ჯავარი“ ეწოდება. იური გურევიჩის წიგნში ვკითხულობთ რომ თურმე არსებობს მოხარშული „დამასკო“ და ბოლო წლებში მას უწოდებენ მოხარშულ „ბულატს“. იმავე ავტორის ინფორმაციაზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ „ბულატის“ მპოვნელებმა და აღმომჩენებმა გაარკვიეს რომ საკუთარი ძალებით შექმნილი „ჯავარი“ აშკარად ჩამოუვარდებოდა ნამდვილ „ბულატს“, რომელიც მათ გაურკვეველი ხერხით ჩაიგდეს ხელთ. მისი გაკეთება მათ მოახერხეს ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით და იგი ჯობნიდა ძველ, სტანდარტული ლითონისაგან გაკეთებულ იარაღს.

არსებობს გადმოცემა რომ დღევანდელ ირანის ტერიტორიაზე, ხოროსანში „ბულატის“ ხმლების ფასი საგრძნობლად ძვირი იყო და 7000-8000 საიმპერატორო „ტალერს“ (იმდროინდელი, იქაური ფულის ერთეული) ფასობდა. იმავე გრიგორევიჩ გურევიჩის წიგნზე დაყრდნობით ვიგებთ რომ „ბულატი“ უნიკალურია იმ ძველისძველ მეტალთაგან, რომელიც დღემდე ძალიან მცირე მასებშია შემორჩენილი და რამდენიმე მჭედელმა თუ იცის სრულყოფილად მისი დამზადების ტექნოლოგიები. პირველად მე-19 საუკუნის 40-იან წლებში ზემოთხსენებულმა პ.პ. ანოსოვმა მოახერხა მისი საიდუმლოების ამოხსნა. მან აითვისა ტექნოლოგიები ისეთი მეტალისა რომელიც ბევრად ჯობდა ყველასათვის ცნობილ, იდეალური თვისებების მქონე ინდურ „ვუცს“. არადა სწორედ „ვუცისსაგან“ მოხარშული „კვერებით“ იჭედებოდა საქართველოში საუკეთესო „ჯავარი“ (ბულატი). ამ ფაქტს თავად ანოსოვის „მასწავლებელი“, ქართველი ელიზარაშვილიც ადასტურებს. ბევრ რუს საზოგადო მოღვაწესა თუ სხვა ავტორიტეტულ პიროვნებებს მოსწონდათ ქართული ხმლები და ქება დიდებასაც არ იშურებდნენ მათი დამზადების მეთოდიკის შესახებ. ცივ იარაღს ქართველები ძირითადათ მთიან რეგიონებში აკეთებდნენ. მაგრამ მოხარშული „ბულატისაგან“ ხმლების დამზადება საქართველოს მხოლოდ რამოდენიმე ქალაქში ხორციელდებოდა. მათივე თქმით ლეგენდები თბილისში დამზადებული იარაღის შესახებ კავკასიის რეგიონს სცდებოდა. თურმე არსებობს გადმოცემა, რომ მე-18 საუკუნეში მთლიანი კავკასიის რეგიონი და თვით იმ დროისათვის უძლიერესი სახელმწიფო – ირანი, ძირითადათ თბილისში დამზადებული იარაღით მარაგდებოდა.

რუსებისვე განმარტებით, მე-19 საუკუნეში თბილისი რჩებოდა ცივი თუ გარკვეულწილად ცეცხლსასროლი იარაღების – „ბულატის“ ტიპის ხმლების დამამზადებელ ცენტრად. ეს ფაქტი არც დიდ პოეტს, ალექსანდრე პუშკინს გამორჩენია, რომელიც წერდა რომ თბილისში გაკეთებული იარაღი ყველაზე მეტად ფასობს აღმოსავლეთ რეგიონში. ის თავის ლექსში „ოქრო და ბულატი“ წერს:

„Все мое, сказало злато;
Все мое, сказал булат.
Все куплю, сказало злато;
Все возьму, сказал булат.“

რუსები არც ელიზარაშვილების ოჯახის წევრისათვის, გიორგისათვის იშურებენ სანაქებო სიტყვებს და მას განსაკუთრებული პატივით იხსენიებენ. თავად ლერმონტოვი ერთერთ თავის ლექსში სწორედ გიორგი ელიზარაშვილს და მის მიერ დამზადებულ იარაღს აქებს:

„В серебряных ножнах блистает мой кинжал,
Геурга старого изделье.
Булат его хранит таинственный закал,
Для нас давно утраченное зелье.“

რუსები წერენ, რომ დამასკოს მოზაიკური გამოსახულებები ერთგვაროვანია და მეორდება. ბულატი კი არაერთგვაროვანია და სხვადასხვა ფორმის თუ სიდიდის გვხვდება. არა და ეს ორი ერთმანეთისაგან მხოლოდ სახელწოდებებით განსხვავდება. სინამდვილეში ბულატი, დამასკო და ჯავარი ერთი და იგივე მცნებებია. რა თქმა უნდა ადრეულ ხანაში ყველა ქვეყანას და თითოეულ მჭედელსაც კი საკუთარი მეთოდები ჰქონდა „დამასკოს“ ტიპის ფოლადის გამოჭედვისა. ამასვე ადასტურებს გიორგი ელიზარაშვილის ვაჟი, ყარამან ელიზარაშვილი. ის ამბობდა რომ მისი წინაპრები „ბულატის“ ცივ იარაღს ინდური ვუცის „კვერებისაგან“ ამზადებდნენ, რომელიც მოხარშვის, წრთობისა და ჭედვის პროცედურების დასრულების შემდგომ უნიკალურ თვისებებს ამჟღავნებდება და ბევრად სჯობდა სხვა ქვეყანაში, თუნდაც მისგავსებული მასალით დამზადებულ იარაღს. მისი თქმით „ბულატის“ ნახევრად მზა ნიმუშები, მოზრდილ ნამცხვრებს მოგვაგონებდა და არაპროფესიონალი ვერც კი იფიქრებდა რომ მისგან ხმალი ან დანა უნდა გამოჭედილიყო. ზოგიერთი თვლიდა რომ ხმლის ჭედვა ჩვეულებრივ ხორციელდებოდა და შემდგომ წრთობისას ნახშირბადთან ერთად „ბულატს“ გრაფიტსაც ურევდნენ. მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. ჭედვისას „ჯავარს“ ძირითადათ წიფელის ნახშირზე ახურებდნენ. ზოგიერთი ოსტატი მას აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას ურევდა გარკვეულ ნივთიერებას. შემდგომ კი ჭედვისა თუ წრთობის პროცედურები ძალიან დიდ ხანს გრძელდებოდა და იხარჯებოდა უამრავი ენერგია მისი საბოლოო სახის მიცემამდე. 120 ფენა, შესაძლოა 340 ფენა ან 400 ფენა ლაგდებოდა და იჭედებოდა. გაცივების შემდგომ კვლავ ახლიდან სრულდებოდა აღნიშნული პროცედურა. ვინაიდან ამ დროს ნახშირბადით მდიდარი რკინა (რომლის შავი ფერიც ჭარბობს ხმლის პირში) კარგავს მას და ნახშირბადი გადადის შედარებით რბილ კრინაში (რომლის ღია, მოთეთრო ფერიც ჭარბობს ხმლის პირზე), ხდება მისი დამატება და ბულატის ამ ნივთიერებით გამდიდრება. თუმცა ყველაფერი ზომის ფარგლებში ხორციელდებოდა და ბულატზე რკვეულის გაზომვისას დღესდღეობით ვიღებთ 58-60 HRC-ს სიმყარის ფოლადს. რაც ითვლება იდეალური სიმტკიცედ ცივი იარაღისათვის თითქმის ნებისმიერი კრიტერიუმის გათვალისწინებით. აღსანიშნავია რომ ელიზარაშვილების საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში ინდური „ვუცი“ ჩვენში არ მოიპოვებოდა – არ იხარშებოდა და შესაბამისად ქართველი ოსტატები ადგილზე მოპოვებულ ფოლადით ახდენდნენ ჯავარის ცივი იარაღების დამზადებას. ანოსოვის გადმოცემით ელიზარაშვილების მიერ გაკეთებული ხმალი იმდენად ძლიერი იყო რომ ერთი მოქნევით შესაძლებელი ხდებოდა ძროხის ან ხარის თავის მოკვეთა. ცნობილი რუსი ისტორიკოსი, გენერალი ვ. პატო ამბობდა, რომ რუსეთის არმია უაზროდ ბევრი დამასკოს ფოლადისაგან შექმნილი იარაღებით იყო აღჭურვილი. ის წერდა, რომ იმისათვის რათა ფლობდე ხმალს სრულად, „ბულატი“ იდეალური ვერსიაა. მას განსაკუთრებული ძალა არ სჭირდება, ის პატარა ბავშვის ხელშიც კი საშიშია. ასე რომ მე-19 საუკუნის რუსეთის არმია, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ძალად ითვლებოდა, ნამდვილად არ იყო მაღალი ხარისხის მქონე იარაღით აღჭურვილი. ამიტომაც რუსებმა გადაწყვიტეს მეტალურგიაში საფუძვლიანი ცვლილებების განხორციელება და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყენება უფრო კარგი ფოლადის დამზადებისათვის. რა თქმა უნდა საუკეთესო ვარიანტად საქართველოდან ცივი იარაღის დამზადების ტექნოლოგიები და „ბულატის“ ჭედვის მეთოდიკა მიაჩნდათ. ამიტომაც მოხდა ანოსოვის ჩვენთან ჩამოსვლა. 1828 წელს კარამან ელიზარაშვილმა რეცეფტი, საიდუმლოება, „ჯავარის“ დამზადების შესახებ საიმპერატორო საშკარაოზე გამოიტანა. ამ ინფორმაციას ბატონმა კოტე ჩოლოყაშვილმა მიაკვლია კავკასიის საარქივო აქტებში. მეთოდმა ბევრი აღაფრთოვანა. როდესაც „ბულატის“ ცნებას და ელიზარაშვილს ვახსენებთ აუცილებლია მოკლედ დავახასიათოდ აღნიშნული ფოლადის სახეობები. ზემოთხსენებული საკითხი, სხვა ჩვენთვის ძალზედ საინტერესო თემებთან ერთად, ბატონმა ბადრი ამაღლობელმა საუკეთესოდ ჩამოგვიყალიბა და აგვიხსნა. ღოგორც უკვე ამ



თემის განხილვისას აღვნიშნეთ, ზოგადად „ბულატი“, „ჯავარიანი“ ფოლადი და „დამასკური“ ფოლადი შეიძლება ითქვას რომ სინონიმებია. ისინი გახლავთ თავისებური, მოხატულ ზედაპირიანი მაკრო სტრუქტურის მქონე მასალები. არსებობს სამი სახეობის ნაკეთობები: „ნამდვილი“, „ხელოვნური“ და „ყალბი“. „ნამდვილი“ ბულატი გახლავთ ტიგელური დნობით მიღებული ფოლადი (სპეციალურ ქოთანში, „ტიგელში“ ხდება მაღალი ნახშირბადის მქონე ფოლადის მოხარშვა. შემდგომ კი სტანდარტული, ბულატისათვის დამახასიათებელი წესით მისი ჭედვა). „ხელოვნური“ ბულატი სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის მქონე მასალებისაგან სამჭედლო შედუღებით მიღებული ფოლადია (ჭედვისას ხორცილდება გარკვეული რაოდენობის მყარი, მაღალი ნახშირბადის მქონე მასალისა და შედარებით რბილი მასალის ერთმანეთში ზომიერი შეზავება). რა თქმა უნდა „ბულატის“ ჭედვის ამგვარ მეთოდს თავისებური ოსტატობა სჭირდება, რომელიც მაგალითად ევროპაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში საერთოდ არ იცოდნენ. „ხელოვნური“ ბულატის დასრულებულ ნიმუშს ასხვავენ აზოტ მჟავას, რის შედეგადაც იწამლება ფოლადი და მის ზედაპირზე ჩნდება მოზაიკური ან სხვა ტიპის მაკრო სტრუქტურული გამოსახულებები. რამდენჯერაც არ უნდა მოვაცილოდ დანასა თუ ხმალს აღნიშნული გარეგნული, ზედაპირული იერი, აზოტ მჟავას დასხმის შემდგომ ისინი მაინც გამოჩნდებიან ფოლადის ზედაპირზე.

„ყალბი“ ბულატი წარმოადგენს ფოლადს, რომელზედაც მაკრო სტრუქტურა გრავირებით, ქიმიური დამუშავებით ან სხვა მსგავსი ხერხითაა მიღებული. მისი ზედაპირიდან მოცილების და შემდგომ აზოტ მჟავას დასხმის შედეგად ფოლადი უბრალოდ გაპრიალდება და ხელმეორედ არავითარ მაკრო სტრუქტურულ იერსახეს აღარ მიიღებს. ელიზარაშვილი ამ სამი სახეობიდან ძირითადათ მეორეს, ანუ „ხელოვნურ“ ბულატს ჭედავდა ხოლმე და მის მიერ ფოლადის ტიგელური წესით მოხარშვა არ ხორციელდებოდა. როგორც ბატონმა ბადრი ამაღლობელმა აგვიხსნა, ქართველი ოსტატის სიტყვები შემორჩენილია ისტორიულ წყაროებში. ის ამბობს რომ თუ მიუტანდნენ მას ინდური „ვუცის“ კვერს, მაშინ შეძლებდა „ნამდვილი“ ბულატის გამოჭედვასაც. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში ბატონ ბადრის ნანახიც აქვს ელიზარაშვილის მიერ გამოჭედილი არა „ხელოვნური“, არამედ „ნამდვილი“ ბულატის ფოლადისაგან დამზადებული ხმალი.

ბატონმა ბადრი ამაღლობელმა თავადაც წარმოგვიდგინა საკუთარი ხელით გაკეთებული „ნამდვილი“ და „ხელოვნური“ ბულატის პირებით დამზადებული დანების განსხვავებული ვერსიები. ჩვენ ზოგიერთი მათგანის მზადების მცირეხნიან პროცედურასაც დავესწარით და დანები ნახევრად მზა მდგომარეობაში ვიხილეთ. მათ შორის ვიზუალური განსხვავება ადგილზე გადაღებული ფოტომასალის მეშვეობით მკითხველისათვისაც შესაძლებელია. „ნამდვილი“ ბულატის ფოლადისაგან დამზადებულ დანის ტარს ირმის დამუშავებული რქა წარმოადგენს. მისი ხელსაკიდის ბოლო ოქროსფერი ბურთულითაა გაფორმებული. დანას ვადაზეც ოქროსფერი რგოლი აქვს ჩასმული. მთლიანობაში ის სადად გამოიყურება. ხელში ჭერისას სასიამოვნო სახმარია, რაც უპირველესყოვლისა იდეალურად შექმნილი ბულატის პირის დამსახურებაა. რაც შეეხება „ხელოვნური“ ბულატის ფოლადისაგან დამზადებულ დანებს, მათი ორი განსხვავებული მოდელის დათვალიერება მოხერხდა. ერთ-ერთი მათგანი მხოლოდ და მხოლოდ დანის პირს წარმოადგენდა, რომელიც მეორეზე ბევრად გრძელი იყო. შედარებით მოკლე, პატარა ვერსია კი ხის ტარით იყო აღჭურვილი. მის პირს, ისევე როგორც ტარს საკმაოდ ორიგინალური ფორმა ჰქონდა. ასეთი კომპაქტური დანები იდეალურად გამოიყენება ნადირის გატყავება-დამუშავებისას. ბატონ ბადრისთან გამომშვიდობებამდე ძალიან მოკლედ მივიღეთ ჩვენთვის სასრუველი ინფორმაცია „ბულატის“ შესახებ. რაც შეეხება თავად ელიზარაშვილისეურ „ხელოვნური“ ბულატის ჭედვის მეთოდს, ის ასე გამოიყურება:

ერთი ხმლის დასამზადებლად საჭიროა 5 გირვანქა ფურცლოვანი რკინა, რომელიც უნდა მოვათავსოდ სამჭედლო ღუმელში. ის უნდა გავაცხელოთ ისეთ მდგომარეობამდე, რომ შეიძლებოდეს მისი სამ ნაწილად სიგრძეში გაჭრა. ამის შემდგომ თითოული ნაწილი გადავჭრათ შუაზე. მიღებული 6 თანაბარი ნაწილის სიგრძე უნდა იყოს დაახლოებით 1/4 არშინი. ამის შემდეგ ავიღოთ 2 გირვანქა ფოლადი, მოხარშული და ნედლი, გავაცხელოდ ისეთ ნაირად, რომ გაიჭრას სამ ნაწილად სიგრძის მიხედვით, რომლებიც სიდიდით (სიგრძეშიც და სიგანეშიც) იქნებიან მითითებული რკინის ნაწილების ტოლი“.

რეცეფტის დეტალურად გარკვევაში ბატონი ბარდი საგრძნობლად დაგვეხმარა, რომელმაც გაგვიმარტა ყველა ის ნიუანსი, რომელიც ხსნიდა ელიზარაშვილისა თუ ზოგადად ჯავარის ჭედვის მეთოდიკას.

„ავიღოთ ორი ნაჭერი ზემო აღნიშნული რკინა, რომელშიც ჩავდებთ ერთ ნაჭერ ზემოთხსენებულ ფოლადს. ისინი შევადუღოთ ქვიშაში ჩვეულებრივი თანმიმდევრობით. ანალოგიურად უნდა მოხდეს დანარჩენი მსგავსი დეტალების შედუღება/გაჭედვა. როდესაც რკინა და ფოლადი ერთმანეთთან შედუღდება, მიღებული ნაწილი უნდა გამოიჭედოს სასურველი ხმლის სიგრძეზე ორჯერ მეტი სიგრძის, ანუ ნახევარი არშინი. სიგანეში 3/4 არშინი და სისქით 1/8 არშინი. პროცედურის დასრულების მერე თითოეული ნაწილი გავახუროთ სამჭედლო ქურაში, მოვაყაროდ ორივე მხრიდან რკინის ნიჩბით დამსხვრეული თუჯი, რომელიც წინასწარ, ქვიშისებურად უნდა იყოს დაფხვნილი. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ ექვს ნაწილს სჭირდება ერთი გირვანქა თუჯი. ამ პროცედურების დასრულების მერე იწყება გამოჭედვის რიგითი პროცედურა. ამ დროს ზემოთხსნებული ნახევარ არშინიანი ნაწილი უნდა გავზარდოთ



საქართველოში, ბადრი ამაღლობელის მიერ დამზადებული დანა ჯავარის პირით

ორჯერ, ანუ ერთ არშინამდე. სიგანე დავიყვანოთ 1/2 არშინამდე. მიღებული დეტალი მინიმუმ ხუთჯერ გადავკეცოთ და კვლავ გავახუროთ სამჭედლო ქურაში ქვიშასთან ერთად. გარკვეული დროის გასვლის შემდგომ დაკეცილი ნაწილი უნდა გავჭედოთ სიგრძეზე, ისე რომ მივიღოთ მოგრძო ფორმის დეტალი, რომელიც სიგრძეში ნახევარ არშინს გაუტოლდება. შემდგომ ისევ გადავჭრათ შუაზე, კვლავ მოვხარშოდ სამჭედლო ქურაში ქვიშასთან ერთად და კვლავ გავჭედოთ სიგრძეზე, ნახევარ არშინამდე ორივე ნაწილი. თითოეული გავჭრად შუაზე, რის შემდეგადაც მიღებული, ანუ გადაჭრილი ორი დეტალის შუაში უნდა ჩავდოთ ნახევარ ფუნტიანი ფოლადის ფურცელი, რომლებიც სიგრძით და სიგანით იქნება ტოლი, მიღებული გადაჭრილი რკინებისა. ამის შემდეგ ის კვლავ ხურდება ქვიშასთან ერთად. შემდეგ გამოვჭედოთ საბოლოოდ მიღებული დეტალი სასურველი ხმლის ფორმის, მაგრამ როგორიც გვინდა იმაზე 2 არშინით ნაკლები. მიღებული დეტალი ორივე მხრიდან ღოჟით უნდა დაიკბილოს. (ესეც ერთგვარი ცივად ჭედვის მეთოდია). პროცედურის დასრულების მერე უნდა მოსწორდეს დაკბილული ზედაპირი. შემდგომ კვლავ ვიწყებთ სიგრძიზე ჭედვას და საბოლოოდ ხმლის პირი უნდა მივიყვანოდ სასურველ ფორმამდე და ზომებამდე. დასრულებული ვერსიას ვასწორებთ სახეზე ქვაზე, გარკვეულ ადგილებში ვაპრიალებთ და ვაშორებთ ჭუჭყს.

ზემოთხსნებული პროცედურების დასრულების შემდგომ ჩვენ შეგვიძლია ხმლის პირი სხვადასხვაგვარად ვაწრთოთ. შესაძლებელია ჩვეულებრივი წესით, თბილ წყალში წრთობის პროცედურის განხორციელება. მაგრამ თუ გვინდა რომ ხმლის პირი უფრო სალი გამოვიდეს, ის უნდა დავფაროდ მსხვილფეხა ცხოველის რქის ნამწვით, რომელიც შერეული იქნება ჩვეულებრივ სუფრის მარილთან. ამ დროისათვის ხმლის პირი გახურებული უნდა იყოს და პერიოდულად წრთობის პროცედურა ცივ წყალში უნდა მიმდინარეობდეს.

ზოგადად „ბულატი“ გახლავთ მაღალი სიმყარისა და სიმტკიცის ფოლადი, რომელიც აღემატება იმავე შემადგენლობის ფოლადის სიმყარეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ დეფორმაციის ხარისხი ფოლადის ფურცლების ან მავთულის შედუღებისას სხვადასხვა შემადგენლობის ნახშირბადთან მიმართებაში კოლოსალურია. ამასთანავე გაჭედვისას იდეალურად ყალიბდება მისი სტრუქტურული აგებულება, რაც გამოიხატება იმაში, რომ „ბულატისაგან“ დამზადებული ხმალი მყართან და გამძლესთან ერთად დრეკადი, ლესვადი და მოქნილია. „ბულატის“ ხილვისას შევამჩნევთ უზორებს, რომელთაგანაც ზოგი მუქი ფერის, უფრო მოშავოა, ზოგიც კი შედარებით უფრო ღიაა. ამ შემთხვევაში მუქი ფერის ნაწილი საგრძნობლად მყარია და მის შემადგენლობაში ჭარბობს ნახშირბადი. ღია ფერის ნაწილი კი რბილია. შედეგად მათი გახურებისას და ჭედვისას მიღებული „ბულატი“ იძენს ზემოთხსენებულ შესანიშნავ თვისებებს. აღსანიშნავია ის რომ თუ გვინდა რკინისაგან ფოლადი მივიღოთ მასში 2,14 %-ზე მეტი (მაქსიმალური დოზა) ნახშირბადი არ უნდა არსებობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უკვე სხვა თვისებებს იძენს და ფოლადი აღარ იქნება. ის კი არა, 2,14 %-ის შემთხვევაშიც საშინლად მყარ და მყიფე ფოლადს ვღებულობთ.

ერთ-ერთი კვლევისას გაკეთდა ზემოთ ხსენებული ხერხით ნაჭედი ხმლის პირის, შედუღებული ბულატის, რენდგენო სტრუქტურული ანალიზი. რენდგენოგრამებმა გვაჩვენეს ძალიან მტკიცე კრისტალური მესერი. ამგვარად დგინდება რომ ძველმა მჭედლებმა აღმოაჩინეს საგრძნობლად მტკიცე და მყარი საბრძოლო იარაღის მასალის მომზადების მეთოდი რომელიც გარდა სიმტკიცისა, გამძლეობისა და მოქნილობისა გამოირჩეოდა ასევე გარეგნული ლამაზი ხაზებით – ჯავარებით და დამახასიათებელი, სპეციფიკური მოზაიკური შეფერილობით.

ცნობილია, რომ მე-19 საუკნის პირველ მესამედში, დაახლოებით 1933 წლისათვის ელიზარაშვილმა რუსეთის იმპერატორს გაუგზავნა თავისი გაკეთებული ხმლები, რომლებიც ამჟამად ლენინგრადში, ერმიტაჟის მუზეუმსა და მოსკოვში, ისტორიის მუზეუმში ინახება. ბატონი კოტე ჩოლოყაშვილის მიერ მოძიებული ინფორმაციით ირკვევა რომ რუსეთის კავალერიაში საუკეთესო ხმლებად სწორედ ქართველი ოსტატის, ელიზარაშვილის მიერ ნაჭედი ხმლები ითვლებოდა.

სპეციალისტებმა დაადგინეს რომ ძალზედ რთულია სხვადასხვა ფოლადის გადადნობა ისე რომ მიიღო ერთი, საერთო მასა, ნაჭერი. შემდგომ კი მისგან მიიღო შესაბამისი უზორი, ამავდროულად უზრუნველყო ცივი იარაღის სიმტკიცე, სიმყარე, მოქნილობა, დრეკადობა და ლესვადობა. „ბულატის“ ჭედვისას მის ზედაპირზე ფოლადების გართულებული ურთიერთშეთანხმების გამო ჩნდება ოქსიდები, რომლებიც აუცილებლად უნდა მოშორდეს ზედაპირიდან. ამავდროულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტემპერატურის მუდმივ კონტროლს. სულ მცირედი ყურადღების მოდუნებაც საკმარისია იმისათვის რომ საერთოდ გაგვიფუჭდეს მასალა. ძალზედ დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე ჭედვის სიჩქარეს და განსხვავებული ნახშირბადის შემცველობის ფოლადის ფენების ურთიერთშეთანხმებას. მე-15, მე-16 საუკუნეებში მეტნაკლებად დასავლეთ ევროპელებმაც აითვისეს „ბულატის“ დმზადების ტექნოლოგიები. იქ არსებულ იარაღის ქარხანა-ფაბრიკებში ცდილობდნენ აღნიშნული ფოლადის გამოყენებით ცივი იარაღის დამზადებას. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ესპანელი მეიარაღეები, რომლებმაც პირენიის ნახევრაკუნძულებზე მცხოვრები არაბებისაგან სცადეს აეთვისებინათ ზემოთხსენებული მეთოდიკა. თუმცა მე-19 საუკუნის დასაწყისში ევროპელებმა ნახშირბადის უმაღლესი შემცველობის ფოლადის წრთობის ტექნოლოგიები დახვეწეს და „ბულატს“ ნაკლებად ექცეოდა ყურადღება. ზოგადად ცივ იარაღებს ამგვარი სტილით მაინც ამზადებდნენ. მაგრამ რა თქმა უნდა ეს არ იყო „ნამდვილი



საქართველოში, ბადრი ამაღლობელის მიერ დამზადებული დანა ჯავარის პირით



გერმანიის საერთაშორისო გამოფენა, ევროპული ტიპის ხმლები

ბულატი“. არც მისი მასალა აკმაყოფილებდა შესაბამის კრიტერიუმებს და არც თავისთავად დამზადების მეთოდიკა. მიუხედავად ამისა მე-18, მე-19 საუკუნეებში, ქალაქ მილანში, ზოლინგენში, ტოლედოსა თუ სხვა მეიარაღეთა ქალაქებში ხორციელდებოდა ცივი იარაღების ეგრეცდნოდებული „ყალბი ბულატის“ ფოლადით დამზადება.

„ჯავარის“ განსხვავებული სახეობების გარდა საქართველოში ბევრი სხვა ტიპის იარაღი მზადდებოდა. დღეისათვის კარგადაა ცნობილი „ბანარაული“, რომელიც ქართული წარმოშობის სიტყვაა და ამგვარი ხმლის დამზადების მეთოდიკაც ქართველების მიერაა შემუშავებული. ხმლის დამზადების ეს ხერხი რადიკალურად არ განსხვავდება სხვა, უცხო ქვეყნის მჭედლების მეთოდებთან, რომლებიც ამგვარი ტიპის დანებსა თუ ხმლებს ამზადებდნენ. ის არა დაკეცვის, არამედ დაგრეხვის წესით კეთდება. მას ბევრი თვისება აქვს „დამასკოსა“ თუ „ბულატის“ მსგავსი, მაგრამ ის თავისებურებანი გააჩნია, რომელიც სხვა იარაღს არ ახასიათებს. საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში „დავით-ფერულიც“. მასზე ძალიან ბევრი ამბობდა რომ ფრანგულიდან იყო ხმალი გადმოღებული. მაგრამ სიმართლე დადგენილი ჯერჯერობით არაა.. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დიდი მეფის, წმინდა დავით აღმაშენებელის დროს ყველაზე მეტად „ვადაჯვრიანი“ ხმლები გამოიყენებოდა. ეს სიმბოლურ ხასიათსაც ატარებდა და ქართველების ქრისტიანობისადმი დიდ პატივისცემას და ზოგადად რწმენას გამოხატავდა. ფშავ-ხევსურეთი მეიარაღეთა თუ მებრძოლთა ცენრტად ითვლებოდა. მთელს კავკასიის რეგიონში და არა მარტო იქ, განთქმული იყო ხევსურული „გორდა“. გენიალურ პოეტს, ვაჟა ფშაველას არაერთგან აქვს მოხსენიებული ქართული ხმალი

დაჰჟანგებულხარ, გორდაო,
დაგობებია ქარქაში.
სადა გყავს შენი პატრონი,
დაგაწყებინოს კაშკაში?

ამ ეპიზოდიდან არაა რთული მისახვედრი, რომ ხმალი ხევსური კაცის განუყოფელი ნაწილი იყო. ვაჟა ფშაველას სხვა ლექსებშიც ეპიზოდური სახით ჩინებულად აქვს ჩართული სტრიქონები თუ სტროფები ქართული ცივი იარაღის შესახებ. ლექსში „ომის წინ ჯარის სიმღერა“ გადმოცემულია მთის ხალხის მზადება ომისათვის და მათი ჯარის, ბრძოლაში მიმავალი ხევსური ვაჟკაცების იმდროინდელი ფიქრი თუ წუხილი. ამ ეპიზოდში ძალზედ საინტერესოა კუთხური სახელწდოებები ცივი იარაღისა. ლუკა რაზიკაშვილის პერიოდის ფშავ-ხევსურეთში ძალიან ხშირად ხმალს ფრანგულს უწოდებდნენ. ამას არა ერთ ნაწარმოებში ვხვდებით. ერთერთი მათგანია ვაჟას ლექსი „გიგი“, რომლითაც პოეტი აღწერს მეომრის უზადო ცოდნას საბრძოლო ხელოვნებისა. ის ქართველ ვაჟკაცს არწივსაც კი ადარებს, მტრებს კი მასთან შედარებით წეროებს. ქართველი კაცის საჭურველისადმი პატივისცემა თუ ხმლის უნარ ჩვევების ცოდნა ვაჟას ბრწყინვალედ და ამავდრორულად მოკლედ აქვს აღწერილი ლექსში „ხმა სამარიდან“. პოეტი წინაპრების ძახილს, მათ ნაანდერძებს, ბრძოლითა თუ წვალებით აქამდე მოტანილის შესახებ წუხილს გვიზიარებს. ლექსში ნახსენებია ხევსურული სტილის ხმალი „გორდა“. აგრეთვე ვაწყდებით ფრაზას ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ. ვაჟა ფშაველას ერთ-ერთი ყველასათვის საყვარელი ლექსი „კაი ყმა“ (ხევსურულ ჰანგზე) უამრავ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ რამეს გვასწავლის. მასში მაღალ მხატრულადაა წარმოდგენილი ბრძოლის ეპიზოდი. პოეტი მეომრებს კაი ყმობისაკენ, მართებულად ხმლის თუ ზოგადად იარაღის ხმარებისაკენ მიუთითებს. ალბათ დღემდე ზოგადსაკაცობრიო პრობლემად რჩება ლექსში მოყვანილი ფრაზა იმის შესახებ, რომ ყველას, ვისაც წელზე იარაღი უკეთია, „კაი ყმა“ არაა:

„ვინა, ვინ არი კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს?
მიდით იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ჰღელავდეს:
მტერი ჩვენ გვცემდეს,
ჩვენ – მტერსა,
ხმლები, ხანჯრები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დადგეს ჯღრდეები,
თვალები თვალებს სწელავდეს,
მოციქულობდნენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწერავდეს;
ჭიაფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს.“

ქართული ცივი იარაღების შესახებ ქება დიდებას სხვა ავტორებისა თუ ხალხურ ნაწარმოებებშიც ვაწყდებით. ერთ-ერთი მათგანია ლექსი ხევსურული ხმლის შესახებ. ხმლისა რომელიც თავად მეფე ერეკლემ გამოცადა, ისე როგორც ის მთიელ და ხევსურ მებრძოლებს სცდიდა და მხოლოდ შემდგომ ენდობოდა ხოლმე:

ხმალო ხევსურეთს ნაჭედო,
თელავში თუშმა დაგფერა.
მეფე ერეკლემ გაკურთხა,
საომრად ჯვარი დაგწერა.

კავკასიური ცივი თუ ცეცხლსასროლი იარაღის ხარისხსა და ამტანობაზე XIX საუკუნის მიწურულს საუბრობს რუსი იარაღმცოდნე გ. პროზრიტელევი და ადასტურებს რომ რუსეთ კავკასიის ომის დროს ჩვენებურმა იარაღმა მათზე ბევრად კარგი თვისებები გამოავლინა. ჩვენში ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საქართველოს მეზობლები თოფებს დახვეწდნენ, უკვე არსებობდა ხრახნლულიანი შაშხანები, რომლებიც გამოირჩეოდნენ (განსაკუთრებით მთიან მხარეებში, ხევსურეთსა და სვანეთში) სიმსუბუქით და მოსახერხებელი კონსტრუქციით. ძველად ქართველებს ცივი თუ ცეცხლსასროლი იარაღის დასამზადებელ მასალებთან და დანადგარებთან ერთად გაგვაჩნდა ლიტერატურა ქართულ ენაზე, რომელიც აღწერდა იარაღის, საბრძოლო თუ სანადირო ხელოვნების სახეობებსა და კონკრეტულ დეტალებს. ქართულად თითოეულ დეტალს თავისი შესატყვისი სიტყვა ჰქონდა,ზოგს კი არა ერთი, არამედ მრავალი, რაც ენის სიმდიდრესა და ჩვენებური იარაღის იმდროინდელ განვითერებაზე მეტყველებს. სამწუხაროდ დღესდღეობით მრავალი მათგანი აღარ იხმარება. ამასთან გაჩნდა ახალი სიტყვები, რომლებიც სლენგის სახით შემოვიდა უცხო ენებიდან. არსებობს ისეთებიც, რომლებსაც უბრალოდ ქართული შესატყვისიც კი არ გააჩნიათ. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენში უკვე კი ხანია აღარ არსებობს იარაღის წარმოება, არ გაგვაჩნია ქარხნები. შესაბამისად არ არსებობს აუცილებლობა და საჭიროება იმ სიტყვებისა და თავისთავად დეტალების შექმნისა, რაც ჩვენს ქვეყანას ფიზიკურად არ გააჩნია და არ სჭირდება. დღესდღეობით ფაქტიურად დაკარგულია ხმლისა და იარაღის ჭედვის კულტურა და არც მომავალი თაობებისათვის ცეცხლსასროლი თუ ცივი იარაღების წარმოების ნიშან-წყალი არსებობს. ალბათ ბევრი დაეთანხმება აზრს იმის შესახებ, რომ ამხელა კულტურის მატარებელი ხალხისათვის ესოდენ მწირია შენარჩუნებული რელიქვიების რაოდენობა და ჩვენი შვილების მომავლისათვის არაფრის მთქმელია ზოგადად საქართველოსა და ქართული კულტურის მოყვარულ მეიარაღეთა – ადამიანთა ის მცირე ჯგუფი, რომელიც მხოლოდ დანების, ხმლებისა თუ იარაღის კონდახების დამზადებითაა დაკავებული ან მხოლოდ სამხედრო საქმეს ემსახურება და შეხება არ აქვს ცივილური იარაღების წარმოებასთან. ამ ყველაფრის მიუხედავად, თავისთავად გასათვალისწინებელია უამრავი შემოსევები, რომელიც დაარსებიდან დღემდე არასდროს აკლდა საქართველოს, რომლის დროსაც გაჩანაგდა და გაუბედურდა მზა ქართული ცივი თუ ცეცხლსასროლი იარაღების საცავები და რაც მთავარია ლიტერატურა, წესები და მონახაზები მათი დამზადების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო საუკუნეებში ზოგადად ხმალს დაეკარგა ის საუკუნოვანი დატვირთვა და საკოლექციო ან სააღლუმო ნივთად იქცა. თუმცა ქართველი ერისათვის მას ყოველთვის განსხვავებული ადგილი ეკავება. ის ჩვენთვის ქრისტიანობის შენარჩუნების, თავისუფლებისათვის ბრძოლის, მამაცობისა და ვაჟკაცობის სიმბოლო იქნება. ჭეშმარიტად პატრიოტი ქართველებისათვის ის აუცილებლად დარჩება ძმობის, ერთგულების გამოხატულების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება და ქართველთა გმირული წარსულის მემატიანე.

XIX საუკუნეში თბილისში ბევრად უფრო მეტი იარაღის საწარმოები და თოფხანები გაჩნდა ვიდრე კავკასიის სხვა ცენტრალურ ქალაქებში. კერძოდ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველოში ფუნქციონირებდა ერთერთი მძლავრი და დიდი წარმოება, სადაც თავს იყრიდნენ მჭედლები, მექარქაშეები, მეკონდახეები, მეზარნიშეები, ანუ იგივე გრავირების ოსტატები და ცეცხლსასროლი იარაღის შემქმნელი, პროფესიონალი მჭედლები. ამასთანვე არსებობდა სხვა, შედარებით მცირე ზომის წარმოებებიც. ეს ყველაფერი არც იყო გასაკვირი რადგანაც თბილისზე გადიოდა სავაჭრო გზა და ჩვენი დეაქალაქი წარმოადგენდა იმ დროინდელ კავკასიის ცენტრს, სადაც თავს იყრდინენ ევროპელი თუ აზიელი დიდგვაროვნები და ვაჭრები, რომლებიც უკვეთავდნენ იარაღებს. იმ დროისათვის იმდენად დახვეწილი იყო თბილისში იარაღის წარმოება, რომ მზადდებოდა არა მარტო ქართული ცივი იარაღები და თოფ-დამბაჩები, არამედ რუსული, ჩერქეზული და ევროპული ტიპის ვერსიებიც. დღესდღეობით თბილისის მუზეუმში დაცულია 500-მდე დამბაჩა და თოფი, რომელთაგანაც არის ისეთებიც, ჩვენ დიდი მეფეებს რომ ეპყრათ ხელთ. მაგალითად ერეკლე მეორის ხმალი, რომელიც გარეგნულად ძალზედ წააგავს ამავე მუზეუმში არსებულ ნაპოლეონის ხმალს. დღესდღეობით ბევრისათვის ცნობილია ფრაზა „მე ვარ ავი მუსაიფი, კახთ ბატონი ირაკლისა“, რომელიც მეფე ერეკლეს ერთერთ ხმალს ჰქონდა წარწერის სახით ამოტვიფრული ზედაპირზე. იქ ინახება პატარა კახის თოფიც. აგრეთვე მეფე ბაქარის თოფი, რომელიც დაახლოებით 300 წლისაა. დაცულია სოლომონ II-სა და გიორგი XII-ს თოფები და კიდევ მრავალი უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი ნივთი, რომლითაც ამაყობს ქართველი ერი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ „CHRISTIE‘S“-ს აუქციონზე გაიყიდა XIX საუკუნის ხმალი, რომელიც თბილისში იყო 1865 წელს დამზადებული ვინმე პოპოვის მიერ (კავკასიური შაშკა – Caucasian Shashka). რა თქმა უნდა იმის დიდი ალბათობა არსებობს რომ ეს სწორედ ის პოპოვი იყო, რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარისათვის სასარგებლოდ მოღვაწეობდა საქართველოში ქართული მეტალისა და ხმლის ჭედვის კულტურის შესასწავლად. ზემოთხსენებულ, აუქციონზე გაყიდულ ხმალს ამშვენებდა წმინდა გიორგის მინიატურა რომელიც მოოქროვილი იყო, აღენიშნებოდა საიმპერატორო კარის მიერ მინიჭებული საგარანტიო დამღა და დამზადებული იყო „მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, კავკასიაში მდებარე ნიჟნი ნოვგოროდის არმიის მთავარსარდლისათვის 1866 წლის 5 თებერვალს“. პროფესიონალების აზრით ეს არ გახლავთ დამზადების თარიღი. აუქციონზე თავდაპირველად ნივთი შეფასდა 157 250 ფუნტი სტერლინგად და გაიყიდა 234 932 ფუნტ სტერლინგად. თავად აუქციონის პროფესიონალ მეიარღეთა მიერაც მოხდა მისი შეფასება, რომელიც შეადგენდა 70 000-დან 90 000-მდე ფუნტ სტერლინგს, რაც მაშინდელი კურსით გახლდათ 103 810-დან – 133 470 დოლარის ექვივალენტი. იმავე აუქციონზე გაიყიდა იმავე პოპოვის მიერ თბილისში XIX საუკუნის 60 წლებში (ზუსტი თარიღი უცნობია) ნაჭედი შედარებით მომცრო ზომის ხმალი, 59 237 ფუნტ სტერლინგად. ხმლის სიგრძე 95 სმ გახლდათ და მთლიანად ოქროთი იყო მოპირკეთებული. როგორც ქარქაში, ისე ვადა და ტარი. ასეთი ფაქტები საკმაოდ ხშირია თანამედროვე ანტიკვარიატისა თუ იარაღის აუქციონებზე. მე-19 საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასწყისში საქართველოდან იმდენი სიმდიდრე გავიდა, რომ გასაკვირი ნამდვილად არაა ქართული, ეროვნული, ტრადიციებზე დამყარებული ნაწარმის ევროპისა თუ ამერიკის ბაზარზე გამოჩენა.

„CHRISTIE“-ს აუქციონზე გაყიდული ხმალი



MIGUEL NIETO



„მიგელ ნიეტოს“ სტენდი გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე

ესპანეთში, ქალაქ ალბასეტეში მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ინოსენსიო ნიეტომ საფუძველი ჩაუყარა დღესდღეობით ყველასათვის ცნობილ კომპანიის Miguel Nieto SL.-ის დაარსებას. ფირმა ოფიციალურად 1957 წელს გამოჩნდა ასპარეზზე. ამ დროს ინოსენსიოას ორმა ვაჟმა, მიგუელმა და მამის მოსახელე ინოსენსიომ საკუთარ სააქმროში წამოიწყეს დანების სერიული წარმოება. პროდუქცია ძირითადათ კეთდებოდა პრესტიჟული, ელიტარული მაღაზიებისათვის. აგრეთვე ხორციელდებოდა კერძო შეკვეთების მიღება და უმაღლესი კლასის დანების დამზადება. იმ პერიოდისათვის არც თუ დიდი წარმატებით მიმდინარეობდა მათი ბიზნეს საქმიანობა. ყოველ კვირას, ველოსიპედზე შემომჯდარი ოსტატები ჩემოდნით ხელში არგიკულტურულ ჩვენებებზე დადიოდნენ, რათა ნარჩენი პროდუქციის რეალიზება განეხორციელებინათ. 1980 წელს Miguel Nieto Guillén-მა თავის ოთხ ვაჟთან ერთად გააგრძელა წინაპრების საქმიანობა და M.Nieto-ს სამარკო სახელით დანების წარმოება. ზუსტად შვიდი წლის შემდგომ კი ჩამოყალიბდა დღესდღეობით ყველასათვის ცნობილი ბრენდი Miguel Nieto SL. აღსანიშნავია ერთი ძალზედ საინტერესო ფაქტი. დანების სამარკო ნიშნის სახელწოდება AB CUCHILLERIA DE ALBACETE წარმოშობილია ქალაქ ალბასეტეს მერიისა და კულტურული ასოციაცია APRECU-ს მოლაპარაკების თანახმად. მათ მიერ განხორციელდა რეგულირების სტანდარტების დადგენა და ოფიციალური სტატუსის მინიჭება. ზემოთხსენებული ესპანური სამარკო ნიშანი ეძლევა მხოლოდ იმ დანების მწარმოებელს, რომელიც ქალაქ ალბასეტეშია განთავსებული, ადგილზე აწარმოებს პროდუქციას და საკუთარი ნაწარმისათვის მასალასაც სწორედ აღნიშნული ქალაქიდან ღებულობს. დღესდღეობით ასეთი მწარმოებლები ძალიან ცოტაა. კომპანია ამაყობს იმით, რომ ზემოთხსენებულ სამარკო ნიშანს ატარებს. ეს გარემოება ძალიან კარგია და აშკარად დადებითი შედეგების მომტანია მწარმოებლისათვის, მაგრამ ეს იმას მაინც არ ნიშნავს რომ „მიგუელ ნიეტო“ ყველაზე კარგ დანებს აკეთებენ ესპანეთში.

დღესდღეობით ქარხანა ძირითადათ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ახალი დაზგა-დანადგარების საშუალებით ახორციელებს სანადირო, სათევზაო, სპორტული თუ თავდაცვითი დანების წარმოებას, მაგრამ ტრადიციული სტილი ძალიან ბევრი მოდელის დიზაინში თუ ზოგადად კონსტრუქციაში აისახება. კომპანიის ტექნიკურმა დეპარტამენტმა და კონსტრუქტორებმა საკუთარი ძალებით შექმნეს KATEX-ის სახელით ცნობილი მასალა. ის დანის დასამზადებლად გამოიყენება, მასში წყალი 24 საათის შემდგომ მხოლოდ 0,6%-ით აღწევს, მასალა სტაბილურობას 133° C-მდე ინარჩუნებს და 190 კგ/სმ³ წნევასაც უძლებს. „მიგუელ ნიეტო“ იყენებს ძირითადათ AN.58 Inox (უჟანგავი) მეტალს. აგრეთვე ალტერნატიური ვერსიებიც, შედარებით უკეთესი ვარიანტებიც აქვთ ხოლმე 420C-სა და 440C-ს სახით. თავდაპირველად წრთობის პროცესი იწყება 1060° C ტემპერატურაზე და გაციების შემდგომი 3 საათი 350° C-ზე. ამავდროულად დანადგარი ავტომატურად უმატებს იმ ნივთიერებებს, რომელსაც ოსტატი უთითებს კომპიუტერზე. ამის შედეგად „ნიეტოს“ დანებს აქვთ როკველის შკალით 58-დან 60-მდე HRC-ს თანაფარდობის სიმტკიცე.

ყველაზე საამაყო, ამჟამინდელ წარმოებაში, კომპანიისათვის დასაკეცი დანებია, რომელთაც თავად ესპანელები Navajas-ს უწოდებენ. ეს სიტყვა სლენგის სახით ქართულშიც გვხვდება და ჟღერს როგორც ესპანური სიტყვა – „ნავახა“. ამ ტიპის დანები მზადება როგორც სერიული წარმოებისათვის, ნაკლებად ძვირფასი ვერსიები, ზეთის ხილის ან კაკლის ტარებით და უჟანგავი ქრომირებული პირებით, ასევე არასერიული, ძვირფასი მოდელები, შეზღუდული რაოდენობით, ეგზოტიკური ხის მასალის ან გარეული ცხოველის რქის ტარებით და „330“ უჯანგი ფოლადის პირებით. აგრეთვე ხორციელდება კერძო შეკვეთების მიღება კონკრეტულ სტილზე. „ნიეტოს“ მიერ დამზადებული პროდუქცია დღესდღეობით ალბასეტეს დანების მუზეუმშია განთავსებული.

„მიგუელ ნიეტოს“ პროდუქცია დაახლოებით 7 წელიწადია რაც საქართველოს ბაზარზე იყიდება. არც თუ ისე ძვირი ფასისა და ფასთან შეთავსებული მაღალი ხარისხის გამო კომპანიის მიერ წარმოებულ დანები საქართველოს სხვადასხვა ქალაქის მაღაზიებში შეიძლება შეგვხვდეს. თბილისში ის შ.პ.ს. „ქარავანი+“-ის ქსელში და მისი პარტნიორი მაღაზიების დახლებზეა წარმოდგენილი. „ნიეტოს“ დანებიდან რამოდენიმეს გამოყოფა შეიძლება. ერთ-ერთია სუფთა სანადირო ტიპის დანა, რომელიც ჩეულებრივ, სერიულად იწარმოება, მაგრამ დახვეწილი ფორმის, მაღალი ხარისხისა და პრაქტიკული კონსტრუქციის გამო ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი მოდელია, არა მარტო საქართველოში არამედ ესპანეთშიც. აღნიშნული ინფორმაცია თავად „ნიეტოს“ გვარის გამგრძელებელსა და კომპანიის ერთ-ერთ მმართველს მოვახსენეთ საერთაშორისო გამოფენაზე და მანაც ანალოგიური აზრი გამოთქვა აღნიშნულ მოდელთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომაა რომ ის მზადდება სხვა და სხვა ტარით. ზომასა და დიზაინში კი მცირედი ცვლილებებია შეტანილი. ამ სერიაში, ანუ Cheyenne-ის კლასში ყველაზე ლამაზად ალბათ მაინც ირმის რქის ტარით გაწყობილი მოდელი გამოიყურება. მისი პირი AN-58-ის ფოლადისაგანაა დამზადებული, რომელიც საკმაოდ ფართეა, ხოლო სიგრძეში 10 სანტიმეტრს უტოლდება. ტარი იდეალურადაა პირთან მიმართებაში გაწონასწორებული და ზუსტად 11 სმ-ია. ანუ მთლიანად დანა საერთო ჯამში 21 სანტიმეტრი გამოდის, რაც გრძლად ნამდვილად არ ითვლება და ამავდროულად საკმარისია იმის ათვის რომ გავატყავოთ კიდეც თითქმის ნებისმიერი ზომის ცხოველი. ტარებისას მისი ზომა და მითუმეტეს წონაც არ შეგვიშლის ხელს, რადგანაც ის სულ რაღაც 160-165 გრამს იწონის. რაც ყველაზე მთავარია მისი ფასი მისაღებია და მაგალითის სახით ქართულ ბაზარზე დაახლოებით 150-დან 200 ლარამდე მერყეობს.

გამოფენაზე კომპანიას სერიულ მოდელებთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა არასერიული ვერსიებიც, რომლებიც შეზღუდული რაოდენობით აწარმოა ქარხანამ. ყველაზე მეტად მოგვხიბლა ერთ-ერთი ასეთი დანის ფორმამ და მისი რქის ტარის ფერმა. ამგვარი მოდელი ალბათ ქართულ ბაზარზეც გაყიდვადად მიიჩნიეს თანამემამულე დილერებმა და მისი სამშობლოში ხილვაც შესაძლებელი გახდა. დანა ცალკე ყუთში იყო განთავსებული. მოყვებოდა სერტიფიკატი, სადაც ინფორმაციის მოძიება შეიძლებოდა მისი ფოლადისა თუ სხვა და სხვა მახასიათებლების შესახებ. ის სულ 500 ერთეული იყო დამზადებული. ჩვენს მიერ საქართველოში ნანახი ვერსია კი 259-ე გახლდათ იმ ხუთასიდან. მოდელი 2008 წლის 26 ივნისს იყო დასრულებული. მისი პირი, როგორც „ნიეტოს“ სჩვევია AN-58-ის ფოლადისაგან იყო დამზადებული. მისი ტარისათვის საუცხოო ფერის რქა იყო გამოყენებული, რაც დანას ერთი ორად მატებდა მომხიბვლელობას. ხელში ჭერისას სასიამოვნო შეგრძნება გეუფლებოდა რის საფუძველსაც წონასთან ერთად ისიც იძლეოდა, რომ დანა იდეალურად იყო დამუშავებული. მისი გასაყიდი ფასი, რომელიც საქართველოში 400 ლარის ფარგლებში მერყეობდა, ესპანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში გასაყიდ ფასს უტოლდებოდა.





„მიგელ ნიეტოს“ შეზღუდული წარმოების დანა

MUELA

მუელას ისტორია იწყება ერთ-ერთ უძველეს, საკმაოდ დიდი ისტორიის მქონე დაბა-სოფელში La-Mancha-ში, რომელიც ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში დაარსდა. ამ სოფელში ცხოვრობდა ოჯახი, რომელმაც ქვეყნის შიდა, დაძაბული პოლიტიკის მიუხედავად გადალახა გაჭირვება და სერიოზულ კარიერულ წარმატებას მიაღწია. კომპანიის სულის ჩამდგმელი და დამაარსებელი, ელადიო მუელა ღეონი სწორედ ზემოთხსენებულ ფერმერთა ოჯახში, Santa Cruz de Mudela, La-Mancha-ში, 1935 წელს დაიბადა. იგი ჩამოყალიბდა პრინციპულ, ამბიციურ და მებრძოლი ხასიათის მქონე პიროვნებად, რომელსაც აღმოაჩნდა ნიჭი როგორც მჭედელის პროფესიაში, ასევე ბიზნესის მართვის მხრივადაც. მისი აშკარად წარმატებული საქმიანობის შედეგებს დღეს ოჯახის წევრებთან ერთად კომპანიაში დასაქმებული ასობით ადამიანი იმკის. ამჟამად მუელას სახელი აღნიშნულ სფეროში გაიგივებულია მაღალ ხარისხთან. ეს ხდება არა მარტო ესპანეთში, არამედ მთელ მსოფლიოში, სადაც მისი პროდუქცია იყიდება.

ელადიო სკოლის პერიოდში ნიჭიერ მონაფედ ნამდვილად არ ითვლებოდა. ეს განპირობებული იყო არა მისი სიზარმაცის ან ნაკლებად ბეჯითი ხასიათის გამო, არამედ მისი მისწრაფებისა და სიყვარულის გამო მჭედელის პროფესიისადმი. მუელას ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში შეეძლო ფოლადის კონტროლი და ღრმად იყო ჩახედული მის სტრუქტურულ აგებულებასა თუ დანის ჭედვის, წრთობისა ან ზოგადად დამზადების მეთოდიკაში. იგი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი განსხვავებული ფორმისა და ზომის დანა გაეკეთებინა. ის ბიძამისთან, ნიჭიერ მჭედელთან ერთად ატარებდა ცდებს, რომელთაც საფუძვლად ყოველთვის ედო ძველი დანების დამზადების ტრადიციული მეთოდები. მისმა თავდაუზოგავმა შრომამ შედეგი გამოიღო. მან ბიძასთან ერთად ბევრი სიახლე აღმოაჩინა და მიაგნო იმ ხერხს, თუ როგორ უნდა ეჭედათ და ეწრთოთ ამა თუ იმ ფოლადის მასალები, რათა მიეღოთ იდეალური, უნაკლო დანის პირი. მათ საკმაოდ ბევრ საიდუმლოებას ახადეს ფარდა, რომელიც სხვა ესპანელი ოსტატებისათვის ამოუცნობ თეორიად რჩებოდა. სწორედ ასეთი შრომისა და ნიჭის წყალობით მიაღწია კომპანია „მუელამ“ დღევანდელ წარმატებას.



ელადიო მუელა

Muela-ს ქარხანაში ძირითადათ ხდებოდა ტიპიური, ტრადიციული ესპანური ჯიბის დანების წარმოება. ესპანელები ასეთ მოდელებს ნავახას (Navajas) ან გუჩილოს (cuchilos) ეძახიან. საწარმოში დანები რაღაც პერიოდი მხოლოდ ხელით მზადდებოდა და ყურადღება მახვილდებოდა ძირითადად ხარისხზე. შემდგომ ელადიომ გადაწყვიტა ბიძამისისაგან დამოუკიდებლად წარმოების პრინციპები შეეცვალა. მან ბიძამისს, რომელიც ამავდროულად მისი უფროსიც იყო, იმავე დროში შესთავაზა 100 პესეტა, რა დროშიც ის 50 პესეტაზე მეტს ვერ გამოიმუშავებდა. სანაცვლოდ თავისი მეთოდიკით უნდა გაგრძელებულიყო დანების წარმოება. ეს ფაქტი ძალზედ საინტერესოა იმის გამო, რომ აქ ვლინდება მისი მებრძოლი ხასიათი და საკუთარი პიროვნების დამოუკიდებელ ოსტატად ჩამოყალიბების განცდა. სურვილი რაიმე შექმნას დამოუკიდებლად, თუმცა ამის გამო წარმოიშვა გაკრვეული უთანხმოება მისსა და ბიძამისს შორის და ელადიომ Calvo Castelo-სთან გადაწყვიტა სამსახურის გაგრძელება. თავდაპირველად ოსტატს გაუჭირდა საწარმოში თავისზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება. მაგრამ ის მალე გაუტოლდა უმაღლესი კლასის მეზარნიშეებს და შესანიშნავად აფორმებდა და ხატავდა დანის პირებს.

C.S.-ის ქარხანა 5 კმ-ის დაშორებითაა განთავსებული პუერტოლანოდან. სანტა კრუზიდან კი საწარმომდე 70 კილომეტრია. ეს გახლავთ სწორედ ის ადგილი, სადაც ელადიო მოგვიანებით გადაბარგდა. მან იქაც საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვა, რაც მას არა მარტო სამჭედლო კარიერაში, არამედ ყოფით ცხოვრებაშიც დაეხმარა. ქარხანაში მუშაობისას მუელამ თავისი პირველი საკეცი დანები შექმნა. თავდაპირველად დამზადებული მოდელების რაოდენობა 38 ერთეულს შეადგენდა. თანდათანობით კი მან უფრო გააფართოვა წარმოების სპექტრი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ელადიო მუელა ჯარში მსახურობდა და შესაბამისად თავი დანებებული ჰქონდა საყვარელ საქმეზე. არმიიდან დაბრუნების შემდგომ ის კვლავ უბრუნდება საყვარელ პროფესიას და ამჯერად უკვე ხსნის საკუთარ სახელოსნო-მაღაზიას. თავდაპირველად მოკრძალებული მასშტაბის ოთახი გახლდათ მუელას განკარგულებაში. საქმეში მან იმ დროისათვის საკმაოდ მოზრდილი თანხა 12.000 პესეტა ჩადო. სწორედ აქედან იწყება კომპანიის აღმასვლა. დღესდღეობით „მუელას“ ქარხანაში ასეულობით მუშახელია დასაქმებული. ისინი აღჭურვილები არიან გერმანული „ზიპმანის“ ფირმის თანამედროვე მანქანა დანადგარებით და მათ მოხმარებასთან ერთად ქარხანაში მომუშავე ოსტატები საკმაოდ ბევრ მოდელს უშუალოდ ადამიანის ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, მხოლოდ ხელით ამზადებენ.

თავდაპირველად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელადიო მხოლოდ ხელნაკეთი, ძვირფასი დანების დამზადებით იყო დაკავებული. მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიების და მატერიალური პირობების განვითარებასთან ერთად მოთხოვნილებები „მუელას“ პროდუქტზე საგრძნობლად გაიზარდა. შედეგად გაფართოვდა კომპანიის კუთვნილი ქარხანა და დაიწყო დაზგა დანადგარების დახმარებით სერიული პროდუქციის წარმოება. იმ პერიოდისათვის შეიქმნა „ლუპუსი“-ს მოდელი, რომელსაც იბერიული მგლის გამოსახულება აქვს ტარის თავში გაკეთებული. მისი პირი დამასკოს მეტალისგანაა აგებული. დანა შეზღუდული რაოდენობით მზადდებოდა და ერთ-ერთი ეგზემპლარი კომპანიის კუთვნილებაში ინახება.

ამჟამად კომპანია აწარმოებს საუბილეო დანებსაც, რომლებიც ყოველ წელიწადს შეზღდული რაოდენობით, 50-იანი ტირაჟით გამოდის და საკმაოდ დიდი წარმატებითაც იყიდება. რამოდენიმე ასეთი ვერსია მათ ჩვენთვის, ქართველებისათვისაც გააკეთეს. აღსანიშნავია რომ უკვე დიდი ხანია ქართული კომპანია „ქარავანი+“ ესპანელებთან მჭიდროდ თანამშრომლობს და მათი პროდუქციის გაყიდვაზე ექსკლუზივური უფლებაც აქვს მოპოვებული. მათ მიერ ქართველებისათვის დამზადებულ დანას IBERICA-F10 ეწოდება. კომპანია „მუელას“ ეს ხელოვნების ნიმუში იდეალურადაა შესრულებული, აგებული და მოპირკეთებული. თუნდაც ვიზუალურ განსხვავებას უმალვე დავინახავთ თავად კომპანიის მიერვე დამზადებულ სხვა დანებთან აღნიშნული მოდელის შედარებისას. პირის ერთ მხარეზე გაკეთებულია მოზარნიშებული ერთი ირმის და ორი შვლის გამოსახულებები, რომლებიც მთლიანად კლასიკური ტიპის ორნამენტებშია ჩაფლული. მეორე მხარე სადად გამოიყურება და მასზე მხოლოდ მუელას ხელმოწერაა განთავსებული.

ტარი ირმის რქისაგანაა შესრულებული და ბოლოში მეტალის, ნადირის გამოსახულებიანი მრგვალი ფირფიტა აქვს ჩასმული. დანის ფორმა იდეალურადაა აგებული. ტარის უკანა, ამობურცული მხარე ორთოპედიული ტიპის ტარს მოგვაგონებს და ხელში ჭერისას მჭიდროდ და სასიამოვნოდ ჯდება მტევანში. ვადა მოოქროვილია და სიგანეში სცდება დანის ტარისა და პირის საზღვრებს. ექსკლუზივური მოდელი კარგად დამუშავებულ ხის ყუთში დევს, რომელსაც შიგნიდან ლამაზად გაფორმებული ბარხატი აქვს გადაკრული. მისი გახნისას დანა სამუზეუმო ექსპონანტს მოგვაგონებს. ყუთშივეა განთავსებული მისი ქარქაში, რომელიც ტყავისაგანაა შეკერილი. საერთო ჯამში დანა ცივი იარაღების იმ რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც არა მხოლოდ იარაღის კეტეგორიაში





მუელას ხელნაკეთი დანები



გამოფენა „IWA 2015“.
მარცხნიდან: ავთანდილ ფარადაშვილი,
ხოსე მარია მუელა და ნუგზარ ფარადაშვილი

გადის, არამედ ხელოვნების ნიმუშებად ითვლება. ამ დანის ნახვისას აღფრთოვანება ვერ დავმალეთ და ძალიან გაგვიხარდა ქართველებისადმი ასეთი პატივისცემა ესპანელი პარტნიორების მხრიდან.

დღემდე იწარმოება „მუელას“ საკეცი დანები, რომელიც ოდესღაც ელადიომ გერმანელ ინჟინერს მიყიდა. რა თქმა უნდა ასეთი კლასის მოდელები უამრავი განსხვავებული ფორმისა და ზომის მზადდება. სტილი და დანის პირვანდელი სახე დღემდე შენარჩუნებულია. იწარმოება როგორც სერიული, ასევე შედარებით ძვირფასი, არასერიული ვერსიები შეზღუდული რაოდენობით. ზოგიერთი მათგანი ბრენდის სპეციალურ მწვანე ყუთებშია მოთავსებული. დანების პირზე „მუელას“ ლოგოსთან ერთად განთავსებულია ლათინური ასოებით MOLIBDENO VANADIO-ს წარწერა. მასში იგულისხმება დანის პირში შერეული ვანადიუმისა და მოლიბდენის ქიმიური ნაერთი, რომელიც მატებს მას დადებით თვისებებს. თავად ვანადიუმი, რომლის ქიმიური ელემენტის სახელწოდებაა V-23 (ატომური ნომერი) მოვერცხლისფრო, რუხი ფერის პლასტიკურ ლითონს წარმოადგენს. მასში შესამჩნევად მაღალია ტიტანის არსებობა. აგრეთვე გვხვდება რკინა და ქრომი. ამ და სხვა მიზეზების გამო ნივთიერების დანის პირებში შერევისას ფოლადს აქვს ელასტიურობისა თუ პლასტიკურობის უნარი და ამავდორულად სიმყიფისა და გამძლეობის თვისებები. რაც შეეხება მოლიბდენს, რომლის ქიმიური ელემენტის სახელწოდებაა Mo-42 (ატომური ნომერი), ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში გამოიყენებოდა და დღემდე ითვლება ლეგირებისას გამოყენებად განუყრელ ელემენტად. ის მატებს სიმყარეს, ზრდის მდგრადობას და ხდის ფოლადს უფრო მეტად ჟანგგამძლესა და სიცხეგამტანს. ზემოთხსენებული თვისებებიდან გამომდინარე „მუელას“ დანის პირები, რომლებზეც შეგვხვდება წარწერა MOLIBDENO VANADIO, დაუფიქრებლად შეგვიძლია ვენდოთ მის ხარისხს და შევიძინოთ, თუ რა თქმა უნდა მისმა დიზაინმა დაგვაინტერესა ან მოგვხიბლა. საკმაოდ ხშირია არასტანდარტული, ძალზედ უჩვეულო ზომის „ნავახას“ ტიპის დანების დამზადება ზემოთხსენებული ფოლადის გამოყენებით. ზოგჯერ ასეთი მოდელები გაშლილ მდგომარეობაში 40 სანტიმტრს აღემატებიან და თითქმის ნახევარ მეტრამდე აღწევენ ხოლმე. ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა. „მუელას“ ქარხანაში დამზადდა აღნიშნული ტიპის დანა, რომელიც დღემდე მისსავე მუზეუმში ინახება. ეს უნიკალური მოდელი სიგრძეში 4 მეტრს აჭარბებს და დაახლოებით ორმოცდაათ კილოგრამს იწონის. ის დამზადებულ იქნა ჯიბის დანების ნარჩენი მასალისაგან და შესაბამისად „Navajas“-ს კლასიკური დიზაინის მიხედვით აიგო. ყველაზე საინტერესო მასზე დატანებული მოხატულობაა ზარნიშითა და სხვადასხვა ტიპის ორნამენტებით გაფორმებული. ზოგადად „ნავახას“ ტიპის დანების საკმაოდ ბევრი ვერსია იქნა საქართველოს ბაზარზე ჩამოტანილი, რომლებიც დიდი წარმატებით გაიყიდა.

მონადირეთა გულები დიდი ხანია დაიპყრო კომბინირებულმა ვერსიამ. ერთ ქარქაშში ორი, განსხვავებული სახეობის სანადირო ნივთი დევს. ერთი დანა და მეორე პატარა ნაჯახი. მისი ტარება და სხეულზე დაკიდება ნადირობისას ცოტა მოუხერხებელია. მაგრამ შეიძლება ისეთი ადგილის გამონახვაც, რომ დანამ მოძრაობისას არ შეგვაწუხოს. ყველაზე სახარბიელო კი ალბათ მისი ზურგჩანთაში განთავსება იქნებოდა. ნაჯახის დამზადებისას „მუელას“ მჭედლები აშკარად დიდ ხანს ფიქრობდნენ მისი ზომის შესახებ. მოდელის აგებულება და მისი მოყვანილობა გათვალისწინებულია პრაქტიკული ხმარებისათვის. ნაჯახის პირს ერთ მხარეს მოხატული აქვს ორი ძაღლისა და ერთი ირმის გამოსახულება, რომლებიც მინდორში ნახევრად ჩანან. ნახატის თავზე განთავსებულია კომპანიის ლოგო, სახელწოდება და წარწერა MOLIBDENO VANADIO. რაც შეეხება დანის პირს, ის ტარზე უფრო პატარაა და მისი გამოყენება გატყავებისას ძალზედ მოხერხებულია. დანის სიმძიმის წერტილის მართებულად განთავსება და შესაბამისად მისი ბალანსი, ისევე როგორც ნაჯახისა, იძლევა ნანადირევზე იდეალურად მუშაობის საშუალებას. კომპანია „მუელას“ მუზეუმის დათვალიერებისას ბევრ საინტერესო და ლამაზ დანას შეიძლება წავაწყდეთ. მათგან რამოდენიმეს გამოყოფა შეიძლება, რომლებიც არა მხოლოდ ხელნაკეთი ხელოვნების ნიმუშებია, სამუზეუმო ექსპონანტის სახის ძვირფასი ზარნიშითა და მოხატულობებით, არამედ ძველი, ტრადიციული მეთოდების მიხედვით აგებული მოდელები, რომელთა დამზადებისასაც გამოყენებულია ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი მასალა რაც კი მოიპოვებოდა იმ დროისათვის ქვეყანაში. ზოგიერთი მათგანი ელადიო მუელას ხელითაა შესრულებული. მუზეუმის უდავოდ საამაყო ვერსია სპილოს ძვლისაგან გამოთლილი ტარიანი მოდელია. ტარს შუაში მცენარეებისა და ყვავილების ფორმის ორნამენტები ამშვენებს, ბოლოში კი მთლიან მოხრილ ზოლს მიჰყვება, ოდნავ ვიწროვდება და მის მოჩუქრუთმებულ ბოლოს ჩიტის ფორმა აქვს მიცემული. ვადაზე ვერცხლის ორნამენტებია შემოვლებული, რომელთაც ფოთლების ფორმა აქვს.

ჯავარის უჟანგი ფოლადით დამზადებული დანები







ჯავარის ჟანგგადი ფოლადით დამზადებული დანები





www.caravani.ge

აღნიშნული მოდელი დანის კვალობაზე საკმაოდ გრძლად გამოიყურება და ზუსტად ერთი მეტრის ტოლია. პირის დასაწყისში განთავსებულია წარწერა Muela. დანის პირი ორივე მხრიდან მოზარნიშებულია. ერთ მხარეს კი საუცხოო ფრინველის, კაკადუს ფერადი გამოსახულება ამშვენებს, რომელიც ზარნიშის მსგავსად ხელითაა შესრულებული. ზემოთხსნებულ მოდელთან ერთად მუელას მუზეუმს კიდევ ერთი, ანალოგიური აგებულებისა და ტიპის დანა ამშვენებს. ზომებით ოდნავ პატარა მოდელის ტარი სადად გამოიყურება, მოჩუქურთმებული არაა და სპილოს ძვლისაგან არის დამზადებული. დანის პირი მოზარნიშებულია და შუაში ჩახატულია არწივის გამოსახულება. ყველა „მუელას“ მუზეუმში განთავსებული დანის აღწერასა და დახასიათებას რომ გავყვეთ, ალბათ ძალიან შორს წაგვიყვანს, იმდენად დიდია წარმოდგენილ მოდელთა რიცხვი და საუცხოო დიზაინის მქონე ვერსიები.

ზოგიერთი დანა ოდესღაც რომელიმე ქვეყნის მეფისათვის ან დიდებულისათვის არის დამზაებული. ან შესაძლოა ამჟამინდელი პოპულარული ადამიანისა ან სამეფო კარისათვის იყოს განკუთვნილი. ერთის სიტყვით იმდენად მდიდარია მუზეუმი, რომ მისი დათვალიერებისას პირველ რიგში კოლექციონერად ყოფნის სურვილი გვიჩნდება და სხვა დანებს, თუნდაც მუელას სერიულ წარმოებაში არსებულს, აღარც ვუყურებთ. ამჟამად კომპანიის მიერ უამრავი განსხვავებული მოდელის დამზადება ხორციელდება, რადგან მყიდველები მუელას დანებზე არჩევანს ძირითადად ხარისხის გამო აკეთებენ.

ბოლო წლებში კომპანია მუელამ დაიწყო უჟანგავი დამასკოს დანების



ჯავარის ჟანგვადი და უჟანგი ფოლადით დამზადებული დანები

დამზადება. რამოდენიმე მოდელი, რომელიც ადრე სტანდარტული, ჟანგვადი ფოლადის პირებით კეთდებოდა, ამჟამად დამასკოსათვის უჩვეულო, უჟანგავი ფოლადით კეთდება. ამჟამად ამგვარი მეთოდით რამოდენიმე განსხვავებული დიზაინის მქონე მოდელი იწარმოება. მათთვის გამოყენებულია სწრაფად გამკვრივებადი ფოლადის ორი განსხვავებული სახეობის ფხვნილები, RWL34 da PMC27. დანის მთავარი უპირატესობა, უჟანგავი პირის ქონა გამომდინარეობს „დამასკური“ ფოლადის ჭედვისას მასში სტანდარტულზე ბევრად მეტი ქრომის ან სხვა მსგავსი რბილი მასალების შერევის შედეგად. აღნიშნული ნივთიერება ზოგჯერ 35-40%-საც კი აჭარბებს ხოლმე. სწორედ ამიტომაა რომ ასეთი მოდელების დათვლაირებისას მასზე შავ ფერს აჭარბებს თეთრი (რბილი მეტალის) ფერი. გამომდინარე აქედან დანის პირები ჩვეულებრივი ჟანგვადი დამასკოსაგან განსხვავებით ნაკლებად გამძლეა, სიმტკიცე უფრო ნაკლები აქვთ და სირბილიდან გამომდინარე უფრო იოლად ჩლუნგდებიან. შედუღება 1150°C-ზე ხორციელდება. ამასთანავე კომპანიის თანამშრომლები დანის პირებს 1000 ატმოსფერული წნევის ქვეშ ამზადებენ, რათა მიიღონ მაქსიმალურად მყარი, ცეცხლგამძლე მასალა. ამ პროცედურის დახმარებით მცირდება დავარდნისას ან სხვა მსგავსი გამოუვალი სიტუაციების დროს გატეხვის ალბათობა, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სტანდარტული წესით დამზადებულ (ჟანგვადი) დამასკოს ისინი სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით ვერასოდეს აჯობებს. მათი მთავარი უპირატესობა მხოლოდ ისაა რომ არ იჟანგება. შესაბამისად მყიდველიც ალბათ მხოლოდ ამ ფაქტორის გამო აკეთებს მათზე არჩევანს. ალბათ ამასვე ემატება მათი ფასი, რომელიც ბევრად უფრო დაბალია ჩვეულებრივ „დამასკოს“ დანებთან შედარებით. თავად კომპანია „მუელა“-ც უჟანგავი დამასკოს ფოლადით ნაკლებად ძვირფას მოდელებს ამზადებს, როგორებიცაა მაგალითად BX-8A.DAM, GL-10DAM.A, COL-7DAM, CURRO-A.DAM, MB-9A-DAM da BX-8DAM. (იხ. წიგნში განთავსებულ სურათზე) თითქმის ყველა მათგანი საქართველოში უკვე წარმატებით გაიყიდა მუელას თანამემამულე პარტნიორების მეშვეობით. აგრეთვე ჩვენთან ჩამოტანილ იქნა ტრადიციული წესით დამზადებული „დამასკოს“ შედარებით ძვირფასი დანები MAGNUM-23DAM da LUPUS-25 DAM.



მუელას მიერ სიმბოლურად წარმოებული არასტანდარტულად დიდი დანა

ამჟამად მსოფლიოს მაშტაბით უამრავი კომპანია ახორციელებს ცივი იარაღის წარმოებას. იქნება ეს კომერციული თვალსაზრისით დაგეგმილი საქმე თუ ტრადიციების გაგრძელების მიზნით განხორციელებული ბიზნესი. მიუხედავად ყველაფრისა ძალიან ცოტა მათგანი ახდენს ხარისხიანი პროდუქციის დამზადებას. არსებობს ფირმები, რომლებიც აწარმოებენ სერიულ პოდუქციასთან ერთად, ხელნაკეთ ვერსიებს შეზღუდული რაოდენობით. ზოგი მხოლოდ ძვირფას მოდელებზე მუშაობს და ხელით ახდენს მათ დამზადებას. მაგრამ მწარმოებლებისა თუ ბრენდების უმეტესი ნაწილის ბიზნესი საშუალო ან დაბალი ხარისხის პროდუქციის გაყიდვებზეა დამყარებული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ცივი იარაღის მწარმოებელი კომპანიები პროდუქციის ძირითად ნაწილს ჩინეთსა და ტაივანში ამზადებენ. აგრეთვე ხორცილდება დანების გარკვეული ნაწილის მექსიკაში, ბრაზილიაში ან სხვა, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე არსებულ ქვეყანაში პროდუცირება. მწარმოებლის სახით უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამერიკული „ბუკი“ – BUCK ერთ-ერთი მათგანია, რომელიც 1902 წელს ჰოიტ ბუკმა დაარსა. კომპანია ზოგადად თანამედროვე დიზაინის მქონე ტაქტიკური ტიპის დანების დამზადებითაა დაკავებული. სწორედ ისე, როგორც სხვა იქაური ბრენდები. მისი პროდუქციის ძირითადი ნაწილი სწორედ რომ ზემოთხსენებულ ქვეყნებში იწარმოება. მათ რიცხვს აგრეთვე განეკუთვნება კომპანიები Condor Tool&Knife, GATCO, Kroll Intr., აგრეთვე მსხვილი მწარმოებლები Spyderco, Schrade-Tough, Kershaw, ZT, Gerber და სხვები.

ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებლები, მაგლითად Smith&Wesson დანებს სხვადასხვა კომპანიებს უკვეთავენ და საკუთარი სახელით ახორციელებენ რეალიზაციას. შესაბამისად მათი ბრენდის სახელით დამზადებული დანების მცირე ნაწილი ამერიკაში კეთდება, ძირითადი კი ჩინეთშია წარმოებული. ამერიკის და კანადის ბაზარზე საკმაოდ კარგად გაყიდვადი, მაგრამ ნაკლებად პოპულარულია KATZ-ისა და Kutmaster-ის ცივი იარაღები. „კათცი“ შედარებით უფრო გაყიდვად და გავრცელებულ დანებს ესპანეთშიც ამზადებინებს ადგილობრივ მეწარმეებს. შესაბამისად მყიდველს მაღალი ხარისხიდან და არც თუ ისე ძვირი ფასიდან გამომდინარე მოწონს მათი პროდუქცია. რაც შეეხება კომპანია „Kutmuster“-ს, ის საკუთარი სახელით დამზადებულ ბრენდთან ერთად სხვადასხვა სახელწოდებით აწარმოებს ცივ იარაღს. ესენია: Utica Cutlery CO, Caterpillar, Team Realtree და Mathews . ამთგან ყველაზე პოპულარული და გაყიდვადი Caterpillar-ია.

ქალაქი ზოლინგენი გერმანიაში ისეთივე ცენტრია ცივი იარაღის წარმოებისა, როგორიც იმავე ქვეყანაში არსებული, ერთ დროს ევროპის, ახლა კი გერმანიის ცეცხლსასროლი იარაღების ცენტრად წოდებული ქალაქი ზული. ამჟამად სახელმწიფოს ყველაზე სერიოზული ბრენდები, სწორედ რომ ზოლინგენში იყრის თავს. ზოგიერთი მათგანი საკუთარ პროდუქციას ადგილზე ამზადებს. ესენია: Böker, Eickhorn, Herberzt, Hubertus-Solingen და PUMA. ზოგიერთი მათგანი სხვა გერმანელ მწარმოებლებთან ერთად გარკვეულ ნაწილსა და მთლიან პროდუქციას ჩინელ მწარმოებლებს ამზადებინებს. ცეცხლსასროლი იარაღების მწარმოებელი გერმანული კომპანიები, Mauser, Heckler&Koch, Walther ან Sauer ცივ იარაღებსაც აწარმოებენ. თუმცაღა ისინი ძირითადათ სხვა ქარხნებს უკვეთავენ დანებს და საკუთარი სახელით ახდენენ მათ შემდგომ რეალიზაციას.

ყველაზე მეტად ზოლინგენური ბრენდებიდან ისეთმა კომპანიამ დაგვაინტერესა, რომელთაც ხარისხიც მაღალი აქვს, პროდუქციას ჩინეთში არ ამზადებს და ფასებიც ხელმისაწვდომია ყველა ფენისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია Böker ერთ-ერთი ძველი ცივი იარაღის მწარმოებელია ზემოთხსენებული ფირმებიდან, დღესდღეობით ის პროდუქციის დიდ ნაწილს ჩინეთში ამზადებს. ქარხანამ 1829 წლიდან ხმლების წარმოება დაიწყო. ქალაქ ზოლინგენში გადასლვა და იქ ახალი საწარმოს დაარსება 1869 წელს განხორციელდა Heinr Böker&Co-ის სახით. დღესდღეობით ამ ბრენდს უამრავ ქვეყანაში ჰყავს პარტნიორები, რომლებიც ერთ ჯგუფში არიან გაწევრანებულები და გარკვეულწილად ეხმარებიან ერთმანეთს პროდუქციის გაყიდვაში. თავად Böker ახორციელებს Blackhawk-ის, Fox-ის, Fred Perrin-ის, Mahakali-ს, Meyerco-ს, Muela-ს, Ontariao-ს, SOG-ის, Spyderco-ს, Uzi-ს, Heckler&Koch-ის, Laplace-ის, Laguiole-ს, Mcusta-ს, Smith&Wesson-ის, Kalashnikov-ისა და CRKT-ს დანების რეალიზაციას. ზოგიერთ მათგანს თავადაც უმზადებს პროდუქციას.

რაც შეეხება კომპანია C. Jul. Herberzt GMBH-ს, მას ყველაზე ფართე არჩევანი აქვს და ახორციელებს უამრავი ბრენდის გაყიდვებს. დანების გარკვეული რაოდენობა თავად „ჰერბერცის“ სახელით ჩინეთში იწარმოება. მცირე ნაწილი კი გერმანიაში მზადდება.

რიგითი ზოლინგენური ფირმა PUMA GMBH-ის ისტორია 1769 წელს დაიწყო. ამჟამად მისი პროდუქცია სამ კატეგორიად იყოფა. PUMA IP-ის სერია ესპანეთში მზადდება. ამ კლასის დანები ინტერნაციონალური მწარმოებლების მიერ კეთდება, რომელთაგანაც მთავარი როლი ჩინეთში არსებულ ქარხანას აქვს შეთვისებული. თავად PUMA-ს კატეგორიის დანები კი აღნიშნული ბრენდის საუკეთესო ნაწარმია და მხოლოდ გერმანიაში მზადდება.

კომპანია Eickhorn Solingen, რომელიც 1865 წელს კარლ აიკჰორნმა დაარსა, ტრადიციებს არ არღვევს და მაქსიმალურად ცდილობს სამშობლოს ინტერესებისა და მშობლიური ნაწარმის პოპულარიზაციის საკითხის დაცვას. მისი პროდუქციის 95 % მხოლოდ გერმანიაში მზადდება. დანების ვიზუალურად დათვალიერებისას პროფესიონალი უმალვე მიხვდება რომ მაღალი ხარისხის ნაკეთობებთან აქვს საქმე. ბაჭიის გამო-



საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი საუცხოო დიზაინის დანა

www.caravani.ge

სახულებიანი ლოგოთი გაფორმებული დანების საუკეთესო მოდელები ძირითადათ სამხედრო დანიშნულებისამებრ ან მთასვლელთათვის დამზადებული ვერსიებია და კომპანიაც სწორედ აღნიშნული ტიპის მოდელებით იწონებს თავს საერთაშორისო ბაზარზე.

ყველაზე მეტად ზოლინგენური ბრენდებიდან Hubertus-Solingen-მა მოგვხიბლა. მის კოლექციაში მკაფიოდ აქვს ხაზი გასმული მათთვის მშობლიურ, გერმანულ სანადირო ტრადიციებსა და იქაურ ოსტატთა ინდივიდუალიზმს. კოლექციის გადახედვისას ყველაზე მეტად ვაწყდებით კლასიკურ მოდელებს, რომლებიც გათვლილია ადგილობრივი, ტრადიციების მოყვარული მონადირეებისათვის, იქნება ეს დანა თუ სხვა და სხვა მსგავსი დანიშნულების მქონე ნივთი.

1932 წელს ზოლინგენში, გრეფრატის ტრადიციულ უბანში კუნო რიტერმა დაარსა პატარა სამჭედლო – ქარხანა. დღესდღეობით ის იმ მცირერიცხოვან მეწარმეთა ჯგუფს განეკუთვნება, რომლებიც სერიულ წარმოებასთან ერთად პროდუქციას ხელით ამზადებს. თავდაპირველად დანების შექმნაში აღნიშნულ კომპანიას დახმარებას უწევდა ფრიდრიხ პლუკერის ქარხანა. 1934 წლის დასაწყისისათვის კი რიტერმა ახალ წარმოებას ჩაუყარა საფუძველი. იქ ხდებოდა როგორც სამზარეულოსათვის განკუთვნილი დანების დამზადება, ასევე გარკვეული მოდელების პროდუცირება ექსტრემალური სიტუაციებისათვის ან კონკრეტული სპეციალობის (ოსტატებისათვის, მთასვლელებისათვის, მყვინთავებისათვის, ყასაბებისათვის...) მყიდველთათვის. ამ პერიოდში კუნო რიტერი საკუთარი სახელისა და გვარის ინიციალებს (KR) ოვალურ სტილში მოხაზულ ასოებს იყენებდა ბრენდის სახელწოდებად. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მწარმოებელმა ვილტერბახის დანების ფაბრიკასთან დაამყარა ურთიერთობა. იმ დროისათვის რიტერი კონცენტრაციას აკეთებდა მაღალი სიმყარისა და გამძლეობის მქონე დანის პირებზე. ეს მაშინ როცა ვილტერბახში ძირითადათ ჯიბის დანების დამზადება ხორციელდებოდა. მაგრამ ორივე მათგანმა იპოვნა საუკეთესო გამოსავალი და პროდუქციის დიდი ნაწილი ექსპორტზე გაყიდა ჩრდილოეთ ამერიკაში. გასული საუკუნის 50-იან წლებში, ანუ მას შემდეგ, რაც ფირმამ შეისყიდა J. Albert Schmidt-ის კომპანია, დაიწყო ზრუნვა ახალი სახელწოდების შერჩევაზე. ერთ-ერთ რეალურ ალტერნატივად განიხილებოდა სიტყვა „ჰუბერტუსი“. ის გერმანიაში ითვლება მონადირეთა მფარველად, რომელიც იდეალურად შეესაბამებოდა დანების სახელწოდებას. მისი შედარება ქართულ „ორიპინტრესთანაა“ შესაძლებელი, რომელსაც დაახლოებით ანალოგიური დატვრითვა აქვს, რაც გერმანულ „ჰუბერტუსს“. ასე დაერქვა კომპანიას Hubertus Solingen. ამის შემდგომ საერთაშორისო გამოფენების წყალობით ხდებოდა პროდუქციის დიდი რაოდენობით იაპონიაში, სამხრეთ აფრიკასა და ცენტრალურ ამერიკაში ექსპორტი. დღესდღეობით ქარხანაში ხორციელდება როგორც სტანდარტული, თანამედროვე ტიპის სერიული დანების დამზადება იოლად ლესვადი და ამავდროულად მყარი და გამძლე პირებით, აგრეთვე დამასკოს ფოლადის გამოყენებით სხვადასხვა მაღალი თუ უმაღლესი კლასის მოდელების წარმოება.

ყველა ქვეყნის წარმომადგენელ მწარმოებელს სურს მსოფლიო ბაზარზე თავისი სიტყვა თქვას და საზღვრებს ფარგლებს გარეთ გაიტანოს მშობლიური ნაწარმი. შესაბამისად ევროპისა და ამერიკის გარდა სხვა კონტინენტზე არსებული კომპანიები ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე ასპარეზზე. შესაბამისად ხშირად ვაწყდებით მათ ამა თუ იმ საერთაშორისო გამოფენებზე. გამონაკლისი ამ შემთხვევაში რა თქმა უნდა არც სკანდინავიური ქვეყნებია, რომელთაც ამ თვალსაზრისით საკმაოდ დიდი ისტორია აქვთ. ფინური კომპანია Marttini თვალსაჩინო მაგალითია სკანდინავიელების წარმატებისა. 1928 წელს წარმოშობით კიერინკელმა იანე მარტინიმ როვანიემის მახლობლად დაარსა დანების დამამზადებელი ქარხანა. წარმოებამ მალე მოიპოვა პოპულარობა, გაითქვა სახელი და დახვეწილი დიზაინისა თუ მაღალ ხარისხიანი პროდუქციის გამო წარმატებულად დაიწყო კარიერა. მეორე მსოფლიო ომის დროს განადგურდა ფირმის კუთვნილებაში არსებული უამრავი ქონება. მშვიდობის დამყარების შემდგომ კვლავ განახლდა წარმოება და ამჟამად ის აშკარა პროგრესს განიცდის. ფინური ბრენდის დანები ნამდვილად არ უნდა შევადაროთ უმაღლესი კლასის ამა თუ იმ ქვეყნის ხელნაკეთ ვერსიებს. თუმცა თავის კატეგორიაში, ფინური ბრენდი ანგარიშ გასაწევ კონკურენტად ითვლება, რომელიც გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით ჯობნის კიდეც უამრავ ანალოგიური კლასის კომპანიებს. დღესდღეობით „მარტინი“ ამზადებს დანებს როგორც ჟანგვადი, ისე უჟანგავი ფოლადის მასალის გამოყენებით. ჟანგვად პირებში ქრომის შემცველობა 13%-ს აღემატება და ფოლადის სიმყარე როკველის შკალით 53-54 HRC-ს ტოლია. ჟანგვად დანებს უფრო მეტი დადებითი თვისებები ახასიათებთ, თუმცაღა მეტ მოვლას მოითხოვს მფლობელის მხრიდან. აგრეთვე მზადდება კომბინირებული ვერსიები. CARBINOX T508-დ წოდებული „მარტინის“ პირები ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ჟანგვადი და უანგავი მასალების ურთიერთშეთანხმებისა. მასში შედის 0,5 % ნახშირბადი და 8% ქრომი, რასაც საბოლოოდ სასურველ შედეგამდე მივყავართ. როკველის შკალით დანების სიმყარე 56-57 HRC-ს უტოლდება და ამავდროულად შეიმჩნევა პროგრესი ლესვადობაში, ბუნებრივობასა და მოქნილობაში. კომპანია დანის ტარების დასამზადებლად ძირითადად არყის ხეს იყენებს, რომლის განსაკუთრებული ჯიში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ფინეთში ხარობს. ყველაზე მეტად გაყიდვადი და პოპულარულია ტრადიციული კლასის დანები ფიქსირებული პირებითა და სკანდინავიური სტილის ტყავის კაბურით. „მარტინის“ დანები დიდი ხანია საქართველოს ბაზარზეც გამოჩნდა კომპანია „ქარავანი+“-ისა და სხვა რამოდენიმე ფირმის მეშვეობით და მათი ყიდვა თბილისისა თუ სხვა ქალაქების სხვადასხვა მაღაზიებშია შესაძლებელი.

ფინელებს არც ნორვეგიელები ჩამოუვარდებიან დანების დამზადებაში. ჰოლმედალში განთავსებული კომპანია Helle, რომელმაც 1932 წელს დაიწყო საქმიანობა პატარა ფერმაში, დღესდღეობით უკვე ნორვეგიელების ტრადიციების გამგრძელებლად მოისაზრება. ამჟამად დაზგა-დანადგარების გამოყენებასთან ერთად დანის აგებისას უშუალოდ ოსტატების მიერ ხორციელდება ამა თუ იმ ოპერაციის შესრულება. ამით მეტად დაცულია თითოეული დანა წუნისაგან და შესაბამისად მაღალი ხარისხის მაჩვენებელიც უფრო მეტადაა შენარჩუნებული. ნორვეგიელებს სხვა მწარმოებლებიც ჰყავთ სამშობლოში, რომლებიც ტრადიციული ტიპის კლასიკურ თუ სანადირო დანებს ამზადებს. ერთ-ერთი მათგანია ლიენვეგენში არსებული კომპანია Brusletto. სკანდინავიური ქვეყნების ხსენებისას ნებისმიერ ცივი იარაღის მოყვარულს აუცილებლად გაახსენდება შვედური კომპანია MORA და მისი მარტივი, დაბალ ფასიანი და ამავდროულად ძალზედ მოხერხებული, საკმაოდ მაღალი ხარისხის მქონე დანები.

ინდოეთი უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაა. ამჟამინდელ ცივი იარაღის წარმოებას რომ თავი დავანებოთ, ისიც კმარა მათთვის სანაქებო სიტყვების წარმოსათქმელად, მათში „ვუცის“ ფოლადი რომ მოიპოვება. მისი ანალოგიც თუ მჯობნი ვერსია საუკუნეების მანძილზე ვერ შექმნა ვერც ერთმა ქვეყანამ. ამჟამად ცოტა რთულია იმის თქმა, რომ ინდოელები ტრადიციებს არ კარგავენ, არ ღალატობენ და კვლავაც აგრძელებენ ზუსტად იმ ტექნოლოგიებით ფოლადის დამზადებას, როგორც ამას ისინი ადრეულ პერიოდში აკეთებდნენ. თუმცა საერთაშორისო გამოფენებზე გამოდიან კომპანიები, რომლებსაც წარმოდგენილი აქვთ „ბულატის“ – „დამასკოს“ ტიპის ხმლები, დანები და მათი დაუსრულებული ვერსიებიც კი. ასეთი კომპანია გახლავთ ქალაქ უდაიპურში განთავსებული THE CURIOS HOUSE, რომელიც თითქმის ყოველ წელიწადს ახორციელებს პროდუქციის სხვა და სხვა წამყვან ქვეყნებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ინდური ფოლადის, შესაბამისად იქაური დანებისა და ხმლების პოპულარიზაციას. უნდა აღინიშნოს, რომ მათი პროდუქციის დაკვირვებისას პროფესიონალური თუ არაპროფესიონალური თვალით აშკარად ჩანდა შესრულების უმაღლესი დონე, იქაურ ოსტატთა გამოცდილება და უძველეს ტრადიციებზე დაყრდნობით აგებული ვერსიების შესანიშნავი იერ-სახე.

იაპონურიდან, ეგრეთწოდებული „სამურაის ხმალი“ დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ცივ იარაღად ითვლება მოსფლიოში. მისი ნამდვილი, ტრადიციულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით აგებული ვერსიის დამზადება ხორციელდება ხელით. უამრავი ადგილობრივი თუ საზღვარგარეთული კომპანია ახორციელებს მის სერიულ წარმოებას მანქანა დანადგარების მეშვეობით. რათქმაუნდა ხარისხობრივადაც და სხვა უამრავი კრიტერიუმების გათვალისწინებით დიდი განსხვავებაა ნამდვილ, ხელით დამზადებულ იაპონურ სამურაის ხმალსა და თანამედროვე დაზგების გამოყენებით შექმნილ ვერსიებს შორის. იაპონიაში ხმლებთან ერთად დანების მზადების მდიდარი კულტურა არსებობს. დიდ პატივს სცემენ და საკმაოდ კარგადაც ეხერხებათ იაპონური „კატანას“, „ტატის“, „ვაკიძასის“ თუ მოკლე, დანის ტიპის „ტანტოს“ დამზადება. ტრადიციების გაგრძელებასთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას დანების დამზადებისას რამოდენიმე იაპონური კომპანია ახორციელებს. ერთ-ერთი მათგანია Kitasho Company Limited, რომელიც მე-20 საუკუნის შუა პერიოდში შეიქმნა და მჭიდროდ მოიკიდა ფეხი ევროპისა და განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე. საკუთარი ნაწარმის პოპულარიზაციას ცდილობენ სხვა იაპონური ბრენდებიც – Rockstead Corporation, MARUYOSHI MFG. CO და სხვები.

მეზობელ რუსეთში ცივი იარაღის წარმოება მაღალ დონეზეა განვითარებული. ბოლო საუკუნეებში სწრაფვამ მეტალურგიის წინსვლისაკენ და უამრავმა მცდელობამ, ქვეყნის იარაღთმშენებლობის აღორძინებისა, შედეგი გამოიღო. თანაც ისეთი, რომ დღესდღეობით მსოფლიო უწევს ანგარიშს. ქვეყანაში რამოდენიმე უმაღლესი დონის ცეცხლსასროლი იარაღების მწარმოებელი კომპანია ფუნქციონირებს. ზოგიერთი მათგანი ცივი იარაღის დამზადებითაცაა დაკავებული და საბრძოლო ან სანადირო დანიშნულების დანებს აწარმოებს. ამასთანავე რუსეთში უამრავი კერძო ოსტატია, რომელიც ცივ იარაღებს ხელით, არასერიულად აკეთებს და შემდგომ ახორციელებს მათ რეალიზაციას. ისინი სხვადასხვა კომპანიებთან ერთად პოპულარიზაციას უწევენ ეროვნულ ნაწარმს ევროპასა და ამერიკის ბაზარზე. მათი ხილვა უამრავ საერთაშორისო გამოფენაზეა შესაძლებელი. რუსული ხელნაკეთი დანების შიდა ბაზარზე გაყიდვასთან ერთად, მათ საზღვრებს გარეთ გატანას ახორციელებს რუსული კომპანია Sander Knives. მის მჭიდლებს აშკარად კარგი ხელი აქვთ, რაც ნამუშევარზეც აისახება. ფოლადის პირებისათვის გამოყენებულია ხოლმე ШХ-15, Х12МФ მასალა და 45х13,65-Г-ს ფილები. როგორც თავად ამბობენ მათ მიერ შესრულებული მოხატულობა და დანების აგება მხოლოდ ხელით ხორციელდება. ბევრ სხვა ინფორმაციასაც გავიგებთ ოსტატთა შესახებ არაოფიციალური წყაროებიდან საერთაშორისო გამოფენებზე თუ პროფესიონალური (არა სამოყვარულო) ფორუმებიდან. სეართო ჯგუფში მათი ნაწარმი ცუდი ნამდვილად არაა და მოწონებაც უკვე დიდი ხანია დაიმსახურა. მაგრამ რეალობასთან ის უფროა ახლოს, რასაც ევროპაში გამართულ გამოფენაზე მის ნაწარმზე ფიქრობენ ამ დარგის მცოდნე სპეციალისტები და პროფესიონალები. მათი აზრით დანების ხარისხიდან გამომდინარე ფასი ძვირია.

რუსული ნაწარმის აღნიშნულ დარგში პოპულარიზაციას კომპანია „ლატოუსტის იარაღების სპეციალიზირებული ფოლადის ქარხანა“-ც (330CC) ეწევა. ისინი განსხვავებული ტიპის პროდუქციას აწარმოებენ. ფირმის ოსტატთა მიერ ხელით კეთდება სანადირო თუ სასაჩუქრე-საკოლექციო ტიპის დანები. აგრეთვე მზადდება განსხვავებული სტილის ხელნაკეთი ხმლები – ჩერქეზული „შაშკები“ და რუსული სტილის ხმლები (Сабля). ხორციელდება კომპანიის მიერ დამასკოს ან ჩვეულებრივი ფოლადის ნაჯახების, ხანჯლების-სატევრების, სამზარეულოს დანების და საკმაოდ მაღალი ხარისხის სამურაის ხმლების დამზადება. რუსი ოსტატები დამასკოს – პროფესიონალთა ენით, კომპოზიტურ რკინა-სენადნობებს განხვავებული წესით ამზადებენ. დანების მზადების დაწვრილებითი მეთოდიკა, მათივე განმარტებით მხოლოდ იარაღის შემქმნელებმა იციან. თუმცა ვერ ვიტყვით რომ აღნიშნული ბრენდის პროდუქცია სასწაულებს ახდენს. ფირმის თანამშრომელთა ეს განცხადება ალბათ რეკლამა უფროა, ვიდრე რეალობა დანების უმაღლესი კლასის შესახებ. ოსტატთა მიერ ხორციელდება შავი დამასკოს (У10А-7ХНМ), უჟანგავი დამასკოს (40Х13-Х12Ф1), კონტრასტული დამასკოს (65Г-30Х13), უჟანგავი, ყალბი დამასკოს (ЭИ-107, 95Х18) ფოლადების გამოყენება... კომპანიის თანამშრომლები საკუთარი ნიჭის დემონსტრირებას არა მარტო ცივი იარაღის დამზადებით გამოხატავენ, არამედ სუვენირებისა და დანების აღჭურვილობის აგებასა და მათ მოხატვაში.

შედარებით უფრო ფართე არჩევანი აქვს კომპანია О.О.О. РОСоружие-ს, რომელიც ხელნაკეთ დანებთან ერთად მასიური წარმოებითაცაა დაკავებული და დაზგა დანადგარების მეშვეობით შედარებით დაბალი ხარისხის, დაბალ ფასიან და იოლად გაყიდვად მოდელებსაც



შვედური, „მორას“ ფირმის დანები

ნორვეგიული, „ჰელეს“ ფირმის დანები



www.caravani.ge



ფინური, „მარტინის“ ფირმის დანები

ამზადებს. რაც შეეხება ძვირფას ვერსიებსა და უბრალო მოდელებს შორის განსხვავებას, ის ძირითადად გრავირებაში, მოზარნიშება-მოხატულობაში მდგომარეობს ხოლმე. ფოლადის შემადგენლობებში კი მცირედი სხვაობებია.

რუსეთში აგრეთვე ძალზედ პოპულარულია და ბევრ სხვა ქვეყანაში დიდი წარმატებით იყიდება იარაღების მწარმოებელი უზარმაზარი კომპანიის „იჟმაშის“ დანები. ისინი „კალაშნიკოვის“ სახელითაა ცნობილი და აღნიშნული ქარხნის წარმოებულ „საიგებზე“ წინა მხარეს, ლულის ქვემოთ მაგრდება. აღნიშნული დანები გამოირჩევა სიმყარითა და ამტანობით, მაგრამ დამუშავების ხარისხი და სხვა კრიტერიუმები აშკარად არ შეესაბამება დღევანდელ, მაღალი კლასის დანების სტანდარტებს.

ცივი იარაღის წარმოება იტალიაშიც მაღალ დონეზეა განვითარებული. თანამედროვე რომაელები პროდუქციის დიდ ნაწილს სამშობლოს ფარგლებს გარეთ ამზადებენ. ძირითად შემთხვევებში შემსრულებელი ჩინური ქარხნები არიან ხოლმე. თუმცა ადგილზეც ხდება აღნიშნული პროდუქციის წარმოება. აღსანიშნავია რომ იქაური ხასიათდან და ტენდენციიდან გამომდინარე იტალიური დანების ძირითადი ნაწილი თანამედროვე დიზაინზეა აგებული. კომპანია Consorzio Coltellinai Maniago Srl ყველაზე მეტად სამზარეულოს დანებს ამზადებს. ფირმა პროდუქციის გამოფენა გაყიდვას ძირითადად გერმანიისა და ამერიკის საგამოფენო კომპლექსებში ახორციელებს.

ძალზედ პოპულარულია პრატიული ბრენდის Extrema Ratio-ოს ტაქტიკური – თავდაცვის და ეგრედწოდებული „თავის გადასარჩენი“ ტიპის დანები. აღნიშნული მოდელების დასამზადებლად მწარმოებელი ძირითადათ იყენებს N690 (58 HRC) ფოლადის მასალას. პროდუქცია მაღალი ხარისხისაა, რაც ყოველ წელს გამართულ საერთაშორისო გამოფენებზეც მტკიცდება. ამას ისიც ემატება რომ ბრენდი წარმოებას ძირითადათ სამშობლოში, იტალიაში ახორციელებს. მყვინთავებისათვის და მონადირეებისათვის დანებს იტალიური ბრენდი Fantoni ამზადებს. აღნიშნული სტილის დანების საკმაოდ დიდი არჩევანიც აქვს და მის მიერ წარმოებული პროდუქცია არც ხარისხობრივად ჩამოუვარდება შედარებით მძლავრ ბრენდებს.

ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი იტალიური მწარმოებელი გახლავთ FOX-Knives-ი რომელსაც ფართო არჩევანი აქვს და გაყიდვების რაოდენობაც სხვა იტალიურ ბრენდებთან შედარებით ყოველთვის მეტია. „მელიის დანები“ კეთდება მეზღვაურებისათვის, მყვინთავებისათვის, სამხედროებისათვის, ალპინისტებისათვის, კოლექციონერებისათვის, მონადირეებისთვის და დიასახლისებისთვისაც კი, როგორც ფიქსირებული პირებით, ისე დასაკეცი ვერსიების სახით.

ქალაქ მანიაგოში განთავსებული დანების მწარმოებელი ფირმა Lionsteel მშობლიური ნაწარმის პოპულარიზაციას უამრავ ქვეყანაში ეწევა. გარკვეული პერიოდი იქაური ოსტატები სერიული (არა ხელნაკეთი) დანებისათვის საკმაოდ ხარისხიან ფოლადს, 440C-ს იყენებდნენ. ამჟამად ტექნოლოგიების დახვეწასთან ერთად, ოსტატებმა დანის პირების ხარისხიც გაათუმჟობესეს და მის შესაქმნელად უკვე D2 ფოლადს იყენებენ.

1960 წელს დაარსებული კომპანია Maserin-ი ძირითადათ დასაკეც დანებს ამზადებს. კომპანია დანის პირებისათვის იყენებს RWL-34-ის დამასკოს ფოლადს, უჟანგავ AUS8-ს, უჟანგავ 440-სა და უჟანგავ 420-ს. „მასერინი“ დანების გამოფენა გაყიდვას საერთაშორისო გამოფენების დახმარებით ლას ვეგასში, ნიურნბერგში, ბრეშაში და ატლანტაში ახორციელებს.

იტალიური ბრენდებიდან ყველაზე მეტად VIPER-ის მიერ წარმოებულმა დანებმა მოგვხიბლა. დიზაინის შექმნის აშკარა ნიჭით დაჯილდოებულმა იტალიელმა ოსტატებმა გარეგნულ იერთან ერთად დანებს ხარისხის კრიტერიუმის გათვალისწინებით მისი მაღალი მაჩვენებელიც დაუმატეს და ტრადიციების მოყვარული მონადირეებისა თუ კოლექციონერების გული იოლად დაიპყრეს. „ვაიპერის“ დანები სხვადასხვა ძვირფასი თუ საშუალო კლასის ფოლადის პირებით იწყობა. SSCT დამასკო, სპირალური დამასკო, უჟანგავი N690Co (HRC 57-59), უჟანგავი D2 (ვაკუუმში დამზადებული – HRC58-60), გერმენული Böhler-ის უჟანგავი N690 (HRC57-59), უჟანგავი AISI 440-A (HRC 55-57), უჟანგავი Sandvick 12C27 ფოლადთა ის ძირითადი ჩამონათვალია, რომელსაც კომპანია საკუთარი დანის პირებისათვის თუ ტარის გასაწყობად იყენებს.

ესპანეთი ყოველთვის ცნობილი იყო ცივი იარაღის წარმოებით. ქვეყნაში ამჟამად რამოდენიმე ისეთი მძლავრი კომპანია ფუნქციონირებს, რომელთა სახელი თითქმის მთელ მსოფლიოშია ცნობილი. იქ არსებულ ბრენდებს ბევრი ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ფირმებიც უკვეთავენ დანებს და შემდგომ საკუთარი სახელით ახდენენ მათ რეალიზაციას. ესპანელებისა და ზოგადად ესპანური დანების უპირატესობა პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ იქაური მწარმოებლების უმრავლესობა აღნიშნულ პროდუქტს საკუთარ ქვეყანაში ამზადებს. ალბასეტესთან ახლოს, კამპოლანოში განთავსებული კომპანია AITOR-ი ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც ცივი იარაღის წარმოებითაა დაკავებული. ფირმა ძირითადათ ტაქტიკურ დანებსა და ფისტოლეტის შალითებს ამზადებს. „აიტორი“ პროდუქციის გაკრვეულ ნაწილს სამშობლოში არ აწარმოებს, რაც მის ხარისხზეც აისახება სხვა ესპანურ ბრენდებთან შედარებისას. ის სპეციალურად ჩამოყალიბებულ GRUPO-PIE-CLU-ს გუნდშია გაწევრიანებული, რაც საშუალებას აძლევს თითოეულ წევრს გაყიდოს გუნდის ყველა დანარჩენი წევრის მიერ წარმოებული პროდუქცია. აღნიშნული გარემოება საგრძნობლად მოქმედებს კომპანიის გაყიდვების მატებასა და ზოგადად მის პოპულარიცაციაზე.

ესპანური სანადირო დანების სტილის ერთ-ერთ დამცველად და გამგრძელებლად კომპანია CUDEMAN მოისაზრება. დაახლოებით ოცდაათ წლოვანი ისტორიის მქონე „ქუდემანი“-ს ქარხანა ალბასეტეშია განთავსებული. მისი პროდუქცია წლების განმავლობაში საქართველოშიც იყიდებოდა. თუმცა დიდ ხანს ბაზარზე ფეხის მოკიდება არ მოხერხდა მაღალი კონკურენციის გამო, რაც პირველ რიგში განპირობებული იყო სხვა ესპანური ბრენდების ჩვენს ქვეყანაში გამოჩენით. ქარხანაში უამრავი განსხვავებული სტილის მოდელებს აკეთებენ. იწარმოება როგორც დასაკეცი, ჯიბის დანები, აგრეთვე მოდელები ფიქსირებული პირებით. პოპულარულია ვიწრო, თხელი, „ნავახას“ ტიპის ვერსიები. აღნიშნული ბრენდი ზოგადად საშუალო დონის დანებს ამზადებს და ის ამავე კატეგორიით ფასდება ხოლმე საერთაშორისო ასპარეზზე – გამოფენებზე.

ალბასეტური კომპანია გახლავთ JOKER-იც, რომელიც 1987 წელს დაარსდა. წარმოების დაწყებიდანვე ფირმის მმართველებმა გადაწყვიტეს სერიული ტიპის პროდუქციის დამზადება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განეხორციელებინათ. იმ პერიოდის შესაბამისად გადაწყვეტილება მართებული გამოდგა და გეგმამ გაამართლა. დღესდღეობით კომპანია დაახლოებით ოცდაათამდე ქვეყანაში გზავნის ექსპორტზე დანებს. ამზადებს როგორც საშუალო კლასის სანადირო, ფიქსირებულ თუ საკეც პირიან ვერსიებს, აგრეთვე მაღალი კლასის საკოლექციო, სასაჩუქრე და სანადირო მოდელებსაც. ძირითად მასალად ოსტატები იყენებენ უჟანგავ 440-ს ან ჟანგავად 440 SS-ს ფოლადებს. აგრეთვე გვხვდება დანის პირები მოლიბდენისა და ვანადიუმის შემადგენლობებით.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა ამჟამად უკვე პოპულარული ბრენდის, MARTINEZ ALBINOX-ის წარმოებაში გაშვებას. ხოსე მარტინესმა იდეა ტურისტული და მრავალფუნქციონალური დანების დამზადების შესახებ 1990 წელს რეალობად აქცია. კომპანია მუდმივად ყურადღებით აკვირდებოდა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას და აქცენტს აკეთებდა უახლესი დაზგა დანადგარების გამოჩენისას მათი წარმოებისათვის გამოყენებაზე. დღევანდელ ყოფაში წარმატებულ ნაბიჯად ითვლება პოპულარულ, მასებისათვის ცნობად ბრენდებთან ერთად, ერთ საერთო ჯგუფში გაწევრიანება. შესაბამისად არც MARTINEZ ALBINOX აღმოჩნდა გამონაკლისი და თანამედროვე ბიზნეს ტენდენციას ალბასეტური კომპანიაც აჰყვა. დღესდღეობით ის „ოპინელთან“ ერთად კიდევ თხუთმეტამდე ბრენდს აერთიანებს და ყოველი მათგანი დანარჩენების პროდუქციის რეალიზებას ეწევიან.

ბევრისათვის გასაკვირად დანების წარმოებაში საფრანგეთი ესპანეთთან ერთად ლიდერია ლიდერთა შორის. სწორედ ამ უძველესი კულტურისა და დიდი ისტორიის მქონე ქვეყანაში ხდება აღნიშნული პროდუქციის მაღალტექნოლოგიურ დონეზე წარმოება თანამედროვე სტანდარტების სრული დაცვითა და ტრადიციების გათვალისწინებით. ხელნაკეთ, ძვირფას დანებთან ერთად ფართო სერიული წარმოების მოუხედავად კომპანიების ძირითადი ნაწილი პროდუქციას მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოში, საფრანგეთში ამზადებენ. შესაბამისად მათი ფასი მსგავს ბერნდებთან შედარებით მაღალია. მაგრამ აღსანიშნავია რომ ხარისხი ზოგჯერ ფასს აჭარბებს.

LAGUIOLE – FONTENILLE PATAUD



ლაგიოლი არაა დანის რომელიმე კონკრეტული ბრენდი. ის ისეთივე ქალაქია, როგორიც მაგალითად გერმანიაში ზოლინგენი და ინგლისში შეფილდი. ოდესღაც სამივე პატარა დაბას წარმოადგენდა, სადაც თავს იყრიდნენ საუკეთესო მჭედლები, ხმლებისა თუ დანების ოსტატები. ღესდღეობით ეს ქალაქები თუ მათი სახელები, მათი პოპულარობიდან გამომდინარე, ბევრს დანების ბრენდი ჰგონია და არც კი იცის მათი რუკაზე არსებობა. სწორედ ასეთი ინფორმაციით დაიწყო ჩვენი გაცნობა ფრანგმა მჭედელმა, ნიჭიერმა ოსტატმა და გამოცდილმა მმართველმა, ბატონმა ჟილ შტაინბერგმა. ის კომპანია Fontenille Pataud-ს წარმოადგენს და უამრავ საერთაშორისო გამოფენებზე იღებს მონაწილეობას. ფირმა 1920 წლიდან არსებობს და ცივი იარაღის წარმოებითაა დაკავებული. 1995 წლიდან შტაინბერგმა შეცვალა წარმოების პროფილი და დაიწყო „ლაგიოლის“ ტიპის დანების დამზადება. პროდუქციის წარმოება ხორციელდებოდა ხელით, დაზგების მინიმალური ჩარევით. 1997 წლიდან ქარხნის მიერ დამზადებულ თითოეულ დანას გააჩნია თავად ბატონი ჟილის სახელი, სამარკო ნიშნის სახით. მან გაგვიმარტა რომ არსებობს „ლაგიოლის“ ცუდი, საშუალო და კარგი დანები. მისი კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია კი საუკეთესოა მათ შორის. ჩვენ ამაში ნამდვილად არ გვჭირდებოდა დარწმუნება. იმ დღეებში დაიბეჭდა ჟურნალი, სადაც მისმა დანებმა პირველი ადგილი დაიკავეს სამი მთავარი კრიტერიუმის გათვალისწინებით (ნიურბერგის საერთაშორისო გამოფენა, 2010 წელი).

დღესდღეობით ქარხანაში ყველაფერი ძირითადად ხელით კეთდება. უნდა აღინიშნოს რომ პროდუქციის დაახლოებით ნახევარი, გარკვეული რაოდენობის დანის პირები თანამედროვე კომპიუტერიზებული დაზგა-

დანადგარებით ვაკუუმში იჭედება. შემდგომ კი უშუალოდ ოსტატის ჩარევით ხორციელდება მისი საბოლოო დამუშავება და დანის დანარჩენ დეტალებთან ერთად სრულყოფილი სახის მიცემა. თითოეული ზამბარა, რომელიც განსხვავებულ მოდელზე განსხვავებული ფორმისაა, კეთდება და მუშავდება ხელით. ბატონი ჟილის განმარტებით, „ლაგიოლისათვის“ დამახასიათებელი ფუტკრის გამოსახულება ტარის ბოლოში უმაღლესი ხარისხის ფოლადისაგანაა დამზადებული და ყოველი მათგანი ფორსირებულია. დანის ტარი სხვადასხვა ქვეყნიდან შედის იმპორტის სახით საფრანგეთში. ის შეიძლება იყოს გარეული ცხოველის რქის (სპილო, ირემი, ჯიხვი) ან ხის (კაკალი, ბზა) მასალისაგან დამზადებული. ორივე შემთხვევაში ხელით კეთდება მათი გაჭრა, დამუშავება და სრულყოფილი სახის მიცემა. ხის დეტალები მხოლოდ ზეთით მუშავდება. დანის აწყობის შემდგომ გაპრიალების ოთხი ცალკეული პროცედურა ხორციელდება, რათა მაქსიმალური შედეგი იქნას მიღწეული და მყიდველამდე მივიდეს შესახედავად სრულყოფილი, ლამაზი და მისაღები პროდუქცია.

ქარხანაში დანის პირის დამუშავებისას თითოეული მათგანი ინდივიდუალურ ჭედვის პროცედურებს გადის. გახურებისა და ჭედვის პროცესში პერიოულად მოწმდება სიძლიერე, ელასტიურობა და სიხისტე. თან იჭედება როგორც დანის პირები, ისევე ზაბმარები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ტარის ფორმას იმეორებენ. მეტ წილად გამოიყენება შვედური უჟანგავი ფოლადი Sandvik 12c27 და აგრეთვე უჟანგავი ლითონი RWL 34. ისინი 56 Hrc-სა და ბოლოწლებში უკვე 60 Hrc-ს სტანდარტების (ერთ-ერთი ყველაზე მყარი და სტაბილური მახასიათებლების მქონე ფოლადი მსოფლიოში) მიხედვით მუშავდება და გადის კონტროლს ქიმიური ნივთიერებების შეზავებასთან ერთად. 56 Hrc-ს უმაღლეს კატეგორიას განეკუთვნება და როგორც ვხედავთ HRC 55-66-იან ზონაშია მოთავსებული. მასში შესაძლოა შერეულ იქნას კარბონის (იგივე ნახშირბადნარევი ქიმიური ნივთიერება) ელემენტები და რკინა M2, W2, D2, აგრეთვე უჟანგავი ფოლადი S30V, ZDP-189, CPM-M4 და სხვები. აგრეთვე შესაძლოა შერეული იყოს ქიმიური ნივთიერებები, როგორებიცაა კობალტი, მოლიბდენი (ელემენტის სიმბოლოა – Mo, ატომური ნომერია – 42). სპილენძი (Cu-29), ნიობიუმი (Nb-41), ტიტანი (Ti-22), ვანადიუმი (V-23) და სხვები.

კომპანია ამაყობს თავისი ყველაზე ძვირფასი კატეგორიის დანებით, რომლებიც „დამასკოს“ მეტალითაა ცნობილი – არაბულად „დიმაშქ“. ეს სახელწოდება, ანუ დამასკო, ბიბლიაშიც ნახსენებია და ის ამჟამინდელი სირიის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ცენტრალურ ქალაქს წარმოადგენს. ეს უძველესი ადგილი მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთ პირველ დედაქალაქად გვევლინება. ზოგადად „დამასკოს“ მეტალის სრტუქტურული აგებულების ახსნა-განმარტება ერთის შეხედვით მარტივია. ერთი ან რამოდენიმე ფოლადისაგან მიღებული მასალა, რომელიც გაპრიალებულია და წარმოადგენს მოზაიკურად ნაჭედ სტრუქტურას. ევროპაში „დამასკოს“ ფოლადის მცნება განმარტებაა ხარისხისა და სიძლიერისა, რომელიც საუკუნეები იხვეწებოდა და კომპოზიტური ფოლადის საშემდუღებლო წესით მზადდებოდა. მიუხედავად იმისა რომ ამჟამად აღმოჩენილია უამრავი სახეობის და სიმყარის მეტალი, დღესდღეობითაც „დამასკოს“ მასალა ძალზედ პოპულარული და გაყიდვადია მისი დეკორატიული გარეგნობისა და ტრადიციული არსის გამო. აღნიშნული ფოლადის საწყისი მასალის წარმოებისათვის გამოიყენება სხვადასხვა შინაარსის თანმხლები ელემენტები, როგორებიცაა ნახშირბადი, მანგანუმი, და სხვა... ამათში ძირითადი ყურადღება ნახშირბადისაკენაა მიპყრობილი, რომელიც აღნიშნული ტიპის რკინაში გარკვეულ დოზას, მაგალითად ძირითად შემთხვევებში 2,07 %-ს არ უნდა აღემატებოდეს. ბასრი და უმაღლესი შესაძლებლობების დამასკოს ერთ-ერთი სახეობის დანის პირი უნდა შეიცავდეს 0,5-დან 1.2%-მდე ნახშირბადს. ამ შემთხვევაში მისი შიდა სტრუქტურა დალაგებული და „გასუფთავებულია“. თავად ამ დანის ფოლადს კი ახასიათებს ოილად შედუღება და ოილად ჭედვა. მისგან შექმნილი ხმლისა თუ დანის გამოჭედვისა და წრთობის პროცედურა ბევრნაირი არსებობს, როგორც თანამედროვე, ასევე ისტორიული. ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია ფოლადისათვის, რომელც ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე, დიდი ხნის წინ იყო შემუშავებული იმ დროისათვის განვითარებულ ქვეყნებში. ამჟამად აღნიშნული მეტალი წრთობისას მიიყვანება 62-67 Hrc-მდე. თავად HRC განმარტავს ფოლადის სიმყარესა და სიმტკიცეს. ეს მაჩვენებელი წარმოშობით ავსტრიელმა, ქალაქ ვენაში მოღვაწე პროფესორმა ლუდვიგმა 1908 წელს შექმნა. აღსანიშნავია რომ „დამასკოს“ ფოლადი თავისუფლად შეიძლება გაკეთდეს 67 Hrc-ზე მყარი, მაგრამ მისი სტრუქტურული აგებულებისათვის ასეთი სიმყარე ზედმეტი შეიძლება გამოდგეს და უარყოფითი შედეგები გამოიღოს. დღესდღეობითაც ის ნორმებია დაცული, რასაც ადრეულ ხანაში ჩვენი წინაპრები იყენებდნენ. სხვათა შორის ერთ-ერთ აღმოჩენილ სატევარს, რომელიც დამზადებული იყო რომის მმართველობის პერიოდში, გაზომვის შედეგად აღმოაჩნდა 66 Hrc-სიმტკიცე. ამით თანამედროვე ოსტატებსა თუ მეცნიერებს ალბათ ბევრ რამეზე გაეცათ პასუხი. წრთობისას მიკროკრისტალური სტუქტურა და ნახშირბადის ნაერთები, შედარებით გასაგები ენით რომ ვთქვათ, იხვეწება და ლაგდება ერთ საერთო ჩარჩოში. შედეგად ფოლადი ხდება უფრო მყარი და ამავდროულად მოქნილი. მაგრამ ეს პროცესი აუცილებლად ზუსტად იმდენი ხანი უნდა გაგრძელდეს, რამდენიც საჭიროა კონკრეტულ შემთხვევაში, რათა არ მოხდეს ზედმეტი სიმტკიცისა თუ სხვა ფუნქციის მინიჭება ფოლადისადმი. თავდაპირველად დამასკო იოლად ჭედვადია მაშინ, როდესაც ის შეიცავს მხოლოდ 0,2 % ნახშირბადს. წრთობის პროცესში მას თანდათან ემატება ნახშირბადი თუ სხვა ქიმიური ელემენტები და ამასობაში იცვლება მისი სიმყარე, დრეკადობა და ჭრადობის ალბათობა. ნახშირბადთან ერთად სხვა უამრავი ქიმიური ელემენტების დამატება არის საჭირო, რათა რკინამ სიმტკიცესთან და სიმყარესთან ერთად შეინარჩუნოს სტაბილურობა, ლესვადობა დრეკადობა თუ კიდევ სხვა კრიტეკიუმები, რომლებიც აუცილებელია იმიტომ, რათა ნორმების ფარგლებში მოხდეს ფოლადის სტრუქტურის ჩამოყალიბება. ამიტომაც წრთობისას ყველაზე ხშირად „დამასკოს“ ფოლადს ამატებენ ფოსფორს (P-15), მანგანუმს (MN-25), სილიციუმს (Si-14) და რამოდენიმე სხვა ნივთიერებას. რა თქმა უნდა ხელნაკეთი დანებისა თუ ხმლების შემთხვევაში ინდივიდუალური დოზირებით ხორციელდება ამა თუ იმ ქიმიური ელემენტების დამატება, რომელიც მხოლოდ მჭედლისათვისაა ცნობილი. თუმცა ფრანგმა ოსტატებმა ძირითადი საიდუმლოებანი, რომლებსაც დანების აგებისას იყენებდნენ გაგვანდეს და ფოტო მასალის ქონის საშუალებაც მოგვცეს. განსხვავებულ ფოლადთა დაჭრის და შედუღების მერე ისინი ხელით წრთობის პროცედურას იწყებენ. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ ფოლადი ისევ ცივდება, ჩერდება ყველანაირი გადამამუშავებელი სამუშაოები და მერე კვლავ ახლიდან იწყება ჭედვისა და წრთობის პროცედურები. მანამადე, სანამ მჭედლები სასურველ შედეგებს არ მიიღებენ. ზოგჯერ ჩვეულებრივი ჩაქუჩის ხმარებას (ალბათ დაღლილობის გამო) ოსტატები ერიდებიან და ელექტრო-პნევმატურ ჩაქუჩს იყენებენ. ერთ–ერთი წამყვანი ოსტატი გახლავთ ჟარომე დომინგო, რომელიც François Morier-ის შვეიცარიაში განთავსებულ დანისა და ხმლის პირების დამამზადებელ ქარხანაში მუშაობს. სწორედ იქ ხდება Fontenille-Pataud-სათვის „დამასკოს“ დანის პირების დამზადება. სხვათა შორის აღნიშნული კომპანიის დანები საქართველოში უკვე 2 წელიწადია იყიდება და მიუხედავად მისი ფასისა საკმაოდ დიდი წარმატებითაც. პროდუქციის შემოტანა ჩვენს ბაზარზე თბილისში არსებული კომპანია „ქარავანი+“-ის მეშვეობით განხორციელდა.

ქარხანაში ნებისმიერი დანის გრავირება, მოპირკეთება გაპრიალება და საბოლოო, სარეალიზაციო სახის მიცემამდე მიყვანა ხელით ხორციელდება. პროფესიონალები და მჭედლები ალბათ დამეთანხმებიან თუ რაოდენ შესანიშნავი საყურებელია, როდესაც ოსტატი დანაზე გრავირებას აკეთებს და ხატავს ფოლადის ნაჭერზე რაიმეს. აღსანიშნავია რომ Fontenille-Pataud-სათვის დამახასიათებელია დანის პირის ფიქსატორის ზედა მხარის მოჩუქურთმება. იგულისხმება ის ადგილი, რომელიც ტარის ზემოდან დახედვისას ჩანს. კერძო შეკვეთის შემთხვევებში აღნიშნულ ნაწილს პიროვნების სახელი ან გვარი ეწერება. აგრეთვე ძალზედ საინტერესოა ფუტკრის სიმბოლოს მოხატვა-მოჩუქრთმება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ხელის უშუალო ჩარევით ხორციელდება და არავითარი შეხება არ აქვს თანამედროვე დაზგა-დანადგარებთან. ხის თუ რქის ტარის მოპირკეთების გარდა ხშირ შემთხვევებში მათი მოხატვა ან ამა თუ ფორმის მიცემა ხორციელდება ხოლმე. აგრეთვე ხდება ტარების მოჩუქურთმებაც, რომელთაც სამზარეულოს დანაჩანგლებისათვის ან კერძო შეკვეთების შემთხვევაში, უმაღლესი კლასის ჯიბის, დასაკეცი დანებისათვის იყენებენ.

საქართველოში იმპორტირებული მოდელებიდან რამოდენიმე მათგანის გამოყოფა შეიძლება. დიდი მონონება დაიმსახურა LAGUIOLE SPORT-ის სახელწოდებით ცნობილმა კლასიკური ფორმის დანამ გარეული ტახის ეშვის ტარით. აღსანიშნავია რომ ამგვარი ტახი ძირითადათ აფრიკის კონტინენტზე, უფრო კენიაში, სომალში და ეთიოპიაში ბინადრობს. მას ინგლისურად Warthog ეწოდება, რომელიც დანის სახელწოდებაშიცაა ასახული – Laguiole SPORT, Warthog and Twist Damascus. აგრეთვე იწარმოება ალტერნატიური ვერსია, რომელიც სპილოს ეშვისაგანაა შექმნილი. დანა დაკეცილ მდგომარეობაში 13 სანტიმეტრია, გახსნილ პოზიციაში კი 23 სანტიმეტრი. ის 200 გრამს იწონის. მათი პირი დამასკოს ფოლადია, რომელიც შვედური ეგზემპლარებისგანაა ნაჭედი (3,5 მილიმეტრი სისქისს) და მისი სიმყარე 56 Hrc-ს უტოლდება. დანის პირის ბოლოში განთავსებული ფუტკრის გამოსახულება და ზამბარა-ფიქსატორი ნაწრთობია და უჟანგავი Z20c13 ფოლადისაგანაა დამზადებული. პირის დასაწყისში დამასკოს ფოლადს ბატონი შტაინბერგის სამარკო ნიშანი ამშვენებს – Gilles®. მისი საწყისი ფასია (სტანდარტული ვერსიის) 710 ევრო. კერძო შეკვეთის შემთხვევაში კი შესაძლოა თანხა საგრძნობლად გაიზარდოს და რამდენიმე ათასს მიაღწიოს.

ძალზედ საინტერესოა Le-Thiers-ის კლასიფიკაციის დანები. ბატონი შტაინბერგი თუ კომპანიის დანარჩენი კონტსტრუქტორები დღემდე ამაყობენ მისი დიზაინით. დანამ არაერთ გამოფენაზე დაიმსახურა პირველი ადგილი და მოიპოვა უმაღლესი შეფასებები სხვადასხვა კიტერიუმების გათვალისწინებით. მასში ერთდროულად ჩადებულია მაღალი ტექნოლოგიური მიღწევები და ტრადიციული, ხელნაკეთობის თეორიები. მთავარი უპირატესობა მოხერხებულობაა. ძალზედ თხელი და სასიამოვნო სახმარი დანის დაკეცვა და გაშლა ერთი ხელით, ოილადაა შესაძლებელი. საკმარისია ცერა თითით თავში დავაწვეთ ტარის ქვედა მხარეს, მის გაყოლებაზე განთავსებულ დანის პირის დამჭერს-ზამბარას, რომ საშუალება გვეძლევა შუა ან საჭვენებელი თითის დახმარებით დავკეცოდ დანა. გახსნა კი პირდაპირ პირზე გაკეთებულ ჭრილზე ცერა თითის დადებით და მოტრიალებით ხორციელდება. როდესაც დანა დაკეცილია, მისი სიგრძე 10,5 სანტიმეტრს წარმოადგენს, ხოლო გახსნილ მდგომარეობაში სიგრძე 17,5 სანტიმეტრია. მის წონას ხელში ჭერისას ფაქტიურად ვერ ვგრძნობთ, რადგანაც ის 70 გრამს არ აღემატება. მის დიზაინთან ერთად ალბათ ძალზედ საინტერესოა დანის ტარი. ტარი ფოლადის მონაკვეთის ერთ მხარეს მთლიანად ფარავს, მეორე მხარეს კი ის დანას დაახლოებით მეოთხედ ნაწილს უფარავს. მასალად კი ნამდვილი, ჩვენამდე მოღწეული და ვინ იცის რის ვაი-ვაგლახით შემორჩენილი მამონტის ეშვი/ძვალია გამოყენებული. ეს ინფორმაცია როდესაც გამოფენა-



ფრანგული, „ლაგიოლის“ სტილის „ჯილეს შტაინბერგის“ დანები



ფრანგული, „ლაგიოლის“ სტილის „ჯილეს შტაინბერგის“ დანები

ზე, დანის განმარტებით ფურცელზე ვნახეთ, შეცდომა გვეგონა ან ვიფიქრეთ უბრალოდ შესაძლოა სტილი იგულისხმება თქო. მაგრამ თავად ბატონ ჯილ შტაინბერგთან ინფორმაციის გადამოწმების შემდგომ დავრწმუნდით მის რეალობაში. დანის „დამასკოს“ ფოლადის პირი 120 ფენისაგანაა შექმნილი და მისი სიმტკიცეა 57 Hrc. რაც შეეხება ტარს, უფრო სწორედ კი ტარის ფოლადის მონაკვეთს, ისიც დამასკოს 120 შრესაგან არის მიღებული და სისქეში 2,5 მმ-ია. განხილული დანის საწყისი ფასია 635 ევრო. კერძო შეკვეთის შემთხვევაში მისი ფასი მისივე მონაცემებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით დაახლოებით 3000 ევრომდე შეიძლება გაიზარდოს.

ამგვარი, უმაღლესი, ლუქს კლასის პროდუქციის ქართულ ბაზარზე არსებობა ალბათ დაეხმარება ქართველ მჭედლებსა და ოსტატებს უფრო დახვენონ და გააუმჯობესონ საკუთარი ნაწარმი, რათა გავაღვიძოთ და ტრადიციული იარაღის მოყვარულ მთელ მსოფლიო საზოგადოებას დავანახოთ ის შესაძლებლობები, რაც ქართველ ერს ოდითგანვე გააჩნდა და ალბათ ეხლაც გარკვეულწილად ცოცხლობს სამწუხაროდ ძალიან მცირეოდენი პატრიოტი, მჭედელი ქართველების სახით.

საფრანგეთის ქალაქ Thiers-ში ხელნაკეთი, ჯიბის დანების მწარმოებელი კომპანია Perceval-ი 1995 წლიდან ფუნქციონირებს. ოსტატთა ჯგუფი, რომლებიც ქარხანაში მუშაობს, პროდუქციას ხელით ამზადებენ. მათთვის დანის თითოეული მონაკვეთი მნიშვნელოვანია. მის აგებულებს, ზოგადად დიზაინსა და რა თქმა უნდა პირის გამძლეობას, ღესვადობას თუ ელასტიურობას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ფირმის თანამშრომლების თქმით მათ სურთ რომ მაქსიმალურად კარგი, სხვა ბრენდებზე უკეთესი, ფაქტიურად სრულყოფილი დანები შექმნან. გარკვეულწილად ახერხებენ კიდეც ამას, მაგრამ მჯობნზე მჯობნი არ დაილევა და მსოფლიო ბაზარზს თუ გადავხედავთ, ზემოთხსენებულ ბრენდზე კარგი, გამძლე, ლამაზი ან ძვირფასი დანების პოვნა ნამდვილად შესაძლებელია. კომპანიის ერთ-ერთი საუკეთესო მოდელი Le Grand Damascus-ია. სისქით 19 მმ-იანი დანა სიგრძეში 116 მმ-ია. „ვინლანდის“ ტიპის უჟანგავი დამასკოს ფოლადისაგან დამზადებული დანის პირის სიმყარე 56 როკველის (HRC) ტოლია. ტარი სპილოს ეშვისაგანაა აგებული. დანის ღირებულება 2700 ევროა.



ფრანგული, „ლაგიოლის“ სტილის „ჯილეს შტაინბერგის“ დანები

ზოგადად კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ფასები 90-100 ევროდან იწყება. ყველაზე საინტერესო, რაც უპირველესად ფასს განაპირობებს, გახლავთ პროდუქციის შექმნისას მეტეორიტების გამოყენება. როგორც კომპანიის წარმომადგენლებმა ერთერთ საერთაშორისო გამოფენაზე განგვიმარტეს, ისინი დედამიწაზე არსებულ ორ მეტეორიტს იყენებენ. ერთ-ერთი მათგანი შვედეთში, 1906 წელს აღმოაჩინეს. მეორე კი რუსეთში 1967 წელს. აღნიშნული მასალის შერევა ხდება როგორც დანის პირების აგებისას, ასევე ტარების დამზადებისას. ხელსაკიდებისათვის აგრეთვე იყენებენ ჯუს ბაქანს, რომელიც საკმაოდ რთულად დამუშავებადია, მაგრამ მისით პროდუქტს გამძლეობის ფაქტორი ემატება. გამომდინარე აქედან ის საკმაოდ ძვირადაც ფასობს.

საფრანგეთში, ქალაქ Bagnolet-ში არსებული კომპანია Baladéo 1995 წელს შეიქმნა. მასზე ნამდვილად ვერ ვიტყვით რომ ტიპიურ ფრანგულ დანებს ამზადებს და ტრადიციების გამგრძელებლად მოისაზრება. თუმცა აღნიშნული ფაქტორი მის პროდუქციაში გარკვეულ წილად გათვალისწინებულია. კომპანია პროდუქციის დიდ ნაწილს, რომელთა შორისაც დანების გარდა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებიც გვხვდება, სამშობლოში არ ამზადებს და შედარებით იაფად აკეთებინებს საზღვრებს გარეთ არსებულ მწარმოებლებს.

Auvergne-ში არსებული ფრანგული დანების მწარმოებელი Claude Dozorme თანამედროვე პროდუქციასთან ერთად, ხელნაკეთ, ტრადიციული სტილის დანებსაც ამზადებს. კომპანიის თანამშრომლები აგრეთვე ქმნიან საკუთარ კონსტრუქციებსაც, რომლებიც შემდგომი რეალიზაციიდან თუ გამოხმაურებებიდან გამომდინარე ყოველთვის ამართლებს. განსაკუთრებული ყურადღებას გამოფენებსა თუ სხვადასხვა ჩვენებებზე აღნიშნული ბრენდის ჯიბის დანები, ორიგინალური გამღებ-დამკეტი მექანიზმებით აღჭურვილი Le Thiers Verrou-ის მოდელები იმსახურებენ. მოწონებას იმსახურებს აგრეთვე The liner lock-ის ვერსიები.

1919 წელს დაარსებული Robert David-ის კომპანია ძირითადად კლასიკური ტიპის პროდუქციის დამზადებითაა დაკავებული. Le Thiers-ის და LAGUIOLE-ის სტილის ტრადიციული დანები მათ რიცხვს განეკუთვნებიან, რომელთა წარმოებითაც ბრენდი თავს იწონებს საერთაშორისო ბაზარზე. ჯერ კიდევ 1810 წელს ფრანგული კომპანია ARBALÈTE GENES DAVID ჩამოყალიბდა. წინა ბრენდისაგან განსხვავებით კლასიკურ, Le Thiers-ისა და LAGUIOLE-ის პროდუქციასთან ერთად ფირმა თანამედროვე ტიპის დანების წარმოებითაცაა დაკავებული, რომელთაგან ზოგიერთი სამზარეულოს კატეგორიას განეკუთვნება. წარმოება ძირითადათ საფრანგეთში, ადგილზე ხორციელდება.

1829 წელს პირველად დამზადდა საფრანგეთის სამხრეთ დასავლეთით არსებულ მთიან სოფელში, Laguiole-ში ფერმერთათვის განკუთვნილი ფუტკრის თავიანი ჯიბის დანა, რომელიც მოგვიანებით საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სიმბოლოდ გადაიქცა. სწორედ ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა სხვა და სხვა კომპანიების აღორძინებას, რომლებიც დღესდღეობით მთელს მსოფლიოშია ცნობილი. ერთ-ერთი მათგანია ამჟამად უკვე ძალზედ წარმატებული Laguiole en Aubrac. ბრენდი დაახლოებით ორასამდე განსხვავებული Laguiole-ის ტიპის დანების დამზადებითაა დაკავებული. ამასთანავე ხორციელდება სუფრის, სამზარეულოს და სასაჩუქრე ვერსიების მზადება. საკმაოდ გაყიდვადი და პოპულარულია მათ მიერ წარმოებული „სომელიერის“ სტილის პროდუქციაც.

კომპანია Forge de Laguiole ერთერთი იმათგანია, რომელიც „ლაგიოლის“ დანების წარმოებითაა დაკავებული. ბრენდი ცდილობს ტრადიციულ ნაწარმთან ერთად თანამედროვე და ამავდროულად კლასიკური დიზაინის მქონე დანები აწარმოოს, რომელშიც ჩადებული იქნება ძველი, თავდაპირველი Laguiole-ის ელემენტები. უნდა აღინიშნოს რომ კომპანიას გარკვეულწილად გამოსდის ზემოთხსენებული ფაქტორის რეალიზება და ამჟამინდელი საერთაშორისო ბაზრის სინამდვილეში იდეის წარმატებით განხორციელება. რაც ყველაზე მეტადაა შესამჩნევი, ნებისმიერ გამოფენაზე. დამთვალიერებელი ყოველთვის აქცენტს აკეთებს უმაღლესი დონის დამუშავების ხარისხზე. ეს ალბათ არცაა გასაკვირი, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ კომპანიასთან ერთად ოცამდე, უმაღლესი დონის, ოსტატი მუშაობს, რომელთაც საკუთარი დიზაინებიც კი აქვთ შექმნილი და ზემოთხსენებული ბრენდის სახელით ახორციელებენ მათ რეალიზაციას.

კლასიკურ, ორიგინალური ტიპის, მაგრამ Laguiole-ისაგან ფაქტიურად სრულიად განსხვავებული სტილის დანების დამზადებითაა კომპანია NEPTUNIA დაკავებული. ბრენდი ახალი ჩამოყალიბებულია და ცდილობს მაქსიმალურად ხარისხიანი პროდუქცია აწარმოოს, რათა რაც შეიძლება მეტი ქვეყნის დილერი დაინტერესდეს მისი პროდუქციით. ხარისხიანთან ერთად აღსანიშნავია დანების ორიგინალური დიზაინი და დამუშავება, მოპირკეთების უმაღლესი დონე.

ალბათ ფრანგულ და ზოგადად მსფოლიო ბაზარზეც ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი და ამავდროულად ყველაზე პოპულარული „ოპინელი“-ს დანებია. კომპანია OPINEL-ი საქართველოში უკვე დიდი ხანია შემოსულია და მისი პროდუქცია სხვადასხვა დილერების მეშვეობით იყიდება ჩვენს ქვეყანაში. ხშირია ჩინეთიდან შემოტანილი, მიმსგავსებული ტიპის დანები, რომლებიც ხარისხობრივად ბევრად ჩამოუვარდება ფრანგულ, ლიცენზირებულ „ოპინელებს“. რამოდენიმე წელიწადია რაც კომპანია „ქარავანი+“-მა მოახერხა დანების პირდაპირი გზით, ფრანგული ბრენდის ქარხნიდან შემოტანა. ადრე სხვადასხვა მაღაზიები თუ მსხვილი კომპანიები მის იმპორტს გერმანიიდან ან სხვა ევროპელი დილერებიდან ახორციელებდნენ.

საფრანგეთში, Savoie-ს მხარეში, დაბა Saint-Jean-de-Maurienne-ში 1890 წელს ახალგაზრდა ოსტატის, ჟოსეფ ოპინელის მიერ წარდგენილ იქნა პირველი დანა, ნიმუშის სახით. მას შემდეგ ბრენდი განვითარდა და გაძლიერდა. ამჟამად უკვე სახეზეა მძლავრი კომპანია, რომელიც აწარმოებს ხარისხიან და ამავდროულად იაფ პროდუქციას. აღნიშნული ფრანგული ბრენდის დანების ხელსაკიდი ტარები ძირითადად წიფელის მასალისაგან მზადდება. პირები კეთდება როგორც უჟანგავი, ასევე ჟანგვადი ფოლადისგან – მაგალითად XC-90, Sandvik ან 12C27M-გან. დღესდღეობით მწარმოებელი, მიუხედავად უამრავი შეკვეთებისა, პროდუქციის დამზადებას მხოლოდ საფრანგეთში ახორციელებს. მხოლოდ რამოდენიმე სამზარეულოს დანის დამზადება ხდება პორტუგალიაში არსებული პარტნიორების მიერ.

შვეიცარიელ, ცივი იარაღების მწარმოებელ კომპანიებს საკმაოდ დიდი ისტორია აქვთ. ისინი დღესდღეობით ყველასაგან განსხვავებული ტიპის ჯიბის დანებს ამზადებენ. მრავალფუნქციონალური, მოსახერხებელი საკეც დანებს ამჟამად ორი შვეიცარიული ბრენდი, VICTORINOX და WENGER აწარმოებენ. 1884 წელს კარლ ელსენერმა „იბახ შვიცში“ საკუთარი დანების სამჭედლო – მაღაზია გახსნა. აქედან საფუძველი ჩაეყარა დღესდღეობით უკვე ყველასთვის ცნობილი ფირმის წარმატებულ კარიერას. დაარსებიდან 7 წლის შემდგომ შვეიცარიის არმია ზემოთხსენებული ბრენდის მიერ მიწოდებული დანებით აღიჭურვა. 1909 წელს კომპანიის დამაარსებელს გარდაეცვალა დედა, რომლის საპატივცემულოდაც მან ფირმას „Victoria“ უწოდა. ზუსტად თორმეტი წლის შემდგომ წარმოებაში გაეშვა უჟანგავი ფოლადი, ეგრედწოდებული Inox. გამომდინარე აქედან ელსენერის კუთვნილი ქარხნის სახელწოდება გახდა Victorinox. Wenger-ი კონკურენტზე ცოტა გვიან, 1893 წელს დაარსდა. კომპანია ამჟამად ჯიბის, დასაკეცი დანების გარდა საათების და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოებითაცაა დაკავებული.



მარცხნიდან: ავთანდილ ფარადაშვილი და ჟილეს შტაინბერგი



ფრანგული, „ოპინელის“ ფირმის დანები



ფრანგული, „ლაგიოლის“ სტილის „ჯილეს შტაინბერგის“ დანები

www.caravani.ge

ათი, უმნიშვნელოვანესი, უსაფრთხოების წესი:

1. დაუტენავ იარაღთან იყავით ისეთივე ფრთხილი, როგორც დატენილთან.
2. იარაღი ყოველთვის მიმართეთ იმ მიმართულებით, საიდანაც არავის ემუქრება საფრთხე.
3. თითი ყოველთვის იქონიეთ სასხლეტიდან შორს.
4. არასდროს დატოვოთ იარაღი უყურადღებოდ, მიუხედავად იმისა არის თუ არა ის დატენილი.
5. არასოდეს გამოიყენოთ იარაღისათვის სხვა, მისი მსგავსი ტიპის ყალიბის, ვაზნები!
6. მაშინაც კი, როდესაც შეხება გაქვთ ისტორიული მნიშვნელობის არა მოქმედ იარაღთან, არ მოეპყრათ მას ისე, როგორც სათამაშოს!
7. იარაღი გაწმინდეთ საჭიროებისამებრ!
8. სროლის დროს ატარეთ დამცავი სათვალეები და ხმის საწინააღმდეგო მოწყობილობა!
9. არასოდეს გამოიყენოთ იარაღი, როდესაც ხართ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ!
10. გაუზიარე მონადირეებს, მეგობრებს, ის შეცდომები და დაბრკოლებები, რაც თქვენ უკვე გადაგხდათ!

ცეცხლსასროლი იარაღი რათქმაუნდა არ შეიქმნებოდა დენთი რომ არ აღმოეჩინათ. უმთავრესი და აუცილებელი კომპონენტი იარაღისა, რომელმაც შეცვალა ბევრი რამ დედამიწაზე. დაახლოებით მე-10 საუკუნეში უცნობმა ჩინელმა ალქიმიკოსმა უნცაური და დაუჯერებელი ნაზავი შექმნა, სამი, სხვადასხვა ნივთიერებებისაგან, გოგირდის, გვარჯილისა და ნახშირის სათანადო პროპორციით შერწყმის შედეგად მან მიიღო დენთის ერთ-ერთი სახეობა. ეს დოზირება დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: ექვსი ნაწილი გვარჯილა – 75%, ერთი ნაწილი ნახშირი – 12,5% და ერთი ნაწილი გოგირდი – 12,5%. სავარაუდოდ, აღნიშნული ფეთქებადი ნივთიერების დამზადება მხოლოდ ჩინეთში იცოდნენ. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ის დასავლეთში მალე გავრცელდა არაბი მოგზაურების მეშვეობით. დენთის შემადგენლობის პირველი აღწერილობა დათარიღებულია დაახლოებით 845-47 წლებით. შემდგომი ოფიციალური წყაროები მის გამოჩენას ჩინეთში, მე-11 საუკუნის 44-45 წლებში გვამცნობენ. თავად ჩინელები აღნიშნული ფხვნილის შექმნას მე-II საუკუნეში ალქიმიკოს Wei Boyang-ს მიაწერენ. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით აგრეთვე ვიგებთ რომ მე-7 საუკუნეში ბიზანტიელები განთქმულები იყვნენ „ბერძნული ცეცხლით“. ევროპაში დენთი და ცეცხლსასროლი იარაღი პირველად მე-11 საუკუნეში გვხვდება. მე-13-ე საუკუნეში კი ინფორმაცია მათ შესახებ ინგლისშიც გამოჩნდა. კათოლიკე ბერმა, მეცნიერმა და ფილოსოფოსმა როჯერ ბეკონმა (1214-1294) დაახლოებით 1250 წელს ერთ-ერთ თავის ხელნაწერში დენთის დამზადების ფორმულა ჩაწერა. თუმცა იმ დროისათვის შესაძლოა ღვთის მსახური ამისათვის დაესაჯათ და ჯადოქრობა დაებრალებინათ. ამიტომაც მან დუმილი ამჯობინა. გერმანიაშიც არსებობდა ერთი ბერი, ბერტოლდ შვარცი, რომელიც ქალაქ ფრაიბურგში ცხოვრობდა. მას ზოგი დენთის გამომგონებელსაც კი უწოდებდა. მაგრამ რამდენად მართალი იყო ეს, ალბათ ჩინელების ისტორიიდან გამომდინარე ყველა მიხვდება. მისი მემორიალი დღესაც დგას ფრაიბურგში. ზოგი მას უბრალოდ გამოგინილ პერსონაჟს უწოდებს. ფაქტის სახით შემორჩენილია მის მიერ შექმნილი წიგნი ძველ გერმანულ ენაზე Feuerwerkbuch. სწორედ იქაა მის მიერ მოთხრობილი ისტორია დენთის შექმნის შესახებ.

ქრონოლოგიურად რომ მოვყვეთ, მე-12 საუკუნის შემდგომ უამრავი ფაქტია დაფიქსირებული, რომლის დამადასტურებელმა ისტორიულმა წყაროებმაც ჩვენამდე მოაღწია. 1280 წელს, ბიშოპ ალბერტუს მაგნუნის მიერ, დენთი გამოყენებულ იქნა სევილიიის ომისას. ერთ-ერთი მემატიანი წერს რომ 1288 წელს ჩინეთში გამოყენებულ იქნა ცეცხლოვანი ბურთები და იარაღი. შემდგომ უკვე 1327 წელს მეფე ედვარდ III-მ შოტლანდიის წინააღმდეგ გამოიყენა იარაღი. დოკუმენტალურად დასტურდება იტალიასა და ინგლისში მე-14 საუკუნის 80 იან წლებში იარაღის არსებობა. 1424 წელს შეიქმნა ერთ-ერთი პირველი მოკლე (ხელის) იარაღი. ცოტა მოგვიანებით მეფე ჰენრი-VII-მ პირადი ამალა ორი განსხვავებული ტიპის შეიარაღებით აღჭურვა. აღნიშნული ფაქტი 1485 წლით თარიღდება. ჯარის ერთი ნაწილი არბალეტებითა და მშვილდებით იყო შეიარაღებული. მეორე ნაწილი კი არკებუზებით, ანუ იმდროინდელი ცეცხლსასროლი იარაღით. დაახლოებით მე-15 საუკუნის მიჯნაზე მიხვდნენ რომ ხრახნის გაკეთება ლულაში გაუმჯობესებდა ბალისტიკურ მონაცემებს. ასე გრძელდებოდა დღემდე. ამჟამად კი უკვე სახეზეა მკვეთრად განვითარებული იარაღი, რომელსაც მსოფლიოში ბევრი რამის გადაწყვეტა ძალუძს. მთავარი ისაა რომ კაცობრიობამ არ დაუშვას შეცდომა, იყოს მართალი ღვთის წინაშე და გონივრულად მოახდინოს მისი დამზადებაც და გამოყენებაც. დღესდღეობით ქალაქ მეერსბურგის მუზეუმში ინახება 1334 წლით დათარიღებული იარაღი. ის ითვლება პირველ ცეცხლსასროლ ნიმუშად, რომელიც დღემდე შემორჩენილია საზოგადოებაში. თავდაპირველად დენთის ძალის გამოყენება ვერ ხდებოდა სათანადოთ და სრულყოფილად. მოგვიანებით მას ჩინელები მხოლოდ ფეირვერკისათვის იყენებდნენ. იარაღი კი პირველად ევროპაში შეიქმნა ევროპელი ალქიმიკოსის მეშვეობით. ცნობები ამის შესახებ ბრიტანულ ხელნაწერში გვხვდება, რომელიც 1326 წლით თარიღდება. მისი ცოცხალი ნიმუში არაა შემორჩენილი, მაგრამ იქ მოყვანილი იარაღი დღევანდელი გადასახედიდან ძალზედ უცნაური აღნაგობის იყო. მათი წარმოების დაწყების შემდგომ კი გაიზარდა მოთხოვნილება დენთზე, გამოიწვია ფხვნილის ფასის ზრდა და შეიქმნა მისი დეფიციტი. ევროპაში დენთის დამზადება ნაკლებად ხდებოდა, რაც გამოწვეული იყო მაშინდელ დროში გვარჯილის უქონლობის გამო. ზემოთხსნებული ნივთიერება შეიცავს აზოტს, რაც დენთისათვის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ამიტომაც ძირითადათ ჩინეთიდან ხორციელდებოდა ამ ნივთიერების შეტანა ევროპაში. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ეს პრობლემა მოგვარდა

www.caravani.ge

და ევროპელებმა საკუთარ ქვეყნებში იწყეს დენთის მზადება. თუმცა ის შედარებით ცუდად იწვოდა და შესაბამისად გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა მოხმარებისას. იმდროინდელი სწავლულებისა და ალქიმიკოსების ერთობლივი მსჯელობისა და აზრის გამოტანის შემდეგ მათ ნივთიერების კარგად გამოშრობა და პატარა ბურთულების სახით მისი გარდაქმნა გადაწყვიტეს. იდეამ გაამართლა და პრობლემაც მოიხსნა. ახალი ნივთიერება ძველზე ბევრად ძლიერი იყო და მისი გამოყენებისას ძველებურ დენთზე გათვლილი ქვემეხებიც კი ზიანდებოდა. აუცილებელი გახდა უფრო გამძლე იარაღის შექმნა – უფრო მძლავრი მეტალის სტრუქტურის აგება. მე-15-საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა განსხვავებული ტიპის იარაღი, რომელთაც შედარებით გრძელი ლულა ჰქონდათ და ახალი დენთის გამოყენების შემთხვევაში მათი ვაზნა ძველზე ბევრად ეფექტური იყო. ამ პერიოდისათვის და რა თქმა უნდა მის შემდეგაც ყველამ კარგად იცოდა რომ დენთისა და იარაღის გამოყენებით ბრძოლაში დიდ უპირატესობას ფლობდა. სახელმწიოფოები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ყურადღება დაეთმოთ აღნიშნული დარგის განვითარებისათვის. შესაბამისად დრო და დრო იხვეწებოდა და ვითარდებოდა თეორიები და იდეოლოგიები ფეთქებადი ნივთიერების შესახებ. ამ ყოვლივემ შედეგი გამოიღო. პერიოდულად უფრო მეტ და მეტ წარმატებას აღწევდა ადამიანი ახალი აღმოჩენების მეშვეობით. როდესაც მეცნიერება თავისთავად განვითარდა და გარკვეულ ზღვარს მიაღწია ფიზიკისა და ქიმიის ცოდნამ საზოგადოებაში დამრგვალებული ბურთულები ფირფიტის მსგავს, ბევრად უფრო წვრილ და პატარა სახის დენთად იქცა. აღმოჩენილ იქნა უამრავი ახალი ქიმიური ელემენტები, რომლებსაც ურევდნენ დენთს და ღებულობდნენ მათი მეშვეობით უფრო მძლავრ და ეფექტურ ფეთქებად საშუალებებს. დღესდღეობით საკმაოდ ბევრი ქვეყანა აწარმოებეს ამ ნივთიერებას. სანადირო დანიშნულების, სამოქალაქო ბაზრისათვის განკუთვნილი საუკეთესო ხარისხის დენთი ძირითადათ იტალიაში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპის სხვა წამყვან ქვეყნებში მზადდება.

აღსანიშნავია, რომ კომპანიებმა Federal-მა, Winchester-მა, Baschieri&Pellagri-მ და კიდევ რამოდენიმე სხვა მწარმოებლემბა შექმნეს ახალი, მეორე თაობის დენთი, რომელსაც თავად ამერიკელები Generation-2-ს უწოდებენ. აღნიშნულ ფხვნილი ფაქტიურად საუკეთესოა მსოფლიოში და ახასიათებს საგრძნობლად შედეგიანი მონაცემები. ამ უკანასკნელ იტალიურ ბრენდს უმაღლესი ხარისხის ვაზნის დასატენი მასალიდან თუ სხვადასხვაგვარი საშუალებებიდან გამომდინარე ფაქტიურად საუკეთესო სანადირო და გლუვ ლულიანი ვაზნების წარმოება აქვს მსოფლიოში. უნდა აღინიშნოს რომ ისეთი მძლავრი კომპანიები, როგორიცაა „რემინგტონი“, სწორედ „ბაშიერი&პელაგრის“ უკვეთავს ვაზნებს და შემდგომ ახორციელებს მათ რეალიზაციას საკუთარი სახელით.

გერმანულმა კომპანიებმა შაშხანებისათვის აწარმოეს ახალი ტიპის დენთი, რომელსაც კონკრეტული კრიტერიუმების გათვალისწინებით მართლაც რომ ბადალი არ ჰყავს მსოფლიოში და მას ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფირმა, RWS იყენებს სხვა გერმანულ კომპანიებთან ერთად. იტალიელებიც თავად აწარმოებენ აღნიშნულ ნივთიერებას. კომპანიები Fiocchi და B&P საკუთარ ქვეყანაში, ფაქტიურად საუკეთესოები არიან და აშკარად მაღალი ხარისხის დენთს ამზადებენ. სხვათა შორის საქართველოში ერთი პერიოდი შემოდიოდა ორივე მათგანის მიერ წარმოებული ვაზნები. უნდა აღინიშნოს რომ მათი ხარისხი ფასთან მიმართებაში ქებას იმსახურებს და თუ არ ჩავთვლით მუდამ კრიტიკული განწყობაზე მყოფ მონადირეებს, ქართველები ყოველთვის დადებითად ახასიათებდნენ მათ მიერ დამზადებულ პროდუქციას. ჩვენ ბაზარზე ძალიან დიდი ხანი მთავარ ვაზნების სატენ საშუალებას რუსული დენთი წარმოადგენდა სოკოლის სახით. დღესდღეობით ის კვლავაც შემოდის ჩვენს ქვეყანაში, თუმცა უკვე წლებია მისი ჩანაცვლება მოხდა იტალიური, უნგრული და ესპანური დენთების მეშვეობით. გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე საქართველოში რთულად შემოდის ამგვარი პროდუქცია და შესაბამისად არჩევანი არცთუ ისე დიდია.

თანამედროვე, ნიტროცელულოზური ტიპის დენთს შავთან შედარებით ბევრი უპირატესობა ახასიათებს. ის იწვის საკმაოდ კარგად. დანაკარგი, ანუ დაუწვავი ნაწილი ფაქტიურად არ რჩება ლულაში (რა თქმა უნდა კარგი ხარისხის ნაწარმის შემთხვევაში). რაც ყველაზე მთავარია, აღნიშნული ფხვნილი გამოიმუშავებს უზარმაზარ ენერგიას. 1 გრამი ნიტროცელულოზური დენთი ჩვეულებისამებრ განავითარებს 1000 სმ³ ენერგიას. მეორე მთავარი უპირატესობა გახლავთ მისი მრავალფეროვნება. ზემოთხსენებული სახეობის ფხვნილი იძლევა საშუალებას დამუშავებულ იქნეს სხვადასხვაგვარად, ამა თუ იმ ტიპის, განსხვავებული დანიშნულებისა და აგებულების მქონე იარაღებისათვის. ამჟამად ასეთი დენთი ორ, ძირითად სახეობად იყოფა, ნელა აალებად, ანუ „პროგრესიული დენთად“ და მალე აალებად, ანუ „ოფენზიური დენთად“. ეს სახელწოდებები ზუსტი მნიშვნელობით არ გამოხატავენ დენთის თვისებებსა თუ მოქმედებას. მაგრამ მათში ნაგულისხმებია სწორედ რომ შედეგად მიღებული მონაცემები, თუ წარმოქმნილი პროცესები. ზოგადად შაშხანებისათვის მეტწილად გამოიყენება ნელა აალებადი ვერსია. ფისტოლეტებისა და რევოლვერებისათვის საშუალო ვარიანტი იხმარება და მათ ვაზნებს შედარებით მალე აალებადი დენთით ტენიან. რაც შეეხება გლუვლულიანი თოფის ვაზნებს, ისინი ყველაზე სწრაფად აალებადი დენთით იტენება. არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც მოკლე იარაღებისათვის განკუთვნილი სახეობის დენთს გრძელლულიანი თოფებისათვისაც ამზადებენ, ან პირიქით, მაგრამ თითქმის გამორიცხულია შაშხანების ვაზნებისათვის ეგრედწოდებული „ოფენზიური დენთის“ გამოყენება. ამ შემთხვევაში ჩნდება საშიშროება ლულის დაზიანებისა. ზემოთხსენებულის უკეთ გასაგებად წარმოდგენილია დინამიტ ნობელის მიერ შექმნილი ცხრილი, სადაც ასახულია ვაზნის გასროლისას წარმოქმნილი აირების წნევის მოძრაობა როგორც ნელა აალებადი, ისე მალე აალებადი დენთის შემთხვევებში.

(ს.ს. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სწორედ ნობელმა შექმნა პირველი ასეფეთქებელი მოწყობილობა. მას ჯეროდა რომ მასიური აფეთქების იარაღი რომ ექნებოდათ ადამიანებს, ომები საერთოდ აღარ მოხდებოდა იმიტომ რომ აზრი დაეკარგებოდა ყველაფერს. მაგრამ შედეგს აღბათ ყველა კარგად ხედავს).

დენთის აფეთქების შედეგად წარმოიქმნება გაზების, იგივე აირების წნევა. ფიზიკური – მათემატიკური ახსნა ამ მოვლენისა შემდგომში მდგომარეობს: (P) წნევა არის ფიზიკური სიდიდე, რომელიც ტოლია რაიმე ზედაპირის (S) მართობულად ფართობის ერთეულზე მოქმედი (F) ძალისა. წნევა არის ფიზიკური სიდიდე, რომელიც წარმოიშვება მაშინ, როდესაც ძალა მოდებულია რაიმე ზედაპირზე. ის მათემატიკურად



ასე ფორმულირდება: P = F / A. წნევის სხვა და სხვა საზომი ერთეულები არსებობს. ძირითადათ გამოიყენება ბარი, რომელიც ბერძნული სიტყვისაგან baros-საგან არის ნაწარმოები, რომელიც წონას ნიშნავს. აღნიშნული ერთეული ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. მისი საშუალებით ზომავენ მანქანის სავალ თვლებში არსებულ წნევას ან მილებში არსებულ წყლის წნევას. ასევე იზომება ჩვენ შემთხვევაშიც აირების წნევა ბარით. წნევის მიხედვით შესაძლებელია ძალის გაგებაც. მაგალითად თუ გამოვიყენებთ ფორმულას F = pA, .357 (9,12 მმ) მაგნუმის ვაზნა დაახლოებით 2 ტონამდე (ზუსტად – 19600 N) ძალას წარმოქმნის.

მეიარაღეთა სკოლები და სანადირო განათლება

საქართველოში დღევანდელი ყოფისაგან განსხვავებით არსებობდა საფარიკაო და სამჭედლო სკოლები, ოქროს ხანაში კი მთლიანი სასკოლო სისტემები და აკადემიები, სადაც ეზიარებოდნენ ქართული ბრძოლის ხელოვნებასა და ხმლის დამზადების საიდუმლოს. ჩვენში იზრდებოდნენ საუკეთესო მეომრები თუ მჭედლები. ამის დასამტკიცებლად ხევსურული ფარიკაობის ხსენებაც კმარა, რომელიც ქართული საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთ სახეობად გვევლინება. თვით ერეკლეს პირად ამალაში ყოველთვის იყვნენ ხევსურული სკოლის აღზრდილი მეომრები, რომელთაც მეფე საკუთარ სიცოცხლეს ანდობდა ხოლმე.

საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მეიარაღეობას მთიან რეგიონებსა და დედაქალაქში ეთმობოდა. ხევსურეთსა და სვანეთში მრავლად იყვნენ მჭედლები. როგორც უკვე წიგნში აღინიშნა, იქ არსებობდა სპეციფიკური წესები, რომელიც მხოლოდ კონკრეტულმა პიროვნებამ ან პიროვნებათა ჯგუფმა იცოდა და ამის მიხედვით იჭედებოდა ხმლები. თავის ცოდნასა და გამოცდილებას პროფესიონალი მეიარაღეები სპეციალურ სკოლებსა თუ უბრალოდ რიგგარეშედ გადასცემდნენ ხოლმე საკუთარ, სხვა დიდებულებისა თუ მეფეთა შვილებს. ჩვენში დიდი ყურადღება ეთმობოდა დიდგვაროვანის მთიან რეგიონში აღზრდას, იქ შესწავლილ საბრძოლო ხელოვნებასა თუ მეიარაღეობას. ეს უკანასკნელი დარგი იმ დროისათვის ბევრ რამეს მოიცავდა. მებრძოლი, რომელსაც მსგავსი სკოლა ჰქონდა გავლილი, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, ერთგულებასთან და სხვა და სხვა ვაჟკაცურ თვისებებთან ერთად ფლობდა თითქმის ყველა იმ პერიოდში გავრცელებული იარაღების დამზადების ტექნოლოგიებსა და რაღათქმაუნდა გამოყენების მეთოდიკას. რათქმაუნდა ამგვარი განათლების მიღება საბრძოლო ხელოვნებასთან ერთად მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო. შესაბამისად აღნიშნული სწავლებანი ყველა ფენისათვის თუ ზოგადად მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილისათვის არ იყო ხელმისაწვდომი. თუმცაღა მაინც საკმაოდ ბევრი ეზიარებოდა ზოგადად ქართულ იარაღს. სწორედ ამგვარი პატრიოტი ხალხის არსებობამ მართლმადიდებლური საქართველოს გადარჩენაში ძალიან დიდი როლი ითამაშა.

დღესდღეობით მთელს ევროპასა და განსაკუთრებით ავსტრია-გერმანიაში მრავლადაა მეიარაღეთა თუ მონადირეთათვის განკუთვნილი სკოლები. ქალაქ ფერლახსა (ავსტრია) და ქალაქ ზულში (გერმანია) ფუნქციონირებს მსოფლიო რანგის საუკეთესო აკადემიები. იქ იარაღის შესახებ ზოგადი განათლების გარდა ეუფლებიან სხვა და სხვა, ცალკეულ პროფესიებსაც. ლულების დამზადება, გრავირება, მეკონდახეობა, სხვა და სხვა სახეობის მოხატულობისა თუ ზარნიშის გაკეთება სწორედ აღნიშნულ პროფესიათა რიცხვს განეკუთვნება. ამ ჩამოთვლილთაგან თითოეულის შესასწავლად საშუალოდ სამი სრული წელიწადია საჭირო. აღსანიშნავია რომ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გარეშე კურსდამთავრებულები ვერ ახერხებენ სრულყოფილად ცოდნის ათვისებასა და ნასწავლის რეალიზებას. ფერლახში ავსტრიელები გაკრკვეული ასაკიდან შვილებს აღნიშნულ ქალაქში არსებულ ერთერთ სკოლაში აგრძელებინებენ განათლების მიღებას. სწავლა შვიდიდან ცხრა წლამდე, ზოგჯერ უფრო მეტ ხანსაც გრძელდება. ბავშვები ეზიარებიან ტრადიციებს, სწავლობენ დამოუკიდებლობას, ითვისებენ სრულყოფილად მეიარაღის პროფესიას, იძენენ ახალ მეგობრებსაც, რომლებთანაც ურთიერთობები მათ მომავალში გზას უკვალავს და ეხმარება როგორც კარიერულ წინსვლაში ისე პირად ცხოვრებაში. საქართველოში სამწუხაროდ მეიარაღეთა სკოლები ჯერ ჯერობით ბევრისათვის სანატრელია. მაგრამ ღვთის წყალობით და ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის ძალისხმევით არსებობს საპატრიარქოსთან არსებული სკოლები და ტაძრებთან არსებული საკვირაო სკოლები. იქ ბავშვები სწავლობენ და ეუფლებიან საღმრთო ისტორიას რაც უპირველისი და უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ერის გადარჩენისა. თავისთავად ეკლესიური, ჭეშმარიტად მართლმადიდებლური ცხოვრებით მცხოვრები და მოაზროვნე ბავშვი თუ მოზარდი განათლებასთან ერთად ეზიარება ყოველდღიურ ყოფით აუცილებელ გამოცდილებებს, ნამდვილ ტრადიციულ, ქართულ, მამაცურ და მეგობრულ ცხოვრებას. სწორედ იმას, რასაც ჩვენი ეკლესია ქადაგებს და სწორედ იმას რასაც ჩვენი თადვადებული წინაპრები რეალობაში ახორციელებდნენ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში. კარგი იქნებოდა თუ გარკვეული ასაკის ბავშვებისათვის იარსებებდა კერძო სკოლები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ქართული, ისტორიული იარაღების შესახებ გარკვეული ცოდნის მიღება და თანამედროვე საჭურველის დანიშნულების გაგება. სწორედ წიგნიდან და პრაქტიკული მეცადინეობებიდან მიწოდებული ცოდნა დაეხმარება მოსწავლეს დღევანდელობასთან შედარებით უკეთ შეისწავლოს იარაღის არსი და განარჩიოს ერთმანეთისაგან მისი დადებითის და უარყოფითის გამომხატველი მხარეები. გაიგოს თუ როდის და რატომ იყენებდნენ ჩვენი წინაპრები მას. იარაღი არ კლავს ადამიანს, ადამიანს კლავს თავად ადამიანი. ამიტომაც მართებული სწავლება მის შესახებ და შემდგომ მისი კორექტული გამოყენება საწინდარია უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისა თუ დანაშაულებრივი ქმედებების შემცირებისა.

თითოეული მონადირე შესაბამის სასწავლებელში სწავლისა და პრაქტიკული თუ თეორიული გამოცდების ჩაბარების გარეშე ვერ ღებულობს სანადირო ლიცენზიას. აგრეთვე ლიცენზირება ვრცელდება ეგერებზე და იარაღით მოვაჭრეებზე, რომლებიც სამსახურში დაწყების წინ, განცხადების შეტანამდე გადიან თეორიულ და პრაქტიკულ გაკვეთილებს, რათა არ მოხდეს გაუგებრობა და გამორიცხულ იყოს არასასურველი ინციდენტები, რათა მათ თუნდაც პროფესიონალ მონადირეებზე კარგად იცოდნენ თავისი საქმე. სწორედ ამგვარი ღონისძიებების გატარება და მოყვარულობიდან პროფესიონალიზმზე გადასვლა დაეხმარება ჩვენს ქვეყანაში სპორტულ-სანადირო დარგში სიტუაციის მოწესრიგებასა და ბრაკონიერობის აღმოფხვრას. კვალიფიციური მონადირე, სპორტსმენი თუ უბრალოდ მსროლელი, რომელიც სწავლისა და ლიცენზიის გარეშე ხელში ვერ აიღებს იარაღს და ვერ ისვრის არამიზანმიმართულად, უაზროდ და აკრძალულ ადგილას, გარანტიაა ბუნების დაცვისა და უსაფრთხოებისა.

აუცილებლობას წარმოადგენს გარემოს მცველის, ტყის მცველისა და სხვა, აღნიშნული სფეროს შესაბამისი ორგანოების კადრების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების ხარჯზე კვალიფიციური მომზადება, რათა არ მოხდეს ცხოველების არამართებული – არამიზანმიმართული დახოცვა შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, ან პირიქით არასასურველი ცხოველის გამრავლება ან გამრავლების ხელის შეწყობა, რომლებიც აჩქარებენ და აღვივებენ სასურველი, ადამიანისათვის და ბუნებისათვის სასარგებლო ცხოველის გადაშენებისა და მოსპობის პროცესს. თუ დროულად და მართებულად არ განხორციელდა ბუნების დაცვისათვის საჭირო ქმედებები, ძალიან მძიმე შედეგებამდე შეიძლება მივიდეთ. აუცილებელია ბრაკონირების, ანუ კანონის დამრღვევი მონადირეების შეჩერება. ზიანის მომტან ფრინველ-ცხოველთა განადგურებასთან ერთად, სხვა არასაზიანო ცხოველისა თუ ფრინველის მოკვლა უნდა მოხდეს იმ რაოდენობით, რამდენიც დადგენილია პროფესიონალების მიერ და რამდენიც დაშვებულია კანონით. როდესაც აღარ იქნება ფრინველი და ცხოველი, მერე მიხვდებიან მონადირეები თუ ზოგადად მოსახლეობა რომ არც ვაზნები, არც თოფი და საერთოდ არც ფული არ იჭმევა.

საკმაოდ დიდი ზიანის მომტანია ტყურა, როგორც შინაური ცხოველებისათვის ისე ბუნების წიაღში მობინადრე გარეული ცხოლებისათვის, რომელთაც აუცილებლად ჭირდებათ ტურისნაირი მტაცებელი არსებებისაგან დაცვა. მაგალითის სახით ყველაზე საზრიანი იქნება თუ დავახასიათებთ საქართველოში მობინადრე ერთ-ერთ ასეთ მტაცებელ ცხოველს და წარმოგიდგენთ მის მცირედ ანოტაციას. სწორედ ასეთ ჯგუფს განეკუთვნება მგელი, რომელიც ძაღლისებრთა ოჯახის წევრია. მისი საკვების 95 %-ს შეადგენს ხორცი, ხოლო მცენარეული საკვებით იგი ფაქტიურად არ იკვებება. მისი საკბილო ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, როგორც გარეული, ისე შინაურ ცხოველებიდან. შველი, ქურციკი, კურდღელი, ძროხა, ღორი, ცხვარი ცხოველთა ის მცირე ჩამონათვალია, რომელთაც ეს მტაცებელი განსაკუთრებულად ერჩის. ზოგს გაუკვირდება მაგრამ მგლების ხროვა თვით ამერიკულ ბისონსაც კი ერევა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია ცხოველს ყოველდღიურად ესაჭიროება ხორცი, რომელიც შეიცავს თავისივე წონის 10-დან 21%-მდე ხორცს. ანუ საშუალო სიდიდის მგელს, რომელიც დაახლოებით 40 კილოგრამია (ზოგადად ის 20-დან 80 კილოგრამამდე იწონის) ესაჭიროება 4-დან 8 კილოგრამამდე საკვები ხორცი. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ზემოთხსენებული მტაცებელი ადამიანზე, თუნდაც ყველაზე კარგ მონადირეზე, კაგად ნადირობს. რათქმაუნდა უფალმა ჩვენ მოგვცა გონება და ძალგვიძს პირუტყვზე უკეთესად ვიაზროვნოდ და გარკვეულწილად მათზე უკეთესად ვნადირობთ კიდეც. თუმცაღა ცხოველი სისწრაფის, ყნოსვისა თუ და სხვა და სხვა ბუნებრივი მონაცემების ხარჯზე ახერხებს კონკრეტული, ნადირობისათვის აუცილებელი პოცედურების ადამიანზე სწრაფად და მოხერხებულად შესრულებას. მგელი ნადირობისას ძირითადათ საკვებს მოიპოვებს საგრძნობლად განვითარებული ყნოსვის მეშვეობით. აგრეთვე ცოცხალ კვალს შეუძლია გაჰყვეს ბოლომდე, სანამ არ მიაგნებს მსხვერპლს. მას შესწევს ძალა სამსხვერპლოს უდარაჯოს დღეობით და განვლოს რამოდენიმე ათეულობით კილომეტრი, რათა მოიპოვოს საკვები. სწორედ ეს გარემოება და მისი ამტანობა ხდება ზოგჯერ მიზეზი სოფლებსა და მოსახლეობებზე თავდასხმისა და მათი შინაური ცხოველების განადგურებისა. მას თან ერთვის ის ფაქტორიც, რომ მგელი იშვიათი გამონაკლისების გარდა არასოდეს დადის მარტო სანადიროდ. მას აუცილებლად თან ახლავს მტაცებელთა ჯოგი-ხროვა, რომლის რაოდენობაც ზოგ შემთხვევებში 10 ერთეულს აღემატება. შესაბამისად ტყის ან სოფლის პირობებში ფაქტიურად შეუძლებელია უიარაღოდ, შესაბამისი აღჭურვილობის გარეშე მისგან საკუთარი თავისა თუ შინაური ცხოველების დაცვა.

ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ამერიკის მთლიან კონტინენტზე მგლის მიერ დაფიქსირებულია მხოლოდ და მხოლოდ 39 თავდასხმა ადამიანზე. ეს მაშინ როდესაც საქართველოში უამრავი ასეთი შემთხვევაა დაფიქსირებულია. უკანასკნელ პერიოდში მომრავლდა არა მარტო შინაური ცხოველების გატაცების ფაქტები, არამედ ადამიანებზე თავდასხმები, რომლებიც ფატალური შედეგებით მთავრდება. ყოველ წელს რამოდენიმე გახმაურებული თავდასხმა ხორციელდება მოსახლეობაზე, რაც შემდგომ ოფიციალურად ჟღერდება და ხმოვანდება ტელევიზიით. არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით კი თითქმის ყოველ კვირა ხდება სოფლებში საქონლის გატაცება და ადამიანებზე თავდასხმა. ზოგჯერ გვხვდება პირუტყვის უბრალოდ დახოცვა – განადგურების ფაქტებიც, რაც აგრეთვე მგლის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.

უკვე მე-19 საუკუნის მიწურულს მგელი ხელოვნური გზით გადაშენების პირას მივიდა ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპასა და ინგლისში, რაშიც რაღათმქუნდა იქ მაცხოვრებელმა მოსახლეობამ შეიტანა

წვლილი. დღესდღეობითაც ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში, როგორებიცაა ესპანეთი, იტალია, სლოვაკეთი და ხორვატია, კვლავ მიმდინარეობს ამ ბუნებისათვის საზიანო, მტაცებელ ცხოველთა რაოდენობის შემცირება. სკანდინავიურ ქვეყნებშიც მგელი ძალიან არაპოპულარულია და რამოდენიმე ათეულია სულ აღწერილი. მაგალითად 2008 წლის შვედური „მტაცებელ ცხოველთა ცენტრი“-ს მიერ ჩატარებული აღწერითი სამუშაოების მიხედვით შვედეთსა და ნორვეგიაში სულ 180 მგელია დაფიქსირებული. 2010 წელს კი „WWF“ – „ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის“ მიხედვით აღმოსავლეთ გერმანიის ბუნდელსლანდებში 3-დან 5 ერთეულამდეა ამ ცხოველთა რიცხვი დასული. ავსტრიაში კი შედარებით მეტი, 100 ერთეულს შეადგენს. თუმცაღა მონადირეებსა და იეგერებს რომ ჰკითხოთ გიპასუხებენ რომ ავსტრიაში მგელი საერთოდ აღარ გვყავსო. წარმოგიდგენთ ქვეყნების იმ არასრულ სიას, სადაც ჩამოთვლილია ცხოველების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით მე-20 საუკუნის მიწურულს „გერმანული ასოციაცია მგლების კვლევითი ცენტრი“-ს მიერ ნაჩვენებ მონაცემებზე დაყრდნობით:

ქვეყანა	მგლების რაოდენობა
საფრანგეთი	80
პორტუგალია	300
გერმანია	25-30
იტალია	500
შვეიცარია	3
საბერძნეთი	400
ხორვატია	50
სლოვენია	30
მონტენეგრო	400
სლოვაკეთი	500
ჩეხეთი	10-20
პოლონეთი	550
ფინეთი	190
შვედეთი	100
ნორვეგია	15

გერმანიისა და ავსტრიის თითოეულ, სტანდარტული ზომის სანადირო მეორნეობაში საშუალოდ 500-700 ჩლიქოსანი ბინადრობს, ხოლო ტყეებსა და არამიკერძოებულ ნაკვეთებში მათი რიცხვი 700-სს აღემატება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ ზემოთხსენებულ ქვეყნებში უამრავი მეორნეობა და დაცული ტერიტორიები არსებობს, მივიღებთ შედეგს რომ ცენტრალური ევროპის მონაკვეთში ათასობით და ათი ათასობით ჩლიქოსანი ბინადრობს. აი საქართველოში კი საპირისპირო და საგანგაშო მდგომარეობაა. ბოლო წლების აღწერილობით ჩვენთან უკვე დაახლოებით 5.000-სზე მეთი მგელი ბინადრობს. გამოდის რომ მათ გამოსაკვებად დღეში საჭიროა 20-დან 40-ტონამდე ხორცი! ეს საგანგაშო ციფრია, რომელიც მოსახლეობამ თუ შესაბამისმა უწყებებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. რაც შეეხება ჩლიქოსანთა რიცხვს, ის პირიქით საგრძნობლადაა შემცირებული. 90-იან წლებში საქართველოში დაახლოებით 2500-მდე ირემს და მიახლოებით 10.000-მდე შველს ითვლიდნენ. დღესდღეობით ეს რიცხვიც შემცირებულია და ირემთა რაოდენობა დაახლოებით 500-მდეა დაყვანილი. რაც შეეხება შველს, ის ფაქტიურად განახევრებულია. რათქმაუნდა აღნიშნული პრობლემა გამოწვეულია ბრაკონიერების მიერაც, რომლებიც არაკანონიერი ქმედებებით სპობენ და ანადგურებენ ისედაც განადრუგების პირას მყოფ ცხოველთა ამა თუ იმ ჯიშს. რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დანარჩენ ცხოველებზე, რომელსაც ერჩის მგელი, სრულიად საკმარისია ზემოთხსენებული გარემოებები, რათა შეწყდეს მგლის ექსპერიმენტალური სახით მომრავლება-მოშენება. ადამიანებისათვის ზიანის მომტანი ცხოველები ცალკე, შემოღობილ ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს და იქ უტარდებოდეს ექსპერიმენტი. ამ ძუძუმწოვარი, მტაცებელი ცხოველების ამგვარი წესით მოშენება დაახლოებით იგივეა რომ ტარაკნები, მორიელები ან ვირთხები ექსპერიმენტალური სახით ვინმემ გაამრავლოს და ისინი მოსახლეობაში გაავრცელოს. სხვათაშორის მგლების შემთხვევაში შესაძლოა დაგვიანებული რეაგირების შედეგად უარესიც რეალობის წინაშეც დავდგეთ, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი მავნე არსებების ზიანის მოყენებისას.

აღბათ ბევრისათვის საინტერესოა რა ხდება მეზობელ ქვეყნებში და კერძოდ კავკასიონის ქედზე. ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანაში, რუსეთში, მსგავსი ტიპის პრობლემები ჩვენსავით გადაუჭრელი და მოუგვარებელია. მათთან მგლების რაოდენობა 40 000 ერთეულს აღწევს, რაც რაღათქმაუნდა საგანგაშოა და უკვე ყოველგვარ საზღვრებს სცდება. თუმცაღა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ მათი ქვეყნის ტერიტორიების დიდი ნაწილი დაუსახლებელია და ჩვენთან შედარებით ჩლიქოსანთა საკითხიც გარკვეულწილად მოწესრიგებულია. ამასთანავე იქაური შესაბამისი ორგანოები მკაცრად აკონტროლებენ სიტუაციას და ძალისხმევას არ იშურებენ მათ გასანადგურებლად. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი ყველაზე აკრძალული ხერხი, ხაფანგით და საწამლავით ნადირობაც კი დაშვებულია ამ პარაზიტ ცხოველზე. რუსეთის მონადირეთა კავშირის თუ ფედერაციის პირველი პირები თვლიან რომ რაც უფრო ნაკლები მგელი იქნება ქვეყანაში, მით უფრო ნაკლები პრობლემა ექნებათ მათ უამრავ ასპექტში. ზემოთ მოყვანილი ციფრებისა თუ მაგალითების მიხედვით ხაზგასმით შეიძლება ითქვას რომ მგლების დახოცვის მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში არასოდეს გვექნება ამ მტაცებლის დეფიციტი, ვინაიდან და რადგანაც კავკასიონის მხრიდან ყოველთვის გადმოდიოდნენ მგლის ხროვები და შესაბამისად მომავალშიც ვერ შეწყდება მათი ნაკადი.

ამ ყოველივეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თან ერთვის ის გარემოებაც რომ შველს, ირემს და ზოგადად ჩლიქოსნებს მონადირეებიც ხოცავენ, ხოლო მგლის მოკვლა აკრძალულია და რაგდანაც მისი ხორცი საკვებადაც უვარგისია, მათ მოკვლას და ჯარიმების გადახდას მონადირეები ერიდებიან. არადა მსგავსი საგანგაშო სიტუაციების დროს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტებზე პრემიალური გადასახადები იყო დაწესებული მგლების განადგურებაზე. იმავე ტიპის პრემიები არსებობდა გაკრვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოშიც. მგლის მოკვლის შემდგომ კი მონადირე აბარებდა ტყავს და ღებულობდა შესაბამის გასამრჯელოს. ამით მოგებული რჩებოდა ორივე მხარე. ამჟამად ჩვენთან მგლის მოკვლა აკრძალულია შესაბამისი საკმაოდ ძვირიანი ლიცენზიის არ არსებობის შემთხვევაში. გასათვალისწინებელია რომ მგელი ჩლიქოსნებთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანადგურებს სხვა და ხვა ჯიშის უამრავ ცხოველებსაც... შესაბამისად ნადგურდება ფლორა, ფაუნა და ზოგადად ბუნებასა და საუკუნეების განმავლობაში ნაღვაწს, მოკლე ხანში ესმება ხაზი და ჩანაგდება ის, რაც აუცილებელია გადარჩენისათვის.

დღესდღეობით ცეცხლსასროლი იარაღის უამრავი სახეობა არსებობს. მისი დანიშნულება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ქართული კანონმდებლობის დანახმად, იარაღი არის მოწყობილობა ან საგანი, რომელიც კონსტრუქციულად განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დაზიანებისა და განადგურებისათვის. რაც შეეხება კონკრეტულად ცეცხლსასროლ იარაღს, ის წარმოადგენს მოწყობილობას, რომელშიც ჭურვი (ტყვია) ან საფანტის ჭურვები ბიძგს იღებს/იწყებს მოძრაობას ფეთქებადი ნივთიერების აფეთქების შდეგად წარმოქმნილი აირის ზემოქმედებით და განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან მექანიკური დაზიანებისა ან განადგურებისათვის. არსებობენ სამოქალაქო დანიშნულების, სამსახურეობრივ-საშტატო – „ტაბელური“ და სამხედრო-საბრძოლო იარაღები. სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის დანიშნულებაა სანადირო და სპორტული მიზნით მისი გამოყენება. რათქმაუნდა ხშირია ასეთი ტიპის იარაღის თავდაცვის ან საკოლექციო მიზნით შეძენა – გამოყენებაც.

თავად ცეცხლსასროლი იარაღი სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება დავყოთ. ერთ-ერთი ასეთი ტიპის განზოგადების შემთხვევაში ისინი ორ სახეობად იყოფიან. ***ხელის, (მაჯის) ანუ მოკლე*** იარაღებად და ***გრძელ/გრძელლულიან, მხარზე საბჯენ*** იარაღებად. სხვადასხვა ქვეყანას რა თქმა უნდა განსხვავებული კანონმდებლობა აქვს აღნიშნული ორი სახეობის ურთიერთ განსხვავების შესახებ. თუმცაღა ის სახელმწიფოები, რომლებიც ლიდერები არიან ზემოთხსენებული სფეროს წარმოებაში, ძირითადათ მსგავსი – ანალოგიური წესები გააჩნიათ. გერმანული კანონმდებლობაში, კერძოდ კარლ ჰაინც მარტინის საგამოცდო წიგნში ნათლადაა ასახული განმარტებითი აღწერილობა ზემოთხსენებული, ორივე ტიპის იაარღების შესახებ.

გერმანიაში ***გრძელ იარაღად*** ითვლება მოწყობილობა, რომლის ლულა და საკეტი მექანიზმის ერთობლივი სიგრძე 30 სანტიმეტრს აჭარბებს ან რომელთა საერთო სიგრძეც 60 სანტიმეტრზე მეტია. ასეთი ტიპის იარაღები თავადაც იყოფიან სამ კატეგორიად. 1. ***შაშხანები*** ერთი ან მეტი ხრახნიანი ლულით. 2. ***თოფები*** ერთი ან მეტი გლუვი ლულით – ტყვია-საფანტის მსროლელი ლულებით ან იშვიათ შემთხვევებში სპეციფიკური ხრახნიანი ლულებითაც. 3. ***კომბინირებული იარაღები***, რომელთა გლუვი (თოფის) და ხრახნიანი (შაშხანის) ლულა ან ლულების ერთობლიობა სურვილისამებრ საფანტის, ტყვიის ან ჭურვის გასროლის შესაძლებლობას იძლევა.

ფაქტიურად ყველა დანარჩენი სიგრძის მოდელი ხელის იარაღს განეკუთვნება. ისინი ორ ჯგუფად იყოფიან, ***ფისტოლეტებად*** და ***რევოლვერებად***. თავად ფისტოლეტები სამი ქვესახეობის არსებობს. ა) ერთლულიანი, ერთჯერადად მტენი ვერსიები (მჭიდის გარეშე). ბ) ორი ან მეტ ლულიანი ერთჯერადად-მტენი ვერსიები. გ) მრავალჯერადად მტენი ვერსიები, რომლებიც შეიძლება იყვნენ მექანიკური წესით მტენი (ტარქვეშა ბერკეტით მტენი) მოდელები, ნახევრადავტომატური მოდელები და სრულად ავტომატური მოდელები.

გრძელ იარაღებშიც არსებობს ზემოთხსენებული ტიპის დახასიათებითი განმარტებები. თითქმის ანალოგიური, თუმცა ოდნავ სახეშეცვლილი. ერთჯერადადმტენი იარაღი წარმოადგენს მოწყობილობას ერთი ან მეტი ლულით, მჭიდის გარეშე, რომელსაც ყოველი გასროლის შემდგომ ესაჭიროება ხელით სავაზნეში მზა ვაზნის მიწოდება. მაგ: გადასახსნელ ლულებიანი თოფები ან შტუცერები. მრავალჯერადადმტენი იარაღი წარმოადგენენ მოწყობილობას, რომელთაც გააჩნიათ მჭიდი და რომელთა გამოყენების შემთხვევაშიც შესაძლებელია გასროლის შემდგომ მრავალი ვაზნის სავაზნეში სწრაფი წესით (მჭიდიდან) მიწოდება. ასეთი ტიპის იარაღებია მექანიკური წესით მტენი ვერსიები (ცილინდრული საკეტის მქონე ან ბერკეტით მტენი მოდელები) და თვითმტენი ვერსიები. ძალზედ საინტერესოა ამ უკანასკნელის, ანუ თვითმტენი იარაღების არსი. აღნიშნული ცნება მოიცავს როგორც ნახევრადავტომატურ, ისე ავტომატურ იარაღებს. სრულად ავტომატური იარაღებია (ავტომატები) ცეცხლსასროლი საშუალებები, რომელთა სასხლეტზე ერთი გამოკვრის შემდგომ ისინი თავად ასრულებენ გადატენვის პროცედურას და სასხლეტზე თითის აუღებლად ერთი და იგივე ლულიდან ახდენენ მრავალჯერად გასროლას. ასეთი ვერსიები სამოქალაქო გაყიდვებშია უიშვიათეს შემთხვევებში გვხვდება მსოფლიოს რამოდენიმე, ძალიან ჰუმანური კანონმდებლობის მქონე ქვეყნებში და ძირითადათ (ტყვიამფრქვევი, ავტომატი ა.ს.შ.) საბრძოლო დანიშნულებისამებრ გამოიყენება.

ყველაზე მთავარი, გამოცდილი და პრაქტიკული სანადირო დანიშნულების იარაღი გახლავთ თოფი. მასში ერთ, მასიურ ტყვიასთან ერთად, შესაძლებელია ჩაიდოს და გასროლილ იქნას სხვადასხვა ზომის ტყვიის ბურთულები. გააჩნია რომელ ფრინველსა თუ ცხოველზე გვიწევს ნადირობა. საჭიროებისამებრ მის ვაზნაში შესაძლოა ჩაიყაროს ძაან წვრილი, 1,5 მილიმეტრის სისქის 28 ან 30 გრამიანი წონის საფანტი. ალბათ ადვილი მისახვედრია რომ ტყვიის ბურთულების რაოდენობა ამ შემთხვევაში ძაან ბევრია და შესაბამისად ადვილდება მიზანში მათი მოხვედრა, შესაბამისად ნადირობაც. ამას გარდა შესაძლოა ტყვიის, ან ფოლადის ბურთულის დიამეტრიც ბევრად აღემატებოდეს აღნიშნულ ციფრს და ვაზნაში 30-ის ნაცვლად 56 ან სულაც 65 გრამი საფანტი ჩაყარონ.

თოფი ზოგადად შეიძლება იყოს ცალლულიანი ან მრავალლულიანი. მას ლულა ძირითად შემთხვევებში გლუვი აქვს ხოლმე. თუმცაღა არის გამონაკლისები ***პარადოქსის*** (ჩოკის ტიპის ხრახნი გაკეთებული სანათურში) და მთლიანი ხრახნის სახით. თოფი კონსტრუქციულად გათვალისწინებულია ორი ხელით ჭერისას მხარზე მისაყრდნობათ, სასროლად მიმართულებით წინ. მრავალლულიანის შემთხვევაში თითოეული ლულის სავაზნეში ჩადის მხოლოდ ერთი ვაზნა. აგრეთვე შესაძლებელია ის იყოს ერთ ლულიანი, ბერკეტით მტენი ან თვითმტენი ვერსია და მასში მჭიდის მეშვეობით ჩადიოდეს 5, 9 ან თუნდაც 15 ვაზნა. ამ შემთხვევაში ვაზნების რაოდენობა დამოკიდებულია მჭიდის ტევადობაზე. ამგვარ იარაღს ლულის ბოლოში, ანუ იგივე სანათურში აქვს ფიქსირებული ან ცვლადი ჩოკები. სტანდარტულად ისინი ჩახრახნის შემდგომ არ ჩანან და იმალებიან ლულაში. დამაგრძელებელი ჩოკების შემთხვევაში კი გრძელდება ლულის სიგრძე, შესაბამისად თოფისაც და ჩოკური შევიწროების მქონე ლეგირებული ფოლადის მილები სცდებიან ლულის ღრუს ისე, რომ ისინი ჩანან ვიზუალურად და ამავდროულად უფრო ეფექტურად და სრულყოფილად ასრულებენ თავისზე დაკისრებულ მოვალეობებს. თოფი განსხვავებული ყალიბის არსებობს. თუ არ ჩავთვლით ცალკეულ აღმოჩენებსა და ცდების დროს შექმნილ ზომებს,

სერიულად ნაწარმოებია 10 განსხვავებული ყალიბი. ისინი ერთმანეთისაგან ზომებით განსხვავდებიან. მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია 12 ყალიბი. წიგნში წარმოგიდგენთ ცხრილს, სადაც ნაჩვენებია მათი ნუმერაციული სახელწოდებები და შესაბამისი ზომები. აგრეთვე წარმოდგენილია ცხრილი, სადაც შეიძლება იხილოთ ჩოკური შევიწროებების აღწერილობა, მათი სახელწოდებები და ზომები. თუმცაღა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძალიან ბევრ იარაღის მწარმოებელი კომპანია საკუთარ, სპეციფიკური ტიპის სავაზნეებს ამზადებს და ზომებიც შესაბამისად აღარ ემთხვევა ხოლმე ცხრილში მოყვანილ ციფრებს. მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია მილიმეტრის მეათედებზე.

ყალიბი	ანალოგი ვერსია	ლულის დიამეტრი (მმ)
36	**.410“**	**10-10,2.**
32	**.50**	**13,4.**
28	**-**	**13,8.**
24	**-**	**14,71.**
20	**-**	**15,5-დან 15,7**
16	**-**	**16,8**
12	**-**	**18,2-დან 18,5**
10	**-**	**19,3**
8	**.-**	**მიახ. 20.9-21.**
4	**-**	**მიახ. 24-26.**

ამ დრომდე ნაწარმოები გლუვლულიანი იარაღის ყალიბებედან წარმოგიდგენთ მათ სიას და მცირედ ანოტაციას, რომლებიც სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს და დაამზადეს.

საფანტის ნომერი: №	საფანტის დიამტერი: (მმ)
1	**4**
2	**3.75**
3	**3.5**
4	**3.25**
5	**3**
6	**2.75**
7	**2.5**
8	**2.25**
9	**2**
10	**1.8**
11	**1.65**
12	**1.5**

ყალიბის განურჩევლად ყველა ვაზნას აქვს გარკვეული ნომერი, რომლის მიხედვითაც მონადირეები თუ სპორტსმენები გამოიყენებენ მას კონკრეტული მიზნების განსახორციელებლად. მსოფლიოში რამოდენიმე განსხვავებული სტანდარტები არსებობს, როლებიც განსაზღვრავენ ჰილზში არსებული საფანტის ზომას, მის დიამეტერს. სწორედ ზომის მიხედვით ხდება შემდგომ მათთვის ნუმერაციის მინიჭება. ჩვენს ქვეყანაში ძირითადად ხორციელდება ევროპული ვაზნების იმპორტი და შესაბამისად გაყიდვებიც. თუმცაღა გარკვეული პერიოდის განმავლობაში რუსული ან უკრაინული მოდელებიც შემოდიოდა საქართველოში. ამჟამად კი ევროპულთან ერთად ამერიკული, შტატებში წარმოებული ამუნიციაც მრავლად გვხვდება. იქიდან გამომდინარე რომ ამ სფეროში ევროპა და მისი სტანდარტები ყველაზე კომპეტენტურია, წარმოგიდგენთ მათი სტანდარტების მიხედვით საფანტის ზომებსა და მის შესაბამის ნომრებს.

სასროლი მანძილი: (მმ)	გაფანტვის წრეთაშორისი დიამეტრი (მმ)
10	**0.7**
20	**1.5**
30	**2.5**
40	**3.8**
60	**7**
80	**11**
100	**17**
140	**38**
180	**80**

გლუვლულიანი თოფიდან გასროლილი ვაზნის ფრენის მანძილი დამოკიდებულია პირველ რიგში მის ზომა-წონასა და საწყის სიჩქარეზე – V0-ზე. არსებობს კანონი, თუ როგორ უნდა გავარკვიოთ ფრენის მაქსიმალური მანძილი საფანტის დიამტერის მიხედვით. საფანტის დიამტერი უნდა გავამრავლოდ ასზე (100-ზე) და მივიღებთ იმ ციფრს, რომელიც აღნიშნავს გასროლილი ტყვიის ფრენის მაქსიმალურ მანძილს. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ამ დროს თოფიდან გასროლისას 25° კუთხით უნდა იწარმოოს გასროლა და საშუალოდ საყწისი სიჩქარე უნდა შეადგენდეს 400 მ/წმ-ს. ამ შემთხვევაში, თუ საფანტის დიამტერი 2,5 მილიმეტრია, ფრენის მანძილი იქნება 250 მეტრი, 3 მილიმეტრის შემთხვევაში 300 მეტრი, 3,5 მილიმეტრის შემთხვევაში 350 მეტრი და ასე შეემდეგ... რაც შეეხება ტყვიას, მისი გასროლისას ბევრად მეტი სიფრთხილე მართებს მსროლელს, რომელმაც სავარაუდოდ 1400 მეტრზე უნდა დაიცვას უსაფრთხოების წესები, რამეთუ 12 ყალიბიანი ტყვიის ფრენის მაქსიმალური მანძილი მიახლოებითი ზემოთხსენებული ციფრია. საფანტის შემთხვევაში ჰორიზონტალურად გასროლისას ტყვიის ბურთულები ჰაერში ადიან დაახლოებით 100-დან 175 მეტრამდე. ტყვიის შემთხვევაში კი უფრო შორსაც. ზოგადად დედამიწიდან დაცილების მაქსიმალური მანძილი 2 მილიმეტრიდანდან 4 მილიმეტრამდე ზომის საფანტის გასროლის შემთხვევაში შეადგენს 120-დან 210 მეტრს. ხოლო ტყვიის გასროლის შემთხვევაში 850 მეტრს.

საფანტის სროლისას გაფანტვის წრეთაშორისი დიამეტრი რათქმაუნდა განსხვავებული ზომის შეიძლება იყოს. ის დამოკიდებულია როგორც თავად ვაზნის თითოეულ კომპონენტზე, ისე ლულასა და მის ჩოკურ შევიწროებაზე. თუმცაღა წარმოგიდგენთ ბატონი კარლ ჰაინც მარტინის წიგნის მიხედვით საშულოდ იმ ზომებს, რომლებიც თოფის გასროლის შედეგად შეიძლება მივიღოთ გარკვეულ დისტანციებზე: ზოგადად ბალისტიკური მონაცემების გარკვევისა და გასინჯვის მიზნით ცხრილში ნაჩვენებ მანძილებზე არ ხორციელდება ხოლმე გასროლა. ამ დროს ხუთ განსხვავებულ დისტანციაზე, 10, 15, 25, 35-სა და 55 მეტრზე ხდება საფანტის გასროლა და მისი გაფანტვის წრეთაშორისი დიამეტრის ზომის გარკვევა.

იარაღის ზოგადი დახასიათება

იარაღის ლულა არის ფოლადის ის მონაკვეთი, სადაც გაკეთებულია ხრახნი, რომელშიც მოძრაობს გასროლილი ტყვია. ლულის უკანა ბოლო გახლავთ სავაზნე, იგივე სავაზნე კოლოფი, სადაც თავსდება ვაზნა, რათა შემდგომში მოხდეს მასზე ნემსის დარტყმის შედეგად სროლის წარმოება და ვაზნაზე ზემოდან (წინიდან) დამაგრებული თავის – ტყვიის – ჭურვის ლულის გავლით გასროლა. ჩვენში ამ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სხვადასხვა სლენგის სახით შემოსული სიტყვები არსებობს. ერთერთი რუსულიდან გადმოქართულებული სიტყვა „პატრონიკი“. სავაზნის სიგრძე შაშხანების შემთხვევაში უამრავი ზომის შეიძლება იყოს ყალიბის შესაბამისად. გლუვლულიანი ვერსიების შემთხვევაში კი სერიულად მხოლოდ 4 ზომის სავაზნე არსებობს (ძირითადათ 12 კალიბრის შემთხვევებში) 65-70-76-89 მილიმეტრი სიგრძეების. რა თქმა უნდა არსებობს არასტანდარტული ვერსიებიც, რომლებიც დღესდღეობით სერიულ წარმოებაში არ არის.

ამჟამინდელი თაობის ლულების შიდა ფორმა განსხვავებული ტიპის არსებობს. ერთ-ერთი სახეობაა თოფები, იგივე ტყვია-საფანტის სასროლი იარაღები, რომელთაც ლულის შიდა მხარე ძირითადათ გლუვი აქვთ. მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყალიბის მიუხედავად ლულის ბოლო ნაწილი (პარადოქსი) ან \მთლიანი ლულაც შაშხანის მსაგვსათ ხრახნიანი აქვთ. მათი დაბოლოებები, ადგილი სადაც ყველაზე მეტი გაზი გროვდება გასხვავებულია იმის მიხედვით, თუ რაზე ნადირობა გვსურს და რა ნომერ საფანტს ვისვრით. არსებობს ფიქსირებული შევიწროებები და არაფქსირებული, ანუ ცვლადი სახრახნები, რომელთაც ჩოკებს უწოდებენ. ისინი განსაზღვრავენ საფანტის გაშლის ტრაექტორიასა და მანძილს. უამრავი სახეობის ჩოკი არსებობს. ზოგიერთი მათგანი აგრძელებს ლულას. ასევე წარმოებაშია დამაგრძელებელი, რომელზეც არის 9, 10 ან 11 მოდიფიკაციის ჩოკები და ხელით დატრიალების შედეგად შესაძლებელია შევიწროების შეცვლა. წარმოგიდგენთ ჩოკების სტანდარტული ზომების ჩამონათვალს, რომლებიც სხვა და სხვა კომპანიებისა და ქვეყნების მიერ სხვა და სხვაგვარად აღინიშნება:

არასტანდარტული ზომის ჩოკებიც მრავლად შეიძლება შეგვხვდეს. ხშირ შემთხვევაში ხდება მათი პროფესიონალი ოსტატების მიერ კუსტარულად დამზადება. იწარმოება სპორტული ვერსიები და ნაკლებად პოპულარული ჩოკებიც, რომლებიც წარსულში იყო პოპულარული და ვერ აჰყვა ტენდენციას, ან უბრალოდ არასდროს ყოფილა ფართედ გავრცელებული და მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის იარაღებისათვის კეთდებოდა. 1. ჩოკი ცილინდრული ჭრილით. 2. ჩოკი გაუმჯობესებული ცილინდრული ჭრილით. 3. ჩოკი გაფართოებული ჭრილით. 4. ჩოკი სპორტული, სკიტის (SKEET) ტიპის ჭრილით. (გამოიყენება „მრგვალ“ სასროლეთზე) 5. ჩვეულებრივი ჩოკური შევიწროების ჭრილი. (მაგ. სრული ჩოკი – 1.0) 6. ჩოკი პარადოქსული ჭრილით (ხრახნით) ტყვიის სასროლად.



მეორე სახეობაა ტრადიციულად ნაჭედი-გამოწრთობილი, ან ცივად დამზედბული დაპრესილი ხრახნიანი ლულები, რომლის ჭრილსაც სპირალისებური ფორმა აქვს. (იხ. მე-2 სურათზე). როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, B ფუნქტი განსაზღვრავს მატარებელ, მამოძრავებელ მასას – ღარს. ანუ ესაა დიამეტრული მანძილი ჭრილების სიღრმეებს შორის, რომლის ზომაც აღემატება, აჭარბებს A პუნქტის დიამეტრალურ მანძილს – ველს. თავად A პუნქტის ზომა კი ყოველთვის არის შედარებით ვიწრო, მცირე დიამტერის მქონე, ვიდრე კონკრეტული იარაღის ყალიბის ზომა. დღევანდელი, პრეტენზიული ბაზარი მოითხოვს ლულის დამზადების უმაღლეს ხარისხსს. ის უნდა იყოს საკმარისად მყარი, რათა გაუძლოს ათასობით ბარის წნევის ზეწოლას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ზედმეტად მყარი. დამუშავებული უნდა იყოს ჟანგისა და კოროზიის საწინააღმდეგო წესით. ხრახნი შესრულებულ უნდა იყოს მაქსიმალური სიზუსტით. კიდევ სხვა ათასობით კომპონენტი არსებობს რაც უნდა უნდა გაკეთდეს აუცილებლად, რათა ელემენტარულად მწარმოებელს მიეცეს იარაღის ან ლულების წარმოების სერთიფიკატი სახელმწიფოსაგან.

რაც შეეხება მესამე ტიპს, ის განეკუთვნება ხრახნიანი ლულების კატეგორიას. მან დროთა განმავლობაში განიცადა გარკვეული ცვილებები და ამჟამად სახეზეა ვერსია პოლიგონალური ლულის სახით. ის გამოირჩევა მეტი ამტანობითა და რესურსით, წარმოქმნის და ხელს უწყობს აირების სიჩქარის მატებას. მისი გაწმენდა ბევრად ადვილია ვიდრე ჩვეულებრივი ხრახნილი ლულისა.

ტექნოლოგიების დახვეწასთან ერთად, თავისთავად დაიხვეწა ლულების დამზადების თეორიები და ხარისხი. ადრე თუ ფოლადის გაცხელების გარეშე ვერ ამზადებდნენ ლულებს, ახლა ის ცივად დამზადების წესის გამოყენებით კეთდება და ხშირ შემთხვევებში ბევრად გამძლე და კარგი ბალისტიკური მონაცემების მაჩვენებელია, ვიდრე ჩვეული წესით გამოწრთობილი ლულები. ამ ტიპის დამზადების განსხვავებული ხერხები არსებობს. არის ვაკუუმის წესის გამოყენებით დაპრესილი ლულები, კეთდება აგრეთვე უბრალო დაპრესვის მეთოდითაც, როდესაც ჩაქუჩისებრი სპეციფიკური დეტალი-რკინა (ძალზედ მყარი) თანმიმდევრულად იწყებს ლულის ბოლოდან პრესვას და გადის ლულის თავში, სავაზნემდე, რომელიც

დღეს დღეობით საბრძოლო, სამოქალაქო, სპორტული თუ სანადირო იარაღები ცალკეულ კლასიფიკაციებად იყოფიან.

სანადირო იარაღების კლასიფიკაცია

1. ცალლულიანი – იარაღი ერთი გლუვი ლულით.
2. ორლულიანი – იარაღი ორი პორიზონტალური გლუვი ლულით.
3. ორლულიანი – იარაღი ორი ვერტიკალური გლუვი ლულებით.
4. ცალლულიანი შტუცერი – იარაღი შედარებით მცირე, სანადირო, ხრახნილი ყალიბით, ზუსტი სროლისათვის.
5. ორლულიანი შაშხანა – იარაღი ორი პორიზონტალური, ხრახნილი ლულებით, რომელსაც ლულების პირზე აქვს გაზების რეგულირების თვისება.
6. კომბინირებული ორლულიანი – იარაღი პორიზონტალურად მდებარე ერთი ხრახნილი და ერთი გლუვი ლულით.
7. ორლულიანი შაშხანა – იარაღი ორი პორიზონტალური, ხრახნილი ლულებით.
8. ცალლულიანი შაშხანა – იარაღი ერთი ხრახნილი ლულით.
9. ორლულიანი კომბინირებული შაშხანა – ზმის შტუცერი – იარაღი ორი ვერტიკალური, ხრახნილი ლულებით (მცირე და მსხვილ კალიბრებით)
10. კომბინირებული ორლულიანი – იარაღი ვერტიკალურად მდებარე ერთი გლუვი და ერთი ხრახნილი ლულით.
11. ორლულიანი შაშხანა – იარაღი ორი ვერტიკალური, ხრახნილი ლულებით.
12. დრილინგი – იარაღი ორი გლუვი და ერთი ხრახნილი ლულებით.
13. შაშხანა დრილინგი – იარაღი სამი ხრახნილი ლულით.
14. დრილინგი-ზმის შტუცერი – იარაღი ერთი გლუვი, ერთი ხრახნილი და ერთი მცირე ხრახნილი ყალიბის (შტუცერი) მქონე ლულებით.
15. საფანტის - გლუვი დრილინგი – იარაღი სამი გლუვი ლულით.
16. კომბინირებული დრილინგი – იარაღი ერთი გლუვი და ორი ხრახნილი ლულებით.
17. ოთხლულა (ფორლინგი) – იარაღი 4 გლუვი ლულით.
18. შაშხანა – ნახევრადავტომატური, თვითმტვენი იარაღი ერთი ხრახნილი ლულით.
19. შაშხანა – მჭახიკურ საკეტიანი იარაღი ხრახნილი ლულით.
20. თოფი – სპეციალური ოთხლულა (ფორლინგი).
21. სპეციალური ოთხლულა (ფორლინგი) - ორი გლუვი, ორი მსხვილკალიბრიანი, ხრახნიანი და ერთიც მცირეკალიბრიანი ხრახნიანი ლულებით.
22. სპეციალური კომბინირებული დრილინგი – ხრახნილი, ორი მსხვილი და ერთი მცირეკალიბრიანი ლულებით.
23. სპეციალური დრილინგი (შტუცერი) – ორი გლუვი და ერთიც ხრახნიანი ლულებით.
24. სპეციალური ხუთლულა.
25. შპეციალური ოთხლულა (ფორლინგი) – მსხვილკალიბრიანი და მცირეკალიბრიანი ლულებით.





ლულის საწყისი და საბოლოო მდგომარეობა ვაკუუმში მზადებისას

მსაგვს შემთხვევებში ძირითადათ ლულასთან ერთად მზადდება. რაც ყველაზე კარგი და აღსანიშნავია, ზემოთხსენებული მეთოდის გამოყენების დროს ხდება მოლეკულების ერთმანეთთან მჭიდრო შეჯგუფება, რაც ხელს უწყობს სწორედ რომ ამტანობასა და ზუსტ სროლას. სურათზე ნაჩვენებია ლულა და მოლეკულების დაჯგუფება დაპრესვამდე და დაპრესვის მერე.

თანამედროვე ლულების შემადგენლობის გარკვეულ ნაწილს წარმოადგენს კოლენდიოქსიდი, ანუ ნახშირბადი. მომავლისათვის დაგეგმილია ბევრად უფრო მსუბუქი და გამძლე ლულების დამზადება, რომლის შემადგენლობაშიც, რაც არ უნდა საკვირველი იყოს, უნდა გამოიყენონ კერამიკა.

სანადირო შაშხანებისათვის თუ თოფებისათვის იწარმოება სპეციფიკური, განსაკუთრებული ფორმისა და ზომის, ლულები. კონუსური ლულები, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოცადეს, განსაზღვრული იყო მაქსიმალური საწყისი სიჩქარის მისაღწევად. ამასთანავე უკვე დიდი ხანია რაც გამოგონილია ცვლადი – დამატებითი ლულები. თითოეულ მათთაგანს კი გააჩნია ინდივიდუალური მონაცემები და შესაბამისად ინდივიდუალური ბალისტიკა.

ბალისტიკა

ბალისტიკა ბერძნული სიტყვიდან, ballein-იდანაა ნაწარმოები, რომელიც სროლას, გადაგდებას ნიშნავს. ბალისტიკა განსაზღვრავს სწავლებას სროლის შესახებ, ანუ სწავლებას ტყვიის მოძრაობის შესახებ. ის მოიცავს ყველა იმ პროცესს, რომელიც სროლისას ხორციელდება. ერთმანეთისაგან განასხვავებენ 4 ბალისტიკურ ტიპს. ესენია;

1. შიდა ბალისტიკა,
2. სანათურის ბალისტიკა,
3. გარე ბალისტიკა
4. სამიზნე ბალისტიკა.

შიდა ბალისტიკა განსაზღვრავს ლულაში განვითარებულ პროცესებს აფეთქებიდან, ანუ დენთის აალებიდან ტყვიის მიერ ლულის პირის ღრუს, იგივე სანათურის დატოვებამდე. ანუ ის მოიცავს დროს, ნემსის ფისტონზე დარტყმიდან გასროლილი ტყვიის ლულის მთავარი ჭრილის დატოვებამდე. ეგრედ წოდებული „ოფენზიური დენთის“ შემთხვევაში ეს დრო დაახლოებით 0,002 წმ = 2 მ/წმ-ია ხოლმე. „პროგრესიული დენთის“ შემთხვევაში კი დაახლოებით 0,003 წმ = 3 მ/წმ. ჰილზში აფეთქების შედეგად იწვის დენთი და ლულაში წარმოიქმნა დაახლოებით 3000 °C-მდე ტემპერატურა და საგრძნობლად მაღალი წნევა. ერთი (1) გრამი ნიტროცელულოზური დენთი აფეთქების შედეგად წარმოქმნის 1 ლიტრ გაზს. ყოველ მხრივ მოქმედი აირების წნევის შედეგად (შაშხანების შემთხვევაში საშუალოდ 4700 ბარი, გლუვლულიანების შემთხვევაში საშუალოდ 1050 ბარი) ტყვია სცილდება ჰილზს და გადადის სავაზნიდან ლულაში არაროტაციული სვლით. ხრახნლულიანი იარაღების შემთხვევაში აღნიშნული პრცესის შემდგომ ტყვია იწყებს ბრუნვას და მიემართება მიზნისაკენ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხრახნის სიგრძეს, მათ რაოდენობას, გაჭრის ხარისხსა და სავაზნის ზომებს (განსაკუთრებით გადასვლის ადგილში, სადაც იწყება ხრახნი ან უბრალოდ გლუვი ლულა).

სანათურის, ანუ ლულის პირის ღრუს ბალისტიკა განსაზღვრავს პროცესებს და მოვლენებს ტყვიის ლულიდან, კერძოდ მისი პირის ღრუდან გასვლისას, როდესაც ტყვია ტოვებს ლულას, მასში აიარების წნევა შაშხანების შემთხვევაში შეადგენს დაახლობით 500 ბარს, ხოლო თოფების შემთხვევაში დაახლოებით 50 ბარს. ასეთი ძლიერი შეკუმშვა ნასროლის უკან წარმოქმნის დარტყმით ტალღებს, რომელიც აღიქმება ლულის პირის ღრუს რხევად – პირის ღრუში აფეთქებად. ამ პროცესების შემდგომი გამოვლინება გახლავთ ტყვიის ლულიდან გასვლის შემდგომ იარაღის გარკვეული ძალით უკუმიმართული მოძრაობა – ანუ

1/10 მმ (მილიმეტრის მეათედი)	ევროპული აღნიშვნა	ინგლისური აღნიშვნა	(აშშ) ამერიკული აღნიშვნა
0	CL	CYL	CYL
1	CL	CYL	CYL
2	●●●●	IMP.CYL	IMP. CYL
3	●●●●	1/4.	IMP. CYL
4	●●●●	1/4.	MODIFIED
5	●●●	1/2.	MODIFIED
6	●●●	1/2.	IMP. MOD.
7	●●	3/4.	IMP. MOD.
8	●●	3/4.	FULL
9	●	FULL	FULL
10	●	FULL	X-FULL
11	—	XFULL	X-FULL

ეგრედწოდებული იარაღის უკუცემა. რაც უფრო მძიმეა ვაზნა, რაც უფრო სწრაფია ის და რაც უფრო მსუბუქია იარაღი, მით უფრო ძლიერია უკუცემა. ამ არასასურველი პროცესის შესამცირებლად გამოიყენება პირის ღრუს მუხრუჭი, ეგრედწოდებული ალმაქრი – კომპენსატორი. მათი მეშვეობით გასროლის შედეგად წარმოქმნილი აიარები პირის ღრუსთან, ანუ სანათურთან საჭირო დროს ნაწილდებიან თანაბრად – გამოედინებიან სპეციალურად მათთვის გაკეთებული ხვრელებიდან გარეთ. შედეგად მცირდება უკუცემა.

გარე ბალისტიკა განსაზღვრავს პროცესებს ტყვიის ფრენისას, ანუ ლულის დატოვების შემდგომ კონკრეტული მიზნის მიღწევამდე. განსაკუთრებით მიზიდულობის ძალისა და ჰაერის, ქარის წინააღმდეგობრივ გამოვლინებების გავლენას ტყვიის ფრენის ტრაექტორიაზე. ტყვია სხვა და სხვა შემაფერხებელი გარემოებების არარსებობისას, მაგალითად უწონადო, უჰაერო სივრცეში ლულის გამოსვლიდან მიფრინავს პირდაპირ განსაზღვრელი სიჩქარით. მაგრამ დედამიწაზე არავის ძალულს მიზიდულობის ძალისა და ჰაერის ზეგავლენის უგულებელყოფა. შესაბამისად ამ ორი, ყველაზე მთავარი გარემოებების მიხედვით და გათვალისწინებით ხორციელდება თითოეული მიზანმიმართული გასროლა. მიზიდულობის ძალა შეიძლება ითქვას, უარაყოფითად მოქმედებს ტყვიის ფრენის ტრაექტორიაზე, რადგან იწვევს გარკვეული მანძილის გავლის შემდგომ მის დაბლა დაწევას და ბოლოს მიწაზე დაცემას. ჰაერში არსებული დამაბრკოლებელი პროცესები, იქნება ეს ქარი თუ სხვა, იწვევენ სიჩქარის შემცირებას, შესაბამისად სროლის მანძილის შემცირებას და ზოგ შემთხვევაში ტყვიის საფრენი ტრაექტორიის შეცვლას – ტყვიის გზიდან გადაყვანას. ეგრეთ წოდებული ტყვიის ბალისტიკური „გაბნევა“ გარკვეულწილად დამოკიდებულია გარე ბალისტიკაზე. მასში იგულისხმება ტყვიის გადახრა სასურველი, საფრენი ტრაექტორიიდან. ამის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს თავად იარაღი, გამოყენებული ვაზნა, მსროლელი ან ფრენისას წარმოქმნილი წინაღობები. გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, სპეციალური იარაღებისა, ფაქტორად არ არსებობს ისეთი იარაღი, რომელიც თანმიმდევრობითი სროლისას ვაზნებს ზუსტად ერთი და იგივე წერტილში გზავნის. ამგვარი გასროლის წარმოებისას ვლებულობთ წრეს ან წრეებს. ყველაზე პატარა წრეს, რომელშიც ტყვიებია ნასროლი – ჩასმული, „გაფანტვის წრეები“, უფრო ზუსტად კი ბალისტიკური გაფანტვის წრეების დიამეტრი ეწოდებათ. მაგალითის სახით შესაძლებელია ჩამოთვლა ამა თუ იმ იარაღიდან გასროლილი ტყვიის გადახრის ზოგადი-საშუალო მონაცემების. *მცირეკალიბრიანი ფისტოლეტებიდან: 2-3 სმ – 50 მეტრზე მსხვილკალიბრიანი ფისტოლეტებიდან – რევოლვერებიდან: 5-6 სმ – 50 მეტრზე „ჯიბის“ ფისტოლეტებიდან: 7-10 სმ – 30 მეტრზე მსხვილკალიბრიანი შაშხანებიდან: 5 სმ – 100 მეტრზე.*

რა თქმა უნდა „გაფანტვის წრეების“ ზომა დამოკიდებულია ვაზნების ხარისხსა და მათ შესაბამისობაზე იარაღთან მიმართებაში.

მიზნის ბალისტიკა (საბოლოო ბალისტიკა) განსაზღვრავს პროცესს ჭურვის, ტყვიის სამიზნეზე მოხვედრისა და შემდგომ სამიზნეში გავლისას. ამ დროს დადებითი შედეგისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ვაზნის თავის, ტყვიის – ჭურვის სახეობა, სტრუქტურული აგებულება, დიზაინი და ენერგია. სანადირო მოდელები ძირითადათ შედგებიან ტყვიისაგან. განსაკუთრებით ჭარბობს ტყვიის მასალა მაშინ, როდესაც ვაზნა ნაკლები ენერგიის და სიჩქარის მქონეა. შედარებით სწრაფი და ძლიერი ვაზნებისათვის მხოლოდ ტყვია აღარ გამოიყენება. ამ შემთხვევაში ჭურვებს ზედაპირულ ან შედარებით ღრმა საფარს უკეთებენ ხოლმე. საფარი შეიძლება იყოს სპილენძის, ეგრეთ წოდებული „ტომბაკის“ – ლეგირებული სპილენძის ან რკინის. ზოგადად განასხვავებენ სამი სახეობის ჭურვებს. ესენია: სრულად ტყვიის ჭურვი, საფარის მქონე ტყვიის ჭურვი (ამ შემთხვევებში ძირითადათ ტყვია მაინც ჩანს ხოლმე) და სრული საფარის მქონე ჭურვი. ეს უკანასკნელი ტიპი მთლიანად ჩასმულია სპეციალურ საფარში და ტყვიის ფერი საერთოდ არ ჩანს. ის ისე გამოიყურება როგორც საბრძოლო ვაზნა, რომელშიც ძირითად შემთხვევებში საერთოდ არ გვხვდება ტყვია. მისით უფრო ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოყვანაა გათვალისწინებული. სანადირო ვერსიებით კი ნადირის რაც შეიძლება ეფექტურად და დროულად მოკვდინება.



ცეცხლსასროლი იარაღების პირვანდელი მექანიზმები

დღევანდელი სახე ცეცხლასროლმა იარაღმა შვიდ საუკუნოვანი განვითარებისა და მეცნიერებისა თუ მეიარაღეების უზარმაზარი შრომის შედეგად მიიღო. თავდაპირველად გრძელი, ანუ მხარზე მიბჯენით მსროლი თუ მოკლე, ანუ ხელის მტევნის საშუალებით მსროლი იარაღები სხვანაირად გამოიყურებოდნენ და სხვა პრინციპებით მუშაობდნენ.

გრძელ თოფებში ყველაზე ადრეულ და ამასთანავე ბევრ ქვეყანაში საკმაოდ გავრცელებულ სისტემად ფითილიანი (პატრუქიანი) მექანიზმი სახელდება. მისი მიახლოებითი აღმოჩენის პერიოდად მე-15 საუკუნის დასაწყისი, 1430-1440 წლები ითვლება. ამგვარ ცეცხლსასროლ იარაღებს იმ დროისათვის მუსკეტებს უწოდებდნენ. თოფის ლულის თავში, კონხადის ყელთან ახლოს გაკეთებული იყო სპეციალური საფითილე, სადაც მოთავსებული იყო პატრუქი. სწორედ მისი გავლით ხდებოდა სავაზნეში ცეცხლის შეტანა. ფოტოზე აღბეჭდილი იტალიური მუსკეტი ზემოთხსენებული ტიპის მექანიზმით იყო აღჭურვილი. ის უცნობმა იტალიელმა ოსტატმა მე-16 საუკუნეში (1507-1582 წლებში) შექმნა, ჰერცოგ ფერნანდო ალვარეზ დე ტოლედოსათვის. იარაღის საკმაოდ



ფითილიანი (პატრუქიანი) მექანიზმი



დავინჩის მიერ აგებული გორგოლაჭისებრი მექანიზმის კონსტრუქცია



ბორბლისებრი – გორგოლაჭისებრი მექანიზმი



ბორბლისებრი – გორგოლაჭისებრი მექანიზმი

მძიმე რვა კუთხოვანი ლულის სიგრძე 140 სმ-ია, ხოლო მთლიანი სიგრძე 183 სმ. ამგვარი იარაღების მთავარი პრობლემა უამინდობა, წვიმა ან თოვლი გახლდათ. ასეთ ვითარებაში ფაქტიურად შეუძლებელი ხდებოდა მსგავსი სახეობის იარაღის სრულყოფილად გამოყენება. იმ დროის ოსტატები, მეიარაღეები თუ სხვა (მსგავსი) დარგის სპეციალისტები დიდ ხანს ფიქრობდნენ ამ პრობლემის მოგვარებაზე და ცდილობდნენ გამოეგონებინათ რაიმე ახალი, რითიც გადალახავდნენ არსებულ წინაღობას. შრომამ ნაყოფი გამოიღო და შეიქმნა ბორბლისებრი – რგოლიანი მექანიზმი. ზოგიერთ რუსულ ან შემდგომ რუსულიდან გადმოქართულ ლიტერატურულ ნაშრომში მას გორგოლაჭიან საკეტსაც უწოდებენ, რომელიც თარგმანის სახით გამომდინარეობს „როლიკისებრი სისტემიდან“. ძველად ამგვარ სისტემებს ძირითადათ ისეთი იარაღებისათვის იყენებდნენ, რომელთაც არკებუზები ეწოდებოდა. აღნიშნული მექანიზმის ერთ-ერთი სახეობის სქემატური მონახაზი და წერილობითი ცნობები მისი სტრუქტურული აგებულების შესახებ ლეონარდრო დავინჩიმ თავის წიგნში „ატლანტიკის კოდექსში“ – „Codex Atlanticus“ წარმოადგინა. იარაღის სისტემის თითქმის ნახევარი ფაქტიურად გარეთაა გამოტანილი. მარჯვენა მხარეს განთავსებულ სპეციალურად ბორბლისათვის განკუთვნილი გამღებით საათის მიმართულებით დატრიალების შედეგად სპირალისებრი ზამბარა დაიჭიმება და საკეტი გაიღება. შიგნით ვყრით დენთის შესაბამის დოზას. შემდგომ დავხურავთ საკეტს, სისტემის წინა ჩახმახისებრ დამცემს გადმოვწევთ უკან და მთლიანად დავკეტავთ. სასხლეტზე თითის გამოკვრისას ბორბალი დატრიალდება, ზამბარა დაიწყებს თავისზე დაკისრებული ფუნქციის შესრულებას და ჩახმახისებრი დამცემის თავზე დამაგრებული კაჟის ქვის რკინაზე დაცემის შედეგად წარმოიქმნება ნაპერწკლები, რაც შემდგომში იწვევს ცეცხლის წარმოქმნას და დენთის აალებას. სურათზე ოდნავ განსხვავებული ტიპის ***ბორბლისერბი***, იგივე ***რგოლიანი მექანიზმით*** აღჭურვილი თოფია წარმოდგენილი. უცნობმა ოსტატმა ის დაახლოებით 1640 წელს შექმნა. იარაღის მასიური, ხრახნიანი, რვაკუთხა ლულის სიგრძე დაახლოებით 66 სმ-ია, მთლიანი სიგრძე კი 97 სმ. იარაღი მთლიანად ჩუქურთბემში ზის და მდიდრულადაა გრავირებული და მოზარნიშებული. ლულისქვეშა თუ უკანა კონდახის ელემენტებად სპილოს ძვლებია გამოყენებული. გვერდით მხარეს კი ანგელოზების გამოსახულებები ამშვენებს. საინტერესოა კონდახის ბოლოში, მხრის საყრდენი ადგილის ქვედა მხარეს განთავსებული რკინის ბურთულა, რომელიც გათვალისწინებული იყო იმისათვის, რათა მსროლელს იარაღის დატენვისას არ დაეზიანებინა მისი ეს მონაკვეთი, როდესაც დგუშით ზემოდან დააწვებოდა და მიწას დააყრდნობდა მას.

რადგანაც ***ბორბლისებრი – რგოლიანი სისტემის*** დამზადება უფრო რთული იყო და საკმაოდ დიდ ხარჯებს უკავშირდებოდა, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა მის გაუმჯობესებაზე. შედეგად შექმნეს უფრო მარტივი და იაფიანი მექანიზმი, რომელსაც კაჟიანი მექანიზმი ეწოდება. ჩაქუჩისებრი დამცემი ჩახმახის ბრჭყალში ჩამაგრებული იყო კაჟის ქვა. ასეთ სისტემებს ძირითადათ „ტრომბლონებისათვის“ იყენებდნენ. ერთ-ერთი მათგანი სურათზეა წარმოდგენილი, რომელიც Durs Egg-ის მიერაა მე-19 საუკუნეში, ინგლისის დედაქალაქში, ლონდონში შექმნილი. ის საკმაოდ მოკლეა და მისი ლულის სიგრძე 33-ს მთლიანი სიგრძე 63 სანტიმეტრს შეადგენს. იარაღს მოვერცხილი ლულის დასაწყისში, ზემოდან გაკეთებული აქვს წარწერა ადგილისა, სადაც ის დამზადდა – LONDON. აღსანიშნავია რომ ტრომბლონების გარდა ხშირი იყო კაჟიანი მექანიზმების სხვადასხვა



გერმანული სანადირო შტუცერი

ტიპის ხრახნლულილიანი იარაღებისათვის დამზადების ფაქტები. ამგვარი საკეტების განსხვავებული ვერსიები არსებობდა. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ „Fiorentina“-ს საკეტი, რომელიც დაახლოებით 1550 წლისათვის შეიქმნა სკანდინავიურ ქვეყნებში. მოგვიანებით გავრცელდა ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში. ამგვარი ტიპი დაახლოებით მე 18-საუკუნის ბოლომდე იწარმოებოდა. საკმაოდ პოპულარული იყო კაჟიან თოფებში Miquelet /Catalana-ს ესპანური საკეტი მექანიზმები. მათი ჩახმახი „V-სებრ“ ზამბარას მოყავდა მოქმედებაში. ჩახმახის უკან გადაწევის შედეგად ზამბარა იჭიმებოდა და დეტალი მზად იყო სასხლეტზე თითის გამოკვრის შედეგად დაცემულიყო მის წინ განთავსებულ რკინის ფირფიტაზე. წარმოქმნილი ნაპერწკლები იწვევდნენ ეგრედწოდებულ „ტაფაში“ ჩაყრილი დენთის აალებას და ხორციელდეოდა გასროლა. აღნიშნულ ესპანურ სისტემას ძალიან ჰგავდა იტალიური მექანიზმი, რომელიც ცნობილი იყო Romana-ას (რომაული) სახელით. კაჟიანი თოფების გამოჩენიდან საკმაოდ დიდი ხნის გასვლის შემდგომ ფრანგმა მეიარაღეებმა შეაჯამეს Fiorentina-სა და Miquelet-ის სისტემები და მას თანამედროვე მექანიზმი – á la moderna უწოდეს.

შოტლანდიელმა მეიარაღემ, ალექსანდრე ფორსაიტმა, იარაღების განვითარების სფეროში გარკვეული ცვლილება შეიტანა. წარმოშობით ბელჰელველმა ოსტატმა შექმნა აალებადი ნივთიერება – ფეთქებადი პარკუჭი, რომელიც დარტყმის შედეგად ფეთქებოდა. ამით მან ფაქტიურად მთავარ პრინციპს მიაგნო და არასრულყოფილი ფისტონი (კაფსული



– რუსულიდან სლენგად შემოსული სიტყვა), შესაბამისად ფისტონიანი (კაფსულიანი) მექანიზმი შექმნა. 1799 წელს ფორსაიტმა განავითარა მაღალფეთქებადი ქიმიური შემადგენლობა, რომელსაც ის ფულმინატს უწოდებდა. 1820 წლისათვის იწყეს აღნიშნული ნივთიერების მეტალის ბუდეში განთავსება. მასზე დარტყმის შედეგად ხორციელდებოდა აფეთქება და წარმოიქმნებოდა ცეცხლი. ამით მოხსნილ იქნა მთელს მსოფლიოში ყველა მთავარი პრობლემა, რომელშიც გარედან თოფის შიგნით ცეცხლის შეტანა და დენთის აალება იგულისხმებოდა. იმ პერიოდისათვის სავაზნის დატენვა, ანუ შიგნით დენთისა და ტყვიის მოთავსება ჯერ კიდევ ლულის ბოლოდან, დგუშის დამხარებით ხორციელდებოდა. ფულმინატისაგან შედგენილი ფეთქებადი პარკუჭი მინიატურული ტიპის ბუდეში იდებოდა და საფეთქ ხვრელში მაგრდებოდა ან იხრახნებოდა. ის ამ შემთხვევაში უკვე ფაქტიურად ფისტონს წარმოადგენდა. ჩახმახი, რომელიც მას ურტყამდა, კაჟიანი მექანიზმივით ფორმა ჰქონდა, უბრალოდ იმ განსხვავებით რომ უფრო პატარა, შედარებით მოხერხებული იყო და კაჟის ქვა არ ჰქონდა კაუჭისებრ თავზე დამაგრებული. მისი მოჭიმვისა და შემდგომ სასხლეტზე გამოკვრის

შედეგად კაფსულზე ხორციელდებოდა დარტყმა და წარმოიშობოდა ცეცხლი. აღნიშნულ სისტემას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ გრძელი თუ მოკლე იარაღების მექანიზმებისათვის.

კაჟიანი მექანიზმით აღჭურვილი იარაღი



ფისტონიანი მექანიზმით აღჭურვილი იარაღი



www.caravani.ge



ბლოკური ჩამკეტი – ყველაზე სტაბილური სისტემაა გადასახსნელ, ვერტიკალურად განლაგებულ ორლულიანი იარაღების ვერსიებში. ამ ტიპის მექანიზმის შემთხვევაში ლულის უკანა ბოლო სპეციალური ბლოკური ტიპის ჩამკეტით იკეტება. ის თავის თავზე იღებს გასროლის შედეგად გამოწვეულ უკუცემის დიდ ნაწილს ისე, რომ საკეტის ბუდეზე პირდაპირი და უშუალო დაბინძურება არ ხორციელდება. ამ შემთხვევაში სისტემა იმდენად მყარია, რომ ლულის ქვემოდან, სავაზნის ქვეშ განთავსებული კაუჭისებრი დამჭერი მუხლები ფაქტიურად აღარაა საჭიროა. შესაბამისად იარაღის მწარმოებლებიც არ თვლიან თავს ვალდებულად ბლოკური ჩაკეტვისას დამატებით რაიმე სხვა, დამხმარე გამამყარებელი ძალა გამოიყენონ სისტემის აგებისას.



გრინერის ჩამკეტი – 1873 წელს ვ.ვ. გრინერმა განავითარა სამმაგი ჩაკეტვის სისტემა. ლულის უკანა ბოლოში განთავსებულია მისივე გამვრცობი – ჩამკეტი, ფოლადის მყარი ფირფიტა, რომელსაც შუაში გაკეთებული აქვს ხვრელი. ჩაკეტვისას ის ჯდება სისტემურ კოლოფში, სპეციალურად მისთვის განკუთვნილ ჭრილში, ხვრელში ეყრება ფოლადის ჩხირი და იკეტება. ამავდროულად ლულის ქვეშ, სავაზნის ქვედა მხარეს განთავსებულია კაუჭისებრი ორი დამჭერი მუხლი, რომლებიც თოფის დაკეტვისას ჯდება სისტემურ კოლოფის წინა, ქვედა მხარეს გაკეთებულ ჭრილებში და ამ ფორმით მატებს მექანიზმს სიმყარეს. გრინერის ჩამკეტი ჩარჩო დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს და გამოიყენება უამრავი იარაღების მწარმოებლების მიერ.



პერდეს ჩამკეტი-სისტემა ძალიან მარტივი და ამავდროულად საკმაოდ მყარია. ხშირად გამოიყენება დრილინგის სისტემების ასაგებად. ლულების უკანა მხარეს, ხვრელების, ანუ სავაზნეების შუაში განთავსებულია გამვრცობი – ჩამკეტი, ფოლადის მასიური დეტალი, რომელიც ჩაკეტვისას სისტემურ კოლოფში ჯდება. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოდ „კრიგჰოფის“ დრილინგი. აღსანიშნავია რომ სპეციალისტები მასზე მყარ და სტაბილურ სისტემად მაინც გრინერის სისტემებს მიიჩნევენ, რომელსაც კომპანია „მერკელი“ იყენებს ორლულიანი და სამლულიანი იარაღებისათვის – დრგილინგებისათვის.



კერსტენის ჩამკეტი-სისტემა ამჟამად გამოიყენება ორლულიანი თოფებისათვის, ლულათა ვერტიკალური თანწყობით. ის „გრინერის“ საკეტს მოგვაგონებს, თუმცა ოთხმაგი ჩაკეტვა გააჩნია და მასზე ერთი თავით მაღლა დგას სიმყარის თვალსაზრისით. ლულების უკანა მხარეს, მარჯვენა და მარცხენა ბოლოებში განთავსებულია ორი ერთეული, მყარი ფოლადის გამვრცობი – ჩამკეტი, ფოლადის მასიური ფირფიტა. ორივე მათგანს გაკეთებული აქვს შუაში ხვრელი. თოფის დაკეტვისას ისინი ჯდებიან სისტემურ კოლოფში და აღნიშნულ ხვრელებში ეყრება მეტალის ჩხირები. ამავდროულად ლულის ქვედა მხარეს, სავაზნის ქვეშ განთავსებულია ორი კაუჭისებრი დამჭერი მუხლი, რომლებიც დაკეტვისას ჯდება სისტემურ კოლოფში. „კერსტენის“ ჩამკეტ სისტემას ყველაზე ხშირად იყენებს კომპანია მერკელი მოდელისათვის 303E, 313E და 323 E.

www.caravani.ge



გვერდითი („ბერეტას“) ჩამკეტი-სისტემა ძირითადათ გამოიყენება ორლულიანი თოფების აგებისას, რომელთა ლულათა თანწყობა ვერტიკალურია. სისტემა არსებობს ორმაგი ან ოთხმაგი ჩაკეტვის პრინციპით. მაგალითის სახით შესაძლოა „ბერეტას“ თოფის სისტემის მოყვანა. იტალიურ ბრენდს ლულის უკანა მხარეს, ხვრელების, სავაზნეების შუა ზოლზე, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ბოლოში გაკეთებული აქვს გრძელი, ბუდის ტიპის ფოლადის დეტალები. ორივე მათგანს გაკეთებული აქვს ხვრელები, რომელშიც დაკეტვისას ჯდებიან სისტემური კოლოფიდან გამომავალი მოგრძო ფორმის ფოლადის მყარი ჩხირები და ამ ფორმით ხდება ლულების დაკეტვა. ამავდროულად გაკეთებულია წინა სისტემური კოლოფის გვერდით დაფებზე ჭრილები, რომელიც შესაბაისობაშია სავაზნის სპეციფიკურ ბუდესთან. თოფის დაკეტვისას ისინი ერთმანეთში ჯდებიან და იკეტებიან.



ლულის კაუჭისებრი ჩამკეტი-სისტემა შესაძლოა იყოს ერთმაგი ან ორმაგი დაკეტვის პრინციპზე დაყრდნობით აგებული. აღნიშნული ტიპის მექანიზმი შედგება ფოლადის მასიური კაუჭისებრი მუხლებისაგან, რომლებიც განთავსებულია ლულების უკანა, ქვედა ბოლოში, სავაზნის ბუდის ქვეშ. თოფის დაკეტვისას ისინი ჯდებიან სისტემურ კოლოფში, სპეციალურად მათთვის გაკეთებულ ჭრილებში და იკეტებიან.

ტარქვეშა ბერკეტით მტენი იარაღი LEVER ACTION

ეგრედწოდებული Lever Action-ებს, ანუ (უკანა) ტარქვეშა ბერკეტით მტენ იარაღებს ძალიან ბევრი აიგივებს კლასიკური „ვინჩესტერის“ შაშხანებთან, რომლებიც ყველაზე მეტად „ამერიკელი კოვბოების“ შესახებ გადაღებული ფილმებიდან გახდა პოპულარული. ასეთი სისტემებით აღჭურვილია როგორც მოკლელულიანი ფისტოლეტები – რევოლვერები, ასევე გრძელლულიანი შაშხანები – თოფები. მთავარი პრინციპი ყოველ მათგანში ერთი და იგივეა. ხელსაკიდი ტარის ქვეშ განთავსებულია ბერკეტი, რომელიც უკავშირდება მექანიზმს. ხშირ შემთხვევაში მას ორთოპედიული ფორმა აქვს რათა მსროლელმა სწრაფად და იოლად განახორციელოს გადატენვა. მისი ქვემოთ (ლულის მიმართულებით) დაწევისას საკეტი იხსნება და გამოდის გარეთ. შედეგად ცარიელი ჰილზი სავაზნე ფანჯრიდან ვარდება გარეთ, ხოლო მჭიდში არსებული ვაზნა მიეწოდება იარაღს კვლავ სავაზნეში. უკუ მიმართულებით მოსრიალე საკეტი ამასობაში ფეხზე აყენებს ჩახმახს და მზადაა დასარტყმელად. სხვაგვარი სისტემების შემთხვევებში აღნიშნული პროცედურის განხორციელებისას ნემსი ზამბარის მეშვეობით იჭიმება და მოდის მზადყოფნაში. ცარიელი ჰილზის ამოგდებისას იარაღის (ხშირ შემთხვევებში) ცილინდრული ფორმის მჭიდიდან ვაზნა გადადის სისტემურ კოლოფში. ბერკეტის უკან აწევისას საკეტი პარალელურ რეჟიმში უბრუნდება საწყის პოზიციას, მიემართება



WINCHESTER-ის ტარქვეშა ბერკეტით მტენი იარაღი – იგივე „LEVER ACTION“

ლულისაკენ და სავაზნეში შეაქვს სისტემურ კოლოფში მჭიდიდან გატანილი ვაზნა. აღსანიშნავია რომ მცირეკალიბრიანი იარაღების შემთხვევებში მსგავს საკეტებს წახნაგოვანი თავები არ აქვთ. მსხვილკალიბრიანების შემთხვევებში კი პირიქით, საკეტის თავზე თითქმის ყველა შემთხვევაში წახნაგოვანი კბილები არის გაკეთებული რათა უფრო საიმედოდ და უტყუარად მოხდეს ჩაკეტვა.

ხშირად ბევრს ეშლება, ზოგს კი უბრალოდ ნაკლებად გათვითცნობიერებულობის გამო Lever Action-ების ხსენებისას, თავში უმალვე ამოუტივტივდება იმიტაციის სახით „რემინგტონის“ ერთ დროს ძალზედ პოპულარული შაშხანები ეგრეთ წოდებული **Rolling-Block** – გვერდითი-ცვალებადათ მოძრავი მექანიზმით. ასეთი ტიპის სისტემებით აღჭურვილ იარაღებს სისტემური კოლოფის თავში აქვთ ერთი ჩახმახი, რომელიც სასხლეტზე თითის გამოკვრის შედეგად ეცემა მექანიზმს და ნემსი ახდენს აფეთქებას. მანამდე აუცილებელია მეორე ჩახმახისებრი დეტალის მოზიდვა – გაღება. მისი გადმოწევის შემდგომ თავისუფლდება სავაზნე და შესაძლებელი ხდება ლულაში ვაზნის ჩადება – იარაღის დატენვა. აღნიშნული ჩახმახისებრი დეტალის წინ მიწევის-სისტემის დახურვის შემდგომ ხორციელდება გასროლა. აღსანიშნავია რომ ეს მექანიზმი უკვე მოძველებულად ითვლება და ფაქტიურად აღარ გამოიყენება თანამედროვე იარაღების წარმოებისას.

ლულის ქვეშა ბერკეტით მტენი იარაღი PUMP ACTION

სათაურში მითითებული სისტემა მიუხედავად სიმარტივისა და უბრალოებისა საკმაოდ გვიან შეიქმნა. ის გაზებით მტენი მექანიზმის მსგავსად ფაქტიურად წარმოადგენს სხვადასხვა საკეტების კომბინირებულ და გამარტივებულ ვერსიას. **ლულის ქვეშა ბერკეტით მტენ სისტემების** შემთხვევაში გადატენვა თითოეული გასროლის შემდგომ მექანიკური წესით, ლულის ქვეშ, ცილინდრული მჭიდის გარშემო განთავსებული ბერკეტის ხელით მოძრაობით ხორციელდება. ტიბჟირს, ანუ ლულისქვეშა კონდახს, რომელიც ამ შემთხვევაში ბერკეტის როლს ასრულებს, ვწევთ უკან. ამ დროს საკეტის თავზე (ზოგ შემთხვევაში მბრუნავ თავზე) განთავსებული კბილი/წახნაგი ახდენს ცარიელი ჰილზის ლულიდან-სავაზნიდან ამოგდებას. ამასობაში საკეტის სისტემა იჭიმება – ანუ ზამბარას ნემსი მოყავს დასარტყმელ პოზიციაში. ტიბჟირის წინ მიწევისას კი სისტემურ კოლოფში განთავსებული ენა მჭიდიდან სისტემურ კოლოფში ჩამოგდებულ მზა ვაზნას წევს ზევით, რათა საკეტმა წინ მიწევისას შეიტანოს ის ლულაში. დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმის თავზე განთავსებული ნახნაგი (კბილი) ეჭიდება ვაზნას და მიაქვს ის სავაზნეში. ზოგადად რა თქმა უნდა არსებობს ოდნავ განსხვავებული და სახეშეცვლილი ვერსიებიც, თუმცაღა ძირითადი პრინციპი მათ შემთხვევაშიც იგივე რჩება. მთავარი უპირატესობა აღნიშნულ მექანიზმებით აღჭურვილი იარაღებისა გახლავთ სიმარტივე და დაბალი ფასი. ყველაზე მთავარი ფაქტორი იმაში მდგომარეობს, რომ მსგავსი ტიპის თოფით ვაზნის გაჭედვის ალბათობა ფაქტიურად გამორიცხულია. მისით შეგვიძლია ვისროლოთ ფუჭი, რეზინის ან დაბალ

Akkar-ის ქარხანის მიერ სპეციალური შეკვეთით დამზადებული ვერსია Commando.

Benelli SuperNova Comfortech Camo ყალიბით 12/89 მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი დიზაინის მქონე თოფად ითვლება თავის კატეგორიაში. იარაღი მიუხედავად აღნიშნული მექანიზმის სიმარტივისა მაქსიმალურად დახუნძლულია სხვადასხვაგვარი დამატებითი ფუნქციებით, რომელიც შესაძლოა მისმა მფლობელმა საერთოდ არ გამოიყენოს. ჩვენს მიერ განხილვად SuperNova-ს შემადგენლობაში 12 კალიბრიანი, 61 სანტიმეტრიანი ლულა შედის. მისი სავაზნის სიგრძე 89 მილიმეტრია, რაც მეტყველებს რომ იარაღის მფლობელს ძალულს ეგდერწოდებული „სუპერ მაგნუმის“ (65-67 გრამიანი) ვაზნების გასროლა. თოფს აგრეთვე მოყვება სამი ცვლადი ჩოკი, 0.25-გაუმჯობესებული ცილინდრი, 0.5-ნახევრადჩოკი და 1.0-სრული ჩოკი. ერგალის სისტემური კოლოფი დახურულ ბუდეს წარმოადგენს. არასრული დაშლისას აღნიშნულ მოდელს მხოლოდ ლულა ეხსნება. საკეტი მექანიზმის გამოღება კი მხოლოდ სრული დაშლის შემთხვევაშია შესაძლებელი. „კომფორტეკის“ კონდახი, რომელიც რბილი, სპეციალური რეზინის სამხრეთი და კონდახის ორივე მხარეს, გაყოლებაზე განთავსებული თანამედროვე დიზაინის მქონე პატარ-პატარა, „ალბათ უკუცემის შემამცირებელი“ დეტალებითაა აღჭურვილი, საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება და მისი ვიზუალური მხარე სასხლეტის ბუდესთან მიმართებაში საკმაოდ კარგად ჯდება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ის ვიზუალურ ეფექტს უფრო ახდენს, ვიდრე მუშაობისას რეალურს და ის უფრო მეტად ფუტურისტული დიზაინის გამო ფასობს, ვიდრე თავისზე დაკისრებული ფუნქციის შესრულებისა. თუმცა უკუცემას გარკვეულწილად მაინც იმაზე ძალიან ამცირებს, ვიდრე ამას სტანდარტული, უბრალო კონდახით აღჭურვილი ვერსიები ახერხებენ. თექნოპოლიმერის მასალის კონდახთან ერთად ფაქტიურად მთლიანი თოფი კამუფლირებული, ტყის დაფოთლილი ეფექტის მქონე ტიპის საფარითაა შენიღბული. ამგვარი გარეგნული იერი ეხმარება მონადირეს იყოს უფრო მეტად შეუმჩნევადი მსხვერპლის მიერ, განსაკუთრებით იხვზე ნადირობისას.

თითქმის 3,5 კილორგამიანი თოფის მთავარი მახასიათებელი, რომელიც მას სხვა დანარჩენი „პომპებისაგან“ გამოარჩევს, გახლავთ მჭიდის ჩაკეტვის ფუნქცია. ლულისქვეშა კონდახის შუაში არსებულ, შავი ფერის ღილაკზე დაწოლისას მჭიდი იკეტება. შესაბამისად გადატენვის პროცედურის შესრულებისას საკეტი მექანიზმი ცარიელ, ანუ გასროლილ ჰილზს აგდებს ლულიდან, ხოლო წინ მიწევისას ახალი ვაზნა აღარ მიაქვს სავაზნეში. აღნიშნული ფუნქცია საშუალებას აძლევს მსროლელს, სურვილის შემთხვევაში სხვა, ახალი ვაზნა ჩადოს პირდაპირ ლულაში ამომგდები ფანჯრის გავლით და მჭიდში არსებული ვაზნა კვლავ შიგნით ჩატოვოს.

თოფს ზემოთხსენებულ ფუნქციასთან ერთად სხვა დადებითი მხარეებიც აქვს. ალბათ ყველაზე გამორჩევადი მათგან საკეტი მექანიზმია, რომელიც კომპანია „ბენელის“ თვითმტენი, ინერციული მექანიზმის მსგავსი მბრუნავი თავითაა აღჭურვილი. სასხლეტის დამცველი სასხლეტის ბუდის წინა, ზედა კუთხეშია განთავსებული. ეგრეთ წოდებული „დამცლელი“ ღილაკიც იქვე, დამცველის გვერდითაა. გადატენვის და არ გასროლის შემთხვევაში მასზე თითის დაჭერის გარეშე მჭიდის დაცლა ვერ მოხერხდება. აღნიშნულ ღილაკზე ზემოქმედების შემდგომ ლულისქვეშა კონდახით – ბერკეტით ვახორციელებთ გადატენვის ტოლფას პროცედურას და შესაბამისად იყრება ჰილზები გარეთ – იცლება მჭიდი.

„ბენელის“ აღნიშნული მოდელის გამოყენება მოსახერხებელია როგორც თავდაცვისათვის, ასევე სანადიროდ, მაგრამ მისი მაღალი ფასის გამო ბევრად უფრო კარგი ბალისტიკური მაჩვენებლების მქონე და ფუნქციურად გამართული თოფის არჩევა შეიძლება სანადირო დანიშნულებით.

ამერიკული მწარმოებლის, კომპანია „რემინგტონის“ მიერ დამზადებული მოდელი **Remington 870 Express Tactical Camo** ყალიბით 12/76 იმ გლუვლულიან იარაღთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც წარმატებულად გამოიყენებენ სამხედრო დანიშნულებისამებრ. ამ თვალსაზრისით თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას ფაქტიურად ბევრი კრიტერიუმების გათვალისწინებით ბადალი არ ჰყავს. პირველ რიგში მისი უტყუარობა მუშაობისას და საიმედობა ურთულეს, ექსტრემალურ პირობებში იძლევა იმის საბაბს, რომ თოფი მიღებულ იქნას საკმაოდ ბევრი სახელმწიფოს თავდაცვისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროების ქვედანაყოფების შეიარაღებაში. კომპანია „რემინგტონი“ დღესდღეობით ფაქტიურად ერთადერთია მსოფლიოში (იშვიათ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით), რომელიც მასიურად ახორციელებს ლულის ქვეშა ბერკეტით მტენი თოფების წარმოებას, რკინის მასალის სისტემური კოლოფით. იარაღი, რომლის მექანიზმიც განთავსებულია საკმაოდ გამძლე და მყარი ფოლადის ბუდეში და არა ერგალის თუ მყარი ალუმინის სხვა შემადგენლობის მასალისაგან დამზადებულ კოლოფში, რა თქმა უნდა საწინდარია ხარნგრძლივი მუშაობისა-საგრძნობად დიდი რესურსისა და ექსტრემალურ პირობებში სტაბილურად, შეუფერხებლად ფუნქციონირებისა.

ჩვენს მიერ განხილვად მოდელს ლულის ბოლოში, სანათურთან დამაგრებული აქვს სპეციალური, დამაგრძელებელი, ტაქტიკური ჩოკი. მისი მეშვეობით რეგულირდება ბალისტიკური შედეგები. სისტემური კოლოფის თავზე დამაგრებულია პიკატინის ტიპის სამიზნე ხიდი ოფტოელექტრონული ან სტანდარტული ტიპის ოპტიკური სამიზნეების დასამაგრებლად. აგრეთვე მოქმედია ღია ხედვის სამიზნე მოწყობილობა, რომელთაც პიკატინის თავში და ლულის ბოლოში არსებული დეტალები აერთიანებთ. იარაღის წონა შეადგენს დაახლოებით 3,3 კილოგრამს. მისი ლულის სიგრძეა 47 სანტიმეტრი. ის როგორც ლიდერ მწარმოებელს შეეფერება, ცივად, ვაკუუმშია დამზადებული. ბალისტიკური მონაცემები კი აშკარად ერთ-ერთი საუკეთესოა და გარკვეულ დისტანციაზე გარკვეული ვაზნის შედარებისას „ბენელის“ ლულის ქვეშა ბერკეტით მტენ ახალ მოდესლაც ჯობნის. იარაღში 7 ვაზნა იდება. მათი გადატენ-



Remington 870 – Tactical



benelli nova-camo



Benelli Nova არასრულად დაშლილი



Remington 870-ს ტაქტიკური ჩოკი

Commando Syntetic Pump-Action 12M.



ვა სტანდარტულად, ლულის ქვეშ არსებული ბერკეტის უკან მოზიდვითა და შემგომ კვლავ წინ მიწევით ხორციელდება, ყოველი გასროლის შემდგომ რა თქმა უნდა აუცილებელია გადატენვისათვის იგივე პროცედურის გამეორება, რათა იარაღმა ვანზა წამოიღის მჭიდიდან და განათავსოს სავაზნეში – ლულაში. დაცლის შემთხვევაში სასხლეტის ბუდის ბოლოში განთავსებულია საკეტის – მჭიდის გამსხნელი ღილაკი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება მჭიდის სრულად დაცლა.

საერთო ჯამში უდავო ფაქტია ის, რომ „რემინგტონი“ ლიდერია ლიდერთა შორის ამგვარი, „პომპა“ – ლულისქვეშა ბერკეტით მტენი თოფების წარმოებაში. როგორც სანადირო განხრით, ისე ტაქტიკური – თავდაცვითი ვერსიების მხრივადაც. შესაბამისად არცაა გასაკვირი რომ ყველაზე მეტ, ამგვარი ტიპის იარაღს სწორედ აღნიშნული ბრენდი ყიდის.

„რემინგტონზე“ ოდნავ და „ბენელიზე“ ბევრად უფრო მარტივია თურქული Commando Syntetic Pump-Action 12M. თუმცა ამ შემთხვევაში სიმარტივე პირდაპირი გაგებით არ უნდა გავიგოთ, რამეთუ მასში მხოლოდ დადებითი მხარეები არ იგულისხმება. განსახილველად ნახევრად ტაქტიკური ვერსია ავირჩიეთ. მოდელი 51 სანტიმეტრიანი ლულითაა აღჭურვილი. მას მხოლოდ ერთი ჩოკი მოყვება ცილინდრული შევიწროებით, რომლის ლულის გარე დაბოლოებაც პირის ღრუს დიამეტრზე მეტად ფართოვდება.

ლულაზე განთავსებულია სლუგერის ტიპის ორი, ტაქტიკურად ურთიერთდამაკავშირებელი სამიზნე. უკანა, მოკლე თამასაც მსგავსი ტიპისაა. მასში გახედვისას ორ ფრთას შუა ვსვავთ წინა სამიზნეს, იარაღს მივმართავთ ობიექტზე, რის შემდგომაც სროლის წარმოების შემთხვევაში მივიღებთ სასურველ შედეგს.

ბევრისათვის გასაკვირად „ბენელისაგან“ განსხვავებით „კომანდოს“ არასრული თუ სრული დაშლა უფრო მარტივია. ლულის მოხსნის შემდგომ საკეტი მექანიზმის გამოღება ბერკეტის მოძრობის შემთხვევაში, ძალიან იოლად ხდება. შესაბამისად სისტემური კოლოფისა თუ თავად საკეტის გაწმენდაც შედარებით უფრო მოხერხებულია.

სასხლეტის დამცველი ღილაკი სასხლეტის ბუდის უკანა, ზედაწ მხარესაა განთავსებული. „დამცლელი“ ღილაკიც იქვე, ბუდის წინ, სისტემური კოლოფის ქვედა, მარჯვენა მხარესაა და მასზე თითს დაჭერა უფრო მოსახერხებელია, ვიდრე „ბენელის“ იმავე ფუნქციის მატარებელ ღილაკზე. იარაღის კონდახი მასიურ, მოხრილ ღერძს წარმოადგენს, რომელიც სტანდარტულად დამიზნების შემთხვევაში მოუხერხებელი სახმარია. თუ მსროლელი დილეტანტია, აუცილებელია მცირე ინსტრუქტაჟის გავლა რათა გასროლას უარყოფითი შედეგები არ მოყვეს. დამიზნებისას, ანუ ლოყის ეგრედწოდებულ „ბალიშზე“ დადებისას მაქსიმალურად უნდა ვეცადოდ რომ სახე შორს გვქონდეს კონდახის მოხრილ ყელთან. ამავდროულად რაც შეიძლება მყარად უნდა გვეჭიროს იარაღი. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მივიღოდ გარკვეული დაზიანებები სახის არეში. ზოგადად ეს პრობლემა უფრო კონდახის უარყოფითი მხარეა, ვიდრე თოფის. ვინაიდან და რადგანაც ამგვარი ტიპის კონდახებით უამრავი სხვა მოდელია დაკომპლექტებული, თავად „კომანდოს“ კი სტანდარტულ შემთხვევაში ჩვეულებრივი კონდახი აქვს ხოლმე დამაგრებული. რაც შეეხება მის დანიშნულებას, „Commando“ თავდაცვისათვის უფროა გათვალისწინებული, ვიდრე სანადიროდ.

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
Benelli Super Nova – 12/89	
თანამედროვე დიზაინი	მაღალი ფასი
საიმედო, სატბილური მუშაობა	გადატვირთული ფუნქციები
შესრულების მაღალი ევროპული ხარისხი	მყარი ალუმინის საკმაოდ თხელი სისტემური კოლოფი
ისვრის ნებისმიერ, სერიულ წარმოებაში არსებულ 12 ყალიბიან ვაზნას (24 გრამიდან 67 გრამამდე)	
Commando Syntetic Pump-Action-12M	
თანამედროვე დიზაინი	მყარი ალუმინის სისტემური კოლოფი
საიმედო, სატბილური მუშაობა	დაბალი რესურსი
დაბალი ფასი	
Remington 870 Express Tactical – 12/76	
თანამედროვე დიზაინი	მასიური წარმოების გამო დამუშავების ხარისხი ჩამოუვარდება ევროპულს
საიმედო, სატბილური მუშაობა	
უტყუარობა ნებისმიერ კრტიტიკულ, ექსტრემალურ პირობებში	
მაღალი რესურსი	

შაშხანა და მისი საკეტი მექანიზმები



სხვადასხვა თაობის გლუვლულიანი და ხრახნლულიანი, იარაღების ისტორია ერთმანეთზეა გადაბმული. თუმცა დღესდღეობით ისინი ორი, სრულიად განსხვავებული სახეობის ცეცხლსასროლ საშუალებებს წარმოადგენს, რომელთა დანიშნულება ერთმანეთს იშვიათ შემთხვევებში ემთხვევა. მიუხედავად უამრავი ახალი თუ გამოცდილი ცეცხლსასროლი იარაღის დამამზადებელი კომპანიების ტაქტიკური გლუვლულიანი ვერსიების წარმოებისა, ისინი ძირითადათ სანადიროდ გამოიყენება და მათი პოლიციური თუ სამხედრო თვალსაზრისით გაყიდვა თუ შემდგომი ექსპლოტაცია იშვიათად ხდება. აღსანიშნავია რომ იწარმოება ხრახნლულიანი, ჩვეულებრივი 12 კალიბრიანი თოფები რომლებსაც ძირითადად ნადირის მოსაკლავად იყენებენ და მისით „საბოტის“ ტიპის ქვეკალიბრიან ტყვიებს ისვრიან ხოლმე. მაგალითის სახით შესაძლოა ამერიკული ბრენდების, რემინგტონისა და ვინჩესტერის ნახევრადავტომატური 12 კალირბიანი მოდელების მოყვანა. მიუხედავად ზემო აღნიშნულისა ზოგადად შაშხანას სულ სხვა განმარტება აქვს და სულ სხვა ეფექტის მოხდენა შეუძლია. დღესდღეობით არსებობს შაშხანების ორი განსხვავებული სისტემა. ეს გახლავთ მექანიკური, ცილინდრული საკეტი მექანიზმით აღჭურვილი ვერსიები და თვითმტენი, ავტომატური ან ნახევრადავტომატური ტიპის მოდელები. თავად ცილინდრული საკეტი ამჟამად უკვე ორგვარი შეიძლება იყოს.

საკეტები, რომლებიც გადატენვისას უკუ მიმართულებით მოძრაობენ და აღნიშნული პროცედურის შესრულებისას ცილინდრულად ბრუნავენ, (მათი გახნის კუთხე ძირითად შემთხვევებში 60° ან 90°-ია ხოლმე) წრფივად მოძრავი საკეტი მექანიზმები ეწოდებათ. სწორედ ამგვარი ტიპის სისტემითაა აღჭურვილი ყველა დროის საუკეთესო კლასიკოსი-საშხანა Mauser-98, Sako-85, Remington-700, ან თუნდაც Sauer 202.

ბოლო ათწლეულებში წარმოდგენილ იქნა მეორე სახეობა ზემოთ ხსენებული ტიპის მექანიზმებისა. ცილინდრულ საკეტს, რომელიც გადატენვისას, ანუ უკუ მიმართულებით მოძრაობისას მთლიანად არ ბრუნავს, როტაციის პროცედურას მხოლოდ მისი მბრუნავი თავი ასრულებს და გადაადგილდება ლულის-სისტემის გასწვრივ, სიგრძივ მოძრავ საკეტიანი მექანიზმი ეწოდება. მსგავსი სისტემებით აღჭურვილია გერმანული Blaser R-93, Blaser R-8, Merkel R.X. Helix. მათ შემთხვევებში როგორც უკვე განვმარტეთ, ცილინდური ფორმის საკეტის მთლიანი სისტემის – „ბოლტის“ ნაცვლად მხოლოდ და მხოლოდ მექანიზმის მბრუნავი თავი ტრიალებს და როტაციის დროს ახორციელებს ზუსტად იმავე მოქმედებას, რაც უნდა გააკეთოს თავად ადამიანმა ხელით და შემდგომ შედეგად უკვე მთლიანმა, ერთიანმა საკეტმა მექანიზმმა. ასეთ სისტემებს არა ოფიციალურად ზემოთხსენებული Blaser R-93-ის შემთხვევაში 360°-ით ხსნად მექანიზმებსაც უწოდებენ. საბედნიეროდ წიგნში, გერმანული ბრენდების აღწერისას ორივე შაშხანა განხილულია და ერთმანეთს არის შედარებული ამჯერად კი წარმოდგენილი არის კლასიკური, ყველასათვის ცნობილი ტიპის შაშხანის, SAKO-85-ისა და მისი არასრულად დაშლილი სისტემის ფოტო-აღწერილობა.



www.caravani.ge

უდიდეს წარმატებად ითვლება თვითმტენი მექანიზმის აღმოჩენა. ამჟამად უამრავი განსხვავებული კონსტრუქციის მქონე სისტემები იწარმოება, რომლებიც რამოდენიმე, ოდესღაც ნიჭიერი კონსტრუქტორების მიერ გამოგონილ სისტემებზე დაყრდნობითაა აგებული. თვითმტენ სისტემებში არსებობს ორი მსგავსი აგებულების მქონე მექანიზმი, რომლებიც ერთმანეთისაგან ძირითადი მუშაობის პრინციპებით განსხვავდებიან. ერთ-ერთ მათგანს ნახევრადავტომატური მექანიზმი ეწოდება და ის ყოველი სასხლეტზე თითს გამოკვრისა და შედეგად ვაზნის გასროლის შემდგომ ერთჯერად გადატენვას ახორციელებს. მეორე სახეობაა ავტომატური მექანიზმი, რომელიც სასხლეტის მოზიდვის შედეგად ერთზე მეტ ვაზნას ისვრის. მათი რაოდენობა შესაძლოა სამი ერთეული იყოს, შესაძლოა მთლიანი მჭიდი. ეს ყველაფერი თავად სისტემაზეა დამოკიდებული. სანადირო და სპორტული დანიშნულებისამებრ გამოიყენება ნახევრადავტომატური სისტემები. შესაბამისად სწორედ ისინი მოექცნენ ჩვენი ინტერესის არეალში.

მსოფლიოში უამრავ სისტემას ჩაუტარდა ტესტირება და უამრავი დარჩა სერიული წარმოების მიღმა მათი არასრულყოფილი მუშაობისა თუ სხვა და სხვა გარკვეული მიზეზების გამო. წიგნში წარმოდგენილია არასრული სია მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული საკეტი მექანიზმებისა, რომლებიც გამოიყენებოდა ან გამოიყენება ხრახნლულიანი იარაღებისათვის.

ერთ-ერთი მათგანია „თავისუფალი – მასიური საკეტი“, ზოგადად ეს საკმაოდ მარტივი სისტემა მცირეკალიბრიანი თვითმტენი შაშხანებისათვის გამოიყენება. თუმცაღა ხშირია მისი სტანდარტული ან მსხვილკალიბრიანი იარაღებისათვის ექსპლოტაციაც. გლუვლულიანი ვერსიების შემთხვევაში მას ინერციულ სისტემას – უკუცემით მტენ (ზოგ შემთხვევაში კინეტიკური ენერგიეს ხარჯზე მოძრავ) მექანიზმს უწოდებენ. კონსტრუქცია სხვა და სხვა გვარი შეიძლება იყოს თოთეული ტიპის განხილვისას. თუმცაღა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მექანიზმის მთავარ მუშაობის პრინციპს წარმოადგენს, ყველა თავისუფალ – მასიურ საკეტებში ერთი და იგივეა. ასეთ მექანიზმებს განეკუთვნებიან თვითმტენი იარაღები, რომლებიც ენერგიეს, რომელიც მათ ესაჭიროებათ ჰილზის ამოგდებისა და ახალი ვაზნის გადასატენად, პირდაპირ, სროლის შედეგად წარმოქმნილი უკუცემითი ენერგიიდან იღებენ. ზოგადი ფუნქციონირების თეორია მდგომარეობს შემდგომში. სროლისას სისტემის გაღება – დახურვა დამოკიდებულია საკეტის წონაზე, რომელთაც კომბინირებულად ერწყმის მექანიზმის დამაბრუნებელი ზამბარისა ან/და ინერციული ზამბარის ძალის გამოყენება. გასროლის შედეგად, ანუ სისტემის ფუნქციონირების დაწყებისას წარმოიქმნება აირების წნევა. შესაბამისად მექანიკური ზემოქმედების, ანუ სასხლეტზე თითის გამოკვრის შედეგად ლულა სავაზნიდან იწყებს გაზებით გავსებას. ამასობაში ჰილზს სცილდება ტყვია და მიემართება ლულის პირის ღრუსაკენ, სადაც ის ბოლოში, ლულის ღრუში ყოფნის დროს ყველაზე მეტ ენერგიასა და წნევას წარმოქმნის. აფეთქების შედეგად ჰილზს „მოწყვეტით“ მოცილებული ტყვია და ტყვიისავე ლულაში მოძრაობა ველებისა და ღარების წინაღობრივი ბარიერის გადალახვისას წარმოქმნის საწინააღმდეგო, უკუცემით წნევას. ეს კი პირველ რიგში ზემოქმედებას ახდენს ჰილზის ძირზე, (ძირის შიდა ნაწილზე). ცარიელ ჰილზე დაწოლილი წნევა იწვევს მის აჩქარებას უკუ მიმართულებით და შედეგად ის ტოვებს სავაზნეს. მისი შენელება ხდება ზემოთხსენებული ზამბარისა და თავად საკეტის წონის მეშვეობით. თუმცაღა ამ დროს ყველაფერი ისეა გათვლილი, რომ როდესაც ტყვია ტოვებს ლულას, ცარიელ ჰილზის მოძრაობის შეფერხება წყდება. საკეტის თავზე განთავსებული კბილის/წახნაგის მეშვეობით ცარიელი დეტალი ტოვებს სისტემურ კოლოფს. როდესაც საკეტი ბოლომდე უკანაა მისული, დამაბრუნებელი ზამბარის ძალა და საკეტის წონა – მასა იმარჯვებს და სჯობნის ცარიელი ჰილზის უკუმიმართლებით აჩქარებულ პროცესს – ენერგიას და აბრუნებს მას უკან. ამ დროს მჭიდიდან ენას სავაზნე კოლოფში ამოაქვს ახალი ვაზნა, რომელსაც ეჭიდება საკეტი მექანიზმი და მიაქვს ის ლულაში არსებულ სავაზნეში.

აღსანიშნავია, რომ არსებობენ ისეთი სისტემები, რომლებიც მოძრაობენ (თეორიულ ჩარჩოებში) საკმაოდ ნელა და სანამ ტყვია დატოვებს ლულას, ჰილზი ჯერ კიდევ ამოგდების პროცესშია. მსგავს საკეტს გამოიყენებენ იარაღზე: Walther-PPK, UZI, Shpagin-PPSH…

ჯონ ბრაუნინგმა და კომპანიამ ზემოთხსენებული საკეტის მსგავსი, ოდნავ სახეშეცვლილი სამი სხვა და სხვა მექანიზმი შექმნა. პირველი მათგანი ბრაუნინგმა „კოლტის“ ლეგენდარულ მოდელზე, Colt-M1911-ზე გამოიყენა. ამ შემთხვევაში ლულა მიმაგრებულია 2 ხსნადი წახნაგით ლულისზედა საფარ ბუდეზე. ქვემოდ კი ის უჭირავს მუხლისებრ მოძრავ დეტალს, რომლის ქვედა ბოლო უკავშირდება სისტემას და მოქმედებისას იხრება. იმ დროს როცა ტყვია ტოვებს ლულის ხრახნს, ლულის ქვედა მხარეზე დამაგრებული დეტალი წევს მას დაბლა. პროცესი გრძელდება ჰილზის ამოგდებით და ვაზნის სავაზნეში შეტანის დროს ლულა კვლავ უბრუნდება საწყის პოზიციას. ანუ ის ფიქსირდება ლულის ზედა მხარეს არსებული წახნაგების/კბილების საშუალებით მყარად. აღსანიშნავია რომ მსგავსი ტიპის სისტემა აქვს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ წარმატებულ პროექტს, „ტოკარევ“-ის „ტტ“-ს.

II ვარიანტი, რომელსაც აგრეთვე ბრაუნინგის სახელით მოიხსენიებენ ბევრ თანამედროვე იარაღზე შეიძლება შეგვხვდეს ზუ სტად იმავე კონსტრუქციით თუ არა, ოდნავ სახეშეცვლილი მაინც. მსაგვსი ტიპის საკეტები აქვთ იარაღებს: H&K USP-ს სერიის ფისტოლეტებსა თუ Glock 17-ს. ის ერთი შეხედვით სტანდარტულ, თავისუფალმასიურ საკეტს მოგვაგონებს. მსგავს სისტემებში გასროლისას ლულა მოძრაობს და იწევს რამოდენიმე მილიმეტრით უკან. ვაზნა მასიური ფორმის საკეტს აწვება. ლულაზე მიმაგრებული სპეციალური ფორმის დეტალი ჩასმულია არაფიქსირებულად სიტემურ ბუდეზე მიმაგრებულ მოძრავ დეტალში. ანუ კაუჭისებრი კბილები/წახნაგები ეთმანეთზეა ჩაჭიდებული. გასროლისას-საკეტის გახსნისას ისინი ლულას უკუ და ქვედა მიმართულებით ამოძრავებენ და შედეგად ხორციელდება ჰილზის ამოგდება და ახლის სავაზნეში შეტანა, ანუ ხორციელდება გადატენვის პროცედურა.

იმავე ბრაუნინგის საკეტის მესამე ვერსია ზემოთხსენებული სისტემებისაგან ყველაზე მეტად იმით განსხვავდება, რომ დღესდღეობით შედარებით უფრო ნაკლებად გამოიყენება. ლულის ქვედა ნაწილზე დამაგრებული მამოძრავებელი გაჭრილია შუაში დიაგონალურად, სადაც გაღებადაკეტვისას მოძრაობს სპეციალური ფოლადის ჩხირი/ჯოხი.

გაზებით/აირებით მტენი მასიური საკეტი ერთ ერთი გავრცელებული სისტემაა თვითმტენ სისტემებში, რომელიც გერმანულ H&K P7-ზეც გვხვდება. ლულის ქვეშ განთავსებულია გაზების კამერა (ოთახი), დგუში და საკეტის დამაბრუნებელი ზამბარა. სავაზნის შემდგომი, ლულის დასაწყისის ქვედა კედელი გაჭრილია და გაკეთებულია გაზების მილი, რომელიც გაედინება ზემოთხსენებულ აიარების კამერაში. თვითონ ლულა კი სისტემაზე მყარადაა მიმაგრებული და არ მოძრაობს. გასროლის შედეგად კამერა ივსება გამოყოფილი გაზებით და აწვება დგუშს. ის კი ზამბარის ძალით საკეტს კვლავ უკუ მიმართულებით ამოძრავებს და ხორციელდება ჩვეულებრივი გადატენვის პროცედურა.

როლიკისებრი საკეტი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო სისტემაა მსოფლიოში, რომელსაც ყველაზე მეტად ყველასათვის ცნობილი გერმანული კომპანია Heckler&Koch იყენებს. მექანიზმი შედგება ორი ძირითადი დეტალისაგან. ესენია საკეტის მამოძრავებელი და საკეტის თავი. საკეტის თავი შეიცავს ორ მეტალის ბურთულას, რაც საერთო ჯამში წარმოადგენს როლიკისებრ დეტალს. ისინი ნაწილობრივ სისტემურ ყუთში არიან არაფიქსირებულად ჩასმული. გასროლისას, როდესაც ტყვია სრულად ტოვებს ლულას, საკეტი მთლიანი შემადგენლობით მოძრაობს უკუ მიმართულებით. მისი მამოძრავებელი ოდნავ სცილდება მისივე თავს და მას შემდეგ რაც რკინის ბურთულები გამოეყოფიან სისტემურ ბუდეს და დაბრკოლება უქმდება, საკეტის მამოძრავებელზე მოქმედებს აჩქარების კანონი და შესაბამისად ის თავად მიაქანებს საკეტის თავს უკან. ხდება ჰილზის ექსტრაქცია და ჩაკეტვისას როლიკები კვლავ უბრუნდებიან საწყის პოზიციას საკეტის თავთან ერთად სისტემურ კოლოფში. მსგავსი როლიკისებრი მექანიზმი ორი ანგარიშგასაწევი დადებითი თვისებით ხასიათდება. პირველრიგში სისტემა მუშაობს ზედმიწევნით სტაბილურად და ზუსტად. ამასთანავე ბურთულების მოძრაობის თავისუბურება ანელებს და ასუსტებს უკუცემას, რაც გასროლას უფრო სასიამოვნოს ხდის. მექანიზმის მთავარი უარყოფითი თვისება გახლავთ დასამზადებლად დახარჯული ჩვეულებრივზე მეტი თანხა და საგრძნობლად ბევრი ენერგია. მისი შემქმნელების, საკმაოდ ნიჭიერი კონსტრუქტორების აზრით თუ აღნიშნული სისტემა მაქსიმალური სიზუსტით და თეორიების სრული დაცვით არ იქნა დამზადებული, შესაძლოა ბევრად უფრო სუსტმა და ნაკლებად პოპულარულმა სისტემებმაც კი მასზე გამართულად იმუშავონ. გარკვეულ წილად ნეგატიურ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ზემოთხსენებული სისტემებით აღჭურვილ იარაღს ტყვია-წამლის შერჩევაც მითითებული ინსტრუქციის მიხედვით ესაჭიროება და შესაძლოა სხვა ვაზნის გამოყენების შემთხვევაში სროლისას გარკვეულ პრობლემებს წავაწყდეთ.

თავისუფალ – მასიურ საკეტ მექანიზმის მუშაობის პრინცის ძალზედ წააგავს შიდა ბერკეტით (მუხლით) მტენი საკეტი. მისი თავი საკმაოდ ღრმადაა მასიურ მამოძრავებელში ჩასმული. თავში ჩამაგრებულია ორმხრივი მოძრავი ბერკეტი, რომლის ერთ-ერთი მოკლე ბოლო სისტემურ კოლოფს უკავშირდება. გასროლისას მამოძრავებელი მიემართება უკუ მიმართულებით. შედეგად ბერკეტი ტრიალებს და საკეტის თავს აძლევს საშუალებას მოახდინოს ექსტრაქცია. აღსანიშნავია რომ, მსგავსი ტიპის საკეტი აქვს: FAMAS-ის ავტომატს.

თითქმის ანალოგიურ, მაგრამ ოდნავ განსხვავებულ პრინციპზეა აგებული საცემი-დაბლოკვადი საკეტი. ესაა ერთ-ერთი ყველაზე გამომდგარი, საიმედო მექანიზმი. მისი მუშაობის პრინციპი მარტივია. დეტალების ფორმასა და რაოდენობაში შეინიშნება საკმაოდ დიდი განსხვავებები, რის გამოც შესაძლებელია ვერც კი მივხვდეთ იმას, რომ ამ თუ იმ იარაღს ერთი და იგივე საკეტი უყენია. ასეთი სისტემის შემთხვევაში სპეციალური დეტალი, ან დეტალები აკავშირებენ ლულასა და საკეტს. გასროლისას ლულა და საკეტი ერთდროულად მოძრაობენ უკუ მიმართულებით. მას შემდეგ რაც მათი დამაკავშირებელი დეტალი დაეჯახება სისტემური კოლოფის სპეციალურ ჭრილს, თავისუფლდება საკეტი და ხდება ჰილზის ექსტრაქცია. ოდნავ განსხვავებულად მაგრამ მსგავსი პრინციპით ხორციელდება გასროლისა და გადატენვის პროცესი Beretta-92-ის ფისტოლეტებსა და Walther-P38-ებზე.

მსოფლიოს მეიარაღეები თუ კონსტრუქტორები კარგად ცნობენ ზემოთხსენებული მექანიზმების კიდევ ერთ მსგავს სისტემას „ბლიში“-ს მეთოდს და ზოგიერთი მათგანი იყენებს კიდეც მას. ამ პრინციპს Thompson-1921-სთვისაც იყენებდნენ. მსოფლიოში დღესდღეობით ყველაზე გამოყენებადი და გავრცელებული პრინციპი გახლავთ გაზებითმტენი / აიარებითმტენი მექანიზმი. ეს ტიპი კონსტრუქტორებისა და მეიარაღეებისათვის ახალი ნამდვილად არაა და XIX საუკუნის მიწურულს უამრავი ქვეყანა ახორციელებდა ექსპერიმენტებს აღნიშნული მეთოდიკის გასაუმჯობესებლად და დასახვეწად. მაგალითის სახით შეიძლება იტალიური Cei Rigotti-ის შაშხანის მოყვანა, რომელიც ამავე ქვეყნის არმიაში მოღვაწე ოფიცერმა, ამერიგო ჩეი რიგოტიმ 1895 წელს წარმოადგინა. 1901 წელს გერმანიაში შექმნილ იქნა რამოდენიმე პროტოტიპი გაზებითმტენი მექანიზმებისა. ამავე პერიოდში ინგლისში აღნიშნული სისტემის სირთულის გამო შეწყდა Farquhar-Hill-ის ავტომატური შაშხანის პროექტის განხორციელება. ყველაზე მეტი გაზებით მტენი მექანიზმების შექმნაში, სრულყოფასა და განვითარებაში ალბათ ამერიკელმა ჯონ მოზეს ბრაუნინგმა გაიკეთა. ზოგადად რომ წარმოვადგინოდ, აირებით მტენი სისტემა გახლავთ სხვა და სხვა მექანიზმების პრინციპების ნაზავი, რომელიც ახალი თეორიების დახმარებით განსხვავებული საკეტი მექანიზმების სახეობების კომბინაციას წარმოადგენს. რათქმაუნდა ამგვარ სისტემებშიც არსებობს განსხვავებები. ერთ-ერთი მთავარი არაერთგვაროვნება მდგომარეობს საკეტის თავში. ის გარკვეული ტიპის იარაღების შემთხვევაში ბრუნავს და ისე ახორციელებს გადატენვის პროცედურას. ზოგიერთ შემთხვევაში კი არ ბრუნავს და უბრალოდ სისტემური კოლოფის გასწვრივ მოძრაობს. ბრუნავ თავიანი საკეტი მექანიზმი დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე საიმედო და გავრცელებულია. გასროლის შედეგად ლულის შუაში (ხშირ შემთხვევებში წინა მესამედში) გაკეთებულია წვრილი ხვრელი (ან ხვრელები), საიდანაც გაედინებიან აფეთქების შედეგად გამოყოფილი აირები გაზების ცილინდრში. ის მოდის მოქმედებაში, იხსნება და შედეგად აირები მიემართებიან გაზების მილში-კამერაში (ზოგ შემთხვევებში ლულის ზემოთ, ზოგჯერ კი ლულის ქვემოთ). ისინი იქ ზემოქმედებენ დგუშზე, რომელიც დამაბრუნებელ ზამბარასთან ერთად მილშია განთავსებული და გა-



ნახევრად ავტომატური შაშხანის სისტემა

www.caravani.ge

www.caravani.ge

აქტიურებისას მისივე ბოლო ნაწილს სისტემურ კოლოფში მოძრაობაში მოჰყავს საკეტი მექანიზმის მატარებელი – მამოძრავებელი. შედეგად საკეტი მოძრაობს უკუ მიმართულებით, ატრიალებს ან უბრალოდ გადაადგილებს მასზე დამაგრებულ თავს და შედეგად ხდება ჰილზის ექსტრაქცია. ამასობაში ახალი ვაზნა ენას ამოაქვს სისტემურ ბუდეში და საწყის პოზიციაში საკეტი მექანიზმის თავზე განთავსებული წახნაგების / კბილების მოჭიდებით ვაზნა მიემართება ლულაში არსებულ სავაზნეში. აღსანიშნავია რომ ზოგიერთ გაზებითმტენ სისტემებს აირების ცილინდრი ფაქტიურად საერთოდ არ გააჩნიათ. ერთ-ერთი მათგანია.30-M1. ქართველებისათვის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ყველასათვის ცნობილი AK-47-ის სისტემა. თეორია რომელიც სავარაუდოდ გერმანელმა მეიარაღემ და კონსტრუქტორმა ჰუგო შმაისერმა შეიმუშავა, წარმოადგენს კომბინაციას მექანიკური ტიპის ცილინდრული საკეტი მექანიზმისა და თვითმტენი ტიპის თავისუფალი – მასიური მბრუნავთავიანი საკეტისა, რომელსაც შერწყმული აქვს გაზების ენერგიის გამოყენების თეორიები გადასატენისათვის.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობითაც კი კომპანიები ზემოთხსენებულ გაზებითმტენ სისტემებს იყენებენ ისეთი ლეგენდარული იარაღებისათვის, როგორებიცაა: Colt M-სერიის იარაღები, SIG-ების თვითმტენი შაშხანები (მაგ. SIG-550) ან Heckler – Koch-ის თვითმტენი ცივილური თუ სამხედრო ვერსიებისათვის (მაგ. G-36, SL-8).

გაზებით მტენი, არამბრუნავ თავიანი საკეტი შაშხანების აგებისას

მაჯის (ხელის) იარაღი-ფისტოლეტი

სათაურში ხსენებული ნივთი-ხელსაწყო ბრძოლის ველისა და თავდაცვის აუცილებელია ატრიბუტია. ის გალხავთ პოლიციური დაჯგუფებების, სამხედრო ქვედანაყოფების და მათთან ერთად (სამწუხაროდ) არაკანონიერი ბანდების განუყრელი მეგობარიც. მისი მოხმარება და გამოყენება საჭირო სიტუაციებში ყველასათვის პრაქტიკულია. ფოსტოლეტსა თუ რევოლვერს აკისრია უამრავი ფუნქცია, რომელსაც ვერც ერთი სხვა იარაღი ვერ შეასრულებს. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში თვითმტენი ფისტოლეტი ძალზედ პოპულარული გახდა საზოგადოებაში. მისი გამოყენებისას მსროლელს სწრაფად და მოხერხებულად მოქმედების საშუალება ეძლეოდა. ზოგადად ფისტოლეტის ცნება, ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში შეიქმნა. თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ვერ განიცადა განვითარება. ის ნაკლებად საიმედო იყო და მხოლოდ ერთი ვაზნის გასროლა შეეძლო. ამის თვალსაჩინო მაგალითია დამბაჩა. დენთისა და შემდგომ ცეცხლსასროლი იარაღის აღმოჩენის შემდგომ ადამიანი ყოველთვის ფიქრობდა ისეთი იარაღის აღმოჩენას, რომელიც ერთზე მეტ ვაზნას გაისროდა. თავდაპირველად აღნიშნული ოცნების განსახორციელებლად საუკეთესო საშუალება იყო მრავალულიანი იარაღის შექმნა. აზრადაც არავის მოსდიოდა და ფაქტიურად იმ პერიოდში ფაქტიურად წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ ავტომატური იარაღის წარმოება. ეს იყო დრო, როდესაც მზადდებოდა კაჟიანი და ფატრუქიანი თოფები, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან არაეფექტური და უმეტეს შემთხვევებში უშედეგო იყო. 1848-50 წლებში პირველად დააპატენტეს ფისტოლეტისათვის დღევანდელი ვაზნის მსგავსი ვერსია. ამით ბევრი რამ შეიცვალა. ცოტა ხნის შემდეგ უკვე დაიწყო ფიქრი მრავალვაზნიანი იარაღის შექმნის თაობაზე. ამის საუკეთესო, მაგრამ რთულად გასაკეთებელი ვერსია გახლდათ არა მრავალლულიანი, არამედ მრავალვაზნიანი და ერთლულიანი იარაღი. მაგრამ ამავდროულად ამოუხსნელი რჩებოდა მთავარი ამოცანა, რომლის გადალახვაც იმ პერიოდისათვის დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მაშინდელი ცხოვრების რითმი და დრო ჯერ კიდევ არ აძლევდა ადამიანს უშიშრად გადაადგილებულიყო მოკლე თუ შორ გზაზე. უამრავი ფათერაკი და ხიფათი ელოდა ყოველ მოგზაურსა თუ ჩვეულებრივ მოქალაქეს. მათ ესაჭიროებოდათ რაიმე პატარა, მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღი, რომლითაც თავს დაცულად იგრძნობდნენ და მხოლოდ ერთი ვაზნის გასროლის იმედად არ იქნებოდნენ. აქედან გამოსავალი კი არსებობდა, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ეს ბევრ ნიჭიერსა და შორს მჭვრეტელ, მომავლისათვის პერსპექტიულ კონსტრუქტორს სურდა. ყველასათვის ცნობილმა მეიარაღე დერინჯერმა, რომელიც დღემდე საკუთარი ნიჭის წყალობით შექმნილი იარაღებითაა ცნობილი, დაამზადა ერთ, ორ და მრავალ ლულიანი პატარა ზომის ფისტოლეტები. მას დაემატა „შარპის“ კომპანია. ფისტოლეტებმა დიდი პოპულარიზაცია განიცადეს იმ პერიოდისათვის და ისინი მაშინაც დიდი წარმატებით იყიდებოდა, რომელსაც რევოლვერები უკვე დახვეწილი იყო და ბაზრის ძირითადი ნაწილი ეკავა. ეს კომპანია ამჟამადაც წარმატებით ახორციელებს მათ რეალიზაციას და მათი ხილვა საქართველოშიც შეიძლებელია. დერინჯერის ფისტოლეტებიდან ძალზედ პოპულარული გახდა ექვს ლულიანი ჯიბის ფოსტოლეტი ყალიბით 22“. აღსანიშნავია რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ლეგენდარული Colt-სა და Smith&Wesson-ის რევოლვერების წინსვლა და პოპულარიზაცია. თავად დერინჯერი თავისი მოდელების გარკვეულ ვერსიებს რემინგტონის ქარხანაში ამზადებდა. წიგნისათვის მოხერხდა მისი ერთლულიანი ვერსიის განხილვა. ფისტოლეტში სტანდარტულად მხოლოდ 1 ვაზნა ჩადიოდა, რომელიც მოდელის სიძველიდან გამომდინარე შავი დენთით უნდა ყოფილიყო დატენილი. იარაღის მთლიანი სიგრძე წარმოადგენდა 130 მილიმეტრს, ხოლო ლულის სიგრძე 50 მილიმეტრს. ის ძალიან პატარა ზომის იყო და სულ ღაღაც 180 გრამს იწონიდა.



ფისტოლეტის ერთ-ერთი პირვანდელი სახე

დაახლოებით 1854-55 წლებში პირველად მოხდა ჩვეულებრივი ფისტოლეტის („ალბათ“ უკვე სრულყოფილი) კონსტრუქციის შექმნა. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი გერმანიაში განხორციელდა. ეს გახლდათ Borehardt-ის ფისტოლეტი, რომელიც ძირითადათ 1894-1899 წლებში იწარმოებოდა. მისი წონა შეადგენდა 1,3 კგ-ს, ხოლო მჭიდის ტევადობა 7 ვაზნა იყო. სისტემა, უხეშად რომ ვთქვათ, ინერციული მექანიზმის პრინციპზე მუშაობდა და გასროლილი ვაზნის უკუცემის (კინეტიკური ენერგიის) ხარჯზე ახდენდა მეორე ვაზნის სავაზნეში მიწოდებას. ეს გახლდათ პირველი თვითმტენი ფისტოლეტი, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა და იმ პერიოდისათვის დიდი რაოდენობით, 3000 ერთეულზე მეტი გაიყიდა. 1898 წელს შვეიცარიის არმიამ „ბორჰარტის“ ახალი, გაუმჯობესებული ვერსია შეუკვეთა მწარმოებელს. უფრო სწორედ კი არ შეუკვეთა, გარკვეული ფიქსირებული ანაზღაურების სანაცვლოდ იარაღის დამზადება დაავალა. ქარხანამ კი ამ საქმეში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მეიარაღე, გეორგ ლუგერი გამოიყენა. სწორედ მას უკავშირდება მსფოლიოში დღემდე ყველასათვის ცნობილი ფისტოლეტის და ყალიბის შექმნა. ლუგერმა ძველი კონსტრუქცია ფაქტიურად მთლიანად შეცვალა. თუმცა ძირითად სისტემები იგივე დატოვა. მას ახალი პრინციპები არ მოუგონია, უბრალოდ შექმნა „ბორჰარტის“ გაუმჯობესებული, თანამედროვე ვერსია. იარაღის მჭიდში 8 ვაზნა ჩადიოდა. მისი წონა კი 900 გრამს შეადგენდა. გეორგ ლუგერმა მისი წარმოება ზუსტად 1900 წელს დაიწყო. მზადება კი დაახლოებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში, 1947 წლამდე ხორციელდებოდა. აგრეთვე აღსანიშნავია რომ მსოფლიო ომში აღნიშნული იარაღი ძალზედ პოპულარულ და ამავდროულად ელიტარულ ფისტოლეტად ითვლებოდა. ის გერმანელი ოფიცრებისა და სხვა მაღალჩინოსნების საყვარელი „სათამაშო“ იყო.

ამ საკითხში უდავოდ ნიჭიერმა გერმანელებმა მალე მოძებნეს შემცვლელი Mauser C-96-ის სახით. იარაღი 1896 წელს შეიქმნა პაულ მაუზერის ქარხანაში და მის აგებაზე საწარმოს სამი მთავარი ინჟინერ-კონსტრუქტორი მონაწილეობდა. ფისტოლეტის მჭიდში 10 ერთეული 7,63 მილიმეტრიანი ვაზნა ჩადიოდა. მისი მთლიანი სიგრძე 279 მილიმეტრს, ხოლო ლულის სიგრძე 121 მილიმეტრს შეადგენდა. სიმაღლეში იარაღი 145 მილიმეტრი იყო. მისი წონა კი დღევანდელი გადასახედიდან საგრძნობლად მძიმედ გამოიყურებოდა და 1130 გრამს შეადგენდა. უნდა აღინიშნოს რომ ზემოთხსენებულმა იარაღმა საქართველოშიც გაითქვა სახელი. მისი მფლობელები იყვნენ, როგორც მმართველი გუნდისა და მთავრობის მაღალჩინოსნები, ისე აბრაგები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ხალს, ზოგ შემთხვევაში კი „მთავრობას“ აყაჩაღებდნენ. იარაღში, როგორც ბევრ სხვა სისტემებში, ვაზნები ზევიდან იწყობოდა და ისე ხორციელდებოდა მისიდატენვა. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, „მაუზერის“ ფისტოლეტის წარმატება გარკვეულწილად უინსტონ ჩერჩილს უკავშირდება. ის ჯერ კიდევ ბურებთან ბრძოლისას ტყვედ ჩავარდა. გათავისუფლების და სამშობლოში გაღწევის შემდგომ პრესის მეშვეობით მოახდინა საზოგადოების ინფორმირება თავისი მეგზურის, „მაუზერისა“ და საკუთარი სიმამაცის შესახებ. ამ ფაქტმა აღნიშნული იარაღის პოპულარიზაცია მოახდინა და ამასთანავე საგრძნობლად გაზარდა კონკრეტული პიროვნების რეიტინგი.



1917 წელს მოხდა საზარელი ფაქტი. მაშინ ამ საშინელებას ვერც ხალხი და ვერც ტრაგედიის ჩამდენების გარკვეული ნაწილი ვერ ათვითცნობიერებდა. „მაუზერის“ განთქმული, ბევრისათვის უსაყვარლესი იარაღით დახვრიტეს წმინდა მეფე და მისი ოჯახი, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზი. რა თქმა უნდა იარაღის თავდაპირველმა შემქმნელმა მისი დამზადებისას არ იცოდა რომ ეს ფაქტი მოხდებოდა. ბევრისათვის ცნობილი დევიზი, თუნდაც „თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა“ და ამგვარი ფრაზეოლოგიებით გონებაზე ზემოქმედების საშუალებით უამრავ მოქალაქესა და განსაკუთრებით მეიეარაღეს ჰქონდა თავში ჩადებული უკუღმართი იდეოლოგია. საკუთარი თავის გამართლებას ბევრი ამგვარი თეორიებითა და შთაგონებებით ცდილობდა და თან ხალხურ გადმოცემებს იხმარიებდა ხოლმე. ავიწყდებოდათ უფალი, ღმერთი ჩვენი. ის ვინც შექმნა ისინი, ყველა და ყველაფერი. ის ვინც მისცა მათ იარაღის შექმნის უნარი. უფლის დაშვებით ხდება ამ ქვეყანაზე ყველაფერი, თუ კი რამე ხდება. წმინდა მამების გადმოცემებიდან თუ სხვა ისტორიული წყაროებიდან შესაძლებელია ინფორმირება თუ რატომ, რისთვის და როდისაა დასაშვები და მიზანშეწონილი იარაღის გამოყენება. არამართებული მოქმედების გამო ბევრჯერ დაისაჯა კაცობრიობა, მაგრამ დღემდე ვერ ისწავლა ძირითადმა მასამ სწორად, მართებულად იარაღის გამოყენება და ზოგადად მასთან ერთად „მართებული ცხოვრება“. საქართველოში მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ძალზედ ცუდი ტენდენცია გავრცელდა, რომელიც გარკვეულ წილად დღემდე გრძელდება. მაგალითის სახით შეგვიძლია ავიღოთ იარაღის მაღაზია. სასურველი ინფორმაციის მისაღებად საკმარისია ერთი დღით მაინც გავჩერდეთ შიგნით, გამყიდველის სიახლოვეს, მყიდველების მთავარ შეკითხვას ზოგადად იარაღის, გასართობი-სპორტული, პნევმატური ან თუნდაც ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ, აუცილებლად გავიგონებთ (დაახლოებით) შემდეგი ჟღერადობის ფრაზებს: ეს იარაღი კლაავს?. სადამდე შედის ორგანიზმში?.. შემიძლია

www.caravani.ge

ქუჩაში დატენილი ვატარო?.. ამგვარ შეკითხვებს იძლევიან ყველა ასაკისა და ფენის მოქალაქეები. იქნება ეს ხნიერი პენსიონერი, სოლიდურად ჩაცმული თანამდებობის პირი, სკოლის მოსწავლე თუ სტუდენტი. საბედნიეროდ გამონაკლისი ყველგანაა. მაგრამ ღვთის წყალობით ბოლო წლებში გაუმჯობესდა და შეიცვალა სიტუაცია ეკლესიის მიერ გაწეული ღვაწლისა და ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის წყალობით. საზოგადოების დიდი ნაწილი და ზოგადად ჩვენი აზროვნება ბევრად გამოსწორდა. სხვათაშორის ამ წიგნის არსიც ამაში მდგომარეობს, რომ გაიგოს ჩვეულებრივმა მოქალაქემ, ჩვეულებრივმა ქრისტიანმა, განსაკუთრებით იარაღების მოყვარულმა, რომ დანის, ხმლის, შაშხანის ან თუნდაც თოფის გამოყენება უამრავი სხვა, საზოგადოდ არასაზიანო მიზნებისათვის შეიძლება. შეგვიძლია ისე მოვიქცეთ მისი მოხმარებისას, რომ არც ღვთის წინაშე არ ვიყოთ კონკრეტულ საქციელში ცოდვილნი და კანონის ფარგლებში თუ ზნეობრივი კუთხით არაკორექტული საქციელი არ ჩავიდინოთ. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიურმა კომიტეტმა დაამტკიცა სპორტის ერთ-ერთ სახეობად სხვადასხვა გვარი სროლის ტიპები. ამ მხრივ ყველაზე ნაკლები შეზღუდვები წესდება და ვარჯიშისას, გართობისას თუ ტურნირში მონაწილეობისას ამ სპორტის მოყვარულები ყოველთვის ძალზედ კმაყოფილები არიან. ამას ემატება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორი, ასაკი შეზღუდული არაა და მსურველს ძალულს ზდასრულ ასაკში დაიწყოს ვარჯიში და სროლა. რაც შეეხება ნადირობას, ის ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ქართველებს ოდითგანვე მოგვდგავდა გენებში ნადირობისას მშვილდ ისრისა თუ სხვა საშუალებების ოსტატურად ხმარება. არც იარაღების დამზადებაში ვიყავით ვინმეზე ნაკლებნი და არც მის გამოყენებაში. დღესდღეობით კი ამ მხრივ ძალიან დიდი პრობლემებია საქართველოში. ამჟამად ცოტაა ჩვენში კარგი ოსტატი, რომელიც ხმლებს და დანებს ამზადება, ცეცხლსასროლი იარაღის ან შესაბამისი ვაზნების წარმოება კი საერთოდ არ ხორციელდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც მონადირე ყოველგვარი წესების დარღვევით ნადირობს. კლავს ფრინველს ან ცხოველს და შემდგომ ნანადირევს ტოვებს ადგილზე. არის შედარებით უკეთესი შემთხვევები, როდესაც მონადირე ნანადირევს შინაურ ცოველს ან მაწანწალა ძაღლებს უგდებს საჭმელად. აღნიშნული ფაქტები პირველ რიგში მონადირისა თუ მეიარაღის დაუწერელი კანონების დარღვევაა. ყველაზე მთავარი რაც არის, ღმერთი გვაძლევს საკვებს იმიტომ, რომ დავპურდეთ და ვიკვებოთ. ჩვენ არ გვაქვს (ამასთანავე არც ცხოველის) მოკვდინების უფლება მხოლოდ და მხოლოდ გართობის მიზნით. ვისაც არც სპორტი და არც ნადირობა იზიდავს და ამავდროულად მაინც იარაღების მოტრფიალეა, შეუძლია საკოლექციო იარაღებით დატკბეს. თუ მაინც და მაინც მისი გამოყენება სურს ვინმეს, პირველ რიგში სასროლეთზე უნდა მოსინჯოს ძალები. თუ გული არ უთმენს და მძლავრი სწრაფვა აქვს იარაღისადმი, ყველაზე კარგს ამ შემთხვევაში მაშინ იზავს, თუ სამშობლოს სადარაჯოზე დადგება და მხოლოდ მაშინ გამოიყენებს იარაღს, თუ ადამიანების სიცოცხლეს გადაარჩენს. საქართველოში ოდითგანვე ხდებოდა უცხო ქვეყნის დამპყრობლების მიერ შემოსევები. ამ დროს მოძღვარი აკურთხებდა ჯარს და ლოცავდა. ეს შემთხვევა რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რასაც იარაღის არასწორი, არამართებული გამოყენება ჰქვია.



MAUSER C-96



დავუბრუნდეთ ისევ ფისტოლეტის შექმნის ისტორიას. „მაუზერის“ წარმოებისა და პოპულარიზაციას შემდეგ



WALTER P.38

ბევრმა სხვა კომპანიებმაც დაიწყეს თვითმტენი ფისტოლეტების დამზადება. Colt-1911, Walther P-38, Browning-1900, Walther-PPK, Beretta-92 და ასე შემდეგ. „ბრაუნინგის“ 1900 წლის მოდელს სამ წელიწადში მოჰყვა იმავე ჯონ მოზეს ბრაუნინგის ვერსია, რომელიც შეიქმნა „კოლტის“ ქარხანაში და 1945 წლამდე იწარმოებოდა სერიულად. იარაღი დღემდე იწარმოება სხვადასხვა კომპანიების მიერ თუ კერძო შეკვეთების შემთხვევაში. მასში 7 ერთეული 32 კალიბრიანი ვაზნა ჩადიოდა. იარაღის წონა შეადგენდა 453 გრამს. ფისტოლეტი ძალზედ კომპაქტური იყო და ამით მოიხვეჭა სახელი. შტატებში ჭორის სახით დადიოდა ხმები, რომ სწორედ Colt-Browning-ის 1903 წლის მოდელი წარმოადგენდა მაფიოზთა საყვარელ იარაღს. ასეთი მითქმა-მოთქმა აღნიშნული მოდელის შესახებ ან მთავრობასა და ქარხანას ჭირდებოდა, ან მართლაც იმის გამო ვრცელდებოდა ხმები, რომ ალ კაპონე დადიოდა ამ ფისტოლეტით. ზემოთხსენებული Colt-1911-იც ბრაუნინგის მეშვეობით შეიქმნა, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია და დღემდე წარმოებაშია.

რაც შეეხება ევროპულ ბრენდებს, ამ პერიოდისათვის ბევრი წარმატებული პროქტი განახორციელეს. ათეული წლების შემდგომ კი შექმნეს ლეგენდები, ჯერ P-38-ის სახით, შემდგომ კი PPK-ს სახით. Walther P-38-ის მჭიდში 9x19 მილიმეტრიანი რვა (8) ვაზნა ჩადიოდა და იარაღი ფაქტიურად უტყუარად ფუნქციონირებდა. ფისტოლეტის მთლიანი სიგრძე წარმოადგენს 220 მილიმეტრს, ხოლო ლულის სიგრძე 125 მილიმეტრს. სიმაღლეში ის 135 მილიმეტრია. სინთეტიკური მასალისაგან დამზადებული ტარით დაკომპლექტებული ვერსიის წონა 810 გრამია, ხოლო ხის ტარებით აღჭურვილი ვერსია წონაში 980 გრამს იწონის. „ორიგინალი“ P-38-ის შალითაში იარაღის გარდა დამატებითი მჭიდისათვისაცაა გაკეთებული ჩასადები. ცოტა მოგვიანებით წარმოებულია Walther PPK. ფისტოლეტი მისი ფუნქციონალური მხარიდან და აგებულებიდან გამომდინარე მართლაც რომ უნაკლო იარაღი გახლავთ. უამრავი კინოსა თუ შოუბიზნესის მსახიობებმა გაითქვეს მისით სახელი. ცნობილი ფილმის „ჯეიმს ბონდი“-ს პერსონაჟი პირდაპირ კავშირშია Walther PPK-სთან და Walther P99-თან. ყველაზე გახმაურებული ფაქტი, რომელიც ამ იარაღით მე-20 საუკუნეში მოხდა, იყო ფაშისტური გერმანიის წინამძღოლის, ადოლფ ჰიტლერის თვითმკვლელობა. მას მოოქროვილი, მოჩუქურთმებული PPK აჩუქეს, რომელსაც თითქმის სულ თან ატარებდა. იარაღის ტარი სპილოს ძვლის მასალით იყო გაწყობილი. ხელსაკიდზე კი ინიციალები ჰქონდა გაკეთებული – A.H. (Adolf Hitler). ამ იარაღზე სასხლეტის გამოკვრის შემდგომ საბოლოოდ დაიმსხვრა ლიდერის ყველა მიმდევრისა და თანამოაზრის ოცნებები. ომი თითქმის უკვე დასრულებული იყო, მაგრამ ბერლინში მომხდარი თვითმკვლელობის შემდეგ საბოლოდ დაესვა წერტილი ფაშისტურ იდეოლოგიას.

სერიული მოდელებიდან დღესდღეობით იარაღის ორი განსხვავებული ვერსია იწარმოება ნიკელისა და შავი ფერის დიზაინით. თუმცა შემდგომ კიდევ ხდება დაყოფა გარკვეულ კატეგორიებად ყალიბისა თუ დიზაინს მიხედვით. მათი ყალიბია 9 მმ – მოკლე ვაზნები (9mm Kurz) ან 7,65 მმ. ჩვენ მოვიპოვეთ 9 მმ-იანი ვერსია და მისი მცირედი განხილვა გავახორციელედ. ფისტოლეტის მჭიდში ეტევა 6 ვაზნა. თვითმტენი იარაღის გასროლის შედეგად გამოყოფილი ენერგია შეადგენს მაქსიმუმ 180 ჯოულს. იგი აღჭურვილია მექანიკური დაცვითი სისტემით, რომელსაც აქვს ჩვეულებისამებრ განმმუხტველი ფუნქციაც. ეგრეთ წოდებული DA-Double Action-ის პოზიციის გამოყენებისას სასხლეტზე მიახლოებით მოქმედებს 6000 გრამი ზეწოლა და მისი მოძრაობის მანძილი შეადგენს 11 მილიმეტრს. SA-Single Action-ის ხმარებისას კი სასხლეტზე აქტიურია 2700 გრამი ზეწოლა და მისი გადაადგილების მანძილი არის ბევრად მოკლე, დაახლოებით 5 მილიმეტრი. თავად იარაღის ლულა 85 მილიმეტრია. ფისტოლეტი მთლიანობაში მიუხედავად რკინის (დაახლ.) 95%-იანი შემცველობისა სულ რაღაც 590 გრამს შეადგენს მჭიდის გარეშე.

მე-20 საუკუნის მიწურულს, 1983-85 წლებში ასპარეზზე გამოჩნდა Beretta-92. იარაღი მალევე მიიღეს შეერთებული შტატების შეიარაღებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ფისტოლეტის კონსტრუქცია მართლაც უნაკლოდაა მოფიქრებული და ის არაჩვეულებრივად ფუნქციონირებდა. მასში 17 ვაზნა ეტეოდა და ამის მიუხედავად იარაღი სულ რაღაც 948 გრამს იწონიდა. ფისტოლეტის სასროლეთზე გასინჯვისას უამრავი ტესტი ჩატარდა. ყველაზე დიდი ყურადღება დაეთმო კრიტიკულ, რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მუშაობის ფაქტორს, რაც „ბერეტამ“ უპრობლემოდ გადალახა. აღსანიშნავია, რომ თანმიმდევრულად, ზედიზედ სროლისას 7000-დან 8000-მდე ვაზნების გასროლა იწარმოა, რის შედეგადაც იარაღი არ დაზიანებულა და ტესტის შემდგომ ჩვეულებრივ მუშა მდგომარეობაში იმყოფებოდა.

1979-82 წლებში ასპარეზზე გამოვიდა თანამედროვე, მარტივი და საიმედო ავსტრიული ფისტოლეტი Glock-ი. ავსტრიის დედაქალაქთან, ვენასთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქში სხვადახვა საყოფაცხოვრებო ნივთებისა და დანა-ჩანგლების დამზადებელი ქარახანა ფუნქციონირებდა. მე-20 საუკუნის 80 იან წლებში კი გადაწყვეტილება იქნა მიღებული აღნიშნულ დაწესებულება გადაეკეთებინათ და იქ აეგოთ ახალი, თანამედროვე იარაღების ქარხანა, რომელსაც მოგვიანებით სახელად ეწოდა „გლოკი“.

კომპანია Glock-ი პირველი იყო, რომელმაც სინთეტიკური მასალის გამოყენებით შექმნა სამოქალაქო ტიპის ცეცხლსასროლი ფისტოლეტი. ამის შესახებ ვრცელდებოდა ჭორები, რომ იარაღს დეტექტორი ვერ აღიქვავდა და მისი ტარებისას საზღვარზე გადასვლა შესაძლებელი იყო. არადა ეს სინამდვილეში აბსოლუტური სისულელე იყო, რომელიც შესაძლოა ვიღაცამ





პიარისათვის მოიგონა ან ეს უბრალოდ „გლოკის“ მოტრფიალე, იარაღში ნაკლებად გათვითცნობიერებული მოყვარულების ოცნება იყო. სინამდვილეში იარაღში ზოგიერთ სხვა ფისტოლეტებთან შედარებით უფრო მეტი ფოლადის მასალა იყო გამოყენებული. კრიტიკოსები იმასაც ამბობდნენ რომ პოლიმერულ-ხელოვნურ მასალისაგან დამზადებული მჭიდისა და მექანიზმის სისტემურ ბუდეს სტანდარტულზე ბევრად ნაკლები რესურსი ჰქონდა და არა საიმედო იყო. მალე ეს მცდარი თეორია სააშკარაოზე გამოვიდა და ყველა დარწმუნდა „გლოკის“ საიმედო ფუნქციონირებაში. იარაღს მალე გა-



HECKLER&KOCH MARK-23

მოუწნდნენ კონკურენტებიც. მთავარი მეტოქე კი ყველა ქვეყნის იარაღების მწარმოებლებისათვის გერმანელი მეიარაღეები იყვნენ. ფაქტია რომ Heckler&Koch და Sig-Sauer დღემდე ითვლება ყველაზე საიმედო და გავრცელებულ იარაღად მსოფლიოში. სამხედრო პერსონალის საყვარელი მოდელი კი Heckler&Koch MARK-23 გახლავთ.



WALTER P-33

რევოლვერი

რევოლვერი არის მოკლე ლულიანი, ყველა შემთხვევაში მრავალვაზნიანი ხელის (მოკლე) იარაღი, რომელიც გამოიყენება თავდაცვისათვის, სანადიროდ და სპორტული სროლების განსახორციელებლად. ინგლისურად სიტყვა revolve ბრუნვას ნიშნავს, რომელიც ლათინურიდანაა წარმოშობილი. ლათინურად კი revolvere – უკან ტრიალს ნიშნავს.

დღევანდელი მისი სახელწოდებაც სწორედ ამ ორი სიტყვისაგანაა ნაწარმოები. რევოლვერში ვაზნები ლულის უკან არსებულ მბრუნავ დოლურაშია მოთავსებული. 1836 წელს ამერიკელმა სემუალ კოლტმა განავითარა წინიდან (ლულის სანათურდიან) მტენი „პერკუსიული“ ტიპის რევოლვერები. ისინი აღჭურვილნი იყო ეგრეთ წოდებული Single Action სისტემებით. რაც შეეხება შედარებით ახალი თაობის Double Action-ის სისტემას, ის მოგვიანებით, დაახლოებით 1845 წლისათვის გამოჩნდა. პირველი, უკნიდან მტენი (სტანდარტული – ამჟამად გამოყენებადი), რევოლვერების კონსტრუქცია Lafaucheux-მ შექმნა მე-19 საუკუნის 50-იან წლებში. 1857 წელს H. Smith-სა და D. Wesson-ის ვაზნებზე, ხოლო 1869 წელს P.Webley-ის ვაზნებზე.

იარაღები, რომლებიც შექმნის დღიდან მალევე მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებაში, მრგვალი, ცილინდრული ფორმის მჭიდი, იგივე დოლურა ლულის უკან ჰქონდა განთავსებული. ის საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნავდა და ახორციელებდა თითოეულ ბრუნზე თითო ვაზნის ცილინდრული მჭიდიდან სავაზნეში მიწოდებას. ამგვარ იარაღებს ჩვენში ჟარგონული ენით „ბარაბნიან“ იარაღებს უწოდებენ. ეს გახლდათ სისტემა, რომელიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. მე-19 საუკუნეში მოსახლეობა დიდ ყურადღებას აქცევდა პოპულარული ადამიანების აზრს იარაღის შეახებ. მაგალითის სახით შეიძლება გამოვიყენოთ ბუფალო ბილი, რომელიც მუდამ ატარებდა „რემინგტონის“ ცნობილ რევოლვერს. ის ამ იარაღს ყოველთვის დადებითად ახასიათებდა და ვრცელდებოდა ხალხში ინფორმაცია, რომ ამ რევოლვერმა ბევრჯერ შეუნარჩუნა სიცოცხლე მის მფლობელს. იმ დროისათვის ხალხის სიმპატია მოიპოვა „კოლტის“ რევოლვერმაც, რომელიც არანაკლებ პოპულარულ და ცნობილ პიროვნებებს ჰქონდათ თავის არსენალში.

ამჟამად იწარმოება როგორც მსხვილკალიბრიანი ისე მცირეკალიბრიანი რევოლვერები. პრინციპი ყველაზე ერთი და იგივეა. ზოგადად განასხვავებენ ორ კატეგორიას, Single Action და Double Action-ის სისტემებს. ამ უკანსაკნელის შემთხვევაში სასხლეტზე თითის გამოკვრის და გასროლის შედეგად



Colt Lawmam MK III. კალიბრი – .357 MAGNum

ბრუნავს დოლურა, იჭიმება ზამბარა და ნემსი მზადაა ვაზნაში არსებულ ფისტონზე დასარტყმელად. შემდგომი სასხლეტზე გამოკვრის შედეგად ხორციელდება მომდევნო გასროლა ყოველგვარი სხვა, დამატებითი პროცედურის შესრულების გარეშე. ანუ თვიდატენვა აქტიურია და სისტემა ფაქტიურად წარმოადგენს ნახევრადავტომატურ ვერსიას. ზოგ შემთხვევებში შესაძლებელია ჩახმახის ხელით გადაწევა უკან. ამ პროცედურის განხორციელებისას მცირდება სასხლეტის მოძრაობის მანძილი და მასზე ზემოქმედებისათვის განსაზღვრული ძალა – ენერგია. რაც შეეხება Single Action-ს, გასროლამდე მსროლელი ხელით ახორციელებს გადატენვის პროცედურას, შემდგომ კი სასხლეტზე გამოკვრას. მეორე ვაზნის გასასროლადაც ანალოგიური პროცედურაა ჩასატარებელი. თვალსაჩინოების მიზნით შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ტიპის იარაღები არ წარმოადგენენ ნახევრადავტომატურ ვერსიებს. ანუ ყოველი მეორე ვაზნის გასასროლად აუცილებელია გადატენვა.

დღესდღეობით უამრავი მწარმოებელი ახორციელებს რევოლვერების დამზადებასა და რეალიზაციას. როგორც ხდება ხოლმე მათგან მხოლოდ რჩეულებს გამოსდით საუკეთესო ნაწარმი. მსოფლიო მაშტაბით ერთ-ერთი წამყვანი ბრენდი მსგავსი ტიპის იარაღების წარმოებაში (და არა მარტო მსგავსი ტიპის) გახლავთ ამერიკული კომპანია Smith&Wesson. ამჟამად კი წარმოგიდგენთ 90-იანი წლების ერთ-ერთ უველაზე გაყიდვად და გავრცელებულ ვერსიას Smith&Wesson Mod. 60 Chief Special Stainless, ყალიბით 38 Special-ს. რევოლვერის მთლიანი სიგრძე 160 მილიმეტრია, ლულის სიგრძე კი ზუსტად 5,08 მილიმეტრი. დოლურაში 5 ვაზნა ეტევა. ცარიელ მდგომარეობაში იარაღი სულ რაღაც 560 გრამს იწონის. ასეთი ზომა-წონა ბევრ პოლიმერის თუ სხვა ხელოვნური მასალით გაწყობილ მოდელს შეშურდებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იარაღში მიდის ზემოთხსენებული .38 Special-ის 5 ვაზნა.

რევოლვერს ჩარჩოზე, ჩახმახის ქვედა მხარის პარალელურად, განთავსებული აქვს დოლურის გამღები-დამჭერი ღილაკი. მისი წინ მიწევისას დოლურა იხსნება და გამოდის მარცხენა მხარეს, რათა მსროლელმა განახორციელოს ვაზნების ჩაწყობა. აღნიშნული ღილაკის ქვედა მხარეს რევოლვერს ამშვენებს ბრენდის ლოგო. ზოგადად იარაღი ძაან მარტივადაა აგებული და მასში ჩადებულია მაქსიმალურად ნაკლები დამატებითი ოფციები. Double Action სისტემის მქონე Chief Special კლასიკური ვერსიაა, რომელიც დამზადებულია მაღალი ხარისხის უჟანგავი ფოლადით (Stainless steel). მისი ტარება ძალზედ მოსახერხებელია, გამოყენება კი უმარტივესი. სწორედ ამ დანიშნულებით შეიქმნა ეს მოდელი, რომ მის მფლობელს ტარებისას არ გასჩენოდა ზედმეტი დისკომფორტი, ამავდროულად იარაღი ყოფილიყო იოლი სახმარი, საკმარისი ტევადობის ვაზნებით და ძლიერი ეფექტის მქონე. რაც ყველაზე მთავარია ზემოთხსენებული მოდელი იწარმოებოდა 70-იან წლებში, ანუ სწორედ იმ დროს, როდესაც აღნიშნული კომპანიის ხარისხმა პიკს მიაღწია და Smith&Wesson-ი ამზადებდა თავისი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმს.





Smith&Wesson-ის რევოლვრი

მეიარაღეობა ინგლისში. თოფი&ინგლისი

დღესდღეობით დიდი ბრიტანეთი, კერძოდ კი ინგლისი ითვლება, ასე ვთქვათ თოფების სატახტო ქალაქად, სადაც უმაღლესი, ლუქს კლასის, მაღალი კატეგორიის იარაღს ამზადებენ. ლონდონი ოდითგანვე განთქმული იყო ხელნაკეთი, საუკეთესო იარაღითა თუ დიდოსტატი, ხელოვანი მეიარაღეებით. სახელები რომელთა წაკითხვაც ამჟამად ლონდონის ქუჩებში განთავსებულ მაღაზიების აბრებზეა შესაძლებელი, მთელს მსოფლიოში პოპულარულია და ზოგჯერ პატარა ინგლისელმა, ტრადიციულ ბრიტანულ ოჯახში აღზრდილმა ბავშვმაც კი ზეპირად იცის. ინგლისელებისათვის სანადირო იარაღების წარმოება მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში მკვეთრად შეიცვალა, დაიხვეწა და სრულყოფილი სახე მიიღო. აღსანიშნავია რომ მანამდე დიდ ბრიტანეთში გერმანული, ფრანგული და იტალიური იარაღები უფრო ფასობდნენ, ვიდრე ეროვნული ნაწარმი. ინგლისში ყოველთვის შეიმჩნეოდა ტენდენცია აღმავლობისაკენ, განსაკუთრებით მე-15 საუკუნიდან, სწრაფვა საუკეთესოებისაკენ, პირველობისაკენ. იქ თუ რაიმე პროდუქტი იქმნებოდა, ყოველთვის იყო მოთხოვნილება სამეფო კარიდან, ზემდგომი ძალებიდან, ზოგადად მოსახლეობიდან თუ თავად შემქმნლებიდანაც – გაკეთებულიყო საუკეთესო ნაწარმი. არ ჰქონდა ამას მნიშვნელობა იქნებოდა ეს თოფი თუ სხვა რაიმე, ლუქს კლასის, ნივთი. აღნიშნული ვითარება შეიძლება იმის ბრალიც იყოს რომ ბრიტანელები მაქსიმალისტები არიან, მაგრამ არა ყველა. არც გერმანელები იყვნენ ზარმაცი ხალხი და ქალაქ ზულში თითოეული მეიარაღე თავის საქმეს გულდასმით, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის ხარჯზე ქმნიდა. თუმცა ყოველივე რაც ინგლისში მოხდა მხოლოდ ბეჯითი შრომის შედეგი არ იყო. პირველ რიგში იქ დამზადებული იარაღი ხარისხობრივად ჯობნიდა კონკურენტ პროდუქტს, ანუ თეორიული თვასაზრისით ნამზადი პრდოუქტისათვის საუკეთესო და უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია იყო გამოყენებული. რა თქმა უნდა იყო გამონაკლისი შემთხვევებიც, მაგრამ ინგლისელები მაინც საუკეთესოები იყვნენ, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, სხვა ერებთან შედარებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ ჩამოყალიბდა ტენდენცია, მიმართულება უმაღლესი კლასის იარაღების წარმოებისა. ბევრმა კომპანიამ საერთოდ უარი თქვა სერიულ ნაწარმზე და მხოლოდ ცალკეულ, ხელნაკეთ ძვირფას იარაღებს ქმნიდა. ეს ყოველივე ერთგვარი რეკლამაც იყო ლონდონელი მეიარაღეებისათვის განხორციელებული და რა თქმა უნდა ბევრი მათგანი და თავად სახელმწიფოს მმართველი ძალებიც ცდილობდნენ მთელს მსოფლიოში გავრცელებულიყო ხმები ინგლისური იარაღის შესახებ. პირველ რიგში ადამიანის თვალი ხედავს და აღიქვავს სილამაზეს. ეს კარგად ესმოდათ იქაურ ოსტატებს. ისინი იმდენად კარგად და დახვეწილად ასრულებდნენ მოხატულობასა და მოპირკეთებას იარაღებზე რომ მათ ხალხი ხელოვანებად მოიხსენიებდა. ასეც იყო, თავისი საქმის ხელოვნები ნამდვილად იყვნენ ის ადამიანები და რკინაზე ბრწყინვალედ ხატავდნენ. მაგრამ აუცილებელი იყო ბალისტიკური მონაცემებისა და გამძლეობის, იარაღის სიმყარის თეორიის გაუმჯობესება და დახვეწა. ამის გამო უამრავი ცდები ტარდებოდა. ხდებოდა ძველი, ტრადიციული და ახალი, თანამედროვე მეთოდების შერწყმა, შემდგომ დამუშავება და სასინჯ სიტუაციებში მათი რეალიზება. თუმცა სანამ ლონდონში ამ თვალსაზრისით მაქსიმალურ შედეგს მიაღწევდნენ, ევროპის სხვა ქვეყნებში დიდი ხნით ადრე უფრო უკეთესი ბალისტიკური მაჩვენებლების მქონე იარაღები იწარმოებოდა. ფაქტია რომ დღევანდელი გადასახედიდან სულ სხვაგვარადაა ყველაფერი. ინგლისი თითქმის მე-15 საუკუნიდან დღემდე ერთ-ერთ ზესახელმწიფოდ გვევლინება. შესაბამისად ის თავიდანვე ცდილობდა სხვადასხვა გზებით გამხდარიყო ლიდერი ქვეყანა აღნიშნულ სფეროში. ამისათვის იყენებდა ყველა ბერკეტსა და არსებულ ძალას. იქნებოდა ეს სხვა ქვეყნის მეიარაღეთა საიდუმლო დოკუმენტალური მასალის მოპოვება თუ პიროვნებების მიზიდვა და გადაბირება, რომლებიც ქმნიდნენ აღნიშნულ დარგში რაიმე ახალსა და კარგს. ინგლისის სახელმწიფოს ამგვარმა მონდომებამ და ლტოლვამ პირველობისაკენ განაპირობა და ერთგვაროვნად განსაზღვრა კიდეც საკუთარ მეიარაღეთა მომავალი. კარგად რომ დავფიქრდეთ, ნამდვილად არაა გასაკვირი და პირიქითაც, სიმართლეს უფრო შეეფერება ეს ფაქტი. სხვა, ინგლისზე ბევრად უფრო ძველ, ტრადიციულ და დიდი ისტორიის მქონე ქვეყნებში ალბათ მეტალის წარმოების უფრო მეტი ინფორმაცია მოიპოვებოდა და შედარებით უფრო კარგი ფოლადიც მზადდებოდა, შედგომ იარაღის სახით. არც ისაა გასაკვირი, რომ ჩვენს ქვეყანაში, საიდანაც ლეგენდები მსოფლიოს წვდებობდა მებრძოლი მეფეებისა და მეომარი ხალხის ოსტატობაზე, ბევრად მეტი ინფორმაცია და თეორიები არსებობდა იარაღის დამზადების შესახებ, ვიდრე ინგლისში ან თუნდაც ევროპის სხვა რომელიმე ქვეყანაში. საქართველოში ანდრეა პირველწოდებული რომ ქრისტიანობას ქადაგებდა და ივერიაში მძლავრი სახელმწიფო არსებობდა მაშინ ბრიტანეთში ტყავშემოსილი ხალხი დაიარებოდა. უფრო მეტიც, ჩვენს მიწა წყალზე აღმოჩენილია 4000 წლის წინად დამზადებული ლითონი, რომელიც სავარაუდოდ ადგილზევეა შექმნილი. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ თუ „საბედნიეროდ“ დღესდღეობით ინგლისია საუკეთესო სანადირო იარაღების მწარმოებელი ქვეყანა და არა საქართველო, ან თუნდაც რომელიმე სხვა სახელმწიფო. მათმა თავდაუზოგავმა შრომამ, გარკვეული პიროვნებების ნიჭმა და ქვეყნის განვითარებამ დღევანდელ სურათამდე მიგვიყვანა. თუმცა ყველაფერი ღვთის ნებაა და ყველა თავისი ნამოქმედარისამებრ იმკის. ამასთანავე ქვეყნის გაბრწყინება პირველ რიგში მის სულიერ სიძლიერეზე, ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ცხოვრებით გამოიხატება და არა ფუფუნებაში ყოფითა და იარაღების საწარმოების გამრავლება-განვითარებით.

ინგლისში მე-18 საუკუნის ერთ-ერთი მეიარაღე და ზემოთხსენებული ტენდენციის სულის ჩამდგმელი გახლდათ უნიჭიერესი პიროვნება ჯონ მენტონი. მან სხვა რამოდენიმე მეიარაღესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სამშობლოში სანადირო, უმაღლესი კლასის იარაღების წარმოებასა და განვითარებას. ის 1766 წლის აპრილში დაიბადა, ტრადიციულ ბრიტანულ ოჯახში. მისი ძმა, ჯოზეფიც აღნიშნულ პროფესიას გაჰყვა. მას წარმომადგენლობითი ფილიალის სახით ინდოეთში, კალკუტაშიც ჰქონდა საწარმო. თუმცა ჯონივით არც ერთ სხვა მეიარაღეს არ გაუკეთებია ინგლისის იმდროინდელი იარაღების ინდუსტრიაში იმდენი, რამდენიც მან თავად გააკეთა. ჯოსეფმა ძმასთან ერთად მუშაობა 1780 წელს დაიწყო, ლონდონში, Dover Street 6-ში. ისინი სიცოცხლის ბოლომდე თანამშრომლობდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებასა თუ ახალ-ახალ აღმოჩენებს. მიუხედევად ამგვარი სიამტკბილობისა ჯონმა 1789 წელს საკუთარი საწარმო გახსნა გრანთჰამში და თავისი სახელით შეუდგა სანადირო თუ სპორტული ტიპის იარაღების დამზადებას. მის განცალკევებამ და მარტო საკუთარი იდეების რეალიზებამ ერთ წელიწადში გამოიღო შედეგი. მისი გამოგონებები იმდენად სრულყოფილი იყო იმ პერიოდისათვის



charles lancaster – london

რომ მენტონი 1790 წელს მთავრობის პატრონაჟის ქვეშ მოექცა. 1792 წელს ჯონმა ბრიტანელ ქალბატონზე, ანა ატკინსზე იქორწინა. ამან დადებითად იმოქმედა მის კარიერაზე და ნიჭიერი მეიარაღე უფრო მონდომებით შეუდგა თავის საქმიანობას. მისი მეთოდიკა და გამოგონებები ამჟამად უკვე მოძველებულია და თანამედროვე წარმოებაშიც ფაქტიურად აღარ გამოიყენება, მაგრამ ნიმუშები იარაღების სახით და ჩანახაზები კვლავაც შემონახულია. ზოგიერთის ხილვა კი ნებისმიერ მსურველს მხოლოდ მუზეუმში შეუძლია. ჯონის მოღვაწეობის პერიოდში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ინკუსტრაციასა და მხატრულ გაფორმებას. მთავარი ყურადღება გადატანილი იყო ხარისხის დახვეწაზე. შესაბამისად მენტონიც, როგორც რიგითი ლონდონელი, ტენდენციას აჰყვა და ზრუნვა დაიწყო აღნიშნული ფაქტორის გაუმჯობესებაზე. შეიძლება ითქვას რომ მას გამძლე, მყარი და სტაბილური იარაღების დამზადება ყველაზე კარგადაც გამოსდიოდა. მის მიერ შექმნილი ზოგიერთი იარაღი ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეურყეველად, ყოველგვარი ბალისტიკური მონაცემების გაუარესების გარეშე მუშაობდა. თუმცა იგი არც მხატვრული გაფორმების მოწინააღმდეგე იყო და სწორედ მის პერიოდში დაიწყო აღნიშნული დარგის ინგლისში დახვეწა და განვითარება. თოფებზე ხატავდნენ სანადირო სცენებს, გამოჩენილ პიროვნებებს, მეფეებსა თუ სხვა დიდგვაროვნებს. აგრეთვე იხატებოდა გარკვეული ცერემონიები და ეპიზოდები, სხვადასხვა ღირშესანიშნავი ადგილები ან ბუნების მარტივი და ღვთითბოძებული სილამაზე. უნდა ითქვას რომ მენტონის მოღვაწეობის პერიოდში და მის მერეც განსაკუთრებით დაიხვეწა აღნიშნული ხელოვნების დარგი და დღესდღეობით უკვე ლონდონში არის სკოლები სადაც პიროვნებები 3-დან 5 წლამდე დავდაუზოგავად შრომობენ მხოლოდ იმისათვის, რომ შეისწავლონ გრავირების მეტალზე თუ ხეზე შესრულება.

მენტონი გლუვლულიან ვერსიებთან ერთად ქმნიდა ხრახნლულიან იარაღებსაც. მან 29 წლის ასაკში შექმნა ახალი, თანამედროვე მექანიზმი რომელიც საშუალებას აძლევდა იარაღისათვის ბევრად ნაკლები წონა მიენიჭებინა. პერიოდულად დაიხვეწა პროდუქციის დიზაინი და ამასთანავე გაიზარდა მათი სიზუსტე. მონადირეთა უმრავლესობა სწორედ რომ ჯონის მიერ დამზადებულ იარაღებს ენდობოდა და ყიდვის შემთხვევაში მათ ანიჭებდა უპირატესობას. მენტონის რვაკუთხა ლულიან ვერსიებს, რომელთაც ემბლემა ვეფხვის გამოსახულებით ამშვენებდა, ყველაზე დიდ ყურადღებას იპყრობდა ბრიტანელ არისტოკრატთა შორის. ჯონს მიაწერენ დუელის ფისტოლეტების დახვეწასაც. ცნობილი ფაქტია რომ მან შეამცირა წონა და დახვეწა დიზაინი. შესაბამისად ფისტოლეტები უფრო პრაქტიკული და ზუსტი გახდა. მას აგრეთვე დიდი წვლილი მიუძღვის ინგლისის საარტილერიო ძალების განვითარებაში. იარაღი, რომელსაც იმდროინდელი ჯარი იყენებდა არა ზუსტი და ნაკლებად ეფექტური იყო. მენტონი ცდილობდა პირველრიგში გაეუმჯობესებინა სიზუსტე. ამას მან ამუნიციის დახვეწით მიაღწია და მისი გამოგონების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა მთლიანი შეიარაღება. პირველ რიგში ლულას გაუკეთა ხრახნი. ამასთანავე ტყვია და დენთი მენტონმა ერთმანეთისაგან გაყო და ცალკე სათავსოში მოათავსა. საერთო ჯამში კი ერთი მთლიანი ბუდე იკვრებოდა. აქედან წარმოიშვა ახალი ვაზნის დიზაინი და დღევანდელი სახე მან სწორედ მენტონის იდეოლოგიის დახმარებით მიიღო. მან აგრეთვე გამოიგონა ორლულიანი იარაღებისათვის სპეციალური სამიზნე, რომელიც წინამორბედებთან შედარებით გაუმჯობესებული იყო და უფრო იოლად და მოხერხებულად ხდებოდა მისი გამოყენებით დამიზნება. იმ პერიოდში ინგლისში საზოგადოება ფიქრობდა რომ ზუსტი სროლის განსახორციელებლად აუცილებელი იყო მხოლოდ ერთ ლულიანი იარაღების გამოყენება. ასევე მიაჩნდათ, რომ გლუვ ლულიანი იარაღებით მხოლოდ 30-დან 55 მეტრამდე შეიძლებოდა გასროლის წარმოება. მენტონმა ეს თეორიები „დაარღვია“ და შექმნა ორლულიანი იარაღი, რომელიც ერთდროულად საიმედოც იყო და იდეალურად ზუსტადაც ისროდა. ამ პერიოდს ინგლისში „მენტონის დროს“ უწოდებენ.

მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის ჯონ მენტონმა შექმნა ახალი მექანიზმი, რომელიც გარკვეულწილად ჯობდა ფორსაიტის (Alexander John Forsyth) სისტემას. თავად ალექსანდრე ფორსაიტიც ძალზედ ნიჭიერი მეიარღე გახლდათ და მისი შექმნილი ნიმუშები დღემდეა შემონახული. ის 1768 წლის 28 დეკემბერს დაიბადა შოტლანდიის პატარა სოფელში, ბელჰელვიში. იგი სამეფო კოლეჯში, აბერდეენში სწავლობდა. სწავლის დასრულების შემდგომ კი იარაღისადმი ლტოლვამ და ნიჭმა თავისი ქნა. ფორსაიტი გახდა იმ პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო მეიარაღე. მან გამოიგონა საკეტი მექანიზმი, რომელიც ბოთლის ფორმას მოგვაგონებს. ცნობილი ფაქტია და ისტორიულადაც დასტურდება რომ ნაპოლეონ ბონაპარტემ ფორსაიტს 20.000 ფუნტი სტერლინგის შესთავაზა ჯილდოს სახით, რათა მას მონაწილეობა მიეღო ფრანგული არმიის შეიარაღების პროცესში. ამ დროს იკვეთება მისი მამაცური საქციელი, როდესაც მან უარი განაცხადა ჯილდოზე და გაემგზავრა Tower Armories-ში სამსახურში. ისიც უნდა ითქვას რომ 1807 წელს ფრანგმა მეიარაღემ, ჟუან გებაგემ ფორსაიტის ტიპის იარაღები შექმნა იმავე ნაპოლეონის არმიისათვის, მაგრამ ისინი ისეთი სრულყოფილი მაინც არ იყო, როგორიც თავად გამომგონებლის მიერ წარმოებული ვერსიები.

უნდა აღინიშნოს რომ ჯონ მენტონს სწორედ იმიტომ აღიარებენ იარაღების მეფედ რადგანაც არა უბრალოდ სხვებზე, არამედ საუკეთესო

კონსტრუქტორებსა და ოსტატებზე უკეთესი იარაღები თუ მისი სისტემები შექმნა. სწორედ მისი დახვეწილი მექანიზმებით აღჭურვილი იარაღები შეუკვეთეს საკუთარი ქვეყნის არმიისათვის ავსტრიის სახელმწიფომ. აგრეთვე ინგლისელი არისტოკრატები დიდი წარმატებით ხმარობდნენ მსგავს თოფებს სპორტული სროლისათვის რეგენსულ პერიოდში (1811-1820). ანალოგიური სისტემები გამოჩნდა მალე ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთისა და ამერიკის არმიაში.

ბრიტანელ მეიარაღეთა ხუთეული, ჯოსეფ ლანგი, ჯეიმს პერდე, თომას ბოსი, ჩარლზ ლანკასტერი და ვილიამ გრინერი, მენტონის მოწაფეებად და ამავდროულად მის მეგობრებად მოიაზრებიან. ისინი ჯოსეფის გარშემო მოღვაწეობდნენ, სწავლობდნენ მისგან და საკუთრივაც ქმნიდნენ ხოლმე ერთობლივად გარკვეულ თეორიებსა თუ პრაქტიკულად რეალიზებულ სისტემებსა და თოფებს. ჩამოთვლილი სახელწოდებებიდან Holland&Holland-თან ერთად რამოდენიმე კომპანია აკლია მეიარაღეთა იმ ჯგუფს, რომლებიც მე-19 საუკუნეში მსოფლიოში საუკეთესო ოსტატებად, საუკეთესო ნაწარმის შემქმნელებად და უამრავი აღმოჩენის ავტორებად მოგვევლინნენ. მენტონი 1835 წელს გარდაიცვალა. დღემდე ის ზოგადად იარაღების სფეროში საუკეთესო მოღვაწედ ითვლება. ინგლისელები კი მას მეიარაღეთა მეფეს უწოდებენ.

ადრიანო სალას წიგნში (გერმანულ ვერსიაში) Gewehre-ში, წარმოდგენილია ჯონ მენტონის გლუვლულიანი თოფი, ლულათა ჰორიზონტალური განლაგებით. იარაღი რა თქმა უნდა ლონდონშია დამზადებული, დაახლოებით მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. მისი მთლიანი სიგრძე 115 სანტიმეტრია, ხოლო 17 ყალიბიანი ლულის სიგრძე 76 სანტიმეტრი. საკონდახედ კაკლის მასალაა გამოყენებული. ჩახმახებით აღჭურვილი რკინის საკეტზე ზამბარები მენტონის სტილში, წინა მხარეს არის განთავსებული. თოფს ინიციალის სახით გაკეთებული აქვს ინგლისის დედაქალაქის სახელწოდება. ლულის ბოლოში კი ხელით შესრულებული მოხატულობებია შექმნილი.

მენტონის ერთ-ერთი მეგობრის, ჩარლზ ლანკასტერის უფროსი ვაჟიშვილი, ვილიამ ლანკასტერი 1820 წლის 24 ივნისს დაიბადა. მისი პირადი ცხოვრებაც და ზოგადად ბიორგაფიაც მრავლის მომცველი და ძალზედ საინტერესოა. სკოლის დამთავრების შემდგომ მამის ქარხანაში დაიწყო მუშაობა და დაეუფლა პრაქტიკულ ცოდნას იარაღების ბიზნესის შესახებ. მას კონსტრუქტორის საოცარი ნიჭიც აღმოაჩნდა და სულ ცოტა ხანში მშობელზე კარგ სისტემებსა და მოდელებს ქმნიდა. აღსანიშნავია რომ თავად ჩარლზმა 1826 წელს მისი უდიდებულესობისაგან, მეფე ედვარდ II-საგან მიიღო საპატიო მეიარაღის ტიტული. ეს ძალიან ბევრ რამეს ნიშნავდა იმდროინდელი ოსტატისათვის. ამ ფაქტორმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო მისი შვილის, ვილიამის კონსტრუქტორად ჩამოყალიბებას. თავად ვილიამი წარმატებული კარიერის შემდეგ ხშირად მოგზაუროობდა სხვადასხვა ქვეყნებში. ერთ-ერთი იყო რუსეთიც, სადაც მან მეფისაგან სპეციალური ოქროს მედალი დაიმსახურა. 1845 წელს ჩარლზ ლანკასტერმა იარაღების წარმოება დაიწყო ლონდონში, New Bond Street 151 – ნომერში. ერთი წლის თავზე მან შექმნა ახალი შაშხანის კონსტრუქციული პროექტი და სულ მალე დაამზადა კიდეც მისი პირველი მოდელი. ექსპერიმენტალური სროლები განხორციელდა იმ პერიოდისათვის რეკორდულ მანძილზე, 1000-დან 1100 მეტრამდე. შედეგებმა იმდენად მოხიბლა მარშალი, არტურ ველინგტონი, რომ საკუთარი არმიის შეიარაღება დაავალა ნიჭიერ კონსტრუქტორს. ორი წლის შემდეგ ვილიამმა თავისი ახალი კონსტრუქციის, სპეციფიკური ხრახნიანი ლულის გასინჯვა განახორციელა, ახალი ტიპის ვაზნებით, რომელიც ეგრეთწოდებული „საბოტის“ ბუდეში იყო განთავსებული. ცდები ჩატარდა კონუსურ ლულებზეც. მისი პროექტით აგებული ლულების სტრუქტურა მისივე ვაზნასთან იდეალურად იყო შერწყმული და ბრუნვისა და როტაციის პრინციპი ბევრად დაიხვეწა. 1850 წელს ლანკასტერმა ყუმბარმტყოცნებისათვის და შაშხანებისათვის ოვალური ტიპის ხრახნი შექმნა, რომელიც დღემდე მის სახელთან ასოცირდება. იმისათვის რომ მას საკუთარი სიახლე გამოეცადა, დაამზადა სრულმასშტაბიანი, 30 კილოგრამიანი ყუმბარმტყორცნი, რომელიც 1851 წელს გამართულ გრანდიოზული სიდიდის გამოფენაზე წარადგინა. ის ცნობილია როგორც ლანკასტერის 68 ფუნტიანი თოფი. იარაღმა როგორც ოსტატების, ასევე მთავრობის წევრების მოწონება დაიმსახურა. თუმცა ბირმინგემში შექმნილი ვერსიები თავდაპირველად ბრიტანეთის აღმოსავლეთში, შოუბურინესში გაიგზავნა საცდელად. ერთი წლის შემდეგ მან ექსპერიმენტალური ვერსია .577 ენფილდის ხრახნიანი მუსკეტიც შეექმნა და შემდგომ გააზვანა მუსკეტთა სკოლაში, სადაც მოიხიბლნენ კიდეც სპეციალისტები ლანკასტერის ნამუშევარით. ჩარლზ ლანკასტერი 1880 წელს გარდაიცვალა. მისი წვლილი იარაღების განვითარების სფეროში ძალიან დიდია.

ადრიანო სალას წიგნში – Gewehre-ში ასევე წარმოდგენილია ჩარლზ ლანკასტერის ორლულიანი თოფი, ლულათა ჰორიზონტალური განლაგებით. იარაღი ინგლისის დედაქალაქშია დამზადებული მე-19 საუკუნის მიწურულს. მისი მთლიანი სიგრძე 119 სანტიმეტრია. თოფი დამასკოს ტიპის ლულებითაა აღჭურვილი, რომლის სიგრძეც 80 სანტიმეტრს შეადგენს. ჩახმახებით აღჭურვილი საკეტი მექანიზმის გადახსნა სასხლეტის ბუდის ქვემოდან არსებული ბერკეტით ხორციელდება. ლულებზე გაკეთებული იყო წარწერა – Charles Lancaster 151 New Bond St. London Patent Breech Loader. საკეტ მექანიზმებზე თოფს შემორჩენილი აქვს მაშინდელი ხელოვანის მიერ შესრულებული გრავირებები. საკონდახედ გამოყენებულია უმაღლესი კატეგორიის კაკალი, რომელიც მხოლოდ ზეთით იქნა დამუშავებული და დღემდე შენარჩუნებული ჰქონდა პირვანდელი იერსახე.



JOHN MANTON – LONDON

WILLIAM GREENER-W.W. GREENER

ცნობილი ბრიტანელი მეიარაღე და გამომგონებელი ვილიამ გრინერი დაიბადა ინგლისში, ფელინში 1806 წელს. ის ტრადიციულ ინგლისურ ოჯახში გაიზარდა და შესაბამისი განათლებაც მიიღო. კონსტრუქტორის ნიჭი ვილიამს ბავშობიდანვე ეტყობოდა თუმცა მისი რეალიზება ცოტა მოგვიანებით მოახერხა, რაშიც ლომის წილი მიუძღვის ჯონ მენტონს. ვილიამ გრინერი ბევრი ახალი, დღემდე გამოყენებადი გამოგონების ავტორია. მან ლონდონში მეიარაღის პროფესიის დაწყების შემდგომ მშობლიურ კუთხეში გადაწყიტა დამოუკიდებლად საყვარელი საქმის გაგრძელება და 1829 წელს მენტონის საწარმოში დაგროვილი გამოცდილებისა და საკუთარი ნიჭის იმედით ნიუკასლში გადაბარგდა. ბიზნესი ვითარდებოდა და ძლიერდებოდა. თუმცა დედაქალაქურ რითმამდე ალბათ იარაღების წარმოება აღნიშნულ ქალაქში ვერასოდეს მიაღწევდა. ვილიამი ძირითად მასალას ბირმინგემში უკვეთავდა. საკუთარ საწარმოში კი ახდენდა შემდგომ დამუშავებასა და იარაღების დამზადებას. ეს პროცედურა იმ პერიოდისათვის ბევრ დროს მოითხოვდა და რთულ სამუშაოებთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ გრინერმა გადაწყვიტა ნიუკასლიდან ბირმინგემში გადასულიყო სამუშაოდ. ცოტა მოგვიანებით უკვე მისი ორი წარმომადგნლობა ფუნქციონირებდა. ერთი ბირმინგემში და ერთიც ჰულში, პარაგონის ქუჩა 19 ნომერში.

29 წლის ასაკში გრინერმა შექმნა ექსპანსიური (გაშლადი – გაფართოებადი) ტყვია. პროექტმა გაამართლა და იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ დღემდე მსგავსი პრინციპის მქონე ვაზნები შეუცვლელია თავის საქმეში. მისი შემდგომი, ერთ-ერთი რიგითი, არც თუ ისე ხმაურიანი აღმოჩენა იარაღების საერთოდ არ უკავშირდებოდა. მან დააპატენტა ერთ-ერთი პირველი ელექტრო ლამფა 1846 წელს, რომლის ანალოგიური ვერსია 33 წლის შემდეგ ტომას ედისონმაც შექმნა. ყველაზე დიდი პოპულარობა და აღიარება ვილიამმა 1851 წელს გამართულ ლონდონის უზამრაზარ საერთაშორისო გამოფენაზე მოიპოვა, სადაც წარდგენილი ჰქონდა როგორც გლუვლულიანი, ისე ხრახნლულიანი ვერსიები. იქ მან ჯილდოს სახით მოიპოვა ლულებისა და იარაღების საუკეთესოდ მოპირკეთებისა და დამუშავების სერთიფიკატი. რამოდენიმე წლის შემდგომ მან პარიზისა და ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენებზეც სცადა ბედი და წარადგინა საკუთარი პროდუქცია. შედეგმა გაამართლა და გრინერმა ორივეგან



w.w. greener



სისტემა – ლულისქვედა, ორმაგი ჩამკეტი მუხლითა და ზედა, ცალი ურდულით.
ავტორი: W.W. Greener

ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ამის შემდგომ მოთხოვნისამებრ გაფართოვდა შეკვეთილი პროდუქციის რაოდენობა და რა თქმა უნდა გაიზარდა ფირმის ბიუჯეტიც.

1845-58 წლებში გრინერი პრინც ალბერტისათვის მუშაობდა და მისი უდიდებულესობის არმიისათვის ამზადებდა იარაღებს. აღსანიშნავია რომ ამავე წლებში იგი პრინცი კონსორტისთვისაც ირჯებოდა. გრინერი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ლულიდან (ლულის სანათურიდან) მტენ იარაღებს აკეთებდა. თოფებს, რომელშიც დენთიც და ვაზნაც ლულის პირის ღრუდან, იგივე სანათურიდან იდებოდა და თავი, სადაც თანამედროვე თოფის შემთხვევაში სავაზნეა განთავსებული, მყარად იყო შეკრული. შიგნით წვრილი ხვრელის დახმარებით ხდებოდა სპეციალური საშუალებით დენთის აფეთქება და გასროლის წარმოება. ამ სისტემების დახვეწასა და გაუმჯობესბას ვილიამი დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდა. თუმცა ოფიციალურად ეს მისმა შვილმა განახორციელა საკუთარი კომპანიის ჩამოყალიბების შემდგომ. ვილიამ ველინგტონ გრინერმა (ვ.ვ. გრინერმა) 1864 წელს აწარმოა თავისი პირველი უკნიდან მტენი ვერსია. ანუ ამ შემთხვევაში ვაზნა იდებოდა არა წინიდან, არამედ დღევანდელი თოფის მსგავსად უკნიდან, ლულის დასაწყისში. მამა გრინერის გარდაცვალების შემდგომ 1869 წელს, შვილმა შეიერთა მშობლის მიერ ბირმინგემში დაარსებული კომპანია. ამის შემდგომ მან მკვეთრად გააფართოვა წარმოება. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ შეიქმნა ფილიალები ლონდონში, ჰულში, კანადის სახელმწიფოს კვებეკის პროვინციაში, ქალაქ მონრეალში და მსოფლიო სავაჭრო ცენტრ-ქალაქში, ნიუ-იორკში.

1865 წელს კომპანიამ შექმნა უნაკლო, იმ დროისათვის მსოფლიოსში ყველაზე მყარი ჩამკეტი სისტემა, რომელსაც დღემდრე გრინერის სახელით მოიხსენიებენ. ეს გახლავთ ეგრეთწოდებული Treble Wedge-Fast mechanism Gun, სამმაგი – მყარად ჩამკეტი თოფის მექანიზმი. ეს გახლდათ Facile-ის პრინციპზე აგებული სისტემა. ლულის ქვემოდან, სავაზნის ბუდის ძირში გაკეთებულია კაუჭისებრი კბილი (ზოგი მას მუხლს უწოდებს), რომლებიც ქვედა სისტემურ კოლოფში, მისთვის განკუთვნილ ჭრილებში იკეტებიან. ამავდროულად, მესამეგანაც გაკეთებულია სპეციფიკური ლულის გამცარობი, ზედა ჩამკეტი ურდული, რომელიც დაკეტვისას სისტემური კოლოფის ზედა ჩარჩოში ჯდება მთლიანად და შუაში ეყრება ფოლადის ჩხირი. ზემოთხსენებული მეთოდის რეალიზებით განხორციელდა მსოფლიოში ერთერთი ყველაზე საუკეთესო, მყარი და საიმედო გლუვლულიანი თოფის ჩამკეტი საშუალების წარმოება. აღსანიშნავია რომ აღნიშნული პრინციპის სრულყოფილად ჩამოყალიბებაში აგრეთვე მძლავრმა კომპანიამ „Anson&Deeley“-მ შეიატან დიდი წვლილი. ფირმა ბრიტანელი მეიარაღეების ვილიამ ენსონისა და ჯონ დილეის სახელს ატარებს. როდესაც გრინერის ზემოთხსენებული მექანიზმით აღჭურვილ თოფს გადავხსნიდით, მოვახდენდით შიგნით ვაზნების ჩალაგებას და დავხურავდით მას, ის სრულ სასროლ მზადყოფნაში ჯერ არ იმყოფებოდა. ენსონმა და დილეიმ კი სწორედ ამგვარი ჩაკეტვის პრინციპზე ააგეს მექანიზმი. მისი გადახსნისა და შემდგომ დაკეტვისას ნემსი თავადვე მოდიოდა აბსოლუტურ მზადყოფნაში და თოფი იმყოფებოდა სრულ სასროლ ვითარებაში. ამას კომპანიამ Boxlock, ანუ კოლოფისებრი სისტემა უწოდა. მან იმდენად გაამრათლა რომ აღნიშნლი მექანიზმი მე-19 საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში სხვა კომპანიებმაც გადაიღეს Anson&Deeley-საგან. ესენი გახლდნენ არა უბრალო, უნიჭო

კონსტრუქტორები და მეიარაღეები, არამედ ყველასათვის კარგად ცნობილი ვესლი რიჩარდსი, პერდე, თავად გრინერი და სხვები, რომელთაც მსგავსი, მასზე უკეთესი სისტემა იმ დროისათვის არ ჰქონდათ მოფიქრებული.

გრინერის წარმატებულ კარიერაში თავისი როლი შეითვისა ეჯექტორის, ცარიელი ჰილზის ამომგდების აღმოჩენა-განვითარებამ. ეს 1880 წელს გაეხორციელებინა მანამდე რეალიზაციაში არსებულ, ექსტრაქტორის პრინციპზე დაყრდნობით. ანუ როდესაც მოვახდენდით გასროლას და გადავხსნიდით თოფს, ექსტრაქტორი ახორციელებდა ჰილზების ამოწევას, შემდგომ კი ის მსროლელს თავად უნდა ამოეღო სავაზნის ბუდიდან. ეჯექტორი კი ამ მოქმედებისას თავადვე ყრიდა ცარიელ ჰილზებს სავაზნიდან და მსროლელს საშუალება ეძლეოდა უფრო სწრაფად გახორციელდა ჰილზების თოფში ჩაწყობა.

იარაღის ლულების შევიწროება, კერძოდ კი ჩოკების შექმნა გრინერის სახელთანაა დაკავშირებული. თუმცა ინგლისური კომპანია არ ყოფილა ჩოკების პირველი დამპროექტებელი და მწარმოებელი. აღნიშნული იდეა შტატებში გაჩნდა. პირველი ვერსიის კონსტრუქტორი იყო ამერიკელი მეიარაღე როუპერი, რომელმაც თავისი პროდუქცია 1866 წლის 10 აპრილს ოფიციალურად დააპატენტა. შემდგომი განვითარება დიდ ბრიტანეთში, ლონდონში გახორციელდა ბატონი პეიპისა და სხვა ოსტატების მიერ. ვინაიდან და რადგანაც ლულების სპეციფიკური შევიწროების იდეა ამერიკიდან წარმოიშვა, თავად ამერიკელები ნაკლებად ცდილობდნენ მის განვითარებაზე ზრუნვას. გრინერმა კი სწორედ რომ დახვეწა და გააუმჯობესა ჩოკების მოქმედების პრინციპი და 1874-75 წლებში მისი განსხვავებული ვერსიებიც შექმნა. იარაღებმა, რომლებიც გრინერის ჩოკებით იყო აღჭურვილი მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის უკვე ბევრ შეჯიბრებაზე დაიმსახურა არაერთი ჯილდო. მალე სხვა კომპანიებმაც აწარმოეს მსგავსი სისტემები. დღესღეობით კი უკვე, თუ არ ჩავთვლით გამონაკლისებს, თითქმის არცერთი სანადირო თოფი აღნიშნული შევიწროების გარეშე აღარ მზადდება.

ვილიამ გრინერის მესამე შვილი, ალბერტ გრინერი 1869 წელს სან-ფრანცისკოში წავიდა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ახორციელებდა იარაღების დამზადებას. მისი ორი უფროსი ვაჟები კი სამშობლოში დარჩნენ. ამჟამად ვილიამ გრინერის შვილიშვილის, ველინგტონის უმცროსი ვაჟიშვილის, ლეიტონ გრინერის შთამომავლობა უძღვება კომპანიის მმართველობას. ანუ დიდი წინაპრის მეხუთე თაობა წარმატებით ახორციელებს ფირმის საქმიანობას და ამაყად აგრძელებს მეიარაღის ტრადიციულ პროფესიას. ადრიანო სალას წიგნში წარმოდგენილია გრინერის მიერ შექმნილი ერთ-ერთი გლუვლულიანი თოფი. ის სავარაუდოდ 1875 წელსაა დაზმადებული. მისი მთლიანი სიგრძე 118 სმ, ლულის სიგრძე კი 80 სმ-ია. იარაღი აღჭურვილია 12 კალიბრიანი დამასკოს ტიპის ლულებით. მათ ზემოდან განთავსებული თამასა ატარებს წარწერას: Patent Treble n.3084wedgefast. W.W.Greener 68 Haymarket London Winner at the London Gun Trials 1875-1877-1878&1879. სიტემურ კოლოფში არსებული ზამბარები იმ პერიოდისათვის ძვირფასი თოფებისათვის დამახასიათებლად, შედარებით წინ არის განთავსებული. ჩახმახი და დაფები გრავირებულია საკმაოდ მაღალ დონეზე. კონდახისათვის გამოყენებულია მაღალი კატეგორიის კაკლის ფესვი, რომელიც სპეციფიკური ხაოიანი ხელსაკიდებითაა გამოყვანილი და ზეთითაა დამუშავებული.

JOSEPH LANG&SON-ATKIN, GRANT&LANG

ჯოზეფ ლანგი დაიბადა 1797 წელს ქალაქ ჰამშირში. ის ლონდონის მეიარაღეთა წრეს 1808 წელს შეერია და მუშაობა დაიწყო ვ.ჰ. ვილსონთან. ნიჭიერი მეიარაღე მალე დაიხვეწა და დიდი ავტორიტეტიც მოიხვეჭა იმდროინდელ მეიარაღეთა შორის. შედეგმაც არ დააყოვნა, 1826 წელს ლანგმა საკუთარი იარაღების მწარმოებელი კომპანია შექმნა. ფირმის ოფისი, სადაც ოსტატები შეკვეთებს ღებულობდნენ სწორედ რომ განთქმული მეიარაღის, მენტონის მაღაზიის გვერდით გაიხსნა. ეს გარემოება ჯოსეფმა ისეთ პერიოდს დაამთხვია, როდესაც ხალხში თანამედროვე იარაღებისაკენ მიდრეკილი ტენდენცია იყო დამყარებული და მენტონს ამ მხრივადაც და ფინანსურადაც გარკვეული პრობლემები ჰქონდა. თუმცა სიმართლე რომ ითქვას, აღნიშნულმა ვითარებამ და ზემოთხსენებული მეიარაღის პოპულარობამ მოუხვეჭა თავდაპირველად სახელი ლანგის იარაღებსაც და მისი ოფისის ადგილმდებარეობას.

ჯოსეფი ჯეიმს პერდეს პერიოდში მოღვაწეობდა და კონკურენციის მიუხედავად მათ თავიდანვე კარგი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ. ახალგაზრდა მეიარაღა გარკვეული პერიოდის განმავლობაში დიდი ოსტატის თოფებსაც ყიდდა. მათი ურთიერთობები ბიზნესის მხრივადაც და მეგობრულადაც უფრო დაიხვეწა 1828 წელს, როდესაც ლანგმა ჯეიმსის მეორე, უმცროსი ქალიშვილი, ელიზა პერდე შეირთო ცოლად.

ლანგი ჩინებული სპორტსმენი იყო და ხშირად ღებულობდა შეჯიბრებებზე მონაწილეობს. მე-19 საუკუნეში ხშირი იყო გამოფენები მაშინ, როდესაც სასროლეთზე სპორტსმენები იყრიდნენ თავს და ტარდებოდა ჩემპიონატები. ჯოზეფი შეჯიბრებაში მონაწილეობასთან ერთად საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაციაზეც ფიქრობდა. მან 1851 წელს გამართულ ერთ-ერთ ასეთ გამოფენაზე პირველად ნახა Le Faucheaux-ის ახალი მოდელი, რომლის შემდეგაც ბევრი რამ დახვეწა და გააუმჯობესა საკუთარ კონსტრუქციებში. ცოტა მოგვიანებით, უკვე 1855 წელს თავად წარადგინა საკუთარი იარაღები პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე. 1868 წელს ჯოზეფ ლანგი გარდაიცვალა და საქმე მისმა შვილმა განაგრძო. მან თავი კარგად გაართვა მამის დაწყებულ საქმიანობას და ისიც იღებდა შეკვეთებს არისტოკრატული ფენის წარმომადგენლებისაგან როიალ (სამეფო) კლასის იარაღების დასამზადებლად. კიდევ უფრო მოგვიანებით, 1886 წელს კომპანია გაიყიდა ტომას მორტონზე. თავად ჯეიმს ლანგი კი საკუთარ საქმიანობას 1895 წლისათვის დაუბრუნდა თავისივე სახელით. კომპანიამ ბევრჯერ შეიცვალა სახელი და ბევრჯერ მოხდა კადრების აღრევა და ცვლილებები. დღესდღეობით სამი დიდი მეიარაღის სახელები ერთ კომპანიადაა გაერთიანებული და ეწოდება Atkin, Grant&Lang.

რაც შეეხება თავად ჰენრი ატკინს, ის ლონდონელი მეიარაღის ოჯახში დაიბადა. მისი მამა, ჩარლზი პერდეს იარაღების საწარმოში მოღვაწეობდა. სადაც 1848 წელს თავად ჰენრიმაც დაიწყო მუშაობა. თუმცა 1860 წლისათვის მან დატოვა ჯეიმსის სახელოსნო და იმ დროისთვის ერთ-ერთ განთქმულ და მძლავრ ლონდონელი

joseph lang&son



მეიარაღეების Moore&Grey-ს ქარხანაში გააგრძელა მოღვაწეობა. დაახლოებით 1874-75 წლისათვის მას უკვე დაწყებული ჰქონდა საკუთარი პროდუქციის წარმოება და ინდივიდუალურად ახდენდა იარაღების დამზადებას. 1877 წელს კი ოფიციალურად გახსნა საკუთარი იარაღების საწარმო. აღსანიშნავია რომ ჰენრის მისი პირველი მოდელების აგებაში ნიჭიერი მეიარაღეები ედვინ ჰოჯი და ჯონ რობერტსონი ეხმარებოდნენ. მოგვიანებით ატკინსმა მჭიდროდ მოიკიდა ფეხი ლონდონის ბაზარზე და იდეალურად დამუშავებული იარაღების წყალობით მისი პროდუქციის პოპულარიზაციის პროცესიც დროულად და ფართო მასებში განვითარდა.

მესამე მეიარაღე გახლდათ სტეფან გრანტი. ოსტატის სახელი მისი მოღვაწეობის პერიოდშიც პოპულარული იყო და ასოცირდებოდა უმაღლესი კლასის იარაღებთან. ის თავდაპირველად ირლანდიაში, კერძოდ დუბლინში დაოსტატდა. მან იქ იმდროინდელ საუკეთესო მეიარაღესთან, William Kavenagh-თან ისწავლა ბევრი რამ. უკვე შემდგომ 1848 წელს ლონდონის მეიარაღეთა წრეს შეუერთდა და ჩარლზ ლანკასტერთან დაიწყო მუშაობა. 1840 წელს გრანტი პატრნიორის გარდაცვალების შემდგომ st. James street-ზე გადაბარგდა ტომას ბოსთან სამუშაოდ. შვიდი წლის შემდეგ ბოსიც გარდაიცვალა და გრანტმა მის ქვრივთან ერთად გააგრძელა ფირმის საქმიანობა. მან 1867 წელს ბოსის კომპანიაც დატოვა და საკუთარი სახელით შეეცადა 67-A St James's Street-ზე გახსნილი მაღაზია-სახელოსნოთი ლონდონელი მონადირეების გულები დაეპრყო. მისი ეს გადაწყვეტილება წარმატებული გამოდგა. მან საკუთარი პროდუქციის წარმოებითა და დაგროვილი გამოცდილების წყალობით მალე მოიპოვა პოპულარობა და გახდა ერთ-ერთი წამყვანი მეიარაღე ლონდონში. გრანტი ისეთი პიროვნებებისაგან ღებულობდა შეკვეთებს, როგორებიც იყვნენ რუსეთის მეფე, დედოფალი ვიქტორია, თურქეთის სულთანი და სხვები. იმ პერიოდისათვის მისი საუკეთესო სრული-გვერდითი საკეტებიანი გლუვლულიანი თოფი 3700 ფუნტი სტერლინგად იქნა შეფასებული, რაც მაშინდელი ბაზრისათვის კატასროფულად მაღალ თანხას წარმოადგენდა. სტეფან გრანტი 76 წლის ასაკში, 1898 წლის იანვარში გარდაიცვალა. 1901 წელს Stephan Grant&Son's-ის კომპანიას ლანგის თოფებიდან ჩვენ სრული-გვერდითი საკეტებიანი ტყუპი მოდელებით დავინტერესდით, რომლებიც ერთ-ერთ საგამოფენი კომპლექსში აუქციონზე წარსადგენად იყო გამზადებული. იარაღი ჯერ კიდევ იმ დროს იყო დამზადებული, როდესაც ლანგი პროდუქციას 7-Bury Street, St. james-ზე ამზადებდა. ერთ ტყუპისცალს ლულა და ტიბჟირი ზედ ეკეთა, მეორე კი მის გარეშე ტყავის ყუთში იყო განთავსებული. ორივე თოფს სისტემური კოლოფის ქვედა მხარეს გაკეთებული ჰქონდა წარწერა-Joseph Lang&Son. იარაღები ინგლისური კონდახებით იყო დაკომპლექტებული და მიუხედავად ასაკისა ხეც და ფოლადის დეტალებიც იდეალურად გამოიყურებოდნენ. ამავდროულად გასათვალისწინებელია ის გარეომოებაც, რომ ისინი უმაღლესი კატეგორიის იარაღების კლასს ნამდვილად არ განეკუთვნებოდნენ თუნდაც მათი ვიზუალური მხარიდან გამომდინარე. ტყუპი მოდელები ეგრედწოდებული შვიდ ჩხირიანი საკეტი მექანიზმით იყო დაკომპლექტებული და როგორც წესი იყო იმ დროისათვის, ისინი ორი სასხლეტით იქნა აღჭურვილი. თოფები აშკარად მოვლილი და კარგად შენახული ჩანდა, რასაც ემატებოდა მათი შექმნისას მეიარაღეთა ოსტატობა.

ლანგის, გრანტისა და ატკინსის პროდუქციის ნახვა თუ ვერ მოახერხე მონადირემ თუ უბრალოდ მსურველმა, ზემოთხსენებული ტყუპი თოფებიდან გამომდინარეც იოლად მიხვდება, თუ რა კატეგორიის პროდუქციასთან აქვს საქმე.



BOSS&CO.

კომპანია „BOSS“-ის ისტორია ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დაიწყო, როდესაც ვილიამ ბოსმა 1773 წელს, ქალაქ ბირმინგემში იარაღების დამზადებას მიჰყო ხელი. გარკვეული პერიოდი ის აღნიშნულ ქალაქში დიდი წარმატებით მოღვაწეობდა. წლების შემდგომ გადაწყვიტა შედარებით უფრო პრესტიჟულ ადგილას გაეკეთებინა მაღაზია. ამისთვის ბირმინგემის ბაზარი უკვე ნაკლებად საინტერესო იყო. ამიტომაც გადაწყვიტა ლონდონში გადაბარგებულიყო და ჯოზეფ მენტონთან დაიწყო პრაქტიკის გავლა. ვინაიდან ბოსი უმაღლესი კლასის, ხელნაკეთ პროდუქციას აწარმოებდა, ესაჭიროებოდა საუკეთესო ოსტატის რჩევები, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე იარაღების დამზადების მხრივადაც. მენტონზე კარგ მასწავლებელს კი ნამდვილად ვერ მონახავდა.

1790 წელს ვილიამს შეეძინა ვაჟი, რომელსაც თომასი დაარქვა. მან საკმადო კარგი განათლება მიიღო და სწავლის დასრულების შემდგომ მეიარაღეობა გადაწყვიტა. თავდაპირველად თომასმა მამამისის, ვილიამის მსგავსად ჯოზეფ მენტონთან დაიწყო მოღვაწეობა და იქ დაეუფლა მეიარაღის პროფესიას სრულყოფილად. გარკვეული პერიოდი ის ჯეიმს პერდესთანაც მოღვაწეობდა. უკვე 1812 წელს მან დაარსა ცალკე იარაღების მწაროებელი კომპანია 73 St James' Street-ზე.

1891 წელს, როდესაც ტომას ბოსი გარდაიცვალა, წარმოება ჯონ რობერტსონმა გადაიბარა. მან არა ერთი სიახლე შემატა ფირმის მიერ წარმოებულ იარაღებს. 1894 წელს შეიქმნა ბოსის განთქმული ერთ სასხლეტიანი დამცემ-სასხლეტი მექანიზმი. ზუსტად 4 წლის შემდგომ გრინერის მსგავსად კომპანიამ დააპატენტა ეჯექტორის ახალი სისტემა. შეიქმნა ჩამკეტი ჩარჩო, რომელიც ბევრად უფრო მყარი იყო, ვიდრე მანამდე წარმოებული სისტემები. ტრადიცია, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ ძვირფას, ლუქს კლასის ხელნაკეთი იარაღების არასერიულ წარმოებას, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვისაც შენარჩუნებულ იქნა. თავად მეფე გეორგ VI-ემ ერთერთ ნადირობაზე საუბრისას გამოთქვა საკუთარი აზრი კომპანიის მიერ წარმოებული თოფების შესახებ. იგი თვლიდა, რომ ბოსის თოფები შესანიშნავად დამუშავებული, უმაღლესი ხარისხის მაჩვენებელია და ამავდროულად გამოთქვამდა უკმაყოფილებას (ალბათ ირონიულ ასპექტში) ძვირი ფასის გამო.

დღესდღეობით კომპანია მიუხედავად ოთხმოციანი წლების კრიზისული პერიოდისა წარმატებულად განაგრძობს საქმიანობას. ამზადებს გლუვლუიან თოფებს როგორც ლულათა ჰორიზონტალური განლაგებით, ისე ვერტიკალური განლაგებით. ყალიბისა და სხვადასხვა მონაცემების შეკვეთა შესაძლებელია სურვილისამებრ. მათი დღევანდელი ფასი 60.000 ინგლისური ფუნტი სტერლინგიდან იწყება და მთავრდება დაახლოებით 84.000 ფუნტი სტერლინგამდე. ეს ფასები რა თქმა უნდა ითვალისწინებს ოსტატის რეკომენდაციისამებრ შერჩეულ იარაღებს. თუ მის მომავალ მფლობელს სურს რაიმე განსაკუთრებულის გაკეთება თოფისათვის, იქნება ეს გრავირება, მოზარნიშება, კონდახის მოხატვა თუ სხვა რამ, ფასი ბევრად ძვირი შეიძლება იყოს. ასევე იწარმოება შტუცერის ტიპის ორლულიანი შაშხანები. ისინი ძირითადათ მზადდება ყალიბებით 375 H&H Mag და 600NE. მათი ფასები ჰორიზონტალურად განლაგებულ ლულებინი ვერსიის შემთხვევაში შეადგენს 95.000 ინგლისურ გირვანქა სტერლინგს. ვერტიკალური მოდელის ფასი კი არის 135.000 გირვანქა სტერლინგი. აღსანიშნავია რომ თუ მფლობელს სურს მისი სურვილისამებრ დამზადება, რომ აღარაფერი ვთქვათ გრავირებაზე, მხოლოდ ტყავის კეისი დაუჯდება 2500 გირვანქა სტერლინგი.

PURDEY

ჯერ კიდევ ვატერლოოს ბრძოლამდე, 1814 წლიდან ამარაგებს კომპანია James Purdey&Son შთამბეჭდავი ხარისხის მქონე ცეცხლსასროლი იარაღით მთელს მსოფლიოში ყველაზე გამორჩეულ და დამსახურებულ ადამიანებს, რომელთა შორისაც თუნდაც დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახია. დედოფალმა ვიქტორიამ პირველად 1828 წელს შეუკვეთა პერდეს ოსტატებს წყვილი პისტოლეტები როგორც სამეფო საჩუქარი – Imam of Muscat-თვის. მისსმა უფროსმა ვაჟმა, უელსის პრინცმა, მოგვიანებით კი მეფე ედუარდ VII-ემ 1868 წელს მიანიჭა სამეფო ტიტული დამფუძნებლის შვილს, ჯეიმს პერდე უმცროსს. მან მამისაგან კომპანია 1858 წელს გადაიბარა. დღესდღეობით კი ბატონი ნაიჯელ ბეამონტი – Nigel Beaumont – ფლობს მისი უდიდებულესობისაგან-დედოფალ ელიზაბეტისაგან, ედინბურგის პრინც ფილიპისაგან და უელსის პრინცისაგან საპატიო წოდებას, რომელიც გამოხატავს საუკეთესო ეროვნულ მეიარაღე-მმართველს.

თავდაპირველად კომპანიის ადგილმდებარეობა იყო პრინცის ქუჩაზე, ლონდონში, საიდანაც ისინი 1826 წელს გადავიდნენ ოქსფორდის ქუჩაზე. ხოლო უკვე 1882 წელს ფირმამ გადაინაცვლა South Audley Street-სა და Mount Street-ის კუთხეში, მათ გადაკვეთაზე, სადაც მისი ერთ-ერთი წარმომადგენლობითი ოფისი დღემდე შენარჩუნებულია. ჯეიმსმა იქ განათავსა იარაღების საჩვენებელი ოთახი, ეგრეედწოდებული „შოურუმი“ და სახელოსნო სადაც იარაღებთან ერთად გარკვეული ტიპის ვაზნებიც იწარმოებოდა. უფრო მოგვიანებით კი ზედა სართულები ერთი დიდი ოჯახის საცხოვრებელ ადგილადაც გადაიქცა.



„PUREY“-ს კომპანის შენობა SOUTH AUDLEY STREET-სა და MOUNT STREET-ის კუთხეში

1820-იდან 1860 წლამდე კომპანიამ საგრძნობლად განავითარა და დახვეწა სპორტული დიზაინის მქონე თოფები, რომლებსაც შეჯიბრებებზე სპორტსმენებისათვის არა ერთი გამარჯვება მოჰქონდათ. ფირმა ყოველთვის წინა ხაზზე იყო ტექნიკური ინოვაციებით, სწორედ ისე, როგორც ეს ხდება დღეს. რაც დარჩა უცვლელი მასშტაბით პერდეს ისტორიაში, ეს არის ვნება სრულყოფილებისა, საიმედოობისა და სიზუსტისა, რომელთა გაუმჯობესების ჟინიც არასოდეს კვდება.

მსგავსი ბრენდები რათქმაუნდა ყოველთვის ღებულობენ კერძო შეკვეთებს. მათი გამოცდილებიდან გა-



„Purdey“-ს გლუვლულიანი თოფი ლულათა ჰორიზონტალური განლაგებით



„Purdey“-ს ხრახნლულიანი სანადირო შაშხანა ლულათა ჰორიზონტალური გალაგებით



„Purdey“-ს გლუვლულიანი თოფი ლულათა ვერტიკალური განლაგებით.

მომდინარე მყიდველები ჩამოყალიბებული სანადირო შეხედულებებისა და იარაღების შესახებ ღრმა ცოდნის მიუხედავად მაინც ოსტატთა რჩევებს ეყრდნობიან ხოლმე და მათი დარიგებებისა და შეხედულებებისამებრ ამზადებინებენ ამა თუ იმ იარაღებს. კომპანიის თანამშრომლები ყოველთვის ცდილობენ მომავალი მეპატრონის გემოვნებისა და ფიზიკური მონაცემების ინფორმირების მიუხედავად ტესტ-ვერსიით სროლა მაინც მოახდინოს დამკვეთმა. იარაღის დამზადება ხდება არამარტო ძველებური, ტრადიციული მეთოდებითა და მხოლოდ ადამიანის უშალო (ხელის) ჩარავით, არამედ თანამედროვე CNC მანქანების გამოყენებითაც. ამ ორი პრინციპის მართებულად ურთიერთშეთანხმება იძლევა ბევრი კომპანიისათვის იდეალურ შედეგს. რაც მთავარია, როგორც Holland&Holland-ის კონკურენტს შეეფერება, Purdey-ც თითოეულ დეტალს, დაწყებული სახრახნებიდან და ჭანჭიკებიდან დამთავრებული ლულამდე თუ საკეტამდე ამზადებს ადგილზე, საკუთარ ქარხანაში.

ინგლისელთა განსხვავებულ გემოვნებას თუ გავყვებით, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ გლუვლულიან ჰორიზონტალურ მოდელთა კლასი. იარაღები ძირითადათ სწრაფად ხსნადი, სრული-გვერდითი საკეტებით იწარმოება და ისინი გამოგონებულ იქნა ფრედერიკ ბისლის მიერ 1880 წელს. ძირითად შემთხვევებში მათი ხელმისაწვდომი ყალიბებია 410, 28, 20, 16 და 12. სავაზნე 70 ან 76 მმ-ია, ხოლო ლულების სიგრძე 71, 74 ან 76 სმ. რაც შეეხება ჩოკებს, ისენი სურვილისამებრ შეიძლება შეირჩეს. ოსტატები აკეთებენ როგორც ფიქსირებულ, ასევე სახრახნ, ცვლად ჩოკებსაც. კონდახის მოყვანილობა და გრავირება უამრავი სახეობის არსებობს ზემოთხსენებული მოდელისათვის. დაახლოებით იმდენი, რამდენი თოფიც დაუმზადებიათ ოსტატებს. თუმცაღა თავად ინგლისური ლეგენდარული კომპანიის თანამშრომლებს რომ ჰკითხოდ, ალბათ გამოკითხულების 90 % ინგლისური სტილის კონდახსა და არაბესკებიან გრავირებას აირჩევს.

გლუვლულიან, ვერტიკალურ მოდელებს რაც შეეხება, ნებისმიერი მოქმედი ყალიბით შეიძლება მათი დამზადება, ორი ან ერთი სასხლეტითა თუ ავტომატური ან მექანიკური დამცველით. გრავირებისა და კონდახის სტილის არჩევანიც საკმაოდ ფართეა. იარაღის წონები დამოკიდებულია მათ ყალიბზე და 2,6 კილოგრამიდან 3,45 კილოგრამამდე მერყეობს. მსგავსი ვერსიების პოპულარიზაცია მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიწყო და სპორტულმა სროლამ დიდი როლი ითამაშა მათ განვითარებაში. ყველაზე დახვეწილი და საიმედო ვერტიკალური მოდელის გეგმა ძმებმა ჯეიმს და ტომ პერდეებმა 1923 წელს, „მერკელ-303“-მდე ერთი წლით ადრე შეიმუშავეს და სულ ცოტა ხანში განახორციელეს კიდეც. თუმცაღა უნდა აღინიშნოს რომ თავდაპირველად მოდელი საკმაოდ მძიმე იყო, რაც ხელში დაჭერამდე ვიზუალურადაც ეტყობოდა თოფს. უფრო მოგვიანებით კი რათქმაუნდა დაიხვეწა იარაღის სტრუქტურა და შესაბამისად მწყობრში ჩადგა თითოეული მისი კომპონენტი. განსაკუთრებული როლი ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ გლუვლულიანი თოფების განვითარებასა და დახვეწაში ჯეიმს ვუდვორდსაც მიუძღვის. დღესდღეობით ამგვარ თოფებს კომპანია ამზადებს როგორც სრულყოფილი-გვერდითი, ისევე შედარებით იაფფასიანი, უბრალო საკეტებით.

ამჟამად კომპანია აგრეთვე ამზადებს ძველებური, ტრადიციული სტილის ჩახმახიან 12 ან 20 ყალიბის მქონე თოფებსაც და ამასთან ერთად კიდევ უამრავ ულტრათანამედროვე თუ ტრადიციულ მოდელებსაც, იქნება ეს გლუვლულიანი იარაღი თუ ძველებური დამბაჩა.

1850 წლიდან კომპანია ჟამეს Purdey&Son წარმატებით ამზადებს და ყიდის ტრადიციული სტილის, ჰორიზონტალურ, ხრახნლულიან შაშხანებს. სერიული მოდელები მხოლოდ მაგნუმის ყალიბებით იწარმოება. ესენია: .375 H&H-.470 Nitro-.577-500 da .600 Nitro. თუმცაღა კონკრეტული მოდელის კერძო შეკვეთის შემთხვევაში შესაძლებელია შედარებით მცირეკალიბრიანი ვერსიის დამზადებაც. ლულის პირველ მესამედში იარაღის ნებისმიერ კონფიგურაციას აუცილებლად აქვს ხოლმე ტრადიციული მექანიკური ღია ხედვის სამიზნე, რომელსაც ეხმარება ლულის ბოლოში, ზემოდან დამაგრებული თხელი მეტალის ჩხირისებრი ფირფიტა თავისივე ბუდით. გრავირება, სხვა მოდელების მსგავსად უამრავი სახის შეიძლება იყოს. კონდახის ხელსაკიდი ძირითად შემთხვევებში გერმანული სტილისაა, რომელზეც ქვემოდან მეტალის გრავირებული ფირფიტაა მიმაგრებული. გამონაკლის შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, ზემოთხსენებულ იარაღს თითქმის ყოველთვის ორი სასხლეტი აქვს მექანიკური დამცველით.

Mauser – 98-ის ლიცენზირებული ვერსიის დამზადება კომპანიამ ოდითგანვე დაიწყო. უნდა ითქვას რომ საკმაოდ კარგადაც გამოსდიოდათ ფირმის ოსტატებს ამ მართლაც რომ უნაკლო მოდელის წარმოება. შესაძლოა ყველაზე კარგადაც. საკითხავი ის იყო ამჯერად, ჯობდნენ თუ არა ბრიტანელები გერმანელებს ცილინდრული ტიპის, ამ შემთხვევაში წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანების ხარისხობრივად დამუშავებასა და ლულის სტრუქტურულ აგებულებაში. მათზე ლამაზი და ეფექტური (ვიზუალურად) ვერსია რომ გამოსდიოდათ ეს ცხადზე ცხადი იყო. ხოლო კრიტიკოსებს და იმდროინდელ იარაღთმცოდნეებს თუ დავუჯერებთ, ორიგინალ „მაუზერს“ ვერც ეთი მისი ანალოგი ვერსია ვერ ჯობნიდა. დღესდღეობით შაშხანა მისი ძმობილისაგან განსხვავებით ნებისმიერი თანამედროვე ყალიბებით იწარმოება.

COGSWELL&HARRISON GUNMAKERS LTD

ინგლისური კომპანია Cogswell & Harrison-ი დაარსდა ბრიტანელი მეიარაღე, ბენჯამინ ქოგსველის მიერ 1770 წელს. ფირმამ ბინა დაიდო ლონდონში, ნიუ კენტ როადზე. წარმოების დაწყებიდან რამოდენიმე წელინადში მეიარაღეთა ჯგუფს შეუერთდა ედგარ ჰარისონი. პოპულარიზაციის პროცესის განვითარებისა და სახელის მოხვეჭის შემდგომ გოგსველი და ჰარისონი უკვე პრინც ალბერტის მეიარაღეთა ჯგუფში შევიდნენ. ფირმამ ოფიციალური სახე 1882 წელს მიიღო, როდესაც ჩამოყალიბდა საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობებით. ამავე წლებში მათ დამატებით ახალი ფილიალი გახსნეს და მათმა მაღაზიამ (New Bond Street 142-ის გარდა) ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში (226 Strand Streetze) დაიდო ბინა. კომპანიამ სხვადასხვა იარაღების მწარმოებელი შეიერთა. 1908 წელს მოხდა ფინანსურად ოდნავ დასუსტებული ბრიტანული კომპანიის Wm Moore&Grey-ის შესყიდვა. ფირმა გაყიდვიდან ზუსტად 100 წლის თავზე დაარსდა ვილიამ მურისა და ვილიამ პარკერ გრეის მიერ. ორივე მეიარაღე თავის დროზე ჯოსეფ მენტონთან მოღვაწეობდნენ და 1808 წელს შექმნეს საკუთარი საწარმო. იყო წლები როდესაც მური და გრეი განცალკევდნენ და სხვადასხვა კომპანიებს წარმოადგენდნენ. იყო წარმატებები ჯილდოს თუ სხვა აღიარების სახით. მაგალითად ვილიამ IV-ის მიერ მათდამი მეიარაღის სტატუსის მინიჭება. კომპანიაში ყმაწვილ კაცობაშივე მუშაობა დაიწყო უნიჭიერესი პიროვნებისა და ცნობილი მეიარაღის, პერდეს საწარმოს ერთ-ერთი მთავარი ოსტატის, ჰენრი ატკინსის ვაჟიშვილმა, ასევე ჰენრი ატკინსმა. ის დიდი ხანი მოღვაწეობდა Moore&Grey-სთან ერთად, მანამადე სანამ საკუთარ კომპანიას არ დააარსებდა.

1919 წელს ქოგსველისა და ედგარ ჰარისონის, ერთ-ერთი ფილიალის მენეჯერის, კლოდ ჰარისონის წყალობით მოხდა Henry Hugh Hussey კომპანიის შეერთება. ამ ვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ დამფუძნებელის, ჰენრის მამის, ჯოზეფის გარდაცვალება. გაერთიანების შემდგომ კი კომპანიას ეწოდა Harrison&Hussey.

Cogswell&Harrison-ის კომპანიაში 1880 წელს მოხდა Beesley-ს განთქმული მექანიზმის დაპატენტება. აღნშნული სისტემით დღესდღეობით მზადდება ორლულიანი ვერსიები ლულათა ჰორიზონტალური თანწყობით. მათი თითოეული კომპონენტი ინგლისში, ფირმის კუთვნილ ქარხანაში კეთდება. როგორც გამოფენაზე ყოფნისას კომპანიის წარმომადგენლებმა გაგვიმარტეს მხოლოდ საკონდახე მასალის შემოტანა ხორციელდება საფრანგეთიდან. თოფის შეძენისას შესაძლებელია ლულის სიგრძის, ჩოკების, კონდახის პარამეტრებისა და სხვა მსგავსი კომპონენტების შეკვეთა სურვილისამებრ.

ქარხანაში ამჟამად ვერტიკალურ ლულებიანი ვერსიებიც მზადდება. დიდი ხნის გამოცდილების შემდგომ კომპანიამ გადაწყვიტა ვუდვარდის პრინციპზე დაყრდნობით ააგოს ამ ტიპის თოფების მექანიზმები. ფირმის თანამშრომლებმა აღნიშნეს რომ ასეთი ტიპის თოფების დამზადებისას დიდი ყურადღება ეთმობა გამძლეობასა და საიმედო მუშაობის ალბათობას. ამიტომ მაქსიმალური სიზუსტითა და საუკეთესო მასალების გამოყენებით ხდება მათი დამზადება. გლუვლულიანების გარდა კომპანია Cogswell&Harrison-ი ახორციელებს ხრახნლულიანი ვერსიების წარმოებასაც. ძირითად შემთხვევებში ხდება ექსპრეს-შაშხანების დამზადება ლულათა ჰორიზონტალური განლაგებით. კეთდება ვერსიები როგორც არასრული, კოლოფისებრი მექანიზმებით, ასევე სრული-გვერდითი საკეტებითაც. ინგლისელებს უყვართ აფრიკაში ნადირობა და ამიტომაც ტენდენცია ამ მიმართულებით უფრო მეტად განვითარებულია. საწარმოში შექმნილი შაშხანების უმრავლესობაც შესაბამისად მსხვილი ყალიბებით იწარმოება, რომელთა ეფექტური სროლის მანძილი 300-დან 700 მ-მდე მერყეობს.



Cogswell&Harrison-ის გლუვლულიანი თოფი გვერდითი საკეტებით.

E.J.CHURCHILL

1891 წელს ედვინ ჯონ ჩერჩილმა ჩამოაყალიბა თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი და პერსპექტიული მეიარაღეთა ჯგუფი, რომლებიც თოფების წარმოების გარდა სპორტული სროლის აქტიური მიმდევრები იყვნენ. თანდათანობით მათი საქმიანობა ვითარდებოდა და იხვეწებოდა. ედვინის შვილი, რობერტ ჩერჩილი ერთ-ერთ საუკეთესო მსროლელად ჩამოყალიბდა და მამის საქმიანობის ღირსეული გამგრძელებელი გახლდათ. ფირმამ ოდითგანვე ინგლისური ხასიათიდან გამომდინარე ტრადიციული გზა აირჩია და მხოლოდ ძვირფასი, უმაღლესი კლასის იარაღების დამზადებას მიჰყო ხელი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩერჩილი საკუთარი ძალებით ახდენდა პროდუქციის წარმოებას და თოფების ძირითადი ნაწილი ხელით მზადდებოდა. ამჟამად ბევრი რამ შეიცვალა კომპანიის შიდა სამზარეულოში და ეს მათ იარაღებსაც დაეტყო. ისინი თოფებს ლულათა ჰორიზონტალური თანწყობით არა ინგლისში, არამედ ესპანეთში ამზადებენ იქაური პარტნიორი მწარმოებლის მეშვეობით. მათი განმარტებით აღნიშნული მოდელები სრულად აკმაყოფილებენ ინგლისელების მოთხოვნებს და ჯდებიან ბრიტანული სტილის ჩარჩოებში. ამავდროულად ფასი შედარებით დაბალია, ვიდრე ეს მანამადე იყო, სანამ ისინი ინგლისში მზადდებოდა.

„ჩერჩილის“ მაღაზიაში სტუმრობისას მყიდველს ეძლევა შესაძლებლობა ძველი, მათივე დამზადებული თოფი ჩააბაროს უკან და სანაცვლოდ მიიღოს თანხა, ან შეთანხმებისამებრ აიღოს ახალი იარაღი. სხვა, მაღალი კლასის იარაღები მწარმოებლების მსგავსად ფირმა შეკვეთებსაც იღებს და თითქმის ნებისმიერი კომბინაციით (გარკვეული ჩარჩოების ფარგლებში) ძალულს თოფის აგება.

კომპანია ზოგადად და საკმაოდ ბევრი პროფესიონალი მეიარაღისა თუ კიტიკოსის აზრით შედარებით დაბალი კლასის მწარმოებლად ითვლება, ვიდრე კომპანიები „ბოსი“, „პერდე“ ან „ჰოლანდ&ჰოლანდი“ არიან. რა თქმა უნდა თუ არ ჩავთვლით მათ მიერ დამზადებულ არასერიულ ვერსიებსა და კერძო შეკვეთებს, რომელთა ღირებულებაც ზოგჯერ ნახევარ მილიონს აჭარბებს. მათი ყველაზე ძვირფასი სერიული მოდელი გახლავთ Churchill Premier-ი ლულათა ვერტიკალური ან ჰორიზონტალური თანწყობით. კომპანიას შორუმში წარმოდგენილი ჰქონდა Premier-ის მოდელების ორივე ვერსია. ერთი 20, მეორე კი 12 ყალიბით. თოფები ყოველთვის სრული-გვედითი საკეტებით იწარმოება. გასაყიდი მოდელების ფასი შეადგენდა 35.000 ინგლისურ გირვანქა სტერლინგს. აღნიშვნას იმსახურებს ერთ-ერთი საუკეთესო ლულათა ოსტატის, პიტერ ჰიგინსის მიერ დამზადებული პრემიერ კლასის 28 კალიბრიანი ვერსია, რომელიც მაიკ ერდლის ჰქონდა თავის სტატიაში განხილული. მისი ფასი 40.000 ინგლისურ გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა. ბრენდის შემდგომი კატეგორია გახლავთ Continental-ის სერია. ამ შემთხვევაში იწარმოება თოფები მხოლოდ ლულათა ჰორიზონტალური თანწყობით. იმავე ფასეულობის ვერსიები ლულათა ვერტიკალური განლაგებით Imperial-ის სერიული სახელწოდებებით იწარმოება. როგორც ლიდერ ბრენდს შეშვენის, კომპანია „ჩერჩილი“ ამზადებს ლეგენდარული Mauser 98-ის ლუქს კლასის შაშხანებსაც, არაჩვეულებრივად შესრულებული გრავირებებითა და იდეალურად დამუშავებული კაკლის კონდახებით.



CHURCHILL-ის გლუვლულიანი თოფის სრული-გვერდითი საკეტი მოხსნილ მდგომარეობაში.

GALLYON&SONS LTD

G&S დაარსდა 1781 წელს. თუმცა დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ბირმინგემში აღმოჩენილია საწარმოს დამაარსაბლის, ვილიამ გალიონის მიერ შექმნილი იარაღები, დათარიღებული 1781 წლით. ვილიამი ჯონ ჰენშოუსთან ერთად მუშაობდა და 1796 წელს საკუთარი მაღაზია-სამჭედლოც გასხნა გრიფორდის კუთხეში, Green street-14-ში. მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ფირმამ ადგილმდებარეობა შეიცვალა და გადავიდა Bridge Street 66-ზე. ამ პერიოდისათვის მას სათავეში ედგა ვილიამის შვილი, ჯონ გალიონი. არც ჯონის შვილებს დაურღვევიათ ტრადიცია და კომპანიის დამფუძნებლის შვილიშვილებმა, ვილიამმა და თეოფილისმა გააგრძელეს წინაპრის დაწყებული საქმიანობა. ამ უკანასკნელს ყველაფერი ძმაზე კარგად გამოსდიოდა და წარმატებულადაც უძღვებოდა მეიარაღეობის პროფესიას 1930 წლამდე. მისი გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ გალიონმა გააფართოვა წარმოება და შეიერთა კომპანია Charles Francis&Son. 1978 წელს ფირმას სათავაში ჩაუდგა დამაარსებლის მეექვსე თაობა, მეიარაღე რიჩარდ ტ. გალიონი. ის დღემდე წარმატებით უძღვება კომპანიის მმართველობას.

Gallyon&Sons-ის რამოდენიმე მოდელის ხილვა ერთ-ერთ გამოფენაზე ყოფნის დროს მოვახერხეთ. იარაღები ავსტრიულ კომპანიას ჰქონდა საკუთარ დახლზე წარმოდგენილი და ამზადებდა აუქციონზე გასატანად. იქიდან ყველაზე საინტერესო გახლდათ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში დამზადებული მოდელი ძველებური ტიპის გვერდითი საკეტებით. თოფს ასაკთან ერთად ეტყობოდა რომ უნაკლოდ იყო თავის დროზე დამუშავებული და პატრონიც კარგად უვლიდა. ორ სასხლეტიანი მექანიზმის ზემოდან, ზედა სისტემურ ბუდეში ლულის ურდულის ჩამკეტი ჭრილი იყო ჩარჩოში გაკეთებული. ლულები კი დამატებით, სისტემური კოლოფის ქვედა მხარეს განთავსებულ ჭრილებში იკეტებოდნენ სავაზნის ქვემოდან მიმაგრებული კაუჭისებრი კბილებით. ანუ თოფი აღჭურვილი იყო გრინერის ჩამკეტი სისტემით. მექანიზმის გვერდით დაფებს სტანდარტულისაგან ოდნავ განსხვავებული ფორმა ჰქონდა. კონდახი ნარჩევი კაკლისგან იყო დამზდაებული და მხარზე საბჯენიც იმავე მასალის ეკეთა. მაგრამ ასაკის გამო ერთ საუკუნეზე დიდი ხნის იარაღი უხმართან შედარებით ბრწყინვალედ ნამდვილად ვერ გამოიყურებოდა და ეტყობოდა ექსპლუტაციის კვალი. დღესდღეობით კომპანიის მთავარი ოფისი განთავსებულია 4 Dereham Rd, Hingham, Norwich, Norfolk NR9 4HU-ზე. შეკვეთების მიცემა ლონდონშიც შესაძლებელია.



Gallyon&Sons LTD-ს ერთ-ერთი პირვანდელი სისტემური კოლოფი – წარმოდგენილი IWA-2012-ზე.

W.J. JEFFERY&CO.

1888 წელს დაარსდა ბრიტანული კომპანია W.J. Jeffery. წარმოების დაწყებისთანავე მათ მიერ დამზადებული პროდუქცია გამოირჩეოდა მაღალი ხარისხითა და გამძლეობით. ფირმამ ბევრჯერ შეიცვალა ადგილმდებარეობა. მათი საწარმო ერთი პერიოდი განთავსებული იყო 13 King Street-ზე St.James-ის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ლონდონში. ამჟამად კი მათი სათავო ოფისი მდებარეობს კვლავ ინგლისის დედაქალაქში, 22 Wyvil Road-ზე. აღსანიშნავია, რომ ლონდონშივე დაიწყო ამ ბრენდის აღმასვლა და პოპულარიზაცია. შემგომდ ხანებში გრკვეული გარემოებების შედეგად მათ საკუთარი წარმოების დიდი ნაწილი სხვა კონტინენტზე გადიტანეს. ამჟამად ჯეფრის მეორე მთავარი ფილიალი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მედფორდშია განთავსებული. მათი იარაღების წარმოებას ლიცენზირებულად ახორციელებს კომპანია Buehler Custom Sporting Arms-ი.

კომპანია ძირითადათ მსხვილკალიბრიანი, ორლულიანი ექსპრეს შაშხანებისა და წრფივად მოძრავ საკეტებიანი იარაღების წარმოებითაა დაკავებული. ამ კომპანიას უკავშირდება ისეთი მსხვილი ყალიბების განვითარება, როგორებიცაა Jeffery .600 Rimless da Jeffery .500 rimless. ორივე ვაზნას არა წვრილფეხა ცხოველებზე, არამედ ბევრად უფრო დიდი ზომის ნადირის მოსაკლავად გამოიყენებენ. Jeffery. 600, იგივე. 600 Nitro Express-ის დიზაინი 1899 წელს შეიქმნა. მისი სერიული წარმოება კი მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1903 წელს დაიწყო. სანადირო კატეგორიაში მასზე ენერგიული და ძლიერი ვაზნა ფაქტიურად არ არსებობს და ალბათ მხოლოდ Holland&Holland-ის .700 Nitro Exrpess-ია მასზე ძლიერი. ვაზნას არანორმალურად მძიმე ტყვიის თავი აქვს, რომლის წონაც 58 გრამია. მიუხედავად ასეთი დიდი ზომა-წონისა, მისი საწყისი სიჩქარე 620 მ/წმ-ს შეადგენს. გასროლისას კი ენერგია 11.500 ჯ-ს აღწევს. თავდაპირველად ვაზნა შეიქმნა ეგრედწოდებული „სპილოს თოფებისათვის“ (Elephnat Gun). ვაზნის ასპარეზზე გამოჩენისას კარგად არ იყო დახვეწილი მათთვის განკუთვნილი იარაღების დამზადების მეთოდიკა. მათი წონა ხშირ შემთხვევაში 7 კილოგრამს აჭარბებდა. ცნობილია რომ აფრიკაში ნადირობისას ბრიტანელ თუ ამერიკელ მონადირეებს აუცილებლად თან ახლდათ გამყოლი, რომელსაც ევალებოდა შაშხანის ტარება მანამდე, სანამ მონადირე მის გამოყენებას არ დააპირებდა. თუმცა დღესდღეობითაც არაა მკვეთრად შეცვლილი მათი და მიუხედავად იარაღის დამამზდებელი საშუალებების განვითარებისა, ზოგ შემთხვევაში ამგვარი იარაღების წონა 7 კილოგრამსაც კი აღემატება ხოლმე. რაც შეეხება მეორე კალიბრს, Jeffery .500-ს ის 1920 წელს შეიქმნა. მისი კონსტრუქტორი და დიზაინის შემქმნელი გახლდათ ავგუსტ შულერი. ვაზნის საწყისი სიჩქარე 670-დან 780 მ/წმ-მდე მერყეობს. გასროლის შედეგად წარმოქმნილი ენერგია კი დაახლოებით 6500-დან 8500 ჯ-ა. ეს ყოველივე დამოკიდებულია ვაზნის მწარმოებელზე, დენთსა და ვაზნის თავის სიმძიმეზე.



ბრიტანელების-W.J. Jeffery&Co-ის მიერ შექმნილი ყალიბი 500 Jeffery-მწარმოებელი ფინური SAKO LTD

კომპანია W.J. Jeffery-ის ორლულიანი ექსპრეს შაშხანები იწარმოება როგორც არასრული, კოლოფისებრი საკეტებით, ასევე სრული-გვერდითი საკეტებითაც. ყველაზე მეტად მოთხოვნადი და პოპულარული ყალიბები მათთვის არის .500, .470, 375H&H Magnum და 9,3x74R. რა თქმა უნდა სხვა მაგნუმის თუ არა მაგნუმის კალიბრის მიხედვითაცაა მათი აგება შესაძლებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი მის მომავალ მფლობელზე, ანუ შემკვეთზეა დამოკიდებული. შაშხანების ფასები არასრული მექანიზმებით იწყება 20.000 ინგლისური ფუნტი სტერლინგიდან. რაც შეეხება სრული-გვერდითი საკეტებით აღჭურვილ მოდელებს, მათი ფასი 40.000 ინგლისური ფუნტი სტერლინგს სცდება და ზოგ შემთხვევაში კოლოსალურ ციფრს აღწევს. თუმცა არსებობს შედარებით იაფიანი ვერსიები, რაც გამომდინარეობს მათი შედარებით წვრილი ყალიბიდან. მაგალითად ზემოთხსენებული ტიპის იარაღი 9,3x74მმ-იანი ყალიბით 30.000 ფუნტი სტერლინგ ღირს. ხოლო რაც უფრო იზრდება იარაღის ყალიბის ზომა, მით უფრო იმატებს მათი ფასიც.

ორლულიენი თოფები ლულათა ჰორიზონტალური თანწყობით, დღემდე იწარმოება კომპანიის მიერ და. ძირითადათ მზადდება 12 და 20 კალიბრიანი ვერსიები. თუმცაღა შეკვეთის შემთხვევაში შესაძლებელია თოფის დამზადება სხვა, თითქმის ნებისმიერი ყალიბით. „ჯეფრი“ ახორციელებს მათ დაკომპლექტებას „ჰოლანდ&ჰოლანდის“ ტიპის, სწარაფად ხსნადი საკეტებით. ამ შემთხვევაში მათი ფასი დაახლოებით 30.000 ინგლისრი ფუნტი სტერლინგიდან იწყება. საწარმოს ოსტატების მიერვე მზადდება თოფები ბიზლის-პერდეს ტიპის სისტემებით. მათი ფასი თითქმის იგივეა და 30.000-32.000 ფუნტი სტერლინგიდან იწყება.

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციიდან ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს „მაუზერ-98“-ის ბაზაზე აგებული „ჯეფრის“ წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანები ყაბილით 375 H&H Magnum. აგრეთვე დიდი მოთხოვნაა მსგავსი იარაღის შეკვეთისას .300 Win.Mag-ის, .416 Rigby-სა და .500 Jeffery-ის ყალიბებით აღჭურვილ ვერსიებზეც. ისინი ყოველთვის გერმანული ლეგენდა იარაღის, „მ-98“-ის სისტემებით არაა აგებული და მას ზოგჯერ CZ-s, RPA-სა ან Lawton-ის მექანიზმები ცვლიან. მათი ფასი უბრალო, სტანდარტული ზომის ყალიბით 5000 ფუნტი სტერლინგიდან იწყება. რაც შეეხება ყველასათვის ცნობილ Big Game კატეგორიის შაშხანებს, მათი ფასი დაახლოებით 10.000 ფუნტი სტერლინგიდან იწყება.



ყველასათვის ცნობილი Mauser-98-ის ბაზაზე აგებული Jeffery-ის ცილინდრული – მექანიკური საკეტით აღჭურვილი შაშხანა

JOHN RIGBY&CO.

ირლანდიაში, ქალაქ დუბლინში 1735 წელს დაარსდა იარაღების მწარმოებელი კომპანია William&James Rigby C.o., რომელსაც სათავაში ედგნენ ვილიამ რიგბი და ჯეიმს რიგბი. თავდაპირველად მათი წარმოება ნაკლებად პოპულარული და მცირე მაშტაბიანი გახლდათ. 1758 წელს ჯეიმსის ვაჟმა, ჯონ რიგბიმ დუბლინში დაარსა შავ დენთზე მომუშავე იარაღების ქარხანა. შედეგად ფირმა მალე გაფართოვდა. დრო და დრო მოთხოვნილება იზრდებოდა პროდუქციაზე. შესაბამისად განვითარდა და დაიხვეწა ფირმის შიდა სამზარეულო და გაიზარდა ბიუჯეტიც. 1784 წლიდან ფირმამ უკვე დაიწყო დუელის ფისტოლეტებისა და ექსპრეს შაშხანების წარმოება. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ბევრი ცნობილი მონადირე დადებითად ახასიათებდა და აქებდა რიგბის მიერ დამზადებულ სანადირო იარაღებს. პოპულარიზაციის პროცესს დიდი ხანი დასჭირდა. როდესაც სიტუაცია მომწიფდა და კომპანია უკვე სრულ მზადყოფნაში იყო ლონდონის ბაზარი დაეკმაყოფილებინა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომ ინგლისის დედაქალაქშიც გაეხსნათ ფილიალი. 1866 წელს ლონდონში, 72 St. James Street-ზე კომპანია ახალ ოფისს ხსნის. ეს გახლდათ ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი და გზა აღმავლობისაკენ. 1887 წელს ჯონ რიგბიმ ენფილდის ქარხანაში მუშაობისას ბრიტანული ყალიბი .303 განავითარა და გააგრძელა ზრუნვა ვაზნების დახვეწაზე.



გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე 2015 წელს წარმოდგენილი ბრიტანული შაშხანა (ზედა) და გლუვლულიანი თოფი სრული-გვერდითი საკეტებით (ქვედა).

მე-20 საუკუნეში კომპანიისთვის ახალი ერა დაიწყო. ბრიტანელებში და არა მარტო მათში, საფუძვლიანად იყო ჩამოყალიბებული აფრიკაში მსხვილფეხა ცხოველებზე ნადირობის ტენდენცია. ყოველი მეორე მონადირის სურვილი იყო რომელიმე აფრიკულ ქვეყანაში წასულიყო და ანტილოპა, ლომი ან სხვა, იქ მობინადრე ცხოველი მოენადირებინა. 1907 წელს მან ამგვარი ნადირობის მოყვარულთათვის შესანიშნავი იარაღი შექმნა ძალზედ ეფექტური ყალიბით. ეს გახლდათ .470 Nitro Express Double Rifle. შედმგომი 5 წლიანი მუშაობის შედეგად ჯონმა შექმნა ახალი, მსხვილი ყალიბი სახელწოდებით .416 Rigby-10.6x74mm. ვაზნა „მაუზერის“ ტიპის შაშხანით გადიოდა ექსპერიმენტალურ პროცედურებს. ვაზნის საწყისი სიჩქარე 26 გრამიანი ტყვიის თავით შეადგენდა 697 მ/წმ-ს, ხოლო ენერგია 7620 ჯ-ს. ის დღემდე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ვაზნად თავის კატეგორიაში. მე-20 საუკუნეში ბევრი ცვლილება განხორციელდა კომპანიის გარშემო. უკვე 2000 წლიდან კი „რიგბიმ“ წარმოება საგრძნობლად გააფართოვა და მყარად მოიკიდა ფეხი ამერიკისა და კანადის ბაზარზე.

WESTLEY RICHARDS

1812 წელს ცნობილმა ბრიტანელმა ინჟინერმა და მეიარაღემ, ვილიამ ვესლი რიჩარდმა დაარსა კომპანია Westley Richards-ი, რომელიც განთავსებული იყო ბირმინგემში, „82 ჰაი სთრით“-ზე. ბრენდის დაარსებიდან 2 წლის თავზე მას ვაჟიშვილი შეეძინა, რომელმაც გააგრძელა კიდეც მეიარაღის საქმიანობა და ტრადიციად ქცეული ბიზნესი დღეს უკვე საამაყოა მათი გვარის წარმომადგენელთათვის. გარკვეული პერიოდი ვესლის იარაღების ერთადერთი მაღაზია და საწარმო ჰქონდა. ცოტა ხნის შემდგომ კი ფილიალი გაიხსნა ლონდონში, „ნიუ ბონდ სთრითის“-170 ნომერში. ახალი ფილიალის მმართველად მუშაობა დაწყო ვილიამ ბიშოპმა, რამაც დადებითად იმოქმედა მთლიანად ფირმის კარიერულ წარმატებაზე. კომპანია სხვა და სხვა ჯილდოს მფლობელი გახლდათ. მას პირველი, ყველაზე საპატიო წოდება პრინცმა ალბერტმა მიანიჭა 1840 წელს, როგორც საუკეთესო „როიალ“ (სამეფო) ხარისხის პროდუქციის ავტორს. ვესლი რიჩარდსმა სხვა მენტორის მეგობრებთან თუ მოწაფეებთან ერთად ცნობილ, 1851 წელს გამართულ ლონდონის საერთაშორისო გამოფენაზე მიიღო მონაწილეობა და იქაც სპეციალური პრიზი დაიმსახურა. მის მიერ წარდგენილმა იარაღებმა ლორდი ჰარდინგიც მოხიბლეს, რომელსაც იმ დროისათვის არმიის შეიარაღება ევალებოდა. კომპანიამ გამოფენის ჩატარებიდან 2 წელიწადში ათასი ინგისური ფუნტი სტერლინგი მიიღო ენფილდის შაშხანების დასამზადებლად. ამ შეკვეთის შემდგომ მან პირველად აწარმოა უკვე არა ლულის პირიდან მტენი იარაღი, არამედ სტანდარტულად უკანა მხრიდან მტენი ვერსია. მე-19 საუკუნის 80-90-ნი წლები კომპანიისათვის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების პერიოდი გამოდგა. ფირმამ ხარისხის ნიშანი მიიღო უელსის პრინცისაგან, ედინბურგის ჰერცოგისაგან და კონატის ჰერცოგისაგან, დაიმსახურა ოქროს მედალი სამხრეთ აფრიკის, ჩილეს, პარიზის, კალკუტასა და ფილადელფიის გამოფენებზე.

ვესლი რიჩარდს მიაწარენ ზედა გამღები ბერკეტის შექმნასაც. ურდული, რომელიც სისტემური კოლოფის ზედა მხარეს, ზედაპირის პარალელურადაა განთავსებული, მარჯვენინ გაწევისას აღებს ყველა ჩამკეტ საშუალებას და თოფი იხსნება, რათა მსროლელმა მოახდინოს ლულებში ვაზნების ჩალაგება. დადიოდა ხმები რომ ამგვარი ტიპის სისტემა, მანამდე სხვამაც შექმნა. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, ვესლი პირველია,



Verney Garron Freres 1890 – 118cm – 80cm



Westley Richards Bolt – Action Rifle





რომელმაც აღნიშნული გამღები ბერკეტი ოფიციალურად დააპატენტა. მთავარი მისი აღმოჩენა, ჩამოშლადი მექანიზმის შექმნაა, რომელიც მართლაც რომ ბრწყინვალედ ფუნქციონირებს და ზედმიწევნით მარტივი აგებულებისაა. Westley Richards-ი აგრეთვე განთქმული იყო ავტომატურად განმმუხტვადი ჩამხახეების სისტემით, რომელიც უბროპლემოდ მუშაობდა და გამოირჩეოდა ამტანობით.

ვესლი რიჩარდსი გარდაიცვალა 1897 წელს, 83 წლის ასაკში. აღსანიშნავია რომ იმავე წელს ხორცი შეესხა კომპანიის დამაარსებლის სიცოცხლეშივე არსებულ პროექტს, რომელიც ღესლი ტაილორს ეკუთვნოდა. ეს გახლდათ ინსტრუმენტების გარეშე, სწრაფად ხსნადი საკეტი მექანიზმი. ვესლის გარდაცვალების შემდგომ კომპანიის თითეული თანამშრომელი ცდილობდა დამფუძნებლის სახელის ავტორიტეტის შენახვასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. მათ იმდენი მოახერხეს რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში მეფე ედვარდ VII-ის ხარისხის წოდება დაიმსახურეს. პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს ყველა იარაღის მწარმოებელმა განიცადა გარკვეული ცვლილებები. ასე მოხდა ვესლი რიჩარდსის შემთხვევაშიც. 1946 წელს კაპიტანმა ბარკლაიმ ფირმა ლიკვიდატორებისაგან გადაარჩინა და მის მმართველ გუნდში პროფესიონალები რომ ყოფილიყვნენ, კომპანიის ყოფილი თავჯდომარე, ვალტერ კლოდი შეიქმნა ერთ-ერთ აქციონერად.

დღესდღეობით იარაღების მწარმოებელი კომპანია Westley Richards-ი კვლავ აგრძელებს უმაღლესი, სამეფო კლასის პროდუქციის დამზადებას და ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. თოფისა თუ შაშხანის შეკვეთა შესაძლებელია სურვილისამებრ, ნებისმიერი ყალიბითა თუ სასურველი ტიპის სასხლეტით. კონდახის, გრავირებისა და ზოგადად იარაღის აგებულების შექმნა ხდება მისი დამზადების დაწყებამდე მომავალი მფლობელის აღნაგობისა და სურვილის მიხედვით. ამჟამად ფირმა სამი სახის იარაღს აწარმოებს. ერთ ერთია გლუვლულიანი თოფი, რომელიც საკუთრივ კიდევ სამ სახეობად იყოფა. მზადდება ორლულიანი ვერსია ლულების ჰორიზონტალური განლაგებით, ეგრედწოდებული droplock-ის საკეტი მექანიზმით. ეს გახლავთ ჩამოშლადი საკეტი მექანიზმი, რომელიც სტანდარტულ, ჩაკეტილ ვითარებაში კოლოფისებრ, Anson and Deeley-ის მექანიზმს გავს. (აღსანიშნავია რომ Anson and Deeley-ის სისტემა, სწორედ ვესლი რიჩარდსის მექანიმის საფუძველზე შეიქმნა). სასხლეტის ბუდის წინ გაკეთებულია ხუფი, რომლის გაღების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება მექანიზმის ორ ნაწილად ჩამოღება. ეს ფაქტიურად გახლავთ სრულყოფილი საკეტი მექანიზმი, რომელიც საკმაოდ რთული შესაქმნელიასაგებია და ძალზედ ძვირადაც ფასობს. შემდგომი ვერსია გლუვლულიანი იარაღების კლასიდან გახლავთ თოფი ლულების ვერტიკალური განლაგებითა და ზემოთხსენებული, ჩამოშლადი საკეტი მექანიზმით. მესამე კი ყველასათვის საყვარელი, სრული-გვერდითი საკეტებიანი მოდელია.

მომდევნო, განსხვავებული ტიპია ხრახნლულიანი იარაღები, შტუცერები ანუ იგივე ორმაგი შაშხანები ლულების ჰორიზონტალური განლაგებით. მათ სისტემურ კოლოფში სამი განსხვავებული ტიპის მექანიზმი შეიძლება შეგვხვდეს. ჩამოშლადი, კოლოფისებერი ან სრული-გვერდითი საკეტი სისტემებით. აღსანიშნავია რომ კონკრეტული მოდელები ნებისმიერ გამოფენაზე დიდ მოწონებას იმსახურებენ. სწორედ ამგვარ ვითარებაში მოვახერხეთ მათი ხილვა და უნდა ითქვას რომ ნანახმა ძალიან მოგვხიბლა. გარდა იმისა რომ იარაღი იდეალურად იყო აგებული და მოპირკეთებული, ხელშიც შესანიშნავად იგრძნობოდა. კარგად დაკვირვებისას პროფესიონალი უმალვე მიხვდებოდა თუ რამდენი დრო და ენერგიაა ასეთი ნამუშევარის შექმნასა და გალამაზებაში დახარჯული. როგორც ყველა უმაღლესი კლასის მეიარაღესა თუ კომპანიას შეშვენის, „ვესლი რიჩარდსიც“ ამზადებს „მაუზერ-98“-ის ბაზაზე შაშხანებს. საგამოფენო კომპლექსში წარდგენილ ვერსიებს ზემოდან ავსტრიული ბრენდის, „სვაროვსკის“ ოპტიკური სამიზნეები ეყენა.



Over – Under
Droplock



Side by Side Droplock

კომპანია დაარსდა მე-18 საუკუნის მიწურულს, 1790 წელს, ვილიამ დევისის მიერ ინგლისში, ქალაქ ბირმინგემში. თავად ვილიამი თავდაპირველად მხოლოდ ვაზნის ფორმებს ამზადებდა. 1834 წლეს კი მისმა შვილმა ფილიპ ვებლიმ ახალ იდეებს შეასხა ფრთა და წამოიწყო სპორტული იარაღების დამზადება. იმავე პერიოდში შეიქმნა რევოლვერების ქარხანა, რომლითაც ფირმამ პოპულარიზაცია განიცადა და ჩამოყალიბდა ანგარიშგასაწევ, კონკურენტუნარიან ბრენდად. ამ დროისათვის კომპანიას ეწოდებოდა P.Webley&Son. 1897 წლისათვის კი მოხდა ორი მწარმოებლის გაერთიანება. W.C.Scott და მისი შვილების უილიამისა და ჯეიმსის საწარმო შეუერთდა უებლი ფილიპის ქარხანას და დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება The Webley and Scott Revolver and Arms Company of Birmingham. 1887 წელს უებლის რევოლვერები შეიტანეს ბრიტანეთის არმიის შეიარაღებაში და მას ინგლისელი ჯარისკაცები 1965 წლამდე დიდი წარმატებით მოიხმარდნენ. აღსანიშნავია რომ ზემოთხსენებული იარაღები 1921 წლიდან სხვა ქარხანაში, სახელმწიფოს კუთვნილ 1816 წელს დაარსებულ Royal Small Arms Factory-შიც მზადდებოდა. ამ უკანასკნელმა 1988 წელს შეწყვიტა არსებობა.

კომპანიამ პირველი პოპულარობა 1867 წელს მოიპოვა, ეგრეთ წოდებული double-action რევოლვერებით. დაახლოებით ორი წლის შემდეგ წარმოებაში გაეშვა Webley Ric-ის მოდელები. მათი რევოლვერები თურმე ყოველთვის იყო ბრიტანეთის შეიარაღებაში და ოფიცრების უმეტესობა სწორედ Webley&Scott-ის მოდელებით იყო აღჭურვილი.

რევოლვერებთან ერთად კომპანია Webley&Scott ფისტოლეტებსაც ამზადებდა. ფირმამ დაახლოებით 1900 წლისათვის დაიწყო თვითმტენი მოდელების ექსპერიმენტული პროტოტიპების შექმნა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჯონ მოზეს ბრაუნინგი თავის ლეგენდარულ ფისტოლეტს ქმნიდა და სხვადასხვა ქარხნებისათვის აპატენდებდა მათ ლიცენზირებულ წარმოებას. ამ დროს კომპანიის მიერ შექმნილი იარაღებიდან სახელი გაითქვეს Mars-ის თვითმტენმა ფისტოლეტმა და Webley-Fosbery-ის თვითმტენმა რევოლვერმა, რომელიც ინგლისელმა ოფიცერმა გ. ვინსენტ ფორსბერიმ შექმნა. მისი ყალიბები იყო .455 ან ჯონ ბრაუნინგის მიერ Colt-M1900-ისათვის შექმნილი .38 ACP (9x23mmSR). მჭიდის ტევადობა იყო 6 ვაზნა. იარაღის ლულის სიგრძე კი სამი სახეობის იწარმოებოდა, ყველაზე მოკლე 102-მმ, საშუალო 152-მმ და გრძელი 190-მმ. გამოფენებზე ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით რევოლვერი 1899 წლიდან 1939 წლამდე მზადდებოდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შედგომ კი საერთოდ შეწყდა მათი წარმოება.

დღესდღეობით ევროპაშიც შესაძლებელია ზემოთხსენებული ბრენდის მიერ წარმოებული რევოლვერების შეძენა. ერთ-ერთ ასეთ ვერსიას, Webley&Scott Mark IV-ის სახით ავსტრიაში წავაწყდით, რომლის მფლობელიც ჩვენი მეგობარი და პარტნიორი, ინჟინერი ბატონი მარკუს ფრიჩი გახლდათ. მან სხვა უამრავ ინფორმაციასთან ერთად აღნიშნული ბრენდის თუ თავად იარაღის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია მოგვაწოდა. .32-კალიბრიანი „ინგლისელის“ ვიზუალური მხარე შელახული არ იყო. იარაღს ხმარების კვალი ეტყობოდა, მაგრამ საერთო ჯამში კარგად გამოიყურებოდა. მისი მთლიანი სიგრძე 23 სმ-ს შეადგენდა, ხოლო ლულის სიგრძე 10,5 სმ იყო. აღსანიშნავია რომ ზემოთხსენებული ყალიბისა და მსგავსი ლულის სიგრძის შესაბამისობამ თეორიულად საკმაოდ კარგი ბალისტიკური შედეგები უნდა აჩვენოს. რევოლვერის სიმაღლე 130 მილიმეტრი იყო და ის დაახლოებით 830 გრ-ს იწონიდა. დოლურაში/მჭიდში .32 ყალიბის 6 ვაზნა ეტეოდა. რევოლვერს გვერდს უმშვენებდა იმავე ბრენდის .38 კალიბრიანი ვერსია. მას წინასთან შედარებით, ოდნავ მოკლე ლულა ჰქონდა, რომლის სიგრძეც ზუსტად 100 მმ-ს შეადგენდა. შესაბამისად მოდელი წონაშიც ოდნავ მსუბუქი იყო .32-კალიბრიანზე 50 გრ-ით ნაკლებს, 780 გრ-ს იწონიდა. ცოტა გასაკვირი რევოლვერების დაბალი ფასი იყო, რომელიც 250-დან 300 EU-მდე მერყეობდა.

„Webley&Scott“-ი ბოლო ათწლეულები გლუვლულიან თოფებსაც ამზადებდა. მათი პროდუქცია დიდი წარმატებით იყიდებოდა დაბალი ფასისა და ღირებულებასთან შედარებით საკმაოდ მაღალი ხარისხის გამო. ჩვენ სხვადასხვა გამოფენებზე მოვახერხეთ მათი თანამედროვე მოდელების ნახვა და შეფასება. უფრო მეტიც, მოხერხდა საქართველოში კომპანია „ქარავანი+“-ს მეშვეობით მათი თოფების იმპორტი. ყველაზე დიდი ინტერესი ორმა კლასიკურმა მოდელმა გამოიწვია. ერთ-ერთი აღჭურვილი იყო გვერდითი-სრული საკეტებით და მხოლოდ 12 და 20 ყალიბებით იწარმოებოდა. მეორე კი ჩვეულებრივი, კოლოფისებრი მექანიზმით იყო გაკეთებული.

Webley&Scott 3000 სერიის პრემიუმ კლასის ორლულიანი თოფი, გლუვი ლულების ჰორიზონტალური განლაგებით იწარმოება. მას ეგრეთწოდებული 7-ჩხირიანი ხსნადი საკეტი-მექანიზმი უყენია (7-Pin Sidelock). იარაღები 2011 წელს კომპანიის 220 წლის თავის აღსანიშნავად მხოლოდ და მხოლოდ 220 ცალი დამზადდა. თუმცა ოდნავ სახეშეცვლილი, განსხვავებული გრავირებებით. აღსანიშნავია, რომ ხის დაბალი კატეგორიით მსგავსი მოდელების სერიული წარმოებაც ხორციელდება. მისი სისტემური ბუდე ნახშირბადის გამოყენებით მუქად იყო დაფერილი. გადახსნისას Holland&Holland-ის ტიპის ვაზნის ამომდგებს შევამჩნევთ, რომელიც იდეალურად იყო დამუშავებული. თოფს სასხლეტის ავტომატური დაცვითი პრინციპი და დამცველი ღილაკის განლაგებაც იმავე „ჰოლანდ-ჰოლანდ“-ის მსგავსი აქვს. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, იარაღის ჩარჩო გრინერის ურდულით არაა აღჭურვილი. Webley&Scott 3000-ს მხოლოდ ლულაზე, სავაზნის ქვედა მხარეს განთავსე-







Webley&Scott-ის რევოლვერები





Webley&Scott-ის გლუვლულიანი თოფი, აღჭურვილი გვერდითი, ეგრედწოდებული „7 ჩხირიანი“ საკეტებით

ბული ორი მასიური ფოლადის კაუჭი ამყარებს, რომლებიც სისტემურ კოლოფში, სპეციალურად მათთვის გაკეთებულ ჭრილებში იკეტებიან. აღნიშნულ პრინციპს დღესდღეობით უამრავი იარაღების მწარმოებელი იყენებს. ითვლება რომ ამგვარი მეთოდი სრულიად საკმარისია საიმედო მუშაობისათვის და კონკრეტულ მოდელებში მისი რესურსი თოფის მფლობელისათვის დამაკმაყოფილებელია. აი თეორიული კუთხით თუ მივუდგებით, აშკარაა რომ დამატებითი ჩამკეტი უფრო ამყარებს იარაღს და ეხმარება მას გაცილებით მეტ ხანს შეინარჩუნოს პირვანდელი სახე და თვისებები. თოფი ორი სახეობის კონდახით იწარმოებოდა, ინგლისურით და ნახევრად ფისტოლეტისებრით. მათი დამზადებისას მე-5 კატეგორიის კაკალია გამოყენებული. კლასიკური იარაღების მოყვარულები ყოველთვის უპირატესობას ბრიტანულ სტილს ანიჭებენ. ჩვენც ნახვისას ინგლისურმა ვერსიამ ბევრად უფრო მოგვხიბლა. თუმცა ბევრის აზრით მისი ხელში ჭერისას ნაკლებად კომფორტულად ვგრძნობთ თავს და ნახევრადფისტოლეტისებრი ვერსიის ხმარება უფრო მოსახერხებელია. ეს თეორია გარკვეულ კონსპექტში მართებულია. მაგრამ ზოგადად თუ რომელი ვერსია ჯობს რომელს, ამაზე პასუხი ერთია. ინგლისური სტილი ყოველთვის ყველაზე მეტად ფასობს, ბევრად ღამაზია და პროფესიონალ მსროლელთა, გამოცდილ მონადირეთა და კლასიკოს მეიარაღეთა დიდი ნაწილი დღესდღეობით სწორედ მის სტილს ანიჭებს უპირატესობას.

იარაღის სამიზნე თამასა დაწყისში დაახლოებით 8 მმ-ა. ის თანდათანობით ვიწროვდება და მის ბოლოში, სტანდარტულად ლულების შუაში განთავსებულია წინა სამიზნე (სამიზნე ბურთულა). იარაღი ძირითადად ორი სასხლეტით იწარმოება. მაგრამ როგორც კომპანიის თანამშრომლებმა განგვიმარტეს, კერძო შეკვეთის შემთხვევაში შესაძლებელია ერთი სასხლეტის გაკეთებაც. აგრეთვე მყიდველის სურვილის შემთხვევაში ქარხანას ძალულს აღნიშნული მოდელი დაამზადოს ორი ცვლადი ლულებით. თოფის სპეციალურ ტყავის შალითაში არის განთავსებული და კომპლექტაციაში მოყვება ტყავის ღვედიც. მისი ფასი ამერიკისა და კანადის ბაზარზე დაახლოებით 3500 $-დან იწყება. დიდ ბრიტანეტში ის ფუნტი-სტრელინგებში იყიდება და მიუხედავად იმისა რომ „Webley&Scott „ ინგლისური ბრენდია, სამშობლოში მისი ფასი სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ძვირია.



გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი Webley&Scott-ის მოდელი ლულათა ჰორიზონტალური განლაგებით, ინგლისური კონდახითა და სრულყოფილი, გვერდითი საკეტებით კლასიკურობის იდეალური ნიმუში იყო

სრული-გვერდითი საკეტებით Webley&Scott 3000 სერიის გარდა თოფები ლულების ვერტიკალური წყობითაც იწარმოება. თუმცა ჩვენ ბევრად დაგვაინტერესა ზემოთხსენებული კლასიკური ტიპის, შედარებით იაფიანმა თოფებმა სერიული სახელწოდებით Webley&Scott C1SSE. ისინი სტანდარტული კოლოფისებრი საკეტებით იყო აღჭურვილი, რომელიც ოდესღაც Anson&Deeley-მ შექმნა და საფუძვლად Westley Richards-ის საკეტი მექანიზმი გმოიყენა. დილეიმ დაამზადა გამარტივებული და იაფფასიანი



Webley&Scott-ის მოდელი ლულათა ვერტიკალური განლაგებით.

ვერსია, რომლის კეთებაც მასიურ წარმოებაში ბევრად ადვილი იყო. თვითონ Webley&Scott-მა რა თქმა უნდა ოდნავ სახეშეცვლილი მეთოდიკით ააგო დღევანდელი საკეტი მექანიზმი. მისი ბუდეც და სხვა დანარჩენი კომპონენტები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითაა შექმნილი და შესაბამისად ამ ყველაფერს თავისი უპირატესობები აქვს. აღსანიშნავია რომ ქარხანა აღნიშნული თოფების ლულების შევიწროებას სპეციალურად ახლო სროლისათვის, ცილინდრული ფიქსირებული ჩოკებით აკეთებს. ძირითად შემთხვევებში მარცხენა ლულა არის ცილინდრი, ანუ 0, ხოლო მარჯვენა ლულა არის იმპროვიზირებული (გაუმჯობესებული) ცილინდრი, ანუ 0,25. ამგვარი შევიწროებებით საუკეთესო ბალისტიკურ შედეგებს უნდა ველოდეთ მწყერზე, ტყის ქათამზე და მსგავს ფრინველებზე ნადირობისას. სწორედ ამგვარი ნადირობისათვისაა შექმნილი ზემოთხსენებული მოდელები. მათი ფასი ამერიკისა და კანადის ბაზარზე 2000 $-დან იწყება, ევროპაში ის დაახლოებით 1900 ევრო ღირს, ხოლო საქართველოში ჩამოტანილი ვერსიების ღირებულება 3400 ლარიდან 3700 ლარამდე მერყეობს.

Webley&Scott-ი კიდევ ბევრ სხვა გლუვლულიან მოდელს ამზადებს. კომპანიის მეიარაღეებმა განგვიმარტეს, რომ მათი პროდუქციის გარკვეული ნაწილი სამშობლოში არ მზადდებოდა. ალბათ რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ როგორი ხარისხის მაჩვენებელი იქნება მათ მიერ შექმნილი თოფი ადგილზე ინგლისში. ბრიტანეთის საზღვრებს გარეთ აგებულ ქარხანაში, იქნება ეს შვეიცარიაში თუ თურქეთში არსებული დაზგა დანადგარების მეშვეობით შექმნილი იარაღები, გადიან ინგლისელების მიერ განხორციელებულ კონტროლს. მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო რა თქმა უნდა სამშობლოს გარეთ დამზადებული ვერსია შესაძლოა

გერმანიის საერთაშორისო გამოფენა IWA-2014, საქართველოში ბრიტანული კომპანიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, შ.პ.ს. ქარავანი+ დირექტორი, ნუგზარ ფარადაშვილი WebleY&Scott-ის დახლთან



ლალაზე განთავსებული ჩამკეტი მუხლები, რომლებიც თოფის ანყობისას ჯდებიან სისტემურ კოლოფში, სპეციალურად მათთვის განკუთვნილ ჭრილებში

დება ძალზედ მომგებიანია და ნაკლებ პრობლემებთანაა დაკავშირებული. დღევანდელი გადასახედიდან ამგვარი ვერსიების დაახლოებით 500.000 ეგზემპლარია უკვე გაყიდული.

ბირმინგემელები „პერდეს“, „ჰოლანდ & ჰოლანდსა“ და მსგავს ბრენდებს არც ეჯიბრებიან და ვერც შეეჯიბრებიან. თუმცა თავისი ადგილი დიდი ხანია დაიმკვიდრეს მსოფლიო ბაზარზე და წარმატებით ახორციელებენ დღევანდელ საქმიანობას.



HOLLAND&HOLLAND

ვერცერთ სხვა სახელთან ვერ ვაიგივებთ მითს, ექსკლუზიური სტილით, იდეალურობით და შესრულების უმაღლესი ხარისხით. ვისაც ერთხელ მაინც ხვდა წილად ბედნიერება შეხებოდა ინგლისურ, სამეფო კლასის თოფს, აუცილებლად იგრძნობდა მის უდაოდ დიდ შესაძლებლობებს. ეს გახლავთ (თითქმის) სრულყოფილი ქმნილება ადამიანის მიერ დამზადებული. კლასიკური იარაღი, რომელმაც თამამად შეიძლება ითქვას გაუძლო დროს და დღესდღეობით გვევლინება ბრწყინვალე ხელოვნების ნიმუშად. ის თვით ინგლისის სამეფო ოჯახისთვისაც ფუფუნების ნივთია. ასეთი ბრენდები თითებზე ჩამოსათვლელია ლონდონში.

ფირმა დააარსა ჰარის ჰოლანდმა 1835 წელს. იგი დაიბადა ლონდონში (1806-1896), სადაც მოღვაწეობდა მთელი მისი წარმატებული კარიერის განმავლობაში. 1835 წელს მან შექმნა ფირმა, თავდაპირველი სახელწოდებით H.Holland. გადის წლები და მას მოწაფედ აჰყავს საკუთარი ბიძაშვილი ჰაინრიხი, რომელიც მოგვიანებით, 1867 წელს გახდა მისი პარტნიორი ხოლო 1876 წელს ფირმამ შეიცვალა სახელწოდება და ეწოდა ყველასათვის უკვე ცნობილი სახელი Holland&Holland. მნიშვნელოვან თარიღად წარმოების ისტორიაში სახელდება 1883 წელი, როდესაც კომპანიამ მონაწილეობა მიიღო შეჯიბრებაში Junal The Field-ის მეშვეობით, სადაც გახდა გამარჯვებული ყველა კატეგორიაში. Holland&Holland-ს ჯერ კიდევ დიდი გავლენა ჰქონდა გლუვლულიანი თოფების დამამზადებელ ფირმებს შორის, როდესაც მათ დაამუშავეს და დააპატენტეს ხრახნლულიანი ჰილზები, 1904 წელს. სწორედ ამან მიიყვანა ისინი დღესდღეობით უკვე ცნობილი ვაზნების შექმნამდე, ისეთის როგორიცაა 375 H&H Magnum.

Holland&Holland-ს საკმაოდ აქტიური ადგილი ეკავა ორივე მსოფლიო ომის ისტორიაში. პირველი მსოფლიო ომის დროს მან აწარმოა იარაღი, რომელიც ცნობილი იყო duplex choke Zeppelin-ის სახელით. ხოლო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კომპანიამ დაამზადა 23 177 ერთეული სნაიპერული შაშხანა. ჰენრის შვილის, ჯეკ ჰოლანდის ხელში ფირმა გარკვულ კრიზისს განიცდიდა, მაგრამ დღესდღეობით კომპანია კვლავ აღმავლობის გზაზე დგას, რასაც ხელი შეუწყო Chanel Grop-ის მიერ 1989 წელს ყველა გაყიდული აქციის უკან დაბრუნებამ. ფირმის საუკეთესო მოდელები ROYAL over-under (ზედა-ქვედა/ვერტიკალურად თანწყობილი ლულებით) შემდგომში უფრო დაიხვეწა და გამოდიოდა 12, 20, 28 და 410 ყალიბებითაც. ასევე წარმოებულ იქნა ტიპიური ინგლისური თოფის ROYAL side by side-ს (გვერდი-გვერდ/ჰორიზონტალურად თანწყობილი ლულებით) დახვეწილი და გაუმჯობესებული ვერსიები, როგორც გლუვლულიანი, ასევე ხრახნლულიანი და გლუვლულიანი ვერსიების კომბინირებული იარაღები. მოდელების არც თუ ისე მრავალრიცხოვან კოლექციას დაემატა მექანიკურ ტიპის, ცილინდრულ საკეტიანი (წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანა), ეგრეთწოდებული bolt-action-„ბოლტი“ შაშხანა, რომელიც მაუზერ 1898-ის, (მაუზერ-98-ის) ბაზაზე იქნა აგებული და გერმანული, ეროვნულ იარაღად წოდებული შაშხანის ფასს თავის დროზე მინიმუმ 5-ჯერ მაინც აღემატებოდა. 1990 წელს Holland&Holland-მა დაიწყო როგორც მამაკაცის, ასევე ქალის სანადირო ტანსაცმლის და ფეხსაცმლის წარმოება, რომელიც იმ დროინდელ თანადემედროვე მოდასთან მჭიდრო კავშირში იყო. ახალი ოფიციალური მაღაზიები გაიხსნა ნიუ-იორკში და პარიზში, ეს სწორედ მაშინ როდესაც ლონდონის გალერეა-მაღაზიას, Bruton Street-ზე ჩაუტარდა განახლება. რამოდენიმე წელი გავიდა მას მერე, რაც მანჰეტენზე კომპანიის შოურუმი გაიხსნა და უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს მონადირეებში. ასევე ამერიკელები, ლონდონელების მსგავსად სთავაზობენ მომხმარებლებს სპეციალურ აქციებს და ყიდიან მეორად, ანუ ნახმარ თოფებსაც, რაც წინაპირობაა ამ ტიპის, „როიალ“ კლასის კომპანიებისათვის წარმატებული მუშაობისა.

გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ უკვე აუცილებლობას წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთ ბაზარზე გასვლა და შესაბამისად საუკეთესო ვარიანტად რუსეთის დედაქალაქი, მოსკოვი შეირჩა. იქ 2007 წელს გაიხსნა მე-4 ექსკლუზიური წარმომადგენლობითი ოფისი სკოლკოვსკოეს 31-ში. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად დიდია და არც მდიდარი ხალხის ოდენობაა ცოტა, ინგლისური ბრენდის გაყიდვები გარკვეულწილად წარმატებულად მიმდინარეობს.

Holland&Holland-ის ქარხანა ლონდონში, რომელიც პედინგტონის სადგურთან ახლოს, „ბრიუტონ სთრითზე“, 31-33 ნომერში მდებარეობს, მკვეთრი მაგალითია გარემოსი, სადაც საუკეთესო ინგლისური თოფები ტრადიციული განხრით, ოდითაგნვე დანერგილი და კარგად შესწავლილი მეთოდებისა და მოდერნიზებული ტექნოლოგიების თუ თანამედროვე მასალის შერწყმის შედეგად მზადდება. დღევანდელი შენობა აშენდა ჰენრი ჰოლანდის მიერ და გაიხსნა 1898 წელს. დღესაც კი ქარხანა მხოლოდ გარეთა ფასადიდან არის გარკვეულ წილად თანამედროვედ მოწყობილი, ხოლო ძირითადი სტრუქტურა და შიდა ფასადი სწორედ ისე გამოიყურება, როგორც 100 წლის წინ. იარაღის დამზადებისათვის მაქსიმალურად ცდილობენ აქ მომუშავე ადამიანები შეამცირონ ულტრათანამედროვე, CNC და CAD მანქანების გამოყენება და ხელით შეასრულონ სამუშაოები. გერმანიაში, ქალაქ ნიურნბერგში გამართულ ერთ-ერთ საერთაშორისო გამოფენაზე მოპოვებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, კომპანიის ოსტატების მიერ, ჩვეულებისამებრ ერთ თოფს ესაჭიროება 650 სთ-დან 1250 სთ-მდე დრო დასამზადებლად. იმისათვის რომ სამეფო კლასის თოფს უფრო შემატონ ინდივიდუალიზმი და დახვეწილობა, ფირმის თანამშრომლების მიერ ხდება მექანიზმის შიდა დეტალების მოხატვა, გრავირება ან მოზარნიშება, რომელიც საერთოდ არ ჩანს თოფის გარედან ვიზუალური დათვალიერებისას და მხოლოდ მაშინ შევამჩნევთ მას, თუ იარაღს დავშლით.

აღნიშნული ინგლისური ბრენდის ყველაზე იაფფასიანი მოდელების გარკვეული ნაწილი იტალიაშიც მზადდება „ანტონიო ცოლის“ მეშვეობით. სავარაოდოთ „ბერეტა“ ან „პერაცი“ ან ამგვარი მძლავრი, მსოფლიო დონის ბრენდები სხვაგვარად, მათთვის არასასურველად ითანამშრობლებდნენ ინგლისურ კომპანიასთან. შესაბამისად ლონდონელებმა ნაკლებად ხმაურიანი ფირმა აირჩიეს, რომელიც საკმაოდ ხარისხიან პროდუქციას ამზადებს ევროპაში.



Holland&Holland-ის კუთვნილი ქარხნის შენობა.

ბრიტანეთში 2005 წლის 25 ნოემბერს გაიმართა „ვალპოლის“ (Walpole) დაჯილდოება. 400 კომპანიის წარმომადგენელზე მეტი დაესწრო ღონისძიებას, ვაითჰოლში, ლონდონში. ცერემონიაში მონაწილეობდნენ პიროვნებები თუ კომპანიები, როგორებიცაა Aston Martini, Financial Times და სხვა ბრენდები, რომელთა სახელის გაგონებაც კი უკვე ბევრი რამის მთქმელია. ისინი ჯილდოვდებოდნენ საკუთარი ქვეყნისადმი გაკეთებული საქმინობისათვის, სადაც Holland&Holland-მა პირველი ადგილი დაიკავა.

კომპანიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაბიჯი გახლდათ ეგრეთწოდებული „პარადოქსი“-ის განვითარება და წარმოებაში ჩაშვება. ეს იყო ელემენტი რომელმაც ფირმის წარმატებულ ისტორიაში დიდი როლი ითამაშა. გარკვეულ ცხოველზე ნადირობას უნდა პირველ რიგში ყალიბის შესაბამისობა. როგორც წესი სანადირო თოფი ისვრის ათეულობით საფანტის მარცვალს ლულიდან და მიზნის მიღწევამდე ისინი იფანტებიან. შემდგომ დგება ბალისტიკური დეტალური შედეგი მსხვერპლის დათვალიერების შემდგომ. ამ დროს კი საჭიროა ნახვრეტი, თუნდაც მხოლოდ ერთი, რომელიც ცხოველს წააქცევს. ეს რაც შეეხება საფანტს, მაგრამ არსებობს უფრო მსხვილი და დიდი ყალიბის, დიამეტრიც მქონე ვაზნებიც, იქნება ეს ფინდიხი თუ ტყვია, რომელთაც გააჩნიათ კარგი პოტენციალი დაზიანონ ცხოველი, მაგრამ აკლიათ სიზუსტე. შესაბამისად გამოგონილ იქნა ეგრეთწოდებული პარადოქსული ლულები. მოძრაობის დაწყებისას, ანუ გასროლისას ვაზნის გასროლილი თავი, ანუ ტყვია გადის ლულის ჭრილში და სპირალური ხრახნის გავლით იზრდება სიმყარე, სტაბილურდება ტყვია და ბევრად უფრო ზუსტად მიემართება სამიზნისაკენ, ვიდრე ჩვეულებრივი სტანდარტული გლუვი ლულიდან გასროლილი ზუსტად იგივე ტყვია. ხრახნი კი ლულის ბოლო ნაწილშია სპეციფიკურად მჭედლის მიერ გაკეთებული. ან, როგორც მოგვიანებით იქნა გამოგონილი, ჩოკის სახითაა ლულაში ჩახრახნილი. ჰერრი ჰოლანდმა ამ აღმოჩენას „პარადოქსი“ უწოდა. ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რომელმაც განსაზღვრა მისი წარმატებულობა. 1500 მსგავსი თოფი იქნა შექმნილი 40 წლის განმავლობაში. აფრიკულმა და ინდურმა სანადირო მეურნეობებში ჩატარებულმა ცდებმა და მიღებულმა გამოცდილებამ მსგავსი ტიპის იარაღით ცხადყო რომ სწორედ ეს გამოგონება იყო იდეალური განვითარების ეტაპი, რომელიც დღესდღეობითაც პოპულარული და ხშირად გამოყენებადია.

ასეთი წარმატებული ისტორიისა და მდიდარი ტრადიციების მქონე მწარმოებელი ნებისმიერი მონადირისათვის ლიდერ პოზიციას იკავებს მის ცნობიერებაში. აღარავის უკვირს და თამამად აღიარებს ყველა, რომ Holland&Holland-ი საუკეთესოა საუკეთესოთა შორის?... წიგნში წარმოდგენილია კლასიფიკაციის მიხედვით იარაღების ვერსიათა მცირე ჯგუფი, რომელიც მზადდება ქარხნის ოსტატების მიერ. თითოეულ მათგანს უამრავი სახეობის მოდელი შეიძლება ჰქონდეს ვერსიად. ან თუნდაც ისეთი მონაცემების მქონე თოფი დაამზადონ კომპანიის წარმომადგენლებმა,

H&H-ROYAL SIDE BY SIDE SHOTGUN

„როიალის“, ანუ სამეფო კლასის თოფი ლულათა ჰორიზონტალური თანწყობით გახლავთ ინგლისელების სიამაყე, რამეთუ ამგვარი მოდელი მათთვის და არა მარტო მათთვის საუკეთესო სანადირო ვერსიაა მსოფლიოში. გვერდი-გვერდ განთავსებული ლულებით, ინგლისური, სწორხაზოვანი ტიპის კლასიკური კონდახითა და არაბესკებით მოხატული Holland&Holland-ის თოფი თითოეული არისტოკრატი ინგლისელის საამაყო ნივთია. ზემოთხსენებული მოდელის ყალიბი ფაქტიურად ნებისმიერი თანამედროვე ვერსია შეიძლება იყოს შეკვეთის, ანუ მყიდველის სურვილის მიხედვით.

იარაღი სრული-გვერდითი საკეტებითაა აღჭურვილი. მექანიზმი სწრაფად ხსნადი, ეგრეთწოდებული Self-Opening სისტემის მიხედვითაა აგებული, ვაზნის ამომგდებით, რომელიც მექანიკურად ითიშება. აგრეთვე შესაძლებელია თოფის მექანიკური ან ავტომატური დაცვითი სისტემით აღჭურვა. ლულების სიგრძე სერიულად შეიძლება მერყეობდეს 64 სანტიმეტრიდან 81 სანტიმეტრამდე. სავაზნე ძირითადათ გაჭრილია ხოლმე 70 მილიმეტრამდე. თუმცა თანამედროვე ყოფაში, თუ შემკვეთს სურს 76 სანტიმეტრიანი სავაზნე, არც ეს წარმოადგენს შეზღუდვას მისთვის და კომპანიის ოსტატების ჩვეულებრივ ამზადებენ ეგრეთწოდებული „მაგნუმის“ ლულებიან თოფს. რაც შეეხება ჩოკებს, ისინი სპეციფიკურად განსხვავებული შეიძლება იყოს და დამოკიდებულია მყიდველის სურვილსა და თავად თოფის მონაცემებზე. კონდახი ძირითადათ დამზადებულია ზეთით დამუშავებული, უმაღლესი ხარისხის კაკლის მასალისაგან, ინდივიდუალური უზორებით, სწორი ინგლისური კონდახით ან პისტოლეტისებრი ტარით (შეკვეთისამებრ). მოოქროვილი ხაზებით და გრავირებით. გრავირება ტრადიციული როიალის სტილისაა, სადაც ზოგ შემთხვევებში გამოყენებულია სხვადასხვა ფერის მასალები და ოქრო. იარაღის მიახლოებითი ფასი 12, 16 და 20 ყალიბიანი თო-



Holland&Holland-ის მოდელი ლულათა ჰორიზონტალური განლაგებით





Holland&Holland-ის მოდელები, აღჭურვილი ბრიტანელების ლეგენდარული სრული, გვერდითი საკეტებით.

ფის შემთხვევაში – 65000 £ ფუნტი სტერლინგია, ხოლო 28 და 410 ყალიბის შემთხვევაში – 70000 £ ფუნტი სტერლინგი. წონა განისაზღვრება ყო ველთვის კალიბრის და დამუშავების მიხედვით.

მიახლოებითი წონებია:
12-კალ – 3.00კგ,
16-კალ – 2.70კგ,
20-კალ – 2.55კგ,
28-კალ – 2.44კგ,
410-კალ – 2.16კგ.

ეს გახლავთ ბრიტანელების ყველაზე საყვარელი მოდელი. იმისათვის რომ ინგლისელმა დიდგვაროვნამა თავი იგრძნოს ყველაზე კარგი თოფის მფლობელად, საჭიროა მოთხოვნათა მინიმუმი შესრულებულ იქნას თოფის დამზადებამდე. ინგლისური სტილის კონდახი, ჰორიზონტალური ლულები და გრავირება გაწყობილი არაბესკებით. თოფის მოხატულობა „როიალის“ (სამეფო) კლასიფიკაციას მიეკუთვნება სადაც არაბესკის ელემენტებიც გამოყენებულია. არის შემთხვევები, როდესაც შემკვეთის სურვილისამებრ ხდება მომავალი მფლობელის ფოტო გამოსახულების ან სხვა რაიმე ორიგინალური ნახატის სისტემური კოლოფის გარე ზედაპირზე დახატვა. თოფის საკეტი სრულია და მის გვერდით დაფებზე დამაგრებულია სპეციალური დასაშლელი ჭანჭიკები და გამომღები, რომელთაც უზადო შესრულებისა და უნაკლოდ დამუშავების გამო იარაღზე შექმნილი ნახატის ფონისაგან ვერ გაარჩევთ თუ კარგად არ დააკვირდებით. საკეტის სწრაფად გამოღება ძალზედ მარტივია, ისევე როგორც მისი სრული დაშლა. დამცემი-სასხლეტი მექანიზმები დღემდე ძველებური პრინციპითაა შესრულებული. ძირითადი სიმყარის ფაქტორის ფუძე არსი გახლავთ დამჭერი, კაუჭისებრი ოთხკუთხა ორი დეტალი, რომლებიც ლულაზე ერთ საერთო მასადაა მიმაგრებული და ჩაკეტვისას მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ჭრილში ჯდება.

ესაა ამ იდეალური მოდელის მოკლე აღწერილობა და საბაზო მონაცემები, რომლებიც ამჟამად შეიძლება შეიძინოთ ან შეუკვეთოდ ინგლისელ – თამამად შეიძლება ითქვას – თოფების ხელოვნებს. რასაკვირველია გამონაკლისი შემთხვევები ყოველთვის არსებობდა და ეხლაც არსებობს. დღემდე დამზადებულია ისეთი ვერსიებიც, რომლის ანალოგიც არ გაკეთებულა და არც არასდროს დამზადდება. ესენია თოფები, რომელთა ფასიც მილიონებს აჭარბებს. მარტივი მიზეზების გამო, ისინი არიან ძალზედ ცნობილი, დამსახურებული და ტიტულოვანი პიროვნებების მფლობელობაში. ზოგმა მათგანმა მუზეუმშიც კი დაიდო ბინა და შეუფასებელ ატრიბუტად გადაიქცა. ერთ-ერთი მათგანია ამერიკის შეერთებულ შტატებში მდებარე ეროვნული მუზეუმის ექსპონატი Holland&Holland side by side shotgun 12 ყალიბის. თოფზე ძმები ბრაუნების მიერ შესრულებული გრავირებაა. საკეტის გვერდითი დაფები მოპირკეთებულია ნახშირბადთან ერთად გამოწვის პრინციპით, რომელიც უფრო ლურჯ ფერში გადადის. ორნამენტების თემა კლასიკურ ბერძნულ მითოლოგიასთანაა კავშირში და მისი პერსონაჟები ამშვენებენ თოფს. მათი ფიგურები ოქროს და პლატინას გამოყენებითაა შესრულებული. ალბათ მისი ნახვის მერე ყველას დაებადება კითხვა რა შეიძლება იყოს მასზე საიმედო, გამძლე, ლამაზი და ძვირფასი. ალბათ ბევრი არც არაფერი, მაგრამ მაინც საკმაოდ მრავლადაა მასზე უფრო „კარგი“ იარაღები ნაწარმოები. ხოლო თუ გავითვალისწინებთ დანარჩენების ისტორიას და მათ პატრონებს, ვის მფლობელობაშიც იმყოფებოდა ესა თუ ის იარაღი, აშკარად ცხადზე ცხადი გახდება რომ კონკრეტული თოფის ფასი ჩვენს ერთის შეხედვით უზარმაზარ დედამინაზე, სადაც ადამიანებზე გაცილებით მეტი იარაღია წარმოებული, თითქმის ნულის ტოლია. გერმანიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე ერთ-ერთ ავსტრიულ კომპანიას წარმოდგენილი ჰქონდა Holland&Holland-ის რამოდენიმე თოფი, ლულათა ჰორიზონტალური თანწყობით. ისინი ძირითადათ 12 კალიბრიანი მოდელები გალხდნენ, რომლებიც საკმაოდ ადრე, მეოცე საუკუნის შუა პერიოდში იყო დამზადებული. შესაბამისად მათი სავაზნეს სიგრძე არა 76 ან 70 მილიმეტრი, არამედ 65 მილიმეტრი იყო. თითოეული მათგანი აღჭურვილია ინგლისური სტილის კონდახით და სრული-გვერდითი ტიპის, სწრაფად ხსნადი საკეტებით. მათი აუქციონზე გასატანი ფასები იწყებოდა 8900, 16000 და 23000 ევროდან.

H&H-ROUND ACTION SIDELOCK-PARADOX

თოფის ყალიბი ძირითად შემთხვევებში არის 12, ისე როგორც საფანტისათვის და ტყვია-ფინდიხისათვის.

იარაღი აღჭურვილია ეგრეთწოდებული, სრული-გვერდითი საკეტთა სისტემით. მისთვის გამოყენებულია სპეციფიკური back-action sidelock მექანიზმი, 2 სასხლეტით ავტომატური ან სურვილის შემთხვევაში მექანიკური დამცველით (შეკვეთისამებრ). ყველაზე მთავარი ამ მოდელის შემთხვევაში გახლავთ მისი მომრგვალებული მექანიზმი-სისტემური კოლოფი, რომელიც სახელწოდებაშივე აისახება. მისი ფორმა არა დაკუთხული და სწორხაზოვანი არამედ ოვალური, მომრგვალებულია და ხელში ჭერისას აღიქმება გასხვავებულად.

იარაღის ლულების სიგრძის სტანდარტი 71 სმ-ია, სავაზნე კოლოფი კი უკვე – 70 მმ. კონდახი წარმოადგენს ზეთით დამუშავებული კაკლის მასალას. ის იწარმოება ინდივიდუალური უზორებით, სწორი ინგლისური სტილით ან ფისტოლეტისებრი ტარით (შეკვეთისამებრ).

იარაღზე როგორც წესი სრულდება ტიპიური ინგლისური, Holland&Holland -ის ჩვეულ სტილში, გრავირება, სახელწოდებით Gold ნამე, ანუ „სახელწოდება ოქროს ინიციალებით“. მექანიზმის გევდრითი დაფები დაფერილია ნახშირბადთან ერთად სხვა, საჭირო წვადი ტექნოლოგიების საშუალებით.

ამგვარი მოდელების ფასები მერყეობს დაახლოებით – 44,000 £ ფუნტი სტერლინგის ფარგლებში.

წონა განისაზღვრება ყოველთვის ყალიბისა და დამუშავების მიხედვით. 12 კალიბრიანი ვერსია იწონის 3.3-3,65 კგ-ს.

მოდელის ყველაზე მთავარი უპირატესობა მის პარადოქსულ ლულებში მდგომარეობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ ლულის ბოლოში, მის ტუჩში, იგივე სანათურში, სადაც მთავრდება მთავარი, შუა ხვრელი და იწყება შევიწროება ან გაფართოება (ეგრედწოდებული ჩოკი) გაკეთებულია ფიქსირებული სპირალისებრი ხრახნი, სადაც ხდება ტყვიის „გაწურვა“. განსაკუთრებული ეფექტი მას აქვს მაშინ, როდესაც ტყვია ჩადებულია სპეციალურ ხელოვნური მასალისაგან დამზადებულ ბუდეში, ეგრეთწოდებულ კონტეინერთან ერთად ჰილზში, საბოტის პრინციპით. ზემოთხსენებულ ვერსიას ქვე-კალიბრსაც ეძახიან. ანუ თავად ტყვია სინამდილეში იმაზე უფრო პატარაა ვიდრე 12 ყალიბის (18,4 მმ) დიამეტრის ქონისას უნდა იყოს. ბუდესთან ერთად კი სწორედ რომ ზემოთხსენებული ზომის ხდება. გასროლისას ის ტოვებს სავაზნეს ბუდესთან ერთად და უკვე ბოლოში ხდება მისი სწორხაზოვანი ბრუნვის მინიჭება. კონკრეტული თოფით მისი ზუსტი სროლის მანძილი 150-დან 200 მ-მდე მერყეობს, რაც გლუვლულიან იარაღებში ფაქტიურად მიუღწევადი შედეგია. მისმა წარმოებამ და განვითარებამ კომპანიას დიდი პოპულარობა და შესაბამისად კარგი მოგებაც მოუტანა. იმ პერიოდისათვის უკვე მრავლად იყვნენ მცოდნე მონადირეები და მსროლელები, რომელთა დიდი ჯგუფიც ძირითადათ ზემოთხსენებულ პრინციპს ანიჭებდა უპირატესობას.

ROUND ACTION SIDELOCK DOUBLE RIFLE

Holland&Holland-ის ექსპრეს შაშხანის ყალიბი შესაძლოა იყოს ფლანსირებული ვაზნა (Flanged cartridges) 7 მმ-დან 500 მმ-მდე. ამგვარ ვაზნებს ბრიტანული კომპანია Kynoch-ი ამზადებს.

მოდელი აღჭურვილია გამომწვევად ლამაზი, მომრგვალებული ფორმის სრული-გვერდითი საკეტებით. სისტემა აგებულია 2 სასხლეტით, მექანიკური ან ავტომატური დაცვით (შეკვეთისამებრ). იარაღის ლულების სიგრძე შეადგენს 61 სანტიმეტრს.

კონდახი ამორჩეული კაკალის მასალითაა გაკეთებული და დამუშავებულია ზეთით, მომრგვალებული ან დაკუთხული პისტოლეტისებრი ხელსაკიდით და რეზინის საყრდენით.

იარაღს გაკეთებული აქვს Holland&Holland-ის ჩვეული სტილის გრავირება ოქროს ინიციალებით, მუქი დაფერილი მეტალით ან ღია გრავირებული „არაბესკებით“ (ინგლისური ტრადიციული გავირების სტილი) და ფრინველების ან ცხოველების გამოსახულებებით.

ექსპრეს შაშხანის ფასები დაახლოებით 47 700 £ -ის ფარგლებში მერყეობს. წონა განისაზღვრება ყოველთვის ყალიბისა და სხვა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. სავარაუდო წონებია: 7მმ და 8მმ – 3.63კგ, .300 H&H, 9,3მმ – 3.90კგ, .375 H&H – 4.30კგ, .500/465 H&H – 4.60კგ, 500/3“ N.E. – 4.90კგ.

იარაღი ზემოთ ჩამოთვლილ მონაცემებზე დაყრდნობის გარდა, სხვა მოდელების მსგავსად მზადდება კონკრეტული პიროვნებების დაკვეთითაც. ზოგჯერ კი უბრალოდ მცირედ სახეშეცვლილი სერიული მოდელის ანალოგ ფასად. ერთ-ერთი ასეთი უნიკალური იარაღი, უფრო სწორედ კი შედევრი დამზადებულ იქნა ფილიპ გრიფინისათვის. ამჟამად ის ინახება ამერიკის შეერტებული შტატების ეროვნულ მოზეუმში. ჰორიზონტალურ, ფლენსირებულ ლულებიან, ორსასხლეტიან მოდელს აქვს წარწერა ყოფილი მეპატრონის ინიციალებით. მარცხენა მხარეს გვხვდება ორი ლეოპარდის მოოქროვილი გამოსახულება წინხედში, გარშემო ოქროთი მოჩუქურთმებული ფოთლისებრი ფიგურებით. მეორე მხარეს ლეოპარდის მოოქროვილი გამოსახულება გვერდხედში. ყალიბიც რა თქმა უნდა საკადრისი უნდა ყოფილიყო და ოსტატებმაც მას 375 H&H. Magnum გაუკეთეს.

ამას გარდა ბევრი სხვა ცნობადი სახეებისათვის თუ სამეფო გვარის წარმომადგენელთათვის მზადდებოდა აღნიშნული ტიპის იარაღი ამა თუ ყალიბითა და განსხვავებული მოდიფიკაციით. რაც ყველაზე მთავარი იყო, თითოეულ მათგანში ჩადებული იყო ის ინდივიდუალიზმი და სამეფო კარის ოსტატთა საკადრისი ხელოვნობა, რომელიც დამახასიათებელი იყო ყოველთვის ინგლისელ მეიარაღეთა ნახელავებში.

H&H – ROYAL OVER&UNDER SHOTGUN

წიარაღი, რომლითაც ბევრი არისტოკრატი ბრიტანელი და არა მარტო ბრიტანელი ამაყობდა და მომავალშიც იამაყებს არაფრით ჩამოუვარდება Holland&Holland Royal Side-by-Side Shotguns-ს. ზოგ შემთხვევაში შეიძლება სჯობდეს კიდეც, განსაკუთრებით თუ დავივიწყებთ ინგლისელი, ტრადიციების მოყვარული მონადირეებისა თუ მეიარაღეების გემოვნებასა და მიდრეკილებას ჰორიზონტალურ ლულებიან თოფებისადმი და ევროპაში გავრცელებულ ტენდენციას გავყვებით.

თოფის მოქმედების სტრუქტურა უნაკლოა და იდეის ავტორები და ხორცის შემსხმელებიც თავად Holland&Holland – ი და მისი ოსტატები არიან. მათ იარაღისათვის შექმნეს სრული-გვერდითი სწრაფად ხსნადი საკეტები ერთი ან ორი სასხლეტით, რომელსაც შეკვეთისა-



H&H-Round Action Sidelock Double Rifle – ხრახნლულიანი იარაღი

www.caravani.ge



Holland&Holland-ის გლუვლულიანი თოფის სრულყოფილი, გვერდითი საკეტი მექანიზმი

მებრ ავტომატურ ან მექანიკურ დამცველს უკეთებენ. მსგავს მექანიზმს 60-იან წლებში გერმანული კომპანია „Merkel“-იც იყენებდა 203 და 303 სერიის მოდელებისათვის სხვა, არც თუ ისე მსხვილ და მასიურ იარაღების მწარმოებლებთან ერთად. დამცემი მექანიზმის ინტეგრალური აგება საკმაოდ საინტერესოდაა შესრულებული და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ისეა მოწყობილი რომ გამოიყენება არატოქსიკური სროლის საწარმოებლად.

თოფის ლულების შესახებ ყოველგვარი ბჭობისა და ახსნის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ იდეალური ბალისტიკური შედეგების მომტანი ვერსიებია, შესანიშნავი დამუშავებითა და მოპირკეთებით. ამტანობასა და რესურსზე საუბარიც ზედმეტია. იწარმოება მოდელები ლულებით 64-დან 81 სმ-მდე. მათი სავაზნის სიგრძე შეიძლება იყოს 70 ან 76 მმ-ი.

სამეფო კლასის თოფის კონდახი ამორჩეული კაკალის მასალითაა დამზადებული, რომელსაც ოსტატები ზეთით ამუშავებენ. დამუშავების სტილი ხშირად შეკვეთებიდან გამომდინარე ერთმანეთისაგან განსხვავებული და ინდივიდუალურია. რა თქმა უნდა მთავარი მისი კომპონენტი, ხელსაკიდი – მრავალგვარი არსებობს და შესაბამისად მისი დამზადებაც სხვადასხვა ფორმისა და ზომის ხდება. კონდახის ბოლოზე მიმაგრებული მხარზე საყრდენი მასალა იარაღს ზოგ შემთხვევაში სპეციალური რეზინისაგან, ზოგჯერ კი ხისგანაა დამზადებული. შედარებით ძვირფას, სამეფო ოჯახისათვის ან ცნობადი, ინგლისელებისათვის დასაფასებელი პიროვნებებისათვის განკუთვნილ ვერსიებს ხეზე, ფოლადის მსგავსად, ოვალური ფორმის მოოქროვილი ინიციალები ან სპეციალური წარწერები ამშვენებს ხოლმე.

გრავირება – მოხატულობა აუცილებლად, მხოლოდ და მხოლოდ ხელით კეთდება და უამრავი სახის შეიძლება იყოს. ძირითად შემთხვევებში იწარმოება ინგლისური, ტრადიციული „როიალის“ სტილით მოხატული თოფები. მუქად დაფერილი, ნახშირბადის გამოყენებით გამომწვარი ტექნოლოგიური ჩარევის ხარჯზე ან ღია ვერცხლისფრად დაფერილი მეტალით. სერიული ნომერი, რომელიც იარაღის დაუშლელადაც ჩანს, ყოველთვის განსაკუთრებულადაა გაფორმებული და გაწყობილია ოქროთი.

თოფის ფასები დამოკიდებულია მის ყალიბსა და სამუშაოს სირთულეზე. როგორც ყოველთვის ხდება გლუვლულიან თოფებში, შედარებით მცირე ყალიბიანი იარაღები უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მსხვლი ყალიბით ნაწარმოები ვერსიები. 12, 16 და 20 კალიბრიანი თოფების ფასი იწყება 67000 $, ხოლო 28 და 410 ყალიბის მქონე მოდელების 70.000 $ – დან. თოფის წონა, ისევე როგორც ფასი განისაზღვრება ყალიბისა და დამუშავების მიხედვით. იარაღის სავარაუდო წონებია: 12 კალ – 3,30 კგ, 16 კალ – 3,0 კგ, 20 კალ – 2,85 კგ, 28 კალ – 2,61 კგ, 410 კალ – 2,38 კგ. თუმცა არის შემთხვევები როცა ოსტატებს უხდებათ ამ ჩარჩოებიდან გადახვევა და გარკვეული მიზეზების გამო თოფი სტანდარტულზე მსუბუქი ან მძიმეა. რაც შეეხება კონკურენტებს, კომპანია „Holland&Holland“-ის შესანიშნავ მოდელს ძალიან ცოტა ჰყავს. მაგრამ ის ვინც მას კონკურენციას უწევს, ნამდვილად ღირსეული მეტოქეა, რომელიც ზოგჯერ ჯობნის კიდეც მას. იქნება ეს Purdey, Boss Tu Westley Richards. ერთი რამ უდავოა, Holland&Holland-ს ზემოთ ნახსენები ბრენდები ყველაფრით უნაკლოა და არ სჭირდება ქება-დიდება. მათი რეიტინგი მატულობს მაშინ, როდესაც ამ თუ იმ მოდელს შეიძენენ ან აჩუქებენ ესპანეთის პრინცს, დედოფალ ელიზაბეტთან დაახლოებულ ოჯახის შვილს ან რომელიმე წარმატებულ და ტიტულოვან ბრიტანელ დიდებულს. ამ დროს მყიდველები რატომღაც უპირატესობას Holland&Holland-სა და Purdey-s ანიჭებენ. ეს გამომდინარეა მათი ხელოვნურად შექმნილი იმიჯიდან თუ რეალურად საიმედო და მრავალჯერ გამოცდილი ხარისხიდან, ეს თავად თოფების მწარმოებლებზე და გარკვეულწილად მეპატრონეებზე კარგად არავინ იცის.



Holland&Holland-ის გლუვლულიანი თოფი ლულათა ვერტიკალური განლაგებით.

H&H BOLT-ACTION RIFLE – MAUSER M-98

წარმოგიდგენთ კომპანია „Holland&Holland“-ის სანადირო, მექანიკურად მტენ, ცილინდრული ტიპის, კერძოდ წრფივად მოძრავ საკეტიან შაშხანას. მისით ამაყობს ბრიტანეთის არისტოკრატული ფენის წარმომადგენლები. მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს მის შედარებით განხილვას გერმანულ თანამედროვე ყოფაში წარმოებულ „მაუზერ-98“-თან. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სწორედ ზემოთხსენებული იარაღის ბაზაზეა ინგლისელების საამაყო შაშხანა აგებული. სამწუხაროდ ნიურნბერგში გამოფენაზე ყოფნისას სროლის საშუალება არ მოგვეცა, მაგრამ ამომწურავი პასუხები და სრულყოფილი ახსნა განმარტება მივიღეთ ორივე იარაღის შესახებ.

Holland&Holland-ის შაშხანის საკეტი მექანიზმის მოქმედების სტრუქტურა მოდიფიცირებული, დახვეწილი და პირვანდელ „მაუზერის“ სისტემასთან შედარებით ოდნავ უფრო გაუმჯობესებულია. ის წარმოადგენს ეგრეთწოდებულ Bolt action – „bolti“ – წრფივად მოძრავ საკეტიან სისტემას, ცალი, ერთსაფეხურიანი სასხლეტით. ფუნქციონალურობასა და დიზაინში შეტანილია მცირედი ცვილებები, რაც ახასიათებს კიდეც წარმოდგენილ ბრიტანულ, მდიდარი ტრაციების მატარებელ კომპანიას. ხრახნულიანი „ინგლისელის“ საკეტი სხვა, „მაუზერისავე“ ბაზაზე შექმნილი უამრავი „ბოლტის“ მსგავსად არასასიამოვნოდ გამოდის გარეთ და უხეშად რომ ვთქვათ, ცხვირწინ გვეჭხირება ყოველი ვაზნის გადატენვისას.

დამცველი ღილაკი მექანიზმის (საკეტის) მარჯვენა ბოლოშია განთავსებული. დაცვითი სისტემა სამ საფეხურიანია. პირველ პოზიციაში, ანუ ცერა თითით, მისი ბოლომდე უკან მოწევის შემთხვევაში შაშხანა სრულად დგება

www.caravani.ge



Holland&Holland-ის, Mauser-98-ის ბაზაზე აგებული, ცილინდრული საკეტით აღჭურვილი შაშხანა

დაცვაზე. ანუ სასხლეტიც და საკეტიც დაცულია და ჩაკეტილია. მეორე პოზიციაში, ანუ ბერკეტის შუამდე მოწევისას სასხლეტი დგას დაცვაზე, ხოლო საკეტის მოძრაობა აქტიურდება. მესამე პოზიციაში, ანუ ბერკეტის ბოლომდე მოწევის შემთხვევაში დაცვიდან მოხსნილია როგორც სასხლეტი, ისე საკეტი.

მცირედი წუნების მიუხედავად, იარაღი (თავდაპირველი, გერმანული ვერსია) თავის დროზე ითვლებოდა ყველაზე საიმედო, თანამედროვე დიზაინისა და საუკეთესო ბალისტიკური შედეგების მქონე შაშხანად. არცაა გასაკვირი რომ დღესდღეობით ბევრად უფრო პრაქტიკული და გაუმჯობესებული ვერსიები იწარმოება, ვიდრე თითქმის ასი წლის წინ. თუმცა დღემდე „მ-98“-ის ბაზაზე აგებული თითქმის ნებისმიერი იარაღი კლასიკური ნიმუშია, რომელიც არა მხოლოდ ცეცხლსასროლი საშუალებაა, არამედ შეიძლება იყოს ძვირფასი ნივთი, ხელოვნების ნიმუში, სამუზეუმო ექსპონატი ან თუნდაც ოჯახის რელიქვია.

ინგლისური ვერსიის დამზადება შესაძლებელია ნებისმიერ თანამედროვე ვაზნაზე. ყველაზე გავცრელებულ, ოდითგანვე პოპულარული მონადირეთა წრეებში, ბევრი განსხვავებული ტიპის ნადირზე მიზანშეწონილ ვერსიად და ამავდორულად „არისტოკრატულ“ ყალიბად ითვლება 375H&H (9,5×72 მმ). მისი საწყისი სიჩქარეა დაახლოებით 820 მ/წმ-ში, ხოლო გასროლის შედეგად გამოყოფილ ენერგიაა დაახლოებით 5900 ჯოული. თუმცა ყოველივე რა თქმა უნდა დამოკიდებულია ვაზნის მწარმოებელსა და კონკრეტულ მოდელზე. ამ ტიპის ვაზნით ნებისმიერ ცხოველზე ნებისმიერ პირობებშია ნადირობა შესაძლებელი, იქნება ეს აფრიკაში მობინადრე ანტილოპა თუ შედარებით მცირე ზომის გარეული ღორი ივრის ჭალებში. შესაბამისად მისმა უნივერსალურობამ განაპირობა გამოჩენისას, 1899 წელს ასეთი პოპულარიზაცია და გარკვეული პერიოდის შემდგომ იგივე ვაზნა სხვა კომპანიებმაც აწარმოეს.

რაც შეეხება ლულას, მისი მოდიფიცირებაც შესაძლებელია სურვილისამებრ, კერძო შეკვეთის შემთხვევაში. სამიზნე ხიდი ორი სახეობის შეიძლება იყოს. ერთია მოკლე, რომელიც სავაზნის შემდგომ, ლულის პირველ მესამედზეა მიმაგრებული და მას ვუსწორებთ ლულის ბოლოში მყოფ სამიზნე წვერს. უნდა აღინიშნოს რომ ამ შემთხვევაში შაშხანაზე არც თუ ისე მოხერხებულია ოპტიკური სამიზნის დაყენება. მეორე ვარიანტი კი გახლავთ ბატუეს სტილის შედარებით გრძელი ხიდი (უკანა, მოკლე თამასა), რომელიც უფრო წინაა დამონტაჟებული, თანამედროვედ გამოიყურება და ინგლისური კომპანიის წარმომადგენლების აზრს თუ გავითვალისწინებთ, უფრო პრაქტიკულია და არც ოპტიკური სამიზნე მოწყობილობის დაყენებას უშლის ხელს. ხიდზე დამაგრებულია მეტრების მიხედვით მარეგულირებელი ფრთები ან ერთი ფრთა, რომელიც გეხმარება ზუსტ სროლაში, 50-დან-150 მ-მდე ან 350-მ-მდე (ოპტიკური სამიზნის გარეშე). ლულის მოხსნა გამარტივებული და დაჩქარებულია, რაც აადვილებს იარაღის შემდგომში სრული გაწმენდის პროცედურას. ოპტიკური სამიზნის სამაგრი ჭრილები უკვე ნებისმიერ მოდიფიკაციას გააჩნია. კონდახი ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ ამორჩეული კაკალია და მუშავდება ზეთით. მისი ფორმა შეიძლება იყოს ტრადიციული ან მონტეკარლოს სტილის დიზაინით და სალოყე ბალიშით. ნებისმიერი ვერსია იწარმოება პისტოლეტისებრი ხელსაკიდით, რომელსაც იშვიათ შემთხვევაში მომრგვალებული ფორმაც აქვს, ხოლო მის ქვედა ბოლოში გაკეთებულია ოვალური ფორმის (ხშირ შემთხვევაში მოოქროვილი) გრავირებული ინიციალები. კონდახის ბოლოში ჩამაგრებულია რეზინის საყრდენი ან იგივე ფუნქციის შემასრულებელი საფირმო, ფონის მიხედვით შერჩეული ხე, რომელიც კონდახთან ერთად ირჩევა და მათი უზორის და ფერის შესაბამისად ხდება მისი იარაღზე დამონტაჟება.

ფასები მდიდარი ბიტანელებისათვის საკმაოდ სოლიდური და მისაღებია. თუმცა როგორც სხვა უმაღლესი კლასის ბრენდების შემთხვევებში გვხვდება, ბევრად ჩამოუვარდება იგივე ფირმის წარმოებულ გლუვლულიანების თუ კომბინერებული იარაღების ფასს. ნებისმიერი კალიბრი 375 H&H – მდე ღირს დაახლოებით 20.000 £, ხოლო 375 H&H, 400 H&H და მათზე მძლავრი კალიბრების მქონე ვერსიების ღირებულება იწყება დაახლოებით – 22 000 £ – დან. შაშხანის წონა განისაზღვრება ყალიბის და დამუშავების მიხედვით, რომელიც ძირითად შემთხვევებში მერყეობს 3.40 კგ-დან 4.65-კგ-მდე.

Holland&Holland-ის შაშხანა როგორც წესი განთავსებულია მუხისა და ტყავის მასალისაგან დამზადებულ კეისში. იარაღი იშლება და ისე იდება კოლოფში, რათა მოსახერხებელი გახდეს გადაადგილება. შაშხანასთან ერთად კეისში განთავსებულია ფოლადის საწმენდი ზეთი და ხის დასამუშავებელი ზეთი. ასევე ჭურჭელი ზეთებისათვის და წვრილ თავიანი შესასხმელი მოწყობილობა მიუდგომელი ადგილების დასაზეთად. აგრეთვე მას მოყვება საწმენდი ჯოხი, დასაშლელი ხელსაწყოები, ღვედი და ფასის დამატების შემთხვევაში ოპტიკური სამიზნე, მწარმოებლების რეკომენდაციით, იარაღზე მაგრდება ავსტრიული „სვაროვსკის“ ან გერმანული „კარლ&ცაისის“ ოპტიკური სამიზნეები.

ყველას კარგად მოეხსენება ზოგადად გერმანელების მიერ შემოთავაზებული „მაუზერი“-ის ეგრეთწოდებული „ბოლტის“ საკეტი მექანიზმის უნიკალურობა და საიმედო მუშაობა, ხოლო თუ ამ ფაქტს დავუმატებთ ინგლისელების მიერ დახვეწილ შესრულებას და ინდივიდუალიზმს, მივიღებთ იდეალურ იარაღს, რომელიც იმუშავებს ყოველთვის, რთულ, კრიტიკულ და აუტანელ პირობებში და ამავდროულად მოხიბლავს ვიზუალური თვალსაზრისით ნებისმიერი ტიპის მყიდველს.

მე-19 საუკუნის ბოლოს ძმებმა მაუზერებმა შექნეს მოდელი Mauser-98. ამით მათ თამამი სიტყვა თქვეს იარაღების წარმოების მსოფლიო ისტორიაში. დღემდე გერმანული შაშხანის კონსტრუქცია გახლავთ საფუძველი და მაგალითი სხვადასხვა კომპანიებისათვის, რომლებიც აწარმოებენ მსგავსი ტიპის შაშხანებს. ამერიკული Enfield P-14 da Enfield P-17, თავდაპირველად Winchester 54 და უკვე შემდგომ ყველასათვის ცნობილი Winchester 70-ის კონს-

www.caravani.ge



Mauser-M98-ის საკეტი მექანიზმი – დამცველი ღილაკი კეტავს ცალკე სასხლეტს, ცალკე საკეტს ან ორივეს ერთად



ტრუქციის საფუძველი ფაქტიურად გახლდათ სწორედ მაუზერ-98. მე-20 საუკუნეში, მას შემდეგ რაც ბაზარზე გამოვიდნენ სხვადასხვა ხრახნლულიანები და პირველი მსოფლიო ომის გამო მთავრობებიც მოითხოვდნენ ახალ-ახალი პროდუქციის წარმოებას, გლობალურად დაიწყო „მაუზერ-98“ – ების მზადების მასიური ციკლი. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კი გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეწყდა მოდელის წარმოება. გადის წლები და გერმანული კომპანია „Mauser Jagdwaffe GMBH“-ს ბაზარზე გამოაქვს სანადირო ვერსიები Mauser-M-98 და Mauser M-98 Magnum. ორი სახეობის სანადირო შაშხანა, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ და მხოლოდ ყალიბებით (საკეტისა და შესაბამისად სისტემური კოლოფის ზომითაც) განსხვავდებიან.

M-98 Magnum ძირითადათ გათვლილი არის მსხვილ ცხოველებზე სანადიროდ და ხშირ შემთხვევაში აფრიკაში ნადირობის მოყვარული მყიდველები აკეთებენ მასზე არჩევანს. გერმანელების უკვდავი საკეტი მექანიზმი ამჟამად იგება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ამავდროულად აუცილებლად გათვალისწინებულია ტრადიციულობის ფაქტორი. მისი ფასი დაახლოებით 11.000 EU (ევროდან) იწყება. „იარაღი რომელსაც ქება-დიდება და ახსნა განმარტება არ სჭირდება. ისაა კლასიკოსი შაშხანებს შორის“. ასე დაგვიხასიათეს კომპანიის თანამშრომლებმა მისი აღწერისას შაშხანა და სწორედ ეს იდეოლოგია გახლავთ ფირმის დევიზი, რაც საკმაოდ წარმატებით მუშაობს. რასაკვირველია ეს ყოველივე სიმართლესაც შეეფერება და მხოლოდ სარეკლამო ფრაზეოლოგიის დატვირთვა არ აკისრია. შესაბამისად „Mauser-98 Repetierbüchse“-ს შაშხანები დიდი წარმატებით, მილიონობით ეგზემპლარია დამზადებული თუ გაყიდული. (Repetier – გამმეორებელი, ანუ ნიშნავს საგანს ან სულიერს რომელიც ერთი და იგივე მოქმედებს რამოდენიმეჯერ იმეორებს. Büchse კი შაშხანის განმარტებაა). შესაბამისად ეს გახლავთ საკეტი მექანიზმი, რომელიც ყოველი გასროლის შემდგომ ხელმეორედ უნდა გადავტენოთ, რათა მოხდეს სავაზნეში ვაზნის მიწოდება მექანიკური წესით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენში ამ მექანიზმს ცილინდრული მექანიზმი, კონკრეტულ შემთხვევაში წრფივად მოძრავ სისტემას უწოდებენ. ზოგჯერ კი ამერიკელებიდან გადმოქართულებულ „ბოლტს“ (Boltaction). უნდა აღინიშნოს რომ შტატებში ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან „ვინჩესტერის“ კომპანია ამ ტიპის შაშხანებს სწორედ რომ „Repeating gun“-ს უწოდებდა, თავად კომპანიის სახელწოდება კი გახლდათ – „Winchester repeating arms and company“.

მაუზერის მჭიდის ტევადობა 375 H&H ყალიბის შემთხვევაში გახლავთ 5+1 ვაზნა. მთლიანი სიგრძე 116 სმ-ია. ერთ-ერთ მთავარ, ევროპულ გამოფენაზე ყოფნისას მისი ფასი ზუსტად 13.889 ევროდან იწყებოდა. უფრო მსვილი ყალიბების შემთხვევაში, როგორიცაა .416 Rigby, ღირებულება შესაძლოა 25.000, ან სულაც უკეთესი გრავირების შემთხვევაში 35000 ევროს შეადგენდეს. იარაღის ლულის სიგრძე 62 სმ-ია. წონა იწყება 4,2 კგ-დან, რაც არც თუ ისე სახარბიელო მონაცემია უმაღლესი კლასის შაშხანისათვის და ხაზს უსვამს მის კლასიკურობას. თუმცა ყალიბის სიდიდეც ამ დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია. მოდელის თითოეული ელემენტი მისი კონსტრუქტორების აზრით ზრდის მის ფასსა და იმიჯს. მაგრამ მიუხედავად გერმენელების დისციპლინურობისა, მაინც თავს იჩენს მცირედი შეცდომები ფუნქციონალურობასა თუ დიზაინში. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია თანამედროვე „მაუზერ“-ის საკეტი სისტემა, რომელიც 90 გრადუსზე იხსნება. მსოფლიოში ყველაზე საიმედო სისტემად აღიარებული მექანიზმი საკმაოდ დახვეწილი და შესანიშნავად დამუშავებულია. დამცველი ღილაკი ოდნავ უფრო პატარაა და Holand&Holand Rifle-ის მსგავსად მისი გამოყენება ცოტა არ იყოს და მოუხერხებელია არაპრაქტიკული ადგილ-მდებარეობის გამო. ასევე ორივე კომპანია, ინგლისურიც და გერმანულიც, ტრადიციულობის შენარჩუნების მიზნით შაშხანებს არ უკეთებს უკუცემის შემამცირებელ დამატებით კომპონენტებს, რაც განსაკუთრებით მსხვილ ყალიბიან ვაზნებისთვისაა საჭირო და მხოლოდ ბალანსისა და წონის მეშვეობით ახერხებს მსროლელისათვის უკუცემით გამოწვეული დისკომფორტის ნეიტრალიზაციას. თუმცა ტრადიციების მოყვარულთათვის მისი ძველებური სტილი და კლასიკური დიზაინი საუკეთესო არჩევანია. ზოგისათვის კი თანამედროვე ფორმა, მოხერხებულობა და პრაქტიკული გამოყენების ცნება პირველ საფეხურზე დგას.

www.caravani.ge





Mauser M-98-ის თითქმის ყველა თანამედროვე მწარმოებელი სურათზე ნაჩვენები ტიპის ღია ხედვის სამიზნით ამზადებს

სამიზნე ხიდი „მაუზერ-M98“-ს ლულის პირველ მესამედში აქვს განთავსებული. ხიდზე დამაგრებულია ერთი, ორი ან სამი ფრთა, რითიც შესაძლებელია მანძილის კონტროლი და მეტალის ფირფიტის (ფრთის) შესაბამისად რეგულირება. ახალ M-98-ს ძველისაგან განსხვავებით ხსნადი მჭიდი ქვემოთა მხრიდან აქვს მიმაგრებული. ძველ „მაუზერ“-ში კი ვაზნები ზემოდან იწყობოდა. საკეტი მექანიზმის გაღებისას იდებოდა 5 ცალი ვაზნა და იხურებოდა სისტემა. დაკეტვისას („ბოლტის“ წინ მიწევისას) საკეტის არამბრუნავი თავი პირველ ვაზნას მექანიკური წესით (ხელით ზემოქმედების შედეგად) იღებდა და მიქონდა შიგნით, ლულის დასაწყისში განთავსებულ სავაზნეში. უნდა აღინიშნოს რომ დღესდღეობითაც იწარმოება მსგავსი სისტემის მქონე მჭიდებიანი შაშხანები, ხოლო ახალი თაობის „მაუზერი“ სამმაგი დაცვის პრინციპითაა აღჭურვილი და თითქმის ყველას ერთი სასხლეტი აქვს. თუმცა იწარმოებოდა და ეხლაც დასაშვებია პრეცენდენტის სახით ორსასხლეტიანი ვერსიები. რაც შეეხება სამმაგ დაცვას, მასში იგულისხმება სასხლეტისა და საკეტის ერთობლივი ან განცალკევებული დაცვითი სისტემა. სწორედ ისე, როგორც ინგლისურ ვერსიას აქვს. ანუ პირველ პოზიციაში დაცულია და ჩაკეტილია საკეტი მექანიზმი და სასხლეტი ერთად. მეორე პოზიციაში შესაძლებლია საკეტის გაღება, ხოლო სასხლეტი რჩება კვლავ დაცვაზე. მესამე პოზიციაში კი ორივე იღება და იარაღი სრულად მოხსნილია დაცვიდან.

რაც შეეხება ოპტიკურ სამიზნეს, მარტივად მოსახერხებელია მისი „მ-98“-ზე დაყენება საკეტი მექანიზმის კორპუსზე განთავსებული ჭრილების გამოყენებით. პირველი, უკანა სამაგრი ოთხკუთხა ფორმისაა და მასზე აქეთ იქიდან ეჭირება ოპტიკის რგოლის კბილები. წინა ჭრილი კი მრგვალია და დაახლოებით ერთი სანტიმეტრი სიღრმის. მასში ოპტიკური სამიზნის რგოლს შიგნით ვსვავთ და ვაბრუნებთ ზუსტად 45 გრადუსით. ამის შემდგომ ვაყენებთ და ვამაგრებთ ზემოდან ოპტიკას. ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მყარი და სტაბილური დამაგრების მეთოდი, რომელმაც დიდი ხანია გაამართლა კონსტრუქტორებისა თუ მონადირეების იმედები.

თავად მაუზერის ქარხნის წარმომადგენლები იარაღისათვის ავსტრიული ბრენდის „სვაროვკის“ პროდუქციის ხმარებას გვრჩევენ. აგრეთვე რეკომენდაციას იძლევიან გერმანული „კარლ-ცაისისა“ და „შმიტ-ბენდერის“ პროდუქციაზეც, გარკვეული მოდელების შემთხვევაში. მათ მიერ წარმოდგენილ ვერსიას გამოფენაზეც სწორედ ამ სამი ბრენდის მიერ შემოთავაზებული მოდელები უყენათ.

იარაღის ლულა, სამიზნე ხიდი, სამიზნე წვერი და ქამრის დასამაგრებლები ერთი და იმავე, ლეგირებული რკინის ნაჭრისგანაა გაკეთებული და დღესდღეობით უკვე უნიკალური დამუშავების წესით, ცივად, ვაკუუმური ტექნოლოგიების გამოყენებით მზადდება. ეს ფაქტორი უდავოდ წინაპირობაა იდეალური ბალისტიკური თუ რესურსული შედეგისა. ორი შესანიშნავი შაშხანის შედარებისას თამამად შეიძლება ითქვას რომ გერმანულ და ინგლისურ ვერსიებს სროლისას ერთნაირი ეფექტის მოხდენა შეუძლიათ და ანალოგიური, იდენტური ბალისტიკური შედეგის ჩვენება ძალუძთ. ასეა თუ ისე ორივე იარაღის ყიდვისას არავინ აქცევს ყურადღებას ამგვარ წვრილმანებს, რომლებიც ასეთ შაშხანებს ისედაც უნდა ჰქონდეთ. შეძენისას ძირითადათ მის მაღალ დონეზე შესრულებულ ოქროს გრავირებასა და ხის კატეგორიებს არჩევენ, რომელიც მართლაც უამრავი არსებობს. „მაუზერი“-ს დიზაინერთა ჯგუფი დაკავებულია როგორც სერიული წარმოების გრავირებებისა და მოპირკეთების შესრულებით, ასევე ინდივიდუალური შეკვეთებით, რომლებსაც მართლაც ხშირად აძლევენ ამ თუ იმ ქვეყნის მდიდარი ფენის წარმომადგენელი მყიდველები. ყველაზე დიდი მოთხოვნილება M-98 English Classic, da M-98 Elephant-ის ორიგინალურ მოდიფიკაციებზეა. მათ ვერ უპოვნით მეტალის ნაწილს, გრავირება რომ არ ჰქონდეს გაკეთებული, იქნება ეს პისტოლეტისებრ ხელსაკიდზე მიმაგრებული ფირფიტა, თუ ლულაზე ფიქსირებული საქამრეები. თავად ევროპელები ყველაზე მეტად მაინც სტანდარტულ ვერსიას ამჯობინებენ ძვირიან ვარიანტებს, თუ რა თქმა უნდა საჩუქრად ან საკოლექციოდ არ უნდათ. აგრეთვე პოპულარულია ვერცხლის ფერი ვერსია. მისი გაყიდვების რაოდენობა სტანდარტული მოდელის შემდგომ, მეორე ადგილზეა. ძვირფასი ტყავის ჩანთა კი ყველანაირ სერიულ თუ არასერიულ მოდიფიკაციას მოყვება. რაც ყველაზე მთავარია ზოგიერთ შალითაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მაუზერის ლულებს და ოპტიკურ სამიზნეებს. ეს მიგვანიშნებს რომ გერმანელები თავის მყიდველებს სთავაზობენ შაშხანებს ცვლადი ლულებით. აღსანიშნავია რომ ლულის „მ-98“-ზე გამოცვლა იმდენად გამარტივებული არაა, როგორც ახალ „მაუზერ-მ-03“-ზე.

ACCURACY INTERNATIONAL

მეიარაღეობა გერმანიაში



ინგლისელების მიერ ლას ვეგასში, საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი შაშხანები

ინგლისური კომპანია „Accuracy International LTD“ დაარსდა 1978 წელს. დღევანდელი მათი მთავარი ოფისის ადგილმდებარეობაა პორტსმუტი. თუმცა ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლობითი ჯგუფი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფრედერიკსბურგშია განთავსებული. მისი შემქმნელები გახლდნენ ორგზის ოლიმპიური ოქროს მედალოსანი მალკოლმ კუპერი, სარა კუპერი, მარტინ კეი და დიზაინერები დეივ ვოლსი და დეივ ქეიგი. თითოეული მათგანი ინტერნაციონალური ან ნაციონალური პროფესიონალი სპორტსმენები – მიზანში მსროლელები გახლდნენ. ფირმის მიერ ნაწარმოებ იარაღებს დაახლოები 60 ქვეყნის პოლიციაური და სპეციალური სამხედრო დაჯგუფებები იყენებენ. მათი ყველა მოდელი მზადდება ძირითადათ ცილინდრული ტიპის, წრფივად მოძრავ საკეტიანი სისტემით.

ინგლისელები განსხვავებული ყალიბებით აწარმოებენ სნაიპერული და სპორტული ტიპის შაშხანებს. თუმცა არჩევანი არც თუ ისე მრავალფეროვანია.

AW-სერიის მოდელები ყალიბებით – .300 win mag / .338 Lapua mag. იწარმოება. იარაღი მზადდება ხსნადი მჭიდით, ორსაფეხურიანი რეგულირებადი სასხლეტით, პოლიმერის მალასიგან დამზადებული ორთოპედიული კონდახით, 3 პოზიციის მქონე დაცვის ღილაკით, ფიქსირებული პიკატინის სტილის სამიზნისათვის განკუთვნილი ხიდით და ლულაზე დამაგრებული ცეცხლმაქრი – გაზების გამომშვებით-მუხრუჭით. მისი კონდახის ფერი მწვანეა და უფრო შორ დისტანციაზე სასროლად გამოიყენება ვიდრე იმავე, AW სერიის შაშხანები ყალიბებით – AW .243 / .308 Win, რომელიც თავისი ძმობილისაგან ვიზუალურად უფრო იმით გასხვავდება რომ მთლიანად შავი ფერისაა.

შემდეგია AX სერიის შაშხანები, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ – .338 Lapua mag.-ის ყალიბით იწარმოება. წინა მოდელებისაგან განსხვავებით მას შედარებით გაუმჯობესებული და უფრო კარგად მორგებადი ორთოპედიული კონდახი აქვს. უნდა აღინიშნოს რომ მისი დაკეცვაც შეიძლება და ამავდროულად კრიტიკულ სიტუაციებში სიმაღლის დაჭერა, კონდახის ფეხის დაყრდნობით. ტარიც დახვეწილია და შედარებით კარგად ჯდება ხელში. მასიური, ფიქსირებული სამიზნე მოწყობილობებისათვის განკუთვნილი პიკატინის სტილის ხიდი გრძელია და ფაქტიურად ლულის მესამედს მოიცავს. ლულისქვეშა კონდახზე მაგრდება ორფეხა სადგომი. იარაღი იწარმოება როგორც შავი, ისე ტაქტიკური ფერის მოყავისფრო კონდახითაც.

ყველაზე ზუსტი და შორსმსროლელი კომპანიის მიერ წარმოებულ იარაღებში მოდელი AW50 – ია. ის მხოლოდ 50 BMG-ს ყალიბით მზადდება და ძირითადათ სამხედრო დანიშნულების, სნაიპერული-სპეცდაჯგუფებებისათვის გამოიყენება. მისი წონა 13,5 კგ-ია, რაც აღემატება მსგავსი კალიბრის ზოგიერთი სხვა კონკურენტ მოდელების წონას. ლულის სიგრძე 690 მმ-ია, მთლიანი სიგრძე კი 1350. მასიური კონდახი ჭკვიანურად არის აგებული და რეგულირებადი დეტალები საშუალებას იძლევა მსროლელმა მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნოს თავი დამიზნებისას. მისი დაკეცვაც შესაძლებელია და ამ შემთხვევაში მთლიანი იარაღი მხოლოდ 1105 მმ-ს შეადგენს. ყველაზე ეფექტური ტაქტიკური სროლის დიაპაზონი 1500 მ-ია (1600 იარდი). მჭიდი შაშხანას ჩვეულ სტილში ხსნადი აქვს, რომელშიც 5 ვაზნა ეტევა. ლულის ქვეშ მაგრდება ორფეხა სადგამი, ბოლოში კი საკმაოდ ღია და ფართე ჭრილებიანი გაზების გამომშვები მოწყობილობაა დამაგრებული. ეს იარაღი, ისევე როგორც კომპანიის მიერ ნაწარმოები სხვა მოდელები, მზადდება მხოლოდ და მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებითა და უახლესი მანქანა დანადგარების მეშვეობით, რომლებიც აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს. ბოლოს კი მოდის მოდელები სერიული სახელწოდებით AE MKII. ისინი ძირითადათ .308 Win ყალიბით იწარმოება. მათი ლულა ყველაზე მოკლეა და 50,8 – 60,9 მილიმეტრიანი სიგრძეებით მზადდება. ზოგიერთ მათგანს საერთოდ არ აქვს ლულის ბოლოში გაზების გამომშვები მოწყობილობა დამაგრებული. იარაღი როგორც ხუთ ვაზნიანი, ასევე ათ ვაზნიანი მჭიდითაც შესაძლებელია დაკომპლექტდეს. კონდახი ადვილად მორგებადია, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ზემოთხსენებულ მოდელებს ჰქონდათ. შაშხანის ძირითადი დანიშნულებაა 100 – 500 მეტრამდე მოახდინოს ზუსტი და ეფექტური გასროლა. ძირითადათ გამოიყენება ანტიტერორისტული დაჯგუფებებისათის (შენობების შტურმით ასაღებად).

თითქმის ყველა ქვეყანასა თუ ქალაქს გააჩნია ტრადიცია და მეკვიდრეობა. ევროპაში როგორც ბრიუსელი ამაყობს მექანიკური საათების წარმოებით და ბორდო წითელი ღვინით, სწორედ ასე ამაყობს გერმანიის ერთ-ერთი პატარა, მყუდრო ქალაქი ზული იარაღებით. გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით დგინდება რომ ჯერ კიდევ 1490 წლიდან ქალაქ ზულში იწარმოებოდა სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი თუ ცივი იარაღი. ეს მართლაც რომ ტრადიციული და ძველი კუთხე გახლდათ. კარიბჭე ტურინგერის ტყეში შესასვლელად, სადაც მონადირეს შეეძლო „კბილებამდე“ შეიარაღებულიყო და კვირობით წასულიყო სანადიროდ. ეს ფაქტორი ასევე აწყობდა კონდახის მწარმოებლებსაც, ვინაიდან და რადგანაც ტურინგენში ხის არჩევისა თუ მოპოვების იდეალური საშუალება გააჩნდათ.

ცოტა მოგვიანებით ნიურნბერგშიც გამოჩნდნენ მჭედლები, მაგრამ ევროპის იმდროინდელ იარაღების დედაქალაქს ვერც ერთი სხვა ქალაქი ვერ უწევდა კონკურენციას. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით არა ზულში, არამედ ნიურნბერგში იმართება ევროპაში ყველაზე დიდი იარაღების გამოფენა, სადაც წარმოდგენილია სათევზაო, სანადირო, თავდაცვის და გარკვეულ წილად სამხედრო პროდუქციაც.

ზული თანდათანობით ისე განვითარდა რომ ზედმეტსახელად „გერმანული დამასკო“-ც კი შეარქვეს. ცოტა მოგვიანებით აქ იწარმოებოდა როგორც სამხედრო, ასევე სანადირო პროდუქცია. ყველაზე დიდი ეკონომიური და მატერიალური ზიანი ქალაქ ზულსა და მთლიანად გერმანიას მეორე მსოფლიო ომმა მიაყენა. ნახევარზე მეტი ქარხანა-ფაბრიკები, დანადგარები, დამზადების თეორიული ჩანახაზები და პრინციპები დაიკარგა. მათი ძირითადი ნაწილი მალულად თუ ღიად მეზობელ რუსეთში მოხვდა. ზოგიერთმა ადამიანმა ზემოთხსენებული ატრიბუტიკა თუ წერილობითი ინფორმაცია სათავისოდ გამოიყენა და ათწლეულების მანძილზე სარგებლობდნენ გერმანელების მიერ შექმნილი დაზგა დანადგარებით თუ ლიტერატურით. იმ პერიოდში ალბათ არც რუსები, არც ქართველები და შესაძლოა არც თავად გერმანელების გარკვეული ნაწილი ამ ფაქტს საკუთარი დამბყრობლური საქციელებიდან თუ ამბიციებიდან გამომდინარე მარადიორობად და მოპარვად არ თვლიდნენ.

დღესდღეობით გერმანიაში, რომელიც სამრეწველო კრიტერიუმით შეფასებისას მსოფლიოში მესამე პოზიციას იკავებს, ტრადიციული, სახელგანთქმული, უმსხვილესი და უმდიდრესი იარაღთმწარმოებლების მეპატრონეა. ყველაზე მძლავრ მწარმოებლებად „Merkel Jagd und Sportwaffen GMBH“, „Sauer“, „J.P.&Sohn GmbH“, „SIG SAUER GmbH“, „Blaser Jagdwaffen GMBH“, „Krighoff .H. GMBH“, „Carl-Walther GMBH“ და „Heckler&Koch GMBH“ ითვლებიან.

მათგან ერთ-ერთი – „მერკელი“, ყველაზე უფრო მეტად ტრადიციული და თანამედროვე პრინციპების შერწყმით ხასიათდება. მათ ძალიან ბევრ მწარმოებელზე კარგადაც გამოსდის როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე (CNC) დანადგარებით წარმოებული იარაღის აგება. კომპანიის დამაარსებლები გახლდნენ ლულების მოხელეები და სპეციალისტები ალბერტ ოსკარ მერკელი, გებჰარდ მერკელი და კონდახების მოხელე კარლ პაულ მერკელი. ისინი წარმოშობით ერთი ოჯახიდან იყვნენ და შესაბამისად ერთ საერთო საქმეს ჩაუყარეს საფუძველი. თავდაპირველად წარმოიშვა-სავაჭრო საზოგადოება „Gebrüder Merkel“ (ძმები მერკელები) – რომელმაც 1898 წლის 1 სექტემბერს ქალაქ ზულში დაიწყო ოფიციალურად მუშაობა. დევიზი გახლდათ უმაღლესი ხარისხი და ინდივიდუალიზმი. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ ბევრგან გაიგეს ძმების შესახებ. ისინი იღებდნენ შეკვეთებს არა მარტო გერმანიიდან, არამედ ევროპისა თუ სხვა კონტინენტებზე მდებარე ქვეყნის პირველი პირებისა და მაღალჩინოსნებისაგან. ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება ქალაქ ზულის არქივში, ქარხნის არქივში და ზოგ შემთხვევაში კონკრეტული ოჯახის მფლობელობაში. მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოდ გებჰარდ მერკელის პირადი დღიური, რომელიც დღემდე ხელმისაწვდომია და რომელშიც ოსტატის ჩანახაზები და იდეებია განთავსებული. აგრეთვე ხელმისაწვდომია მე-19 საუკუნის მიწურილიდან დღემდე წარმოებული თითქმის ყველა იარაღების წარმოშობისფურცელი, რომელზეც აღნიშნულია თუ ვისთვის იყო კონკრეტული მოდელი, კონკრეტული ყალიბითა თუ სხვა მონაცემებით დამზადებული.

პირველმა მსოფლიო ომმა დიდი ზიანი მიაყენა გერმანიის და შესაბამისად მერკელის წარმოებასაც. თუმცა მათ მაინც შეძლეს მუშაობის გაგრძელება და ქარხანა დახურვას გადაურჩა. უფრო მეტიც, არც თუ ისე დიდი დროის გასვლის შემდგომ მათი პროდუქცია 28 ქვეყანაში იგზავნებოდა ექსპორტზე. 1933 წელს გარდაიცვალა გენიალური კონსტრუქტორი გებჰარდ მერკელი. მაგრამ მომხდარს არ განუპირობებია კომპანიის დაღმასვლა და უკვე 1937 წელს „Gebrüder Merkel“-მა მოსფლიო გამოფენაზე პარიზში





გებჰარდ მერკელის დღიური, სადაც უმუტეს წილადწარმოდგენილია იარაღის კონსტრუქციაული ჩანახაზები

მიიღო გრან-პრი. 1938 წელს იწყება ახალი ერა ფირმის ისტორიაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კარლ პაულ მერკელის შვილიშვილი ადოლფ შადე. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ექსპორტს და ეძებდა ახალ პარტნიორებსა და მეგობარ კომპანიებს. იმ დროს მოგეხსენებათ დღევანდელობასთან შედარებით ძალზედ რთული იყო კავშირის დამყარება და პარტნიორის მოძიება. ომებმა ხელი შეუშალეს გამოფენების ჩატარებას, ხოლო ტელე, რადიო ან სატელეფონო კომუნიკაციის სფერო ამჟამინდელთან შედარებით ფაქტიურად განუვითარებელი იყო. შადეს პირად წიგნში აღმოჩენილია შეკვეთები, რომლებსაც აძლევდნენ მას დიპლომატები, გრაფები... თავად მსოფლიო ჩემპიონი კრივში მაქს შმელინგი პირველ ადგილას მერკელის იარაღს აყენებდა და უნდა აღინიშნოს, რომ მისი კერძო შეკვეთების ფურცლებიც არის აღმოჩენილი საცავში.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ კომპანიას უამრავ ქვეყნებში ჰქონდა ფილიალები გახსნილი, სადაც საკმაოდ წარმტებულად ახორციელებდა პროდუქციის გაყიდვას. ესენი გახლდნენ: არგენტინა, საფრანგეთი, საბერძნეთი, ნორვეგია, რუმინეთი, ესპანეთი და რა თქმა უნდა ამერიკის შეერთებული შტატები. ამ უკანსაკნელში დღესაც და მაშინაც ყველაზე დიდი ბაზარი არსებობდა კონკრეტული სფეროსათვის. ომის დაწყებამ კი ამ ყველაფერს ბოლო მოუღო. აღსანიშნავია ის ფაქტორიც რომ 1939 წლიდან თვითონ ომის წარმოებაში იარაღთმშენებელი ქარხნები დიდ როლს თამაშობდნენ. ეს ეხებოდა განსაკუთრებით გერმანიას. კომპანია „მერკელი“ იღებდა დაკვეთებს სახელმწიფოსაგან და ახდენდა შემდგომ პროდუქციის ოფიციალური წესით (შეთანხმებულ ფასად) სახელმწიფოზე მიყიდვას. ალბათ ეს გახლდათ მთავარი წინაპირობა, რამაც ხელი შეუწყო ბრენდის გადარჩენას იმ ურთულეს პერიოდში.



მაქს შმელინგის შაშხანის – მოდელი 321E–ს ლულათა ვერტიკალური განლაგებით ნასყიდობის ყუა.

1945 წლის 3 აპრილს ქალაქ ზულისათვის დამთავრდა ომთან ერთად საფრთხე, რომელიც აღარ ემუქრებოდა იარაღის მწარმოებელ ქარხნებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანია „მერკელი“ გახლდათ ერთ-ერთი, რომელიც გადაურჩა დემონტაჟსა და განადგურებას. რუსებმა წაიღეს ისეთი ცნობილი კომპანიის ატრიბუტიკა და დანადგარები, როგორიც იყო „ზაუერი“. ამავე წლის მიწურულს უკვე დაიწყო სანადირო გლუვლულიანი თოფების წარმოება და დამზადდა 700 ერთეული თოფი. აღსანიშნავია, რომ ომის პერიოდში შეჩერებული იყო მსგავსი ტიპის პროდუქციის წარმოება და მიმდინარეობდა ძირითადათ საბრძოლო დანიშნულების ხრახნლულიანი იარაღის მზადება.

1953 წელს, როდესაც კომპანია განიცდიდა შეუდარებელ აღმასვლას თითქმის ყველა სფეროში, მიღებულ იქნა კონკრეტული, ალბათ არაადეკვატური და გარკვეული თვალსაზრისით


BARON VON MÜNCHHAUSEN
მიუნჰაუზენის ბარონი


MAHARAJA VON BIJAWAR
ბიავარის მაჰარაჯა


Herzog Ludwig Wilhelm VON Bayern
ბაიერნის ჰერცოგი ლუდვიგ ვილჰელმი


KÖNIG PETER II. VON JUGOSLAWIEN
იუგოსლავიის მეფე პეტრე II.



DR. RUDOLF H. SACK, REKORDSCHÜTZE
დოქტორი რუდოლფ ჰ. ზაკი რეკორდული ჩანაწერი


Prinz Vimvatkit VON Siam
სიამის პრინცი ვიმვატკიტი


Konsul Andresen VON Norwegen
ნორვეგიის კონსული ანდრესენი


Frantz Rosenberg, GROSSWILDJÄGER
ფრანც როზენბერგი - მსხვილფეხა ცხოველებზე მონადირე


Prinz Bhanubhandhu VON Bangkok
ბანკოკის პრინცი ბანუბანდუ

კომპანიისათვის არასასურველი გადაწყვეტილება, რომელიც გამოწვეული იყო გარკვეულ წილად ზეწოლის შედეგად. იმ დროისათვის მსოფლიოში ყველაზე მეტი ძალაუფლების მქონე პიროვნებები ფლობდნენ როგორც გერმანიის მაკონტროლებელ მარწუხებს, ისე კომპანია „მერკელის“ მმართველ ბერკეტებს. მაშინ დ.აიზენვონერისა და ნ.ხრუშოვის გადაწყვეტილებით ხდებოდა თითოეული საკითხის გადაჭრა კომპანიაში, რომელთა ბადალიც კონკრეტულ წლებში მართლაც არ არსებობდა არც გერმანიაში და არც რუსეთში. ამის თვალსაჩინო მაგალითია 1963 წელს ქალაქ ზულში გამართული დახვედრა რუსეთის დამსახურებული პიროვნებისადმი. იმ წლის ყველაზე პოპულარულ რუს მამაკაცს, კოსმონავტ იური გაგარინს „მერკელის“ დრილინგი „Driling – Mo. – 30“ გადასცეს საჩუქრად.

70-იან წლებში დიდი ყურადღება დაეთმო ლუქსუს კატეგორიას. იმ პერიოდის ცნობილი პერსონების ილუსტრაცია შესაძლებელია თუ ჩავეძიებით კომპანიის არქივს. ეს ამტკიცებს იმას, რომ მერკელის იარაღი ყველაზე პრესტიჟული გახლდათ თავის კლასში და მეტადაც ენდობოდნენ მყიდველები. აგრეთვე პიროვნებებიც, რომელთაც სასაჩუქრე თოფი სურდათ ქვეყნების პირველი პირებისათვის თუ სხვადასხვა თანამდეგობის პირთა გულის მოსაგებად, აღნიშნული კომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე აკეთებდნენ არჩევანს. ზოგადად აღნიშნული გერმანული მწარმოებელი ფაქტიურად მსოფლიო დონის ბრენდად ითვლებოდა. ამ ყოველივეს ადვილად მივხვდებით თუ ამოვიკითხავთ ადრეულ წლებშივე გაწერილი თოფების წარმოშობის სერთიფიკატებზე არსებულ სახელებს: Gamel Abdel Nasser, Josip Brotz, Mao Tsetung, აგრეთვე Franz Josef Strauß.

ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით 1945 წლიდან 1987 წლამდე დამზადებული, მხოლოდ ჰორიზონტალურად განლაგებულ ლულებიანი თოფების რაოდენობამ 150.000 ერთეულს გადააჭარბა. ზემოთხსენებულმა ფაქტორმა და სანადირო მოდელებთან ერთად სპორტული ვერსიების კლასიფიკაციის განვითარებამ და დახვეწამ თავისებური გავლენა მოახდინა არა მარტო კომპანია „მერკელის“, არამედ ქალაქ ზულის პოპულარობაზეც. შედეგმაც არ დააყოვნა და 1986 წელს ტურინგენში, სადაც უკვე არსებობდა მაღალი დონის სპორტული კომპლექსი, ჩატარდა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიო ჩემპიონატი. იქ წარმოდგენილი თოფები, იდეები დღემდე ახსოვთ და სამაგალითოც გახლავთ კონკრეტული პიროვნებებისათვის. იმ დროს ზული გახდა მსოფლიო ცენტრი მსროლელთათვის სადაც 100.000-მდე დამთვალიერებელი ჩავიდა.

1989 წელს გერმანიის გაერთიანებამ იარაღის მწარმოებელ კომპანიებში მცირედი ქაოსი გამოიწვია. მაგრამ წლების მერე სიტუაცია დალაგდა. განხორციელდა ცვლილებები, რომელმაც ფირმები მიიყვანა აღმავლობის პიკზე. ერთი რამ ცხადი იყო და გერმანული ინტელიგენციის ფენაც აღიარებდა ამას, არ არსებობს საუკეთესო მომავალი დადებითი წარსულისა და წინაპართა მიერ დანატოვარის მოფრთხილების გარეშე, არ არსებობს მეიარაღისათვის სამრეწველო წარმატება ხელობის, (ხელით მუშაობის) ღრმა ცოდნის გარეშე. ეს ყოვილევ კარგად ესმოდათ ლიდერ პოზიციაზე მყოფ იარაღის დამზადებელ კომპანიებს, რომელთა შორის იყო „Merkel Jagd-und-Sportwaffen GMBH“-ი. შესაბამისად ისინი დღემდე ცდილობენ თანამედროვე, მანქანა-დანადგარებით შექმნილი პროდუქტი შეუსაბამონ და შეუთავსონ ხელნაკეთ ნაწარმს.

„მერკელის“ სანადირო იარაღების კლასი ორ ჯგუფად იყოფა. ტრადიციის მოყვარული გერმანელები ამზადებენ თანამედროვე ტექნოლოგიების მინიმალურად ამოყენების შედეგად ხელოვნების ნიმუშებს, რომელთაც მარტივად და უბრალოდ „კლასიკური თოფი“ ეწოდებათ. ისინი ასევე ქმნიან CNC მანქანებისა და სხვა დანადგარების მეშვეობით, სიზუსტის მაქსიმალური დაცვით შაშხანებსა და სხვადასხვა ტიპის იარაღებს. ზემოთხსენებული ტრადიციული ტიპის თოფის თვალსაჩინო მაგალითია ფაქტიურად ხელნაკეთი ვერსია, თოფების დედოფლად წოდებული „Merkel 303 E“. ასევე თავის კატეგორიაში ლიდერ პოზიციებზე მყოფი, ულტრათანამედროვე მანქანების დახმარებით აგებული თვითმტენი, სანადირო ტიპის შაშხანა Merkel SR-1. მაშინ როდესაც ხე და მეტალი მზადდება ერთმანეთისათვის და ეს ყოველი ხდება მხოლოდ და მხლოდ ადამიანის ხელით, ამისათვის „მერკელის“ ქარხანაში საჭიროა დაახლოებით 35 – 40 სამუშაო დღე მხოლოდ მექანიკური სამუშაოების განსახორციელებლად. მინიმუმ 40 საათი ჭირდება საბოლოო მორგებისა და აწყობის პროცედურას. ხოლო განსაკუთრებულ გრავირებებს, რომელსაც ოსტატი საკმაოდ ხშირად აკეთებს ინდივიდუალური შეკვეთების თუ თავად კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, ესაჭიროებოდა სულ მცირე 170 – 180 სამუშაო საათი.

თანამედროვე იარაღები სულ სხვანაირად იგება და მათი კონს-



გერმანიის საერთაშორისო გამოფენა, გერმანული შაშხანები Merkel KR-1

ტრუქციული ჩანახაზებიც რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათი განვითარებისა და წარმოშობის პროცესი პირველ რიგში ემყარება რომელიმე წარმატებული მოდელის პრინციპს და იარაღი მთლიანად იქმნება ჯერ მხოლოდ კომპიუტერში. მერე კი იწყება მისი თეორიულიდან ფიზიკურ სპექტრში გადასვლა და ულტრათანამედროვე მანქანებით მათი დამზადება. თუმცა არაფერი არსებობს ადამიანის ხელის ჩარევის გარეშე და აქაც გამოცდილი სპეციალისტები აკეთებენ იმას, რასაც ვერ აკეთებს და ალბათ ვერც ვერასოდეს გააკეთებს მანქანა. იქნება ეს CNC, CAD (Computer Aided Design) თუ MEM ან ნებისმიერი სხვა დანადგარი. თუმცაღა ისიც აღსანიშნავია, რომ მათი გამოგონება და გამოყენება მაინც ბევრ დადებით ფაქტორთანაა დაკავშირებული. მათი მეშვეობით ჭედვა და მეტალის ჭრა ხდება 0,005 დან 0,01 მილიმეტრამდე სიზუსტით. ტესტირება უტარდება თითოეულ მუშა დეტალს (მინუს)-50 ცელსიუს გრადუს ტემპერატურაზე. აღსანიშნავია რომ მაქსიმალური სიზუსტით მუშავდება როგორც ჩვეულებრივი რკინა, ასევე ტიტანისა და მკვრივი ფოლადის შემცველობს დეტალები, რისი ხელით გაკეთებაც მსგავსი გეომეტრიული სიზუსტით რა თქმა უნდა შეუძლებელია. გარკვეული ფიგურების დამზადება ხდება +1000-დან +5000 გრადუს ტემპერატურაზე სპეციალურ თანამედროვე ტიპის ღუმელში, რაც მანამდე ჩვეულებრივი ცეცხლით წარმოუდგენელი იყო. ყველაზე მთავარი ლულები, კომპანია „მერკელს“ მართლაც რომ ბრწყინვალე აქვს. არ აქვს მნიშნელობა რა კუთხით მივუდგებით ამ საკითხს მაგრამ სპეციალისტების აზრით მათ ლულებს ბადალი არ ჰყავს მსოფლიოში. როგორც სხვა წამყვანი კომპანიები ამა თუ იმ ქვეყანაში, „მერკელიც“ ბევრ მწარმოებელს უმზადებს ლულებს. თუმცა საკითხავია იმავე ხარისხისაა თუ არა სხვისთვის წარმოებული პროდუქტი, რა ხარისხსაც ჩვენ თავად მწარმოებლის პროდუქციაში ვხვდებით. როგორც თავად კომპანიის თანამშრომლებმა გამოფენაზე განგვიმარტეს, 2 ერთნაირი ვაკუმირი ტექნოლოგიებით აღჭურვილ მანქანათა კომპლექსი არის ქარხნის გული. რაც ყველაზე მთავარია ორივე მათგანი წრთობის პროცესს იწყებს ცივად და ამთავრებს ცივად, ისე რომ ლულის დამზადების პროცედურაში საერთოდ არ ცხელდება არც ერთი მოლეკულა, რომელიც შედის მის შემადგენლობაში. „მერკელი“ ჯერ კიდევ იყენებს „კრუპის“ განთქმულ მასალას სხვადასხვა ლითონთან ერთად. დღესდღეობით თანამედროვე მეტალის შემადგენელი კომპონენტებია ქრომ-ვანადიუმი ან ქრომ მოლიბდენის შემცველობის რკინა. ცივად, მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული ლულების ყალიბის დიამეტრი და ზოგადად გეომეტრიული აგებულება 15 მეათასედი მილიმეტრის სიზუსტითაა შესრულებული. მაგალიად ერთ-ერთ კომპონენტს, რომელიც კონკრეტულ მანქანაზეა დამაგრებული 4 სპეციფიკური ჩაქუჩისებრი დეტალი უყენია, რომლებიც 4×125 მილიონ ნიუტონი – 125 ტონის ადეკვატურ დარტყმითი ძალით ჭედავენ ლულას. მანამდე კი ხვრელი იჭრება და შიგნით იდგმება სპეციალური ყალიბის მქონე მკვრივი, მასიური ფოლადი, რომელზეც შემდგომ მიმდინარეობს ჭედვა. ეს მართლაც რომ უნიკალური პროცედურაა და ქებას იმსახურებს. „მერკელის“ სახასიათოდ უნდა ითქვას რომ მისი ლულები კონუსური წარმოშობისაა. სავაზნისა და ლულის პირის ღრუს, იგივე სანათურის შევიწროება და გადასვლა დანარჩენ ხვრელთან 10 მეათასედი მილიმეტრის სიზუსტით სრულდება. ეს ხელს უწყობს ბალისტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებასა და რესურსის მატებას.



გერმანიის საერთაშორისო გამოფენა – გლუვლულიანი თოფები, ზევიდან: Merkel 303, Merkel Drilling 96 და Merkel 2000



CNC მანქანა მიკრომეტრებში ახორციელებს სისტემური ჩარჩოს მოპირკეთებას

ყველასათვის ცნობილია, რომ საკონდახე მასალად უპირატესობა ენიჭება კაკალს. თავად კომპანია 11 კლასის განსხვავებული კატეგორიის მასალას იყენებს. როგორც სხვა წამყვანი ფირმები, „ზულეებიც“ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უკანა თუ ლულისქვეშა კონდახის გაკეთებასა და მის დამუშავებას. თუ მიღებულია შეკვეთა, ხდება კონკრეტული პიროვნების სიმაღლის, ხელის სიგრძის, ნახევარი-მოხრილი ხელის სიგრძის, ხელის მტევანის და თითების ზომების დაფიქსირება. მხარზე მიბჯენილი კონდახის ზომებისა და ამ სიტუაციაში თვალის მდებარეობის დაფიქსირება. ეს ყოვილივე რა თქმა უნდა განსხვავებულად სრულდება ცაციებისათვის და მემარჯვენეებისათვის. საბოლოოდ ხდება ყველაფრის შეჯამება და კონკრეტული პიროვნებისათვის მზადდება თოფი კონდახით, რომელიც ყველაზე კარგად მხოლოდ და მხოლოდ მას ერგება. ბევრად უფრო რთულია სერიული მოდელებისათვის კონდახების დამზადება, რომელიც ყველას უნდა მოერგოს და რაც მთავარია უნდა მოეწონოს, იქნება ეს პროფესიონალი მსროლელი თუ მოყვარული. ამისათვის ტარდებოდა ათასგვარი ცდები პრაქტიკულად და თეორიულად – კომპიუტერის მეშვეობით. შესაბამისად შედეგიც მიღწეულ იქნა და დღესდღეობით ზემოთხსენებული თოფები და შაშხანები მოსახერხებელი, მაღალი ხარისხის მქონე და იოლად მორგებადი კონდახებითაა განთქმული. სანამ ხეს იარაღს მოარგებენ მისი ფორმისა და ზომების მსგავსად ხორციელდება თანამედროვე წარმოებაში უკუცემის საწინააღმდეგო ტექნოლოგიების შემუშავება და კონდახის შესაბამისი წონისა და დამატებითი ფუნქციების მასზე დამაგრება. ზემოთხსენებული ასახავს და აუმჯობესებს როგორც იარაღის ესთეტიკურ მხარეს, ისე მის „ერგონომიულობას“. მას შემდეგ რაც მოხდება ყალიბისა და მექანიზმის დეტალების მიხედვით ხის ფორმის გამოყვანა შესაბამის წონასთან ერთად, იწყება მოჩუქურთმების პროცედურა, რომელიც სრულდება ზეთით დამუშავების პროცედურასთან ერთად.



ნახევრადავტომატური შაშხანის, Merkel SR-1-ის სისტემური კოლოფი საწყის – ნახევრად მზა და საბოლოო მზა მდგომარეობაში



Merkel-ის შაშხანის ლულები მზა მდგომარეობაში

ზოგადად ლულისა და მექანიზმის გრავირება, როგორც უკვე ავღნიშნეთ, დაუსრულებლად მრავალფეროვანი და მდიდრულად შესრულებულია. მითუმეტეს კონკრეტული კომპანიის კუთვნილ ქარხანაში, რომელსაც მართლაც ბრწყინვალე ოსტატები ჰყავს. ამ ურთულეს სამუშაოებთან ერთად მეტად ალამაზებს იარაღის იერსახეს მეტალის როგორც შიდა, ისე გარე ზედაპირის შეფერვა. ამას სლენგის სახით „დამწვარ ფოლადსაც“ უწოდებენ. სახელი გამომდინარეობს დამუშავების პროცესიდან. მუქად შეფერვა ისტორიული, უკვე კარგად ნაცადი თერმოქიმიური ხერხია. სპეციალურ ღუმელში კეთდება ნახშირის ფენები სადაც ათავსებენ სასურველ იარაღის დეტალებს. მსგავსი პროცედურა შესაძლებელია ჩაუტარდეს ლულის გარდა ნებისმიერ დეტალს. იარაღის ნაწილები იდგმება ნახშირთან ერთად ღუმელში და მიმდინარეობს მისი გამოწვა.



Merkel-ის შაშხანის ლულები ხრახნის გაკეთებამდე

ქარხანაში ამის ათასგვარი ხერხი არსებობს და ეს ყოველივე თაობიდან თაობას გადაეცემოდა. შესაბამისად მრავალფეროვნება გვაქვს ფერების არჩევანშიც. ძირითადათ ლურჯი გადადის ნაცრისფერში, ან მუქი ყვითელი-სტაფილოსფერი გადადის მოწითალო-ღია



შაშხანის ლულები ხრახნის გაკეთებისა და ვაკუმური ტექნოლოგიების მეშვეობით მათი ცივად ჭედვის პროცედურები





ორლულიანის ტრადიციული წესით ჭედვის პროცედურა



იარაღის ლულაზე გარეთა ხრახნის გაკეთება სისტემრ კოლოფზე მოსარგებად





დეტალების „დამუქების“ პროცედურის შესრულებისას ნახშირი და თავსდ იარაღის დეტალები ერთად იყრება ფოლადის ყუთში და იდგმება ღუმელში.

ყავისფერში. ქარხნებში, რომლებიც იაფფასიან იარაღებს აწარმოებენ, განთავსებულია თანამედროვე ტიპის ღუმელები. ამ შემთხვევაში მსგავსი სამუშაოების განხროციელება მხოლოდ ქიმიური შენაერთებით ხდება.

ერთ-ერთი უმთავრესი პროცედურა რომლითაც ამაყობენ კიდეც „მერკელის“ კომპანიის თანამშრობლები, არის მეტალის ზედაპირის საბოლოო მოპირკეთება და გაპრიალება. ხდება მეტალის ზედაპირის მიზანმიმართული ოქსიდაცია. შემდგომ სეპციალურ ჭურჭელში, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ქიმიური შემცველობის სითხეები, ხდება ეგრეთწოდებული „ბრუნირება“, ანუ ზედაპირის ჟანგსაწინააღმდეგო საშუალებებით დაფარვა. შემდგომ ამშრალებენ დეტალებს და გარკვეული დროის გასვლის შემდგომ კვლავ მეორდება პროცედურები. ბოლოს კი დამატებით, ამჯერად განსხვავებულ ქიმიური ნივთიერებების დახმარებით მშრალად ხდება კოროზიისა და ჟანგის საწინააღმდეგო საფარის გაკეთება და გაპრიალება. ეს ყოვილივე საკმაოდ ხანრგძლივ სამუშაოებთანაა დაკავშირებული და შესაძლებელია გაგრძელდეს 30 დღეც.

დასკვნითი ეტაპის ერთ-ერთი პროცედურაა გასროლა, რომელიც ხორციელდება ქარხანაში. აუცილებლად აღსანიშნავია რომ სროლები იწარმოება არა უბრალოდ დახურულ სპეციალურ







იარაღის კონდახის დამზადების სხვადასხვა ეტაპებიწ

პატარა ოთახში, არამედ სასროლეთში, სადაც მუშაობის გამართულობასთან ერთად, ადამიანის თვალით, მექანიკურად მოწმდება სამიზნე. საშუალო საცეცხლე მანძილი – ეფექტური სროლის მანძილი გლუვლულიანი თოფებისათვის. მექანიკური სამიზნის გასასწორებლად ირჩევა 30-50 მ-ი. ხოლო ხრახნლულიანებისათვის 75 მ-დან 100 მ-მდე. სანამ ამ პროცედურამდე მივა საქმე, მანამდე კომპიუტერის საშუალებით ხდება ანალოგიური სამუშაოების ჩატარება. მოცემული შედეგები ბალისტიკურ ფურცელზე ინახება არქივში.

მას შემდეგ რაც იარაღმა გაიარა მრავალი შემოწმება ადამიანის ჩარევითა თუ კომპიუტერის მეშვეობით, ხორციელდება საბოლოო დათვალირება, რომელსაც აკეთებს კონკრეტულ სფეროში ყველაფრის მცოდნე ოსტატი, რომელსაც გავლილი აქვს მინიმუმ 10 წლიანი სწავლება და გააჩნია აღნიშნულ პერიოდზე უფრო ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება. ეს ყოველივე მას ეხმარება უმკაცრესად და უნაკლოდ შეასრულას დაკისრებული ვალდებულება, რათა არავითარი წუნი არ ჰქონდეს უკვე დახლზე, გასაყიდად გამზადებულ იარაღს.

უფრო იოლი რომ იყოს იმ თანმიმდევრობითი სამუშაოების ჩატარების მიხვედრა და გაგება რომელსაც გერმანელები ახორციელებენ, წარმოგიდგენთ პროცედურულ ცხირლს. აქ მოყვალინილია თუ რითი იწყება და რითი მთავრდება თითოეული თოფის მზადება და რომელ პროცესს რომელი ერთვის. ტურინგენელების საამაყოდ უნდა ითქვას რომ ვერტიკალური თოფების პოპულარიზაცია და საერთოდაც ფუძე იდეა სწორედ რომ ზულის დამსახურებაა.

დღესდღეობით ჩვენში სლენგის სახით შემოსულია სიტყვა „ბოკი“, რომელიც ვერტიკალურ თოფს ნიშნავს. „Bockflinte – Bockgewehr“ ქართულად ნიშნავს იარაღს ლულების ვერტიკალური თანწყობით. სახელი წარმოიშვა სიტყვისაგან „aufgebockt“ – ანუ რისიმე რაიმეზე ზემოდან დადგმა, (ადგმა). თანამედროვე ლექსიკონში ის განიმარტება როგორც რაიმე მძიმე საგნის აწევა, აზიდვა. ამ შემთხვევაში კი ლულა აზიდულია მეორე ლულაზე, რასაც გერმანელებმა მშობლიური ენის დახმარებით მიანიჭეს შესაბამისი სიტყვა და ამჟამად ორლულიან ვერტიკალურ თოფს – „BOCKDOPPELFLINTE“ – ეწოდება. მსგავსი ტიპის იარაღების წარმოებაში ყველაზე დიდი წვლილი გებჰარდ მერკელს მიუძღვის. მან იმდენად დახვეწა და იმდენად შეუწყო ხელი მათ პოპულარიზაციას, რომ 1905 წელს მსგავსი ორლულიანების სპეციალური ფაბრიკაცია დაიწყო. ყველაზე დიდი სიყვარული ხალხისა 200-სერიის მოდელბმა მოიპოვეს (დღესდღეობით 2000 სერიით ცნობილებმა).



MERKEL 303

ხშირად კოპირებული, ყოველთვის მიუღწევადი“. ასეა 1924 წლიდან, ანუ მას შემდეგ რაც პირველად შეიქმნა განუმეორებელი მოდელი Merkel 303. დღემდე არ შეცვლილა თოფის დამზადების პრინციპი. თითქმის ყველაფერი მზადდება ადგილზე ოსტატების მიერ ხელით, ისევე როგორც ეს ხდებოდა მანამდე, XX საუკუნის დასაწყისში. Merkel 303-ის დღევანდელი გასაყიდი ფასი ევროპაში დაახლობით 21.000 ევროდან იწყება. ხოლო მაგალითისათვის თუ ავიღებთ 1932 წელს, მისი ფასი გახლდათ 1550 რაიხმარკა, უფრო ძვირი ვიდრე ავტომანქანა Opel P-4. სპეციალისტები იარაღის მექანიზმს ადარებენ მექანიკური საათების სისტემას, რომლის თოთოეული დეტალი ხელითაა დამზადებული და ერთმანეთთან დაკავშირებულია მაქსიმალური სიზუსტით. გათვლილია თითოეული დეტალის მუშაობის პრინციპი რომლებიც იდეალურადაა ურთიერთშეთანხმებული. გერმანელები მსგავსი ტიპის საკეტებს Seitenschloss-ს (გვერდითი საკეტები) უწოდებენ. ჩვენში მას ზოგჯერ ამავე სახელით მოიხსენიებენ, ზოგჯერ კი მას რუსული ენიდან პირდაპირი მნიშვნელობით თარგმნიან და სრულ საკეტებს ეძახიან. სინამდვილეში ის წარმოადგენს, სრულყოფილ, გვერდით, სწრაფად – იოლად ხსნად საკეტ სისტემას. მექანიზმში განთავსებულ სპეციფიკურ ზამბარას, რომელსაც გერმანულად Bugfeder ეწოდება, ამავდროულად ენერგიის შენახვის ფუნქციაც აკისრია. ის სპირალისებრი ვერსიისაგან-Schraubenfeder – გან ბევრად განსხვავდება. იგივე V-სებრ სპეციფიკურ ზამბარას 250 ნიუტონი ენერგიის აკრეფა შეუძლია. ამ ენერგიას კი ის ჩვეულებრივზე ბევრად უფრო სწრაფად გამოყოფს თითის სასხლეტზე გამოკვრის შედეგად.

საკმარისია სისტემის მარჯვენა მხარეს მდებარე მოხატული მომრგვალებული გამომღები გავხსნათ და ამოვიღოთ საკეტი, რომ მაშინვე მივხვდებით მის უნაკლო შესრულების ხარისხს. დავინახავთ ჭეშმარიტად ხელოვანების მიერ ბრწყინვალედ დამზადებულ დეტალებს. შიგნიდან სისტემა იმდენად მარტივია, რომ არაფროფესიონალსაც კი არ გაუჭირდება მისი სრული დაშლა. საკეტი რამოდენიმე დეტალისაგან შედგება და მასში მთავარ როლს სწორედ რომ სასხლეტ მექანიზმზე მარტივად გადაბმული დამცემ-დამრტყმელი მექანიზმი ასრულებს. მის მთავარ დეტალს კი სწორედ ზემოთ განხილული სპეციფიკური ზამბარა წარმოადგენს. სისტემური კოლოფი – ჩარჩო ლულას უკავშირდება საკმაოდ საინტერესო პრინციპით და მას კერსტენის პრინციპი ეწოდება. ასეც მოიხსენიებენ მას გერმანელები – Kerstenverschluß, ანუ კერსტენის საკეტი. სისტემური ბუდის წინა და ზედა ბოლო გაჭრილია ორგან და მასში ჩადგმულია დამატებითი გამღები/ჩამკეტი. ხოლო ზუსტად ჭრილების პარალელურად, ზედა ლულაზე, სავაზნის მარცხნივ და მარჯვნივ მიმაგრებულია ორი ოთხკუთხა ფორმის მეტალის, მიახლოებით 5 – მმ სისქის ფირფირტები. ისინი შუაში ოვალურადაა ამოჭრილი და ლულასთან ერთად საერთო მასას წარმოადგენენ. როდესაც თოფში ჩავაწყობთ ვაზნებს და დავკეტავთ, ისინი სწორედ იმ ჭრილებში ჯდებიან, რომლებიც მათთვის სისტემურ კოლოფშია გაკეთებული. ხოლო ჩასმისას მათში ეყრება ზემოთხსენებული დამატებითი გამღები/ჩამკეტი ოვალური მეტალის ჩხირისებრი დეტალები. ამასთანავე ქვედა ლულაზე, სავაზნის ქვეშ, გარე პერიმეტრზე დაფიქსირებულია ორი კაუჭისებრი მყარი, ნაწრთობი ფოლადის ჩხირები, რომლებიც სისტემური კოლოფის ქვედა ბოლოში არსებულ, სპეციალურად მათთვის განკუთვნილ ჭრილებში ჯდებიან. ისინიც ლულასთან ერთად თავისთავად წარმოადგენენ საერთო მასას. ეს ყოვლივე რა თქმა უნდა საიმედოობისა და სიმტკიცის გარანტიაა. დღესღეობით მსგავსი პრინციპის მქონე ჩამკეტისა და ზემოთხსენებული თოფის სრული-გვერდითი საკეტი მექანიზმის თანწყობა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მყარ, უტყუარ და საიმედო სისტემად მსოფლიოში. Merkel 303-ის მექანიზმს გარკვეული მსგავსების გამო ძალიან ბევრი არაპროფესიონალი და მოყვარული, უძველესი, ინგლისური, არისტოკრატული Holand&Holand-ის საკეტსაც უწოდებს. აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით 60 – იან წლებში გახდა საუბრის საგანი. ეს ის პერიოდია როდესაც ზემოთხსენებული მოდელის სისტემა ყველაზე მეტად ჰგავდა ინგლისელების მიერ შექმნილ მექანიზმს. Merkel 303 – ი ძირითადათ ორი სასხლეტით

მწარმოებელი:	Merkel Jagd-und Sportwaffen GMBH
მოდელი:	Merkel – 303 E
წარმოშობის დრო:	1924 წელი
ყალიბი:	.12/76
სისტემა:	გვერდითი-სრული (სრულყოფილი) საკეტი მექანიზმი
ვაზნის ტევადობა:	2
ლულის სიგრძე: (სმ)	71
მთლიანი სიგრძე: (სმ)	მიახ. 114 – (დამოკიდებულია კონდახზე)
ჩოკები:	1/4 – 1/2(რკინის საფანტი), 1/4 – 3/4 – 1/2 – 1/1
წონა: (კგ.)	3,2
ხის კატეგორია:	მე-7 კლასიდან
მიახლოებითი ფასი: (€)	21.333, – 23.333









იწარმოება. სწორედ ისე, როგორც ტრადიციულ, კლასიკურ ვერტიკალურ თოფს შეეფერება. სასხლეტის დამცველი მექანიკურია. ვაზნის ამომგდები, ეგრედწოდებული ეჯექტორი (ინჟექტორი), მერკელის განუყოფელი ნაწილია და იმდენად უზადოდაა შესრულებული, რომ ალბათ გამორიცხულია მისი არამართებული ფუნქციონირება ან მწყობრიდან გამოსვლა იარაღის რესურსის ამოწურვამდე. კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გაირკვა რომ, ლულები დღესდღეობით მხოლოდ 76 სმ-იანი სავაზნით იწარმოება. ანუ გათვლილია ეგრედწოდებულ მაგნუმის (24 – 56გრ.) – ძლიერ ვაზნებზეც. ლულის ბოლოში კი თანამედროვე „303“-ს ექვსი სახის ჩოკი ეხრახნება, რათა მაქსიმალურად ფართო არჩევანის წინაშე დადგეს მფლობელი ბალისტიკური მონაცემების რეგულირებისას. ძირითადი განსხვავება სწორედ რომ ამაშია. ადრე მათ არც 76-სმ-იანი სავაზნე ჰქონდათ და ცვლადის მაგივრად მხოლოდ და მხოლოდ ფიქსირებული ჩოკით იწარმოებოდა. დამცემი მექანიზმის ზამბარაც, რომელიც სხვებისაგან მაინც განსხვავდებოდა – უფრო სწორედ კი ბევრად სჯობდა მათ, არ გახლდათ ზუსტად ისეთი, როგორიც დღესაა. აღსანიშნავია რომ მოდელი უბრალოდ „303“ სერიით აღარ იწარმოება და მცირედი ცვლილების გამო „303 E“ ეწოდება. რომელი სჯობს, ძველი თუ ახალი, რთული სათქმელია. ყოველივე დამოკიდებულია პიროვნების გემოვნებაზე, პროფესიონალიზმსა და რაც მთავარია მის ხედვაზე იარაღისადმი.

რაც შეეხება თავად ჩოკებს, ძირითად შემთხვევებში ოთხი მათგანი მხოლოდ ტყვიის საფანტზეა გათვლილი. ორი, დამატებითი ჩოკებით კი რკინის საფანტის გასროლაც შესაძლებელია. როგორც ევროპელმა მეიარაღეებმა განგვიცხადეს, რკინის საფანტსა, ფინდიხსა თუ ტყვიაზე გათვლილი ჩოკების შემთხვევაში იარაღის ლულაც დამატებით მუშავდება და სპეციალური სითხითაც იფარება, რათა ჩოკებთან ერთად თავადაც გაუძლოს რკინას. ამას ცდახყოფს სისტემურ კოლოფსა ან ლულის სავაზნის ქვეშ არსებული დამღა. მხოლოდ ტყვიის ჩოკების ქონის შემთხვევაში კი იარაღი აღნიშნული საფარით არაა დაფარული და არც რკინის გასროლის შესაბამისადაა დამუშავებული. თუმცაღა პროფესიონალმა ოსტატებმა ისიც დასძინეს, რომ აღნიშნული გარემოება მიუხედავად თანამედროვე პრინციპების გამოყენებისა არ ცვლის ბალისტიკურ მონაცემებს და „მერკელ-303“-ის მფლობელი ორივე ტიპის ლულისა და ჩოკების გამოყენების შემთხვევაში ვერ იგრძნობს სროლისას ვერანაირ განსხვავებას.

საკეტის გვერდითი დაფები, დანარჩენი მექანიზმი და ლულის დასაწყისი გრავირებულია და მათ ამშვენებს საშუალო ზომის ინგლისური არაბესკები. ასეთი სტილის მოხატულობა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე სასურველ, ტრადიციულ და საყვარელ ხელოვნების ნიმუშად ზოგადად თოფების მოხატულობებში. კონკრეტული, საშუალო ზომის „არაბესკები“ – ფოთლისებრი მოხატულობები კი ძალიან უხდება თოფს, რომლის ლულები ვერტიკალურადაა თანწყობილი. აღსანიშნავია, რომ ჰორიზონტალურად განთავსებულ ლულებიან თოფებს წვრილ არაბესკებს უკეთებენ. ასევე არსებობს დიდი ზომის არაბესკებიც, რომელიც ყველაზე ნაკლებად ფასობს აღნიშნულ ორ ზომას შორის. თუმცა მჯობნზე მჯობნს რა დალევს და არცაა საჭირო შორს წავიდეთ და სხვა კომპანიის მიერ ნაწარმოები პროდუქცია შევადაროთ Merkel 303-ს. საკმარისია და ალბათ საკმარისზე მეტიც არის ამერიკის შეერთებულ შტატებში განთავსებულ, იარაღების ეროვნულ მუზეუმში დაცული Merkel 303, რომელიც მეო-









ცე საუკუნის ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პიროვნებას, უმაღლესი რაიხის მარშალ ჰერმან გორინგს აჩუქეს. ზემოთხსენებული პიროვნება გახლდათ პირველი მსფოლიო ომის პილოტი და ჰიტლერთან დაახლოებული პირი, რომელიც საკუთარი ბელადის იდეოლოგიის მომხრედ და სამომავლოდ არც მეტი არც ნაკლები გამგრძელებლადაც სახელდებოდა. 1945 წლის მაისში ის გასამრთლებულ იქნა და სასჯელის აღსრულებადმე მან თავი მოიკლა. მისი ყოფილი თოფის ნახვაც კი საკმარისია, რომ მიხდვე თუ რაოდენ დიდი შრომაა ჩადებული მის შექმნაში. რა თქმა უნდა არა მარტო შრომა, არამედ ძვირფასი მასალაც, ძირითადათ კი ოქრო, რომელიც უხვადაა გამოყენებული და ფარავს იარაღს გარკვეულ ზედაპირზე. ალბათ სიტყვით ამ ყოველივეს აღწერა შეუძლებელია და სჯობს მნახველმა თავად შეაფასოს მისი ვიზუალური მხარე. სავარაუდოთ შიშის ფაქტორიც არსებობდა აღნიშნული იარაღის შექმნისას. მისი ცუდად დამზადების შემთხვევაში ალბათ არც ოსტატებსა და არც კომპანიას კარგი არაფერი მოელოდათ. რათქმაუნდა სიყვარულითა და გულით შექმნილი კი ასეთს ყოველთვის ჯობნის.

არანაკლებ შრომატევადი და ძვირადღირებული მოხატულობა ჰქონდა ჩვენს მიერ, 2011 – 2012 წლებში, ქალაქ ნიურნბერგში გამართულ საეთაშორისო გამოფენაზე ნანახ Merkel – 303 E-ს. თოფს გარდა ინგლისური არაბესკებისა, ამშვენებდა ცხოველების, გამოსახულებები, რომლებიც არაბესკების შუაში იყო განთავსებული – ჩაფლული. მარჯვენა მხარეს, გვერდითი დაფის შუა პერიმეტრში წარმოდგენილი იყო მორბენალი კურდღლების გამოსახულება. ტიბჟირთან ახლოს, სისტემური კოლოფის წინა ბოლოში კი კაკაბის მოხატულობა, მარცხენა მხარეს, გვერდითი დაფის შუა პერიმეტრს ერთი მელიისა და ერთი ხოხობის გამოსახულებები ამშვენებდა. ტიბჟირის სიახლოვეს კი ოდნავ განსხვავებული ხოხობის მოხატულობა იყო წარმოდგენილი. თოფის საგამოფენო ფასი 21.333 ევროს შეადგენდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი სამომავლო, გადამყიდველი კომპანიის მიერ შემოთავაზებული, სავარაუდო გასაყიდი ფასი დაახლოებით 25000 – 27000 ევროს გაუტოლდებოდა.

BLASER

„Blaser“-ის ხუთი ტრადიციული წეს-ჩვეულება:

1. საიმედოობა
2. სიზუსტე
3. სარწმუნო, გარანტირებული ფუნქციონირება
4. წამყვანი როლი მსოფლიო ბაზარზე
5. მრავალფეროვნება

მწარმოებელი:	Blaser Jagdwaffen	GmbH
მოდელი:	R-8 (2 ლულით)	R-8 Attache – Luxus
ყალიბი:	.308 Winchester&9,3×62	.223 Remington
ლულის სიგრძე: (სმ)	58; 58.	58.
სისტემა:	სიგრძივ მოძრავ საკეტიანი	მექანიზმი
მჭიდის ტევადობა:	4+1	5+1
წონა: (კგ)	3 – 3,2	2,9
მიახლ. ფასი: (EU)	7.000;	23.000;



Blaser R8

1957 წელს ლულების ოსტატმა, ჰორსტ ბლაზერმა იარაღების წარმოების დაწყება განიზრახა. მისი ეს გადადგმული ნაბიჯი ერთ-ერთი სერიოზული განაცხადი გახლდათ სანადირო იარაღების ინდუსტრიაში. მან დაამზადა იმ დროისათვის ყველაზე გაყიდვადი, საიმედო და მსუბუქი დრილინგი Blaser Diplomat. ამ წლიდან დაიწყო კომპანიის ბრენდად ჩამოყალიბება, კარიერული წარმატებები და ჭეშმარიტად, ერთ-ერთი უნაკლო იარაღის – „ბლაზერის“ აღმასვლა. დროთა განმავლობაში ფირმამ ჩამოაყალიბა იდეოლოგია, რომელიც გახდა მომავლისათვის მათი დევიზიც და ერთგვარი რეკლამაც. 5 წესი, რომელსაც Blaser – ი იცავს, ყველგან შეგხვდებათ, ინტერნეტში, ჟურნალ გაზეთებსა თუ მისსავე გამოცემულ ბროშურებსა და წიგნებში. მეექვსე წესს, ანუ სიმარტივეს, უფლება რომ ჰქონდეთ, ალბათ თავად მყიდველები მიამატებდნენ. რაც უფრო მარტივია იარაღი, რაც უფრო ცოტა დეტალი აქვს და ამ ყველაფერთან ერთად საიმედო, მაღალი ხარისხის პროდუქციაა, მით მეტად ფასობს.

ნადირობა ძალზედ ინდივიდუალური საკითხია. ამ დროს მასზე გავლენა აქვს ყოველთვის განსხვავებულ ხასიათს. თითოეული მოქმედებს საკუთარი ინსტინქტისამებრ და იღებს საკუთრივ გადაწყვეტილებებს. რა თქმა უნდა იარაღის არჩევანსაც ხასიათიდან გამომდინარე აკეთებენ. მაგრამ არსებობენ კომპანიები და იარაღები, რომლებიც გამონაკლისების გარდა თითქმის ყველას მოსწონს, ასაკისა და სქესის განურჩევლად. სწორედ ერთ-ერთი მათგანია გერმანული Blaser R8.

შაშხანის დათვალიერება და გასინჯვა ავსტრიაში, ჩვენი, ქართველების მეგობარი კომპანიის დახმარებით განხორციელდა, რომლის მფლობელიც ბატონი მარკუს ფრიჩი გახლავთ. საქართველოში მის მიმართ მხოლოდ და მხოლოდ მადლიერების გრძნობით გამსჭვალულები დავბრუნდით და თან წამოვიღეთ Blaser-ის ერთ-ერთი შესანიშნავი მოდელი ორი ცვლადი ლულით (კალ. 308 Winchester და 9,3×62 mm). იარაღმა ქართველ მონადირეთა და პროფესიონალთა დიდი მოწონება დაიმსახურა და ერთ-ერთმა მათგანმა მისი შეძენა გადაწყვიტა. მისი ამჟამინდელი მფლობელი ტრადიციების მოყვარული, გამოცდილი მონადირეა და შაშხანის შეძენა ყველაზე მეტად დაუკავშირა საზღვარგარეთ სანადირო ტურებს. ანუ ადგილებსა და სანადირო მეურნეობებს, სადაც მან უკვე გარკვეული გამოცდილება მიიღო და შესაფერისი იარაღი აირჩია.

ჩვენს ავსტრიელ მასპინძელს უფრო მეტად რომ გავეხარებინეთ და სტუმართმოყვარეობის იქაური ტრადიცია ეჩვენებინა, წარმოგვიდგინა და ამასთანავე ფოტომოსალის მოპოვების საშუალებაც მოგვცა უკვე გაყიდულ R-8 – ზე. შესაბამისად მისი მოკრძალებული ფოტო-კოლაჟი წიგნშიცაა წარმოდგენილი. ყველაზე საინტერესო ისაა რომ კონკრეტული არასერიული იარაღი არც მეტი არც ნაკლები, ექსკლუზივური შეკვეთის საფუძველზე თურქმენისტანის პირველ პირისათვის იყო დამზადებული და ჩვენც სულ რამოდენიმე დღით ადრე ჩასულებმა ბეწვზე მივუსწარით, შეფუთულ, გასაგზავნად გამზადებულ R-8-ს. შაშხანა დაკომპლექტებული იყო Carl-Zeiss-ის გერმანული მანძილმზომი – ოპტიკური სამიზნით. ეს გახლავთ უნიკალური მოწყობილობა, რომელიც ერთდროულად მანძილმზომიცაა და ოპტიკური სამიზნეც. შესაბამისად ამგვარი აღჭურვილობით ნადირობა საგრძნობლად აადვილებს სწრაფად



Blaser R-8-ის საკეტი მექანიზმი ღია მდგომარეობაში



Blaser R8-ის სასხლეტი მექანიზმი, რომელიც ამავდროულად შეიცავს მჭიდს



Blaser R8-ის მოხსნილი საკეტი და სამიზნის ხიდი



Blaser–R8 არასრულად დაშლილი



Carl Zeiss–ის ოფტიკური სამიზნე ინტეგრირებული მანძილმზომით

რეაგირებას და ყოველი შემდგომი ვაზნის გასროლას. წარმოიგიდგენთ კომპანია Blaser Jagdwaffen GMBH-ის ორივე მოდელის განხილვასა და დასკვნით ეტაპზე მათ მთავარ კონკურენტთან, აგრეთვე იდეალურ და კლასიკურ Merkel Helix – თან შედარებით განხილვას.

R-8-ის საკეტი მექანიზმის მოხსნა-დაყენებისას სახეზეა იდეალური სტრუქტურული აგებულების მქონე უმარტივესი მექანიზმი. არასაიმედო მუშაობის ფაქტორი გმორიცხულია და აქცენტი გაკეთებულია უკვე ესთეთიკურ სილამაზეზე. მაგალითად საკეტის თავი თურქმენისტანის პირველი პირისთვის განკუთვნილ შაშხანას ოქროსფრად აქვს მოპირკეთებული და მართლაც რომ საოცრად ლამაზია. აგრეთვე ჩვენს მიერ წამოღებულ ვერსიასაგან განსხვავებით შაშხანას სასხლეტიც ოქროს ფერითაა დაფერილი. როგორც ბატონმა მარკუსმა გაგვიმარტა, მფლობელს არ სურდა გრავირება ენახა სისტემურ კოლოფზე და რადგანაც სტანდარტული ვერსიის, უბრალო შავი ფერის ბუდეს მას ვერ აკადრებდნენ, გამოსავალი მოძებნეს და R8 – Attache-ს ვერსიის, ხის ფონით გაწყობილი დეტალი დააფიქსირეს შაშხანაზე. არასერიულ დამატებით კომპლექტაციაში შედიოდა ორი ცვლადი მჭიდი, მხარზე გადასაკიდი ქამარი (ღვედი), ოპტიკური სამიზნის „პიკატინის“ ტიპის ხიდი, Carl-Zeiss – Victory Diarange M3-12×56 – ოპტიკურ-ლაზერული სამიზნე მოწყობილობა, საწმენდები, დასაშლელი ხელსაწყო და ტყავის ძვირფასი შალითა. .223 Remington-ის ყალიბიც რა თქმა უნდა მომავალი მეპატრონის მოთხოვნით შეირჩა. იმ კონკრეტული დანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში, რისთვისაც მომავალ მფლობელს უნდა გამოეყენებია იარაღი, აშკარად დამაკმაყოფილებელი ბალისტიკური შედეგის მომტანია აღნიშნული ვაზნა. სამწუხაროდ მისი გასროლის შანსი არ მოგვეცა. ვინაიდან და რადგანაც შაშხანა უკვე გაყიდული იყო. თუმცა დაწვრილებითი ინფორმაცია მივიღეთ იარაღსა და ოპტიკურ სამიზნეზე პროფესიონალი მეიარაღისა და ავტსრიული, ფერლახის მეიარაღეთა სკოლის კურსდამთავრებულისაგან, რომელიც ჩვენი მასპინძელი გახლდათ. ხის კატეგორია R-8-ს უმაღლესი, ანუ მე-11 კლასის ჰქონდა. ზოგადი აგებულება ჩვენს მიერ წარმოებულ შაშხანასა და თურქმენისტანში გასაგზავნს შორის ფაქტიურად იდენტური იყო და განსხვავება არ არსებობდა თუ არ ჩავთვლით ვიზუალურ მხარესა და ძვირფას დეტალებს.

დამცველი ღილაკი შაშხანას ყველაზე მოხერხებულ ადგილას, სისტემური კოლოფის ზედა ბოლოში აქვს განთავსებული. იარაღის მხარზე მიყრდნობისას მასზე ცერა თითის დაჭერა და ზემოთ აწევა ძალზედ პრაქტიკულია და აღნიშნული მოქმედების განხორციელებისას, ზოგიერთი შაშხანისაგან განსხვავებით, არავითარი ზედმეტი ძალის დახარჯვა არაა საჭირო. რაც აუცილებლად აღსანიშნავია, ის ისე სრიალებს რომ საერთოდ არ იწვევს ხმაურს, რაც საწინდარია უკეთესი ნადირობის. მსგავს ფუნქციას დიდი ყურადღება ექცევა გარკვეულ ცბიერ და გონიერ ცხოველებზე სროლის შემთხვევაში, რათა მსხვერპლმა არ გაიგოს მექანიზმის ხმა – ადამიანის იქ ყოფნა. გადატენვისას როგორც წესია Blaser – ი თავად დგება დაცვაზე. რათა მაქსიმალურად გამორიცხულ იქნას უბედური შემთხვევა. ხოლო თუ დამცველი ზემოთ ავწიეთ და მოვემზადეთ ცეცხლის საწარმოებლად, მაინც იოლად ხდება იარაღის განმუხტვა. ამისათვის იმავე ღილაკს კვლავ მიეწევთ მაღლა, რის შედეგადაც ის თავად ჩამოსრიალდება ბოლომდე ქვემოთ და დადგება დაცვაზე. მჭიდი და სასხლეტი მექანიზმი ფაქტიურად ერთ-საერთო დეტალს წარმოადგენენ. სასხლეტის ბუდის თავში-სისტემური კოლოფის შუა ნაწილის ქვედა მხარეს განთავსებულია მჭიდის გამომღები ღილაკები. როგორც მარჯვენა, ასევე ცაციებისთვისაც – მარცხენა მხარეს. ეს ყოველივე იმდენად მოხერხებულადაა აგებული და მოფიქრებული, რომ გამორიცხულია მჭიდის გამომღების ან სასხლეტი მექანიზმის სწრაფი მწყობრიდან გამოსვლა ან მისი დაკარგვა. რაც შეეხება ლულის დამაგრებას, მსგავსი მარტივი და ამავდროულად უნაკლო სისტემა ალბათ ძალზედ რთული შესაქმნელია, ბევრისათვის კი შეუძლებელიც. ლულის ჩასმისას,

ტექნიკური მონაცემები	Carl-Zeiss – Victory Diarange M-3-12×56
გადიდება	3-12X
ობიექტივის ეფექტური დიამეტრი	44 – 56 მმ
ნისლი/განათების ფაქტორი	8,5 – 25,9
ხედვის არეალი 100 მეტრზე	12,5 – 3,5 მეტრი
ობიექტივის ვიზუალური კუთხე	7,2 – 2°
დიოფტრიული კორექტირების დიაპაზონი	.+2/-4. dpt
თვალსა და ოპტიკას შორის მანძილი	90 მმ
100 მეტრზე რეგულირების დიაპაზონი (ვერტიკალურად/ჰორიზონტალურად)	140/100 სმ.
რეგულირებისას ერთი „წკაპი“-100 მეტრზე	1 სმ.
ობიექტივის მილის დიამეტრი	62,5 მმ
თვალის – ოკულარული მილის დიამატერი	45 მმ
(Lotutec) წყალგაუმტარი დაფარვა	.+
წყალქვეშა ამტანობა (წნევა)	400 ბარი
სამუშაო ტემპერატურა	.-25/+25°C
სიგრძე	360 მმ
წონა – ბატარიის გარეშე	995 გრ.
კლასი/ტალღის სიგრძე	1 – კლასი/1904 ნმ.
საზომი დიაპაზონი	10 – 1000 მეტრი
გაზომვის სუზუსტე	.±1/±0,5%</>600 მმ
გაზომვის დრო	0,5 წამი
გაზომილი მონაცემების ჩვენების დრო	3 წამი
ბატარეა 1×3 V CR 123A (CR 17345)	
ბატარეას მუშაობის პერიოდი – გაზომვები	>5000/>700 გაზომვა



Blaser R8-ის არასერიული, ძვირფასი კონდახი





Carl Zeiss 3-12x56 ოფტიკური სამიზნე მონყობილობაზე მარცხენა მხარეს განთავსებულია მანძილმზომი

როდესაც მას მოვარგებთ იარაღის დანარჩენ ნაწილს, ლულისქვეშა კონდახის შუაში განთავსებულ ჭანჭიკს მოვუჭერთ. ის ხეშია ჩაფიქსირებული და მოშვება-მოჭერის მიუხედავად გარეთ არ გამოდის. ეს წინაპირობაა იმისა, რომ დეტალი მუდამ დაცული იქნება დაკარგვისაგან. მისი დატრიალება კი ხდება კომპლექტაციაში არსებული ექვსკუთხა სახრახნი ხელსაწყოთი, რომელიც სულ უბრალო სერიულ ვერსიასაც მოყვება. ყალიბის შეცვლა ხდება გარკვეულ შემთხვევებში მხოლოდ ლულის გამოცვლით, ხოლო თუ არჩევანი კეთდება ორ ისეთ განსხვავებულ ყალიბებზე, რომლის ზომებიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, აუცილებელია საკეტი მექანიზმის-საკეტის მბრუნავი თავის გამოცვლაც. ამ ყველაფერს ემატება ის ფაქტიც რომ ქარხანა ლულებს მხოლოდ და მხოლოდ ცივად ჭედვის ტექნოლოგიების მეშვეობით აწრთობს. სწორედ ისე როგორც ამას სხვა წამყვანი გერმანული კომპანიები, Sauer&Sohn, Merkel Jagd und Sportwaffen GMBH და სხვა მსგავსი დონის ბრენდები აკეთებენ.

Blaser R-8-ის მთავარი მშვენება სწორედ რომ მისი საკეტი მექანიზმი გახლავთ. მსგავსი ტიპის საკეტი პირველად Blaser Jagdwaffen GMBH – მა შექმნა. მანამდე ის ამშვენებდა შაშხანას-სახელწოდებით Blaser R-93. საკეტის სახელურზე ხელის მოკიდებისას და უკან მოწევისას ის მოძრაობს ლულის სიგრძივ და სულ რაღაც 5 გრადუსით იწევა – იხსნება და მოძრაობს სიგრძივ და არა წრფივად. ამ პროცედურის შესრულებისას კი გახსნის კუთხე ფაქტიურად ნულის ტოლია. საიდუმლო კი იმაშია რომ თვითონ მექანიზმში განთავსებული სისტემა ბრუნავს, ატრიალებს გაღებისას თავს, რომელსაც გამოაქვს ვაზნა სავაზნიდან. დახურვისას კი მჭიდიდან სისტემურ კოლოფში მიწოდებული ვაზნა მიაქვს კვლავ ლულაში არსებულ სავაზნეში. მისი მოხსნა დაშლისას ან ყალიბის შეცვლისას ძალიან მარტივია. ვაღებთ საკეტს ბოლომდე და ირაღის ქვედა, სისტემურ ბუდეზე განთავსებულ პატარა ღილაკზე თითის დაჭერით ის მთლია-

www.caravani.ge



Blaser R8 ორი, ცვლადი ლულებით.





Blaser R8-ის სასხლეტი მექანიზმისა თუ ლულის მოხსნა ძალზედ იოლია.



.308 Winchester - XP3 - 150gr. - 9,72-G



9,3 × 62 მმ - 16-გრ. (247 გრეინი) - რეკომენდირებული სროლის მანძილი 162-მეტრი.

ნად სცილდება შაშხანას. მისი შექმნის მთავარი არსი და იდეოლოგია მდგომარეობდა სისწრაფეში. ანუ იარაღს ჩვეულებრივ „ბოლტთან“ შედარებით ბევრად მალე უნდა განეხორციელებინა ვაზნის გადატენვა. მისი შექმნით კი შედეგი მიღწეულ იქნა. შემცირდა და გამარტივდა გადატენვისას ხელის მოქმედების მანძილი. აღსანიშნავია თავდაპირველად კრიტიკოსებისა და იარაღთმცოდნეების ქარცეცხლი დაატყდა თავს ზემოთხსენებულ პრინციპის სისტემას. მთავარი ბრალდება კი ის გახლდათ, რომ მექანიზმი რატომღაც არასაიმედო იქნებოდა და კრიტიკულ პირობებში ვერ განახროციელებდა ვაზნის გადატენვის პროცესს გამართულად. „ბლაზერი“ კი რის „ბლაზერი“ იყო ყველაფერი რომ არ გაეთვალისწინებინა. სულ ცოტა ხანში ყველა კარგად გაერკვა მის უნიკალურობაში და საიმედო მუშაობაში. უფრო მეტიც, გარკვეული პერიოდის მერე შაშხანამ მოიპოვა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ჯილდოები. აგრეთვე დაამზადეს Blaser R-93-ის ტაქტიკური ვერსიაც, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ 308 Winchester-ის, 300 Win. Mag.-სა და 338 Lapua magnum-ის ყალიბებით იწარმოება. ზუსტი და ეფექტური სროლის მანძილები და რეალური სამუშაო პერიმეტრი კი მერყეობს 500 – 1000 – 1500 მ – დე. ზოგადად მსგავსი ბალისტიკური მაჩვენებლები, რომლის ჩვენებაც აღნიშნული შაშხანებით შეიძლება, უტოლდება იდეალურ შორსმსროლელ შაშხანას, Steyr SSG 08-ს და სჯაბნის ნახევრადავტომატურ Heckler&Koch SLB 2000 Target-სა ან თუნდაც მექანიკური, იმავე ცილინდრული სისტემით აღჭურვილ Remington 700-XCR-Tactical Long Range-ს.

Carl-Zeiss-ის მრავალფუნქციონალური ოპტიკური სამიზნე, რომლითაც შაშხანა დაკომპლექტებულია, არა მარტო Blaser -ს, არამედ ნებისმიერ სხვა იარაღს დაამშვენებდა. იგი დამაგრებულია არაფიქსირებულ ხიდზე, რომლის მოხსნა/დაყენების პროცედურა უმარტივესია. მან თავდაპირველად R-93-ის საკეტი მექანიზმის მსგავსად კრიტიკა დაიმსახურა. სპეციალისტების ვარაუდით განსხვავებული ფუნქცია, რომელიც არა განცალკევებულად, არამედ შეჯამებულად მუშაობდა, ერთობლიობაში არ იქნებოდა გამართული. არადა კომპანია, რომლის შემქმნელებიც და მომუშავე პერსონალიც წესრიგის მოყვარული გერმანელები არიან, ლინზებსა და სხვადასხვა კომპონენტებს არც მეტი არც ნაკლები კოსმოსურ ხომალდებისა და სატელიტურ-გადამცემ მოწყობი-

www.caravani.ge

II კლასის გრავირება.
მხატვარი: **დანიელ გიოზერი.**
ვაზნა – ნებისმიერი კალიბრი სტანდარტული ვერსიებიდან.
კონდახი – არჩევანი კეთდება მხოლოდ მე-7 კატეგორიის კაკალზე.
სისტემური კოლოფი დამზადებულია რკინისგან. ცხოველების, ირმისა და თოვლის თხის გამოსახულებები და დანარჩენი მოხატულობა გაწყობილია არაბესებით.



IV კლასის გრავირება.
მხატვარი: **როლანდ შმიტი.**
ვაზნა – ნებისმიერი კალიბრი სტანდარტული ვერსიებიდან.
კონდახი – მხოლოდ მე-9 კატეგორიის კაკალზე.
სისტემური კოლოფი დამზადებულია რკინისგან, რომელიც მთლიანადაა მოხატული – დაფარული ფოთლებისა და ყვავილების თანწყობით.



I კლასის გრავირება.
მხატვარი: **ზიგრიდ მიუკენჰაიმი.**
ვაზნა – ნებისმიერი კალიბრი სტანდარტული ვერსიებიდან.
კონდახი – მხოლოდ მე-6 კატეგორიის კაკალზე.
სისტემური კოლოფი დამზადებულია რკინისგან, ტახის გამოსახულებები გარშემო მოხატულია ტრადიციული გერმანული ტიპის მუხის ფოთლებით.



უმაღლესი კლასის გრავირება – კილიმანჯაროს სპილო
მხატვარი: **პიტერ შახლი.**
ვაზნა – 500 Jeffry (12,7x70მმ).
სისტემური კოლოფი დამზადებულია რკინისაგან, რომელიც გაწყობილია სპილოს გამოსახულებითა და მისივე კიდურების თუ სხეულის სხვა ნაწილების ამსახველი მოხატულობებით.







Swarovski Z6i 1-6x24 SR ოფტიკური სამიზნე მოწყობილობა

ლობებზე დამაგრებული ფოტო და ვიდეო აპარატებისათვის იყენებენ. ქალაქ ბოხუმში ფირმას განთავსებული აქვს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ობსერვატორია-პლანეტერიუმი – Carl-Zeiss Planeterium Bochum-საიდანაც აწარმოებენ დაკვირვებებსა და კვლევებს კოსმოსზე. აქედან გამომდინარე თავად მიხვდება ყველა თუ რამდენად დახვეწილი იქნება ზემოთხსენებული კომპანიის მიერ შექმნილი ოპტიკური სამიზნე, რომელიც აგებულია ლაზერული პრინციპის მანძილმზომთან ერთად. ამავდროულად

ტექნიკური მონაცემები:	Z6i 1-6x24 SR
გადიდება:	1-6x
ობიექტივის (ეფექტური) დიამეტრი: (მმ)	9,6-24
ობიექტივის წინა/გამავალი ლინზების საშუალო ზომა ოკულარზე:Ø (მმ)	9,6-4,0
თვალსა და ოპტიკას შორისი მანძილი: (მმ)	95
ხედვის არეალი: (მ/100 მ)	42,5-6,8
დიოფტრიული კორექტირების დიაპაზონი:	-3 დან .+2 Eმდე.
სიმკრთალის/ბინდის ფაქტორი:	2,8-12
ზემოქმედების წერტილზე კოორდინაცია / ერთი წკაპი: (მმ/100 მ)	15
მაქს. მანძილი/ბიჯი სიმაღლე-სიგანეზე: (მ/100 მ)	2
პარალაქსის კორექცია:	.-
სიგრძე მიახლოებით: (მმ)	296
წონა მიახახლოებით: (გრ.)	480
შუა მილის დიამეტრი: (მმ)	30



Swarovski-ის არასერიული მოდელი წარმოდგენილი იყო გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე

მას აქვს ილუმინაცია – ბადის განათება წითლად, რომლის სიკაშკაშეც მარცხენა გვერდზე განთავსებული +/-მარეგულირებლების მეშვეობით შეგვიძლია ვაკონტროლოდ. მანძილის გაზომვა იმავე მხარეს მდებარე ღილაკზე თითის დაჭერითა და ამორჩეულ სამიზნეზე მიმართვით ხდება. გაზომვას იმდენად ზუსტად ახორციელებს ოპტიკა, რომ 600 მეტრ დისტანციაზე ცდომილება მაქსიმუმ 0,5 მეტრი შეიძლება იყოს. მაგრამ იმის ალბთობა გაცილებით უფრო მეტია, რომ ცდომილება საერთოდ არ დაფიქსირდეს. აგრეთვე ბევრი რამ არის ამ შემთხვევაში დამოკიდებული გარემოზე, სროლის პერიმეტრზე და თავად მსროლელის პროფესიონალიზმზე, თუ რა მიმართულებას მიანიჭებს იგი ლაზერის სხივს. გაზომილი მეტრაჟი კი საკმაოდ პრაქტიკულად, დამიზნებისას თვალთახედვის არეალის – ბადის ქვედა ბოლოში ჩანს. თითოეულ ვაზნას, ყალიბის მიხედვით რა თქმა უნდა განსხვავებული ტრაექტორია აქვს. გასროლისას ლულა აუცილებლად ირხევა და იწევა დაბლა. ლულიდან ტყვიის გამოსვლისას კი იწყება ზოგ შემთხვევაში ძლიერი, ზოგ შემთხვევაში კი შედარებით ნაკლები რეზონანსული რხევა. მაგრამ ტყვია ხვრელიდან გამოსვლისას არავითარ შემთხვევაში არ იქნება სამიზნე ხედვის ზოლის მაღლა, არამედ ის ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ დაბლიდან იწყებს ტრაექტორიას. 100 მეტრ დისტანციაზე უმეტეს შემთხვევებში ვაზნა ინარჩუნებს 0 შედეგს, ანუ იდეალურ სიზუსტეს. შესაბამისად წარმოგიდგენთ სამივე ყალიბის გრაფიკულ ჩანახაზს. 233 Remington-ის გასროლა წარმოებულია Blaser R8-იდან, 51 სანტიმეტრი სიგრძის ლულიდან.

ვაზნების დასახელება და წონები იხ. გრაფიკზე:

მანამდე სანამ Blaser R-8-ის მთავარ კონკურენტზე Merkel R.X. Helix – ზე გადავიდოდეთ, შემოგთავაზებთ საქართველოში ჩვენს მიერ წამოღებული ორი ცვლადი, განსხვავებული ყალიბის მქონე ლულებით აღჭურვილ R-8-ის განხილვას, მასზე მორგებულ ავსტრიულ Swarovkis optik KG-ს ოპტიკურ სამიზნესთან ერთად. როგორც უკვე აღვნიშნეთ ორივე „ბლაზერის“ სტუქტურული აგებულება თუ დიზაინი ანალოგიურია. ჩვენ შემთხვევაში განსხვავდება კალიბრები-სესაბამისად ბალისტიკური მონაცემები და ფასი. შედარებით მცირეკალიბრიანი ლულა (.308 Winchester) უფრო ზუსტი სროლისათვისაა გათვალისწინებული, რომელიც მეპატრონეს საკმაოდ შორ დისტანციებზე წვრილფეხა თუ შედარებით მოზრდილი, საშუალო ზომის ცხოველების მონადირების საშუალებას მისცემს. მეორე, მსხვილკალიბრიანი ლულა (9,3×62 mm) იდეალურია ახლო დისტანციებზე მსხვილფეხა ცხოველებზე სანადიროდ. აღნიშნულ ვაზნას გერმანელი და ავსტრიელი მონადირეები პირველ ადგილზე აყენებენ ტყეში, ღორზე და დათვზე ნადირობისათვის. ამ კალიბრს აქვს ზუსტად იმდენი ენერგია და სიზუსტე, რამდენიც საჭიროა (მიზანში ზუსტად გარტყმის შემთხვევაში) ცხოველის ერთი გასროლით ადგილზე დასაგდებადსასიკვდილოდ. ამ შემთხვევაში რა თქმა უნდა გამორიცხულია დაჭრილი ნადირის გაქცევა და დაკარგვა. თავად იარაღიც სწორედ ასეთი ტიპის ნადირობისათვისაა შექმნილი. კომპაქტური და საკმაოდ ზუსტი Blaser R-8 ტყეში მოხერხებული სახმარია. მოძრაობისას მისი სიგრძე თუ წონა დისკომფორტს არ უქმნის მონადირეს. ნახევრადავტომატურ შაშხანებთან შედარებით არც თუ ისე ნელია იარაღი გამომდინარე მისი ახალი თაობის ცილინდრული-სიგრძივ მოძრავ საკეტიანი მექანიზმისა. გამოდის რომ მისი მეპატრონე იქნება ერთ-ერთი საუკეთესო შაშხანის მფლობელი, რომელიც თუ არ ჯობს კონკურენტებს, არც ჩამოუვარდება მათ გარკვეული კრიტერიუმის გათვალისწინებით. მაგლითად ტყეში, ცხოველზე ნადირობისას. თუ კომპანია „ბლაზერის“ მიერ წარმოებული ლულების ბალისტიკურ შედეგებს გადავხედავთ, ცხადი გახდება რომ ამავდროულად იარაღზე მეორე ლულის მორგებისას შესანიშნავი ბალისტიკური შედეგების მიღება ძნელია, სროლის წარმოებისას შედარებით შორ დისტანციებზე. მიუხედავად იმისა რომ .308 Winchester-ის ვაზნა ენერგიის-სემაჩერებელი ძალის მხრივ ბევრად ჩამოუვარდება 9,3×62 მმ-ს, მაინც ეფექტურია ისეთი მოცულობის მქონე ცხოველებზე ნადირობისას, როგორებიცაა ჯიხვი, მგელი...

„ბლაზერის“ საკეტი მექანიზმის მოხსნა-დაყენება ძალიან მარტივად ხორციელდება. მისი უკან, ბოლომდე მოწევისას გამოჩნდება სისტემური კოლოფის მარჯვენა კედელის ზედა, ბოლო კუთხეში განთავსებული ღილაკი, რომელზე დაწოლისასაც თავისუფლდება საკეტი მექანიზმი და შესაძლოა მისი იარაღისაგან განცალკევება. შაშხანას ორი მჭიდი მოყვება, რომელიც განსხვავებული, ლულების შესაბამისი კალიბრის ვაზნებს იტევს. მათი დამაგრება ბლაზერის სასხლეტ მექანიზმზე ხორციელდება. მჭიდი გამოლებისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა ვერსიის განხილვისას, სასხლეტის ბუდესთან ერთად გამოდის გარეთ. აგრეთვე სხვა დანარჩენი ტექნიკური მახასიათებლები თუ სტრუქტურული აგებულება ემთხვევა ზემოთ განხილულ, თურქმენისტანის პირველი პირისთვის განკუთვნილ R-8-ს.

ტესტირებისათვის მოვიპოვეთ .308 Win.-ის ამერიკული წარმოების, თავად კომპანია ვინჩესტერის მიერ დამზადებული ვაზნები და გერმანული RWS – Dynamit Nobel-ის მიერ წარმოებული 9,3x62 მმ. გასროლა წარმოებულ იქნა Blaser R8-ის ორივე ლულიდან, რომელთა სიგრძეც 51 სმ-ს წარმოადგენდა. (ვაზნების წონები და საჭირო ინფორმაცია იხ. გრაფიკზე).

კომპანია Blaser – ი ყოველთვის ცდილობს დაჯაბნოს ოპონენტები და Blaser R8 -ის კონკურენტ Merkel Rx. Helix – თან შედარებით რაღაც ასპექტში უპირატესად მიიჩნეოდეს. ფაქტია, რომ საკეტი მექანიზმის სიმარტივესა და ზოგადად აგებულებაში ზულელებს ბადალი არ ჰყავთ მსოფლიოში. ბალისტიკური მონაცემებითა და დამუშავების ხარისხით ორივე ბრენდი იდეალურ პროდუქციას აკეთებს. ამიტომ კომპანია „Blaser“-ის წარმომადგენლობამ გადაწყვიტა ხელნაკეთი, უმაღლესი – ლუქს კლასის გრავირებებით გაწყობილი ვერსიებით წარმოაჩინოს თავი. 2012 წელს გერმანიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე IWA-2012, წარმოდგენილი იყო ზემოთხსენებული ვერსიები კომპანიის ოსტატთა მიერ უზადოდ შესრულებული გრავირებებით. აგრეთვე ცალკე დეტალად იყო წარმოდგენილი R8-ის სისტემური კოლოფები, სასხლეტ და საკეტ მექანიზმებთან ერთად. ისინი მთლიანად ხელით იყო მოხატული მსოფლიო დონის ოსტატების მიერ. თითოეული მათგანი ჭეშმარიტად ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა, რომელიც გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ აუცილებლად გახდება ბევრად უფრო ძვირფასი, ვიდრე ის ეხლაა. საბედნიეროდ მოვახერხეთ ფოტომასალის მოპოვება, რომელიც წიგნშია წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს რომ ყველაზე მეტად მოწონებას იმსახურებდა ბატონი პიტერის მიერ აფრიკულ მოტივებზე შექმნილი გრავირება.

რაც შეეხება ოპტიკურ სამიზნეს, მისთვის მეპატრონემ სანადირო ვერსიებში აშკარად საუკეთესო ვარიანტი შეარჩია. Swarovski-ს მოდელი Z6i 1-6x24 SR ილუმინაციური განათებითაა აღჭურვილი. სამიზნის გადიდებასა თუ ზოგადად ტექნიკური მახასიათებლებზე დაყრდნობით



Swarovski-ის ოფტიკური სამიზნეები



ოპტიკა იდეალური სახმარია ტყეში ნადირობისას მოძრავ ცხოველზე. ანუ თუ გამადიდებელი რგოლი 1-ზე აყენია, მასში გახედვისას ახლოს მოტანილ – დაახლოებულ გამოსახულების ნაცვლად დავინახავთ ჩვეულებრივ პეიზაჟს, რასაც ადამიანი აღიქვავს შეუიარაღებელი თვალით. ეს კი იდეალური შესაძლებლობაა მოძრავ – მორბენალ ცხოველს მაქსიმალურად სწრაფად დავუმიზნოთ და არ დავკარგოთ სამიზნე ხედვის არეალიდან. თუ შედარებით შორ დისტანციაზე მოგვიწია სროლა „სვაროვსკის“ ოფტიკურ სამიზნეს გადიდების, გამოსახულების დაახლოების შესაძლებლობაც აქვს და იმ კონკრეტულ დისტანციებზე, სადაც რეალურად შესაძლებელია ტყვიის გარტყმა და ეფექტური სროლის წარმოება, აღნიშნული ოპტიკით მარტივად დავინახავთ თითქმის ნებისმიერი ზომის ცხოველს.

ზემოთხსენებული ოპტიკის აღწერილობისას სჯობს მკითხველთათვის ნათელი გახდეს, თუ რა დონის კომპანიაა Swarovski და როგორი კლასის წარმოებაა ავსტრიაში, ტიროლში, დანიელ სვაროვსკის ქუჩა, №70-ში არსებულ ქარხნაში. შესაბამისად შემოგთავაზებთ მწარმოებლის მცირედ აღწერილობას და ისტორიას, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს მეგობრებსა და პარტნიორებს, კომპანიის საგარეო საქმეთა მმართველს გირშ კურტს და ამჟამინდელ ჩვენს პირად კონსულტანტს საექსპორტო საკითხებში ბატონ ტომას ცერლაუტს. მათი მეშ-

ვეობით და კომპანია „ქარავანი+“-ის ძალისხმევით მოხერხდა Swarovski-ს პროდუქციის საქართველოში შემოტანა და იმავე ფასად რეალიზაცია, რა ფასიც მას სამშობლოსა თუ ევროპის სხვა ქვეყანაში გააჩნდა. აგრეთვე მოხერხდა გარკვეული სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციისა და გერმანიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე გადაღებული ფოტომასალის მოპოვება. აგრეთვე ბატონი კურტისაგან, რომელიც საქართველოშიც გვეწვია, საჩუქრად მივიღეთ თავად „სვაროვსკის“ საწარმოში იმ პროცესების ამსახველი ფოტოები და ინფორმაცია, თუ როგორ და რა ვითარებაში მიმდინარეობს ქარხანაში ამა თუ იმ მოდელის დამზადება.

სურვილი, ადამიანის თვალის ხედვის ძალის გადაჭარბებისა და შორს ჭვრეტისა ჯერ კიდევ ჩვენი დაარსებიდან გაჩნდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცისაგან მოხიბლულმა ადამიანმა საფუძველი ჩაუყარა მათემატიკისა და გეომეტრიის წარმოშობასა და მის შემგომ განვითარებას. სწორედ აღნიშნული მეცნიერებების წყალობით მოხერხდა პირველი შორსმხედველი, ოპტიკური თუ ტელესკოპური მოწყობილობების შექმნა. ასტრონომებმა, გალილეიმ იტალიაში და კეპლერმა ავსტრიაში ააგეს პირველი მარტივი ლინზათა სისტემა თავიანთი ტელესკოპებისათვის. სწორედ კეპლერის მიერ წარმოდგენილ პრინციპებზე დაყრდნობით ხორციელდება დღესდღეობით ეგრეთწოდებული „ბინოკლების“ – ბინოკულარული – ოპტიკური ხედვითი მოწყობილობების ლინზათა სისტემების აგება.

ზემოთხსენებულ დარგში ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენა 1895 წელს განხორციელდა. ავსტრიაში დანიელ სვაროვსკიმ განავითარა პირველი ძვირფასი ქვების დამამუშავებელი –



მარცხნიდან: გირშ კურტი, ფარადაშვილი ავთანდილი და ტომას ცერლაუტი

გამაპრიალებელი ელექტრო დანადგარი. მან ტიროლში დააარსა ოჯახური წარმოება, რომელიც დღესდღეობით უკვე მთელ მსოფლიოში უმაღლეს ხარისხთან ასოცირდება. 1935 წელს ასპარეზზე გამოჩნდა კომპანიის დამაარსებლის ვაჟი, მოყვარული ასტრონომი ვილჰელმ სვაროვსკი. სურვილმა, ვარსკვლავები ყოფილიყვნენ მისთვის უფრო ახლოს, უბიძგა მას აეგო ბინოკლის გაუმჯობესებული ვერსია. მან მამის საწარმოში, სადაც უკვე მაღალ დონეზე ხდებოდა მინის დამუშავება თუ ლინზების გაპრიალება, მოპირკეთება და გასუფთავება, განხორციელდა საკუთარი, ახალი პრიზმული სისტემის აგება. სწორედ აღნიშნულ გარემოებას მოჰყვა 1935 წელს პირველი სვაროვსკის ბინოკლის 6×30-ს წარმოშობა. 1949 წელს ვილჰელმმა დაარსა დღეისათვის უკვე მსოფლიო ბრენდად ქცეული კომპანია Swarovski Optik KG. შაშხანებისათვის პირველი ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა Swarovski 4x32 შეიქმნა 1959 წელს. ასევე უნდა ითქვას, რომ ავსტრიელების თავდაპირველი პოპულარული სერიული მოდელი გახლდათ Habicht 7x42, რომელიც დღემდე გამოიყენება კლასიკური, ტრადიციების მოყვარული ევროპელი მონადირეების მიერ. ჩვენს მიერ განხილვადი მოდელების სერია, ანუ Z6, პირველად 2007 წელს გამოიგონეს და სახელიც ფუნქციონალურობიდან გამომდინარე შეურჩიეს. ანუ განვითარდა მოდელები ექსვჯერადი „ზუმით“.

გერმანიაში კომპანია მერკელის წარმომადგენლობასთან შეხვედრისას მათივე რეკომენდაცია იყო, რომ საქართველოში იმპორტირებულ იარაღის მყიდველთათვის სწორედ რომ Swarovski-ის მოდელები შეგვეთავაზებინა. უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ საგამოფენო კომპლექსში წარმოდგენილ ძირითად ნაწილი სანადირო იარაღებისა დაკომპლექტებული იყო ავსტრიული, ზემოთხსენებული ბრენდის სამიზნე მოწყობილობებით.



Swarovski-ს ქარხანა ავსტრიაში, ოფტიკური სამიზნის მზადებისას ტესტრირების პროცედურები

იოჰან ნიკოლაუს დრაიზე 1787 წელს გერმანიაში, ქალაქ სომერდაში, ერფურტის სიახლოვეს დაიბადა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის პარიზში, გამოჩენილი შვეიცარიელი ოსტატის, პაულის იარაღების ქარხანაში მოშაობდა. მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდგომ მან მამისეული საწარმო გადაიბარა და შეუდგა საკუთარი ნიჭისა და დაგროვილი გამოცდილების წყალობით იარაღების წარმოებას.

1836 წელს დრეიზემ ადგილობრივ თავდაცვის სამინისტროს (იმდროინდელ პრუსიის ომების წარმოების სამინისტროს) წარუდგინა „უკნიდან მტენი“ იარაღი. აღსანიშნავია რომ ამგვარი სისტემა დრეიზემ ჯერ კიდევ 1827 წელს გამოიგონა, თუმცა მხოლოდ გლუვლულიანი იარაღებისათვის. ზემოთ აღნიშნული აღმოჩენით ის ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი პირველი „უკნიდან მტენი“ მექანიზმის ავტორი. მისივე კონსტრუქცია გამოიყენა ბელგიელმა ჟოსეფ მონტინიმ. მიუხედავად იმისა რომ დრეიზე ძირითადად აქცენტს აკეთებდა სამხედრო პროდუქციაზე და მისი სახელით სანადირო პროდუქცია ნაკლებად იწარმოებოდა, ზემოთხსენებულმა პრუსიის თავდაცვის სამინისტრომ ნაკლები ინტერესი გამოიჩინა მისი პროდუქციის მიმართ (აღსანიშნავია რომ იოჰან ნიკოლაუსმა თავისი პირველი სანადირო ვერსია მხოლოდ 1860 წლისათვის ააგო). შესაბამისად დრეიზემ პირადად პრინც ვილჰელმთან დაიჭირა საქმე და მას საჩუქრად გაუგზავნა საკუთარი სისტემით აღჭურვილი სპორტული შაშხანა. აგრეთვე ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად დრეიზეს ნამუშევარის დაწუნებისა ვიღაც ვიღაცეების მიერ, სწორედ მისი იარაღების წყალობით იქნა 1864 წელს დანიის წინააღმდეგ მიღწეული გამარჯვება. ორი წლის თავზე კი პრუსიელებმა სულ რაღაც 50 დღის განმავლობაში შეძლეს ავსტრიის აღება იმავე მოდელების გამოყენებით. 1866 წელს ამის შემხედვარე ფრანგებმა საკუთარ შეიარაღებაში მიიღეს ადგილობრივი მეიარაღის ანტოანე ალფონს ჩასპოს მექანიზმებით აღჭურვილი იარაღები. ფრანგი ოსტატის სისტემა ფაქტიურად დრეიზეს სისტემის ანალოგი გახლდათ მცირედი განსხვავებებით.

რაც შეეხება გლუვლულიან თოფებს, ისინი „დამასკოს“ ფოლადით დამზადებულ ლულათა ჰოროზონტალური თანწყობით იწარმოებოდა. ყველაზე პოპულარული, დრეიზეს მიერ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში დამზადებული თოფების ლულათა სიგრძე ძირითად შეთხვევებში 80 სანტიმეტრს შეადგენდა, მთლიანი სიგრძე კი 122 სანტიმეტრს. გერმანელი კონსტრუქტორის თითქმის ყველა სანადირო ვერსია ძვირფას – პრემიუმ კლასის თოფად ითვლებოდა და მისთვის გამოყენებული იყო კაკლის გული. აგრეთვე ხორციელდებოდა თითქმის ყველა მოდელზე გრავირებებისა და ზარნიშის გაკეთება.



დრეიზეს მიერ დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღი

დღევანდელი გადასახედიდან თამამად შეიძლება ითქვას რომ იოჰან ნიკოლაუს დრეიზემ დიდი როლი ითამაშა ზოგადად იარაღთმშენებლობის განვითარებაში მსოფლიო მაშტაბით. რა თქმა უნდა მისი ღვაწლი ფასდაუდებელია გერმანელი ერისათვის, რომელთაც ისედაც მრავლად ყავთ და ყავდათ იარაღების უნიჭიერესი კონსტრუქტორები.





www.caravani.ge

ნიურნბერგის საგამოფენო კომპლექსში 2011 – 2013 წლებში წამყვან კომპანიებს უამრავი სიახლე ჰქონდათ წარმოდგენილი. ზოგიერთ მოდელს უბრალოდ ყალიბი და დიზაინი ჰქონდა შეცვლილი. ზოგი საერთოდ ახალი სახელწოდებით იწარმოებოდა და რადიკალურად განსხვავდებოდა მისი წინაპარი ვერსიებისაგან. გამოფენილი იყო აგრეთვე აქსესუარებითა და განსხვავებული ტიპის სამიზნე მოწყობილობებით აღჭურვილი ვერსიები, რომლებიც ზემოთხსენებული გარემოებიდან გამომდინარე გარკვეულწილად მაინც ინოვაციურ სპექტრში განიხილებოდნენ.

ჩვენ სამი ასეთი ტიპის შორსმსროლელი შაშხანა ავირჩიეთ და გადავწყვიტეთ მათი შედარებითი აღწერილობა გაგვეკეთებინა. პირველი და ალბათ უდავოდ ლიდერი გახლავთ გერმნული Blaser R-93 Tactical LRS-2. მისი სტანდარტული მოდელი პირველად 1993 წელს გამოჩნდა ბაზარზე და სახელწოდებაც შესაბამისად შეურჩიეს. თუმცა ტაქტიკური ვერსია და თანაც .338 Lapua Magnum-ის ყალიბით 2011 წელს გამოვიდა. შემდგომი განხილვადი მოდელია ნახევრადავტომატური, გერმანული Heckler&Koch SLB-2000 Target, შედარებით უფრო წვრილი.308 Winchester-ის ყალიბით. ეს ვერსიაც უკვე დიდი ხანია გაყიდვაშია. თუმცა შაშხანამ მოდერნიზაცია განიცადა და ოდნავ სახეშეცვლილი წარსდგა დამთვალიერებლების წინაშე. მესამე გახლავთ ბელგიელების მიერ შექმნილი FN Browning Bar Match. ზოგადად ბრაუნინგ ბარის მოდიფიკაციებიც



Blaser R93 Tactical LRS2-კალ .338 Lapua Magnum

დიდი ხანია წარმოებაშია. მაგრამ ახალი ვერსია, რომელიც სპორტული სროლისათვისაა გათვალისწინებული 2011 წელს წარადგინა კომპანია Browning – მა გამოფენაზე.

Blaser R-93 Tactical LRS-2 ვიზუალური დათვალიერებისას შესანიშნავად გამოიყურებოდა და გაჯერებული იყო ინოვაციური იდეებით. თითეული დეტალი აშკარად შეიქმნა სტაბილურობისა და საიმედოობის გარანტად. შაშხანას თან ერთვოდა დამატებითი აქსესუარები, რომელიც მას მანამდე არ ჰქონდა. ერთ-ერთი მათთაგანი გახლავთ სისტემურ კოლოფზე მიმაგრებული გრძელი პიკატინის სტილის ხიდი. ის ლულის პირველი მეორედის ზემოთ ისეა განთავსებული, რომ საერთოდ არ ეხება მას. ზემოდან კი ხიდზე ძირითადათ მაგრდება ღამის ხედვის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა უკანა, მთავარ ოფტიკურ სამიზნე მოწყობილობასთან ერთად. ამასთანავე ძველი ვერსიისაგან განსხვავებით ახალზე შესაძლებელია მარცხენა და მარჯვენა მხარეს განთავსებულ ხიდებზე ლაზერული სამიზნე მოწყობილობების მონტაჟი, ტაქტიკურ ფანართან ერთად. შაშხანის წონა, 5,8 კილოგრამი რეალურ კონკურენტებთან შედარებით მსუბუქად, ჩვენს მიერ განხილვად ვერსიებთან შედარებით კი პირიქით, საკმაოდ მძიმედ გამოიყურება. მითუმეტეს მაშინ, თუ ის სრულად აღჭურვილია ამა თუ იმ აქსესუარებით. აღსანიშნავია, რომ როდესაც ხელში დავიჭირეთ იგივე R-93 Tactical, ძველი, განსხვავებული, .308 Winchester-ის ყალიბით, უმალვე იგრძნობა შედარებით დაბალი წონა და ბევრად უფრო მოხერხებული, კომფორტული სროლისათვის შექმნილი პირობები. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ 1 კგ სხვაობამ გამოიწვია. ახალი ვერსიის შემქმნელებმა რა თქმა უნდა ეს ყველაფერი გაითვალისწინეს. მაგრამ ვინაიდან იარაღი მაინც მხარზე მიბჯენილ მდგომარეობაში უნდა გავისროლოთ და უშვიათესი გამონაკლისი შემთხვევების გარდა თითქმის არც ერთ კრიტიკულ პირობებში არაა გათვალისწინებული მისი ფეხდგომელა სროლა, შესაბამისად 5,8 კილოგრამს დადებითი მხარე აქვს. ის საგრძნობლად ეხმარება უკუცემის შემცირებას. უბრალოდ გადატანისას იარაღით გადაადგილება ისედაც არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგანაც მისი ხელით ტარება უზარმაზარი ალუმინის კეისი გამო დიდ მანძილზე წარმოუდგენელია. მანქანით უნდა მოხდეს მისი ტრანსპორტირება. ადგილზე მისვლისას კი თუ მისი მფლობელი თუ სპორტსმენი არაა და სურს რომ მაინც და მაინც ტაქტიკური ვერსიით ინადიროს, მოუწევს მისი ყუთიდან ამოღება და მისით მხარზე გადაკიდებული კილომეტრების გავლა.



Blaser R93 Tactical LRS2-კალ .338 Lapua Magnum გემრანული Carl Zeiss-ის ოფტიკურ სამიზნესთან ერთად

Blaser R-93 Tactical LRS-2 -ის გერმნულმა Calr Zeiss – მა შორს მხედველი ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა Diavari 6-24x72 T*FL მოარგო. სამიზნის წონა სამაგრებთან ერთად დაახლოებით 1,1 კგ-ს შეადგენს. მოდელი ძირითად შემთხვევებში

აღჭურვილია ილუმინაციური განათებით, რომელიც ლინზებზე არსებულ ტაქტიკურ ბადეზე აისახება. სწორედ აღნიშნული სამიზნე მოწყობილობა უყენია იარაღს საერთაშორისო საგამოფენო კომლექსებში. ანალოგიური ვერსია ეყენა მას ავსტრიაში ჩვენი ყოფნის დროს, როდესაც ჩვენს მეგობარ მეიარაღესთან მოვახდინეთ შაშხანის დათვალიერება, ბ.ნ. ფრიჩს სამიზნესთან ერთად იარაღისათვის გადადებული ჰქონდა ღამის ხედვის მოწყობილობა, რომელიც ლულისზედა პიკატინის ხიდზე მაგრდებოდა. თავად „ცაისის“ ოპტიკის ფასი 4000 ევროს შეადგენდა.

ახალი R-93-ის ლულის სიგრძე 685 სმ-ია. მთლიანი სიგრძე დაგრძელებული კონდახით 1190 სმ. სტანდარტულ მჭიდში მხოლოდ 4 ვაზნა ეტევა. 8.6x70მმ – (8.58x70მმ)-ის ყალიბიან ლულაში 6 ხრახნია გაკეთებული. ზოგადად .338 Lapua Magnum მთელს მსოფლიოში საუკეთესო ვაზნად ითვლება კომბინირებულ ვერსიებში. მისით შესაძლებელია როგორც შორ დისტანციებზე ზუსტი, ეფექტური გასროლის წარმოება, ასევე მისი მუშაობის არეალში უზარმაზარი ენერგიის განვითარება. რეალურად ის არც თუ ძალიან დიდი ზომისაა და არც ამ ყალიბით აღჭურვილი იარაღები არიან საშინლად მძიმე. სროლისას ერთადერთი უპირატესობა რაც .50 BMG – მის წინააღმდეგ გააჩნია, გახლავთ ენერგია. 12,7 მმიანი ტყვია გასროლის შედეგად ბევრად უფრო მეტ კჯ-ს გამოყოფს, ვიდრე ამას 8,6 მმ-იანი ტყვია აკეთებს. ამასთან ერთად ზემოთხსენებული მსხვილ კალიბრიანი ვაზნა გამოიყენება როგორც ანტისნაიპერული და სპორტული სროლისათვის, ასევე ანტიმატერიალური – მსუბუქი ჯავშან ტექნიკისა და განსხვავებული ტიპის სარადარო აღჭურვილობის მწყობრიდან გამოსაყვანად. .338 Lapua Magnum-ს კი აღნიშნულის სრულყოფილად შესრულების უნარი მხოლოდ გარკვეულ, ასე ვთქვათ შეზღუდულ დისტანციებზე შეწევს. ის უფრო გათვლილია სნაიპერული მსროლელებისათვის ცოცხალი ობიექტების გასანადგურებლად. აგრეთვე გამოიყენება სანადირო ან სპორტული დანიშნულებისამებრ.

1980 წელს NATO ითხოვდა ახალ, .308 Winchester-ზე და .300 Winchester Magnum-ზე უფრო ძლიერ და ზუსტ ვაზნას. ბევრმა მწარმოებელმა სცადა დავალების შესრულება. გარკვეულწილად ზოგს გამოუვდა კიდეც. საუკეთესოდ და თითქმის უნაკლოდ თავისზე დაკისრებული მო-



Blaser R93 Tactical LRS2-კალ .338 Lapua Magnum – გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე იარაღზე განთავსებული იყო Carl Zeiss-ის ოფიკური სამიზნე



ავსტრიაში Blaser R93 Tactical LRS2-ის გასინჯვისას მასზე გახორციელდა იმავე Carl Zeiss-ის ოფტიკური სამიზნის დამონტაჟება

ვალეობა ფინურმა კომპანია Lapua – მ შეასრულა. .338 Lapua Magnum-ის აგების პრინციპი და მეთოდიკა დამყარებულია ჯონ რიგბის მიერ 1911 წელს შექმნილ .416 Rigby-ის ვაზნაზე (10.6x74მმ).

თავად ახალი Blaser-ის ლულა ცივად წრთობის მეთოდით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითაა დამზადებული და სრულად თავისუფალი რხევის ზონაში იმყოფება. იარაღს შორ დისტანციებზე, ზუსტ სროლაში ლულის სისქეც ხელს უწყობს. დამატებით კი გაკეთებული აქვს ვარმინტის ტიპის ღარები/ჭრილები რათა გაუმჯობესებულ იქნეს ბალისტიკური მონაცემები და შედარებით უფრო მალე მოხდეს ყოველი გასროლის შემდგომ ლულის გაცივება. მისი მოხსნა ძალიან მარტივია. შაშხანას კომპლექტაციაში მოყვება სპეციალური ქანჩი. მისი მეშვეობით სისტემურ ბუდეში გაკეთებულ ორ ხრახნს დავატრიალებთ და შედეგად ლულა მოსცილდება ბუდეს. თერმულად დამუშავებული სისტემური კოლოფი ნაწრთობი, მასიური, მყარი ალუმინის ნაჭრისაგანაა დამზადებული – ცივად გამოჭრილი. ის ლულას ეგრეთწოდებული „ეპოქსიდური“, რბილი საფარით უკავშირდება. ამერიკელები აღნიშნულ მეთოდს Bedding -ს უწოდებენ. ანუ საკეტის გარკვეული ნაწილი და ლულის დასაწყისი კონდახზე პირდაპირ არაა მიმაგრებული და მათ შორის დაფიქსირებულია სპეციფიკური სიმყარის მასალა, ხშირ შემთხვევაში ალუმინი. ზემოთხსენებული მეთოდი ეხმარება მსროლელს ბალისტიკური მონაცემების გაუმჯობესებაში.

კონდახი ყოველ მხრივ რეგულირებადია. მხარზე საყრდენში ყენდება ფირფიტები, რომელთა მეშვეობითაც ის გრძელდება ან მოკლდება. სალოყე ბალიში მოძრაობს მაღლა/დაბლა სურვილისამებრ. სასხლეტის ასამოქმედებლად 1500 გრ. ძალის ზეწოლაა განსახორციელებელი. თავად სასხლეტის ხელზე მორგებაც შესაძლებელია სპეციალუ-



Heckler&Koch SLB2000 Target კალ .308 Win (7.62x51mm NATO)



რეგულირებადი სალოყე ბალიში და მხარზე საყრდენი



ალმაქრი კომპენსატორი



შაშხანა აღჭურვილია პიკატინის ტიპის სამიზნის ხიდით



შაშხანის ეგრედწოდებული „ორმაგი“ სქელი ლულა



მჭიდის გამომლები ღილაკი



დამცველი ღილაკი



Heckler&Koch SLB200 Target და Heckler&Koch USC

რად მექანიზმში განთავსებული მარეგულირებლებით. რაც შეეხება შაშხანის სისტემას, ის ყველასათვის უკვე კარგად ცნობილი ცილინდრული ტიპის, სირგძივ მოძრავ საკეტიანი მექანიზმია. გაღებისას საკეტი მოძრაობს ლულისა და სისტემური კოლოფის გასწვრივ და მისი გახნის კუთხე არის 0°. მას ზოგიერთი ზედმეტსახელად 360°-ით ხსნად საკეტსაც ეძახის. შაშხანის ეფექტური სროლის მანძილი 1500 მეტრია. დღესდღეობით იარაღის მიახლოებითი ფასი ევროპაში 7500 ევროა.

შემდგომ მოდის თვითმტენი, ნახევრადავტომატური შაშხანა **Heckler&Koch SLB-2000 Target**. იარაღი სტანდარტული SLB-2000 -გან გასხვავებით ბევრად უფრო მასიური, მძიმე და გრძელია. გადატენვის პროცედურას გასროლის შედეგად გამოყოფილი აირებით/გაზებით ახორციელებს და ამავდროულად თვითწმენდის ფუნქციაც აქტიურია. მისი ყალიბი 7,62x51 მმ-ია (.308 Winchester). საკეტი მექანიზმის მბრუნავ თავზე 2x3 (6) წახნაგია გაკეთებული, რომლებიც ლულაშივე განთავსებულ ჭრილებში იკეტებიან. შაშხანის ლულა მართლაც რომ იდეალურადაა შესრულებული. მისი სტრუქტურული აგებულება მსგავსი ტიპის ყალიბიან იარაღებში ერთ-ერთი საუკეთესოა. სქელი, 66 სმ-იანი ლულა TARGET-ის შეჯიბრებებისათვის შეიქმნა. სისტემურ კოლოფში განთასევებულია მასიური ცივად ნაჭედი ფოლადის ლულის ბუდე, რომელიც საბოლოო ჯამში ფაქტიურად ლულასთან ერთად ერთ საერთო მასას წარმოადგენს. თავად ლულაც სრულად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ცივად ჭედვის მეთოდიკის მიხედვითაა დამზადებული. მისი პირველი ნახევარი შედარებით უფრო სქელია და მეორე, შედარებით წვრილი ნაწილი ფაქტიურად პირველში ზის. სწორედ ესაა სპორტსმენების საყვარელი, „ორმაგი ლულის პრინციპი“. ამ ტიპის მოდელით შესაძლებელია სტანდარტულზე ბევრად კარგი ბალისტიკური შედეგების ჩვენება.

ლულის ბოლოში შაშხანას ფინური SAKO TRG-ს ცეცხლმაქრი-კომპენსატორი უყენია. სამ განყოფილებიანი კომპენსატორი თავისზე დაკისრებულ ფუნქციას უნაკლოდ ასრულებს. მისი მეშვეობით მცირდება უკუცემა და ხორციელდება გასროლის შედეგად გამოყოფილი ალის ჩახშობა.

Heckler&Koch SLB 2000 Target-ის დამცველი ღილაკი ცერა თითისათვის მოსახერხებელ ადგილასაა



Browning Bar Match კალ .308 Win

გათნავსებული. მისი გადაადგილება როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა ხელით იოლი და პრაქტიკულია. კონდახის ყელის თავზე, სისტემური კოლოფის უკან განთავსებული ღილაკის წინ მიწევისას წითელი წერტილი მოჩანს, რომელიც მსროლელს მიანიშნებს რომ იარაღი მზადაა ცეცხლის საწარმოებლად. ხოლო მისი ქვემოთ ჩამოწევის შემთხვევაში გამოჩნდება თეთრი ფერის წერტილი, რომელიც მიგვანიშნებს რომ იარაღი დაცვაზე იმყოფება.

შაშხანას ორი ცვლადი მჭიდი მოყვება. ერთში ჩადის 5 ვანზა მეორეში კი 10. მჭიდის გამომღები ისეთ ადგილასაა განთავსებული, რომ მისი გამოყენებისას ყველაზე დაბალი იყოს მჭიდის დაკარგვის ალბათობა. სისტემური კოლოფის ქვემოდან, სასხლეტის ბუდის წინა მხარეს ფირფიტის მსგავსი დეტალია დაფიქსირებული, რომელზეც ორივე მხრიდან შეიძლება თითის დაჭერა.

უკვე აღვნიშნეთ რომ იარაღი შორს მსროლელი გახლავთ. შესაბამისად იგი აუცილებლად დაკომპლექტებული უნდა იყოს შესაბამისი აქსესუარებით. ლულისქვეშა კონდახზე დამაგრებულია ჰარისის ტიპის ორკაპა – ორფეხა სადგამი. ხოლო სისტემურ ბუდეზე ზემოდან დამონტაჟებულია პიკატინის ტიპის ხიდი ოფტიკური სამიზნე მოწყობილობების დასამაგრებლად. ნიურნბერგის საგამოფენო კომპლექსში წარმოდგენილ ვერსიას საერთოდ არ ეკეთა ოპტიკა. ისინი ცალკე იყო გამოფენილი, რათა ცხადი ყოფილიყო თუ რა სახეობის და რომელ სამიზნე მოწყობილობებს ამჯობინებს თავად მწარმოებელი მისივე შექმნილი იარაღისათვის.

SLB-2000-ის Schmidt&Bender-ის ოფტიკურ სამიზნესთან ერთად გასინჯვის შესაძლებლობა „ქარავანი+“-ის ერთ-ერთ პარტნიორ კომპანისთან, ავსტრიაში Heckler&Koch-ის დილერთან მოგვეცა. ბატონ მარკუსს შაშხანისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ვერსია ჰქონდა შერჩეული Schmidt&Bender 4-16 x 50 Varmint-ის ოფტიკური სამიზნის სახით. ზემოთხსენებული მოწყობილობით სასურველი კლიმატური პირობების შემთხვევაში 500 მეტრზე იქითაც შესაძლებელია მუშაობა და ეფექტური სროლის განხორციელება. ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას რომ ერთერთი სერიული ვერსიის ჩამოტანა საქართველოშიც მოვახერხეთ, რომელზეც სასინჯად ორი საუკეთესო ხარისხის ოფტიკური სამიზნეები დავამაგრეთ. ერთ-ერთი გახლდათ ავსტრიული Swarovski Z5 – 3,5x18-44PL – რომელსაც ტაქტიკური ბადით 4A-300 იყო აღჭურვილი. ხოლო მეროე შედარებით დაბალი რანგის, მაგრამ აგრეთვე უმაღლესი ხარისხის, გერმანული Bauer-ის, 30 მილიმეტრიანი შუა მილით აღჭურვილი ოფტიკური სამიზნე Bauer 2,5-10x50 SL.

მასიური კონდახისა და საგრძნობლად გრძელი ლულის მქონე იარაღის მთლიანი სირძე 124 სანტიმეტრია. მიუხედავად ამისა მისი წონა შეადგენს 4,9 კგ-ს, რაც ფაქტიურად უტოლდება საქართველოში გაკრვეული პერიოდის განმავლობაში ძალზედ პოპულარულ, იაფიან რუსულ შაშხანას, СКС-ის წონას ოფტიკურ სამიზნესთან და სხვა დამატებით აქსესუარებთან ერთად.

რაც შეეხება SLB-2000-ის კონდახს, მასზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ განსაკუთრებულად ტაქტიკური ელემენტებია მასში ჩადებული. თუმცაღა სამხრე და სალოყე ბალიში ასე თუ ისე, მაინც რეგულირებადია.

იარაღის მინიმალური ეფექტური სროლის მანძილი კალიბრიდან გამომდინარე 500 მეტრია. სპორტსმენები თუ სხვა დარგის პროფესიონალი მსროლელები შაშხანით ერთ კილომეტრზეც ახორციელებენ ხოლმე ეფექტურ გასროლას. თუმცაღა ამის გაკეთება .308 Winchester-ის ვაზნით დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული მიუხედავად ლულის სიგრძისა და აგებულებისა. Heckler&Koch-ის შემქმნელების განმარტებითაც ანალოგიური, სწორედ რომ შესაბამისი პასუხი მივიღეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ახალი,



Browning Bar Match-ის მჭიდის გამომღები ღილაკი და საკეტის დამშვები ღილაკები მოხერხებულ ადგილზეა არის განთავსებული





IWA-2011-ზე წარმოდგენილი ვერსიით თითქმის 1000 მეტრამდეა შესაძლებელი მაქსიმალურად ზუსტი და ენერგია მომცემი სროლის განხორციელება.

ზოგადად იარაღმა ჩვენზე დადებითი შთაბეჭდილებები დატოვა. ამგვარი ტიპის შაშხანისათვის არც წონა იყო საშინლად დიდი. ამას ემატებოდა ის ფაქტიც რომ შაშხანა ნახევრადავტომატური გახლდათ და ამავდროულად არაჩვეულებრივი ლულისა და მექანიზმის ხარჯზე შესაძლებელი ხდებოდა ზემოთხსენებული 7,62 მმ-იანი ვაზნის კვალობაზე საუკეთესო ბალისტიკური მონაცემების ჩვენება. დღესდღეობით ნახევრადავტომატური SLB-2000-ის გასაყიდი ფასი ევროპაში დაახლოებით 2500 ევროს ფარგლებში მერყეობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში შედარებით დაბალია.

მესამე განხილდვადი ვერსია გახლავთ ბელგიელების მიერ წარმოებული **FN Browning Bar Match** კალიბრით .308 Winchester. 2011 წლის გამოფენაზე ეს მოდელიც ზედა ორის მსგავსად ახლად მოდიფიცირებული იყო წარდგენილი. მისი მექანიზმი და ზოგადად სისტემა სტანდარტული „ბრაუნინგ ბარისაგან“ თითქმის არაფრით გასხვავდება. იარაღი გადატენვის პროცედურას გასროლის შედეგად გამოყოფილი აირების დახმარებით ახორციელებს. მისი სრული დაშლა-აწყობა კი სერიული „ბარივით“ რთულია და კონკურენტ მოდელებთან შედარებით დიდ დროს მოითხოვს. Match-ის შეჯიბრებებისათვის დამზადებული ბრაუნინგის შაშხანის წონა 3,9 კგ-ს შეადგენს. ის დაახლოებით 400 გრამით მძიმეა სტანდარტულ ვერსიაზე და 1 კგ-ით მსუბუქია მასთან ერთად განხილულ SLB-2000 – ზე. შაშხანის მთლიანი სიგრძე 115 სმ-ია, ხოლო ლულის სიგრძე 520 სანტიმეტრი. მისი თეორიული მონაცემების წაკითხვისას უმალვე თვალში გვხვდება 20 ვაზნიანი მჭიდი. ეს შესაძლოა სპორტსმენებს მოეწონოთ კიდეც, ან ვაზნების ჭარბობამ უბრალო მოყვარულის გული მოიგოს. მაგრამ ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ამ რაოდენობის ვაზნების ტარება მფლობელს, განსაკუთრებით კი მონადირეს არ სურს ჭარბი წონის, ბალანსის დარღვევისა თუ სხვა არაობიექტური მიზეზების გამო.

შაშხანის სისტემური კოლოფის თავზე, მთლიან სიგრძეზე დამაგრებულია პიკატინის ტიპის სამიზნე ხიდი. ტაქტიკური კონდახის სამხრე ცვლადი, მაგრამ არარეგულირებადია. სალოყე ბალიშის შეცვლაც ანალოგიურად შეიძლება, თუმცა ის კონდახთან ერთად ერთ საერთო მასას წარმოადგენს. სანადირო ვერსიისაგან განსხვავებით Match-ის შაშხანას კონდახის ყელში ტაქტიკური პისტოლეტისებრი ხელსაკიდი აქვს გაკეთებული. მჭიდის გამომღები ღილაკი ორივე მხარესაა განთავსებული. საკეტი მექანიზმის დამშვები კი ლულისქვეშა კონდახის დასაწყისში, სისტემური კოლოფის წინა, მარჯვენა მხარესაა დამაგრებული და მასზე თითის დაწოლით ხდება დაშვება.

თავად შაშხანის ლულა „ვარმინტის“ ტიპისაა და სტანდარტულზე შედარებით ოდნავ უფრო სქელია. ახალი, ბოლო წლებში გამოშვებული მოდელებისათვის ქარხანა უკვე ლულებს ცივად, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ამზადებს და მათ ძველი მეთოდიკით აგებული ლულებისაგან გასხვავებით ბევრად უფრო კარგი ბალისტიკური მონაცემების ჩვენება ძალულთ. ლულისქვეშა კონდახზე დამაგრებულია ზედასთან შედარებით უფრო მოკლე პიკატინის ხიდი, რომელზეც ძირითადათ ლაზერული სამიზნე მოწყობილობები ყენდება ფარანთან ერთად. შაშხანის ეფექტური სროლის მანძილი 500 მ-ია. იარაღის ფასი ევროპაში 2000 ევროს აღწევს.

ამ სამი ნოვატორული იდეების მიხედვით შექმნილი შაშხანების ერთმანეთთან შედარება ასე პირდაპირ სისულელა იქნება. თითოეულ მათგანს საკუთარი უპირატესობები გააჩნია და ერთმანეთს სწორედ რომ ამ უპირატესობებით სჯობიან. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, თავად მომავალი მფლობელი იმ მოდელს ანიჭებს უპირატესობას, რომელიც მისთვის უფრო მეტად გამოსადეგარი, საჭირო და მისაღებია. წიგნში წარმოდგენილი მცირედი განხილვის მიზანიც და დანიშნულებაც სწორედ ისაა, რომ მკითხველს მიეცეს საშუალება არჩევანი გააკეთოს რომელიმე მათგანზე ისე, რომ იარაღი ერგებოდეს მისთვის მომავალში განსახორციელებელ გეგმებს სანადირო თუ სპორტული დანიშნულებისამებრ.

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
FN Browning Bar Match	
ნახევრადავტომატური სისტემის მუხედავად ხასიათდება კარგი ბალისტიკური მონაცემებით	მაღალი საკონდახე მასალად გამოყენებულია საშუალო ხარისხის სინთეტიკური მასალა.
ნახევრადავტომატური სისტემის მუხედავად ხასიათდება კარგი ბალისტიკური მონაცემებით	შესრულების – დამზადების არც თუ ისე მაღალი ხარისხი.
Heckler&Koch SLB-2000 Target	
დამზადების მაღალი ხარისხი	კონდახი გაკეთებულია სპეციალური, დაბალი ხარისხის ხის მასალისაგან.
ნახევრადავტომატური სისტემის მუხედავად ხასიათდება კარგი ბალისტიკური მონაცემებით	
დაბალი უკუცემა	
აგებულების გათვალისწინებით არც თუ ისე მაღალი წონა	
Blaser R-93 LRS 2	
დამზადების, შესრულების, აგებულების უმაღლესი ხარისხი	მაღალი წონა
იდეალური ბალისტიკური მონაცემები	
თანამედროვე, მოხერხებული – ერგონომიული დიზაინი	
სერიული პიკატინის ტიპის სამიზნე ხიდები (მრავალფუნქციონალურობა	
საიმედო, მარტივი და მოხერხებული საკეტი	
კალიბრის მიუხედავად დაბალი უკუცემა (გარკვეულწილად გამომდინარეობს მაღალი წონიდან)	

გერმანელები ტრადიციულ და ისტორიულ იარაღებთან ერთად თანამედროვე ვერსიების წარმოებაშიც ლიდერები არიან ინგლისსა და ამერიკასთან ერთად. ამის თვალსაჩინო მაგალითია კომპანია Innogun. ფირმის კუთვნილ ქარხანაში იარაღების აგება სამგანზომილებიანი CAD მანქანა-დანადგარების მეშვეობით ხორციელდება. დეტალები, რომლებმაც მძლავრ ზეწოლას უნდა გაუძლონ და მაქსიმალურად მყარად უნდა მოხდეს მათი სტრუქტურის ჩამოყალიბება, FEM (Finite-Elemente-Methode) – მოწყობილობებით იზომება, ითვლება და შემდგომ მეცნიერული სიზუსტედ ანალიზირდება. საწარმოში განთავსებული ბოლო თაობის CNC მანქანები თავისზე დაკისრებულ მოვალეობას იდეალურად ასრულებენ. ასეთი ტექნოლოგიები დღესდღეობით რამოდენიმე კომპანიას გააჩნია მთელს მსოფლიოში. Innogun-ი ავსტრიელ ოპტიკური სამიზნეების მწარმოებელთან „სვაროვსკისთან“ თანამშრომლობს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს Swarovski Optik GMBH-ის ლინზების უნიკალურობასა და ლიდერ პოზიციას კონკურენტ კომპანიებს შორის.

კომპანია Innogun ძირითადად ოთხი განსხვავებული სახეობის მოდელს აწარმოებს. აქედან სამი გახლავთ Hybrid-ის ვერსიები განხვავებული ყალიბებით. მეოთხე კი არის ცალლულიანი შაშხანა სახელწოდებით Impuls.

Hybrid-ის მოდელებიდან ერთ-ერთი მზადდება (12/76) ერთი გლუვი და ერთიც ხრახნიანი ლულით. დანარჩენი ორი კი მხოლოდ და მხოლოდ ხრახნიანი ლულებით. აღნიშნული იარაღების მთავარი უპირატესობა მგომარეობს სწორედ ლულების (შესაბამისად ყალიბების) შეცვლაში. მიუხედავად იმისა რომ Innogun-ი არის იარაღი ვერტიკალურად განლაგებული ორი ლულით, მარტივად შეიძლება შეიცვალოს ერთ-ერთი ლულა. აქედან გამომდინარე ძნელი მისახვედრი ალბათ არ იქნება ის გარემოება, რომ ზედა და ქვედა ლულები ერთმანეთზე არაა დაფიქსირებული ერთ მასიურ დეტალად. მათი დაცილება ერთმანეთისაგან დაშლის დროს მარტივადაა შესაძლებელი. ქარხნის ოსტატებმა და კონსტრუქტორებმა პირველ რიგში ამ ფაქტის გამო გაითვალისწინეს შემდგომი გარემოება: აწყობისას და სროლისას ლულები ერთმანეთსაც და სისტემურ ბუდესაც ისე მყარად და კანონზომიერად უნდა უკავშირდებოდეს, რომ არ მოხდეს მომავალში გარკვეული პრობლემების წარმოშობა. იარაღის კალიბრების არჩევანი საკმაოდ დიდია. მისი წონა მერყეობს დაახლოებით 3,5-დან 3,8 კგ-მდე. იარაღებს კიდევ ერთი ორიგინალური ფუნქცია აქვთ, სხვა მსგავსი აგებულების მოდელებისაგან განსხვავებით. ისინი დაკომპლექტებულები არიან სპეციფიკური თვითმტენი მექანიზმით და შესამაბისად მჭიდებიც უყენდებათ, რომელთა ტევადობაც ყალიბზეა დამოკიდებული და შეადგენს 1, 3 ან 5 ვაზნას. ლულების სიგრძე გახლავთ 50 ან 60სმ. იარაღები ორი სასხლეტით იწარმოება. ზედა სისტემური კოლოფი და ლულა გადაბმულია ერთმანეთზე. თვითმტენი მექანიზმის გადატენვის შედეგად გასროლილი ჰილზის ამომგდები ფანჯარა მარჯვენა მხარესაა განთავსებული. მჭიდის გამომღები ღილაკი კი სასხლეტის ბუდის წინა

მხარეს. ჩვენს მიერ ნანახი მოდელი ერთი გლუვი (12/76) და ერთი ხრახნიანი ლულით იყო წარმოდგენილი. ვიზუალურად მას თავიდან საერთოდ არ ეტყობოდა რომ ზედა და ქვედა ლულები ერთმანეთზე ერთ მასად არ იყვნენ გადაბმულები. ხოლო მათი შეცვლა თუ შეიძლებოდა, ამას საერთოდ ვერ წარმოვიდგენდით, რომ არა კომპანიის თანამშრომლების მიერ დაუზარებლად მოწოდებული ინფორმაცია ამის შესახებ. მათ აგვიხსნეს რომ თავად კომპანიის სახელწოდებაშიც დევს ის დევიზი, რის მიხედვითაც შეიქმნა აღნიშნული მოდელები. Innogun – ანუ ინოვაციური იარაღი. მათი თქმით აღნიშნული მექანიზმი და იარაღის სტრუქტურული აგებულება მხოლოდ მათი საკუთრება არის და მუდამ ასე იქნება, სანამ სხვა კომპანია (გაყიდვის შემთხვევაში) მისი დაპატენტების ლიცენზიას არ შეიძენს. მათ აგრეთვე დასძინეს, რომ მომავალშიც იგეგმება გარკვეული სიახლეები და მათი სრულყოფილად ჩამოყალიბებისა და კონკრეტული პროექტის დასრულების შემდგომ ახალი მოდელები გამოჩნდება ბაზარზე. თუმცა რამდენად შეესაბამება ეს რეალობას და არის თუ არა მათ მიერ გაკეთებული განცხადებები მხოლოდ ეფექტური რეკლამა, რომელიც პრაქტიკაში არ გაამართლებს, ალბათ არავინ იცის და დრო გვიჩვენებს მათ წარმატებას.



Innogun Hybrid



Innogun Hybrid

HECKLER&KOCH

გერმანული კომპანია Heckler&Koch (HK) 1949 წელს დაარსდა. მწარმოებელმა მოღვაწეობა ფაქტიურად „ბუნდესვერის“ გადაიარაღებით დაიწყო. 50-იან წლებში მან სახელმწიფო შეკვეთის საფუძველზე მიიღო ახალი, სამხედრო ტიპის G3 (7,62x51)-ის დამზადების გადაწყვეტილება. აღნიშნული იარაღი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც აღიჭურვა იმ დროისათვის საკმაოდ დახვეწილი და საიმედო სისტემით – როლიკისებრი საკეტი მექანიზმით. ასევე უნდა ითქვას, რომ „ობერნდორფელები“ ერთ-ერთი პირველთაგანნი იყვნენ, რომელთაც პოლიგონალური ლულები სერიულად აწარმოეს. პოლიგონალურ ლულებს არ აქვთ ხრახნი, ანუ ღარები და ველები. ისინი წარმოადგენენ მრავალკუთხა ლულებს, რომელთაც შიგნით „ჩატრიალებული“ პროფილი გააჩნიათ. გასროლილი ვაზნა სწორედ ამ ცილინდრულად მიმართულ – ბრუნავ კუთხეებს მიყვება და შედეგად თავადაც იწყებს როტაციას. ამ და სხვა უამრავ იმდროინდელ სამხედრო, გასაიდუმლოებულ მეთოდს დღესდღეობით კომპანია სპორტული და სანადირო იარაღების მშენებლობისათვის იყენებს. განსაკუთრებით კი ზემოთხსენებულ როლიკისებრ საკეტს, დიოპტრიულ სამიზნე მოწყობილობასა და პოლიგონალური ლულების პროფილს.

ბოლო წლებში მწარმოებელი ახორციელებდა ბევრი განსხვავებული სანადირო ტიპის თვითმტენი შაშხანების სერიულ წარმოებას. ესენი იყვნენ: HK-270, HK300, HK630, HK770, HK940 და სხვები. აგრეთვე ხდებოდა მათ მიერ სპორტული ან „რეზერვისტთა“ ვერსიების, SL-6 – ია და SL-7 -ის დამზადება. პოლიციური თუ სამხედრო დაჯგუფებებისათვის კომპანიას უამრავი ზუსტმსროლელი შაშხანის შეთავაზება ძულუსს და უმეტეს წილად სწორედ მის მიერ წარმოებული ვერსიებით არიან წამყვანი ქვეყნების გარკვეული სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამისი ორგანოები თუ ქვედანაყოფები აღჭურვილნი.

80-იან წლებში კომპანიამ გერმანიის არმიისათვის შექმნა ფუტურისტული შაშხანა, ინოვაციური ჰილზგარეშე ამუნიციაზე მომუშავე G-11-ი. ამა თუ იმ მიზეზების გამო აღნიშნული იარაღის სერიულად წარმოება არ განხორციელდა. სახელმწიფო დაკვეთების უქონლობის გამო ფირმას მოუხდა გარკვეული ფინანსური სირთულეების გადალახვა. ამას დაემატა ისიც, რომ ამერიკელებმა შეიარაღებაში მიიღეს Beretta-92 და არა

მწარმოებელი/ქვეყანა:	Heckler&Koch GMBH /გერმანია
მოდელი:	HK 417
ყალიბი:	7,62x51 მმ (.308 Winchester)
სისტემა:	გაზებით / აირებით მტენი სისტემა
მჭიდის ტევადობა:	10 – 20 ვაზნა
კადენცი:	600 – მდე გასროლა წუთში
სამიზნე მოწყობილობა:	დიოპტრიული ხედვის სამ. მოწყ.
კონდახი:	ტელესკოპური
მთლიანი სიგრძე: მინიმუმი/მაქსიმუმი:	804 / 884 მმ
სიგანე:	82 მმ
სიმაღლე:	213 მმ
ლულის სიგრძე:	305 – 406 – 508 მმ
სამიზნეთაშორისი მანძილი:	410 მმ
წონა:	3850 – 4100 – 4550 გრ
(ცარიელი) მჭიდის წონა:	111 – 160 გრ.
მიახლოებითი ფასი:	2300 EU



Heckler&Koch 417 – ცივილური სახელწოდებით – MR308 A3

Heckler&Koch P7 M13. ამ ყოველივემ დიდი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსებზე. პრობლემების გადაუჭრელობის გამო ფირმა 1991 წლის მარტში გაიყიდა ინგლისურ Royal Ordnance-ზე, რომელიც British Aerospace-ის ძმობილი კომპანია გახლდათ.

Heckler&Koch ფაქტიურად ლიდერად ითვლება იმ კომპანიათა შორის, რომელიც M16-ისა და M4-ის ტიპის იარაღებს აწარმოებს. მის მიერ შექმნილი ვერსიები სიზუსტესთან და დახვეწილ ნამუშევართან ერთად ყოველთვის გამოირჩევა უტყუარი, სტაბილური, საიმედო მუშაობით.

ბოლო წლებში გამოფენებზე წარდგენილმა HK 417-მა კალიბრით .308 Winchester – ი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შაშხანა, რომელიც M4-ის სტანდარტულ ყალიბთან, 5,56x45 მმ – თან შედარებით ბევრად მძლავრ და შორსმსროლელ, 7,62x51 მილიმეტრიან ვაზნებს ისვრის, იდეალურადაა აგებული. მისი დიზაინი და ზოგადად სტრუქტურული აგებულება მაქსიმალურადაა ურთიერთ დაბალანსებული და ბევრად სჯობს ოდესღაც იმავე ვაზნაზე შექმნილ M16-ს. ყველაზე მთავარი ისაა, რომ აღნიშნული მძლავრი კალიბრის მიუხედავად მისი წონა და ბალანსი მცირედით აღემატება სტანდარტული HK 416 (M4)-ის მონაცემებს. მაშინ როდესაც .223 Remington-ის ყალიბით აღჭურვილი ვერსია 406 მილიმეტრიანი ლულით, ცარიელ მჭიდთან ერთად 3810 გრია, იმავე სიგრძის .308 Winchester-ის ვაზნებზე დამზადებული მოდელი მასზე მხოლოდ 290 გრ-ით მძიმეა. არადა ადრე მსგავსი იარაღების შედარებისას წონაშიც და ბალანსშიც სხვაობა ბევრად დიდი იყო. მას გერმანიაში უკვე შეარქვეს კიდეც ზედმეტსახელი და HK 416-ის „დიდ ძმას“ ეძახიან. იმისათვის, რომ იარაღი მაქსიმალურად გამართული და სრულყოფილი ყოფილიყო „ობერნდორფელებმა“ საკუთარ



Heckler&Koch MR223 A3 – იგივე 416

სპეციალისტებთან ერთად გაითვალისწინეს სხვადასხვა პროფესიონალი მსროლელებისა და მეიარაღეების აზრი და ერთობლივად შეჯამებული ყოველდღიური გამოცდილების ხარჯზე შქმნეს თვითმტენი HK 417.

იარაღის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლდათ წინა ვერსიასთან შედარებით უფრო შორ დისტანციებზე ეფექტური სროლის განხორციელება. იგულისხმება დაახლოებით 500 მეტრზე ეფექტური ბალისტიკური მაჩვენებლები. თეორიულად თუ მივუდგებით, H&K-ის მიერ შექმნილმა .308 Winchetser-ის ლულამ მართლაც რომ იდეალური სიზუსტე და ეფექტურობა უნდა გამოავლინოს ზემოთხსენებულ მანძილზე სროლის წარმოებისას.

HK 417 აირებით მტენი მექანიზმითაა აღჭურვილი. მთავარი დადებითი მხარე კი მასში გახლავთ გაზების მარეგულირებელი სისტემის არსებობა. მისი მეშვეობით შესაძლებელია უშიშრად შაშხანაზე თითქმის ნებისმიერი ტიპის მაყუჩი-კომპენსატორის დამაგრება. შედეგად მსროლელს ძალულს აირების სისტემიდან გამოდინების იმგვარი რეგულირება, რომ იარაღმა მოახდინოს როგორც სტანდარტული, ისე ზებგერითი ვაზნების უპრობლემოდ გასროლა (მაყუჩის დაუზიანებლად). მისი საკეტი მექანიზმის სტრუქტურული აგებულება სტანდარტულად სტოუნერის პრინციპზეა დაფუძნებული და მის მბრუნავ თავზე ჩვეულ სტილში 7 წახნაგია გაკეთებული. მექანიზმი წარმოადგენს მოკლე ბიჯიან სისტემას, რომლის მსგავსი ვერსიებიც გვხვდება იმავე ბრენდის მიერ წარმოებულ HK416 -ისა და G36 -ის შემთხვევებში. ამგვარი, გრძელი ზუმბა და საკეტის ახალი ტიპის მამოძრავებელით აღჭურვილი სისტემა ბევრად უფრო საიმედო და სტაბილურია ვიდრე თავდაპირველ AR-15 (M-16) -ში განთავსებული მექანიზმი იყო, რომელშიც აირები საკმაოდ ვრცელ გზას გადიოდნენ მამოძრავებელამდე მისაღწევად. ამას გარდა საკეტი მექანიზმი სპეციალურ ბუდეშია განთავსებული, რომელიც მასთან ერთად მოძრაობს და სავაზნე ფანჯარასთან ერთად იცავს მას ჭუჭყისა და დაბინძურებისაგან.

მჭიდის გამომღები ღილაკი სისტემური კოლოფის მარჯვენა მხარეს, სასხლეტის ბუდის ზემოთაა განთავსებული. რაც შეეხება დამცველს, ის ორივე მხარესაა დამონტაჟებული და მემარჯვენეების მსგავსად, ცაციებსაც მარჯვედ და მოხერხებულად შეუძლიათ სასხლეტის განმუხტვა ან პირიქით. საკეტის დამშვები მჭიდის გამომღებივით მხოლოდ ცალ მხარეს, სისტემური კოლოფის მარცხენა კედელზე, სტანდარტულად მის შუა პერიმეტრშია განთავსებული. ხელსაკიდი, ფისტოლეტისებრი ტარის ზედაპირი სპეციფიკური ხაოვანი საფარითაა დაფარული, რათა უფრო მყარად და მოხერხებულად მოკიდოს მსროლელმა ხელი. ტელესკოპური ტიპის კონდახი ერთ-ერთი საუკეთესოა მსგავსი ტიპის იარაღებში. ზემოდან შაშხანაზე მაგრდება სწრაფად ხსნადი დიოპტრიული ხედვის სამიზნე მოწყობილობა. თუმცა ბევრად საზრიანია ჩვენს მიერ საგამოფენო კომლექსში „გატესტილ“ 406 მილიმეტრიან ვერსიაზე ოპტიკური სამიზნე მოწყობილობის დამაგრება. ამის საშუალებას გრძელი პიკატინის ტიპის ჭრილებიანი სამიზნე ხიდიც იძლევა, რომელზედაც ძალიან ბევრი განსხვავებული ზომისა თუ სახეობის ოფტიკა შეიძლება დამაგრდეს. ამას ემატება ტიბჟირის – ლულისგარე კონდახის მარცხენა, მარჯვენა და ქვედა კედლებზე განთავსებული, იმავე ტიპის ჭრილებიანი ხიდები სხვადასხვა სახის აქსესუარების – ფანარის, ლაზერის ან წინა (ლულისქვეშა) ხელსაკიდის – ტარის დასამაგრებლად.

იარაღის სისტემური კოლოფი ერთიანი, მასიური ლეგირებული ფოლადისაგან არის დამზადებული. მისი ხარისხი გარანტიაა საიმედოობისა და საშუალებას იძლევა ურთულეს ექსტრემალურ პირობებშიც კი შაშხანა მოვიხმაროთ დანიშნულებისამებრ. ლულა თანამედროვე დაზგა-დანადგარებისა და დახვეწილი ტექნოლოგიების მეშვებობით, ცივად წრთობის მეთოდიკის საფუძველზეა აგებული. მის ბოლოში შესაძლოა ჩახრახნილ იქნას, ალმაქრი – კომპენსატორი, მაყუჩი ან მსგავსი სხვა მოწყობილობა.

საერთო ჯამში იარაღმა ბოლო წლებში გამართულ გამოფენებსა თუ სინჯვების გავლისას ჩატარებული



Heckler&koch MR223-ის სისტემური კოლოფის მარცხენა მხარე



Heckler&koch MR223-ის დამცველი ღილაკი



Heckler&koch MR223-ის საკეტი მექანიზმი ღია მდგომარეობაში

ტესტირებებზე იდეალური შედეგები აჩვენა და ბევრის გულიც დაიპყრო. არც მისი ფასია დიდი, სხვა M4-ისა და M5-ის ღირებულებასთან შედარებით. შესაბამისად მისი გაყიდვები ევროპასა და ამერიკის ბაზარზე წარმატებულად ხორციელდება.



Heckler&koch MR308 A3

KRIEGHOFF

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, 1886 წელს, იწყება კომპანია Krieghoff-ის ისტორია ტურინგენის ტყესთან ახლოს, ქალაქ ზულში. ლუდვიგ კრიგჰოფმა თავის პარტნიორებთან ერთად დააარსა ფირმა სახელოწოდებით Sempter&Krieghoff. უკვე მე-20 საუკუნეში, 1916 წელს მისმა ვაჟიშვილმა ჰაინრიხმა შექმნა ახალი კომპანია, ამჯერადაც კვლავ ქალაქ ზულში, განსხვავებული სახელწოდებით Heinrich Krieghoff. სამ წელიწადში კი მშობლის მიერ ჩამოყალიბებული საწარმოც გადაიბარა. კომპანიაში სისტემატიურად მიმდინარეობდა ცდების ჩატარება. ისინი შეუსვენებლად ცდილობდნენ რაიმე ახლის შექმნას. შედეგებიც არ აყოვნებდა ხოლმე. მე-20 საუკუნის 20-აინ წლებში შეიქმნა მოკლელულიანი დრილინგები (სამლულიანი სანადირო იარაღები) და ახალი, საიმედო სისტემები. ამას დაემატა საკმაოდ ცნობილი და თავის დროზე ძალზედ პოპულარული გაზებით მტენი იარაღი. ჰაინრიხი ბევრად უფრო ნიჭიერი კონსტრუქტორი და მეწარმე გამოდგა, ვიდრე მისი მამა, ლუდვიგი. 1926 წელს ევროპული კატალოგებისა და ჟურნალების მთავარ გვერდებზე მოხვდა მათ მიერ ნაწარმოები დრილინგი სახელწოდებით „ნეფტუნი“. შემდგომ დაიწყო ყველაზე რთული პერიოდი გერმანელი და არა მარტო გერმანელი ერისათვის. მსოფლიო ომმა ბოლო მოუღო კომპანიას. 50-იან წლებში Krieghoff-ისათვის ახალი ერა დაიწყო,



Krieghoff-ის დახლი გერმანიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე

ამჯერად უკვე ქალაქ ულმში, სადაც ახალი საწარმო აიგო მდინარე დონაუს მისადგომებთან, ქარხანამ დაამზადა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მოდელები Waldschütz და Trumf. ამ უკანასკნელის თანამედროვე ვერსიების ხილვა დღესაც შესაძლებელია გამოფენებზე. 1957 წელს ქარხანამ დაიწყო სპორტული, ორლულიანი თოფების K-32-ის წარმოება. სამი წლის შემდეგ კი აშენდა შენობა, სადაც დღემდე მუშაობენ ფირმის თანამშრომლები. ამ ყოველივემ გაამართლა და Krieghoff-ის სპორტული მოდელით ა.ჯონსმა მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი „ტრაპის“ შეჯიბრებაზე. ცოტა მოგვიანებით, 1985 წელს გერმანიაში, ქალაქ ნიურნბერგში გამართულ ირაღების საერთაშორისო გამოფენაზე, IWA-1985-ზე, ფირმამ წარმოადგინა დრილინგის სრულიად ახალი ვერსია Drilling Plus. შემდგომ უკვე განავითარეს ჰორიზონტალურად განლაგებული ლულებით ხრახნიანი „კლასიკა“.

მათთვის ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი მოდელი Optima, პირველად 2002 წელს წარსდგა ფართო საზოგადოების წინაშე. თავად სიტყვა დრილინგი და ფირმის სახელწოდება ბევრისათვის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. სამლულიანი იარაღის ხსენებაზე ამ კლასის მოყვარულ მონადირეს უმალვე „Krieghoff“-ის ასოციაცია მოსდის თავში. ზემოთხსენებულ მოდელს მოისაზრებენ 100 წლოვანი გამოცდილების შემდეგ Neptun-ის Trumf-ის და Waldschütz-ის გამგრძელებლებად. ის არის თანამედროვე, შედარებით იაფფასიანი ვერსია, რომელიც ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მზადდება. ამავდროულად ტრადიციული, ძველი სტილი მის დიზაინში უმალვე აღიქმება. წარმოებისას საქმეში ჩართულია CAD – 3D (Computer-Integrated-Manufacturing) ხუთწახნაგა მანქანები. ისინი უზრუნველყოფენ მაქსიმალური სიზუსტითა და სიმტკიცით ამა თუ იმ დეტალის დამზადებას, ხოლო თავად ოსტატებს უმარტივებენ სამუშაო პროცედურებს. „ოფტიმა“ დრილინგისათვის განავითარეს ორმაგი საკეტი სისტემები საიმედო ხელის დამცველებით. მათი გეომეტრიული აგებულება ზედმიწევნად კარგად ერგებოდა თითს და მოძრაობისასაც ადვილი იყო მისი გადაადგილება, მიუხედავად იმისა რომ მთლიანად ფოლადისაგან შედგება ორივე დეტალი. იარაღის ლულა ცივად, მოდერნიზებული ტექნოლოგიების დახმარებით კეთდება. ერთ-ერთ საუკეთესო თვისებად კომპანიის მიერ ნაწარმოები ლულებისათვის მოისაზრება ცვლადი, „ჩამდგმელი“, განსხვავებული ყალიბის მქონე ლულები. მათი მეშვეობით შესაძლებელია კალიბრის შეცვლა და კონკრეტულად იმ სახეობის ვაზნის სროლა, რომელიც ესაჭიროება კონკრეტულ შემთხვევაში ნადირსა თუ ფრინველს. სისტემური კოლოფი ორი განსხვავებული სახის იწარმოება. არის სრულად რკინის მასალისაგან დამზადებული ვერსია და აკეთებენ აგრეთვე მყარი ალუმინისაგან ნაწრთობ ბუდეებსაც. თუმცა, ქარხანა, ამ უკანასკნელს ყველა კალიბრისათვის არ ამზადებს, ამავდროულად წონათა სხვაობა სულ რაღაც 300 გრ-ის ფარგლებში მერყეობს. საერთო იარაღის წონა კი 3,4 კგ-დან 4 კგ-მდეა. სერიულად იარაღი იწარმოება ძირითადათ 20 და 12 კალიბრიანი ლულებით. რაც შეეხება ხრახნიან ყალიბს, მათი არჩევანი საკმაოდ ფართოა. 6x70R-დან 500/.416 N.E. – მდე საერთო ჯამში სახეზეა იარაღი, რომლითაც ნებისმიერ ცხოველზე თუ ფრინველზე ნადირობაა შესაძლებელი.

„კრიგჰოფის“ დრილინგების წინაპრად და ერთ-ერთ საუკეთესო ვერსიებად გერმანელებისათვის კარგად ცნობილი მოდელები, Neptun და Trumf სახელდებიან. ისინი დღემდე ძირითადათ ძველი, ტრადიციული მეთოდების გამოყენებით იწარმოება და ახალი რაც კი არის მათში



Krieghoff-ის ორლულიანი შაშხანა ლულათა ვერტიკალური განლაგებით.

ჩადებული, გახლავთ ძირითადათ კომპანიის ახალგზარდა მუშახელის გამოცდილება. გამონაკლისი შემთხვევების გარდა ლულები არა ცივად, არამედ ჩვეულ სტილში ცხელდება და როგორც ადრე კეთდებოდა, ანალოგიურად გადის ჭედვის პროცედურას. დანარჩენი ფოლადის დეტალებიც უშუალოდ ოსტატის მეშვეობით ერგება ერთმანეთს. კონდახი ზეთით მუშავდება და ისიც თანამედროვე ტექნიკის მცირედი ჩარევითა და გამოყენებით მუშავდება. მოდელების დამზადებისას შესაძლებელია მყიდველის სურვილისამებრ ნებისმიერი გრავირების გაკეთება, ან ხეზე სასურველი ნახატის ჩასმა-ფორმის მიცემა. იარაღი სამმაგი ჩაკეტვის პრინციპითაა აღჭურვილი. საკეტი ჩარჩო გრინერისაგან არის აღებული ლულის ქვედა, ორმაგი ჩამკეტებით. შესაბამისად იარაღის სისტემური ბუდე აშკარად მყარი და საიმედოა. დრილინგის მექანიზმი იწარმოება როგორც სრული-გვერდითი საკეტებით, ისევე ჩვეულებრივი, მოკლე-არასრული ვერსიებითაც. თუმცაღა უნდა აღინიშნოს რომ ორივე შემთხვევაში სისტემური კოლოფი მხოლოდ და მხოლოდ რკინისაგან არის დამზადებული. წონები მერყეობს 3,9-დან 4,2-კგ-მდე. გლუვი ლულები ძირითადათ სამი სახეობის ყალიბით, 12-ით, 16-ით და 20-ით იწარმოება. ხრახნიანებისათვის კი თუ არ ჩავთვლით .308 Winchester-ს, თითქმის ყველა გერმანელების მიერ შექმნილი ყალიბებია, დაწყებული 6,5x57R-დან დამთავრებული 9,3x74R-ზე.



Krieghoff-ის საკმაოდ პოპულარული მოდელი K80 გამჭვირვალე ხელოვნური კონდახით

2011 წელს გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე კომპანია H. Krieghoff GmbH – მა 125 წლის საიუბილეოდ წარმოადგინა სპეციალური მოდელი – K-80-ის სპორტული ვერსია. ეს გახლავთ ვერტიკალური განლაგების, ორლულიანი თოფი, რომლის ლულების სიგრძეც 81 სანტიმეტრი იყო. თოფზე ზემოდან დამაგრებული თამასა მაღალი და რეგულირებადი იყო. ჩოკები ტიტანის შემცველობის გახლდათ, ხოლო სასხლეტი და საკეტი მექანიზმის ზოგიერთი შიდა დეტალი მოოქროვილი იყო. იარაღს კომპლექტაციაში მოყვებოდა 3 დამატებითი ლულა კალიბრებით 20, 28 და 410. გრავირება რა თქმა უნდა განსაკუთრებული იყო და ფირმის წარმომადგენელთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ტრადიციული სანადირო და სპორტული მონახაზები ერთდროულად ერწყმოდა ერთმანეთს სისტემურ ბუდესა თუ სხვა ადგილებში. მოხატულობისათვის გამოყენებული იქნა 32 გრამი ოქრო. სამწუხაროდ თოფის სრული განდეტალების-სრული დაშლის საშუალება არ მოგვეცა დროის უქონლობის გამო, რაც შანსს გვიტოვებდა ბევრად უფრო მეტი გაგვეგო საიუბილეო მოდელზე. მისი ფასი თვალსაჩინოდ იყო ყველასათვის წარმოდგენილი და არც მეტი არც ნაკლები – 125.000 ევროს შეადგენდა. ეს არც ისე ძვირია თუ ფირმის ისტორიასა და გერმანულ ხარისხს გავითვალისწინებთ. მეზობელ იატალიაში პერაცის მიერ ნაწარმოები ყოველი მეხუთე მოდელი, მარტო ერთი ლულით მასზე ძვირად ფასობს.

ამავე სერიის, K-80-ის სხვა, უბრალო, სტანდარტული ვერსიებიც იყო წარმოდგენილი. ზოგიერთი მათგანი სრულიად ახალი სახით, სინთეტიკური მასალის გამოყენებით შექმნილი, გამჭვირვალე კონდახით იყო გამოფენილი. რამოდენიმე მათგანისათვის გამოყენებულ იქნა კარბონის მასალა. ეს ფუტურისტული დიზაინი რა თქმა უნდა ტრადიციების მოყვარულ არც გერმანელებს და არც ჩვენ, ქართველებს არ გვიზიდავს. მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს სპორტულ თოფთან, შესაბამისად ასეთი სტილი მიღებულია. მითუმეტეს კომპანია Krieghoff-ის შემთხვევაში, რომელიც უზადოდ ასრულებს თავისზე დაკისრებულ მოვალეობას და აგებს მსოფლიოში ერთერთი საუკეთესო მონაცემების მქონე სპორტულ K-80 -ს.

2007 წელს გამოფენაზე წარსდგა ახალი შაშხანა განსხვავებული სტრუქტურული აგებულებითა და სტილით. ეს გახლდათ მოდელი Krieghoff Semprio. იარაღი ეგრეთწოდებულ „პომპას“ უფრო გავდა ვიდრე „ბოლტს“. ის ფაქტიურად წარმოადგენს ლულისქვეშა ბერკეტით მტენ იარაღს. ამ შემთხვევაში კი შაშხანას და არა თოფს. მისი გადატენვის პროცედურა ხორციელდება ტიბჯირის წინ მიწევით. თუმცა მასთან ერთად მოძრაობს ლულაც და სისტემური ბუდის ერთი ნაწილი, უკან კი

www.caravani.ge

რჩება მეორე ნაწილი და თავად საკეტი მექანიზმი. გამოდის რომ დაახლოებით ნახევარი თოფი მიდის წინ, ნახევარი კი რჩება უკან. არსი ამ პრინციპისა გახლავთ მოხერხებულად და სწრაფად გადატენვის განხორციელება. ყოველ შემთხვევაში ასე თვლიან შაშხანის შემქმნელები. როდესაც იარაღს ვუმიზნებთ რაიმეს და ვანარმოებთ გასროლას, მეორე სროლის საწარმოდებლად ვტენით იარაღს, ამ დროს ორივე ხელი რჩება იმავე ადგილას, სადაც მანამდე იყო, ანუ ამით ვიგებთ დროს და შედარებით ნაკლებია სამიზნის თვალთა ხედვის არედან დაკარგვის ალბათობა. მეორე დადებითი თვისება, რასაც კომპანია Krieghoff-ის დიზაინერები თავის მომხმარებლებს სთავაზობენ მდგომარეობს შემდგომში: საკეტი მექანიზმი გადატენვისას არ გამოდის თვალთან ახლოს და შესაბამისად არ იქმნება უხეხრული შეგრძნება, რომელიც ცილინდრული ტიპის იარაღებზე, უფრო მეტად კი წრფივად მოძრავ საკეტიან ვერსიებზე უქმნის ხოლმე მსროლელს დისკომფორტს ზემოთხსენებული პროცედურის განხორციელებისას. იარაღის ბაზარზე გამოტანით სპეციალისტებმა ეს ქმედება წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნიეს. თუმცა კრიტიკოსებმა ერთხმად იწყეს თავისი საქმის კეთება. უნდა ითქვას რომ მათ კრიტიკაში მხოლოდ მცირედი, ან არარსებული ლაფსუსების ძიებისა და იუმორ შერეული მწარე სიტყვების გარდა ჭეშმარიტება ბევრგან შეიმჩნეოდა.

შაშხანის სტრუქტურული აგებულება შეიძლება ითქვას რომ მარტივია, მაგრამ რამდენად საიმედოა გარკვეულ პირობებში, ამის თქმა ჭირს. სასხლეტის დამცველი ღილაკი კონდახის ყელის თავზეა განთავსებული. ცერა თითით მისი წინ და უკან მოძრაობა მოხერხებული და მარტივია. დაშლისას მას ჯერ მარჯვნივ და შემდგომ უკან ვწევთ. ვახორციელებთ გადატენვის პროცედურას ნახევრად ისე რომ იარაღის ტიბჟირი მივწიოთ მარტო წინ. მჭიდის გამოლებაც წინაალმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია, ის უკან მოწევისას იმალება სისტემურ ბუდეში. გახსნილი იარაღის მჭიდთან ახლოს მდებარე ღილაკს ვწევთ ოდნავ ზევით და მარცხნივ და მარტივად ვაცალკევებთ ლულას. საკეტის თავის მოხსნა ყოველგვარ ღილაკზე ხელის დაჭერისა და დამატებითი ხელსაწყოების გარეშეა შესაძლებელი. ამით ლულისა და ყალიბის შეცვლაც მარტივდება.

ერთის შეხედვით იარაღს დიდი მომავალი აქვს და საკმაოდ ხარისხიანად არის გაკეთებული. მისი დათვალიერების და საჭირო ინფორმაციის



Krieghoff K80-ის საიუბილეო მოდელი 125 წლის აღსანიშნავად.



მოძიების საშუალება რამოდენიმე გამოფენაზე მოგვეცა. ხარისხობრივად გერმანელებისაგან სხვა შედეგს არც ველოდით. მითუმეტეს კომპანიისაგან რომელიც საუკუნეზე მეტხანს არსებობს. მართლაც რომ იდეალური ნამუშევარია. აღსანიშნავია რომ ფოლადის დეტალები და ამავდროულად ლულაც მხოლოდ და მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მზადდება და შეესაბამება უახლეს სტანდარტებს. მასში ტრადიციული კვალი ალბათ მარტო დიზაინში უნდა ვეძებოთ. მიუხედავად იმისა რომ იარაღი ოფიციალურად ცილინდრული ტიპის შაშხანების კატეგორიას განეკუთვნება, მაინც სადღაც შუაშია გაჩხერილი. ეს არა მარტო პროფესიონალი მეიარაღეებისა თუ კრიტიკოსების აზრია, არამედ ზოგადად ხალხის, გამოცდილი მონადირეებისა და პროფესიონალი მსროლელების. ასე რომ თუ ვინმე მის შეძენას გადაწყვეტს, სასურველია თუ მარტო თეორიული მონაცემებით არ დაკმაყოფილდება და შეძლებისდაგვარად სასინჯ გასროლას განახორციელებს.



Krieghoff Semprio-ს შაშხანა, ორიგინალური, მექანიკურად მტენი სისტემით



იარაღების ქარხნის დამაარსებელი, პეტერ პაულ მაუზერი დაიბადა 1838 წელს, ობერნდორფში, ნეკარში. მისი მამა, ფრანც ანდრეას მაუზერი მუშაობდა ობერნდორფის სახელმწიფო მეიარაღეთა ცენტრში – Waffenarsenal-სი ლულების ოსტატად. 1859 წელს პაული აღმოჩნდა სამხედრო სამსახურში, სადაც მიჩენილ იქნა საარტილერიო ხაზზე. იმ პერიოდისათვის მისი პირველი აღმოჩენა გახლდათ უკნიდან მტენი იარაღი (დღეისათვის მიღებული დატენვის ტიპი), რომლის შესახებაც არმიის მთავარსარდლობამ არავითარი ინტერესი არ გამოამჟღავნა.

1865 წელს მაუზერმა განავითარა პირველი საკუთარი პროექტი მექანიკურად მტენი, ცილინდრული ტიპის საკეტით აღჭურვილი შაშხანის სახით. იარაღის საკეტ მექანიზმს შუაში განთავსებული ჰქონდა სპეციალურ ზამბარაში არსებული ნემსი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სასხლეტზე გამოკვრის შედეგად გამოდიოდა გარეთ და შესაბამისად მოდიოდა მოქმედებაში (დღესდღეობით უკვე ყველასათვის ცნობილი კონსტრუქციაა). აღნიშნულ პრინციპს სხვა, იმ დროინდელ სისტემებთან შედარებით დიდი უპირატესობა გააჩნდა. მანამდელ მექანიზმებში ნემსი თითქმის ყველა შემთხვევაში გარეთ იყო და გადატენვისას ყოველთვის არსებობდა არასასურველი, არამიზანმიმართული გასროლის წარმოების ალბათობა. მაუზერის მექანიზმში ნემსი მხოლოდ ამოქმედებისას გამოდიოდა საკეტის გარეთ და შესაბამისად მსროლელი დაცული იყო უცაბედი, გაუთვალისწინებელი გასროლისაგან. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე პეტერ პაულ მაუზერმა მთავრობისაგან კრედიტის სახით მიიღო გარკვეული დაფინანსება, რომელიც მას უნდა გამოეყენებინა დაზგა დანადგარებისათვის და მასალის შესაძენად საკუთარი შაშხანების სერიული წარმოების დაწყების მიზნით. ამ სახით ჩამოყალიბდა პირველი მაუზერების იარაღების მწარმოებელი საწარმო. პეტერმა ყიდვა გაყიდვების სფეროში მმართველად თავისი ძმა, ვილჰელმი მიავლინა. როგორც ხდება ხოლმე, თავდაპირველად მათ მოუწიათ სხვადასხვა პრობლემებთან შებრძოლება. მათ უნდა გადაელახათ გარკვეული კრიტერიუმები და საკუთარ პროდუქციაზე მოთხოვნა უნდა გაეჩინათ როგორც სამშობლოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

1866 წელს ძმებმა მაუზერებმა მჭიდრო ურთიერთობები დაამყარეს ამერიკული კომპანიის, Remington Arms-ის წარმომადგენელთან სემუელ



Mauser M03-ების 4 განსხვავებული ვერსია

ნორისთან. მას დიდი ინტერესი გააჩნდა გერმანელი კონსტრუქტორის მიერ შექმნილ შაშხანაზე. შედეგად შედგა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მაუზერის შაშხანა სრულად ბელგიურ იარაღების ქარხანაში, ლიეჟში უნდა დამზადებულიყო და შემდგომ ექსპორტზე გასულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასე წარმოიშვა Mauser-Norris-ის შაშხანა, რომელიც სერიულ წარმოებაში გაშვებულ იქნა 1867 წელს. ნორისს იმედი ჰქონდა, რომ საფრანგეთის არმიას მიყიდიდა „მაუზერებს", რომლებიც შეიარაღებაში არსებულ Chassepot-ის შაშხანებს ჩაანცვლებდნენ. თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა ეროვნული იარაღების წარმოების ხარჯზე მოეხდინა არმიის გადაიარაღება. ამასთანავე არც კომპანია „რემინგტონის" მმართველ გუნდს ძალულდა პროექტის დაცვა და განხროციელება. თუმცა 1871 წელს Mauser-Norris-ის შაშხანა მაინც მოხვდა ერთ-ერთი ქვეყნის არმიის შეიარაღებაში. პრუსიის ჯარი M-71 -ით შეიარაღდა. იარაღის ყალიბი გახლდათ 11 მმ. კონკრეტული სახელი შავი დენთით დატენილი ვაზნისა იყო 11,15 x 60 R.

1873 წელს ძმებმა შეისყიდეს ობერნდორფის სახელმწიფო მეიარაღეთა ცენტრი. შედეგად კომპანია, ახალი სახელწოდებით Mauser&Cia აღიჭურვა იმ პერიოდისათვის უახლესი დაზგა დანადგარებით.

მაუზერის სამხედრო შაშხანები მზადდებოდა ობერნდორფის გარშემო ქალაქებშიც, ერფურტში, შპანდაუში, ამბერგში და დანციგში. წარმოება აგრეთვე ხორციელდებოდა ავსტრიაში, შტეიერის ქარხანაში.

1866 წელს, მას შემდგომ რაც ვილჰელმ მაუზერი გარდაიცვალა, იარაღების ქარხანა გადაკეთდა Mauser AG – ად. იმავე წელს გახორციელდა შაშხანის – M 71-ის განვითარება, რომელიც 8 ვაზნიანი მჭიდით იქნა წარმოებული. 1887 წელს მას მოჰყვა გაუმჯობესებული ვერსია სახელწოდებით M – 87 ყალიბით 9,5 მმ, რომელიც დამზადებულ იქნა თურქეთის არმიისათვის. რადგანაც გერმანიის მთავრობამ შეიარაღებაში არ მიიღო



Mauser M03 Target



Mauser M03-ის დამცველი ღილაკი

მოდელი M 71, მაუზერი იძულებული გახდა 1888 წელს აეგო ახალი იარაღი, რომელიც ცნობილია Kommiss Gewehr-ის სახელით. შაშხანა 7,65 მილიმეტრიან ვაზნებს ისროდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდისათვის ესპანეთის არმიაც ატარებდა მაუზერის იარაღებს მცირედით განსხვავებული კალიბრით, 7 მმ – (7 x 57). მათი შაშხანები იმდენად ეფექტური გამოდგა რომ 1898 წელს, ამერიკა-ესპანეთის ომის დროს ამერიკელები საოცარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. შესაბამისად არც თუ ისე დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე, ძალზედ მძლავრი კონტინენტის მმართველებმა მიიღეს მყისიერი და სწრაფი გადაწყვეტილება „მაუზერის“ შაშხანების შესყიდვის ან წარმოების თაობაზე. მიზანი მალევე მიღწეულ იქნა Springfield M1903-ის სახით. თუმცა იარაღის აგება ლეგალური გზებით არ გახორციელებულა. „სფრინგფაილდის“ მოდელი იმდენად გავდა გერმენელების მიერ შექმნილ ვერსიას, რომ ამერიკის მთავრობას „მაუზერისათვის“ (იმდროინდელი) 200.000 დოლარის გადახდა მოუწია.

1898 წელს გერმანიის არმიამ გადაწყვიტა შეიარაღებაში მიეღო მოდელი-1898 იგივე – M-98 ყალიბით 7,92 Mauser (8 x 57). იარაღის მოკლე ვერსიები წარმოებულ იქნა 1904 წელს 98a-ს სახელით, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ 98b-ს სახელით და 1935 წლის შემდგომ 98k-ს სახელით.

პაულ მაუზერი გარდაიცვალა 1914 წელს. 1922 წელს კომპანიამ Mauser Werke AG-ის სახელით განაგრძო არსებობა. მეორე მსფოლიო ომის მიღებული ზარალის შედეგად მაუზერის ქარხანა ფაქტიურად ახლიდან აღსდგა და მას შემდეგ ფუნქციონირებს Mauser Werke Oberndorf GmbH-ის სახელწოდებით. მოდერნიზაციისა და ახალი კომპიუტერიზირებული დაზგადანადგარების შეძენის შემდგომ ბრენდის სახელით ბევრი კარგი სანადირო თუ სპორტული შაშხანა დამზადდა. ძალზედ პოპულარული იყო როგორც მონადირეთა ისე სპორტსმენთა წრეებში ცილინდრული საკეტი მექანიზმით აღჭურვილი სანადირო Mauser M66 S და სპორტული Mauser M66 SP. ორივე მათგანს საკეტზე ორი მასიური ჩამკეტი თავი ჰქონდა გაკეთებული. მჭიდში 3 ვაზნა ეტეოდა და სამივეს გასროლას იარაღი საკმარისზე ზუსტად ახორციელებდა.

განხორციელდა მაუზერის მცირეკალიბრიანი (5,6 მმ – 22 L.r.) ვერსიის დამზადებაც სახელწოდებით Mauser 201 Luxus. იარაღის მჭიდში 5 ვაზნა ეტეოდა. ჩამკეტ თავს ორი წახნაგი ჰქონდა გაკეთებული. იარაღის წონა 2,8 კილოგრამი იყო. ლულის სიგრძე 55 სმ, მთლიანი სიგრძე კი 102 სმ.

საკმაოდ პოპულარულები იყვნენ სპორტულ – ტაქტიკური მოდელები Mauser SR 93 Sniper და სანადირო ვერსიები Mauser M 94. ყველაზე დიდი მოწონება Mauser Original M98 – მა დაიმსახურა, რომელიც ინგლისურ Holland&Holland-ის შაშხანასთან ერთადაა წიგნში წარმოდგენილი.

ბოლო წლებში მაუზერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა რომ ის მხოლოდ სანადირო, კლასიკური ტიპის შაშხანების წარმოებაში არაა საუკეთესო. მას ძალულს არაჩვეულებრივი სპორტული ან უბრალოდ შორსმსროლელი შაშხანების წარმოება, რომლითაც შემდგომ ადგილს დაიმკვირდებს ლიდერი მწარმოებლების გვერდით. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია 2012 წელს შექმნილი Mauser M03 Target. გამოფენაზე იარაღი .308 Winchester-ის ყალიბით იყო წარმოდგენილი.

ზოგადად M03-ის დამცველი სისტემა არაჩვეულებრივადაა აგებული. კონდახის ყელის ზემოთ, საკეტის სახელურთან, მის დასაწყისში განთავსებული სასხლეტის დამცველი ბერკეტი გადატენვისას თავად დგება დაცვაზე – ანუ მიწეულია მარცხენა მხარეს, თეთრი ფერის ნიშნულისაკენ. მისი მარცხნივ გადმოწევის შედეგად ბერკეტი გაჩერდება წითელი ნიშნულის ქვეშ, რომელიც გვატყობინებს რომ შაშხანა მზადაა ცეცხლის საწარმოებლად და მოხსნილია დაცვიდან. თუ მსროლელს გაუჩნდება სურვილი ის კვლავ უკან გაწიოს და დააყენოს დაცვაზე, ამ პროცედურის განხორციელებაც მარტივად და რაც მთავარია უხმაუროდ ხორციელდება. ბერკეტის ქვეშ არსებულ განმუმხტველ ღილაკსა და ბერკეტზე ერთდროულად ზემოქმედების შედეგად ის გადაინაცვლებს კვლავ მარცხენა მხარეს, მაგრამ არა ბოლომდე. ამ ვითარებაში დაცვაზე დგება თავად საკეტი მექანიზმიც და მისი გაღება უკვე შეუძლებელი ხდება. თუ ბერკეტს ოდნავ დავაწვებით ცერა თითით კვლავ მარცხნივ, საკეტი გათავისუფლდება და შესაძლებელი გახდება გადატენვის პროცედურის გახორციელება. აღნიშნული დაცვითი სისტემა ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო ვერსიად მსოფლიოში.

ძალზედ საინტერესოდ ხორციელდება მჭიდის დატენვა. მასში ვაზნების ჩალაგება შესაძლებელია როგორც მოხსნილ ვითარებაში, ასევე იარაღზე კეთებისას. საკეტი მექანიზმის გაღების შემდგომ ჰილზის ამომგდები ფანჯრის გავლით ხორციელდება მჭიდში ვაზნების ჩალაგება.

Mauser M03 Target ვერსია აღჭურვილი იყო სასხლეტის კომბინირებული სისტემით – ეგრეთწოდებული „სასხლეტის შემამსუბუქებელით“. ამგვარ პრინციპებზე აგებული სისტემის შემთხვევაში იოლდება ეფექტური და ზუსტი გასროლის წარმოება. გადატენვის შემდგომ თუ თითით სასხლეტს მივაწვებით და მივწევთ წინ, მისი გამოკვრა ფაქტიურად არავითარ ძალას აღარ მოითხოვს. თითის შეხება და სულ ოდნავ მოზიდვაც კი საკმარისი ხდება გასროლის საწარმოებლად. საინტერესო ფაქტია ის, რომ როდესაც დამცველ ბერკეტს მარცხნივ გავწევთ, სასხლეტი კვლავ უბრუნდება საწყის პოზიციას. ზოგადად M03-ის სასხლეტის მოქმედებაში მოსაყვანად საჭიროა მასზე დაახლოებით 1000-დან 1500 გრ-მდე ზეწოლის გახორციელება. „შემამსუბუქებელის“ გამოყენების შემთხვევაში კი დაახლოებით 100-დან 300 გრ-მდე. იარაღის ლულა ცივადაა დამზადებული. სისტემური კოლოფი მთლიანად რკინაა და ერთიანი, მასიური დეტალისაგან, აგრეთვე ცივადაა გამოჭედილი. მასში განთავსებული ცილინდრული საკეტი მექანიზმი გაღებისას წრფივად მოძრაობს და 60° – ით იხსნება. მის თავზე განთავსებულია ექვსი ჩამკეტი კბილი – წახნაგი, რომლებიც რაოდენობიდან თუ განლაგებიდან გამომდინარე იდეალურად ასრულებენ თავისზე დაკისრებულ ფუნქციას. მჭიდის ბუდის წინა მხარეს, ტიბჟირზე, ჩასმულია ორი მასიური ჭანჭიკი, რომლებიც მოშვების შემთხვევაშიც არ სცილდება ხეს და რჩება შიგნით. აღნიშნული ორი დეტალი იჭერს ლულას. მათი მოშვების შემთხვევაში ლულა სციდლება იარაღს და შესაძლებელი ხდება მისი გამოცვლა – იარაღზე განსხვავებული ვერსიის დაყენება. ლულის – ყალიბის გამოცვლის შემთხვევაში ზოგჯერ აუცილებელია საკეტის თავის გამოცვლაც. ეს ვითარება რა თქმა უნდა „მაუზერის“ კონსტრუქტორებმაც გაითვალისწინეს. სასხლეტის დამცველ ბერკეტზე მარცხენა მხარეს დაწოლისას შესაძლებელი ხდება საკეტის თავის მოძრობა და მასზე ახლის დაყენება.

სისტემური კოლოფის ზემოდან გაკეთებულია სპეციფიკური ორი ჭრილი სამიზნის დასამაგრებლად. თავად Mauser M03 Target – ი აღჭურვილი იყო გერმანული Carl Zeiss Victory FL Diavari 4-16x50 T-ის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობით. კომპანია Mauser-ის წარმომადგენლების ინფორმაციით აღნიშნული სამიზნე იდეალურია კონკრეტული მოდელისათვის. იარაღი აგრეთვე აღჭურვილია როგორც ლულისქვეშა „ჰარისის“ ტიპის ორფეხა სადგამით, ასევე კონდახქვეშა საყრდენი მოწყობილობით. შაშხანის წონა მათთან ერთად 4,9 კგ-ს შეადგენდა, მათ გარეშე კი ის 3,9 კგ-ს იწონიდა. თავად კონდახი დაკომპლექტებული იყო ჰორიზონტალურად რეგულირებადი სალოყე ბალიშით. მისი მთლიანი სიგრძე 116 სმ იყო, ხოლო ლულის სიგრძე 60 სმ. შაშხანას ლულაზე გაკეთებული ჰქონდა ინტეგრირებული – არახსნადი ალმქარი-კომპენსატორი, რომლის დიამეტრიც .375 H&H Magnum – მდე შეადგენდა 17 მმ-ს. Mauser M03 Target-ის 2012 წლის საგამოფენო ფასი ზუსტად 3490 ევრო იყო.



Mauser M03-ზე განთავსებული Carl Zeiss-ის ოფტიკური სამიზნე

SCHMEISSER

გერმანელ მეიარაღეებს როცა ვახსენებთ, არ შეიძლება გამოგვრჩეს საკმაოდ საინტერესო და ამავდროულად იდუმალებით მოცული წარსულის მქონე კომპანია Schmeisser GMBH – ი. არც თავად ფირმის წარმომადგენლები იძლევიან იმის საშუალებას, რომ დავივიწყოთ მათი და მათი წინაპრების ღვაწლი იარაღების ინდუსტრიაში. გამოფენებზე მათი პროდუქცია არა მარტო თავად შემქმნელებს აქვთ ხოლმე წარმოდგენილი, არამედ გერმანიისა თუ სხვა ქვეყნების დილერებიც ცდილობენ ლეგენდარული მარკის შაშხანების საუკეთესო მხარეები წარმოადგინონ და განახორციელონ მათი რეალიზაცია. თუმცა თავად იარაღების აგება, მათი ხარისხი, წარმოება თუ თუნდაც რეალიზაცია არც თუ ისე კარგად გამოსდით. ჰუგო შმაისერის გარდაცვალების შემდგომ არაერთ გამოფენაზე მოგვეცა შესაძლებლობა შედარებით ახლოს გავცნობოდით მის ამჟამინდელ „გამგრძელებლებს“, გაგვეცნო ზემოთხსენებული ფირმის წარმოებული პროდუქცია და მოგვეპოვებინა ფოტომასალა მათ შესახებ. ჩვენი ყურადღება ძირითადათ მიპყრობილი იყო M4-ის, M5-სა და M16-ის ტიპის ცივილურ – AR – 15 ვერსიებზე.

კომპანიის სახეწოდება იარაღების სფეროში, სამშოლოში ძალზედ პოპულარული ადამიანის, ჰუგოს მამას, ლუის შმაისერის (1848-1917) სახელს უკავშირდება. იგი ძირითადათ მეიარაღეთა ქალაქ ზულში მოღვაწეობდა და თავის დროზე ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კონსტრუქტორად მოისაზრებოდა. სწორედ მის სახელს უკავშირებენ ტყვიამფრქვევის შექმნას პირველ მსოფლიო ომამდე თეოდორ ბერგმანის ქარხანაში. ამავე საწარმოში დაიწყო მისი შვილის, ჰუგო შმაისერის კარიერული წინსვლა. ამის თვალსაჩინო მაგალითებია თვითმტენი პისტოლეტები ყალიბებით 7,63 მმ და 9 მმ.



Schmeisser AR-15-ის ნახევრადავტომატური შაშხანა, კალ. 223 Rem.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ჰუგო შმაისერი დარჩა ზულში და თეოდორ ბერგმანის კომპანიაში აგრძელებდა სამსახურს. ეს ყოველივე მარტო მისი სურვილისამებრ არ მომხდარა. ამ შემთხვევაში გარკვეული ზეგავლენა მასზე კონკრეტულმა პიროვნებებმა და იმ დროს არსებულმა გარემოებამ მოახდინა. შედეგმაც არ დააყოვნა. თამამად შეიძლება ითქვას რომ ამ პიროვნების ტექნიკურმა გამოგონებებმა და მიღწევებმა იარაღის წარმოების სფეროში გერმანული ქვეითი არმიის განვითარება მე-20 საუკუნეში ორჯერ შეცვალა. სხვადასხვა ფაქტორები გარკვეულ როლს თამაშობდნენ ამ პროცესში. მოცემული

სამხედრო სიტუაცია ომის პერიოდში ისევე როგორც სტრატეგიული და ტაქტიკური იდეები და ზეწოლა, რომელიც მოდიოდა „ფიურერისაგან“ (წინამძღოლისაგან), ხშირ შემთხვევაში ასრულებდნენ გადამწყვეტ როლს.

1945 წლის 3 აპრილს ამერიკელმა ქვეითებმა დაიკავეს ქალაქ ზულის გარკვეული ტერიტორია. ჰუგო შმაისერი და მისი ძმა ამერიკელი და ბრიტანელი საიდუმლო აგენტების მიერ კვირების განმავლობაში მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

1945 წლის ივნისის ბოლოს ამერიკელებმა დატოვეს ტურინგენის მიდამოები და წითელმა არმიამ ჩაანაცვლა ისინი. იმავე წლის აგვისტოში მოხდა 50 ერთეული განდეტალებული STG – 44 (Sturmgewehr-44)-ის სპეციალურ ინსტრუქციასთან ერთად საბჭოთა კავშირისათვის გაგზავნა. იქ კი უნდა გახორციელებულიყო მისი დამუშავება და მსგავსი სტრუქტურული პრინციპით ანალოგიური შაშხანის აგება. ოქტომბერში ჰუგომ მუშაობა დაიწყო წითელი არმიის ეგრეთწოდებულ დროებით ტექნიკურ კომისიაში. ამ კომისიის მთავარი მიზანი გახლდათ თანამედროვე გერმანული იარაღების ტექნიკური მონაცემების დადგენა. რაც ყველაზე საინტერესოა ჰუგო შმაისერი 1946 წლის 24 ოქტომბერს სპეციალური რეისით გაემგზავრა რუსეთში, კერძოდ იჟევსკში, სადაც მან 6 წელი დაჰყო. 1952 წლის 9 ივნისს იგი კვლავ დაბრუნდა გერმანიაში. მისი ამ პერიოდში მოღვაწეობა საიდუმლოებითაა მოცული. მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდგომ კონკრეტული პირონებები აღარ მალავენ და მის სახელს უკავშირებენ 50-იან წლების რუსული იარაღების განვითარებას. შესაბამისად ჩნდება კითხვები: რატომ არის მიხეილ კალაშნიკოვის მიერ წარმოებული სისტემა ასეთი უნაკლო?! ვისი დახმარებით ააგო რუსმა კონსტრუქტორმა ავტომატი?! ამაზე პასუხის გაცემა, შესაძლოა თავად მასაც გაუჭირდეს. თუმცა ერთი რამ ცხადია, ყველაფერი ხდება ისე, როგორიც არის ნება ღვთისა. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა.

ჰუგო შმაისერი გარდაიცვალა 1953 წლის 12 სექტემბერს ქალაქ ერფურტში. იგი დიდი პატივით დაკრძალეს მეიარაღეთა ტრადიციულ ადგილას, ტურინგენის ტყესთან ახლოს, ზულში. სწორედ იქ,



Schmeisser-ის ტიპის გასხვავებული ნახევრადვატომატური ვერსიები ტაქტიკური აღჭურვილობით

საიდანაც მან გზა გაიკვალა.

დღესდღეობით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანია ძირითადად აწარმოებს ოდესღაც „კოლტის“ მიერ დაპროექტებულ და შემდგომ განხორციელებულ შაშხანების განსხვავებულ ვერსიებს, იქნება ეს ცივილური (სანადირო, სპორტული) თუ სამხედრო დანიშნულების. გერმანიში გამართულ საერთაშორისო იარაღების გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მათი ახალი ვერსიები. ზოგიერთი მათგანის ხილვაც ინტერნეტში, „შმაისერის“ ვებ-გვერდზე შეუძლებელია მათივე პროფილიდან გამომდინარე. დარბაზში გამოფენილი იყო როგორც სანადირო, გრძელ ლულიანი, შედარებით ტრადიციულ ასპექტში წარმოდგენილი ვერსიები, ისე ტაქტიკური, ათასგვარი დამატებითი აღჭურვილობითა და სხვადასხვა სამიზნე მოწყობილობებით დახუნძლული მოდელები.

კომპანიის წარმომადგენლები თავს იწონებდნენ ერთ-ერთი ტაქტიკური ვერსიით, რომელიც ზუსტი სროლისათვის შეიქმნა და საკმაოდ სქელი, „დაღარული“, უჟანგი ფოლადისაგან დამზადებული ლულით იყო აღჭურვილი. იარაღს პროფილისა და ლულის შესაბამისად შორსმხედველი ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა ჰქონდა ზემოდან, სისტემური კოლოფისა და ტიბჟირის მთლიან სიგრძეზე არსებულ პიკატინის ტიპის ხიდზე დამაგრებული. გარდა ამისა, თვითმტენ, გრძელლულიან შაშხანას ტიბჟირის მარცხენა, მარჯვენა და ქვედა კედლებზეც გაკეთებული ჰქონდა პიკატინის ტიპის ხიდები გარკვეული მოწყობილობების დასამაგრებლად, როგორებიცაა ლაზერი, ფანარი და სხვა მსგავსი დამხმარე საშუალებები. როგორც თავად იარაღის შემქმნელებმა გაგვიმარტეს მისით შესაძლებელი იყო 500 მ დისტანციაზე ეფექტური სროლის გახორციელება და აღნიშნულ დისტანციაზე სასურველი მიზნის დაზიანება. იარაღების ახლოდან, დეტალურად დათვალიერებისას აშკარა იყო რომ დამუშავების ხარისხით „შმაისერის“ შაშხანები შედარებით დაბლა იდგნენ თუნდაც თანამემამულე „ობერლანდ არმისის“ და „ჰეკლერ&კოხის“ მოდელებთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს რომ ამჯერად იწარმოება AR-15 – ების უამრავი განსხვავებული ვერსია. ძირითადად ხდება მათი დამზადება ოთხი განსხვავებული ლულის სიგრძეებით. ხოლო რაც შეეხება სხვა ტექნიკური მონაცემებსა თუ თავად მოდელებს, ამ შემთხვევაში მათი სახელწოდება ზოგჯერ იცვლება ელემენტარული დეტალის შეცვლითაც კი იმავე თუ არა, თითქმის ყოველ მეორე წელს.

2012 წელს გამართულ ერთ-ერთ საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო არა თვითმტენი, არამედ მექანიკური, ცილინდრული ტიპის საკეტით აღჭურვილი შაშხანა. იარაღი ცოტა უჩვეულოდ დიდი მჭიდით იყო აღჭურვილი. საკმაოდ კომფორტული სალოყე კონდახი ეკეთა მოხერხებული სალოყე ბალიშითა და მხარზე საყრდენით. ლულაზე დამაგრებული ჰქონდა მაყუჩი და პიკატინის ტიპის სამიზნე ხიდზე შორსმხედველი ტაქტიკური სამიზნე მოწყობილობა. შაშხანა ბევრის ყურადღებას იპყრობდა თუმცა მისი დამუშავების ხარისხი, როგორ უკვე აღვნიშნეთ ალბათ ნაკლებად შეესაბამებოდა უნიჭიერესი კონსტრუქტორის ჰუგო შმაისერის სახელს.



Schmeisser AR15 სქელი და დაღარული ლულით





არასერიული, ხელნაკეთი გრავირებების მქონე Sauer 202-ები, რომელთაგან ზედა (იგივე უჭირავს წიგნის ავტორს ხელში) Take down ვერსიაა და მისი შუაზე გაყოფა ახლა მარტივად ხორციელდება

გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ძველი იარაღების მწარმოებელი გახლავთ 1751 წელს დაარსებული „Sauer&Sohn“. შექმნიდან დღემდე კომპანიამ უამრავ ქარ-ცეცხლში განვლო და ბევრი ჭირ-ვარამი გადაიტანა. მე-20 საუკუნის შუა წლებში განსაკუთრებით დიდი ზიანი ფირმას მეორე მსოფლიო ომმა მოუტანა. მაგრამ როგორც გერმანელებს სჩვევიათ, მოკლე დროში მათ მოახერხეს არა მარტო ფეხზე წამოდგომა, არამედ მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთი საუკეთესო და წამყვანი როლის შეთვისება. ამის დასტური ჩვენ XXI საუკუნის დასაწყისში, გერმანიაში – ქალაქ ნიურნბერგში და ამერიკაში – ლას ვეგასში გამართულ გამოფენებზე მივიღეთ. სადაც კომპანია J.P. Sauer&Sohn GMBH-ს იდეალური პროდუქცია ჰქონდა წარმოდგენილი.

ბოლო წლებში ზაუერის ჯგუფმა შაშხანების – 202-ისა და 303-ის სერიების ახალი, განსხვავებული ორიგინალური ვერსიები შემატა ბაზარს. ესენი იყვნენ როგორც ხელოვნური-სინთეტიკური მასალისაგან დამზადებული Sauer 202 – XT-Line ვერსიები, აგრეთვე ხის, ძვირფასი გრავირებით წარმოდგენილი ხელნაკეთი მოდელები. მათ მოხატვასა და ხის დამუშავებაზე სხვადასხვა გამოცდილ ოსტატებთან ერთად 28 წლის ახალგაზრდა დიზაინერი, ქალბატონი კეტრინ გრაინერ ჰაასი მუშაობდა. როგორც კომპანიის მმართველმა ბატონმა მათიას კლოტცმა განგვიმარტა ახალგაზრდა გერმანელი მხატვარი ქალი 2000-2003 წლებში სწავლობდა და დაამთავრა ზულის გრავირებისა და ლულების ოსტატთა სკოლა. გამოცდილი, პროფესიონალი გერმანელები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ერთ-ერთ გამოფენაზე კომპანიის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელთა საჩვენებლად კეტრინი წამოსულიც იყო და ნიმუშის სახით ხატავდა 202-ის სისტემურ ბუდეზე.

1984 წელს შეიქმნა სრულიად განსხვავებული და იმ დროისათვის უახლესი პრიცნიპის მქონე ცილინდრული ტიპის, წრფივად მოძრავ საკეტიანი იარაღი, სახელწოდებით Sauer-200. სწორედ მის გამგრძელებლად მოისაზრება ჩვენს მიერ განხილვადი მოდელი Sauer-202 Classic. ის პირველად გერმანული კომპანიის წარმომადგენლებმა გამოფენაზე 1993 წელს წარადგინეს. მეორე ვერსია, მისი გაუმჯობესებული ვარიანტი კი გახლავთ Sauer-202 TakeDown, რომელიც 2003 წელს შეიქმნა და იმავე წელს წარმოადგინეს ფართო საზოგადოების წინაშე.

Sauer-202-ის სისტემური კოლოფი მზადდება ერთიანი, მასიური, ლეგირებული – ნაწრთობი რკინისაგან, ზოგ შემთხვევაში კი ერგალისაგან. დაახლოებით 100 განსხვავებული CNC სტრიალებელი/საპრესი ცენტრები მუშაობენ 6,2 კილოგრამი წონის ფოლადის ბლოკების დასამუშავებლად. დამზადების ხარისხი და სიზუსტე იმდენადაა დაცული რომ მანქანების მიერ გაკეთებული 735 გრამიანი სისტემური კოლოფები ზუსტად ერთი და იგივე ზომის, წონის და ფორმისაა. მას შემდგომ რაც მანქანა დანადგარი თავის სამუშაოს შეასრულებს, ხდება ზემოთხსენებული დეტალების ხელით მოპირკეთება, რათა აღმოფხვრილ იქნას მცირეოდენი წუნი ან უზუსტობა. ძირითადად კი ოსტატის ჩარევა უფრო იმისთვისაა საჭირო, რათა მოხდეს სისტემური ბუდის დანარჩენ დეტალებთან მორგება-სეთავსება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალტერნატიული ვერსიაც არსებობს, რომელიც შედგება მყარი ალუმინისაგან, იგივე ერგალისაგან და ორიგინალ ვერსიაზე თითქმის 500 გრ-ით მსუბუქია. მიუხედავად ამისა, მონადირეთა უმრავლესობა მაინც რკინის ვერსიას ანიჭებს უპირატესობას. გერმანულმა ლეგენდარულმა მწარმოებელმა თა-



Sauer 202-ის განსხვავებული ვერსიები

www.caravani.ge

მამად შეიძლება იამაყოს, რადგანაც Sauer – ი იმ იშვიათ მეიარაღეთა ჯგუფს განეკუთვნება, რომლებიც შაშხანების სისტემურ კოლოფებს ქმნიან ყოველგვარი ბალანსის დარღვევის გარეშე. იქნება ეს კრინის მასიური ბლოკისაგან დამზადებული თუ მყარი ალუმინისაგან ნაწრთობი ბუდე. შაშხანის ხელში აღებისას და გასინჯვისას წონა სტანდარტულად, ზუსტად სიმძიმის წერტილში მერყეობს.

შაშხანის ლულა ყოველთვის სპეციალური რკინისაგან მზადდება, რომლის იდეალური ფორმულაც Sauer-მა Krupp-თან ერთად დიდი ხნის წინ შეიმუშავა. მოპირკეთების შემდგომ ხდება ხვრელის გაკეთება, რომელიც ხრახნის გაჭრამდე პრიალდება და მუშავდება სპეციალური მეთოდებით. ამის შემდგომ ლულა ინაცვლებს სამჭედლო განყოფილებაში. ჭედვა დღესდღეობით ყველაზე საიმედო და სტაბილური მეთოდით ხდება. ეს გახლავთ ცივად ჭედვა. გამჭრელ-მპრესავ დანადგარს გააჩნია სპეციფიკური ფორმის 3 ან მეტი უმაღლესი სიმყარის ფოლადის „კბილი – ჩაქუჩი“, რომელიც დამუშავებისას 120 ტონის თანაფარდობის დარტყმას აყენებს ლულას. ამ პროცედურის მიმდინარეობის პერიოდში ლულა იმყოფება ვაკუუმში. სივრცეში სადაც ხდება მისი დამუშავება, უჰაერობაა და შიგნით, პროცედურის მიმდინარეობის ოთახში ჟანგბადის მოლეკულები და ატომები ფაქტიურად განდევნილია. ეს აადვილებს მუშაობის პროცესს და ხელს უწყობს მყარად და სტაბილურად წრთობას. მანამადე, სანამ „ჩაქუჩი“ თავისი საქმის განხორციელებას შეუდგება ხვრელში იდგმება ასევე უმაღლესი სიმყარის მეტალის ჯოხი, რომელზეც ხდება ლულის დაპრესვა და ცივად ჭედვა. პროცედურა ძირითადათ იწყება სავაზნიდან და მთავრდება ლულის ბოლოში, სანათურთან. (ზოგიერთი კალიბრისათვის თვითონ სავაზნეც ცივად იჭედება). პროცედურის დასრულების შემდგომ ხდება 1/1000-დან 1/100 მილიმეტრი სიზუსტით მეტალის გაჭრის შედეგად კრისტალური მესერისაგან მიღებული უზუსტობების მოპირკეთება და ფოლადის გაპრიალება. შემდგომ საქმე ინაცვლებს დღესდღეობით ქარხნის ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და ნიჭიერ ოსტატთან, კარსტენ დანიელსთან, რომელიც აწარმოებს ლულებისა და სხვა ლითონის დეტალების კოროზიისა და ჟანგის საწინააღმდეგო საშუალებებით დაფარვას, მათ გაპრიალებას – პოლირებას



და საბოლოო ეტაპამდე მიყვანას. იარაღს სასხლეტის დამცველი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძალზედ პრაქტიკულ ადგილზე, მოსახერხებელ პოზიციაში აქვს გაკეთებული. ფისტოლეტისებრი ხელსაკიდის თავში, სისტემური კოლოფისა და კონდახის ყელის შემაერთებელ ადგილთან განთავსებულ ღილაკზე ცერა თითის დაჭერა იოლად და სწრაფად ხორციელდება. მოქმედების შედეგად იარაღი დადგება დაცვაზე. ამის შემდგომ იმავე ღილაკით კვლავ საცეცხლე პოზიციაში მოყვანა შეუძლებელია, მაგრამ ზაუერმა უფრო პრაქტიკული გზა მონახა ამისათვის. სასხლეტის წინ, მისსავე ბუდეში განთავსებულია მეორე ღილაკი. მასზე თითის დაჭერისას (მაღლა აწევისას) უკვე შესაძლებელია სროლის წარმოება. აღსანიშნავია რომ ამ დროს უკან და მაღლა განთავსებული პირველი ღილაკი კვლავ საწყის პოზიციას უბრუნდება და ხელმეორედაც შესაძლებელია შაშხანის დაცვაზე დაყენება. ფაქტიურად ზემოთხსენებული გარემოების საფუძველზე კომპანია „ზაუერი“ გვთავაზობს მაქსიმალურად კომფორტულ გარემოებას იდეალური, ზუსტი და ეფექტური სროლის განსახორციელებლად.



Sauer 202 ხელნაკეთი გრავირებით

www.caravani.ge



ხის დამუშავება საკონდახე მასალად ქარხანაშიც ხორციელდება რომლის გაშრობის 3 ძირითადი და გავრცელებული მეთოდი არსებობს. პირველია ფიზიკის განვითარებისა და შესწავლის-სესაბამისი დანადგარების განვითარების შედეგად ბოლო პერიოდში აღმოჩენილი საშუალება კაკლის გაშრობისა. ხე თავსდება დახურულ თერმო ზონაში და ვაკუუმის წესით იქიდან გამოიდევნება ჰაერი – ჟანგბადის მოლეკულები და ატომები. ჰაერთან ერთად გაშრობისას რა თქმა უნდა არსებობს წყალი. შესაბამისად პროცესი ვაკუმური სივრცის შექმნისა მეორდება გარკვეული დროის გასვლის შემდგომ რამოდენიმეჯერ. ეს მაშინ ხდება, როდესაც კაკალი თანდათანობით შრება და თავად გამოყობს ხელახლა წყალს. ეს ყოველივე აჩქარებს გაშრობის პროცედურას.

მეორე ხერხია ვენტილაციის მსგავსი დახურული ზონა, სადაც უბრალოდ ხდება ხის განიავება და ხორციელდება გაშრობა. ამ ხერხით, ისევე როგორც პირველი მეთოდით, შრობის პროცედურა სტანდარტულზე, ანუ ბუნებრივზე უფრო ადრე ხორციელდება.

მესამე წესი კი გახლავთ ის მეთოდი, რომელსაც უპირატესობას ანიჭებენ გამოცდილი ევროპელი თუ სხვა ქვეყნის იარაღთმწარმოებლები. ესაა ბუნებრივი გაშრობის მეთოდი, რომელიც მინიმუმ 3 წელი, სამოთხჯერ უფრო დიდხანს გრძელდება ზემოთ ჩამოთვლილ ორ მეთოდთან შედარებით. შესაბამისად რთული მისახვედრი არაა, რომ „ზაუერის“, „მერკელის“, „ბლაზერისა“ და სხვა მსგავსი გერმანული კომპანიების მეკონდახეებიც მესამე მეთოდით იხელმძღვანელებენ.

გაშრობის შემდგომ, როდესაც უკვე იწყება კონდახის გამოჭრა, მასალა იდება სპეციალურ CNC საჭრელ მანქანაში. გარედან ხდება ოსტატის მიერ კომპიუტერის საშუალებით მანქანისადმი ბრძანების მიცემა, რაც გულისხმობს კონკრეტული ზომისა და ფორმის კონდახის გამოჭრას. დასრულების შემდგომ ხდება მისი ხელით მორგება იარაღზე და თუ საჭიროება მოითხოვს, ოსტატი თავად ჭრის ან უბრალოდ ასწორებს გარკვეულ ხაზებსა თუ ფორმებს.

იარაღის აწყობისას მასში იდგმება ცილინდრული ტიპის, წრფივად მოძრავი საკეტი მექანიზმი 6 წახნაგოვანი თავით. გახსნისას ის 60°-ით იღება და გადატენვის პროცესში უხეშად რომ ვთქვათ „კარაქივით“ რბილად სრიალებს სისტემის ზედაპირზე. დახურვისას აღნიშნული ექვსი წახნაგი ჯდება-იკეტება სპეციალურად მისთვის გაჭრილ სივრცეებში-ჭრილებში, რომლებიც ზუსტად სავაზნის დასაწყისში მთავრდებიან. გასროლამდე კიდევ ერ-



Sauer 303 Take down (ნახევრადავტომატური შაშხანა) ხელნაკეთი გრავირებებით



Sauer 202 Take down-ის დაშლა ლულისქვეშა კონდახის (ტიბჟირის) თავში განთავსებულ ღილაკზე დაჭერით იწყება



Sauer 202 Take Down გახსნილ მდგომარეობაში

თხელ მოწმდება თითოეული კომპონენტი, რათა არ გაეპაროთ რაიმე წუნი. შემდგომ კი 100 მეტრ დისტანციაზე ხორციელდება სროლის წარმოება.

ვაზნებს გერმანელები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი ძირითადათ RUAG-ის ჯგუფის წევრებისაგან წარმოებულ ვაზნებს, RWS, NORMA-სა და GECO-ს მოდელებს ისვრიან. სროლისას სპეციალისტები იყენებენ ადამიანის შესაძლებლობების მაქსიმუმს რათა მოხდეს სამიზნე მოწყობილობის ზუსტად გასწორება.

საბოლოოდ, მანამადე სანამ შაშხანა ტყავის ძვირფას ყუთში ჩაიდება და გასაყიდად გამზადდება, კიდევ ერთხელ ხდება იარაღის სრულყოფილი შემოწმება. შემდგომ კი იდება შალითაში, მერე მუყაოს ყუთში და ელოდება მომავალ ბედნიერ მფლობელს.



Sauer 303 Take Down

წიგნში განხილული 202 სერიის შაშხანებში სხვაობა ერთის შეხედვით მცირეა. 1993 წელს წარმოდგენილი ვერსია უფრო მარტივია. გამოცდილი და ხნიერი მონადირეებიც უფრო მეტად მას ანიჭებენ უპირატესობას. მისი გაუმჯობესებული ვერსია Sauer 202 Take Down კი ერთის მხრივ გამარტივებული, მეორეს მხრივ კი უფრო გართულებულია გარკვეულწილად. მას დამატებული აქვს სწრაფად დაშლის ფუნქცია. თუ ლულისქვეშა კონდახის ბოლოში განთავსებულ ღილაკს (რომელსაც ქამრის საკიდის ფუნქციაც აკისრია) დავაწვებით, კონდახი ფაქტიურად გაიყოფა შუაზე, განცალკევება მოხდება დაახლოებით სავაზნის პერიმეტრში, ტიბჟირის უკანა ნაწილთან. ის შაშხანის დარჩენილ ნაწილს უერთდება 2 მასიური რკინის ცილინდრისებრი ჯოხით. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ცენტრშია განთავსებული თავზე აქვს ბურთულა-ზამბარისებრი 6 ჩამკეტი, რომელიც შეერთებისას სპეციალურად მათთვის გაჭრილ სივრცეებში ჯდება. ეს ყოველივე ეხმარება იარაღს იყოს მყარი და სტაბილური. Sauer 202 Take Down-ის უშუალოდ პრაქტიკაში ხილვა და მისი უმთავრესი ფუნქციის, სრაფად და იოლად დაშლის იდეაფიქსის გაგება თავად კომპანიის მუშახელის დახმარებით შევძელით ერთ-ერთ საერთაშორისო გამოფენაზე, ზაუერის სამშობლოში, გერმანიაში. იულიან ვენგენმანი შეეცადა Sauer 202 TAKE DOWN TD-F – ით ეჩვენებინა ჩვენთვის აღნიშნული იარაღის უპირატესობები. 9,3x62 მმ-ის ყალიბით აღჭურვილი შაშხანა 51 სმ ლულით იყო დაკომპლექტებული, ბავარიული ტიპის – აგებულების კონდახი ჰქონდა დამაგრებული, რომელიც მე-3 კატეგორიის კაკლისაგან იყო დამზადებული. მისი საგამოფენო ფასი ზუსტად 4.625 ევროს შეადგენდა. მათი განმარტებით შევიტყვეთ ისიც, რომ შაშხანის დაშლა აწყობისას საერთოდ არაა საჭირო სასინჯი სროლის გაკეთება სიზუსტის შესამოწმებლად. ეს ისედაც 100%-ით გარანტირებულია. არსი კი ზემოთხსენებული, სწრაფად და იოლად დამშლელი ფუნქციისა ის გახლავთ, რომ ტიბჟირისა და ლულის მოხსნის შემდგომ იარაღი სულ რაღაც 70 სმ სიგანის ჩასადებში ეტევა. შესაბამისად მისი ტრანსპორტირება საკმაოდ მოხერხებულია და რაც მთავარია აწყობისას შიშველი ხელებითაც მარტივად შესაძლებელია ამ პროცედურის განხორციელება. ანუ, გამოდის რომ, ამისათვის არავითარი დამატებითი ხელსაწყოს წაღება არაა საჭირო. შესაბამისად მფლობელი ბევრად უფრო მარტივად შეძლებს სადმე გადაადგილებას. ამავდროულად არც იმაზე მოუწევს ფიქრი და ზრუნვა, რომ რამე აუცილებელი, საჭირო ნივთი არ დარჩეს სახლში, რომლის გარეშეც ძალზედ მნიშვნელოვან – მისთვის სასურველ პროცედურას ვერ შეასრულებს. შაშხანაზე ყალიბის – ლულის შეცვლა ან ორი, განსხვავებული კალიბრის ლულებიანი შაშხანის ყიდვაც მარტივადაა შესაძლებელი, რა თქმა უნდა ასეთი სურვილის ქონის შემთხვევაში. ეს ყოველივე, ალბათ, უფრო დადებით მხარედ აღიქმება, ვიდრე უარყოფითად. თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ ზოგიერთ გამოცდილ მონადირეს არ მოსწონს მსგავსი დამატებითი ფუნქციები და ურჩევნია სტანდარტული, მისთვს უკვე კარგად ცნობილი და ნასინჯი ვერსია იქონიოს ნადირობისას, რათა ინსტიქტურად თავში გაელვებულ შიშისმომგვრელ ან უბრალოდ არაობიექტურ აზრებს მისთვის უფრო „სტაბილური“ მექანიზმის შესახებ არსებული თეორია დაახვედროს წინ.



Sauer 202-ის არასერიული მოდელი ხელნაკეთი გრავირებებით, რომელიც შეიქმნა სპეციალურად გერმანიის საერთაშორისო გამოფენისათვის – IWA Messe.

გერმანულმა მხარემ ასევე გვაჩვენა იგივე ტიპის მოდელები, რომლებიც ბევრად უფრო ძვირფასი კონდახებით იყვნენ აღჭურვილნი, ვიდრე ზემოთხსენებული ვერსიაა. მათი ფოლადის თითქმის ყველა კუთხე კუნჭული მთლიანად მოხატული იყო. ერთ-ერთი, Sauer 202 TAKE DOWN FULL SCROLL, გერმანელთათვის საყვარელი ყალიბით, 8x57 IS – ით იყო აღჭურვილი. მასზე გაკეთებული გრავირება Michaela Oke-ს მიერ იყო შესრულებული. იარაღის საგამოფენო ფასი 19.492 ევროს შეადგენდა.

თავად 2012 წლის ნიურნბერგის საერთაშორისო იარაღების გამოფენის კომპლექსის შესასვლელსა და მთლიანად „ზაუერის“ სადახლო სისტემას ამშვენებდა საიუბილეო მოდელი, რომელიც 2012 წელს პირველად შეიქმნა და ალბათ მისი ანალოგი ვერსია არასდროს გაკეთდება. ამ შესანიშნავი მოდელის უკანა, ღია ხედვის სამიზნე მოწყობილობა თითქმის ლულის ნახევარს ფარავდა. მას ძველებური, რომაული სტილის ციხე-სიმაგრის ფორმა ჰქონდა მიცემული. სამიზნე ხიდის უკანა მხარესაც ძველებური შედარებით შემაღლებული, ციხე სიმარგის მსგავსი კოშკი ჰქონდა გაკეთებული. კონდახის ფორმა და მისი დამუშავებაც ძველ რომს მოგვაგონებდა. თავად იარაღის დანარჩენი ფოლადის დეტალები იმავე სტილში იყო მოხატული. ზოგადად ზემოთხსენებული უკანა სამიზნე მოწყობილობა წინა სამიზნესთან ერთად ჩინებულად ასრულებს თავისზე დაკისრებულ ფუნქციას. იარაღი ცალკე დახლზე იყო განთავსებული და სიმბოლურად მის ქვეშ ლომის პატარა ქანდაკება იდგა. აქეთ იქიდან კი გლადიატორის ფორმაში გამოწყობილი „ცოცხალი“ გერმანელები უმშვენებდნენ გვერდს.



Sauer 303 Classic

მწარმოებელი:	J.P. Sauer&Sohn Gmbh
წარმოშობის ქვეყანა:	გერმანია
მოდელი:	Sauer 303 Classic
წარმოების წელი:	2006
სისტემა:	თვითმტენი/გაზებითმტენი
ყალიბი:	300 Win.Mag
ლულის სიგრძე: (სმ)	51;
მთლიანი სიგრძე (სმ)	106,5;
კონდახი (ტიბჟირი):	2 კლასის კაკალი – მონტეკარლო
კონდახის სიგრძე (სმ)	35,5;
მიახლოებითი ფასი: (EU)	2300;
მჭიდის ტევადობა	3
სასხლეტზე ზემოქ. წონა:	1300-1500 გრ. / 13-15 N
იარაღის წონა (კგ)	3,25 – დან

Sauer 303 Classic -Merkel SR1 Standart

2006 წელს გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა კომპანია J.P. Sauer&Sohn GMBH-ის მიერ იარაღები, რომელთაგანაც სრულიად ახალი „ხილი“ და გერმანული მწარმოებლისათვის არადამახასიათებელი, ნახევრადავტომატური სანადირო შაშხანა Sauer-303 იყო. მისი უჩვეულობა და ორიგინალურობა გამოხატულ იქნა ორი მთავარი და ძალზედ საინტერესო ფაქტორის და გამო, რამეთუ იგი პირველად იქნა წარდგენილი საზოგადოებისათვის ასეთ ფართო სპექტრში და ის ამავდროულად გახლდათ მივიწყებული და კვლავ აღდგენილი სანადირო, სერიული, თვითმტენი – ნახევრადავტომატური შაშხანა.

2010-2012 წლებში, ნიურნბერგისა და ლას ვეგასის საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი „303“-ის მოდელების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შედეგი აშკარად გაუმჯობესებულია. წინსვლა გამოიხატება საკეტი – დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმის დახვეწაში. უკვე 2009



Sauer 303 ხელნაკეთი გრავირებებით

წლიდან კომპანია საკეტი მექანიზმის თავს აწარმოებს 4-ის ნაცვლად 6 წახნაგით, რომლებიც დაკეტვისას ჯდებიან ლულის დასაწყისში, სავაზნეში არსებულ, სპეციალურად მათთვის გაკეთებულ ჭრილებში. ეს ყოველივე ამყარებს სტაბილურობის თეორიას და უფრო საიმედოს ხდის ჩაკეტვასა თუ გამართულად მუშაობის ფაქტორს. აგრეთვე აღსანიშნავია რომ გაღებისას თავი იხსნება არა 90, არამედ 60 გრადუსით და მოძრაობისას გაივლის უშუალოდ მჭიდის ზედაპირს. ამით გამოირიცხა ვაზნის გაჭედვის ან არასწორედ მიწოდების ალბათობა. საბოლოო ჯამში მიღებულ იქნა იდეალური შედეგი. თვითმწმენდი გაზებით მტენი სისტემით აღჭურვილი „303“ თავისზე დაკისრებულ მოვალეობას 48 მილიწამში ასრულებს.

ბალისტიკური მაჩვენებლები Sauer 303-ის ტყეში, მოძრავ სამიზნეზე ნადირობისას 300 Win. Mag.-ისა და 9,3x62 ვაზნებით დამაიმედებელ, კონკრეტულ ვითარებაში ოპტიმალურ შედეგს იძლევა. გერმანული მწარმოებლების, RWS-ის ვაზნების გასროლისას ზემოთხსენებული, 300 Win. Mag.-ისა კალიბრით 51 სმ-ი ლულიდან გამოტყორცნილი 10,7 გრამიანი ტყვიის სიჩქარის დანაკარგი მცირდება და 5,6-დან 6,9% – მდე მერყეობს. უნდა აღინიშნოს რომ შედარებით უფრო გრძელი ლულით პროცენტული მაჩვენებელი მსგავს სისტემებზე შედარებით უფრო დიდი იქნება.

იარაღის სისტემური კოლოფი მთლიანად მყარი ალუმინისაგანაა შექმნილი. მექანიზმში განთავსებულია ნემსის ეგრეთწოდებული დამცველი, რომელიც ეხმარება სისტემას მაშინაც, თუ საკეტი 100%-ით არაა მოქმედებაში მოყვანილი. შაშხანის სასხლეტის მოძრაობის მანძილი იდეალურადაა გათვლილი ღორზე ან სხვა მსხვილფეხა ცხოველებზე სანადიროდ. დრო და სიგრძე თითის დადებიდან გამოკვრის დასრულებამდე ოსტატების მაქსიმალური შესაძლებლობების გამოყენებით მინიმუმამდეა დაყვანილი. 1300 გრამი ზეწოლის ხარჯზე გასროლის წარმოება სასხლეტზე თითის გამოკვრისას სისტემაში არსებული ყოველგვარი დამაბრკოლებელი ფაქტორების გარეშე ხორციელდება. გაზებით მტენი სისტემა პრაქტიკულადაა განთავსებული და ხელს არ უშლის ლულის წინა მეორედის თავისუფალ რხევას. აგრეთვე აქტიურია თვითწმენდა, ანუ ჭარბი გაზები გამოედიანებიან იარაღიდან გარეთ. კონკრეტული, აუცილებელი ნაწილი კი ხმარდება გადატენვის პროცედურის განხორციელებას.

ღია ხედვის სამიზნე მოწყობილობა სტანდარტულად ორი კომპონენტისაგან შედგება. ერთია ყვითელი ფერის სამკუთხა ფირფიტა, რომელიც განთავსებულია ლულის შუაში, სამიზნე ხიდზე. მეორე კი გახლავთ წითელი ფერის მოგძო ტრიტიუმის ჩხირი, რომელიც ლულის ტუჩთან, მის ბოლოში მდებარეობს. ერთობლიობაში იქმნება შესანიშნავი შესაძლებლობა ეფექტურად დამიზნებისა და ზუსტი სროლის განხორციელების.

Sauer 303-ის დამცველი ღილაკი მისი ძმობილი „202“-ვით მოხერხებულ ადგილზე, კონდახის ყელის ზედა მხარეს, სისტემური კოლოფის თავშია განთავსებული. იმ განსხვავებით რომ მასზე ცერა თითის დაჭერით ხორციელდება როგორც დაცვაზე დაყენება, ისე დაცვიდან მოხსნა და არ გვიხდება განმუხტველის სასხლეტის ბუდეში ძებნა ზემოთ-ქვემოთ. ზოლზე მოძრავ დამცველს შუაში პატარა ზამბარისებრი ღილაკი აქვს. მასზე დაჭერისას ყოველგვარი ხმაურისა და შემაფერხებელი ფაქტორების გარეშე დამცველი შეგვიძლია ავწიოთ ზევით. ამ შემთხვევაში გამოჩნდება წითელი ფერის გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც მიგვითითებს რომ შაშხანა იმყოფება საცეცხლე პოზიციაში და შესაძლებელია უკვე სროლის წარმოება. სურვილის შემთხვევაში ხორციელდება აღნიშნულ პატარა ღილაკზე თითის დაჭერით დამცველის კვლავ უკან ჩამოწევა და იარაღის დაცვაზე დაყენება.

საკეტი მექანიზმის დამშვები ღილაკი სისტემური კოლოფის ქვედა მხარეს, მის შუა პერიმეტრში, იარაღის მარჯვენა კედელზეა განთავსებული. თავად საკეტი მექანიზმი სპეციალურ ბუდეში ზის, რომელიც გადატანვისას მასთან ერთად მოძრაობს და იცავს დაბინძურებისაგან. კომპანია Sauer-




Sauer 303-პოლიმერის კონდახით

ის კონსულტანტმა, ბატონმა ფლორიანმა „303“-ის ერთ-ერთ უბრალო, სინთეტიკური მასალის კონდახით აღჭურვილ ვერსიაზე გარკვევით აგვიხსნა, გვაჩვენა და სრულყოფილად დაგვიხასიათა შაშხანის საკეტი მექანიზმის თავისუბერებები. იმ დროს მოპოვებულ ფოტომასალაზე პროფესიონალური გადასახედიდან კარგად ჩანს Sauer 303-ის სისტემის დადებითი მხარეები.

თვითმტენი შაშხანის მოყვარულები საკუთარ არჩევანს საკმაოდ ლოგიკურად და საზრიანად ხსნიან ხოლმე. ისინი ამბობენ რომ დაახლოებით ერთი და იგივე მონაცემების მქონე არათვითმტენ შაშხანებსა და ნახევრადავტომატურებს შორის სიზუსტეში განსხვავება იმდენად მცირეა, რომ პრაქტიკაში, მოძრავ ცხოველზე ტყეში ნადირობისას თითქმის არავითარ სხვაობას არ იძლევა მათ მიერ ნასროლები და ორივე ტიპის იარაღით ანალოგიურადაა შესაძლებელი მიზანში მორტყმა. თუ, რა თქმა უნდა თვითმტენი სისტემა და სხვა დანარჩენი ხელშემწყობი კომპონენტები გამართულად და უნაკლოდ მუშაობენ. აგრეთვე იმასაც ამბობენ, რომ ნადირობისას ხელით, ანუ მექანიკურად გადატენვა დროულად, ზოგჯერ შეუძლებელია. იქნება ეს წრფივად თუ სიგრძივ მოძრავ საკეტიანი შაშხანა ან სხვა ტიპის ცილინდრული – მექანიკურ საკეტიანი იარაღი. ეს მოსაზრება რა თქმა უნდა რეალობასთან ძალიან ახლოსაა. პირველ რიგში „303“-ის მსგავსი სანადირო, ნახევრავტომატური შაშხანით, რომელსაც სტანდარტულად მოკლე ლულა აქვს და ზემოდან 1 – 4 გადიდების ოპტიკური სამიზნე უყენია, მოძრავ ცხოველზე ნადირობა ძლაზედ პრაქტიკულია იარაღის აგებულებიდან და წონიდან გამომდინარე. ამავდროულად ბევრად იოლი, სწრაფი და ეფექტურია თვითმტენი სისტემის ხარჯზე. ანუ ამით უკვე იგულისხმება, რომ როდესაც ნადირზე გვიხდება მეორე ვაზნის სროლა, მაგალითად იმ შემთხვევაში თუ ის დაჭრილია, აუცილებელია მეორე, მაქსიმალურად ზუსტი და ამავდროულად დროული გასროლის განხორციელება, რათა ცხოველი მოინადირო ადგილზე და არ წავიდეს დაჭრილი სხვაგან. აგრეთვე გვხვდება სხვა შემთხვევებიც, როდესაც მონადირე უხეშად რომ ვთქვათ ნატრობს თვითმტენი სისტემის ქონას იმ კონკრეტულ ვითარებაში. ასეთი შემთხვევები კი გამოცდილ მონადირეებს მრავლად აქვთ.

ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას „ზაუერ 303“-ის შემთხვევაში ის განაპირობებს, რომ შაშხანას 48 მილისეკუნდის განმავლობაში მეორე ვაზნის გასროლა ძალულს. მსგავსი რამ შესაძლოა ბევრმა იარაღმა გაიკეთოს, მაგრამ ზაუერივით ზუსტად ვერ მოარტყმას მიზანში. ამ შემთხვევაში კი იარაღის დამზადებისას ეს ყველაფერი გათვლილია. შაშხანის ბალანსი, წონა, სამიზნე მოწყობილობა, ლულის სტრუქტურული აგებულება, გაზებით მტენი სისტემა და კონდახიც ისეა ერთმანეთთან შეთავსებული, რომ მეორე გასროლის წარმოებისას ბალისტიკური შედეგი ფაქტიურად უტოლდება პირველ გასროლას. აგრეთვე ანალოგიური შესრულების ხარისხი და უზადოდ დახვეწილი სამუშაო ტექნიკა ახასიათებს მის კონკურენტ, გაზების პრინციპზე აგებულ, თვითმტენ შაშხანას Merkel-SR1-ის.

Merkel SR1

2006-ში, სწორედ იმავე წელს, როდესაც კომპანია „ზაუერმა“ წარმოებაში ჩაუშვა მოდელიSauer-303, პირველმა Merkel-SR1-ც დატოვა საწყობი და შესაბამისად დაიწყო მისი სერიული გაყიდვებიც. ამით განხორციელებულ იქნა კომპანია Merkel Jagd und Sportwaffen GMBH-


Merkel SR-1
standart

მწარმოებელი:	Merkel Jagd und Sportwaffen GMBH
წარმოშობის ქვეყანა:	გერმანია
მოდელი:	Merkel SR-1 Standart
წარმოების წელი:	2006
სისტემა:	თვითმტენი/გაზებითმტენი
ყალიბი:	300 Win.Mag
ლულისსიგრძე: (სმ)	51;
მთლიანი სიგრძე (სმ)	107;
კონდახი (ტიბჟირი):	3 კლასის კაკალი
იარაღის წონა: (კგ)	3,2;
მიახლოებითი ფასი: (EU)	1700;
მჭიდის ტევადობა	2 – 5 ვაზნა


Sauer 303-ის დამცველი ღილაკი


Sauer 303-ის მჭიდის მომხსნელი ღილაკი

ის მიერ წლების განმავლობაში დაგეგმილი პროექტი „ნახევრადავტომატი“. თვითმტენი შაშხანის შექმნაში „მერკელმა“ უფრო მეტი ენერგია, დრო და ფული დახარჯა, ვიდრე ეს მისმა თანამემამულე კონკურენტმა „ზაუერმა“. იგი არ დასჯერდა საკუთარ კონსტრუქტორებს და ნახევრადავტომატური სისტემის სპეციალისტებთან, პროფესიონალ ოსტატებთან ერთად დიზაინერებსაც უხმო სხვადასხვა მეგობარი კომპანიებიდან, რათა მაქსიმალურად სრულყოფილი ყოფილიყო მათ მიერ შექმნილი შაშხანა. შეიძლება ითქვას რომ ეს გამოუვიდათ კიდეც. ბევრი კრიტიკოსისა და გამოცდილი მეიარაღის აზრით შაშხანა არა მარტო „ზაუერის“ თვითმტენ ვერსიას, არამედ ნებისმიერ ნახევრადავტომატურ სანადირო შაშხანას სჯობს დღესდღეობით ძალიან ბევრი კრიტერიუმების გათვალისწინებით. თუმცა მაინც უნდა ითქვას რომ სტანდარტული „ზაუერი“ მასზე დაახლოებით 500 ევროთი ძვირია. „მერკელი“ კი ამას სათავისოდ იყენებს და ამბობს რომ იმავე დონის შაშხანას აწარმოებს ბევრად იაფად. ყველზე მეტად SR-1-ის თვისებებში მოხერხებულობასა და ბალისტიკურ მონაცამებს აფასებენ. ეს ორი რამ როდესაც იარაღს ერთად ახასიათებს და ამას ემატება კიდევ სხვა დადებითი მახასიათებლები, როგორიცაა შედარებით დაბალი ფასი, ალბათ აღარავის უჩნდება კითხვა თუ რატომაა „მერკელის“ თვითმტენი შაშხანა ასე პოპულარული და გაყიდვადი ევროპაში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ Sauer 303 ვიზუალურადაც უფრო ტლანქად გამოიყურება SR1-თან შედარებით. ეს ხელში აღებისას და დამიზნებისასაც შეიმჩნევა. იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყვით „მერკელის“ ნახევრადავტომატზე, რომელიც „ორთოპედიული“ სასროლი მოწყობილობასავით გვერგება სხეულზე და მისით მოძრაობა თუ სროლა სიამოვნებას გვრის მსროლელს.

თავდაპირველად, სანამ პირველი SR-1 დატოვებდა ქარხანას, მოხდა 11 განსხვავებული მონაცემების მქონე ვაზნებით თანმიმდევრულად 1500 გასროლის წარმოება. ამ ტესტთან ერთად ჩატარდა სხვა უამრავი ცდები და სინჯები. იარაღის თვითმწმენდი გაზების სისტემა უპრობლემოდ მუშაობდა-25°C. ლულა ერთროულად ბევრი გასროლის შემდგომაც ინარჩუნებდა დადებით ბალისტიკურ მონაცემებს. საბოლოოდ კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების მიერ მოხდა ლიცენზიის დამტკიცება და ზემოთხსენებული იარაღის წარმოებაში ჩაშვება.

შაშხანის დიზაინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მართლაც რომ შესანიშნავადაა მოფიქრებული და რაც მთავარია შემდგომში რეალიზირებული. იარაღის ხელში აღებისას უმალვე იგრძნობა თხელი და კომპაქტური ტიბჟირისა და სისტემური ბუდის დადებითი მხარეები. მხარზე მიყრდნობისას აშკარაა სასხლეტისა და კონდახის ხელსაკიდის მოხერხებული, სასროლად ძალზედ სახარბიელო ურთიერთშესაბამისობა. ამასთანავე ნებისმიერ სერიულ მოდელს მოჰყვება კომპლექტში კონდახის კუთხის (ჰორიზონტალურად – ვერტიკალურად) შემცვლელი ფირფიტები, რომლებიც ამავდროულად აგრძელებენ მას.

Merkel SR1-ს კონკურენტისაგან განსხვავებით მჭიდი გამოღებისას პირდაპირ ძვრება და შეუძლებელია მისი შაშხანაზე მიმაგრება, ისე რომ ჩამოღებისას მთლიანად არ განცალკევდეს მისგან. ეს ფუნქცია კრიტიკოსებისა და პროფესიონალების მოწონებას ნამდვილად არ იმსახურებს და ზოგადად ზაუერის მსგავს სტრუქტურულ აგებულებას უფრო მეტი უპირატესობა ენიჭება. თუმცა SR-1-ს იმდენად მოხერხებულად აქვს თვითონ მჭიდის გამომღები, რომ გამორიცხულია მისი დაკარგვა ან მართებულად გამოღებისას რაიმე შეფერხება. გამომღები – დამჭერი ღილაკი ფაქტიურად წარმოადგენს სასხლეტი მექანიზმის ბუდის ნაწილს და მასზე ზემოქმედება ხორციელდება როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხრიდან.

შაშხანის არასრული დაშლა ძალზედ მარტივია და სპეციალური დამატებითი ხელსაწყოების გარეშე ხორციელდება. ლულისქვეშა კონდახის შუაში განთავსებულ ღილაკზე თითის დაჭერით ვწევთ ტიბჟირს წინ და შემდგომ ვანცალკევებთ მას ლულისაგან. შედეგად გამოჩნდება სპეციალური ფოლადის ლეგირებული ჩხირი, რომელიც დაახლოებით ორი სანტიმეტრითაა დაცილებული მარცხენა მხარეს არსებული საკეტის დამშვები ღილაკისაგან. სანადიროდ ყოფნისას, ექსტრემალურ პირობებში მისი გამოძრობა შეიძლება პატარა ჯოხის მაგვარი დეტალით, რომელიც მასზე ვიწრო იქნება. შემდგომ უკვე ვანცალკევებთ ლულაზე მიმაგრებულ სისტემური კოლოფის ერთ-ნაწილს, მეორესაგან რომელშიც განთავსებულია საკეტი მექანიზმის კომპონენტები. ხოლო მეორე ნაწილი ბუდისა, რომელიც კონდახთან ერთად რჩება, განთავსებულია სასხლეტი მექანიზმი და მისი დამაკავშირებელი კომპონენტები დანარჩენ დეტალებთან.

სამიზნე მოწყობილობა ჩვეულებისამებრ ორი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება. ერთია ლულის ბოლოში დამაგრებული ტრიტიუმის შემცველობის წითელი ჩხირი, ხოლო მეორე, თანამედროვე, ეგრეთწოდებული „ბატუეს“ სტილის სამიზნე ხიდი – უკანა, მოკლე თამასა, რომელიც ლულის დასაწყისშია განთავსებული და თითქმის შუა პერიმეტრამდე გრძელდება.

რაც შეეხება ოპტიკური სამიზნის იარაღზე დამაგრებას, რათქმაუნდა არც ესაა რაიმე სირთულეებთან დაკავშირებული. სისტემურ ბუდეზე ზემოდან ყენდება საკმაოდ მსუბუქი და თხელი პიკატინის ტიპის ხიდი, რაზეც უკვე შესაძლებელია შესაბამისი ოპტიკური სამიზნე მოწყობილობის დამაგრება.

სასხლეტის დამცველი ზაუერს ამჯერადაც მერკელზე მოსახერხებელ ადგილას აქვს. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მონადირე ასე არ ფიქრობს. შესაძლოა ბევრს მოწონდეს კიდეც სასხლეტის ბუდეზევე განთავსებული დამცველი ღილაკი და პრაქტიკაშიც მოსახერხებელი იყოს მისთვის მერკელის ტიპი. პროფესიონალები „ზაუერის“ მსგავს დამცველის განლაგებას უფრო იმიტომ ანიჭებენ უპირატესობას, რომ ცერა თითით, მასზე დახედვის გარეშე (მიზანს რომ თვალი არ მოაცილოთ) მარტივადაა შესაძლებელი განმუხტვა ან პირიქით. ასევე თუ მსხვერპლი მიზანშია ამოღებული ერთი თვალის გაკვრითაა შესაძლებელი დანახვა, განმუხტულია თუ არა შაშხანა. მაგრამ ამ დროს მოქმედებს სხვა ფაქტორიც. თუ მონადირეს მანამდე ჰქონდა ან მეორე იარაღი აქვს ისეთი, რომელსაც მსგავსი ტიპის განლაგების მქონე დამცველი არ აქვს და დაკომპლექტებულია „მერკელის“ მსგავსი სისტემით, მაშინ შესაძლოა გაუჭირდეს ახალთან შეგუება ან სულაც ზეპირად იმახსოვრებდეს რომელ მხარესაა გაწეული ღილაკი და რომელ პოზიციაში რჩება, რათა დამიზნებისას ყურადღება აღარ გადაიტანოს მასზე.

„მერკელის“ აირებით მტენი სისტემა ზაუერივით თვითწმენდას ახორციელებს და შესაბამისად აირების მილისა და სხვა დეტალების დაბინძურების ალბათობა მინიმუმამდეა დაყვნილი. საკეტი მექანიზმის აგებულება და მუშაობის პრინციპი ვიზუალური დათვალიერებისას ამყარებს თეორიას უნაკლოდ და შეუფერხებლად მუშაობის შესახებ. მისი მბრუნავი თავი ექვსი წახნაგისაგან – ჩამკეტი კბილისაგან შედგება. Sauer 303 -ის მსგავსად Merkel SR1 -ის საკეტსაც აქვს სპეციალური დამცავი ბუდე, რომელიც მასთან ერთად მოძრაობს და სისტემურ კოლოფშია განთავსებული. მექანიზმი, როგორც წესი ღია რჩება ბოლო ვაზნის გასროლისას. მისი დაშვება ხდება მარცხენა მხარეს, სისტემური ბუდის ბოლოში, ლულასთან ახლოს განთავსებულ ღილაკზე დაჭერით. აგრეთვე შესაძლებელია მჭიდის გავსება და შემდგომ უკვე საკეტის ისე დაშვება, რომ ვაზნა აღმოჩნდეს პირდაპირ ლულაში არსებულ სავაზნეში.

ორივე გერმანული შაშხანის ლულები ბრწყინვალედ არის აგებული – დამუშავებული. ალბათ ახსნა არაა საჭირო და ნამდვილად უდავოა რომ მათ იდეალური ბალისტიკური შედეგების ჩვენება ძალულთ. Merkel SR1-სა და Sauer 303 -ს ზოგადად ევროპელი პროფესიონალი მონადირეები, მეიარაღეები თუ ჟურნალისტები არც ერთ სხვა სანადირო შაშხანას არ ადარებენ. ისინი თუნდაც თანამემამულე SLB-2000-ს ან ბელგიურ Brwonign BAR-ს, იტალიურ Benelli Argo -სა და სხვა მსგავსი კლასის შაშხანებს ყოველთვის ამჯობინებენ ზემოთ განხილულ მოდელებს. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება საერთაშორისო გამოფენებზე ან მაშტაბურ შეჯიბრებებზეა შესაძლებელი. იქ მყოფი პროფესიონალები აღწერისას თუ უბრალო დახასიათებისას რეკომენდაციის სახით სწორედ რომ „ზაუერისა“ და „მერკელის“ ნახევრადავტომატურ სანადირო შაშხანებს ანიჭებენ უპირატესობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ შაშხანის ლულების დამზადება ხდება ცივად, ახალი მეთოდით. ხვრელის გაკეთება, მოპირკეთება, ლულის დაპრესვა და სხვა ნებისმიერი პროცედურა ხორციელდება ყოველგვარი გაცხელების გარეშე. თანამედროვე ფიზიკას დიდი როლი მიუძღვის ამ საკითხში და ლულებს ძირითადად ვაკუუმის წესის გამოყენებით ამზადებენ. ამის გათვალისწინებით ცხადი ხდება რომ გერმანელი მეიარაღეებისა და ულტრათანამედროვე მანქანების ერთობლივი ნაწარმი მართლაც რომ უნიკალური იქნება და ბერად ემჯობინება სხვა, ამა თუ იმ მწარმოებლის მიერ დამზადებულ ლულებს. განსაკუთრებით იმ სანადირო სპექტრში, რისთვისაც დამზადებულია ორივე შაშხანა, სწრაფ, მოძრავ ცხოველზე სანადიროდ ტყეში, იქ, სადაც საჭიროა მოხერხებულობა, შედარებით მოკლე ლულა, რათა იოლი გახდეს იარაღით გადაადგილება და სწრაფად, ყოველვარი შეფერხების გარეშე დამიზნება (ორივე იარაღს აქვს დაახლოებით 51 სმ-იანი ლულის სიგრძე). ამავდროულად აუცილებელია შენარჩუნებულ იქნას დაახლოებით იგივე სიზუსტე, რაც ახასიათებთ არაავტომატური ტიპის შაშხანებს. ეს ყველაფერი და ალბათ კიდევ უფრო მეტიც ორივე კომპანიის ოსტატებს გათვალისწინებული აქვთ და ზემოთხსენებული მოდელების პროდუქციაში ჩაშვებიდან ახორციელებენ მუდმივად. სტანდარტული Merkel SR1-ის საგამოფენო ფასი 1500-დან 1600 ევრომდე მერყეობს. ეს მაშინ როდესაც იმავე მონაცემების Sauer 303 2300-დან 2500 ვრომდე ღირს.



Merkel SR1-ის საკეტი მექანიზმი



Merkel SR1 keiler Gold

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
Sauer 303	
კარგი ბალისტიკური მონაცემები.	მაღალი ფასი
იდეალური დამუშავების ხარისხი. მარტივად დაშლა აწყობა	დაბალანსებული, მაგრამ ოდნავ ტლანქი დიზაინი
მოხერხებული ღია სამიზნე მოწყობილობა	
უნაკლო, შეუფერხებელი, სტაბილური სისტემა.	
Merkel-ьR1	
კარგი ბალისტიკური მონაცემები	სასხლეტის დამცველი ღილაკის კონკურენტებთან შედარებით ნაკლებად მოხერხებული განთავსების ადგილი..
იდეალური დამუშავების ხარისხი	
მარტივად დაშლა აწყობა	
მოხერხებული ღია სამიზნე მოწყობილობ	
უნაკლო, შეუფერხებელი, საიმედო სისტემა	
მოხერხებული, კომპაქტური დიზაინი	
ხელმისაწვდომი ფასი	



Merkel SR1-ის სისტემური კოლოფის მარჯვენა მხარე

SAUER&SOHN MEISTERWERKFLINTE – MERKEL 60 E



Sauer&Sohn Meisterwerkflinte Everlasting Myth

მწარმოებელი:	Merkel Jagd&Sportwaffen GMBH	J.P. Sauer&Sohn GMBH
წარმოშობის ქვეყანა:	გერმანია	გერმანია – ამერიკა
მოდელი:	Merkel 60-E	Sauer&Sohn Meisterwerkflinte
სისტემა:	სრული, გვერდითი საკეტი	სრული, გვერდითი საკეტი
ჩოკები:	1/4, 3/4, 1/2, 1/1.	ნებისმიერი – სურვილისამებრ
ყალიბი:	.12/76	.12/76
წონა: (კგ)	.3,1	.3,1
ლულის სიგრძე: (სმ)	71	71
მთლიანი სიგრძე: (სმ)	113	115
კონდახი (და ტიბჟირი):	კაკალი მე-5 კატეგორიიდან	მე-10 კლასის კაკალი
სასხლეტის რაოდენობა:	2	2
მიახლოებითი ფასი: (EU)	11000;	42 500;

100 წელზე მეტია რაც ზაუერმა შექმნა სრულყოფილების ნიმუში ორლულიანი თოფის Sauer&Sohn Mesiterwerkflinte-ს სახით. მექანიზმი ოდითგანვე კომპანიის მიერვეა წარმოდგენილი და მიუხედავად სიძველისა, ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ სრულ – გვერდით საკეტებინ სისტემებში. ზაუერის მართლაც რომ შესანიშნავი მოდელი ორად ორი ყალიბით იწარმოება. ესენია 12 და 20. მის ხარისხსა და საიმედოობაზე ახსნა-განმარტება ალბათ არც ღირს. ვინაიდან ეს გახლავთ 270 წლოვანი, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კომპანიის J.P. Sauer&Sohn-ის საუკეთესო გლუვლულიანი მოდელი. მისი თანამედროვე ვერსიის შექმნა მარკო და ჰენდრიკ ფრუჰაუფების (Marko Frühauf – Hendrik Frühauf) დამსახურებაა.

2011 წელს იარაღის თანამედროვე ვერსია ძველებური, ტრადიციული ელემენტებით, სპეციფიკური გრავირებებითა და ორიგინალური დიზაინით წარდგენილ იქნა გერმანიაში, ქალაქ ნიურნბერგში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე. მასში წინა მოდელებთან შედარებით უფრო მეტი ოქრო იყო გამოყენებული და აქამდე ჯერ არ შესრულებული ნახატი, ხოხბების გამოსახულება ამშვენებდა სრული საკეტის მარცხენა და მარჯვენა დაფებს. თოფს ორივე მხარეს აქვს საკეტი მექანიზმის გამომღები, წრეზე მბრუნავი, საკმაოდ ორიგინალური ფორმის ბერკეტი. მისი დატრიალების შედეგად სისტემის მთლიანი შიდა პერიმატერი გამოდის სააშკარაოზე. მასში თუ ჩავიჭყიტებით, აღმოვაჩენთ რომ ლეგენდარული Holland&Holland-ისა და Merkel 60-ის მსგავსად მასაც დამცემ-დამრტყმელ მექანიზმზე არა სპირალისებრი ზამბარა, არამედ ბევრად უფრო გამძლე და სწრაფი V – ებრი ვერსია უყენია, რომელსაც ენერგიის შენახვის და შემდგომ გამოყოფის უფრო მეტი უნარი გააჩნია. მიუხედავად იმისა რომ ერთის შეხედვით ამ ორ გერმანულ თოფს შორის განსხვავება მცირეა, ფასთა სხვაობა მნიშვნელოვნად გვხვდება თვალში. მაშინ, როდესაც ახალი Sauer&Sohn Meisterwerkflinte-ს ფასი 42.500 ევრო შეადგენს (IWA-2011 – ზე წარმოდგენილი მოდელის ღირებულება), Merkel 60 E-ს ფასი სულ რაღაც 11000 ევროა. ანუ ეს უკვე იმის მანიშნებელია რომ ეს თოფები კონკურენტები ვერასდროს იქნებიან. თუმცა ჩვენ მაინც განვიხილავთ და მცირე პარალელებს გავავლებთ მათ შორის.

2012 წელს წარმოდგენილ ვერსიას, Sauer&Sohn Meisterwerkflinte Everlasting Myth-ს ღირებულება უფრო ძვირი იყო და ზუსტად 67.849 ევროს შეადგენდა. 12 კალიბრიანი, მარკო ფრუჰაუფის მიერ აგებული და ჰენდრიკ ფრუჰაუფის მიერ მოხატულ-მოჩუქურთმებული თოფი ეგრეთწოდებული მაგნუმის ლულებით, ანუ 76 მილიმეტრიანი სავაზნეთი იყო წარმოდგენილი. ამ ვერსიას გრავირებებიც შეცვლილი ჰქონდა. მარცხენა მხარეს ოქროს ხაზებში ჩასმული იყო კურღლები, ხოლო მარჯვენა მხარეს იხვები.

Sauer-ს, ისევე როგორც Merkel-ს ჩარჩოს-სისტემური კოლოფის ზედა პერიმეტრის ჩამკეტი დეტალი ვილიამ გრინერისგან აქვს აღებული, რომელიც შედგება ლეგირებული ფოლადისაგან. ეს გახლავთ ვერტიკალურად განლაგებულ ლულებიან თოფებისათვის დამახასიათებელი, „კერსტენის“ პრინციპის მსგავსი ბუდის საკეტი, ამჯერად უკვე ჰორიზონტალურად განლაგებულ ლულებიანი ვერსიებისათვის. ლულათა სავაზნეებს შორის ჩადგმულია ფიქსირებული, მასიური, ნაწრთობი ფოლადის სქელი ფირფიტა, რომელიც შუაში გაჭრილია და გაკეთებული აქვს ხვრელი. თოფის გაღება/დაკეტვისას ეს ფირფიტისებრი მეტალი ჯდება სისტემურ კოლოფში, სპეციალურად მისთვის განკუთვნილ ჩარჩოში. ხოლო ხვრელში ეყრება ცილინდრისებრი მეტალის ჩხირი – ჯოხი. მას თან ერთვის ლულის დასაწყისში, ქვედა მხარეს კაუჭისებრი ორი მეტალის მასიური კბილი, რომელიც ჩაკეტვისას ჯდება სისტემურ კოლოფში, სპეციალურად მისთვის განკუთვნილ ჭრილებში. ეს ყველაფერი გაკეთებულია იმისათვის რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური სიმყარე, შენარჩუნებულ იქნას ბალანსი რაც შეიძლება დიდხანს და ათწლეულების გასვლის შემდგომაც თითოეული დეტალის უერთიეთშესაბამისობა არ დაირღვეს. უნდა აღინიშნოს რომ სხვა, დანარჩენი ნაწილები მხოლოდ და მხოლოდ კომპანია Sauer-ის მიერაა აღმოჩენილი და შემდგომ წარმოებული.

ორივე ბრენდის მიერ შექმნილი მოდელი მხოლოდ 2 სასხლეტით იწარმოება. რაც შეეხება ჩოკებს, ზაუერი თავის მომხმარებელს სთავაზობს ფართო არჩევანს და შესაძლებელია ნებისმიერი ფიქსირებული თუ არაფიქსირებული შევიწროების გაკეთება. აი „მერკელს“ კი შეიძლება ითქვას რომ მსგავსი შესაძლებლობები შეზღუდული აქვს და მხოლოდ ცვლადი ჩოკებით აწარმოებს ზემოთხსენებულ მოდელებს, რომელთაგანაც 1/4 და 1/2 შევიწროებები რკინის საფანტზეცაა გათვლილი.

ბალისტიკური თვალსაზრისით ორივე მოდელი უდავოდ იდეალურია. მითუმეტეს იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე კომპანია უკვე დიდი ხანია რაც თანამშრომლობს Krupp – თან. ამ უკანასკნელს კი უზადოდ საუკეთესო ბალისტიკური თუ რესურსული მაჩვენებლების მქონე ლულების კეთება ძალუძს.



Sauer&Sohn Mesiterwerkflinte – 12/76.
2011 წელი, ნიუმბერგის საგამოფენო კომპლექსი. ღირებულება – 42.500 ევრო.

მთავარი განსხვავება თოფებს შორის მექანიზმია. Sauer&Sohn Meisterwerkflinte-ს საკეტის დეტალების უმთავრესი ნაწილი ხელითაა შესრულებული და ერთმანეთთან მორგებული. მიუხედავად იმისა რომ ის მეტი დეტალებისაგან შედგება ბევრად გამართული, საიმედო და ძვირფასია. მან შეიძლება ითქვას გაუძლო დროს. ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი რის გამოც იარაღი ასე ძვირად ფასობს. მისი დაშლილ მდგომარეობაში ნახვაც არაა საჭირო ამას რომ მივხვდეთ. საკეტის გვერდითი დაფების გამოღება და საკეტის თვალსაჩინოდ გამოაშკარავება ყოველგვარი ინსტრუმენტების დახმარებითაც შესაძლებელია გვერდით დაფებზე განთავსებული, ტრადიციული ტიპის ბერკეტის მეშვეობით. აი Merekl 60 E-ს ყველა მოდელზე კი ამას ვერ ვიტყვით, რადგანაც ზოგ შემთხვევებში სპეციფიკური ჭანჭიკის დატრიალებაა საჭირო მისი გვერდითი დაფების ამოსაღებად და დამცემ/დამრტყმელ მექანიზმში ჩასახედად. თუმცა თოფი იწარმოება Holland&Holland-ის მსგავსი სწრაფად ხსნადი სისტემებითაც, რომელიც Merkel 303 – ც ახასიათებს. მექანიზმის მარჯვენა დაფის დასაწყისში, კონდახის ყელის თავში დამონტაჟებულია სპეციფიკური ქანჩი ბერკეტითურთ. ის დაფის ზედაპირში, მის პარალელურადაა ჩასმული. მასზე თითის დაჭერისას ბერკეტი მოდის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დაფასთან მიმართებაში და შესაძლებელი ხდება მისი ამოხრახვნა, შესაბამისად მთლიანი სისტემის დაშლა. მიუხედავად არსებული ფუნქციისა მაინც საკმაოდ დიდია სხვაობა აღნიშნული ორი ბრენდის მიერ წარმოებულ გლუვლულიანებს შორის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ „მერკელისაგან“ განსხვავებით ზაუერი მხოლოდ და მხოლოდ შეკვეთით ან სხვა, გარკვეულ გამონაკლის ვითარებაში, არასერიულად იწარმოება. რაც შეეხება, „მერკელის“ გლუვლულიან მოდელს, ის მხოლოდ სერიულ წარმოებაშია და ინდივიდუალური შეკვეთები მასზე არ ვრცელდება იშვიათი გამონაკლისების გარდა, რომელშიც იგულისხმება გრავირების ან კონდახის კატეგორიისა და ფორმის შეცვლა. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც ზოგმა ცოტა უცნაურმა ან ბრიტანული სტილის მოყვარულმა მონადირემ შეიძლება ამჯობინოს „ზაუერის“ ლეგენდარულ თოფს, გახლავთ საკეტ მექანიზმზე ხელით გაკეთებული ინგლისური „არაბესკები“-სპეციფიკური გრავირება. მისი სისტემური კოლოფი „ზაუერის“ მსგავსად რკინისაგან არის დამზადებული. გატენვისას სასხლეტის დამცველი, რომელიც ცერა თითისათვის მოსახერხებელ პოზიციაშია განთავსებული, ავტომატურად დგება დაცვაზე. საერთო ჯამში რა თქმა უნდა წუნი არც ერთ თოფს არ გააჩნია და ამავდროულად ორივე, თითქმის ერთი და იმავე ბალისტიკური შედეგების მომტანი იარაღებია. თუმცა სიტყვა „თითქმის“ ტყუილად არ იქნა ნახსენები. Sauer-ის ორლულიანს გააჩნია გარკვეული უპირატესობები, რის გამოც იგი ბევრად ძვირი ღირს Merkel – ზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ რიგში მისი მთავარი უპირატესობა გახლავთ უნაკლო, დიდი ისტორიის მქონე, სწრაფად ხსნადი სრული(სრულყოფილი)-გვერდითი საკეტი მექანიზმი.

ორივე კომპანია აწარმოებს შედარებით უბრალო, ჰორიზონტალურ ორლულიან ვერსიებსაც. ესენია ამერიკაში დამზადებული Sauer&Sohn – IX და მისი მსგავსი, გერმანიაში, ზულის იარაღების ქარხანაში დამზადებული Merkel 40 E. ზაუერის IX მოდელს სისტემური კოლოფის – ჩარჩოს ჩამკეტი პრინციპი ზემოთხსენებული, ძვირფასი ვერსიასავით „გრინერისაგან“ (William Greener) აქვთ აღებული, ჰილზის ამომგდები მექანიზმი – ეჯექტორები ინგლისური „ჰოლანდ&ჰოლანდისაგან“ (Holland&Holland), არასრული, კოლოფისებრი, ძალზედ მარტივი დამცემ დამრტყმელი მექანიზმი კი „ანსონ&დილეისაგან“ (Anson&Deeley). შესაბამისად აღნიშნული სრული-გვერდითი საკეტებით აღჭურვილი თოფებისაგან კლასითაც დაბალ საფეხურზე დგანან და რა თქმა უნდა მათთვის ორიგინალურობაც ნაკლებადაა დამახასიათებელი. თუმცა სწორედ რომ ერთდროულად შედარებით იაფიანი და ხარისხიანი სტრუქტურული აგებულების გამო მას ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის შუა ნახევრიდანვე, თუნდაც რუსული მწარმოებლების სახით.

2012 წელს ერთ-ერთ საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 20 კალიბრიანი Sauer&Sohn – IX. მაგნუმის (სავაზნე – 76 მმ) ლულებიანი ამერიკულ-გერმანული მოდელი Sauer&Sohn Meisterwerkflinte-სავით მარკო და



Sauer&Sohn Mesiterwerkflinte Everlasting Myth – 12/76.
2012 წელი, ნიუმბერგის საგამოფენო კომპლექსი. ღირებულება – 67.849 ევრო.



„ჰორიზონტალური“ Merkel-ის სრული-გვერდითი საკეტი

ჰენდრიკ ფრუჰაუფების მიერ იყო დაპროექტებული-შექმნილი. მას მარჯვენა ლულის დასაყისში, ზედა მხარეს გაკეთებული ჰქონდა წარწერა – BLASER USA San Antonio TX, ხოლო მარცხენა ლულაზე-სAUER, USA PALM BEACH, FL 33480. ამ წარწერებიდან აშკარა ხდება ზაუერის პერსონალის განმარტების გარეშე თოფის წარმომავლობა. თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, ყოველ შემთხვევაში იარაღის ხარისხსა და სხვა კრიტერიუმებზე უარყოფითად არ აისახება. ერთადერთი ფაქტორი, რამაც შესაძლოა მყიდველზე ნეგატიურად იმოქმედოს, გახლავთ ის გარემოება, რომ თოფი არ მზადდება სამშობლოში. ის იარაღის ბუმბერაზი, მასიური წარმოების ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში კეთდება. ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი კი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გონებაში არსებული ნოსტალგია, ანუ გახსნება და მონატრება ძველისა, რომელსაც შესაძლოა ახალი, თანამედროვე დაზგა დანადგარებით აგებული ვერსია სჯობდეს. გერმანიაში დამზადებული იგივე მოდელი შტატებში წარმოებულს რომ რაიმეთი მაინც სჯობდეს, ამ ფაქტორს პირველ რიგში თავად კომპანიის მმართველები მიაქცევდნენ ყურადღებას და აღმოფხვრიდნენ კონრეტულ წუნს ან წარმოებას გადაიტანდნენ სამშობლოში. თუმცაღა ისიც გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ შედარებით ძვირფასი, ლუქს კლასის მოდელები გერმანიაში კეთდება მხოლოდ და სხვა ქვეყანაში მათი წარმოება არ ხორციელდება. ეს გარემოებაც გარკვეულწილად მოქმედებს მყიდველის ფსიქოლოგიაზე ამგვარი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, რამეთუ ისინი გამომდინარე აღნიშნულიდან ფიქრობენ, რომ ევროპაში შექმნილი ყველანაირი ნაწარმი მაინც უკეთესია ამერიკულზე.



Merkel 60E სრულყოფილი – გვერდითი საკეტით

Sauer&Sohn – IX-ს, როგორც ძირითად შემთხვევებში გვხვდება ხოლმე „გრინერის“ ურდულთან ერთად სავაზნის ქვემოდან გაკეთებული აქვს ორი კაუჭისებრი ჩამკეტი კბილი, რომლებიც დაკეტვისას სისტემურ კოლოფში არსებულ, მათთვის განკუთვნილ ჭრილებში ჯდება და იკეტება. თავად სისტემური კოლოფი ტრადიციული, გერმანული ტიპის გრავირებებითაა გაწყობილი. აღსანიშნავია, რომ ნემსის, უფრო სწორედ კი დამრტყმელ დამშვები მექანიზმის



Sauer&Sohn IX





წინა ნაწილის გაწმენდა ან გარკვეულწილად გამოღება სისტემური კოლოფის მოუხსნელად, ნემსის დარტყმის წერტილთან ახლოს განთავსებული ჭანჭიკების მოხსნით ხორციელდება. ორსასხლეტიანი თოფის კონდახი თითქმის ყოველთვის კლასიკური, ინგლისური ტიპის იწარმოება. ტიბჟირი სტანდარულად, მასზე, ზემოდან განთავსებული ბერკეტის შუა ან საჩვენებელი თითით ჩამოწევის შედეგად, ძალიან იოლად იხსნება თოფიდან. წარმოდგენილი Sauer-ის საგამოფენო ფასი ზუსტად 19.845 ევროს შეადგენდა. ეს მაშინ როდესაც Merkel E-40 დაახლოებით 2000 ევრო ღირს.

Sauer&Sohn IX გადახსნილ მდგომარებაში

1853 წელს დაარსდა შვეიცარიული მატარებლის ვაგონების ქარხანა საათების ოსტატის ჰაინრიხ მოზერის, პოლიტიკური მოღვაწის ფრიდრიხ პეიერის და შვეიცარიის არმიის ოფიცერის კონრად ნეიშტოკერის მიერ. ისინი შვიდი წლის განმავლობაში საკუთარი პროფილით მუშაობდნენ. 1860 წელს კი სახელმწიფო დაკვეთის საფუძველზე დაიწყეს იარაღების წარმოება. ხუთი წლის შემდეგ კომპანიის მმართველად დაინიშნა ფრიდრიხ ვეტერლი, ცნობილიVetterli-1869-ის კონსტრუქტორის მამა. ამ დროიდან იწყება SIG -ის წინსვლა და განვითარება იარაღების სფეროში. მარტო 1877 წლამდე კომპანიას თითქმის 140.000 – მდე ვეტერლის შაშხანა ჰქონდა აგებული. მას შემდეგ რაც ქარხანამ მთლიანად შეიცვალა პროფილი და საგრძნობლად გააფართოვა იარაღების წარმოება, მიიღო ახალი სახელწოდება და შვეიცარიულ სამრეწველო საზოგოდოებას დამოუკიდებელ იარაღების მწარმოებლის სახით SIG (Schweizer Industrie Gesellschaft) ეწოდა.

მექსიკელი გენერლის, მანუელ მონდრაგონის გახმაურებული მოვლენების პერიოდში, კონკრეტულად კი 1908 – 1911 წლებში, კომპანიამ აწარმოა თავისი პირველი ნახევრადავტომატური შაშხანები. ისინი ცნობილია, როგორც „მონდრაგონის კარაბინები“. ცოტა უფრო მოგვიანებით, დაახლოებით მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ხორციელდებოდა შვეიცარიული მწარმოებლების მიერ დიდი რაოდენობით განთქმული „ბერგმანის“ იარაღების აგება, რომელთა ძირითადი ნაწილი გადიოდა ექსპორტზე იაპონიაში, ფინეთსა და ჩინეთში. 1927 წელს მოხდა SIG-ის პირველი ავტომატური იარაღის, KE-7 -ის საზოგადოების წინაშე წარდგენა. მისმა გამოჩენამ უმალვე დაიპყრო ისეთი სახელმწიფოს ლიდერების გულები, სადაც ასეთი ტიპის იარაღი აუცილებლად ესაჭიროებოდათ ამა თუ იმ ოპერაციის ჩასატარებლად. მათი ექსპორტი ხდებოდა ჩილეში, პერუში, კოლუმბიაში, ჩინეთსა და ფინეთში. 1938 წელს ფირმას აეკრძალა იარაღის ექსპორტი, მათ შორის ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც. მსგავსი პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანა უნდა მომხდარიყო განსაკუთრებულ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ შვეიცარიის მთავრობის სპეციალური ნებართვის საფუძველზე. აღსანიშნავია რომ ასეთი აკრძალვა ქვეყნის კანონმდებლობაში ევროპის დანარჩენი სახელმწიფოებისადმი დღემდე ძალაშია და კვლავ ფუნქციონირებს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, მაშინ როდესაც შვეიცარიას ნაწილობრივ ნეიტრალური პოზიცია ეკავა, SIG -ი დიდი რაოდენობით აწარმოებდა იარაღებს საკუთარი ქვეყნის არმიისათვის. მათ შორის ყველაზე მეტად აქცენტი კეთდებოდა MP-41-ის სერიულ ვერსიებზე.

1947 წელს შვეიცარიის არმია შეიარაღდა ახალი SP-47/8 ფისტოლეტებით, რომელთა კონსტრუქციაც მთლიანად SIG-ის ქარხანაში შეიქმნა და შესაბამისად ადგილზე განხორციელდა მათი წარმოება. იარაღი მოგვიანებით ძალზედ პოპულარული გახდა მთელს მსფოლიოში მისი ცივილური სახელწოდებით-სIG P-210. 50-იან წლებში კომპანიამ მიიღო სახელმწიფოსაგან შეკვეთა ახალი ავტომატური იარაღის წარმოების შესახებ. ამან გამოიწვია Sturmgewehr-75-ის წარმოშობა, რომელიც მარტო შვეიცარიის არმიისათვის 700.000 ერთეულმდე დამზადდა.

1971 წელს SIG -ი შევიდა Hämmerli-ის ჯგუფში. სამი წლის შემდგომ კი დაიწყო მოლაპარაკებები გერმანულ იარაღების მწარმოებელ Sauer&Sohn – თან. ამ ორი ბრენდის ერთად მუშაობამ საოცარი შედეგი გამოიღო და წარმოშვა ფისტოლეტების მთელი სერია, რომლებიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობენ მთელს მსოფლიოში.

შვეიცარიული კომპანია გერმანულ „ზაუერთან“ გაერთიანების შემდგომ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო წრფივად მოძრავ საკეტიან შაშხანებსაც და სიგრძლივ მოძრავ საკეტიან ვერსიებს აწარმოებს სანადირო, საბრძოლო თუ სპორტული დანიშნულებისამებრ. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ SIG-Sauer 205. ყველაზე სასურველი ყალიბი მისთვის .308 Winchester-ია. ამ კალიბრის შემთხვევაში მის მჭიდში 10 ვაზნა ეტევა. ცილინდრული ფორმის საკეტს თავზე 6 ნახნაგი აქვს გაკეთებული. მისი დანიშნულებიდან გამომდინარე იარაღი მასიური ფორმისაა და დაახლოებით 5,4 კილოგრამს იწონის.

1984 წელს SIG-მა შექმნა კიდევ ერთი ახალი თვითმტენ შაშხანათა სერია SG 550/551(.223 Remington) და SG 552 (22 L.r.). აღნიშნული იარაღების ცივილური ვერსიები გამოირჩევიან სამხედროსავით ამტანობით, სტაბილურობითა და კრიტიკულ პირობებში შეუფერხებელი მუშაობით. ამავდროულად შაშხანების მიერ ნაჩვენები ბალისტიკური შედეგები ფაქტიურად ლიდერ პოზიციებს იკავებენ კონკურენტ მოდელებთან შედარებისას. წარმოების დაწყებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ ყველაზე მეტი პოპულარობა ზემოთხსენებული მოდელებიდან SIG-სG 550 (.223 Remington) – მა მოიპოვა.

სერიულად მის მჭიდში 2, 5, 10, 20 ან 30 ვაზნა ეტევა. საკეტი მექანიზმი, რომელსაც მბრუნავ თაზე 6 ნახნაგი







Sig Sauer-ის ნახევრადავტომატური შაშხანები და მათი დამატებითი, ცვლადი ლულები სისტემებითურთ

აქვს გაკეთებული, ვაზნის გადატენვის პროცედურას გასროლის შედეგად გამოყოფილი აირების მეშვეობით ახორციელებს. იარაღის წონა ლულის სიგრძის მიხედვით ცვალებადია.

ყველაზე მოკლე ლულიანი, 240 მმ-იანი ვერსია იწონის 3,2 კგ-ს, 430 მმ-იანი 3,5 კგ-ია, ხოლო 500 მმ-იანის წონა 4,2 კგ-ს შეადგენს. იარაღს სასხლეტის დამცველი ღილაკი ძირითად შემთხვევებში ორივე მხარეს აქვს განთავსებული. ამავდროულად დამატებითი დამცველი-მარეგულირებელი ღილაკი შაშხანის სასხლეტის უკანა მხარეს, ბუდეზეა მიმაგრებული და მისი მეშვეობით ხდება გარანტირებული გასროლის წარმოება. შაშხანის ეფექტური სროლის მანძილი შეადგენს 300 მეტრს.

2012 წელს გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე, ქალაქ ნიურნბერგში, IWA-2012-ზე, წარმოდგენილი იყო-sG 550-ის გაუმჯებესებული ვერსია, არა სტანდარტული SIG-ის ტიბჟირით, არამედ ახალი, პიკატინის ოთხი სამიზნე ხიდით აღჭურვილი ლულისგარე კონდახით (ტიბჟირით). მისი მეშვეობით უკვე შესაძლებელი ხდებოდა ლაზერის, ფანარის, ლულისქვეშა სახელურის და სხვა მსგავსი აქსესუარების სურვილისამებრ იარაღებზე დამონტაჟება.

საკმაოდ პოპულარულია ზემოთხსენებული მცირეკალიბრიანი ვერსია SG 552 (22 L.r.), რომელიც არც თუ ისე დიდი ხანია რაც სერიულ წარმოებაშია. მისი ლულის სიგრძე 421 მმ-ია და წონაში კონკურენტ „ვალტერსა“ თუ „კოლტზე“ არც თუ ისე მძიმედ გამოიყურება. მისი წონა 3,2 კგ-ია. რაც მთავარია იარაღის, კალიბრის მიუხედავად, ახასიათებს ამტანობა და უტყუარი მუშაობა სუსტი ან დაბალი სიჩქარის მქონე ტყვიების გასროლის შემთხვევაშიც.

საგამოფენო კომპლექსში სანადირო და სპორტულ მოდელებთან ერთად წარმოდგენილი იყო სამხედრო და პოლიციური ვერსიებიც-sG 553-sWISS AL და SG 553-16 AL, რომლებზეც SG 55X-ის ტიპის ცვლადი სისტემური კოლოფები ფისტოლეტისებრი ტარით და კონდახით მაგრდებოდა.

მათთან ერთად წარმოდგენილი იყო შვეიცარიის არმიისათვის შექმნილი SG-751 SAPR, რომელიც ხუთი განსხვავებული ლულის სიგრძის იწარმოება. მასზე შესაძლებელია სხვადასხვა მოდიფიკაციის მქონე კონდახის, ტარის, მჭიდის და ტიბჟირის დამაგრება. აგრეთვე ხორციელდება 40 მმ-იანი ყუმბარმტყორცნის, GL 5040/5140/75140/5340-ის ლულის ქვეშ განთავსება და ლულაზე მაყუჩის დამონტაჟება. ავტომატის სასხლეტზე ზეწოლის ძალა გასროლის საწარმოებლად წარმოადგენს 3,5 კგ-ს. საკეტი მექანიზმის მბრუნავ თავზე ოთხი წახნაგია გაკეთებული. კადენცი წუთში დაახლოებით 650 გასროლაა. ზოგადი გადასახედიდან ეს არც თუ ისე ცუდი მაჩვენებელია.

დიდ ინტერეს იწვევს LB/551SB და SG 553LB/553SB. რა თქმა უნდა მათზეც შესაძლებელია ნებისმიერი არსებული მოდიფიკაციის შეცვლა ან დამონტაჟება. ყველაზე საინტერო ისაა, რომ ჩამოთვლილი მოდელების ლულის სიგრძეები მინიმუმ შვიდ განსხვავებულ ზომად იყოფა (სერიულად წარმოებისას). მათგან ყველაზე მოკლე ვერსია 227 მმ-ს უტოლდება, ყველაზე გრძელი კი 528-მმ-ს. ავტომატის აირებით მტენი საკეტი მექანიზმის მბრუნავ თავზე 6 წახნაგია გაკეთებული. სასხლეტზე საკმაოდ დიდი, 3,5კგ-ის ტოლი ზეწოლა ხორციელდება გასროლის საწარმოებლად. თუმცა ამგვარი ტიპის იარაღებისათვის ყოველთვის შედარებით უფრო მეტი ძალაა საჭირო სასხლეტის მოზიდვისათვის, ვიდრე ტიპიურ სანადირო ვერსიებზე ან სპორტულ მოდელებზე. შაშხანის ლულიდან გამოტყორცნილი ვაზნის საწყისი ენერგია დაახლოებით 1250 ჯოულია და ლულის სიგრძის მიხედვით 1700 ჯოულამდე იზრდება. ეს უკანასკნლი სერია წინა ვერსიებთან შედარებით ოდნავ უფრო სწრაფია და მისი კადენცი წარმოადგენს 700 გასროლას წუთში.

კომპანია Sig-Sauer – ი გერმანულ ბრენდებს – Heckler&Koch-სა და Oberlandarms-ს კონკურენციას უწევს M4 – M16 – ტიპის თვითმტენი შაშხანების წარმოებაში. შვეიცარიელებისა და გერმანელების ერთობლივი გუნდი ყოველთვის ცდილობს წარმოადგინოს ევროპული ხარისხის მქონე პროდუქტი, რომელიც ამავდროულად იქნება მსოლფიო მაშტაბით პოპულარული იარაღი. სწორედ ისევე, როგორც ამას ზემოთ აღნიშნული ორი ბრენდი ახორციელებს. ოდესღაც „სტოუნერისა“ და მის გარშემო მოღვაწე ჯგუფის მიერ შექმნილი იარაღი ამჟამად ევროპაში ბევრად დახვეწილი და გაუმჯებესებული სახით იწარმოება. იმაზე უკეთესად ვიდრე ამას დღესდღეობით ბევრი ამერიკული კომპანია ახორციელებს.





SigSauer-ის არასერიული ფისტოლეტები ხელნაკეთი გრავირებებითა და სპეციალური ჟანგსაწინააღმდეგო საფარით

Colt 1911, Walther PPK, Walther P99 და SigSauer Limited Edition – ყველა ფისტოლეტი ხელნაკეთი გრავირებებითა და სპეციალური საფარიტა თუ კონსტრუქციული აგებულებით გამორჩევა

ძირითად შემთხვევებში „ზიგს“ გამოფენებზე სტანდარტულად ხელნაკეთი და არასერიული ფისტოლეტების მხოლოდ მცირე ნაწილი აქვს ხოლმე წარმოდგენილი. თუმცაღა ბრენდის ოფიციალურ დილერებთან აღნიშნული, შეზღუდული რაოდენობით წარმოებული, არასერიული მოდელების ხილვა მაინც შესაძლებელია. დახმარებისათვის კვლავ ავსტრიაში არსებულ კომპანიას მივმართეთ, რომელსაც აღნიშნული ბრენდის თითქმის ყველა მოდელი ჰქონდა ეგრეთწოდებულ „ელიტ-სოურუმში“ წარმოდგენილი.

მოხატულ, მოზარნიშებულ SIG-SAUER X-FIVE MAJESTY – თან ერთად სხვა ხელნაკეთი თუ ნახევრად ხელნაკეთი, არასერიული ფისტოლეტების







და გერმანელების ერთობლივი გუნდი ყოველთვის ცდილობს წარმოადგინოს ევროპული ხარისხის მქონე პროდუქტი, რომელიც ამავდროულად იქნება მსოლფიო მაშტაბით პოპულარული იარაღი. სწორედ ისევე, როგორც ამას ზემოთ აღნიშნული ორი ბრენდი ახორციელებს. ოდესღაც „სტოუნერისა“ და მის გარშემო მოღვაწე ჯგუფის მიერ შექმნილი იარაღი ამჟამად ევროპაში ბევრად დახვეწილი და გაუმჯებესებული სახით იწარმოება. იმაზე უკეთესად ვიდრე ამას დღესდღეობით ბევრი ამერიკული კომპანია ახორციელებს.

SIG-516 Patrol და SIG-516 Precisionmarksman განეკუთვნებიან ევროპის კონტინენტზე შექმნილ იმ იარაღთა რიცხვს, რომლებიც ლეგენდარული M16-ის ან M4-ის ბაზაზეა აგებული. ორივე მათგანი იწარმოება .233 Remington-ის კალიბრზე. თითოეულს ლულაში ექვსი ხრახნი აქვს გაკეთებული. მათი წონა 3,3 კგ-დან 3,5 კგ-მდე მერყეობს. მჭიდი სამგვარი სახეობისაა, 10, 20 და 30 ვაზნის ტევადობის. პირველი ვერსიის ლულის სიგრძე 420 მმ-ია, ხოლო შედარებით ზუსტმსროლელი მოდელის 457 მმ. იარაღები აღჭურვილია საკმაოდ საიმედო, ეგრეთწოდებული Piston Driven – აირებით მტენი სისტემით. მბრუნავ თავიანი საკეტი მექანიზმის ზუმბა გრძელია და შესაბამისად შემცირებულია მისი ბიჯი, ანუ გზა – დრო გასროლის შედეგად ზუმბის დარტყმისა საკეტის მამოძრავებელამდე. ამავდროულად რეგულირებადია თავად აირების გამომშვები სისტემა და მისი ოთხი განსხვავებულ პოზიციაში გამოყენებაა შესაძლებელი. უნდა აღინიშნოს რომ ძალიან ბევრი M-4-ის ტიპის იარაღი ამჟამადაც ძველებური სისტემებით იწარმოება. ზემოთხსენებულ საიმედო და ბევრად უფრო უტყუარ პრინციპს კი ძირითადათ ევროპული ან ელიტარული ამერიკული ბრენდები იყენებენ.

აღნიშნული ორივე მოდელის მფლობელს შეუძლია თავი იგრძნოს იარაღის პატრონად, რომელიც დაახლოებით ისეთივე ამტანი და უტყუარია, როგორიც რუსული AK-47 და ამავდოულად წარმოადგენს საბჭოთა ვერსიაზე ბევრად უფრო ზუსტ და ეფექტურ იარაღს. თუმცაღა აქ არსებობს ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორი. მათი ფასი დაახლოებით 3-ჯერ აღემატება სერიული AK-47-ის ღირებულებას.

SigSauer P226-სურათზე ნაჩვენები მოდელი ალბათ ყველა კრიტერიუმის გათალისწინებით, მათ შორის ექსტრემალურ პირობებში მუშაობისაც წარმოადგენს საუკეთესო მოდელს საუკეთესოთა შორის



ფოტომასალა და მათ შესახებ მცირედი ინფორმაცია მოვიპოვეთ.

ბატონ ფრიჩს ელიტარული ზიგის გვერდით განთავსებული ჰქონდა Walther TPH Royal. ძალზედ მოხერხებული და ამავდროულად კლასიკური, ეგრედწოდებული „ჯიბის“ ფისტოლეტი, რომლის მჭიდში 22 l.r.-ის 7 ვაზნა ჩადიოდა. მისი ლულის სიგრძე სულ რაღაც 65 მმ-ს შეადგენდა. მთლიანი სიგრძე კი 125 მმ იყო, ანუ დაახლოებით იმდენი, რამდენიც თავისუფლად შეგვიძლია გაშლილ ხელში დავმალოთ. ამჟამინდელი გადასახედიდან მისი წონა არც თუ სახარბიელოდ მსუბუქი ჩანს და ზუსტად 395 გრ-ს უტოლდება. არასერიული მოდელის სისტემური კოლოფი და დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმი მთლიანად გრავირებებში იყო ჩასმული. ტარი კი დანარჩენი იარაღისაგან განსხვავებით, თეთრი ფერის, სპილოს ძვლის მასალისაგან იყო გაკეთებული.

მომავალ ბედნიერ მფლობელს ელოდებოდა იმავე „ვალტერის“ წარმოების ფისტოლეტი P-99 Royal. მის მჭიდში სტანდარტულად 15 ვაზნა ჩადიოდა. ლულის სიგრძე 10 სმ-ს შეადგენდა, მთლიანი სიგრძე კი 18 სმ-ს. ფისტოლეტი, რომლის წონა 680 გრ-ს უტოლდებოდა, სტანდარტული ვერსიასავით შავი ფერის იყო. მისი ზედა სისტემური კოლოფის მოხატულობაში 24K ტიპის ოქრო იქნა გამოყენებული, რომელიც ხდიდა იარაღს უფრო მიმზიდველს და მატებდა მას აღქმადობას. ფისტოლეტი წარმოებულ იქნა „კარლ-ვალტერის“ იარაღების ქარხნის 100 წლის თავზე საიუბილეო ვერსიად.

ავსტრიელ დილერს SIG-SAUER-ის საიუბილეო მოდელიც ჰქონდა მოჩუქურთმებულ X-FIVE – თან ერთად გასაყიდი. SIG Sauer P220 Jubiläumspistole-ს მჭიდში 8 ერთეული .45 ACP-ს ვაზნა ჩადიოდა. ლულის სიგრძე 105 მმ-ს შეადგენს, ხოლო მთლიანი სიგრძე 200 მმ-ს. ფისტოლეტის სიმაღლეში 14 სმ-ია, მისი წონა კი ზუსტად 840 გრამს უტოლდება. აღნიშნული მოდელების შეზღუდული რაოდენობით წარმოება განხორციელდა Waffenfabrik J.P. Sauer&Sohn / Eckernförde-ის 250 წლის საიუბილეოდ. კაკლის ხისაგან დამზადებული ტარი და შავ ფონზე გაკეთებული 24K ტიპის ოქროს ხაზები ერთობლიობაში ქმნიან კლასიკურობის, ტრადიციულობისა და თანამედროვეობის ერთმანეთთან კავშირს.

რაც ყველაზე მთავარია ამ ყველა ჩამოთვლილი იარაღებიდან ყველაზე მიმზიდველად და ელეგანტურად გერმანიაში წარმოებული, „ჯადოსნური“ X-FIVE გამოიყურებოდა. ფისტოლეტი აგებულია სტანდარტული P-226S X5 Short -ის ბაზაზე. არასერიულ მოდელს ლულის ქვეშ გაკეთებული აქვს პიკატინის ტიპის ხიდი სხვადასხვა სახის აქსესუარების დასამაგრებლად (თუმცა მისი შესანიშნავი ვიზუალური მხარიდან გამომდინარე მასზე რაიმეს დამატება უაზრობაა!!!..). იარაღი მთლიანად ჩასმულია ევროპული სტილის „მუხის ფოთლისებრ“ გრავირებებში. საკეტის დამშვები, ორივე მხარეს განთავსებული სასხლეტის დამცველი ღილაკები, თავად

SigSauer-ის სპორტული ფისტოლეტები კალ. 9x19მ



სასხლეტი, ტარის დამჭერი ჭანჭიკები, წინა და უკანა სამიზნე მოწყობილობები, ლულა და ლულისქვეშა ფოლადის ჩხირი – დამჭერი მთლიანად ოქროშია ჩასმული. ფისტოლეტის მთლიანი სიგრძე 212 მმ-ია, ხოლო მისი ლულის სიგრძე 114 მმ. მჭიდში ჩადის 19 ვაზნა. იარაღის წონა შეადგენს 1220 გრ-ს. სასხლეტის გამოსაკვრელად საჭიროა მასზე 1 კგ-დან 1,5 კგ-მდე ზეწოლის განხორციელება. ფისტოლეტი უბრალოდ საიუბილეო ვერსია არ არის. ის ძალზედ შეზღუდული რაოდენობითაა წარმოებული და ბევრ არასერიულ მოდელს სჯობს უამრავი კრიტერიუმების გათვალისწინებით. მისი ღირებულება თავად ავსტრიაში შეადგენდა 12.500 ევროს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისმა მომავალმა თუ ამჟამინდელმა მფლობელმა თავისუფლად შეიძლება ჩათვალოს თავი ხელოვნების ნიმუშის მეპატრონედ, რომელიც გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ შესაძლოა ანტიკვარად გადაიქცეს.

წინგში უკვე აღინიშნა რომ SIG-SAUER – მა საქვეყნოდ გაითქვა სახელი ფოსტოლეტების წარმოებით. მის მიერ დამზადებული მოდელები მთელს მსოფლიოში ცნობილია უმაღლესი ხარისხით, საიმედო მუშაობითა და საუკეთესო ბალისტიკური მაჩვენებლებით. „ზიგის“ ფისტოლეტებს დღესდღეობით უკვე დიდი წარმატებით იყენებენ სპორტსმენები. სწორედ ამგვარი მოდელები იყო წარმოდგენილი ბოლო წლებში გამართულ რამოდენიმე საერთაშორისო გამოფენაზე, როგორც ბრენდის საამაყო მოდელები, რომლებმაც სახელი მოუხვეჭეს და დიდი წარმატება მოუტანეს არა მარტო მათ მფლობელებს, არამედ თავად კომპანიასაც.

P226 X-FIVE OPEN, P226 X-SIX HIGHMASTER -სა და P226 X-SIX PPC OPEN CLASS-ს უამრავი გამარჯვება აქვთ მოპოვებული მსოფლიოში პრესტიჟულ და ელიტარულ შეჯიბრებებზე. P226 X-FIVE OPEN ლიდერ პოზიციებს იკავებს ხოლმე IPSC (International Practical shooting confederation – ინტერნაციონალური პრაქტიკული სროლის ფედერაცია) Open Class-ის დისციპლინაში მონაწილეობისას. ფისტოლეტი აღჭურვილია კომპენსატორით, ტევადობა გაზრდილი მჭიდით, გვერდითი განმმუხტველი ღილაკებით და ორთოპედიული სინთეტიკური ტარით. ის ძირითად შემთხვევებში ორი განსხვავებული კალიბრის ვაზნაზე იწარმოება. ერთია შედარებით ზუსტი და გავრცელებული კალიბრი 9 MM PARA, ხოლო მეორე უფრო მძლავრი და ეფექტური 40 S&W. იარაღის ლულის სიგრძე 127 მმ-ია. ლულაში ექვსი ღარი და ველია ხრახნის სახით გაკეთებული. ფისტოლეტის მჭიდში ჩადის ნვრილი ვაზნის შემთხვევაში 19 ერთეული, ხოლო მსხვილის შემთხვევაში 14 ერთეული. საგამოფენო კომპლექსში წარმოდგენილი ვერსია დანახვისთანავე იქცევდა სპორტსმენებისა თუ აღნიშნული ბრენდის მოყვარულთა ყურადღებას. მას ინტეგრირებულ ჭრილებიან ხიდზე დამაგრებული ჰქონდა სპორტული ტიპის მაღალი სამიზნე აღჭურვილობა, რომელზედაც დამაგრებული იყო Aimpoint-ის სამიზნე.

P226 X-SIX PPC OPEN CLASS, ზემოთხსენებულისაგან განსხვავებით შედარებით უფრო მოხერხებული ხის ტარითაა აღჭურვილი. ფისტოლეტის ლულის სიგრძე 153 მმ-ია. როგორც წესი, იარაღის ლულაში ზემოთხსენებული X-FIVE-ის მსგავსად ექვსი ხრახნია გაკეთებული. წონა ცარიელ მჭიდთან ერთად ზუსტად 1352 გრ-ია. იარაღი ისვრის 9mm PARA – ვაზნებს და მის მჭიდში 19 ერთეული ვაზნა ჩადის. ფისტოლეტი საგამოფენო კომპლექსში მისი „ძმობილის“ მსგავსად Aimpoint-ის სამიზნე მოწყობილობით იყო წარმოდგენილი. მასში სპორტულ მახასიათებლებთან ერთად კლასიკური იერი და „ზიგის“ დამახასიათებელი ელეგანტურობაც ჩადებული იყო.

SIG-ის პროდუქციის საკმაოდ ფართო სპექტრიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტსმენებსა თუ სნაიპერთა წრეში უზუსტესი, წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანა, სახელნოდებით SSG 3000. დღესდღეობით იწარმოება აღნიშნული მოდელის როგორც სამხედრო ასევე არაცივილური, სპორტული ან სანადირო ვერსიებიც. საგამოფენო კომპლექსში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კლასიკურ, ხის კონდახით აღჭურვილ სპორტულ შაშხანებთან ერთად SSG 3000 ახალი ვერსია .308 Winchester-ის ვაზნებზე. იარაღის მჭიდის ტევადობა 5 ვაზნაა. საკეტის თავზე 6 ნახნაგია განთავსებული. წონა 5,440 კგ-ს შეადგენს. ლულა, რომელიც Match-ის შეჯიბრებებისათვის შეიქმნა, სიგრძეში ცეცხლმაქრი კომპენსატორითურთ 600 მილიმეტრია. მისი სწრაფი და მარტივი განცალკევება იარაღისაგან სპეციფიკური ჭანჭიკის მოხსნით ხორციელდება. შედეგად შესაძლებელია სხვა ყალიბის მქონე ლულის შაშხანაზე დამაგრება. ცილინდრული ტიპის, მექანიკური წესით მტენი საკეტი მექანიზმის გახსნის კუთხე 60°-ს შეადგენს. სპეციალურად ამ იარაღისათვის შექმნილ იქნა Zeiss/Hensoldt – 1,5-6x24 BL-ის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა, რომელიც სისტემური კოლოფის ზემოდან არსებულ ინტეგრირებულ სამიზნე ხიდზე მაგრდება. შაშხანა აღჭურვილია კონდახზე განთავსებული რეგულირებადი სალოყე ბალიშითა და მხარზე საყრდენით. რაც ყველაზე მთავარია, SIG-საც „ბლაზერის“ სირგძივ მოძრავი საკეტი მექანიზმი ჰქონდა გაკეთებული.

იარაღი ძირითად შემთხვევებში ოთხი განსხვავებული კალიბრის ვაზნებზე იწარმოება. ესენია: .223 Remington (ლულის სიგრძე 627 მმ), .308 Winchester (ლულის სიგრძე 650 მმ), .300 Win. Mag. (ლულის სიგრძე 650 მმ) და .338 Lapua Magnum (ლულის სიგრძე 686 მმ).

ზუსტმსროლელი შაშხანის დამცველი ღილაკი „ბლაზერივით“ საკეტი მექანიზმის უკანაა განთავსებული და მასთან ერთად მოძრაობს. მჭიდის დამჭერი-გამომლები ღილაკები მის მაღლა, სისტემური კოლოფის მარჯვენა და მარცხენა კედლებზეა განთავსებული. მათი ერთდროულად წინ მიწევისას ხდება მჭიდის მოხსნა. ლულისქვეშა ორფეხა სადგამის გარდა შაშხანის წინა მხარეს, უფრო სწორედ კი ლულის შუა პერიმეტრში განთავსებულია პიკატინის ტიპის სამი სამიზნე ხიდი ზემოდან, მარცხნიდან და მარჯვნიდან. მათზე სურვილის შემთხვევაში მაგრდება ღამის ხედვის მოწყობილობა, ლაზერი, ფანარი და სხვა მასგავსი დანიშნულების მქონე აქსესუარი. იარაღს ნებისმიერი კალიბრის შემთხვევაში მასიური, გრძივად ზედაპირულ ჭრილებიანი – ღარებიანი ლულა უყენია, რომელსაც ბოლოში ალმაქრი, კომპენსატორი აქვს დამაგრებული.

როდესაც თითოეულ გასროლილ ვაზნას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, SIG TACTICAL 2 საუკეთესო არჩევანია. ასე ახასიათებენ იარაღს მისი შემქმნელები.

შვეიცარიული ბრენდის მიერ სამოფენო კომპლექსში ყველაზე მსხვილკალიბრიანი და ყველაზე შორსმსროლელი შაშხანა გახლდათ SG-511 ყალიბით .50 BMG. იარაღს ნამდვილად ეტყობოდა დახვეწილი ევროპელების ხელი. თუმცა გარკვეული







SIG-ის სნაიპერული ტიპის შაშხანები





შაშხანის სამი პოზიციის მქონე დამცველი



კონდახის საყრდენი ფეხი

უპირატესობები ამერიკულ მსხვილკალიბრიან კონკურენტ ვერსიებს მაინც ჰქონდათ მასთან მიმართებაში. პირველრიგში ალბათ უფრო პრაქტიკულობის თვალსაზრისით.

SG 511 რამოდენიმე განსხვავებული სიგრძის ლულებით მზადდება. მათგან სერიულ წარმოებაშია 446, 559, 816 და 914 მმ-ნი ლულები. შაშხანის წონა მჭიდთან ერთად 10 კგ-ია, რაც არაჩვეულებრივ გარემოებად ითვლება ზუსტი სროლის საწარმოებლად ამგვარი კატეგორიის შაშხანებში. იარაღის მჭიდში 5 ვაზნა ჩადის. მისი გამომღები ღილაკი სასხლეტის ბუდის ქვედა მხარესაა განთავსებული. ღილაკის წინ მიწევისას ხდება დამჭერის გაღება და მჭიდის მოხსნა. წრფივად მოძრავი, ცილინდრული ტიპის საკეტი მექანიზმის თავზე ორი საკმაოდ მძლავრი, მასიური წახნაგია გაკეთებული. ისინი იდეალურად ახორციელებენ თავისზე დაკისრებულ მოვალეობას. თავად საკეტის სახელური დიდი ზომისაა და მისით მექანიზმის სრიალი იოლად, ყოველგვარი ზედმეტი დამაბრკოლებელი გარემოებების გარეშე ხორციელდება.

სასხლეტს საკმაოდ საინტერესო, სამსაფეხურიანი დამცველი გააჩნია. ის სისტემური კოლოფის მარჯვენა მხარეს, ფისტოლეტისებრი ტარის ზემოთაა განთავსებული. სულ ზედა პოზიციაში იარაღი სრულად იმყოფება დაცვაზე. ამ ვითარებაში ღილაკის გვერდით თეთრი ფერით აღნიშნულია ტყვია და მას იმავე ფერის ორი ხაზი აქვს გადასმული. ეს ნიშნავს რომ შეუძლებელია როგორც სასხლეტის გამოკვრა, ასევე ეგრეთწოდებული „ბოლტის“, ანუ საკეტი მექანიზმის მოძრაობა/გაღება. მის ქვედა, მეორე პოზიციაში არსებული ღილაკი მიგვითითებს, რომ იარაღი არასრულ დაცვაზე იმყოფება. ამ შემთხვევაში თეთრი ფერის ტყვიას მხოლოდ ერთი ხაზი აქვს გადასმული. ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია საკეტი მექანიზმის მოძრაობა/გაღება. თუმცა სასხლეტზე თითის გამოკვრის შედეგად გასროლა ამ შემთხვევაში მაინც არ განხორციელდება. ანუ თავად სასხლეტი იმყოფება დაცვაზე და ის არ მოვა მოქმედებაში. მესამე პოზიცია წითელი ფერის ტყვიითაა აღნიშნული. მის გვერდით არსებული ღილაკი უკვე მიგვითითებს, რომ იარაღი სრულ მზადყოფნაშია ცეცხლის საწარმოებლად.

შაშხანის ზემოდან M1913-ის ტიპის გრძელი სამიზნე ხიდი აქვს განთავსებული. მასზე შესაძლებელია ნებისმიერი სასურველი სამიზნე მოწყობილობის დამაგრება ღამის ხედვის მოწყობილობასთან ერთად. საგამოფენო კომპლექსში განთავსებულ იარაღს რატომღაც ავსტრიული ბრენდის Kahles-ის ოფტიკური სამიზნე ჰქონდა ზემოდან დამონტაჟებული.

არადა მისი შემქმნელები გერმნული ბრენდის „Schmidt&Bender“-ისა და „Carl Zeiss“-ის რამოდენიმე ვერსიას ურჩევენ ხოლმე იარაღის შეძენის მსურველებს. გრძელ სამიზნე ხიდთან ერთად შაშხანას მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე მოკლე და ვიწრო სამიზნე ხიდები აქვს განთავსებული. სავარაუდოდ მათზე მაგრდება ფანარი, ლაზერი ან რაიმე მსგავსი მოწყობილობა. თუმცა ზოგიერთი სპორტსმენისათვის (და არა სამხედრო პერსონალისათვის) ცოტა გაუგებარია რაში ჭირდება მსროლელს აღნიშნული ნივთები მაშინ, როდესაც ის გასროლას ერთ კილომეტრზე უფრო შორ მანძილებზე ახორციელებს.

შაშხანის ლულა სრულად თავისუფალი რხევის ზონაში იმყოფება. მისი პირველი, ზედაპირულ ჭრილებიანი (დაღარული) ნახევარი ეგრედწოდებული „Doublebarrel“-ით სქელია და მეორე ნახევარი ოდნავ თხელი. ბოლოში, ანუ პირის ღრუსთან გაკეთებულია მასიური ალმაქრი კომპენსატორი. უნდა ითქვას რომ ის თავისზე დაკისრებულ მოვალეობას მართლაც რომ შესანიშნავად ასრულებს.

სისტემური კოლოფის წინა ბოლოში ორფეხა სადგამია განთავსებული. საკეცი კონდახის სალოყე ბალიში რეგულირებადია. ამავდროულად შესაძლებელია შაშხანის უკანა მხარის დაყრდნობა კონდახზე განთავსებული ვერტიკალურად რეგულირებადი ფეხით. ზოგადად იარაღმა ნამდვილად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ, არა საუკეთესო ყველა ასპექტში. მასზე უკეთესები შესაძლებელია მისი კონკურენტები იყვნენ ამა თუ იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით. რაც ყველაზე მეტად მოგვეწონა შაშხანის თვისებებში, ეს მისი მოხერხებული, კომპაქტური აგებულება და დიზაინი გახლდათ. იარაღის კალიბრს თუ გავითვალისწინებთ და გადავხედავთ ამჟამინდელ ბაზარზე არსებულ .50 BMG – ით აღჭურვილ შაშხანებს, მივხვდებით რომ SIG-ის იარაღი ჭეშმარიტად პრაქტიკულია.



SIG ის ეგრედწოდებული „ორმაგი“ ტიპის სქელი ლულა ალმაქრი კომპენსატორით

CARL WALTHER GMBH

გერმანელი კონსტრუქტორი კარლ ვალტერი დაიბადა 1858 წელს. იგი დაინტერესებული იყო და განათლებას ღებულობდა ლულათა ოსტატის განხრით. ნიჭმა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, გზა იპოვნა და ყველასათვის ცნობილმა კონსტრუქტორმა სწავლის დასრულების შემდგომ 1886 წელს საკუთარი კომპანიაა დააარსა. არც თუ ისე მოკრძლებული ზომის იარაღების დამამზადებელი საწარმო გერმანიაში, ზულთან ახლოს, Zella Mehlis-სი იყო განთავსებული. თავდაპირველად ქარხანაში ხდებოდა სპორტული შეჯიბრებებისათვის შესაბამისი იარაღების წარმოება. მე-20 საუკუნის დასაწყისში კარლს შვილები, ერიხი, ფრითცი და გეორგი ამოუდგნენ მხარში და მშობელთან ერთად განაგრძეს მეიარაღეობა. უკვე 1907 წელს კი ფრითც ვალტერმა შექმნა პირველი საკუთარი ნახევრადავტომატური ფისტოლეტი ყალიბით 6,35 მმ. 1929 წელს გამოჩნდა ლეგენდარული Walther PP (PP – Polizei Pistole), რომელსაც მალე მოჰყვა Walther PPK. იარაღი მინიმუმ 30 წლის განმალობაში ლიდერ პოზიციას იკავებდა უამრავი ქვეყნის ძალოვან სტრუქტურაში და წარმოადგენდა ელიტარულ პოლიციისა თუ სამხედრო ქვედანაყოფების განუყრელ იარაღს. 1938 წელს განვითარებულ იქნა თვითმტენი ფისტოლეტი ყალიბით 9 მმ Para. 1938 წელს აღნიშნული იარაღი გერმანული „ვერმახტის“ მიერ იქნა აღიარებული და შეიარაღებაში მიღების შემდგომ მიენიჭა სახელწოდება P-38. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ვალტერ ფრითცმა ქალაქ ულმში 50-იანი წლების დასწყისში ახალი იარაღების ქარხანა ააგო. თუმცა თავდაპირველად მოკავშირეთა მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, რომელიც ითვალისწინებდა ცეცხლსასროლი იარაღების წარმოების აკრძალვას, შეჩერებულ იქნა ამ ტიპის ვერსიების დამზადება და ხორციელდებოდა მხოლოდ პნევმატური იარაღები Match-ის შეჯიბრებებისათვის. ამის შემდგომ ნელ-ნელა იწყო წარმოებამ წინსვლა და განვითარება. მათ ჰქონდათ წარმატებებიც და ჰქონდათ გარკვეული ჩავარდნებიც. ეს ყოვილევე მაინც დამოკიდებული იყო იმ დროინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე. რა თქმა უნდა ორივე მსოფლიო ომმა დიდი როლი ითამაშა „ვალტერის“ ინდუსტრიულ განვითარებასა თუ კარიერულ დაღმასვლაში. ფაქტი ერთია, დღესდღეობით კომპანია ფეხზე დგას და უფრო მეტიც, ერთ-ერთი წამყვანი როლი აკისრია მსოფლიო ბაზარზე. ამჯერად მათ ძირითად საქმიანობას სპორტული და თავდაცვის პისტოლეტების შექმნა წარმოადგენს. თუმცა მანამდეც და ეხლაც ქარხანაში სერიულად ან ზოგჯერ არასერიულადაც მზადდებოდა შაშხანები. ფირმა მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც საკუთარი, ისე უცხო ქვეყნების მთავრობებთან. მათი პისტოლეტები ბევრი სახელმწიფოს შეიარაღებაში შეიძლება ვიხილოთ. 1993 წელს Carl Walther GMBH – მა ხელშეკრულება გააფორმა Umarex-ის მწარმოებელთა ჯგუფთან. მათი თანამშრომლობა დღემდე წარმატებით ხორციელდება. კომპანიის ამჟამინდელი ადგილმდებარეობა მათთვის მნიშვნელოვანი წარსულის მქონე ქალაქი ულმია. იქ განთავსებულია ქარხანა, ოფისები და საგანმანათლებლო ცენტრი სასროლეთთან ერთად.

ყოველ წელს ფირმას საკუთარი პროდუქცია გააქვს გამოფენებზე და ცდილობს მთელს მსოფლიოში გაყიდოს მართლაც რომ მაღალი ხარისხის მქონე იარაღები. იქნება ეს ლას-ვეგასში გამართული გამოფენა, თუ ევროპისა და აზიის რომელიმე ტრადიციების მატარებელ ქალაქში ჩატარებული საგამოფენო ექსპოზიცია. რა თქმა უნდა არსებობს ქვეყნებიც, რომლებიც ეგრეთწოდებულ შავ სიაში არიან და მათზე იარაღის გაყიდვა კანონმდებლობით აკრძალულია. არის შემთხვევები, როდესაც მსგავსი კანონი არაა შემუშავებული, მაგრამ კონკრეტულ სახელმწიფოში მაინც არ ხდება იარაღის იმპორტი გერმანიიდან. ჩვენი ქვეყანა საბედნიეროდ ამ რიცხვს არ განეკუთვნება. თუმცა გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს. ინფორმაცია ამის თაობაზე და კიდევ უამრავი სხვა რამის შესახებ ჩვენ ევროპაში გამართულ ერთ-ერთ გამოფენაზე მივიღეთ. ამასთანავე წილად გვხვდა დავსწრებოდით ვალტერის დაარსების 125 წლისთავის იუბილეს და საჩუქრებიც მიგველო შ.პ.ს. „ქარავან+“-ის სახელით პარტნიორი კომპანიისაგან, როგორც მათ ოფიციალურ წარმომადგენელს საქართველოში. ძველთან ერთად, დარბაზში წარმოდგენილი იყო ახალი, 2011 წელს შექმნილი მოდელები. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ყველას ყურადღებას იმსახურებდა გახლდათ Walther PPQ. მის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოპოვება გამოფენაზევე მოვახერხეთ. ახალ მოდელთან ერთად გამოფენილი იყო მცირეკალიბრიანი (5,6 მმ), ნახევრადავტომატური შაშხანები. რამდენადაც გასაკვირი არ უნა იყოს, თავად „ვალტერის“ მიერ შექმნილ, ბულპაპის სტილის G-22-თან ერთად იყო კომპანია Heckler&Koch – ა და Colt-ის მცირეკალიბრიანი თვითმტენი შაშხანები. ჩვენმა მანპინძელმა ბატონმა კარსტენ მარქსმა აღნიშნა რომ მსგავს იარაღებს ბევრი ფირმა აწარმოებს, მაგრამ ვალტერს აქვს ოფიციალურად



Walther PPQ კალ 9x19





Walther PPQ-ს სასხლეტზე განთავსებული დამცველი ღილაკი

ლიცენზია ნაყიდი ზემოთხსენებული კომპანიებისაგან და მაქსიმალური სიზუსტით იცავს იმ მოთხოვნებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მათ მიერ დამზადებული სხვა ბრენდების იარაღები.

„ვალტერის“ თანამშრომელთა ინფორმაციაზე დაყრდნობით, ძირითადი მიმართულება გახლდათ საპოლიციო სტილის იარაღების შექმნა-დამზადება. ამ კეტაგორიის პისტოლეტთა ჯგუფის პირველი მოდელი გახლდათ დღესდღეობით უკვე ლეგენდარული PPK. მას მოჰყვა მოდელები P99 და PPS. 2011 წელს კი შეიქმნა სრულიად ახალი, განსხვავებული ვერსია სახელწოდებით – Walther PPQ.

PPQ-ს მონაცემებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ამჟამად კომპანია Carl-Walther GMBH-ის მიერ წარმოებაში ჩაშვებული იარაღებიდან, ზოგადათ მაინც ყველაზე კარგია. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი. ყველაზე ბოლოს ხომ სწორედ ზემოთხსენებული მოდელი შეიქმნა. შესაბამისად მისი აგება უფრო მეტი გამოცდილების ხარჯზე მოხდა. მანამდე დაშვებული შეცდომები გამოსწორდა და ყველაზე მთავარი, ხალხის, ანუ მყიდველის აზრს გარკვეუ-



Walther PPQ აღჭურვილია რკინის მჭიდით და ლაზერული ტიპს სამიზნე ტაქტიკური ფანრით





ლი დროის გასვლის შემდგომ დაეთმო ყურადღება.

ერთ-ერთი სიახლე გახლავთ ერგონომიული ხელსაკიდი. მის ხარისხს ბოჭკოვანის სახით წარმოდგენილი პოლიმერის მასალა ამყარებს. მოპირკეთება და დამუშავება იმდენად დახვეწილია, რომ გამორიცხულია სროლისას ან დამიზნებისას ხელი გაუსრიალდეს მსროლელს. ამასთანავე შესაძლებელია ტარისათვის 3 განსხვავებული ფორმის მიცემა, რათა გაადვილდეს ხელში ჭერა იარაღის არასტანდარტული აღნაგობის მფლობელთათვის. ამ ყოველივეს ემატება არასერიული მჭიდიც. მას ბოლოზე დამატებით დამაგრებული აქვს სპეციალური ორთოპედიული დამაგრძელებელი, რომელიც გარდა იმისა რომ აგრძელებს მჭიდს, ეხმარება იარაღს იყოს პრაქტიკული შედარებით დიდი ხელის პატრონი მსროლელისათვის.

მეორე სიახლე გახლავთ „ვალტერისათვის“ არადამხასიათებელი, ახალი სტილის სასხლეტი მექანიზმი. იარაღის შემქმნელები მას სწრაფი თავდაცვის სისტემას უწოდებენ. თითის გამოკვრისას ჯერ ზეწოლა ხდება პატარა, სპეციფიკურ სასხლეტისებრ ღილაკზე, რომელიც თავად ფუძე-სასხლეტზეა განთავსებული. ამის შემდგომ, აღნიშნული პროცედურის განხორციელების მოხდეს მჭიდის უნებურად გამოძრობა და დაკარგვა.

ვაზნის გამომღები როდესაც დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმის სისწორეზეა განთავსებული, ნიშნავს რომ ლულის სავაზნე კოლოფში ვაზნა არაა და შესამაისად პისტოლეტი არაა საცეცხლე მზადყოფნაში. ხოლო თუ გამომღების უკანა ნაწილი ოდნავ შეწეულია შიგნით და მოჩანს წითელი ნიში, მაშინ იარაღია მზადაა ცეცხლის წარმოებისათვის და გასროლისათვის მხოლოდ სასხლეტზე თითის გამოკვრაღაა საჭირო.

სამიზნე მოწყობილობა ფისტოლეტს ძველ მოდელებთან შედარებით მართლაც რომ იდეალური აქვთ. ფოსფორის სამ პატარა წერტილებს, რომელთაგანაც ორი უკან და ერთი წინაა განთავსებული, 1 საათი სინათლის ენერგიის მიღება 8 საათს ყოფნით. მიზანში ტყვიის მოხვედრას ეხმარება ლულის ქვეშ არსებული პიკატინის ჭრილებიანი ხიდიც. მასზე მარტივადაა შესაძლებელია უამრავი სახეობის ფანარისა და ლაზერის კომბინირებული ვერსიების დამაგრება.

დამატებით, არასერიული პროდუქციის სახით საკმაოდ ფართო არჩევანის წინაშე ვდგებით, თუ PPQ-ს დამატებითი აღჭურვილობით დაკომპლექტებას მოვისურვებთ. 20 ვაზნიანი მჭიდი, სპეციალური ლულა მაყუჩისათვის განკუთვნილი ხრახნით, ტრირიუმის ღამის ხედვის სისტემა, ლაზერისა და მწვანე შუქით – ღამის ხედვის ფანარის კომბინირებული ვარიანტი და კიდევ ბევრი სხვა რამ არის ხელმისაწვდომი.

დამშვები ღილაკი, რომელიც გამოიყენება საკეტი მექანიზმის დასაშვებად, ანუ საწყის პოზიციაში დასაბრუნებლად, პისტოლეტის ორივე მხარესაა განთავსებული. როდესაც ვაზნები თავდება და იარაღი რჩება ღია, მასზე ცერა თითის მოხერხებულად დაწოლით, შესაძლოა სავსე მჭიდის ჩადების შემდგომ დავუშვათ დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმი და ვაზნა პირდაპირ მოხვდეს ლულაში განთავსებულ სავაზნე კოლოფში.

იარაღის დაშლა ძალიან მარტივია. გამოვიღებთ მჭიდს, სასხლეტის ბუდის თავზე განთავსებულ ღილაკს, რომელიც ორივე მხარესაა, დავწევთ ქვემოდ და დამშვებ-დამრტყმელ მექანიზმს მთლიანად გავწევთ წინ. შესაბამისად ის განცალკევდება დანარჩენი იარაღისაგან.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ პისტოლეტს მისი წინამორბედი P-99-ვით არ გააჩნია ხელის, მექანიკური ჩახმახი. ანუ პრინციპი მარტივდება. ჩავდეთ ვაზნებით სავსე მჭიდი. გადავტენეთ და დამთავრდა. შესაძლოა სახლეტზე თითის გამოკვრით ცეცხლის წარმოება. ეს იდეოლოგია ეხმარება ადამიანს მარტივად იმოქმედოს და შედეგად ადამიანის – მსროლელის თითის გამოკვრის შედეგად განვითარებული ძალა მოქმედებს ჩვეულებრივ ცეცხლის საწარმოებლად. საწინააღმდეგო შემთხვევაში შეუძლებელია გასროლა. ანუ სასხლეტი მექანიზმი აღჭურვილია ერთგვარი დამცველით. მსგავსი მექანიზმი მანამდე ჰქონდათ სხვა იარაღებსაც, რომელთაგანც გამოირჩევა ავსტრიული წარმოების Glock.

მჭიდის გამოღება და დატენვა როგორც ცაციებისათვის, ისევე მემარჯვენეებისათვისაცაა იოლად შესაძლებელი. პისტოლეტს ორივე მხარეს, სახლეტის ბუდეზე განთავსებული აქვს მჭიდის გამომღები/დამჭერი. აღსანიშნავია რომ ზემოთხსენებულ ადგილას ღილაკის არსებობა წინაპირობაა საიმედოობისა და იძლევა უფრო მეტ შანსს, რათა არ

მალე მიიღოს გადაწყვეტილება. მსგავს ფუნქციას განსაკუთრებულ ყურადღებას სამხედროები აქცევენ. ალბათ იმიტომ რომ სწორედ მათ არ სურთ ყველაზე მეტად საკუთარი პროფესიიდან და საომარი მდგომარეობებიდან გამომდინარე იმაზე ფიქრიც კი, დაცვაზეა თუ არა იარაღი დაყენებული. სწორედ ანალოგიური სისტემური აგებულებით ფასობს ავსტრიული „გლოკი“, თორემ ყველას კარგად მოეხსენება რომ არსებობს სხვა კომპანიები, რომელთა მიერ წარმოებული ფისტოლეტებიც ბევრად სჯობს გარკვეული მონაცემებით ავსტრიელების მიერ შექმნილ ვერსიებს.

ამ ყოველივეს ემატება ძალზედ საჭირო და მნიშვნელოვანი ფუნქცია. PPQ-ს სერიულად წარმოებამდე ტარდებოდა უამრავი ტესტი, რათა იარაღს ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე ესროლა წყალშიც. შესაბამისად შემუშავდა პროგრამა და დადგინდა რომ თუ იარაღი მოხვდა წყალში, მაშინ ნემსის არხში/ხვრელში უნდა იყოს გაკეთებული ჭრილი წყლის გარკვეული ნაკადის გადასაადგილებლად. ჰიდრავლიკური წინააღმდეგობის კომპენსირებასა და რეგულირებას ახდენს სპეციალური ზამბარა. ხოლო ნემსის წინ მოძრაობის პროცესში წყლის წინაღობას სპეციალური მამოძრავებელი ძალები ამცირებენ.

ერთის შეხედვით სახეზეა უნიკალური იარაღი, საიმედო სისტემითა და თეორიულად მაქსიმალურ დონეზე გამართული მექანიზმით. სამწუხაროდ პრაქტიკაში არ მოგვეცა შესაძლებლობა გვეწარმოებინა სასინჯი გასროლები. კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით ფისტოლეტის ლულაც და სავაზნე კოლოფიც ერთი მასიური დეტალისაგანაა აგებული და ახალი ტექნოლოგიებით ნაწრთობი. შესაბამისად ბალისტიკური მონაცემები წინამორბედ მოდელებთან შედარებით გაუმჯობესებულია და უკუცემაც შედარებით შემცრიებულია. ყოველ შემთხვევაში მსგავსი ინფორმაცია მოგვაწოდეს მისმა შემქმნელებმა. ერთი რამ ცხადია, ისინი საკუთარ ფისტოლეტზე სხვა აზრს არც გამოხატავდნენ, მაგრამ თეორიული განმარტებების შემდგომ გამოცდილი მეიარაღე თუ გაითვალისწინებს ამ ყოველივეს და გაიხსენებს ამავდროულად კომპანიის ისტორიასა და მის მიერ შექმნილ წინამორბედ ვერსიებს, თავისუფლად შეიძლება სატესტო სროლის გარეშეც დაიჯეროს ზემოთხსენებული ინფორმაცია. აი რაც შეეხება წყალში გასროლას და ამის შემდგომ წყლის გარეთ იმავე პროცედურის განხორციელებას, იმდენად რთული რამ არის ჯერ კიდევ, რომ აუცილებელია იარაღი ყველაზე მთავარმა გამომცდელმა, დრომ გამოცადოს.



Walther P99 Nickel კალ. 9x19mm და Walther PPQ კალ. 9x19mm

მწარმოებელი:	Carl-Walther GMBH	
სახელოწოდება:	**Walther – PPQ**	
სისტემა:	თვითმტენი	
ყალიბი:	9x19 მმ / 9x21 მმ	40 S&W
მჭიდის ტევადობა:	15 – 17 ვაზნა	12 ვაზნა
დაცვა:	(3) სამმაგი – მჭიდის, სასხლეტის, დამშვებ-დამცემი მექანიზმის.	
ხელსაკიდი:	3 სახეობის, ცვლადი.	
სასხლეტი:	სწრაფი რეაგირების/თავდაცვის	
სასხლეტზე ზემოქ. წონა:	2500 გრ.	
სასხლეტის მოძრ. მანძილი	7 – 9 მმ.	
სასხლეტის განთავსების მანძილი ხელსაკიდის ბოლოდან:	72 მმ	
სამიზნე მოწყობილობა:	რკინის, ფოსფორის, 3-DOT	
სამიზნეებს შორის მანძილი:	156 მმ	158 მმ
ლულის სიგრძე:	102 მმ	106 მმ
ხრახნის სიგრძე/მიმართულება:	250 მმ/მარცხნიდან მარჯვნივ/6 ჭრილი	406 მმ/მარცხნიდან მარჯვნივ/6 ჭრილი
სიგრძე/სიგანე/სიმაღლე:	180/34/135 მმ	184/34/135 მმ
წონა ცარიელი მჭიდით:	695 გრ.	705 გრ.
ცარიელი მჭიდის წონა:	80 გრ.	80 გრ.
ტყვიის ენერგია: E3.	500 ჯ.	475 ჯ.
ტყვიის დაახლოებითი წონა:	8 გრ.	11,7 გრ.
ლულისა და საკეტის შემადგენლობა:	Tenifer® – მაღალი სიმტკიცის ფოლადი.	
ხელოვნური-სინთეტიკური მასალის შემადგენლობა:	მყარი პოლიამიდის მასალა.	
მიახლოებითი ფასი:	1000 EU	

WALTHER P-99 – HECKLER&KOCH P-30

P-99 AS ერთი პერიოდი გახლდათ ყველაზე გავრცელებული მოდელი ევროპაში, რომელმაც მოიპოვა სამართალდამცველთა საკმაოდ დიდი ნდობა. მთავარი უპირატესობა და სხვებისაგან განმასხვავებელი ნიშანია ფისტოლეტის სასხლეტი. მას შემქმნელებმა ანტისტრესული უწოდეს. ეს კი, როგორც ხშირ შემთხვევებში ხდება ხოლმე, უბრალოდ სარეკლამო მიზნებისათვის განკუთვნილი სახელწოდება არაა. ეს გახლავთ იარაღი, რომელიც დააკომპლექტეს ერთდროულად ეგრეთწოდებული DA – Double Action და SA-ისingle-Action სისტემებით, რომელთაც ემატება მესამე, AS – Anti Stress (ანტი სტრესული) სისტემა. ანუ პირველი ვერსიის შემთხვევაში ძალაც და მოძრაობის მანძილიც ყველაზე მეტია საჭირო – 40ნ/14მმ. ეს გახლავთ მუდმივად დაჭიმული ნემსის სისტემა გრძელი, უტყუარი-საიმედო სასხლეტის ბიჯით. პირველი ვაზნის გასროლიდან მჭიდის დაცლამდე სასხლეტის მოქმედებაში მოსაყვანად ერთი და იგივე ძალა და მანძლია საჭირო. მეორე შემთხვევაში ნაწილობრივად დაჭიმული ნემსის სისტემით აღჭურვილი ფისტოლეტი გახლავთ სპორტსმენებისა და ძალოვანების საყვარელი მოდელი. ანუ SA-ს შემთხვევაში ყველაზე მოკლე მანძილი და ცოტა ძალაა საჭირო შემდგომი (მეორე) ვაზნის გასასროლად 20ნ/8მმ. მესამე AS-ის შემთხვევაში მანძილი იგივე რჩება რაც ჰქონდა პირველ ვერსიას, აი სასხლეტზე ზემოქმედების ძალა კი მცირდება – 20ნ/14მმ.

ფისტოლეტის დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმის ბუდის უკანა მხარეს გაკეთებულია ჭრილი. როდესაც ამ ხვრელში არ მოჩანს ნემსი, ნიშნავს რომ იარაღი არაა მზად სასხლეტზე თითის გამოკვრით აწარმოოს ცეცხლი, ანუ ნემსი დაშვებულია. ხოლო მაშინ, როცა მოჩანს ნემსის წითელი ფერის (გამაფრთხილებელი) ბოლო, ესე იგი ნემსი მზადაა დაარტყას ფისტონს და აწარმოოს გასროლა. ამ წერტილის შემჩნევა სროლისას



Walther P99 AS კალ. 9x19mm



Walther P99 კალ. 9x19mm და Heckler&Koch P30 კალ. 9x19mm

მწარმოებელი:	Carl-Walther GMBH	
სახელწოდება:	**Walther – P-99**	
სისტემა:	თვითმტენი, ნახევრადავტომატური	
საკეტის პრინციპი:	„ბრაუნინგის“ სისტემა შუა წევრის გარეშე.	
სასხლეტის პრინციპი	ანტი სტრესული – AS	
AS-სასხლეტი ზემოქ. წონა/ მოძრაობის მანძილი	DA – 40N – 14მმ	
	SA – 20N – 8მმ	
	AS – 20N – 14მმ	
ყალიბი:	9x19 mm / 9x21 mm	40 S&W
მჭიდის ტევადობა:	15 ვაზნა	11 ვაზნა
დაცვა:	4 ავტომატური	
ხელსაკიდი:	3 სახეობის, ცვლადი.	
სასხლეტის განთავსების მანძილი ხელსაკიდის ბოლომდე:	73 მმ	
სამიზნე მოწყობილობა:	რკინის, ფოსფორის 3-DOT	
სამიზნეებს შორის მანძილი:	156 მმ	158 მმ
ლულის სიგრძე:	102 მმ	106 მმ
ხრახნის სიგრძე/მიმართულება:	250 მმ /მარცხნიდან მარჯვნივ/6 ჭრილი	406 მმ / მარცხნიდან მარჯვნივ/6 ჭრილი
სიგრძე/სიმაღლე:	180/135 მმ	184/135 მმ
სიგანე:	32/34 მმ	
წონა ცარიელი მჭიდით:	685 გრ.	735 გრ.
ცარიელი მჭიდის წონა:	80 გრ.	
ტყვიის ენერგია: E3.	500 ჯ.	475 ჯ.
ტყვიის წონა:	8 გრ.	11,7 გრ.
ლულისა და საკეტის შემადგენლობა:	Tenifer® – მაღალი სიმტკიცის ფოლადი.	
ხელოვნური-სინთეტიკური მასალის შემადგენლობა:	მყარი პოლიამიდის მასალა.	
მიახლოებითი ფასი:	900 EU	





ფისტოლეტები საცეცხლე მზადყონაში მოყვანის მერე და მოყვანამდე

მწარმოებელი:	Heckler&Koch
სახელწოდება:	**P-30**
სისტემა:	თვითმტენი
საკეტის პრინციპი:	„ბრაუნინგის“ სიტემა
ყალიბი:	9x19 mm
მჭიდის ტევადობა:	15 ვაზნა
წარმოების წელი:	2006
სამიზნე მოწყობილობა:	რკინის, 3 ფოსფორის წერტ.
სამიზნეთაშორისი მანძილი:	148,5 მმ
ლულის სიგრძე:	98 მმ
ჭრილის პროფილი/ხრახნი და მისი მიმართულება:	პოლიგონალური/6 ხრახნი მარცხნიდან მარჯვნივ
სიგრძე/სიმაღლე/სიგანე:	181/138/34,8 მმ
წონა ცარიელი მჭიდით:	740 გრ.
ცარიელი მჭიდის წონა;	93 გრ.
ხელსაკიდი:	3 სახეობის, (3x2)ცვლადი.
ტყვიის ენერგია: EO-2.	520 ჯ.
ეფექტური სროლის მანძილი:	50 მ.
მიახლოებითი ფასი:	900 EU



ორივე ფისტოლეტს მოყვება ტარის ზომის შემცვლელი ფირფიტები

მოხერხებული და იოლია მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე. წიგნში წარმოდგენილია ფისტოლეტების ფოტოები, სადაც ორივე („ვალტერი“ და „ჰეკლერ&კოხი“) იარაღი წარმოდგენილია როგორც საცეცხლე მზადყოფნაში, ისე განმუხტულ მდგომარეობაში.

ვაზნის გამომღები როდესაც დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმის სისწორეზეა განთავსებული, ნიშნავს რომ ლულის სავაზნე კოლოფში ვაზნა არაა და შესაბამისად პისტოლეტი არაა საცეცხლე მზადყოფნაში. ხოლო თუ გამომღების უკანა ნაწილი ოდნავ შეწეულია შიგნით და მოჩანს წითელი ნიში, მაშინ იარაღი მზადაა ცეცხლის საწარმოებლად.

P-99-ის დიზაინი აშკარად გამორჩეული და თანამედროვეა. ხელსაკიდის ფორმა და ზომა სამი სახეობის შეიძლება იყოს. ამისათვის ფისტოლეტს მოყვება ტარის სპეციალური, დამატებითი ფირფიტები, ხელის ზომის მიხედვით. საკეტის ბუდეზე, უკანა მხარეს ორივე მხრიდან გაკეთებულია სპეციალური ზოლები, რომელსაც აკისრია სრიალის საწინააღმდეგო ფუნქცია. ანუ ფისტოლეტი მყარად და მოხერხებულად იდება შალითაშიც და ამოღებისას ან სხვა მსგავსი პროცედურის შესრულებისას არ ცურავს და მყარად ზის ხელში. მჭიდის გამომღები ორივე მხარეზეა განთავსებული და მოხერხებულად, სასხლეტის ბუდეზეა მიმაგრებული. ლულის ქვეშ პიკატინის სტილის ხიდია აქსესუარებისათვის განკუთვნილი. მასზე დამატებით კომპონენტად შესაძლებელია დაყენდეს ლაზერი, ფანარი ან ორივეს კომბინირებული ვერსია ერთად. აგრეთვე დამატებით იარაღი შესაძლებელია დაკომპლექტდეს სპეციალური, მაყუჩის ხრახნიანი ლულით, 20 ვაზნიანი მჭიდით, ტრიტიუმის ღამის ხედვის მოწყობილობით და აგრეთვე სპორტული სამიზნე მოწყობილობით.

ერთ-ერთი მთავარი დეტალი, რომელიც AS მოდელს დანარჩენი P-99 – გან გამოარჩევს, საკეტის ბუდეზე განთავსებული ნემსის დამშვებია. ანალოგიური ღილაკი QA-ს და DAO-ს შემთხვევაში უფრო პატარაა და სულ სხვა, დამშლელის ფუნქცია აკისრია.

ორივე იარაღის ლულები დღესდღეობით ცივად, მასიური ფოლადის ნაჭრებისაგან კეთდება. ამავე მეთოდით ამზადებენ იარაღის იმ ფოლადის დეტალებს, რომლებზეც სროლის რესურსია დამოკიდებული. შესაბამისად თანამედროვე ფისტოლეტების სტრუქტურული აგებულება და მისი მუშაობის პრინციპი ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობების განხორციელების



გერმნიის საერთაშორისო გამოფენაზე, კომპანია Heckler&Koch-ის მიერ წარმოდგენილი P30 სხვა ფისტოლეტებთან ერთად

საშუალებას იძლევა, უფრო რთულ და კრიტიკულ პირობებში, ვიდრე ეს მანამდე ხდებოდა.

Heckler&Koch P-30 – გახლავთ იარაღი, რომელიც დაამზადა ყველაზე პოპულარულმა კომპანიამ ფისტოლეტების მწარმოებელთა შორის. ნდობა მათ შემქნელებსა და ქარხანაში მომუშავე სპეციალისტებს თითქმის მთელმა მსფოლიომ გამოუცხადა. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომელსაც განსაკუთრებით გამოცდილი და თავისი საქმის მცოდნე მეიარაღეებიც აღიარებენ. გერმანელები ობერნდორფში აკეთებენ იარაღებს, რომელსაც ურთულეს კრიტიკულ პირობებშიც შეგიძლია ენდო, ის არ გიღალატებს. სწორედ ამ დევიზით უძღვებიან საქმეს კომპანიის წარმომადგენლები.

1948 წლის 28 დეკემბერს ოფიციალურად დაარსდა კომპანია Heckler&Koch GMBH. მეორე მსოფლიო ომის შედეგებს გერმანელები იმ პერიოდში ყველაზე მეტად იმკიდნენ და შესაბამისად ქარხანა დაარსებიდან რამოდენიმე წლის განმავლობაში სულ სხვა დანიშნულების ნივთებს, ველოსიპედებსა და საკერავ მანქანებს აწარმოებდა. თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ მისი დამაარსებლები არიან ედმუნდ ჰეკლერი (Edmund Heckler), თეოდორ კოხი (Theodor Koch) და ალექს ზაიდელი (Alex Seidel). სწორედ პირველი ორი პიროვნების საპატივცემულოდ ეწოდება ფირმას ყველასათვის ცნობილი სახელი. სამივე მეიარაღე მაუზერთან მუშაობდა და თითოეულმა მათგანმა გაიარა იმ დროისათვის საკმაოდ ელიტარული ესლინგენის მეიარაღეთა სკოლა. აქედან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ქარხანაში სამომავლოდ მხოლოდ და მხოლოდ იარაღები უნდა დამზადებულიყო. 1955 წელს დასავლეთის თავდაცვის ალიანსში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაერთიანებამ ბევრი რამ შეცვალა. ჩამოყალიბდა ახალი გერმანული ჯარი, სახელწოდებით ბუნდესვერი (Bundeswehr). უკვე 1956 წელს კომპანიამ მოიგო ტენდერი, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის ქვეითთა არმიის იარაღით აღჭურვასა და მომარაგებას. ტენდერში გამარჯვება კი ფირმას ლეგენდარულმა მოდელმა Heckler&Koch G3 – მა მოუტანა. მასზე, ისევე როგორც ფირმის სხვა ცნობილ იარაღებზე, წიგნის სხვა ნაწილშია მოთხრობილი. ახლა კი გადავიდეთ ჩვენს მიერ განხილვად P-30-ზე.



პირველ რიგში, რაც ახალი Heckler Koch-ის გამოჩენას მოჰყვა, იყო 2006 წელს შეიარაღების ცვლილება გერმანიის საბაჟო პოლიციაში. P-30-მა სწორედ რომ „ვალტერის“ მიერ წარმოებული P-99-ი შეცვალა. ამას მოჰყვა სხვადასხვა ცვლილებები გარკვეული ქვეყნებისა თუ სამხედრო ქვედანაყოფების შეიარაღებაში. წლების გასვლის შემდგომ ამჯერად უკვე ხალხმა გამოცადა ფისტოლეტი და შემდგომ რატომღაც უფრო დიდი პოპულარობა ჰპოვა მოდელმა, როგორც სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფ ძალებში, ასევე სპორტსმენებსა და უბრალო მოყვარულებში.

P-30-ის ანატომიური აგებულება გარკვეულ სიახლეს წარმოადგენდა იმ პერიოდისათვის და იდეალურად ერგებოდა ხელს. გასროლისას კი ადამიანი ერთგვარ სიამოვნებასაც კი ღებულობდა. ეს მაშინ, როდესაც კიდევ იწარმოება უამრავი ისეთი ფისტოლეტი, რომელთა გასროლაც გარკვეულ უსიამოვნო შეგრძნებებთანაა დაკავშირებული. პირველ რიგში ზემოთხსენებულ იდეოლოგიას რა თქმაუნდა ამყარებს მისი ტარი, რომელიც მყარი სინთეტიკური მასალისაგან შედგება და სპეციფიკური ბოჭკოვანი დაფარვის საშუალებით ხელი, არამც თუ არ სრიალებს მასზე, არამედ ძალზედ მჭიდროდ და მოხერხებულადა. აგრეთვე უნდა აღინიშნოს რომ ნებისმიერ სერიულ ვერსიაზე 3 სახეობის ტარის უკანა ნაწილისა და შუა გულის შეცვლა შეიძლება. შესაბამისად იქმნება გარემოება ფისტოლეტი მოირგოს ყოველმა არასტანდარტულმა თუ სტანდარტულმა აღნაგობის მსროლელმა ხელში და აწარმოოს მიზანში ზუსტი სროლა მჭიდის დაცლამდე. მიზანში გარტყმას კი არა მარტო კომფორტული აგებულება, არამედ კარგი სამიზნე მოწყობილობა და რაც შეიძლება დაბალი უკუცემა სჭირდება. შესაბამისად მის შემქნელებს არც ეს გარემოება დაუტოვებიათ გულგრილად. წინა და უკანა სამიზნე ფოსფორის პატარა წერტილებისაგან შედგება. ამ ქიმიური ნივთიერების დახმარებით, რომლებიც საათების განმავლობაში ინარჩუნებენ სინათლეს, უფრო ადვილია მიზნის მალე მოძებნა და შედარებით ბნელ ადგილებში დანახვა.

დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმის დამშვები ღილაკი ამავდროულად სხვა ფუნქციასაც ასრულებს. თუ მას მარჯვნიდან მარცხნივ მივაწვებით და დაახლოებით 2 მილიმეტრით გამოვწევთ მთლიან მეტალის ღეროს, შესაძლოაა იარაღის დაშლა. კერძოდ მისი ზედა ნაწილის, საკეტისა და მისი ბუდის ქვედა ნაწილისაგან განცალკევება. ეს პროცედურა კი ყოველგვარი დამატებითი ხელსაწყოების გარეშე ხდება. სწორედ ისე, როგორც ეს P-99-ის შემთხვევაშია. თუმცა „ვალტერს“ მისგან განსხვავებით დამშლელი ღილაკი ცალკე აქვს.

მჭიდის დაკარგვა, მაგალითად შალითიდან ამოღებისას, ფაქტიურად გამორიცხულია. დამჭერი/გამომღები ღილაკი სასხლეტის ბუდეზეა განთავსებული და ჰორიზონტალურად თუ გავხედავთ ისინი ერთ საერთო ჩარჩოს წარმოადგენენ.

ორივე პისტოლეტმა მისი თეორიული მხარეების შესწავლისას დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. მათი გასროლა 9x19 მმ-ის, განსხვავებული ტიპის ვაზნებით გადავწყვითეთ. უკუცემა სტანდარტული ძალის იყო ორივე შემთხვევაში და საგრძნობლად უსიამოვნო შეგრძნებებს ნამდვილად არ იწვევდა. ობერნდორფელების სარგებლოდ უნდა ითქვას რომ P-30 მაინც შედარებით უფრო ზუსტად ისროდა, ვიდრე „ვალტერი“. თუმცა ეს რა თქმა უნდა მსროლელზეც იყო დამოკიდებული. ამიტომ როდესაც პროფესიონალმა ისროლა P-99-ის ფისტოლეტიდან, მისმა შედეგებმა აშკარად აჯობეს „ჰეკლერ&კოხის“ მიერ ნაჩვენებ შედეგებს. ბალისტიკური მაჩვენებლები უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, წარმოდგენილია P-30-ისა და P-99-ის მიერ 5 ვაზნის გასროლის შედეგად დატოვებული კვალი სპეციალურ სამიზნე ფურცლებზე. ერთ-



ბალისტიკური შედეგები











Heckler&Koch Mark 23 კალ. 45 ACP



ერთს ამ ბალისტიკური ფურცლებიდან, სწორედ რომ სპროცმენის მიერ ნასროლი ვაზნები მოხვდა. ამიტომაც ჩანს შედარებით უფრო მეტი სიზუსტე მის მონაცემებში.

კომპანია Heckler&Koch-ს სჩვევია მაქსიმალურად უსაფრთხო და საიმედო სისტემების კეთება. შესაბამისად ზემოთხსენებული ფისტოლეტი ჩვეულებრივი ჩახმახით დააკომპლექტეს. ამავდროულად იქვე, ჩახმახის ოდნავ ქვემოთ, მარცხენა მხარეს გაკეთებულია რბილი დამშვები, რათა არ მოხდეს ნემსზე დარტყმა და გასროლის წარმოება.

ზემოთხსენებულ გერმანულ იარაღებზე ინფორმაცია საერთაშორისო გამოფენებზეც მივიღეთ. რაც ძალზედ საინტერესო იყო, ვიხილეთ ღია, გახსნილი P-99, რომელიც ჩვეულებრივ ვერსიაზე ძვირი ღირდა და გამოიყენებოდა საგანმანათლებლო დანიშნულებისამებრ. მოდელის ძირითადი დატვირთვა იყო მომავალი მეიარაღეებისათვის და ოსტატებისათვის უფრო ნათელი გამხდარიყო იარაღის შიდა სტრუქტურული აგებულება. აგრთვე გამოფენილი გახლდათ წითელი ფერის ვერსია სპეციალური ამოცანებისათვის და ლურჯი ფერის „სამეცადინო“ მოდელი, მთლიანად ხელოვნური მასალისაგანაა აგებული.

რაც შეეხება P-30-ს, იგი კომპანია Heckler&Koch -ს სხვა ახალ თუ უკვე ნაცნობ მოდელებთან ერთად ჰქონდა წარმოდგენილი. მათგან ყველაზე დიდი მოწონება, როგორც ყოველთვის ლეგენდარულმა MK-23 – იგივე MARK-23 – მმა დაიმსახურა, კალიბრით. 45ACP. მას ჩვეულებისამებრ პროფესიონალური ლულა ეყენა, მაყუჩის სახრახნით. როგორც ფირმის წარმომადგენლებმა განგვიმარტეს, ფისტოლეტი მუშაობს ყველგან, ყოველთვის, ყველაზე კრიტიკულ და რთულ ვითარებაშიც კი. ამავდროულად ბევრად უფრო კარგად, ვიდრე სხვა ნებისმიერი მსგავსი კლასის იარაღი. შეიძლება ეს ცოტა ხმამაღალი ნათქვამი იყოს მათი მხრიდან მაგრამ გარკვეულწილად ზემოთხსენებულმა მოდელმა უკვე ბევრი რამ დაუტკიცა საზოგადოებას.

2003 წელს გერმანიაში მიიღეს ახალი კანონმდებლობა, რის საფუძველზეც გამარტივდა ნახევრადავტომატური იარაღის შეძენა ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის. შესაბამისად გაიზარდა არჩევანი, თვითმტენი შაშხანების გაყიდვა და წარმოებამაც თავისთავად წინა პლანზე წამოიწია. კომპანიებმა და იარაღის მწარმოებლებმა დაიწყეს ზრუნვა პირველ რიგში უკვე შიდა ბაზრისათვის. თვითმტენი იარაღის ძირითადი დანიშნულება თავდაპირველად, ისევე როგორც ბევრი სხვა კატეგორიებისა, სამხედრო დანიშნულება იყო და ამავე თვალსაზრისით შეიქმნა.

ზოგადად თვითმტენი შაშხანების ისტორიას ჯაჭვს მცირედით გადავაველოთ თვალი. 1884 წელს შტატებში ასპარეზზე გამოჩნდა ამერიკელი ჰირამ მაქსიმი (Hiram Maxim). მის მიერ წარდგენილი შაშხანა სრულყოფილი და დახვეწილი არ იყო, მაგრამ წინ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ მსგავსი ტიპის იარაღების ტექნიკური განვითარების სფეროში. ერთი წლის შემდეგ ფერდინანდ მანლიხერმაც შექმნა პროტოტიპი. მომდევნო ცდები უკვე რამოდენიმე წლის შემდეგ დანიასა და შვედეთში განხორციელდა. 1901 წლის 8 აგვისტოს პაულ მაუზერმაც წარადგინა თვითმტენი მოდელის საკეტი მექანიზმი, რამაც გასინჯვის დროს უარყოფითი შედეგები აჩვენა. სროლისას საკეტი აზიანებდა ჰილზის მეტალის საფარს, ხოლო გამოყოფილმა გაზებმა ნიჭიერი კონსტრუქტორის თვალი იმდენად დაზიანეს, რომ მოგვიანებით აუცილებელი გახდა მისი ამოღება. მიმართულება და ტენდენცია მასიურად შეეცვალათ მექანიკური, ცილინდრულ საკეტიანი მექანიზმი თვითმტენი, (ნახევრადავტომატური) საკეტით, მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ვერ განხორციელდა!

ერთ-ერთი პირველი თვითმტენი ვერსია, რომელიც შეიარაღებაში მიიღეს და სამხედრო დანიშნულებისამებრ გამოიყენეს, გახლდათ ავია მოიერიშეებზე დამაგრებული 8×57 IS-ის ყალიბის მქონე ნახევრადავტომატი, რომლის 1000-მდე ეგზემპლარი დამზადდა. იარაღი გათვალისწინებული იყო მხოლოდ თავდაცვისათვის, რასაც ის არც თუ ისე სახარბიელოდ ართმევდა თავს. ამის მიზეზი იყო მისი არასრულყოფილი და უიმედო ფუნქციონალურობა. სულ მალე ის მაუზერის ახალმა მოდელმა Fliegekarabiner M-1916 – მა შეცვალა.

მართებული და სწორი მამართულებით წინსვლა ნახევრადავტომატურმა მექანიზმმა ამერიკული M-1 (30-06 Springfield)-ის გამოჩენის შემდგომ დაიწყო, რომელიც ჯონ გარანდის მიერ შეიქმნა. მას მოჰყვა საბჭოთა შაშხანა Tokarew M-1938 (SVT) 7,62×54R. თავად „მაუზერმა“ და „ვალტერმა“ კი მხოლოდ 1941 წელს მოახერხეს საკუთარი პროექტის დასრულება და G-41-ის შექმნა. 2 წლის გასვლის შემდგომ შეიქმნა G-43 – 8×57 IS, რომლის საკეტი სისტემა მისი წინამორბედის ბაზაზე იქნა აგებული. წარმოებაში კი ნახევარ მილიონამდე იქნა გაშვებული.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ უკვე დადგა ახალი ერა და წინა პლანზე სრულად ავტომატურმა იარაღებმა გადმოინაცვლეს, რაც გერმანული Sturmgewehr-44 (STG-44)-ის სახით გაჟღერდა საზოგადოებაში. მას სულ მალე მოჰყვა ლეგენდარული კონსტრუქცია მიხეილ კალაშნიკოვისა, რომელიც დღემდე ითვლება მსოფლიო „ბესთსელერად“ და მძლავრი კონკურენციისა და არც თუ ისე ცოტა ლაფსუსების მიუხედავად მსოფლო საზოგადოების აზრით ყველაზე საიმედო იარაღად არის მიჩნეული. 1956 წელ რუსულ ავტომატს სერიუზული კონკურენტი გამოუჩნდა ამერიკული „M-14 -7,62×51 (308 Winchester)“-ის სახით.

ცოტა უხეშად რომ ითქვას, ნახევრადავტომატური შაშხანა ფუნქციონირებს როგორც თვითდამტენი პისტოლეტი. გასროლისას მამოძრავებელს მიაქვს საკეტი მექანიზმი უკუმიმართულებით, რომელსაც თავისთავად უკვე გამოაქვს ცარიელი, გასროლილი ჰილზი სავაზნიდან და აგდებს სავაზნე ფანჯრიდან გარეთ. საკეტის ზამბარა კი აბრუნებს მექანიზმს კვლავ წინ, საწყის პოზიციაში. ამ დროს მას მიაქვს მჭიდიდან ვაზნა და დებს სავაზნეში. რჩება მხოლოდ სასხლეტზე თითის ხელმეორედ გამოკვრა და სროლის წარმოება.

ნახევრადავტომატური მექანიზმი იყოფა ორ ფუნქციონალურ განსხვავებად. ინერციულ – უკუცემით მტენ სისტემას ძირითადად შედარებით მცირე კალიბრიანი პისტოლეტები და აგრეთვე გრძელ ლულიანი შაშხანები იყენებდნენ. პრინციპი არის ერთის შეხედვით მარტივი, გადატენვა ხდება დამშვებ-დამრტყმელ მექანიზმზე ზემოქმედებული კინეტიკური ენერგიის ხარჯზე. უკვე მოგვიანებით მსხვილ კალიბრიანი თვითმტენიბისათვისაც იპოვეს გამოსავალი და გამოიგონეს საიმედო, სტაბილური საკეტი მექანიზმი, რომლის მბრუნავი თავი ტრიალებს და საგრძნობლად აადვილებს ფუნქციონირებას.

მეორე ტიპია გაზებით მტენი სისტემა, რომელიც მოიცავს ნახევრადავტომატურების უმეტეს ნაწილს. ძირითად შემთხვევებში მსგავსი ტიპის იარაღის ლულის წინა მესამედში გაჭრილია პატარა ხვრელები, საიდანაც გაედინება სროლის შედეგად გამოყოფილი გაზების (აირების) გარკვეული ნაწილი. ისინი სისტემური კოლოფის მიმართულებით მოძრაობენ და ხშირი კონსტრუქციის შემთხვევაში გაზების ზუმბას ეჯახებიან. სხვა პროექტული აგებულების დროს, მაგ: AR-15-ის გასროლისას გაზსადენი პიდაპირ საკეტის მამოძრავებელთან გადის, სადაც გაზები შემოვლითი გზის გარეშე დგუშის გავლით პირდაპირ მიედინებიან.



Heckler&Koch MR223 კალ. 223 Remington

MAUSER G-41 (M) – WALTHER G-41 (W)

ზოგჯერ უმაღლესი ინტელიგენციის წარმომადგენელი კონსტრუქტორების აზრები რეალობასთან შორსაა ან საფუძველმოკლებულია ხოლმე. ანალოგიურ შემთხვევას ვაწყდებით პაულ მაუზერის კარიერაშიც, რომელიც ლულების გაზებით მტენი სისტემისათვის გაბურღვის წინაალმდეგი იყო. ობერნდორფელი კომერსანტი ფიქრობდა, რომ გაჭრილი, ანუ გაბურღილი ხვრელი მალე ბინძურდებოდა და ადგილი ჰქონდა დროზე ადრე გამოწვას. სამწუხაროდ ეს გერმანელმა ოფიცრებმაც გაითვალისწინეს და 30-იან წლების დასაწყისისათვის საგრძნობლად შეიზღუდა მსგავსი ტიპის, გერმანული თვითმტენი შაშხანების განვითარება. ჭეშმარიტებაში მაინც მალე გაერკვნენ და შესაბამისად გარკვეული პერიოდის შემდგომ აშკარა წინსვლა შეიმჩნეოდა. თუმცა, მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ რაც გერმანული ჯარები 1940 წელს ტოკარევისა და სიმიონოვის შაშხანებით აღჭურვილ (SWT-38, AWS-36) ძლიერ წინაალმდეგობას შეეჯახნენ რუსეთის ჯარის სახით, არმიის მთავარსარდლობა და კონკრეტული ქვედანაყოფები, გონს მოეგნენ Heereswaffenamt-ის მმართველები და დაავალეს კომპანია „მაუზერსა“ Mauser (Oberndorf) და „ვალტერს“ Walther (Zella Mehlis) გაზებითმტენი ნახევრადავტომატური შაშხანების დამზადება. აღნიშნულმა მწარმოებლებმა მითითებული საქმე ფაქტიურად იდეალურად შეასრულეს და სულ მალე წარმოებაში გაუშვეს მოდელები Mauser G-41 (M) და Walther G-41 (W). უფრო მოგვიანებით ვალტერმა ბერლინის Lübecker Maschinenfabrik ქარხანაში გადაიტანა წარმოება. აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ დავალების მიცემისას მოთხოვნათა სიაში ქარხნების მიმართ მითითებული იყო რომ ტექნიკოსებს არ ჰქონდათ უფლება ლულის გაზების ხვრელები გაეჭრათ. ეს ფაქტიურად ეწინააღმდეგებოდა ბუნების კანონებს და სისტემის ფუნქციონალურობას, რამეთუ სხვაგვარად იარაღის მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნული ინფორმაცია მაინც ჩადებული იყო. უნდა აღინიშნოს, რომ პრაკტიკული, ათ ვაზნიანი ხსნადი მჭიდის ნაცვლად იარაღებს ფიქსირებული, მყარად დამაგრებული მჭიდები ჰქონდათ, სადაც ჯარისკაცს ზემოდან, ხუთ-ხუთად დაჯგუფებული ვაზნებით უნდა განეხორციელებინა მჭიდის გავსება.

მსგავსი მონაცემების მიუხედავად „მაუზერისა“ და „ვალტერის“ გზები სადღაც მაინც გაიყო და განსხვავებული პრინციპებით განვითარდა. თუმცა ლულის ბოლოში მოთავსებული ეგრეთწოდებული პირის ღრუს (სანათურის)



მოდელი:	G-41 (M)	G-41 (W)
მწარმოებელი:	Mauser	Carl-Walther
	Berlin – Lübecker Maschinenfabrik	
კალიბრი:	8×57 IS	
სისტემა:	გაზებითმტენი	
მჭიდის ტევადობა:	10	
ლულის სიგრძე:	550 მმ.	
მთლიანი სიგრძე:	1180 მმ.	1140 მმ.
სამიზნეთაშორისი ხედვა:	490 მმ.	550 მმ.
წონა:	4900 გრ.	4500 გრ.
წარმოების პერიოდი:	1941 წლიდან 1943 წლამდე	
მიახლოებითი ფასი: (2004 – 2005 წლები)	5200 € – 2500 €	

მუხრუჭი, იგივე ალმაქრი-კომპენსატორი – Mündungsbremse და ხის „Mauser 98-K“-ს ტიპის, მთლიანი მასიური კონდახი ორივე შაშხანას ერთნაირი აქვს.

„მაუზერმა“ არმიის მიერ შეკვეთილი იარაღი 1936 წელს მისსავე მიერ ექსპერიმენტირებულ იარაღის ბაზაზე ააგო. მექანიზმის ბუდესთან განთავსებულ, მარჯვენა და მარცხენა ღილაკებზე ხელის დაჭერით სისტემური ყუთის ხუფი უკან გადადის და თვალსაჩინოს ხდის საკეტის ვიზუალურ მხარეს. მექანიზმი შედგება ერთიანი, მასიური მოძრავი საკეტისაგან, რომლებსაც თავზე 2 ნახნაგი – ჩამკეტი კბილი აქვს გაკეთებული და ჩაკეტვა გაღებისას 90° – ით ტრიალებს. ნემსი აფეთქებას ახორციელებს დამატებითი ჩაქუჩისა და ყოველგვარი სხვა დეტალის დახმარების გარეშე. მას შემდეგ რაც ტყვია დატოვებს ლულას, გაზების გარკვეული ნაწილი გაედინება ლულის ქვეშ არსებულ ხვრელებში, შემდგომ მილის გავლით სავაზნე კოლოფში, მამოძრავებელისაკენ. ამის ხარჯზე ლულის ქვეშ მდებარე დგუში ტრიალებს, იხსნება და ახდენს ზემოქმედებას ვაზნის მიმწოდებელზე. ორნაწილიანი საკეტი მოძრაობს უკუმიმართულებით, ამავდროულად ტრიალებს დამშვებ დამრტყმელი მექანიზმის თავი უკან და იხსნება. სისტემური კოლოფის მარჯვენა მხარეს მდებარე დამშვები ეხება საკეტი მექანიზმის დამჭერს და სწორედ ამ დროს ხდება გადატენვა და დანარჩენი პროცესის გაგრძელება – დასრულება.

ორივე იარაღის ლულის დაბოლოება, კონუსური ფორმის გაზების სისტემური კოლოფისაგან შედგება. „მაუზერისაგან“ განსხვავებით „ვალტერმა“ გაზების მილი ლულის ზედა მხარეს გაუკეთა შაშხანას. „ვალტერის“ საკეტის დამჭერი/დამშვები განთავსებულია სისტემური კოლოფის თავზე, ხოლო დამცველი ხუფი-განმტვირთველი სისტემური კოლოფის უკანა მხარეს. საპერისპიროდ აქვს მაუზერს ანალოგიური ფუნქცია გაკეთებული. იმისათვის რომ განვმუხტოდ იარაღი და გავათავისუფლოდ საკეტი, საჭიროა სისტემური ბუდის მარჯვენა მხარეს მდებარე ღილაკის ერთი თითის დაჭერა.

1887 წელს გერმანიის უმაღლესი სარდლობის ბრძანებით ვაზნამ ყალიბით 8×57 IS ანუ იგივე 7,92×57მმ იწყო განვითარება. მისი მიახლოებითი წონა 27 გრ-ია, დენთის წონა 3,05 გრ, ხოლო ტყვიის წონა მერყეობს 8,1-დან 14,26 გრ-მდე (125 – 220 გრეინი). ამავდროულად აღსანიშნავია რომ ჯერ კიდევ 1886 წელს ფრანგებმა დაამზადეს ანალოგიური, მსგავსი ყალიბის მქონე ვაზნები ნიტროცელულოზის შემცველობის ფხვნილით-დენთით, რაც გერმანელებს ძალიან არ უნდოდათ და არც აწყობდათ. ამავე წელს ფრანგებს ავსტრიელებმა და პორტუგალიელებმაც მიბაძეს და შექმნეს ყალიბი 8×50 R და 8×60 R Kropatschek.

1888 წელს გერმანიასა და ზოგადად ევროპაშიც ჯერ მაინც მაუზერის შაშხანებს Mauser 1871/84 ყალიბით 11,15×60 R გამოიყენებდნენ, რომლებიც თავის დროზე შავი დენთის გამოყენებით დატენილ ვაზნებს ისროდა. იმავე წლის ბოლოს უკვე ცნობილი გახდა ვაზნა M/88 (8×57 I Infanterie) შაშხანისათვის G 98, შემდგომ კი დაიხვეწა სტრუქტურა და განვითარდა 8×57 IS. ბოლოს, როდესაც მოხდა 1939 წელს ყალიბების ნორმალიზაცია და მოწესრიგება-დალაგება, გერმანიის სარდლობამ კონკრეტული ყალიბი მხოლოდ კონკრეტული იარაღებისათვის განამწესა და მათ გარეშე არ ხდებოდა სხვადასხვა შაშხანებისათვის კონკრეტული ყალიბის შექმნა და განვითარება.

მეორე მსოფლიო ომიდან გერმანიის დედაქალაქსა და Heereswaffenamt-სი მივიდა ცნობები, რომ მაუზერის სასხლეტის მექანიზმსა და საკეტის გარკვეულ ნაწილებს ჰქონდათ სიბინძურესა და სიცივეში პრობლემები. ინფორმაციის მიღების შემდეგ სახელმწიფომ კომპანიას შეუწყვიტა ბოლო პერიოდში დადებული შეკვეთა 50.000 ერთეულ შაშხანაზე და 1942 წლის თებერვალში სულ რამოდენიმე ათასმა G-41-მა დატოვა მაუზერის ქარხანა. ყველაფერს დაემატა გაძვირებული ფასი, რომელიც დღევნდელი ვალუტით 5000 ევროს აღემატებოდა. შესაბამისად პიროვნებებმა რომლებიც წყვეტავდნენ შეიარაღების საკითხს, 2000 – 2500 ევროთი (თანხა გადაყვანილია ევროებში იმდროინდელი მიახლოებითი კურსის შესაბამისად) იაფი ვერსია არჩიეს და პირველი გზავნილი 70.000 ერთეული G-41 (W)-ის სახით „ვალტერის“ ქარხანას დაუკვეთეს, რომლის დამზადებაც 1943 წლის ბოლოს უკვე დასრულებული იყო. „მაუზერთან“ კონტრაქტის შეწყვეტის ოფიციალურ არგუმენტად დასახელდა ყოველი ასი შაშხანის დამზადებაზე დახარჯული ზედმეტი, ფუჭი საათები.

დაშლა: G-41 (M)-სავაზნე და მჭიდი დავაცარიელოთ და მოვხსნათ, საკეტი მოვწიოთ უკან და საკეტის ბუდეზე არსებული დამჭერით დავბლოკოთ. სისტემურ კოლოფში გაყრილი მოგრძო მეტალის ჩხირები გამოვაძროთ და მთლიანი სისტემა გამოვიღოთ გარეთ – იარაღი მყარად დავიჭიროთ, საკეტის დამჭერს დავაჭიროთ თითი და ნაწილები, რომლებზეც ზამბარის ძალა მოქმედებს, ნელ-ნელა გამოვაცალოთ (აუცილებლად დავიმახსოვროთ დეტალების თანმიმდევრული განლაგება) – დაჭიმულ მდგომარეობაში ჩასმული ფოლადის ჩხირი დავაწვეთ და ლულის ბოლოში არსებული, კონუსური ფორმის გაზების სისტემური კოლოფი დავატრიალოთ. გაზების ცილინდრი დგუშთან ერთად ამოვიღოთ-სამი ერთეული, მჭიდთან/სასხლეტთან მდებარე ჭანჭიკი ამოვხრახნოთ, საქამრეები მოვხსნათ, ხელის დამცველი ამოვიღოთ და სისტემა ამოვწიოთ კონდახიდან, გაზების მილი და დანარჩენი ნაწილები განვაცალკევოთ.

დაშლა: G-41 (W)-სავაზნე და მჭიდი დავაცარიელოთ და მოვხსნათ, საკეტი მოვწიოთ უკან და საკეტის ბუდეზე არსებული დამჭერით დავბლოკოთ. სისტემურ კოლოფში გაყრილი მოგრძო მეტალის ჩხირები გამოვაძროთ და მთლიანი სისტემა გამოვიღოთ გარეთ – იარაღი მყარად დავიჭიროთ, საკეტის დამჭერს დავაჭიროთ თითი და ნაწილები, რომლებზეც ზამბარის ძალა მოქმედებს, ნელ-ნელა გამოვაცალოთ (აუცილებლად დავიმახსოვროთ დეტალების თანმიმდევრული განლაგება) – დაჭიმულ მდგომარეობაში ჩასმული ფოლადის ჩხირი დავაწვეთ და ლულის ბოლოში არსებული, კონუსური ფორმის გაზების სისტემური კოლოფი დავატრიალოთ. გაზების ცილინდრი დგუშთან ერთად ამოვიღოთ-სამი ერთეული, მჭიდთან/სასხლეტთან მდებარე ჭანჭიკი ამოვხრახნოთ, საქამრეები მოვხსნათ, ხელის დამცველი ამოვიღოთ და სისტემა ამოვწიოთ კონდახიდან, გაზების მილი და დანარჩენი ნაწილები განვაცალკევოთ.

STG-44 (STURMGEWEHR-44)

მსოფლიოს არც თუ ისე ბევრი შაშხანა ახსოვს, რომელმაც დაბრკოლებისა და წუნის გარეშე გამოიარა მეორე მსოფლიო ომის პერიოდი. არც ისაა შემთხვევითობა, რომ „კალაშნიკოვსა“ და „კოლტის“ M-16-ს ლეგენდარულ შაშხანასთან შედარებით ბევრი ანალოგიური, ფაქტიურად იდენტური, ბევრიც კი მისი მსგავსი დეტალები გააჩნიათ და ფუნქციონალურად და კონსტრუქციულად ძალზედ ჰგვანან გერმანულ, განთქმულ STG-44-ს, იგივე Sturmgewehr-44 -ს. აგრეთვე G-3 -ის შემქმნელებიც ვერ უარყოფენ იარაღის მასთან იდენტურობას.

STG-44-ის წარმოშობა 1923 წელს უკავშირდება, როდესაც ქვეითთა ინსპექცია შაშხანებისათვის ფორმულირებას აკეთებდა. K-98 -გან განსხვავებით იარაღის წონა უნდა შემცირებულიყო. არასავალდებულო, მაგრამ სასურველი იყო იარაღის ნახევრად – და სრულად ავტომატური სროლის განხორციელების დაუბრკოლებელი პრინციპი გადალახული ყოფილიყო. ვაზნების მინიმალური რაოდენობა 25-30 ვაზნა გახლდათ, ხოლო მის წინამორბედებთან შედარებით შაშხანას 400 მეტრამდე უფრო ზუსტი და ეფექტური



მოდელი:	STG – 44 (MP-43)
მწარმოებელი:	Mauser, Walther / Berlin-Lübecker M.Fabrik
კონსტრუქცია:	Haenel, Erma, Sauer&Sohn, Steyr Daimler Puch, აგრეთვე Mauser-იც
მომწოდებელი:	Niedermeier / München
კალიბრი:	7,62×33 მმ / 8×33 მმ
სისტემა:	გაზებითმტენი
ვაზნების ტევადობა:	30 (10 ვაზნა მზადაა დამატებით)
ლულის სიგრძე/მთლიანი სიგრძე:	420 მმ – 930 მმ
სამიზნე სიგრძე:	545 მმ
წონა:	5230 გრ.
მიახლოებითი ფასი: (2004-2007 წ.)	2500-დან 3000 – EU – მდე.

გასროლა უნდა განეხორციელებინა. შეფერხებების გარეშე უნდა ემუშავა ძლიერ სიცხესა თუ ყინვაში. სროლის დროს გამოყოფილი გაზების თუ ზოგადად მოხმარების შედეგად სხვა მხრივ დაბინძურებულ იარაღს მაინც დაუბრკოლებლად უნდა ეწარმოებინა სროლა. ეს იყო მოთხოვნითი ფურცელის ერთ-ერთი პუნქტის მცირე ნაწილი, რომელიც უნდა დაეკმაყოფილებინა ახალ იარაღს.

საბოლოოდ STG-44-ის განვითარებისა და წარმოებაში ჩაშვების ხელშეკრულება 1938 წელს განხორციელდა კომპანია C.G.Haenel-ის მეშვეობით. მისი კონსტრუქცია და საკეტი მექანიზმი განავითარა ჰუგო შმაისერმა, რომელიც გახლდათ ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ეგრეთწოდებული ტექნიკოსი-მამა, რისი თვალსაჩინო მაგალითებიცაა MP-38, MP-40 და MP-41. მისი პირდაპირი წინამორბედი გახლდათ MKb 42-H. ასობგერა H აღნიშნავდა კომპანია Haenel-ის განმასხვავებელ ნიშანს, ვინაიდან და რადგანაც პერიოდულად „ვალტერის“ კომპანიაშიც მიდიოდა მუშაობა ზემოთხსენებულ შაშხანაზე. თუმცა უამრავი ფუნქციონალური პრობლემების გამო „ვალტერმა“ ვერ გადალახა შესაბამისი კრიტერიუმები გარკვეულ პერიოდამდე. 1943 წლის ზაფხულში იარაღს ეწოდა უკვე MP-43 და ოქტომბრის ბოლოს დიდი რაოდენობით აღმოსავლეთ ფრონტზე გაიგზავნა. ერთი წლის შემდეგ მცირედით შეცვლილ იარაღს MP-44 ეწოდა, ხოლო შემდგომ STG-44. პროპაგანდული თვალსაზრისით მისი სახელი გამომდინარეობს ქვეითთა არმიის უმაღლესი სარდლობის (OKH – Oberkommando des Heeres) გენერალ, ერიკ იაშკესაგან. საერთო ჯამში მას სხვადასხვა ტქვიამფრქვევები და აგრეთვე შაშხანა 98-k უნდა შეეცვალა.

ყოველგვარი კითხვებისა და ბჭობის გარეშე STG-44 ნებისმიერი თანამედროვე, დღევანდელ ცხოვრებაში უკვე წარმატებული შაშხანის მთავარი წინაპარი გახლავთ. მას მერე გაჩნდნენ მსგავსი სისტემური კოლოფები, თუ სხვა დანარჩენი დეტალები, რომელთაც ჩვეულებრივ, რკინის ფირფიტებისაგან ჰქონდათ ფორმა მიცემული და ზედმეტად

არასტაბილურად გამოიყურებოდნენ. თუმცა არსებობდნენ მისი მიმბაძველი მწარმოებლები, რომლებმაც საუკეთესო შაშხანები შექმნეს და არაფრით ჩამოუვარდებოდნენ გერმანულ პროდუქტს. გავჯერებული წონა, რომელიც 5 კილოგრამს აჭარბებს AK-47-თან ან M-16-თან შედარებით უშველებელად გამოიყურება, მითუმეტეს მის კონსტრუქციას თუ გავითვალისწინებთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა 93 სანტიმეტრიანი გერმანული, საკმაოდ მოსახერხებელი ფორმის იარაღი ფაქტიურად ყველანაირ სტანდარტში ჯდებოდა. ის თანაბრად პრაქტიკული იყო ეფექტური სროლისათვის გაშლილ, ღია სივრცეში, შენობა-ნაგებობებში ხმარებისას, თუნდაც შტურმის დროს ან უბრალოდ თავდაცვის მიზნით.

იარაღის ყალიბი 7,62×33 მმ kurz (მოკლე) სპეციალურად ამ შაშხანისათვის შეიქმნა, რომელიც აგრეთვე ცნობილია როგორც ფისტოლეტის ყალიბი „43“. მის წარმოქმნასა და გარკვეულ მახასიათებლებს უკავშირებენ ყალიბების 7,92×57 მმ და 9 მმ parabellum-ის ვაზნებს. არსებობს ინფორმაცია, რომ სწორედ აღნიშნული ორი ვაზნის დახმარებითა და უხეშად რომ ვთქვათ, მათი გასაშუალებით მიიღეს STG-44-ის ყალიბი.

ჰილზის მხარი 11,45 მმ-ია, მისი ყელი კი 9,02 მმ-ს შეადგენს. ვაზნის ძირი როგორც ყოველთვის ყველაზე ფართოა და მისი დიამეტრი 11,95 მმ-ს უტოლდება. ჰილზის სიგრძე 33 მ-ია, ვაზნის მთლიანი სიგრძე კი 48 მმ. ტყვია ძირითად შემთხვევებში სიგრძეში 8,02 მმ-ია, მისი წონა კი 8,2 გრ. ვაზნის გასროლის შედეგად განვითარებული საწყისი სიჩქარე დღესდღეობით განმაცვიფრებელი ნამდვილად არაა, მაგრამ თავის დროზე აღნიშნული კალიბრის წარმოების დაწყებით მისმა შემქმნელმა სერიოზული განაცხადი გააკეთეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტებთან შედარებით – 694 მ/წმ. კადენცია – ანუ სროლის მაქსიმალური სისწრაფე წუთში გახლავთ 500 ვაზნა.

სროლისას ტესტირება ჩაუტარდა მიუნხენური ფირმა – ნიდერმაიერის (Niedermeier) მიერ წარმოებულ ნახევრადავტომატურ ვერსიას, რომელსაც ავტომატური სროლისათვის განკუთვნილი დეტალები გაუქმებული ჰქონდა. მისი ვიზუალური დათვალიერებისას დაახლოებით 60 წლის წინანდელ ნაწრთობ მეტალს აშკარად არ ეტყობოდა ასაკი და განთქმული გერმანული ხარისხის თვალსაჩინოებას ადასტურებდა.

შაშხანის დამცველი განთავსებულია საკმაოდ ხელსაყრელ პოზიციაში, ზუსტად ხელსაკიდის თავში, რომელსაც სამხედრო ვერსიებზე ერთჯერადი და ავტომატური სროლის არჩევის ფუნქციაც აკისრია. მჭიდის გამომღები სახელურის ზედა მხარეს, იმავე დამცველის მაღლა არის მოთავსებული და ხელთათმანებითაც ადვილადაა შესაძლებელი სქელ ღილაკზე ხელის დაჭერით მჭიდის გამოღება და დატენვა. გაზებით მტენი სისტემა მარტივია და ტიპიურ გერმანულ სტრუქტურას მოგვაგონებს. გასროლისას, როდესაც ნემსი ეჯახება ფისტონს და ტყვია ტოვებს ლულას, გაზები ლულის ზედა მხარეს, ბოლო მეოთხედში განთავსებული აირების ნვრილი მილით გაედინებიან საკეტის მიმართულებით. მათი ზემოქმედების შედეგად საკეტის მამოძრავებელი მოძრაობს უკუ მიმართულებით და თან მიაქვს საკეტი მექანიზმი, ამ დროს ხდება ცარიელი ჰილზის გამოგდება სავაზნე ფანჯრიდან და ენას ამოაქვს მეორე ვაზნა სავაზნეში. იარაღის წონის







გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი STG44-ის თანამედროვე ვერსია

გათვალისწინებით, მისი გამოცდისას, უკუცემა არც თუ ისე უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევდა. 100 მ დისტანციაზე 5 ვაზნის გასროლისას გაფანტვის წრეები 80-დან 135-მმ-მდე იყო ურთიერთდაშორებული, რაც დამეთანხმებით არც თუ ისე იდეალური შედეგია დღევანდელ, თანამედროვე შაშხანების მიერ მიღებულ ბალისტიკურ შედეგებთან შედარებით. თუმცა დღევანდელი გადასახედიდან, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის შუა პერიოდში შემქნილი ვერსიის კვალობაზე თამამად უნდა ვთქვათ, რომ იდეალური ბალისტიკური მაჩვენებლებია. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ მის თვითმტენ რეჟიმსა და ოპტიკური სამიზნის უქონლობას, აღბათ მივალთ იმ დასკვნამდე რომ შედეგი დამაკმაყოფილებელია, უფრო მეტიც თავის დროზე ერთ-ერთ საუკეთესო და იდეალურ ბალისტიკურ მონაცემად უნდა მივიჩნიოთ.

მყიდველს STG-44-ის სანადირო (სამხედროდან გადაკეთებული) ვერსიის შეძენისას ყურადღების გამოჩენა მართებს, რაც განსაკუთრებით იარაღის ლულის მდგომარეობას ეხება, თუ რა თქმა უნდა მას შაშხანა მხოლოდ და მხოლოდ საკოლექციო ნივთად არ უნდა. მისი არასრული დაშლის პროცედურა გაწმენდისათვის ძალზედ მარტივია და დღესდღეობითაც შეიძლება ბევრის გაკვირვება გამოიწვიოს. კონდახის თავში მდებარე ფოლადის ჩხირი გამოვაგდოთ გარეთ, გამოვქაჩოთ კონდახი და გადავხსნათ იარაღი შუაზე. ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ მარტივადაა შესაძლებელი მისი გაწმენდა.

მიუხედავად გერმანული მრეწველობის პრობლემებისა და სირთულეებისა, რამაც განსაკუთრებით თავი 1945 წლის მაისში იჩინა, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ STG-44-ის ერთბაშად ყველანაირი ვერსიებიდან 425 977 ეგზემპლარი იქნა აღწერილი.

„ორიგინალი“ STG-44-ის წარმოების შემდგომ სხვადასხვა კომპანიებმა სცადეს მისი ანალოგი ვერსიის შექმნა. ბოლო წლებში საგამოფენო კომპლექსებში გამოჩნდა ლეგენდარული შაშხანის მცირეკალიბრიანი ვერსია, რომელიც 5,6 მმ ვაზნებს ისროდა. თუმცა არც მას და ალბათ არც სხვა ბრენდის მიერ წარმოებულ თუნდაც მსხვილ კალიბრიან მოდელს არ ძალუძს შეცვალოს ოდესღაც საუკეთესო თვითმტენ იარაღად მიჩნეული ვერსია.

WALTHER WA 2000

წარმოგიდგენთ გერმანელების, თავის დროზე საკმაოდ საამაყო, არასერიული წარმოების, ნახევრადავტომატურ შაშხანას, რომელმაც საზოგადოებაში გამოჩენისთანავე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმდროინდენლ ევროპისა და ამერიკის სამხედრო და საპოლიციო წრეებში. რაც არ უნდა საკვირველი იყოს, პირველად ის ყველაზე პოპულარული ტიმოტი დალტონის მეშვეობით გახდა, ფილმში „ჯეიმს ბონდი“. ხოლო მისი თავდაპირველი პროტოტიპი 1972 წლის მიუნხენის ზაფხულის ოლიმპიადისათვის შეიქმნა. მოგვიანებით კი უკვე 1982 წლიდან 1988 წლამდე მასიურად იწარმოებოდა. 1980 წელს კი განხორციელდა შეკვეთა გერმანული საპოლიციო კომანდოს მიერ. პროექტი ითვალისწინებდა ისეთი იარაღის შექმნას, რომელიც მოძრავი სამიზნისათვის მეორე და შემდეგი ვაზნის გასროლისას ბევრად ზუსტი იქნებოდა სხვა თვითმტენ კონკურენტებთან შედარებით.

პირველად აღნიშნული მოდელის მხოლოდ 50 ერთეული დამზადდა და ალბათ ბევრისათვის არაჩვეულებრივ ფასად, დაახლოებით 5000 € (ექვივალენტი გერმანულ მარკებში) გაიყიდა. „ვალტერის“ ნახევრადავტომატი სხვა თვითმტენი შაშხანებისაგან საუცხოო დიზაინითა და ტექნიკური აგებულებით გამოირჩევა. სიგრძეში ის სულ რაღაც ერთ მეტრამდეა, რასაც „ბულპაპის“ უნიკალურ სისტემას უნდა უმადლოდეს. მონადირეები და კლასიკური იარაღის მოყვარულები მას ახასიათებენ როგორც მძიმე, ოთხკუთხა ყუთს. ხოლო ამგვარი ტიპისა და დიზაინის მქონე იარაღების მოყვარულები სხვაგვარად აღიქვავენ გერმანულ თვითმტენს და ის უმაღლესი კლასის შაშხანად მიაჩნიათ. სინამდვილეში კი სიმართლე სადღაც შუაშია გაჩხერილი.



კალიბრი:	.300 WinMag, 308 Win, 7,5x55mm.
მწარმოებელი:	Carl Walther GMBH; ULM
ლულის სიგრძე:	65 სმ
მთლიანი სიგრძე:	95,5 სმ
მჭიდის ტევადობა:	5/6/6
წონა:	8,2 კგ. (ოფტიკური სამიზნის გარეშე).
სისტემა:	გაზებითმტენი. („ბულპაპი“)
წარმოება:	1982-1988 – წლები
საკეტი:	მბრუნავ თავიანი, იხსენბა 60°-ით
რეკომენდირებული ოპტიკური სამიზნე:	Schmidt&Bender 2.5-10X56 mm telescopic sight
მიახლოებითი ფასი:	5000 € / 7000 € (ოპტიკური სამიზნით)

სასროლ სტენდზე წაღებისას, იარაღს სადგამზე დამაგრებისას ან ორფეხა საყრდენის დაყენებისას აშკარად შესამჩნევად ისვენებს მფლობელის კუნთები საკმაოდ მძიმე იარაღით გადაადგილებისაგან. „ვალტერის“ კომპანიის წარმომადგენლები მის წონას 6,95 კგ-ს უტოლებენ. სინამდვილეში კი ის 8 კგ-ს აღემატება. თუნდაც სავსე მჭიდიც კი უკვე 0,4 კგ-ს იწონის. ამავდროულად აუცილებლად აღსანიშნავია რომ იარაღის მასა უარყოფითთან ერთად დადებით როლსაც თამაშობს სროლის დროს და საგრძნობლად ამცირებს იარაღის უკუცემას.

მსგავსი ყალიბის მქონე ნახევრადავტომატურ იარაღებთან შედარებით მართლაც დიდი სიამოვნებაა Walther

WA 2000-ის სროლა დამაგრებულ მდგომარეობასა ან ორფეხა საყრდენზე მდგარ პოზიციაში. კონსტრუქტორების მიერ რეკომენდირებული კალიბრი მისთვის .308 Winchester-ია. მისი მუშაობა პროფესიონალი მსროლელისათვის 500-დან 1000 მეტრ დისტანციაზე ჩვეულებრივ, სასურველ კლიმატურ პირობებში ეფექტურადაა შესაძლებელი. მფლობელს სურვილისამებრ შეუძლია ლულისა და საკეტი მექანიზმის გამოცვლა და სასურველი, განსხვავებული ყალიბის შაშხანაზე დამონტაჟება. გასროლისას ლულას უკუცემა გადააქვს პიდაპირ მხარზე და იარაღი ჩვეულებისამებრ აღარ ხტის მაღლა რაც აგრეთვე საწინდარია ზუსტი სროლისა.

მიუხედავად ყველაფრისა მსგავსი ტიპის შაშხანებს ბევრად ნაკლები სიზუსტე გააჩნიათ (შესაძლებელია ზოგ შემთხვევაშ უფრო ზუსტებიც არიან) და თითქმის Walther WA-2000-ის მეოთხედს ფასობენ. შესაძლოა სწორედ ეს გახდა მისი სერიულ წარმოებაში არ ჩაშვების მიზეზი. ამასთანავე კოლექციონერებისათვის კონკრეტული თვითმტენი ყოველთვის სასურველ ნივთს წარმოადგენს.

ორი ცალი ოთხკუთხა კონსტრუქციული ნახევრად ალუმინის დაფები სისტემის ჩარჩოებს წარმოადგენენ. ფაქტიურად კონდახშია მოთავსებული სასხლეტისა და დამშვებ დამრტყმელი მექანიზმის მთლიანი სისტემა. მაგრამ ცაციებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ რომ მათთვის ამ შაშხანის ხმარება შეუძლებელია, რადგანაც ადგილი, საიდანაც გასროლილი მასრა ვარდება გარეთ, მოთავსებულია ლოყის სადებთან. თუმცა თეორიულად მექანიზმის მეორე მხარეს გადატანა შესაძლებელია. ლულის გასწვრივ მდებარე ორი მეტალის ფირფიტა მყარი, ლეგირებული ალუმინის მასალისაგანაა დამზადებული და არადაბინძურებად დეტალებს მიეკუთვნება. კონსტრუქტორების აზრით კი ისენი ამყარებენ იარაღს და ვიზუალურად ავსებენ სიცარიელეს, რაც მათ გარეშე აღინიშნება. სასხლეტის დამცველი მისივე ბუდის თავშია მოთავსებული და ვერტიკალურად მოძრაობს. მექანიზმის ბუდეზეა მოთავსებული ჩამკეტის დამჭერი, რომელიც გაწმენდის დროსაც ეხმარება მფლობელს სწრაფად და მარტივად გაასუფთავოს ლულა.

ლულა, საკეტი მექანიზმი და დამჭიმები რა თქმა უნდა დამზადებულია ლეგირებული რკინისაგან. გაზებითმტენი სისტემა და ლულის ბოლოში, აირების დაგროვების ადგილზე განთავსებული ცეცხლმაქრი – კომპენსატორი საკმაოდ პრაქტიკულადაა მოწყობილი და წონასთან ერთად 50 % – ით ამცირებს უკუცემას. გასროლისას იარაღი თავად აკეთებს გაზების რეგულირებას მიზანმიმართულად, ხოლო დამშვებ დამრტყმელი მექანიზმი (საკეტი) მოძრაობს და ეჯახება სპეციალურ ამორტიზატორს. სასხლეტის მატარებელის – მამოძრავებელის გადაადგილება დაახლოებით ერთი მეორედი სანტიმეტრითაა შესაძლებელი, რაც ზრდის მანძილს სასხლეტსა და მისივე ბუდეს შორის. დამშვებ დამრტყმელი მექანიზმის შვიდ ჭრილიანი, 60-გრადუსით-მბრუნავი თავი არაორაზროვნად ატარებს ფიშენბერგელი კონსტრუქტორის, დიტერ კეპლერის ხელწერას. გერმანელი კონსტრუქტორებისა და ავტორის რჩევაა Walther WA 2000-ის შეძენის მსურველებმა იყიდონ შაშხანა მხოლოდ 308 Winchester-ის ყალიბით და შეძენამდე აუცილებლად ივარჯიშონ ფიზიკურად, რათა არ გაუჭირდეთ პირველ რიგში იარაღის გადატანა და შემდგომ დაღლილზე სროლა...

ძლიერი, დადებითი მხარეები	სუსტი, უარყოფითი მხარეები
Walther WA-2000	
იშვიათი საკოლექციო იარაღი	ზედმეტი წონა
უჩვეულო კონსტრუქცია	მაღალი ფასი
ძალიან ზუსტი და ძლიერი ბალისტიკური მაჩვენებლები (.308 Winchester)	

.308 WINCHESTER (7,62X51 MM NATO) და მისი იარაღები



Walther WA-2000-ის განხილვისას, როგორც წეღან აღინიშნა, ყველაზე სასურველი ყალიბი ზემოთხსენებული იარაღისათვის გახლდათ ვაზნა, სახელწოდებით .308 Winchester. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ იმ კონკრეტული მოდელისათვის არ იყო 7,62x51 მილიმეტრიანი ვერსია საუკეთესო. ეს გალხავთ ვაზნა, რომელსაც უამრავი სხვადასხვა ბრენდის, იარაღების შემქმნელი კომპანიები ურჩევენ ხოლმე მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მომავალ მეპატრონეებს აღნიშნულ კალიბრიანი შაშხანის შეძენას. წიგნში წარმოგიდგენთ მის მცირე დახასიათებას, რადგან მხოლოდ ამ ვაზნაზე იმდენად ბევრი რამის თქმა შეიძლება, რომ რთულია ამ რაოდენობის ტექსტში ჩატიო. მისთვის ბევრად უფრო მეტი მოცულობაა საჭირო, ვირდე ეს კონკრეტული ქვეთავია.

განსახილველად ავირჩიეთ ფინური წარმოების, Sako-ს მიერ დამზადებული, ტიპიური სანადირო ვაზნა .308 Winchester Hammerhead.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მთავარი საზრუნავი ამერიკის შეერთებული შტატების საარტილერიო კორპუსისა

ზოგადი მონაცემები:	**.308 Winchester**
მწარმოებელი:	SAKO, Finnland
მოდელი:	.308 Winchester Hammerhead
ჯყალიბი:	7,62×51 მმ
ჰილზის ფორმა:	კონუსური, ბოთლისებრი ყელით
ზომები:	
ჰილზის მხარის დიამეტრი:	11,53 მმ
ჰილზის ყელის დიამეტრი:	8,73 მმ
ტყვიის დიამეტრი:	7,85 მმ
ვაზნის ძირის დიამეტრი:	12,01 მმ
ჰილზის სიგრძე:	51,18 მმ
ტყვიის წონა:	13 გრამი / 200 გრეინი
საწყისი სიჩქარე: (V0)	745 მ/წმ.
სიჩქარე 100 მეტრზე: (V100)	667 მ/წმ.
სიჩქარე 200 მეტრზე: (V200)	595 მ/წმ.
სიჩქარე 300 მეტრზე: (V300)	526 მ/წმ.
მიახლ. აირების წნევა:	4150 ბარი
გასროლის შედეგად გამოყ. ენერგია: (E0)	3608 ჯოული
ენერგია 100 მეტრზე: (E100)	2890 ჯოული
ენერგია 200 მეტრზე: (E200)	2298 ჯოული
ენერგია 300 მეტრზე: (E300)	1796 ჯოული
ბალისტიკური კოეფიციენტი: (BC1)	0.356
ტრაექტორია: (სმ)	
50 მეტრზე:	2,2
100 მეტრზე:	3,9
150 მეტრზე:	0
200 მეტრზე:	.- 9,4
250 მეტრზე:	.- 26,0
300 მეტრზე:	.- 50,8

(US-Ordnance Corps) გახლდათ რაიმე ახალი და უნივერსალური ყალიბის შექმნა და 30-06 Springfield -ის შეცვლა. ცოტა მოგვიანებით, 1944 წელს ექსპერიმენტი უტარდებოდა კალიბრს 300 Savage -ს, რომლის ჰილზიც 30-06-ზე 12 მმ-ით მოკლე იყო და საკმაოდ კარგი ბალისტიკური მონაცემებიც უჩვენა დამკვირველებსა თუ ინჟინრებს. სრულყოფილი და დამაკმაყოფილებელი ტესტის ჩატარების შედეგად ზემოთხსენებული ყალიბი შეიარაღებაში მიიღეს და 1953 წლის 15 დეკემბერს მიანიჭეს სერიული ნომერი T65E3. თავდაპირველად კონკრეტული ყალიბის შაშხანები ფაქტიურად არ არსებობდა თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე გამონაკლისს, რომელთაგანაც FN – FAL-ის გამოყოფა შეიძლება. 1957 წელს ტენდენციამ პიკს მიაღწია, რამეთუ სერიულ წარმოებაში გაეშვა თვითმტენი შაშხანები M-14 და M-60.

ცოტათი დაუჯერებლად და ამავდროულად კურიოზულად ჩანს ის ფაქტი რომ კომპანია „ვინჩესტერმა“ 1952 წელს გამოიგონა ვაზნა .308 Winchester-ი, რომელიც აგებული იყო ხუთი წლის წინ შექმნილ იდენტურ ყალიბზე. უკვე 60-იანი წლების დასაწყისში ამ კალიბრის გამოყენება თანმიმდევრულად დაიწყო ნატო-ს წევრმა თითქმის ყველა ქვეყანამ. ბევრი სახელმწიფოს არმიამ, რომელთაგანაც არც ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი იყო გამონაკლისი. ანუ მსოფლიო მაშტაბით შეიარაღებაში მიიღეს ტყვია 7,62×51 მმ. მოგვიანებით კომპანიამ აწარმოა აგრეთვე სანადირო და სპორტული ვერსიები. დღევანდელი, დაგროვილი ძალზედ დიდი გამოცდილებიდან ხაზგასმით მტკიცდება რომ 308 Winchester-ის ყალიბი ერთ-ერთი უნივერსალური აღმოჩენაა უნივერსალურ ვაზნებს შორის.

როგორც სანადირო ვაზნას, 308 Winchester-ს მთელს ევროპაში აქვს შესანიშნავი რეპუტაცია. ხოლო როგორც სპორტული ვაზნა მან შესძლო აურაცხელ კონკურსებსა თუ ჩემპიონატებზე უმაღლესი ბალისტიკური შედეგების ჩვენება. ევროპელი სპორტსმენები მასზე ამბობდნენ რომ მხოლოდ კონკრეტული ყალიბით იყო შესაძლებელი სამი-ნულოვანი შედეგის მიღწევა. უამინდობასა და კრიტიკულ პირობებში ტესტირებისას მას გერმანელები Arbeitstier (მუშა, გამძლე ცხოველი) ხოლო ამერიკელები Workhorse-ს უწოდებდნენ. ანუ საიმედო, მუშა-ცხოველი (ცხენი), რომელიც კონკურენტ კალიბრებთან შედარებით ბევრად კარგ მონაცემებს აჩვენებდა. მაგრამ გემოვნებაზე არ დაობენ, მითუმეტეს როდესაც საქმე ასეთ პრინციპულ საკითხს ეხება. ანუ გარკვეულ პირობებში შესაძლებელია სხვა ყალიბი ბევრად უფრო გამოსადეგარი და სასურველი იყოს, ვიდრე 7,62x51 – მმ. მაგალითად ჰოლანდიელი მონადირეების აზრს თუ გავითვალისწინებთ, ამ ვაზნაზე კარგის მეტს ვერაფერს გავიგებთ და ასე გრძელდება დაუსრულებლად კრიტიკა ან ქება დიდება....ყველას საკუთარი გამოცდილება გააჩნია და შესაბამისადაც, საყვარელი ყალიბის მქონე ვაზნითაც ავსებს საკუთარ არსენალს. მაგრამ ფაქტი ჯიუტია, შედეგი შესაბამის დისტანციებზე იდეალური, ფასი დაბალია, პროფესიონალთა შორის კი მისი კრიტიკოსები ნაკლებად მოიძებნება. აგრეთვე აღსანშნავია რომ ამ შესანიშნავი ჰობის დამწყებებიც ძალიან მალე და პრაქტიკულად ეგუებიან 308 Winchester-ის ყალიბს. რა თქმა უნდა ეს ვაზნა მხოლოდ გერმანული წარმოების, „ვალტერის“, „ბლაზერის“, „ზაუერის“ ან თუნდაც „ჰეკლერ&კოხის“ შაშხანებისათვის არ გახლავთ იდეალური და შესაბამისად მას ძალიან ბევრი იარაღების მწარმოებელი იყენებს. წიგნში წარმოდგენილია რამოდენიმე ძირითადი ვისთვის კონკურენტი და ვისთვს არაკონკურენტი იარაღების ნახევრადავტომატური (სანადირო ვერსიების) განხილვა აღნიშნულ ვაზნასთან ერთად განსხვავებული ყალიბებით. პირველი მათგანი გახლავთ გერმანული Heckler&Koch G3 – .308 Win. და მისი თანამედროვე ვერსია Heckler&Koch SL-8 – იგივე Heckler&Koch G-36-ის სანადირო-სპორტული ვერსია, ამჯერად განსხვავებული 223 Remington-ის ყალიბით. მეორე განსახილველი მოდელი ყველასათვის ცნობილი და ერთ-ერთი ყველაზე

გაყიდვადია – AK-47, ყალიბით – 7,62×39 მმ, რომლის სანადირო ვერსიებსაც სხვადასხვა კომპანიები აწარმოებენ-saiga (იჟმაჯის იარაღების ქარხანა – იჟევსკი), Vepr (მოლოტის იარაღების ქარხანა)... ბოლოს კი წარმოდგენილია ამერიკელების M-16, რომლის საუკეთესო სანადირო ვერსიებსაც უამრავ კომპანიებს შორის გერმანელები და ბრიტანელები ამზადებენ. კერძოდ Oberland Aarms მოდელს OA-15 და ბრიტანელები, კომპანია Sabre Defence – მოდელს XR-15.



HECKLER&KOCH G3

პირველი სამოქალაქო ვერსია 60-იან წლებში შემოვიდა HK-41-ის სახით, ყალიბით 7,62×51 მმ NATO (.308 Win). მას მოჰყვა უფრო იშვიათი მოდელი – HK 43, ყალიბით 5,56×45 მმ (.223 Remington). 1973 წლამდე გრძელდებოდა სამოქალაქო ვერსიების მზადება და გაყიდვა, ხოლო გერმანელი სპორტსმენი ან მონადირე, რომელმაც მანამდე შეიძინა იარაღი ბედნიერად თვლიდა თავს, რადგანაც 1973 წლიდან 2003 წლამდე აკრძალული იყო მსგავსი ტიპის შაშხანების გაყიდვა სამოქალაქო წესით გერმანიაში. თუმცა 2003 წლამდეც მოხდა სხვადასხვა ხრიკებით ამ იარაღის შეტანა გერმანულ ბაზარზე. 1992 წელს, გაკეთდა ეგრეთწოდებული „რე-იმპორტი“ და Heckler&Koch-ის მიერ ობერნდორფში დამზადებულმა SR 9 (**S**porting **R**ifle) – მა სპორტული, სინთეტიკური უკანა და ლულისქვეშა კონდახები მოირგო. „შვარცვალდერები“ სისტემასა და დანარჩენ დეტალებს აგზავნიდნენ ამერიკაში, ვირჯინიას შტატში, ძმობილ კომპანიასთან, სადაც ხდებოდა იარაღების სრულყოფილად აწყობა. გერმანელმა, კიოლნელმა დილერმა ბერნდ შულცმა გამოაგზავნინა ამერიკიდან მხოლოდ სინთეტიკური მასალა კონდახებისათვის ადმინისტრაციული რეგულირების წესებზე დაყრდნობით და HK-41-ს შეუცვალა სისტემა.

იარაღი საკმაოდ დადებითად შეფასდა და 100 მ დისტანციაზე ძალზედ ზუსტად ისროდა. მას 5 ტყვიიდან წრეთაშორისი გაფანტვა ჰქონდა 30-დან 50 მმ-მდე. ბევრ რეზერვისტსა თუ სპორტსმენს გაუჩნდა იმ დროისათვის სურვილი შეეძინა ზემოთხსენებული იარაღი. თუმცა გერმანიის რესპუბლიკის კანონის მიხედვით 1993 წელს კვლავ ახალმა წესებმა და ამავდროულად ახალმა პრობლემებმა იჩინეს თავი, რამაც ხელი შეუშალა იარაღის გერმანულ ბაზარზე განვითარებასა და თავისთავად წარმოებასაც.

მომდევნო მცდელობა 1995 წელს განხორციელდა. ფირმა Bernd Schulze-ს მიერ. პორტუგალიაში, Heckler&Koch-ის ლიცენზიის ქვეშ დამზადებული სისტემები, რომლებზე აგებულ იარაღებსაც ძალზედ სქელი და ტლანქი კონდახები ჰქონდათ, დღევანდელი კურსით დაახლოებით 1500 ევროს ფასობდნენ. სამწუხაროდ ამ ფასად ღირებული გერმანულ-პორტუგალირური SLG-95 მატარებლის ლიანდაგს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ G-3-ს.

1998 წელს, კომპანია Transarms – მა ინტერნაციონალურ იარაღების გამოფენა – IWA-ზე, ნიურნბერგში წარმოადგინა მოდელი SLG-97, მოგვიანებით ცნობილი როგორც SLG-2000, რომელიც დღევანდელი ევროპული ვალუტით დაახლოებით 1300 ევროს ფასობდა. ამჯერად მისი ფორმა, თხელი და მოსახერხებელი კაკლის ხის კონდახი, რომელსაც საკმაოდ მჭიდრო ხელსაკიდი ჰქონდა, აშკარად დახვეწილი იყო მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით. აგრეთვე მექანიზმის ბუდესაც თხელი ხის ფირფიტები ფარავდა ორივე მხრიდან, რომლებიც არანაირ დისკომფორტს არ უქმნიდნენ მსროლელს. სისტემისათვის კი კვლავ პორტულგალიური ლიცენზიის გამოყენება გახდა საჭირო. ზუსტად ახალი კანონის ძალაში შესვლისას გამოჩნდნენ ბაზარზე უკვე კომპანიები Transarms, როტვეილერი მწარმოებლები Schwaben Arms და ესლინგური ფირმა Beitler Waffentechnik. მათ მიერ წარმოდგენილი ცივილური G3 – ები უკვე განსხვავებული, ხის ან სინთეტიკური მოდიფიკაციებით მზადდებოდა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხარისხობრივად აშკარა უპირატესობით გამოირჩეოდნენ, როგორც მის კონკურენტებთან შედარებით, ასევე მათი წინამორბედებისაგან განსხვავებითაც. ისინი უფრო ნაკლებს იწონიდნენ. სროლისას იგრძნობოდა აშკარა გაუმჯობესებული კომფროტი.

Transarms-ის მიერ წარმოებულ მოდელებს გააჩნდათ დამატებითი ფუნქცია, სროლისას მსროლელი დაცული იყო აფეთქებული დენთის მიერ გამოსროლილი ნამწვებისა და ნაპერწკლებისაგან. Schwaben Arms – მა კი იარაღები შედარებით სქელი და განსხვავებული ტექნოლოგიებით დამზადებული ლულებით აღჭურვა, რამაც მონადირეების გული მოიგო.

ყალიბის არჩევის შემთხვევაში არჩევანი კეთდება .308 Winchester-სა და .223 Remington-ს შორის. სხვადასხვა მოდელების მოპოვება შესაძლებელი იყო განსხვავებული ქვეყნებიდან თუ მწარმოებლებიდან, რომლებთაც HL-ის ლიცენზია გააჩნიათ. მაგალითად კომპანია FMP (პორტუგალია), MKEK (თურქეთი) ან Helvetic Arms (საბერძნეთი).



მწარმოებელი	Heckler&Koch	Heckler&Koch	FMP	FMP
მოდელი:	**41**	**SR – 9**	**SLG 97**	**SLG 2000**
ყალიბი:	**.308 Win**	**.308 Win**	**.308 Win**	**.308 Win**
სისტემა:	ინერციული სისტემა, მამოძრავებელი როლიკისებრი თავით			
მჭიდის ტევადობა:	**5**	**5**	**5**	**5**
ლულის სიგრძე: (მმ)	**450**	**500**	**450**	**450**
მთლიანი სიგრძე: (მმ)	**990**	**1075**	**1000**	**1025**
სამიზნეთაშორისი სიგრძე: (მმ)	**570**	**570**	**570**	**570**
წონა: (კგ)	**4,5**	**4,9**	**4,85**	**4,4**
მიახლოებითი ფასი: (EU)	**2550,-**	**2190,-**	**1320,-**	**1690,-**

ნახევრადავტომატური და სრულად ავტომატური G-3-ის დეტალები ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებიან. საცეცხლე-გამანაწილებელი ღილაკი პარალელურად დამცველიცაა. F (წითელი) აღნიშვნა განმარტავს საცეცხლე მზადებას, ხოლო S (თეთრი) აღნიშვნა განმარტავს არასაცეცხლე, დაცვაზე მყოფ იარაღს. ავტომატური ვერსიის შემთხვევაში F არის სრული ავტომატური საცეცხლე პოზიცია, ხოლო E გახლავთ ნახევრადავტომატურ რეჟიმში გადართვა.

განსხვავებული მწარმოებლების მიერ დამზადებული G-3-ის განხილვის შემდგომ აშკარად გამოჩნდა რომ იარაღი სათანადოდ მზად იყო სპორტული სროლისათვის და საკმაოდ მოწესრიგებული და დადებითი შთაბეჭდილება დატოვა დამუშავების ხარისხმაც. არცაა გასაკვირი მეტალის დეტალების ჩასმა სუფთად და პროპორციულად რომ იყოს შესრულებული, რადგანაც შეხება გვაქვს ყოფილ სამხედრო ვერსიასთან. აგრეთვე ზედაპირის დამუშავების ხარისხიც საკმაოდ მაღალია.

სერიული ხელსაკიდი გათვლილია როგორც დიდი, ასევე მომცრო ხელის ზომაზე. ლულისქვეშა კონდახიც სასიამოვნო ხელმოსაკიდი და ანატომიურად მომგებიანი ზომისაა.

სამიზნე ხედვა G-3-ის ტიპის შაშხანებს იდეალური აქვთ და ოპტიკური მოწყობილობის გარეშეც შეიძლება მანძილის კონტროლი უკანა ბოლოზე დამაგრებული მბრუნავ თავზე განთავსებული 4 ცალი ხვრელის მეშვეობით.

მისი საკეტი, რომლის თავიც გაღებისას ბრუნავს – ეგრეთწოდებული Rollenverschluß – იდეალურ შედეგს იძლევა და ფაქტიურად გამორიცხავს ვაზნის გაჭედვას.



Heckler & Koch G3 ის სამოქალაქო ვერსიაზე დაცველ ღილაკს მხოლოდ დაცვალის ფუნქცია აკისრია და მისი ავტომატურ ჯერზე გადართავ შეუძლებელია



G3 ზე განტავსებული ოფტოელექტრონული მოწყობილობა

www.caravani.ge



G3 ზე განთავსებული ლულისქვეშა კონდახი თანამედროვე, ტაქტიკური ტიპის

სწორედ მისი უნიკალურობის გამო ზუსტი ასლი დაუპატენტეს მოდელებს-სL-6 და SL-7.

სასხლეტი ცოტა უხეშ შთაბეჭდილებას ტოვებს. გასროლის წერტილიდან იგი მიცურავს დაახლოებით ნახევარი სანტიმეტრით და ძალაც საკმოად დიდი – 3200 გრ ჭირდება, რომ მოხდეს ცეცხლის წარმოება. სიღრმეში შეწეული ლულისა და მასიური კონდახის გამო სროლისას უკუცემა არც თუ ისე დიდი და უსიამოვნოა, როგორც ეს ერთის შეხედვით ჩანს იარაღის ვიზუალური დათვალიერებისას. სტანდარტული ლულის შემთხვევაში როდესაც ვისვრით 147 გრეინი წონის სამხედრო ვაზნებს, გაფანტვის წრეები 5 გასროლის შედეგად მერყეობს 65 – 80 მმ-ს შორის. ხოლო Norma – Matchpatrone – 168 Grs. და PMC – matchpatrone – 168 Grs. ვაზნების გამოყენებისას შედეგი უმჯობესდება და მერყეობს 38 – 43 მმ-ს შორის.

G-3-ის სამოქალაქო ვერსიისათვის ზოგადად ხმარობენ STANAG ოპტიკურ სამიზნეებს. მაგრამ როდესაც მის მფლობელს სურს თანამედროვე, უხეშად რომ ვთქვათ, „ნორმალური“ ოპტიკური სამიზნის შეძენა, არჩევანის გაკეთება უკვე სხვა, გაცილებით ძვირიან სამიზნეებზე უწევს.

HECKLER&KOCH SL8 – G36

ზოგადად 90-იანი წლების მიწურული ბუნდესვერისათვის საუკეთესო პერიოდი გახლდათ. ეს იყო დრო, როდესაც ცეცხლსასროლი შაშხანების წარმოებამ ყალიბით 5,56×45 მმ NATO (.223 ღემინგტონ) უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ამასობაში დასავლეთ მეზობლებმა შეიძლება ითქვას საზრიანი მანევრი განახორციელეს და ბაზარზე კიდევ უფრო მცირეკალიბრიანი შაშხანებით შემოვიდნენ, ჯერ კიდევ მაშინ როდესაც ბუნდესვერი ჩ-3-ს იყენებდა, ყალიბით 7,62×51 მმ-ზე. 1995 წელს კომპანია Heckler & Koch-ის მიერ გადაწყდა ცნს 50 მოდელების მასიური წარმოება. მათ დაახლოებით ათი სხვადასხვა მწარმოებლების მიერ დამზადებულ მსგავსი ტიპისა და დანიშნულების მოდელებისათვის უნდა გაეწიათ კონკურენცია. ყველაზე კონკურენტუნარიანი კი ავსტრიული შტეყრ AUG-ი გახლდათ.

HK 50 -ი G-3 – გან საგრძნობლად არ განსხვავდებოდა. თუმცა ძირითადი პრინციპები და გარკვეულ წილად სტრუქტურული აგებულებაც არაერთგვაროვანი, არაიდენტური ჰქონდათ. განსაკუთრებული მასალისაგან და შედარებით თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული ლულა, აირებით მტენი სისტემა, საკეტი და საკეტის მამოძრავებელი – ესაა მთავარი განმასხვავებელი კომპონენტები ზემოთხსენებულ იარაღებს შორის. აგრეთვე აღსანიშნავია რომ ზოგიერთი დეტალი ხელოვნური-სინთეტიკური მასალისაგან იყო დამზადებული. იარაღის წონა 3,6 კგ-ს შეადგენდა, ანუ 800 გრ-ით ნაკლები იყო G-3 – ზე. საბოლოოდ კი 1997 წელს გერმანიის, შვარცვალდში განთავსებული კომანდოს სპეციალურმა ძალებმა (KSK – Komanndo Spezialkräfte) შეიარაღებაში მიიღეს „ბუნდესვერის“ გადაწყვეტილებით ახალი, მართლაც უნაკლო G-36 – ი.



Heckler & Koch SL8



Heckler & Koch SL8

სწორედ რომ G-36-ის სანადირო-სპორტული ვერსია გახლავთ SL-8. იარაღი იწარმოება როგორც შავი, ისე ვერცხლისფერი ხელოვნური-სინთეტიკური კონდახებით. ანალოგიური მასალა გამოიყენება ლულისქვეშა, ვენტილირებული კონდახისა და სისტემური ბუდისათვისაც. იარაღის სასხლეტთან მდებარე სახელური და ინტეგრირებული სამიზნე G-36-ის ასლებია. ალბათ ყველას გაუკვირდება, მაგრამ ფაქტია რომ შაშხანის სისტემური ბუდე და მასზე დამაგრებული ხიდიც სინთეტიკური მასალისაგანაა დამზადებული. ისევე როგორც უკანა და ლულისქვეშა კონდახები. ეს კი მწარმოებლის მიერ შესრულებულ უმაღლეს ხარისხზე მეტყველებს, რადგანაც ბუდემ უნდა გაუძლოს საკეტის მოძრაობას, აფეთქების შედეგად გამოყობილ წნევას – ენერგიეს და კიდევ სხვა ზემმოქმედ ფაქტორებს გასროლისას.

თუ რანაირად მიაღწიეს მისმა შემქმნელებმა ამ ყოველივეს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი კომპანიის მაღალტექნოლოგიური დონის განვითარებაზე მეტყველებს. ძირითადი იდეოლოგიის გათვითცნობიერება ცხადზე ცხადია და ამჟამად შესაძლებელია. როდესაც საკეტი მექანიზმის თავი ჯდება ლულაში და წახნაგები იკეტებიან მათთვის განკუთვნილ ჭრილებში, იზრდება სიმყარის ალბათობა. ამას ემატება უშუალოდ დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმზე სხეულივით შემოკრული პატარა ბუდე, რომელიც მაღალი სიმყარის, ნაწრთობი ფოლადისაგანაა დამზადებული და გასროლის შედეგად გამოწვეულ გარკვეულ ენერგიას თავის თავზე იღებს. საერთო ჯამში შაშხანის შემქმნელები თვლიან რომ შედეგი მიღწეულია.

საკეტის სახელური იარაღს ორიგინალური ფორმის აქვს. ის საწყის პოზიციაში ყოფნის დროს ლულის სისწორეზე, მის სიგრძივ მდებარეობს. ხოლო როდესაც მსროლელს სურს გადატენოს იარაღი მას 45°-ით ვწევთ მარჯვნივ, შემდგომ კი მექანიზმთან ერთად ვამოძრავებთ უკან, რათა მოხდეს გადატენვა, ანუ ვაზნის მიწოდება მჭიდიდან ლულაში არსებულ სავაზნეში. შაშხანის მფლობელი თუ ცაციაა, იარაღის გადატენვა მასაც მემარჯვენისავით გაუადვილდება, რათა ზემოთხსენებული სახელურის, იგივე გადამტენი ბერკეტის გაღება, გადაწევა 45°-ით მარცხენა მხარესაც შესაძლებელია. ანალოგიური, ძალზედ მოხერხებული სისტემური აგებულება აქვს როგორც ავტომატურ, მილიტარიზებულ G36-ს, ასევე ცივილურ SL8-საც. დიზაინერებმა მის კომფორტზე სხვაგვარადაც იზრუნეს და ახალ მოდელებს კონდახზე სპეციალური სალოყე ბალიში გაუკეთეს. მისი მოძრაობაც შეიძლება, რისი მეშვეობითაც სამიზნე ზოლის სიმაღლის დარეგულირებაა შესაძლებელი.

შაშხანაზე დამაგრებულმა გრძელმა ხიდმა, რომელიც მთავარ სისტემურ კოლოფს სცდება და ლულის შუამდე, დაახლოებით გაზების გამოდინების ადგილთან ახლოს მთავრდება, უნდა მიიმაგროს ოპტიკური სამიზნე და უზრუნველყოს მისი დაცული, მყარი ჭერა. თუმცა პატარა ლაფსუსი, თუ შეიძლება რომ საერთოდ ამას ლაფსუსი ეწოდოს, მაინც შეიძლება აღვნიშნოთ. ოპტიკური სამიზნის დაყენებისას უნდა გავითვალისწინოთ ძველ ვერსიებზე ხიდის თავში და ბოლოში არსებული სამიზნის სიმაღლე და ოპტიკა დაშორებული უნდა იყოს მინიმუმ 40 მმ-ით. ან საერთოდ უნდა მოვხსნათ მექანიკუ-

მწარმოებელი:	Heckler&Koch, Oberndorf	Heckler&Koch, Oberndorf/ Neckar
მოდელი:	SL-8	G-36
წარმოების დრო:	1998 წელი	1997 წელი
ყალიბი:	.223 Remington	.223 Remington
სისტემა:	გაზებით მტენი სისტემა, როლიკისებრი მბრუნავ თავიანი საკეტით	
მჭიდის ტევადობა:	10+1, 30+1.	
ლულის სიგრძე: (მმ)	480	480
მთლიანი სიგრძე: (მმ)	980 – 1030	758 – 998
სამიზნე სიგრზე: (მმ)	485	
წონა: (გრ.)	4050	
მიახლოებითი ფასი: (€)	1470,-	დამოკიდებული შეკვეთის რაოდენობაზე
გასროლის საწყისი სიჩქარე: (მ/წმ)	საშ. 950	საშ. 950
ხრანხების რაოდენობა:	6	6
ხრახნის მიმართულება/ სიგრძე: (მმ)	მარცხნიდან მარჯვნივ/178	მარცხნიდან მარჯვნივ/178
ზუსტი სროლის მანძილი: (მ)	საშ. 500	საშ. 500
კადენცი:	საშ. 750 გასროლა წუთში	



ახალი თაობის SL8 ის ლულისქვეშა ტაქტიკურ კონდახზე დამაგრებული საყრდენი ფეხები



SL8 – ახალი თაობის სისტემური კოლოფი, რომლიც ძველტან შედარებით უფრო მეტად გავს G36-ს



Heckler & Koch-ის საკეტის სახელური მოძრაობა შესაძლებელია როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხარეს





Heckler & Koch G36-ის სამოქალაქო ვერსია



რი სამიზნეები. მაგრამ ზემოთხსენებულს დადებითი მხარეც გააჩნია. დამიზნებისას მსროლელს თავის დაწევა და „მოღრეცვა“ არ სჭირდება, რასაც ვერ ვიტყვით „AR-15“-ის ზოგიერთი მოდიფიკაციის შემთხვევაში. SL-8-ის შემთხვევაში იდეალურია შედარებით თხელი ოპტიკური სამიზნე მოწყობილობები, ხოლო ზოგადად მისთვის G-36-ის დამზადებულ Hensoldt-ის პროდუქტსაც იყენებენ, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ 3 – ჯერადი გადიდება აქვს. ტესტის ჩატარებისას, როგორც ამას დისციპლინერებული გერმანელები მოითხოვდნენ, მასზე დამაგრდა შედარებით ხარისხიანი და ძვრიფასი Leopold-ის ოპტიკური სამიზნე. გასროლა იწარმოებოდა განსხვავებული ტიპის ამუნიციით. წრეების გაფანტვის შედეგი, 5 გასროლის შემდეგ, მერყეობდა 25-დან 80 მმ-მდე. გასინჯვა ბევრჯერ განხორციელდა და საუკეთესო მაჩვენებელი მაინც დაფიქსირდა: 30-დან 45-მმ-მდე.

G-36-ის ძირითადი ნაწილი, მექანიზმის ბუდე, საკეცი კონდახი და ხელსაკიდი-სახელური შედგება ხელოვნური, მაღალი სიმტკიცის ნაილონი-პოლიამიდისაგან, რომელსაც ამაგრებს კარბონისა და ნახშირბადის მიკროსკოპული ბოჭკოები (ლიტერატურაში სინთეზური მასალა „ნაილონ-66“-ით არის აღნიშნული). მისი წონა მჭიდის გარეშე შეადგენს 3,6 კგ-ს, რაც ამავე შაშხანის სანადირო ვერსიის ტოლია. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეხება გვაქვს სტანდარტულ ვერსიასთან. ვინაიდან და რადგანაც არსებობს კონრკეტული შაშხანის 4 გავრცელებული და კიდევ რამოდენიმე ახალი, ფართო საზოგადოებისათვის ჯერჯერობით უცნობი, თუ ნაცნობი ვერსიები. შესაბამისად მათი მონაცემები, ლულის სიგრძე და წონაც რა თქმა უნდა ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება (წიგნში წარმოდგენილია სწორედ ეს ოთხი, ყველასათვის კარგად ცნობილი მოდელები).

„ბუნდესვერი“ ძირითადათ იყენებს 1002 მილიმეტრიან ვერსიას, რომელზეც მაგრდება სამჯერადი გადიდებითი ოპტიკა-კოლემატორი. სამიზნის მინაზე აღნიშნულია 4 დანაყოფი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია 200 მ-დან 800 მ-მდე ზუსტი სროლის წარმოება. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ კონკრეტული სამიზნე მოწყობილობით არც თუ ისეთ იდეალურ შედეგებს აღწევენ გერმანელი სამხედროები. შედარებით გაუმჯობესებული ვერსიები მისთვის გახლავთ Aimpoint-ის მოდელი №551 და Eotech-ის №552. საუკეთესო ვერსია კი ყველასათვის ცნობილი – Carl-Zeiss-ის NSV-80-ია.

2011-2012 წლებში გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ახალი, განსხვავებული SL-8-ის ვერსია. მას სამიზნე მოწყობილობა G-36 – ვით სისტემური ბუდის თავზე განთავსებულ ხელსაკიდში ჰქონდა ინტეგრირებული. ძველ მოდელებისაგან განსხვავებით მაღალი სახელურიც, რომელსაც სხვა ფუნქციაც აკისრია, ავტომატურ-სამხედრო ვერსიასავით ჰქონდა. აი ლულა კი შაშხანას G-36-გან განსხვავებით შედარებით სქელი, სპორტული, ზუსტი სროლისათვის გათვალისწინებული ეყენა, ყოველგვარი ცეცხლმაქრისა და კომპენსატორის გარეშე.

H&K QCB-ს მჭიდის ტევადობა 30 ვაზნაა და ზოგ შემთხვევებში ის







SL-8-ის მსგავსად გამჭვირვალეა, რათა ადვილი შესამჩნევი იყოს მასში არსებული ვაზნების რაოდენობა. 40 მმ ყუმბარების სასროლად QCB ვერსიაზე დამაგრებულია AG-36-ის ყუმბარმტყორცნი, რომლითაც მანამდე იმავე „ჰეკლერ&კოხის“ წარმოების მოდელი, HK 69-A1 იყო ხოლმე აღჭურვილი.

შაშხანების, როგორც G36-ის, ისე SL8-ის ლულები დამზადებულია სპეციალური უჟანგავი მეტალით, რომელთა ერთ-ერთ დამცავ ზედაპირს წარმოადგენს ოქსიდის შემცველი ფენა. მათი ჭედვა ხდება ცივად და ქრომირების პროცედურა უტარდება ლულის როგორც გარე, ისე შიდა მხარეს. ლულისა და მექანიზმის სამუშაო პრინციპების შერწყმა – ურთიერთშეთანხმება ფაქტიურად უნაკლოდ, ძალზედ დახვეწილადაა შექმნილი. მას შემდეგ რაც ვაზნა ხვრელის წინა მხარეს შეეხება, ექსტრაქტორი და გაზების გამომშვები გასახსნელად გადაადგილდებიან. შემდგომ უკვე ტყვია ტოვებს ლულას. გაზების სისტემა (ლულის ზემოდან განთავსებული მექანიზმი) იმყოფება ამ დროს უსაფრთხო ზონაში. გაზების დგუში მოძრაობს დაახლოებით 6 მმ-ით უკან, რათა გახსნას 6 წახნაგა, მბრუნავ თავიანი საკეტი. ჭარბი აირები კი გამოედინებიან სადინარებიდან გარეთ. შესაბამისად გაზების მილში და სხვა იარაღის იმ წერტილებში, სადაც ხვდებიან ზემოთხსენებული აირები, გაზებით მიყენებული დაბინძურება აღიკვეთება. აქედან გამომდინარე გადატენვის ციკლის შეფერხების ალბათობა მცირდება და ფაქტიურად ქრება.

საერთო ჯამში SL-8 – მ თუ G-36 – მა დაამტკიცეეს რომ ის ერთ-ერთი საუკეთესოა საუკეთესოთა შორის. მათი გამოყენება ნებისმიერ სიტუაციაში მიზანშეწონილი, მოსახერხებელია და რეკომენდირებულია სპეციალისტების მხრიდან. ისენი იმ იარაღთა ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომლებიც სროლის დროს სიამოვნებას განიჭებენ. ზემოთხსენებულ იდეოლოგიას ამყარებს და თან ერთვის – ცივილური ვერსიის შემთხვევაში, მოძრავი მხარისა და ლოყის მარეგულირებლები. მჭიდის მასიური, გამომღებ ღილაკზე თითის დაჭერა ყინვაში, ხელთათმანებითაც მარტივია. ორმხრივი (ცაციებისთვისაც) დამცველი სახარბიელოდაა განთავსებული და იარაღის ხელში ჭერისას ცერი თითით ადვილადაა შესაძლებელი მისი მოძრაობა. G-36-ს რომ თავი დავანებოთ, მისი სპორტული-სანადირო ვერსია იმდენად წარმატებული გამოდგა რომ მისივე ბაზაზე ააგეს სამხედრო ვერსია ზუსტი სროლისათვის სნაიპერებისა და სპეცდაჯგუფებების სავარჯიშოთ თუ გარკვეული სპეც-ოპერაციების განსახორციელებლად. მოდელს უწოდეს SL-9 SD (**S**chall**D**ämpfer – მაყუჩი), რომელიც აღჭურვილია მაყუჩით და ბევრად უფრო მსხვილი ყალიბის ვაზნებს ისვრის, ვიდრე მისი ცივილური ვერსია. შაშხანის ვაზნის ყალიბია 7,62×39 მმ-ზე, 7,62×37 მმ-ზე და უნდა აღინიშნოს რომ ნებისმიერი მწარმოებლის ვაზნა, რომელიც გახლავთ კონკრეტული ყალიბის, საწყისი სიჩქარე ყველას მხოლოდ ზებგერითი გააჩნია.

SL-8-ის კონდახზე ლოყის დადებისას და თვალის სამიზნეში „გაყრისას“ იმავეს განვიცდით, რასაც G-3-ის SL-6-ის და SL-7-ის დამიზნებისას. ანუ ჩვენს მიერ განხილვად მოდელს, მისი წინამორბედების მსგავსად უკანა, ინტეგრირებული სამიზნე მოწყობილობა არაფიქსირებული აქვს და მეტალის ფირფიტის მოძრაობის შედეგად, რომელსაც შუა ნაწილში ხვრელი აქვს გაკეთებული, შესაძლებელია სამიზნე მანძილის რეგულირება 100 მ-დან 300 მ-მდე. ფართე, სინთეტიკური მასალის სასხლეტი მოხერხებულად ზის თითზე და 2300 გრ ზეწოლის შედეგად ხდება მისი გამოკვრა და გასროლის წარმოება.

თუ იარაღის ყალიბს გავითვალისწინებთ, მაშინ მისი წონა ცოტა დიდად მოგვეჩვენება. ამას ემატება 20 მმ-ით სქელი ლულა, სტანდარტულებთან შედარებით. ერთობლიობაში კი გასროლისას ბევრად ნაკლები უკუცემა იგრძნობა სხვა მსგავსი ტიპის კონკურენტებთან შედარებით.

იარაღის დაშლა, გასაწმენდად, სირთულეების გარეშეა მოსახერხებელი თუ თან გაქვთ მრავალფუნქციური დანა, ჭანჭიკებისა და სხვადასხვა მსგავსი ტიპის სახრახნების ამოსაქანჩად. უშუალოდ საკეტის დაშლა მხოლოდ ერთი რკინის ჩხირის გამოღების შედეგადაა შესაძლებელი. მისი ექვსწახნაგა თავი M-16-ის მექანიზმის აგებულებას მოგვაგონებს, რომელსაც „სტოუნერის“ შვიდწახნაგა ანალოგიური მბრუნავი თავი აქვს. ასევე გარკვეული მსგავსებები შეიმჩნევა ნემსისა და საკეტის გადასვლაში. აწყობისას საკეტის ჩასმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რადგანაც მისი თავი შედარებით მოუხერხებელი ჩასასმელია და მექანიზმის ბოლოს ედება. შესაძლოა არამართებულად მორგებისას რკინის ჩხირები მუშაობისას მოედოს მექანიზმს. სხვა დანარჩენის აწყობაც და დაშლაც ძალიან მარტივადაა შესაძლებელი.

ძლიერი, დადებითი მხარეები	სუსტი, უარყოფითი მხარეები
HK	
უზუსტესი, იდეალური ბალისტიკური მონაცემები	აღალი, სპეციფიკურ ხიდია საჭირო იპტიკური სამიზნის დასაყენებლად
დამუშავების უმაღლესი ხარისხი	
კომფორტული სროლა – დაბალი უკუცემა	
ფუნქციონალური საიმედოობა	
ცივად ნაჭედი, უმაღლესი ხარისხის ქრომით მოპირკეთებული ლულა	

7,62×39 MM KALASHNIKOV

ზოგადი მონაცემები:	**7,62×39 mm Kalashnikov**
მწარმოებელი:	Sako, ფინეთი
მოდელი:	7,62 x 39 Gamehead
ჯყალიბი:	7,62×39 მმ
ჰილზის ფორმა:	კონუსური, ბოთლისებრი ყელით
ზომები:	
ჰილზის ყელის დიამეტრი:	8,46 მმ
ტყვიის დიამეტრი:	7,85 მმ
ვაზნის ძირის დიამეტრი:	11,30 მმ
ჰილზის სიგრძე:	38,50 მმ
ტექნიკური მონაცემები:	
ტყვიის წონა:	8 გრ. – 123 გრეინი
საწყისი სიჩქარე: (V0)	715 მ/წმ
სიჩქარე 100 მეტრზე: (V100)	632 მ/წმ.
სიჩქარე 200 მეტრზე: (V200)	555 მ/წმ.
სიჩქარე 300 მეტრზე: (V300)	587 მ/წმ
მაქს. აირების წნევა:	3100 ბარი
გასროლის შედეგად გამოყ. ენერგია: (E0)	2045 ჯოული
ენერგია 100 მეტრზე: (E100)	1598 ჯოული
ენერგია 200 მეტრზე: (E200)	1233 ჯოული
ენერგია 300 მეტრზე: (E300)	948 ჯოული
ბალისტიკური კოეფიციენტი: (BC1)	0.342
ტრაექტორია: (სმ)	
50 მეტრზე:	2,7
100 მეტრზე:	4,4
150 მეტრზე:	0
200 მეტრზე:	.- 11,4
250 მეტრზე:	.- 31,6
300 მეტრზე:	.- 60,4



რუსული წარმოების ვაზნას – 7,63×39 მმ-სა და გერმანული STG-44-ის ვაზნას 8×33 მმ polte -ს შორის გარკვეული პარალელები ივლება. პროფესიონალებისა და იარაღთმცოდნეების უმრავლესობა თვლის რომ სწორედ გერმანულ ყალიბზე დაყრდნობით ააგო მიხეილ ტიმოფეევიჩ კალაშნიკოვმა მსოფლიოში ყველაზე გაყიდვადი და პოპულარული იარაღი ვაზნითურთ. საქმე იმაშია, რომ გარკვეულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, რომელიც განსაკუთრებით ავსტრიასა და გერმანიაში არსებულ მეიარაღეთა სკოლებში ან იარაღების გამოფენებზე ვრცელდება ხოლმე, ძაან ბევრისათვის ჯერ კიდევ უცნობი ინფომაციები გამოაშკარავდება. მიხეილ კალაშნიკოვი მარტო არ მუშაობდა და ის სხვა რამოდენიმე რუს კონსტრუქტორთან (ოფიციალურად გახმაურებულიცაა) და რამოდენიმე გერმანელ კონსტრუქტორებთან ერთად, რომელთაგანაც შმაისერი წამყვან როლს ასრულებდა (არაა ოფიციალურად გახმაურებული), დაამუშავა რამოდენიმე პროექტი. მათთაგან განხორციელდა დღესდღეობით ყველასათვის ცნობილი AK-47 ყალიბით 7,62x39 მმ. სწორედ რომ II მსოფლიო ომის დასაწყისში მივიდნენ გერმანელი და რუსი კონსტრუქტორები იმ დასკვნამდე რომ ქვეითი ბრიგადებისათვის საკმარისი იქნებოდა შედარებით უფრო მცირე კალიბრიანი ვაზნა, ვიდრე 8×33 მმ – 7,92x33-მმ იყო. სამაგიეროდ მომცრო ყალიბს სხვა უპირატესობები ექნებოდა, რაც არმიას უფრო წაადგებოდა. პირველ რიგში შემცირდებოდა გაზების შედეგად მიღებული დაბინძურება, შემცირდებოდა იარაღის წონა და რაც მთავარია გაცილებით უფრო ცოტა მასალა დაიხარჯებოდა ვაზნების დასამზადებლად. ამ იდეის ერთ-ერთი ავტორი და უკვე მოგვიანებით რეალიზატორი გახლდათ ზემოთხსენებული რუსეთის ფედერაციის გმირი. მანამდე ძირითადი ვაზნა ყოფილი რუსეთის იმპერიისათვის გახლდათ 7,62×54 R Mosin. ხოლო პირველი გარღვევა გააკეთა რუსულმა 7,63×39 მმ – alias M 43 – მა რომელიც შექმნილი იყო SKS-ის შაშხანისათვის. ამავდროულად გამოჩნდა გეორგ სემიაონოვიჩ შპაგინის Schpagin PPSch-41 ყალიბით 7,62 x 25 მმ TT, რომელიც შორ დისტანციაზე ბრძოლისათვის ფაქტიურად ვერ გამოიყენებოდა. ცოტა მოგვიანებით შეიქმნა მიხეილ კალაშნიკოვის ლეგენდარული შაშხანა, რომელიც რუსეთის იმპერიასთან ერთად ბევრმა სხვა ქვეყანამაც მიიღო შეიარაღებაში და სწორედ საკმაოდ ნიჭიერი კონსტრუქტორის დამსახურებით გახდა ეს ყალიბი მთელს მსოფლიოში ცნობილი, როგორც კალაშნიკოვის ვაზნა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ძირითადი ნაწილი 7,63×39 მმ კალიბრს იყენებდნენ, ლეგალურად ან ზოგჯერ არალეგალურად, როგორც სამხედრო, ისე სანადირო დანიშნულებისათვისაც. ამ ყველაფერს დიდი როლი არ უთამაშია ვეროპასა და დანარჩენ განვითარებულ ქვეყნებზე, რადგანაც მათთან M-43-ის ყალიბით არც თუ ისე ბევრი შაშხანა მზადდებოდა.

ვაზნის ძალა და ენერგია სტანდარტულად დამაკმაყოფილებელი და სავსებით საკმარისია როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა ცხოველებზე სანადიროდ. თუმცა მასზე ვერ ვიტყვით რომ მსხვილფეხა ცხოველებზე სანადიროდ იდეალური ვერსიაა. სპორტული სროლისათვის ვაზნა არც თუ ისე დიდი პოპულარობით სარგებლობს. იგი არც დეფიციტს განიცდის და ის ცივილური ბაზრისათვის იწარმოება, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე ევროპაში. მისავე სამშობლოში, რუსეთში კი რა თქმა უნდა ყველა სახეობისა და ტიპის 7,63×39 მმ მზადდება.

AK-47&CO.-SAIGA – VEPR

მწარმოებელი:	რუსეთის იარაღთმშენებელი ქარხანა – იჟმაში იჟევსკი/რუსეთი				
მოდელი:	**Saiga-762**	**Saiga-762 MK**	**Siaga-223**	**Saiga-308**	**Saiga-100**
ყალიბი:	7,62×39mm	7,62×39mm	.223 Remington	.308 Winchester	..308 Winchester
სისტემა:	გაზებით მტენი სისტემა ხსნადი-როლიკისებრ თავიანი საკეტით				
მჭიდის ტევადობა:(სერიულად)	5+1, 8+1, 30+1;				
ლულის სიგრძე: (მმ)	520	415	520	555	555
მთლიანი სიგრძე: (მმ)	1060	1960	1060	1120	1120
წონა: (კგ)	3,8	3,65	3,8	4,1	3,9
ეფექტური სროლის მანძილი:	100 – დან 300 მეტრამდე				
მიახლოებითი ფასი: (€)	550,-	750,-	550,-	700,-	650,-

იარაღი:	AK-47
სამოქალაქო სახელი:	AK-47 – Kalaschnikow Auto 47.
სამხედრო სახელი:	Автомат Калашникова образца 47
მწარმოებელი ქვეყანა:	რუსეთი – ყოფილი საბჭოთა კავშირი
დეველოპერი/მწარმოებელი:	მიხეილ ტიმოფეევიჩ კალაშნიკოვი/ იჟმაში
წარმოშობის ქვეყანა:	რუსეთი – იჟევსკი და ტულა
წარმოების დრო:	1946 წლიდან
მთლიანი სიგრძე: (მმ)	645 – 870
წონა: (კგ.)	4,3
ლულის სიგრძე: (მმ)	415
ყალიბი:	7,62×39 მმ (M43)
მჭიდის ტევადობები:	30, 40, 100..
კადენცი:	600 გასროლა წუთში
ცეცხლის წარმოების ტიპები:	ავტომატური და ერთეული
ხრახნების რაოდენობა:	4 ხრახნი
ხრახნის მიმართულება:	მარჯვენა
სერიული სამიზნე:	ღია ხედვის
საკეტი:	ხნსადი, როლიკისებრი თავით
სისტემა:	გაზებით მტენი სისტემა
ეფექტური სროლის მანძილი:	100 – დან 300 მეტრამდე

მწარმოებელი:	Molot-ის ქარხანა – რუსეთი		
მოდელი:	Vepr-Standart		
ყალიბი:	.223 Remington	7,62×39 mm	.308 Winchester
საკეტი:	გაზებით მტენი სისტემა მბრუნავ თავიანი საკეტით		
მჭიდის ტევადობა:	5+1		
ლულის სიგრძე: (მმ)	520	420/520	520
მთლიანი სიგრძე: (მმ)	1010	910/1010	1010
წონა: (კგ.)	3,9	3,7/3,8	3,8
მიახლოებითი ფასი: (€)	800	800	900



Vepr Standart კალ. 7,62x39mm

მხოლოდ საბრძოლო ვერსიების წარმოება არც ქვეყნის ეკონომიკას წაადგებოდა და ქარხნებისათვისაც დიდი მოგების მომტანი ვერ იქნებოდა.

მსგავსი ტიპის იდეოლოგია არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც გამოაშკარავდა. უბრალოდ ზოგმა ამგვარი პრობლემების გადაჭრა დროულად დაიწყო და მოაწესრიგა ქვეყნის კანონმდებლობა. ზოგმა კი ცოტა მოგვიანებით. რუსებმაც არ დააყოვნეს და იჟევსკში მდებარე უმსხვილესმა ქარხანამ, „იჟმაშმა“ დაიწყოAK-47-სა და მსგავსი ტიპის შაშხანების, სანადირო ვერსიების წარმოება. მთავარი მიზეზი გახლდათ მსოფლიო დონის კონსტრუქტორის, მიხეილ კალაშნიკოვის ზემოთხსენებულ ქარხანაში მუშაობა. სწორედ მისი წვლილი იქნა Saiga-ს შექმნაში შეტანილი. შაშხანის შექმნით ბაზარზე გამოჩნდა იაფიანი ვერსია, რომელიც ძირითადად აგებული იყო მართლაც რომ „უნაკლო“ იარაღის, „კალაშნიკოვის“ პრინციპზე. ალბათ ჩვეულებრივ მოქალაქეებს უფრო გაუკვირდებათ, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ ქარხნის წარმომადგენლებმა თავდაპირველად გათვლა გააკეთეს სწორედ რომ ამერიკისა და კანადის ბაზარზე. იდეა წარმატებული აღმოჩნდა და დიდი მოგებაც მოუტანა მწარმოებლებს. 90-იანი წლების მიწურულს კი „იჟმაშის“ შაშხანები ევროპაშიც გავიდა ექსპორტზე, რომლებიც დღევანდელი კურსის მიხედვით, დაახლობით 700 ევროს ფასობდა. ვერც ოპტიკური სამიზნე მოწყობილობების სიძვირფასითა და ხარისხით დაიკვეხნიდნენ რუსები. Saiga – თვის სერიულად უბრალო ოპტიკები შეირჩა 3,5 – ნი გადიდებით. ასევე გამოიყენებოდა PSO-1 და FPK ტიპის სამიზნე მოწყობილობები. იარაღის მჭიდები ძირითად შემთხვევებში ხელოვნური მასალისაგან მზადდება დღემდე. დეტალის ზედაპირის დამუშავება უხეშადაა შესრულებული და ორიენტირებულია სამხედრო ვერსიაზე.

Saiga -ს ტესტირება 100 მ დისტან-



გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე მოლოტის მერ წარმოდგენილი შაშხანები



მოლოტის შაშხანის კონდახის დაკეცვისას შეუძლეველი ხდება სროლის წარმოება

ციაზე განხორციელდა. გარკვეულ წერილობით წყაროებზე დაყდნობით და თუნდაც საერთაშორისო გამოფენებზე რუსი მწარმოებლების მიერ გადმოცემულ ინფორმაციას თუ დავუჯერებთ, იარაღის ეფექტური სროლის მანძილი ზუსტად 399 მეტრს შეადგენს. ცოტა სასაცილო და გასაკვირია, მაგრამ გააჩნია ვისგან. გასინჯვისას გამოყენებულ იქნა თავისივე ოპტიკური სამიზნე 3,5 – ჯერადი გადიდებით. კონდახი მხარზე საკმაოდ მოხერხებულად გრძნობდა თავს. აი მსროლელის აშკარა უკმაყოფილების შეგრძნების გაჩენა მაშინ დაიწყება, როდესაც მჭიდის გამოღებას დააპირებს და გამომლებ უხეშ ღილაკს მიაწვება. ანალოგიურ უსიამოვნო პროცედურას ვაწყდებით ვაზნების ჩაწყობისას. ხოლო დამიზნებისას, რომც არ გინდოდეს უმალვე თვალში გხვდება მეტალის საფარისა და კონდახს შორისი უხეში გადასვლები და ზედაპირის დამუშავებისა თუ ზოგადად მოპირკეთების დაბალი ხარისხი. გასროლისას სასხლეტს მინიმუმ 2500 გრამი ზეწოლა ესაჭიროება, რათა აწარმოოს ცეცხლი. არც ბალისტიკური მონაცემებია იდეალური. თუმცა მას ცუდს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. მრავალჯერ გასინჯვისას გაფანტვის წრეები საშუალოდ მერყეობს 70 – დან 100-მმ – მდე. აშკარად უკეთესი ბალისტიკის მოტანა შეუძლია კონკრეტულ შაშხანას, პატარა პატარა ლაფსუსები რომ გაითვალისწინონ მისმა მწარმოებლებმა. თუნდაც ის, რომ ლულისქვეშა კონდახი არ უნდა უშლიდეს ხელს ლულის თავისუფალ რხევას ასე ძალიან და ხვრელის დროულად გაციებას. თუმცა უამრავი სხვა მიზეზი არსებობს, რაც მას არა მარტო მისი ორიგინალი, სამხედრო ვერსიისაგან განასხვავებს, არამედ ზოგადად „კალაშნიკოვის“ უარყოფით მხარეებს ააშკარავებს. იგულისხმება რომ არც თავად ორიგინალი გამოირჩევა იდეალური ბალისტიკითა და განსაკუთრებული დამუშავების ხარისხით.

1999 წელს, „მოლოტის“ მიერ წარმოებული Vepr-ის ტესტირების საშუალება ბევრგან გახდა შესაძლებელი და შედეგიანადაც განხორციელდა. იარაღის ამოღებისა და აწყობისასვე შეიმჩნევა Saiga-გან განსხვავებით 3,7 კგ-ნი შაშხანის დამუშავების შედარებით მაღალი ხარისხი. ხშირ შემთხვევებში სერიულ რუსულ იარაღებს კონდახები უხეშად დამუშავებული და მერე ლაკით ან ძალიან უბრალო ხის ზეთით „მოთხუპნული“ აქვთ ხოლმე. ამ შემთხვევაში საქმე სულ სხვაგვარადაა. Vepr-ს თურქული (ზოგ შემთხვევაში რუსული) კაკლისაგან დამზადებული, მაღალი ხარისხი ზეთით, კარგად დამუშავებული კონდახი უყენია. მისი მეტალთან გადასვლები ბევრად უფრო პროპორციულად და ზოგადადაც ხარისხიანადაა შესრულებული, ვიდრე ეს მის კონკურენტი მოდელების შემთხვევაში გვხვდება. სინთეტიკური ვერსიის შემთხვევაშიც ნაკეთობა დამაკმაყოფილებელ ოდნავ უკეთესია. აგრეთე აღსანიშნავია რომ ჩვეულებრივ სერიულ ვერსიას მოყვება საწმენდი ჯოხი, მასზე გასაკეთებელი განსხვავებული თავები, გადასაკიდი სალტე, ზეთის კოლოფი და 3 განსხვავებული ტევადობის მჭიდი. სისტემას არაპრიალა, შავი, პოლიმერის სტილის დაფერილობა აქვს, რომელიც ფარავს არასწორი დამუშავების შედეგად დატოვებულ კვალს და გზას უადვილებს ხახუნის ძალას. იგივენაირადაა 550 სმ – ნი ლულაც მოპირკეთებული, რომელიც შიგნიდანაც საკმაოდ ხარისხიანადაა ქრომირებული ჟანგისა და კოროზიების საწინააღმდეგოდ. რუსებმა ამერიკელებს მიბაძეს და სასხლეტის დამცველი შაშხანას სისტემური ბუდის შუაში, სასხლეტის თავზე დაუყენეს. აგრეთვე საზრიანად და მოხერხებულადაა მჭიდის გამომღები ღილაკი გაკეთებული, რომელიც 90 გრადუსით იხსნება. იგი სასხლეტის ბუდის ბოლოზეა განთავსებული და Saiga – გან განსხვავებით მჭიდის გამოღებისას უსიამოვნო შეგრძნებას ნამდვილად არ იწვევს. თუმცა იწარმოება Vepr-ის შაშხანები, რომელთაც კონკურენტის მსგავსად აქვთ ზემოთხსენებული ღილაკი განთავსებული. ხელში აღებისას და დამიზნებისას აშკარად შეიმჩნევა ლულისქვეშა კონდახსა და ხელსაკიდზე გაკეთებული ხის სპეციფიკური ბოჭკოვანი დამუშავებები, რათა ხელი მჭიდროდ მოკიდოთ იარაღს.



კალაშნიკოვის ტიპის დაცველი



მოლოტის შაშხანე იწარმოება ამერიკულ M4-ის ტიპის შაშხანების მსგავსად 223 Remington-ის ყალიბზეც



მოლტის საკეცი კონდახზე განთასევებული ღილაკი



AK-47 ის ტიპიური ალმაქრი კომპენსატორი



AK-47-ის სისტემური კოლოფის მარცხენა მხარე

სინთეტიკური ვერსიის შემთხვევაში კი უფრო კომფორტულად ხდება იარაღის ხელში ჭერა, რამეთუ მთლიანი კონდახი სპეციალურად ისეთი მასალისაგანაა შემქნილი, რომელიც ხელში ნაკლებად სრიალებს და არ ზიანდება დავარდნის, ყინვის, სისველის ან სხვა, ამგვარი ექსტრემალური პირობების შემთხვევაში. გამოფენაზე წარმოდგენილ Vepr – 1V – E .233 Remington-ის ვაზნებს ისროდა და საკეცი კონდახით იყო აღჭურვილი, რომელსაც გარდა კონდახისა ძალზედ საინტერესო ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული. ის ამავდროულად წარმოდგენდა ერთგვარ დამცველს ნახევრადავტომატური შაშხანისა. სისტემური კოლოფის კედელზე განთავსებულ ღილაკზე თითის დაჭერით შესაძლებელი ხდებოდა ტაქტიკური ფორმის, მასიური სინთეტიკური კონდახის მარცხენა მხარეს გადაკეცვა. ამ მოქმედების განხორციელებისას ის ჯდებოდა მისთვის განკუთვნილ ჭრილში და მყარად იკეტებოდა. ამ ვითარებაში არსებული იარაღი, ანუ Vepr-ის კონკრეტული მოდელი, რომელსაც კონდახი აქვს დაკეცილი, ვერ განახორციელდება ცეცხლის წარმოებას და ვერც გადატენვას. კონდახის გახსნა ძალიან მარტივად ხდება. უკანა მხარეს, დამცველი ღილაკის ქვემოდ, კონდახის ყელში არსებულ ღილაკზე თითის დაჭერით იარაღი მოიხსნება დაცვიდან, კონდახი დაუბრუნდება საწყის პოზიციას და შესაბამისად განხორციელდება გასროლა.

გასინჯვისას – გასროლისას ცხადი გახდა, რომ ხის კონდახით დაკომპლექტებული შაშხანიდან, რუსული იარაღის მოყვარულთათვის მართლაც რომ დიდი სიამოვნება მოაქვს Vepr-ს. იგი ევროპული თანამედროვე იარაღების მსგავსად ძლიერი უკუცემის მაგივრად უბრალოდ გაწვება მხარზე და ბალისტიკაც სხვა დანარჩენ რუსულ კონკურენტებთან შედარებით, აშკარად უკეთესი აქვს. 100 მ დისტანციაზე სტანდარტული, ცივილური ტყვიების გამოყენებით, რომელთა წონა მერყეობდა 147 – დან 168 გრეინდმე, 5 გასროლის შედეგად მივიღეთ 50 მმ დაშორების – გაფანტვის წრეები.

თითქმის ყველა კომპანია, რომელიც ზემოთხსენებულ შაშხანებს აწარმოებს, წარმოდგენილი აქვს ხოლმე საკუთარი პროდუქცია იარაღების საერთაშორისო გამოფენებზე. იქნება ეს ევროპა, ამერიკის კონტინენტი თუ აზია. საგამოფენო პროფილი, რომელსაც ფირმები ირჩევენ ხოლმე არის არა მარტო სანადირო იარაღების, არამედ სამხედრო ან პოლიციის დანიშნულების-საბრძოლო განშტოება. სწორედ ასე იყო ბოლო წლებშიც. ზოგიერთ გამოფენაზე, თუ სურვილი გვქონდა ქვეყნებს შორის დაძაბული დამოკიდებულებების გამო, რუსულ კომპანიებთან გარკვეული საუბრებიც მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა ყველგან არის ხალხი, რომელიც ხვდება ჭეშმარიტებას და იცის მისი ფასი. შესაბამისად ანალოგიური კუთხით უნდა მიუდგე მსგავს პიროვნებებს და შეეცადო ჩამოაყალიბო, გაფუჭებული ძველის ფონზე ახალი, კარგი ურთიერთობა. ჩვენთვის ისედაც კარგად ნაცნობი იარაღების სისტემებზე და აგებულებაზე ბევრ კითხვას არასოდეს ვუსვამდით ქარხნის წარმომადგენლებს. თუმცა ყოველ წელს იგრძნობა რომ ისინი ითვალისწინებენ ევროპულ ხარისხს და ცდილობდენ თავადაც მსგავსი ან უფრო უკეთესის გაკეთებას. ზოგიერთ შემთხვევაში გამოსდით კიდეც. მაგრამ მთავარი მიზეზი, რატომაც მომხმარებლები ან დილერები მათ პროდუქციას ყიდულობენ, არის „კალაშნიკოვის“ სისტემის უნაკლო, შეუფერხებელი მუშაობა და ამავდროულად საგრძნობლად დაბალი ფასი. ყოველ ახალ გამოფენაზე, მცირედ, მაგრამ მაინც სახეშეცვლილ ახალ მოდელებს წააწყდებით. ბოლო წლებში გამართულ გამოფენებზე კი უკვე აშკარად დიდი არჩევანის წინაშე იდგა რუსული სისტემების მოყვარული მომხმარებელი თუ თავად დილერი.

მსგავს იარაღს AK-47-ის პრინციპზე არამარტო „იჟმაჟი“-სა და „მოლოტი“-ს ქარხნები აწარმოებენ, არამედ ბევრი სხვა კომპანიები, რომელთა ქარხნების განთავსების ადგილიც უკვე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაა და მათ უკვე დღევანდელი ევროპა ან სხვა არასაბჭოური ქვეყნები წარმოადგენენ. ყველაზე პოპულარული და გავრცელებული მოდელების რამოდენიმე ეგზემპლიარია ხოლმე ყოველ წელს საერთაშორისო იარაღების გამოფენებზე წარმოდგენილი.

რუმინეთის იარაღთმშენებელი ქარხანა, თავს იწონებს რამდენიმე განსხვავებული, ნახევრადავტომატური შაშხანებით. WUM-I ყალიბით 7,62x39 მმ, რომელიც დაახლოებით 850 ევროს ფასობს ამჟამად ევროპაში, 415 მმ ლულითაა აღჭურვილი. WUM-Sporter ყალიბით 7,62x39 მმ, რომელიც წინამორბედზე ოდნავ იაფია და დაახლოებით 800 ევრო ღირს, იმავე სიგრძის, 415 მმ ლულით არის აღჭურვილი. SLG-94 ყალიბით 7,62x39 მმ ანალოგიურად 800 ევროს ფაობს და 415 მმ ლულა უყენია.

შვარცენბერგში არსებული საქსონიის იარათმშენებელ ქარხანას ყოველთვის წარმოდგენილი აქვს Saxonia Hail, ყალიბით – 7,62x39 მმ. 4,4 კგ. ამ ნახევრადავტომატის ფასი დაახლოებით 950 ევროა. გერმანია, ყოფილი DDR – VFB (Geräte&Werkzeugbau Wiesa) – ქარხანა აწარმოებს Speger-ს ყალიბით 7,62x39 მმ. თითქმის 1200 ევროდ ღირებული თვითმტენი „რუსულ-ევროპული“ 3,7 კგ-ს იწონის და მისი ლულის სიგრძე 495 მმ-ია.

მოწესრიგებული ფინელები არაჩვეულებრივად ასრულებენ თავისზე დაკისრებულ მოვალეობას და



რუმინული CUGIR ის შაშხანები



ბულგარული ARSENAL-ის შაშხანები



აწარმოებენ Valmet petra -ს ყალიბით .223 Remington, .308 Winchester და Valmet Hunter M-88 ყალიბით .308 Winchester, 30-06 Sprg. მათი ამჟამინდელი ფასი ევროპაში 1000-დან 1200 ევრომდე მერყეობს.

ისრაელი როგორც ყოველთვის ცდილობს თავისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო იარაღთმშენებლობის ინდუსტრიაში და ყოველთვის ახორციელებს ამა თუ იმ მწაროებლის მსგავს, კონკურენტი მოდელების წარმოებას. „ისრაელის სამხედრო ინდუსტრია“ – IMI (Israel Military Industries) ნახევრადავტომატური მოდელი Hadar II შექმნა ყალიბით .308 Winchester. მისი ამჟამინდელი ფასი ევროპაში 900 – დან 1000 ევრომდე მერყეობს.

ბულგარეთში არსებული კომპანია „არსენალიც“ ახორციელებს AK-ს ნახევრადავტომატური, ცივილური მოდელების მასიურ წარმოებას. თუმცაღა ჩეხურისაგან და სერბულისაგან განსხვავებით ბულგარული ვერსიები ჩინური ნორინკოსა და რუმინული ნახევრადავტომატურის მსგავსად სტაბილური და ხანრგძლივი მუშაობით ნამდვილად ვერ გამოირჩევიან და განსაკუთრებით ექსტრემალურ პირობებში იჩენენ მათი ლაფსუსები თავს.

გერმანიაში და ავსტრიაში ძალზედ პოპულარულია აგრეთვე რუმინული CUGIR-ი. AK-47-ის ისტორია II მსოფლიო ომის შუა პერიოდისათვის დაიწყო. მანამდე რუსები იყენებდნენ სერგეი „გავრილოვიჩ“ სიმიონოვის ნახევრადავტომატურ შაშხანას – SKS (СКС) ყალიბით 7,62×39-მმ. აგრეთვე, როგორც უკვე აღვნიშნეთ ცეცხლსასროლ იარაღებს Schpagin PPSch 41-სა და Sudajew PPS 43-ს ყალიბით 7,62x25 Tokarew. მათი ზუსტი სროლის მანძილი მერყეობდა 100 – 200 მ-მდე. პირველი მცდელობა კი მსგავსი ტიპის თვითმტენის წარმოებისა გაკეთდა 1944 წელს ალექსეი ივანოვიჩ

კალაშნიკოვის სისტემის მიხედვით აგებული შაშხანების განსხვავებული მოდიფიკაციები

სუდაევის მიერ, რომელიც უარყოფილი იქნა იმდროინდელი მთავრობის მიერ. ხოლო მას შემდეგ რაც მიხეილ კალაშნიკოვი მივლინებაში იქნა გაგზავნილი 1941 წელს, საფუძვლიანად იწყო ზრუნვა იარაღების კონსტრუქტორის კარიერაზე, 1944 წელს უკვე მიაღწია იდეალურ შედეგს და დანარჩენ (ალბათ არა მარტო რუს) იარაღთმცოდნეებთან და კონსტრუქტორებთან მუშაობის შემდგომ წარადგინა AK-47-ის ორი ვერსია. ტესტირებისათვის მიწვეულები იქნენ ცნობილი პროფესიონალები, დეჟაროვი, სიმონოვი, შპაგინი და სხვები. გამოცდა მოხდა როგორც თეორული თვალსაზრისით, ასევე პრაკტიკულად ურთულეს პირობებში. იარაღმა ყველანაირი ტესტი სხვებზე უკეთ გაიარა და უკვე 1946 წელს ოფიციალურად შევიდა იმდროინდელი საბჭოთა კავშირის შეიარაღებაში ინიციალებით – Автомат Калашникова образца 47 – ან უბრალოდ AK-47, რომელსაც ოფიციალურად ავტომატური სროლის რეჟიმის ქონის გამო, არა შაშხანა, არამედ ტყვიამფრქვევი – ავტომატი ეწოდა. მისი გაზებითმტენი სისტემა უმარტივესი და ფუნქციონალურად გამართული იყო. გასროლისას გაზები გამოედინება ლულის ზედა მხარეს, მის შუა ადგილას განთავსებულ, სპეციალურად გაჭრილი გაზების მილებიდან, აწვება დგუშს, რომლის ბოლო მიმაგრებულია საკეტზე და წევს მას უკან. საკეტის უკან გაწევისას მასში მოთავსებული სისტემა მოდის მოქმედებაში რის შედეგადაც საკეტის მბრუნავი თავი იხსნება, ტრიალებს და მასრა გმოაქვს სავაზნე კოლოფიდან. გამოგდებისას კი კვლავ მოძრაობს წინ, მიაქვს მჭიდიდან ახალი ვაზნა სავაზნეში და უბრუნდება საცეცხლე, საწყის პოზიცის.



მიუხედავად ყველაფრისა კომპანიის სანადირო ვერსიების გაყიდვები წარმატებულად ხორციელდება და ყოველ წლიურად დიდი მოგების მომტანია როგორც მწარმოებლებისათვის, ისე ქვეყნისათვის. მათ მყიდველებს პირველ რიგში მენტალიტეტი ეხმარება, მენტალიტეტი რომელიც დანერგეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, ანუ „რუსული ყველაფერი არის კარგი და ხარისხიანი“. ზოგისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი კი ისაა, რომ მსოფლიო ბაზარზე Saiga-ს ფასი 500 ევროდან იწყება, მოდიფიკაციების მიხედვით. ამ ორ კომპონენტზე რა მოგახსენოთ მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი პირობაა ის რომ იარაღი მუშაობს ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე, ყველანაირ ექსტრემალურ პირობებში. დაშლისას კი არანაირი დამხმარე ხელსაწყო არაა საჭირო. შიშველი ხელებითაც ძალიან მარტივად და მალე ხდება მისი არასრული დაშლა. რა თქმა უნდა სამხედრო ვერსია, სანადიროზე შედარებით გამძლე და საიმედოაა.

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
Saiga	
ძაან იაფი და ხელმისაწვდომი ფასი	უხეში და ძნელად სამართავი ელემენტები
მოდელების დიდი არჩევანი	არამდგრადი, საშუალო ბალისტიკური შედეგები
სტაბილური მუშაობა	
იშლება ყოველგვარი ხელსაწყოს გარეშე	
Vepr	
ძაან იაფი და ხელმისაწვდომი ფასი	სასხლეტის მოითხოვს შეგუებას
დამუშავების კარგი ხარისხი	გადმოგდებულ ჰილზებზე შეიმჩნევა არასასურველი კვალი
კარგად დამუშავებული კონდახები	
კარგი ბალისტიკური მონაცემები	
სტაბილური მუშაობა	
იშლება ყოველგვარი ხელსაწყოს გარეშე	

.223 REMINGTON – 5,56×45 MM NATO

მიუხედავად იმისა რომ ამერიკელებმა შექმნეს 7,62 მმ იდეალური ყალიბი (.308 Winchester), პასუხიმგებელმა პირებმა კონკრეტულ საკითხებში აუცილებლად მიიჩნიეს ვაზნის გაახლება და მოდერნიზება. საკმარისი ძალის მქონე, შედარებით მცირე ყალიბი და ახალი, მოხერხებული და მსუბუქი შაშხანა – ტყვიამფრქვევი, ეს იყო მათი სურვილი. 1950 წელს ბაზარზე შემოსული 5,6×43 მმ – (.222 Remington) – ზედმეტად სუსტი იყო იმისათვის, რისთვისაც ეს ზემოთხსენებულ პიროვნებებს სურდათ. ამიტომაც 1964 წელს ამერიკაში გამოჩნდა ვაზნა 5,56×45 მმ – .223 Remignton, რომელიც 5,56 Ball Cartridge M-193-ის სახელით გაჟღერდა საზოგადოებაში. ცოტა მოგვიანებით სამხედრო ძალებმა სიახლე შეიტანეს ყალიბის მოდერნიზაციის პროცესში და ტყვია, ანუ ვაზნის თავი გააკეთეს 55 გრეინი – 3,56 გრ, რომლითაც საუკეთესო ბალისტიკურ შედეგებს იღებდნენ. დღესდღეობით ქვეყნები, რომლებიც ზემოთხსენებულ ვაზნას სამხედრო დანიშნულებისათვის იყენებენ, ხმარობენ მხოლოდ იმ მოდელებს, რომელთა ტყვიის წონა მერყეობს 62-დან 69 გრეინამდე – 4,0-დან 4,5 გრ-მდე. ანუ ამჟამინდელი ვერსია უფრო მძიმეა ვიდრე ეს მანამდე ამერიკელმა სამხედრო კონსტრუქტორებმა წარმოადგინეს. ამ განვითარების პროცესმა თავისი კვალი ცივილურ ბაზარზეც დატოვა. შედეგად დღემდე იწარმოება და მთელს მსოფლიოში გავრცელებულია შაშხანები .223 ყალიბით. ვაზნა გამოირჩევა განსაკუთრებული სიზუსტითა და შეიძლება ითქვას საკმარისზე მეტი ენერგიით. ყველაზე მარტივი შედარება რომ გავაკეთოთ, მაგალითისათვის მოვიყვანოთ 7,62×39 მმ ყალიბის ვაზნა, რომელსაც აქვს მხოლოდ და მხოლოდ 1900-დან 2000 ჯოულამდე სროლის შედეგად გამოყოფილი ენერგია, ხოლო საწყისი სიჩქარე 700 მ/წმ – ია. ეს მაშინ როდესაც მასზე ბევრად მცირე ზომის საწყისი სიჩქარე აქვს 1000 მ/წმ-ში, ხოლო ენერგია 1800-დან 1900 ჯოულამდე. გარკვეული პრობლემები წარმოიშვა 60-იან წლებში, გასროლის შედეგად მიყენებული ჭრილობები ეწინააღმდეგებოდა ჟენევის კონვენციას და აპირებდნენ ვაზნის საერთოდ აკრძალვას ან სხვაგვარ, მსგავსი ტიპის ოპერაციის გატარებას, რაც გაურკვეველი მიზეზების გამო არ განხორციელდა. აგრეთვე აღსანიშნავია რომ განვითარდა და სტანდარტებში ჩაჯდა ის მოთხოვნები და პირობები, რომლებსაც ესა თუ ის საერთაშორისაო ორგანიზაციები და გაერთიანებები მოითხოვდნენ.

ზოგადი მონაცემები:	**.223 Remington**
მწარმოებელი:	SAKO, Finnland
მოდელი:	.233 Remington Racehead
ჯყალიბი:	5,56×45 მმ
ჰილზის ფორმა:	კონუსური, ბოთლისებრი ყელით
ზომები:	
ჰილზის მხარის დიამტერი:	9,00 მმ
ჰილზის ყელის დიამტერი:	6,43 მმ
ტყვიის დიამტერი:	223 ინჩი – 5,56 მმ
ვაზნის ძირის დიამტერი:	9,60 მმ
ჰილზის სიგრძე:	44,70 მმ
ტექნიკური მონაცემები:	
ტყვიის წონა:	4,5 გრ. – 69 გრეინი.
საწყისი სიჩქარე: (V0):	865 მ/წმ.
სიჩქარე 100 მეტრზე: (V100)	765 მ/წმ.
სიჩქარე 200 მეტრზე: (V200)	671 მ/წმ.
სიჩქარე 300 მეტრზე: (V300)	588 მ/წმ.
გასროლის შედეგად გამოყ. ენერგია: (E0)	1673 ჯოული
ენერგია 100 მეტრზე: (E100)	1307 ჯოული
ენერგია 200 მეტრზე: (E200)	1008 ჯოული
ენერგია 300 მეტრზე: (E300)	772 ჯოული
ბალისტიკური კოეფიციენტი: (BC1)	0.356
ტრაექტორია: (სმ)	
50 მტერზე:	0,8
100 მეტრზე:	2,5
150 მეტრზე:	0
200 მეტრზე:	.- 7,4
250 მეტრზე:	.- 20,2
300 მეტრზე:	.- 38,8

ამჟამად 5,56×45 მმ კალიბრს უკვე ძალიან ბევრი ქვეყნის არმია იყენებს. ამასთანავე ვაზნა გამოიყენება ცივილურ ბაზარზე სანადირო და სპორტული სროლისათვის და მისი გაყიდვების ციკლი თუ ისე გაგრძელდა, როგორც ეს ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა, ალბათ მალე ის მსოფლიოში ყველაზე გაყიდვადი ვაზნა გახდება. ყველაზე მეტად კი ზემოთხსენებულ ყალიბზე კონსტუქტორები M-4 ს, M-5-სა და მსგავსი ტიპის ნახევრადავტომატურ თუ ავტომატურ შაშხანებს ამზადებენ.





OBERLAND ARMS OA-15-SABRE DEFENCE XR 15V

გერმანელები და ინგლისელები საუკეთესოები არიან საუკეთესოთა შორის, ისე როგორც M-4-ისა და M-16-ის ტიპის მოდელების დამზადებაშიც, ასევე სხვა მრავალი იარაღის წარმოებაში. აღსანიშნავია რომ 2004 წლამდე გერმანიაში, ბრიტანეთისაგან განსხვავებით, აკრძალული იყო ნახევრადავტომატური შაშხანების .223 Remington-ის ყალიბით წარმოებაც და იმპორტიც. შესაბამისად მხოლოდ 2004 წლის შემდგომ დაიწყო ამ ყალიბით მსგავსი მოდელების პროდუცირება. თუმცა გერმანელების სასარგებლოდ უნდა ითქვას რომ ამ მცირე ხანში მათ მოახერხეს გამოცდილების წყალობით ბევრად უფრო ხარისხიანი, საიმედო და ბალისტიკური თვალსაზრისით უფრო უკეთესი შაშხანების დამზადება ვიდრე ამას ამერიკული გრანდები აკეთებდნენ ან ამჟამად აკეთებენ. 1957-1958 წლებში მოხდა აღნიშნული ტიპის იარაღის აგება თავდაპირველად M-16-ისა და AR-10 -ს ბაზაზე, რომელიც 7,62 მმ – იან ყალიბზე იწარმოებოდა. აღსანიშნავია რომ კადენცი ამ იარაღისა გახლდათ 800 ვაზნის გასროლა წუთში, რა თქმა უნდა მხოლოდ სრულ ავტომატურ ვერსიაზე, რაც იმ დროისათვის იდეალურ შედეგს წარმოადგენდა. დღესდღეობით კომპანიები და მწარმოებლები ალბათ ზედმეტად ჩქარა ანვითარებენ და ხვეწენ თითოეულ კომპონენტს. შესაბამისად უკვე შესაძლებელია იარაღზე ყალიბის შეცვლა, ანუ ლულისა და საჭიროების შემთხვევაში საკეტის გამოცვლაც. ოფტო-ელექტრონული სამიზნეების დამაგრება. ლაზერული სამიზნისა და ფანრის დამაგრება, კონდახისა და ლულისქვეშა კონდახის ვერსიების შეცვლა...

ვინაიდან ორივე მწარმოებელს გააჩნია მოდელები გასნხვავებული ყალიბით (.308 Winchester, 9 mm Para...), მათი სრულად განხილვა ბევრის მომცველია და ძალიან შორს წაგვიყვანს. წარმოგიდგენთ ორ მათგანს ერთმანეთთან მიახლოებული მონაცემებითა და .223 Remington-ის ყალიბით.

სტანდარტული, დაახლოებით 1700 ევროდ ღირებული OA-15-ის განსხვავებული ვერსიების გასინჯვა და გასროლა ავსტრიაში განხორციელდა. ძირითად, „ტესტ-იარაღად“ არჩეულ იქნა 980 მმ-იანი, 4,2 კგ-ნი



Oberland Arms OA-15



მწარმოებელი:	Oberland Arms
მოდელი:	OA-15
წარმოშობის ქვეყანა:	გერმანია
ყალიბი:	.223 Remington
სისტემა:	გაზებით მტენი სისტემა
მჭიდის ტევადობა:	5+1; 10+1; 30+1
ლულის სიგრძე: (მმ)	368 – 406 – 457 – 508 – 609.
მთლიანი სიგრძე: (მმ)	880 – 900 – 950 – 980.
ხრახნის სიგრძე/რაოდენობა:(მმ)	178 – 203 / 6
ხრახნის მიმართულება:	მარცხნიდან მარჯვნივ
წონა: (გრ.)	4 – 4,2 – 4,35 – 5.
მიახლოებითი ფასი: (€)	1700,-

მოდელი. ფირმის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ შაშხანის ლულა დამზადებულია თანამედროვე, როგორც გერმანელ მწარმოებელს ეკადრება, ცივად ჭედვის მეთოდით, და არა მოძველებულ პრინციპებზე დაყრდნობით. აღნიშნული, ახალი, ცივად წრთობის პრინციპი აშკარად სჯობს ზემოთხსენებულ ძველ მეთოდიკას, როგორც ბალისტიკური თვალსაზრისით, ასევე სტრუქტურული აგებულებითა და რესურსით.

ეგრეთწოდებული „პირის ღრუს“, იგივე სანათურის სიგრძე შეადგენს 23-24 მმ-ს. ანუ ესაა ლულის იმ მონაკვეთის ზომა, რომელიც მასზე მიმაგრებული გაზების მილის მერე იწყება. სწორედ იქ ხდება ყველაზე მეტი გაზების დაგროვება და შემდგომ ჭარბი გაზების ლულის პირის ღრუდან გამოდინება.

სისტემური კოლოფის ზედაპირის დათვალიერებისას აშკარად შეიმნევა CNC-მანქანების კვალი, რაც გამოიხატება ზედაპირის უნაკლოდ დამუშავებაში. დამცველზე მიმთითებელი წარწერები, რომელიც განაპირობებს საცეცხლე პოზიციასა და დაცვაზე ყოფნას Heckler&Koch-ის მსგასვადაა გაკეთებული. ანალოგიური, ბრწყინვალე დამუშავება აღინიშნება აგრეთვე სისტემური კოლოფის შიდა ზედაპირზე, სასხლეტ მექანიზმზე.

საკეტის თავზე გაკეთებული ტალღისებრი, პარალელური, 7 წახნაგიანი თავი უნაკლოდ ასრულებს გახსნადაკეტვის პროცედურას და ხელს უწყობს მექანიზმის დაუბრკოლებელ მუშაობას ნებისმიერ ექსტრემალურ პირობებში. სატესტო სროლისათვის იარაღზე დავაყენეთ ოპტიკური სამიზნე Carl-Zeiss Diavari VM/V 5-15×42, რომლის დამაგრებისათვისაც საჭირო გახდა ღია სამიზნე-



Sabre Defence XR15



მწარმოებელი:	Sabre Defence
მოდელი:	XR 15
წარმოშობის ქვეყანა:	დიდი ბრიტანეთი
ყალიბი:	.223 Remington
სისტემა:	გაზებით მტენი სისტემა
მჭიდის ტევადობა:	5+1; 10+1; 30+1
ლულის სიგრძე: (მმ)	508; 608;
მთლიანი სიგრძე: (მმ)	980, 1080;
ხრახნის სიგრძე/რაოდენობა: (მმ)	203 / 6
ხრახნის მიმართულება:	მარცხნიდან მარჯვნივ
წონა: (გრ.)	3,4
მიახლოებითი ფასი: (€)	1850,-



Oberland Arms OA-15 ის ნახვისას ავტრიიდან დაბრუნებულები დავრწმუნდით გემრნული შაშხანა აშკარად ბევრი კრიტერიუმით წინ დგას ამერიკაში წარმოებულ შაშხანებთან შედარებით

სახელურის მოხსნა და პიკატინის ხიდზე ოპტიკის დაყენების შემდეგ მისი ზემოდან დაფიქსირება. თავდაპირველად განხორციელდა მჭიდის გავსება და სწრაფი სროლით დაცლა, რაც OA-15 – მა არაჩვეულებრივად შეასრულა. სასხლეტს დაახლოებით 2500 გრ ზეწოლა სჭირდება რათა იწარმოოს ცეცხლი. ბიჯი კი 1,5 მმ აქვს. ბალისტიკური მაჩვენებლები მართლაც რომ შთამბეჭდავი მივიღეთ და გაფანტვის წრეები 100 მ დისტანციაზე თითქმის „ნულ“ შედეგს უტოლდებოდა. თუმცა ლეგენდარული, გერმანული Carl-Zeiss-ის მიერ წარმოებული ოპტიკითა და თანამემამულე Oberland Arms-ის მიერ ნაწრთობი ლულებით სხვა შედეგს არც უნდა ელოდოს კაცი.

შემდგომ მოხდა 1850 ევროდ ღირებული Sabre Defence-ის მოდელის, XR-15 გასინჯვა. იარაღების შედარებისას რთულია ერთის შეხედვით გაარჩიო დამუშავების ხარისხი და ზედაპირის მოპირკეთება რომელ შაშხანას უფრო კარგი აქვს. მაგრამ კარგად თუ დავაკვირდებით მაინც შევამჩნევთ ზედმეტად დახვეწილ ნაკეთობას, ბრიტანულ ხელსა და ელეგანტურობას. აი საკითხავია გარკვეული პერიოდისა და კრიტიკული პირობების გასვლის შედგომ რომელი უფრო შეინარჩუნებს პირვანდელ სახესა და მიმზიდველობას.

შაშხანის სასხლეტზეც იგრძნობა ნაკეთობის უნაკლოდ შესრულება, რომელსაც 1900 გრ ზეწოლა ესაჭიროება ცეცხლის საწარმოებლად. ხოლო ბიჯი-სასხლეტის მოძრაობის მანძილი გერმანულზე 0,8-მმ-ით მოკლე, 0,7 მმ აქვს. ოპტიკური სამიზნე XR-15 – ც იგივე გამოვიყენეთ, რაც გერმანულ შაშხანას ეყენა. უნდა ითქვას რომ ბალისტიკური შედეგები მრავალჯერ გასინჯვის მიუხედავად Sabre Defence-ს მცირედ, მაგრამ მაინც უფრო არაზუსტი ჰქონდა OA-15 – გან განსხვავებით. 100 მ დისტანციაზე თავდაპირველად გასროლა მოხდა IMI-ს წარმოების ვაზნებით და გაფანტვის წრეები დაახლოებით 20მმ-ს უტოლდებოდნენ. შემდგომ გამოყენებულ იქნა იაფიანი GP-90 ვაზნები. მისი გასროლის შემთხვევაში გაფანტვის წრეთაშორისი დაშორება მერყეობდა 22 – დან 25 მმ – მდე. ყველაზე კარგად კი იარაღი PMC-ს Sierra Game King ვაზნებზე მუშაობდა და ზუსტადაც ისროდა. გაფანტვის წრეები ერთ-ერთი ბალისტიკური ფურცელის ნახვისას მერყეობდა 20 – დან 23 მმ – მდე.



OA15 ის სისტემური კოლფოსი მარცხენა მხარე

აღნიშნული ტიპის იარაღების განხილვისას უცილებლად უნდა გავიხსენოთ იარაღის წარმოშობის ისტორია. მისი შემქმნელია Eugene Morrison Stoner, დაბადებული 1922 წლის 22 ნოემბერს, ადამიანი, რომლის სახელთან ასოცირდება

იარაღი სახელწოდებით – M-16. მან

დიდი როლი ითამაშა ამერიკის შეერთებული შტატების, მე-20 საუკუნეში არსებული იარაღთმშენებლობის განვითარებაში. სტოუნერმა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ მუშაობა დაიწყო კომპანია ArmaLite-ის განყოფილებაში სახელწოდებით – ჴAirchild Engine&Airplane Corporation. იქ მუშაობისას სტოუნერმა შექმნა რამოდენიმე მოდელის პროტოტიპი, რომელთაგანაც ამერიკის საჰარეო ძალებმა მხოლოდ ერთი, AR-7 მიიღეს შეიარაღებაში. 1955-1956 წლებში მან მუშაობა დაასრულა ლეგენდარულ AR-10 – ზე, ყალიბით 7,62x51 მმ (.308 Winchester). ხოლო ცოტა მოგვიანებით სტოუნერის კონსტრუქტორებმა Robert Fremont – მა და Jim Sullivan – მა ააგეს ახალი, განსხვავებული ყალიბით, შედარებით უფრო მსუბუქი და გარკვეულწილად გაუმჯობესებული მოდელი AR-15, რომლის სამხედრო ვერსიასაც შტატების არმიამ M-16 უწოდა. მისი ყალიბი იყო დღეს უკვე ყველასათვის ცნობილი 5,56x45 მმ (.223 Remington). 1961 წელს ლეგენდარულმე კონსტრუქტორმა მუშაობა დაიწყო Colt-ის კომპანიაში, სადაც უკვე მოხდა ახალი M-4-ისა და M-5-ის ტიპის იარაღების წარმოება, განვითარება და დახვეწა.

გერმანული და ინგლისური მოდელების საკეტისა და სასხლეტი მქანიზმების აგებულება, სტრუქტურა და მუშაობის პრინციპი რა თქმა უნდა ერთნაირია თუ არ ჩავთვლით პატარ-პატარა განსხვავებებს. იარაღს გაზების სისტემაში შემშვები ხვრელები საკმაოდ წინ აქვს განთავსებული. ლულის სიგრძის მიხედვით, ლულის წინა მესამედში ან ლულის წინა მეოთხედში. ხვრელებში გასული გაზები მიემართებიან საკეტის მიმართულებით და გადიან საკმაოდ ვრცელ გზას გაზების მილში, რომელიც პრაქტიკულად საკეტის მამოძრავებელთან, სისტემურ კოლოფში მთავრდება. იქ კი ხდება საკეტის მამოძრავებელთან შეჯახება და მიმდინარეობს გადატენვის პროცედურა. სწორედ ეს გახდა ბოლო წლებში მთავარი პრობლემა და დასამუშავებელი პრინციპი. ამისათვის თავად მწარმოებლებმაც და ამავდროულად სხვა კომპანიებმაც დაიწყეს სპეციალური, ზუმბისებრი დეტალის შექმნა, რომელიც ეხმარებოდა იარაღს ბევრად უფრო სწარაფად და შეფერხების გარეშე განეხორციელებინა გადატენვის პროცესი.

გაზების გამომშვები მილის დასაწყისში, ანუ ლულის წინა მესამედში სროლის შედეგად გამოყოფილი აირები ეჯახებიან მათთვის განკუთვნილ ხვრელში არსებულ



მიხეილ კალაშნიკოვის M16-ით ხელში და ეუგენე სტოუნერი AK-47 ით ხელშ

ზუმბას, რომელიც უკვე თავისთავად, ამის შემდგომ ეჯახება საკეტს. ამით გაზები ბევრად უფრო ცოტა მანძილს გადიან და ნაკლებ სიჩქარესა და ენერგიას კარგავენ და ამავდროულად მილიც ნაკლებად ბინძურდება. შემდგომ უკვე როგორც წესი ბრუნავს საკეტის თავიც, ხდება ექსტრაქცია, ანუ ჰილზის ამოგდება და საკეტი მექანიზმის წინ წასვლისას, ანუ საწყის პოზიციაში დაბრუნებისას ვაზნის მჭიდიდან სავაზნე კოლოფში განთავსება. აღსანიშნავია რომ ინგლისელებმა ბოლო წლებში ინტენსიური მუშაობის შედეგად ზემოდხსენებული პრინციპით გააუმჯობესეს გაზების სისტემა და ლულის თავზე არსებული ხვრელების შემდეგ სულ რაღაც 5მმ-ის გავლაც არ უხდება გაზებს, როდესაც ეჯახება უკვე დგუშს. ის კი მიმაგრებულია გრძელი მეტალის ჯოხზე, რომელიც ზამბარებითაა აღჭურვილი. შესაბამისად ის თა-



M4-ისათვის მოდერნიზებული ზუმბა



Sabre Defence-ის საგამოფენო კომპლექსში წარმოდგენილი შაშხანები



Oberland Arms-ის ტაქტიკური შაშხანები

ვად ეჯახება საკეტის მამოძრავებელს და ახდენს მის მოქმედებაში მოყვანას. ამ თეორიით გაიზარდა საიმედოობის პროცენტული მაჩვენებელი და გამოირიცხა ვაზნის ექსტრემალურ პირობებში – წყალსა და ყინვაში გაჭედვის, ან არგადატენვის ალბათობა. აღსანიშნავია რომ Sabre Defence-ის წარმომადგენლებთან შეხვედრისას საუბრის დასაწყისში, როდესაც განუმარტეთ თუ რომელი ქვეყნიდან ვიყავით, კურიოზული ამბავი გაიხსენეს. ისტორია რომელმაც მათ ბიზნესს დიდი მოგება მოუტანა, აი ჩვენს ქვეყანას კი დიდი ტკივილი. ინგლისელები და განსაკუთრებით ჩვენი მასპინძელი კომპანია საკმაოდ კარგად ყიდის საკუთარ პროდუქციას ამერიკის ბაზარზე და შესაბამისად ჯორჯიას შტატშიც. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, იმდენი გადაცემა და საგანგაშო რეპორტაჟები გადიოდა ტელევიზიით, რომ სანამ ამ შტატის მოსახლეობა დაწვრილებით გაიგებდა მოვლენების განვითარების ჭეშმარიტებას, Sabre Defence – მა თავისი პროდუქციის დიდი ნაწილი გაყიდა. ფაქტიურად იმდენი, რაც მთელი წლის მარაგი იყო ჯორჯიას შტატის ბაზრისათვის და ამას დაემატა კიდევ ახალი შეკვეთები, რომელიც ინგლისურმა ფირმამ იმავე თვეში მიიღო ამერიკელი დილერებისაგან.

საერთოდ ამ ორი შესანიშნავი იარაღის შეძენისას პირველ რიგში პირადი შეხედულებებით უნდა იმოქმედოს მსურველმა, რადგანაც ორივე შემთხვევაში შესანიშნავ არჩევანს გააკეთებს. ალბათ ვისაც უფრო ორიგინალურობისაკენ გაურბის გული და სიამაყით უყურებს იმ ფაქტს, რომ იარაღი ბრიტანეთში, თავად „არისტოკრატთა“ ქვეყანაში, ინგლისში არის დამზადებული, Sabre Defence – ზე გააკეთებს არჩევანს, ხოლო ვისაც გერმანული ხარისხი და ამასთანავე ტექნოლოგიების წინსვლა უფრო იზიდავს, ის ალბათ მაინც Oberland Arms-ს აირჩევს.



მარცხნიდან: ა. ფარადაშვილი, მ. ფრიჩი

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
OBERLNAD ARMS-OA-15	
დეალური ბალისტიკური მაჩვენებლები	მაღალი ფასი
დამუშავების უმაღალი ხარისხი	
მოქნილობა და პრაქტიკულობა	
შეუფერხებელი, სტაბილური მუშაობა ნებისმიერ ექსტრემალურ პირობებში.	
SABRE DEFENCE-XR-15	
იდეალური ბალისტიკური მაჩვენებლები	მაღალი ფასი
დამუშავების უმაღალი ხარისხი	
მოქნილობა და პრაქტიკულობა	
შეუფერხებელი, სტაბილური მუშაობა ნებისმიერ ექსტრემალურ პირობებში	
იშლება ყოველგვარი ხელსაწყოს გარეშე	

„WALTHER“-ის მიერ წარმოებული COLT – HECKLER&KOCH – IWI

ტექნიკური მონაცემები:	Colt – M4	Colt – M4 OPS	Colt – M4 CQB	Colt – M16	Colt – M16 SPR
მწარმოებელი:	Carl-Walther GMBH				
წარმოშობის ქვეყანა:	ამერიკა – გერმანია				
სისტემა:	თვითმტენი, ნახევრადავტომატური				
ყალიბი:	5,6 მმ – 22 l.r.				
მჭიდის ტევადობა:	.10 – 20 – 30				
სასხლეტზე ზემოქ. ძალა: (გრ.)	მიახლ. 4000				
ლულის სიგრძე: (მმ.)	412	412	217	539	539
წონა მჭიდის გარეშე: (კგ.)	2,7	2,95	2,47	3,1	2,8
ცარიელი მჭიდის წონა (გრ.)	180 / 227				
მთლიანი სიგრძე: (მმ.)	876	876	685	1011	1011
სიმაღლე: (მმ.)	231				
სიგანე: (მმ.)	67				
ხრახნის სიგრძე: (მმ.)	350				
ხრახნის ჭრილის რაოდენობა:	6				
მიახლოებითი ფასი: EU	580	680	680	580	680

ამჟამად Colt-ის ბრენდი მჭიდრო კავშირშია გერმანულ Carl-Walther GMBH – თან. სწორედ გერმანელები უმზადებენ მას AR-15-ის ტიპის მცირეკალიბრიან (5,6-მმ-იან) შაშხანებს. უკვე 2010 წლიდან გამოფენებზეც გაიტანეს ულმელმა მეიარაღეებმა ამერიკული ბრენდის სახელით წარმოებული პროდუქცია. მათ კარგად გასაცნობად შ.პ.ს. „ქარავანი+“-ის სახელით ჩვენს Carl-Walther GMBH -ის ოფიციალურ პარტნიორებს შევხვდით. მოლაპარაკებებთან ერთად დავინტერესდით ზემოთხსენებული პროდუქციით და საბენდიეროდ ამომწურავი ინფორმაციაც



Colt M4-ის პრაქტიკულობა ხელში აშკარად იგრძნობ



აგრეთვე აქტიურია ვაზნის მიმწოლი სისტემა, რაც 5,6 მმ ყალიბის შემთხვევაში შესაძლოა უფრო ხშირად დაგვჭირდეს



მცირე ყალიბის მიუხედავად მჭიდი მსხვილკალიბრიანი M4-ვით გამოიყურება



ასევე მსხვილკალიბრიანი M4 ვით გამოიყურება გადამტენი ბერკეტი, რომელიც ზოგ ამერიკულ მცირეკალიბრიან საშხანაზე საერთოდ უფუნქციოა



მივიღეთ არა მარტო მათ შესახებ, არამედ „ვალტერის“ მიერ წარმოებული მსგავსი ტიპის ყველა შაშხანაზე. 2011 წლიდან გერმანელებმა ოფიციალურად შეიძინეს დამზადების ლიცენზიები ისრაელის IWI – გან, რომელიც UZI-ის ტიპის იარაღებს ამზადებს, გერმანული Heckler&Koch – გან და ამერიკული Colt – გან. შესაბამისად მოგვეცა შესაძლებლობა გაგვეკეთებინა მათი თეორიული აღწერილობა და შედარება. ამავდროულად ასპარეზში ჩავრთეთ იმავე გერმანიის მიერ წარმოებული და ნახევრად ავსტრიაში გადაბერგებული, კომპანია ISSC-ს ძმობილი GSG – German Sport-Guns-ის მცირეკალიბრიანი იარაღები.

პირველ რიგში შემოგთავაზებთ ამერიკული „Colt „-ის სახელით წარმოებულ მცირეკალიბრიან გერმანულ



Walther-ის მიერ შექმნილი Colt სტანდარტული M4 ვით იხსნება შუაზე



Colt M4 OPS დამატებითი კომპლექტაციით





შაშხანებს. ისინი ძირითადათ სამი განსხვავებული მოდიფიკაციით იწარმოება. თუმცა დამატებითი აქსესუარების – ოფტოელექტრონული სამიზნე მონყობილობების გამოყენების შედეგად შესაძლებელია თითოეული მათგანის ვიზუალური მხარის – მოდიფიკაციის შეცვლა.

M4-სა და M16-ის ტიპის გერმანულ-ამერიკული მცირეკალიბრიანი შაშხანების სისტემური კოლოფი სრულად მყარი ალუმინის მასალიგანაა აგებული. თუმცა 22 L.r.-ის 5,6 მმ-ნი ვაზნისათვის სრულიად საკმარისია სიმყარისა თუ რესურსის თვალსაზრისით ამგვარი მასალის გამოყენება. იაფიც ჯდება და შედარებით მსუბუქიცაა.

იარაღს მჭიდის დამჭერი – გამომღები ღილაკი ფაქტიურად ორივე მხარეს აქვს განთავსებული. თუმცა მასზე ზემოქმედება მარჯვენა მხრიდან უფრო მიზანშეწონილია. საკეტის დამშვები ღილაკი, როგორც მას სტანდარტულ M4 – ზე არსებობის შემთხვევაში უწოდებენ, ფაქტიურად უმოქმედოა და მხოლოდ ვიზუალური დატვირთვა აქვს. გადეტენვის პროცედურა ჩვეულებრივი მსხვილკალიბრიანი შაშხანებივით ხორციელდება. ორი თითის მოკიდებით საკეტის უკანა მექანიკურ მამოძრავებელს – ბერკეტს ვწევთ უკუმიმართულებით და ვუშვებთ ხელს. შესაბამისად ვაზნა მჭიდიდან მიდის ლულაში-სავაზნეში. სინთეტიკური მასალის ლულისგარე კონდახების, იგივე ტიბჟირების შეცვლა სურვილის შემთხვევაში მარტივადაა შესაძლებელი. გარდა იმისა რომ მზადდება სტანდარტული, ყველასათვის კარგად ცნობილი კონუსური ფორმის ტიბჟირები, რომელზეც მხოლოდ ხელის კარგად მოკიდებაა შესაძლებელი. ხდება აღნიშნული დეტალების ფოლადის, ოთხმაგი პიკატინის ტიპის ხიდით აღჭურვილი ვერსიების დამზადებაც. მათზე სხვადასხვა ოფტოელექტრონული მოწყობილობისა თუ ფანრის დაყენებაა შესაძლებელი. მათი არდამაგრების შემთხვევაში ტიბჟირს დამატებით მოყვება ოთხი მომრგვალებური ფორმის ფირფიტა, რომლის დამონტაჟებისას მასზე ხელის მჭიდროდ და კომფორტულად მოკიდებაა შესაძლებელი.

დამხმარე ვაზნის მიმწოლი/ჩამსმელი ჩვეულებრივი მსხვილკალიბრიანი M4 – ვით მოქმედია და კრიტიკულ პირობებში მისი გამოყენება აუცილებელი ხდება ხოლმე. ზემოთხსენებული არასასურველი გარემოება კი მცირეკალიბრიანი – 22 l.r.-ის შემთხვევებში უფრო შეიძლება შეიქმნას, ვიდრე .233 Remington -ის სროლისას. გასროლილი ჰილზის ამომგდები ფანჯარა



H&K – 416 D145RS კალ. 5,6მმ



H&K – 416 PISTOL კალ.5,6მმ

ტექნიკური მონაცემები:	H&K – 416 D145RS	H&K – 416 PISTOL
მწარმოებელი:	UMAREX GMBH (USA)	
წარმოშობის ქვეყანა:	ამერიკა – ავსტრია	
სისტემა:	თვითმტენი, ნახევრადავტომატური – Blowback	
ყალიბი:	5,6 მმ – 22 l.r.	
მჭიდის ტევადობა:	10 ან 20	
სასხლეტზე ზემოქ. ძალა: (გრ.)	მიახლ. 3000 – 4500	
სასხლეტის ტიპი:	ცალ საფეხურიანი	
ლულის სიგრძე: (სმ.)	40	21.5
წონა მჭიდის გარეშე: (კგ.)	3,00	2,2
ცარიელი მჭიდის წონა (გრ.)	192	
მთლიანი სიგრძე: (სმ.)	83 – 90	44,5
სიმაღლე მჭიდის გარეშე: (სმ.)	28	
სიგანე: (სმ.)	7	
ხრახნის სიგრძე: (მმ.)	350	
ხრახნის რაოდენობა:	6	
კონდახი:	ტელესკოპური, რეგულირებადი	
მიახლოებითი ფასი: EU	950	900

სპეციალური ხუფითაა აღჭურვილი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იხურება და იცავს მექანიზმს დაბინძურებისაგან. გადატენვის შემხთვევაში კი თუ მექანიკურად არ მოხდა მისი მანამდე გაღება, ის თავად იხსნება. უნდა აღინიშნოს რომ იარაღი შიგნიდანაც და გარედანაც არაჩვეულებრივადაა დამუშავებული. აშკარად ჩანს რომ მის დამზადებაში მოწესრიგებული გერმანელების ხელი ურევია.

M4 სტანდარტულად იხსნება, სწორედ ისე როგორც ის ოდესღაც მისმა კონსტრუქტორმა დააპროექტა. სისტემური კოლოფის კედელში, ტარის მაღლა განთავსებულია ფოლადის ჩხირი, რომელიც გაყრილია როგორც თავად სისტემურ კოლოფში, ისე ბუდეში არსებულ სპეციალურ რგოლში და შესაბამისად წარმოადგენს დამშლელ – დამჭერ ჩხირს. მისი გამოძრობა გამოცდილ ჯარისკაცს ან უბრალოდ პროფესიონალ მეიარაღეს თუ მონადირეს, ყოველგვარი დამატებითი აქსესუარების გარეშეც არ უჭირს. მარჯვენა მხრიდან არსებულ ცხვირის მიწოლით მარცხენა მხარეს ჩხირის ხელმოსაჭიდი ზედაპირი გამოჩნდება. შემდგომ ხელს მოვკიდებთ მარცხენა მხარეს და მოვაძრობთ აღნიშნულ ფოლადის ცილინდრულ დეტალს. შედეგად ზედა სისტემური კოლოფი მოსცილდება ქვედას და იარაღი გაიხსნება შუაზე. ამ მდგომარეობაში ძალზედ იოლია როგორც სისტემის, ისე ლულის სრული გაწმენდა.

არასრულად დაშლისას ან აწყობისას M4-ს ძალიან ცოტა დრო სჭირდება და ბევრად უფრო იოლად და სწრაფად ხორციელდება, ვიდრე ეს თუნდაც მისი ძმობილი Heckler&Koch MP5-ის შემთხვევაშია. განსაკუთრებულად დიდ დროს მოითხოვს GSG – 5-ის დაშლა და სისტემის გაწმენდა. ეს კი „კოლტისათვის“ გარკვეული დადებითი მახასიათებელია, რომლის გამოც ხშირად მასზე აკეთებენ არჩევანს მყიდველები.

რაც შეეხება ოპტიკურ სამიზნე მოწყობილობას, კომპანია „ვალტერი“ თავად გვთავაზობს იარაღებზე მათ მიერვე წარმოებულ პროდუქციას, რომელიც ჩვეულ სტილში სისტემური კოლოფის თავზე განთავსებულ პიკატინის ხიდზე მაგრდება. ისინი ხარისხით აშკარად სჯობს სხვადასხვა მსგავსი ღირებულების ოპტიკებს. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ



პიკატინის ტიპის სამიზნის ხიდი



H&K – 416 PISTOL პრაქტიკულად გამოიყურებოდა გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე

მწარმოებელი მათ იარაღების მსგასვად გერმანიაში ამზადებს და ფასიც ევროპაში დამზადებულ სამიზნე მოწყობილობებთან შედარებით დაბალია ხოლო ხარისხი თითქმის ანალოგიური. ამიტომაც საცდელი ვერსიისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვემაგრებინა გერმანული, თითქმის ნახევარსაუკონოვანი გამოცდილების მქონე კომპანია Bauer-ის მიერ წარმოებული მოდელი BAUER 2,5 – 10 x 50 SL. ოპტიკა სვაროვსკის ტიპის შიდა წერტილოვანი განათებით იწარმოება. სასროლად კი ავირჩიეთ ამჟამინდელ ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი კომპანიის CCI-ის მიერ წარმოებული ყველაზე ჩქარი და მეტი ენერგიის მომცემი ვაზნები Stinger. აღნიშნული ამუნიციის გასროლა მოხდა არა მარტოს Colt-ის იარაღებით, არამედ ზემოთხსენებული ყველა დანარჩენი მცირეკალიბრიანი შაშხანებითაც. უნდა აღინიშნოს რომ ტყვიისა და იარაღის (M4) ურთიერთ შესაბამისობამ უდეალური შედეგები აჩვენა, რომელსაც ამგვარი ყალიბით ნამდვილად არ მოველოდით. H&K – 416 – 22L.r.-ს სასხლეტის დამცველი ორივე მხარეს აქვს განთავსებული. ტარი ორივე ვერსიის სპეციალური ხელოვნური მასალისგანაა დამზადებული, რომელსაც ფორმაც ორთოპედიულია და დაფარულია სპეციალური ბოჭკოვანი ზედაპირით, რომლის საშუალებითაც ხელში მყარად ჯდება. სამიზნე მოწყობილობა შაშხანას არა M4-ის ტიპის, არამედ Heckler&Koch-ის მოდელების (G3, MP5) მსგავსი უყენია. წინა და უკანა სამიზნე კომპონენტები პიკატინის ტიპის ხიდზეა დამაგრებული და ერთი ხრახნის მოშვების შედეგად სწრაფად და მარტივად ხდება მათი მოხსნა-დაყენება. თავად პიკატინის ხიდზე, რომელიც შაშხანას თავიდან ბოლომდე გასდევს სიგრძეზე, თითქმის ნებისმიერი 22 L.r.-ის ყალიბისათვის განკუთვნილი ოპტიკის დაყენებაა შესაძლებელი. აღნიშნულ მოდელებს ლულისქვეშა კონდახი ჩვეულებრივი M4 – გან განსხვავებული, ბევრად დახვეწილი და მრავალფუნქციური უყენიათ. მასზე შესაძლებელია გვერდითა და ქვედა პიკატინის ხიდების გამოყენებით, ოფტოელექტორნული მოწყობილობების თუ ფანრის დამაგრება. რაც შეეხება მოკლე ვერსიას, მასზე პატარა მაყუჩის ტიპის კომპენსატორია ლულის ბოლოში, რომელიც ჰმატებს შაშხანას თანამედროვე იერს და იარაღი უფრო ლამაზად გამოიყურება. მჭიდის გამომღები სასხლეტის ბუდის გვერდით, ქვედა სისტემურ კოლოფზეა განთავსებული. აღსანიშნავია რომ საკეტი მექანიზმი ღია რჩება როდესაც მჭიდი დაცარიელდება. ამგვარი ყალიბისა და ტიპის იარაღებზე აღნიშნული ფუნქცია ქებას იმსახურებს. მოდელებს პისტოლეტისებრ ტარში და კონდახის ბოლოში შესანახი საცავი აქვთ გაკეთებული. ვაზნის მიმწოლი, მექანიკური სატენი მოქმედია და მსხვილკალირბიანი იარაღის მსგავსად თავისზე დაკისრებულ ფუნქციას უნაკლოდ ასრულებს, თუ ეს საჭირო გახდა, კრიტიკულ ვითარებაში. აღნიშნული ღილაკის ქვემოთ მოთავსებულია მეტალის ჩხირი, რომლის გამოღების შემთხვევაში იარაღი შუაზე იხსნება და ზედა სისტემური კოლოფი გადადის წინ. ამ მდგომარეობაში შესაძლებელია იარაღის მექანიზმისა და ლულის სრულყოფილი გაწმენდა. რაც შეეხება მუშაობას, უნდა აღინიშნოს რომ შაშხანა ბრწყინვალედ ისვრის. არ აქვს მნიშვნელობა თითს, სასხლეტს ნელა გამოკრავთ თუ სწრაფად ავუჭქარებთ და ავტომატური ჯერივით განვახორციელებთ გასროლას. შაშხანა არც ერთ ვითარებაში არ გვიღალატებს. თუმცა არც „ვალტერსა“ და არც „კოხს“ არ ეკადრებათ სხვაგვარი ხარისხის იარაღის შექმნა.

იმავე M4-სა და M16-ის ტიპის შაშხანებს ყველასათვის ცნობილი გერმანული კომპანია „Heckler&koch „ – ც ამზადებს სხვადასხვა ყალიბებით. აღნიშნული ფირმის მიერ შექმნილი პროდუქცია პირველ რიგში გამოირჩევა ხარისხით. მათ მიერ წარმოებული სტანდარტული M4 წარმოდგენილი იყო ერთ-ერთ გამოფენაზე, სადაც დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ეძლოდათ ენახათ მისი ძალა, საიმედო მუშაობა და უნიკალური ბალისტიკური მონაცემები. ამასთანავე ხდებოდა შედარებები სხვა მსგავსი ტიპის იარაღებთან. უნდა აღინიშნოს რომ ამ იარაღებს ობერნდორფელები ფაქტიურად საუკეთესოდ ამზადებენ. ბევრად უფრო კარგად და ხარისხიანად ვიდრე ამას მისი შემქმნელი „კოლტი“ აკეთებს. უფრო გასაგები რომ იყოს, მუშაობის უტყუარობით მათი შაშხანები კონკურენციას უწევენ და ზოგ შემთხვევებში სჯობნიან კიდეც რუსულ AK-47 -ს. შესაბამისად ნათელია რომ მათი ლიცენზიის მოპოვება და მათი სახელით წარმოება ყველას არ ძალუძს. ამიტომაც აშკარაა რომ „ვალტერის“ მიერ წარმოებული Heckler&Koch-ის მცირეკალიბრიანი შაშხანები საუკეთესოებია საუკეთესოთა შორის. ეს ყოველივე გამოფენაზე წარმოდგენილმა პროდუქციამ ცხადყო. ნანახით ყველა მოხიბლული იყო და უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ძვირი ფასისა გამოჩენისთანავე „ვალტერის“ აღნიშნული შაშხანების გაყიდვები წარმატებით დაიწყო.

ამჟამად აღნიშნული იარაღები ოთხ განსხვავებულ მოდიფიკაციად იწარმოება. ესენია Heckler&Koch-ის მიერ შექმნილი მოდელების მცირე-



walther-ს მიერ დამზადებული Heckler & Koch MP5 ის მცირეკალიბრიანი ვერსია



M4-ის ტიპის კონდახი



H&K MP5 A5 კალ. 5,6მმ



H&K MP5 SD კალ. 5,6მმ

ტექნიკური მონაცემები:	H&K – MP5 – A5	H&K – MP5-ხD
მწარმოებელი:	UMAREX GMBH	
წარმოშობის ქვეყანა:	ამერიკა – ავსტრია	
სისტემა:	თვითმტენი, ნახევრადავტომატური – Blowback	
ყალიბი:	5,6 მმ – 22 l.r.	
მჭიდის ტევადობა:	10 ან 25	
სასხლეტზე ზემოქ. ძალა: (გრ.)	მიახლ. 3000 – 4000	
სასხლეტის ტიპი:	ცალ საფეხურიანი	
ლულის სიგრძე: (სმ.)	41	
წონა მჭიდის გარეშე: (კგ.)	2,7	3,4
ცარიელი მჭიდის წონა (გრ.)	70	
მთლიანი სიგრძე: (სმ.)	67 – 82	
სიმაღლე მჭიდის გარეშე: (სმ.)	26	
სიგანე: (სმ.)	5	
ხრახნის სიგრძე: (მმ.)	350	
ხრახნის რაოდენობა:	6	
კონდახი:	ტელესკოპური, რეგულირებადი	
მიახლოებითი ფასი: EU	700	800

კალიბრიანი ვერსიები – H&K – MP5 A5 – 22 L.r. და H&K – MP5 SD – 22 L.r. Colt-ის მიერ შექმნილი M4-ის ტიპის ვერსიები – H&K – 416 D145RS – 22 L.r და H&K – 416 Pistol – .22 L.r. მათი დამზადება კომპანია „ვალტერის“ ჯგუფის წევრის, ავსტრიული Umarex-ის მეშვეობით ხორციელდება. გარკვეულწილად კი პროდუქცია ამერიკის შეერთებულ შტატებში მზადდება, შემდგომ კი ევროპის ბაზრისათვის წარმოებული ნაწილი ავსტრიაში იღებს სრულყოფილ სახეს.

მანამადე სანამ „უმარექსი“ დაიწყებდა ამგვარი ტიპის შაშხანების დამზადებას, გერმანული GSG (German Sport Guns) ახორციელებდა მათ წარმოებას. მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ „ვალტერის“ გუნდი აშკარად უფრო ხარისხიან პროდუქციას აკეთებს მიუხედავად აღნიშნული Heckler&Koch-ის ტიპის მცირეკალიბრიანი ვერსიების ბაზარზე რამოდენიმე წლით გვიან გამოჩენისა. პირველად 2011 წელს წარადგინა ზემოთხსენებული იარაღები გამოფენებზე და მათი დათვალიერების და შესწავლის შემდგომ დავრწმუნდით რომ 5,6 მმ-იან შაშხანაბში ისინი მართლაც შეუდარებლები არიან. არაჩვეულებრივი სტრუქტურული აგებულება, შესრულების მაღალი ხარისხი, დახვეწილი დიზაინი და კიდევ ათასი წვრილმანი შეიძლება ჩამოითვალოს, რომელიც აღსანიშნავია და გასათვალისწინებელია იარაღების შეფასებისას. H&K – MP5 A5 22L.r. -სა და H&K – MP5 SD – 22 L.r.-ს ზუსტად ერთნაირი მექანიზმი აქვთ და ზოგადათაც ძალიან გვანან ერთმანეთს. განსხვავება მათ შორის გახლავთ მხოლოდ წონა და მცირედით სახეშეცვლილი დიზაინი, მაგრამ ეს უკანასკნელი მსხვილკალიბრიანი ვერსიის მსგავსად უფრო თანამედროვედ და დახვეწილად გამოიყურება.

რაც შეეხება მექანიზმს, მის შექმნაზე „ვალტერისა“ და „კოხის“ ინჟინერ-კონსტრუქტორებმა დიდი ენერგია და დრო დახარჯეს. შედეგი მიღწეულ იქნა. მათ შექმნეს მცირეკალიბრიანი ვაზნებისათვის უტყუარი და საიმედო ნახევრადავტომატური მექანიზმი. სისტემას გერმანელები როლიკისებრ საკეტს უწოდებენ. ამ შემთხვევაში ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ნაწრთობი/ლეგირებული ფოლადის ბურთულები აკეთებენ, რომლებზეც მოძრაობენ გაღებისას საკეტი მექანიზმის გადამაადგილებლები. ამ აგებულების მქონე საკეტი წიგნში ზოგადადაა განხილული. თუმცაღა უფრო დაწვრილებით რომ ითქვას, მსგავსი სისტემა გააჩნია თავად ორიგინალ, მსხვილკალიბრიან MP-5-ს, რომელიც ინერციული ძალის – კინეტიკური ენერგიის ხარჯზე ახორციელებს გადატენვის პროცედურას. ამგვარ საკეტს ამერიკელები Blowback Roller delayed-ს უწოდებენ. რუსები კი მას არა პირდაპირი მნიშვნელობით თარგმნიან და Полусвободный затвор – Система с роликовым торможением-ს უწოდებენ, ანუ ნახევრად თავისუფალი საკეტი მექანიზმი როლიკისებრი მუხრუჭ-მამოძრავებელით. ორივე მათგანი (ინგ. Blowback და რუს. Полусвободный затвор) შესაძლოა მოქმედებდნენ ინერციული ძალის – კინეტიკური ენერგიის ხარჯზე ან გასროლილი ვაზნის მიერ გამოყოფილი აირების/გაზების შედეგად. მაგალითად Blowback Gas delayed – ერთ-ერთი ასეთი სისტემაა, რომელიც გამოიყენება Heckler&Koch P7-ზე და Steyr GB-ის. ამგვარი დაწვრილმანება უფრო შორს წაგვიყვანს. ამიტომ ჯობია ჩვენს მიერ განხილვად მოდელებს დავუბრუნდეთ. თუმცა ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია დაგვეხმარება მცირეკალირბიანი (5,6 მმ) H&K MP5-ის Blowback მექანიზმი ჩვენთვის უფრო მარტივი გასაგები რომ იყოს.

H&K – MP5 22 L.r.-ს დამცველი ღილაკი ორივე მხარეს აქვს განთავსებული რათა იარაღი ცაციებისათვისაც ადვილი მოსახმარი იყოს. მსხვილკალიბრიანი ვერსიისაგან განსხვავებით მას აღნიშნულ ადგილას მხოლოდ safe – fire აწერია, რაც ნიშნავს რომ ღილაკით შესაძლებელია მხოლოდ შაშხანის დაცვაზე დაყენება. მსხვილკალიბრიან MP-5-ის შემთხვევაში კი ის დამცველის გარდა ავტომატური და ნახევრადავტომატურ ჯერზე გადამრთველ ფუნქციასაც ასრულებს. მაყუჩი სისტემურ კოლოფში, შიგნით შედის და თავისზე დაკისრებულ მოვალეობას ბევრად უფრო კარგად ასრულებს ვიდრე ამას GSG – 5 SD აკეთებს, რომლის ზემოთხსენებული დეტალი გარეთ რჩება, მხოლოდ ლულის დამაფიქსირებელი კომპენსატორია და მასზე ზემოდანაა მილივით ჩამოცმული. მაგრამ ამ კომპანიების მიერ გავრცელებულ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ორივე იარაღის აღნიშნულ კომპონენტებს არა მაყუჩი, არამედ ლულის კომპენსატორი ეწოდებათ.

მჭიდის დამჭერი/გამომღები სასხლეტის ბუდის წინაა განთავსებული და მასზე ხელის დაჭერისას წინ მიწევით შესაძლოა მჭიდის მოხსნა. ზუსტად იმავე ფუნქციის შემასრულებელი ღილაკი იარაღს მარჯვენა მხარეს, სისტემური ბუდის შუაში აქვს განთავსებული და მასზე თითის დაჭერით ანალოგიური პროცედურა ხორციელდება. იარაღს ვიზუალური დათვალიერებისას თანამედროვე CNC მანქანების კვალი ეტყობოდა და ჩანდა რომ თავად სისტემური კოლოფიც აშკარად ხარისხიანი მასალისაგან იყო დამზადებული.

სამიზნე მოწყობილობა Heckler &Koch-ის მიერ შექმნილი, მანძილის მიხედვით რეგულირებადი წინა და უკანა არაფიქსირებული კომპონენტებითაა აღჭურვილი. რაც შეეხება ოპტიკურ სამიზნეებს, მის დაყენებამდე აუცილებლია ცალკე პიკატინის ტიპის ხიდის ყიდვა და დამონტაჟება, რის შემდგომაც ხორციელდება თავად ოპტიკის დამაგრება, სწორედ ისე როგორც GSG-5 – ზე. რაც შეეხება იარაღის დაშლას, აღნიშნული პროცედურა ბევრად უფრო მარტივია ვიდრე ეს GSG-5-ის შემთხვევაში ხორციელდება. ვიღებთ მჭიდს და ვრწმუნდებით რომ იარაღში ვაზნა არაა. შემდგომ გავაღებთ საკეტ მექანიზმს, დავტოვებთ ღიას და შევამოწმებთ სავაზნეს. ამის შემდგომ სისტემური კოლოფისა და საკეცი კონდახის დამაკავშირებელ ფოლადის ჩხირს,



გამოფენაზე წარმოდგენილი MP5 SD შაშხანა აშკარად ხარისხის კუთხით კარგად გამოიყურებოდა



სისტემური კოლოფის მარცხევა მხარეს განთავსებული დამცველი ღილაკი



მაყუჩის მსგავსი კომპენსატორი იარაღზე GSG-საგან განსხვავებით უკეთესად, რეალური შაშხანის მსგავსად იყო მორგებული

რომელსაც ხრახნი იჭერს, გამოვიღებთ და განვაცალკევებთ იარაღსა და კონდახს. ბოლოს კი მჭიდის დამჭერის ქვემოთ განთავსებულ ფოლადის ჩხირს სახრახნიანად გამოვიღებთ და სისტემური კოლოფი გაიყოფა შუაზე. მთლიანი დამცემ-სასხლეტი მექანიზმი თავისი ბუდითურთ გამოვა სააშკარაოზე, ისევე როგორც სისტემური კოლოფის ზედა ნაწილი თავისი შიდა კომპონენტებითა და საკეტი მექანიზმით. ამის შემდგომ რა თქმა უნდა შესაძლებელია იარაღის სრული დაშლა, რაც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს გაწმენდის შემთხვევაში. ხოლო მარტო ლულის გაწმენდა ზემოთხსენებული პროცედურების ჩატარების გარეშეც შესაძლებელია.

GSG-ის (German Sport Guns) 5,6 მმ შაშხანები ახალი გამომცხვარივით მოგვევლინა 2007 წელს ბაზარზე და ამბიციური ხასიათიც გამოავლინა. მწარმოებელმა წარადგინა „ჰეკლერ&კოხისა“ და „კალაშნიკოვის“ სერიული ავტომატების მცირეკალიბრიანი, ნახევრადავტომატური ასლები. თუმცა ისინი მაინც განსხვავდებოდნენ მსხვილკალიბრიანი ვერსიებისაგან როგორც ვიზუალურად, ასევე მუშაობის პრინციპებით. დასაწყისისათვის GSG – მ იდეალურად მოახერხა საზოგადოების ინფორმირება და რეკლამის სახით თვით მიხეილ კალაშნიკოვიც იყო ჩასული თავისივე იარაღის მცირეკალიბრიანი ვერსიის სანახავად. მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ყველაფერი ისე ვერ განვითარდა, როგორც ამას კომპანიის თანამშრომლები გეგმავდნენ. ფირმა პროდუქციის ძირითად ნაწილს, ევროპისა და აზიის ბაზრისათვის, 2010 წლამდე გერმანიაში ამზადებდა. თუმცა მათ გარკვეული პრობლემებისა და არაგათვითცნობიერებული საქციელიდან განპირობებული გარემოების გამო შეუჩერდათ ლიცენზია გერმანიაში ზემოთხსენებული ტიპის იარაღების დამზადებისათვის და თითქმის მთლიანი წარმოება გადავიდა ავსტრიული, ძმობილი კომპანიის ISSC-სა და ამერიკული ფილიალის ქარხნებში. ევროპის ბაზრისათვის ამჟამად მხოლოდ ის დეტალები, რომლებსაც ზემოდან უნდა ეწეროს დამზადების ქვეყანა, აკეთებენ გერმანიაში. ავსტრიაში კი ხორციელდება დანარჩენი, კონკრეტული დეტალების დამზადება, აწყობა და სრულყოფილი სახის მიცემა. რაც შეეხება თვითონ კომპანიას, ისიც ახალი შემოსულია



GSG 522 SD კალ 5,6მმ



ტექნიკური მონაცემები:	GSG-522-ს D
მწარმოებელი:	გერმანია-ავსტრია-ამერიკა
წარმოშობის ქვეყანა:	გერმანია
სისტემა:	ნახევრადავტომატური
ყალიბი:	5,6 მმ – 22 L.r.
მჭიდის ტევადობა:	22
ლულის სიგრძე: (მმ.)	414
მთლიანი სიგრძე: (მმ)	855
სიმაღლე: (მმ)	207
სიგანე: (მმ)	53
წონა: (კგ.)	3.1
ხრახნის სიგრძე: (მმ)	405
ხრახნის რაოდენობა:	6
სასხლეტზე ზემოქ. ძალა: (გრ.)	2500
მიახლოებითი ფასი:	550 EU



იარაღის კომპენსატორი, რომელიც მაყურს გავს, რეალურად კი მისი მთავარი დატვირთვა ვიზუალური ეფექტის მოხდენაა მყიდველზე

ბაზარზე და ყველას ახსოვს მათ იდეაში დიდი მომავლის მქონე ფისტოლეტის, ISSC – M22-ის სრული კრახი. იარაღი არასრულყოფილია და მისი სტრუქტურული აგებულება მოწონებას ნამდვილად არ იმსახურებს. ფისტოლეტი თითქმის ყველა ვაზნებზე ჭედავს. ლულის ზამბარის გამოცვლის შემთხვევაში მხოლოდ ერთეული ვაზნებია მსოფლიოში, რომლებსაც ძალიან მაღალი სიჩქარე და ენერგია აქვთ და ახერხებენ იარაღის დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმის მოძრაობაში მოყვანას. შესაბამისად რთული მისახვედრი ნამდვილად არაა, თუ როგორი ხარისხის პროდუქციის დამზადება ძალულს კომპანიას. ალბათ ამიტომაცაა რომ გამოფენებზე და შეჯიბრებებზე სპორტსმენები აქებენ ხოლმე GSG-ს იმ შაშხანებს, რომლებიც თავდაპირველად სრულად გერმანიაში მზადდებოდა. ეს ინფორმაცია და უფრო მეტიც ავსტრიულ გერმანული დაძმობილებული კომპანიებისა თუ „ვალტერის“ ურთიერთობებისა თუ კონკურენციის პირობებში ბრძოლის შესახებ ჩვენი მეგობარი მეიარაღეებისაგან, ინჟინერ მარკუს ფრიჩისაგან შევიტყვეთ.

GSG – 522-SD ამჟამად კომპანიის მიერ დაზმადებული იარაღებიდან საშუალო დისტანციებზე მსროლელი შაშხანაა. ჩვენს მიერ განხილვადი მოდელი გახლავთ არა ავსტრიაში, არამედ გერმანიაში წარმოებული ვერსია. მისი უპირატესობა ტესტირების შემდგომ აშკარა გახდა ავსტრიულ ვერსიასთან შედარებისას.

აღსანიშნავია, რომ ახალ, ნახევრად გერმანიასა და ნახევრად ავსტრიაში დამზადებულ ვარიანტებს აქვს პიკატინის სტილის ინტეგრირებული სამიზნე ხიდი და სახეშეცვლილი ხელსაკიდი ტარი. დამცველი ღილაკიც შედარებით უფრო დახვეწილი ფორმისაა. მაგრამ მთავარი ეს არაა. როდესაც ახალი მოდელით ვისვრით შედარებით სუსტ, სტანდარტულ 22 L.r.-ის ვაზნებს, ხშირად ვაწყდებით პრობლემებს და გადატენვისას იარაღი ზოგჯერ არ ფუნქციონირებს გამართულად. ამას ვერ ვიტყვით ძველ მოდელზე, რომელიც თითქმის ნებისმიერი ტიპის 5,6 მმ-იან ვაზნებზე უპრობლემოდ მუშაობს.

GSG-522 SD-ს უყენდება, როგორც 10 ვაზნიანი ისე, 22 ვაზნიანი მჭიდი, ასევე შესაძლებელია „ტომსონის“ ტიპის, უზარმაზარი ტევადობის მჭიდის დამაგრებაც.

ტარის გამოცვლა და ტაქტიკური ვერსიის დაყენებაც შესაძლებელია, აგრეთვე შესაძლებელია შაშხანას ზემოდან დავუმაგროთ პიკატინის ტიპის სამიზნე ხიდი, რათა შევძლოთ მასზე ოფტიკური მოწყობილობის დამონტაჟება. სპეციფიკური, ორდაფიანი სამიზნე ხიდის მონტაჟის შემთხვევაში, ფანარისა ან ოფტოელექტრონული მოწყობილობების იარაღზე დამაგრებაა შესაძლებელი, ანუ, ეს იმ შემთხვევაში თუ, თავად ხიდს ან ოპტიკურ სამიზნეს გვერდით დამატებითი განყოფილება აქვს.

მცირეკალიბრიანი შაშხანის დამცველი ღილაკი ორივე მხარესაა განთავსებული. იარაღის ლულაზე მილია ჩამოცმული რომელიც ვუზუალურად მაყურს გავს, სინამდვილეში კი ხმას ოდნავ ცვლის და კომპენსატორის ფუნქციას ითავსებს. მიუხედავად იმისა რომ გერმანული ვერსია ნებისმიერ ვაზნებს ისროდა, ჩვენ მაინც სასინჯი სროლები ყველა იარაღით ერთი და იგივე ვაზნების გამოყენებით, CCI-სა და Remington-ის Yellow Jacket მაღალ სიჩქარიანი-ენერგია მომცემი მოდელებით განვახორციელეთ. შესაბამისად GSG – დან ნასროლი საკმაოდ კარგი გამოგვივიდა და ოპტიკური სამიზნე მოწყობილობის დაყენებამდე, დიოტრიული ხედვის ღია სამიზნე მოწყობილობის გამოყენებით დაახლოებით 80 მეტრზე საუკეთესო შედეგად 5 სანტიმეტრიანი დაჯგუფებები მივიღეთ. ოპტიკური სამიზნე მოწყობილობის დაყენების შემთხვევაში შედეგი საგრძნობლად გაუმჯობესდა. გერმანული, Bauer 3-9x32E მოდელის დამაგრების შედგომ 100 მეტრ დისტანციაზე ნებისმიერი სამიზნის ზუსტი დაზიანება შესაძლებელი გახდა. თუმცა ანალოგიურ, იდეალურ სიზუსტეში ლომის წილი ოპტიკურ სამიზნესა და არაჩვეულებრივ ვაზნებს მიუძღვით.

ისრელში მოღვაწე კომპანია I.W.I. L.t.d. უკვე დიდი ხანია ითვლება წამყვან იარაღების მწარმოებლად ქვეყანაში. ფირმა დაახლოებით 60 წელია რაც მსგავსი პროფილით მუშაობს. ამჟამად ის უკვე პრივატიზირებულია და არა სახელმწიფოს, არამედ კერძო პიროვნებების საკუთრებაშია გადასული. აღნიშნული საწარმო ახორციელებს ინტერნაციონალური და ნაციონალური კუთხით სამხედრო და სპორტული იარაღების დამზადებასა და გაყიდვას. მწარმოებლის მიერ ნახევარი საუკუნის წინ შექმნილი იარაღი – UZI, პერიოდულად იხვეწებოდა და ვითარდებოდა. ის დღემდე ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო ვერსიად სპეციალურ ოპერატიულ დაცვის სამსახურებში. სხვადასხვა ქვეყნების განსაკუთრებულ დავალებათაAპოლიციური ძალებიც იყენებენ აღნიშნულ იარაღს. უნდა ითქვას რომ დღესდღეობით უკვე 2 მილიონზე მეტი „უზია“ გაყიდული. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყდრნობით ადვილი მისახვედრია თუ რატომ გადაწყვიტა კომპანია „ვალტერმა“ მისი მცირეკალიბრიანი ვერსიების წარმოება.





UZI SMG შაშხანა კალ. 5,6მმ

მოდელი:	UZI SMG Rifle
მწარმოებელი:	Carl-Walther GMBH
წარმოშობის ქვეყანა:	გერმანია (ისრაელი)
სისტემა:	ნახევრადავტომატური Blowback
ყალიბი:	5.6 მმ – 22 l.r. HV
მჭიდის ტევადობა:	20
ლულის სიგრძე: (მმ.)	259
წონა მჭიდის გარეშე: (კგ.)	3
მთლიანი სიგრძე დაკეცილი/გახნილი კონდახით: (მმ.)	468 / 650
სიმაღლე: (სმ.)	190
მიახლოებითი ფასი: EU	500



2011 წლის მოდელი UZI SMG Rifle 22L.r. ნახევრადავტომატური მექანიზმით იწარმოება. შაშხანა მსხვილკალიბრიანი ვერსიასავით მოხერხებული და კომპაქტურია. კონდახი იკეცება და სისტემური კოლოფის გარედან გაკეთებულ ღარებში ჯდება. ბუდეზე, მარჯვენა მხარეს განთავსებულია საქამრე. ერთი შეხედვით მას არ ეტყობა რომ ეგრეთწოდებული „ვივერის“ ტიპის ხიდითაა აღჭურვილი. თუმცა ის სისტემური კოლოფის ზედა ხუფის ქვეშ იმალება. ლულისქვეშა კონდახის შიგნით 1913-ის სტანდარტის ჭრილებიანი სამიზნე ხიდია განთავსებული ოფტოელექტრონული მოწყობილობების ან ფანრის დასაყენებლად.

პირველი ვაზნის მჭიდიდან ლულაში მიწოდება, ანუ გადატენვა სისტემური კოლოფის ზედა ნაწილზე დამაგრებული ხრახნიანი ფოლადის, ცილინდრული ფორმის დეტალით ხორციელდება. დამცველი იარაღს ხელსაკიდი ტარის ზედა ბოლოში აქვს განთავსებული. მისი უკან მოწევით მცირეკალიბრიანი „უზი“ დგება დაცვაზე. მეორე დამცველი – ტარის უკანა ნაწილზეა განთავსებული, რომელიც მოქმედაბაში მოდის როდესაც იარაღი ხელში გვიჭირავს და ვისვრით. ამ დროს მასზე ხორციელდება ზეწოლა და დაცვიდან იხსნება შაშხანა. მჭიდის გამომღები-დამჭერი ღილაკიც ხელსაკიდ ტარზეა განთავსებული და მის ქვედა ნაწილზე დაწოლისას შესაძლებელია მჭიდის მოხსნა.

მცირეკალიბრიანი ვაზნები — 5,6 მმ

ღია ხედვის სამიზნე მოწყობილობა ამ შემთხვევაშიც მსხვილკალიბრიან ვერსიისაგან არის აღებული. თუმცა მცირედ სახეშეცვლილია და მასში Heckler&Koch-ის სამიზნე მოწყობილობის გარკვეული ელემენტებია ჩადებული.

ძალზედ საინტერესოა ერთი ფაქტი. იარაღის ქვედა სისტემურ კოლოფზე, ტარის მაღლა განთავსებულია წარწერა: „Licensed Trademark of IWI Israel – Made by Carl_walther Germany“, ანუ იარაღი წარმოებულია ისრაელის კომპანიის ლიცენზიის ქვეშ გერმანული „კარლ ვალტერის“ მიერ. შემდგომ იმავე მარცხენა მხარეს, იარაღის უკანა სამიზნის ქვეშ გაკეთებულია წარწერა: „US Importer Umarex USA/Fort Smith AR – IWI ISAREL“ – იარაღი დამზადებულია ამერიკული წარმომადგენლობის მიერ, რომელიც შედის „ვალტერის“ ჯგუფში და არის ავსტრიული „უმარექსის“ საკუთრება. აღნიშნული ფაქტი სულაც არ არის უარყოფითი მახასიათებელი. უბრალოდ დღევანდელი შტატების 5,6 მმ-ნი ვაზნების წარმოების ფონზე აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება. ამერიკელების ხასიათიდან და უმარექსის იქაური მუშა ხელისა თუ კონსტრუქტორების იდეოლოგიიდან გამომდინარე, ამგვარი იარაღი შესაძლოა გათვილი იყოს შედარებით ძლიერ ვაზნებზე. თუმცა თავისუფლადაა შესაძლებელი, რომ შაშხანამ სუსტი ვაზნებიც უპრობლემოდ გაისროლოს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. აღნიშნული ფაქტის გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა რომ ტექნიკურ მონაცემებში იარაღს ყალიბის განყოფილებაში ეწერა 22 L.r. HV – ეს უკანასკნელი ორი ასო აღნიშნავს უმაღლეს სიჩქარეს High Velocity-ის. სწორედ ახალი თაობის, სწრაფი და ძლიერი ვაზნები იწარმოება ამგვარი ინიციალებით, რომელთათვისაც ახალი თაობის, ფიცხი დენთი გამოიყენება. გამოფენაზე ნახვისას მათი გასროლის საშუალება არ გვქონდა. ამიტომაც გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ, როდესაც კომპანია „ქარავან+“-ის სახელით მოხდა კომპანიასთან შეხვედრა და ტესტირების განოხრციელება, ვაწარმოეთ სასინჯი გასროლა. უნდა აღინიშნოს რომ იარაღმა ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ამერიკული CCI-ის წარმოების ვაზნა იდეალურად გაისროლა. ასევე უნაკლოდ მოხდა ამერიკული Winchester-სა და გერმანული RWS-ის წარმოების ვაზნების გასროლაც. ამათგან თითქმის ყველას HV აღნიშვნა ჰქონდათ. ერთი რამ ყოველთვის გასათვალისწინებელია ამ ტიპის ყალიბის გამოყენებისას. სასხლეტზე თითის გამოკვრისას ნემსი მცირეკალიბრიან ვაზნას ურტყავს არა ცენტრში, არამედ გვერდით და ყოველთვის არსებობს 100 % – დან 1 % ალბათობა იმისა, რომ არ მოხდეს აფეთქება, ანუ ცეცხლის წარმოშობა და შესაბამისად გასროლა. გამოდის რომ ყოველთვის, ნებისმიერ ვითარებაში შეიძლება იარაღმა გაჭედოს 5,6 მმ-იანი ყალიბით. ამიტომაც აღნიშნული კალიბრის მოყვარულები მაინც თავისი სურვილისამებრ აკეთებენ არჩევანს და თუ მოწონთ „უზის“ დიზაინი ან ფუნქციონალური მხარე, დიდ ყურადღებას არ უთმობენ ზემოთხსენებულ ფაქტორს.



მცირეკალიბრიანი ვაზნები: მარცხნიდან: 22 WMR, 17HMR, 22LR, 17 Mach2

ზოგადად ეგრეთწოდებული 22 კალიბრიანი ვაზნები განსხვავებული ტიპის არსებობს. არსებობს 22 short/kurz (მოკლე ვაზნა). მისი ისტორია მე-19 საუკუნის შუა ნახევრიდან იწყება. ამერიკის შეერთებულ შტატებში კომპანია Smith&Wesson – მა აწარმოა პირველი რევოლვერი .22 short კალიბრზე, რომელმაც ევროპული 6 მმ-ნი Flobert-ის ვაზნა შეცვალა. თავდაპირველად მას 1,9 გრამიანი ტყვიის თავი ჰქონდა. ასაფეთქებელ ნივთიერებად კი 0,26 გრამი შავი დენთი იქნა გამოყენებული. ვაზნამ მალე მოიპოვა პოპულარობა და სპორტსმენებისა და მოყვარული მსროლელების საყვარელ კალიბრად გადაიქცა. 1887 წლიდან მისი მწარმოებლები ბაზარზე ახლად შემოსული ნიტრო-დენთის გამოყენებითაც ტენიდნენ ზემოთხსენებულ ყალიბს. უნდა აღინიშნოს რომ მისი ეფექტური სროლის მანძილი სულ რაღაც 50 მ-ია. შესაბამისად ვაზნამ მე-20 საუკუნეში უკვე დაკარგა პოპულარობა.

მას მოჰყვა უფრო ძლიერი და სწრაფი ვერსია 22 Long (გრძელი), რომელიც 1871 წელს შეიქმნა. აღსანიშნავია რომ იგი თავდაპირველად რევოლვერებისათვის დაამზადეს. პირველ ვერსიას ტყვიის თავის წონა 1,9 გრ ჰქონდა. ის შავი დენთის საშუალებით იყო დატენილი, რომლის წონაც 0,32 გრამს შეადგენდა. ვაზნამ „მოკლე“ მოდელივით მალევე დაკარგა მნიშვნელობა, რადგანაც ბაზარზე გამოვიდა 22 L.r.-Long Rifle (LFB-Lang für büchsen). იგი დღემდე ითვლება ყველაზე გავრცელებულ და გაყიდვად ვაზნად მსოფლიოში. აღნიშნული ყალიბი სხვადასხვა დანიშნულებისამებრ გამოიყენება. იგი 1887 წელს ამერიკულმა კომპანიამ J. Stevens Arms and Tool Co. – მა დააპატენტა. პირველი მაღალ სიჩქარიანი (HV-High Velocity) მოდელი 1936 წელს შეიქმნა. მისი შექმნის ძირითადი მიზეზი ნადირობა გახლდათ. ვაზნის ეფექტური სროლის მანძილი დაახლოებით 80 მეტრს შეადგენდა.

ამ ტიპის 5,6 მმ-იან ყველაზე მსხვილსა და გრძელ ვაზნას 22 WMR – Winchester Magnum Rimfire ეწოდება. მისი შემქმნელი ამერიკული ლეგენდარული კომპანია „ვინჩესტერი“ გახლდათ. აღნიშნული ვაზნის ბაზარზე გამოჩენის შემდგომ Ruger – მა და Smith&Wesson – მა უმალვე იწყეს ამ ყალიბიანი რევოლვერების დამზადება. თავად „ვინჩესტერმა“ კი 1960 წელს უკანა/ქვედა ბერკეტით მტენი შაშხანა model-61 აწარმოა 22WMR-ის ყალიბით. ვაზნა ძირითადათ გამოიყენება წვრილფეხა ცხოველებზე სანადიროდ და მისი ეფექტური სროლის მანძილი შეადგენს 125 მ-ს.

22 L.r. (Long Rifle) ანუ იგივე 22 ინჩიანი – 5,6 მმ-იანი ვაზნა მსოფლიოში ყველაზე გაყიდვადი და გავრცელებული ხრახნლულიანი იარაღებისათვის განკუთვნილი მცირე კალიბრია. აღნიშნული ფაქტი პირველ რიგში მისი ფასიდან გამომდინარეობს. მას იყენებენ სავარჯიშოდ, მავნე ცხოველების გასანადგურებლად, სპორტული სროლებისათვის ახლო და საშუალო დისტანციებზე (50-100 მ), ოლიმპიურ დისციპლინირებულ ტურნირებზე (ბეატლონისტებისათვის და...), სანადიროდ და თავდაცვის მიზნით. მაქსიმალური (არაეფექტური) სასროლი მანძილი 800-დან 1500 მ-მდე მერყეობს. საუკეთესო შედეგის მიღწევა 25-დან 30°C-მდეა შესაძლებელი. ესა თუ ის კომპანიები უამრავ განსხვავებულ ვერსიებს აწარმოებენ. ერთმანეთისაგან განსხვავდება დენთის რაოდენობა და შემადგენლობა, ტყვიის თავის დამუშავება და საფარი... მაგალითად გერმანული კომპანია – RWS, თავისი ერთერთი მოდელისათვის იყენებს 0,035 გრ სინოქსიდად წოდებულ, ეროზიისაგან გათავისუფლებულ ფეთქებად ნივთიერებას. დღესდღეობით ზემოთხსენებული ყალიბის ვაზნა იყოფა ენერგიისა და სიჩქარის მიხედვით კლასებად.

22 lfb ანუ იგივე 22 l.r. – Z (Z – აღნიშნავს ოთახში სასროლ ვერსიას, ძალიან მსუბუქი დატენვით). მაქსიმალური გაზების წნევა შეადგენს 1000 ბარს. ტყვიის წონაა დაახლოებით 1,8 გრ. საწყისი სიჩქარე 65 სმ-იანი ლულიდან გასროლის შემთხვევაში შეადგენს დაახლოებით 220 – 230 მ/წმ-ს, ხოლო ენერგია 40-45 ჯოულია.

22 l.r Sub Sonic, რომლის სიჩქარეც უტოლდება ხმის სიჩქარის ბარიერს. ტყვიის მასაა 2,5 – 2,6 გრ. საწყისი სიჩქარეა 65 სმ-იანი ლულიდან გასროლის შემთხვევაში დაახლოებით 300 – 310 მ/წმ. ენერგია კი შეადგენს 110 – 120 ჯოულს. აღსანიშნავია რომ აღნიშნული ვაზნა არაა რეკომენდირებული თვითმტენი შაშხანებისათვის.

22 L.r. SV (Standard Velocity)-სტანდარტული სიჩქარე. ეს გახლავთ მოდელი, რომელიც გამოიყენება სავარჯიშოდ და შეჯიბრებებისათვის. გაზების მაქსიმალური წნევაა 2050 ბარი. ტყვიის წონა შეადგენს დაახლოებით 2,5 გრ-ს. საწყისი სიჩქარეა 330 – 340 მ/წმ, ხოლო გასროლის შედეგად მიღებული ენერგია დაახლოებით 137 ჯოული.

შემდგომ მოდის მისი მგავსი ტიპის ვერსია 22 L.r. Biathlon. ვაზნა სპეციალურად ბეატლონისტებისათვისაა შექმნილი. მისი მაქსიმალური გაზების წნევაა 2050 ბარი. ტყვიის წონაც წინა მოდელის მსგავსად ხშირ შემთხვევებში 2,5 – 2,6 გრ-ია ხოლმე. 65 სმ-იანი ლულით გასროლილი ვაზნის საწყისი სიჩქარეა 340 მ-წმ, ხოლო საწყის ეტაპზე გასროლის შედეგად განვითარებული ენერგია 150 ჯოულია.

„ბიატლონისტების“ ვერსიების შემდგომ უკვე მოდის ახალი თაობის, ჩქარი და მაღალი ენერგიის მომცემი მოდელები.

ერთ-ერთი მათგანია 22 L.r. HV (High Velocity) – მაღალი სიჩქარე. ის ძირითადათ გამოიყენება სანადიროდ. ტყვია შეიძლება იყოს მასიური, ან ჰქონდეს ხვრელი. ორივე შემთხვევაში ის გალავნურად მოსპილენძებულია ხოლმე. მაქსიმალური გაზების წნევაა 2050 ბარი, ტყვიის წონაა 2,6 გრ, საწყისი სიჩქარე დაახლოებით 400 მ/წმ-ია, ხოლო ენერგია 280 – 290 ჯოულს შეადგენს.

22 L.r. Hyper Velocity – უმაღლესი სიჩქარე – კატეგორიის ვაზნები. ამათგან ყველაზე პოპულარული და პროფესიონალი მსროლელების მიერ გამოცდილი მოდელები გახლავთ ამერიკული – CCI Stinger და Remington Yellow Jacket. მათი საწყისი სიჩქარე მერყეობს 480-დან 510 მ/წმ-მდე. ენერგია კი დაახლოებით 270 ჯოულია. სწორედ აღნიშნული ორი განსხვავებული მწარმოებლის მიერ დამზადებული ძლიერი ვაზნებით მოხდა ზემოთხსენებული ყველა მცირეკალიბრიანი შაშხანით სასინჯი სროლების წარმოება.

ეფექტური სროლის მანძილი

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ჩვეულებრივი, სერიული შაშხანებით სტანდარტული ვაზნის გასროლა, ზუსტად და ეფექტურად, დაახლოებით 100-დან 300 მ-მდე ხორციელდება. მსროლელს ძალუძს ზემოთხსენებულ დისტანციაზე აწარმოოს ცეცხლი ისე, რომ მოხვედრილი ტყვიის გაფანტვის წრეების დიამატრის ზომა მერყეობდეს 3-დან 5სმ-მდე. ამისათვის აუცილებელია ბევრი ვარჯიში და შესაბამისი ამუნიციის გამოყენება. თუმცა მხოლოდ მსროლელის საუკეთესო თვისებებისა და ნიჭის გამოვლინება არაა საკმარისი. აუცილებელია დენთის ლაბორატორიული თავისებურებების ცოდნა და შემდგომ შესაბამისის გამოყენება. ვაზნის თავის, ანუ ტყვიის წონის შესაბამისობა სასურველ დანიშნულებასთან. ბევრი რამ არის აგრეთვე დამოკიდებული იარაღის სასხლეტ და დამცემ მექანიზმებზე. აუცილებელია ბალისტიკური ცხრილის შედგენა ზემოთხსენებული ყველა თავისებურებების გათვალისწინებით და შემდგომ გასროლის წარმოება. თუ ყველა საჭირო პირობა შესრულებული იქნება და მას ხელს შეუწყობს ამინდიც, მსროლელი ფაქტიურად მიიღებს იდეალურ ბალისტიკურ შედეგებს.



მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი ქვეყანა ახორციელებს სნაიპერული და სპორტული შაშხანების დამზადებას. ხორციელდება კონკრეტული ტიპის იარაღების წარმოება, რომელთაც ერთ, ორ, ან თუნდაც სამ კილომეტრზე უნდა აწარმოოს მიზანში ზუსტი და ეფექტური გასროლის წარმოება. მსგავსი ტიპის შაშხანებს არა მარტო სამხედრო დანიშნულებისათვის, არამედ სანადიროთ ან სპორტული შეჯიბრებებისათვის იყენებენ. ყველაზე გავრცელებული და სასურველი კალიბრები ზემოთხსენებული ტიპის იარაღებისათვის გახლავთ .308 Winchester (7,62x51მმ), .300 Win.Mag. (7,62x67 მმ), .338 Lapua Mag. – (8.6x70 მმ) და 50 MBG – Browning Machine Gun – (12,7x99 მმ) .

50 MBG (Browning Machine Gun – 12,7x99 მმ)-ის ლეგენდარულმა კონსტრუქტორმა ჯონ მოზეს ბრაუნინგმა 1921 წელს შექმნა თავისივე ტყვიამფრქვევისათვის M2 – თვის. მისი წინამორბედი გახლდათ მაგდებურგის Polte-Werke-ს მანქანათმშენებელი ქარხანისა და კომპანია „მაუზერის“ მიერ ერთობლივი ძალებით შექმნილი ტანკსაწინააღმდეგო შაშხანის ვაზნა 13×92 მმ Mauser. პირველად სნაიპერული შაშხანები და ზოგადად იარაღი, რომელიც გათვალისწინე-



ბული იყო შორ დისტანციაზე ზუსტი სროლისათვის აღნიშნული ყალიბით, ამერიკულმა კომპანიებმა შემოიტანეს ბაზარზე. ესენია: Barrett, Macmillan და Harris. ლიდერები ამ კატეგორიაში რა თქმა უნდა ის ქვეყნები არიან, რომლებიც სხვა, ამათთაგან განსვავებული ტიპის იარაღის დამზადებასაც წარმატებით ახორციელებენ. პირველ ადგილზე ალბათ მაინც ამერიკის შეერთებული შტატებია. მაგრამ არაფრით ჩამოუვარდება მათ ინგლისი და გერმანია. ზოგ კომპონენტში შეიძლება ჯობნიან კიდეც. უძლიერესთა სიას აგრეთვე განეკუთვნებიან ავსტრია და ფინეთი. საკმაოდ წარმატებით საფრანგეთი და მასთან ერთად კიდევ რამოდენიმე სხვა ქვეყანაც ახორციელებს მსგავსი იარაღების წარმოებას. ზემოთ აღნიშნული ვაზნა ამერიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, არა მარტო სამხედრო მოსამსახურეებსა და პოლიციურ წრეებში, არამედ ჩვეულებრივ მოქალაქეებში, რომლებიც სპორტული დანიშნულებისამებრ იყენებენ ზემოთხსენებული ყალიბით შექმნილ შაშხანებს. მაგრამ ევროპაში .50 BMG-ის მოხმარებამ სპორტულ შეჯიბრებებზე ნაკლებად ტენდენციური სახე მიიღო და ფეხი იმდენად ვერ მოიკიდა, როგორც ეს სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე გახორციელდა. ვაზნის საწყისი სიჩქარე დაახლოებით 800 მ/წმ – დან 930 მ/წმ-მდე მერყეობს. საწყისი ენერგია, ანუ E0 დაახლოებით 15500 ჯოულიდან 23000 ჯოულამდე შიეძლება მეორყეობდეს. სიჩქარისა და ენერგიის ცვალებადობა დამოკიდებულია ვაზნის მწარმოებელზე და მოდელზე – ტყვიის თავზე, რომლის წონაც შესაძლოა 40 გრ-დან დაახლოებით 52 გრ-მდე მერყეობდეს. ამგვარი მონაცემების შემხედვარე ნახევრად პროფესიონალიც კი იოლად მიხვდება, თუ რატომ იყენებენ ზემოთხსენებულ ვაზნას უამრავი დანიშნულებით და რატომ ითვლება ის ერთ-ერთ საუკეთესო ვერსიად, დღემდე მთელს მსოფლიოში, ზუსტი და ეფექტურის სროლის საწარმოებლად შორ დისტანციებზე.

338 Lapua Mag. – 8.6x70mm (8.58x70mm) ძირითადათ შორს მსროლელი, სნაიპერული ტიპის შაშხანებისათვის უფრო გამოიყენება, ვიდრე ტანკებსა და საფრენ საშუალებებზე ტყვიამფრქვევებისათვის, რომელთათვისაც ჩვენს მიერ განხილულ .50 BMG -ს ხშირად მოიხმარენ მისი შემქმნელი კონსტრუქტორები. უფრო მეტიც, დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ ფინურ ვაზნას ბადალი არ ჰყავს იმ კონკრეტულ კატეგორიაში, რა დანიშნულებითაც ის შეიქმნა. მისი ეფეტური გამოყენება 1500 მ დისტანციებზეა შესაძლებელი. 1923 წელს ფინეთში, ქალაქ ლაპუაში ტყვიაწამალის დამამზადებელი ქარხანა Lapua შეიქმნა. სწორედ მისი და მისი თანამემამულე კომპანია SAKO-ს მეშვეობით მოხდა ცოტა მოგვიანებით, 1989 წელს, აღნიშნული ვაზნის შექმნა. პროექტში ერთ-ერთი ბრიტანული ფირმაც მონაწილეობდა. შექმნიდან 20 წელზე მეტი გავიდა და კონკრეტული ყალიბის იარაღები დღემდე ლიდერ პოზიციებს იკავებენ მსოფლიო ბაზარზე. მათგან თანამემამულე Sako TRG-42-ის გამოყოფა შეიძლება, რომელიც .338 Lapua Magnum-ის ვაზნებს ისვრის. კომპანია „ლაპუას“ მიერ შექმნილი მოდელებიდან 338 Lapua Magnum Scenar 19,4 gr-ის გამოყოფა შეიძლება, ამით ამაყობენ მისი შემქმნელი კოსნტრუქტორები და ბრენდსაც ხშირად წარმოდგენილი აქვს საგამოფენო კომპლექსებში. ვაზნის ეს მოდელი გამოიყენება როგორც სანადიროდ ასევე სპორტული დანიშნულებისამებრ. ის კონრეტული კალიბრის ვაზნებიდან ერთდროულად, კომბინირებულად ყველაზე მეტ სიჩქარესა და მეტ ენერგიას ინარჩუნებს ნებისმიერ დისტანციებზე, სადამდეც ვაზნა მიფრინავს. მისი საწყისი სიჩქარე 830 მ/წმ-ია, ხოლო ერთ კილომეტრზე ვაზნა 478 მ/წმ სიჩქარეს ინარჩუნებს. რაც შეეხება ენერგიას, მის მიერ საწყის ეტაპზე გამოყოფილი ენერგია დაახლოებით 6700 ჯოულის ტოლია, ხოლო ერთ კილომეტრ მანძილზე ის 2223 ჯოულს უტოლდება. თუმცაღა მძიმე, 19,4 გრამი თავის გამო ვაზნა „ძმობილ“ ვერსიებთან შედარებით მალე ვარდება მიწაზე. მაგრამ მიუხედევად ამისა ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია ზემოთხსენებულ ორ ფაქტორთან, სიჩქრესთან და ენერგიასთან შედარებით. ვინაიდან და რადგანაც ოპტიკური სამიზნის, მანძილმზომის, ბალისტიკური ცხრილისა და სხვა საჭირო ხელსაწყოების მართებული გამოყენების შედეგად მსროლელს ძალულს მისი მიზანში გარტყმა იმ კონრეკტულ დისტანციაზე, რომელზედაც ის ანალოგიური ყალიბის სხვა მოდელს გაარტყავს იმავე სიზუსტით.

1963 წელს, 300 Winchester Magnum . (7,62x67 მმ)-ის ვაზნა შეიქმნა კომპანია „ვინჩესტერის“ მიერ. უხეშად რომ ვთქვათ, მისი მონაცემებისა და ზოგადად მისი თავისებურებების გათვალისწინებით, ვაზნა .300 Weatherby Magnum -ისა და .308 Norma Magnum -ის შუაში შეიძლება განვიხილოთ. მისი შემქნა და თავად ვაზნის ჰილზის სრულყოფილი ჩამოყალიბება .375 Holland&Holland-ის ბაზაზე განხორციელდა. დღესდღეობით .300 Winchester Magnum სხვადასხვა დანიშნულებისამებრ გამოიყენება. მას მოიხმარენ მონადირეები, სპორტსმენები და სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ძალები, როგორებიცაა თავდაცვის სამინისტრო, შინაგანი ჯარი თუ სხვები. დღევანდელი განვითარებული იარაღთმშენებლობა უკვე საშუელებას იძლევა თამამად ვთქვათ რომ მისი ეფექტური სროლის მანძილი 1000 მ-დან 1300 მ-მდე მერყეობს. ვაზნა სასურველ ტრაექტორიას ინარჩუნებს კონკრეტულ მანძილებზე და მსროლელს აძლევს საშუალებას განახორციელოს მის მიერ გამიზნული ჩანაფიქრი. დღესდღეობით აღნიშნული მოდელის საუკეთესო ვერსიას ამერიკული ბრენდები, „ვინჩესტერი“, „ფედერალი“ და ფინური ბრენდი“ საკო“ აწარმოებენ. გარდა ამისა რომ მოხერხდა გამოფენებზე მათ შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოპოვება და შემდგომ მათი სასროლეთში გამოცდა, განხორციელდა „ფედერალისა“ და „საკოს“ მარკის .300 Win. Mag.-ის ვაზნების საქართველოში იმპორტი. მისი დაბალი ფასიდან გამომდინარე, რომელსაც ზემოთხსენებული ბრენდების ოფიციალური პარტნიორი ფირმა „ქარავანი+“ სთავაზობდა თავის მომხმარებეს საქართველოში, საკმაოდ ბევრი გასროლის წარმოება მოხერხდა. შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. თამამად შეიძლება ითქვას რომ ზემოთხსნებეული ორი კომპანია ლიდერია ლიდერთა შორის კონკრეტული ტიპის ამუნიციის დამზადებაში.

DSR-PRECISION GMBH





DSR 50 sniper კალ. 50 BMG

ყალიბი	.50 BMG – 12,7×99 mm
მთლიანი სიგრძე:	
მაყუჩი/კომპენსატორის გარეშე:	123 სმ
მაყუჩი/კომპენსატორთან ერთად:	135 სმ
ლულის სიგრძე:	80 სმ
წონა:	
შაშხანა მჭიდთან და ორფეხა სადგამთან ერთად:	10.300 გრ.
სამიზნე მოწყობილობა:	1.400 გრ.
მჭიდი:	470 გრ.
„ბიპოდის“ ტიპის საყრდენი ფეხები:	680 გრ.
კომპენსატორი/მაყუჩი:	1.680 გრ.
უკუცემის შემამცირებელი სისტემა:	ჰიდრავლიკური ინტეგრირებული სისტემა კონდახში
ცეცხლმაქრი/მუხრუჭ-კომპენსატორი:	ამცირებს უკუცემას, აბალანსებს ლულის რხევას და აქრობს აირების შედეგად გამოწვეულ ალს.
ჩაკეტვის პრინციპი:	6 წახნაგა თავი /ჩაკეტვა ხდება ლულაში, შიგნით
სისტემური კოლოფი/ბუდე:	ლეგირებული, მაღალი სიმტკიცის ალუმინის მასალა
სახლეტი:	ცვლადი, 2 საფეხურიანი სასხლეტი
დაცვა:	3 პოზიციით
მჭიდის ტევადობა	3 + 1 ვაზნა

გერმანული კომპანია DSR-precision Gmbh მდებარეობს ქალაქ ალპირსბახში. მათი წარმოების სფერო მოიცავს ცილინდრული საკეტებით აღჭურვიოი იარაღებს, რომელთა დანიშნულებაა შორ დისტანციაზე ზუსტი სროლის წარმოება. შეიძლება ითქვას რომ DSR-ის მწარმოებელთა ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ ერთ მოდელს აწარმოებენ განსხვავებული ყალიბებითა და დამატებითი აღჭურვილობით. ეს გახლავთ იარაღი სახელწოდებით DSR-1, რომელსაც შეიძლება დაემატოს განსხვავებული ვერსიის შემთხვევაში მოდელის აღმნიშვნელი განმარტებები. ესენია: DSR-1-Subsonic, DSR-1-Tactical Silencer და DSR-50 Sniper. შაშხანების სტრუქტურული აგებულება საშუალებას იძლევა იარაღი გამოყენებულ იქნას პოლიციური და სამხედრო დანიშნულების ჯგუფების მიერ როგორც შედარებით ახლო, ისე საკმაოდ შორს, ექსტრემალურ დისტანციაზე მიზანში ზუსტი სროლისათვის. გარკვეულწილად მზადდება სანადირო მოდელების შესაბამისი ყალიბებით. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ზემოთხსენებული მოდელებისა გახლავთ ეგრედწოდებული „ბულპაპის“ დაზაინი. ანუ ლულა და მექანიზმი შედარებით უკან არის მოწეული და იწყება კონდახიდან. ამით იარაღი შედარებით მოკლეა და ამავდროულად შაშხანას თავის კონკურენტების მსგავსად გრძელი, 65 მმ-იანი ლულა აქვს. ეს კი სრულიად საკმარისია და ზოგ შემთხვევაში მეტიც არის იმისათვის, რომ იარაღმა ღირსეული კონკურენცია გაუწიოს სხვა კომპანიის მიერ წარმოებულ, მსგავსი ტიპის ვერსიებს. გარდა ამისა აღსანიშნავია რომ DSR-1-ის სტრუქტურული აგებულება და ბულპაპის დიზაინი ერთობლიობაში იძლევა უკუცემის შემამცირებელ შედეგებს.

შაშხანის კონსტრუქცია აგებულია და გათვალისწინებულია .338 Lapua. Mag.-ის ვაზნაზე. თუმცაღა დღესდღეობით იწარმოება შაშხანები განსხვავებული ყალიბებით, როგორებიცაა .308 Winchester და .300 Win.Mag. ყველაზე შორს მსროლელი კი გახლავთ მოდელი DSR-50 ყალიბით .50 – BMG. თითოეული მათგანის ლულა მზადდება უმაღლესი ხარისხის ფოლადით და წრთობის პროცედურები სრულად ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება. რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, ლულები თითოეული იარაღისათვის ეგრედწოდებული Free-Floating-Barrel-ის სისტემური აგებულების მიხედვითაა შექმნილი. ანუ ლულა მიმაგრებულია სისტემური ბუდის წინა მხარეს მაქსიმალურად მყარად და მჭიდროდ. მის გაყოლებაზე კი არც მას არც ერთ სხვა იარაღის კომპონენტთან არ აქვს არავითარი შეხება. ანუ იმყოფება თავისუფალი რხევის ზონაში და მხოლოდ სისტემურ კოლოფშია დამაგრებული. ფიზიკის კანონებზე დაყრდნობით, რხევას, რომელიც სხეულის წონასწორობის მდებარეობიდან გამოყვანის შემდეგ გარე ზემოქმედების გარეშე მიმდინარეობს, თავისუფალი რხევა ეწოდება. ხოლო რხევას, რომელსაც სხეული ასრულებს პერიოდულად ცვლადი გარე ძალების მოქმედებით, იძულებითი რხევა ეწოდება. რადგანაც იძულებითი რხევის დროს ხდება სისტემის ენერგიეს შევსება, ეს რხევები (განმეორებადი) არამდგრადია. შესაბამისად თუ გარე ძალების სიხშირეები ემთხვევა თავისუფალ სიხშირეს, რხევის ამპლიტუდა მკვეთრად იზრდება და უკვე საქმე გვაქვს რეზონანსულ მოვლენასთან. იძულებით რხევის ამპლიტუდის მკვეთრი ზრდის მოვლენას, როდესაც გარე ძალის სიხშირე ემთხვევა სისტემის საკუთარი რხევის სიხშირეს რეზონანსი ეწოდება. ამ შემთხვევაში შესაძლოა გასროლამ გამოიწვიოს სწორედ ზემოთხსენებული ფიზიკის კანონების ამოქმედება. ეს საკმაოდ საინტერესო მოვლენაა ბუნებაში და მას ნებისმიერი იარაღის მწარმოებელი ითვალისწინებს თუმცაღა გარკვეულწილად ყველა ერთგვარ ლულებს არ აგებს ხოლმე და საჭიროებისამებრ იყენებენ ზემოთხსენებული მოვლენების ცოდნას.

HEINRICH FORTMEIER

გერმანული Fortmeier ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც შორმსროლელი შაშხანების წარმოებითაა დაკავებული. ტექნიკური მონაცემებისა და სტრუქტურული აგებულების ნახვა ინტერნეტში განთავსებულ მათივე საიტზე ცოტა რთულია. ალბათ ეს მაინც მისი დანიშნულებიდან გამომდინარეობს. საქმე ხომ მაინც სნაიპერულ შაშხანასთან გვაქვს. იარაღების საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც მსგავსი ტიპის იარაღებიცაა გამოფენილი ტრადიციული სანადაიროების გვერდით, შესაძლებელია სასურველი ინფორმაციის მიღება. ამიტომაც Heinrich Fortmeier-ის შესახებ სწორედ რომ მათსავე ქვეყანაში, ქალაქ ნიურნბერგში წარმოდგენილ საგამოფენო კომპლექსში გავიგეთ და დავინტერესდით.

შესრულების ხარისხი იდეალური იყო და როგორც კომპანიის წარმომადგენლებმა განგვიმარტეს ეს პირველ რიგში CNC მანქანა-დანადგარების დამსახურებაა. ზუსტი სროლის მანძილი ანუ ეფექტური სამუშაო დისტანცია მსროლელიდან მიზნამდე გახლავთ 1500 მ. თუმცა 2011 წელს შაშხანამ მოიგო ერთ-ერთი პირველობა და მისი გამოყენება ეფექტურად 2000-2500 მ-ეც სასვებით რეალურია. რა თქმა უნდა ამაში დიდ როლს თამაშობს იარაღის კალიბრი – .50 BMG. აღნიშნული ვაზნა საუკეთესოა მსგავს დისტანციებზე ეფექტური – ზუსტი სროლის საწარმოებლად. ზოგადად კომპანიის



Heinrich Fortmeir სნაიპერული შაშხანა ყალიბით 50 BMG

მიერ წარმოებული შაშხანების არჩევანი განსხვავებული კალიბრებით საკმაოდ ფართოა; 404 Chey Tac, 408 Chey Tac, 338 Lapua Mag, .416 TYR... ჩვენს მიერ განხილვად შაშხანას ყალიბით 50 BMG საერთოდ არ აქვს მჭიდი. ვაზნა პირდაპირ ლულაში განთავსებულ სავაზნეში იდება, რის შემდეგაც იკეტება საკეტი და შაშხანა მზადაა ცეცხლის საწარმოებლად. იარაღის შემქმნელები ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან კონდახის ორთოპედიულობით. დამიზნებისას მხარზე საყრდენ ადგილას სპეციალური რეზინი არის მიმაგრებული. აღსანიშნავია რომ ლოყისა და მხრის საყრდენი კონდახზე ფიქსირებულია და მისი რეგულირება შეუძლებელია. ეს ფაქტორი კი გარკვეულწილად უკარგავს მას კონკურენტუნარიანობას. საკმაოდ კომფორტული ფისტოლეტისებრი ხელსაკიდი ტარი კომპანია „შტეიერის“ მოდელებს (SSG-08) ძალიან წააგავს. ლულის ქვეშ შესაძლებელია ორფეხა სადგამის დამაგრება.

ცეცხლმაქრი, რომელიც უკუცემის შემცირებაშიც დიდი როლს ასრულებს, გამომწვევად მოჩანს ლულის ბოლოში. თავად ლულა აშკარად იდეალურადაა დამუშავებული და ძალზედ სქელია. სისტემური კოლოფის ზემოდან დადებითად ხასიათდება გრძელი და მოხერხებული პიკატინის ტიპის სამიზნე ხიდი, რომელზეც ნებისმიერი სახით ოპტიკური სამიზნე მოწყობილობის დაყენება შეიძლება. მეორე, შედარებით მოკლე პიკატინის ხიდი იარაღს ქვემოდან აქვს გაკეთებული, ორფეხა სადგამსა და სასხლეტის ბუდის შუაში განთავსებულ ხელსაკიდზე.

ზემოთხსენებული კომპანია მხოლოდ და მხოლოდ მსგავსი ტიპის შაშხანების აგებაზე მუშაობს და მათი განმარტებით ძალულთ რომ კონკურენცია გაუწიონ როგორც საკუთარ თანამემამულეებს, აგრეთვე სხვა წარმატებულ ქვეყნებში არსებულ კომპანიებსაც, რომლებიც ამგავრი შაშხანების წარმოებით არიან დაკავებულები.

მეიარაღეობა ბელგიაში-LEBEAU

ბელგიის ცენტრში, ქალაქ ლიეჟში **Rue sant Gilles-**ის 386 ნომერში განთავსებულია კომპანია **Lebeau Courally**. 1865 წელს ავგუსტ ლებომ შექმნა კერძო საწარმო, სადაც იარაღები უნდა დამზადებულიყო. მან შეკრიბა საუკეთესო მეიარაღეთა და ოსტატთა ჯგუფი და დაიწყო უმაღლესი კლასის სანადირო იარაღების წარმოება. ადგილზე იწყობოდა განსხვავებული ტიპისა და კლასიფიკაციის ვერსიები. ოსტატები გლუვლულიან მოდელებთან ერთად ამზადებდნენ სამლულიან იარაღებსაც, იგივე დრილინგებს და მცირეკალიბრიან (5,6 – მმ-იან) შაშხანებსაც. 1876 წელს ავგუსტ ლებომ ფილადელფიაში გამართულ საერთაშორისო იარაღების გამოფენაზე დაიმსახურა პირველი პრიზი. შემდგომ იყო პარიზი, 1878 წელი, სადაც მან საპატიო ხარისხი მიიღო და ოქროს მედალით დაჯილდოვდა. ცოტა მოგვიანებით, 1897 წელს რუსეთში, პეტერბურგში გამართულ გამოფენაზე



Lebeau-ს მაუზერ-98 ბაზაზე აგებული შაშხანა

Verrees – მა შეისყიდა მთლიანი წარმოება. მან ფირმაში მყოფი გამოცდილი, ძველი კადრების დახმარებით შეძლო ახალი თაობისათვის გადაეცა იქ მომუშავე ოსტატების მოღვაწეობის პერიოდში დაგროვილი ცოდნა, გამოცდილება და სპეციფიკური, ორიგინალური ხედვა იარაღის აგების შესახებ. სწორედ მათ

იდეოლოგიაზე დაყრდნობით ბევრი რამ შეინარჩუნა კომპანიამ. ყველაზე მეტად სწორედ რომ აღნიშნული ფაქტორი და ტრადიციულობა უმაგრებს საერთაშორისო ბაზარზე ზურგს „ლებოს“ და უმყარებს ადგილს ელიტარულ მწარმოებლებს შორის, სადაც უმაღლეს ხარისხთან ერთად ამტკიცებს არაერთგზაროვნებასა და ორიგინალურობას.

კომპანიის დღევანდელ წარმომადგენლობას ხშირად გამოაქვს საკუთარი პროდუქცია სხვადასხვა გამოფენებზე. ძირითადათ ისინი ირჩევენ პრესტიჟულ, ელიტარულ და ტრადიციულ ადგილს. მაგრამ ბოლო წლებში აზიურ და აფრიკულ ქვეყნებშიც ტენდენცია იმგვარად განვითარდა, რომ „ლებო“ იქაურ გამოფენებსაც ესტუმრა. ჩვენ რამოდენიმე ევროპულ წარმოდგენაზე მოვახერხეთ მათი ხილვა, ფოტომასალისა და გარკვეული ინფორმაციის მოპოვება მათ მიერ დამზადებულ პროდუქციაზე.

ბელგიური კომპანია **Lebeau** საკონდახე მასალად დღემდე მეზობელი საფრანგეთიდან იმპორტირებულ კაკალს იყენებს. მათი დამზადება-მოპირკეთება ხელით ხორციელდება და საბოლოოდ ზეთით მუშავდება. რაც შეეხება მექანიზმს, ის მრავალგვარი შეიძლება დამზადდეს. ძალზედ პოპულარულია და განსაკუთრებით კოლექციონერთა წრეებში ფასობს ***ლებოს*** გლუვლულიანი თოფები „ენსონ&დილეის“ სისტემით (არასრული, კოლოფისებრი საკეტებით). რა თქმა უნდა მასზე ბევრად ძვირი ღირს სრულყოფილი, გვერდით საკეტებიანი თოფები. აღნიშნული იარაღები იწარმოება საკმაოდ ორიგინალური სასხლეტი მექანიზმებით. მათი ოგირინალურობა განპირობებულია იმით, რომ თოფს შესაძლოა ჰქონდეს ორი სასხლეტი, სურვილის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვიხმაროთ მხოლოდ ერთი სასხლეტი და მასზე ორჯერ გამოკვრის შემთხვევაში ვაწარმოოთ გასროლა.

ძალზედ პოპულარულია სამეფო კლასის ხრახნიანი იარაღები ლულების ჰორიზონტალური განლაგებით. მათი მექანიზმი ძირითადათ სრულიგვერდითი საკეტებითაა აღჭურვილი. გამოფენაზე წამოდგენილი იყო ამგვარი ტიპის სამი განსხვავებული ვერსია. ყველა მათგანს მსოფლიოში საუკეთესო ლინზების მქონე, ავსტრიული ბრენდის, **Swarovski**-ის სანადირო კლასის ოპტიკური სამიზნეები ეყენა.

დღესდღეობით უმაღლესი კატეგორიის, ელიტარულ იარაღების მწარმოებლებში გავრცელებულია „მაუზერის“ ლეგენდარული შაშხანის დამზადება, რომლებიც უკვე ტრადიციების და წეს-ჩვეულებების სახეს-



Lebeau ს თოფი სრულლყოფილი გვერდითი საკეტებით

აც იღებს. შესაბამისად „ლებოსაც“ **Mauser**-98-ის რამოდენიმე ვერსია ჰქონდა წარმოდგენილი გამოფენაზე. ერთ-ერთ შაშხანას ჩვეულ სტილში ბელგიელი ოსტატების მიერ გაკეთებული, მოოქროვილი ორნამენტებით გაწყობილი „ლებოს“ დანაც უმშვენებდა გვერდს. სამეფო კლასის ორლესულ დანებს კომპანია დიდი ხანია ამზადებს. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა ცეცხლსასროლ იარაღსაც მოყვებოდეს აღნიშნული დანა. ხშირად კი ცალკე იყიდება და ხის, ხელნაკეთი ყუთით არის წარმოდგენილი.

„ლებოს“ თოფები ოდითგანვე საუკეთესო საჩუქარი იყო, რაც შეიძლებოდა რომ ბელგიის მეფეს ან სხვა დიდგვაროვანს უცხო ქვეყნის საპატიო მასპინძლისათვის წაეღო ან საკუთარ ქვეყანაში მიღებული სტუმრისათვის ეჩუქებინა. ევროპის სხვადასხვა ქვეყნების დიდებულებისთვის მზადდებოდა და დღესაც მზადდება აქ იარაღები. ბელგიელი მეიარაღეების საამაყოდ უნდა ითქვას, რომ „ლებო“ გარკვეულ კატეგორიებში ლიდერ პოზიციას იკავებს და პირველთაგან ერთ-ერთი მსოფლიოში.



გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი ბელგიური Lebeau-ს გლუვლულიანი თოფები



1882 წელი, ორგდენი, იუტას შტატი. ფოტოზე გამოსახულია ჯონ მოზეს ბრაუნინგის მინი ქარხანა, რომლის შესასვლელშიც ის თავად დგას ძმებთან და ერთ-ერთ ინგლისელ მეიარაღესთან ერთად.



ავთანდილ ფარადაშვილი Browning-ის მისაღებ ოთახში IWA-2015-ზე

ჯონ მოზეს ბრაუნინგი დაიბადა ამერიკაში, იუტას შტატში, ქალაქ ოგდენში, 1855 წლის 23 იანვარს. იგი გახლდათ ერთ-ერთი ვაჟი 22 შვილიდან, რომლებიც სამი სხვადასხვა ცოლისაგან ჰყავდა მამამისს, ჯონათან ბრაუნინგს. ჯერ კიდევ ბავშობაში, საკმაოდ დიდ დროს იგი მამის მიერ დაარსებულ ლულების სახელოსნოში ატარებდა და გაცილებით კარგად ცნობდა იარაღის ნაწილებს, ვიდრე ანბანის ასოებს. მას ადრევე უწინასწარმეტყველებდნენ გენიალურ და აღმოჩენებით აღსავსე მომავალს, ამასთანავე გლობალურ სივრცეში სახელის მოხვეჭას. ხალხი პარალელებს ავლებდა ბრაუნინგსა და ტომას ედისონს შორის, რომელიც გახლდათ იმ დროინდელი ეპოქის თვითნასწავლი უნიჭიერესი იარაღთმცოდნე. 23 წლის ასაკში ბრაუნინგმა დააპატენტა მისი პირველი ერთ ვაზნიანი გლუვლულიანი იარაღი-J.M.Browning Single Shot Rifle. სწორედ ამ პერიოდში იგი დაქორწინდა რეიჩელ ტერესა ჩაილდზე, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მას გვერდში ედგა და საკმაოდ დიდი როლი ითამაშა მეუღლის კარიერულ წარმატებაში.

მამამისის გარდაცვალების შემდეგ, ჯონმა გადაიბარა საქმიანობა და ძმასთან – მეთ ბრაუნინგთან ერთად, იმ დროისათვის თანამედროვე მანქანების გარეშე და 1000 ამერიკულ დოლარზე ნაკლები ფულით, შექმნა, ქალაქის გარეუბანში,შვიდი კაცისგან შემდგარი ქარხანა. არც იყო გასაკვირი რომ ამ პირობებში ბრაუნინგი დიდ წარმატებას ვერ მიაღწევდა და შესაბამისადაც მისი მაღაზია იმ დროისათვის ჯერ კიდევ ერთ-ერთ უბრალო კლასის სამჭედლოდ ითვლებოდა ქალაქის ცენტრიდან საკმაოდ შორს. მაგრამ, როგორც იტყვიან, ჯონათან ბრაუნინგს იღბალმა კარზე დაუკაკუნა კომპანია „ვინჩესტერის“ წარმომდგენლის სახით. მან შეისყიდა ბრაუნინგის ერთ-ერთი მოდელი, რომლის სტრუქტურა და დიზაინი მას საკმაოდ საინტერესოდ ეჩვენა და წარუდგინა ფირმის მაშინდელ მფლობელს.Aამ მოდელის ნახვის შემდეგ, იმდენად აღფრთოვანებული დარჩნენ იმ დროინდელი გიგანტური კომპანიის მმართველები, რომ „ვინჩესტერის“ გენერალური დირექტორი გაემართა საკმაოდ დამღლელ, ექვს დღიან მოგზაურობაში, რათა შეხვედროდა ძმებ ბრაუნინგებს. მათი ნახვის შემდგომ, კმაყოფილებით აღსავსემ, გაუფორმა ხელშეკრულება ძმებს, რომლებიც ათწლეულები უნდა გაგრძელებულიყო. სწორედ აქედან დაიწყო „ბრაუნინგისა“ და „ვინჩესტერის“ ბრენდების ერთობლივი მუშაობა და ჯონ მოზეს ბრაუნინგის ასპარეზზე გამოსვლა – კარიერის აღმასვლა.

1898 წელს ბრაუნგმა წარადგინა თავისი პირველი თვითმტენი გლუვლულიანი თოფი AUTO-5. მას სურდა რომ ზემოთხსენებული იარაღის კონსტრუქცია „ვინჩესტერისათვის“ დაეპატენტებინა. თუმცა იმდროინდელმა კომპანიის დირექტორმა გარიგება უარყო. ერთის მხრივ ამ საქმეში ჯონი დიდძალ თანხას ითხოვდა. მეორეს მხრივ იმასაც ამბობდნენ რომ „ვინჩესტერის“ მანქანა დანადგარები არ იყვნენ მზად ზედმეტად რთული სამუშაოების შეესრულებინად და აეგოთ მსგავსი ტიპის მოდელები. გადაწყდა რომ აღნიშნული ვერსია კომპანია „რემინგტონს“ უნდა ეწარმოებინა. ხელშეკრულების დამტკიცებისა და სამართლებრივი უფლებების მინიჭების დღეს „რემინგტონის“ დირექტორმა, მარსელუს ჰარტლეიმ ინფაქტი მიიღო და გარდაიცვალა. ამის შემდგომ ჯონს ფაქტიურად ერთადერთი რეალური გამოსავალი გააჩნდა, რომელსაც ის ევროპისაკენ მიჰყავდა. იგი გაემართა ბელგიაში სადაც გამგზავრებამდე ჰერშტალში დამყარებული ურთიერთობები ძალიან დაეხმარა საქმიანობის წარმატებით წარმართვაში.

1897 წელს, ბელგიური კომპანიის FN (Fabrique Nationale d'Armes de Guerre)-ის წარმომადგენელი საგრძნობლად



Browning Maxus ხელოვნური მასალის კამუფლირებული, შავი და კარბონის ტიპის კონდახებით

მოიხიბლა 7,65 მმ-იანი ბრაუნინგის პისტოლეტით. იგი აღაფრთოვანა იარაღის ორიგინალურობამ და იმდროისათვის ცოტა უჩვეულო და ამავდროულად უტყუარმა მექანიზმმა. მას შემდეგ FN – მა მოიპოვა ჯონთან ერთად ლიცენზია, რის საფუძველზეც მათ შეეძლოთ ცეცხლსასროლი ფისტოლეტების დამზადება ბელგიაში. ამ მიმართულებით ხანგრძლივი თანამშრომლობა დღესაც დიდი წარმატებით ხორციელდება. მისი წარმატების მიზეზი გახდა 9 მილიმეტრიანი შედევრი, ნახევრადავტომატური პისტოლეტი H.P. – ანუ „ჰაი ფაუვერ“ – უმაღლესი ძალა, რომლის გაყიდვების რიცხვმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. გაიყიდა დაახლოებით მილიონობით ფისტოლეტი, რომელიც სერიულად დაახლოებით 1922-დან 1935 წლამდე იწარმოებოდა. იარაღი შევიდა ბევრი ქვეყნის სამხედრო თუ პოლიციური ძალების შეიარაღებაში. მოგვიანებით კი ისევ გაეშვა სერიულ წარმოებაში და დღემდე ამშვენებს „ბრაუნინგის“ საგამოფენო დახლებს.

მთავარ ფაქტორად ჯონ ბრაუნინგის მიღწევათა სიიდან სახელდება თვითმტენი მექანიზმის აღმოჩენა-განვითარება. ნახევრადავტომატური იარაღის შექმნით, მან მიაღწია კარიერაში ხელოვნების მწვერვალს. იგი გახლდათ როგორც პირველი თვითმტენი გლუვლულიანი იარაღის შემქმნელი, ასევე პირველი აირებით მტენი ნახევრადავტომატური სისტემის კონსტრუქტორი, რომელიც მან სრულიად შემთხვევით და უცნაურ გარემოში აღმოაჩინა. ერთ-ერთი იარაღის გასინჯვის დროს, ჯონმა დააფიქსირა, რომ როდესაც ლულიდან ვაზნა გადიოდა, ანუ გასროლის დროს, ლულის ბოლო ნაწილს გარშემო ფოთლები ირხეოდა. ეს ფაქტი მაშინ უცნაურად არავის ეჩვენებოდა, მაგრამ როდესაც მან თავის თავს დაუსვა კითხვა თუ რატომ ხდებოდა ზემოთხსენებული მოვლენა, მივიდა იმ დასკვნამდე რომ ფოთლების შრიალი გამოწვეული იყო ვაზნის გასროლის შედეგად გამოყოფილი ჭარბი აირებისაგან – გაზებისაგან. სწორედ ამ გენიალურმა აღმოჩენამ განაპირობა ამგვარი ტიპის თვითმტენი მექანიზმის წარმოშობა-განვითარება. ამით ჯონ მოზეს ბარუნინგის აღმოჩენა გახდა აირებით მტენი ნაახევრადავტომატური იარაღის შექმნის საწინდარი. ამ სისტემის წარმატებამ განაპირობა მისი პირველი ვიზიტი ბელგიაში, ჰერშტალში.

ალბათ არავის გვქავს უფლება ბრაუნინგის წარმატებას შემთხვევითობა ვუწოდოთ. მისი ძლიერი ხასიათი, ღვთის წყალობა და დაუზოგავი შრომა გახდა მიზეზი უნიჭიერესი პიროვნების წარმატებისა. მან გამოიმუშავა საკუთარი ცხოვრების წესი, რომელიც ავალდებულებდა საქმის დაბოლოებაში და პრინციპულობაში. ჯონ მოზეს ბრაუნინგი გარდაიცვალა გულის ინფაქტით საკუთარი შვილის ხელებში 1926 წელს, ბელგიაში, ჰერშტალში, 61 წლის ასაკში. მისი საბოლოო სიტყვები იყო „ჩემო შვილო, მე ეს არ უნდა მიკვირდეს, რომ ვკვდები“.

საუკეთესო რაც კი არსებობს

125 წლიანმა წარმატებულმა კარიერამ და დაგროვილმა გამოცდილებამ შედეგი გამოიღო და კომპანია ბრაუნინგმა უკვე XXI-საუკუნეში დაიწყო ძველებური და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების შერწყმით იარაღების დამზადება. მისი მოდელები, რომლებიც დამზადებულია პროფესიონალი მონადირეებისა და იარაღთმცოდნეების მიერ სიმბოლოა ხარისხის და საიმედოობის. ფირმის წარმოების ხარისხიანობა აისახება დამზადების ეტაპებზეც. დღესდღეობით იარაღები მზადდება ქარხანაში, რომელიც დაკომლექტებულია უახლესი CNC-მანქანების უზარმაზარი პარკით და პროფესიონალი ხელოსნებით. მანქანა 3 დიმენსიონალური მაჩვენებლით განაპირობებს პროდუქციის საიმედო კონტროლს და ბევრისათვის მიუღწეველ სიზუსტეს დამზადებისას. PVD – მანქანების მეშვეობით ხდება ვაკუუმში ტიტან-ნიტრიდის და ქრომ-ნიტრიდის მიკრონაწილაკებით ლულების ზედაპირის დაფარვა. ტრადიციული მასალების გვერდით ხდება თანამედროვე მასალების უახლესი ტექნოლოგიებით დამუშავება. კაკალთან და რკინასთან მიმართებაში კეთდება პარალელი და დღევანდელი მანქანათმშენებლობის მაღალგანვითარების ხარჯზე იწარმოება



Browning-ის ორლულიანი თოფები გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე



Browning-ის გლუვლულიანი თოფი სრულყოფილი გვერდითი საკეტებით – ხელნაკეთი გრავირებით



გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე Browningi-ის არასერიულ თოფებთან განთავსებული იყო არასერიული Browning Bar კლასიკურ, რეტროს ტიპის დიზაინით

მყარი ალუმინის, კომპოზიტის და კარბონის მასალები.

ბრაუნინგის აზრით მოდერნიზაცია განპირობებულია იარაღის სილამაზისა და პრაქტიკულ მოხმარებაში. რასაკვირველია ფირმას არ ავიწყდება, რომ კონკრეტული საგნის ფუნქციონალურობა და მექანიზმის საუკეთესო მუშაობა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია თანამედროვეობის. უამრავი გამოგონებებიდან და აღმოჩენებიდან შეეცდებით წარმოგიდგინოთ რამოდენიმე მათგანი მაინც.

„ბრაუნინგისა“ და „ვინჩესტერის“ ერთობლივი მუშაობის შედეგია ახალი კომპაქტური მაგნუმის ვაზნები – Winchesteer Short Magnum და Winchester Super Short Magnum. მათ სისწრაფის ხარჯზე გააჩნიათ საკმაოდ მძლავრი ენერგია, რომელიც გაზომვისას უტოლდება მაგნუმის ან სემიმაგნუმის (ნახევრად მაგნუმის) ვაზნებს. ამავდროულად უნდა აღინიშნოს რომ ზემოთხსენებულ ვერსიებთან შედარებით ნაკლები უკუცემა აქვთ, რაც განაპირობებს სწორედ მათ ინდივიდუალიზმსა და უნიკალურობას.

B.O.S.S.-სისტემა, ანუ ბალისტიკური ოფტიმიზირებული სასროლი სისტემა. ესაა კიდევ ერთი თანამედროვე გამოგონება ბრაუნინგისა, რომელიც ლულაზე დამაგრებული მოძრავი ცეხლმაქრის მეშვეობით განაპირობებს იარაღის უკუცემის შემცირებას და უზრუნველყოფს კონკრეტული ვაზნის, ტყვიის წონის შესაბამისად, სროლის ბალისტიკური მონაცემების მკვეთრ გაუმჯობესებას.

წინა საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ბრაუნინგი ჩამოყალიბდა ლეგენდარულ მარკად, რაც განაპირობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში განთავსებულმა სტაციონალური კვლევითი ცენტრების (Browning – FN) წარმატებულმა მუშაობამ და ტენდენციისამებრ მოდერნიზებული მანქანების გამოყენებამ. ჩამოთვლილთა რიცხვს აუცილებლად უნდა დავუმატოთ ამთვლელი მანქანა CAD, თუნდაც ფოტოაპარატი რომელიც წამში 25000 კადრს აფიქსირებს. ამ ყველაფერმა და ხარისხის მკაცრმა კონტროლმა ჩამოაყალიბა საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზროვნებაში საიმედო და მძლავრი ბრენდი.

ახალი პროდუქციის აღიარება

საკუთარი მარკეტინგული წარმოების ტესტირებას ყოველთვის მკაცრი ხასიათი აქვს და B.A.C.O., რომელიც გახლავთ ტესტის სახელწოდება, შესაბამისად განაპირობებს საუკეთესო ხარისხს. არც ერთი იარაღი არ გაიშვება პოდუქციაში, თუ არ შეესაბამება აღნიშნული მაკონტროლებელი ჯგუფის მიერ დაწესებულ სტანდარტებს. ამასთანავე კომპანია ახორციელებს კონტროლს ბაზარზე გამოტანილ თოფებზე, რომლებმაც დატოვეს „ბრაუნინგის“ საწყობი და ელოდებიან უკვე მომავალ პატრონს.

ფუნქციონალურობის და საიმედოობის – გამძლეობის ტესტი

ეს ტესტი განაპირობებს იარაღის მუშაობას ნებისმიერი ტიპის ვაზნების გამოყენებისას. ხდება ათასობით ვაზნის გასროლა რათა მიღწეულ იყოს მაქსიმალური შედეგი. ტესტირების დროს, როგორც ყველა ულტრათანამედროვე წარმოებებში, ხდება დღევანდელი სტანდარტების შესაბამისად თოფების გასროლა და შემოწმება, რათა გამოავლინონ იარაღის შესაძლებლობების 100% და უზრუნველყონ ყოველმხრივ უსაფრთხო მოდელების წარმოება. ბრაუნინგის ტესტ ჯგუფის B.A.C.O.-ს მიერ გლუვლულიანი თოფით ხდება 2000 ვაზნის გასროლა. სანადირო შაშხანებით 5000 ვაზნის, ხოლო სპორტულით ხდება 10.000 ვაზნის გასროლა. მაგრამ აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ტესტირების დროს 50 ვაზნის გასროლის შემდეგ ხდება ლულების გაცივება, ხოლო 500 ვაზნის გასროლის შემდგომ თოფის ლულისა და მექანიზმის გაწმენდა კონსტრუქტორების აზრით თითოეულ თოფზე აუცილებლობას წარმადგენს.

ტესტირება ექსტრემალურ პირობებში

კომპანია „ბრაუნინგის“ მომსახურე პერსონალის მიერ ხდება ექსტრემალური კლიმატური პირობების გათვალისწინება და ტარდება ტესტირება თოფის მუშაობაზე-30° – დან +50° – მდე, რათა მეპატრონე უზრუნველყოფილი იყოს ყველაზე ურთულეს ბუნებრივ პირობებშიც კი. შესაბამისად მან უნდა განახორციელოს „ბრაუნინგის“ იარაღით იარაღის შესაბამისი, ნებისმიერი ტიპის ვაზნის შეუფერხებლად გასროლა.

იარაღის მაკონტროლებელი

მანამდე სანამ თითოეული იარაღი დატოვებს ქარხნის ტერიტორიას, ხდება მათი დეტალურად ვიზუალური თუ ფუნქციონალური შემოწმება, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი წუნი. ხორციელდება თითოეული თოფის გასროლა და შემდგომ სათანადოთ მათი გაწმენდა, ანუ გასუფთავება იმ დონეზე, რომ ლულას ეტყობოდეს ნასროლი და მისმა მომავალმა მფლობელმა ნახოს ყიდვისას რომ მისი თოფი ნამდვილად ახორციელებს გასროლას.

ბალისტიკური ტესტი

იარაღის ბალისტიკური ტესტის ჩატარება ხდება უმკაცრეს პირობებში. ისინჯება გლუვლულიანი თოფის ვაზნის სროლის სრული ბალისტიკა. კონტროლდება შიდა და გარე ბალისტიკა. ხორციელდება საფანტის ძალის-ენერგიისა და სიჩქარის გაზომვა. ხრახნლულიანების შემთხვევაში ბალისტიკური თვალსაზრისით პირველ რიგში ხდება ზუსტი სროლის ტესტირება და ეფექტური სროლის მანძილის დადგენის შემდგომ სხვა ბალისტიკური შედეგების შეჯამება.

BROWNING B-25

1925 წელს, ბოლოჯერ შეავლო ხელი ბრაუნინგმა იმ დროისათვის ჯერ კიდევ პროტოტიპს, გლუვლულიან თოფს ლულათა ვერტიკალური თანწყობით, რომელსაც თავის კატეგორიაში იარაღთმშენებლობის ისტორიის თანმიმდევრობა უნდა შეეცვალა. მან თოფს უბრალოდ Browning 1925-ის შესაბამისად უწოდა B-25. ამ კლასიფიკაციის ნებისმიერ მოდელი შესაძლებელია დამზადდეს როგორც წყვილ (ტყუპ) მოდელებად, ასევე დამატებითი ლულებით ან ხრახნლულიან იარაღად მოხდეს მისი გარდაქმნა. ეს პირველესყოვლისა მეტყველებს მოდელის იმიჯზე და განმარტავს მის კატეგორიას. წარმოიდგინეთ თქვენთვის დამზადებული თოფი, თქვენს მიერვე შერჩეული გრავირებითა და ბრაუნინგის მომსახურე პერსონალის მიერ ბრწყინვალედ დამუშავებული დეტალებით. სწორედ ასეთ პირობებს გვთავაზობს ბელგიაში, ჰერშტალში მდებარე ქარხნის Custom shop-ის დიზაინერთა ჯგუფი. B-25 არის ბოლო ნამუშევარი გენიალური გამომგონებლის, ნიჭიერი კონსტრუქტორის, მჭედელის და იარაღთმცოდნის, ჯონ მ. ბრაუნინგისა. როდესაც ადამიანი არის „B-25“-ის მფლობელი, მას პარალელურად აქვს აუცილებლად იმის შეგრძნებაც რომ იგი არის ხელოვნების ნიმუშის მეპატრონე. ეს გახლავთ კონცეფტი, რომელიც ადასტურებს რომ მისი შემქმნელი ძალიან კარგად იცნობდა მონადირეებს და იცის მათი სურვილები. ჯონ მოზეს ბრაუნინგმა და კომპანიამ შეიძლება ითქვას, აიხდინა ოცნება და შექმნა სრულყოფილი იარაღი ბრწყინვალედ შესაბამისებული წონით – ბალანსით, ურთულეს ექსტრემალურ პირობებსა თუ ათწლეულების გასვლის შემდგომ საიმედო, უტყუარი მუშაობის პრინციპითა და რეალურ ფასთან ერთად კლასიკური, ტრადიციული, ესთეტიკური დიზაინით.

B-25-ის ხილვა და მის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოპოვება ჩვენთვის არასდროს წარმოადგენდა პრობლემას, რამეთუ „ბრაუნინგის“ ქართველი პარტნიორის, კომპანია „ქარავანი+“-ის სახელით მუდმივად გვეძლევა საშუალება ამა თუ იმ საგამოფენო კომპლექსში წარმოდგენილი პროდუქცია შევისწავლოთ და მოვიპოვოთ გარკვეული ფოტო მასალა თუ ზოგადად ინფორმაცია ბელგიელების მიერ წარმოებული გარკვეული მოდელების შესახებ. (წიგნში შემოთავაზებული მოკრძალებული ფოტომასალა თუ B-25-ის მცირე აღწერილობა სწორედ ზემოთხსენებული ვიზიტების მეშვეობით მოვიძიეთ. ამისათვის პირველ რიგში დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ მთლიანად ბრაუნინგის ევროპულ გუნდს, ევრაზიის ბაზარზე მომუშავე პერსონალს, და ჩვენს მეგობარსა და პარტნიორს, ბატონ დომინიკს).



Browning B 25 ის თანამედროვე სერიული ვერსიები





BROWNING B725

2012 წელს კომპანია „ბრაუნინგმა“ წარმოადგინა ახალი თოობა **B25-ის** სერიებისა, **B 725.** მანამადე სანამ მის განხილვას დავიწყებდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ **B** 625, ანუ მეექვსე თაობის მოდელი საერთოდ არ შექმნილა. **B525-**ის მერე, რომელიც დღემდე სერიულ წარმოებაშია პირდაპირ დაიწყო უფრო დახვეწილი და გაუმჯობესებული, ახალი თაობის, **B 725**-ების წარმოება.

2012 წლის მარტში, იარაღის გამოჩენისთანავე საშუალება მოგვეცა გამოფენაზე შევხვედრილიყავით კომპანია „ბრაუნინგის“ საექსპორტო მმართველსა დომენიკ გინესსა და ქარხანაში მოღვაწე კონსტრუქტორებს. ჩვენთვის შესაძლებელი გახდა გაგვეგო რითი იწონებს თავს ახალი მოდელი და ჩვეულებისამებრ რას უწუნებდნენ კრიტიკოსები თუ კონკურენტი კომპანიის წარმომადგენელი სპეციალისტები. უნდა აღინიშნოს, იარაღი იმდენად სრულყოფილად იყო აგებული და იმდენად მაქსიმალური წინდახედულობით იყო მისთვის ესა თუ ის ფუნქცია შერჩეული, რომ ყველას უჭირდა უარყოფითი მხარეების დასახელება. ზე-



მწარმოებელი:	Browning International	
მოდელი:	**B725 Sporter**	**B725 Hunter**
ყალიბი:	**.12/76**	
ლულის სიგრძე: (სმ)	**71, 76, 81.**	**66, 71, 76.**
ჩოკები:	**Invector DS – 0 – 1/4 – 1/2 – 3/4 – 1**	
წონა: (კგ)	**3,5**	3,3 (ერგალის სისტემური კოლოფით 3,0)
კონდახი:	ზეთით დამუშავებული, 2,5 – 3 კატეგორიის კაკალი	
საგამოფენო ფასი:	**2550 EU**	**2559 EU**



Browning B725 გადახსნისას იგრძნობა მის წინამორბედთან შედარებით მოხერხებულობა

თით დამუშავებულ კაკლის კონდახზე ახალი ტიპის, საკმაოდ სქელი და რბილი მხარზე საყრდენი – **Inflex II** სისტემა იყო დამაგრებული. აღნიშნული დეტალები ახალი, სპეციალური მასალისაგანაა შექმნილი და სამი განსხვავებული სისქის – 12მმ – 20მმ – 25მმ – მოყვება სერიულად თითოეულ თოფს.

წინამორბედებისაგან განსხვავებით დაიხვეწა იარაღის ბალანსი. სისტემა, რომელსაც **ERGO BALANCED** უწოდეს, ახალი თაობის **B725-**ის ყველა სერიულ მოდელზე გვხვდება. მიუხედავად წონისა სპორტული მოდელიც კი ხელში მოხერხებულად გიჭირავს და წონა მსროლელს საერთოდ არ აწუხებს. არანაკლებ კომფორტული შეგრძნება ეუფლება სპორტსმენსა თუ მონადირეს „ბრაუნინგ სინერჯის“ ხელში აღებისას, თუმცა ამ შემთხვევაში უფრო დაწვრილებითაა თოთოეული დეტალი მთლიან თოფთან მიმართებაში დაბალანსებული. ფისტოლეტისებრი ტარის ფორმა პრაქტიკულადაა გაკეთებული და მასზე ხელის მოკიდება საკმაოდ მოსახერხებელია. კონდახზე ლოყის დადებისას სტანდარტული აღნაგობის პიროვნებისათვის იქმნება იდეალური გარემოება სროლის განსახორციელებლად. თავს არ სჭირდება დასამიზნებლად მოძრაობა და ამ ყოველივეს შესრულება მხოლოდ თვალით ხდება. მაჯა იდეალურად ერგება კონდახს, ხოლო თითის გამოკვრა სასხლეტზე იოლად და მოხერხებულად ხორციელდება. ამგვარი ნიუანსები პირველ რიგში სპორტსმენს უქმნის შესანიშნავ გარემოს შეჯიბრების მოგებისა.



Browning B725 Sporter ჩამკეტი მუხლები დაკეტვისას ძალზედ მყარად და საფუძვლიანად ჯდებიან თავისათის განკუთვნილ ჩარჩოებში

B725 აღჭურვილია ახალი ტიპის „მექანიკური სასხლეტი“ სისტემით. ის საშუალებას იძლევა გასროლის წარმოებისას მსროლელმა „შეიგრძნოს“ და აღიქვას გასროლა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია პროფესიონალისათვის. ახალი მექანიზმი წინამორბედებისაგან განსხვავებით უფრო მოკლე, სწრაფი და მსუბუქია. დეტალების სიმარტივისა და სიმცირის გამო განდეტალებაც იოლად ხორციელდება და რაც ყველაზე მთავარია, სისტემა საშუალებას იძლევა ნებისმიერი ვაზნა გასროლილ იქნეს ყოველგვარი შეფერხების გარეშე, მაშინაც კი თუ სისტემურ კოლოფში მხოლოდ ერთი მათგანი დევს. აღსანიშნავია რომ აღნიშნული პრინციპი ეგრეთწოდებულ „ინერციულ“ სისტემებში არ გვხვდება და მათ შემთხვევაში თოფში არსებული მხოლოდ ერთი ვაზნის გასროლა შეუძლებელია „სელექტორის“ გადართვის გარეშე. თოფს, ძირითადად კი სპორტულ ვერსიებს, სერიულად მოყვება სხვადასხვა ზომის – ფორმის ცვლადი სასხლეტები. აგრეთვე შესაძლებელია მათი იარაღზე დაყენების შემდგომ რეგულირება.

ახალი „ბრაუნინგისათვის“ იწარმოება როგორც რკინის, ასევე მყარი ალუმინის-ერგალის სისტემური კოლოფები. სპორტული ვერსიები ძირითად შემთხვევებში რკინის ვერსიებით არიან ხოლმე აღჭურვილნი. 525 – გან განსხვავებით 725-ის აღნიშნული დეტალი უფრო თხელი და დაბალია. მისი უპირატესობა მდგომარეობს პრაქტიკულ და იოლ ექსპლოტაციაში. აღსანიშნავია რომ გათხელების ხარჯზე დაცულია ბალანსი. რაც შეეხება სისტემური კოლოფის ჩამკეტ სისტემას, ის სრულიად ახალ პრინციპზეა აგებული, რომელიც „ბრაუნინგის“ კონსტრუქტორებმა შექმნეს. ლულაზე განთავსებულია ორი დამოუკიდებელი ჩამკეტი კბილი. პირველი სავაზნის დასაწყისის ქვედა მხარესაა განთავსებული და შუაზეა გაყოფილი. მეორე კი დაახლოებით სავაზნის ბოლოსკენაა და შუაში ჩადგმული აქვს დამატებითი, დამხმარე მუხლი.

ზემოთხსენებული ორივე კბილი თოფის დაკეტვისას სპეციალურად მისთვის განკუთვნილ ჭრილებში ჯდებიან. ამასთანავე თავად სისტემური კოლოფის მარჯვენა და მარცხენა კედლებზე გაკეთებულია ჭრილები, სადაც ლულაზე, სავაზნის გარე კედლებზე მიმაგრებული ეჯექტორის (ჰილზის ამომგდების) დამჭერები ჯდებიან. საერთო ჯამში ყველაფერი გათვლილია როგორც ინჟინერ-კონსტრუქტორების მიერ,



Browning B725 Hunter და B725 Sporter დაშლილი და გახსნილი ლულებით თალსაჩინოების მიზნით



Browning-ის Invector DS ჩოკების სისტემის ნიმუში თოფის გახსნილ ლულაზე



Browning-ის სისტემა Vectro-Pro – Back-Bore-ის ნიმუში თოფის გახსნილ ლულაზე

ისე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. სავარაუდოდ სწორედ აღნიშნული გარემოების ხარჯზე იძლევა კომპანია „ბრაუნინგი“ **B725-ის** სისტემურ კოლოფზე 10 წლიან გარანტიას.

B725 ყველაზე მეტად ლულითა და მისი სტრუქტურული აგებულებებითა თუ სისტემებით ფასობს. ტრადიციისამებრ „ბრაუნინგი“ საუკეთესო უნდა იყოს ბალისტიკური თვალსაზრისით და უნდა აჯობოს ყველა კონკურენტ თოფს. სწორედ ეს გახლავთ მისი უპირატესობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გამოჩენა ბაზარზე შესაძლოა კრახით დასრულდეს. ამიტომაც ახალი მოდელის შემქმნელებმა შეიმუშავეს სამი ერთმანეთზე გადაბმული, ლულის შიდა პერიმეტრში არსებული სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ბალისტიკური მონაცემების გაუმჯობესებას, ამცირებს უკუცემას და ზრდის რესურსს. აღნიშნული პრინციპების უკეთ გასაგებად ნიურნბერგის საგამოფენო კომპლექსში თავად თოფის მთავარმა კონსტრუქტორმა არჩევულებრივად და ჩვენთვის იოლად გასაგებად ჩამოგვიყალიბა და აგვიხსნა აღნიშნული ფუნქციების უპირატესობები . აგრეთვე წარმოგვიდგინა **B725-ის** ლულა და სისტემური კოლოფი საჩვენებელ, გახნილ მდგომარეობაში. მოპოვებულ ფოტომასალაზეც კარგად ჩანს ეს ყოველივე. „ბრაუნინგის“ ლულაზე გაზომილი და გაჭრილი იყო ყველა ის სისტემის განთავსების პერიმეტრი, რომლითაც ზემოთხსენებული თოფია აღჭურვილი.

პირველი მათგანი გახლავთ ბევრისათვის უკვე კარგად ცნობილი **Vectro Pro** სისტემა. მისი არსებობის შემთხვევაში სავაზნის (20,3 მმ) შემდგომი პერიმეტრი საკმაოდ ფართოა, მისი სიგრძე 32 მილიმეტრია და მხოლოდ მას შემდგომ იწყება ლულის შუა პერიმეტრის სტანდარტული, ერთგაროვანი 18,8 მმ დიამეტრიც მქონე ხვრელი. სწორედ რომ სავაზნიდან ლულის სტანდარტულ ხვრელამდე „გადამსვლელი“, აღნიშნული 32 მილიმეტრიანი პერიმეტრი ამცირებს ნებისმიერი სახის ტყვიის, ფინდიხისა თუ საფანტის დეფორმაციის ალბათობას. ეს კი საწინდარია უკეთესი ბალისტიკური შედეგებისა როგორც ნადირობის თვალსაზრისით, ასევე სპორტული სროლისას, მიზანში ზუსტად მოსახვედრად.

მეორე გახლავთ პირველზე გადაბმული სისტემა. სწორედ **Vectro Pro-ს** შემდგომ პერიმეტრს **Back – Bored** სისტემა ეწოდება. ამ ორი პრინციპის ურთიერთშეთანხმების ხარჯზე იზრდება ნასროლის სიჩქარე და ტყვიის გამტარუნარიანობა ლულის კედლებს შორის. ამავდროულად მცირდება უკუცემა, რადგანაც გასროლილი ვაზნა შიგნით უფრო იოლად, სხვადასხვა დამაბრკოლებელი ფაქტორების გარეშე გაედინება.

მესამე პრინციპი გახლავთ სრულიად ახალი კონცეფტი „ბრუნინგის“ გუნდისა – **Invector DS (Double Seal)** სისტემა. ზოგადად რაც უფრო გრძელია ლულის პირის ღრუში განთავსებული ჩასახრახნი ჩოკი, მით უფრო მეტია მისი ფუნქციონალურობის ალბათობა. ჩვენ შემთხვევაში იმის გარ-



Browning B725

და რომ „ბრაუნინგის“ ჩოკი სიგრძეში 80 მმ-ია, მას სხვა უპირატესობებიც გააჩნია სტანდარტული ჩოკებისაგან განსხვავებით. მას ხრახნი გაკეთებული აქვს ლულის პირი ღრუსკენ, სანათურის გასავალში. საპირისპირო მხარეს კი გაკეთებული აქვს სპეციალური რგოლი. ის იცავს გასროლის შედეგად გამოყოფილი აირებისაგან თუ სხვა დამაბინძურებელი გარემოებისაგან, რომლებიც შესაძლოა მოხვდნენ ჩოკსა და ლულას შორის. კომპანია „ბრაუნინგს“ ჩატარებული ჰქონდა ტესტი, რომლის ფოტომასალაც საგამოფენო ჟურნალებში იყო განთავსებული. ზემოთხსენებული **Invector DS** ჩოკით გაკეთებული იყო სხვა კონკურენტ ვერსიასთან ერთად ხუთასი გასროლა შეუსვენებლად. შედეგი აშკარად განსხვავებული იყო. „ბრაუნინგის“ მიერ შექმნილი ვერსია ბევრად სუფთად და კარგად გამოიყურებოდა.

გამოფენაზე წარმოდგენილმა ბელგიელების ახალმა მოდელმა იდეალური შთაბეჭდილება დატოვა უბრალო მნახველებისა თუ პროფესიონალი შემფასებლების ძირითად ნაწილზე. თოფი ძალიან ბევრი მეიარაღის აზრით დასახელებულ იქნა თავის კატეგორიაში **IWA-2012-ის** საუკეთესო ვერსიად კონკრეტულ კრიტერიუმების გათვალისწინებით. ბრაუნინგ სინერჯი



მოდელი	**Browning Cynergy Hunter Light Grade 4**
მწარმოებელი	**FN – Herstal, Belgium** – ქ. ჰერშტალი, ბელგია
კალიბრი	12/76
სისტემა	რასრული კოლოფისებრი საკეტები, ინჟექტორებით. ერთ სასხლეტიანი
მჭიდის ტევადობა	2
ლულის სიგრძე	71 სმ
მთლიანი სიგრძე	1180 მმ 1140 მმ
ხის კატეგორია	მე-5 კატეგორიის კაკალი
მიახლოებითი ფასი	3250 ევრო



ბრაუნინგ სინერჯი

„XXI საუკუნის რევოლუცია“. ასე უწოდებენ მას მისი შემქმნელები. ამართლებს თუ არა იგი ამ სახელს, ამას იარაღის ტესტირებისას გავიგებთ. „სინერჯი“-თოფი, რომლის დანახვაზეც მონადირესა თუ სპორტსმენს ერთნაირად გამოეყოფა ორგანიზმში ადრენალინი. ათწლეულობით მუშაობამ და მცდელობამ პოდუქციის განახლებისა და განვითარებისა გამოიღო შედეგი და სახეზეა იარაღი, რომლითაც ამაყობს „ბრაუნინგის“ ჯგუფის თითოეული წევრი. უახლეს მოდელს, რომელიც ჯერ სულ რაღაც 4 – 5 წელია სერიულ გაყიდვაშია, მოგებული აქვს უკვე საკმაოდ ბევრი ტურნე და ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და დახვეწილი დიზაინის მქონე თოფად. ამჟამად უკვე არსებობს როგორც სპორტული – ასევე სანადირო ვერსიებიც. რთულია სრულად აღწერო და გადმოსცე „ბრაუნინგის“ ეს მართლაც უფრო ბევრი დადებითი თვისებების მქონე თოფი, ვიდრე უარყოფითის. „სინერჯის“ მექანიზმში აქვს ბევრი უახლესი და დღესდღეობით ხშირად გამოსაყენებადი ფუნქცია. „ბექ-ბოარდ“ სისტემური ლულები, რომლებიც წიგნში ხსენებულ **B 5.25**-ის შემთხვევაში იქნა აღწერილი, გათვლილია რკინის საფანტზეც. ის ხელს უწყობს ვაზნის ბოლომდე დახარჯვას და წნევის სრულყოფილად გამოყენებას. ვაზნის სიჩქარეს ხდის უფრო სწრაფს და აუმჯობესებს ბალისტიკურ მონაცემებს. რაც ასევე აუცილებლად აღსანიშნავია იარაღის უკუცემის ძალას ამცირებს 6 %-ით. „ბექ-ბოარ“ სისტემასთან ერთად იარაღს აქვს ხუთი „ინვექტორ+“ ჩოკები, ანუ ლულის ბოლოში ეხრახნება არა სტანდარტული დამატებითი ჩოკები, არამედ შედარებით გრძელი, სპეციფიკური ჩოკები – **diamond titanium choke**.

თოფს, როგორც „ბრაუნინგის“ თითქმის ყველა ვერტიკალურ მოდელს, გააჩნია 10 წლიანი გარანტია მექანიზმზე. სპორტულ ვერსიებს თან ახლავს რეზინის საკონდახე საყრდენები, რომლის დახმარებითაც ადვილად შეიძლება ნებისმიერი აგებულების და აღნაგობის ადამიანმა მოირგოს თოფი მხარზე. ამასთანავე ის ამცირებს იარაღის უკუცემის ძალას და შესაბამისად სროლას ხდის კომფორტულს. „სინერჯის“ მექანიზმის თხელი დიზაინი და ხის დეტალების თანამედროვე ფორმები ჯამში იძლევა იდეალურ შედეგს, თოფი გაწონასწორებულია, დაბალანსებულია და ერგონომიულობა აშკარად იგრძნობა ზუსტად ისე, როგორც ამას მოითხოვს სპორტი ან სანადირო ვერ-

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
Browning Cynergy	
მომხიბლავი, თანამედროვე დიზაინი	ღვედის დამჭერების კომპლექტაციაში უქონლობა
შესრულების მაღალი ხარისხი	
წონა (3.1კგ)	
იდეალური ბალისტიკური მონაცემები.	

სიების შემთხვევაში, ნადირობა. როდესაც შემცირებულია დარტყმის ძალა და დაცულია წონასწორობა, სროლის დროს მეორე ვაზნის გასროლა ხდება აუცილებლად გაცილებით უფო ადრე, ვიდრე ეს სხვა შემთხვევებში შეიძლება განხროციელდეს. ეს ფაქტორი პირველ რიგში სპორტსმენებს ეხმარება და ზოგადად სპორტულ სროლას უწყობს ხელს. ზემოთხსენებული მოდელი გამოდის სერიულად ორი სახეობის ყალიბის – 12, ყველაზე გავრცელებული ყალიბი მსოფლიოში და 20. ჭმისი ლულების სიგძე ძირითადათ, სერიულ შემთხვევებში სამ კატეგორიად იყოფა: 71, 76 და 81 სმ-ის სიგრძის მაგნიუმის (76 მმ), ან სპორტული ვერსიების შემთხვევებში, არამაგნუმის (70 მმ) ლულები. ხის დეტალების დამზადება იწყება მე-3 კატეგორიის ხისაგან. „სინერჯის“ გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თხელი, 60 მმ-იანი საკეტი მექანიზმის სისტემური კოლოფი. თოფისათვის დამახასიათებელი უსწრაფესი ქმედება, მე-2 ვაზნის გასროლა, რომელიც 0,0019 წამში სრულდება, მხოლოდ სინერჯის დამცემ დარტყმელ მექანიზმს ძალუძს. ეს მაშინ როდესაც ყველაზე სწრაფი სასხლეტი მექანიზმი იგივე მოქმედებას ასრულებდა 0,0031 – წამში. მოდერნიზირებული და აბსტრაქტული ესთეტიკა, ინოვაციური დიზაინი, დამახასიათებელი ხაზებითა და სილუეტებით თოფს ხდის დღევანდელი განვითარებული სამყაროსათვის მისაღებს. ამავდროულად ხდება წარსული ტრადიციების შენახვა – გამოხატვაც.

ჩვენს მიერ განხილვადი თოფი გახლავთ სინერჯის სანადირო, მე-4 მოდელის მსუბუქი ვერსია მაღალი ხის კატეგორიით – **CYNERGY HUNTER LIGHT GRADE-4**. მისი არასრული დაშლა საკმაოდ მარტივია და „ჩვეულებრივ“ ხორციელდება. ლულის ქვეშა კონდახზე განთავსებული ენის დაბლა დაწევით იხსნება ხე და შემდგომ შესაძლებელია სისტემურ კოლოფთან მდებარე, ზედა ბერკეტის მარჯვნივ გადაწევით ლულის მოხსნაც. საკეტი მექანიზმი ლულას 2 სქელი, დაახლოებით 3 მმ-ინი მრავალკუთხა რკინის საშუალებით კეტავს. ტიბჟირი და კონდახი, რომელსაც პისტოლეტისებრი ხელსაკიდი აქვს, სხვა სპორტული „სინერჯებისაგან“ განსხვავებით **B**-25-ს მოგავგონებს. ხოლო სასხლეტის ბუდე და თავად სასხლეტი უფრო თანამედროვე სტილით არის აგებული. სწორედ ესაა სანადირო „სინერჯის“ დამახასიათებელი ნიშანი, რაც გამოიხატება ტრადიციულისა და უახლესის შერწყმაში. რაც ყველაზე მთავარია, მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი



მწარმოებელი:	**FN-Herstal, Browning.**
წარმოდგენილი ვარიანტი:	**Maxus Premium grade-3**
ყალიბი:	.12/76
სისტემა:	გაზებით მტენი სისტემა
მჭიდის ტევადობა:	5 ვაზნა
ლულის სიგრძე:	71 მმ.
სახრახნი ჩოკები:	ინვექტორ+ 0, 1/4, 1/2, 3/4, 1.0. 5სმ-3/4.
წონა:	3,0 კგ.
საგამოფენო ფასი:	1700 ევრო

ფაქტის გამოვლინება და გამოაშკარავება. „ბრაუნინგის“ წარმომადგენლებთან შეხვედრისას გაირკვა ისეთი დეტალები, რომელიც ხელმისაწვდომი არ იყო ყველასთვის; სროლისას თითქმის ნებისმიერ თოფს აქვს უკუცემა. ამასთან ერთად თოფი განიცდის დარტყმას დედამიწის მიმართულებით რომლის ცენტრალური წერტილი იწყება ლულის ბოლოდან. რა თქმა უნდა ხდება ამ ძალის გაზომვაც, თუ რამდენ კილო დარტყმას იღებს ესა თუ ის მოდელი გასროლისას. ირკვევა რომ „ბერეტას“ სტანდარტული სპორტული ორლულიანები ძირითადად იღებენ 60 კილო დარტყმას სროლის შედეგად, „ბენელის“ ნახევრადავტომატები საშუალოდ 45 კილოგრამს, ხოლო „ბრაუნინგის“, რაც არ უნდა საკვირველი იყოს სულ რაღაც 3 კილოგრამ დარტყმის ძალას განიცდიან და მათი ლულებიც შესაბამისად ნაკლებად ვიბრირებს. აქედან გამომდინარე რასაკვირველია ბალისტიკური შედეგები კონკურენტ მოდელებთან შედარებისას შესანიშნავია ხოლმე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იტალიელების საამაყოდ კომპანია „პერაცის“ თოფებს თითქმის საერთოდ არ გააჩნიეთ მსგავსი დარტყმის ძალა და მხოლოდ მსროლელის მხრის მიმართულებით, არასასურველი უკუცემით შემოიფარგლებიან. სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი წინაპირობა საუკეთესო ბალისტიკური მაჩვენებლებისა.

BROWNING MAXUS

როდესაც ხარ ნახევრადავტომატური იარაღის შემქმნელი, ვალდებული ხარ იყო გლობალური ბაზრის ლიდერი, კონკრეტული კლასის სანადირო თუ სპორტული იარაღების კატეგორიაში. ისტორიაში ოქროს ასოებითაა შესული ლეგენდა **Browning AUTO-5** – ზე, რომელიც ზუსტად 100 წელი (1898-1998წწ) იწარმოებოდა. მას მოჰყვნენ თვითმტენი, ნახევრადავტომატური გლუვლულიანი თოფები **B2000, B80, Gold Fusion, Phoenix** და **Fusion Evolve,** რომლებიც დღემდე საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ახლა კი წარმოგიდგენთ „ბრაუნინგის“ ახალ ნახევრადავტომატურ მოდელს **Maxus-**ს. აგრეთვე შედარებით განხილვას მის ძირითად კონკურენტ ვერსიებთან: **Beretta A400 Xplor Action** და **Benelli Vinci-**თან.

იარაღი, რომლის გამოჩენასაც ათწლეულებია ელოდებიან მსროლელები თუ მონადირები. თვითმტენი თოფი, რომელსაც ბალისტიკური შედეგების მხრივ ფაქტობრივად არ გააჩნია წუნი, მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ქმნილებაა და მეტი არაფერი – ასე ახასიათებენ „ბრაუნინგის“ თანამშრომლები. **Maxus-**ის შექმნაში ნახევრადავტომატური იარაღის წარმოების 110 წლოვანმა გამოცდილებამ და თანამედროვე ტექნოლოგიებმა დიდი



Maxus-ის ტიბჟირი ღილაკზე ერთი ხელის დაჭერით იხსნება

როლი ითამაშეს. სახეზეა მართლაც შთამბეჭდავი შესაძლებლობების მქონე და ფუნქციონალური თვალსაზრისით საიმედო თოფი. სწორედ უახლესი ტექნიკის დახმარებით მოხდა კონდახის უკუცემის 18%-ით შემცირება, რასაც დაემატა სხვა ფაქტორებიც და მთლიანად იარაღის გასროლის შედეგად გამოწვეული დარტყმის ძალა 44 %-ით შემცირდა (რაც აუცილებლად საწინდარია ზუსტი სროლისა). ამას ემატება კონკურენტებთან შედარებით სასხლეტის გამოკვრის – ნემსის დარტყმის სიჩქარის 24 %-ით გაზრდა.

ჩვენს მიერ განხილვად მოდელს აქვს ფრინველის მოოქროვილი გრავირება ხოლო მის შესაქმნელად გამოყენებულია მე-3 კატეგორიის კაკალის მასალა. ხელში ჭერისას აშკარად იგრძნობა იდეალური ბალანსი. მაგრამ აუცილებლად აღსანიშნავია რომ ესთეტიკური თვალსაზრისით იგი ვერ გამოიყურება მის წინამორბედზე, **Fusion Evolve** – ზე უკეთესად. ვინაიდან და რადგანაც ეს ფაქტორი გემოვნებასა და ინდივიდუალურ ხედვას უკავშირდება, მკითხველისა, მონადირეების თუ მომავალი მფლობელების გადასაწყვეტია, რომელ იარაღს მიანიჭებენ უპირატესობას და რომლის ყიდვას გადაწყვეტენ.

სპეციალურად **Maxus**-თვის შეიქმნა ახალი ტექნოლოგიის მქონე **Back-Bore&Vector-Pro** ლულები. *„ბექ-ბოარ“* სისტემის და *„ვექტორ პრო“* კომბინაცია ერთობლიობაში კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ვაზნის შესაძლებლობების ბოლომდე დახარჯვას, საფანტის დეფორმაციის შემცირებას და წნევის სრულყოფილად გამოყენებას. სისტემა ვაზნის სიჩქარეს ხდის უფრო სწრაფს და რაც მთავარია საგრძნობლად ამცირებს იარაღის უკუცემის ძალას.



ლულის ზემოდან განთავსებული თამასა ბრტყელი და გაწონასწორებულია მექანიზმის ბუდესთან პროპორციულად, რაც აადვილებს სამიზნის მალე მოძებნას და დაფიქსირებას. დღესდღეობით უკვე აუცილებლობა მოითხოვს და შესაბამისად ლულა გათვალისწინებულია როგორც ტყვიის, ასევე რკინის საფანტზე და დაფარულია ჟანგის-კოროზიის საწინააღმდეგო საშუალებებით. მათი დამზადება ხდება არა ტრადიციული, ძველებური ტექნოლოგიების გამოყენებით, არამედ თანამედროვე მეთოდიკით, ცივად ჭედვის წესით. აღსანიშნავია რომ აღნიშნულმა პრინციპმა უკვე დიდი ხანია გაამართლა და საგრძნობლად გააუმჯობესა თოფისათვის აუცილებელი ესა თუ ის მაჩვენებელი. ჭედვის პროცედურები ძირითად შემთხვევაში, ბელგიაში, ქალაქ ჰერშტალში არსებულ **FN**-ის ქარხანაში ხორციელდება მაქსიმალური სიზუსტით **CNC** მანქანების მეშვეობით. ასევე ხდება ანალოგიური, ალბათ საკმარისზე მეტად ზუსტი ომპიუტერიზებული დანადგარების მეშვეობით პორტუგალიასა და ამერიკაში მათი დამზადება.

აღსანიშნავია რომ ბელგიური თვითმტენის საკეტი მექანიზმი მკვეთრად სახეშეცვლილი არაა და ჩვეულ იერს გარკვეულწილად ინარჩუნებს. თუმცა კონკურენტი მოდელების მსგავსად მასში გარკვეული სიახლეებია შეტანილი. პირველ რიგში ვიზუალური მხარეა შეცვლილი. საკეტი მექანიზმის თავი „ინერციული სისტემის“ მსგავსად მოძრაობისას არ ტრიალებს. ის უბრალოდ სცილდება რამოდენიმე მილიმეტრით ფუძე საკეტს, როდესაც ახდენს ვაზნის ექსტრაქციასა თუ შემდგომი ჰილზის სავაზნეში შეტანას. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ზემოთხსენებული ტიპის, „ინერციული მექანიზმის“ მსგავსი მბრუნავ თავიანი სტრუქტურული აგებულება აქვთ ახალ, იტალიელების მიერ შექმნილ, აიარებით მტენ **Beretta A**-400 – ებს. **Maxus-ის** დამცემ-დამრტყმელი მექანიზმის ჩასმა სისტემურ კოლოფში წინამორბედივით რთულად აღარ ხორციელდება. მისი „კუდი“, რომელიც აწყობისას სისტემური კოლოფის დასაწყისში არსებულ ამორტიზატორის „ბუდე-თავში“ ჯდება, აღჭურვილია სპეციალური დამჭერი ზამბარით. მისი მეშვეობით საგრძნობლად იოლდება განდეტალების შემდგომ აწყობის პროცედურა. არადა წინამორბედი ვერსიების შემთხვევაში თოფის მფლობელს უხდებოდა წვალება აღნიშნული დეტალების ერთმანეთში ზუსტად ჩასმისათვის. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური გამარტივებული პრინციპი მოქმედებს ახალი **A5-ის** შემთხვევაშიც.

„მაქსუსის“ უკუცემის ძალის შემცირებას დამატებით ეხმარება ეგრედწოდებული **INFLEX**-ის ტექნოლოგია. ესაა სქელი რეზინისებური მასალა, რომელიც იარაღის ბოლოზეა მიმაგრებული. მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი კი კონდახში ჩამაგრებული ზამბარისებური ჯოხია, იგივე ამორტიზატორი, რომელიც კონდახში, მთლიან სიგრძეზეა დაფიქსირებული. მისი თავი (ბუდე), რაშიც საკეტის მამოძრავებელი კუდი ზის, სისტემური კოლოფის დასაწყისში, კონდახის ყელის მაღლა, უკანა კედელზეა განთავსებული. მას სროლისას ეჯახება დამცემ-დამრტყმელი მექანიზმი. ამით ხდება არასასურველი ენერგიის – უკუცემის შემცირება. ასევე აღსანიშნავია, რომ მექანიზმის ბუდესა და კონდახს შორის მაგრდება კუთხისა და ზომის შემცველი ფირფიტები, რათა მიღწეულ იქნეს ნებისმიერი მსროლელისათვის საჭიროების შემთხვევაში თოფის სხეულზე უკეთესად მორგება – მისი ოპტიმალური ექსპლოტაცია.



Maxus აღჭურვილია სერიულ ცვლად ჩოკებთან ერთად დამაგრძელებელი ჩოკითაც

სასხლეტის მექანიზმი, მსგავსად ლულებისა, სპეციალურად **Maxus** – თვის შეიქმნა და უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესოა ნახევრადავტომატური, გლუვლულიანი ვერსიებისათვის. დაცემის – ნემსის საშუალო დარტყმის სიჩქარე 0,0052 წამია. მიღებული მონაცემებით დგინდება რომ სისტემა 24% – ით სწრაფია თავის კონკურენტ მოდელებთან შედარებით. მართლაც და შესანიშნავი გარემოებაა ყოველი მომდევნო სროლის სწრაფად განსახორციელებლად.

„მაქსუსი“ დაკომპლექტებულია **Speed loading system + Cut Off**-სწრაფი დატენვისა და მჭიდის ჩამკეტი სისტემებით. აღნიშნულ მექანიზმს გააჩნია უნარი, ვაზნა მიანოდოს იარაღს პირდაპირ ლულაში, ისე რომ ტყვია არ მოხვდეს მჭიდში. ანუ ვაზნების გათავების შემთხვევაში, როდესაც საკეტი მექანიზმი უკუმიმართულებით მოძრაობს და ჩერდება, ანუ რჩება ღია, მსროლელი ჩვეულებისამებრ, სისტემური კოლოფის ქვემოდან ახორციელებს დატენვის პროცედურას. აღნიშნული მოქმედების შესრულებისას ვაზნა არ ჩერდება მჭიდში, ის პირდაპირ მიემართება სავაზნეში – ლულაში. ამავდროულად აქტიურად იყენებენ აღნიშნული პრინციპის მეორე ფუნქციასაც. თუ მსროლელს სურს რომ ისარგებლოს არა კონკრეტულად მჭიდში არსებული ვაზნით და მოახდინოს სხვა ვაზნის გასროლა რომელიც მჭიდში არ დევს, ჩაკეტავს მას და საკეტის სახელურის უკუმიმართულებით მოძრაობისას მექანიზმი მჭიდიდან აღარ წაიღებს ვაზნას, თავად კი ღია პოზიციაში, უკან გადაწეული გაჩერდება. სწორედ ისე, როგორც ეს ვაზნების გათავების შემთხვევაში ხდება ხოლმე. ამ დროს მსროლელს ეძლევა ორი განსხვავებული შესაძლებლობა. მას ძალულს არასტანდარტულად, ჰილზის ამომგდები ფანჯრის გავლით მოახდინოს დატენვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მას სურს რომ კვლავ მჭიდში არსებული ვაზნა მიანოდოს თოფს ლულაში, მხოლოდ ერთი ხელის მოძრაობით ახორციელებს აღნიშნულ პროცედურას. მჭიდში არსებული ვაზნა სისტემური კოლოფის მარცხენა, ქვედა ბოლოში მოთავსებული დამშვების **speed Loading** ღილაკის მეშვეობით, ანუ მისი გადმოწევის გაღების შედეგად ავტომატურად გადმოინაცვლებს სისტემურ ბუდეში. ამასობაში ამოძრავდება დამცემ-დამრტყმელი მექანიზმი და ვაზნა მისი ზექმოქმედების შედეგად შევა სავაზნეში.



რბილი რეზინა ეხმარება Maxus-ს უკუცემის შემცირებაში

წინამორბედებისაგან განსხვავებით „მაქსუს“-ის მჭიდიდან ვაზნების გამოღებაც გამარტივებული და დაჩქარებულია. როდესაც მჭიდის საკეტი ღიაა, სავაზნე კოლოფში შემშვები მთავარი ზამბარისებულ რკინაზე – ენაზე ხელის დაჭერითა და დამატებით, სპეციალური პატარა ღილაკზე თითის მიჭერით ვაზნა მჭიდიდან პირდაპირ გარეთ გამოდის, რის შედეგადაც ჩქარდება და მარტივდება მისი დაცლა.

გაზებით მტენი სისტემა, რომელსაც ეწოდება **Power drive gas system**, გამორიცხავს იარაღის დაბინძურებას გასროლის შედეგად გამოყოფილი გაზებისაგან. ლულის შუა ნაწილის ქვემოთ, ლულისქვეშა კონდახში არსებული თვითმტენი მექანიზმი, რომელიც გათვლილია 24 – დან 67 გრ-მდე ვაზნებზე, სროლის დროს, აირების იმ ნაწილს, რომელიც საჭიროა შემდგომი ვაზნის გადასატენად, ახმარს აღნიშნულ ფუნქციას, ხოლო დანარჩენ ნაწილს, უშვებს ცილინდრისუბარად გაფართოებული ხვრელებიდან გარეთ, რათა არ მოხდეს იარაღის მჭიდისა თუ მექანიზმის ზედმეტი დაბინძურება. აღსანიშნავია რომ მაქსუსის წინამორბედი მოდელი ახორციელებდა არა 24 გრ-დან, არამედ მხოლოდ 28-დან 56 გრ-მდე (70 მმ-დან 76 მმ-მდე) ვაზნების გადატენვას. თუმცა ის „რემინგტონის“ თვითრეგულირებადი სისტემის გვერდით ითვლებოდა საუკეთესო აირებით/გაზებით მტენ მექანიზმად მსფლიოში, რომელსაც ჰქონდა თვითრეგულირებისა და თვითწმენდის ფუნქცია. ამ სისტემითა და „ბრაუნინგის“ ლულებით აღჭურვილ თოფს ფაქტიურად ნახევრადავტომატურ გლუვლულიანებში საუკეთესო ბალისტიკის ჩვენება შეეძლო. დღესდღეობით კი უფრო დაიხვეწა თვითმტენი სისტემა და სპორტული, 24 გრ-ნი ვაზნებიდან დაწყებული „სუპერ მაგნუმის“ – 67 გრ-ნი ვაზნების გასროლაც უპრობლემოდაა შესაძლებელი. ამასთანავე კომპანიის კონსტრუქტორთა ჯგუფმა აქცენტი სიმარტივეზეც გააკეთა. თუ წინამორბედ **Fusion Evolve**-ს აირების ცილინდრი, ზამბარა და დამატებითი ცილინდრული მამოძრავებელი ცალკე დეტალებს წარმოადგენდნენ, რომლებიც დაშლისას დისკომფორტს ქმნიდა, ახალი ვერსიის, **Maxus**-ის შემთხვევაში, ის ფაქტიურად ერთ საერთო დეტალს წარმოადგენს და მოხსნისასაც მეტი კომფორტი იქმნება. ყველაზე მეტად სწორედ რომ სიმარტივე და თოფის შედარებით ნაკლები დეტალები წარმოადგენენ კონკურენტი „ბენელის“ უპირატესობას „ბრაუნინგთან“ თუ „ბერეტასთან“ მიმართებაში. მაგრამ ერთი რამ ცხადზე ცხადია უამრავი ტესტის და პრაქტიკული გამოცდილების შედეგად მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით. აირებით მტენი „ბრაუნინგის“ ნახევრადავტომატური თოფები შიდა თუ გარე ბალისტიკური მონაცემების თვალზასრისით აშკარად სჯობს „ბენელის“ გლუვლულიან ნახე-



აირებით მტენი browning Maxus-ს საკეტი მექანიზმი



Broning Maxus premium-ის სისტემური კოლფის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს განთავსებულია ოქროსფერში გაწყობილი გრავირება





ვრადავტომატურ „ინერციულ“ ვერსიებს. ამის მთავარი მიზეზი გახლავთ ლულის დამზადების თავისებურებანი, მისი სტრუქტურული აგებულება და ის სისტემები, რომელსაც კომპანია საკუთარი ლულების აგებისას იყენებს. მაგრამ აქ ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტია აღსანიშნავი და გასათვალისწინებელი. ძალინ ბევრს ჰგონია რომ რადგან ვაზნის გადატენვას გაზები/აირები ესაჭიროება, ბალისტიკური მონაცემები, საფანტის სიჩქარე, ენერგია, სიბურჯღლე ან სხვა მაჩვენებლები უარესდება. ამას ბევრი ძალიან პრიმიტიულად უდგება და ფიქრობენ რომ, რადგან „ინერციული“ სისტემის შემთხვევაში კინეტიკური ენერგია სრულყოფილად ხმარდება საკეტის მეშვეობით ვაზნის გადატენვას, გაზებით მტენი ვერსიის შემთხვევაში ეს ენერგია ორ სხვა და სხვა ნაწილად იყოფა, აირებით მტენ სისტემას სჯობს ინერციული მექანიზმი. არადა ეს მცდარზე მცდარი შეხედულებაა გლუვლულიანი თოფების შემთხვევაში ამ ყოველივეს მიმართ, თუნდაც ზემოთხსენებულ პრაქტიკაში მიღებულ სინჯებზე დაყრდნობით.

„ბრაუნინგის“ გაზებით მტენ სისტემების შემთხვევაში პირველ რიგში მცირდება უკუცემა, ვინაიდან აირების ჭარბი ნაწილი ტიბჟირის მარჯვენა და მარცხენა მხარეს გაკეთებული ჭრილებიდან გაედინება გარეთ და წნევა და ზოგადად უარყოფითი ენერგიის იმდენი ძალა აღარ აწვება თოფს – მსროლელს. რაც ყველაზე მთავარია, ამგვარი სისტემის შექმნისას აუარებელი ტესტირებების დახმარებით იქმნება იდეალური გარემოება ლულის ხვრელში საფანტისა თუ ფინდიხის მოძრაობისა. ანუ ვაზნის გადატენვას სისტემა ახმარს ზუსტად იმდენ აირებს – ენერგიას, რამდენიც საჭიროა მისი გადაადგილებისათვის. დანარჩენი ნაწილი კი ხმარდება თავად გასროლილ ვაზნას. მისთვის დაახლოებით იმდენი მოცულობის აირები რჩება, რამდენიც საჭიროა საფანტის – ტყვიის დეფორმაციის შესამცირებლად, ნასროლის ლულათა კედლებზე ხახუნის შესამცირებლად, ნასროლის ლულაში უკეთესად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ამოძრავებისა. ეს ნიშნავს რომ უფრო მეტი ენერგიით რომ გამოიტყორცნონ გასროლილი საფატნები ლულიდან, ისინი ბევრად უფრო არაპროპორციულად და უსწორმასწოროდ გაიშლებიან. ამასთანავე გაიზრდება მათი დეფორმაციის შანსიც. შესაბამისად აირებით მტენი მექანიზმი იდეალური საშუალებაა იმისათვის, რათა მიღებულ იქნეს მაქსიმალურად ზუსტი და ეფექტური ბალისტიკური შედეგები. უნდა აღინიშნოს რომ ყველა აირებით მტენი მექანიზმი ზემოთ ჩამოყალიბებულ პრინციპებს არ ექვემდებარება და ზოგ შემთხვევაში არასრულყოფილებისა თუ გაუმართაობის გამო სასურველ შედეგებს ვერ ვიღებთ. აგრეთვე სხვაგვარი თეორია აქტიურდება ტყვიის სროლისას. „ბრაუნინგის“ აირებით მტენ სისტემებთან თუ ბალისტიკურ მონაცემებთან ერთად წამყვან პოზიციებს იკავებს „რემინგტონისა“ და „ბერეტას“ სისტემებიც.



იარაღის დაშლა გამარტივეულია და გაცილებით უფრო სწრაფადაა შესაძლებელი ვიდრე ეს მანამდე, ამავე ტიპის ნახევრადავტომატური თოფების დაშლის შემთხვევაში ხდებოდა. აღნიშნული ფაქტორი საგრძნობლად აადვილებს იარაღის გაწმენდას. ლულისქვეშა კონდახის, ანუ ტიბჟირის განცალკევება ხდება მისივე ბოლოში განთავსებული თხელი საკეტი ენის ჩამოწევის შედეგად. ტიბჟირის მოხსნის შემდგომ მჭიდის თავზე შესაძლებელია მომცრო ზომის გასაღების საშუალებით სპეციალური ხელოვნური მასალისაგან დამზადებული ჯოხის ამოღება, რითაც ხორციელდება ვაზნების ტევადობის შემცირება. სისტემას ეწოდება: **Speed Lock system**.

Invector Plus ან **Invector DS** გახლავთ ჩოკების სისტემა, რომელიც განთავსებულია ლულის ბოლოში, სანათურის პერიმეტრში. ესაა „ბრაუნინგის“ მიერ შექმნლი სპეციფიკური, სტანდარტულზე გრძელი სახრახნი ჩოკების ჯგუფი. ისინი აუმჯობესებენ ბალისტიკურ მონაცემებს მსროლელის სურვილისამებრ – ვაზნის კლასიფიკაციის შესაბამისად. ანალოგიური გრძელი ჩოკები ბევრმა კომპანიამ დააპატენტა. თუმცაყველა მათგანი ერთნაირად ვერ ასრულებს თავისზე დაკისრებულ მოვალეობას.

ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი „მაქსუსისა“ კონკურენტ მოდელებთან მიმართებაში, რომელიც მისი წინამორბედების ფუნქციონალურ მახასიათებლებშიც აისახებოდა, ვაზნების მექანიკური წესით სწრაფი გადატენვისა და მათი დაცლის პრინციპი გახლავთ. აღნიშნული გარემოება გამომდინარეობს ზემოთხსენებული **Speed loading + Cut Off**-სისტემის არსებობიდან. არც „ბერეტას“ ნახევრადავტომატებს და არც „ბენელის“ მოდელებს არ აქვთ ანალოგიური ფუნქცია. როდესაც გადავტენით იარაღს, ბრაუნინგის შემთხვევაში საჭირო არაა მანამდე დამატებითი ღილაკის გამოყენებით ვაზნის მჭიდიდან ბუდეში/სისტემურ კოლოფში ჩამოგდება. ხოლო თუ არ განვახორციელებთ გასროლას, შესაძლოა მხოლოდ თითის ერთი და იგივე მოძრაობის 5-ჯერ ან მეტჯერ გამეორების შედეგად ისე დავცალოთ იარაღი და ამოვიღოთ 5 თუ მეტი ვაზნა, რომ არ გამოვიყენოთ საკეტის მექანიკური მამოძრავებელის სახელურის – ბერკეტის გარდა არც ერთი სხვა ღილაკი-საშუალება. აი რაც შეეხება „ბერეტასა“ და „ბენელის“, მათ შემთხვევაში ასე სწრაფად არ ხდება არც გადატენვა და არც დაცლა. ჯერ აუცილებელია მჭიდიდან ბუდეში ვაზნის ჩამოგდება და შემდგომ გადატენვა. არ გასროლის შემთხვევაში კი კვლავ ამოგდების შემდგომ ახლიდან ხორციელდება ანალოგიური პროცედურა. გამოდის რომ „მაქსუსი“ ექსპლოტაციისას ბევრად უფრო სრაფი, მოქნილი და მოხერხებულია, ვიდრე „ბერეტა“ ან „ბენელი“. პირადად ჩემთვის კი აღნიშნულ ფაქტორსა და ბალისტიკურ მახასიათებლებს პირველი ადგილი უკავიათ ამგვარი თოფების არჩევისას. თუ ამას დაემატება ჩემთვის მოსაწონი ვიზუალური მხარე და სხვა დადებითი კომპონენტებიც, დაუფიქრებლად შეიძლება ვთქვა რომ ასეთი თოფი საუკეთესოა თავის კატეგორიაში. ახალ „ბრაუნინგს“ კი ეს ყველაფერი ნამდვილად ახასიათებს ერთის გარდა. მას მისი წინამორბედი, **Fusion Evolve** სჯობს ესთეტიკური თვალსაზრისით. ის უფრო კლასიკურად და ლამაზად გამოიყურება. თუმცა არც „მაქსუსია“ ურიგოდ შესრულებული მოხატულობითა, თუ მოუქნელი კონდახით დაკომპლექტებული. პირიქით, „ბენელისთან“ ერთად ამჟამინდელ თავის კონკურენტ „ბერეტას“ გარეგნული იერით აშკარად სჯობს. (თუმცაღა გემოვნებაზე არ დაობენ)

დღესდღეობით კრიტიკოსებისა და მონადირეების მხრიდან მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, თუ რამდენად გამომდგარი და გამძლეა მყარი ალუმინისა და სხვა უჟანგავი მასალის შერწყმისა და შემდგომი წრთობის შედეგად დამზადებული სისტემური კოლოფები. აქ აღსანიშნავია ერთი ძალზედ საინტერესო ფაქტორი. „ბრაუნინგსაც“ და მის კონკურენტ ნახევრადავტომატურ გლუვლულიან მოდელებსაც აქვთ შესაბამისი, სპეციფიკური ლულების დაბოლოება, რომელიც მთავრდება სისტემურ კოლოფში. დაბოლოებაში იგულისხმება სავაზნის შემდგომ ლულის ნახევარწრფის გამაგრძელებელი მასიური რკინა. იგი ბუდეში დაახლოებით შუანაწილამდე შედის და გააჩნია ჭრილი, რომელსაც სპეციალურად მისთვის განკუთვნილი კბილი კეტავს. აღნიშნული კომპონენტის მთავარი დატვირთვა გარდა იმისა რომ შექმნას უკეთესი ბალანსი ლულისათვის გახლავთ სისტემური კოლოფის სიმყარის ალბათობის, შესაბამისად რესურსის გაზრდა. ვინაიდან ის წნევისა და სხვა იარაღის ბუდეზე ზემოქმედი, გამანადგურებელი და დამაბინძურებელი ძალებისა თუ აირების თითქმის 90 %-ს თავის თავზე იღებს. ჩვენ მოვახდინეთ „ბრაუნინგის“ ბოლო თაობის ნახევრადავტომატურ **Browning Fusion Evolve** – ზე, **Browning Maxus**-სა და „ბერეტას“ ახალ **A-400** – ზე აღნიშნული დეტალის დაწვრილებითი გაზომვა და გასინჯვა. ორივე კომპანიის თანამშრომლებს შევეკითხეთ მისი სტრუქტურული აგებულების შესახებ და გამოვიკვლიეთ რომ ლულის ეს მონაკვეთი ერთი მასიური რკინისაგან იჭრება და ყველა იმ პროცედურას გადის რასაც ლულის წრთობას სჭირდება. ამავდროულად ეს მასიური დეტალი სავაზნეზეც თუ არა, ლულაზე ბევრად უფრო სქელია. აღნიშნული ინფორმაცია ამყარებს იდეოლოგიას იმის შესახებ, თუ რაოდენ მყარი შეიძლება იყოს მსგავსი აგებულების მქონე იარაღი. ვინაიდან **X-Plor-ს** 89 მმ-ნი სავაზნე აქვს და მაქსი (სუპერ) მაგნუმის, (65 – 67 გრამიან) ვაზნებზეა გათვლილი, ბევრად



Brownign Maxus-ის კარბონის ვერსიის წარდგენა გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე



BERETTA A400 XPLOR ACTION KIK-OFF



ტექნიკური მონაცემები:	**Beretta A400 Xplor**
მწარმოებელი:	**Beretta – Italy**
წარმოშობის ქვეყანა:	იტალია
წარმოების წელი:	2009
სისტემა:	აირებით მტენი/მრუნავი თავით
ყალიბი:	.12/89
კონდახის სიგრძე: (მმ)	365
ლულის სიგრძე: (სმ)	71
მჭიდის ტევადობა:	3+1
წონა: (კგ)	300
მიახლოებითი ფასი: (**EU**)	1750

უფრო გრძელი და სქელი ნახევარწრფივი ლულის გამო. ჩამკეტი ჰქონდა გაკეთებული, ვიდრე შედარებით ძველ მოდელ – „ფუჟენ-ევოლვეს“, რომელსაც ჩვეულებრივი მაგნუმის 76 მმ-იანი სავაზნე აქვს. თუმცა ამგვარი ვაზნებისათვის მსგავსი სტრუქტურული აგებულება სრულიად საკმარისია, რათა მან თავისი საქმე უნაკლოდ შეასრულოს. მით უმეტეს როდესაც საქმე გვაქვს ბელგიაში, ჰერშტალში **FN-ის** ქარხანაში დამზადებულ ლულებთან და არა ამერიკაში, კომპანია „ვინჩესტერის“ საწარმოში შექმნილ ვერსიასთან, რომელიც ოდნავ ჩამოუვარდება ხარისხობრივად ევროპულ ვერსიას. რა თქმა უნდა ეს ყოველივე აისახება შემდგომში ბალისტიკურ მონაცემებზეც.

ჩვენს მიერ ტესტირებისათვის შერჩეული მოდელის გარდა „მაქსუსი“ იყოფა განსხვავებულ მოდიფიკაციებად და იწარმოება შედარებით უბრალო ხის, კამუფლირებული და სინთეტიკური ვერსიები. 2012 წელს კომპანიამ რამოდენიმე ახალი მოდიფიკაცია შემატა ბაზარს. შემქნილ იქნა „კარბონის“ ვერსია. მათ თავისი კონკურენტის ახალი „ბერეტა ა-400“-ის მსგავსად 89 მილიმეტრიანი სავაზნე აქვთ, რომელიც გათვლილია 24-დან 67 გრ-მდე ვაზნებზე. აღსანიშნავია რომ ხისაგან განსხვავებით ხელოვნური მასალისაგან დამზადებული „ბრაუნინგის“ თვითმტენი ვერსია გაცილებით უფრო ადვილი სახმარია ექსტრემალურ პირობებში და ბევრი სწორედ ასეთ მოდელებზე აკეთებს არჩევანს. მითუმეტეს უახლესი „კარბონის“ მასალით შენიღბული ლულითა და სისტემური კოლოფით აღჭურვილი მოდელი, რომელიც ყველგან და ყოველთვის მუშაობს, იდეალური არჩევანია ამერიკელი ექსტრემალი მონადირეებისათვის. უნდა აღინიშნოს რომ განსაკუთრებულ მოწონებას აღნიშნული ვერსიები სწორედ რომ ამერიკისა და კანადის ბაზარზე იმსახურებენ და ძალზედ პოპულარულებიც არიან. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა კლასიკური ფონი და კაკლის ხისაგან დამზადებული კონდახი ერთობლიობაში ყოველთვის ქმნის ტრადიციულ მონადირულ იერს, რაც ყველაზე მეტად ამშვენებს თოფს. ჩვენც სწორედ ამიტომ შევარჩიეთ მოდელი ხის კონდახითა და კლასიკური გრავირებით, რომელმაც საბოლოო ჯამში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. ნებისმიერ მონადირეს გაბედულად ვურჩევდი და ვუსურვებდი საკუთარი არსენალში **Browning Maxus**-ის დამატებას.

ვერავინ გაბედავს თქვას „ბერეტა“-ზე ადრე დაარსდა რომელიმე სხვა იარაღების ასეთი უმსხვილესი მწარმებელიო. ჯერ კიდევ 1526 წელს მაესტრო ბარტოლომო ბერეტამ 185 ლულების ეგზემპლიარი მიყიდა ვენეციის იმდროინდელი იარაღების სამჭედლო საწყობს. სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ ამ ლეგენდარულმა სახელწოდებამ – მითმა, 5 საუკუნე იცოცხლა და გაუძლო დროის იმ პერიოდს, როდესაც კატასტროფამ ტექნიკის და იარაღის განვითარებისაკენ უდიდესი ნაბიჯები გადადგა და საუკარი წინსვლა განიცადა. დღესდღეობით შეიძლება თამამად ითქვას რომ ეს იტალიური ბრენდი ერთ-ერთი პირველია პირველთაგან.

ნახევრადავტომატური თოფის ტრადიცია „ბერეტას“ კომპანია „ბრაუნინგის“ მსგავსად საკმაოდ გრძელი და მრავალფეროვანი აქვს. ბოლო წლებში კი, როდესაც კონკურენციამ პიკს მიაღწია, თითოეული მწარმოებლისათვის შეიქმნა აუცილებლობა რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ეწარმოებინათ რაიმე ახალი, კონკურენტუნარიანი და სხვებზე უკეთესი პროდუქტი. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით შეიქმნა არაჩვეულებრივი თვითმტენი გლუვლულიანი თოფი **Beretta A-400 Xplor**. მისი დიზაინი და ფუნქციონალურობა ბევრად უფო თანამედროვე და დახვეწილია, ვიდრე ეს „ბერეტას“ დანარჩენი ნახერადავტომატური თოფების შემთხვევაში გვხვდება.

კონკურენტების მსგავსად იტალიელები აქცენტს პიველ რიგში კომფორტულ სროლასა და იარაღის უკუცემის ძალის შემცირებაზე აკეთებენ და მათ ეს სხვებზე უკეთესად გამოსდით. კონდახის ბოლოში ჩამაგრებულია ფართო, სამად დაყოფილი რეზინი, რომელიც იარაღს უკავშირდება სამი ზამბარითა და ორი ამორტიზატორით. სროლის შედეგად მთლიანი სისტემა იკუმშება თოფის დარტყმის, უკუცემის ძალის საწინააღმდეგო მხარეს. კონდახის რეზინის ერთი პირი ამორტიზატორებთან ერთად შედის მეორეში, შესაბამისად მსროლელი, ნაცვლად 18,5 კგ დარტყმისა, იღებს 7,5 კგ დარტყმას. ამ მაჩვენებლით მტკიცდება რომ უკუცემა შემცირდა 60%-ით. ზემოთხსენებულ ფუნქციას მისმა შემქმნელებმა **KIK-OFF**-სისტემა უწოდეს, რაც ქართულად განიმარტება, როგორც დატყმის გამორთვა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ზედმეტი ზემოქმედებითი ენერგიის გასანეიტრალებლად „ბერეტას“ ჯგუფმა შექმნა დამატებითი **KIK-OFF ³** სისტემა. ხშირმა ლაბორატორიულმა კვლევებმა ცხადყო რომ უკუცემა იყოფა ორ განსხვავებულ კომპონენტად. პირველი არის ვაზნის აფეთქება გასროლისას. ხოლო მეორე საკეტის დარტყმა მიმღებზე. რაც შეეხება **KIK-OFF ³** -ს, ის არის მესამე მოქმედება. როდესაც საკეტი მექანიზმი სროლისას ეჯახება კონდახის თავში ჩამონტაჟებულ ამორტიზატორს, უკუცემის საწინააღმდგო სისტემა იკუმშება და დარტყმის ენერგიის დიდ ნაწილს თავის თავზე





ვაკუუმში მზადების ილუსტრაცია



Beretta A400-ის KIK-OFF-ის სისტემა



Beretta A400-ის საკეტი მექანიზმი მბრუნავი თავით

იღებს. შედეგი იდეალურია, ენერგიისმთლიანობაში 70%-ით შემცირება. დადებით მხარეებთან ერთად უნდა აღინიშნოს რომ ზემოთ ნახსენები ფუნქციები უკარგავენ თოფს კლასიკურობას და რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, სქელი რეზინი დამატებით სისტემებთან ერთად სროლისას თავისებურ დისკომფორტს ქმნიან. ხელში აღებისთანავე იგრძნობა რომ იარაღი ტლანქად ზის მხარზე და წააგავს მისივე ოჯახის წარმომადგენელს **Beretta A-391 Xtrema2**-ს.

Blink, როგორც მას მისი შემქმნელები უწოდებენ, არის ახალი ბერეტას გული და მოტორი. ის გახლავთ მექანიზმი, რომელიც სროლისას გამოყოფილი გაზების მეშვეობით ახორციელებს ვაზნების გადატენვას. ძველ სისტემებთან შედარებით, ახალმა განიცადა გარკვეული ცვლილებები. დამრტყმელ-დამშვები მექანიზმის საკეტი თავი მოქმედებისას ბრუნავს და ასევე ვაზნების ტრანსპორტაციაც, ანუ მიწოდება ლულაში, ხდება განსხვავებულად. საერთო ჯამში სტრუქტურა „ბრაუნინგის“ ნახევრადავტომატურს მოგვაგონებს, რომელსაც „ბენელის“ მსგავსი მბრუნავი თავი აქვს. გაზებს აღარ ჭირდება რეგულირება და თვითწმენდაც აქტიურია. მაგრამ ბერეტა რის ბერეტაა თუ კონკურენტს რაიმეში არ აჯობა. წარმოდგენილი მოდელი 36%-ით სწრაფია სხვა, უმეტეს კონკურენტ ნახევრადავტომატურ გლუვლულიან თოფზე და 4 ვაზნის

გასროლას მხოლოდ და მხოლოდ 1 წამზე ნაკლებ დროს ანდომებს. თავად „ბერეტას“ გუნდის მიერ გადაღებულ ერთ-ერთ სურათზე ნაჩვენებია მასრების სავაზნე კოლოფიდან გამოსვლის სიჩქარე. პირველად გასროლილი მასრა სანამ მიწაზე ეცემა, მექანიზმი (მსროლელის იდეალური რეაქციის ხარჯზე) ასწრებს მეოთხე ვაზნის გასროლასა და ცარიელი მასრის სავაზნე ფანჯრიდან გადმოგდებას. აღსანიშნავია რომ, რეკორდსმენმა და მსოფლიო ჩემპიონმა სროლაში, პატრიკ ფლენიგანმა **Winchester SX-3** – ით 12 ვაზნა 1.442 წამში გაისროლა, რაც მსოფლიო რეკორდია.

იარაღის სავაზნე და გაზების სისტემა გვაძლევს საშუალებას თოფისათვის გამოვიყენოთ ნებისმიერი სახეობის 12 კალიბრის ვაზნები, რომლებშიც ყრია 24 გრ-დან 67 გრ-მდე საფანტი თუ ფინდიხი. მიმღები, ანუ „ჩვენებურ ენაზე“ სისტემური კოლოფი, ახალი ტექნოლოგიებით აგებული მყარი ალუმინია, (ერგალი) რათა შემცირდეს იარაღის წონა, რომელიც 3.0 კგ-დან 3.1 კგ-მდე მერყეობს.

„ბერეტას“ აღნიშნული მოდელის ლულები აღჭურვილია **HP-optimabore**-სახრახნი ჩოკებით (განიმარტება როგორც ოპტიმალური ჭრა), რომლებიც მას ორიგინალური და ყველასაგან განსხვავებული ზომის აქვს, ისევე როგორც ყველა თანამედროვე კონკურენტუნარიან ბრენდის ნაწარმს შეეფერება. ამას ემატება კომპანიის ოსტატთა და კონსტრუქტორთა ჯგუფის ტექნოლოგიური წინსვლა, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა **STEELIUM** – მეთოდიკის დანერგვა. ეს გახლავთ ლულების მზადების სრულიად ახალ პრინციპი.

ლულის სტრუქტურის აგება ხდება ერთი მასიური ფოლადისაგან. მისი დამუშავება ხორციელდება ცივად, ხოლო გაჭრა ვითარდება სპეციფიკური მანქანით, რის შემდეგადაც ლულის უკვე გაჭრილ ხვრელში იდგმება მაღალი სიმყა-



ვაკუუმში მზადების ილუსტრაცია Beretta A400-ის საკეტის მბრუნავი თავი მოძრაობისას





Beretta A400-ის GUN-PAD

რის ფოლადი და ხდება მასზე ვაკუმური ტექნოლოგიების საშუალებით ლულის ზედაპირის დაპრევსა. შემდგომ უკვე ადგილი აქვს წარმოებული პროდუქციის ენერგიაზე და ტემპერატურაზე ტესტირებას. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი ჯამდება, კეთდება დასკვნები და ბერეტას საგამოცდო ჯგუფის დადებითი პასუხის შემთხვევაში **Beretta A-400 Xplor** იძლევა იდეალურ ბალისტიკურ შედეგებს.

უკვე რამოდენიმე წელიწადია რაც ბაზარზე გამოჩნდა „ბერეტას“ ახალი ნახევრადავტომატები – **Beretta A400 Xplor-ის** სახით და უკვე დიდი პოპულარობაც მოიპოვეს საეთაშორისო ბაზარზე. თავდაპირველად წარმოდგენილ იქნა აღნიშნული იარაღის სტანდარტული ვერსია **Beretta A400 Xplor Unico**. აღნიშნული სერიების, ანუ **A400-ის** გაუმჯობესებული ვერსიები კი კომპანიამ 2011 წელს წარმოადგინა საერთაშორისო გამოფენებზე. ამ წელს სამი ახალი მოდელი იხილა საზოგადოებამ. ამავდროულად შექმნილ იქნა სრულიად განსხვავებული ვერსია რომელსაც სახელის დაბოლოებაც შეუცვალეს და უწოდეს **Beretta A400 Xcel**. მას კონსტრუქტორებმა **Xplor -**გან განსხვავებით კიდევ ერთი ფუნქცია, ტიბჟირის ბოლოში წინა ნაწილის სამაგრი ბალანსირებადი ხუფი დაუმატეს და სისტემური კოლოფის ფერი შეუცვალეს. 2012 წელს უკვე ზემოთხსენებული სერიის თოფებისათვის შეიქმნა „სლუგერის“ ლულა ღია სამიზნე არჭურვილობითურთ. მისი მეშვეობით ნადირზე ტყვიის სროლა სტანდარტულ თამასიან ლულასთან შედარებით ბევრად უფრო მოხერხებულად და შედეგიანად ხორციელდება.

ყველაზე მსუბუქი მოდელი **Xplor** -ის სერიაში გახლავთ **Beretta A400 Xplor Light**. მისი წონა სულ რაღაც 2,85 კგ-ია. ესაა მთავარი ფაქტორი, რითიც აღნიშნული მოდელი დანარჩენი **A400 Xplor**-გან განსხვავდება. მზადდება ვერსიები ზემოთხსენებული **Kik Off** -ის ამორტიზატორით და მოდელები მის გარეშეც. „ბერეტამ“ ასეთი მსუბუქი თოფის ბაზარზე გამოტანით თამამი განაცხადი გააკეთა კონკრეტულ კატეგორიაში პირველი ადგილის დასამკვიდრებლად. აქ აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომ იარაღი ზემოთხსენებული **A-400-**ის ოჯახიდან, რომელიც იწონის 2,85 კგ-ს, შესწევს ძალა ისროლოს მხოლოდ „მაგნიუმის“, 76 მმ-იანი ვაზნები და არა „მაქსიმაგნიუმის“ 89 მმ-იანი ვერსიები. თუმცა ამგვარი წონის სხვა, კონკურენტი თოფებიც სწორედ რომ ზემოთხსნებულ, მხლოდ 76 მმ ვაზნებზე არიან გათვლილი.

მთავარი სიახლე, რომელიც კომპანია „ბერეტამ“ 2011 წელს გამართულ გამოფენებზე წარუდგინა ფართო საზოგადოებას, გახლდათ ჩვენს მიერ განხილვადი **Beretta A400 Xplor Action.** თოფს ყველა იმ სიკეთესთან ერთად, რომელიც ნებისმიერ სერიულ **A400-ს** ახასიათებს, აქვს კიდევ ერთი დამატებითი ფუნქცია. კონდახის ყელის ქვეშ, ფისტოლეტისებრ ხელსაკიდ ტართან გაკეთებულია ელექტრონული მოწყობილობა. შემქმნელებმა მას უწოდეს **Beretta onboard computer – Gunpod**. სისტემას აკისრია სამი ძირითადი ურთიერთგანსხვავებული ფუნქცია. პირველი ითვლის გასროლის რაოდენობას იარაღის პირველი ვაზნის გასროლიდან უკანასკნელ ვაზნის გასროლამდე. მას აქვს უნარი დაითვალოს 450.000 ვაზნამდე. შემდგომ უკვე კომპიუტერი გაანოლებს შედეგებს და თვლას დაიწყებს ახლიდან. აღნიშნული ციფრის მიხედვით სავარაუდოდ შესაძლებელია იარაღის რესურსის გამოთვლაც. აგრეთვე თოფის მფლობელს საშუალება ეძლევა თუნდაც რამოდენიმე წლის შემდეგ ნახოს თუ რამდენი ვაზნა გაისროლა თავისმა იარაღმა. ციფრების ჩამოყრა შეუძლებელია. კომპიუტერის მეორე, აგრეთვე საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია გახლავთ თერმომეტრი, რომელიც ზომავს ჰაერის ტემპერატურას. აღნიშნული ფაქტორიც ძალზედ მნიშვნელოვანია პროფესიონალი მსროლელებისა თუ მონადირეებისათვის. მესამე ფუნქცია ახორციელებს ვაზნების ტესტირებას. ის ზომავს ენერგიას და იძლევა მითითებებს (გადატანითი მნიშვნელობით) ძალის – ენერგიის მიხედვით ყოველი გასროლილი ვაზნისას. მოწყობილობა საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ორი განსხვავებული ტიპის ვაზნა ერთმანეთს, მაშინაც კი თუ ისინი თანაბარი წონის საფანტით არიან დატენილი. ანალიზის გაკეთების შემდგომ კი არჩევანი გავაკეთოდ ყიდვისას იმ ვაზნებზე, რომელიც თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით უკეთეს შედეგებს გვიჩვენებს და მოგვეწონება.



BENELLI VINCI



ტექნიკური მონაცემები:	**Benelli Vinci**
მწარმოებელი:	**Benelli Armi SpA**
წარმოშობის ქვეყანა:	იტალია
წარმოების წელი:	2009
სისტემა:	„ვინჩის“ ინერციული მექანიზმი
ყალიბი:	.12/76
კონდახის სიგრძე: (მმ)	365
ლულის სიგრძე: (სმ)	61, 65, 70 ან 75.
მჭიდის ტევადობა:	3, 5, 7, ან 9 + 1.
წონა: (კგ)	3150
მიახლოებითი ფასი: **EU**	2000

1452 წელს ფლორენციაში, შეძლებულ ოჯახში, ნოტარიუს პიერო და ვინჩის უბრალო გლეხის ქალისაგან, კატერინასაგან უკანონო ვაჟიშვილი შეეძინა. იმ დროს ვერავინ იფიქრებდა რომ დაიბადა მომავალი გენიოსი და უნიჭიერესი მხატვარი ლეონარდო და ვინჩი. რა თქმა უნდა ვერც იმას იფიქრებდა ვინმე მის სახელს ოდესმე იარაღების მწარმოებელი იატალიური კომპანია „ბენელი“ იმიჯის ასამაღლებლად თუ გამოიყენებდა. სწორედ ლეონარდოს სიტყვები დაერთო საფუძვლად იარაღის სარეკლამო სლოგანს: „სიმარტივე დახვეწილობის უმაღლესი ფორმაა“.

„ბენელიმ“ ნადირობის სეზონის გახსნამდე, 2009 წლის დასაწყისში უკვე ფართო საზოგადოების წინაშე წარმოადგინა, ფაქტიურად სრულად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აგებული, უახლესი დიზაინის მქონე, ნახევრადავტომატური, გლუვლულიანი, 12 კალიბრიანი თოფი, სახელწოდებით – **Benelli Vinci**. იგი გამოჩენისთანავე დასახელდა კონკრეტულ კატეგორიებში საუკეთესო მოდელად, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დაშლა-აწყობის სიმარტივე და მოხერხებულობა. აღნიშნული პრინციპი იმდენადაა დახვეწილი რომ მოყვარული, არაპროფესიონალი მსროლელისათვის დაახლოებით 5 – 7 წამია საჭირო ამ პროცედურის განსახორციელებლად. ამ დროში იგულისხმება ლულის, კონდახისა და სისტემური კოლოფის მჭიდთან ერთად განცალკევება. ანუ იარაღი სამ ძირითად ნაწილად იშლება, ისე რომ მისი შემდგომი გაწმენდა მარტივადაა შესაძლებელი. მთავარი ალბათ მაინც ისაა რომ ასეთ მოკლე დროში იარაღის ისეთ მდგომარეობაში მოყვანა მოხდეს, რომ გაწმენდისას მისი თითქმის ყველა კუთხე კუნჭული გამოჩნდეს. ტრანსპორტირების შემთხვევაში დაშილი „ვინჩი“ ძალზედ პრაქტიკული გადასატანი ხდება. თუმცა მისი საქართველოში იმპორტის შემდგომ აშკარა გახდა, რომ არც ისეთი მარტივი იყო „ვინჩის“ დაშლა-აწყობა, როგორც ეს მის სარეკლმაო რგოლში ჩანს და როგორც ამას საგამოფენო კომპლექსში მყოფმი ერთ-ერთი წარმომადგენელი ახორციელებდა დემონსტრაციულად. დაშლა-აწყობის პროცედურა „ბენელის“ წარმომადგენლებიდან, ბატონმა ანდრეა ლუინიმ მართლაც რომ არაჩვეულებრივად აგვიხსნა, თეორიაშიც გაგვარკვია და ვიზუალურად ნახვის საშუალებაც მოგვცა აღნიშნული პროცედურის ნელა და დინჯად განხორციელება როგორც ხდებოდა. ამის შემხედვარე ნებისმიერი მონადირე თუ მეიარაღე დატკბებოდა სანახაობით და აღიარებდა კომპანია „ბენელის“ თოფის სიმარტივეს. მაგრამ პრაქტიკაში ყველაფერი სხვაგვარად ხდება, ან უფრო უკეთესად ან უფრო უარესად. ძირითად შემთხვევებში კი უარესად.

თოფის აწყობისას ლულასა და ზედა სისტემურ კოლოფს, რომლებიც ერთ საერთო დეტალს წარმოადგენენ, მივუსადაგებთ კონდახის ყელს. დაახლოებით 90° გრადუსით გადატრიალებისას კონდახის ყელში არსებული ნიშნული გაუთანაბრდება სისტემური კოლოფის ზედა მხარეს, მის შუა პერიმეტრში სიგრძივ განთავსებულ ნიშნულ ზოლს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ძლიერად დაწოლის შემთხვევაში დეტალები საფუძვლიანად ჩაჯდებიან ერთმანეთში და ჩაიკეტებიან ამის შემდგომ იარაღი მზადაა ქვედა სისტემური კოლოფის დასაყენებლად. აღსანიშნავია რომ აღნიშნული დეტალი მჭიდთან ერთად მაგრდება ბუდეში. სურვილის შემთხვევაში მათი განცალკევება იოლად ხორციელდება. აწყობისას კი ძალიან მარტივად, სისტემური



Benelli Vinci-ს დაშლა აწყობის პროცედურები









კოლოფის წინა, ლულისქვეშა ბოლოდან ხდება მჭიდის ჩასმა. ამ შემთხვევაშიც თეთრი ფერის ნიშნულებს ვიყენებთ. მისი ტიბჟირის წინა, ქვედა ბოლოში გამოჩენისას ვიგებთ რომ ისინი სრულყოფილად არიან შეერთებულები. აწყობილი ქვედა სისტემური კოლოფი, რომელიც ამავდროულად ლულისქვეშა კონდახს – ტიბჟირს წარმოადგენს, იმავე თეთრი ფერის ნიშნულის დახმარებით უერთდება ლულასა და ზედა სისტემურ კოლოფს. კომპანია „ბენელის“ კონსტრუქტრებმა ყველაზე მთავარი, „ვინჩის“ ახალი ინერციული სისტემა უფრო დახვეწეს და ისე წარმოადგინეს ნადირობის მოყვარული საზოგადოების წინაშე. ბრენდის საკეტი მექანიზმი ყოველთვის გამოირჩეოდა სიმარტივით და ამჯერადაც მასში უფრო ნაკლები დეტალია გამოყენებული ვიდრე ეს მანამდე იყო. შესაბამისად დაშლა-აწყობაც იოლად ხორციელდება. „ვინჩის“ **In-Line**-სისტემა სულ რაღაც 7 კომპონენტისაგან შედგება. მათი განცალკევება სწრაფადაა შესაძლებელი და მოყვარული ან ნახევრად პროფესიონალი მეიარაღისათვისაც კი ძალზედ იოლია. გასროლისას ვაზნა წინა მოდელებისაგან განსხვავებით უფრო სწრაფად მიეწოდება იარაღს მჭიდიდან სავაზნეში და შესაბამისად ჩქარდება გასროლის ციკლი. საკეტზე ზემოდან, სიგრძივ განთავსებულია რკინის ლეგირებული ჯოხები, რომელიც უკანა მხარეს, საკეტს სცდება და კონდახზე მიმბჯენ დეტალს უკავშირდება. აღნიშნული ჯოხები/ფოლადის ჩხირები უფრო ამორტიზატორებს წარმოადგენენ. მათზე ზემოდან ზამბარაა ჩამოცმული. გასროლისას მბრუნავ თავიანი საკეტი მექანიზმი მოდის მოქმედებაში. მიემართება უკუმიმართულებით და მიდის ბოლომდე, კონდახის მიმბჯენამდე. ამ დროს „ინერციის ზამბარა“ აქტიურდება, რომელიც საკეტის მბრუნავი თავის უკანაა ჩასმული. ამავდროულად აქტიურდება ზემოთხსენებული, ფოლადის ჩხირებზე ჩამოცმული ორივე ზამბარა. შედეგად საკეტი ბრუნდება წინ, საწყის პოზიციაში. ამასობაში მჭიდიდან სისტემურ კოლოფში გადმოტანილია მზა, გასასროლი ვაზნა, იარაღის მბრუნავ თავიანი მექანიზმი ეჭიდება და მიაქვს სისტემურ კოლოფში.



კომპანია „ბენელის“ ლულები ყოველთვის ცნობილი იყო თავისი კარგი ანტიკოროზიული და ჟანგსაწინააღმდეგო საფარით. ყველაზე მთავარი კი მაინც კომპანიის მიერ შემუშავებული კრიოგენული სისტემაა. ამ პრინციპის გამოყენებისას ფოლადი, ამ შემთხვევაში კი ლულები, ცივდება დაახლოებით-180˚ ტემპერატურამდე. ამ მეთოდით მატულობს ფოლადის სიმტკიცე, ლაგდება კრისტალური მესერი – მისი სტრუქტურული აგებულება. უნდა აღინიშნოს რომ ბალისტიკური თვალსაზრისით „ვინჩი“ თავის მთავარ კონკურენტ „მაქსუსს“ ვერ ჯობნის. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს ბალისტიკური მონაცემებით ვერც ახალ **Beretta A-400** -ზეა ბევრად უკეთესი. თუმცა ვერ ვიტყვით იმასაც, რომ მკვეთრად ჩამორჩება მათ გარკვეულ ასპექტში.

ლულის ბოლოში არსებულ ხრახნზე შესაძლოა სხვადასხვაგვარი, მოკლე თუ დამაგრძელებელი ჩოკების დამაგრება. მათი მიხედვით რეგულირდება საფანტის გაშლა, დაჯგუფება, სროლის მანძილი და ტრაექტორია. „ბენელის“ ახალი მოდელისათვის კონსტრუქტორებმა შორსმსროლელი, მსხვილკალიბრიანი შაშხანის პრინციპები გამოიყენეს; მაგალთად ის რომ ლულა განთავსებულია თავისუფალი რხევის ზონაში (**Free Folating Barrel**). შემქმნლების თქმით ეს მეთოდი აუმჯობესებს ბალისტიკურ მაჩვენებლებს. თუმცა რამდენად რეალურია მათი განმარტება კონკრეტული, გლუვლულიანი თოფის შემთხვევაში, ალბათ უფრო პრაქტიკაში გამოჩნდება გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ. ბევრი კრიტიკოსის აზრით ამ მეთოდმა შესაძლოა გაამართლოს. მაგრამ მიუხედავად იმისა რომ ეს მეთოდი და ზოგადად „ვინჩიც“ ძველ ბენელის ვერსიებს საკმაოდ ბევრი კრიტერიუმების გათვალისწინებით სჯობნის, სხვა კონკურენტ მოდელებთან შედარება, რომლებიც მას უპირველეს ყოვლისა ბალისტიკური თვალსაზრისით ჯაბნიან, ძალზედ გაუჭირდება.

Benelli Vinci-ს კონდახი და ტიბჟირი ხელოვნური, მყარი პოლიმერული მასალისაგანაა გაკეთებული. ძველი **Comfortech** სისტემა უფრო დაიხვეწა და წარმოებულ იქნა **Comfortech Plus** სისტემა. ახალ პრინციპს წინა მეთოდთან შედარებით შესწევს უნარი ადამიანისათვის არასასურველი ძალა და ენერგია უფრო მეტად შეამციროს. იარაღს დამატებით უმაგრდება ტაქტიკური კონდახი პისტოლეტის ტარით. აგრეთვე შესაძლებელია სალოყე ბალიშის შეცვლაც და ამით სიმაღლის რეგულიერება. აქსესუარების სახით შესაძლოა წითელი ტრიტიუმის თამასა თავისი ბუდითურთ, მწვანე ფერით შეიცვალოს. ვინჩის მჭიდიც განსხვავებული ტევადობის არსებობს. იწარმოება 3, 5, 7 და 9 ვაზნიანი მჭიდები.

საერთო ჯამში **Benelli Vinci**-მ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებდა გამოფენაზე ბენელის კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი დაშლა-აწყობის პროცედურა. დანარჩენი მონაცამებიც აშკარად გაუმჯობესებულია წინა მოდელებთან შედარებით და მოწონებას იმსახურებს. აღსანიშნავია, რომ იარაღი კლასიკური, ტრადიციების მოყვარული მონადირეთათვის ნამდვილად არაა შექმნილი. ის ხის კონდახით სერიულად ჯერჯერობით არ იწარმოება და მხოლოდ მისი სინთეტიკურ კონდახებიანი მოდელებია გაყიდვაში.



Benelli Vinci არასრულად დაშლილ მდგომარეობაში

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
BROWNING MAXUS	
ბრწყინვალე ბალისტიკური მონაცემები	*ტიბჟირი რყევადია და მოძრაობს ჩასმულ მდგომარეობაში ზედმეტად*
კლასიკური, ტრადიციული და თანამედროვე დიზაინის შერწყმა	*წინა „ბრაუნინგის“ მოდელებთან შედარებით დაუხვეწავია დიზაინი*
გამარტივებული დაშლა	
საჭურველის არჩევანის გაზრდა (24 – 67 გრ-მდე)	
სტაბილური, უტყუარი მუშაობა	
შირად გამოყენებადი, საჭირო, დამატებითი ფუნქციები	
BERRETTA A-400 X-PLOR ACTION	
კარგი ბალისტიკური მონაცემები	*KIK-OFF – ის კომპლექტაციის შემთხვევაში შედეგად თოფი უფრო მოუქნელი ხდება*
საჭურველის არჩევანის გაზრდა (24 – 67 გრ-მდე)	*თვითწმენდა და აირების თვითრეგულირება არაა აქტიური*
სტაბილური, უტყუარი მუშაობა	*გაზების ცილინდრი და მასთან არსებული სხვა დეტალები ერთობლიობაში ქმნიან დისკომფორტს გაწმენდისასაც და დაშლა აწყობისასაც*
დამატებითი კომპიუტერული მოწყობილობა – GUN-PAD	
საგრძნობლად შემცირებული უკუცემა	
განახლებული, მბრუნავ თავიანი, სწრაფი საკეტი მექანიზმი	
BENELLI VINCI	
კარგი ბალისტიკური მონაცემები	*თოფის დამიზნებისას ტიბჟირი მოუხერხებლად ჯდება ხელში*
სტაბილური, უტყუარი მუშაობა	*კლასიკური, ხის ვერსიების უქონლობა*
განახლებული, სწრაფი საკეტი მექანიზმი	
გამარტივებული დაშლა	

BROWNING A5



მწარმოებელი:	**Browning**
მოდელი:	**A-5**
სისტემა:	“კინემატიკურ“ პრინციპზე მოძრავი საკეტი
ყალიბი:	.12/76
მჭიდის ტევადობა:	4+1
ლულის სიგრძე: (სმ)	66, 71, 76.
ჩოკები:	1.0 – 0,5 – 0,25.
მთლიანი სიგრძე: (სმ)	130, 125, 120.
წონა: (კგ)	3,1
საგამოფენო ფასი:	**1598 $**

012 წელს კომპანია „ბრაუნინგმა“ განახორციელა დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული პროექტი. აღდგა ასწლოვანი ისტორიის მქონე, **Auto-5-ის** თანამედროვე ვერსია სახელწოდებით **A5**. საგამოფენო კომპლექსში, **Shot-Show 2012** – ზე თოფის ფონად, დახლზე გაკეთებული იყო შემდეგი შინაარსის წარწერა: „რაც არ უნდა მოხდეს“... როგორც კომპანიის თანამშრომელმა გაგვიმარტა, ფრაზის დასაწყისსა თუ დაბოლოებას თავად უნდა მიხვედრილიყო ზემოთხსენებული ბრენდის მოყვარული პიროვნება. „ბრაუნინგის“ გუნდმა გაგვიცხადა, ამგვარი გარანტიისა და თოფის მონაცემთა ფურცელზე მოყვანილი მოდიფიკაციებს გააზრების შემდგომ, დამთვალიერებლებისათვს მიგვინდია შეფასებაო. ამით ისინი გამოხატავდნენ საკუთარ პრინციპულ შეხედულებებს და დარწმუნებულები იყვნენ ახალი მოდელის წარმატებაში. აღსანიშნავია, რომ კომპანია გარანტიას იძლევა 100.000 გასროლაზე.

წინამორბედი მოდელი, ლეგენდარული **Auto-5,** ძველებური ტიპის თავისუფალი მასიური საკეტით იყო აღჭურვილი, რომლის შემთხვევაშიც ლულა მოძრაობდა და მექანიზმის კონკრეტული დეტალების ამოქმედების ხარჯზე სისტემა ახორციელებდა გადატენვის პროცედურას. აღსანიშნავია რომ დაახლოებით ანალოგიური ტიპის პრინციპზე იყო რუსული, ნახევრადავტომატური თოფი, ტულის იარაღთმშენებელი ქარხნის **МЦ 21-12** აგებული. რაც შეეხება ახალ **A5**-ს, ის მისმა შემქმნელებმა იმავე ტიპის სისტემით, თავისუფალი-მასიური საკეტით დააკომპლექტეს, თუმცა ბევრად გაუმჯობესებული და დახვეწილი ვერსიით. ბევრისათვის გახდა ცნობილი რომ ბოლო წლებში იტალიურ კომპანია „ბენელის“ ამოეწურა ათწლეულების განმავლობაში არსებული ლიცენზიის ექსკლუზივურად ფლობის ვადა, ინერციული ტიპის მექანიზმების წარმოებაზე. შესაბმისად „ბრაუნიგმა“ დიდი ხნის წინანდელი სურვილი რეალობად აქცია და ააგო შესანიშნავი იარაღი, ანალოგიურ პრინციპებზე, რომელიც ამავდროულად დაბრუნებაა ლეგენდარული, დიდი ისტორიის მქონე **Browning Auto – 5-ის**ა. აღნიშნულ მოდელს ამერიკულ-ბელგიურმა მწარმოებელმა არა იტალიელებივით ინერციული სისტემა, არამედ **Kinematic Drive** – კინემატიკური მოძრაობა უწოდა.

(**Kinem** – მოძრაობა, ძვ.ბერძ.). სწორედ კინეტიკური, ანუ მოძრაობის თეორია გახლდათ საფუძველი „ბრაუნინგის“ მიერ შექმნილი ახალი **A5**-ისა. პრაქტიკაში გამოცდისას ახალი **Browning A5**, რომელიც მოკლე ბიჯიანი, უკუცემით მოქმედებითი სისტემითაა აღჭურვილი, იდეალურად ასრულებს თავისზე დაკისრებულ მოვალეობას. კინემატიკური მოძრაობის არსი ამ შემთხვევაში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გასროლისას საკეტზე – დამშვებდამრტყელ მექანიზმზე ზემმოქმედ უკუცემით ენერგიას ის გარდაქმნის მექანიკური მოძრაობის ენერგიად. ეს გახლავთ უკვე კარგად ნაცადი და გამართლებული ხერხი. გამართულ მუშაობასთან ერთად იარაღის შემქმნელები მისგან ექსტრემალურ პირობებში უტყუარ ფუნქციონირებასაც ელიან. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ახალ ნახევრადვატომატს სპეციალისტებმა ტესტირების შემდგომ 100.000 გასროლაზე მისცეს გარანტია მოდელის ყოველ მომავალ მფლობელს. სურვილის შემთხვევაში ეს ციფრი შესაძლებელია 5 წლით შეიცვალოს. ეს გახლავთ უპრეცენდენტო შემთხვევა ამგვარი კლასის იარაღებს შორის. ეს გარემოება წარმატებულ შედეგებს მოუტანს კომპანიას სპორტსმენების მხრიდან. მითუმეტეს ამ შემთხვევაში თოფი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, უპრობლემოდ ისვრის სპორტულ, დაბალ წონიან (24 გრამიან) ვაზნებს. ამასთანავე გაყიდვების რაოდენობა გაიზრდება მონადირეების მიერ განხორციელებული შენაძენების ხარჯზეც. ვინაიდან სახალხოდ ცნობილია რომ „ბრაუნინგის“ ნახევრადავტომატურ გლუვლულიანებს საუკეთესო ბალისტიკური შედეგების ჩვენება ძალუძთ კონკურენტ მოდელებთან შედარებისას.



ჯონ მოზეს ბრაუნინგი პირველი სერიული თვითმტენი თოფით, Auto-5-ით ხელში. ფოტო გადაღებულია FN-ის ქარხანაში 1926 წელს, მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე.

ამას როდესაც ემატება უტყუარი, ყოველმხრივ გამართული ფუნქციონირება ურთულეს ექსტრემალურ პირობებშიც და დაბალ წონიან ვაზნებზეც, ძალიან ბევრი დამწყები თუ გამოცდილი მონადირე გააკეთებს მასზე არჩევანს.

ალბათ ერთის მხრივ უსამართლობა იქნებოდა რომ კომპანია „ბრაუნინგს“ აღნიშნული ტიპის, თავისუფალი-მასიური საკეტი მექანიზმი არ განეახლებინა. არც „ბენელი“, არც „ბრედა“ და არც სხვა იარაღის მწარმოებლებს არ აქვთ იმხელა ისტორია, რამხელაც მხოლოდ

ერთ ბრაუნინგის თოფს – **Auto 5**-ს. თავად „ბერეტა ჰოლდინგის“ წარმომადგენელი, კომპანია „ბენელი“ ჯერ კიდევ მოტოციკლეტების წარმოებით იყო დაკავებული, როდესაც ზემოთხსენებული, პირველი ნახევრადავტომატური გლუვლულიანი თოფის, **Browning Auto 5**-ის გაყიდვები უკვე საგრძნობლად იყო გაზრდილი.

ახალი „ბრაუნინგი“ თითქმის ყველა იმ ფუნქციითაა დატვირთული, რაც კომპანიას ბოლო ათწლეულში ნახევრადავტომატური თოფისათვის შეუქმნია. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი პირობა აღნიშნული იარაღის შესაძენად გახლავთ **Speed Loading Plus** სისტემა. როდესაც საკეტი ღიაა, ვაზნა, რომელსაც ვდებთ მჭიდში, ავტომატურად მიემართება ლულისაკენ და თავსდება სავაზნეში. ამასთანავე სასხლეტის ბუდის წინ განთავსებულ ღილაკზე ზემოქმედებით შესაძლებელია ასევე ვაზნის მჭიდიდან სწრაფად სავაზნეში მიწოდება.

იარაღი დაკომპლექტებულია გასაღებით, რომლის მეშვეობითაც ლულისქვეშა კონდახის ყელში განთავსებულ ხრახნს უშვებთ და შესაძლებელი ხდება მჭიდის შემზღუდველის ამოღება ან ჩადება, ძალიან მარტივად, ყოველგვარი სხვა დამატებითი ხელსაწყოს გარეშე.

ლულები ხარისხობრივი თვალსაზრისით თითქმის ყოველთვის იდეალური ჰქონდა „ბრაუნინგს“. ამჯერად კომპანიამ შეიმუშავა ახალი ტექნოლოგიები, რომელსაც მან **Total Barrel Dynamics** უწოდა. ამის შემდგომ შედარებითი ტესტი გაკეთდა **A5-ის**ა და სხვა, კონკურენტი სპორტული ვერსიის ლულებს შორის. ორივე მათგანი გათვლილია რა თქმა უნდა რკინის საფანტზე. შესაბამისად განხორციელდა 500 ერთეული ვაზნის შეუსვენებლად გასროლა ორივე ლულიდან. გაწმენდის შედგომ „ბრაუნინგის“ ლულა იდეალურად გამოიყურებოდა და თითქმის არავითარი კვალი არ შეიმჩნეოდა მისი ლულის შიდა ზედაპირზე. მეორე ლულა კი გარკვეულ წილად დაზიანებული იყო. ლულების წარმოების ახალ ტექნოლოგიებთან ერთად ახალი **A5-ის** ლულა აღჭურვილია **Back-Bored technology** და **Vector-pro** სისტემებით. ისინი ხელ უწყობენ ბალისტიკური შედეგების გაუმჯობესებას და მხარზე საყრდენ ბალიშთან და კონდახში არსებულ ამორტიზატორთან ერთად საგრძნობლად ამცირებენ უკუცემას.

ამერიკაში, ლას ვეგასში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე (**Shot Show 2012)** წარმოდგენილი იყო **A5**-ის ოთხი განსხვავებული მოდიფიკაცია. 2013 წელს კი მოდელებმა ევროპის ბაზარზეც გადმოინაცვლეს და ნიურნბერგში გამართულ გამოფენაზეც იპყრობდნენ დამთვრალიელებელთა გულსა თუ გონებას. ჩვენი ინტერესი უმალვე კლასიკურმა, ხის კონდახით აღჭურვილმა ვერსიამ მიიპყრო. თოფის კონდახის დამუშავების სტილი **Remington 1100**-სს მოგვაგონებს. მიუხედავად იმისა რომ მისთვის მაღალი კლასის კაკალი არ იყო გამოყენებული, ხის ზედაპირი არაჩვეულებრივად იყო მოპირკეთებული და დამუშავებული. აგრეთვე ძალიან პრაქტიკული სახმარი ჩანდა კამუფლირებული ვერსია.

გამოდის რომ ერთის შეხედვით სახეზეა იდეალური იარაღი. მასში შერწყმულია ტრადიციული და თანამედროვე დიზაინი. ბალისტიკური მონაცემები ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო მასშტაბით კონკურენტი კომპანიების მიერ წარმოებული ნახევრადავტომატურ თოფებთან, „ბენელისთან“, „ბერეტასთან“ და სხვა მსგავს ბრენდებთან მიმართებაში. ამასთანავე აირებით დაბინძურებული სისტემის გაწმენდა ნაკლებად აქტიურადაც შეიძლება, ვიდრე ამას **Fusion Evolve-ს** ან თუნდაც **Maxus-ის** შემთხვევაში ვაკეთებდით. ამავდროულად იარაღით შესაძლებელია ნებისმიერი დაბალ წონიანი ვაზნის გასროლა 56 გრამამდე. გამოდის რომ, „ბრაუნინგის“ გუნდმა შექმნა უნიკალური მოდელი. თუმცა კონკურენტი მოდელების დაჯაბვნა არ ნიშნავს იმას, რომ იარაღს არ გააჩნია მინუსები. ამჟამად უკვე რამოდენიმე სპეციალისტ ლაპარაკობს მისი დიზაინის დაუსრულებლობაზე. საგამოფენო კომპლექსში წარდგენისას საუბრობდნენ არასრული, დაუხვეწავი აგებულების შესახებ. არადა ახალი „ბრაუნინგის“ მონაცემებში ვკითხულობთ მისი იდეალური ბალანსისა და აგებულების შესახებ, რომელსაც თავად შემქმნელებმა ერგონომიულად დაბალანსებული (**Egro-Balanced)** პრინციპი უწოდეს. გარკვეული დროის გასვლის შემდგომ კი სავარაუდოდ სხვა უარყოფითმა მხარეებმაც შეიძლება გამოიჩინოს თავი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გავრცელდა გამოფენაზე ინფორმაცია „ბრაუნინგის“ აირებით მტენი გლუვლულიანი მოდელების უკეთესი ბალისტიკური მაჩვენებლების შესახებ.

ერთის შეხედვით ახალი **A5** მართლაც გამოირჩევა განსაკუთრებული დიზაინით. მისი ერგალის სისტემური კოლოფი ძველ, **Auto-5**-ს მოგვაგონებს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს ცუდ ბალანსსა და დარღვეულ, არასწორ აგებას იარაღისა. პირიქით, ერგალის მასალა რკინისაგან განსხვავებით მსუბუქია და ხელს უწყობს თოფის მხარზე მიბჯენისას, მიზნის შედარებით მალე მოძებნასა და იარაღის უკეთესად მორგებას. შესაბამისად შესაძლებელია უარყოფითი შინაარსის გამომხატველი ფრაზები გამოფენაზე კონკურენტების მიერ შერჩეული კრიტიკოსების აზრები იყოს.

ამჟამად, საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ მილებული გამოცდილების ხარჯზე თამამად შეიძლება ითქვას რომ „ბრაუნინგი“ ძმობილ „ვინჩესტერთან“ და კონკურენტ კომპანიებთან, „რემინგტონთან“, „ბენელისთან“ და „ბერეტასთან“ ერთად საუკეთესოა, განსაკუთრებით რესურსული და ბალისტიკური თვალსაზრისით ნახევრადავტომატური თოფების წარმოებაში. მისი ახალი მოდელი **A5** – ი კი ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი მაგალითია.



Browning A5-ს კინემატიკური (ინერციული) სისტემა



Browning A5-ის ნახევრად ავტომატური გლუვლულიანი თოფები

BROWNING BAR



მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი ნახევრადავტომატური შაშხანა გახლავთ „ბრაუნინგ ბარი“ (**B A R – Browning Automatic Rifle** – ბრაუნინგის ავტომატური შაშხანა). მოდელი შეიქმნა 1966 წელს, ჯონ მოზეს ბრაუნინგის შვილიშვილის, ბრიუს ბრაუნინგის მიერ. მას შემდეგ 44 წელია რაც „ბარ“ – მა გლობალურ ბაზარზე ლიდერობა განიმტკიცა და უკვე მილიონობით ეგზემპლიარი არის გაყიდული. მეიარაღეები დადებითად ახასიათებენ მოდელის მექანიზმის ხარისხს, რომლის კონსტრუქციაც აგებულია აირებით გადატენვის პრინციპზე. სისტემა გამართულად, ყოველგვარი პრობლემების გარეშე ასრულებს თავისზე დაკისრებულ მოვალეობას. დროთა განმავლობაში „ბრაუნინგი“ აუმჯობესებდა იარაღის როგორც ტექნიკურ, ასევე ესთეტიკურ მახასიათებლებს, რათა **BAR**-ს არა მხოლოდ შეენარჩუნებინა ის დადებითი მხარეები, რაც მას ყოველთვის გააჩნდა, არამედ გამხდარიყო ლიდერი თავის კატეგორიაში, რაც მოგეხსენებათ დღევანდელ პირობებში ძალზედ რთულია. როდესაც ბაზარზე არსებობს **Merkel SR-1**, **Sauer 303**, აგრეთვე „ბერეტა“-ს „ბენელი“-ს, „ჰეკლერ&კოხის“ და ა.შ. შაშხანები, ბევრისათვის შეუძლებელია შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და თავდაუზოგავ შრომასთან ერთად მოითხოვს ტალანტებისა და ნიჭიერი კონსტრუქტორების მიერ გაკეთებულ აღმოჩენებს. დღესდღეობით ინარმოება მოდელის თხუთმეტამდე ურთიერთგანსხვავებული მოდიფიკაცია.

Browning Bar-ის ერთ-ერთი ბოლო თაობის ვერსიები გახლავთ **Bar Zenith-**ის კლასი. სერიულად ის იყოფა 3 კატეგორიად. ესენია: **Bar Zenith Prestige Wood, Bar Zenith Ultimate** და **Bar Zenith Prestige Big Game.** თითოეული მათგანის დეტალების გარკვეული ნაწილისათვის გამოყენებულია ბავარიული კაკლის ხე და კლასიფიკაციის მიხედვით შემოიფარგლება მე-3 – დან მე-8 კატეგორიამდე. შეკვეთის შემთხვევაში ხდება მხოლოდ გრავირების და დიზაინის სურვილისამებრ შეცვლა.

Long-Trac-ს/hort-Trac – „შორ დისტანციაზე“ – „ახლო დისტანციაზე“ მოდელებიც იყოფა კატეგორიებად და გვხვდება ბევრი ესთეტიკური თუ ფუნქციონალური განსხვავება. არსებობს ვერსიები ცაციებისთვისაც. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება სინთეტიკური იარაღების დამზადება, ხოლო შემდგომ გარკვეული ნაწილის ტყის და ფოთლების ეფექტის მსგავსად დაფერვა. ესენია: **Eclipse Gold, Luxe, Eclipse Gold**, (ცაციებისათვის) **Elite (**ცაციებისთვისაც), **Hunter** და **Camo.** თანამედროვე დიზაინის მქონე მოდელებთან ერთად ინარმოება ტრადიცული მოდელებიც, რათა შენაჩუნებული იქნეს პირვანდელი სახე და კლასიკურობის ფაქტორი. ინარმოება 2 ძვირფასი ვერსია, **Bar Grade D1** და **Bar Grade D.**

BROWNING BAR ACIER AFFUT BOSS – HECKLER KOCH SLB-2000-BENELLI ARGO

BAR-ის გაყიდული პროდუქციის რაოდენობა უტოლდება ლეგენდარულ **Colt Government M-1911-**ს და ნახევრად ავტომატურ გლუვლულიანს **Browning AUTO-5-**ს. მწარმოებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2007 წლის მონაცემებით სანადირო შაშხანის გაყიდვებმა 1 მილიონს გადააჭარბა. შესაბამისად ბელგიის ნაციონალური ქარხანა – **Fabrique Nationale (FN)** – კვლავ წარმატებით ახორციელებს ამ მართლაც შესანიშნავი მოდელის წარმოებას, რომელიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოშიც და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყავს ბევრი კონკურენტი. წიგნში წარმოგიდგენთ შედარებით მცირე განხილვას იმ მოდელებთან, რომლებიც ითვლებიან მის ძირითად კონკურენტებად.

სახეზეა ერთი-ერთი ვერსია **BAR-**ის ოჯახიდან, რომელიც გამოირჩევა ძველებური დიზაინისა და თანამედროვე ესთეტიკური თუ ბალისტიკური მონაცემების შერწყმით. ეს გახლავთ **Bar Affut BOSS.** ამ შემთხვევაში **B.O.S.S.** (**Ballistic Optimizing Shooting System** – ბალისტიკური ოპტიმიზირებული სასროლი სისტემა). ლულაზე დამაგრებული მოძრავი ცეხლმაქრი-კომპენსატორის მექანიკური ძალით (ხელით) დატრიალების შედეგად, რომელსაც აქვს შტრიხკოდისებურად დაყოფილი 10 პოზიცია, იარაღის უკუცემის ძალა მცირდება 30 – 50%-მდე. ლულაზე ჩახრახნილი ალმაქრი – რეგულირებადი კომპენსატორი უზრუნველყოფს კონკრეტული ვაზნის, ტყვიის წონის შესაბამისად, სროლის ბალისტიკური მონაცემების მკვეთრ გაუმჯობესებას. მოდელს მოჰყვება სია, სადაც განმარტებულია თუ რომელი წარმოების და რა წონის, განსხვავებული ბალისტიკის მქონე ვაზნა როგორ უნდა შევუსაბამოდ **B.O.S.S.**-ის სისტემას. თანამედროვე ტექნოლოგიით მოპირკეთებული – ქრომირებული სავაზნე კოლოფი და გაზების ცილინდრი ჟანგსაწინააღმდეგო ფენით არის დაფარული და აადვილებს ვაზნების ექსტრაქციას – გასროლილი მასრის სავაზნე კოლოფიდან ამოგდებას. თავად ცილინდრის სტრუქტურა კი იძლევა საშუალებას წყლის მოხვედრის მიუხედავად მექანიზმში, იარაღმა გააგრძელოს შეუწერებლად მუშაობა. თითქმის 2000 ევროდ შეფასებულ თვითმტენ იარაღს აქვს მბრუნავი-ჩამკეტი თავი საკეტ მექანიზმზე, სწორედ ისე, როგორც მის წინაპარ, **BAR-1-ს**. შაშხანა დაკომპლექტებულია ხსნადი ლულისქვეშა კონდახით. მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ მისი მოხსნა და ზოგადად იარაღის დაშლაც არც თუ ისე იოლად ხორციელდება. კომპანიის მიერ ასევე ინარმოება ვერსიები ცაციებისთვისაც, ხსნადი ან არახსნადი მჭიდებით.

გარკვეულ დადებით მახასიათებლებთან ერთად ყოველთვის არსებობს ხოლმე კონკრეტული გაუთვალისწინებელი შეცდომები, რომლებიც პროდუქციის ექსპლუტაციისას იჩენენ ხოლმე თავს და პრაქტიკული ხმარებისას ყოველთვის გარდაუვალია. ბელგიაში დამზადებულ და პორტუგალიაში დაკომპლექტებულ „ბარ“-ს გააჩნია საკმაოდ მომხიბლავი, თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი მეტალის ზედაპირი. მაგრამ სამწუხაროა რომ დამუშავებული სასხლეტის ბუდეზე და თავად სასხლეტის ზედაპირზე აღსანიშნავია მცირედი უსწორმასწორო, ერთი ხელის გასმით არასასიამოვნო ადგილები. აგრეთვე საგულისხმოა, რომ ოპტიკური სამიზნის დამაგრების შემთხვევაში საჭიროა ხელსაწყოების ხმარება და 4 ქანჩის ამოხრახვნის შედეგედ სამიზნე ხიდის დამაგრება. ზოგ შემთხვევაში კი ოსტატის ჩარევის გარეშე, შეუძლებელია ზოგიერთისათვის მონტაჟის პროცედურის განხორციელება.



სტანდარტული Browning Bar ტანამედროვე, შავი სისტემური კოლოფით



არასერიული Browning Bar



მწარმოებელი:	ბელგიის ნაციონალური ქარხანა **(FN)**
წარმოდგენილი მოდელი:	**BROWNING BAR ACIER AFFUT BOSS**
ყალიბი:	**308 Win, (**აგრეთვე იწარმოება: **30-06 Sprg, 300 WM, 338 WM …)**
ლულის სიგრძე:	60 სმ
მთლიანი სიგრძე:	1146 სმ
წონა:	3,5 კგ
მჭიდის ტევადობა:	3+1
დამატებითი ინვენტარები:	კეისი, კლიტე, საქამრეები
მიახლოებითი ფასი:	2000 ევრო

ჩვენ ამ ყოველივეს გადასამოწმებლად თავდაპირველად **Browning Bar-ის** სტანდარტული ვერსიებით დავინტერესდით, რომლებიც ზემოთხსენებული **BOSS-ის** სისტემებით არ იყვენენ აღჭურვილნი. მათი ხილვა და პროფესიონალების აზრის გაგება საქართველოს გარდა გერმანიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე მოხერხდა.

ვისაც მთებში ხშირად უწევს ნადირობა, რთულ პირობებში გორაკებზე სირბილი და გარკვეულ ვითარებებში – წამებში სწრაფი რეაქცია, ყოველთვის შეიძლება ჰქონდეს მჭიდის დაკარგვის შიში. აი „ბრაუნინგის“ მფლობელს კი ზემოთხსენებული პრობლემა ამ შემთხვევაში ნაკლებად შეაწუხებს. კომპანია აღნიშნული შაშხანისათვის აწარმოებს ორნაირი ტიპის მჭიდებს. ხსნადს და არა ხსნადს. ხსნადის შემთხვევაში სასხლეტის წინა მხარეს მდებარე ღილაკის უკან მოწევით, მჭიდის ხუფი ხტება და გამოაქვს მჭიდი თან. მჭიდს ბოლოში იჭერს ზამბარა და მისი ნახევარი ორი საფეხურით ჩამოწეულია ქვევით. მჭიდის გამღები/დამჭერი ღილაკი სასხლეტის წინა მხარეს, მისივე ბუდეზეა განთავსებული.

მასზე თითის დაჭერის შემთხვევაში



Browning-ის B.O.S.S.-ის სისტემა

გვესმის მცირედი ხმაური, რომელიც ნადირობისას ძირითად შემთხვევებში ხელს არ უშლის მსროლელს. თუმცა შეიძლება შეიქმნას ისეთი გარემოება, რომ პატარა ხმაურმაც უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს და დააფრთხოს ცხოველი.

ორიგინალური ზომის უკანა და ლულისქვეშა კონდახები საშუალებას იძლევა ნებისმიერი აღნაგობის ადამიანისათვის იყოს ადვილად მოსარგები. შაშხანის მარჯვენა მხარეს მოთავსებულია საკეტი მექანიზმის დამჭერი-დამშვები ღილაკი.

ტესტირებისათვის წილად გვხვდა ბედნიერება წავსულიყავით ავსტრიაში და გამოგვეცადა რეალურად **Browning Bar-ის** შაშხანა **Boss-**ის სისტემით, ყალიბით 300 **Win. Mag.** ავსტრიელებმა შემოგვთავაზეს ფინური **SAKO ARROWHEAD II-**ის ვაზნები. მათი საწყისი სიჩქარე შეადგენდა 815 მ/წმ-ს. აღსანიშნავია, რომ ვაზნის თავი, რომელიც 11,7 გრ-ია (180 – გრეინი) 60 სმ-იანი ლულიდან გასროლის შემთხვევაში 300 მ დისტანციაზე 652 მ/წმ სიჩქარეს ინარჩუნებდა. მისი ენერგია კი შეადგენდა ლულიდან გამოსვლისას 3874 ჯოულს. ამასთანავე მოვახდინეთ ამერიკული ბრენდის, „ფედერალის“ მარკის ვაზნების **300 WM Trophy Copper** -ის გასროლაც. მოდელის თავის წონა ზუსტად იგივე, 11,7 გრ-ს შეადგენდა. მისი საწყისი სიჩქარე 903 მ/წმ იყო. ენერგია კი 4748 ჯოულს უტოლდებოდა. **Browning Bar** – დან გასროლა განხორციელდა 100 მ დისტანციაზე. უნდა აღინიშნოს რომ ამერიკული ვაზნის თეორიული მახასიათებლების უპირატესობის მიუხედავად განსხვავება არც თუ ისე დიდი იყო. ორივე ტიპის ვაზნამ არაჩვეულებრივი შედეგები აჩვენა და შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე.

ავსტრიაში ჩასვლამდე, გერმანიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე გაიმართა შეხვედრა ოფიციალურ ქართულ მხარესა (შ.პ.ს. ქარავანი+) და ბელგიურ მხარეს (**Browning Int.)** შორის. ვიზიტის შემდგომ კი საშუალება მოგვეცა გავცნობოდით სიახლეებს და კონსტრუქტორებისაგნ მიგვეღო ჩვენს კითხვებზე ამომწურავი პასუხები. „ბრაუნინგის“ წარმომადგენლების



Browning Bar Zenith არასერიული გრავირებებითა და ძვირფასი, მაღალი კლასის კაკლის კონდახებით

რჩევით, იარაღზე დავაყენეთ „კარლ-ცაისის“ ოპტიკური სამიზნე, 12-ჯერადი გადიდებით და შიდა ილუმინაციური განათებით **Carl-Zeiss Diavari ZM 3-12x56.** ოპტიკის ოდნავ ტლაქნმა და გრძელმა აგებულებამ გვაიძულა სტანდარტულზე მცირედით უკან გაგვეწია სამიზნე. ტესტის ჩატარების შემდეგ მინდა გითხრათ რომ **BAR** -თვის ჩვენს მიერ ხსენებული სამიზნე იდეალურია. თუმცა ამ სისტემით აღჭურვილი „ბრაუნინგის“ შაშხანა მექანიკური სამიზნითაც იდეალურად მუშაობდა და აჩვენა გაცილებით კარგი ბალისტიკური მონაცემები თავის კონკურენტებთან შედარებით. მას ამაში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში **BOSS-ის** სისტემა დაეხმარა. მის გარეშეც ცნობილია „ბრაუნინგის“ ნახევრადავტომატური შაშხანის ზუსტი და ეფექტური ბალისტიკური მონაცემები. მაგრამ არც იტალიური B**Benelli Argo** და გერმანული **SLB-2000** მოიკოჭლებენ ამ მხრივ.

„ბრაუნინგ ბარის“ მფლობელების საყურადღებოდ უნდა ითქვას რომ ყველაზე არასასიამოვნო პროცედურა იარაღთან მიმართებაში მისი გაწმენდა – გასუფთავებაა. ვისაც სროლის შემდეგ სისტემური კოლოფისა და სასხლეტის მექანიზმის გასუფთავება სურს, იღებს 2 გრძელ ფოლადის ჩხირს ან ზოგ შემთხვევაში ჭანჭიკს სისტემური კოლოფიდან და მისი ჩამოწევის შემდეგ მექანიზმი ნახევრად გამოდის გარეთ. სასხლეტის თავში – კონდახის ქვემოთ, მოთავსებულია სპეციფიკური დამჭერი, რომელიც ჩახრახნილია 9 მილიმეტრზე, და მისი მოხსნის შემდგომ შესაძლებელია კონდახის და დანარჩენი იარაღის ერთმანეთისაგან განცალკევება.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას რომ „ბრაუინინგ ბარი“ საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. თუ ვინმე გადაწყვეტავს მის შეძენას თავისუფლად შეუძლია ენდოს „ბრაუნინგის“ ძალიან ზუსტ და ხარისხობრივი თვალსაზრისით გამართულ იარაღს. არ აქვს მნიშვნელობა, მყიდველი არჩევანს აკეთებს „ბარ“-ის **Zenit**, **Long-Trac-ს**hort-**Trac**, მექანიზმის რკინით ან მსუბუქი, რბილი მეტალით დამზედებულ, განსხვავებული ესთეტიკური მახასიათებლების მქონე შაშხანებზე. ერთი რამ არის უდავო და გარანტირებული, იგი ხდება ნახევარსაუკუნოვანი ტრადიციების და მაღალი ხარისხის მქონე ხრახნლულიანი იარაღის მფლობელი

HECKLER&KOCH SLB 2000

ჯერ კიდევ 25 წლის წინ, როდესაც **Heckler&Koch** – მა წარმოადგინა თავისი სანადირო მოდელები, 630, 770 და 940, იარაღების დიზაინი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტრადიციული ვერსიებით. სრულიად განსხვავებულად წარადგინა თავი ახალმა სანადირო შაშხანამ, რომელსაც ეწოდება **Selbsladebüchse 2000 (SLB-2000)** – „თვითმტენი შაშხანა – 2000“. თავისი მაღალი სისტემური კორპუსის და არაევროპული კონდახის პისტოლეტისებრი ხელსაკიდის გამო იარაღს ამსგავსებენ ამერიკულ „რემინგტონ-7400“-ის რამოდენიმე ვერსიას. აქედან გამომდინარე კომპანიის ეს ნაწარმი პირველ რიგში აუცილებლად გათვლილია ამერიკის შეერთებული შტატების ბაზრისათვის, სადაც ამ ტიპის და დიზაინის მქონე იარაღებს საკმაოდ კარგად იცნობენ.

ტესტირებისათვის მოვიპოვეთ **SLB-2000**-ის **K-Premium** – ვერსია, 500 მმ ლულით, 30-06 **Springfield** ყალიბით. ზოგიერთი თავგადასავლის მაძიებელ მონადირესათვის საინტერესო ფაქტია, რომ იარაღი იძლევა საშუალებას მოხდეს ლულის, შესაბამისად ყალიბის შეცვლა. წონის შემცირება ობერნდორფელებმა ხელოვნური-სინთეტიკური მასალის ქვედა სისტემური კოლოფის აგებით დაიწყეს. მის შემადგენლობაში შედის სასხლეტისა და მჭიდის ბუდეები. იარაღის ზედა სისტემური კოლოფი შედგება თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული ნახევრადალუმინისაგან. მისი რესურსი არც თუ ისე მცირეა. დამცველი ღილაკი ძალზედ მოსახერხებელ ადგილზე, კონდახის ყელის თავში, უკანა ზედა ბოლოშია მოთავსებული. თუმცა საკმაოდ ხისტი და ხმაურიანი სახმარია, ეს გასათვალისწინებელი ფაქტი სერიულ წარმოებაში აუცილელად გაუმჯობესებას მოითხოვს. მჭიდის შემთხვევაში კონსტრუქტორებმა ორიენტეცია გააკეთეს **USP** -სა და **P7** – ზე. ის ადვილად გამოსაყენებელია როგორც მემარჯვენეებისათვის, ასევე მემარცხენეებისათვისაც. ოპტიკური სამიზნის დასამაგრებლად იარაღს აქვს უკვე მზა, ჩახრახნილი პატარა ხიდები, სადაც მის მფლობელს საშუალება ეძლევა საკმაოდ მარტივად და ოსტატის ჩარევის გარეშე დაამაგროს მასზე სამიზნე მოწყობილობა.

გაზების სისტემა წააგავს, ზემოთ ხსენებულ **Remington-7400**-ს და ავსტრიულ **Voere – 2185**-ს. ეს სისტემა გახლავთ თვითმწმენდი, რაც საგრძნობლად აადვილებს იარაღის მოვლას. მისი ლულა ყოველგვარი გაცხელების გარეშე, ცივადაა დამზადებული. რაც არ უნდა საკვირველი იყოს, ამ უცნაური დიზაინის მქონე იარაღისათვის, მისი დაშლა და აწყობა ინსტრუქციის რამოდენიმეჯერ წაკითხვის და გარკვეული პერიოდის ხმარების შემდეგ არც თუ ისეთ დიდ სირთულეს წარმოადგენს.

სროლისას კონდახის ფისტოლეტისებრი ხელსაკიდი მხოლოდ დიდი ხელებისთვის იყო ადვილად მოსახმარი. თხელი და პატარა ხელების მქონე მსროლელებს სავარაუდოდ გაუჭირდებათ მისი ხმარება, რასაც ემატება განიერი და ტლანქი კონდახი. შესაბამისად იარაღის ხელში ჭერისას იგრძნობოდა შეუთავსებლობა და რთულდებოდა იარაღის სხეულზე მორგება. სროლის სიზუსტე კი მართლაც რომ მთლიანად აკმაყოფილებს სანადირო კრიტერიუმებს და საკმაოდ კარგი ბალისტიკური მონაცემები გააჩნია. 100 მეტრ დისტანციაზე 5 ვაზნის გასროლისას ბალისტიკური მონაცემები – გაფანტვის წრეთა შორისი მანძილი შეადგენს 30-დან 40-მმ-ს. ხოლო **Geco Target-Patrone** – ვაზნების გასროლისას საუკეთესო მონაცემების მომსწრენი გავხდით, 26 მმ. ეს რა თქმა უნდა არაა **Browning Bar -**ზე კარგი მონაცემები, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ **B.O.S.S.**-ის სისტემის გარეშე „ბრაუნინგმა“ შესაძლოა ვერ აჯობოს სიზუსტის თვალსაზისით **SLB-2000**-ს.

არაჩვეულებრივად დამუშავებული ვუზუალური მხარის დათვალიერების შემდეგ თუ გავაკეთებთ შედარებას დაშლილი იარაღის გარეთა და შიდა ნაწილების დამუშავების ხარისხზე, აშკარაა განსხვავება, რაც **Heckler&Koch**-ის წარმომადგენლებს არ უნდა გამოპარვოდათ, მარგამ ეს ფაქტორი იარაღს ხელს არ უშლის მთავარ საქმეში და შეიძლება ითქვას რომ შაშხანა შესანიშნავად მუშაობს. ისე სასურველი იქნებოდა თუ ფასი, რაც 1500 ევროს აჭარბებს, მცირედით მაინც შემცირებულიყო **Heckler&Koch SLB-2000**-ს მწარმოებელმა აგებისას აქცენტი გააკეთა სტაბილურობასა და პრაკტიკულ ორიენტაციაზე. საბოლოო ჯამში კი შეიძლება ითქვას რომ ამერიკელებს და ქალებს მისი დიზაინი მოხიბლავს, ხოლო მომავალი თაობის ევროპელები და ქართველები აქცენტს მის ფუნქციონალურობასა და ფასზე გააკეთებენ.

BENELLI ARGO



მწარმოებელი:	**Benelli,** იტალია
წარმოდგენილი ვარიანტ:	**Argo**
კალიბრი:	.30-06 **Spr.**
სისტემა:	გაზებით მტენი სისტემა
მჭიდის ტევადობა:	2-დან 4 ვაზნამდე
ლულის სიგრძე:	510 მმ.
მთლიანი სიგრძე:	1060 მმ.
კომლექტაცია:	ბატუეს თამასა, უკუცემის საწინააღმდეგო კონდახის რეზინები, პიკატინის სამაგრი.
წონა:	3250 კგ.
მიახლოებითი ფასი:	1750 ევრო

მეზობელ ავსტრიაში გავემართეთ. იქაურმა პარტნიორებმა წარმოგვიდგინეს **Benelli Argo – 30-06 Sprg.** ვაზნაზე. მათ ეს ყალიბი ამ იარაღისათვის საუკეთესოდ მიიჩნიეს იმ თვალსზრისით, რომ ზოგიერთ სხვა სახეობის ვაზნებზე „არგო“-ს უჭირს ფუნქციონირება და როგორც მათ განმარტეს .**308 Winchester**-ის ყალიბზე მუშაობისას ვაზნის მიწოდებასაც კი ვერ ახორციელებს სათანადოდ. ამავდროულად ნახევრადავტომატური ვერსიების შემთხვევაში ზემოთხსენებული „სფრინგფაილდის“ ვაზნა ზედმიწევნით ეფექტურია ახლო, სარეში ნადირზე სანადიროდ. საერთოდ **30–06**-ის ყალიბი გახლავთ სიზუსტისა და ენერგიის ურთიერთშესაბამისობა. ამ ყველაფერს ჩვენმა მეგობარმა ავსტრიელებმა იარაღის ტესტირების დაწყებამდევე დასძინეს, რომ „ბენელი“ პირველ რიგში „ფუტურისტული“ იარაღია და მისი ამჟამინდელი წარმატება ყველაზე მეტად რეკლამისა და დიზაინის შედეგიაო. ტრადიციების მოყვარული ევროპელებისაგან სხვა ტალიური დიზაინი ყოველთვის გამოირჩეოდა ელეგანტურობითა და მომხიბვლელობით, რაც არა მარტო ავტომობილებსა და ესპრესოს მანქანებზე აისახება.

2002 წელს ამერიკაში, გერმანიასა და იტალიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზებზე ახალი ხილივით გამოჩენილი **Benelli Argo** ამის ერთერთი თვალსაჩინო მაგალითია.

ტესტირებისათვის ნიურნბერგში, **IWA Messe** – ზე გარკვეული ინფორმაციის მოპოვების შემდგომ, დამოკიდებულებას იტალიური შაშხანის მიმართ არც ველოდით.

იტალიურ იარაღს, დამცემ-დამრტყმელი მექანიზმის ჩამკეტი თავის ფორმა თითქოს ოვალური, მაგრამ ამავდროულად სამკუთხა აქვს, ვაზნის შეტანა – გამოტანის დროს სპეციფიკურად ბრუნავს, რითიც იზრდება უტყუარად მუშაობის ფაქტორი. სასხლეტი და საკეტი მექანიზმები მოთავსებულია თანამედროვე ტექნოლოგიებით აგებულ ალუმინის სისტემურ კოლოფში, რათა შემცირებულ იქნეს იარაღის წონა. სის-

ტემურ კოლოფზე კი მიმაგრებულია იმავე მეტალის შემცველობის სასხლეტისა და მჭიდის ბუდეები. გაზებით/აირებით მტენი სისტემა ჩვეულებისამებრ ტიბჟირის შიგნით, ლულის ქვეშაა განთავსებული. მის გასაწმენდად მომზადება საკმაოდ მარტივია, რამეთუ იარაღის არასრული დაშლა ერთი ხელის შევლებითაა შესაძლებელი. საკმაოდ სქელ უკანა კონდახსა და მექანიზმის კორპუსს შორის ყენდება სამი პოზიციის მქონე ფირფიტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იარაღის სიგრძის გაზრდა და კონდახის კუთხის შეცვლა. **Argo**-ს ზოგიერთ ვერსიებზე მონტაჟდება კონდახის განსხვავებული ზომის რეზინები უკუცემის შესამცირებლად და მხარზე მოსარგებად. ასევე ზოგიერთ კომპლექტაციაში შედის კონდახის ზედა ნაწილზე ლოყის დასადების – იგივე სალოყე ბალიშის განსხვავებული მოდიფიკაციები. ერგონომიული და თანამედროვე დიზაინის მქონე წინა (ლულისქვეშა) და უკანა კონდახი შეიძლება ითქვას, ორთოპედიულად ზის სხეულზე და მისი მორგება სიამოვნებას განიჭებს. კარგი იქნებოდა სროლის სიზუსტეც ბელგიური და გერმანული ვერსიის მსგავსად იგივე გრძნობას აღვივებდეს ადამიანში. პისტოლეტისებრი კონდახის ხელსაკიდი ზედმეტად გაწეულია უკან და მოკლე ხელების მქონე მსროლელს გაუჭირდება მისი მყარად ხელში მორგება. გასროლისას თვითრეგულირებადმა და თვითმწმენდმა გაზებით მტენმა სისტემამ კონდახის სპეციფიკურ რეზინებთან ერთად საგრძნობლად სასიამოვნო და მსუბუქი გახადა სროლა. თუმცა როგორც ბატონმა მარკუს ფრიჩმა გაგვიმარტა იტალიური „ნახევრადავტომატით“ გასროლილი .300 **Win. Mag.-ის** ვაზნა საგრძნობლად დიდ ენერგიას განავითარებს და საშინელ დარტყმას აყენებს მსროლელს მხარზე.

იარაღს მოყვება ფრიად კომპაქტური ხელოვნური კეისი, რომელშიც შაშხანასთან ერთად დამატებით აწყვია „არგო“-ს ქამრის საკიდი სამაგრები – ქანჩები და ხის ზეთი. ჩასადები გარედანაც და შიგნიდანაც ზედმიწევნით კარგადაა დამუშავებული და პირველივე დანახვისთანავე ეტყობა იტალიელი დიზაინერების ხელი.

იარაღს ქარხანაშივე უმაგრებენ ბატუეს ტიპის უკანა სამიზნე მოწყობილობას – ხიდს ზუსტი და სწრაფი სროლისათვის. ლულის ბოლოში კი მოთავსებულია ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად რეგულირებადი ტრიტიუმის წინა სამიზნე. ერთობლიობაში იქმნება შესანიშნავი შესაძლებლობა იარაღიდან მიზანმიმართულად, ზუსტი სროლის წარმოებისა.



Benelli Argo-ს ტიბჟირი

დამშვები, დამცველი და მჭიდის გამომღები ღილაკი კომპაქტურად, ერთადაა მოთავსებული სასხლეტის ბუდის წინა ბოლოში. მაგრამ ამ გარემოებას გააჩნია უარყოფითი მხარეებიც. სამწუხაროდ დამცევლზე ხელის დაჭერა ხელთათმანით ან ოდნავ მოზრდილი თითების მქონე პიროვნებისათვის ცოტა პრობლემას წარმოადგენს. ამასთანავე მასზე ზემოქმედება ნორმალურზე მეტ ხმაურს იწვევს, რაც გარკვეულ პირობებში ხელს უშლის მონადირეს. ასევე ხმაურიანად და ხისტად ხორციელდება, კონკურენტებთან შედარებით, მჭიდის ბუდიდან გამოღება.

თუ **Argo**-ს მფლობელს სურს მასზე ღია ხედვის ოპტიკური სამიზნის დაყენება, იარაღის მექანიზმის ხუფის თავზე მოთავსებული აქვს 4 სახრახნი ქანჩი, რაზეც ყენდება ხიდი და შემდგომ სურვილისამებრ სამიზნე მოწყობილობა. ტესტირებისათვის გამოვიყენეთ 300 ევროდ ღირებული ოპტიკური სამიზნე-ს**chmidt&Bender – Hunting Zenith 2,5-10x56**. სროლა 100 მ დისტანციაზე ჩატარდა. იარაღმა დაახლოებით გერმანული კონკურენტის, **Heckler&Koch SLB-2000**-ის მსგავსი ბალისტიკური მონაცემები მოგვცა. სროლებმა ხუთ-ხუთი 168 და 185 გრეინი წონის ვაზნების ტესტირების შემდეგ აჩვენა შუალედური მონაცემები 37-სა და 82 მმ-ს შორის. ყველაზე ზუსტი ტყვია, რომელიც კონკრეტულ შაშხანას შევუსაბამეთ, გახლდათ ამერიკული ბრენდის, **Federal**-ის ვაზნები.

ეჭვგარეშეა, რომ **Benelli Argo** იმსახურებს დადებით კომენტარებს ინოვაციური დიზაინის გამო. ხოლო მის კონკურენტებს, **Browning**-სა და **Heckler&Koch**-ს არც თუ ისე ბევრი დადებითი მხარეები აქვთ **Benelli** -თან შედარებით. საერთო ჯამში კი მაინც და მაინც თავად მკითხველის, მსროლელის, მონადირის გადასაწყვეტია რომელ იარაღს ამჯობინებენ და რომელზე გააკეთებენ არჩევანს ყიდვის შემთხვევაში.

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
Benelli Argo	
ვიზუალურად საკმაოდ კარგი და თანამედროვე	სასხლეტის დამცველი და მჭიდის გამომღები ღილაკი ზედმეტად ხმაურიანია
შესრულების დამაკმაყოფილებელი ხარისხი	მსხვილკალიბრიანის შემთხვევაში **(.300 Win.Mag, 9,3x62)** უკუცემა ჩვეულებრივზე მეტია
იარაღი და მთლიანი კომპლექტაცია მოთავსებულია კომპაქტურ ყუთში	
Browning Bar Acier Affut BOSS	
ძაან საიმედო კონსტრუქცია	წონა
შესრულების უმაღლესი ხარისხი	დაშლა და შიდა დეტალების გაწმენდა დიდ დროს და ენერგიეს მოითხოვს
საკმაოდ კარგი სამიზნე ხედვა	
მჭიდი დაცულია დაკარგვისაგან	
უზუსტესი სასროლი ბალისტიკური მონაცემები	
Heckler&Koch SLB 2000	
ოპტიკური სამიზნის მზა სამაგრები	ხე არის ზედმეტად მასიური სტანდარტული ზომის მსროლელებისათვის
მჭიდის გასაღების ადვილად ხელმისაწვდომი პოზიცია	ვიზუალურად – ზოგისათვს პრაქტიკულადაც მოუხერხებელი კონსტრუქცია
ზუსტი სროლა-კარგი ბალისტიკა	

FN FIVE-SEVEN



როდესაც ბელგიაში, ჰერშტალში არსებულ, მსოფლიო დონის ქარხანას – **Fabrique Nationale d'Armes de Guerre**-ს ვახსენებთ, ალბათ აუცილებელად უნდა შევეხოთ ფისტოლეტს **FN FIVE-SEVEN**-საც. იგი იწარმოება უაღრესად ეფექტური ყალიბით – 5,7×28 მმ. მისი სახელწოდებაც სწორედ რომ ვაზნის დიამეტრიდან, 5.7 – დან გამომდინარეობს. **FIVE-SEVEN** – ი განეკუთვნება ეგრეთწოდებულ, უკუცემით მტენ იარაღთა ჯგუფს და აღჭურვილია თავისუფალი – მასიური საკეტით. მისი მექანიზმი თეორიულად **St. Etienne**-ის ფრანგ მეიარაღეთა მიერ შექმნილი შაშხანის, **FAMAS-ის** სისტემას მოგვაგონებს. გადატენვისას, ანუ საკეტის გასავლელი, საკმაოდ გრძელი მანძილის ხარჯზე საგრძნობლადაა შემცირებული იარაღის უკუცემა. წონის შემცირების მიზნით ბელგიური მოდელის ჩარჩო ძირითადათ მაღალი ხარისხის მქონე პოლიმერის მასალისაგანაა დამზადებული.

განხილვადი ფისტოლეტები იყოფა ოთხ განსხვავებულ ვერსიად. სტანდარტული **FIVE-SEVEN**-ი დაკომპლექტებულია ხოლმე **DAO – Double Action Only-s**ასხლეტი მექანიზმით, რომელიც გერმანულ **Walther P-99** -ს გვახსენებს. მოდელი დამცველის გარეშე იწარმოება. სასხლეტის ბუდე ისეთი ზომისაა, რომ ხელთათმანებითაც ადვილი იყო იარაღის გამოყენება.

შემდგომ მოდის **FIVE SEVEN Tactical**. ის ზემოთხსენებული ვერსიისაგან სასხლეტი მექანიზმით განსხვავდება. ფისტოლეტი დაკომპლექტებულია როგორც **DA-Double Action,** ასევე **SA-Iingle Action** სისტემებით.

მესამე ვერსიაა – **FIVE SEVEN IOM (*Individuell officer's model*)**. ის პირველი ვერსია იყო, რომელიც ცივილური ბაზრისათვის დაამზადეს. მოდელს დამატებული აქვს ლულისქვეშა პიკატინის ტიპის ჭრილი, აქსესუარების (ლაზერის, ფანრის) დასამაგრებლად. აგრეთვე შესაძლებელია მექანიკური სამიზნე მოწყობილობის დარეგულირება.

რაც შეეხება მეოთხე ვერსიას, მას ეწოდება **FIVE SEVEN USG (United States Goverment).** მან 2004-2005 წლებში ზემოთხსნებეული **IOM** ვერსია ჩაანაცვლა. მოდელი იწარმოება განსხვავებული მჭიდის გამომღები-დამჭერი ღილაკითა და გაუმჯობესებული ხელსაკითი ტარით. საინტერესოა, რომ **USG** ვერსია თავადვე იყოფა ორ განსხვავებულ მოდიფიკაციად. ესენია **FIVE SEVEN – FDE (Flat Dark Earth)** და **FIVE SEVEN – ODG (Olive Drab Green)**. მათ შორის განსხვავება ძირითადათ ფერებშია და შესაბამისად ჯარისკაცებს თუ სხვა სახელმწიფო მოხელეებს სხვადასხვა ადგილებში მი-

სახელწოდება:	**FIVE SEVEN**
მწარმოებელი:	**FN** – ბელგია, ჰერშტალი
ყალიბი:	**5,7 x 28 mm**
მჭიდის ტევადობა:	**10, 20, 30** ვაზნა
ხრახნის მიმართულება:	მარცხნიდან მარჯვნივ
განვითარების წელი:	**2000**
სამოქალაქო ვერსიის წარმოების დაწყების დრო:	**2004** წელი
მთლიანი სიგრძე: (მმ)	**208**
ლულის სიგრძე: (მმ)	**123**
სიმაღლე: (მმ)	**140**
წონა: (გრ)	**580**
სისტემა:	ნახევრად ავტომატური
საკეტი მექანიზმი:	თავისუფალი, მასიური საკეტი ხსნადი, მოძრავი თავით
ვაზნის საწყისი სიჩქარე მიახ.:	630, 650 მ/წმ.
ეფექტური სროლის Mმანძილი:	50 მეტრი
სროლის მანძილი:	1500 მეტრი
მიახლოებითი ფასი: **EU**	**3000**



ვლინებისას განსხვავებული ფერის მოდელებს აძლევენ.

FIVE SEVEN და ზოგადად მისი ყალიბიც თავდაპირველად შეიქმნა სამართალდამცავი ორგანოების სპეციალური ქვედანაყოფებისათვის. მისი სამოქალაქო დანიშნულებით გაყიდვაც და შეძენაც დღემდე აკრძალულია მსოფლიოს ბევრ წამყვან ქვეყანაში. აღნიშნული ფოსტოლეტიდან გასროლილ ტყვიას შესწევს უნარი გაარღვიოს უამრავი განსხვავებული (საშუალო თუ მაღალი დონის) ადამიანის ტანზე არსებული ჯავშანი.

FIVE SEVEN-ის შესახებ წიგნში მოყვანილი ინფორმაცია და ფოტომასალა ჩვენი მეგობრისაგან, ავსტრიაში მოღვაწე მეიარაღე დილერისაგან, მარკუს ფრიჩისაგან მოვიპოვეთ. მასთან არსებული ცივილური ბაზრისათვის განკუთვნილი ვერსიის დათვალიერებამ ძალიან მოგვხიბლა. მოკლე ბიჯიან სასხლეტზე გამოკვრა, რომელზეც დაწოლაც მსუბუქად, ზემდეტი ენერგიის დახარჯვის გარეშე ხორციელდებოდა, იძლეოდა ზუსტი და სწრაფი სროლის განხორციელების საშუალებას. სასხლეტის დამცველი მისსავე თავზე, ჩარჩოს ორივე მხარეს, კედლებზე იყო განთავსებული. დამშვებ-დამრტმელი მექანიზმის დამჭერი ღილაკი აღნიშნული დამცველის პარალელურად, „ორთოპედიული“ ხელსაკიდი ტარის ზემოთ იყო განთავსებული. სწორედ ისე, რომ მსროლელს საშუალება მიეცეს ფისტოლეტის ხელში ჭერისას, მის გაუშვებლად მოახდინოს ცერა თითით აღნიშნულ ღილაკზე დაჭერა და ზემოთხსენებული დეტალის დაშვება. იარაღის დამშლელი ღილაკიც იმავე ზოლზე, თითქმის ჩარჩოს წინა ბოლოში, ლულის ქვეშ, მარჯვენა მხარესაა განთავსებული. მისი უკან მოწევით იწყება დაშლის პროცედურა. რაც შეეხება მჭიდის გამომღებ ღილაკს, ის სასხლეტის ბუდისა და ტარის გადასვლის ადგილსაა განთავსებული. ბატონი მარკუსის მიერ წარმოდგენილი სამოქალაქო ვერსია დაკომპლექტებული იყო სამი ერთეული მჭიდით და ბოქლომთან თუ სხვადასხვა, პატარ-პატარა აუცილებელ აქსესუარებთან ერთად მოზრდილ სპეციალურ მყარ ყუთში იყო განთავსებული. ზოგადი განხილვისა და გარკვეული ინფორმაციის მოპოვების შემდგომ, რა თქმა უნდა, გვაინტერესებდა თავად მისი იმჟამინდელი მფლობელის აზრი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო პროფესიონალად ითვლება ავსტრიაში. მისი თქმით, იარაღი, რომელიც მჭიდის ტევადობისა და მოცულობის მიუხედავად



Five Seven-ის ყუთში განთავსებული სერიული კომპლექტაცია

დაუჯერებლად მსუბუქია, ავითარებს გასროლისას უზარმაზარ ენერგიას, რის შედეგადაც ვღებულობთ მოულოდნელად დაბალი ძალის მქონე უკუცემას, აშკარად ქებას იმსახურებს. ამასთანავე არა მარტო ერთი, არამედ ნებისმიერი პროფესიონალი მეიარაღის მხრიდანაც გარკვეული კრიტიკული თუ არაობიექტური მიზეზების ქონის შემთხვევაშიც კი.

მეიარაღეობა ავსტრიაში

ავსტრია, რომელიც ცენტრალურ ევროპაში მდებარეობს, წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს ბევრი სახელმწიფოსათვის. ჩრდილოეთით არსებულმა გერმანიამ და ჩეხეთმა, აღმოსავლეთით არსებულმა უნგრეთმა და სლოვაკეთმა, სამხრეთით არსებულმა სლოვენიამ და იტალიამ და დასავლეთით არსებულმა შვეიცარიამ და ლიხტენშტეინმა უარყოფითი ზეგავლენა ვერ მოახდინეს ავსტრიის ამა თუ იმ სფეროს განვითარებასა და წინსვლაში. ტერიტორიულად დაახლოებით საქართველოს ხელა სახელმწიფომ უამრავი პოზიტიური და ალბათ უფრო მეტი ნეგატიური მიზეზების არსებობის მიუხედავად მოახერხა მწვერვალზე ასვლა და იმ კონკრეტულ საფეხურამდე განვითარება, რომლამდეც მათ გარდა მიიღწვის მსოფლიოს თითქმის ნებისმიერი ერი. რასაკვირველია ყველაზე უმთავრესი რელიგიური, სულიერი წინსვლა, ჭეშმარიტი მართმადიდებლური სარწმუნოების ქვეყანაში უმაღლეს საფეხურზე ყოფნაა გადამრჩენელი და მთავარი მამოძრავებელი ჯაჭვი ერისა, რაც საქართველოში ღვთის წყალობით და ჩვენი პატრიარქის ძალისხმევით ავსტრიასა თუ უამრავ სხვა ქვეყნებთან შედარებით პრიორიტეტულად, დადებითად ხასიათდება. მაგრამ არც ის იქნებოდა ურიგო ოდითგანვე დანერგილი მეიარაღის ტრადიციები ჩვენშიც რომ განვითარებულიყო და გაძლიერებულიყო.

ავსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგი, როგორც უკვე მიხვდით, სწორედ იარაღთმშენებლობაა. იქ მოღვაწეობენ როგორც მსოფლიო დონის, უზარმაზარი მასიური იარაღის მწარმოებლები, ასევე ხელნაკეთი, ლუქს კლასის იარაღების დამამზადებელი, შედარებით მოკრძალებული მაშტაბის კომპანიები. ქვეყნის დედაქალქს ვენა წარმოადგენს. ხოლო ქვეყნის მეიარაღეთა დედაქალაქს – ფერლახი. დღესდღეობით თითქმის ყველა ძლიერი ოსტატი ზემოთხსენებულ ადგილზე მოღვაწეობს. ძალიან ბევრი იარაღის მოყვარული აღნიშნულ ქვეყანას Glock-ის ან Steyr Mannlicher-ის სახელით იცნობს. არადა იქ არსებობენ ბევრად უფრო ძველი, ტრადიციული, მაღალი დონის ბრენდები (წიგნში წარმოდგენილია მათი არასრული ჩამონათვალი, რათა მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნას რეალურ ავსტრიულ იარაღზე).

ერთ-ერთი უმაღლესი კლასის კომპანიას Johann Fanzoj წარმოადგენს. ბრენდის ისტორია დაახლოებით 450 წლის წინ დაიწყო. 1558 წელს კაიზერმა ფერდინანდმა ჰოლანდიიდან ასამდე რჩეული მჭედელი ჩაასახლა ქალაქ ფერლახში, რათა მას იქ იარაღთმშენებლობა გაეძლიერებინა. სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნებოდა ზემოთხსენებული Fanzoj-ს ოჯახი. ამჟამად კომპანია ახორციელებს უამრავი განსხვავებული ტიპის სანადირო იარაღების დამზადებას ინდივიდუალური მეთოდების გამოყენებით. საწარმოში ხდება ორლულიანი თოფების, ორლულიანი შაშხანების-სტუცერების, სამთო შტუცერების, დრილინგების, ხრახნლულიანი დრილიგენბის, ოთხლულა თოფებისა თუ ლეგენდარული „მაუზერ-98“-ის ტიპის შაშხანების აგება. აგრეთვე შესაძლებელია ნებისმიერი მოდიფიკაციის შეკვეთა და შეცვლა სურვილისამებრ. ქარხანაში მომუშავე ოსტატები ცდილობენ რომ იარაღების



ავსტრიული, ცილინდრული – მექანიკური საკეტით აღჭურვილი სანადირო და ტაქტიკური ტიპის შაშხანები

აგებისას სამუშაო ხელით შეასრულონ და ნაკლები დრო დაუთმონ მანქანადანადგარების საქმეში ჩარევას.

ავსტრიაში ბევრი მონადირე თუ კოლექციონერი იცნობს Ludwig Borovnik-ის მეიარაღეთა ჯგუფს. ბრენდის ისტორია 1848 წელს დაიწყო, როდესაც Ludwig Borovnik I – მა, ქალაქ ფერლახში, ლულის ოსტატის კარიერა გაიკეთა. დღესდღეობით მისი VI და V თაობები აგრძელებენ წინაპრის მიერ დაწყებულ საქმიანობას. მათი დევიზი, რომელიც გულისხმობს ყველანაირი სანადირო იარაღის დამზადებას, ბევრგან გვხვდება აღნიშნული ბრენდის ნაწარმით დაინტერესებულ პიროვნებებს. „ბოროვნიკები“ აკეთებენ ფაქტიურად ყველანაირ იარაღს მყიდველის სურვილისამებრ. ავსტრიელი, ფერლახში მოღვაწე მეიარაღის მხრიდან ამგვარი ფრაზა არც თუ ისე ადვილი სათქმელია, თუ მართლა მისი განხორციელება არ ძალგიძს. საგამოფენო კომპლექსებში არაერთხელ შეხვდება კაცი მათ მიერ წარმოდგენილ პროდუქციას. ისინი ანწარმოებენ როგორც 2 ან 3, გლუვლულიან ვერსიებს, ისე ხრახნლულიან იარაღებსაც. აგრეთვე მზადდება მექანიკური, ცილინდრული საკეტით აღჭურვილი „მაუზერის“ ტიპის შაშხანები. საწარმოს ოსტატები იდეალურ გრავირებას, მოზარნიშებასა თუ მოხატულობებს აკეთებენ ხელით.

არა მარტო ავსტრიელი, არამედ ზოგადად ევროპელი და არაევროპელი მონადირეებისათვისაც კარგადაა ცნობილი კომპანია Voere Präzisionstechnik GmbH. ბრენდი დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ, 1948 წელს გამოჩნდა ასპარეზზე. თავდაპირველად ქარხანაში ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ველოსიპედის საბურავებისათვის ჰაერის ტუმბოსა და ფეხბურთის ბურთების დამზადება. დაარსებიდან ორი წლის შემდგომ დაიწყო აირებით მტენი – პნევმატური ფისტოლეტების წარმოება. 1965 წელს ქალაქ კუფშტაინში დაარსდა ახალი იარაღების ქარხანა, სადაც იმავე წელსვე საფუძველი ჩაეყარა მცირეკალიბრიანი იარაღების, ორლულიანი კომბინირებული ექსპრესს ვერსიებისა და ცილინდრული საკეტით აღჭურვილი მექანიკურად მტენი შაშხანების წარმოებას.

1972 წელს Voere-მ შექმნა ლეგენდარული ანტიტერორისტული ტყვიამფრქვევი AM-180. იმ პერიოდისათვისაც და შემდგომ, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აღნიშნული იარაღი ითვლებოდა მსროფლიოში ყველაზე სწრაფმსროლელ ვერსიად. მას ერთ წამში ძალულს დაახლოებით 30 გასროლის წარმოება, ანუ მათემატიკურად თუ ვიანგარიშებთ ერთ წუთში იარაღს შეუძლია 1800 ვაზნის გასროლა. უბრალოდ ამის რეალურად განხორციელება ამუნიციის მიწოდების გამო შეუძლებელია.

1987 წელს მოხდა სამი კომპანიის გაერთიანება. დღესდღეობით ზემოთხსენებული ბრენდი საგამოფენო კომპლექსებში დამთვალიერებლებსა და შემდგომ შეკვეთების მსურველებს სთავაზობს, როგორც სანადირო, სპორტულ და სამხედრო იარაღებს, ასევე თანამედროვე ტიპის, სხვადასხვა დანიშნულების მქონე დაზგა დანადგარებს. მათი პროდუქცია უკვე ბევრმა იარაღების მწარმოებელმა შეიძინა.

გაერთიანებიდან ოთხი წლის თავზე მოხდა ძალზედ მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტის განხორციელება. „ვოერემ“ შექმნა ელექტრო დამცემ-დამრტყმელი მოწყობილობით აღჭურვილი იარაღი – VEC-21 და Voere VEC-91, რომელიც ისროდა ვაზნებს ჰილზის გარეშე. ზუსტად ერთი წლის შემდგომ კი დაიწყო აღნიშნული ტიპის ჰილზგარეშე ამუნიციის (ვაზნა რომელსაც არ აქვს თითბირის ბუდე) სერიული წარმოება. რაც შეეხება თავად იარაღს, ის 5,7x26UCC და 6 mm UCC ვაზნებს ისროდა. ზემოთხსენებული ტიპის ჰილზები უკვე დიდი ხანია რაც არსებობს და ის „ვოერეს“ არ აღმოუჩენია. მან უბრალოდ შექმნა ელექტრონული ტიპის დამცემ-დამრტყმელი მექანიზმთან ერთად ამუნიცია, რომელიც ყოველგვარი კრიტიკული პირობების მიუხედავად უპრობლემოდ ახორციელებს აფეთქებას. როგორც ასეთი „ჰილზგარეშე“ ვაზნა, ზოგადად, არასწორი ცნებაა. მსგავსი ტიპის მექანიკური ცილინდრული საკეტით აღჭურვილი შაშხანებისათვის ჰილზს ძირითადად დენთის დამჭერის ფუნქცია აკისრია. შესაბამისად მოიძებნა მისი შემცვლელი ვერსია, რომელიც იწვება. შესაბამისად აღნიშნული დეტალის გამოხატულების უფრო სწორი ფორმაა ნაკლებად გავრცელებული „აალებადი ჰილზი“. თავად 3,2კგ VEC-21-ის ლულის სიგრძე 65 სმ-ია. მისი ლულიდან გასროლილი ტყვიის საწყისი სიჩქარე 950 მ/წმ-ს შეადგენს. იარაღის ღირებულება დაახლოებით 1000 ევრო იყო და სერიულად ის მხოლოდ 1991 წლიდან 2000 წლამდე იწარმოებოდა.

2011-12 წლებში გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე მოვახერხეთ „ვოერეს“ რამოდენიმე მოდელის ხილვა და ინფორმაციის, ფოტომასალის მოპოვება. ყველაზე მეტად დაგვაინტერესა Match-ის შეჯიბრებებისათვის შექმნილმა ზუსტმსროლელმა შაშხანამ LBW-მ. ის სერიულად ხუთი განსხვავებული ყალიბით იწარმოება. ესენია: .223 Rem (ლულის სიგრძე – 50 სმ), 6,5x47 Lapua (ლულის სიგრძე – 65 სმ), .308 Win. (ლულის სიგრძე – 65 სმ), .300 W.M. (ლულის სიგრძე – 65 სმ 65 სმ) და .338 L.M. (ლულის სიგრძე – 65 სმ 69 სმ).

თავად ვოერეს საგამოფენო კომპლექსში .308 Winchester-ის ვაზნების მსროლელი, სანადირო ვერსია LBW-M ჰქონდა წარმოდგენილი. ის სპორტულისაგან პირველ რიგში წონით განსხვავდება და 4,5კგ-ს იწონის. მაშინ როდესაც სპორტული ვერსია მასზე თითქმის 1კგ-ით მეტია და 5,4 კგ-ს უტოლდება. აღსანიშნავია, რომ სანადირო ვერსიის ლულა ორი განსხვავებული მასალისაგან, ჟანგვადი ან უჟანგავი ფოლადებისაგან შეიძლება დამზადდეს. ჟანგვადის შემთხვევაში იარაღი წონა დაახლოებით 1კგ-ით იზრდება.

შაშხანის წრფივად მოძრავი ცილინდრული საკეტის თავი ორი მასიური ნახნაგით არის აღჭურვილი. კონდახის მხარე საყრდენი და სალოყე ბალიში რეგულირებადია. ფისტოლეტისებრი, ორთოპედიული ტიპის ტარის შეცვლა მარტივად ხორციელდება. სისტემური კოლოფის ზევიდან განთავსებულია ორი გრძელი, თითქმის ერთმანეთზე გადაბმული პიკატინის ხიდი. საგამოფენო კომპლექსში იარაღის ხილვისას მასზე დამაგრებული იყო KAHLES-ის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა. მის წინ კი სავსებით შესაძლებელი ხდებოდა ჭრილებიან სამიზნე ხიდზე ღამის ხედვის სამიზნე მოწყობილობის დამაგრება. იარაღის ლულა .308 Winchester-ის ვაზნისათვის უჩვეულოდ სქელი იყო და მასიურად გამოიყურებოდა. მის ბოლოში გაკეთებული იყო ალმაქრი-კომპენსატორი, რომელსაც ზემოდან პატარა სამიზნე მოწყობილობა ჰქონდა დამაგრებული. ზუსტმსროლელი შაშხანის საგამოფენო ფასი 4500 ევროდან იწყებოდა და მოდიფიკაციის მიხედვით იზრდებოდა.

STEYR MANNLICHER

კომპანია „შტეიერის“ ისტორია იწყება 1834 წლიდან, როდესაც იოსებ ვერნდლი (Josef Werndl) ავსტრიულ მიწაზე, შტეიერში დაიბადა. მისი მამა ლეოპოლდი მცირე საწარმოს მეპატრონე იყო, სადაც ვენის არმიისათვის მხოლოდ იარაღის დეტალების დამზადება ხდებოდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას იოსები ვენაში, შემდგომ კი პრაღაში სწავლობდა. სწავლის დამთავრების შემდგომ მშობლიურ გარემოს დაუბრუნდა და მამის მიერ დაარსებულ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მან პირველივე დღეებში იწყო ინტენსიური შრომა და ახალი იდეებისა და ზოგადად რაიმე ახლის ძიების ფონზე ძველი, კონსერვატიული პროდუქციის გმობა. იგი ყოველთვის თანამედროვეობისაკენ მიისწრაფვოდა. ტრადიციების მოყვარული ავსტრიელების ხასიათიდან გამომდინარე იგი დიდხანს არც გაჩერებულა სამსახურში და გადაწყვიტა 1849 წელს დაეტოვებინა მშობლის მიერ დაარსებული კომპლექსი. იგი ვენაში არსებულ საწარმოში გადავიდა სამუშაოდ, სადაც ამერიკელების მეშვეობით თანამედროვე, მასიური წარმოების მანქანა-დანადგარები გამოიყენებოდა. რამოდენიმე ხანში ახალგაზრდა მეიარაღე ჯარში გაიწვიეს. მაგრამ მამამისის გავლენით კვლავ მშობლის საწარმოში მისი დროზე ადრე დაბრუნება მოხერხდა. მაგრამ ამჯერადაც მამა-შვილს შორის უთანხმოება მოხდა. იოსებს თავის ჩვეულ სტილში სურდა მოდერნიზება, ლეოპოლდი კი ზედმეტად კონსერვატიული გახლდათ ამ საკითხთან დაკავშირებით. 1852 წელს მან კვლავ დატოვა ქარხანა და გადავიდა ევროპელ მეიარაღეთა იმდროინდელ ცენტრში, ტურინგენში. იქ მუშაობდა რამოდენიმე ცნობილ იარაღების მწარმოებელ კომპანიაში. გარკვეული გამოცდილების მიღების შემდგომ გადაწყვიტა ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავება და შორეულ ამერიკას მიაშურა. მას არც უცხო კონტინენტზე გასჭირვებია გზის გაკვლევა. ევროპიდან წასულმა მეიარაღემ ქვეყნის ლიდერ მწარმოებლებში, თავდაპირველად „რემინგტონის“, შემდგომ კი „კოლტის“ ქარხანაში, ჰარდფორდში გააგრძელა მუშაობა. 1853 წელს ახალი იდეებით აღსავსე იოსები დაბრუნდა სამშობლოში და ავსტრიის დედაქალაქთან არც თუ ისე შორს, ვერგრავენში შექმნა ახალი მოკრძალებული შაშხანების დამამზადებელი საწარმო. 1855 წელს ქოლერის ეპიდემიით გარდაიცვალა მისი მამა, ლეოპოლდ ვერნდლი. მომხდარმა რაღა თქმა უნდა შვილზე ძალიან ცუდად იმოქმედა. განსაკუთრებით იოსები განიცდიდა მშობელთან დამოკიდებულებაში არც თუ ისე კარგ ურთიერთობასა და ხშირ კონფლიქტურ გარემოებებს. სწორედ ამის გამო იგი მამის გვერდით არ ყოფნის მერე უფრო კარგად მიხვდა დაშვებულ შეცდომებს და ლეოპოლდის საწარმოს გადაბარების შემდგომ უფრო ბეჯითად და გონიერად განაგრძო საქმიანობა. მან მოახდინა მანქანა დანადგარებისა და სხვა დამხმარე საშუალებების მოდერნიზება, რაც იმ დროისათვის აშკარად ესაჭიროებოდა ქარხანას. ძირითადი კონცენტრაცია ჭკვიან კონსტრუქტორს გადატანილი ჰქონდა ნახევრადავტომატური, თვითმტენი ვერსიის შექმნაზე. ამ მიზნით მან ორჯერ იმოგზაურა თავის მთავარ კონსტრუქტორ კარელ ჰოლუბთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში.



Steyr Mannlicher-ის ცილინდრული-მექანიკური ტაქტიკური შაშხანები

1864 წელს იოსებმა თავის ძმასთან, ფრანცთან ერთად (Franz) შტეიერში დაარსა ახალი კომპანია სახელწოდებით Josef und Frank Wrendl&Company. 1866 წელს მან მიაღწია ავსტრიის თავდაცვის მინისტრთან შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის არმიის Werndl – Holub-ის თვითმტენი შაშხანებით მომარაგებას. მას შემდგომ რაც სასროლეთზე მოხდა იარაღის გასინჯვა, კომპანიამ მიიღო შეკვეთა 100 000 ერთეულ იარაღზე. ეს გახლდათ მოდელი M-1864. დამამზადებელი საწარმოები შტეიერში უნდა გაფართოებულიყო და გადაწყდა გარკვეული წარმოების უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში გადატანა. იმ პერიოდისათვის უკვე დაიწყო ფირმის კაპიტალზე ინვესტორთა მიმართ „თავდასხმები“. გაკრვეული მიზეზების გამო იოსებმა გადაწყვიტა



Steyr Mannlicher-ს ფისტოლეტები

რებინა საწარმო. შესაბამისად მას გადაერქვა სახელი და ეწოდა ავსტრიული მეიარაღეთა საწარმოების საზოგადოება – Österreichische-Waffenfabriks-Gesellschaft. მთავარი ოფისი კი დედაქალაქში, ვენაში გადავიდა. 1873 წელს ვერნდლმა პრუსიის სამეფო არმიისაგან მიიღო შეკვეთა 500.000 ერთეული მაუზერ M-1871-ის ტიპის იარაღების დამზადებაზე. შემდგომ უკვე საფრანგეთმა, საბერძნეთმა, ჩილემ, ირანმა ჩინეთმა და რუმინეთმაც იწყეს კომპანიის მიმართულებით სახელმწიფო დაკვეთების გაგზავნა.

იოსებ ვერნდლი იარაღებთან ერთად სხვა პროდუქციასაც ამზადებდა. მათ შორის იყო დინამოები, ელექტრო მოტორები და სხვადასხვა ტიპის ნათურები. 1884 წელს შტეიერი გახლდათ პირველი ევროპული ქალაქი, რომელსაც ქუჩების ელექტრო განათება ამშვენებდა. ერთი წლის შემდეგ მოხდა ახალი დიზანის მქონე თვითმტენი შაშხანის შემუშავება, რომლის მჭიდის ტევადობა 5 ვაზნა იყო, ხოლო მისი სისტემა მანლიხერის მიერ იქნა შემუშავებული. ამ იარაღის წარმოებაში ჩაშვებისთანავე კომპანიამ შეკვეთა მიიღო 87.000 ერთეულის დასამზადებლად.

ნიჭიერი და წარმატებული კონსტრუქტორი იოსებ ვერნდლი გარდაიცვალა 1899 წელს პნევმონიის გართულების შედეგად. ამ დროისათვის ფირმას ოთხკაციანი ჯგუფი ხელმძღვანელობდა. ცოტა მოგვიანებით კი მმართველობა ოთო შონაუერმა გადაიბარა. უნდა აღინიშნოს რომ მან საგრძნობლად გააფართოვა წარმოება, შემატა მას ახალი ქარხნები და უკვე 1919 წლისათვის იარაღებთან ერთად დაიწყო მათ მიერ როგორც მსუბუქი, ისე სატვირთო ავტომობილების დამზადება.

მეორე მსოფლიო ომის დროს წარმოებას დიდი პრობლემები ჰქონდა. თუმცა 1950 წლისათვის მოკავშირეთა დახმარებით მათ ნება დართეს განეახლებინათ იარაღების წარმოება. მას შემდგომ კონცერნს გადაერქვა სახელწოდება და Steyr-Daimler-Puch-ის სახელით აწარმოებდა მხოლოდ ხრახნლულიან იარაღს. ცოტა მოგვიანებით მათ კვლავ ტრადიციული ელელმენტები შეიტანეს სახელწოდებაში და დაერქვათ – Mannlicher-Schönauer. აღსანიშნავია რომ იმდროინდელ ქარხანაში, რომელსაც მთლიანად ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, კომპანია „მერსედესის“ მარკის ყველგანმავალი – G-Klasse მანქანები იწარმოება.

დღევანდელი სახელი, Steyr Mannlicher AG, კომპანიამ 1987 წელს მიიღო. ამჟამად ის აწარმოებს როგორც განსხვავებული ტიპის სანადირო და სპორტულ იარაღებს, ასევე მილიტარიზირებულ პროდუქციასაც და სამხედრო შაშხანებს. ამის ერთერთი თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ფუტურისტული დიზაინის მქონე ბულპაპის ტიპის AUG-ის სერიების ავტომატური/ნახევრადავტომატური იარაღები (ანუ არმიის უნივერსალური იარაღი – Armee universal Gewehr).

დღესდღეობით კომპანიას ერთ-ერთი ლიდერი პოზიცია უკავია ბაზარზე და მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში ახორციელებს ამა თუ იმ ქვეყნის სანადირო ან სპორტული იარაღით მომარაგებას. შესაბამისად აღნიშნული ბრენდის მონაწილეობის გარეშე მსოფლიოში არც ერთი სერიოზული, ფართო მაშტაბური იარაღების საერთაშორისო გამოფენა არ ტარდება. მწარმოებელს ქართველებთანაც არ აქვს გულგრილი დამოკიდებულება, რაც ერთ-ერთ ტრადიციულ, ევროპულ ქალაქში გამართულ მეიარაღეთა გამოფენაზეც არაერთხელ დაადასტურეს.

შ.პ.ს. „ქარავანი+“-ის სახელით მათთან მჭიდრო ურთიერთობა არის დამყარებული და რომ არა გარკვეული პრობლემები საქართველოში ავსტრიიდან იარაღის იმპორტის შესახებ, ახლა ბევრად უფრო ღრმა და წარმატებული იქნებოდა ჩვენი, ეროვნული კომპანიისა და ავსტრიული ბრენდის თანამშრომლობა. თუმცა ორივე მხარეების მონდომების შედეგად შესაძლოა მალე მოგვარდეს ზემოთხსენებული პრობლემები და ჩამოყალიბდეს უკეთესი ურთიერთობები ავსტრიულ ბრენდთან. ჯერ-ჯერობით დავჯერდით მხოლოდ გამოფენაზე მოპოვებულ ინფორმაციასა და კომპანიის წარმომადგენელთა მიერ დაუზარავად მოწოდებულ ინფორმაციას ავსტრიის ერთი-ერთი საუკეთესო მწარმოებლის მიერ დამზადებული პროდუქციის შესახებ.

შორ დისტანციაზე მსროლელი შაშხანებიდან კომპანიას ორი ახალი მოდელი ჰქონდა, ნიურნებრგში 2011 – 2012 წლის საგამოფენო პავილიონზე წარმოდგენილი. ერთ-ერთი გახლდათ Steyr SSG-08, ამჯერად უკვე ყალიბით – .338 Lapua Magnum. Dდა მეორე ყველაზე ზუსტი და ძლიერე ვერსია Steyr HS 50 – M1 ყალიბით – .50 BMG.

Steyr SSG-08 – ხილვა გამოფენების გარდა ჩვენს ავსტრიელ პარტნიორთან და ახლო მეგობართან, ბატონ მარკუს ფრიჩთან შევძელით. იგი თავადაც ზემოთხსენებული ბრენდის მოყვარული გახლავთ და დახლზე მრავლად ჰქონდა ამ მარკის განსხვავებული მოდელები. რაც შეეხება თავად SSG-08-ს, მისი რამოდენიმე ეგზემლარი ვიხილეთ ებენთალში. ერთ-ერთი მათგანი გერმანული ნარმოების Schmidt&Bender-ის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობით იყო აღჭურვილი. რა თქმა უნდა იარაღის ცალკე შეძენაც შესაძლებელი იყო, მაგრამ თავად ბატონმა ფრიჩმა გვირჩია რომ ყიდვის შემთხვევაში ზემოთხსენებულ ოპტიკურ სამიზნეზე კარგ მოდელს აღნიშნული შაშხანისათვის ანალოგიურ ფასში და მითუმეტეს მსგავსი ხარისხის მქონეს ვერ ვნახავდით. აქედან გამომდინარე თურმე ძალიან ბევრი მცოდნე ან პროფესიონალი ზუსტი სროლის მოყვარული სპორტსმენი თუ უბრალოდ მონადირე აკეთებს Steyr SSG-08-ის შეძენისას Schmidt&Bender-ის სამიზნე მოწყობილობებზე არჩევანს.



Steyr Mannlicher SSG-08 კალ.338 Lapua Magnum დაკეცილი კონდახით



Steyr Mannlicher AUG-Z



მწარმოებელი კომპანია:	STEYR MANNLICHER GmbH
მოდელი:	Steyr SSG-08
წარმოშობის ქვეყანა:	ავსტრია
ყალიბი:	.338 Lapua Magnum
სისტემა:	ცილინდრული ტიპის – წრფივად მოძრავი საკეტი სისტემა – Mannox TM
საკეტი მექანიზმი:	SBS-Safe Bolt System – გახსნის კუთხე შეადგენს 60°.
კონდახი:	მყარი (დურალ) ალუმინის, 280 მმ სიგრძის UIT ხიდი.
მჭიდის ტევადობა:	6 ვაზნა
ლულის სიგრძე/ტიპი:	69 სმ / ტარგეტის ტიპი
მთლიანი სიგრძე:	1272 მმ, დაკეცილი კონდახით დაახლ. 1000 მმ.
წონა:	6 კგ.
მიახლოებითი ფასი:	5000 EU

SSG-08, თავისი წინამორბედებისაგან მხოლოდ ყალიბით არ განსხვავდება. ის შედარებით უფრო მძიმეა, ლულაც გრძელი და სქელი აქვს და უფრო მსხვილი ყალიბის გამო მჭიდის ტევადობაც 10-დან 6 ვაზნამდეა შემცირებული. მყარი, ლეგირებული ალუმინისაგან შექმნილ ორთოპედიულ კონდახზე რეგულირებადი სალოყე ბალიშია დამაგრებული. მის მარჯვენა მხარეს 10 შტრიხი – ზომის აღმნიშვნელი ხაზი არის დანაყოფის სახით გაკეთებული და მრგვალი, მბრუნავი რგოლის მოშვება/დაჭერით მარტივდება შესაძლებელი სალოყის აწევა დაწევა და შესაბამისად თვალის მორგება სამიზნე მოწყობილობაზე. Steyr Elite-08 – გან განსხვავებით SSG-08-ს შედარებით მოკლე პიკატინის ხიდი აქვს სისტემურ კოლოფზე დამაგრებული. Versa-Pod-ის სტილის ფეხები ლულის შუაში, მის ქვეშ, ტიბჟირზეა დაფიქსირებული. შაშხანას მოყვება განსხვავებული ზომისა და ფორმის სინთეტიკური ხელსაკიდი ფირფიტები, რომელთა დახმარებითაც ხდება იარაღის ტარის ხელის ზომაზე დარეგულირება. დამცველი როლიკისებერი ღილაკი ზუსტად ხელსაკიდის ვერტიკალურად, კონდახის ყელის ზემოთაა განთავსებული. ცერა თითით, საკმაოდ მოხერხებულადაა მისი წინ მიწევა შესაძლებელი. ამ დროს იარაღი მზადაა ცეცხლის საწარმოებლად. თუმცა შემთხვევით რომ არ მოხდეს მისი უნებური გადაადგილება, დაცვაზე მყოფ იარაღს სატრიალებელ დამცველ რგოლზე – ღილაკზე, გაკეთებული აქვს სპეციალური თეთრი ფერის ზამბარისებრი, მოგრძო ფორმის, დამჭერი, რომელიც უშლის ხელს წინ მიწევაში. იარაღი მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლდება დაცვიდან, თუ ზემოდან თითით დავაწვებით ზემოთხსენებულ თეთრ ღილაკს და მივწევთ როლიკს წინ.

რაც შეეხება მჭიდის დამჭერ/გამომლებ ღილაკებს, ისინი ორივე მხარესაა განთავსებული, თავად მჭიდზე. თუმცა რომ არ მოხდეს მისი დაკარგვა, ორივე ღილაკზე ერთდროულად ხელის დაჭერის გარეშე, შეუძლებელია მისი მოხსნა.

უზუსტესი ლულათა სახეობა Target – CR-MO – ტიპი, რომელიც კონკრეტული მოდელისათვის გაკეთდა, „შტეიერ მანლიხერის“ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგადაა აგებული. რა თქმა უნდა, ის ცივად კეთდება და ავსტრიელების საამაყო უნდა ითქვას, რომ ფაქტიურად ყველა კონკურენტს ჯაბნის ძალიან ბევრ კომპონენტში. ლულის სტრუქტურული აგებულება ვიზუალურად დაწნულ სტილს მოგვაგონებს. ეს ეფექტი მიღებულია ცივად ჭედვის დროს,



Steyr-ის სპეციფიკური "გრაგნილი" ლულა



Steyr-ის ცილინდრული საკეტი მექანიზმი



Steyr Mannlicher SSG-08-ის საკეცი კონდახი და ცილინდრული, მექანიკური საკეტი მექანიზმი







მწარმოებელი კომპანია:	STEYR MANNLICHER GmbH
მოდელი:	Steyr HS-50 M1
წარმოშობის ქვეყანა:	ავსტრია
ყალიბი:	.50 BMG – 12.7x99mm
სისტემა:	მექანიკური – ცილინდრული, წრფივად მოძრავი საკეტი მექანიზმი
საკეტი მექანიზმი:	გახსნის კუთხე 90°.
მჭიდის ტევადობა:	5 ვაზნა
ლულის სიგრძე:	833 მმ
მთლიანი სიგრძე:	1370 მმ
წონა:	13,1 კგ.
საგამოფენო ფასი:	5995 EU

მანქანა დანადგარის ეგრეთწოდებული ჩაქუჩების მუშაობის ხარჯზე. 3 მასიური, უმაღლესი სიმყარის სპეციფიკური ფოომის რკინა/კბილი იწყებს ჭედვის პროცესს ერთი ბოლოდან და გადის მეორეში.

საკეტი მექანიზმი ეგრეთწოდებული SBS-Safe-Bolt-system – ითაა (სისტემით) აღჭურვილი. მას მთლიან სიგრძეზე გასდევს ნემსი, რომლის დანახვაც საცეცხლე პოზიციაში ყოფნის დროს დამცველის სიახლოვეს შესაძლებელია. საკეტში გაკეთებული ელიფსის მოხაზულობის სპეციალური ჭრილები გარანტიაა ტალახსა და ყინვაში საიმედო მუშაობის. საკეტის თავზე გაკეთებული ჩამკეტი წახნაგები ორიგინალური, მასიური ფორმისაა. დაკვირვებისას აშკარაა რომ ისინი ბევრად უფრო მჭიდროდ და მყარად ჯდებიან ლულაში, სპეციალურად მათთვის განკუთვნილ ჭრილებში, ვიდრე ჩვეულებრივი, შედარებით მოკლე და თხელი წახნაგები. სისტემური კოლოფი მასიური, მაღალი სიმტკიცის ფოლადის ერთიანი დეტალისაგან ცივად არის გამოჭრილი. შესაბამისად სროლის შედეგად გარკვეული პრობლემებისა ან დაზიანებების თეორიული შანსიც უნდა გამოვრიცხოთ.

იდეალური ყალიბისა და ლულის შედეგად იარაღის ეფექტური სროლის მანძილი რეალურად წარმოადგენს 1500მ-ს. მაგრამ როგორც ჩვენმა ავსტრიელმა მეგობარმა და მეიარაღემ, ბატონმა ფრიჩმა განგვიცხადა, აღნიშნული იარაღით მას თითქმის ნებისმიერ (განსაკუთრებით მოყვარულის) მსროლელის დაჯაბვნა ძალულს სხვა იარაღით ხელში. აგრეთვე გვითხრა რომ SSG 08 – ით არა კილომეტრ ნახევარზე, არამედ ორ კილომეტრზე ახორციელებს ეფექტურ გასროლას. ბევრისათვის ეს შეიძლება ცოტა დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ ადამიანთა ჯგუფისაგან, რომელთა ოჯახის თითქმის ყველა წევრი ბავშობიდან ევროპის ერთ-ერთ მეიარაღეთა ცენტრში, ქალაქ ფერლახის ტექნიკურ სკოლაში ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და სწავლობდა, ჩვენ ნამდვილად არ გაგვკვირვებია.

ერთადერთი წუნი, რაც ავსტრიული შაშხანას მოვუძებნეთ, პირდაპირ რომ ვთქვათ მისი ძვირი ფასი გახლდათ და ის დაახლოებით 5000 ევროს შეადგენდა. მაგრამ იარაღის უნიკალური თვისებებიდან გამომდინარე ნამდვილად ღირს იმდენი, რამდენსაც მას მისი შემქმნელები აფასებენ. მითუმეტეს თუ გადავხედავთ ბაზარზე არსებულ კონკურენტი ვერსიების ფასებს, ალბათ არჩევანს მაინც „შტეიერზე“ გავაკეთებთ.



Steyr Mannlicher HS-50 M1 mWidi gverdidan uyendeba



50 BMG ვაზნების მსროლელი შაშხანა მასიური ცლინდრული საკეტი მექანიზმითაა აღჭურვილი

Steyr HS-50 M1 – ავსტრიული კომპანია „შტეიერის“ მიერ წარმოებული ყველაზე შორს მსროლელი შაშხანაა. ის სტანდარტული HS-50-ის ახალი თაობის, გაუმჯობესებული ვერსიაა. მისი მონაცემების შესწავლისას აშკარაა გახლებული და ორიგინალური დადებითი თვისებები, რომლებიც გამოცდილების შედეგად აღმოფხვრილი წუნებისა თუ უბრალოდ უშედეგობის საფუძველზე გაჩნდნენ.

მჭიდი შაშხანის წინამორბედ ვერსიას საერთოდ არ ჰქონდა. HS-50 M1-ის შემთხვევაში იარაღს 5 ვაზნიანი სავაზნე კოლოფი უყენია. მისი განთავსების ადგილი არა სტანდარტულად სისტემური კოლოფის ქვედა მხარესაა, არამედ ცოტა უჩვეულოდ, ბუდის უკანა, მარცხენა მხარეს. სისტემური კოლოფის თავზე შაშხანას ადგას პიკატინის სტილის გრძელი ხიდი, რომელსაც გვერდებზეც ჭრილები აქვს გაკეთებული სხვადასხვა დამატებითი აქსესუარებისა თუ ოფტოელექტრონული მოწყობილობების დასამაგრებლად. ზემოდან კი თითქმის ნებისმიერი სახეობისა და ზომის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობის დაყენებაა შესაძლებელი ღამის ხედვის ხელსაწყოსთან ერთად. კონდახის სალოყე ბალიშის სიმაღლე რე-

გულირებადია. ამაში კი მასზე განთავსებული ჭანჭიკი და ცხრად დაყოფილი შტრიხები გვეხმარება. პრაქტიკულად გამოიყურება უკანა, ასევე რეგულირებადი კონდახის საბჯენი ფეხი და უკანა ფიქსირებული ხელსაკიდი. ორივე მათგანი რა თქმა უნდა კონდახის კომპონენტებს წარმოადგენენ და მოხერხებულად, ზუსტად და ეფექტურად გასროლას უწყობს ხელს. მხარზე საყრდენი ბალიშიც რეგულირდება და შესაძლოა მისი სამი მეოთხედი ნაწილის დაბლა ან მაღლა გაწევა და დაფიქსირება. იარაღს ტარი – AR-15-ის სტილის აქვს, რომელიც ამგვარი შაშხანებისათვის დამახასიათებელია და უბრალოდ გამოიყურება. დამცველი ღილაკი ცოტა უჩვეულო ადგილას, სისტემურ კოლოფზე, სასხლეტის ბუდისა და ტარის ყელის შუაშია განთავსებული. საკეტის სახელურს, ისევე როგორც თავად მექანიზმს, მასიური ფორმა აქვს. საკეტს თავზე მხოლოდ და მხოლოდ ორი, მასიური და ბევრზე მეტად ქმედუნარიანი წახნაგები – კბილები აქვთ. საკეტი გაღებისას 90°-ით იხსნება. წინ მიწევისას, ანუ დახურვისას კი წახნაგები მთლიანად შედიან ლულაში და იქ, სპეციალურად მათთვის განკუთვნილ ჭრილებში იკეტებიან. ორფეხა სადგამი ახალ ვერსიას, წინამორბედისაგან განსხვავებით უფრო დახვეწილი და თანამედროვე დიაზინის უყენია, რომელსაც ფუნქციონალურადაც ამჯობინებენ ძველს.

ავსტრიულ შაშხანას თითქმის ყველა



საერთაშორისო გამოფენაზე არც თუ ისე შორსმხედველი და ძვირფასი ოპტიკა ეყენა. გრძელ პიკატინის ტიპის ხიდზე იმავე ქვეყნის წარმოების სამიზნე მოწყობილობა Kahles 3-12x50 იყო დამაგრებული.

რაც შეეხება შორს მსროლელი შაშხანის ლულას, იგი სრულად, მხოლოდ თანამედროვე ტქნოლოგიების გამოყენებით, ცივად ჭედვის მეთოდოლოგიის მიხედვითაა

დამზადებული. საინტერესოა ლულის გადასვლა მის შუა ნაწილში. თავიდან ვარმინტის სტილის ჭრილები და სქელი ფენა იწყება. გადასვლის წერტილში კი ვიწროვდება ლულა და ხაზებიც მთავრდება. ესეც ერთგვარი დამატებითი ფუნქციაა, რათა გაიზარდოს დადებითი შიდა/გარე/სამიზნე ბალისტიკური მაჩვენებლები. იარაღის უკუცემა რომ შემცირდეს ლულის ბოლოში განთავსებულია დიდი ზომის, მასიური ცეცხლმაქრი-კომპენსატორი. ამ და კიდევ სხვა ფუნქციებთან ერთად შიდა და გარე სტრუქტურული აგებულება გამიზნულია სწორედ იმისათვის რათა მიბჯენილი კონდახის დარტყა მხარზე მაქსიმალურად დაბალი იყოს. როგორც გამოფენაზე განგვიმარტეს, სპორტსმენ 12-13 წლის ბავშვსაც კი არ გაუჭირდება Steyr HS-50 M1 შაშხანიდან ერთი გასროლის წარმოება. ხოლო მისი ეფექტური სროლის მანძილი თურმე 1500-1700 მ-ს შეადგენს.

HAMBRUSCH JAGDWAFFEN GMBH

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ჯერ კიდევ 1550 წელს ავსტრიაში, ქალაქ ფერლახში არსებობდა Hambrusch-ის სახელით იარაღების საწარმო, სადაც ხდებოდა ძირითადათ სამხედრო პროდუქციის აგება, მეფის იმდროინდელი ჯარისათვის. ეს გახლდათ ერთ-ერთი, დღესდღეობით ჩვეთვის ცნობილი პირველი მეიარაღეთა ჯგუფი, რომელთაც ფერლახში მასიურად იწყეს პროდუქციას წარმოება. 1752 წლის 24 აპრილით თარიღდება კომპანიის არსებობის დამადასტურებელი ცნობა. ამ დროისათვის ცნობილი ხდება რომ ქარხანაში სანადირო პროდუქციასაც ამზადებდნენ. 1989 წლის პირველ იანვარს კომპანიას სათავეში ჩაუდგა პირველ მეიარაღეთა მეთერთმეტე თაობა პიტერ ჰამბრუშის ხელმძღვანელობით და კომპანიას ეწოდა Hambrusch Jagdwaffen GmbH.

დღესდღეობით ქარხანა უამრავ, განსხვავებული ტიპის იარაღს აწარმოებს. ესენია ერთ ლულიანი, ერთ



ვაზნიანი შტუცერები ძველებური სტილის მექანიზმითა და ჩახმახით, ორ ლულიანი თოფები და შტუცერები, სამ ლულიანი დრილინგები და კომბინირებული ვერსიები, ოთხ ლულიანი კომბინირებული ვერსიები და ცილინდრული ტიპის, კერძოდ კი წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანები (ძირითადათ მაუზერ-98-ის ტიპის). აღსანიშნავია რომ სამ და ოთხ ლულიანი იარაღების შემთხვევაში ლულათა თანწყობა და მათი განლაგება საკმაოდ საინტერესო და ორიგინალურია. ზოგ შემთხვევაში სამივე ლულა ვერტიკალურადაა განთავსებული და შუაში შედარებით მცირე კალიბრიანი ვერსიაა. ან მაგალითად ოთხ ლულიანის შემთხვევაში იარაღს დრილინგის ფორმა აქვს და მეოთხე ლულა, რა თქმა უნდა ხრახნიანი და ამავდროულად შედარებით წვრილი ყალიბით ლულების შუაშია განთავსებული.



ნახევრაც მზა მსხვილკალიბრიანი შაშხანა

მექანიზმი გარეთ გამოდიოდა. ჩამკეტი ჩარჩო ამ შემთხვევაში მაქსიმალურად მყარი უნდა ყოფილიყო და ეს გარემოება არც ავსტრიელ მეიარაღეს დაუტოვებია გულგრილად. ლულის განმვრცობი ურდული გრინერის ტიპის ჩამკეტს მოგვაგონებს, რომელიც უკანა, ზედა სისტემურ კოლოფში ჯდება და იკეტება. თუმცა ის შუაში გახვრეტილია არაა და გრინერივით მას ფოლადის ჩხირი არ ეყრება. ურდული საკუთარი განხვავებული ფორმიდან გამომდინარე სპეციალურ ჭრილში ჯდება და მეტალის კბილით იკეტება. მეორე ეფექტური ჩამკეტი საშუალება გახლავთ სავაზნის ქვემოდან განთავსებულია ორი მასიური კბილი, რომლებიც ქვედა სისტემურ კოლოფში – ჩარჩოში განთავსებულ ჭრილებში იკეტებიან. იარაღის ბუდე სპილოების გამოსახულებებითაა მოხატული. გარშემო კი ნიანგის ფარფლების მსგავსი ორნამენტები ამშვენებს სისტემურ კოლოფს. კონდახი და ტიბჟირიც იარაღის დანარჩენ დეტალებთან ერთად იდეალურად იყო დამუშავებული. ჩვენ აღნიშნული მოდელი მოქმედებაშიც ვიხილეთ, როდესაც პიტერ ჰამბრუში მას თავად ისროდა. უნდა აღინიშნოს რომ უამრავი დადებითი მახასიათებლებთან ერთად იარაღს ერთი ნაკლი მაინც აქვს. გასროლისას იმდენად დიდია მისი უკუცემა, რომ თუ პიროვნება ძლიერი არაა და გასროლამდე მსროლელს ვინმემ მცირედი ინსტრუქტაჟი არ ჩაუტარა, შესაძლოა ის წაიქცეს კიდეც, მაგრამ ეს ზოგისათვის ნაკლი არაა, და მასში უარყოფითს ვერაფერს ხედავს. თავად პიტერი ერთ-ერთ სტატიაში წერს: „თუ ის ძალიან მძიმეა, მაშინ შენ ძალიან სუსტი ხარ“. კომპანიის თანამშრომლების განმარტებით იარაღისათვის რეკომენდირებულია ამერიკული Kynoch-ის ვაზნების ხმარება. საგამოფენო კომპლექსში სწორედ ამ მარკის ნიმუში იდო ლულაში და გვერდით ამავე ფირმის სერთიფიკატი იყო თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილი.

Hambrusch Jagdwaffen GmbH სხვა უამარავ ლუქს კლასის იარაღების მწარმოებლების მსგავსად აგებს წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანებს „მაუზერ 98“-ის ბაზაზე, რომელთა რამოდენიმე ვერსიაც წარმოდგენილი იყო საგამოფენო კომპლექსში. რაც ყველაზე საინტერესოა ერთ-ერთი ასეთი მოდელი ყალიბით – .500 Jeffery (12,7x70 mm), დახლზე დაშლილ მდგომარეობაში იდო, რათა უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო მისი სიმარტივე და დადებითი მხარეები. იარაღს ერთ სასხლეტიანი მექანიზმი ჰქონდა. ის ხის დეტალების გარეშე იყო წარმოდგენილი. ლულაზე ზემოდან უკანა, მოკლე სამიზნე თამასა იყო განთავსებული, რომელიც დაკომპლექტებული იყო ერთი მაღალი და სამი დაბალი ფრთით. მათი მეშვეობით ხდებოდა სამიზნე მანძილის რეგულირება. დასრულებული სახით „მაუზერ-98“-ის ტიპის შაშხანის ხილვა 416 Rigby-ის ყალიბით შეიძლებოდა.

ზემოთხსენებულ იარაღებთან ერთად რა თქმა უნდა სხვადასხვა ტიპის მოდელებიც იყო წარგენილი, რომლებიც ქებას ნამდვილად იმსახურებდნენ. ყოველი მათგანი იდალურად იყო დამუშავებული. თითოეულ მათგანს ეტყობოდა თავისი საქმის უნაკლოდ მცოდნე ოსტატის ხელი.



ნახევრად მზა მსხვილკალიბრიანი შაშხანა ლულათა ჰორიზონტალური განლაგებით



Hambrusch-ის დახლი გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე

JOH. OUTSCHAR'S&SOHN

ფერლახში ელიტარულ მეიარაღეთა კატეგორიას განეკუთვნება ჯო აუთჩარის საწარმო. საამქროში დაახლოებით 13 – 15 ადამიანია დასაქმებული. მაგრამ ყველა მათგანი თავისი საქმის პროფესიონალია. ისინი სერიულ ნაწარმს ფაქტიურად არ ქმნიან. ძირითადათ შეკვეთებზე მუშაობენ და მათ მიერ დამზადებული, ორიგინალური მოდელები უკვე მსოფლიოს უამრავ ქვეყანაშია გასული. კომპანიის ბიუჯეტი დაახლოებით 5 მილიონ ევროს შეადგენს, რაც ამ ზომის ქარხანისათვის სამკარისზე მეტიცაა.

ყველაზე დიდი ინტერესი კომპანიის მიერ წარმოდგენილ მოდელთაგან ორლულიანმა შტუცერმა გამოიწვია, ლულების ვერტიკალური განლაგებით. მისი შემქმნელების მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრნობით დასტრუდება მისდამი სხვა მოდელებთან შედარებით უფრო მეტი ლტოლვა და ინტერესი. იარაღი ხელნაკეთი ხის ყუთით იყო წარმოდგენილი და კომპლექტაციაში მოყვებოდა გერმნული ბრენდის „კარლ-ცაისის“ ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა. სრული-გვერდითი საკეტის დაფებზე, მათ შუა პერიმეტრში გარედან გაკეთებული იყო ირმის გრავირება. მექანიზმის დანარჩენი ნაწილი კი მთლიანად ძველი, ტრადიციული გერმანული ტიპის ორნამენტებით იყო მოხატული. მოდელი ორი სასხლეტით იწარმოება და მათ შორის განთავსებული იყო პატარა მარეგულირებელი ხრახნი. მისი მეშვეობით ხდება სასხლეტის სურვილისამებრ თითზე მორგება და ძალისა თუ მოძრაობის მანძილის შეცვლა. ლულა ვიზუალური თვალსაზრისითაც და სტრუქტურულადაც იდეალურად იყო შესრულებული. სწორედ ისე როგორც ეს ავსტრიულ მაღალი კლასის „შტუცერს“ ეკადრება. მისი თამასა დასაწყისში მაღალია და მასზე განთავსებულია ჭრილები ოპტიკური სამიზნის დასამაგრებლად. შედგომ ის დაბლდება. თამასას ბოლოში გაკათებული აქვს სპეციფიკური, შტუცერებისათვის დამახასიათებელი სამიზნე რქა. ლულის შუაში კი განთავსებულია წარწერა Joh. Outschar's&Sohn – Verlach. კონდახის ყელი ტრადიციულ, ბავარიულ სტილშია შესრულებული და მასზე ხელის მოკიდებისას აშკარად იგრძნობა ამგვარი მოყვანილობის უპირატესობა. კონდახზე სალოყე ბალიშიცაა გაკეთებული და უკანა მხარეს რბილი მასალის მხარზე საყრდენიც.



Joh. Outschar's & Sohn-ის ხელნაკეთი მოდელები



Joh. Outschar's & Sohn-ის ხელნაკეთი მოდელები



Joh. Outschar's & Sohn-ის კომპლექტაცია ძვირფას ხის ყუთში.

ზემოთხსენებულ მოდელთან ერთად წარმოდგენილი იყო სხვა მსხვილ კალიბრიანი შტუცერის ტიპის იარაღები და დრილინგები. აგრეთვე გლუვლულიანი თოფები, ლულების ვერტიკალური განლაგებით. მათგან შეიძლება გამოვყოთ იარაღი, რომელსაც სასხლეტის ბუდესთან განთავსებული ჰქონდა ლულების გამღები/ჩამკეტი ბერკეტი. ამგვარი ტიპის სისტემა პირველ რიგში ორიგინალურია და ამასთანავე ბევრ სხვა სისტემებთან შედარებით მყარი და პრაქტიკული. Joh. Outschar's&Sohn-ის დახლზე აგრეთვე წარმოდგენილი იყო ვერსიები, რომლებსაც სწრაფად ხსნადი სასხლეტი მექანიზმი ჰქონდათ. მათი ფუნქციონალური დატვირთვა რომ უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო იარაღის აღნიშნული დეტალები ჩამოწეულ, ღია მდგომარეობაში იყო. ამ დროს ჩანს თითქმის მთლიანი სასხლეტი მექანიზმი. ყველაფერთან ერთად წარმოდგენილი იყო „მაუზერ-98“-ის ბაზაზე აგებული, წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანა. ეს მეიარაღეთა ტრადიციად დამკვიდრებული მოდელი იდეალურად იყო მოპირკეთებული. თუმცა არა მარტო ის, არამედ „აუთჩარის“ მეიარაღეთა ყველა ნამუშევარი შესანიშნავად იყო შესრულებული და დიდ მოწონებას იმსახურებდა.

JOSEF JUST

ავტსრია ყოველთვის განთქმული იყო მეიარაღეებითა და ოსტატებით, რომლებიც სამუშაოს ხელით ასრულებდნენ. დღემდე უამრავი პროფესიონალი მუშაობს ამგვარი მეთოდიკით ევროპის ამ უძველეს ქვეყანაში. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ეს ქვეყანა ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო „ხელოვან“ მეიარაღეთა ცენტრად, ინგლისთან ერთად. აქ უამრავი ოსტატია რომელიც სურვილისამებრ უმზადებს თოფებსა თუ შაშხანებს უმაღლესი ფენის წარმომადგენლებს. იქნება ეს ქვეყნის მმართველი პირველი პირები, პოპულარული პიროვნებები, განსაკუთრებული დამსახურების მქონე ადამიანები თუ მეფე-დედოფლები, რომლებსაც ძირითადათ ჩუქნიან აღნიშნულ ნივთს. ერთ-ერთი ამათთაგანი, რომელიც მსგავსი პროფილით მუშაობს, გახლავთ უძველესი კომპანია – Josef Just. მას დამაარსებლის სახელი და გვარი ჰქვია. კომპანია მეიარაღეთა ტრადიციულ ქალაქში, ფერლახში მდებარეობს და შეიქმნა 1790 წელს, მანამდე სანამ ლეგენდარული პერდე და მისი მსგავსი ინგლისური ლეგენდა ფირმები შეიქმნებოდა. თითქმის სამ საუკუნოვანი გამოცდილება კი ნამდვილად საკმარისზე მეტია იმისათვის რომ დღევანდელმა თაობამ და საწარმოში მომუშავე ოსტატებმა უნაკლოდ შეძლონ იარაღის აგება.

კომპანიას ძირითადათ ევროპაში გამართულ გამოფენებზე გამოაქვს საკუთარი პროდუქცია. თუმცა ბევრჯერ სცადეს ამერიკისა და აზიის ბაზარზე გასვლაც. გარკვეულწილად მოხერხდა კიდეც იქაურ მარკეტზე სახელის მოხვეჭა და პროდუქციის პოპულარიზაცია. მაგრამ საწარმოს პროფილიდან გამომდინარე რთულია გაითქვა სახელი და გახდე ხელმისაწვდომი სხვა კონტინენტზე მცხოვრები მდიდარი მონადირეებისათვის. ვინაიდან აღნიშნული კომპანიის მეიარაღეები მხოლოდ და მხოლოდ ხელნაკეთ პროდუქციას ყიდიან. შესაბამისად რთულია ბევრის წარმოებაც და ბაზარზე ფეხის მყარად მოკიდება.

ჩვენ ევროპაში გამართულ ერთ-ერთ გამოფენაზე შევძელით Josef Just-ის ყველაზე ძვირფასი მოდელის ნახვა. თუ შეიძლება რომ ამას საერთოდ სერიული წარმოება ეწოდოს, შეიძლება მაშინ ვთქვათ რომ ნანახი ვერსია სერიულია. იმიტომ რომ კომპანია ამზადებს სურვილისამებრ კერძო შეკვეთის შემთხვევაში უფრო ძვირფას იარაღებსაც. რაც შეეხება გამოფენაზე წარმოდგენილ ვერსიას, ის ორი ცვლადი ლულებით იყო ნაწარმოები. ორივე ლულებზე



Josef Just-ის ხელნაკეთი იარაღი ორი ცვლადი ლულითა და Swarovski-ს ოპტიკური სამიზნეებით



წინა სამიზნე თამასა არავენტილირებადი, მასიური, მოგრძო ტიპის იყო, რომელსაც უკანა მხარეს ფოლადის ვერცხლისფერი ჩხირი ჰქონდა ჩასმული, თვალისათვის რომ გაეუმჯობესებინა ფართე ხედვის არეალში სამიზნის სწარაფად მოძებნა. უკანა სამიზნეც ფიქსირებული, ფოლადის მასალისაგან იყო დამზადებული. მისი რეგულირება მარტივად ხდებოდა, რაც იარაღის შედარებით შორ დისტანციებზე გამოყენების საშუალებას იძლეოდა. სამიზნის უკან, რამოდენიმე სანტიმეტრის დაშორებით ოპტიკური სამიზნის ფეხის სამაგრი იყო განთავსებული. ლულის თავში არსებული სავაზნე ბევრად უფრო სქელი და მასიური იყო, ვიდრე მის სიგრძივ გაგრძელებაზე არსებული დანარჩენი ლულის ნაწილი.

ერთი ლულა გახლდათ 7mm Rem. Mag.-ის ყალიბზე, ხოლო მეორე 243 Win.-ის ყალიბზე. ორივე მათგანს შუაში გაკეთებული ჰქონდათ მოოქროვილი წარწერა – Josef Just – Ferlach. სავაზნესთან ახლოს კი ყალიბის აღმნიშვნელი ციფრების ინიციალები იყო გაკეთებული, ასევე მოოქროვილი. კონდახი ზეთით იყო დამუშავებული და აშკარად უმაღლესი კატეგორიის კაკალის მასალის გამოყენებით შექმნილი ორივე ტიბჯირთან ერთად. სისტემური კოლოფი და ჩარჩო კომპანიის მიერაა აგებული და დაპატენტებული. თუმცა მასში მაინც ჩადებულია ცნობილი გამომგონებლების პრინციპები. იარაღი სრული-გვერდითი საკეტებითაა დაკომპლექტებული, რომელსაც ძველებური, მე-19 საუკუნის ტიპის მექანიზმის ფორმა აქვს. თუმცა ოდნავ მაინც განსხვავდება იმდროინდელი სისტემებისაგან. დამცემ-დამრტყმელი მექანიზმიც უფრო დახვეწილი და საიმედოა, ვიდრე ეს ადრე იყო. ამჟამად მასალაც სხვაა მისთვის გამოყენებული და ზამბარებიც ახალი, თანამედროვე აგებულებისაა. სასხლეტი მექანიზმიც ანალოგიურად, ძველი და ახალი თეორიების შერწყმითაა გაკეთებული. ის სპორტული იარაღივით, ერთი სასხლეტითაა აღჭურვილი, მაგრამ მასზე გამოკვრისას იგრძნობა რომ ნადირობისათვისაა შექმნილი. იარაღი ხელნაკეთ, ხის ყუთში იყო ჩადებული, რომელსაც შიგნიდან ბარხატის ძვირფასი ნაჭერი ჰქონდა გაკეთებული, რათა ვიზუალურად ლამაზი ყოფილიყო. კეისში საწმენდებთან და იარაღთან ერთად ჩადებული იყო მსოფლიოში საუკეთესო ლინზების მქონე, „სვაროვსკის“ ორი ურთიერთგანსხვავებული ოპტიკური სამიზნეები Z6 – 2x12-50, გათვალისწინებული 7mm Rem. Mag.-ის ყალიბისათვის და Z6 – 7x10-42 გათვლილი 243 Win.-ის ყალიბისათვის.

ნანახმა თამამად შეიძლება ითქვას რომ ძალიან მოგვხიბლა და თან ეს მაშინ, როდესაც Josef Just-ის გვერდით გამოფენილი იყო თუნდაც იმავე ავსტრიელი „ხელოვანი“ მეიარაღეების, გერმანელი თუ ინგლისელი ოსტატების მიერ დამზადებული იარაღები, უფრო მეტად კი ხელოვნების ნიმუშები.

KARL HAUPTMANN

მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გეორგ ჰაუპტმანი გამოჩნდა ასპარეზზე. მის მიერ 1908 წელს დამზადებული კომბინირებული სანადირო იარაღი დღემდე შემონახულია და ფირმის საჩვენებელ ოთახში ხილვისას უნაკლოდ, ახალივით გამოიყურება. დღესდღეობით ავსტრიელი მეიარაღის მესამე თაობა უძღვება კომპანიას და თამამად შეიძლება ითქვას რომ ისინი წარმატებით ახორციელებენ წინაპრის ტრადიციულ საქმიანობას. თავად წარმოებამ ჩვეულ რითმში ფუნქციონირება 1939 წელს დაიწყო და იქიდან მოყოლებული ამზადებს სანადირო მოდელებს. პირადად მე მოვახერხე და კომპანიის ერთ ერთ მთავარ მეიარაღესთან სამახსოვრო ფოტოც გადავიღე „მაუზერ-98“-ით ხელში.



Karl Hauptmann-ის ხელნაკეთი იარაღები

ჰაუპტმანმა, ფერლახის ავსტრიელი მეიარააღებიდან ფაქტიურად პირველმა აწარმოა შტუცერი ყალიბით .700 N.E. ავსტრიული სანადირო მონსტრი, რომელიც აღნიშნული ვაზნის გასროლისას უზარმაზარ ენერგიას, 12.100 ჯოულს გამოყოფს და ტყვიის საწყისი სიჩქარეა 610 მ/წმ. დღესდღეობით ფირმა 15 – 20 წლამდე გარანტიას იძლევა ნებისმიერ პროდუქტზე, რომლესაც ის ყიდის. მაგრამ ამასთან ერთად გამოფენაზე მყოფმა თანამშრომლებმა განგვიმარტეს რომ 20 წლის მერეც არავითარი პრობლემა არ ექნება მათ მიერ დამზადებულ იარაღს. ისინი ოფიციალურ მონაცებემში ხრახნლულიან იარაღებს საერთოდ არ უწერენ რესურსულ მაჩვენებელს. ამის გაგების შემდგომ რამოდენიმე კრიტიკული შეკითხვა დაგვებადა, მაგრამ სანამ შეკითხვას დავსვავდით, მათ პასუხი უკვე მზად ჰქონდათ. მათ განაცხადეს: „შეგიძლიათ ისროლოთ მთელი ცხოვრება, თქვენც და თქვენმა შთამომვლობმაც იმდენი, რამდენიც გსურთ“. ჩემის აზრით მათი განცხადება ცოტა გადაჭარბებული იყო და ზედმეტად ამაყი კაცის ნათქვამს გავდა. თუმცა ამის თქმის საფუძველი ნამდვილად არსებობს და გარკვეულ წილად რეალობას შეესაბამება.

კოლექციონერთა წრეებში და საერთაშორისო გამოფენებზე ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს სამლულიანი იარაღი ხრახნიან ლულათა ჰორიზონტალური განლაგებით – Hauptmann TB (Tripple Büchse) . მას ავსტრიელები და გერმანელებიც ძალიან იშვიათად უწოდებენ drilling-ს ან Kugeldrilling-ს. უმეტეს წილად ისინი იარაღს Tripple Büchse – თი მოიხსენიებენ (ზუსტად ამგვარი ტიპის ორლულიან ვერსიას, რომელიც სამიანზე ადრე შეიქმნა Dopelbüchse ჰქვია). შესამაბისად სამლულიანის დღევანდელი სახელწოდებაც აქედან გამომდინარეობს. იარაღის პირველი ვერსია ჯერ კიდევ 1996 წელს გაკეთდა, რომელიც ერთი წლის შემდგომ დაპატენტდა და გაეშვა წარმოებაში. იარაღს რამოდენიმე გამოკვეთილი უპირატესობები აქვს ორლულიან შტუცერებთან და დრილინგებთან შედარებით. Aმგვარი ლულების განლაგებით შეცვლილია ლულათა რხევის სიხშირე და ამპლიტუდა, ანუ რხევის ტალღებს შორის მანძილი. შემდგომი, უამრავი ტიპის ნადირობისას გამოსადეგარი უპირატესობა გახლავთ დროის ფაქტორი. პირველი ვაზნის გასროლის შემდგომ მეორეს ან მესამეს გასასროლად არავითარი პაუზა არაა საჭირო, რათა მოხდეს ლულების მალე გაციება. არადა ჩვეულებრივი დრილინგის შემთხვევაში 3-დან 7 წმ-მდე ლოდინია საჭირო, რათა მეორედ გასროლილი ვაზნით მივიღოთ მაქსიმალური – დაახლოებით პირველად გასროლილი ვაზნის ბალისტიკური შედეგის ტოლფასი ეფექტი. ამ შემთხვევაში კი საქმე სულ სხვაგვარადაა. ლულების განლაგება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სასხლეტს რაც შეიძლება სწრაფად გამოვკრათ ხელი და ვაწარმოოთ ცეცხლი, ისე რომ ბალისტიკური მონაცემები არ შეიცვალოს და დარჩეს თითქმის იგივე.



Karl Hauptmann-ის სამლულიანი შაშხანა ჰორიზონტალური განლაგებით



რაც შეეხება Hauptmann TB-ს მექანიზმსა და ზოგადად საკეტთა სისტემას, ის ეგრეთწოდებული Blitz-ის კონსტრუქციითაა აღჭურვილი, რომელიც სასხლეტ მექანიზმს ერთი მოკლე და ერთი შედარებით გრძელი, არა სპირალისებრი, არამედ სპეციფიკური, მასიური V-სებრი ზამბარებით უკავშირდება. ყველაზე მეტად აღნიშნული შაშხანის შემქმნელებიც და მისი მომავალი თუ ამჟამინდელი მფლობელები უპირატესობას 9,3x74R-ის ყალიბს ანიჭებენ. სწორედ აღნიშნული ყალიბით წარმოდგენილი შაშხანა იკავებდა საუკეთესო ადგილს „ჰაუფტმანის“ დახლზე, გერმანიაში გამართულ ერთ-ერთ საერთაშორისო გამოფენაზე. იარაღი დაკომპლექტებულია ელექტორული სისტემით, რომელიც ვაზნის ლულიდან ამოწევის პროცედურას ახორციელებს. ჩაკეტვა მხოლოდ ორმაგი, ლულის ქვეშა მასიური კაუჭების საშუალებით ხორციელდება. ისინი სავაზნის ქვემოდანაა განთავსებული და სისტემურ კოლოფში, სპეციალურად მათთვის გაკეთებულ ჭრილებში, იკეტებიან. ამგვარი სისტემა მისთვის სრულიად საკმარისია და არაა უფრო მყარი საკეტის ქონის აუცილებლობა. როგორც კომპანიის თანამშრომლებმა გაგვიმარტეს, სამლულიანი იარაღი ორი სასხლეტით მზადდება. აქედან წინაზე გამოკვრის შემთხვევაში გასროლა ხორციელდება შუა ლულიდან, ხოლო უკანა სასხლეტზე გამოკვრისას ჯერ მარჯვენა, ხოლო შემდგომ მარცხენა ლულიდან.

შუა ლულაზე განთავსებულია სამიზნე თამასა, თავისი წინა და უკანა კომპონენტებით, რომელიც ლულის პირველ მეორედში წინა ნაწილთან შედარებით მაღალია და მასზე თავსდება უკანა მექანიკურ სამიზნე ფირფიტასთან ერთად ოფტიკური სამიზნე მოწყობილობის სამაგრებიც. ჩვენს მიერ განხილული იარაღი გამოფენაზე ავსტრიული ბრენდის, სვაროვსკის ოპტიკური სამიზნით swarovski Z6i – 1-6x24 – ით იყო წარმოდგენილი. „ჰაუფტმანის“ ნებისმიერ მოდელს გრავირება მთლიანად ხელით უკეთდება. მისი კონდახი და ტიბჟირიც ასევე ხელით მუშავდება და სპეციალური ზეთის გამოყენებით ხდება ხის მოპირკეთება. საბოლოო ჯამში სახეზეა იარაღი, რომელიც სხვა ბევრ მოდელთან ერთად ამყარებს თეორიას იმის თაობაზე, რომ ავსტრიაში მართლაც მსფოლიოში საუკეთესო მეიარაღეები მოღვაწეობენ.



Karl Hauptmann-ის მიერ დამზადებული, წრფივად მოძრავი საკეტიანი სანადირო შაშხანა „მაუზერ-98“ -ის ბაზაზე. იარაღზე დამაგრებულია „კარლ-ცაისის“ ფირმის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა.

„კარლ ჰაუფტმანის“ სხვა მოდელებთან ერთად დიდი მონონება დაიმსახურა „მაუზერ-98“-ის ბაზაზე აგებულმა შაშხანამ. ამ იარაღის დამზადება უკვე ყველა მწარმოებლის წესად იქცა. თუ კომპანიას პრეტენზია აქვს ლუქს კლასის იარაღების დამზადებაზე და თვლის რომ იგი ერთ-ერთია იმ საუკეთესოთა შორის, რომლებიც უმაღლესი კატეგორიის, „როიალ“ კლასის პროდუქციას ქმნიან, მაშინ აუცილებლად უნდა ჰქონდეს წარმოებაში აღნიშნული, ოდესღაც მაუზერის მიერ შექმნილი ლეგენდარული შაშხანა.

PETER HOFER

ავსტრიის მეიარაღეთა ცენტრში უკვე დიდი ხანია რაც პიტერ ჰოფერი ფერლახის ნათლიმამად მოიხსენიება. იგი 1958 წელს დაიბადა. იმავე ქალაქში მიიღო განათლება და დაამთავრა ფერლახის ხელოვნების მეიარაღეთა საერთაშორისო სკოლა, მეტალის მხატვრული დამუშავების განხრით. 1979 წელს მან ჩააბარა გამოცდა როგორც ლულებისა და კონდახის ოსტატმა და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი. იგი თავიდანვე გამოირჩეოდა თანატოლებში ბუნების მიერ დაჯილდოვებული მეიარაღის ნიჭით. კონსტრუქტორის იდეებით აღსავსე ყმაწვილმა, გამოცდის ჩაბარებიდან 7 წელიწადში, 1986 წელს უკვე საკუთარი იარაღების მწარმოებელი კომპანია ჩამოაყალიბა. პიტერი არა მარტო კარგი ოსტატი, არამედ საკმაოდ ჭკვიანი მმართველიც აღმოჩნდა. მან თავისთან უხმო საუკეთესო ოსტატებს და მათთან ერთად დაიწყო მსოფლიოს ყველა კუთხეში საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაცია. იარაღები, რომლებსაც ჰოფერი ამზადებდა თითქმის ყველა საერთაშორისო გამოფენაზე იყო წარდგენილი. ევროპაში, აზიაში, არაბულ ქვეყნებში, ამერიკში, რუსეთში და ა.შ... პიტერ ჰოფერი ცდილობდა საკუთარი პროდუქცია მაქსიმალურად პოპულარული გაეხადა. მან თავისი დადებითი მხარეები კარგად იცოდა; უნაკლოდ შესრულებული მოხატულობა, ბრწყინვალედ დამუშავებული იარაღები და მაქსიმალური ეფექტის მომცემი ბალისტიკური შესაძლებლობები უმთავრეს უპირატესობებს წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია რომ პიტერის მიერ მეგა კლასის იარაღი ზოგ შემთხვევაში თორმეტი წელიწადი მზადდებოდა. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ პერიოდის განმავლობაში იქმნებოდა ხელოვნების ნიმუში, რომელშიც ჩადებული იყო კარგი მეიარაღის ნიჭი და ქალაქ ფერლახის მიერ კონკრეტული მეიარაღისადმი ბოძებული შესაბამისი განათლება და გამოცდილება. რეკლამირებამ და პოპულარიზაციისაკენ ლტოლვამ შედეგი მალე გამოიღო. პიტერ ჰოფერი წარმოების დაწყებიდან მალე ისეთი კონსტრუქტორების კლასს განეკუთვნებოდა და ისეთ მეიარაღეთა წრეებში ტრიალებდა, როგორებიც იყვნენ მიხეილ კალაშნიკოვი თუ სტოუნერი. ჰოფერის მიერ შექმნილი იარაღები ისეთი პიროვნებების არსენალში ინახება, როგორებიც არიან ვლადიმერ პუტინი და ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი. რათქმაუნდა ჩამოთვლილ პიროვნებებთან ერთად კიდევ უამრავი ცნობილი სახე დაინტერესდა პიტერის ნამუშევრებით და იარაღებით.



Peter Hofer-ის მიერ დამზადებული ხელნაკეთი იარაღი გამჭვირვალე სისტემური კოლოფით(აქ სხვა სურათიც ჩავამატოთ)

დღესდღეობით პიტერ ჰოფერი მსფოლიოში ერთ-ერთ საუკეთესო კერძო მეიარაღედ ითვლება. ის ამზადებს ერთ ლულიან, ორ ლულიან, სამ ლულიან, ოთხ ლულიან და ხუთ ლულიან თოფებს ლულათა განსხვავებული განლაგებით. ზოგ შემთხვევაში მათი თანწყობა განსაკუთრებით გამორჩეული, ორიგინალური, ყველა დანარჩენებისაგან განსხვავებულია. თითქმის ლულათა 42, ურთიერთგანსხვავებულ კომბინაციას გვთავაზობს კომპანია. შესაძლებელია 300 განსხვავებული ყალიბის მქონე იარაღის წარმოება, დაწყებული .22 Hornet-ით დამთავრებული .-700 NE-ით. ეს სერიოზული განაცხადია პირველობისათვის ბრძოლაში. ამას ემატება მოხატულობა და გრავირებები, რომლებიც იარაღზეა თავად პიტერისა თუ მის განკარგულებაში მყოფ სხვა ხელოვანთა მიერ შესრულებული. ჰოფერი სხვა რამითაც გამოირჩევა კონკურენტი მეიარაღებისაგან. მისი კომპანია კლიენტებს სთავაზობს ეგრეთწოდებულ VIP მომსახურებას. მონადირეს შეუძლია პიტერთან სტუმრობისას თავად გახდეს ავიაგამანადგურებლის პილოტი, სამოქალაქო ტიპის თვითმფრინავით დაათვალიეროს მიმდებარე ტერიტორიები, ჩაფრინდეს ალპებში და ლუქს კლასის სასტუმროში დაისვენოს. სამსართულიანი, მონადირულ სტილში გაწყობილი შენობა ერთ კონკრეტულ ჯგუფზეა გათვალისწინებული. ამასთანავე შესაძლოა დაიგეგმოს ტურები და ნადირობები. რა თქმა უნდა ეს ყოველივე სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული და ბევრისათვის მატერიალური პირობების გამო შეუძლებელია. თუმცა რაც ყველაზე მთავარია, იარაღის შეძენა, რომელსაც პიტერ ჰოფერი ამზადებს ალბათ ნებისმიერ საშუალოდ შეძლებულ მონადირეს ძალულს ევროპაში. სამწუხაროდ საქართველოში არსებული ცხოვრების დონის შესაბამისად ჯერ მისი პროდუქციის პოპულარიზაცია არ მომხდარა.



Petter Hoffer-ის გადასახსნელ ლულებიანი შაშხანა, ყალიბით 4 Bore

H. SCHEIRING GMBH

ავსტრიელ მეიარაღეთა ცენტრის, ფერლახის ერთ-ერთი შვილია არც თუ ისე დიდი ხნის წინ შექმნილი კომპანია „შაირინგი“. მისმა მმართველმა გუნდმა დაახლოებით 1980 წლისათვის მიიღო გადაწყვეტილება დაეწყო იარაღების ფართო სპექტრით წარმოება. თუმცა დღემდე კერძო შეკვეთებზე მუშაობენ და აქცენტს აკეთებენ უმაღლესი ხარისხის მქონე, ორიგინალურ ნაწარმზე.

მათ მიერ შემოთავაზებული პროდუქციიდან შეიძლება დრილინგების გამოყოფა. ყველაზე ორიგინალური და გამორჩეული კი გახლავთ სამ ლულიანი იარაღი სპეციფიკური ჩამკეტით Kipp-Block – Bock-Drilling. ლულების გამვრცობში გაკეთებულია ორი ჭრილი. ხოლო მათთვის განკუთვნილი კბილები კი განთავსებულია სისტემურ კოლოფში, ჩარჩოს ზედა მხარეს. დაკეტვისას ისინი ერთმანეთში ჯდებიან და სავაზნის ქვედა მხარეს განთავსებულ ჩამკეტ კბილებთან ერთად იქმნება იდეალური გარემოება გასასროლად. ამ შემთხვევაში იარაღი უნაკლოდაა ჩაკეტილი და გამორიცხულია რაიმე პრობლემის წარმოშობა ამ კუთხით. კომპანიას იარაღის გვერდით, რომელსაც აღნიშნული ტიპის ჩამკეტი ჰქონდა, 2011 წლის ერთ-ერთ საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი ჰქონდა ორლულიანი შტუცერი მსგავსი ტიპის ჩამკეტით. ამ შემთხვევაში ის არა ორი, არამედ ერთი კბილით იკეტებოდა.

დრილინგის გაღება – ლულების გადახსნა სასხლეტის ბუდის ქვემოდან განთავსებული ბერკეტით ხორციელდება.



H. Scheiring-ის ხელნაკეთი ხრახნლულიანი იარაღები





ის ფაქტიურად იმეორებს ბუდის ფორმას, ოდნავ უფრო ფართოა და ბოლოში სპეციფიკური, შეიძლება ითქვას რომ ორთოპედიული ფორმა აქვს მიცემული, რათა მსროლელმა აღნიშნული პროცედურის შესრულებისას მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნოს თავი. სწორედ ამგვარი გამღებია დამახასიათებელი აღნიშნული ბრენდის მიერ წარმოებული სხვა მოდელებისათვისაც.

იარაღი ორი ცვლადი ლულით იყო წარმოდგენილი. დახლზე მას ერთი ზედ ეკეთა, მეორე ტყავის ძვირფას კეისში იყო ჩადებული. ჩანთა შიგნიდან ბარხატით იყო გამფორმებული და რადგანაც იარაღს კომპლექტაციაში საწმენდი საშუალებები და მეორე ლულისათვის განკუთვნილი ოპტიკაც მოყვებოდა, ადგილი შიგნით ყველაფრისათვის საკმარისი იყო. თავად პირველ ლულას, რომელიც იარაღს ზედ ეყენა, მაღალი სამიზნე თამასა ჰქონდა ლულის დასაწყისში, რომელიც პირველ მეორედში დაბლდებოდა. ხოლო ლულის ბოლოში გაკეთებული იყო წინასამიზნე რქა მექანიკური სამიზნის სახით. ორივე ოპტიკური მოწყობილობა ავსტრიული „სვაროვსკის“ ბრენდის იყო. მას ზემოდან ერთ-ერთი ბოლო მოდელი – Z6i 2.5-15x44P ჰქონდა გაკეთებული. ასვტრიულ დრილინგს გვერდით ედო ქალაქ ფერლახის სახელმწიფო ტირის მიერ ჩატარებული ცდების დუკუმენტაცია. (აღნიშნული სინჯები თავად მწარმოებლების მოთხოვნით ტარდება, რათა შემდგომში მათ შეძლონ საკუთარი პროდუქციის მაღალი ხარისხის უფრო ადვილად დამტკიცება და მყიდველთათვის პროდუქციის რეკლამირება).

კომპანიას დრილინგებთან და ორლულიან შტუცერებთან ერთად თითქმის ყოველთვის წარმოდგენილი აქვს გლუვ ლულიანი თოფებიც ლულების ჰორიზონტალური განლაგებით. საკუთარი პროდუქციისათვის „შაირინგი“ ძირითადათ თანამემამულე „სვაროვსკის“ პროდუქციას იყენებს. საგამოფენო კომპლექსში წარმოდგენილ ვერსიებსაც შესაბამისად აღნიშნული ავსტრიული ბრენდის მოდელები ამშვენებს ხოლმე.

ყველაზე ძალიან დაგვაინტერესა იარაღმა, რომელიც ნახევრად მზა მდგომარეობაში იყო წარდგენილი. კონდახს ესაჭიროებოდა ზეთით სრულად, საბოლოო ეტაპამდე დამუშავება. არც მისი ლულა და არც მექანიზმი არ იყო ქრომირებული და არც სხვადასხვა ჟანგსაწინააღმდეგო სითხით დაფარული. საერთო ჯამში ფირმის მიერ წარმოებულმა პროდუქციამ ჩვენზე იდეალური შთაბეჭდილება დატოვა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ავსტრია და კერძოდ ქალაქი ფერლახი საუკეთესოა დრილინგებსა და სხვა ტიპის, სანადირო, კომბინირებული ხრახნლულიანი იარაღების წარმოებაში



H. Scheiring-ის გლუვლულიანი თოფები

STRASSER

უკვე ათწლეულებია მოკრძალებული ზომის ქარხანა ოიგენდორფში, ზალცბურგის მიმდებარედ, ავსტრიაში მდებარეობს. დღესდღეობით ფირმის შემქმნელების მესამე თაობა უძღვება წინაპრების დაწყებულ საქმეს და თანაც საკმაოდ დიდი წარმატებით. კომპანია ამზადებდა და დღემდე ამზადებს კონკრეტულ ფოლადის დეტალებს, რომელთაც უამრავი პოპულარული ბრენდები იყენებენ საკუთარი იარაღებისა თუ მანქანების ნაწილებად. ამავდროულად უკვე დიდი ხანია რაც ავსტრიულმა ფირმამ ცილინდრული ტიპის, სიგრძივ მოძრავ საკეტიანი შაშხანების წარმოება დაიწყო. ისინი აწარმოებენ უნიჭიერესი კონსტრუქტორის Horst J.E. Blaser-ის ორიგინალურ ვერსიას სერიული სახელწოდებით – RS-05.

იარაღების ხუთი განსხვავებული მოდიფიკაცია იწარმოება. ისინი ერთმანეთისაგან ძირითადათ გრავირებითა და ხის კატეგორიით განსხვავდებიან. ყველაზე უბრალო მოდელია RS-05 Standart. ხის მასალად მისთვის პირველი კატეგორიის კაკალია გამოყენებული. შემდგომ მოდის RS – 05 Premium. მას სისტემური კოლოფის მცირე ნაწილზე არაბესკის ტიპის გრავირება აქვს გაკეთებული. საგამოფენო კომპლექსში წარმოდგენილ იარაღზე კი მისი შემქმნელებისაგან პრემიუმ მოდელის ხის კატეგორიაზე უცნაური პასუხი მივიღეთ. კონდახი თურმე 1,5 კატეგორიის კაკლისაგანაა დამზადებული. არადა სინამდვილეში კარგ ოსტატს ყოველგვარი დაბრკოლებებისა და პრობლემების გარეშე ძალსულს 1 კატეგორიის კაკლისაგან დამუშავების შედეგად მეორე კატეგორიის მასალა მიიღოს. პრემიუმის შემდგომ მოდიოდა RS – 05 Luxus-I, Luxus-II და Luxus III. ისინი მე-2 და მე-3 კლასის კაკლის მასალით არიან დაკომპლექტებული. გრავირებაც უფრო მდიდრული და მხატრულად გაფორმებული აქვთ. იარაღები იწარმოება 243 Win, 270 Win, 308 Win, 30-06, 6,5x65 RWS, 7x64, 8x57 IS, 9,3x62 სტანდარტულ და 7 mm Rem. Mag, 300 WM-ის მაგნუმის ყალიბებით. სტანდარტული ყალიბების შემთხვევაში იარაღის ლულის სიგრძეა 56სმ, მოლიანი სიგრძე 108 სმ, მჭიდის ტევადობა 3 ვაზნა, ხოლო წონა 3,1 – 3,2 კგ. მაგნუმის ყალიბის შემთხვევაში შაშხანის ლულის სიგრძეა 60 სმ, მთლიანი სიგრძეა 112 სმ, მჭიდის ტევადობაა 2 ვაზნა, ხოლო წონა შეადგენს 3,2 – 3,3კგ-ს.

იარაღების ვიზუალური დათვალიერებისას დამუშავების ხარისხმა და მხატრულმა გაფორმებამ ჩვენზე ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე RS – 05-ის Super Luxus, Exclusiv და Limited Edition-ის ვერსიები. წარმომადგენლობის განმარტებით შესაძლებელი იყო კონკრეტული შეკვეთის მიცემაც. ავსტრიელებს ყოველთვის ეხერხებოდათ ამგვარი სამუშაო. ისინი განთქმულები იყვნენ ხელნაკეთი იარაღების დამზადებაში და ეს ტრადიცია ამ ქვეყანაში ეხლაც გრძელდება.



Strasser-ის ცილინდრული, სიგრძივ მოძრავ საკეტიანი შაშხანები

IGB AUSTRIA

ავტსრიაში მრავლადაა პროფესიონალი, ახლადგამომცხვარი დილერები, მეიარაღეები თუ მწარმოებლები, რომელთაც ქვეყნის სხვადასხვა მეიარაღეთა სკოლები და აკადემიები აქვთ დამთავრებული და იქ შეძენილი ცოდნის ხარჯზე ახორციელებენ საკუთარ სფეროში ბიზნეს კარიერას. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ დიდი წარმატებითაც. ქალაქ ფერლახში არსებული მეიარაღეთა და ლულების ოსტატთა ტექნიკურმა სკოლამ მრავალი ასეთი წარმატებული მეიარაღე აღზარდა, რომელიც ამჟამად მსოფლიო დონის ქარხნებში მუშაობს ან თავად ქმნის წარმოებებს. სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნება ქალაქ ებენთალში განთავსებული ლულების მწარმოებელი კომპანია IGB Austria. ოსტატთა მცირე ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ ფირმაში მუშაობს ახორციელებს ყველასათვის ცნობილი და პოპულარული მოდელების Glock-ის, Colt-1911-ის, H&K-ის, Sig-Sauer-ის, FN-ის, Steyr Mannlicher-ის და სხვა მსგავსი ბრენდების ფისტოლეტის ლულების, ზედა სისტემური კოლოფებისა და მათი საკეტი მექანიზმების წარმოებას.

კომპანიამ პროდუქცია 2012 წელს გერმანიაში გამართულ ერთ-ერთ საერთაშორისო გამოფენაზე წარმოადგინა. ყველაზე მეტად იქ გამოფენილი მოდელებიდან ავსტრიული „გლოკის“ ორლულიანმა ფისტოლეტმა მოგვხიბლა. IGB-ს გაკეთებული ჰქონდა Glock17-ისა და Glock – 19-ის დამზადებული 22 l.r.-ის ცვლადი ლულები. საქმე იმაშია, რომ ერთი იარაღის პატრონს აქვს ორი სრულიად განსხვავებული ყალიბის ლულა, რომლებიც ყოველგვარი დამატებითი საკეტი მექანიზმების გამოცვლის გარეშე ერგებიან აირაღს. ანუ მფლობელს ეძლევა შესაძლებლობა იარაღს მოხსნას 9 მმ-ნი (ან სხვა ყალიბის) ლულა და პირდაპირ დაუყენოს 5,6 მმ-ნი ყალიბის მქონე ვერსია, ისე რომ სხვა ფაქტიურად არაფერი გამოუცვალოს, რა თქმა უნდა მჭიდისა და ვაზნების გარდა. ზოგ შემთხვევებში ხორციელდება ლულის ქვედა ზამბარისა და მისი დამჭერის გამოცვლაც. ამ შემთხვევაში რა თქმა უნდა გაიჩნია კალიბრთა – ვაზნათა ურთიერთ განსხვავებას. გამოცვლის შემდგომ იარაღი უკვე გადაკეთდება 22 l.r.-ის ვაზნაზე და შემქმნელების მიერვე რეკომენდირებული ამუნიციის ხმარების შედეგად ფისტოლეტი იმუშავებს ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე. თავად 5,6 მმ-ინი ხვრელის მქონე ლულის სისქე, ანუ გარე დიამეტრი 9 mm Luger-ის ვაზნისათვის აგებული ლულის დიამეტრის ტოლია. ხვრელი კი გაჭრილია არა შუაში, არამედ ორგინალურად, კუთხისაკენ. შესაბამისად ლულის კედელის ერთი მხარე თხელია, მეორე კი სქელი.



Glock19-ზე დამაგრებული მცირეკალიბრიანი (5,6მმ) ვერსიის დამშვებ დამრტყმელი მექანიზმი, ლულა და მჭიდი

კომპანიას დახლზე აგრეთვე წარმოდგენილ იყო „გლოკის“ ფისტოლეტი გრძელი მჭიდით, მაყურით, კოლემატორითა და მხრაზე მიმბჯენი კონდახით.

პროდუქციის ხარისხი და მასთან მიმართებაში ფასები დაკვირვებისა და თანამშრომლებთან გასაუბრების შედგომ დამაკმაყოფილებელზე უფრო კარგად გამოიყურებოდა.

მეიარაღეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამჟამინდელი წარმატებები იარაღთმშენებლობის დარგში განპირობებულია პირველრიგში ამერიკის კონტინენტზე ოდესღაც არსებული ნიჭიერი მეიარაღეებითა და მათი ცოდნის სრულყოფილი და მართებული რეალიზაციით. დღევანდელ წარმატებულ რეალობამდე მათ მიერ თავდაუზოგავმა შრომამ მიიყვანა აღნიშნული ქვეყნის ეს ძალზედ საჭირო და მნიშვნელოვანი წარმოება. რა თქმა უნდა არც თუ ისე დიდი ისტორიის მქონე სახელმწიფოს დიდი დახმარება გაუწია ევროპიდან შესულმა კულტურამ. პიროვნებები, რომლებიც საკუთარი სურვილით ან ამერიკული მხარის დაინტერესებით მიემგზავრებოდნენ ერთი კონტინენტიდან მეორეზე, თან მიჰქონდათ ჩანახაზები, ლიტერატურა და უკვე დამზადებული იარაღები ნიმუშის სახით. შემდგომ ხდებოდა მათი მეშვეობით ამერიკის შეერთებულ შტატებში იარაღთმშენებლობის განვითარება და ახალი იდეების წარმოშვა – დანერგვა. არაერთი აღმოჩენა უკავშირდება სწორედ ზემოთხსენებულ კონტინენტზე მოღვაწე მეიარაღისა თუ კომპანიის სახელს. საბოლოოდ ამ ყველაფერმა იდეალური შედეგი გამოიღო, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ისე მსოფლიოს მძლავრ სახელმწიფოთა შორის ლიდერი პოზიციების გამყარებაში. მაგრამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყველამ, რომ იარაღს გამოყენებამდე დაფიქრება სჭირდება. მის არამართებულ ექსპლოტაციას შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოყვეს, რისი გამოსწორების უნარიც ადამიანებს არ გააჩნიათ. რაც მთავარია ყველაფერი ღვთის ნებით ხდება დედამიწაზე და ამიტომ წინასწარ უნდა გაითავისოს იარაღის შემქმნელმაც და მფლობელმაც რომ შესაძლოა მის ხელში არსებული ძალაუფლება მის საწინააღმდეგოდვე იქნას გამოყენებული.

მანამადე, სანამ თანამედროვე იარაღების მწარმოებელ კომპანიებს ვახსენებდეთ, წარმოგიდგენთ რამოდენიმე, პოპულარულ, ძველ ამირიკულ ბრენდებს – მეიარაღეებსა და მათ მიერ შექმნილ მოდელებს.

1830 წელს კონექტიკუტის მეიარაღეთა სიას შეემატება ჩარლზ პარკერის (1809 – 1902) მიერ მერიდენში დაასრებული ფირმა. 1861 – 1865 წლებში, ამერიკის სამოქალაქო-სამხრეთისა და შრდილოეთის ომში „პარკერის“ კომპანია G.F. Snow&Brooks-სთან ერთად აწარმოებდა იარაღის გარკვეულ დეტალებს. ამ პერიოდში მიღებული გამოცდილება ჩარლზს საგრძნობლად დაეხმარა, შვილებთან, ვილბურთან და დექსტრეთან ერთად აეგო ახალი იარაღების საწარმო სახელწოდებით Parker Brothers – „ძმები პარკერები“. მათ მიერ ხორციელდებოდა ძირითადათ სპორტული და სანადირო დანიშნულების პროდუქის წარმოება.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა კომპანია Parker Brothers-ის მიერ 1880 წელს წარმოებული 10 კალიბრის მქონე გლუვლულიანი თოფი. მისი მთლიანი სიგრძე 119 სანტიმეტრს შეადგენდა. დამასკოს ფოლადისაგან დამზადებული ლულები კი 80 სანტიმეტრს უტოლდებოდნენ. ჩახმახებით აღჭურვილი დამცემი მექანიზმი და ორსასხლეტიანი სისტემა ერთობლიობაში ძალზედ მარტივად იყო აგებული და ზოგადად იარაღიც უტყუარად მუშაობდა.

ამერიკის იარაღთმშენებლობის ისტორიაში თავისი წვლილი შეიტანა კრისტოფერ მ. სპენსერმა (1833 – 1922). მან 1860 წელს დააპატენტა ერთ-ერთი თავისი პირველი საუკეთესო იარაღი. ხსნადი მჭიდით აღჭურვილი „სპენსერის“ მოდელი ძალზედ მოხერხებული სახმარი იყო და ერთ მე-19 საუკუნის შუა პერიოდში მომხდარ სამოქალაქო ომში საუკეთესოდ ითვლებოდა. ის წარმოადგენდა ცნობილი „ჰენრის იარაღის“ მთავარ კონკურენტს. სწორედ ამ გარემოების გამო ოლივერ ვინჩესტერმა მთლიანი არსებული მარაგი „სპენსერის“ იარაღებისა მთავრობას მიყიდა, რათა შემდგომ თავად განეხორციელებინა Henry Rifle-ისა და საკუთარი Winchester 66-ის უფრო მომგებიანად რეალიზაცია. Spencer -ის კომბინირებული იარაღი აღჭურვილი იყო ორი ლულით. ზედა, ხრახნიანი ლულა შედარებით შორ დისტანციებზე სამუშაოდ იყო გათვალისწინებული. ქვედა, გლუვი ლულა კი ახლო მანძილზე სასროლად. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში შექმნილი, პოპულარული მოდელის მთლიანი სიგრძე 113,5 სანტიმეტრი იყო. ლულის სიგრძე კი ზუსტად 63,6 სანტიმეტრს შეადგენდა.

ძალიან დიდი როლი ითამაშა ამერიკის შეიარაღებაში Springfield-ის ქარხანამ, რომელიც ჯერ კიდევ 1777 წელს შეიქმნა და ბინა დაიდო მასაჩუსეტის შტატში. მას დღემდე მოიხსენიებენ ამერიკის შეერთებული შტატების არსენალად. ფირმა მართლაც წარმოადგენდა მთავარ საყრდენ ძალას არმიის შეიარაღების საკითხში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში. კომპანიამ იმდენი იარაღი აწარმოა რომ მათი რაოდენობის დათვლა ფაქტიურად უაზრობაა და საკმაოდ ბევრ დროს მოითხოვს.

„სფრინგფაილდის“ იარაღების თავდაპირველი პოპულარიზაცია დაიწყო მოდელების წყალობით 1873 – Trapdoor და Springfield M-1903. 1968 წელს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა, რობერტ ს. მაკნამარამ მოახდინა წარმოების პარალიზება და დაითხოვა სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული „სფრინგფაილდის“ მეიარაღეთა ჯგუფი. სამი წლის შემდეგ ტეხასელმა ბიზნესმენმა განახორციელა ფირმის სახელის შესყიდვა და მოიპოვა აღნიშნული იარაღების პატენტის შექმნის უფლება. ახალმა, გადასხვაფერებულმა კომპანიამ კონკურენციას ვეღარ გაუძლო და 1974 წელს კვლავ გაუჩინარდა. რამოდენიმე წლის გასვლის შემდეგ ფირმაში გამოჩნდა რობერტ რიზი, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი მმართველი-მეიარაღის ამპლუაში. მან შეისყიდა წინამორბედის მსგავსად კომპანიის სახელწოდება და „სფრინგფაილდის“ იარაღების დამზადების ლიცენზია, შემდგომ კი გადაბარგდა ილინოისის შტატში, ქალაქ გენესოში. ის იქ თავის სამ ვაჟიშვილთან ერთად მონდომებით შეუდგა საყვარელ საქმეს. ქარხანაში ყველაზე დიდი რაოდენობით თავდაპირველად იგებოდა ამერიკული M1 A – „კარაბინები“ (მოკლე, ტაქტიკური ტიპის შაშხანები) და M-14 – ების ცივილური (სამოქალაქო), თვითმტენი ვერსიები.

კომპანიის მიერ უამრავი სახის იარაღებია დამზადებული. ქარხანაში კეთდებოდა ფისტოლეტები განთქმული Colt-1911 A1-ის ბაზაზე, ორლულიანი კომბინიებული სანადირო თოფები .410 კალიბრიანი, გლუვი და (მეორე ლულა) 22l.r.-ის კალიბრიანი ლულებით. აღსანიშნავია აგრეთვე M1 Garand-ის ბაზაზე აგებული ნახევრადავტომატური ვერსიები ყალიბებით .30-06, .308 Winchester და .270 Winchester. აგრეთვე „ბერეტას“ ლიცენზიის ქვეშ დამზადებული BM-59 „არმიის შაშხანები“. ძალზედ პოპულარული იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბელგიური FN-Fal-ის ბაზაზე აგებული თვითმტენი შაშხანები სახელწოდებით SAR-48.

უკვე დიდი ხანია რაც კომპანია თავისი პროდუქციის დიდ ნაწილს საკუთარ ქარხანაში აღარ ამზადებს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ Colt-1911 A1-ის ტიპის ფისტოლეტები და SAR-48-ის თვითმტენი შაშხანები, რომლებიც ბრაზილიაში, იტავჯუბაში არსებულ „იმბელის“ ქარხანაში იწარმოება. თუმცაღა პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც ხარისხის გარანტიას მოითხოვს ან გათვალისწინებულია სპორტული შეჯიბრებებისათვის ძირითადად შტატებში მზადდება.

1992 წელს კომპანია Springfiedl Armory იძულებული გახდა მასიური ფინანსური სირთულეების გამო შეემცირებინა წარმოება. ფირმას კონკურსი არ გამოუცხადებია და არც აუქციონზე გაუტანია აქციების პაკეტი. მათ უბრალოდ ფუნქციონირება ახალი სახელწოდებით, Springfield Inc.-ის სახელით განაახლეს. საინტერესოა რომ გადადგმული ნაბიჯი კომპანიისათვის ბევრი წარმატების მომტანი გამოდგა, თუმცაღა გარკვეულწილად ახალმა პრობლემებმა იჩინეს თავი. ამ პერიოდში ბევრისათვის გასაკვირად სხვადასხვა წარუმატებელი პროექტი განხორციელდა. ეს ეხება მათ 10 – მმ – იან ფისტოლეტს, რომლის წარმოებამაც ჩავარდნა განიცადა. იმავე კრახით დასრულდა პეტერ შტალის „ომეგა“-ს ფისტოლეტების ამერიკაში წარმოება. შედარებით წარმატებული გამოდგა კომპანიის მიერ დაპროექტებული დამატებითი, ცვლადი სისტემები, რომელთა ხარჯზეც ხდებოდა ამა თუ იმ იარაღის გადაკეთება. თუმცაღა ამერიკის ბაზარზე ასეთმა პროდუქციამ ვერ განიცადა ხალხში პოპულარიზაცია და გაყიდვების რაოდენობა საკმარისზე ბევრად ნაკლები იყო. სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე დადგა „სფრინგფაილდი“ მაშინ, როდესაც ვერ განახორციელა კონტრაქტის შესაბამისად ისრაელის I.M.I.-სთან დადებული ხელშეკრულებისამებრ UZI-ს იარაღების დამზადება. ეს განაპირობა იმ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების კანონდებლობაში მიღებულმა ცვლილებებმა იარაღის შესახებ. თუმცაღა მიუხედავად უამრავი ჩავარდნისა და პრობლემებისა კომპანიამ მოახერხა გარკვეული პროექტების განხორციელების ხარჯზე წინსვლა და განვითარება.

Springfield-ის იარაღებიდან რამოდენიმეს გამოყოფა ალბათ აუცილებელია, იმისათვის რომ კარგად მივხვდეთ თუ რას წარმოადგენდა აღნიშნული კომპანია ამერიკისათვის და ზოგადად საზოგადოების შეიარაღებული ნაწილისათვის.

Springfield M1A Bush-ის საშხანა 308 Winchester-ის ყალიბით იწარმოება. მისი მჭიდის ტევადობაა 5, 10 ან 20 ვაზნაა. იარაღის წონა 4 კილოგრამია, მიუხედავად იმისა იქნება ეს სინთეტიკური მასალისაგან დამზადებული კონდახით თუ ხის კონდახით დაკომპლექტებული ვერსია. მათი ლულების სიგრძე შეადგენს 46 სმ-ს, ხოლო მთლიანი სიგრძე 103 სმ-ს. იარაღს სამიზნე მონყობილობად დიოპტრიული ხედვის სამხედრო ტიპის ელემენტებითაა აღჭურვილი.

აღნიშვნის ღირსია მოდელი Springfield SAR-4800. იარაღი მზადდება .308 Winchester-ის კალიბრზე. მის მჭიდში 20 ვაზნა ეტევა. კონსტრუქციულად ისინი ბელგიურ FN-ის მოდელისაგანაა აგებული და ჰერშტალის ქარხნის ლიცენზიის ქვეშ მზადდება. თუმცაღა მცირედი ცვილებები ორიგინალ ვერსიასთან შედარებით რათქმაუნდა შეიმჩნევა. იარაღის წონა 4,3 კილოგრამია. ლულის სიგრძე 53,5 სმ-ს შეადგენს, ხოლო მთლიანი სიგრძე 110 სმ-ს.

შეიძლება ითქვას რომ მასზე მეტად პოპულარულია და შედარებით კარგად გაყიდვადიც Springfield SAR-8. შაშხანა ყალიბით .308 Winchester გარკვეულწილად გერმანული H&K G3-ისა და H&K 91-ის ნაზავს წარმოადგენს და აღნიშნული ევროპული ბრენდის ლიცენზიის ქვეშ მზადდება. მისი ძირითადი ნაწილი

ზემოთხსენებული ბელგიური ასლის მსგავსად ბრაზილიაში ინარმოება. მის მჭიდში 20 ვაზნა ეტევა. მას Springfield SAR-4800 – ვით აირებით მტენი მექანიზმი არ აქვს და როლიკისებრი (H&K-ის მიერ შექმნილი მექანიზმი) სისტემითაა აღჭურვილი. იარაღის ლულის სიგრძეა 45-სმ, მთლიანი სიგრძე კი 103 სანტიმეტრი. მისი წონა 4 კგ-ს უტოლდება. დამცველი ღილაკი მარტო მარჯვენა მხარესაა განთავსებული, სისტემური კოლოფის ზედაპირზე. იქიდან გამომდინარე რომ იარაღები ბრაზილიაშია გაკეთებული, მათი ფასი არ თუ ისე ძვირია.

Garand M1 (U.S. Rifle .30 M1)

ამერიკის წარმატებულ პროექტად ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს Garand M1-ის წარმოება. იარაღი, რომლის კონსტრუქციაც გასული საუკუნის 20-იან წლებში ჯონ გარანდმა შექმნა, მოსახლეობის წინაშე Springfield M-1903-თან ერთად 1936 წლის 9 იანვარს წარსდგა სახელწოდებით U.S. Rifle Cal.30, M1. იარაღი იმდენად გავრცელებული იყო და ამავდროულად გამოცდილიც ამერიკელი ჯარისკაცების მიერ, რომ ის არა მარტო მეორე მსოფლიო ომში, არამედ 1950-1953 წლებში, კორეაში მომხრად დაპირისპირებებში აქტიურად გამოიყენებოდა.

იარაღი სხვადასხვა მწარმოებლის მიერ დაახლოებით 6 მილიონ ერთეულამდე დაზმადდა. თავად სახელმწიფოს კუთვნილი Springfield Armory-ის მიერ აღწერითი შედეგების მიხედვით 3.526.922 ერთეული იქნა წარმოებული. მას Winchester-ც აწყობდა და მის მიერ დაახლოებით ნახევარი მილიონი აღნიშნული იარაღია დამზადებული.

სტანდარტულ ვერსიასთან ერთად კეთდებოდა შედარებით ზუსტი, შორსმსროლელი M1 C/M 1D, რომელსაც სპორტული სროლის ამბიციებით გამსჭვალული ჯარისკაცები და არმიის სნაიპერები სიამოვნებით იყენებდნენ ხოლმე. 1957 წელს დამთავრდა „გარანდის“ ერა და ის ახალმა M-14-მა ოფიციალურად შეცვალა. დღესდღეობით „მ-1 გარანდი“ კოლექციონერების ერთ-ერთ საყვარელ ნიმუშად ითვლება. ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ სხვა და სხვა ქვეყანაში, სხვა და სხვა მწარმოებლის მიერ მზადდებოდა. აღსანიშნავია რომ ტაივანიც კი ახორციელებდა „გარანდის“ წარმოებას. იმავე იარაღს იტალიაშიც ამზადებდა კომპანია „ბერეტა“, სახელწოდებით BM-59.

.30-06-ის ვაზნის საკმაოდ მაღალი ენერგიის თანახმად იარაღის წონ იმ პერიოდისათვის ვერ იქნებოდა პატარა, ის 4,3 კილოგრამს უტოლდება. თუმცაღა მსგავსი ტიპისა და ამგვარი მასიური კონდახით აღჭურვილ იარაღებთან შედარებისას, როგორებიცაა SAFN-49 და G-43, შაშხანა არც თუ ისე მძიმედ გამოიყურება და სტანდარტულ ჩარჩოებში ეტევა. მიუხედავა ამ ყველაფრისა M1 ითვლება კარგი ბალანსის მქონე იარაღად, რომლის დამუშავების ხარისხიც საკმაოდ მაღალია.

ჯონ გარანდის მიერ შექმნილი უმარტივესი სისტემა ერთ-ერთ წარმატებულ მიღწევად ითვლება იარაღების ისტორიაში. მექანიზმი ოდნავ სახეშეცვლილი ტიპის გაუკეთეს M1-ის მომდევნო M14-ს. ის დღემდე გამოიყენება კომპანია „რუგერის“ მიერ Ruger Mini-14-სა და Ruger Mini-30-ის მოდელებისათვის. M1 Garand-ის ლულაში, მის სანათურთან ახლოს გაკეთებულია ხვრელი/ჭრილი, სადაც გასროლის შედეგად გამოყოფილი აირები გაედინებიან. ისინი ზემოქმედებენ ზუმბაზე, რომელიც მთლიანად ზამბარის ჩიხოლშია გახვეული. ის კი მოძრაობს უკუმიმართულებით და ეჯახება სისტემურ კოლოფში განთავსებულ მისივე ცილინდრს. ზუმბა ამავდროულად წარმოადგენს აირების მამოძრავებელ ღერძს, რომელიც უკავშირდება დამჭიმ ბერკეტსა და საკეტის მამოძრავებელს. შეიძლება ითქვას რომ მათი ერთობლიობა მოძრაობს უკან და მარჯვნივ სისტემურ კოლოფში. მამოძრავებელი ებჯინება შესაბამის კბილს საკეტზე და ახორციელებს საკეტის თავზე განთავსებული წახნაგების/კბილების გაღებას. ამ დროს ხდება ჰილზის უკან გამოგდება და ახლის სავაზნეში ჩადება. აღსანიშნავია რომ შემდგომი თვითმტენი მექანიზმის განვითარებისა და დახვეწის მიზნით კონსტრუქტორებმა დაუშვეს ერთი შეცდომა. ერთ ერთი მათგანი კი სტოუნერი იყო თავისი ავტომატით. აღნიშნული დეტალი, ანუ ახლანდელ გაზების მილში ჩადგმული ზუმბა ამოიღეს, ზოგ შემთხვევაში კი დაამოკლეს და მილში აირები პირდაპირ საკეტის მამოძრავებელს ეჯახებოდა. ამავდროულად ზოგიერთ შემთხვევაში არც ის იყო გამართლებული, რომ ლულიდან გამავალი გაზების ხვრელი უფრო უკან გადაწიეს. ამით ეგონათ რომ გაამარტივეს მექანიზმი. სინამდვილეში კი მექანიზმი სტაბილურად და შეუფერხებელად ვეღარ მუშაობდა. სწორედ ეს გახდა „კალაშნიკოვის“ ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა, შეუფერხებელი მუშაობის პრინციპი.



სახელწოდება:	Garand M1 (U.S. Rifle .30 M1)	U.S. Carbine .30 M1	M 14	Ruger Mini-14/Mini-30
წარმოება/კოსნტრუქციაა:	ამერიკა-სpringfield Armory/ John C. Garand	Winchester / John C. Garand	USA	Sturm, Ruger&Co., USA
ყალიბი:	.30-06 Springfield	.30 M1	.308 Winchester/ (7,62x51mm)	.223 Remington -7,62x39mm
სისტემა:	აირებით მტენი მექანიზმი	აირებით მტენი მექანიზმი	აირებით მტენი მექანიზმი	აირებით მტენი მექანიზმი
მჭიდის ტევადობა:	8	15/30	20	5
ლულის სიგრძე: (მმ)	600	455	575	470
მთლიანი სიგრძე: (მმ)	1110	905	1130	950
სამიზნის სიგრძე, წურთიერთდაშორება: (მმ)	705	550		
წონა: (გრ.)	4300	2430	4500	2900
მიახლოებითი ფასი: (EU)	1850	400-დან 700 – მდე	2500	850-დან 1000-მდე

ამ ყოველივეს სამწუხაროდ გვიან მიხვდნენ ინჟინერ-კონსტრუქტორების და ეხლა აღნიშნული ზუმბები (იგივე დგუში-რუსულიდან სლენგის სახით შემოსული სიტყვა) მ-4 – ებისა და მ-16 – ებისათვის ცალკეც კი იყიდება, რათა მისმა მფლობელმა თავადვე მოახდინოს მისი იარაღზე დამონტაჟება.

M1 Garand დაკომპლექტებულია ღია ხედვის სამიზნე მოწყობილობით. უკანა სამიზნედ გამოიყენება რკინის ფირფიტა, რომელსაც შუაში გაკეთებული აქვს ხვრელი, საიდანაც ჩანს მიზანი. ის გასწორების, რეგულირების მიზნით მოძრაობს როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად. ლულის ბოლოში, წინა მხარეს სხვა და სხვა ტიპის სამიზნე შეიძლება შეგვხვდეს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წლებში და რომელი მწარმოებლის მიერაა იარაღი დამზადებული. სასხლეტი მექანიზმი საკმაოდ კარგადაა აგებული და მასზე საჭიროა მინიმუმ 2500 გრამი ზეწოლა გასროლის საწარმოებლად.

M1-ის ბალისტიკური მონაცემები ცოტა მოიკოჭლებენ მის გაუმჯობესებულ ვერსიასთან M14 – თან შედარებით, რომლის გაფანტვის წრეების ურთიერთ დაშორება 100 მეტრ დისტანციაზე სროლისას 5 სანტიმეტრს არ აღემატება. თავად „მ1“-ის მიერ ნაჩვენები შედეგები კი სხვაგვარად გამოიყურება და 6-დან 12 სანტიმეტრამდე მერყეობს. აღსანიშნავია რომ ძლიერი სიცხის შემთხვევაში, მაშინაც კი თუ ბევრს არ ვისვრით და ლულას ძაან არ გავაცხელებთ, იარაღის ბალისტიკური მონაცები მაინც გაუარესდება და უხეშად რომ ითქვას „გარანდი“ ვაზნებს აქეთ იქით გაფანტავს. საუკეთესო ვერსიად იარაღისათვის 150 გრეინის წონადობის (9,71 გრ.) ტვყიებს მიიჩნევენ. ამავდროულად ასეთი წონადობით აგებული ვაზნების გასროლისას უკუცემაც შედარებით ნაკლებია. M1 Garand-ის შეძენისას ბერვ ვარიანტზე შეიძლება გაკეთდეს არჩევანი. სამხედრო თვალსაზრისით დამზადებული ვერსია ევროპაში დაახლოებით 1300 ევრო ღირს, მაგრამ მისი ყიდვის შემთხვევაში თავმოყვარე ევროპელი მონადირე აცულიებლად გააკეთებს მის რეკონსტრუქციას, რაც მაგალითად გერმანიაში 300 ევრომდე ჯდება. თავად Springfield Armory-ის მიერ დამზადებული ვერსიები კი 1800 – 1900 ევრო ღირს. როგორც უკვე აღვნიშნეთ დღემდე წარმოებულია „გარანდის“ მსგავსი უამრავი ვარიანტი თუ მისი გაუმჯობესებული ვერსია. წარმოგიდგენთ მათ მცირედ დახასიათებას შედარებითი სახით.



დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
Garand M1	
დამუშწავების მაღალი ხარისხი	ხნსადი მჭიდის უქონლობა. დატენვა ხორციელდება სპეციალური დამატებითი ხელსაწყოთი
სამხედრო ვერსიების შემთხვევაში დაბალი ფასი	დამცველის გამომწევი უხეშად მოძრაობს
	დატენვისას ცოტა რთულია და უხეშად ხდება ვაზნების ჩალაგება
U.S. Carbine .30 M1	
ბევრი განსხვავებული ვარიანტები	ესაჭიროება ნაკლებად გავრცელებული და ძვირი ამუნიცია
დაბალი ფასი	
დადებითი თვისებების მქონე სასხლეტი	
გასროლა იწვევს სასიამოვნო შეგრძნებებს	
M 14	
კარგი ბალისტიკური მონაცემები	დაშლა აწყობა გარკვეულწილად გართულებულია
გავრცელებული, ზუსტი კალიბრის მქონე ლულა	გახურებისას მეტალის ზემეტად მაღალი გრძნობადობა
კონდახის ბუდეში განთავსებულია საწმენდი მოწყობილობები	
მოხერხებული რეგულირებადი სამიზნე მოწყობილობ	
Ruger Mini-14/Mini-30	
მოხერხებული, კომპაქტური კონსტრუქცია	გასროლის შედეგად მიღებული გაფანტვის წრეები ერთმანეთისაგან (ჩვეულებრივზე) ზედმეტად არიან დაშორებული
იოლად გამოყენებადი	
ხელსაწყოების გარეშე არასრული დაშლა	
სერიულად თითქმის ყველას აქვს ოფტიკის რგოლებისათვის განკუთვნილი ჭრილები	

RUGER

კომპანია Sturm – Ruger&Compani Inc.1948 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვილიამ ბატერმან რუგერისა და ალექსანდრე მ. შტურმის მეშვეობით დაარსდა. მათ ერთობლივი ძალებით იქირავეს საუსპორტში (Connecticut) პატარა დარბაზი, სადაც შექმნეს ლულების დამამზადებელი-შემკეთებელი მინი ქარხანა. ოსტატებს უკვე გააჩნდათ საკმაოდ დიდი გამოცდილება კონკრეტულ სფეროში. ისინი კომპანიის დაარსებამდე სფრინგფაილდში, Auto Ordnance-სი მუშაობდნენ და მთელს მსოფლიოში პოპულარულ Tommy Guns – „ტომსონის“ ავტომატებს აწყობდნენ.

კომპანიის პირველი იარაღი მცირეკალიბრიანი იყო და 1949 წელს გამოვიდა ბაზარზე. მას შემდგომ რაც შტურმი ავიაკატასროფის შედეგად გარდაიცვალა, წარმოების მართვა ბილმა მარტომ გააგრძელა. კომპანიონის გარდაცვალების გამო დამწუხრებულმა თანამშრომლებმა ფირმის წითელი ფერით გაწყობილი ლოგო გარკვეული პერიოდით შავით შეცვალეს.

1959 წლამდე „რუგერი“ ამზადებდა განსხვავებული ტიპის პისტოლეტებს. ამავე წლის ბოლოს კი ბაზარზე გამოჩნდა მათი პირველი ნახევრადავტომატური შაშხანა .44 Magnum-ის ყალიბით. თანდათანობით საწარმო გაფართოებას მოითხოვდა და ძველი ადგილმდებარეობა აღარ იყო საკმარისი იარაღების კონკრეტული რაოდენობით საწარმოებლად. 1964 წელს ნიუპორტში (New Hamshire) რუგერმა ააგო ახალი საწარმო და იმ დროისათვის უახლესი მანქანა დანადგარებით დაკომპლექტა. 1969 წელს შეიქმნა განთქმული Ruger NO.-1-საშხანა. თავად ბილ რუგერი გახლდათ ინგლისური სტილის, კლასიკური, სანადირო, ერთვაზნიანი შაშხანის დიდი მოყვარული. მას გაუჩნდა იდეა, რომ მსგავსი ტიპის იარაღები სამხრეთ ამერიკულ ბაზარზეც კარგად იმუშავებდა. ბილმა მოიწვია ქარხანაში ლეონარდ ბრაუნელი, რომელიც იდეალურ კონდახებს ამზადებდა და დაავალა მას №1 შაშხანისათვის ახალი, თანამედროვე დიზაინის კონდახის დამზადება. ზემოთხსენებულმა პიროვნებამ იმდენად კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, რომ მოგვიანებით წარმოების ტექნიკური ჯგუფის მმართველი გახდა.

1968 წელს რუგერმა წარმოადგინა წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანა Model-77. იარაღის კონდახი რათქმაუნდა ლეონარდის მიერ იყო შექმნილი. მოდელმა მალე მოიპოვა პოპულარობა და დღემდე წარმატებულად ითვლება.

1974 წელს ფირმამ წარმოადგინა ახალი სამხედრო, ავტომატური მოდელი Mini-14 ყალიბით .223 Remington. ერთი წლის შემდეგ კი წარმოებულ იქნა Mini-14-ის ცივილური, ნახევრადავტომატური ვერსიაც. იმ პერიოდის კრიტიკოსები და ზოგადად იარაღის სპეციალისტები თვლიდნენ რომ აღნიშნული იარაღი იყო M1-Garand-ისა და Winchester.30 M-1-ის ნაჯვარი ვერსია. ამის თქმის საფუძველი მათ ნამდვილად გააჩნდათ, თუნდაც შაშხანის ვიზუალური მხარიდან გამომდინარე.



Ruger-ის მიერ წარმოებული კლასიკური ამერიკული ტიპის დიზაინის მქონე რევოლვერი

ამჟამად კომპანიის წარმოების ძირითადი სპექტრი მოიცავს ცილინდრული საკეტი მექანიზმით აღჭურვილ შაშხანებს. კერძოდ კი ეგრედწოდებულ Bolt Action – ებს, წრფივად მოძრავ საკეტიან შაშხანებს მცირე ან საშუალო და მაგნუმის კალიბრებით. შემდგომ მოდის კლასიკური სტილის მსხვილკალიბრიანი ერთვაზნიანი შაშხანები. აგრეთვე პოპულარულია M4-ის ტიპის თვითმტენი მოდელები SR-556, მცირეკალიბრიანი (5,6-მმ) შაშხანები SR-22, ტიპიური რუგერის სტილის 10/22 მოდელები და ზემოთ აღნიშნული Mini-14. კომპანია გლუვლულიან 12, 20 და 28 ყალიბიან თოფებსაც აკეთებს. თუმცაღა ისინი დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობენ ხარისხიდან გამომდინარე. დღემდე წარმატებულად იყიდება „რუგერის“ ფისტოლეტები. მათ შექმნაზე მმართველი გუნდი ყოველთვის დიდ ენერგიასა და თანხას ხარჯავდა, რათა კონკურენტუნარიანი ყოფილიყო ბაზარზე. ფირმა მცირეკალიბრიან ფისტოლეტებსაც ამზადებს სპორტული სროლისათვის. აგრეთვე იწარმოება რევოლვერებიც განსხვავებული, საკმაოდ მსხვილი, ჩრდილოეთ ამერიკაში პოპულარული კალიბრებით.

კომპანია რუგერი დაარსებიდან თითქმის ყოველ წელს ახორციელებს საკუთარი პროდუქციის გამოფენაზე გატანას. მისი იარაღები უკვე ბრენდების გვერდითაა და მთელს მსოფლიოშია ცნობილი. ამერიკისა და გერმანიაში


Ruger-ის მექანიკური ტიპის, ცლინდრულ საკეტიანი შაშხანები



გამართულ იარაღების საერთაშორისო გამოფენაზე მათ თითქმის ყოველ წელს უკვე ბევრისათვის ცნობილ პროდუქციასთან ერთად წარმოდგენილი აქვთ ხოლმე, ახალი სახეშეცვლილი მოდელები.

ჩვენი ინტერესი რატომღაც ცილინდრული საკეტი მექანიზმით აღჭურვილმა შაშხანამ მიიპყრო. ეს გახლდათ მოდელი Ruger-M 77 Hawkeye All Weather Rifle ყალიბით 30-06. იარაღი სინტეტიკური მასალის კონდახით იყო დაკომპლექტებული. მისი მჭიდი სასხლეტის ბუდის წინაა განთავსებული და ტევადობა 3 – 4 ვაზნაა. იარაღის წრფივად მოძრავი საკეტის თავზე 2 წახნაგია განთავსებული. წონა 3,3 კგ-ს შეადგენს. ლულის სიგრძე 56-სმ იყო ხოლო მთლიანი სიგრძე 101 სმ. აღნიშნული ყალიბი საკმაოდ ზუსტია და იყო დრო როდესაც ამ ტიპის იარაღების ზემოთ აღნიშნული ვაზნით შეძენა ერთ-ერთი საუკეთესო არჩევანი იყო ხოლმე როგორც ჯიხვებზე, სანადიროდ, ასევე ტყეში, მოძრავ ცხოველზე ნადირობისას. საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს რომ შაშხანა არაფრით ჩამოუვარდება თუნდაც თავისი კატეგორიისა და ტიპის რემინგტონ-700-სს. მისი ამჟამინდელი ფასი ამერიკისა და კანადის ბაზარზე 850-დან 900 დოლარამდე მერყეობს.


Ruger-ის პატარა, კომპაქტური რევოლვერი, რომელიც .38 Special-ს ვაზნებს ისვრის

საგამოფენო კომპლექსებში დამთვალიერებელთა თუ დილერთა დიდ ინტერესს იწვევს ხოლმე „რუგერის“ რევოლვერები. ისინი არაფრით ჩამოუვარდებიან ლეგენდარული Smith&Wesson-ის მოდელებს, ზოგჯერ კი გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით სჯობიან კიდეც მათ. რაც მთავარია ერთი და იმავე მონაცემების მქონე ვერსიებს თუ შევადარებთ, „რუგერი“ მიუხედავად მაღალი ხარისხისა და კარგი ნაკეთობისა თითქმის ყოველთვის დაახლოებით 20 – 25 % იაფია ხომლმე Smith&Wesson-ის რევოლვერებზე.

ამერიკისა და კანადის ბაზარს რომ თავი დავანებოთ, ევროპაშიც ძაან პოპულარულია Ruger-ის რევოლვერები ეგრედწოდებული „დამალული ჩახმახით“. ამ ფრაზაში იგულისხმება რომ სინამდვილეში იარაღს, უფრო სწორედ კი დამცემ-დამრტყმელ მექანიზმს რათქმაუნდა აქვს ჩახმახი, მაგრამ მას სანდარტულისაგან განსხვავებით სხვანაირი ფორმა აქვს, სხვანაირად ზემოქმედებს დანარჩენ სისტემასთან და მსროლელს მასზე ზემოქმედება არ შეუძლია. ის მთლიანად სისტემურ კოლოფშია ჩასმული და ზემოდან ჩვეულებისამებრ სისტემას ხუფი აქვს გაკეთებული. ამგვარი ტიპის ორი, ვიზუალურად მსგავსი და ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ყალიბის მქონე რევოლვერის



ხილვა ნიურნბერგსა დ ალას ვეგასში გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე იყო შესაძლებელი.

Ruger LCR აღჭურვილი იყო ეგრედწოდებული Double Action – ით. ის ისროდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ვაზნას 22 L.r.-ს (5,6 მმ). რევოლვერის ლულის სიგრძე შეადგენდა 4,8 სანტიმეტრს. მის მჭიდში 8 ვაზნა ეტეოდა. მისი დოლურა ცერა თითისათვის მოსახერხებელ ადგილზე განთავსებული ღილაკის წინ მიწევით იხსნებოდა და გამოდიოდა გარეთ. ანალოგიური სისტემებით იყო აღჭურვილი მისი ძმობილი, Ruger LCR ყალიბით .357 Mag. მასში შედარებით მცირეკალიბრიანი ვერსიისაგან განსხვავებით მხოლოდ 5 ვაზნა ჩადიოდა. ლულის სიგრძე კი ზუსტად იგივეს, 4,8 სანტიმეტრს შეადგენდა. ორივე მათგანის მთავარი უპირატესობა გახლავთ ძალიან დაბალი წონა, რომელიც მხოლოდ რესურსის (შესაბამისად მასალისა) ხარჯზე არაა შემცირებული და საკმაოდ ბევრი გასროლის წარმოებაა მისით შესაძლებელი. უნდა აღინიშნოს, რომ „რუგერი“ ბოლო წლებში სწორედ წონის შემცირებით ცდილობდა და ცდილობს გარკვეული უპირატესობა მოიპოვოს კონკურენტუნარიან ბაზარზე.

იმავე გამოფენაზე ტრადიციების მოყვარულ დილერთა დიდი მოწონება დაიმსახურა ბრენდის ერთ-ერთმა საუკეთესო რევოლვერმა VAQUERO – მ. უჟანგი ფოლადისაგან დამზადებულ იარაღს თეთრი ფერის ტარი ამშვენებდა. მის მჭიდში ექვსი ერთეული .357 Mag.-ის ვაზნა ჩადიოდა, რომლის გასროლასაც იარაღი 14 სანტიმეტრი სიგრძის ლულით ახორციელებდა.

ზოგადად კომპანიის მიერ ხორციელდება საკმაოდ მაღალი ხარისხის სანადირო, სპორტული და თავდაცვის იარაღების დამზადება, რომელიც იდეალურია თავისი ფასის გამო საქართველოს ბაზრისათვის. ამ ბრენდის რამოდენიმე მოდელის შემოსვლა უკვე განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში. კარგი იქნება თუ პირდაპირი გზებით მოხდება მისი საქართველოში იმპორტი და შესაბამისად სტანდარტულ – რეალურ ფასად რეალიზაცია.წწ

COLT INTERNATIONAL

ყველასათვის ცნობილი კომპანია Colt's Manufacturing Company Inc. ამერიკის შეერთებულ შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე, ჰარდფორშია განთავსებული. ფირმა უკვე 160 წელიწადია რაც იარაღებს წარმოებას ახორციელებს. თავდაპირველად აღნიშნული ბრენდის კუთვნილ ქარხანაში მხოლოდ რევოლვერები მზადდებოდა. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან კი დაიწყო შაშხანებისა და თვითმტენი ფისტოლეტების წარმოება. 1911 წელს კომპანიამ ბაზარზე გაიტანა განთქმული „კოლტის ფისტოლეტი“ Colt-1911 ყალიბით .45 ACP, რომელიც იმ დროინდელმა ერთ-ერთმა უნიჭიერესმა კონსტრუქტორმა, ჯონ მოზეს ბრაუნინგმა შექმნა.

გარკვეული პერიოდი წარმატებულად იყიდებოდა კოლტის ქვედა ბერკეტით მტენი მცირეკალიბრიანი (5,6-მმ) შაშხანა Colteer. მასთან ერთად სახელი მოიხვეჭა ლულისქვეშა ბერკეტით მტენმა (პომპ-აქცია) გლუვლულიანმა თოფმა. ამის შემდგომ კომპანიამ კიდევ ერთი ლეგენდარული მოდელი აწარმოა Colt-M16-ის სახით, რომელიც აგრეთვე ნიჭიერმა და წარმატებულმა კონსტუქტორმა, ეუგენე სტოუნერმა 1954-56 წლებში შექმნა. მოგვიანებით კი სამხედრო იარაღმა ცივილური სახე მიიღო და სპორტული და სანადირო AR-15 – ები გამოჩნდა ბაზარზე. იმ წელს როდესაც სტოუნერმა აღნიშნული იარაღი შექმნა ჯერ კიდევ კომპანია Armalite-ში მუშაობდა. ზემოთხსენებული ფირმა კი თავის დროზე გახლდათ Fairchild Engine&Airplain კონცერნის ნაწილი. იქ მომუშავე სტოუნერი კი მთავარი ინჟინერს წარმოადგენდა და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. 1959 წელს კოლტმა გადაიბარა M-15-ის წარმოება. ვიეტნამის ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვა აგებდა Harrington&Richardson-ისა და General Motors-ის მეშვეობით მსგავსი ტიპის იარაღებს. მთლიანობაში M-16 – ების განსხვავებული ვერსიების 3 440 000 ერთეული მოდელი აიგო.

„კოლტი“ AR-15-ის ტიპის შაშხანებს თავდაპირველად სამი განსხვავებული ტიპის ყალიბით აგებდა. ესენი გახლდნენ „რემინგტონის“ მიერ შექმნილი 5,56x45 (.223 Remington), შედარებით უფრო მოკლე და მსხვილი კალიბრი 9mm Para და რუსული 7,62x39 mm.უნდა აღინიშნოს რომ კომპანია ხრახნლულიან შაშხანებთან და ფისტოლეტებთან ერთად გლუვლულიან თოფებსაც აწარმოებდა სახელწოდებით Armsmear. დღესდღეობით ეს სახელი შემორჩა სემუელ კოლტის სახლს, რომელშიც ამჟამად მუზეუმია განთავსებული.



Colt-ის ნახევრადავტომატური შაშხანა პიკატინის ტიპის არასტანდარტული ხიდებით და ორთოპედიული ტარით

დღესდღეობით კომპანია უამრავი ქვექნების მთავრობებთან თანამშრომლობს და ამარაგებს მათ იარაღით. აგრეთვე ამზადებს ცივილურ ვერსიებსაც სანადირო და სპორტული სროლებისათვის. წარმოებაშია M4-ის ტიპის შაშხანები ყალიბით .223 Remington, M14 – A4 ტიპის იარაღები ყალიბით .223 Remington. M203 ტიპის ავტომატები 5,56x45მმ ვანზებით, რომელსაც ემატება ყუმბარმტყრცნი და Colt-9-mm SMG.

კომპანია ყოველ წელს ახორციელებს პროდუქციის გამოფენებზე გატანას. თუმცაღა სხვა ბრენდებისაგან განსხვავებით მათ მსოფლიოს ყველა სამრეწველო თვალსაზრისით მნიშვნელოვან კუთხეებში არ აქვთ ხოლმე პროდუქცია წარმოდგენილი. ისინი ძირითადათ იარაღებს სპეციალურ სამხედრო ტიპის გამოფენებზე წარადგენენ ხოლმე საზოგადოების შეზღუდული ნაწილისათის. აგრეთვე ხშირია, ცენტრალიზირებულ საერთაშორისო გამოფენებზე, ლას ვეგასში Shot-Show – ზე და ნიურბერგში IWA MESSE – ზე მათი იარაღების წარდენა ხოლმე. უკვე დიდი ხანია რაც ხორციელდება NRA-ს მიერ გამართულ ღონისძიებებზე „კოლტის“ წარდგენა. ზოგიერთ მსგავს საგამოფენო კომპლექსში ხშირად ისეთ მოდელებს ვაწყდებით ხოლმე, რომელიც კომპანიის საიტზე და ზოგადად ინტერნეტში ნაკლებად ხელმისაწვდომია. ასეთ იარაღებს განეკუთვნება ცილინდრულ საკეტიანი შაშხანები. წრფივად მოძრავი საკეტი მექანიზმით აღჭურვილი მოდელების აგებისას პირველ რიგში გათვალისწინებულია უტყუარი, სტაბილური მუშაობის პრინციპები. მისი ზერელე დათვალიერებისას შეიმჩნეა „ბლაზერის“, „მაკმილანისა“ და „რემინგტონის“ მსგავსი კომპონენტები თუ სტრუქტურული აგებულება.

კომპანია აგრეთვე ახორციელებს ხელნაკეთი რევოლვერებისა და ფისტოლეტების გამოფენას. ამგვარი მოდელები რათქმაუნდა შეზღუდული რაოდენობით იწარმოება და მათი ფასი



სტანდარტული Colt M4 ოფროელექტრონული მოწყობილობით

კონრეტულ მოდელზე შესრულებულ გრავირებებსა და მისი დამზადებისათვის გამოყენებული მასალებისათვისაა საჭირო.

დღესდღეობით „კოლტს“ ცალკე განყოფილება აქვს კანადაში, სადაც ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატებში არსებული მთავარი ჯგუფის მეთვალყურეობის (მმართველობის) ქვეშ კონკრეტული მოდელების წარმოება. ძირითადათ ესენია სამხედრო დანიშნულების ავტომატური შაშხანები. თუმცაღა როგორც თავად IWA-2012 – ზე არსებული წარმომადგენლობის ერთ-ერთმა წევრმა განგვიმარტა, კანადაში ხდება ცივილური, ნახევრადავტომატური ვერსიების მცირე რაოდენობით დამზადება. მაგრამ გადაწყვეტილებები მათი გაყიდვების და მითუმეტეს ექსპორტის თაობაზე მაინც სათაო ოიფსში ხორციელდება. პროდუქციის დათვალიერებისას აშკარა იყო რომ ქარხანაში მასიური წარმოება ხორციელდება და ძალიან დიდი რაოდენობით ხდება M4-ისა და M16-ის ტიპის იარაღების წარმოება. შესაბამისად მოდელების ზედაპირული დამუშავების ხარისხი მოსაწონი ნამდვილად არ იყო, თუმცაღა მათ აგებულებაში სტაბილურობა და უტყუარობა აშკარა იყო. ვიზუალურ იერსა და თეორიას თუ დავუჯერებთ კანადაში დამზადებული კოლტის იარაღებმა უნდა იმუშავონ ყველგან, ურთულეს ექტსრემალურ პირობებშიც კი

HARRINGTON&RICHARDSON

ამერიკული იარაღების მწარმოებელი კომპანია Harrington&Richardson (H&R) დაარსდა 1871 წელს ჟილბერტ ჰარინგტონისა და ფრანკლინ ვესონის მიერ. მანამდე ჰარინგტონი მოღვაწეობდა ვორჩესტერში, მასაჩუსეტსის შტატში, პატარა Ballard&Fairbank-ის რევოლვერების ქარხანაში. 26 წლის ასაკში მან შექმნა თავისი პირველი რევოლვერი ჰიზლის ავტომატური ამომგდებით, იგივე ეჯექტორით. 1871 წლისათვის კომპანია Ballard&Fairbank – მ შეწყვიტა წარმოება. თავად ჟილბერტა კი გადაწყვიტა გაეგრძელებინა მეიარაღის საქმიანობა. მისი ამ გადაწყვეტილების შედეგად მოხდა ბიძამისთან, ფრანკლინ ვესონთან ერთად ახალი იარაღების მწარმოებელი კომპანიის დაარსება. მათ წარმოების დაწყებისთანავე ტექნიკური საკითხების ზედამხედველად დანიშნეს ჰარინგტონის ყოფილი თანამშრომელი ვილიამ აუგუსტ რიჩარდსონი.

ახალი კომპანიის დაარსებიდან სულ მალე შეიქმნა ერთვაზნიანი შაშხანა Wesson&Harrington-ის სახელით, რომელიც ოფიციალურად ბაზარზე იმავე წელს, 1871-სი გამოჩნდა. 1874 წელს ფრანკლინ ვესონი გავიდა კომპანიიდან და ფირმამ არსებობა გააგრძელა ჰარინგტონისა და რიჩარდსონის სახელით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქარხანაში ხდებოდა მხოლოდ რევოლვერების აგება. თუმცაღა ამ წლებში დიდი მოთხოვნა იყო გლუვლულიან თოფებზე და კომპანიამ გადაწყვიტა აღნიშნული პროდუქციის წარმოებაც განეხორციელებინა. მათ გააფორმეს კონტრაქტი ინგლისურ იარაღების მწარმოებელთან, Anson&Deeley-სთან. თუმცაღა იმდენად დიდი იყო მოთხოვნილება თავად ჰარინგტონისა და რიჩარდსონის შაშხანებზე, რომ წარმოება ვეღარ აუდიოდა საკმარი რაოდენობის იარაღის ერთდორულად წარმოებას. სწორედ ამიტომ, 1866 წელს, მათ გაწყვიტეს საქმიანი – პარტნიორული ურთიერთობები ბრიტანელებთან.

1888 წელს მოხდა კომპანიის საფუძვლიანი რეორგანიზაცია და მან ახალი სახელით, Harrington&Richardson Arms Company – ით გააგრძელა მუშაობა. მას შემდეგ რაც 1897 წელს წარმოების ორივე მმართველი ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალნენ, ფირმას სათავეში ჩაუდგნენ ჰარინგტონის 20 წლის ვაჟიშვილი, ედვინ ჰარინგტონი და ვილიამის ქალიშვილი მერი ა. რიჩარდსონი. მათ საწარმოს ერთ-ერთ მმართველთან, ბრუკსთან ერთად გააგრძელეს კომპანიაში მუშაობა. ვორჩესტერში მოღვაწეობის ათწლეულების შედგომ ფირმამ იმავე შტატში, ქალაქ გარდნერში გადაინაცვლა.

დღესდღეობით კომპანია ძირითადათ აწარმოებს ერთვაზნიან შაშხანებს, გლუვლულიან თოფებსა და შეზღუდული რაოდენობით H&R-ის რევოლვერებს. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ ამერიკული იარაღების მწარმოებელ კომპანია „მერლინთან“. ბოლო წლებში გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე გერმანიასა და ამერიკაში მათ საკუთარი პროდუქცია სწორედ რომ „მერლინთან“ და „რემინგტონთან“ ერთად, საერთო დახლზე ჰქონდათ წარმოდგენილი. ისინი გაერთიანებულები არიან გუნდში, რომლის ლიდერი მწარმოებელიც კომპანია „რემინგტონია“. ისინი ერთად კი ATK-ს ჯგუფს ეკუთვნიან.

H&R-ის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვადი და პოპულარული იარაღებია Harrington&Richardson Ultra Varmint და Ultra Hunter. ისინი იწარმოება ყალიბებით .223 Remington, .308 Winchester, .357 Rem. Max (იგივეა რაც .357 Supermagnum). შაშხანა ძალზედ ეფექტური და ზუსტია. ამასთანავე აღსანიშნავია რომ მსგავსი ყალიბის მქონე იარაღებთან შედარებისას მას უზარმაზარი ენერგიის გამოყოფა ძალუძს. აღნიშნული მოდელების წონა დაახლოებით 3,5 კილოგრამს შეადგენს. ლულის სიგრძე კი ზუსტად 56 სმ-ია. მოდელები არც თუ ისე ძვირი ღირს და მითუმეტეს ამერიკისა და კანადის ბაზარზე იქაური ცხოვრების დონიდან გამოდინარე მათი შეძენა მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის იოლად შესაძლებელია

MARLIN

ჯონ მელოუნ მერლინი დაიბადა 1836 წელს ამერიკაში, კონექტიკუტის შტატში. სამოქალაქო ომის დაწყებამდე, რომელიც 1861 – დან 1865 წლამდე გრძელდებოდა, მერლინმა დაიწყო მუშაობა სამხედრო დანიშნულებით ტექნიკის სფეროში არსებული მეთოდებისა და ამასთანავე ჯგარისკაცების თანამედროვე, დამატებითი აღჭურვილობის განვითარებაზე. ცოტა მოგვიანებით, ომის მიმდინერეობის პერიოდში იგი მოღვაწეობდა ჰარდფორდში, „კოლტის“ ქარხანაში. 1870 წელს ჯონმა იმავე კონექტიკუტის შტატში, ნიუ ჰევენში დაარსა საკუთარი იარაღის მწარმოებელი ქარხანა. პირველი წარმატებები მერლინს მოუტანეს შაშხანებმა Model – 1891-მა და Model – 1893-მა. ისინი დღემდე იწარმოება 29-ის და 336-ის სერიული სახელწოდებით. მე-19 საუკუნის 70-იან, 90-იან წლებში საწარმო ახორციელებდა სხვა და სხვა ტიპის რევოლვერების, ფისტოლეტებისა და „დერინჯერის“ მოდელების მზადებას. 1873 წელს ფირმის დამაარსებელმა ცნობილი კონსტრუქტრის, ჩარლზ დეილის მეშვეობით წარმოება გააძლიერა. დეილი გახლდათ განთქმული „ბალარდის“ შაშხანების შემქმნელი., რომელსაც თავად „მერლინის“ ქარხანაც აწარმოებდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. 1893 წელს ჩარლზმა საკუთარი ფირმის მთავარი პაკეტი კვლავ მერლინს მიჰყიდა. ეს სწორედ ის პერიოდია როდესაც კომპანია „ვინჩისტერმა“ ლეგენდარული (ტარქვეშა) უკანა ბერკეტით მტენი Winchester-1870 – ით წარმატებული ერა დაიწყო. ამის შემხედვარე მერლინმა გადაწყვიტა აღნიშნული ტიპის იარაღების ბაზარი თავად დაეპყრო. მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მან დაიწყო ახალი Lever Action-ის ტიპის, Model-1881-ის წარმოება, ყალიბით .45-70. აღნიშნული ვანზა იმ დროისათვის იმდენად კარგი ბალისტიკური შედეგების მომტანი და ამავდროულად პოპულარული იყო, რომ ამერიკის შეერტებული შტატების არმია თავისი



Marlin-ის მცირეკალიბრიანი შაშხანები

Springfield Trap door შაშხანებისათვის სწორედ მას იყენებდა.

ტარქვეშა ბერკეტით მტენი მექანიზმის კონსტრუქციის გაძლიერებისათვის და მოგვიანებით ოფტიკური სამიზნე მოწყობილობის იარაღებზე დასამაგრებლად მერლინმა 1889 წელს განავითარა ახალი სისტემური კოლოფი. ამგვარი ბუდით აღჭურვილი ახალი შაშხანების გადატენვისას გასროლილი ჰილზის ამოგდება ხდებოდა გვერდითა მხარეს განთავსებული გამომგდები ფანჯრიდან და არა მანამდელი სისტემების მსგავსად, ზემოდან. ამგვარი სისტემა დღემდე გამოიყენება თავად კომპანია „მერლინისა“ და სხვა, უამრავი მწარმოებლის მიერ. 1893 წელს ბაზარზე გამოჩნდნენ მერლინის ახალი შაშხანები ყალიბებით .32-40 და .38-55. აღსანიშნავია რომ თანამემამულე ფირმის „ვინჩესტერის“ მიერ განვითარებული ვაზნის, .30-30 Win-ის გამოჩენამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში დიდი როლი ითამაშა მერლინის Lever Action – ების განვითარებასა და გაყიდვაში. დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობენ მოდელები – 1891 და 1897, რომლებიც ანი ოქლეიმ წარმოადგინა ბუფალო ბილის Wild-West-ის შოუში.

1901 წელს ჯონ მერლინი გრადაიცვალა და მისმა ორმა ვაჟიშვილმა გადაიბარეს წარმოება. მომხდარი ფაქტიდან სულ მალე მათ შეიძინეს კომპანია Ideal Manufacturing -ი, რომელიც ძმებმა 1925 წელს კვლავ გაასხვისეს და „ლიმანი“-ს კომპანიას მიჰყიდეს. ამ პერიოდის განმავლობაში „მერლინი“ იარაღის გარდა აწარმოებდა სრულიად განსხვავებული დანიშნულების პროდუქციას, ხელბორკილებსა და ეგრედწოდებულ „მაშველებს“, რომელიც გამოიყენებოდა ფეხსაცმლის იოლად ჩაცმისათვის. მსოფლიო ომის მომწიფების პერიოდში, 1915 წელს, კომპანიის მმართველი აქციონერი გახდა ნიუ-იორკული ფირმა Rockwell-ი. ამის შემდგომ „მერლინმა“ სახელიც შეიცვალა და დაერქვა Marlin Rockwell Corporation. სანადირო და სპორტული-გასართობი პროდუქციის წარმოება ამ პერიოდისათვის ფაქტიურად საერთოდ შეწყდა და ხორციელდებოდა ძირითადათ Colt-Browning M-1895 – ების ტყვიამფრქვევების წარმოება ამერიკის შეერთებული შტატების არმიისათვის. ომის დასრულების შედმგომ კომპანია Rockwell-ს არავითარი ინტერესი აღარ გააჩნდა სანადირო პროდუქციის წარმოებისა და 1924 წელს გაყიდა აქციების მთლიანი პაკეტი. დაინტერესებული მყიდველების ნაკლებობის გამო კომპანია „მერლინი“ სიმბოლურ თანხად, სულ რაღაც 100 დოლარად გაიყიდა იურისტზე, ფრანკ კენაზე. თუმცაღა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კენამ ყიდვისას მთლიანად დაფარა კომპანიის სავალდებულო იპოთეკური დავალიანება 100.000 $. მას შემდგომ „მერლინი“ იმყოფება ფრანკის ოჯახის საკუთრებაში.

1947 წელს, როდესაც ფრანკ კენი გარდაიცვალა, წარმოების მმართველობა მისმა შვილმა, როჯერმა გადაიბარა. 1953 წელს შეიქმნა და განვითარდა „მერლინის“ ლულების მიკრო ჭრილური დამზადების სისტემები. ამით დაიხვეწა და გაძლიერდა ხრახნულიანი იარაღების წარმოება. მათი გაჭრა და შიგნით ხრახნის გაკეთება ხორციელდებოდა მაქსიმალური სიზუსტით. სწორედ ამ პერიოდისათვის დაიხვეწა და განვითარდა ფრაზები და თეორიები ხრახნის შემადგენელი ნაწილებისა – ეგრედწოდებული „ღარებისა“ და „ველების“ შესახებ. 1959 წელს როჯერ კენა ვაჟიშვილმა, ფრანკმა შეცვალა. თუ გადავხედავთ კომპანიის მიერ წარმოებულ იარაღების რაოდენობას, კომპანია მერლინს დღემდე დაახლოებით 25 მილიონი ცეცხლსასროლი იარაღი აქვს გაყიდული. ეს კი გარკვეულწილად რეკორდული რიცხვია კონკრეტული ტიპის იარაღების მწარმოებლისათვის.

ამჟამად კომპანია აქსესუარებთან და დამატებით აღჭურვილობასთან ერთად თხუთმეტამდე განსხვავებული სახის იარაღებს აწარმოებს. ესენი გახლავთ უკანა-ქვედა-ბერკეტით მტენი შაშხანები XLR Lever-Action, 1894 Centerfire Rifle, 336&1894 Deluxe, 308 Marlin Express, Lever-Action Cowboy Rifle და Lever Action 22 L.r. Rifle. ისინი თავადაც იყოფიან კატეგორიებად და თითოეულ მოდელს რამოდენიმე განსხვავებული სახის ვერსია გააჩნია. ამასთანავე ქარხანაში მზადდება ცილინდრული საკეტებით აღჭურვილი შაშხანები – Centerfire bolt Action Rifle, XT-22, XT-17, XT-22Y. „მერლინი“ გულგრილად არც თვითმტენი ვერსიების მიმართაა განწყობილი და ახორციელებს მცირეკალიბრიან (5,6მმ) ნახევრადავტომატური მოდელების დამზადებასაც. საგამოფენო კომლექსებში წარმოდგენილი და სხვა და სხვა მეგობარ დილერებთან არსებული მოდელების შეფასებისას და მათზე დაკვირვებისას აშკარა გახდა, რომ კომპანია „მერლინს“ ყველაზე კარგად გამოსდის ეგრედწოდებული „უკანა ბერკეტით“ მტენი შაშხანების დამზადება. დანარჩენი მოდელებს შესაძლოა თავისებური უპირატესობები გააჩნიათ, მაგრამ ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე ზემოთხსენებული „Lever Action“ – ვით კონკურენტუნარიანები და პოპულარულები ვერ არიან.

მიუხედავად ყველაფრისა მაინც აღსანიშნავია სიგრძივ მოძრავ საკეტიანი შაშხანების ფასი (საუბარია სტანდარტულ და მსხვილ კალიბრიან ვერსიებზე), რომელიც ამერიკაში დაახლოებით 500 $-დან იწყება. ეს თანხა კი იარაღების ხარისხთან შედარებით ნამდვილად მისაღები და სახარბიელოა.



Marlin-ის ტარქვეშა ბერკეტით მტენი შაშხანები (Lever Action)

1852 წელს ჰორეის სმიტმა და დანიელ ვესონმა დააარსეს ცეცხლსასროლი იარაღების მწარმოებელი კომპანია სახელწოდებით Volcanic Repeating Arms Company. ჰორეისი აღნიშნულ სფეროში ჯერ კიდევ სფრინგფაილდის ეროვნულ არმიაში მოღვაწეობისას გაერკვა. წარმოება პარტნიორებმა ნორვიჩში – კონექტიკუტში, ტარქვეშა ბერკეტით მტენი ფისტოლეტებით დაიწყეს. აღნიშნულ მოდელებს მათთვის სათანადო მოგება არ მოუტანია და შესაბამისად, ორ წელინადში კომპანიას გარკვეული ფინანსური პრობლემები შეექმნა. შესაბამისად მისმა დამაარსებლებმა გადაწყვიტეს ინვესტორისათვის დაეთმოთ კომპანიის სამართავი პაკეტი და ბრენდი ოლივერ ვინჩესტერის მმართველობაში გადავიდა. 1866 წელს Smith&Wesson-ის ორიგინალური lever action – ების დიზაინის მეშვეობით დაიწყო უკვე ძალზედ პოპულარული Winchester Arms&C.o.-ის აღმასვლა.

1856 წელს ძველმა პარტნიორებმა მიატოვეს კომპანია „ვინჩესტერი“ და კვლავ დამოუკიდებლად განიზრახეს ცეცხლსასროლი იარაღების წარმოების დაწყება. ზუსტად ერთი წლის თავზე მათ შექმნეს რევოლვერი სახელწოდებით Smith&Wesson Modell No 1, რომელიც იარაღის ოსტატმა, როლინ ვაითმა 1855 წელს დააპატენტა. ეს გახლდათ პირველი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც სამოქალაქო გაყიდვაში გაეშვა როგორც მზა, მეტალის ვაზნების მსროლელი ვერსია. მისი ყალიბი იყო 5,6 მმ. თუმცაღა არა დღესდღეობით ძალზედ პოპულარული .22 lr, რომლის დიზაინიც 1887 წელს J. Stevens Arm&Tool Company – მ შექმნა, არამედ .22 short (მოკლე), რომელიც 1854 წელს დაპატენტდა კომპანია „სმიტი&ვესონი“-ის მიერ. ვაზნა იარაღთან ერთად გახლდათ ერთ-ერთი პირველი მეტალის მოდელი, რომელიც ფრანგი მეიარაღის, ლუის ნოკოლას ფლობერტის მიერ 1846 წელს შექმნილ კალიბრზე დაყრდნობით აიგო.

სამოქალაქო დაპირისპირებისას, სამხრეთსა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის ბრძოლის მიმდინარეობამ, გააჩინა აუცილებლობა და საფუძველი ჩაუყარა Smith&Wesson Model -2-ის რევოლვერების წარმოების დაწყებასა და გაფართოებას.

1867 წელს ბრენდმა გლობალური გაყიდვების კამპანია წამოიწყო და შეეცადა ახალ ბაზრებზე პროდუქციის გატანას. ყველაზე მეტად სასურველი ქვეყანა მათთვის მეფის რუსეთი გახლდათ. იმ პერიოდისათვის ქარხანაში წარმოებულ ერთ-ერთ ახალ ვერსიას, Smith&Wesson Model-3-ს, „რუსული მოდელიც“ კი შეარქვეს. ამის საფუძველიც ალბათ არსებობდა, თუნდაც მარტო იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში 150.000 – მდე აღნიშნული რევოლვერი იქნა მეფის რუსეთში გაგზავნილი. აგრეთვე აღსანიშნავია რომ ზემოთხსენებულ იარაღს ადგილობრივი ძალები აქტიურად იყენებდნენ ინდიელებთან ბრძოლისას.

ზემოთ ჩამოთვლილი მოდელების შემდგომ კომპანიამ უკვე დიდი ხანია გაზარდა არჩევანი და იწყო ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარება და ახალი, განსხვავებული ტიპის მოდელების წარმოება. რევოლვერებთან ერთად ბრენდის ისტორიის განუყოფელი ნაწილია ვაზნები, რომელთა ყალიბებიც სწორედ რომ კომპანია Smith&Wesson – მა შექმნა. მათგან ყველაზე წარმატებული და ამავდროულად პოპულარული გამოდგა .22 rimfire, 357 Magnum, .44 Magnum, 40 S&W Magnum და .500 Magnum.

Smith&Wesson-ის მოდელებიდან ბევრის გამოყოფა შეიძლება, რამეთუ თითოეულ მათგანს გააჩნია გარკვეული უპირატესობები მსოფლიო ბაზარზე არსებულ კონკურენტ მოდელებთან შედარებით. ისინი გარკვეულ ასპექტსში ყოველთვის ლიდერობენ და ალბათ სხვაგვარად არც შეიძლება რომ იყოს. ვინაიდან და რადგანაც ზემოთხსენებული ბრენდი გახლავთ წამყვანი იარაღების მწარმოებელი კომპანია მსოფლიოში და ვალდებულია საზოგადოებას წარუდგინოს საუკეთესო ნაწარმი საუკეთესოთა შორის. მათგან რამოდენიმეთი დავინტერესდით და შევეცადეთ ის მოდელები განგვეხილა, რომელთა შესახებაც გარკვეული ინტერესი არის ან მომავალში გაჩნდებოდა საქართველოში.



ნუგზარ ფარადაშვილი სანადირო Smith & Wesson-ის რევოლვერით ხელში

ყველაზე მსუბუქი და ამავდროულად მძლავრი ყალიბის მქონე რევოლვერი, რომელსაც Smith&Wesson აწარმოებს, გახლავთ Smith&Wesson 360 PD Scandium. მისი ხილვა და მცირედი ინფორმაციის მოპოვება, ისევე როგორც სხვა, კონკრეტული ბრენდის მიერ წარმოებული იარაღებისა, კვლავ საერთაშორისო გამეფენებსა და ევროპელ დილერებთან მოხერხდა. ავსტრიული ბაზრისათვის განკუთვნილი ვერსია აღჭურვილი იყო კალიბრით .357 Magnum. ფოტოზე ნაჩვენებია სასწორი, რომლის ეკრანზეც მოჩანს რომ რევოლვერი სულ რაღაც 334 გრამს იწონის. მის მჭიდში სტანდარტულად ეტევა 5 ერთეული ვაზნა. ლულის სიგრძეა 48 მმ, მთლიანი სიგრძე კი 165 მმ. საერთო ჯამში იარაღი გაშლილ ხელში თავისუფლად თავსდება. ხოლო მისი გადატანა ჯიბით თითქ-



Smith & Wesoon იმ იშვიათ მწარმოებელთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ამზადებენ სანადირო რევოლვერებს და მათზე შესაძლებელია ოფტიკური სამიზნის დამაგრება





Smiwth & Wesson-ის ნაწრთობი ერგალის დოლურათი აღჭურვილი მსუბუქი რევოლვერი

მის შეუმჩნეველი და საგრძნობლად მოხერხებულია. როგორც თავად ავსტრიელმა მეგობრებმა განგვიცხადეს, ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა მათ საშუალებას აძლევს ატარონ მსგავსი ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი (იგულისხმება რევოლვერი ან ფისტოლეტი), რამეთუ ისინი წარმოადგენენ კომპანიების მფლობელებს ან დირექტორებს, რომელბიც ვაჭრობენ იარაღით. შესაბამისად ძაან ბევრი იქაური დილერი ატარებს სწორედ ზემოთხესენებულ Smith&Wesson-ის რევოლვერებს თავდაცვის მიზნით. კონკრეტულ წრეში აგრეთვე პოპულარულია Ruger-ის კომპაქტური ფისტოლეტები. რაც ყველაზე საინტერესო და მთავარია, 360 PD Scandium-ის ფასი ავსტრიაში 950 ევროს შეადგენდა. რა თქმა უნდა იარაღის ეს ფასი ბევრად ძვირია ვიდრე მისი ღირებულება სამშობლოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუმცაღა თუ გავითვალისწინებთ მისი ჩამოტანის ხარჯებს, დროს და ზოგადად იმ უამრავ გადასახადებს რასაც დილერები იხდიან, მისი ფასი აშკარად მისაღები და რეალურია.

ქვეყნის ლიდერ მწარმოებელს როგორც ეკადრება, სწორედ ისე იქცევიან Smith&Wesson-ის მმართველები და ტრადიციებს არ ივიწყებენ. ისინი თითქმის ყოველთვის ახორციელებენ, ძველი, თითქოს უკვე მივიწყებული მოდელების ხელახალ წარმოებას. წარმატებული იარაღები, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში პოპულარული იყო ან დაიმსახურა განსაკუთრებული ყურადღება, ათწლეულების შემდგომ ახლიდან ეშვება წარმოებაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია Smith&Wesson 1917. ბატონი მარკუსის საწყობში არსებული ამერიკული რევოლვერ .45 ACP.-ს ვაზნებს ისროდა. იარაღის ლულის სიგრძე შეადგენს 125 მმ-ს, ხოლო მთლიანი სიგრძე 140 მმ-ს. იარაღი არც თუ ისე მსუბუქია მისი ორიგინალი, წინამორბედი ვერსიის მსგავსად და 1,2 კგ-ს იწონის. მძლავრი და მსხვილი ყალიბის მუხედავად დოლურაში – მჭიდში ექვსი ერთეული ვაზნა ჩადის. მისი ფასი ავსტრიაში 1000 ევროს შეადგენდა, ამერიკაში კი 1000 $-ს. რაც მთავარია Smith&Wesson – ი მასზე, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა, დანარჩენ მოდელებზე მუდმივ გარანტიას ავრცელებს.

ზემოთხსენებული მოდელების გარდა კომპანია ახორციელებს სხვა, უამრავი განსხვავებული მონაცემების მქონე რევოლვერების წარმოებას. ხორციელდება თანამედროვე ტიპის, თავდაცვითი დანიშნულების ვერსიების წარმოება. ძალზედ საინტერესოა და უკვე ბევრი მონადირის გულები დაიპყრო მსვილკალიბრიანმა, გრძელლულიანმა რევოლვერებმა, რომელთაც ამერიკელები სანადიროთ იყენებენ. ზოგიერთ მათგანს ორფეხა ლულისქვეშა სადგამიც აქვთ დამაგრებული შედარებით ფურო ეფექტური და ზუსტი სროლის საწარმოებლად.

უკვე დიდი ხანია რაც ბრენდი ახორციელებს M&P (Military and Police) სერიული ფისტოლეტების წარმოებას. სახელწოდებიდანვე კარგად ჩანს იარაღის დანიშნულება. ფისტოლეტები ძალზედ პოპულარულია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კომპანია აგრეთვე ახორციელებს საკმაოდ მაღალი ხარისხის M4-ის ტიპის ნახევრადავტომატური შაშხანების წარმოებას. აღნიშნული იარაღები ძირითადათ სპორტული და სანადირო დანიშნულებისაა. თუმცაღა მზადდება ვერსიები სამხედრო და პოლიციური დაჯგუფებებისათვის. 2013 წელს გარდა მცირეკალიბრიანი, 5,6 მმ-იანი M4-ის ტიპის მოდელებისა, კომპანიას დახლებზე გამოფენილი ჰქონდა .308 Winchester-ის ვაზნებზე M-16-ის ცივილური, ნახევრდავტომატური ვერსიები M&P10-ის სერიული სახელწოდებით.

დღესდღეობით კომპანია Smith&Wesson მჭიდროდ თანამშრომლობს Thomson Center – თან და ახორციელებს მათი პროდუქცის საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციას. 1965 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, როჩესტერში, მოხდა K.W. Thomosn Tool Company-ისა და Warren Center-ის მიერ Thomson / Center Arms Inc.-ის მეიარაღე ცენტრად ჩამოყალიბება. მის შემქნას საფუძვლად უდევს შემდგომი ისტორია. ზემოთხსენებული კომპანია K.W. Thmoson Tool ეძებდა პროექტს, რომელსაც განავითარებდა და აწარმოებდა ცეცხლსასროლი იარაღის სახით. აღნიშნული კონსტრუქტორი კი, ბატონი Warren Center-ი ეძებდა ვინმეს, ვინც განახორციელებდა მის მიერ დაპროექტებული ფისტოლეტის აგებასა და შემდგომ განვითარებას. გარკვეული პერიოდის შემდგომ მოხდა მათი დაკავშირება და შედეგად სახეზეა დღესდღეობით ძალზედ პოპულარული და რაც მთავარია ხარისხიანი პროდუქციის მწარმოებელი კომპანია, რომელიც მსოფლიო ბრენდის Smith&Wesson-ის სახელით სარგებლობს და მათი მეშვეობით ახორციელებს პროდუქციის ბაზარზე გატანას. ბოლო წლებში გამართულ გამოფენებზეც ზწორედ აღნიშნული ფირმა ახორციელებს ხოლმე „ტომსონის“ იარაღების საგამოფენო კომპლექსებში წარდგენას.



Smith & Wesson-ის ძველი რევოლვერი მთლიანად რკინის სისტემური კოლოფითა და რკინის დოლურით

2012 წელს, გერმანიასა და ამერიკაში გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე ყველაზე დიდ ინტერესს ცვლადი ლულებით აღჭურვილი Thomson-ის შაშხანა სერიული სახელწოდებით Dimension იმსახურებდა. იარაღზე ხორციელდება 4 განსხვავებული ზომის – ტიპის საკეტი მექანიზმისა და ლულის მორგება. ისინი იყოფოდნენ კლასებად – A, B, C და D კლასად. თითოეულ მათგანი იწარმოებოდა რამოდენიმე განსხვავებული ყალიბით. A კატეგორია მოიცავდა ვაზნებს .204 Ruger-სა და .223 Remington-ს. B კატეგორია მოიცავდა ვაზნებს .22-250 Remington-ს, .243 Winchester-ს, 7mm-08 Remington-სა და .308 Winchester-ს. C კატეგორია მოიცავდა ვაზნებს 270 Winchester-ს და .30-06 Springfield-ს. D კატეგორია მოიცავდა ვაზნებს 7 mm Remington Magnum-სა და .300 Winchester Magnum-ს. ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ კომპანია თითოეულ მათგანზე იძლეოდა გარანტიას რომ ნებისმიერი ლულის გამოცვლის შემთხვევაში 100 მეტრ დისტანციაზე სამი გასროლის შედეგად, თუ მსროლელი გამოიყენებს პრემიუმ კლასის ამუნიციას, გაფანტვის წრეები არ გაცდებიან 1 იწჩს, ანუ 2,5 სანტიმეტრს. ეს ნიშნავს რომ შაშხანით გასროლისას ბალისტიკურ შედეგად ზემოთხსენებულ ვითარებაში მივიღებთ 1 MOA (minute of angle)-ს.

იარაღის შექმნის პრინციპი მდგომარეობს შემდგომში. მისი აგებისას შემუშავებულ იქნა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მაქსიმალურად მარტივი, საიმედო და ამასთანავე რეგულირებადი – ცვლადი სისტემებით აღჭურვილი მოდელის წარმოებას. ანუ თითოეული იარაღის კომპონენტი მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო გამიზნული იმისათვის, რომ იარაღს ლულის და საკეტის შეცვლისას არ შეცვლოდა ის დადებითი თვისებები თუ მახასიათებლები, რომელიც მას მანამდე არსებული ლულისა და საკეტის ქონის დროს გააჩნდა. შესაბამისად მისმა შემქმნელებმა იარაღის თითოეულ კომპონენტს LOC (locking optimized components)-ის დეტალები უწოდეს და სახელწოდების შესაფერისადაც დააპროექტეს. LOC – ი შედგება 7 ნაწილისაგან. ესენია: უნივერსალური, რეგულირებადი კონდახი, სისტემური კოლოფი, რომელიც გათვლილია ოთხივე კატეგორიის საკეტზე, მჭიდების მთელი ჯგუფი, 3 წახნაგიანი საკეტი მექანიზმები, რომლის გახსნის კუთხე 60 გრადუსს შეადგენს, 4 კატეგორიის – 10 განსხვავებული ყალიბის მქონე ლულები, ჩამკეტი – დამხმარე დამატებითი ხელსაწყოები და სამიზნე მოწყობილობისათვის გათვალისწინებული სამაგრი ხიდები.



Smith & Wesson-ის მოკლე და მსუბუქი რევოლვერი



ამჟამად კომპანიას თავის სარეკლამო ბუკლეტებსა და კატალოგებზე გაკეთებული აქვს ინფორმაცია, რომ აღნიშნული ბრენდის იარაღებზე მწარმოებელი იძლევა სამუდამო გარანტიას. ეს კი ნიშნავს რომ მყიდველს აქვს იდეალური გარემოება იარაღის ყიდვის შემთხვევაში ფასიდან ამომდინარე. მაგალითის სახით ზემოთხსენებული შაშხანის Thomson Dimension Bolt Action Rifle-ის ფასი ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი ლულით 550 დოლარის ფარგლებში მერყეობს.



Thomson-ის მექანიკური ტიპის, ცილინდრულ საკეტიანი შაშხანები ხსნადი ლულებით

KEL-TEC







Kel-Tec-ის თანამედროვე, მრავალვაზნიანი ტარქვეშა ბერკეტით მტენი თოფი (Pump-action)

კომპანია Kel-Tec დაარსდა 1991 წელს ამერიკაში, ფლორიდას შტატში (Cocoa, Florida). თავდაპირველად ფუნქციონირებდა მხოლოდ CNC მანქანა დანადგარების მაღაზია. 1995 წელს კი ფირმის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს ცეცხლსასროლი იარაღების წარმოება დაეწყოთ. უნდა აღინიშნოს რომ ბოლო წლებში ქარხანა ამერიკის შეერთებული შტატების მწარმოებელთა საუკეთესო ხუთეულში შევიდა. აღნიშნული ქვეყანა კი თავადაა ლიდერი იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც საუკეთესო იარაღებს ამზადებენ.

დაარსებისთანავე „კელტეკის“ თანამშრომლებმა იწყეს საკუთარი პროდუქციის რეკლამირება და სხვა და სხვა ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე პროდუქციის გატანა. ჩვენ მათი მოდელების ფართე არჩევანიდან რა თქმა უნდა სიახლეებმა ყველაზე მეტად დაგვაინტერესა და ინოვაციური ნაწარმის შესახებ შევეცადეთ მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მოგვეპოვებინა.

ერთ-ერთი ბოლო კონსტრუქცია, რომელიც ფირმის მეიარაღეებმა დააპატენტეს, გახლავთ მოდელი სახელწდებით Keltec shotgun KSG. კომპანიის კონსტრუქტორების აზრით KSG-ს გლუვლულიანი მოდელის სახით მათ შექმნეს ლულისქვეშა ბერკეტით მტენ იარაღებში, ანუ ეგრედწოდებულ „პომპიან“ ვერსიებში უნიკალური თოფი. ამით მათ თავისი სიტყვა თქვეს საიარაღო ინდუსტრიაში. თუმცაღა ეს ყველაფერი მხოლოდ მათი პირადი მოსაზრებაა ზემოთხსენებულთან დაკავშირებით. რამდენად გამართლდებას ეს ყოველივე მომავალში, ამას გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ პრაქტიკაში დავინახავთ. Keltec KSG პირველი მრავალვაზნიანი და ამავდროულად საგრძნობლად კომპაქტური და მოხერხებული გლუვლულიანი იარაღია, რომელიც აღნიშნულმა ამერიკულმა კომპანიამ დაამზადა. მისი დიზაინი, ზომა და ფორმა ძალიან გავს იმავე „კალტეკის“ ფირმის შაშხანას სერიული სახელწოდებით RFB. იარაღის ლულის სიგრძეა 47 სმ. მთლიანი სიგრძე კი მხოლოდ და მხოლოდ 63 სმ-ია. ასეთი პროპორციები განპირობებულია ბულპაპის დიზაინიდან გამომდინარე. ანუ მექანიზმის დიდი ნაწილი და ჰილზის გამომგდები ფანჯარა კონდახშია განთავსებული. KSG-ს ლულის ქვეშ განთავსებულია ორი გრძელი მჭიდი. თითოში 7 ვაზნა ეტევა, ანუ სულ 14. მე-15 კი შეგვიძლია პირდაპირ განვათავსოდ სავაზნეში/ლულაში. კონდახის ქვედა ნაწილში გაკეთებულია ფანჯარა, საიდანაც ჰილზის ამოგდებასთან ერთად ხორციელდება იარაღის ვანზებით დატენვა. მჭიდების დასაწყისში იარაღს აქვს გადამრთველი ღილაკი, რომლის მეშვეობითაც ვირჩევთ სასურველ მჭიდს და კონკრეტულად მასში ვახორციელებთ ვაზნების ჩალაგებას. ერთის შეხედვით საქმე გვაქვს უნაკლო იარაღთან, რომელიც ძალიან მოკლე და კომპაქტურია, ამავდროულად მჭიდის ტევადობა აქვს 14+1 ვაზნა და თან არის გლუვლულიანი, უტყუარი, უკანა ბერკეტით მტენი ვერსია. გამოფენაზე მისი მონაცემების გარკვევისას და ვიზუალური დათვალიერებისას ყველა მოხიბლულები ვიყავით „კელტეკის“ კონსტრუქტორების მიერ დაპროექტებული ახალი მოდელით. თუმცაღა პრაქტიკაში სულ სხვაგვარადაა ხოლმე ყველაფერი. სროლისას იარაღს რამოდენიმეჯერ გაუჭირდა ჰილზის გამოდგება. ამავდროულად იარაღით სროლა მაინც და მაინც პრაქტიკული არ იყო, რაც ემატებოდა საკმაოდ მძლავრი უკუცემა. ამასთანავე ცხადი გახდა რომ KSG–ს კრიტიკულ პირობებში გამოყენებისას შესაძლოა გარკვეული პრობლემები შექმნოდა. მისი მიახლოებითი გასაყიდი ფასი სტანდარტულ მაღაზიებში დაახლოებით 800 $-ია. ასეთი ღირებულება მას სწორედ აქვს შერჩეული. ინოვაცია ყოველთვის ძველზე კარგი და სხვებზე უკეთესი ვერ იქნება. თუმცაღა თავისი დადებითი მხარეები აღნიშნულ იარაღსაც აქვს, ისევე როგორც ყველა სხვა ახალ კონსტრუქციას.

ამჟამად კომპანია სხვა იარაღის მწარმოებლებთან ერთად გაერთიანებულია RSR-ის ჯგუფში. სწორედ მათი სახელით აქვთ ხოლმე საკუთარი პროდუქცია Keltec-ს წარმოდგენილი. მათთან ერთად Masterpiece Arms-ის იარაღების ნახვაც შეიძლებოდა. ყველაზე გამორჩეული ალბათ მაინც 9 მმ-იანი მინი შაშხანა იყო. იარაღი ისრაელის უზს წააგავს. თუმცაღა მასზე კიდევ უფრო მოკლეა და მჭიდში ლუგერის 30 ერთეული ვაზნა ჩადის. მასთან ერთად RSR-ს სხვა მწარმოებლების მიერ შექმნილი იარაღებიც ჰქონდა წარმოდგენილი და ცდილობდა ევროპისა და აზიის ბაზრისათვის მის წევრ კომპანიებს პროდუქციის პოპულარიზაციაში დახმარებოდა.



LAKEFIELD – SAVAGE ARMS



Savage სნაიპერული შაშხანა კალ .338 Lapua Magnum



Savage-ის გლუვლულიანი თოფი

კანადური იარაღების მწარმოებელი კომპანია Lakefield უკვე დიდი ხანია დაკავებულია მცირეკალიბრიანი შაშხანების დამზადებით. ქარხანაში, რომელიც თავად ლეიქფაილდში – ონტარიოშია განთავსებული, ძირითადად აწარმოებს იარაღებს ყალიბებით 22 L.r, 17 HMR და 22 WMR. ფირმის მიერ წარმოდგენილი იარაღები იყოფა კატეგორიებად. საწარმოში კეთდება სპორტული და გასართობი (თავისუფალი სროლისათვის განკუთვნილი) ვერსიები, აგრეთვე შაშხანები წვრილფეხა ცხოველებზე სანადიროდ. საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა მყიდველთა მხრიდან ბიატლონის დისციპლინისათვის განკუთვნილ მოდელებზეც. საინტერესო და განსაკუთრებული შემოთავაზება კომპანიის მხრიდან გახლავთ შემდგომი ფაქტორი. მათ ნებისმიერი შაშხანის როგორც მემარჯვენეებისათვის, ისე ცაცია მსროლელთათვის განკუთვნილ იარაღების დამზადება შეუძლიათ.

1995 წელს კანადური კომპანია „ლეიქფაილდი“ დიდი ისტორიის მქონე, ამერიკულმა Savage Arms-მა საკუთარ მმართველობაში გადაიბარა. ფირმა ამჟამად ფუნქციონირებს Savage Arms Canada-ს სახელწოდებით. ევროპული გენერალური იმპორტიორი კომპანია კი გახლავთ კომპანია AKAH (Albrecht Kind GMBH). რაც შეეხება მთავარ მმართველ ორგანოს, ამერიკული Savage Arms-ის სახით, ის წარმოშობით იამაიკელმა, არტურ ვილჰელმ სავაჯმა დააარსა 1863 წელს მასაჩუსეტის შტატში, ვესტფაილდში. ქალაქი საკმაოდ ახლოს მდებარეობდა იმ დროინდელ მეირაღეთა ერთ-ერთ ცენტრ, სფრინგფაილდთან.

პირველად „სავაჯმა“ დაიწყო ტარქვეშა ბერკეტით მტენი შაშხანების წარმოება, რომელთაც სრულად რკინის სისტემური კოლოფები ჰქონდათ და საკმაოდ სერიუზულ კონკურენციას უწევდნენ იმ დროინდელ სხვა ამერიკულ, მსგავსი იარაღების მწარმოებლებს ბრედნებს. 1960 წლამდე ქარხანაში ძირითადათ ხდებოდა მხოლოდ აღნიშნული ტიპის იარაღების დამზადება თუ არ ჩავთვლით გამონაკლისებს. 1901 წელს კომპანიამ აწარმოა დიდი რაოდენობით ინდიელების ტრადიციული იარაღები, რომელთა შეკვეთაც თავად მათგან მიიღო. იმ დროისათვის ძალზედ პოპულარული იყო ინდიელების წარმოდგენები, ეგრედწოდებული შოუები, სადაც მონაწილე მსახიობები საკუთარი „ჩეიენის“ ტრადიციული აგებულების მქონე იარაღებს უკეთებდნენ დემონსტრაციას სახალხოდ.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ განხორციელდა შტატებში შემორჩენილი გერმანული „მაუზერ-98“-ის შაშხანების გადაკეთება სანადირო და სპორტულ ვერსიებად. ცოტა მოგვიანებით მოხდა მათივე ბაზაზე ახალი ცილინდრული საკეტით აღჭურვილი შაშხანების კონსტრუქციის შექმნა და წარმოება.



აღსანიშნავია რომ კომპანიის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ჯოშუა სტივენსმა. სავაჯმა 1920 წელს .308 Winchester-ის ბაზაზე შექმნა დღესდღეობით ძალზედ პოპულარული და გავრცელებული ყალიბი 300-savage. მისი კონსტრუქცია ეკუთვნის ჩარლზ ნიუტონს.

„სავაჯის“ კანადური მხარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადათ მცირეკალიბრიან ვერსიებს ამზადებს. თუმცაღა მსხვილკალიბრიანი ვერსიების იმპორტიც ხორციელდება შტატებიდან და შემდგომ აღნიშნული პროდუქცია „სავაჯის“ სახელით იყიდება იქაურ ბაზარზე. ნახევრად სპორტული და სანადირო მცირეკალიბრიანი ვერსიებიდან შეიძლება გამოვყოთ მოდელები Lakefield Mark-I, Mark-II, Mark-I Youth, Mark-II-Youth, აგრეთვე ნახევრადავტომატური Lakefield-64-B. ისინი იწარმოება 22 l.r.-ის და 22 – kurz(short – მოკლე)-ის ვაზნებზე. მათი წონები მერყეობს 2,3 კგ-დან 2,5 კგ-მდე. ლულების სიგრძეებია 48 ან 53 სმ. აღსანიშნავია რომ იარაღები საკმაოდ მოხერხებული სახმარია მათი აგებულებიდან და წონიდან გამომდინარე. რაც შეეხება თავად მათ ცილინდრული ტიპის – წრფივად მოძრავ საკეტ მექანიზმებს, ისინი დადებითად შეიძლება დახასიათდეს. რათქმაუნდა არც თვითმტენ ვერსიას აქვს პრობლემები და უპრობლემოდ ფუნქციონირებს. ბეატლონისტებისათვის კარგადაა ცნობილი მოდელი Lakefield 90B Biathlon. მისი ყალიბი ამჯერადაც 22L.r.-ია. მჭიდში 5 ვაზნა ეტევა. წონა 3,7 კგ-ია. ლულის სიგრძე 53 სმ, მთლიანი კი 100,5 სმ. სასხლეტის დამცველ ღილაკი მხოლოდ მარჯვენა მხარზეა განთავსებული, კონდახის ყელის თავზე, სისტემური კოლოფის ზემოთა ბოლოში.

რაც შეეხება ამერიკულ მხარეს, მათ ძალიან ფართე არჩევანი აქვთ. მხოლოდ მსხვილ კალიბრიანი ვერსიები იყოფა 11 კატეგორიათ. ამ კატეგორიებში კი არც მეტი არც ნაკლები, 100-მდე განსხვავებული მოდელია დაფიქსირებული. რაც შეეხება სპორტულ, მცირეკალიბრიან ვერსიებს, ისინი 7 განსხვავებულ კატეგორიად იყოფა. შვიდივეში კი სულ დაახლოებით 75 სახის არაერთნაირი მოდელებია გაერთიანებული.

ცალკე გლუვლულიანი თოფების კატეგორია, რომელშიც შვიდი განსხვავებული მოდელი ფიქსირდება. აღსანიშნავია რომ კომპანია ახორციელებს ცალკე მექანიზმების დამზადებასა და მათ რეალიზაციას. მოსახლეობაში ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობს და კარგადაც იყიდება ფასიდან და ხარისხიდან გამომდინარე. აგრეთვე სხვა იარაღების მწარმოებლებიც ახორციელებენ „სავაჯის“ ნახევრად მზა სისტემების შესყიდვას და მათ საკუთარი იარაღებისათვის გამოყენებას

კომპანია „ვინჩესტერის“ ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული Smith&Wesson-თან. 1855 წელს ჰორეის სმიტმა, დანიელ ბ. ვესონმა და პალმერმა დააარსეს ფირმა სახელწოდებით Volcanik Repeating Arms Company, რომელიც ქვეყნის სამახრეთით, 128 კმ-ის მოშორებით ნიუ ორკიდან, ნიუ ჰევენში მდებარეობს. წარმოების ერთ-ერთი მოწილე ოლივერ ფიშერ ვინჩესტერიც გახლდათ.

ოლივერ ვინჩესტერი 1810 წლის 30 ნოემბერს, ბოსტონში (მასაჩუტესში) დაიბადა. აღსანიშნავია რომ თავდაპირველად მის მფლობელობაში შედიოდა ტანსაცმლის ფაბრიკა, რომლითაც ოლივერმა საკმაოდ დიდ ფინანსურ წარმატებას მიაღწია. ოლივერის იარაღების წარმოების დაწყება პირდაპირ კავშირშია ველური დასავლეთის (Wild West) დაპყრობასთან. შექმნილი გარემოებიდან და იმდროინდელი, „ამერიკული“ ცხოვრების წესიდან გამომდინარე ოლივერს დაებადა იარაღებს წარმოების იდეა და 1857 წელს სრულიად ახალი და განსხვავებული ბიზნესის დაწყება განიზრახა. ცოტა ხანში ის გახდა კომპანიის მთავარი აქციონერი და პრეზიდენტი. იგი ნიჭიერი და გავლენიანი ბიზნესმენი უფრო იყო ვიდრე კარგი მეირაღე და კონსტრუქტორი. მან ზედმიწევნით ზუსტად იცოდა თუ როგორი იარაღი როდის და რატომ უნდა ეწარმოებინა. ის ყოველთვის სიახლისკენ და აღმოჩენებისაკენ მიისწრაფვოდა, სწორედ ისე როგორც მისი იმდროინდელი კონკურენტები. უნდა აღინიშნოს რომ ოლივერი დიდ უპირატესობას ანიჭებდა იარაღის დაცვით სისტემასა და ვაზნების ხარისხს-სტრუქტურულ აგებულებას. ამ ფაქტორმაც დიდი როლი ითამაშა მის კარიერულ წარმატებაში.

ვინჩესტერმა ლულების ოსტატს, გამოცდილ ბენჯამინ ტაილერ ჰენრის განსაკუთრებული მისია დააკისრა. მას დენთისა და სხვა ქიმიური ნითიერებების შეზავება და შედეგად ვაზნების გაუმჯობესება ევალებოდა. ერთ-ერთი მთავარი ქიმიური კომპონენტი გახლდათ კრისტალური ფხვნილი ქიმიური შემადგენლობით Hg(CNO)2.

1860 წელს კომპანიამ აწარმოა ხრახნიანი ლულები, რომლის ძირითადი მიზანი გახლდათ ბალისტიკური მონაცემების, კერძოდ სიზუსტის გაუმჯობესება. ერთი წლის შემდგომ იმავე ჰენრიმ დააპატენტა ეგრეწოდებული „პომპიანი“ (ლულისქვეშა ბერკეტით მტენი) გლუვლულიანი თოფი. ზემოთხსენებული მოდელი მოგვიანებით გახდა კოვბოებისა და ოქროს მაძიებელი ყაჩაღების საყვარელი იარაღი.



Winchester SXR ნახევრადავტომატური სანადირო შაშხანები

ოლივერ ვინჩესტერი პირდაპირ მონაწილეობას არ ღებულობდა ამერიკაში მიმდინარე სამოქალაქო ომის იარაღით მომარაგებაში, რომელიც 1861 წლიდან 1865 წლამდე მძვინვარებდა. ზემოთხსენებულმა ფაქტორმა უბიძგა მას გაეფართოვებინა გაყიდვები კერძო პიროვნებებზე და კონცენტრაცია გაეკეთებინა ექსპორტზე. სტრატეგია, რომელსაც ომის დამთავრების ბედი ნაწილობრივ მაინც უნდა გადაეწყვიტა, ოლივერმა კომპანიის მმართველი ბერკეტების გადაბარების შემდგომ შეიმუშავა და მშვიდობის დამყარების ორი წლის თავზე ფირმას ახალი სახელი – Winchester Repeating Arms Company ეწოდა.

აღსანიშნავია რომ მომხდარზე ერთი წლით ადრე შეიქმნა ასევე ლეგენდარული მოდელი M-1866, ზედმეტსახელად Yellow Boy – ყვითელი ბიჭუნა. ეს ვერსიაც ოლივერის მეგობარისა და ნიჭიერი კონსტრუქტორის ჰენრის მორიგი აღმოჩენა გახლდათ. იმ პერიოდისთვის Model-1866 ჩამოყალიბდა ერთ-ერთ საუკეთესო თავდაცვის იარაღად, რომელსაც ამავდროულად შესანიშნავი თავდასხმის ფუნქციებიც გააჩნდა. (ბოლოს და ბოლოს Wild West ხომ ყვავილებით არავის დაუპყრია.) შაშხანა რათქმაუნდა სანადიროთაც გამოიყენებოდა და სწორედ მისმა უნივერსალურობამ განაპირობა გაყიდვების საოცარი ზრდა. წარმოების პირველ შვიდ წელიწადში ვინჩესტერმა 100.000 ერთეული „1866“ მოდელი გაყიდა. ამით თვალსაჩინო გახდა ყველასათვის, რომ დაიბადა ერთ-ერთი ლეგენდარული შაშხანა, რომელმაც დაიპყრო Wild-West-ი.



Winchester-ის ტარქვეშა ბერკეტით მტენი საშხანები

1873 წლიდან უკვე დაიწყო ნოვატორული იდეების განხორციელება და ახალ-ახალი მოდელების შექმნა. იარაღებს ძირითადათ იმ სახელწოდებებს უსაბამებდნენ, რომელ წლებშიც ის მზადდებოდა. 1873 წელს შეიქმნა მოდელი 73, კალიბრით .44. შემდგომ უკვე განვითარებულ მისთვის იქნა ახალი ვაზნაც. 1892-94 წლებში შექმნილ იქნა კალიბრები .30 და .32, რომლებიც სპეციალურად სანადირო სროლისათვის დაამზადეს.

ოლივერ ფიშერ ვინჩესტერი 1880 წლის 11 დეკემბერს, შვილის სიკვდილამდე 3 წლით ადრე, ნიუ ჰევენში გარდაიცვალა.

1901 წელს კომპანიისათვის კიდევ ერთი ახალი ერა იწყება. ეს გახლავთ პერიოდი, როდესაც ჯონ მოზეს ბრაუნინგი ბელგიელ მწარმოებლებთან ურთიერთობას ამყარებს. ზუსტად 1981 წელს, 60 წლის შემდეგ მოხდა კომპანია „ვინჩესტერის“ მიერ მმართველი აქციების ჰერშტალიდან უკან დაბრუნება. თუმცაღა უნდა აღინიშნოს რომ ორივე იარაღის მწარმოებელი საკმაოდ დიდი წარმატებით აგრძელებს მჭიდრო მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებს.



Winchester-ის საიუბილეო, ტარქვეშა ბერკეტით მტენი შაშხანები

ვინჩესტერი ჯერ კიდევ 1862 წელს მოუწოდებდა კომპანიონებს „ჰენრის შაშხანის“ განვითარებისაკენ. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1894 წელს შეიქმნა ლეგენდარული უკანა/ქვედა ბერკეტით მტენი იარაღი Model-94 ყალიბით .30-30. სწორედ ოლივერ ფიშერ ვინჩესტერის დაბადების 200 წლის თავზე, 2010 წელს დამზადდა **Model-94** -ის საიუბილეო ორი, ერთმანეთისაგან მცირედით განსხვავებული ვერსია, შეზღუდული რაოდენობით 500-500 ცალი.

ორივე იარაღს სისტემური კოლოფის მარცხენა მხარეს გრავირების სახით ჰერშტალის მოზრდილი (დამღისებრი) ლოგო აქვს გაკეთებული. ტიბჯირსა და უკანა სამიზნის შუაში, ლულაზე მოოქროვილია წარწერა: „one of five hundred“. ხოლო თავად იუბილარის ოლივერის ხელმოწერა ოქროს ფრად, ჩახმახის გასწვრივ, საკეტის თავზეა განთავსებული.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ზემოთხსენებული მოდელის თავდაპირველი კონსტრუქცია და სქემა „ბრაუნინგის“ სახელოსნოში აიგო. შემდგომ კი ოდნავ სახეშეცვლილმა კომპანია „ვინჩესტერის“ ქარხანაში ჰპოვა გაგრძელება. მას შემდეგ 6 მილიონზე მეტი Model-94 გაიყიდა. საზოგადოების ცნობიერებაში იარაღი ჩამოყალიბდა ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ვერსიად. ხალხში ხმები დადიოდა რომ აღნიშნულ მოდელს ბევრად უფრო მეტი ირემი ჰყავდა მოკლული, ვიდრე სხვა, მის კონკურენტებს ერთად.

Model-94 Oliver F. Winchester Custom Grade ერთ-ერთია კომპანიის მიმერ დამზადებული საიუბილეო ვერსიებიდან. მისი სისტემური კოლოფი ძმობილისაგან გასხვავებით შავი ფერისაა. მარჯვენა მხარეს მას ოქროთი გაწყობილი ოლივერ ვინჩესტერის სურათი ამშვენებს. ნახატის გვერდით იმავე ოქროს მასალით შესრულებული წარწერაა გაკეთებული – 1810-2010 – ორასი წლის იუბილე ოლივერ ფ. ვინჩესტერისა (ინგლისურად).

შაშხანის საკონდახე მასალად 4/5 კატეგორიის კაკალია გამოყენებული. ლულა, მიუხედავად იარაღის პროფილისა და ტრადიციული წარმომავლობისა სრულად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითაა შექმნილი და არაჩვეულებრივად გამოიყურება. მისი სიგრძე 61 სანტიმეტრია. ორიგინალური დიზაინი შაშხანის მთავარ კომპონენტში, ლულაშია ჩადებული. მისი პირველი ნახევარი რვაკუთხა ფორმისაა, მეორე კი ჩველებრივ მრგვალი.

მეორე საიუბილეო მოდელი **Model 94 Oliver F. Winchester High Grade**, პირველზე ოდნავ უფრო დაბლა დგას. მისთვის საკონდახე მასალად 2/3 კატეგორიის კაკალია გამოყენებული. გრავირებები ოქროს გარეშეა შესრულებული. სისტემური კოლოფი კი ნიკელის ფერია. დანარჩენ ვიზუალურ თუ დაფარულ დეტალების შედარებისას განსხვავების დაფიქსირება ფაქტიურად შეუძლებელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორივე ვერსია ხუთას-ხუთასი ერთეული იქნა წარმოებული. ისინი მარტო ერთი სახეობის ყალიბით .30-30 Winchester (7,62×51 მმ R)-ით დაამზადეს. შაშხანების ვაზნების ტევადობა სტანდარტულად 8+1 ვაზნა გახლდათ. წონა იარაღის წინაპარ ვერსიას დაამსგავსეს და 3,6 კგ-ს უტოლდება.

საიუბილეო მოდელები 2010 წლის Nürnberg Messe-სა და Shot Show 2010-ის საგმოფენო კომპლექსებში იყო წარმოდგენილი. შაშხანებმა მნახველზე იდეალური ხარისხი მქონე და დიდი ტრადიციების მატარებელი იარაღის შტაბეჭდილება დატოვეს. აღსანიშნავია რომ თითქმის ყველა მათგანი უკვე შეკვეთილი და გაყიდული იყო.

2011 წლიდან იგივე მოდელი Winchester Model-94 სერიული სახით, განსხვავებული კალიბრებით და განსხვავებული მოდიფიკაციებით წარსდგა საგმოფენო კომპლექსში საზოგადოების წინაშე.

WINCHESTER SX-3

Super X3 და P. Flanigan-ის სახელები მჭიდრო ურთიერთკავშირშია. ამჟამად საკმაოდ ასაკოვანი ამერიკელი სპორტსმენი, პატრიკ ფლენიგანი უამრავი ჯილდოს მფლობელია. ის არაერთხელ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ამასთანავე დამყარებული აქვს სხვა და სხვა რეკორდები. პატრიკს მართლაც რომ უსწრაფესი რეფლექსები აქვს გამომუშავებული, რაც თავდაუზოგავი შრომისა და ვარჯიშის შედეგია. ალბათ რეკლამა უფროა ის ფაქტი რომ მან კომპანია „ვინჩესტერის“ მიერ წარმოებული მოდელი SX-3 აირჩია. თუმცაღა გამოცდილებამ და წარმატებულმა გაყიდვებმა ცხადყო რომ აღნიშნულ ფაქტს მხოლოდ ამ თვალით არ უნდა შევხედოთ. იარაღს სინამდვილეშიც გააჩნია ბევრი დადებითი თვისება, რომელიც შესაძლოა მის კონკურენტ მოდელებს საერთოდ არ ჰქონდეთ. ფლენიგანისა და კომპანია „ვინჩესტერის“ საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ზემოთხსენებული თოფით პატრიკმა არაერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

2005 წლის 6 ივლის მან საკუთარი ხელით ნასროლი 11 თეფში ჰაერში, დაახლოებით ორი წამის შუალედში ძირს დაუშვებლად გატეხა. ამით დამყარებულ იქნა ერთერთი მისი მსოფლიო რეკორდი.

ზუსტად 1 წლის შემდეგ, 2006 წლის 6 ივლისს, ცხრა ცალი თეფში პატრიკმა ჰაერში ისროლა და სანამ ისინი მიწაზე დაეშვებოდნენ SX-3-ით აღმართულ პოზიციაში, ჩამოღების გარეშე, ძალიან მცირე დროში სუყველა გატეხა. ამით დამყარებულ იქნა ახალი, მისი მომდევნო მსოფლიო რეკორდი.

ყველაზე მთავარი მიღწევა პატრიკ ფლენიგანის კარიერაში Winchester SX-3-თან ერთად გახლდათ სწრაფ სროლაში დამყარებული რეკორდი. მან 12 ვაზნა 1,442 წამში გაისროლა. ამ მიღწევით იარაღი დასახელდა ყველაზე სწრაფ მსროლელ ნახევრადავტომატურ, გლუვლულიან თოფად მსოფლიოში.

აღნიშნული თოფით პატრიკის შემდგომ რანიერო ტესტამაც დაამყარა მსოფლიო რეკორდი. 2012 წლის 11 ივლისს მან ხელიდან ნასროლი 12 თეფში მიწაზე დაუშვებლად გატეხა. როგორც სპორტსმენმა სროლის შემდგომ განაცხადა, მთავარი საიდუმლოება არა მარტო იარაღიდან სროლაში, არამედ თეფშების გატყროცნაშია. თუ ამ მოქმედებას პიროვნება უნაკლოდ შეასრულებს და ამავდროულად მას ხელში ეჭირება შესაბამისი იარაღი, დიდი ალბათობით ის დაძლევს რეკორდს.

მწარმოებელი:	Herstal FN-Browning
წარმოშობის ქვეყანა:	ამერიკა-ბელგია
სახელწოდება:	**Winchester SX-3 Combo**
ყალიბი:	.12/76
ლულის სიგრძე: (სმ)	მოკლე 61 + გრძელი 71
ჩოკები:	ხრახნიანი + 0,25; 0,5; 1,0-Invc. Plus
კონდახის სიგრძე: (სმ)	36,1 (რეგულირებადი)
წონა: (კგ.)	3,3 / 3
ეფექტური სროლის მანძილი:	100 მეტრი / 35 მეტრი
მიახლოებითი ფასი:	1500 ევრო



Winchester SX3 Combo კალ. 12/გლუვი და კალ.12 ხრახნიანი ლულებით

SX-3-ის წარმოებამდე და მას შემდგომაც ათასგვარი ტესტირებები ტარდებოდა „ვინჩესტერის“ საცდელ პოლიგონსა თუ სხვა და სხვა სასროლეთებში. იარაღით მოხდა 30.000 ვაზნის გასროლა თანმიმდევრულად. შედეგად თოფს არავითარი დაზიანება არ მიუღია. მისმა სტრუქტურულმა აგებულებამ და მასალამ, რომლითაც ის იყო დამზადებული სრულად დააკმაყოფილა თანამედროვე სტანდარტები და გაუძლო ბევრად უფრო მეტს ვიდრე ეს სხვა მსგავსი ტიპის კონკურენტმა ვერსიამ შეიძლება გააკეთოს. თავად პატრიკმა კი მანამადე სანამ თავისი Super X3-ით 150.000 ვაზნამდე არ გაისროლა, მოსვენება არ მისცა საკუთარ თოფს. ამჯერად სპორტსმენი გეგმავს ახალი რეკორდის დამყარებას და 12 თეფშის ჰაერში, მიწაზე დაუშვებლად გატეხვას.

ინფორმაცია SX-3-ის სპორტული სროლის შესახებ რათქმაუნდა საერთოდ არ ნიშნავს იმას, რომ თოფი სანადიროდ არ ვარგა, ან კონკურენტუნარიანი არაა დღევანდელ ბაზარზე სუფთა სანადირო ტიპის ვერსიებს შორის. დღესდღეობით იწარმოება მისი როგორც სპორტული, 12 ვაზნიანი სინთეტიკურ კონდახიანი ვერსია, ასევე 5 ვაზნიანი, სანადირო მოდელებიც. ისინი აღჭურვილია სპეციფიკური 3 გრძელი ჩოკით – Invector Plus, რათა მიღწეულ იქნას სტანდარტულთან შედარებით უკეთესი ბალისტიკური შედეგები. ამას ემატება კომპანია „ბრაუნინგის“ მეთოდიკით შექმნილი აირებით მტენი, თვითრეგულირებადი/თვითმწმენდი სისტემა სახელწოდებით Active Valve System. იარაღს მოყვება კონდახის დამაგრძელებელი ფირფიტები. კლიტე უსაფრთხოებისათვის, რომელიც სასხლეტის ბუდეზე კეთდება. აგრეთვე საქამრეები და ჩოკების სახრახნი გასაღები.

საუკეთესო ვერსია გახლავთ SX-3 Combo M12. თოფი ორი ცვლადი ლულით იწარმოება. მასში შემქნელებმა ჩადეს ყველა ის თვისება, რომელიც აუცილებელია მონადირესათვის იყოს უნივერსალური, ყველანაირ ცხოველ-ფრინველზე მონადირე თოფის მფოლებელი. ეს გახლავთ იარაღი, რომელიც ჭაობიან ადგილებში ისევე ლაღად გრძნობს თავს, როგორც გაშლილ მინდორზე ან თუნდაც ტყეში, ღორზე ნადირობისას. თოფი სტანდარტული ზომის პლასმასის კეისში იდება და ორ ლულასთან ერთად მის შემადგენლობაში შედის 2 ტიბჟირი.

იარაღის გრძელი, 71 სმ-იანი ლულა ცვლადი ჩოკებით იწარმოება. შესაბამისად მისი იარაღზე მორგების შემთხვევაში შესაძლებელია ეფექტური სასროლი მანძილისა და სხვა ბალისტიკური მაჩვენებლების რეგულირება. ამ ლულით ფაქტიურად ნებისმიერი სახეობის 12 კალიბრიანი ვაზნის გასროლა შეიძლება. არც ერთ შემთხვევაში შედეგები ურიგო ნამდვილად არ იქნება. თუმცაღა ბელგიელების მიერ, ბრაუნინგის კუთვნილ ქარხანაში, ჰერშტალში დამზადებული ლულისაგან ცუდ ბალისტიკურ მონაცემებს არც უნდა ველოდეთ. ასეთი ვერსია საკუთესოა „ვინჩესტერის“ ლულათა შორის, რომელიც შესაძლოა ამერიკაში ან იაპონიაში იყოს დამზადებული. მაგრამ საბედნიეროდ აღნიშნული მოდელებისათვის, რომლებიც ევროპის ბაზრისასთვისაა განკუთვნილი, ლულები მხოლოდ ბელგიაში კეთდება. იარაღის 12 კალიბრიანი, 61 სმ-იანი ლულა ძირითად (უკეთეს) შემთხვევებში გლუვი არაა ხოლმე. მას თავიდან ბოლომდე გაკეთებული აქვს ჩვეულებრივი ხრახნი. შესაბამისად ამ ლულით ნადირობა იდეალურია გარეულ ღორზე, დათვზე ან თუნდაც ირემზე, ტყეში, მოკლე დისტანციებზე ზუსტი სროლისათვის. მოკლე დისტანციაში არ იგულისხმება სტანდარტული თოფისათვის გათვალისწინებული მანძილი 50 მეტრი. ამ შემთხვევაში ნაგულისხმებია ხარხნლულიანი იარაღისათვის, ანუ შაშხანისათვის გათვალისწინებული მოკლე მონაკვეთი, რომელიც მერყეობს 100-დან 200 მეტრამდე. აღნიშნულ თოფზე კარგ შედეგს სიზუსტის მხრივ, შესაბამისი ამუნიციის გამოყენებისას თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბევრი ძველებური თუ თანამედროვე შაშხანა ვერ იძლევა. სტანდარტულ, საშუალო კალიბრიან, ხარხნლულიან ვერსიასთან შედარებით უფრო ეფექტური, ძალისმიერი და ენერგია მომცემი გასროლა რათქმაუნდა ისედაც გარანტირებულია ხოლმე ეგრედწოდებული „ჟაკნის“, ანუ იგივე ტყვიის სროლისას. დღესდღეობით უკვე ძაან ბევრი ევროპელი და ამერიკელი მონადირე თუ მეიარაღე აღიარებს, რომ 12 ყალიბის მქონე ხრახნიანი ლულიდან შესაბამისი, რეკომენდირებული ვაზნის გასროლის შემთხვევაში მსროლელს ექმნება იდეალური პირობები ტყეში, მოძრავ ცხოველზე ნადირობისას. ამ შემთხვევაში პირველი დადებითი მახასიათებელია აგებულებიდან, წონიდან და სიგრძიდან გამომდინარე თოფის მოქნილობა და მოხერხებულობა ტყეში ხმარებისას – გადაადგილებისას, რომელიც იარაღს სხვა, სტანდარტული გლუვლულიანებისაგან განასხვავებს. შემდგომი დადებითი თვისება გახლავთ ერთდროულად სიზუსტისა და ენერგიის ურთიერთშესაბამისი, ჯერ არნახული გამოვლინება. მთავარი უპირატესობა და საიდუმლო ახალი თაობის დენთისა და შემგომ მისით დატენილი, სახეშეცვლილი.

„საბოტის“ ვაზნის წარმოებაა. შესაბამისად XXI საუკუნეში თამამად შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო ახალი ერა მსგავსი ტიპის ხარხნლულიანი თოფებისა. რაც ჩვენთვის საინტერესო და მთავარია, მათთვის რეკომენდირებული, ახალი თაობის ვაზნებისა და თავად იარაღის შოვნა უკვე საქართველოშიც შესაძლებელია.

უფრო რომ დავწვრილმანდეთ, მარტივად აღმოვაჩენთ იარაღის კონკრეტულ უპირატესობებს. მითითებული ტიპის ვაზნითა და ზემოთხსენებული, 12 კალიბრიანი, ხრახნიანი ლულით უფრო ზუსტი და ამავდროულად, რაღათქმაუნ-







ბელგიაში, FN Herstal-ის ქარხანაში წარმოებული
Winchester SX3 Combo-ს ხრახნიანი, 61-სმ-იანი ლულა

და უფრო მეტი ენერგია მომცემი ნასროლი შეიძლება გამოგვივიდეს, ვიდრე მაგალითად რუსული AKM-ით. მაგალითის სახით შეგვიძლია გავაკეთოთ SX-3 Combo-თვის „ვინჩესტერის“ კომპანიის თანამშრობლების მიერ რეკომენდირებული ვაზნის შედარებითი განხილვა სხვა მწარმოებლების მიერ შექმნილ პოპულარულ ვაზნებთან. ამავდროულად შესაძლებელია მონაცემები შევადაროთ რომელიმე შაშხანას. თუნდაც რუსულ (საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებულ) СКС-ს. გარდა ამისა წიგნში წარმოგიდგენთ Winchester SX3-ის შედარებით განხილვას იმავე ტიპის, თანამემამულე Remington-ის ნახევრადავტომატურ თოფთან 11-87 Sportsman Synthetic Black-თან, რომელსაც მასავით ორი ცვლადი ლულა მოყვება. მის შემთხვევაშიც მოკლე ლულა ხრახნიანია, გრძელი ლულა კი გლუვი. საბედნიეროდ ორივე მოდელის საქართველოში იმპორტი მოხერხდა კომპანია „ქარავანი+“-ის მეშვეობით. შესაბამისად გარდა იმისა, რომ შევძელით საზღვარგარეთ არსებულ საგამოფენო კომპლექსებში თუ სასროლეთებში შეგვეფასებინა და შეგვედარებინა ერთმანეთისათვის ზემოთხსენებული იარაღები, მოხერხდა მათი ადგილზე ჩამოტანა და საქართველოში სრულფასოვნი, დეტალური განხილვა.

ჩვენს მიერ იმპორტირებული თოფების მიხედვით, Winchester SX3 Combo-ს ხრახნიანი ლულა Remington 1187 Sportsman Synthetic Black-ის ხრახნიან ლულასთან შედარებით საკმაოდ გრძელი გამოდგა. „ვინჩესტერის“ 61 სანტიმეტრიან ლულას ზემოდან დამაგრებული ჰქონდა პიკატინის ტიპის სამიზნე ხიდი ოფტიკური მოწყობილობის დასამაგრებლად. ამასთანავე ის აღჭურვილი იყო ღია ხედვის, წინა და უკანა სამიზნეებით. მათში მოწონებას იმსახურებდა ტრიტიუმის ჩხირები, რომლებიც დამიზნებისას აადვილებდნენ მსროლელის თვალზე დაკისრებული ფუნქციის შესრულებას. რაც შეეხება „რემინგტონის“ ლულას, მისი სიგრძე 53,3 სანტიმეტრს შეადგენდა. მას ზემოდან დამაგრებული ჰქონდა პიკატინის ტიპის სამიზნე ხიდი. თუმცაღა „ვინჩესტერისაგან“ განსხვავებით არ ჰქონდა ღია ხედვის სამიზნე მოწყობილობა.

სინთეტიკური კონდახით აღჭურვილი „რემინგტონი“ თითქოს უფრო გამძლედ გამოიყურებოდა და შედარებით უფრო სტაბილური თოფის შტაბეჭდილება დატოვე ჩვენზე. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ამგვარი მასალისაგან დამზადებული კონდახი ბევრად მოხერხებული სახმარია ტყეში, რთულად გასავლელ, დატოტილ ადგილებსა თუ ჯაგნარში ნადირობისას. ამგვარ ვითარებაში მონადირეს უხდება ზოგჯერ ისეთ პირობებში სიარული, რომ შესაძლოა გადაადგილებისას თოფი დაიკაწროს, დასველდეს ან დაუზიანდეს ხის ფაქტურა. შესაბამისად ხელოვნური მასალისაგან შექმნილი ვერსია ბევრად პრაქტიკულია. თავად „ვინჩესტერი“ ხის კონდახით იყო აღჭურვილი, რომელიც დაფარული იყო ზეთით და სპეციალური დამცავი საფარით. თუმცაღა შეუძლებელია ხის ისე დამუშავება, რომ მან ხმარებისას, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ შეინარჩუნოს პირვენადელი სახე. რათქმაუნდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხის კონდახით აღჭურვილი ვერსია ძირითად შემთხვევებში ბევრად უფრო მიმზიდველად და ლამაზად გამოიყურება ხოლმე, ვიდრე სინთეტიკური კონდახით Aდაკომპლექტბული იარაღი.

მოსაზრებას 11-87-ის უტყუარობასა და გამძლეობის შესახებ მისი სისტემური კოლოფიც ამყარებდა. დღესდღეობით „რემინგტონი“ ერთადერთია მსოფლიოში (რათქუმანდა არ იგულისხმება იტალიური კოსმი), რომელიც სრულად რკინის მასალისაგან აგებს აღნიშნულ დეტალებს. სხვა ყველა დანარჩენი კომპანია, რომელიც ნახევრადავტომატურ, გლუვლულიან თოფებს აწარმოებს, ძირითადათ მყარი ალუმინის, იგივე ერგალის მასალისაგან ამზადებს ზემოთხსენებულ ნაწილს. შესაბამისად მათ კატეგორიას განეკუთვნება Winchester SX3-იც. თუმცაღა „ვინჩესტერს“ იმდენად საზრიანად, მასიურად და კარგად აქვს გაკეთებული ლულის დამაბალანსებელი გამვრცობი – ჩამკეტი დეტალი, რომ მისი არსებობის შემთხვევაში სისტემური კოლოფი ფაქტიურად 100%-ითაა დაცული.



Winchester SX3 Combo-ს დაშლა/აწყობა აირებით მტენი მექანიზმის კვალობაზე საკმაოდ იოლად ხორციელდება. ტიბჟირისა და ლულის მოხსნის შემდგომ საკეტს ვხსნით სახელურს და ვათავისუფლებთ. მისი გამოღების შემდგომ სისტემურ კოლოფში გაყრილ ორ ფოლადის ჩხირს ვაძრობთ თოფს და სასხლეტი მექანიზმი გამოდის გარეთ. შედეგად შესაძლებელი ხდება იარაღის სრულყოფილად გასუფთავება



Remington 1187-ისა და Winchester SX3 combo-ს ხრახნიანი ლულები



Remington 1187 Combo Rifled კალ. 12/გლუვი და კალ. 12/ხრახნიანი ლულებით

ხელში აღებისას მსროლელი უმალვე მიხვდება და შეიგრძნობს, რომ ორივე თოფი იდეალურად ზის მხარზე. SX3-ის წონა, რომელიც მოკლე, ხრახნიანი ლულით 3480 გრამს შეადგენდა, შესანიშნავი ბალანსის ხარჯზე არაჩვეულებრივად მოვირგეთ სხეულზე. „რემინგტონი“ „ვინჩესტერთან“ შედარებით ზუსტად 110 გრამით მსუბუქი იყო და 3370 გრამს იწონიდა. ხელში აღებისას ისიც შესანიშნავად იჯდა მხარზე და აშკარად ეტყობოდა რომ მოკლე ლულისა და ბალანსის გამო შედარებით მოსახერხებელი იქნებოდა ტყეში გადაადგილებისას.

„ვინჩესტერს“ საკეტის დამშვები ღილაკი სტანდარტულად, სისტემური კოლოფის მარჯვენა, წინა ბოლოში აქვს განთავსებული. „რემინგტონს“ კი ანალოგიური ფუნქციის შემასრულებელი მოწყობილობა სისტემური კოლოფის არა გვერდით, არამედ ქვედა ნაწილში აქვს გაკეთებული. ენის უკანა მხარეს განთავსებულ ღილაკზე ზემოქმედებით ხდება ღია საკეტის დაშვება. აღნიშნული ღილაკის ზომიდან, აგებულებიდან და განთავსების ადგილიდან გამომდინარე ბევრად მოხერხებულია „რემინგტონზე“ ზემოთხსენებული პროცედურის შესრულება, ვიდრე ეს „ვინჩესტერის“, ან თუნდაც სხვა დანარჩენი ბრენდის ნახევრადავტომატური თოფების შემთხვევაში ხორციელდება. უნდა აღინიშნოს, რომ სისტემური კოლოფის ქვეშ განთავსებული ღილაკი ამავროულად ერთგვარი დამცველიც გახლავთ. როდესაც ვაზნას ვდებთ მჭიდჭი, მასზე თითის დაჭერის გარეშე ენა არ მოძრაობს და არ შედის შიგნით. ამით გამორიცხულია გასროლისას, ანუ ავტომატურად გადატენვისას მჭიდიდან წამოღებული პირველი ვაზნის შემდგომის ქვევიდან შემთხვევითი ჩამოგდება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრობლემა ადრინდელ „ბრაუნინგის“ ნახევრადავტომატურ თოფებს ჰქონდა.

სასხლეტის დამცველი ღილაკი ორივე თოფს ერთი და იმავე პოზიციაში, სასხლეტის ბუდეზევე, კონდახის ყელის სიახლოვეს აქვთ განთავსებული. მასზე ცერა თითის დაჭერა საკმარისად ჩუმად და მარტივად ხორციელდება.

დაშლა აწყობისას „ვინჩესტერი“ უფრო ცოტა დეტალებად იშლება და უფრო მალეც, ვიდრე „რემინგტონი“. ორივე მათგანი აირებით მტენი, თვითმწმენდი, თვითრეგულირებადი სისტემითაა აღჭურვილი. ორივე იარაღის მექანიზმი იდეალურად ასრულებს თავისზე დაკისრებულ მოვალეობას. ბალისტიკური თვალსაზრისით SX3-ის გრძელი, გლუვი ლულით, ცოტა უხეშად რომ ითქვას, დაახლოებით ანალოგიური შედეგების მიღებაა შესაძლებელი, რაც 11-87-სა ან თუნდაც „ბერეტას“ ლულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ლეგენდარული „კოსმის“ შემდგომ სამივე მათგანი საუკეთესო ბალისტიკური მაჩვენებლის მომტანი იარაღებია



Remington 1187 Combo და Winchester SX3 Combo მოკლე ლულებით





Winchester SX3-ის სისტემური კოლოფი



Winchester-ზე საკეტის დამშვები ღილაკი განთავსებულია მარჯვენა მხარეს, ხოლო Remington-ის ქვედა მხარეს, ვაზნის მომმარაგებელი ენის ძირში



ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებული Remington-ის ხრახნიანი ლულა

ნახევრადავტომატური თოფების კატეგორიებში. რაც შეეხება მოკლე, ხრახნიან ლულებს, „ვინჩესტერს“ ის ოდნავ უფრო გრძელიც აქვს და როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაკრვეული, სპეციფიკური სისტემებით აქვს აღჭურვილი. სისტემებში იგულისხმება Back-Bore და Invector+, რომელთა მეშვეობითაც



Remington 1187-ის დამცემ-სასხლეტი მექანიზმი

იზრდება – უკეთესდება ბალისტიკური მაჩვენებლები და მცირდება უკუცემა. შესაბამისად აღნიშნული ტიპის ლულიდან ტყვიის გასროლისას შესაძლებელია, რომ „ვინჩესტერიდან“ ნასროლი უფრო ეფექტური გამოდგეს, ვიდრე „რემინგტონის“ ლულიდან. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 11-87-თვის საქართველოში მოხდა ისეთი ლულების იმპორტიც, რომელთა სიგრძე 59 სანტიმეტრს უტოლდებოდა. მათი მეშვეობით უკვე სხვაობა სიზუსტეში ფაქტიურად აღარ იქნება.

ორივე თოფს ძალზედ კარგი, სწრაფი და მოსახერხებელი სისტემა გააჩნიათ ვაზნების გადატენვის და დაცლის მხრივ. აღნიშნული პროცედურების შესრულებისას ვაზნის ჩამოგდება სისტემურ კოლოფში



ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებული Remington-ის ხრახნიანი ლულა

დამატებითი ღილაკით არაა საჭირო, რაც გვხვდება ხოლმე Beretta, Benelli, Stoeger, MP-155 თუ სხვა ნახევრადავტომატური თოფების შემთხვევაში. საკეტის სახელურზე მოქაჩვით ვაზნა მჭიდიდან პირდაპირ სავაზნეში გადაინაცვლებს. დაცლისას კი ანალოგიური პროცედურა მეორდება და ყოველი შემდგომი ვაზნა ვარდება სავაზნე ფანჯრიდან გარეთ რა დროსაც მჭიდიან მომდევნო ვაზნა მიეწოდება იარაღს, ლულაში-სავაზნეში.

ვაზნას, რომელიც SX-3-ის მოკლე, ხრახნიანი ლულით უნდა ვისროლოთ ეწოდება Winchester Slug Supreme Elite XP-3. მის დასამზადებლად იყენებენ ახალი თაობის დენთს. ფხვნილი იდეალურ ეფექტს იძლევა. ის ბევრად უფრო სწრაფია და მეტი ენერგიის მომცემია. მასვე იყენებენ (რათქმაუნდა სახეშეცვლილი ფორმით) შაშხანის E-Tip-ის ვაზნების დასამზადებლად. მას უწოდებენ მე-2 თაობის დენთს G2-Ganeration 2. თოფის ვაზნის ტყვია მოთავსებულია სპეციალურ სპეციალურ „საბოტის“ ბუდეში, რომელიც გამოსვლის დროს თანმიმდევრულად იხსნება ოთხი მიმართულებით. ქვეკალიბრიან ტყვიას თავზე გაკე-



Remington-ისა და Winchester-ის დამცველი ღილაკები ერთსა და იმავე პოზიციაზე არიან განთავსებულები

თებული აქვს ტრიტიუმის შემცველობის წვეტიანი ფორმის ქუდი, რომელიც მას მატებს სიზუსტეს და ეხმარება უკეთესად დაძლიოს მოძრაობის დროს ხახუნის ძალა ჰაერთან მიმართებაში. მოხვედრისას თავად ვაზნის თავი იხსნება და გამანადგურებელ ძალით უზარმაზარ დარტყმას აყენებს ცხოველს. ერთობლიობაში ეს ყველაფერი იძლევა იდეალურ შედეგს, რომელსაც თითქმის ვერც ერთი ნახევრად ავტომატური, 12 კალიბრიანი იარაღი თუ ვაზნა ვერ გვაძლევს. მითუმეტეს მაშინ, როდესაც გასროლა ხდება „ვინჩესტერის“, „ბრაუნინგის“ ან „რემინგტონის“ ხრახნიანი ლულით. აღსანიშნავია, რომ სწორედ „ვინჩესტერისა“ და „ბრაუნინგისათვის“ მზადდება ბელგიაში, ქალაქ ჰერშტალში ზემოთხსენებული ლულები. თუმცაღა ეს მხოლოდ ვეროპის ბაზრისათვის განკუთვნილი მოდელების შემთხვევაში ხორციელდება. ამერიკისა და კანადის ბაზრისათვის იარაღები კეთდება მხოლოდ ამერიკაში და უნდა აღინიშნოს რომ თითქმის არაფრით ჩამოუვარდება ევროპულ ხარისხს. ამ შემთხვევაში ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამერიკაშიც და ბელგიაშიც ქარხნები და შიგნით განთავსებული დაზგა, დანადგარები ერთი და იმავე კომპანიის საკუთრებაა და შესაბამისად ერთი და იმავე პრინციპებისა თუ მეთოდიკის გათვალისწინებით ხდება იარაღების ამა თუ იმ დეტალის დამზადება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოგიდგენთ აღნიშნული ვაზნის შედარებას სხვა მსგავსი შედეგის მომცემ ვაზნებთან, რომელთაგანაც ერთ-ერთია რუსული ბარნაულის მიერ წარმოებული 7,62x39 mm. ბალისტიკურ გრაფაში მოცემული ინფორმაცია მიღებულია რუსული СКС-იდან გასროლისას მიღებული ერთ-ერთი საუკეთესო ბალისტიკური მაჩვენებლების შედეგად.

ასევე წარმოდგენილია მსგავსი ტიპის ტყვიების წარმობაში მსოფლიო ლიდერის, კომპანია Federal Premium-ის მიერ შექმნილი ვაზნა-slug Barnes Expander 12/76, ანალოგიური „საბოტის“ ტიპის ბუდით, ახალი თაობის დენთით და სტანდარტულზე მსუბუქი ტყვიით. მისი გასროლის შედეგად დაახლოებით ანალოგიური ეფექტისა და სიზუსტის ჩვენებაა შესაძლებელი, რაც ზემოთხსენებული XP-3-ით.

მათ გვერდითაა იმავე „ვინჩესტერის“ ვაზნა, რომელიც კონკურენტებთან შედარებით უფრო მეტი ენერგიის მომცემია. თუმცაღა ნაკლებად ზუსტია შორ დისტანციებზე. ბოლოს კი ნაჩვენებია გერმანელების მიერ შექმნილი ბრენეკეს ტყვია, რომელიც გასროლის შედეგად გამოყოფილი უზარმაზარი ენერგიით გამოირჩევა.

შედარების შედეგად მიღებული მონაცემებით აშკარაა რომ

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
Winchester SX3 Combo – 12/76	
კარგი ბალისტიკური მონაცემები	ოდნავ მაღალი ფასი
უტყუარი, სტაბილური მექანიზმი	მიუხედავად იმისა, რომ მოკლე ლულაზე განთავსებული სამიზნე ხიდი, რომელიც გარკვეულწილად არეგულირებს ბალანს, ცოტათი (200 გრამით) ამძიმებს თოფს
უნივერსალურობა, მფლობელი ძალულს თითქმის ყველა სახის ცხოველსა და ფრინველზე ნადირობა	
თანამედროვე დიზაინი გაწყობილი ხის კონდახით	
მიუხედავად გაზებით მტენი სისტემისა, დაშლა აწყობა საკმაოდ მარტივია და შემცირებულია დეტალების საერთო რაოდენობა	
ლულაზე განთავსებულია ღია სამიზნესთან ერთად ოფტიკური სამიზნის დასამაგრებელი	
ძაან სწრაფი ფუნქციონირება	
კარგი ბალანსი	
სტანდარტულზე მეტად შემცირებული უკუცემა.	
ბელგიაში FN-ის ქარხანაში დამზადებული სტანდარტულზე უკეთესი ბალისტიკის მქონე ლულები	
თვითრეგულირებადი, თვითმწმენდი აირებით მტენი სისტემა	
Remington 1187 Sportsman Synthetic Black – 12/76	
კარგი ბალისტიკური მონაცემები	მოკლე, ხრახნიან ლულას არ აქვს ღია სამიზნე მოწყობილობა
უტყუარი, სტაბილური მექანიზმი	სისტემური კოლოფი, განსაკუთრებით შიდა. პერიმეტრი, უხეშადაა დამუშავებული.
რკინის სისტემური კოლოფი	დაშლა/აწყობა შედარებით რთულად ხორციელდება
უნივერსალურობა, მსროლელი ნადიროფს თითქმის ყველა სახის ცხოველსა და ფრინველზე.	
კარგი ბალანსი	
მისაღები ფასი	
ექსტრემალურ პირობებებში როგორც სისტემა, ისე კონდახი საკმარისად ამტანია და თავისზე დაკისრებულ მოვალეობს იდეალურად ასრულებს	
თვითრეგულირებადი, თვითმწმენდი აირებით მტენი სისტემა	

www.caravani.ge

სიზუსტის მხრივ ყველაზე კაი მაჩვენებლები მივიღეთ კომპანია „ვინჩესტერის“ მიერ შექმნილი ვაზნით-სახელწოდებით Winchester Slug Supreme Elite XP-3 – მაგნუმის ყალიბით – 12/76. შემდგომ CKC-ით გასროლილმა ვაზნამ 7,62x39 მმ აჩვენა ზუსტი შედეგები. შემდგომ Winchester Slug Supreme Elite XP-3 – სტანდარტული ყალიბით – 12/70 და Federal SaboT Slug-Barnes Expander-მა ყალიბით 12/70. „ვინჩესტერის“ მძიმე ტყვიიანი, სტანდარტული ვაზნითა და ბრენეკეს Super Magnum (12/76)-ის ვაზნით ნაკლებად ზუსტი მონაცემების მომსწრენი გავხდით. ენერგიის მხრივ საუკთესო შედეგები მივიღეთ Brenneke Super Magnum 12/76-ითა და Winchester Slug Supreme Elite XP-3-მაგნუმის ყალიბით – 12/76.

რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს 100 და 175 მეტრ დისტანციაზე Wichester SX-3-დან და Remington 11-87-დან (სლუგერის ხრახნიანი ლულიდან) გასროლილ ვაზნას უფრო ზუსტი შედეგის ჩვენება ძალუძს, ვიდე რუსული CKC-ით ნასროლ (აღებულია თავად ბრენდის მიერ ჩატარებული ცდებისას მიღებული ერთი ერთი საუკეთესო ბალისტიკური შედეგი.) 7,62x39 მმ-ის ვაზნას. კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება მხოლოდ სიზუსტე და არა ძალა, რომელიც 12 კალიბრიან იარაღს 7,62x39 მმ-ზე ყოველთვის ბევრად მეტი აქვს. შესაბამისად ზემოთხსნებული იარაღითა და შესაბამისი ვაზნით ნადირობა ტყეში ნებისმიერ ნადირზე ბევრად უფრო მასახერხებელია ვიდრე სხვა ტიპის ტყვიით, CKC-თა თუ მსგავსი ტიპისა და ყალიბის მქონე შაშხანით. რაც შეეხება ვაზნას, Winchester Slug Supreme Elite XP-3-მა მაგნუმის ყალიბით – 12/76 და Federal SaboT Slug-Barnes Expander-მა აჩვენეს თავისი უნივერსალურობა როგორც სიზუსტეში, ასევე ენერგიაში. რაც მთავარია მოხვედრის ადგილის დათვალიერებისას მათ მიერ მიღებულ იქნა საუკეთესო ეფექტი.

ვაზნების შედარებითი განხილვა:	Winchester Slug Supreme Elite XP-3.	Winchester Slug Supreme Rack Master	Brenneke Super Magnum	Federal Premium-Barnes Expander	Barnaul (CKC)
ყალიბი:	12	12	12	12	**7,62x39**
ვაზნის სიმაღლე: (მმ)	70 / 76	70 / 76	76	70	56
ტყვიის წონა: (გრ.)	19,5	31,5	39	21,25	(125 გრეინი) 8.09987 გრ.
ტყვიისათვის რეკომენდირებული ლულის სახეობა:	ხრახნიანი	გლუვი/ ხრახნიანი	გლუვი/ ხრახნიანი	ხრახნიანი	შაშხანა!
საწქისი სიჩქარე: (მ/წმ.) V0	610 / 640	496 / 518	450	580	720
სიჩქარე 50 მეტრზე – V50	552 / 580	377 / 410	335	510	680
სიჩქარე 100 მეტრზე – V100	494 / 520	309 / 335	282	445	640
სიჩქარე 150 მეტრზე – V150	444 / 493	273 / 295	250	405	600
გასროლის შედეგად გამოყოფილი ენერგია (ჯოული):					
საწყისი (0 მეტრზე) – E0	2.665 / 3981	.-	.-	3550	2169
ენერგია 50 მეტრზე: – E50	2.968 / 3251	2.237 / .-	3947	2800	1908
ენერგია 100 მეტრზე: – E100	2.377 / 2635	1.503 / .-	1552	2185	1674
ენერგია 150 მეტრზე: – E150	1.921 / 2367	1.173 / .-	1050	1733	1461
ღია სამიზნით (ოფტიკის გარეშე) 5 გასროლის შედეგად მიღებული საშუალო ბალისტიკური შედეგები (სმ), ლულისა და ჩოკის საუკეთესო კომბინაციით:					
35 მეტრზე:	3 სმ² სლუგერი/ ხრახნიანი	12 სმ²-1/4 ჩოკით	15 სმ²-1/4 ჩოკით	5-სმ² სლუგერი/ ხრახნიანი	
60 მეტრზე:	5 სმ² სლუგერი/ ხრახნიანი	.-	.-	.-	5სმ
ტყვიის ფრენის ტრაექტორია სანათურთან:		.-	.-5.0 სმ	.-	.-1.5 სმ
25 მეტრი:	.-0,2 სმ /-0,2 სმ	.-	. +2.2 სმ	. +1,4 სმ	.-
50 მეტრი:	. 0,8 სმ / 0,5 სმ	.-	. +5.1 სმ	. +2.2 სმ	. +0.2 სმ
75 მეტრი:	. 0,7 სმ / 0,6 სმ	.-	. +2.7 სმ	. +1,8 სმ	.-
100 მეტრი:	0	.-	.-6.2 სმ	0	0,1 სმ
125 მეტრი:	.-1,5 სმ /-1.3 სმ	.-	.-	.-3,3 სმ	.-
150 მეტრი:	.-3,9 სმ /-3.5 სმ	.-	.-	.-	.-
175 მეტრი:	.-7,3 სმ /-6.5 სმ	.-	.-	.-	.-6,7 სმ

WINCHESTER 70 S.P.R.

ზოგადად „ვინჩესტერის“ ბრენდის განხილვისას აღბათ უსამართლობა იქნება აღნიშნული კომპანიის მიერ დღემდე სერიულ წარმოებაში არსებული, ცილინდრული ტიპის საკეტით აღჭურვილი შაშხანა, Winchester M70 (model 70) არ ვახსენოთ. ამგვარი ტიპის იარაღების კატეგორიაში კომპანია ყოველთვის გახლდათ „რემინგტონის“ კონკურენტი და თითქმის ყოველთვის სჯობდა გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით თავისი ძმობილის, Browning-ის „ბოლტებს“. „რემინგტონის“ შემთხვევაში, იგულისხმება მოდელი Remington 700, რომელიც კონკრეტული მახასიათებლებით შესაძლოა მართლაც იდგეს Winchester M70-ზე ოდნა უფრო მაღლა. მაგრამ ძალზედ რთული საკითხია და შეუძლებელია იმის თქმა გადაჭრით, რომ რომელიმე მათგანი მეორეზე უკეთესია. ორივეს ახასიათებს გარკვეული დადებითი თვისებები და ორივე მათგანს აქვს უპირატესი მხარეები. თუმცაღა ამჟამად ერთი რამ ფაქტია. დღესდღეობით კონკურენტი „რემინგტონის“ მიერ წარმოებული შაშხანების ბევრად უფრო მეტი მოდიფიკაცია იწარმოება და შტატების ბაზარზს რომ თავი დავანებოთ თითქმის ყველა სხვა ქვეყანაში იგი უფრო პოპულარულია ამა თუ იმ გარემოების გამო. განსაკუთრებულ მოწონებას „რემინგტონის“ სპორტული, ვარმინტის და ტაქტიკური ვერსიები იმსახურებენ. შესაბამისად „ვინჩესტერმაც“ წარმოადგინა ცივილური ბაზრისათვის M-70-ების სერიდან ახალი ვერსია Winchester 70 S.P.R. (Special Precision Rifle – სპეციალური ზუსტმსროლელი შაშხანა). იმის შეფასება, თუ რამდენად კარგი და ეფექტური იარაღია აღნიშნული მოდელი, სჯობს თავად მკითხველმა გადაწყვიტოს მისი მოკლე განხილვის შედეგად.

სერიულად იარაღი მწვანე ფერის, სინთეტიკური კონდახებით იწარმოება. მისი ხილვა 2012 წლის მარტში, გერმანიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე მოვახერხედ. კონდახზე განთავსებული მხარზე საყრდენი ბალიში არასტანდარტულად სქელი იყო. აგრეთვე მას დამატებით მოჰყვებოდა სამი ფირფიტა სიგრძის დასარეგულირებლად. სალოყე ბალიში მოძრაობდა ძირითადათ ვერტიკალური მიმართულებით. თუმცაღა მისი ჰორიზონტალური მიმართულებით რეგულირება გარკვეულ წილად შესაძლებელი იყო.







Winchester 70 S.P.R. აღჭურვილია მაღალი პიკატინის ტიპის ხიდით და რეგულირებადი სალოყე ბალიშით

ყველაზე მეტად იარაღის ცილინდრული ტიპის, წრფივად მოძრავმა საკეტმა მექანიზმა მოგვხიბლა. იგი გარკვეულწილად ჰგავდა ლეგენდარული Mauser-98-ის სისტემას. თუმცაღა საფუძვლიანად გაცნობისას ბევრი სხვაობა აღინიშნებოდა ამ ორ სისტემას შორის. „ვინჩესტერის“ საკეტის მარჯვენა მხარეს განთავსებული მასიური, ბრტყელი და განიერი, წახნაგი სრიალებს თავისუფლად, შეუფერხებლად დაახლოებით ჰილზის ძირის მეოთხედ მანძილზე. შესაბამისად გადატენვის დროს მჭიდიდან ვაზნა იარაღს ლულაში მიეწოდება ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე და გარანტირებულადაა ჩაკეტილი მის საბოლოო ამოგდებამდე. აგრეთვე შესაძლებელი ხდება გაუსროლელი ვაზნის ამოგდება იმ შემთხვევაშიც კი თუ ის სრულყოფილად არ არის მოთავსებული სავაზნეში. აღნიშნულ სისტემას კომპანიის კონსტრუქტორებმა უწოდეს Controlled Round Feed (CRF) system.

ეგრედწოდებული „ბოლტის’ ბოლოში არსებული სასხლეტის დამცველი ღილაკი – ბერკეტი სამი პოზიციისაგან შედგება. პირველი პოზიცია, ანუ უკან მოწეული ვერსია ახორციელებს თავად საკეტისა და სასხლეტის ერთდროულად ჩაკეტვას. მეორე, შუაში მყოფი ვერსია კეტავს მხოლოდ სასხლეტს, საკეტის მოძრაობა კი თავისუფალია და შესაძლებელია გადატენვის პროცედურის განხორციელება. წინ მიწეული ბერკეტი კი აღნიშნავს საცეცხლე პოზიციას, რომელსაც ზემოდან გაკეთებული აქვს წარწერა – FIRE.

უნდა აღინიშნოს რომ მსგავსი სისტემებით აღჭურვილი და ანალოგიური პრინციპების მქონე ჩამკეტი/გამღები თავებით დაკომპლექტებული მექანიზმები მართლაც იდეალურად ასრულებენ თავისზე დაკისრებულ მოვალეობას. თავად ზემოთხსენებული მოდელი კი მისი ფასიდან და ფუნქციონალურობიდან გამომდინარე აშკარად აღე-

მატება ბევრ კონკურენტ მოდელს კონკრეტულ საკითხში.

Winchester 70 S.P.R.-ის სასხლეტ მექანიზმს შემქმნელებმა M.O.A.-სისტემა უწოდეს. იდეის განხორციელებისას შექმნილ იქნა დამცემ-სასხლეტი სტრუქტურა, რომელიც სტანდარტული, კონკურენტი ვერსიებისაგან განსხვავდებოდა სამი ძირითადი ფაქტორით. პირველი გახლავთ სასხლეტზე ზემოქმედების ძალა, რომელიც ძალზედ მცირეა და განსხვავებული შეიძლება იყოს. მინიმალურ მონაცემებზე დაყრდნობით ის მიახლოებით 1,3 ან 1,4 კილოგრამს უტოლდება. ეს კი იმას ნიშნავს რომ სროლის წარმოებისას ფაქტიურად არავითარი ზედმეტი ენერგია აღარაა საჭირო სასხლეტის გამოსაკრავად. მეორე ფაქტორს რაც შეეხება სასხლეტის მოძრაობას, გამოკვრისას მის მიერ განვლილი მანძილი იმდენად მცირეა, რომ მისი გაზომვა თითქმის შეუძლებელია და ფაქტიურად ნულის ტოლია. ეს ძალზედ კარგი თვისებაა ზუსტი სროლის საწარმოებლად. მესამე მახასიათებელი გახლავთ გამარტივებული მექანიკური სასხლეტი მექანიზმი. სისტემა სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება, რომელთაც ზამბარები აკავშირებთ. სასხლეტზე თითის გამოკვრისას გამორიცხულია გარკვეული დაბრკოლებების წარმოშობა, სასხლეტის ჩავარდნა ან მექანიზმის გაჭედვა – გათიშვა.

„ვინჩესტერის“ ცილინდრული საკეტი მექანიზმით აღჭურვილ იარაღების ლულები მასიური, ნაწრთობი – ლეგირებული ფოლადისაგან ცივად იჭედება. ჩვენს მიერ განხილვად ვერსიას დამაგრებული ჰქონდა საკმაოდ გრძელი, 61 სანტიმეტრიანი სქელი ლულა. როგორც გამოფენაზე არსებულმა კონსტრუტორებმა განგვიმარტეს, შაშხანის ეფექტური სროლის მანძილი დღევანდელ პირობებში თავისუფლად შეიძლება 1000 მეტრი იყოს. ეს კი .308 Winchester-ის ვაზნისათვის ფაქტიურად იდეალური შედეგია და მსოფლიო მაშტაბით ხელზე ჩამოსათვლელია იარაღები, რომელთაც ძალულთ ამგვარი ბალისტიკური შედეგების ჩვენება.

შაშხანის მჭიდის გამომღები ღილაკი სასხლეტის ბუდის ზედა ბოლოშია განთავსებული. მასზე დაჭერისას მჭიდი მთლიანად არ სცილდება იარაღს და მხოლოდ მისი უკანა მხარე ჩამოდის დაბლა, რათა ექსტრემალურ პირობებში გამორიცხულ იქნას მისი დაკარგვა.

რკინის სისტემურ კოლოფზე განთავსებულია პიკატინის საკმაოდ გრძელი ხიდი ოფტიკური სამიზნე მოწყობილობების დასაყენებლად.

Winchester 70 S.P.R.-ის საგამოფენო ფასი 1700 დოლარს შეადგენდა. ეს კი ამერიკული ბაზრისათვის ღირებულების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

REMINGTON

ამერიკული იარაღების მწარმოებელი ბრენდი „რემინგტონი“ ერთ-ერთია იმ უძველესი კომპანიებიდან, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს იარაღების ინდუსტრიას დასავლეთში. ელიფალეტ II რემინგტონი გახლავთ კომპანიის დამაარსებელი. იგი დაიბადა 1793 წელს და გარდაიცვალა 1861 წელს. მისი მამა ელიფალეტ I გახლდათ ლულების ოსტატი. შვილმა კი მამის სახელოსნოში 1816 წელს დაამზადა თავისი პირველი კაჟიანი თოფი. 1825 წელს ნიუ-იორკის შტატში, ქალაქ ილიონში მამამ და შვილმა ერთობლივი ძალებით შექმნეს ფირმა სახელწოდებით E.Remington&Son. 1844 წელს შვილიშვილებმა, ფილო, სემუელ და ელიფალეტ III რემიგნტონებმაც ოჯახური ბიზნესის გაფართოება გადაწყვიტეს და შეუერთდნენ კომპანიას. 1888 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაბ – Hartley&Graham-მა გადაიბარა წარმოება და შესაბამისად შეიცვალა სახელწოდებაც Remington Arms Company-ით. ამჟამად მათი აქტუალური, მმართველი ჯგუფი განთავსებულია ბრიდჯპორტში, (Connecticut) და აქციების უმთავრესი ნაწილი ეკუთვნის Du Pont კონცერნს.

დასაწყისისათვის რემინგტონმა პოპულარობა მოიპოვა რევოლვერის Army-1863-ის მეშვეობით. იმავე წელს მისმა კომპანიმ აწარმოა შაშხანა და სერიული გაყიდვებიც დაიწყო ბაზარზე.



Remington-ის ნახევრადავტომატური გლუვლულიანი სანადირო თოფები

იარაღი გახლდათ Leonard Geiger-სა და Joseph Rider-ის 1863 წელს შექმნილი მოდელის საფუძველზე აგებული. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ფირმას შეუკვეთა 15.000 ერთეული მსგავსი ტიპის ვერსია ყალიბით .56-50. მას მთავრობამ მალევე მოაყოლე ახალი, დამატებითი 5000 ერთეულის შეკვეთა ამჯერად .46, განსხვავებული ყალიბის მქონე შაშხანებზე. ამავდროულად შაშხანა შვედეთის სახელმწიფო ორგანოების შეკვეთითაც დამზადდა და სამშობლოდან პირველად გავიდა ექსპორტზე.

გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ კომპანია „რემინგტონი“ უამრავ შეკვეთებს ღებულობდა სხვა და სხვა ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურებიდან და შესაბამისად კონკრეტული დროის მონაკვეთში მათი ძირდათი საქმიანობა სამხედრო დანიშნულების იარაღების დამზადება იყო. აგრეთვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სანადირო და სპორტული იარაღების ბაზარზე მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული თავისი ადგილი იმდროინდელ კონკურენტუნარიან ბრენდებს შორის. ამასთანავე ფირმა სხვა ცივილური იარაღების მწარმოებლებისათვის ამზადებდა იარაღის სხვა და სხვა კომპონენტებს. მას შემდგომ რაც მათ გადაწყვიტეს კერძო პირებისათვისაც დაემზადებინათ იარაღები და ჩვეულებრივი მონადირეებზე თუ სპორტსმენებზე განეხორციელებინად გაყიდვები, უმალვე მიაღწიეს ფინანსურ და არა მარტო ფინანსურ წარმატებას.

პირველი მსოფლიო ომის დროს ამერიკის მთავრობამ დაავალა „რემინგტონს“ სამხედრო იარაღების, კერძოდ Enfield-1917-ის დამზადება. მეორე მსოფლიო ომის დროს კომპანია დიდი






Remington 700-ისა და Remington 40 ის ტიპის ზუსტმსროლელი შაშხანები



Remington 700-ის ექვსკუთხა ტაქტიკური ლულა

რაოდენობით ამზადებდა Colt-1911-ებს. 60-იან წლებში ბაზარზე გამოჩნდა დღესდღეობით ყველასათვის ცნობილი Remington 700. მისმა პოპულარობამ ამერიკის სამხედრო თუ პოლიციურ ქვედანაყოფებში გამოიწვია სხვა ქვეყნების მთავრობების ინტერესი ზემოთხსენებულ მოდელზე. ცოტა მოგვიანებით კი იარაღი აწარმოეს სანადირო და სპორტული ვერსიის სახითაც. აღნიშნული მოდელის „წინაპრები“ იყვნენ ორი განხვავებული ყალიბის მქონე იარაღები სახელწოდებით Remington 721 და Remington 722. ამათაგან პირველი მსხვილკალიბრიანი შაშხანა გახლდათ, ხოლო მეორე მცირეკალიბრიანი (22 L.R.) ვერსია იყო. მათი შეცვლა და გაუმჯობესება 1962 წელს მოხდა რემინგტონ-700-ის სახით.

მას შემდგომ რაც საზოგადოებაში დამკვიდრდა და სამოქალაქო თუ სხვა სახის იარაღის ბიზნესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა გამოფენები და მისი მეშვეობით ახალი პარტნიორების ძიება, კომპანია „რემინგტონი“ მისი დაწყებიდან დღემდე აგრძელებს მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობას. დღესდღეობით ამერიკული ბრენდი რა თქმა უნდა სამხედრო და პოლიციური დაჯგუფებებისათვისაც ამზადებს იარაღებს. თუმცაღა მათი წარმოების ძირითადი მიმართულება ამჟამად სანადირო და სპორტული იარაღების დამზადებაა და ამ ბრენდის პროდუქცია შესაბამის საგამოფენო კომპლექსებში არის ხოლმე განთავსებული. ყველაზე დიდი პოპულარობით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლას ვეგასში გამართული Shot-Show-სა და გერმანიაში, ნიურნბერგში გამართული IWA-MESSE-ს გამოფენები სარგებლობენ. ფირმას წარმოდგენილი აქვს ხოლმე ორივე ზემოთხსენებულ გამოფენებზე სანადირო გლუვლულიანი თოფები, სანადირო, სპორტული და ტაქტიკური შაშხანები და რაღათქმაუნდა ვაზნები.

დაახლოებით 50 წელზე მეტია რაც „რემინგტონ-700“ გამოჩნდა ბაზარზე და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს იარაღის მოყვარულ მსოფლიო საზოგადოებაში. ამჟამად მოდელის უამრავი ვერსია იწარმოება. ესენია სანადირო შაშხანები განსხვავებული მოდიფიკაციებით. აგრეთვე სპორტული ვერსიები ზუსტი სროლისათვის ახლო თუ შორ დისტანციებზე და სამხედრო – ტაქტიკური მოდელები. საერთაშორისო გამოფენებზე წარმოდგენილია ხოლმე ძირითადად იმავე წელს შექმნილი სიახლეები რამოდენიმე ძველ მოდელთან ერთად. ჩვენ „რემინგტონის“ ორი სპორტულ-ტაქტიკური ვერსია ავირჩიეთ განსახილველად, რომლებიც IWA Messe-ზე ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში იყო წარმოდგენილი. მათი პრაქტიკაში გამოცდა აგრეთვე ავსტრიასა და გერმანიაშიც მოვახერხეთ, ჩვენს მეგობრებთან და კოლეგებთან. ესენი გახლდნენ Remington 700 Target Tactical Rifle და თითქმის იგივე ტიპისა და იმავე სტრუქტურული აგებულების შაშხანა Remington 40 XB-R KS Tactical Rifle.

ამათაგან პირველი, Remington 700 Target Tactical Rifle გამოფენაზეც და ავსტრიაშიც .308 Winchester-ის ყალიბით იყო წარმოდგენილი. სახელწოდებაშივე ნაგულისხმევია მისი დანიშნულება. შაშხანა გამოიყენება როგორც სპორტული სროლისათვის Target-ის შეჯიბრებებზე, ასევე ტაქტიკური სროლისათვის, პოლიციური თუ სამხედრო მიზნების განსახორციელებლად.

ლულის სტრუქტურული აგებულება ჩვეულებრივისაგან რადიკალურად განსხვავდება. მისი სიგრძე 66 სანტიმეტრს შეადგენს. მრგვალი ფორმის სავაზნის შემდგომ იწყება ცივად წრთობის შედეგად დაპრესილი ლულის განსხვავებული ფორმა და მისი შვიდ წახნაგა აგებულება საერთო ჯამში სამკუთხედა დიზაინის მქონე ლულას უფრო მოგვაგონებს. მისი შიდა სტურქტურა სპეციალური მეთოდიკით იყო შესრულებული და შემდგომ დამუშავებული. შედეგად გასროლისას შაშხანის ხრახნი სტანდარტულზე ბევრად უფრო დაცულია და მასში გამავალი ვაზნა განიცდის სტანდარტულზე უფრო







Remington-ის შაშხანაზე განთავსებული დამატებითი ღვედის დამჭერი განკუთვნილია საყრდენი ფეხებისათვის

მეტ სტაბილიზაციას. ამგვარ ლულებს კომპანია „რემინგტონი“ ამზადებს სამხედრო ვერსიებისათვისაც, რომელთაგანაც ყველასათვის ცნობილი M-24-ის გამოყოფა შეიძლება.

საკეტი მექანიზმი ერთი, მასიური მყარი ფოლადისაგანაა დამზადებული და თავზე ჩვეულ სტილში, სტანდარტული Remington 700-სივით, მხოლოდ 2 წახნაგი – ჩამკეტი კბილი აქვს გაკეთებული. მისი ვიზუალურად დათვალიერებისას აშკარაა მექანიზმის მარტივი გამოყენებისა და შექმნის პრინციპი. კომპანიას ის ღია მდგომარეობაში, სისტემური კოლოფის გარეშე ჰქონდა წარმოდგენილი, რათა უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო მისი მუშაობის პრინციპი და სასხლეტი მექანიზმის საკეტთან მიმართებაში ურთიერთ განლაგება.

Remington 700 Target Tactical Rifle-ის საკეტის დახურვისას შესაძლებელია კონდახის ყელის – ხელსაკიდის თავში განთავსებული დამცველი ღილაკის მეშვეობით იარაღის დაცვაზე დაყენება ან პირიქით.

იარაღი აღჭურვილია Bell&Carlson-ის „ვარმინტის“ მედალოსანი კონდახით. მისი სალოყე ბალიში ვერტიკალურად მოძრაობს და შესაძლებელია სურვილისამებრ ლოყაზე მორგება. მხარზე საყრდენი ბალიშიც რეგულირდება როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურადაც. კონდახის სინთეტიკური მასალის უკანა და ლულისქვეშა კონდახი, როგორც ამ ტიპის შაშხანებში გვხვდება ხოლმე ერთ საერთო მასას/დეტალს წარმოადგენენ. იარაღის წონა 5,3 კილოგრამია, ხოლო ეფექტური სროლის მანძილი 800-დან 1000 მეტრამდე მერყეობს. ამჟამად მისი ფასი ოფტიკური სამიზნე მოწყობილობის გარეშე ამერიკა – კანადის ბაზარზე დაახლოებით 2200-$-ს შეადგენს. ავსტრიასა და გერმანიაში კი 2010-2011 წლებშ ზუსტად 2190 ევროს ფასობდა.

აღსანიშნავია რომ აღნიშნული ტიპის, მოსახერხებელი კონდახის, საკეტი მექანიზმისა და აგრეთვე ლულის სრულყოფილად და მართებულად გამოყენების შემთხვევაში საგრძნობლად ეფექტური და უკვე დამაკმაყოფილებელი შედეგების მომსწრენი გავხდით ავსტრიაში ჩატარებული ტესტირებისას. ხუთი ნასროლიდან გაფანტვის წრეები, ანუ ბალისტიკურ ფურცელზე ნასროლის წრეთა დაშორება 0-0,5 სანტიმეტრის ტოლი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ სროლები გარკვეული პირობების გამო მოკლე დისტანციებზე განხორციელდა თუმცაღა ყოველი გასროლის შემდგომ ფაქტიურად არავითარი პაუზა არ კეთდებოდა, გარდა იმ წამებისა, რაც გადატენვისათვისაა საჭირო. შედეგმა რათქმაუნდა მოგვიხიბლა, მაგრამ ანალოგიური იარაღით სხვა მაჩვენებლებს არც ველოდით. ამგვარი მონაცემების მქონე ბალისტიკის მომსწრენი ფინური TIKKA-T3 Tactical-თაც გავმხდარვართ უფრო შორ დისტანციებზეც.

სურათზე ნაჩვენებია X-Mark Pro trigger-ის ტიპის საკეტი მექანიზმისა და სასხლეტი მექანიზმის ერთიანი სისტემა. იარაღის აღნიშნული დეტალები ღია მდგომარეობაშია წარმოდგენილი და მათ ერთობლიობაში დამცემ-სასხლეტი მექანიზმი ეწოდება. „რემინგტონის“ თანამშრომლებისაგან მცირედი ინფორმაცია მოვიპოვეთ ზემოთხსენებული ტიპის მექანიზმის შესახებ. მათი განცხადებით, Remington 700-ის Bolt-ისა და X-MARK PRO TRIGER-სასხლეტის თითოეული, პატარა დეტალიც კი სპეციფიკური საშუალებებითაა გაპრიალებული და კოროზიის საწინააღმდეგო ფენითაა დაცული. თუმცაღა მათი ეს ფრაზა შაშხანის შექება და პროდუქციის რეკლამა უფრო იყო, ვიდრე სხვა იარაღებთან მიმართებაში არსებული უპირატესობა. ჩვენმა პარტნიორებმა ისიც დასძინეს თავის სანაქებო შაშხანას, რომ სისტემის სტრუქტურულ აგებულებასთან ერთად მათ მიერ დასახელებული ფაქტორი, რომელშიც მაღალ დონეზე დამუშავება იგულისხმება, ეხმარება იარაღს გადატენვის პროცედურის და ზოგადად სახლეტის გამოკვრის შესრულებაში. თუმცაღა უნდა ითქვას რომ სხვა, ამგვარი კატეგორიისა და ფასის მქონე შაშხანებიც (მაგ. TIKA T3, Winchester-70) ანალოგიური ხარისხის მაჩვენებელია და მათი რაღათქმაუნდა მართებული და ზოგადად კარგი სტრუქტურული აგებულება და მოპირეკეთებული სისტემა ესეც უნდა აკეთებდეს ყველაფერს. ამგვარი ტიპის მექანიზმები გამოიყენება Remington-700-ისა და Remington Seven-ისათვის. თავად სასხლეტს, თითის დასადების თავში გაკეთებული აქვს პატარა ხრახნი, რომელიც მსროლელს დისკომფორტს ნამდვილად არ უქმნის და მისით შესაძლებელია რეგულირება. სტანდარტულად, მისი ამოქმედებისათვის თითის გამოკვრისას 1500 გრამი (3,5 LBS) თანაფარდობის ძალაა საჭირო.

მეორე განხილვადი ვერსია კომპანია „რემინგტონს“ საკუთარ ვებ გვერდზე როგორც წესი, არ აქვს ხოლმე განთავსებული. შესაბამისად ყველასათვის არაა მისი ნახვა ხელმისაწვდომი. Remington 40 XB-R KS Tactical Rifle ტაქტიკური შაშხანა შედარებით უფრო გრძელი და სქელი ლულით იწარმოება, ვიდრე ზემოთხსენებული „ტარგეტ“ ვერსია. მისი ლულა და მექანიზმი სრულად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ცივად ჭედვის წესით კეთდება, რათა მიღწეულ იქნას მაქსიმალურად ზუსტი აგებულება და

ზოგადად კარგი ბალისტიკური შედეგები. უნდა აღინიშნოს რომ გარკვეულ წილად მწარმოებელს გამოსდის კიდეც ერთ-ერთი საუკეთესო როლის შეთვისება ზუსტ მსროლელ შაშხანათაAკონკურენტუნარიან ბაზარზე. თუმცაღა ლიდერ პოზიციას ჯერჯერობით მაინც სხვა, მეტწილად ევროპული კომპანიები იკავებენ.

რაც შეეხება კონდახს, მის დასამზადებლად შემქმნელებმა კევლარის ძვირფასი და გამძლე მასალა გამოიყენეს. ის მასიური ფორმისაა და სპორტულ ვერსიას უფრო წაგავს ვიდრე ტაქტიკურს. ლულისქვეშა კონდახზე შაშხანას ორი პატარა საქამრე აქვს დამაგრებული. ერთ-ერთი მათგანის გამოყენება შეისაძლებელია ორფეხა სადგამის (მაგ. Harris bipod-ის) დასაგამრებლად, ხოლო მეორის სტანდარტულად ღვედის გასაკეთებლად. იარაღის ეფექტური სროლის მანძილია 1000 მეტრი, რაც მსგავსი კალიბრისათვის არა უბრალოდ დამაკმაყოფილებელია, არამედ საკმარისზე მეტიცაა. მისი ამჟამინდელი ფასი ამერიკაში შაედგენს დაახლოებით 2100 დოლარს. ევროპაში კი მისი ყიდვაც კი დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ფაქტიურად შეუძლებელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანია „რემინგტონი“ ხრახნლულიანი და გლუვლულიანი იარაღებისათვის ვაზნებსაც აწარმოებს საკმაოდ დიდი წარმატებით. მის მიერ დამზადებული ამუნიცია დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც სამხედრო მოხელეებში, ასევე სპორტსმენებსა და მონადირეებში. ყველაფერთან ერთად ფირმამ თავად შექმნა უამრავი ტიპის ყალიბი, რომელსაც დღემდე იყენებენ სხვა და სხვა ქვეყნების ლიდერი იარაღების მწარმოებელი კომპანიები საკუთარი იარაღების აგებისას. ყველაზე პოპულარული და გაყიდვადი მათ მიერ წარმოებული ვაზნებიდან გახლავთ .223 Remington.

2010-2011 წლებში „რემინგტონმა“ ფართო საზოგადოების წინაშე წარადგინა ახალი ნახევრადავტომატური, გლუვლულიანი თოფი Remington Versamax. 12 კალიბრიანი იარაღი ამჟამად მხოლოდ სინთეტიკური მასალისაგან დამზადებული კონდახებით იწარმოება. ყველაზე იაფიანი და გაყიდვადი მოდელი შავი ფერისაა. შემდგომ მოდის კამუფლირებული, ორი განსხვავებული შეფერილობის მქონე ვერსია. ზოგადად შავიც და კამუფლირებულიც არაჩვეულებრივი სახმარია ექსტრემალურ პირობებში ნადირობისას. მითუმეტეს „რემინგტონის“ შემთხვევაში, ვინაიდან სინტეთიკური მასალა და საფარი მაღალი ხარისხის მქონეა და შესანიშნავადაა შესრულებული. კონდახის ბოლოში Versamax-ს საკმაოდ გრძელი და რბილი მხარზე საყრდენი ბალიში აქვს გაკეთებული, რომელიც გარკვეულწილად ამცირებს უკუცემას და შესაბამისად ხელს უწყობს შედარებით უფრო მეტი და კომფორტული გასროლის წარმოებას.



Remington Versamax Camo კალ. 12/89



Remington-ის მექანიკური ტიპის, ცილინდრული, წრფივად მოძრავი საკეტით აღჭურვილი შაშხანები



Remington Versamax-ის აირებითმტენი მექანიზმის საკეთი ინერციულის მსგავსი მბრუნავი თავით



Remington-ის დამცემ სასხლეტი მექანიზმი

ყველაზე მეტად მოწონება და ინტერესი დაიმსახურა „ვერსამაქსის“ სავაზნემ და მასზე მიბმულმა გაზებით მტენმა სისტემამ. თოფში სამი სახეობის, 70-მმ-იანი (სტანდარტული), 76 მილიმეტრიანი (მაგნუმის) და 89 მილიმეტრიანი (სუპერ მაგნუმის) ვაზნების ჩალაგებაა შესაძლებელი.

მწარმოებელი:	Remington – USA (ამერიკა)
მოდელი:	Versamax
ყალიბი:	.12/89
ლულის სიგრძე: (სმ)	66 ან 71 (+ დამაგრძელებელი)
მთლიანი სიგრძე: (სმ)	126 +/-2
კონდახი:	მაღალი ხარისხის სინთეტიკა
წონა: (კგ)	3,55
ჩოკები:	2+2
აქსესუარები:	კეისი, კლიტე, ტრიტიუმის სამიზნეები, კონდახის დამაგრძელებელი ფირფიტები.
მიახლოებითი ფასი ევროპაში:	1800-2000 EU



Versasport Gas Chamber – აირებით მტენი სავაზნე ვერსაპორტი



აირებით მტენ სისტემებში Versamax-ის არასრული დაშლისას ნათელია თოფის უმარტივესი მექანიზმი



Remington Versamax-ს გრძელი ცვლადი ჩოკები და ტრიტიუმის სამიზნეები

საკეტი მექანიზმის თავი თავისუფალი საკეტების მსგავსად – ინერციული, დამშვებ-დამრტმელი მექანიზმივით ბრუნავს და ისე ახორციელებს ექსტარქციას. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის მბრუნავთავიანი სისტემა აირებით მტენ ვერსიებში იტალიურ Beretta A400-საც აქვს.

საგამოფენო კომპლექსში ფირმას წარმოდგენილი პროდუქციის გვერდით სარეკლამო აბრები ჰქონდათ გაკეთებული, სადაც სწორედ „ვერსამაქსის“ შესახებ იყო ინფორმაცია განთავსებული. დევიზი – Any Load, Anywhere, Everytime განმარტავდა რომ იარაღით შესაძლებელია ყველანაირი 12 კალიბრიანი ვაზნის გასროლა, ყველგან და ყოველთვის, ნებისმიერ კრიტიკულ პირობებში.

თავად თვითმტენი სისტემა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულიად ახალი პრინციპითაა შექმნილი, რომლის ანალოგიც ჯერ სერიულ წარმოებაში არავის უნახავს. „ვერსამაქსის“ ახალი მექანიზმი „ბრაუნინგივით“ თვითრეგულირებადი და თვითმწმენდია. მისი მეშვეობით ხორციელდება 12 კალიბრიანი, 24 გრამიდან 67 გრამამდე, ნებისმიერი ვაზნის გასროლა ყოველგვარი მექანიკური ჩარევისა და აირებით მტენი სისტემის დარეგულირების გარეშე. მაგრამ მთავარი სიახლე და აღმოჩენა სულ სხვა რამეში მდგომარეობს. გაზების სადინარი მილი, რომელიც ლულიდან ქვემოთ, მჭიდისაკენ, მამოძრავებელი ჯოხების მიმართულებით უშვებს გასროლის შედეგად გამოყოფილ აირებს, ლულის დასაწყისში, ფაქტიურად სავაზნის პერიმეტრშია განთავსებული. სავაზნის ქვედა კედელზე გაკეთებულია 7 აირების გამშვები ხვრელი. თუ იარაღში ჩავდებთ 70 მილიმეტრიან ვაზნას, ფუნქციონირებს შვიდივე მილაკი და ყოველი მათგანიდან გაედინებიან გაზები. თუ ჩავდებთ 76 მილიმეტრიან ვაზნას, მხოლოდ 4 გაზების გამშვები ხვრელი აქტიურდება, დანარჩენს კი წინა ვითარებასთან შედარებით, 6 მილიმეტრით გრძელი ვაზნის კედელი ფარავს. თუ იარაღში მოვახდენთ 89 მილიმეტრიანი ვაზნის ჩადებას, გასროლისას გამოიყოფა ყველაზე მეტი გაზები და მეტი ენერგია ზემოთხსენებული სამი ვერსიიდან. შესაბამისად მხოლოდ 3 „პორტი“-აირების გამშვები იქნება ღია. დანარჩენს კი, როგორც წინა შემთხვევაში, ვაზნის კედლები დაფარავენ. ამით „რემინგტონმა“ მიაგნო ახალ თვითრეგულირების პრინციპს და მას უწოდა Versaport Gas Chamber – ვერსაპორტის გაზების/აირების სავაზნე. მისი შექმნისას ტესტირებებმა ცხადყო, რომ დაახლოებით 1000-მდე ვაზნის გასროლის შემდგომ ხდება თოფის გაწმენდა აუცილებელი. რაც აირებით მტენ სისტემებში ფაქტიურად რეკორდული მაჩვენებელია. ამას გარდა საგრძნობლად გამარტივდა და დაიხვეწა თოფის აგებულება. აირემით მტენ ვერსიებში „ვერსამაქსს“ სიმარტივის მხრივ ფაქტიურად ბადალი არ ჰქავს, თუ არ ჩავთვლით თითოოროლა თოფს, რომელიც ისევ და ისევ მსოფლიო დონის მწარმოებლებმა შექმნეს და რომლებიც მხოლოდ გარკვეულ ასპექტში და არა მთლიანობაში ითლებიან „რემინგტონის“ ახალ ნახევრადავტომატ ვერსიაზე უკეთეს მოდელებად.

დიდ მოწონებას იმსახურებს თოფის სიმარტივე. ამგვარი ტიპის, ცოტა დეტალებითა და მარტივად აგებული მექანიზმი არა მარტო გაზებით მტენ სისტემებში, არამედ კინემატიკური ენერგიის ხარჯზე მტენ მექანიზმებშიც იშვიათია. „ვერსამაქსის“ დაშლისას

ხელში გვრჩება ცარიელი ტიბჟირი და შიშველი მჭიდი. ისინი არავითარი სხვა დამატებითი დეტალით არ არიან დატვირთული. ეს რათქმაუნდა ხელს უწყობს თოფის მოვლა-გასუფთავებას და აადვილებს მოხერხებულად, სწრაფად დაშლა-აწყობის პროცედურას.

აღნიშნული იარაღის შესახებ შევეცადეთ კომპანია „რემინგტონის“ წარმომადგენლებს გავსაუბრებოდით და მათგან შეგვეტყო სრულიად ახალი სისტემის ავკარგიანობა. მექანიზმი, რომელიც თეორიულად უნაკლოდ გამოიყურება, ანალოგიურად უნდა მუშაობდეს. თუ ეს ასე არ არის, ალბათ ეს უკვე კომპანიის მიერ გადადგმული, ძალიან დიდი წარუმატებელი ნაბიჯი იქნება, რასაც წესით „რემინგონი“ არ დაუშვებდა. სწორედ ამ იდეების განქარწყლება მოხდა ჩვენში აღნიშნული ბრენდის ქარხანაში მომუშავე კონსტრუქტორებისა და სხვა თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მეშვეობით. მათი განმარტებით სისტემას ჩაუტარდა ტესტი თითქმის ყველენაირ კრიტიკულ პირობებში. მოხდა თოფის ძალიან მაღალ ტემპერატურასა და ძალიან დაბალ ტემპერატურაზე ერთდროულად გასინჯვა. განხორციელდა ერთდოულად ათასობით გასროლის წარმოება. მოხდა იარაღის წყალში, ტალახში, თოვლში და ამგვარ აუტანელ, ექსტრემალურ პირობებში მრავალმხრივი ტესტირება და სროლების წარმოება. იარაღის ბალანსი და აგებულება „რემინგტონის“ ოსტატების გარდა შემოწმდა სხვა და სხვა სპეციალისტისა თუ კონკრეტული მეიარაღის მიერ. მათმა თანამშრომლემა სიამაყით განგვიცხადეს რომ შედეგები წარმატებული გამოდგა და თოფმა გაუძლო ყველა იმ გამოცდას, რომლის გადალახვაც არა მარტო აუცილებელი იყო მისთვის, არამედ წარმოადგენდა დასტურს ძალიან ბევრი კონკურენტი მოდელების დაჯაბნისა. შ.პ.ს. „ქარავანი+“-ის მეშვეობით მოვახერხეთ ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია სრულყოფილად მოგვეპოვებინა „რემინგტონისაგან“. აღნიშნული ქართული ფირმა რამოდენიმე წელია რაც აღნიშნულ ამერიკულ კომპანიასთან თანამშრომლობს და მათი მეშვეობით ამ ბრენდის საქართველოში პირდაპირ ამერიკიდან იმპორტიც განხორციელდა. ეს კიდევ ერთი დადებითი ფაქტორი გახლდათ იმისათვის, რომ კარგად შეგვესწავლა და აგვეთვისებინა „ვერსამაქსის“ ახალი სისტემის თავისებურებანი. გარდა გამოფენებზე მიღებული ინფორმაციისა, საშუალება მოგვეცა პრაქტიკაშიც გვენახა და გამოგვეცადა თოფი, რომელზეც დიდი იმედებს ამყარებენ ამერიკელები.



კონდახსა და სამხრეს შორის შესაძლებელია პოლიმერის ფირფიტების ჩაყენება და იარაღის ამ ხერხით მხარზე უკეთ მორგება



Versamax-ის სისტემურ კოლოფზე ზემოდან მაგრდება სამიზნის ხიდი





Versamax-ის აირებით მტენი მექანიზმი

კომპანის წარმოადგენლების განმარტებით თოფს ახალი ტექნოლოგიების შედეგად ბევრად უფრო ნაკლები უკუცემა აქვს სროლისას ვიდრე სტანდარტულ 12 ყალიბიან ვერსიას. ამას ემატება და ხელს უწყობს თოფის წონაც, რომელიც დაახლოებით 3,5 კილოგრამს შეადგენს.

საკეტის დამშვები ღილაკი ნახევრადავტომატური თოფებისათვის დამახასიათებელ ადგილას, სისტემური კოლოფის მარჯვენა, წინა ბოლოშია განთავსებული. მასზე ხელის დაჭერით ხორციელდება ღია საკეტის დაშვება – დახურვა.

სასხლეტის დამცველი ღილაკი სასხლეტის ბუდეზევეა განთავსებული. თუმცაღა ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ზოგჯერ აღნიშნულ ადგილზე განთავსებული ღილაკი მოუხერხებელი სახმარია. „ვერსამაქსის“ შემქმნელებმა დამცველი ბევრად უფრო დიდი და მასიური გააკეთეს, რათა მსროლელმა უფრო მოხერხებულად შეძლოს მისი გამოყენება.

თამასა ლულის დასაწყისში ოდნავ მაღლდება, რაც ეხმარება მსროლელს უფრო სწრაფად მოძებნოს სამიზნე. მის შუა პერიმეტრში განთავსებულია მეტალის პატარა სამიზნე ბურთულა, ხოლო ბოლოში ტრიტიუმის გრძელი ჩხირი. ისინი ერთობლიობაში ჩვეულებრივზე უფრო მეტად ეხმარებიან თვალს – მსროლელს სამიზნის სწრაფ და იოლ მოძიებაში.

თავად „ვერსამაქსის“ ლულა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ცივად ჭედვის მეთოდიკის მიხედვითაა დამზადებული. პოლიმერის კეისში მისთვის ოთხი განსხვავებული შევიწროების ჩოკია განთავსებული. ორი მათგანი სტანდარტულზე გრძელია, რომლებიც დაყენებისას დაახლოებით 2 სმ-ით გამოდიან გარეთ და დამაგრძელებელის მსგავსად, ჩახრახვნის შემდგომ სცდებიან ლულის პერიმეტრს. დანარჩენი ორი ჩოკი კი ჩვეულებრივი ზომისაა და დაყენებისას მთლიანად იმალებიან ლულაში.

Remington Versamax-ის დღევანდელი ფასი ამერიკისა და კანადის ბაზარზე დაახლოებით 1500 $-ია. ევროპაში დაახლოებით იმდენივე ან ცოტა მეტი, ოღონდ ევროებში!.. ევროპელი პროფესიონალები მას დადებითად ახასიათებენ, თუ არ ჩავთვლით კრიტიკოსების მცირე ნაწილს, რომლებიც ყოველთვის თავის აზრს გამოთქვამენ ხოლმე მსგავსი სიახლის ბაზარზე გამოჩენისას. კომპანიის თანამშრომლები კი ნამდვილად არ არიან გაყიდვების ციკლის დაწყებით უკმაყოფილო. უფრო მეტიც.

მწარმოებელი:	Remington – USA
მოდელი:	Remington 1100 Premier Sporting
ყალიბი:	.12/76
ლულის სიგრძე: (სმ)	71 და 51
მთლიანი სიგრძე: (სმ)	
წონა: (კგ)	3,3
ჩოკები:	2+2
მიახლოებითი ფასი: ამერიკაში-ევროპაში:	1700 $-1850 EU



Remington 1100 Premier Sporting-ის სისტემური კოლოფი მარცხენა მხარეს ოქროსფრადაა გრავირებული, მარჯვენა მხარეს კი სტანდარტულ ფერს ინარჩუნებს

იარაღმა უკვე რამოდენიმე ნომინაციაში მოიპოვა გამარჯვება და დასწახელდა წლის საუკეთესო თოფად.

კომპანია „რემინგტონის“ ნახევრადავტომატური იარაღების განხილვისას ალბათ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მქონე, დღემდე ძალზედ პოპულარული Remington 1100. 1936 წელს კომპანია „რემინგტონმა“ ვეინ ლიქისა და რობერტ კელის კონსტრუქციის საფუძველზე შექმნა ზემოთხსენებული ნახევრადავტმატური გლუვლულიანი თოფი. აღნიშნული მეიარაღე-კონსტრუქტორების დიზაინთან ერთად ახალი მოდელი აგებულ იქნა Remington 58-ისა და კიდევ სხვა, განსხვავებული, ნახევრადავტომატური მოდელების ბაზაზე. 1100 მოდელი გახლავთ ყველაზე გაყიდვადი და პოპულარული გაზებით მტენი თოფი ამერიკის კონტინენტზე. მისი გაყიდვების რაოდენობა, რომელიც 4 მილიონს სცდება უტოლვდება „ბრაუნინგის“ ლეგენდარულ Auto 5-ს. „1100“-ით აგრეთვე მოიხსნა რეკორდული მაჩვენებელი და ერთდროულად 24.000 ვაზნის გასროლის შემდგომ იგი ჩვეულებისამებრ აგრძელებდა სროლის წარმოებას. ზოგადად „რემინგტონის“ ხარისხი და უტყუარობა საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია. აღნიშნული ტესტის ჩატარების შემდგომ სხვა ნახევრადავტომატურ თოფებთან შედარებით მისი გასუფთავება იოლად განხორციელდა, აგრეთვე





Remington 1100 Premier Sporting-ის მოკლე, ხრახნიანი ლულა

უნდა აღინიშნოს რომ არც ერთი დეტალი არ დაზიანებულა.

დღეისათვის სერიულად იწარმოება იარაღი 4 განსხვავებული კალიბრით – 12, 16, 20 და 410. მას დიდი პოპულარობით იყენებენ როგორც მონადირეები, ისე სპორტსმენები ეგრედწოდებული „სკიტის’ (მგრვალი სტენდი), „ტრაპის“ (გრძელი სტენდი) და „სპორტინგის“ შეჯიბრებებზე. ამტანობისა და ექსტრემალურ, კრიტიკულ პირობებში შეუფერხებლად ფუნქციონირების ხარჯზე რამოდენიმეჯერ განხორციელდა თოფის სამხედრო ვერსიის გაკეთება ამერიკის შეერთებული შტატების არმიისათვის.

აღნიშნული იარაღის რამოდენიმე განსხვავებული ვერსია იწარმოება დღესდღეობით. ესთეტიკური თვალსაზრისით მათგან შეიძლება Remington 1100 Premier Sporting-ის გამორჩევა ხის კატეგორიისა და ოქროთი შესრულებული მოხატულობების გამო. სასინჯად შერჩეულ იქნა ორლულიანი ვერსია, ერთი გლუვი და ერთიც სრულად ხრახნიანი ლულით.

გრძელი, 71 სანტიმეტრიანი, ცივად ნაჭედი ლულისათვის Remington 1100-ს მოყვებოდა როგორც დამაგრძელებელი, ისე სტანდარტული, მოკლე ჩოკები. ლულაზე საფუძვლიანად დაკვირვებისას აშკარა იყო თამასის შესრულების უმაღლესი ხარისხი, რომელიც სისტემური კოლოფის სიმაღლეზე იყო გაწონასწორებული – განთავსებული. მის ბოლოში გაკეთებული იყო პატარა, თეთრი ფერის სამიზნე ბურთულა. ზოგადად კომპანია „რემინგტონის“ ლულები „ბრაუნინგთან“ და „ბერეტასთან“ ერთად ფასობენ კარგი ბალისტიკური მაჩვენებლებით. შესაბამისად განხილვადი, გრძელი ლულით თითქმის ნებისმიერი სახეობის ცხოველსა თუ ფინველზე ნადირობაა შესაძლებელი.

მეორე, მოკლე, სრულად ხრახნიანი, 51 სანტიმეტრი სიგრძის ლულით ტყვიის სროლა და ცხოველის მონადირება შესაძლებელია სტანდარტულზე უფრო შორ დისტანციებზე. სპეციალური, საბოტის ტიპის ვაზნების გასროლის შემთხვევაში ამგვარი ლულით 100-დან 200 მეტრამდე შედარებით უფრო ზუსტი ბალისტიკური შედეგების ჩვენებაა შესაძლებელი, ვიდრე შედარებით მოძველებული ნახევრადავტომატური შაშხანით, თუნდაც რუსული СКС-ით. კონკრეტული ცხრილი და დაწვრილებითი ინფორმაცია ამგვარი, ხრახნიანი, 12 კალიბრიანი ლულების შესახებ განხილულია Winchester SX-3-ისა და Remington11-87-ის აღწერილობისას, სადაც მკვეთრად ჩანს კონრეტული ვაზნის უკეთესი სიზუსტე 7,62x39 მმ-თან შედარებით. რაც მთავარია ამგვარ, დამატებითი ლულის დადებითი მხარე გახლავთ ის, რომ მფლობელი ხდება უნივერსალური თოფის მეპატრონე, რომლითაც შესაძლებელია ყველანაირ ფრინველსა და ცხოველზე ნადირობა, როგორც ახლო, ისე შედარებით შორ დისტანციებზე. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ხრახნიანი ვერსიიდან გასროლილი ტყვია სტანდარტულ შაშხანებთან შედარებით რაღათქმაუნდა ინარჩუნებს სიზუსტესთან ერთად უზარმაზარ ენერგიეს, რომელიც აუცილებელია სროლისას ცხოველის ეფექტურად შეჩერებისათვის.

სპეციალისტებისა და ტრადიციების მოყვარული მონადირეების მოწონებას განსაკუთრებულად თოფის სისტემური კოლოფი იმსახურებს. ის ყველა სხვა ნახევრადავტომატური იარაღებისაგან განსხვავებით ერთი, მასიური რკინის ნაჭრისაგან არის გაკეთებული. მაშინ როდესაც ამგვარ მასალას ლეგენდარული, იტალიური „კოსმის“ გარდა აღარც ერთი სხვა, მსხვილი თუ საშუალო იარაღების მწარმოებელი აღარ იყენებს ნახევრადავტომატური გლუვლულიანების ასაგებად. იქნება ეს „ბერეტა“, „ბენელი“ თუ თავად „ბრაუნინგი“, სისტემური კოლოფისათვის არა რკინის, არამედ მაღალი ხარისხის, მყარი ალუმინის ნაჭრებს იყენებენ. Remington 1100 premier Sporting-ის სისტემური კოლოფის მარჯვენა მხარეს გაკეთებული იყო გრავირება ქვედა მონაკვეთში და წარწერა, რომელიც აღნიშნავდა ყალიბსა და სახელწოდებას. მარცხენა მხარეს კი ბევრად უფრო დიდი ზომის ფართობი ეკავა საკმაოდ ლამაზად შესრულებულ გრავირებას, რომელსაც მოოქროვილი სასროლეთის თეფშები და სლოგანის ტიპის დროშაში ჩახატული თოფის სახელწოდება ამშვენებდა.

რკინის მასალის გამო ზოგადად



Remington 1100-ის დამაგრძელებელი ჩოკი



1100 მოდელს საკეტის დამშვები ღილაკი სკმაოდ პრაქტიკულ ადგილზე, სისტემური კოლოფის ქვედა მხარეს აქვს განთავსებული





იარაღის კონდახი და ტიბჟირი (ლულისქვეშა კონდახი) თოფის კლასთან თუ ფასთან შედარებით იდეალურად გამოიყურება

„რემინგტონის“ ყველა ამგვარი მასალით აღჭურვილი ლულისქვეშა ბერკეტით მტენი თოფი თუ ნახევრადავტომატური გლუვლულიანი ვერსია სტანდარტულთან შედარებით საშუალოდ 300 გრამით მეტს იწონის ხოლმე. თუმცაღა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრადიციების მოყვარულს მონადირეებსა და პროფესიონალი, საიმედოობის – უტყუარად ფუნქციონირების მოტრფიალე თუ მოყვარული მეიარაღეები მეტი რესურსის, სტაბილურობისა და სიმყარის გამო ყოველთვის რკინას ანიჭებენ ხოლმე უპირატესობას.

ოქროს ფერი სასხლეტის დამცველი ღილაკი მყარი, პოლიმერის მასალის სასხლეტის ბუდეზე, კონდახის ყელთან ახლოს არის განთავსებული. როდესაც ის მარცხნივ არის გაწეული, მოჩანს მასზე შემოვლებული წითელი, გამაფრთხილებელი ზოლი, რაც ნიშნავს რომ იარაღი მოხსნილია დაცვიდან და შესაძლებელია სროლის წარმოება. შესაბამისად ცერა თითის მოძრაობით ღილაკის მარჯვნივ გაწევის შემთხვევაში თოფი კვლავ დგება დაცვაზე.

საკეტის დამშვები, საკმაოდ მასიური ღილაკი ძალიან მოსახერხებელ ადგილზე, სისტემურ კოლოფზე ქვემოდან, ქვედა სავაზნე (დამტენ) ფანჯარასთან არის განთავსებული. „რემინგტონი“ ერთადერთი კომპანიაა მსოფლიოში, რომელიც ანალოგიური ტიპის სისტემებს აკეთებს. სხვა დანარჩენ ნახევრადავტომატურ თოფებს აღნიშნული ღილაკი არა ქვემოთ, არამედ სისტემური კოლოფის მარჯვენა კედელზე აქვთ ხოლმე განთავსებული. პრაქტიკაში „რემინგტონის“ ვერსია ბევრად მოხერხებულია. მასზე ხელის დაჭერა უფრო სრაფად და უფრო იოლად ხორციელდება. ამავდროულად ის წარმოადგენს დამცველს, რომელიც იჭერს ვაზნის გამომლებ ენას და იცავს გასროლისას – გადატენვისას მჭიდიდან წამოსული ვაზნის შემდგომ ვერსიას – მომდევნო ვაზნას ქვემოდან, ანუ დამტენი ფანჯრიდან ჩამოგდებისაგან.

ადგილზე დათვალიერებისას და პრაქტიკაში გამოცდისას ყველაზე მეტად „რემინგტონის“ კონდახმა მოგვხიბლა. კომპანიასთან ურთიერთობების დამყარება და აღნიშნული ბრენდის ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველოში იმპორტი პირველად 2012 წელს განხორციელდა „ქარავანი+“-ის მეშვეობით. შესაბამისად, მანამდე რატომღაც არც კომპანიის თანამშრომლებისაგან და არც სხვა და სხვა საინფორმაციო წყაროებიდან არ შეგვიტყვია იმის შესახებ, რომ ამერიკულ კაკალს სპეციფიკური დამუშავების შედეგად შეიძლება ესთეტიკურ სილამაზესთან ერთად სასიამოვნო სუნიც ჰქონდეს. კონდახის ყელთან გაკეთებული, ეგრედწოდებული ფარფლისებრად მოჩუქურთმებულ პერიმეტრზე მსროლელი მეტად სასიამოვნო სუნს გრძნობს, რომელიც როგორც შემდგომ შევიტყვეთ, თოფს მისი არსებობის ბოლომდე ექნება.

ზოგადად „რემინგტონი“ და განსაკუთრებით მისი თვითმტენი მოდელები ასოცირდებიან მაღალ ხარისხთან, უტყუარ, გარანტირებულ ფუნქციონირებასთან და ამავდროულად ხელმისაწვდომ ფასთან. შესაბამისად არავის უკვირს კომპანიის ლიდერი პოზიციები ამერიკისა და დანარჩენი მსოფლიოს ბაზარზე „ბრაუნინგთან“ – „ვინჩესტერთან“ და „ბერეტასთან“ ერთად.

HARRIS GUNWORKS

კომპანია Harris Gunworks INC მდებარეობს ამერიკის კონტინენტზე, არიზონას შტატში, ფოენიქსში. მათი ქარხანა ძირითადად აწარმოებს სნაიპერულ-შორსმსროლელ შაშხანებს. პროდუქცია მზადდება უამრავი მოდიფიკაციით განსხვავებული კატეგორიის მომხმარებელთათვის. პირველი და უმთავრესი კლასი გახლავთ მილიტარიზირებული-სამხედრო ფენისათვის და მათი კონკრეტული სნაიპერული დაჯგუფებებისათვის განკუთვნილი ტიპი. შემდგომ სპორტული სროლისათვის გათვალისწინებული იარაღები, რომლებიც გამოიყენებიან ეგრეედწოდებული Benchrest, Target, Long-Range და National Match-ების შეჯიბრებებზე. მესამე კატეგორია გახლავთ სანადირო შაშხანები. აგრეთვე ხდება სპორტული-სანადირო კლასის ვერსიების დამზადება. უნდა აღინიშნოს რომ ამ უკანასკნელი ტიპის მოდელები 46 განსხვავებული სახეობის ყალიბით იწარმოება. ჩამოთვლილი მოდიფიკაციების გარდა კომპანია ამზადებდა და დღემდე აწარმოებს, არასერიულ ორიგინალურ ვერსიებსაც. ჰარისი შეკვეთებსაც ღებულობს საკმაოდ სახელგანთქმული მწარმოებლებისაგან თუ კერძო პიროვნებებისაგან და მათთვის ქარხანაში აგებს ლულებს, არასრულ-ნახევრად მზა მასიურ სისტემურ ბუდეებსა და მსგავს ლითონის დეტალებს.

ამერიკულ კომპანიაში მომუშავე მეიარაღეები უპირატესობას პოლიგონალური ტიპის ლულებს ანიჭებენ. აღსანიშნავია რომ ლულათა ამ ჯგუფს შაშხანების კატეგორიაში იშვიათად ვხვდებით. ამასთანავე რათქმაუნდა „ჰარისი“ ამზადებს სტანდარტულ ხრახნლულიან იარაღებსაც არა პოლიგონალური მეთოდით. ნებისმიერი ტიპის ლულა მზადდება მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ცივად ჭედვის წესით.



Harris-ის მსხვილკალიბრიანი ანტისნაიპერული შაშხანები კალ ,50 BMG

თავად ფირმის წარმომადგენლები კი ოფიციალურად გარანტიას იძლევიან საკუთარი შაშხანების სიზუსტეზე.

სამხედრო ან პოლიციური დაჯგუფებებისათვის კომპანია ძირითადათ .50 BMG-ის ყალიბს ანიჭებს უპირატესობას. შესაბამისად გამოცდილებამ ამ სპეციფიკურ საკითხში დიდი როლი ითამაშა და მეიარაღეთა ჯგუფმა დიდი ხანია აქცენტი გააკეთა შაშხანების კომფორტზე, როგორც სროლისას ასევე გადატანისას. ზემოთხსენებული ტიპის თითქმის ყველა შაშხანას კონდახი ეკეცება და მარტივად იშლება. ერთ-ერთი მსგავსი მოდელია ზუსტი-შორსმსროლელი შაშხანა 3 ცვლადი ლულით. ისინი მაყუჩით ან ცეცხლმაქრი/კომპენსატორით არაინ აღჭურვილი და მათი ყალიბებია .308 Winchester, .30-06 Spr. და .300 Win.Mag.

ამერიკული კომპანიის პროდუქცია რომ საფუძვლიანად გაგვეცნო, ორჯერ ვეწვიეთ იმ გამოფენებსაც სადაც მათ მიერ წარმოებული იარაღები და ნახევრად მზა დეტალები იყო წარმოდგენილი. ნანახამა ჩვენს ცნობიერებაზე შთამბეჭდავი კვალი დატოვა. ასე იდეალურად დამუშავებული და მსგავსი ძლიერი და მასიური სტრუქტურული აგებულების მქონე ლულები საგამოფენო კომპლექსში ფაქტიურად არც ერთ მსგავსი ტიპის იარაღების მწარმოებელს არ ჰქონდა წარმოდგენილი. აშკარა იყო ფირმის გამოკვეთილი პოზიცია და მათი ამბიციები ლიდერთა შორის პირველი ადგილის დასამკვიდრებლად. ორიგინალურობა იგრძნობდა ცილინდრული ტიპის, წრფივად მოძრავ საკეტიან, მსხვილ კალიბრიან, შორსმსროლელ იარაღებში, რომელთა აგებულებაც არა სპორტული ან სამხედრო-ტაქტიკური, არამედ სანადირო სტილის გახლდათ. ყალიბი, ლულა და მათი ცეცხლმაქრი/კომპენსატორი იმდენად მასიური და მსხვილი იყო რომ ასეთი ტიპის აიარაღი, ამგვარი აგებულებით უჩვეულოდ და არასტანდარტულად გამოიყურებოდა.

კომპანია „ჰარისის“ მიერ წარმოდგენილ ვერსიებში ყველაზე პოპულარული მოდელი, რომელმაც გამოფენაზე მყოფი დილერების მოწონება დაიმსახურა, გახლდათ მოდელი **M-93-Sniper Rifle**. ამ იარაღის უამრავი ვერსია არსებობს. ჩვენს მიერ ნანახი ვერსია კი მწვანე ფერის ტაქტიკური კონდახითა და პროფესიონალური მაყუჩით იყო აღჭურვილი. 12,7 მილიმეტრიანი (.50 BMG) შაშხანის მჭდიში 5 ან 10 ვანზა ეტევა. მისი დანიშნულებაა მტრის პოზიციების განადგურება შორ, „ექსტრემალურ“ დისტანციებზე. იარაღის წონა 9,5 კილოგრამს შეადგენს, რაც ამ ტიპისა და ყალიბის მქონე შაშხანისათვის იდეალური მონაცემია. მისი მთლიანი სიგრძეა 135 სმ. ლულის სიგრძე 74 სმ. მისი შექმნისას კარბონის გამოყენება თანამედროვე მეთოდიკისა და განსხვავებული ტექნოლოგიებს მეშვეობით ხორციელდება. მსროლელი თუ კომპანიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას დაეყრდნობა და მისით იმოქმედებს, სროლა 500 მეტრის ზემოთ ნამდვილად არ გაუჭირდება. რაც შეეხება ეფექტურ სროლას, არა მაყუჩიანი ვერსიით, მისი მანძილი 1500 მეტრს შეადგენს.

შაშხანას მჭიდის ვერტიკალურად, სისტემური კოლოფის თავზე განთავსებული აქვს მოკლე, პიკატინის სტილის ხიდი ოფტიკური სამიზნე მოწყობილობების დასაყენებლად. მისი მაყუჩისა და სისტემური ბუდის შუაში გადაბმის სახით დამაგრებულია სამ ხიდიანი სამიზნე ჩარჩო, რომლის ქვედა ბოლოზე ორფეხა სადგამიც არის დაფიქსირებული. ზემოდან კი ძირითადად ღამის ხედვის მოწყობილობები ყენდება ხოლმე, რომელიც ოფტიკურ სამიზნესთან ერთად გამოიყენება. იარაღის აღჭურვილობა სნაიპერს საშუალებას აძლევს ღამე თავისზე დაკისრებული მოვალეობა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე და უხმაუროდ შეასრულოს.

შაშხანას კონდახი ორივე მხარეს, ორივე მიმართულებით ეკეცება. ამით მარტივდება მისი გადატანის პროცედურა. სალოყე ბალიში და მხარზე საყრდენი რეგულირებადია და მისი მორგება ნებისმიერი აღნაგობის მსროლელისათვის შესაძლებელია. ეგრეედწოდებული ცერა თითის გასაყრელი დაკეცვის ადგილშია ზუსტად განთავსებული და აშკარად უფრო პრაქტიკულს ხდის დამიზნებას. იარაღი კონდახის საყრდენი ფეხითაც არის დაკომპლექტებული, რომელიც დაშლისას იკეცება.

ზოგადად კომპანიამ და მათ მიერ წარმოებულმა პროდუქციამ დადებითად იმოქმედა ჩვენს ცნობიერებაზე. იმედები და ინტერესი, რომელიც მათ მიმართ გაგვაჩნდა აშკარად დაგვიკმაყოფილდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომპანია ლიდერია ლიდერთა შორის და არაფრით ჩამოუვარდება პირველობისათვის მებრძოლ არც ამერიკულ და არც ევროპულ მწარმოებლებს



Harris-ის სპეციფიკური ტიპის ალმაქრი კომპენსატორი



Harris-ის ლულები, განსაკუთრებით კი მათი სისქე და მოპირკეთება აშკარად გამოირჩევა სხვა მსგავსი იარაღის მწარმოებელი კომპანიების მიერ დამზადებული პროდუქციისაგან



Harris-ის ზუსტმსროლელი საშხანა მაყუჩითა და საკეცი კონდახით

MCMILLAN

კომპანია McMILLAN-G.I. ამერიკაში, არიზონას შტატში, ქალაქ ფოენიქსშია განთავსებული. იგი ჯეილ მაკმილანმა დააარსა 1973 წელს. მას შემდეგ წარმოება საგრძნობლად გაფართოვდა და აღსანიშნავია რომ სულ რაღაც 40 წლოვანი ფირმა საკმოად სწრაფად გახდა ლიდერი მწარმოებელი მსოფლიო ბაზარზე. მისი მეიარაღეები და სხვა მუშა პერსონალი ყოველწლიურად აუმჯობესებდნენ და ხვეწდნენ იარაღებს. მათ მუდამ გააჩნდათ ამბიციები პირველობისათვის და შესაბამისადაც შრომობდნენ. ამ ყოველივემ შედეგი გამოიღო და „მაკმილანი“ დღესდღეობით თავის კატეგორიაში თამამად შეიძლება ითქვას რომ ერთ-ერთი პირველია. ყოველ შემთხვევაში მასზე აშკარად და გამოკვეთილად მჯობნი შაშხანა ნამდვილად არ იწარმოება დღევანდელ რეალობაში. მითუმეტეს თუ გავიხსენებთ სპორტსმენთა მიერ დამყარებულ რეკორდებსა და სამხედრო პირთა მიერ ნაჩვენებ შედეგებს, უმალვე დავრწმუნდებით მის უპირატესობებში სხვა იარაღებთან მიმართებაში. თუმცაღა ეს მაინც არ ნიშნავს რომ თუნდაც იმავე „ბარეტს“, ავსტრიულ „შტეიერსა“ ან სულაც სამხრეთ აფრიკულ „ტრუველოს“ არ ძალულს მსგავსი ტიპის შაშხანის გარკვეულ ასპექტში უკეთესად აგება. ჯანსაღი კონკურენცია ყოველთვის სასარგებლოა როგორც მწარმოებლისათვის, ისევე მომხარებლებისთვისაც.

ამჟამად იწარმოება შაშხანათა რამოდენიმე განსხვავებული მოდიფიკაცია. ამათთაგან ფართე საზოგადოებაში პოპულარულია Tactical, Competition, Benchrest, Hunting&Sport და Ultralight ტიპი. ზემოთ ჩამოთვლილი იარაღებისა და მათი გარკვეული დეტალების მსურველები და მყიდველები არიან მონადირეები, სპორტსმენები, სამხედროები, სამართავლდამცავი ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების, მათ შორის საბაჟოს წარმომადგენლები, უბრალო მეიარაღეები და რაც მთავარია OEM ტიპის იარაღების მწარმოებლები. უნდა აღინიშნოს რომ კომპანიის წარმოებაც ჯგუფებად არის დაყოფილი და კონკრეტული გუნდი კონკრეტულ სამუშაოს ასრულებს.

სტანდარტულ დისტანციაზე მსროლელ შაშხანათა ჯგუფი რამოდენიმე განსხვავებულ სახეობად იყოფა და ამათთაგან თითოეული შესაძლოა კიდევ განცალკევდეს დამატებითი აქსესუარების მიხედვით კლასებად. იარაღები მზადდება როგორც ჩვეული, სერიული ლულებით, ასევე ვარმინტის ლულებითაც, შედარებით შორ დისტანციაზე ზუსტი სროლისათვის. მათი ფასი მერყეობს დაახლოებით 4000-დან 5000 $-მდე.



ლას ვეგასში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „მაკმილანმა“ წარმოადგინა თავისი შაშხანების საუკეთესო ნაწილი



"მაკმილანის" მექანიკური ტიპის საშხანა საკეცი კონდახითა და მოკლე ლულით

შედარებით შორ დისტანციაზე ზუსტი სორლისათვის წარმოებული სანადირო ვერსიები თავადაც კლასიფიკაციად არის დაყოფილი. მათ შორის ძირითადი განსხვავება ლულის სიგრძეებია. კონდახის ფერი არჩევადია და რამოდენიმე ტიპის შეიძლება იყოს. რაც შეეხება ყალიბს, იარაღისათვის შერჩეულია მსოფლიოში ყველაზე ზუსტი და ეფექტური, ვაზნები. ესენია: 243 Win, 7mm Rem Mag, 7mm Rem Ultra Mag, 308 Win, 300 Win Mag და 338 Lapua Mag. იარაღის ფასები მერყეობს დაახლოებით 5000-დან 5500 $-მდე.

სპორტსმენებისათვის კომპანია ერთი და იმავე კატეგორიის, ორი მსგავსი ტიპის იარაღებს ამზადებს. ერთ-ერთ მათგანია ცილინდრული ტიპის, წრფივად მოძრავი საკეტით დაკომპლექტებული მოდელია, სახელწოდებით Turb-2000. იარაღის კონსტრუქტორი დევიდ ტურბია. საკეტი მექანიზმის სისტემური კოლოფი დამზადებულია 17-4 უჟანგავი ფოლადისაგან და ის სრულად აკმაყოფილებს Benchrest-ის სტანდარტებს. 9610 ფოლადის დამუშავების შედეგად აგებული საკეტი მექანიზმი გაღებისას 75°-ით იხსნება და მოძრაობს კონდახის სალოყის ქვეშ, უკუმიმართულებით. შესაბამისად გადატენვის პროცედურა მოხერხებულია მსროლელისათვის და ამ დროს თავის გაწევა, რის გამოც იკარგება სამიზნე, აღარაა საჭირო. მექანიზმის ჩაკეტვა ერთ მინიწამში ხორციელდება, ანუ 3-ჯერ უფრო სწრაფად ვიდრე ამას ყველასათვის ცნობილი „ვინჩესტერ-70“ აკეთებს. სისტემურ ბუდეზე შაშხანას დამაგრებული აქვს პიკატინის სტილის მაღალი ხიდი, რომელზეც თითქმის ყველა სახეობის ოფტიკური სამიზნე მოწყობილობების დაყენება შეიძლება. აღსანიშნავია რომ კომპანია ნაწილობრივ იყენებს გერმანელების მიერ შექმნილ მანქანა-დანადგარებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია თუნდაც Anschütz-ის ორსაფეხურიანი სასხლეტი მექანიზმი. ლულა კი „შნაიდერის“ პოლიგონალური ტიპის გახლავთ. მჭიდის ტევადობა 10 ან 20 ვაზნაა. ორთოპედიული-ტაქტიკური კონდახი ერთი ხელის მოსმით ცალკევდება შაშხანისაგან და სუფთა სპორტული სროლისათვისაა შექმნილი. მისი მორგება და ზომების შეცვლა მარტივია და შეიძლება ითქვას რომ ის ფაქტიურად ყოველმხრივ რეგულირებადია. იარაღი შემდეგი ყალიბებით იწარმოება: 6XC, .22-250 Remington, 7mm-08 Remington, .308, 6mmBR Remington. მისი ფასია 5000 $. ამავე კატეგორიაში გადის „მაკმილანის“ მეორე ვერსიაც სახელწოდებით 50 LBR. მისი დიზაინი რადიკალურად განსხვავდება თავისი ძმობილისაგან. შაშხანას მასიური, მძიმე კონდახი ამშვენებს და მისი ღირებულება ამერიკის ბაზარზე შეადგენს დაახლოებით 7500 $-ს.

McMillan Turb-2000-ის ტაქტიკური ვერსია McMillan CS5 2012 წელს, ლას ვეგასში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. იარაღი, რომელიც სერიულად მხოლოდ .308Winchester-ის ყალიბით იწარმოება ძმობილისაგან განსხვავებით კიდევ უფრო მეტი ფუნქციით იყო აღჭურვილი. მთავარი განმასხვავებელი დეტალი კი გრძელი, ორიგინალური ფორმის მაყუჩი გახლდათ.

კომპანიის ეკონომიკური ბერკეტების მამოძრავებელი და ბიუჯეტის მთავარი საშემოსავლო წყარო, რომელიც ბრენდს ლიდერობას უმყარებს, გახლავთ შორსმსროლელი მექანიკური – ცილინდრული საკეტით აღჭურვილი სნაიპერული შაშხანები. მათთვის „მაკმილანს“ აღებული აქვს ყველაზე ზუსტი კალიბრები, რომელთაც საუკეთესო მონაცამები გააჩნიათ და შეჯიბრებებსა თუ ბრძოლის ველზე საუკეთესო შედეგები აქვთ ნაჩვენები. ამასთანავე ყურადღება ექცევა გამოცდილი მეიარაღეების, მონადირეებისა და სპორტსმენების ერთობლივ აზრს. შესაბამისად ზემოთხსენებული ტიპის იარაღებს კომპანია სერიულად მხოლოდ ოთხი განსხვავებული, ზუსტი სროლისათვის საუკეთესო კალიბრებით ამზადებს. ესენია .308 Winchester, .300 Win.Mag, .338 Lapua.Mag და .50 BMG. ამათთაგან ყველაზე პოპულარული და ამერიკა-კანადის ბაზარზე გაყიდვადი ვერსია TAC-50 გახლავთ. მისი სამხედრო სახელწოდებაა MK-15. იარაღი დამზადებულია სრულად უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. მისი დანიშნულება ორმხრივია, ანტიმატერიალური და ანტისნაიპერული. შაშხანაში მაღალი სიჩქარე, საუკეთესო ბალისტიკური მაჩვენებლები-სიზუსტე და მძლავრი ენერგია გაერთიანებულია. კომპანიას პროდუქცია წარმოდგენილი ჰქონდა 2010-2012 წლებში, ლას ვეგასში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე-Shot-Show-ზე. იქ მსურველს შესაძლებლობა ეძლეოდა იარაღის მონაცემები სრულყოფილად შეესწავლა და კომპანიაში მოღვაწე პერსონალთან ესაუბრა მათი პროდუქციის შესახებ. „მაკმილანის“ თანამშრომლების განმარტებით ზემოთხსენებულ მოდელს ტყუილად არ აქვს მინიჭებული ანტიმატერიალური სტატუსი. მისი გამოყენება ამ თვალსაზრისით რეალურია. კომპანია „მაკმილანის“ ერთ-ერთი თანამშრომლის განმარტებით ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ძალიან იაფად და მარტივად შესაძლებელია მსუბუქი ჯავშან ტექნიკისა და სხვა მსგავსი მოძრავი სამხედრო საშუალებების განადგურება. მაგალითად ერთ გასროლას ზემოთხსენებული იარაღით ჯავშან მატერიაში იმდენად დიდი შეღწევადობის უნარი აქვს, რომ თუ ტყვია მოტორის მიდამოებში მოხვდა, შეუძლებელია დაზიანებული გადასაადგილებელი საშუალებით გზის გაგრძელება. შაშხანას აგრეთვე გამოიყენებენ რადარებისა და მსგავსი კომუნიკაციის საშუალებების მწყობრიდან გამოსაყვანად.

აღსანიშნავია რომ ჩვენთვის, მართლმადიდებელი ერისათვის, სამაგალითო და მითუმეტეს საამაყო ფაქტი ნამდვილად არ არის რეკორდი, რომელიც Tac.50-ით კონკრეტულმა პიროვნებებმა დაამყარეს. ეს გახლავთ იარაღი, რომლითაც კანადის არმიის სპეციალური დაჯგუფების სნაიპერმა, რობ ფურლონგმა 2003 წელს ავღანეთში განახორციელა ყველაზე შორ დისტანციაზე, 2430 მეტრზე (2657 იარდი, დაახლოებით 1,5 მილი) გასროლა. შედეგად ავღანელი სამხედრო გარდაიცვალა და გასროლა ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე შორ დისტანციაზე გაკეთებული ზუსტი, მომაკვდინებელი გასროლა მსოფლიოში. ავტორების სურვილი და მიზანია, რომ წიგნის მკითხველმაც და ზოგადად საზოგადოებამაც აუცილებლად გაითავისოს და კარგად გააცნობიეროს თითოეული მოქმედება, რომელიც უკავშირდება სასხლეტზე ხელის გამოკვრას და ცეცხლის გახსნას. გარკვეული საქმის, ამ შემთხვევაში კი იარაღისა და სროლის კარგად ცოდნა ყოველთვის საწინდარია მისი მართებული გამოყენებისა. აუცილებლად უნდა გვახსოვდეს რომ იარაღი თავად არ ისვრის, ის თავად ადამიანს მოყავს მოქმედებაში. შეცდომა აუცილებლად მძლავრი და თანამედროვე იარაღით არ შეიძლება რომ დავუშვათ, ძალადობა თუ კიდევ უფრო უარესი ქვით ან უბრალო ჯოხითაც იოლი გასაკეთებელია, თუ ამას ადამიანი მოისურვებს. ისე რომ ნადირობისას, სპორტული სროლისას და მითუმეტეს ბრძოლისას შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით უნდა გავიაზროთ ჩვენი ქმედება და გავითვალისწინოთ ქრისტიანული, მართლმადიდებლური სწავლება ამ ყოველივეს შესახებ. თორემ, ისეც ხდება ხოლმე რომ მთლიანი ჯარი მოძღვრების კურთხევითა და ლოცვით სამშობლო სადარაჯოზე დგას.



მაკმილანის შაშხანა დამტენითი პიკატინის სამიზნის ხიდით და ოფტიკური სამიზნე მოწყობილობით .კალ ,50 BMG

Tac-50 – Long Range Sniper Rifle გახლავთ მოდელი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებში ცივილური ბაზრისათვისაც იყიდება. რათქმაუნდა ზოგ შტატში დაწესებული აკრძალვების მიხედვით შიდა კანონები მოქმედებს და კონკრეტულ ქალაქსა თუ რაიონში აკრძალულია საერთოდ იარაღის გაყიდვა. ზოგგან კი პირიქით, ეს ყველაფერი ლეგალურია და ძაან მარტივი. იმდენადაც კი, რომ ამერიკის მოქალაქეს პირადობის მოწმობის საფუძველზე უფლება აქვს შეიძინოს მაღაზიაში აღნიშნული პროდუქცია და ადგილზე მოახდინოს მისი რეგისტრაცია. შემდგომ კი იქნება ეს ფისტოლეტი, თოფი თუ შაშხანა აიღოს და ქალაქში ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე კანონით მინიჭებული იარაღით გადაადგილების უფლება გამოიყენოს. რაც მთავარია სწორედ იმ შტატებში, სადაც ამგვარი წესები მოქმედებს და მოქალაქეები უპრობლემოდ გადაადგილდებიან იარაღით, ყველაზე დაბალია კრიმინალური პროცენტის მაჩვენებელი. თუმცაღა რათქმაუნდა ამ დროს გასათვალისწინებელია იმ ადგილებში მცხოვრები ხალხის მენტალიტეტი და მათი აზროვნება. შესაბამისად მათზეა ხოლმე მორგებული კანონებიც.

შაშხანის 73,66 სანტიმეტრი სიგრძის ლულა ცივად არის დამზადებული და ფაქტიურად მთლიანად თავისუფალი რხევის ზონაში იმყოფება. მისი სტრუქტურული აგებულება და დამზადების პრინციპი დაპროექტებულია Benchrest-ის ტურნირის სტანდარტების მიხედვით. ეს ტიპი კი ყველაზე ძაან ჭირდება სნაიპერულ იარაღს. ლულის დასაწყისი შედარებით ფართეა და მალევე ვიწროვდება. ძირითადი ნაწილი დაღარულ სტილში, ჭრილებითაა წარმოდგენილი. ისინი პირველ რიგში ზრდიან და აფართოვებენ მოლეკულების მჭიდროდ გაჯგუფებას, რაც მეტი სიმყარის გარანტია. ამასთანავე შედარებით ამცირებენ წონას და გაგრილების პროცესს უწყობენ ხელს. ბოლოში განთავსებული ცეცხლმაქრი/კომპენსატორი სწორედ რომ კონკრეტული ყალიბისა და კონკრეტული შაშხანისათვის შეიქმნა.

იარაღის ორფეხა სადგამი სრულად რკინისაგანაა აგებული და მასში სხვა მასალის კომპონენტები არ ურევია. ამის მიუხედავად წონა მაინც სტანდარტული რჩება. რაც შეეხება კონდახს, მისი სალოყე ბალიშისა და მხრის საყრდენის რეგულირებაც მარტივადაა შესაძლებელი, თან ძაან იოლად, ყოველგვარი დანაყოფებისა და აღმნიშვნელი ციფრების გარეშე. საკეტი მექანიზმის საკმაოდ გრძელი სახელურით დიდი ზომისაა. სისტემურ კოლოფზე ყენდება მასიური ფორმის სამიზნე ხიდი. მასზე ზემოდან, სადაც გრძელი პიკატინი გვხვდება, მაგრდება ოფტიკური სამიზნე, ზოგ შემთხვევაში ღამის ხედვის მოწყობილობასთან ერთად. ამავდროულად მარჯვენა და მარცხენა მხარეს ხიდს დამატებით აქვს შედარებით პატარა პიკატინის სტილის ჭრილებიანი ხიდები ფანარის, ლაზერის ან მსგავსი, სხვა და სხვა აქსესუარების დასამაგრებლად.

ყველაზე მთავარი, დასაფასებელი და ნამდვილად საამაყო კომპანიისათვის გახლავთ შაშხანის საკეტი მექანიზმი. მისი აგებულების პრინციპი მხოლოდ ზემოთხსენებულ იარაღში არ არის გამოყენებული. კომპანია თავის წრფივად მოძრავ საკეტებიან შაშხანებს მხოლოდ საკუთარი სახელგანთქმული მეთოდით აგებს. ამავდროულად ცალკეც ამზადებს და ყიდის. მისი ვიზუალურად დათვალიერებისას უმალვე შეიმჩნევა ორიგინალური ფორმა. ის დაგრეხილ კრინას მოგვაგონებს. თუ რატომ არის ასეთი ფორმის ეს დეტალი და რაში ეხმარება ასეთი გარეგნობა მას, გამოფენაზე მყოფ „მაკმილანის“ კომპანიის თანამშრომლებს შევეკითხეთ. თან ცოტა მაცდური შეკითხვაც დავუმატედ ბოლოს. დაგვაინტერესა ეს ფორმა მხოლოდ თვალის მოსატყუებლად და რეკლამის გასაკეთებლად ხომ არ არის თქო. მათ ჩვენი ინტერესი სრულან ნამდვილად ვერ დააკმაყოფილეს და ძალიან მოკლედ განგვიმარტეს ზემოთხსენებული, ჩვენთვის გარკვეულწილად უკვე ნაცნობი თეორია. თუმცაღა ერთის მხრივ ძალზედ ჭკვიანური პასუხი გაგვცეს. უბრალო მაგალითის სახით ნებისმიერი ნაჭერი რომ ავიღოთ და საკეტი მექანიზმის მსგავსად დავგრიხოთ, ასე უფრო მყარი იქნება, ვიდრე ჩვეულებრივ დამრგვალების შემთხვევაში. ასეთი განმარტების მოყვანის შემდგომ ალბათ ყველას დაებადება კითხვა რა შუაშია ნაჭერი რკინასთან, მაშინ როდესაც უკვე არსებობს მეტალის ცივად დამზადების უამრავი ხერხი. ჩვენც ანალოგიური კითხვით მივმართეთ და პასუხად მივიღეთ რომ თურმე მიუხედავად ამისა, რკინასაც და არა მარტო რკინასაც, მსგავსი თვისების გამოვლინება ძალულს. ამის შემდგომ აღარ დავკონკრეტებულვართ მისი დანარჩენი დადებითი თვისებების ინფორმაციის გაგებაზე. ხელით გადატენვისას და ვიზუალურად კარგად დაკვირვებისას მაინც აშკარა ხდებოდა რომ მასში სხვა საკეტებთან შედარებით სიმყარის მრივ რაღაც უფრო კარგი აშკარად იყო.

იარაღისათვის მისი შემქმნელები გვირჩევენ გერმანული Schmidt&Bender-ის ფირმის სამიზნე მოწყობილობას Schmidt&Bender 12-50x56 PM II/P – P4 fein. ოფტიკა ალბათ საუკეთესოა მსოფლიოში და ძალიან ბევრ მძლავრი, ლიდერი კომპანიის მიერ წარმოებულ ვერსიას სჯობს კონკრეტულ კატეგორიაში. ფირმის წარმომადგენლები აგრეთვე გვირჩევენ Leopold-ის ოფტიკურ მოწყობილობას, რომელიც არც თუ ისე ურიგოდ გამოიყურება. მაგრამ თავად ეს ფაქტი უკვე რეკლამა უფროა ვიდრე ის გარემოება, რომ ვითომ ზემოთხსენებულ სამიზნეზე კარგი მოწყობილობა „მაკმილანმა“ გერმანული Schmidt&Bender-ის გარდა ვერ მოძებნა მსოფლიოში. ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად დამატებითი ინფორმაციის წყაროს მოძიება გადავწყვიტეთ. მას შემდეგ, რაც გავესაუბრედ ევროპის ერთერთ ქვეყანაში თავად კომპანია „ლეოპოლდის“ წარმომადგენლებს, საერთოდ გაგვიქრა ამ ბრენდის მიერ წარმოებული ოფტიკური სამიზნის გამოყენების სურვილი. მათი განმარტებით პროდუქცია პირველ რიგში გათვლილია ამერიკისა და კანადის ბაზრისათვის. ამასთანავე არაელიტარული, რიგითი სამხედრო მოსამსახურეები მოიხმარენ ზემოთხსენებული ბრენდის პროდუქციას. შესაბამისად აბსოლიუტურად ყველაფერი, გარდა განსაკუთრებული უიშვიათესი შემთხვევებისა, მზადდება აზიუ ქვეყნებში, ხშირ შემთხვევაში კი ჩინეთში, ისევე როგორც ამერიკის ბაზრისათვის გათვალისიწინებული პროდუქციის დაახლოებით 50 %. ეს კი მათი იაფი წარმოებისათვის გადასახდელი დაბალი ფასიდან გამომდინარე ხდება. ფირმის წარმომადგენლობა, რომელთანაც აგრეთვე აღნიშნულ საკითხზე გვქონდა საუბარი, ამავდროულად იყო Schmidt&Bender-ისა და Carl-Zeiss-ის ერთ-ერთი დილერი ევროპაში. მათი განმარტებით ევროპული ბრენდები გაცილებით მაღლა დგას და ავსტრიულ Svarowvski-სთან ერთად ლიდერ პოზიციასაც იკავებს ხარისხობრივადაც და მოხმარების თვალსაზრისითაც კონკრეტული ტიპისა და კატეგორიის ოფტიკური სამიზნეების წარმოებაში. ჩვენი უცხოელი დილერის ინფორმაცია ნამდვილად აღარ საჭიოროებდა გადამოწმებას, ვინაიდან მის მიერ მოწოდებული ინფორმაცი საფუძველ მოკლებული ნამდვილად არ იყო. განსაკუთრებით კი ამ ორივე ევროპულ ბრენდის ტაქტიკური ვერსიების განხილვისას აშკარა ხდება მათი უპირატესობები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავსტრიული კომპანია Swarovski Optiken GMBH ძირითადად სანადირო მოხმარებისათვის აწარმოებს ოფტიკურ სამიზნეებს. არადა მსოფლიოში საუკეთესოა, უნაკლო, მისი უნიკალურად დამუშავებული მინებიდან – ლინზებიდან გამომდინარე. თუმცაღა „სვაროვსკის“ გააჩნია ისეთი მოდელებიც, რომლებიც გამოდგებიან შედარებით შორ დისტანციაზე სპორტული ან სნაიპერული სროლისათვის. ხოლო სრულად ტაქტიკური სტილის ვერსიებს ავსტრიელები არ აწარმოებენ.

აღსანიშნავია რომ შაშხანა, რომელიც იწარმოება მუყუჩით, დაკომპლექტებულია ხოლმე ღამის ხედვის სამიზნე მოწყობლობით და კიდევ სხვა დამატებითი აქსესუარებით. მისი ფასი კი შესაბამისად უფრო ძვირია ვიდრე ჩვეულებრივი სერიული ვერსიის. იარაღის ცივილურ ბაზარზე 7500-დან 10000 $-მდე ფასობს.



BARRETT

კომპანია Barrett-ის სათაო ოფისი – წარმოების მმართველი გუნდი განთავსებულია ამერიკის კონტინენტზე, ტენესის შტატში. ფირმა დაარსდა 1982 წელს, თვითნასწავლი ინჟინერის, რონი ბარეტის მიერ. მისი დევიზი დაწყებისთანავე მსხვილკალიბრიანი შაშხანების დაზმადება იყო. თავდაპირველად მან შექმნა შორსმსროლელი შაშხანა 82A1 ყალიბით .50 BMG. დღესდღეობით ეს იარაღი კვლავ იწარმოება და მისი თანამედროვე ვერსიის სახელწოდებაა M107-ია. ამჟამად მისი შვილი კრისი კომპანიის ვიცე პრეზიდენტია და საკმაოდ წარმატებითაც ახორციელებს ბიზნეს კარიერას. თავად დამაარსებელი რონი კი დანიშნულ იქნა ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ტრადიციული ცივილური ორგანიზაციის, ნაციონალური შაშხანების ასოციაციის (National Rfiles Association-NRA) დირექტრად. 1989 წელს კომპანიამ უკვე შეკვეთა მიიღო 100 ერთეულ იარაღზე შვედეთის არმიისაგან. ერთი წლის შემდგომ კი თავად ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც გადაწყვიტეს „ბარეტის“ შაშხანების შეიარაღებაში ჩაშვება. თავდაპირველად ისინი ზემოთხსენებულ იარაღებს ძირითადათ უდაბნოში, შორ დისტანციაზე სროლისათვის გამოიყენებდნენ. ცოტა უფრო მოგვიანებით ფირმამ დახვეწა წარმოება, გაზარდა კაპიტალი და თანდათანობით იწყო ახალ-ახალი ვერსიების მზადება განსხვავებული ყალიბებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად „ბარეტი“ ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერია მსხვილკალიბრიანი შაშხანების მწარმოებლებს შორის. მათი პროდუქცია გამოიყენება სანადიროდ შორ დისტანციებზე, სპორტული შეჯიბრებებისათვის და სამართალდამცავი ორგანოების მიერ სპეციალური ოპერაციების განსახორციელებლად. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ორმოცდაათამდე მოკავშირე ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები და სპეციალური სნაიპერული დაჯგუფებები სწორედ რომ ზემოთხსენებულ იარაღებს იყენებენ.

ამჟამად კომპანია დაახლოებით შვიდ სერიულ მოდელს აწარმოებს. ერთ-ერთი მათგანია ნახევრადავტომატური მოდელი 82A1 ყალიბით .50BMG



BARRETT MRAD კალ .338 Lapua Magnum



BARRETT MRAD-ზე განთავსებული ოფტიკური სამიზნე BORS-ის სისტემით



BARRETT MRAD-ის
არასრულად დაშლილი საკეტი

და 416 Barrett. მისი შემქმნელები მყიდველებს რატომღაც მაინც შედარებით წვრილ ყალიბს ურჩევენ. საფუძვლად კი დასძენენ რომ გარკვეულ დისტანციამდე .416 უფრო ზუსტია ვიდრე მისი ძმობილი შაშხანა „ბრაუნინგის“ მიერ შექმნილი .50 BMG-ის კალიბრით. ფასი მერყეობს 8900 $ -დან 11.700 $-მდე.

ძალზედ პოპულარული და გაყიდვადია ნახევრადავტომატური ვერსია M107A1 ყალიბით .50 BMG. მისი აგებულება ისეა შექმნილი, რომ იარაღისათვის მაყუჩი იდეალურად უნდა იქნეს გამოყენებული. ასეთი ვერსიის ლულის სიგრძეა 50,8 სმ. ხოლო შედარებით გრძელ ლულიანი მოდელი მაყუჩის გარეშე, ცეცხლმაქრი/კომპენსატორით იწარმოება და მისი სიგრძე 73,7 სანტიმეტრს შეადგენს. როგორც ყველა მსგავსი ტიპის შაშხანა, M107A1-იც აღჭურვილია ორფეხა სადგამით, რომელიც ლულის ქვეშ, სისტემური კოლოფის წინა ნაწილზეა მიმაგრებული. კონდახის ზედაპირზე განთავსებული სალოყე ბალიში თხელი და რბილი ფიქსირებული დეტალია, რომელიც არ რეგულირდება. იარაღი ძირითადათ უდაბნოში სახმარად, სპეციფიკური მწვანე ფერით იწარმოება. მისი წონაა 14 კილოგრამი. მთლიანი სიგრძე 145 სანტიმეტრია. მჭიდის ტევადობაა 10 ვაზნა. იარაღს სისტემური კოლოფის ზემოდან დამაგრებული აქვს გრძელი პიკატინის ხიდი, რომელზეც ფაქტიურად ნებისმიერი ტიპის ოფტიკური სამიზნე მოწყობილობის დაყენებაა შესაძლებელი. შაშხანის ფასი ძირითადად შეადგენს 12.000 $-ს. წრფივად მოძრავ საკეტიანი MRAD-ი ზუსტი და სნაიპერებში ძალზედ პოპულარული ყალიბით, .338 Lapua.Magnum-ით იწარმოება. თავის კატეგორიაში იარაღი ერთ-ერთი საუკეთესოა. თუმცაღა ძლიერი კონკურენტებიც მრავლდა ჰყავს, რომლებიც ზოგიერთი კრიტერიუმების გათვალისწინებით სჯობიან კიდეც მას. იარაღის წონა სულ რაღაც 6,7 კგ-ია. კონდახი იკეცება და გადაადგილებისას მოხერხებულად შეიძლება გადატანა. მისი სალოყე ბალიში და მხარზე საყრდენი რეგულირებადია. შაშხანის მთლიანი სიგრძე გაშლილი კონდახით შეადგენს 119,13 სმ-ს, ხოლო დაკეცილით 101,35 სმ-ს. ტარი შაშხანას M4/M16-ის ტიპის უყენია. მჭიდის გამომღები სასხლეტის ბუდის წინა მხარესაა განთავსებული და მისი წინ მიწევით მჭიდი სცილდება იარაღს. ტევადობა 10 ვაზნაა. საკეტი მექანიზმის უკან მოწევის შემდგომ სისტემურ კოლოფს ვწევთ ზემოთ და იარაღი იხსნება. შედეგად შესაძლოა საკეტის გამოღება. თავად საკეტიც ძალიან მარტივად იშლება. სასხლეტი მექანიზმის მოხსნას და ამოღებას ძაან ცოტა დრო ჭირდება და მისი ვიზუალური დათვალიერებისას ვლინდება მისი უმარტივესი და უნაკლო სტრუქტურული აგებულება. აღსანიშნავია რომ ბარეტის მიერ წარმოებული პროდუქცია სწორედ რომ მოხერხებულობითა და სიმარტივით გამოირჩევა. შაშხანის ლულა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითაა შექმნილი და მთლიანად თავისუფალი რხევის ზონაში იმყოფება. სერიული ვერსიები ძირითადათ აღჭურვილია ხოლმე ცეცხლმაქრი/კომპენსატორით. თუმცაღა მასზე შესაძლებელია მაყუჩის დაყენებაც. MRAD ახალი მოდელია და იგი წარმოდგენილი იყო 2011-2012-2013 წლების გამოფენებზე ამერიკასა და გერმანიაში. მისი გარკვეულწილად შესწავლა და მონაცემების გაგებაც ნიურნბერგში გამართულ საგამოფენო კომპლექსში მოვახერხედ. იარაღს რამოდენიმე გამორჩეული, საუკეთესო თვისება გააჩნია. იგი ძაან მოხერხებული გადასატანია და ამასთან ერთად ეფექტური სროლის მანძილი 1500 მეტრს სცდება. ფასი კი არც მეტი არც ნაკლები 6000 ამერიკული დოლარია. აღსანიშნავია რომ, მანამდე სანამ კომპანია MRAD-ს აწარმოებდა, იმავე ყალიბით მზადდებოდა შედარებით უფრო კომფორტული, წრფივად მოძრავ საკეტიანი ვერსია სახელწოდებით 98B. იარაღის წარმოება დღემდე წარმატებულად ხორციელდება.

ამერიკული კომპანია Barrett-ი M4-ის ტიპის თვითმტენ შაშხანებსაც ამზადებს REC-7-ის სახით. აღნიშნული იარაღი გარკვეულ წილად განსხვავდება ჩვეულებრივი, სტანდარტული M4-ისაგან. პირველრიგში მასი ყალიბი 6,8 SPC (6.8x43მმ) უფრო მსხვილია, ვიდრე სერიული .223 Remington-ის 5.56x45მმ. ამასთანავე გამოსარჩევია მისი ხარისხი და ბევრად უფრო დახვეწილი ტექნიკური მხარეები. ეს გულისხმობს ჩვეულებრივ თუ კრიტიკულ პირობებში უკეთეს და შეუფერხებელ მუშაობას. ამის თვალსაჩინო მაგალითია საკეტის მამოძრავებელზე მიმაგრებული გრძელი ზუმბა – დამაბრუნებელი მექანიზმი, რომელიც სტანდარტულ M4-ს საერთოდ არ აქვს და ზოგიერთი მოდელის შემთხვევაში შესაძლებელია ზემოთხსენებული დეტალის ცალკე შეძენა და შაშხანაზე დაყენება. ამას ემატება 7075-მყარი ალუმინისაგან ცივად დამზადებული სისტემური კოლოფი, რომელსაც ბევრად უფრო მეტი დადებითი თვისებები აქვს, ვიდრე სხვა ტიპის, სტანდარტული მყარი ალუმინისაგან გაკეთებულ ბუდეს. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითაა დამზადებული აგრეთვე ლულაც და ძალზედ მყარი, 9310 ფოლადის ნამზადისაგან ნაწრთობი საკეტი მექანიზმი. თავდაპირველად შაშხანის ტესტირება ბევრჯერ განხორციელდა კერძო მეიარაღეთა აკადემიებისა თუ სამხედრო ქვედანაყოფების მიერ. მათი მხრიდან გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით Rec-7 თავის კატეგორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ის მუშაობს თითქმის ნებისმიერ კრიტიკულ პირობებში. იქნება ეს სიცხე, ყინვა თუ წყალში გასროლა, რომლის დროსაც ზოგიერთი M4 სკდება შუაზე. ნასროლზე დაკვირვებისას შესანიშნავი ბალისტიკა იქნა მიღებული. 10 ვაზნის შედეგად გაფანტვის წრეების დაჯგუფება 100 იარდზე დაახლოებით 6 ინჩია. ხარისხისა და ბევრზე უკეთესი მონაცემების შესაბამისად იარაღის ფასი კონკურენტებთან შედარებით ძვირია და მერყეობს დაახლოებით 2400 $-დან 3300 $-მდე.

კომპანიის მიერ წარმოებული პოპულარული და ამავდროულად ერთ-ერთი ყველაზე შორს მსროლელი შაშხანა ორი განსხვავებული მოდიფიკაციის არსებობს. ორივე მათგანი ცილინდრული ტიპის, წრფივად მოძრავი საკეტი მექანიზმითაა აღჭურვილი. მათი სახელწოდებებია Barrett-M-95 და Barrett M-99. მოდელი-95 შედარებით უფრო ახლო დისტანციაზზე იხმარება, ვიდრე ახალი ვერსია მოდელი-99. მას 5 ვაზნიანი მჭიდი უყენდება და საკმაოდ მოხერხებული სახმარია ბულპაპის დიზაინიდან გამომდინარე. ყალიბი.50 BMG-ია. იარაღის წონა 10,7 კილოგრამი იდეალურია თუ მის მსხვილ კალიბრს გავითვალისწინებთ. ლულის სიგრძე 73,6 სმ-ია, მაშინ როდესაც მთლიანი სიგრძე სულ რაღაც 114,3 სმ-ს შეადგენს. ლულის ბოლოში შაშხანას საკმაოდ მასიური ცეცხლმაქრი/კომპენსატორი უყენია. სისტემურ კოლოფზე მიმაგრებულია ფეხები, დამიზნებისას იარაღის წინა ნაწილის დასაყრდნობად. შაშხანის სტანდარტული ვერსიის ფასი შეადგენს 6500 $-ს ხოლო ოფტიკურ სამიზნე მოწყობილობასთან ერთად ის დაახლოებით 9300 $ ღირს.

Barrett Model-99 გახლავთ ძალიან მარტივი და ზუსტი ანტისნაიპერული – ანტიმატერიალური ცილინდრული ტიპის, წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანა ყალიბით .50 BMG. იარაღის შექმნამდე ხარნგძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა სრულყოფილი, უნაკლო მოდელის აგებისათვის. მისი კალიბრიც ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ მსროლელისათვის ერთდროულად რამოდენიმე ძალზედ საჭირო ფუნქცია-მისია შეესრულებინა. თეორიული თუ პრაქტიკული ცდების ჩატარების შედეგად უამრავმა პროფესიონალმა გააკეთა დასკვნები. ტესტირებაში მონაწილეობას იღებდნენ არა მხოლოდ კომპანია „ბარეტის“ თანამშრომლები, არამედ სპეციალურად ზემოთხსენებული ვერსიის შექმნისათვის სხვა კომპანიებიდან და სახელმწიფო სტრუქტურებიდან მიწვეული მეიარაღეები. დასკვნებმა ცხადყო რომ ჯონ მოზეს ბრაუნინგს სხვა უამრავ აღმოჩენებთან ერთად .50 BMG (Browning Machine Gun)-ის ყალიბის თეორიაც უნიკალურად ჩამოუყალიბებია და შეუქმნია მრავალფუნქციური ვაზნა. დასკნით შედეგებში თითქმის ყველა თანამონაწილე ადასტურებს რომ 12.7x99 მმ-იანი ყალიბი იდეალურია როგორც ზუსტი სროლისათვის შორს დისტანციაზე, აგრეთვე ენერგიის მხრივ, მსუბუქი ჯავშანისა და სარადარო მოწყობილობების მწყობრიდან გამოსაყვანად. მასზე უფრო წვრილი ვაზნით შესაძლოა შედარებით ზუსტი ბალისტიკური შედეგები მივიღოთ, ისიც გარკვეულ დისტანციაზე. ხოლო გამოყოფილი ენერგია, ანუ გამანადგურებელი ძალა პატარა იქნება. თუ მასზე უფრო მსხვილ ყალიბს ავიღებთ, გაიზრდება შაშხანის წონა და შემცირდება ზუსტი სროლის ალბათობა. აღნიშნული შედეგები თეორიასთან ერთად სწორედ რომ ხანრძლივმა ცდების ჩატარებამ გამოავლინა. შესაბამისად ჯონ ბრაუნინგის მიერ შექმნილ ვაზნას მიენიჭა პირველი ადგილი უმაღლესი ხარისხი სპორტული, ანტისნაიპერული და ანტიმატერიალური ვაზნის ტიპის სტატუსი.

Model-99 -ის წარმოების დაწყებისას იარაღი პროტოტიპის სახით წაღებულ იქნა FCSA (Fifty Caliber Shooting Association)-.50 კალიბრის მსროლელთა ასოციაციისა და NRA-ს მიერ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე 1000 იარდზე ზუსტ სროლაში. მოდელმა შეჯიბრების გმირის სტასტუსი დაიმსახურა. ამით ბევრი რამ უკვე ითქვა. პირველივე ტურნირზე როდესაც შაშხანა ამგვარ წოდებას ეუფლება, ნიშნავს რომ მომავალში მისგან და თავისთავად მისი შემქმნელებისაგან ბევრ ნოვატორულ გამოგონებებს უნდა ველოდეთ. აღსანიშნავია რომ იარაღს მჭიდი საერთოდ არ აქვს და ყოველი გასროლის შემდგომ ცეცხლის საწარმოებლად საჭიროა მისი ახლიდან დატენვა. თითქმის ყოველგვარი დამატებითი აქსესუარები, ზედმეტი ფუტურისტული კომპონენტები და არასაჭირო დეტალები მოცილებული აქვს შაშხანას. არავითარი რეგულირებადი სალოყე ბალიში ან ტაქტიკური, რბილი სამხრე მას არ უკეთია. თუმცაღა დამატებითი აქსესუარის სახით შესაძლებელია იარაღზე დამონტაჟდეს ეგრედწოდებული „მონოპოდი“, ანუ კონდახის (ტაქტიკური) მარეგულირებელი მიწაზე საყრდენი ფეხით. სისტემური ბუდის იმ მონაკვეთზე, რომლის შიგნითაც ლულის გარკვეული ნაწილია მოთავსებული, სპეციალური მრგვალი ფორმის ჭრილებითაა აღჭურვილი, რათა მოხდეს გასროლის შემდგომ ლულის შედარებით მალე გაცივება. სისტემური კოლოფი სადა და მასიურია. ბოლოში კი დამაგრებული აქვს ორფეხა სადგამი. ლულა სიგრძეში 81,3 სმ-ია. ბოლოში კი მასიური სამკუთხა სტილის, ტიტანის მასალა ნარევი ალსაქრობი/უკუცემის შემამცირებელი კომპენსატორი აქვს დამაგრებული. მოდელი შედარებით მცირე კალიბრით, .416 Barrett-ითაც იწარმოება და 11,4 კგ-იან .50 BMG-ის ვერსიაზე ზუსტად 1 კგ-ით მსუბუქია. თუმცაღაA ეს მარტო განსხვავებული ყალიბის გამო არაა, მსხვილ კალიბრიან ვერსიას ლულაც 7,6 სმ-ით გრძელი აქვს. შაშხანას საკეტი მექანიზმი განსაკუთრებული და ორიგინალურია. მისი დაკეტვისას არც მეტი არც ნაკლები საკეტის თავზე განთავსებული 15 წახნა-



BARRETT MRAD-ის დაშლა ძაან იოლია, ის M4-ის მსგავსად შუაზე იხსნება



BARRETT აწარმოებს აგრეთვე M4-ის ტიპის შაშხანებს, რომლებიც გამოირჩევა ხარისხითა და საიმედოობით



BORS-ის სისტემა, რომელიც ითვლება დღევანდელი სნაიპერების აუცილებელ ატრიბუტად



გემანიის საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი Barrett-ის შაშხანა ყალიბით 50 BMG



Barrett-ის საკეტზე განტავსებული ჩამკეტი კბილები – წახნაგები



Barrett-ის საკეტზე განტავსებული ჩამკეტი კბილები – წახნაგები

გი – ჩამკეტი კბილი ჯდებიან მათთვის განკუთვნილ ჭრილებში. ნემსი ტიტანის მასალის დახმარებითაა აგებული. ზემოთხსენებული მონაცემების შედეგად იზრდება მყარად ჩაკეტვის ალბათობა და შეიძლება თამამად ითქვას რომ ზოგადად საკეტი მექანიზმი თავისზე დაკისრებულ ფუნქციას უნაკლოდ, იდეალურად ასრულებს.

შაშხანის თეორიული მონაცემების ზერელად გადახედვისას დავინტერესდით ზემოთხსენებული მოდელით, რომელიც კომპანიას ახალ .338 lapua magnum-ის კალიბრიან Mrad-თან ერთად ნიურნბერგში გამართულ საგამოფენო კომპლექსში ჰქონდა წარმოდგენილი. ყველაზე საინტერესო გახლდათ იარაღის სავაზნე კოლოფის თავზე, გრძელი პიკატინის სტილის ხიდზე დამაგრებული, სპეციალურად ზემოთხსენებული მოდელისათვის დამზადებული ოფტიკური სამიზნე მოწყობილობა. არსებობს ოფტიკების მცირე ჩამონათვალი, რომლებზეც შემდგომ ყენდება „ბარეტის“ ოფტიკური საზომი სისტემა – (BORS) Barrett Optical Ranging System. ამ ჩამონათვალში შედის Leopold, Nightforce-ს და Schidt&Bender-ის სამიზნე მოწყობილობები. საუკეთესო ვარიანტები კი ზემოთხსენებული Barrett Model-99-თვის .50 BMG-ის ყალიბით გახლავთ Nightforce NXS 8-32x50mm&56mm და Schmidt&Bender 5-25x56mm Police Marksman II. თუ მაგალითის სახით დავაყენებთ BORS-ის სისტემით აღჭურვილ გერმანულ ოფტიკას, დაგვჭირდება მხოლოდ და მხოლოდ კარგი, ანალოგიური ხარისხის ლაზერული მანძილმზომი. რათქმაუნდა სასურველია იყოს ავსტრიული „სვაროვსკის“ (ან თუნდაც გერმანული „კარლ-ცაისის“) ფირმის, რომელიც მანძილს მინიმუმ 1500 მეტრამდე ზომავს მაქსიმალური სიზუსტით (+/-1 მ). BORS-ის სისტემა თავად ზომავს ჰაერის ტემპერატურას, ატმოსფერულ წნევას და ტყვიის ტრაექტორიას ზუსტად. დახრილი კუთხეებიც (ციცაბო/მთიანი ადგილები) ამ სისტემისათვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. მთავარია მანძილმზომის მიერ მოპოვებული ინფორმაციის ოფტიკურ სამიზნეზე დამაგრებულ BORS-სისტემაში შეყვანა დოლურების მეშვეობით და ბოლოს გასროლის წარმოება. ვინაიდან კომპიუტერი თავად არეგულირებს ზემოთხსნებული მონაცემების მიხედვით ლინზებზე განთავსებულ სამიზნე წერტილს-ბადეს/ჯვარს. სნაიპერული სროლისას ზოგ შემთხვევებში ორკაციანი ჯგუფებია ამ საქმისათვის გამოყოფილი. ერთი ახდენს მანძილისა და დანარჩენი პარამეტრების გაზომვას და ამ ინფორმაციის მსროლელისადმი სრაფ, ეფექტურ მიწოდებას. სნაიპერს მხოლოდ და მხოლოდ სისტემაში შეყავს მონაცემები, უმიზნებს იარაღს მსხვერპლს და ახორციელებს გასროლას.

ამჟამად გერმანული „შმიტ-ბენდერის“ ოფტიკური სამიზნისათვის გათვალისწინებული BORS 2.0-ის ფასია 1900 $. თავად სამიზნე Schmidt&Bender 5-25x56mm PM II კი დაახლოებით 3200 $-ღირს. რაც შეეხება ყველაზე მთავარს, „ბარეტის“ შაშხანას, მისი სტანდარტული ვერსიის ფასი 4000 $-დან იწყება.

GATLING

1818 წლის 12 სექტემბერს ჩრდილო კაროლინაში, ჰერთფორდ ქაუნთში დაიბადა ნიჭიერი მექანიკოსი, გამომგონებელი, პროფესორი რიჩარდ ჯორდან გატლინგი. მან მომდევნო საუკუნეშიც გადააბიჯა და 1903 წლის 27 სექტემბრამდე იცოცხლა. აღსანიშნავია რომ რიჩარდი სამედიცინო განხრითაც იღებდა სერიოზულ განათლებას. მეიარაღეთა სფეროში კი იგი გახლავთ უამრავი კონსტრუქციის ავტორი.

პირველი ცნობილი Gatling Gun-ის ვერსია 1861 წელს, ამერიკაში მიმდინარე სამოქალაქო ომის პერიოდში აიგო. მან 1862 წელს გააუმჯობესა კონსტრუქცია და შექმნა ეგრედწოდებული რევოლვერ-ტყვიამფრქვევი, რომელიც დიდი წარმატებით გამოიყენეს ბრძოლის დროს „ჯეიმს რივერი“-ს გადალახვისას. აღსანიშნავია რომ თავდაპირველად ამერიკის შეერთებული შტატების არმიას არ გააჩნდა ინტერესი აღნიშნულ მოდელებზე. ამ დროს კი გენერალმა ბენჟამინ ბატლერმა 12 ერთეული „გატლინგის“ იარაღი გაგზავნა პირდაპირ პეტერბურგის ფრონტზე. თავდაპირველად დაახლოებით 45 კილოგრამიანი ტყვიამფრქვევის გამოყენებისათვის საჭირო იყო 4 ადამიანი. 1876 წლის მოდელს თეორიულად წუთში 1200 გასროლა უნდა გაეკეთებინა. თუმცაღა პრაქტიკაში გამოცდისას ის მხოლოდ 400 ვაზნის გასროლას ახორციელებდა აღნიშნულ დროში. მას შემდგომ გატლინგმა მუშაობა დაიწყო იარაღის დახვეწაზე და დრო და დრო აუმჯობესებდა საკუთარ გამოგონებებს.

გატლინგის იარაღი გახლავთ ავტომატური ტიპის ცეცხლსასროლი მანქანა, რომლის თვითმტენი მექანიზმი როტაციული ღერძის პრინციპზე აგებული ლულების მიხედვით, მათ თანმიმდევრულად ბრუნავს. გატლინგის პრინციპი აერთიანებს მარტივად დატენვის პროცესს, მაღალი სროლის კადენცსა და საიმედო მუშაობას. იარაღის თითეულ ლულას აქვს ცალკე საკეტი და ნემსი, რომლებიც უკავშირდებიან ერთ, საერთო მექანიზმს. ლულათა დაჯგუფების ბრუნვის დროს მოქმედაბაში მოდის თითეული საკეტი მექანიზმი. ის იხსნება, ასრულებს დატენვის პროცედურას და კვლავ იხურება. ბრუნვისას საკეტი მექანიზმი კვლავ იხსნება და ცარიელ ჰილზს აგდებს გარეთ. ეს პროცესი თანმიმდევრულად ხორციელდება.

ზოგადად „გატლინგის პრინციპს“ დღესდღეობით უამრავი კომპანია იყენებს. იარაღებს ამზადებენ საბრძოლო დანიშნულებისათვის და ამონტაჟებენ გემებზე, ავიაგამანადგურებლებზე, მძიმე და მსუბუქ ჯავშანტექნიკაზე. აგრეთვე მზადდება გლუვლულიანი ვერსიები კოლექციონერთათვის და მსგავსი ტიპის იარაღების მოყვარული მონადირეებისათის. ის მათთვის ერთგვარ გასართობს წარმოადგენს, რომლითაც რათქმუნდა ნადირობა გამორიცხულია. თუმცაღა შესაძლებელია ბევრად მეტი სიამოვნების მიღება მხოლოდ სამიზნეზე სროლით. განსაკუთრებით მათთვის ვინც მსგავსი გართობების მოყვარულია. სწორედ ამიტომ იყო წარმოდგენილი 2011 წლის მარტში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე, გერმანიის ტრადიცულ ქალაქ ნიურბერგში, IWA-2011-ზე აღნიშნული „გატლინგის“ გლუვლულიანი ტყვიამფრქვევი – Gatlingkanone. ის ძველებურ სტილზე იყო აგებული. ხის ძარაზე იყო დამაგრებული და ორივე თვალი თავდაპირველი მოდელის მსგავსად, ძველებური ურმის ბორბლებს მოგვაგონბდა. „გატლინგი“ 9 ცალი, 80 სანტიმეტრიანი ლულით იყო დაკომპლექტებული. ლულების დაბოლოებები 0,5 შევიწროებით, ანუ ნახევრად ჩოკის ტიპის იყო. იარაღი წამში მაქსიმუმ 7 გასროლას ახორციელებდა. ყალიბი კი გახლდათ 12/76. თუმცაღა შემქმნელების განმარტებიდან გამომდინარე უმჯობესია მისთვის 70 მმ-იანი ვაზნებს გამოყენება. ეფექტური სროლის განხორციელება დაახლოებით 5500 ვაზნის გასროლამდე იყო შესაძლებელი. შემდგომ უკვე რესურსი ეწურებოდა გარკვეულ დეტალებს და დროთა განმავლობაში აუცილებლად დაჭირდებოდა შეკეთება ან გამოცვლა. მჭიდის ტევადობა იყო 50 ვაზნა. იარაღს სასხლეტის მაგივრად მასიური რკინის სახელური ჰქონდა მარჯვენა მხარეს გაკეთებული და მისი დატრიალებისას მოქმედაბაში მოდიოდა მექანიზმი, შესაბამისად იწყებოდა ცეცხლის წარმოება. მსროლელისათვის კი ხის პატარა სკამი იყო ჩარჩოს ბოლოში, რომელზეც მსურველი ჯდებოდა და აწარმოებდა გასროლას. ყველაზე საინტერესო კი ალბათ მისი ფასია, რომელიც 20.000 ევროდან იწყებოდა და მატულობდა მოდიფიკაციის მიხედვით.



Gatling-ის რეტრო ტიპის გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი



მეიარაღეობა იტალიაში – COSMI

იტალია არის ქვეყანა რომელიც ევროპაში და მსოფლიოშიც ყოველთვის ამბობდა და ამბობს თავის სიტყვას იარაღების ინდუსტრიაში. იქ მოღვაწეობენ თითქმის ყველა კატეგორიის, განსხვავებულ ფენისათვის განკუთვნილი იარაღების მწარმოებელი კომპანიები. ხორციელდება ყველა დონის სანადირო, სპორტული თუ სამხედრო ვერსიების დამზადება. აღსანიშნავია, რომ რომაელები ოდითგანვე ახორციელებდნენ ჯერ ცივი, შემდგომ უკვე მე-15 საუკუნიდან ცეცხლსასროლი იარაღების წარმოებას. დღესდღეობით ერთ-ერთი ლიდერი აღნიშნულ სფეროში, კომპანია „ბერეტა“ ამის დასტურია, რამეთუ მისი ოფიციალურად დაარსების თარიღად, მე-16 საუკუნე (1526წ) სახელდება. იმ პერიოდისათვის უამრავი სხვა იარაღების მწარმოებელი ოსტატი ახორციელებდა ქვეყნისათვის სამხედრო თუ საზოგადოებისათვის სანადირო იარაღების ან ლულების დამზადებას, იქმნებოდა კომპანიები, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ უძლებდა კონკურენციას და წყვეტდა ფუნქციონირებას. ერთ-ერთი ამის თვალსაჩინო მაგალითია ავგუსტინო მარელი. ის გახლდათ უნიჭიერესი მეიარაღე, რომელსაც მთელი მილანი ძალინ კარგად იცნობდა. ის დაიბადა 1815 წელს, Cremnagoში. მან ოფიციალურად 1848 წელს შექმნა თავისი პირველი იარაღების დამამზადებელი საწარმო.

მსოფლიოში ყველაზე ორიგინალური ნახევრადავტომატური თოფის შემქმნელი, კოსმი როდოლფო 1873 წელს პეპსაროსთან ახლოს, მაკერატა ფელტრიაში დაიბადა. შესანიშნავმა მონადირემ და ნიჭიერმა ოსტატმა თავდაპირველად ლულების შეკეთებით დაიწყო საქმიანობა. 1890 წელს მან ააგო თავისი პირველი ორლულიანი თოფი, რომელმაც იმდროინდელი მეიარაღეების მოწონება დაიმსახურა. 1907 წელს კი ჰორიზონტალურად განლაგებული-ორლულიანი მოდელი ნახევარადვტომატურმა ორიგინალურმა ვერსიამ შევცალა, რომელიც დღემდე იხვეწება და ვითარდება.

1920 წელს შეიქმნა იარაღი, რომელიც დღესდღეობით მცირედ სახეშეცვლილი იწარმოება. თავად როდოლფო 1936 წელს გარდაცვალა, მაგრამ მისმა შვილებმა marselom და amerikom წარმატებით გააგრძელეს მამის მიერ დაწყებული საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ



იტალიური ნახევრადავტომატური გლუვლულიანი თოფი Cosmi ხელნაკეთი გრავირებებით



Cosmi-ში ვაზნების ჩაწყობა მისი გადახსნი შემდგომ ხორციელდება ზემოდან მჭიდის მიმართულებით

სწორედ სიკვდილის წინა პერიოდში აწარმოა კოსმიმ ცნობილი 400 ერთეული იარაღი, რომელთაგანაც ზოგიერთი დღემდე ინახება კოლექციონერთა საცავში.

გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ოჯახს აზრად მოუვიდა სერიულ წარმოებაში გაეშვათ საკუთარი პროდუქცია და ბევრად უფრო მეტი იარაღი დაემზადებინათ, ვიდრე ამას მანამადე აკეთებდნენ. თუმცა ამ ყოველივეს აუცილებლად მოჰყვებოდა ხარისხის მაჩვენებლის დაწევა და გაუარესება. შესაბამისად მათ გადაწყვიტეს იმავე ტემპით გაეგრძელებინათ წარმოება. ეს გადაგმული ნაბიჯი გადამწყვეტი გამოდგა მათი ეკნომიურ განვითარებაში და წინსვლაში. „კოსმის“ თოფები დღემდე გაიგივებულია მაღალ ხარისხთან. უფრო მეტიც, მათ მიერ შექმნილი ზოგიერთი მოდელი ითვლება არა მარტო იარაღად, არამედ ხელოვნების ნიმუშად. აღსანიშნავია რომ მარსელომ და ამერიკომ არა მარტო გაარგძელეს მამის სიყვარული ხელობისადმი და მისი ტრადიციული შეხედულებები, არამედ თანამედროვეობას უკეთ შეუსაბამეს და საზოგადოებისათვის უფრო თვალნათელი გახადეს, გააუმჯობესეს როგორც იარაღების სისტემური აგებულება, ასევე ვიზიალური მხარე.

კომპანია კოსმი 1938 წლიდან ოფიციალურად არსებობს ანკონაში. ამერიკო და მისი შვილი როდოლფო დღემდე აგებენ იარაღის მოდელებს, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის ხელმძღვანელ პირებს, პოლიტიკოსებს, გამოჩენილ მოღვაწეებს, დამსახურებულ სპორტსმენებსა და ხელოვანებს საკუთარ კოლექციაში აქვთ განთავსებული.

Cosmi-ის სტრუქტურული აგებულება იდეალურადაა მოფიქრებული. თოფი ისე იხსნება, როგორც ჩვეულებრივი ორლულიანი ვერსია. მისი განსხვავებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მჭიდი იარაღს განთავსებული აქვს კონდახში. ამით ერთის მხრივ უმჯობესდება ბალანსი, მეორეს მხრივ კი იარაღი უფრო თხელდება, მარტივდება და პრაქტიკული მოსახმარი ხდება მსორელისათვის. აღნიშნული ნახევრადვტომატური მოდელი თი-



თქმის მთლიანად ხელით კეთდება ქარხანაში და მისი თითოეული დეტალი დამზადებამდე და მის შემდგომაც მკაცრი კონტროლს გადის. მასალა, რომლითაც ფოლადის დეტალები მზადდება აუცილებლად უმაღლესი ხარისხისაა. ლულა კი ჯერჯერობით მაინც ტრადიციული მეთოდით იჭედება და მის შემადგენლობაში შედის Boehler Antinit-ის მასალა. დანარჩენი ლითონის კომპონენტებისათვის გამოყენებულია ლეგირებული/მაღალ ტემპერატურასა და წნევაზე ნაწრთობი ნიკელ-ქრომ-მილიბდენის შენარევებით გაჯერებული ფოლადი. იმისათვის რომ იარაღის წონა შემცირდეს ან კონკრეტული მყიდველს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს იყენებენ რკინის, მსუბუქად ნაწრთობ-ნაკლებად ლეგირებულ ან ტიტანის მასალას. საკონდახედ ძირითადათ იხმარება თურქული კაკალი. ვინაიდან და რადგანაც საწარმოში თითქმის ყველაფერი ხელით კეთდება, შესაძლოა მყიდველის აღნაგობის შესაბამისა კონდახის დამზადება. სერიულად წარმოების შემთხვევაში იარაღი სამი განსხვავებული 12, 16 და 20 მაგნუმისა და არამაგნუმის (70მმ, 76მმ) ყალიბით იწარმოება. მისი დღევანდელი ფასი ბაზარზე დაახლოებით 11.000 ევროდან იწყება. რა თქმა უნდა ყველაფერი დამოკიდებულა კაკლის კატეგორიასა და გრავირებაზე. ღის მიხედვითაც იზრდება ფასები.



Cosmi-ის ერთ-ერთი საუკეთესო თოფი ინგლისური ტიპის, სწორ ყელიანი კონდახით

www.caravani.ge

პერაცის ისტორია ღარიბი, იმედებით აღსავსე და მონდომებული დანიელე პერაცით იწყება. მას ჰქონდა სურვილი, უფრო სწორედ კი ოცნება, შეექმნა უნაკლო, ყველაზე კარგი თოფი და შედეგად გამხდარიყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის. ამაზე ალბათ ნებიმისმიერი ოპტიმისტი მეიარაღე ფიქრობს. მაგრამ მხოლოდ ერთეულების ხვედრია პირველობა. 16 წლის დანიელე უკვე მუშაობდა იარაღების ერთ-ერთ საწარმოში, სადაც მან პირველად მოახდინა ნიჭის გამოვლინება და დააპატენტა რამდენიმე მოდელი. ეს გახლდათ პირველი ვერსიები, პირველი წინ გადადგმული ნაბიჯები, რომელიც დანიელე პერაციმ ბრწყინვალედ განავითარა. 25 წლის ასაკში მას უკვე გააჩნდა საკუთარი მაღაზია-სახელოსნო. პირველი იარაღები, რომლებიც მან აწარმოა, პირდაპირ სასროლეთზე გაიყიდა, სადაც გამოვლინდა კიდეც ახალგაზრდა ოსტატის უნაკლოდ შესრულებული სამუშაო. მსროლელებმა ტურნირის დასრულების შემდგომ იდეალური შედეგები მიიღეს მისი იარაღებით, რამაც დიდი როლი ითამაშა დანიელეს კარიერულ წინსვლაში. ეს იყო ის კარიერული ნახტომი, რომელიც უდიდესი მომავალის დასაწყისისათვის იყო აუცილებელი. 1957 წელს დანიელემ ჩამოაყალიბა საზოგადოება სახელწოდებით „Perazzi Armi“, რომლის პრეზიდენტიც თავად გახლდათ. მას მერე კომპანია ქმნის საუკეთესო სპორტულ თოფებს მსოფლიოში. იარაღები, რომლებიც პერაცის ქარხანაში მზადდება, გათვალისწინებულია ყველანაირი დისციპლინისათვის რომელიც შეიძლება გააჩნდეს მსროლელს. იქ მზადდება როგორც სპორტული, ასევე სანადირო და საკოლექციო ვერსიები. მათ მიერ წარმოებული პროდუქცია უმაღლესი ხარისხისაა და ყველაზე მაღალი კრიტერიუმებით ფასდება. მოდელებს შორის სხვაობა მაინც დიდია. კეთდება როგორც სერიული, სუფთა სპორტული ტიპის, ნაკლებად ძვირფასი ვერსიები, ისე მოოქროვილი და ძვირადღირებული თოფები. ეს გახლავთ ადგილი, სადაც მდიდარ იარაღების მოყვარულ პიროვნებას შეუძლია ვერტმფრენით ჩამფრინდეს პირდაპირ მისაღებში, დაათვალიეროს პერაცის „შოურუმი“, აირჩიოს რომელი მოდელის დამზადება სურს და თავისი სურვილისამებრ შეარჩიოს, ხის კატეგორია, გრავირება, ლულის სიგრძე და ასე შემდეგ. ამასთანავე შესაძლებელია მაღაზიაში ყოველ-



ლეგენდარული იატლიური მწარმოებლის „პერაცის“ თოფები ლულათა ვერტიკალური განლაგებით



Perazzi მოოქროვილი გრავირებით

გვარი ძვირადღირებული სატრანსპორტო საშუალების გარეშე, უბრალოდ ფეხით მისვლა და ბევრად უფრო „იაფიანი“ მოდელის შეძენა. თუმცა ერთი რამ უნდა აღინიშნოს რომ ეგრეთწოდებული იაფიანი თოფის ფასი დაახლოებით 7000 ევროდან იწყება და მასზე კარგი სპორტულ იარაღის შეძენა მსროლელს ძალიან გაუჭირდება.

დღესდღეობით კომპანია „პერაცის“ იტალიის გარდა მეორე მთავარი ფილიალი აქვს განთავსებული ამერიკაში, კალიფორნიის შტატში, ქალაქ ლოს-ანჯელესში. სწორედ აღნიშნული დაწესებულება წარმოადგენს მის ოფიციალურ, ექსკლუზივურ წარმომადგენლობით მხარეს ამერიკისა და კანადის ბაზარზე. ფირმაც თავისი გაყიდვების ძირითად ნაწილს ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ახორციელებს. ეს გასაკვირი ნამდვილად არაა. ამერიკა-კანადის ბაზარი მსოფლიოში ყველაზე კარგი არჩევანია განსაკუთრებით მსგავსი მწარმოებლებისათვის.

ყველაზე საინტერესო და აღსანიშნავი გახლავთ კომპანიის მიერ ლულების წარმოება და მისი წარმოების მეთოდები. ჯპროდუქციის მზადების პროცედურები მხოლოდ და მხოლოდ იტალიაში ხორციელდება. დამწყებმა მსროლელმა ან მონადირემ შესაძლოა კარგად არ იცოდეს თუ რას წარმოადგენს *„პერაცის“* ლულები და მათი უნიკალურად დაბალანსებული შერწყმა იარაღის დანარჩენ დეტალებზე. ხშირად იარაღის მოყვარული საზოგადოებას უბრალოდ ჰგონია რომ ფასს მხოლოდ სახელი და რეკლამა განსაზღვრავს. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა ასეც იყოს. მაგრამ *„პერაცის“* შემთხვევაში ეს მცდარი შეხედულებაა. გამოცდილი სპორტსმენებისა და მეიარაღეების დიდი მოწონება აღნიშნულმა იარაღებმა იდეალური ბალანსის ხარჯზე დაიმსახურეს. *„პერაცი“* გახლავთ ერთადერთი მწარმოებელი მსოფლიოში, რომლის მიერ წარმოებული თოფები გასროლისას ლულას დაბლა თითქმის არ ხრიან, ანუ რეზონანსული რხევა მაქსიმალურადაა დარეგულირებული და შემცრიებული. ეს რა თქმა უნდა იდეალური ბალისტიკის საწინდარია. დღესდღეობით ლულების მზადებისას CNC მანქანა დანადგარები ასრულებენ ძირითად სამუშაოს.

www.caravani.ge

მიკრომეტრულ განზომილებაში შექმნილი პროდუქცია ადამიანის ხელით დამატებით მოწმდება. თავად კომპანიის თანამშრომლებთან საუბრისას შევიტყვეთ ძალზედ საინტერესო ინფორმაცია. როდესაც იარაღის დამზადება რჩება და იწყება ბოლო შემოწმების პროცედურა, ხდება თოფების გასროლა და შედგომ გასაყიდად მომზადება. აღნიშნული ტესტი რომ ვერ გაევლოს რომელიმე *პერაცის* თოფს ამის სულ რამოდენიმე შემთხვევაა დაფიქსირებული ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

თოფებისათვის კონდახები და ტიბჟირები ძველი კაკლის ხეებისაგან მზადდება. ხის შესყიდვამდე კომპანიის თანამშრომლები არჩევენ მის კატეგორიას. იკვლევენ საფუძვლიანად თუ რაოდენ გამოსადეგარია აღნიშნული მასალა. შემდგომ კი თუ დადასტურდა რომ კაკალი მართლაც საუკეთესოა და მასზე მაღალი ხარისხის შოვნა იმ პერიოდისათვის შეუძლებელია, ხდება მისი შესყიდვა კომპანიის მიერ. დანიელე პერაცის და მის მეუღლეს სიმბოლურად გადაღებული აქვთ სურათი უზარმაზარ კაკლის ხის ნაწილთან, რომლის სისქეც ადამიანის სიმაღლეს ბევრად აღემატება. ქარხანაში მზადებისას კონდახების გამოშრობა ყოველგვარი ვაკუმური ტექნოლოგიებისა თუ საშრობი მოწყობილობების გარეშე ხორციელდება. ამას კი პერაცის ოსტატების გათვლებით დაახლოებით სამი წელი სჭირდება.

ხატვა ხელოვნებაა, რომლის ნიჭიც ადამიანმა ღვთისასაგან შეიძლება საჩუქრად მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია გახდე კარგი მხატვარი. უფრო რთულია საუკეთესოდ შეასრულო ნახატი ფოლადის ნაჭერზე. ამას კი პერაცის ოსტატები უნაკლოდ, ლამაზად და ორიგინალურად აკეთებენ. იმდენად დახვეწილად, რომ გამოფენაზე ნანახმა ერთ-ერთი დილერის გაოცება გამოიწვია. მას თავიდან გრავირება უბრალოდ რკინაზე მიკრული ქაღალდი ეგონა საგამოფენო, დროებითი რეკლამისათვის გამზადებული. გრავირება იმდენად დახვეწილად და უზუსტესად იყო გაკეთებული რომ ხელის მოკიდებისას თითქმის არ იგრძნობოდა ამოჭრილი და ამოკვეთილი ადგილები.

პერაცის ფასები იწყება 7000 ევროდან და გამონაკლისი შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, მთავრდება 500.000 ევრომდე. ყველაზე იაფიანი ვერსიებია MX2000 და MX8 სერიული გრავირებებითა და სტანდარტული მოდიფიკაციებით. აღნიშნული ბრენდის იარაღები ძირითადათ იწარმოება და გამოიყენება ამერიკული სკიტის (მრგვალი სტენდის), ამერიკული ტრაპის (გრძელი სტენდის), ორმაგი და ოლიმპიური ტრაპის, ოლიმპიური სკიტის, სპორტინგის ტიპის და სანადირო დისციპლინებისათვის. ყველაზე მეტად თოფებმა პოპულარობა ოლიმპიური თამაშების დროს მოიპოვეს. ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება მოვიყვანოდ პერაცის მეგობრის შემთხვევა, რომელსაც ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის. ეს გახლავთ კიმ როდი, რომელმაც 1996 წელს ატნალტაში მოიგო ოქროს მედალი და 2004 წელს ათენში. იმ პერიოდისათვის სპორტსმენი MX12-ით ესროდა თეფშებს.

კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე

იარაღის ფასი თითქმის სრულად ახასიათებს საკუტარ თავს









ძვირფასი მოდელები გახლავთ Perazzi Extra Super. მათი ფასი 299.000 ევროდან იწყება. იარაღები განსხვავებული გრავირებებითა და მოდიფიკაციებით იწარმოება. როგორც პერაცის სხვა მოდელები, ზემოთხსენებული ვერსიაც ოთხი განსხვავებული 12, 20, 28 და 410 ყალიბებით იწარმოება. აღსანიშნავია რომ მიუხედავად მაღალი ფასისა, საგამოფენო კომპლექსში წარმოდგენილი თოფების მოხატვისათვის ოქრო საერთოდ არაა გამოყენებული. ყველაფერი შესრულებულია ერთ ფერში. მაგრამ უახლესი მეთოდიკა, რომელიც გულისხმობს გრავირების მაქსიმალურად ზუსტად შესრულებასა და ხელით შეხებისას ნაკლებად შესამჩნევ ნახატს, ბრწყინვალედაა გაკეთებული. თუ მოდელის სისტემურ კოლოფს დავაკვირდებით, შეუძლებელია დამალო განცვიფრება და თხლად, პროპორციებისა და საზღვრების უნაკლოდ დაცვითა და ულამაზესად შესრულებული ხელოვნების ნიმუშები არ მოგეწონოს. პირველი ნახვისას იმდენად გაკვირვებული რჩება მნახველი, რომ ჰგონია გრავირებას ადამიანის ხელი ვერ გააკეთებს და მანქანა დანადგარებია მისი შექმნისათვის გამოყენებული. არადა ყველაფერი, რაც ეხება გრავირებას, ხელითაა შესრულებული და ბევრად უფრო ლამაზად ვიდრე ეს მანქანამ შეიძლება გააკეთოს. იტალიური სული მოხატულობაში ყოველთვის დევს ნახევრად შიშველი ქალის გამოსახულების სახით. თუმცა გვხვდება მონადირეებისა და მეძებარი ძაღლების გამოსახულებებიც. ამ კომპანიის მიერ შექმნილი მოდელების ნახვისა და მათზე გარკვეული ინფორმაციის მოპოვება უამრავ გამოფენებსა თუ შეჯიბრებებზეა შესაძლებელი. მოდელები ორი სახის კონდახებით იწარმოება. ესენია ინგლისური სტილის და პისტოლეტისებრი ხელსაკიდი ტარით. ყველა მათგანს სრული-გვერდითი საკეტები უყენია და მათი ძირითადი დადებითი მხარეებია უნაკლო მუშაობა ნებისმიერ კრიტიკულ პირობებში და მაქსიმალურად დიდი რესურსი. სასხლეტი მექანიზმი ერთსაფეხურიანია, რომელიც დამცემ-დამრყმელ მექანიზმს არა სპირალისებრი, არამედ V-ებრი, თანამედროვე ტიპის ზამბარებით უკავშირდება. მათზე ინფორმაცია ჩვენ სხვა მოდელებთან ერთად 2008, 2009, 2010 და 2011 წლებში გერმანიასა და ამერიკაში გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე მოვიპოვეთ. „პერაცის“ ხელში აღებისას, ინსტრუქტორი გიხსნის თუ რა პლიუსი აქვთ და როგორ უნდა გამოიყენოთ ეს დადებითი მხარეები მათ მიერ შექმნილ მოდელებს კონკურენტებთან შედარებით. Extra Super-ის შემთხვევაში ყველაფერს თუ ისე გააკეთებთ, როგორც ამას „პერაცის“ თანამშრომელი გეტყვით, დარწმუნდებით რომ ხელში გიჭირავთ საუკეთესო თოფი, რომლითაც არაპროფესიონალ, დამწყებ მსორელსაც არამც თუ გაუჭირდება მისი გამოყენება, არამედ უამრავ სხვა თოფებთან შედარებით ბევრად უკეთესად, იოლად და სასიამოვნოდ ინადირებს.

Extra Super-ის მერე მოდის Extra Gold-is, ფასი მას პირველზე ნაკლები აქვს, მაგრამ არაფრით ჩამოუვარდება თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე კომპონენტს. ზოგისათვის ძალიან მნიშვნელოვანს, ზოგისათვის კი საერთოდ უმნიშვნელოს. აღნიშნული მოდელების სახელწოდებიდანაც მიხვდება ნებისმიერი სახის მკითხველი, რომ იარაღების მოსაპირკეთებლად გამოყენებულია ოქრო. ძირითადი ნაწილი რა თქმა უნდა გრავირებისათვისაა გამოყენებული. დანარჩენი ნაწილი კი სასხლეტის, სახლეტის ბუდისა და ლულების გამღები ურდულისათვის. მოდელების ოთხი განსხვავებული ვერსია იწარმოება 12, 20, 28 და 410 ყალიბებით და 68, 70, 72 და 75 სმ-ნი ლულებით. ნებისმიერი ლულის სიგრძის გაკეთება შესაძლებელია აღნიშნულ ყალიბებზე. კონდახები წინა მოდელების მსგავსად ზეთითაა დამუშავებული და უმაღლესი კაკლის მასალისგანაა დამზადებული. იარაღის ერთსასხლეტიანი მექანიზმი სრული-გვერდითი საკეტებითაა აღჭურვილი. Extra Gold-ის ფასი მერყეობს 278.000 ევროს ფარგლებში.



Perazzi-ს სპორტული მოდელები მაღალი სამიზნე თამასით



Perazzi-ს ხრახნლულიანი ვერსიები ლულათა ვერტიკალური განლაგებით

ზემოთხსნებული ორივე მოდელის გარდა პერაცის კომპანია მათზე იაფფასიან, განსხვავებული კლასის მოდელებსაც აკეთებს. ესენი გახლავთ ერთი კლასით დაბალ საფეხურზე მდგარი თოფები, სერიული სახელწოდებით Extra, რომლების ფასიც 246.000 ევროდან იწყება. Perazzi SCO სრული-გვერდითი საკეტებით და SCO არასრული, კოლოფისებრი საკეთებით. Perazzi SC3 და Perazzi SC2 მოდელებით სრულდება Set of 4 Game Shotguns სერია.

შემდგომია Game მოდელების სერია. ის იყოფა ორ ძირითად სახეობად. ესენია MX12 და MX2000S. ეს უპირველესი იწარმოება სრული-გვერდითი საკეტებით და ნაკლებად ძვირფასი, არასრული – კოლოფიებრი საკეტი მექანიზმებითაც. ყველაზე ძვირფასი ვერსია აღნიშნული სერიიდან გახლავთ Perazzi Game Extra.

შემდგომია Competition სერია. მასში წინა სერიისაგან განსხვავებით უფრო ბევრი კლასია. აღნიშნული ჯგუფი ოლიმპიადას უკავშირდება და იქ გათვალისწინებული დისციპლინის მიხედვითაა წარმოებული. ესენია Olimpic and double trap, Sporting, Skeet, Pigeon and electrocibles, sporting combo, skeet combo, American Trap single barrel, American Trap Combo sets კლასები. ამათთაგან ყველაზე პოპულარული და გავრცელებული მოდელები ზემოთ ჩამოთვლილი სახეობებისათვის MX8 და MX2000-ია. ორივე ვერსია კომპანია პერაცის თითქმის ყველა გამოფენაზე აქვთ წარმოდგენილი. თუმცა ეს უკანასკნელი მაინც ოდნავ ძვირად ფასობს, ვიდრე MX8, რომლის საგამოფენო ფასიც 8.400 ევროდან იწყება. MX2000 შედარებით ძვირი, მისი ფასი 9.600-დან 11.350 ევრომდე მერყეობდა. მათთან ერთად გაუმჯობესებული და სახეშეცვლილი ვარიანტებიც იყო წარმოდგენილი. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მოდელებმა MX2008-მ და MX2005-მა. მათი მექანიზმები და ძირითადი სისტემა MX2000-ის ბაზაზეა აგებული. მთავარი განსხვავება კი გახლავთ სამიზნე ხიდის და სამიზნე თამასას აგებულება. ისინი სტანდარტულთან შედარებით ბევრად უფრო მაღლაა აწეული და ზოგ შემთხვევაში სიმაღლე რეგულირდება კიდეც. ამგვარი აგებულება ეხმარება მსროლელს მალე მოძებნოს სამიზნე, ლოყის კონდახზე დადებისას თავი არ მოხაროს უხერხულად და დრო არ დაკარგოს აღნიშნულ მოქმედებაში. მათი საგამოფენო ფასები გახლდათ 11.350 ევრო. ზემოთხსენებული მოდელები ძირითადათ *ბერეტას* განთქმულ მოდელის, Beretta DT-10-ის კონკურენტები არიან.

ზოგიერთ გამოფენასა თუ შეჯიბრებაზე *პერაცის* ორლულიანი თოფები, ლულების ჰორიზონტალური განლაგებით საერთოდ არ აქვს წარმოდგენილი. მათი წარმოება იტალიაში, ბრეშაში ხორციელდება. აღნიშნული მოდელები ბალისტიკური მონაცემებით არაფრით ჩამოუვარდება ლეგენდარულ ინგლისურ თოფებს. თუმცა ფასიც მათზე დაბალია და ნაკეთობაც იმდენად დახვეწილი არაა ზოგ შემთხვევაში, როგორც ამას „პერდე“, „ჰოლანდ&ჰოლანდი“, „ვესტლი-რიჩარდსი“, „ბოსი“ და მსგავსი კომპანიები აკეთებენ. ამგვარი ტიპის მოდელები არცაა „პერაცის“ სტილი. თავის კატეგორიაში ის პირველობას არავის უთმობს, თუ არ ჩავთვლით გამონაკლისებს. თავად Perazzi DC12 საიმედო მუშაობითა და სიმყარით ნამდვილად გამომდგარი და უამრავი პროფესიონალისა თუ მონადირეს მიერ გამოცდილი ვერსიაა.

დიდი ხანი არაა გასული მას შემდეგ, რაც კომპანიამ შაშხანების წარმოება დაიწყო. კონრეტულად კი ექსპრეს შაშხანების, რომლებსაც გერმანელები ძირითადათ ბავარიის მთებში ნადირობისას ხმარობდნენ და შტუცერებს“ უწოდებდნენ. Perazzi Express SC2 ორ ელიტარულ ყალიბზე იწარმოება. პირველია 9,3x74R, რომელიც ძირითადათ აფრიკაში გამოიყენება. ყალიბი შეიქმნა გერმანიაში 1900 წელს. რეკომენდირებული ვაზნის ტყვიის თავის წონა 18,5 გრ-ის ფარგლებში მერყეობს. მისი საქყისი სიჩქარეა 720 მ/წმ-ში, ხოლო ენერგიაა 4794 ჟოული. მეორე, მასზე უფრო პოპულარული ყალიბის, 375 H&H Magnum-ის მცირედად სახეშეცვლილი ვერსიაა, სახელწოდებით 375 Flanged Magnum-ია. ის აგრეთვე ცნობილია, როგორც 375 Flanged Nitro Express. აღნიშნული ყალიბი შეიქმნა ინგლისური კომპანია „Holland&Holland „-ის მიერ. ვაზნით იდეალური შედეგი მიიღწევა ექვს ხრახნიანი ლულიდან გასროლისას, სადაც „გრაგნილის“ სიგრძე 305 მმ-ია. 15,2 გრ-ი ტყვიის თავის გასროლის შემთხვევაში საწყისი სიჩქარეა 850 მ/წმ, ენერგია 5550 ჯოული. 17 გრ-ის შემთხვევაში 810 მ/წმ, ენერგია 5700 ჯოული, ხოლო 19 760 მ/წწ, ენერგია 5640 ჯოული. ორივე ვაზნის შემთხვევაში Perazzi Express SC2 იდეალური იარაღია, რომლის კერძოდ შეკვეთაც ჩვეულებრივადაა შესაძლებელი. თუმცა სერიული მოდელიც არაჩვეულებრივად გამოიყურება. ისინი ერთი სასხლეტით იწარმოება. კონდახი მაღალი კატეგორიის კაკალია პისტოლეტისებრი ან ინსგლისური ტიპის ხელსაკიდით. ზოგიერთი ვერსიისათვის შესაძებელია ცვლადი 20 კალიბრიანი ლულის შეძენა 50-დან 100 მ-მდე (ახლო დისტანციებზე) სანადიროდ.

BERETTA

ბერეტა ევროპაში ყველაზე ძველი იარაღების მწარმოებელი კომპანიაა. FABBRICA D'ARMI PIETRO BERETTA S.p.A.-ის წარმატება ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში დაიწყო, მაშინ როდესაც მასტრო ბართოლომეო ბერეტა (1490-1568წწ) ამქვეყნიერებას მოევლინა. მან სამხრეთით არსებულ დაბა გარდონეში მოკრძალებული ლულების სახელოსნო დაარსა. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ მე-16 საუკუნის პირველ მეოთხედში ბერეტამ შეკვეთები მიიღო ვენეციის არსენალის შესაიარაღებლად 185 ერთეული არკებუზის (პატრუქიანი თოფი, რომელიც ლულის ბოლოდან, მისი სანათურიდან იტენებოდა) სახით, რაშიც მას 296 დუკატი (მაშინდელი იატალიური ფულის ერთეული) გადაუხადეს. მისი შვილი ჯოვანი, მშობლის გზას გაჰყვა და საკმაოდ წარმატებულიც გამოდგა მისი კარიერა. ის მუშაობის დაწყებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ მთელს იტალიაში ერთ-ერთ საუკეთესო ლულების ოსტატად ჩამოყალიბდა. ბართოლომეოს შეეძლო უნაკლოდ აეგო, როგორც სანადირო გლუვლულიანი თოფები, ასევე ხრახნლულიანი იარაღები.

მე-18 საუკუნეში კომპანიის მმართველობა პიეტრო ბერეტამ გადაიბარა. მან დიდი რაოდენობით შეკვეთები მიიღო ნაპოლეონის არმიის შესაიარაღებლად. ვატერლოოს ბრძოლის შემდგომ კი საგრძნობლად დიდი ზიანი მიადგა და განადგურდა სამხედრო დანიშნულების იარაღების ბაზარი და შესაბამისად წარმოებაც. ამიტომაც ბერეტამ სანადირო იარაღების დამზადებას მიჰყო ხელი. პიეტროს შვილს ჯუზეპეს, გარკვეული ზეგავლენის მოხდენა შეეძლო იმდროინდელი იარაღების ბაზარზე. მან დიდი როლი ითამაშა გაყიდვების განხორციელებასა და კომპანიის გაძლიერებაში. მისი მოღვაწეობის საუკეთესო წლებია 1840-1865 წლები.

უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში ჯუზეპეს შვილმა, რომელსაც პაპის სახელი, პიეტრო დაარქვეს, წარმატებულად გააგრძელა ოჯახური ბიზნესის ტრადიცია. მან აქცენტი გააკეთა თანამედროვე ტექნიკის გამოყენებასა და მეცნიერებისა თუ ინჟინერ-კონსტრუქტორების მიერ ახლ-ახალი აღმოჩენების შესწავლაზე. მსგავს მეთოდებს იმ პერიოდისათვის ბევრმა კომპანიამ მიმართა. წინააღმდეგ შემთხვევაში უბრალოდ შეუძლებელი ხდებოდა წარმატების მიღწევა. პიეტროს მომდევნო თაობამ, ჯუზეპესა და კარლოს სახით კიდევ უფრო წარმატებით გააგრძელეს ტრადიციული ბიზნესი და მათი მეშვეობით განვითარებული კომპანია მულტინაციონალურ მწარმოებლად გადაიქცა. იმ პერიოდისათვის ბერეტამ საკუთარი წარმომადგენლობები ჩამოაყალიბა ფილიალების სახით ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, საბერძნეთსა და ბრაზილიაში. 1900 წლისათვის კომპანიის 10.000 მ² საწარმო ფართი 108.000 მ²-მდე გაიზარდა.



ბერეტას საწარმოებში, თანამედროვე ტექნოლოგიებთან ერთად, პროდუქციის გარკვეული ნაწილი ხელით კეთდება. აღსანიშნავია რომ კომპანიის გაყიდვებმა 2009 წლისათვის რეკორდულ თანხას, 144 მილიონ ევროს მიაღწია.

დღესდღეობით ბერეტა ახორციელებს სანადირომ, სპორტული და სამხედრო დანიშნულების მქონე იარაღების წარმოებას. ძირითადი ყურადღება ეთმობა გლუვლულიანი თოფებისა და ფისტოლეტების დამზადებას. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია Beretta-92F, რომელიც 1986 წელს გახდა ამერიკის არმიის შეიარაღებაში არსებულ იარაღთაგან საუკეთესო. კომპანიას შაშხანების წარმოებაშიც საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი. ბოლო პერიოდისათვის მათ მიერ შექმნილმა ცილინდრული მექანიზმით აღჭურვილმა – წრფივად მოძრავ საკეტიანმა მოდელებმა Beretta 500-მა, Beretta 501-მა და Beretta 501 DL-მა მთელს ევროპაში გაითქვა სახელი და გარკვეული პერიოდის განმავლობაში საკმაოდ წარმატებულადაც ხორციელდებოდა მათი გაყიდვები. თუმცა ბაზარზე მსგავსი ღირებულების მქონე, უკეთესი მოდელების გამოჩენის შემდგომ კონკურენციას ვეღარ გაუძლეს და შეწყდა წარმოება. აღნიშნული შაშხანების ლულები სტანდარტულზე ოდნავ გრძელი, 61 სმ სიგრძის გახლდათ. იარაღები განსხვავებული ყალიბებით, 243 Winchester, 308 Winchester, 222 Remington და 223 Remington-ის ყალიბებით იწარმოებოდა. მათი წონა 3,1-დან 3,4 კგ-მდე მერყეობდა. ხრახნლულიანებიდან აგრეთვე აღსანიშნავია Beretta 70 sport ყალიბით 222 Remington და 223 Remington. იარაღს „მილიტარიზებული“ ტიპის, დიოპტრიული ხედვის სამიზნე მოწყობილობა ჰქონდა დამონტაჟებული. მჭიდის ტევადობა იყო 5, 8 ან 30 ვაზნა. იარაღს ლულა საკმაოდ მოკლე,



Beretta იდეალურად ახორციელებს სრულყოფილი გვერდითი საკეტებით თუ გვერდითი დაფებით აღჭურვილი ვერსიების წარმოებას



Beretta-ს სპორტული გლუვლულიანი თოფები



Beretta-ს გლუვლიანი არასერიული თოფი სრულყოფილი გვერდითი საკეტებით, რომელიც საუკეთესო იყო გერმანიის საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი ბერეტას მოდელებიდან

45 სმ ეყენა რათა გადაადგილება მოხერხებული ყოფილიყო სწრაფად მოძრაობისას. ჭონა, მიუხედავად სიგრძისა საკმაოდ მძიმე იყო და 3,8 კგ-ს შეადგენდა.

„Beretta“-ს ხრახნლულიანი იარაღებიდან, იგივე ექსპრეს ვერსიებიდან საკმაოდ დახვეწილი და პოპულარული კლასიკური, სანადირო შაშხანები გამოსდიოდა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია-Beretta 455 EELL Express. ის ხუთი განსხვავებული, მსხვილი და ამავდროულად ელიტარული ტიპის ყალიბებით იწარმოებოდა: 375 H&H Magnum, 416 Rigby, 458 Win. Mag, 470 NE, 570 NE. იარაღის ლულის სიგრძე 65 სმ-ს შეადგენდა. მთლიანი სიგრძე კი 101 სმ იყო. სამიზნე მოწყობილობა რეგულირებადი იყო და ლულის სამიზნე ხიდსა და თამასას უსწორდებოდა დაკეცვისას. მისი წონა ყალიბის შესაბამისად სტანდარტულზე ცოტა მძიმე, 5 კგ გახლდათ.

საკმაოდ წარმატებული გამოდგა კომპანია „Beretta“-ს მიერ განხორციელებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ორლულიანი კლასიკური იარაღების დამატებითი ცვლადი ლულებით (განსხვავებული ყალიბებით) წარმოებას. ერთ-ერთი პოპულარული ვერსია ამ მხრივ გამოდგა მოდელი, სახელწოდებით Beretta S689 Gold Sable. იარაღი ძირითადად სამი განსხვავებული ყალიბით, 8x57 JRS, .30-06 Spr და 9,3x74 R-ის ვაზნებზე იწარმოებოდა. ლულის შეცვლის შემთხვევაში, ხრახნიანი ლულა იცვლებოდა გლუვი, 20 ყალიბის მქონე ვერსიით. იარაღი 3,5 კგ-ს იწონიდა. ლულის სიგრძე 60 სმ იყო, მთლიანი სიგრძე კი 105 სმ. მისი გაყიდვები დღემდე დიდი წარმატებით ხორციელდება.

ექსპრეს შაშხანებიდან Beretta SSO6 – EELL.-ის გამორჩევაც შეიძლება. ისინი ზემოთხსენებული ვერსიისაგან განსხვავებით მხოლოდ ერთი, არაცვლადი ვერტიკალურად განლაგებული ლულებით იწარმოებოდა. მათი ყალიბები იყო – 9,3x74R, 375 H&H Mag, და .458 Win.Mag. იარაღები 5 კგ-ს იწონიდა. მათი ლულის სიგრძე 62 სმ-ს შეადგენდა, მთლიანი სიგრძე კი 105 სმ-ს. კონდახის მასალად მხოლოდ მაღალი კატეგორიის კაკალი იყო გამოყენებული. იწარმოებოდა არასერიული მოდელებიც, რომელთათვის მეორე ცვლადი გლუვი (20 ყალიბიანი) ლულის შეკვეთაც შეიძლებოდა.

სპორტულ თოფებთან ერთად, კომპანია სპორტულ მცირეკალიბრიან შაშხანებსაც ამზადებდა და თან ოლიმპიური დისციპლინის გათვალისწინებით. ამ მხრივ წარმატებული მოდელები გახლავთ Beretta Super Olimpia-X და Beretta Super Sport –X. ამათთაგან პირველი ძირითადად შეჯიბრებებზე გამოიყენებოდა ხოლმე. მას გააჩნდა უზუსტესი უკანა დიოფტრიული „მატჩის“ ტიპის სამიზნე მოწყობილობა, რომელიც მანძილის მიხედვით რეგულირდებოდა და დამიზნებისას იმდენად მაღალი იყო რომ მსროლელს უხერხულად თავის დახრა და შესაბამისად ამ მოქმედების შესრულებისას დროის დაკარგვა ფაქტიურად საერთოდ აღარ უხდებოდა. ზემოთხსენებულთაგან მეორე ვერსია უფრო ოპტიკური სამიზნე მოწყობილობებით გამოიყენებოდა ახლო დისტანციებზე ვარჯისისას სასროლად ან უბრალოდ გასართობად. ორივე მათგანის ყალიბი გახლდათ 5,6 მმ (22 l.r.). მჭიდის ტევადობა კი 5-10 ვაზნა. წონა 3,3-დან 3,7 კგ-მდე მერყეობდა. ლულის სიგრძეები ორივეს 60 სმ ჰქონდა.

კომპანია „Beretta“-ს შედარებით მსხვილი დილერების შოურუმებში და საგამოფენო კომპლექსებში ხშირად აქვს წარმოდგენილი საიუბილეო პრემიუმ და ლუქს კლასის სანადირო თოფები. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ Beretta Giubileo. ესაა იარაღი, რომლის შექმნაშიც უელსის პრინცის სახელი ფიგურირებს. თოფი ყოველთვის განცალკევებულადაა განთავსებული დამინულ დახლში. სწორედ ამ სახით ვიხილეთ ის ერთ-ერთ გამოფენაზე ყოფნისას. წარმოდგენილი ვერსიის ყალიბი გახლდათ 12/76. ზოგადად კი იარაღი ოთხი განსხვავებული ტიპის 12/76, 20/76, 28/70 და 410/76 ყალიბებით იწარმოება. ერთ-ერთი 12 კალიბრიანი მოდელი ფიქსირებული, არა ცვლადი ჩოკებითაც მზადდება. მისი ჩოკური შევიწროებებია 0,25 (გაუმჯობესებული ცილინდრი) და 0,5 (ნახევრად ჩოკი). ეს კი ნიშნავს იმას, რომ იარაღი ახლო დისტანციებზე სასროლადაა შექმნილი და ძირითადად გამოიყენება ტყის ქათამზე და მწყერზე სანადიროდ. თუმცა



Beretta-ს თოფის სრულყოფილი გვერდიტი საკეტი ღია მდგომარეობაში



ეს სურათი დასაპატარავებელია, ისე რომ კარგად ჩაჯდეს



ზედა ლულით კაკაბზე, ხოხობზე და მსგავს ფრინველებზე ნადირობაც ურიგო არაა და ზოგ შემთხვევებში ძალზედ მოხერხებულიც კი შეიძლება იყოს. კონდახი უმაღლესი კატეგორიის კაკლის მასალისაგან მზადდება და სამგვარი ტიპის, ინგლისური სტილის, ნახევრად პისტოლეტისებრი ხელსაკიდი ტარებით იწარმოება. მის საყრდენ ბოლოში თოფს თავისივე კონდახის კაკლის ნაჭრისაგან აღებული მასალა აქვს გაკეთებული, რათა უზორები დაემთხვეს ერთმანეთს და უფრო მიმზიდველი იყოს მისი ვიზუალური მხარე. ამავდროულად დამატებით მოყვება რბილი მასალისაგან გაკეთებული სამხრე. ბაროკოს სტილის გრავირება ოსტატის, ხელით კეთდება და განსხვავებული მოხატულობის შეიძლება იყოს. ყველაზე ღამაზი მისი შემქმნელების აზრით ტყის ქათმების გამოსახულებით გაფორმებული თოფია. ლულები, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ცივად ჭედვის წესით, მონობლოკური მეთოდიკის პრინციპებზე დაყრდნობით, ანუ ლაზერულ ტექნოლოგიების მიხედვითაა აგებული. თამებისა და სტრუქტრული აგებულების შექმნისათვის ინგლისური ლეგენდარული თოფების პრინციპები იქნა გამოყენებული და მალე გახდა პოპულარული. სპორტულ პოდიუმებსა თუ ელიტარულ ნადირობებზე ბევრმა გაიგო მის შესახებ. შესაბამისად აღნიშნული მოდელების სახელი გასცდა ევროპას და ამერიკის და აფრიკის კონტინენტზე მოყვარულ მონადირეთა გულებიც დაიპყრო. მისი მექანიზმის შიდა ნაწილის დათვალიერებისას სიამოვნების გრძნობა ალბათ ყველა იარაღის მოყვარულს დაეუფლება. მექანიზმის დეტალები ხელითაა ერთმანეთზე მორგებული. აშკარაა, რომ მისთვის გამოყენებულია მაქსიმალურად მყარი ფიგურები და რაც შეიძლება ცოტა რაოდენობით, რათა მექანიზმი გამარტივდეს. აწყობის შემდგომ ხელითაა შესრულებული გაპრიალება და ჟანგსაწინააღმდეგო პროცედურების ჩატარების შემდეგ მოპირკეთება. ყველაზე მიმზიდველი კი მასში შიდა დეტალების გრავირება და მისი ხელით მოხატვაა, რაც, რა თქმა უნდა, მისი დაშლის გარეშე არ ჩანს. საკეტის გვერდითა დაფაზე კი ხელითაა ამოტვიფრული პიეტრო ბერეტას ინიციალი. თოფი ერთი სასხლეტით იწარმოება, რომლის გადამრთველი ღილაკი კონდახის ყელის თავში, სისტემური კოლოფის ზედა მხარედან გამომავალ ჩარჩოს ბოლოშია დამაგრებული. მისით შესაძლებელია გადართვის შემთხვევაში (მაჯვნივ/მარცხნივ გაწევისას) სასურველი ლულიდან სასურველი ვაზნის გასროლა. ჩამკეტი სისტემა „Beretta“-ს დამახასიათებელი ელემენტებითაა აგებული. სისტემური კოლოფის ჩარჩოს ქვედა მხარეს განთავსებული ორი ცენტრალიზირებული, მაღალი სიმტკიცის ფოლადის ჩხირები სხვა სისტემებთან შედარებით ჩაკეტვა-გაღებისას ნაკლებად ხმაურიანია. გასროლისას კი ამგვარი მეთოდი ხელს უწყობს სტრესის შემცირებას. ორი დამატებით ჭრილი, რომელიც მიმღების ქვედა ნაწილშია განთავსებული ზრდის საიმედოობის ალბათობას. საკეტი მექანიზმის დაშლა ძალიან მარტივია. ორივე მხარეს განთავსებულია დამშლელი ფოლადის ჩხირი ოვალური, ფირფიტის მსგავსი მეტალის თავით, რომელიც საწყის პოზიციაში ყოფნისას შეუმჩნეველია და სისტემური კოლოფის ფონსა და გრავირებებშია შერწყმული. მასზე ხელის დაწოლისას ხრახნიანი ჩხირის ხელსაკიდი იღებს სასურველ პოზიციას და მისი ამოხრახვნის შემთხვევაში საკეტი გამოდის გარეთ. აღსანიშნავია რომ SO10 EELL გახლავთ პირველი ორლულიანი ბერეტას მოდელებიდან, რომლისთვისაც ცივად ჭედვის ხერხით დამზადდა ლულები. იარაღი სამი განსხვავებული ყალიბით იწარმოება. ესენია 12, 20 და 28 ყალიბები. ლულის სიგრძეებიც სამგვარი არსებობს, 66, 71 და 76 სმ. მოდელები ძირითად შემთხვევებში ფიქსირებული ჩოკებით იწარმოება. თუმცა მათთვის ამზადებენ ლულებს ოპტიმა ჩოკებისათვის განკუთვნილი ხრახნითაც. იარაღი, განსხვავებული კალიბრების მიუხედავად იწონის 2,7 კგ-ს. რაც შეეხება კონდახს, ის ლულებისაგან განსხვავებით, ტრადიციული მეთოდით, თანამედროვე ტექნოლოგიების ჩარევის გარეშე მზადდება. ნახევრად მზა უმაღლესი კატეგორიის კაკლის მასალა ერგება იარაღს. ხდება ზედვე ნიშნულების გაკეთება და იარაღზე მორგება. ზედმეტი ხის მოცილების შემდგომ კვლავ უკეთდება თოფს კონდახი და ზედვე ხდება დამუშავება ხელით. ისე რომ თვალით შესამჩნევი მცირეოდენი ლაფსუსებიც აღმოფხვრილ იქნას. ბოლოს ხდება მისი ზეთით დამუშავება და გაშრობის შემდგომ იარაღზე მისი დაყენება.

კომპანია „Beretta“-განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი იტალიისა და ამერიკის სახელმწიფოებისათვის სამხედრო დანიშნულების პროდუქციის დამზადებაში. ისტორიის ქება დიდებას რომ თავი დავანებოთ, აწმყოშიც სახეზეა „Beretta“-მიერ წარმოებული ტაქტიკური ტიპის შაშხანებს – Beretta CX4 Storm და Beretta RX4 Storm-s ზემოთხსენებული წამყვანი ქვეყნების გარდა ბევრი სხვა სახელმწიფოს პოლიციური თუ სამხედრო დაჯგუფებები იყენებენ. ეს ორი თითქოს ერთნაირი იარაღი ერთმანეთისაგან ბევრად განსხვავდება. ძირითადი სხვაობა კი მდგომარეობს მათ წარმოშობაში. ამათთაგან პირველი შაშხანა და მისი მექანიზმის მუშაობის პრინციპი „Beretta“-ს განთქმული პისტოლეტების (უფრო მეტად ბერეტა 92-ის) ბაზაზეა აგებული და მისთვის ყველაზე გავრცელებული ყალიბია 9x19 მმ Luger. ხოლო მეორე, RX4 „ბენელის“ მიერ შექმნილი გაზებით მტენი, მბრუნავ თავიანი, თვითმწმენდი/თვითრეგულირებადი (მხოლოდ ნახევრადავტომატური) მექანიზმითაა აღჭურვილი და ძირითადათ იწარმოება ბევრად უფრო ზუსტი, წვრილი და შორსმსროლელი ყალიბით. „223 რემინგტონით“ (5.56mm NATO). ის 2005 წელს გამოჩნდა ბაზარზე. იარაღი განეკუთვნება Storm-ის სერიას. მისი წონაა 3,19 კგ. ლულის სიგრძე შეადგენს 317 მმ-ს, ხოლო მთლიანი სიგრძეა 854 მმ (გაშლილი კონდახის შემთხვევაში 943მმ). შაშხანისათვის სამი განსხვავებული ტევადობის მჭიდი იწარმოება, რომლებშიც 10, 20 ან 30 ვაზნა ეტევა. მისი შექმნიდან მცირე პერიოდის გასვლის შემდეგ იტალიის თავდაცვის სამინისტრომ შეიარაღებაში მიიღო და დაამტკიცა აღნიშნული შაშხანა.

მასთან ერთად შეიარაღებაში მიღებულ იქნა ანალოგიური ტიპის იარაღი Benelli MR1. 2007 წლიდან უკვე შესაძლებელია მისი განსხვავებული ვერსიების ხილვა, სხვადასხვა ტიპის კონდახებითა და ლულის განსხვავებული სიგრძეებით. იარაღს ზემოდან ადგას MIL-STD-1913 სტანდარტები (Picatinny) სამიზნე ხიდი ოფტიკის/კოლემატორის დასამაგრებლად. მოდელი იმდენად წარმატებული გამოდგა რომ იტალიელებმა მისი საფუძვლების გამოყენებით 2008 წელს ააგეს ავტომატი ARX-160, რომელიც ყუმბარმტყორცნითაა აღჭურვილი. ამით განხორციელებულ იქნა პიეტრო ბერეტასა და იატალიის მთავრობის მიერ დაგეგმილი პროგრამა „Soldate Futuro“ (მომავლის ჯარისკაცი.)

სხვათაშორის 2012 წელს გერმანიაში გამართულ იარაღების ერთერთ საერთაშორსიო გამოფენაზე წარდგენილ იქნა ARX-160-ის ცივილური (ნახევრადავტომატური ვერსიაც).

რაც შეეხება CX-4 Storm-ს, ის ოთხი განსხვავებული (ფისტოლეტის) ყალიბებით-9x19mm Parabellum, 9x21mm IMI, .40 S&W და .45 ACP იწარმოება. მისი კონდახში ჩადგმული, ბულპაპის დიზაინზე აგებული მექანიზმი ეგრეთწოდებული „ბლოუბექის“ (blowback) პრინციპებზე დაყრდნობითაა შექმნილი. მჭიდის ტევადობა 8, 10, 11, 14, 15, 20 ან 30 ვაზნაა. მისი წონა შეადგენს 2,5 კგ-ს. ლულის სიგრძე 422,5 მმ-ია, მთლიანი სიგრძე კი 755 მმ. კომპანია „Beretta“-მ იარაღი პირველად ფართო საზოგადოებას 2003 წელს წარუდგინა.

Beretta-ს RX4-ისა და CX4-ის ტიპის ნახევრადავტომატური შაშხანები

www.caravani.ge

საქართველოში უკვე დიდი ხანია რაც ბერეტას იარაღების იმპორტი განხორციელდა. ორლულიანი თოფებიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს Silver Pigeon-სა და Ultra-Light-ის სერიების მოდელები. თოფები, რომლებიც შეზღუდული რაოდენობით იწარმოება, ყოველთვის ძნელი მოსაპოვებელია. ამიტომაც გადავწყვიტეთ არასტანდარტული Silver Pigeon III – Limited edition-ის განხილვა გაგვეკეთებინა, რომელიც „ბერეტა ჰოლდინგის“ პატრნიორმა, კომპანია „ქარავანი+“-მა შემოიტანა საქართველოში. იარაღი მეორე ტყუპის ცალ მოდელთან ერთად ორთოფიან ძვირფას კეისში იყო განთავსებული. ზემოდან, სავაზნის დასაწყისში კი ორივე იარაღს გაკეთებული ჰქონდათ ციფრები 1 და 2. ვინაიდან ის სერიული ვერსია არაა და მისი ლიმიტირებული რაოდენობა იწარმოება, მისი კონკურენტი მოდელი ცოტა არ იყოს და რთული მოსაძებნია. ამიტომაც გადავწყვიტეთ მსგავსი ღირებულებისა და ფასეულობების მქონე „ბრაუნინგ სინერჯისათვის“ შეგვედარებინა. ეს ორი კომპანია ყოველთვის იყვნენ კონკურენტები. აღნიშნული გარემოება კი აიძულებდა მათ შეექმნათ ერთმანეთზე უკეთესი იარაღი. ყოველდღიურად ფიქრი და ბჭობა მიდიოდა ახალი აღმოჩენებისა და გამოგონებების შესახებ. ფირმების მფლობელები და მმართველები კონსტრუქტორებისაგან მოითხოვდნენ სხვებზე უკეთესი სისტემებისა და ლულების წარმოებას. ბოლო წლებში ორივე კომპანიამ დახვეწა ტექნოლოგიები, გააუმჯობესა ნაწარმი და დღევანდელი გადასახედიდან ცხადია რომ ორივე მათგანი გახდა ლიდერი მწარმოებელი ეროვნულ თუ ინტერნაციონალურ ბაზარზე. კომპანია „ბრაუნინგის“ აღწერისას „სინერჯის“ ყველაზე ძვირფასი, მსუბუქი ვერსია Browning Cynergy Light Grade-4-ია განხილული. ამჯერად „Beretta“-თან შედარება კეთდება ერთი საფეხურით დაბლა მყოფ „სინერჯის“ სერიულ Light Grade-3-თან. ორივე იარაღის ლულები დღესდღეობით უკვე სრულად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ცივად ჭედვის მეთოდიკით მზადდება. ბელგიელები იაპონიაში, თავის პარტნიორ კომპანია „მირო-კუს“ ამზადებინებენ ზემოთხსენებული ორლულიანი იარაღებისათვის ლულებს. იტალიელები კი ასეთი შეზღუდული მოდელებისათვის სამშობლოში აკეთებენ ყველაფერს.



ზემოდან: Beretta Silver Pigeon III Limited Edition და Browning Dynergy Hunter Light Grade 4

მოდელი:	Browning Cynergy Hunter Light Grade 4	Beretta Silver Pigeon III – Limited Edition
მწარმოებელი:	FN – Herstal, Belgium – ქ. ჰერშტალი, ბელგია	Pietro Beretta S.p.A. – იტალია
ყალიბი:	.12/76	
სისტემა:	არასრული, კოლოფისებრი საკეტები	
მჭიდის ტევადობა:	2	
ლულის სიგრძე:	71 სმ	
მთლიანი სიგრძე:	118 სმ-114 სმ	115 სმ
ხის კატეგორია:	მე-3 კატეგორიის კაკალი	
მიახლოებითი ფასი:	2800 ევრო	2700 ევრო

ამერიკაში კი ორივე კომპანიის მიერ უფრო მასიური, გაყიდვადი და გავრცელებული პროდუქციის მზადება მიმდინარეობს.

Cynergy Hunter Light Grade 4-ს იწარმოება „ბეკ-ბოარდ“ სისტემური ლულებით. ისინი ჩოკებთან ერთად გათვლილია რკინის საფანტზეც. ლულის ეს სისტემა, რომელიც სავაზნის მერე სხვებთან შედარებით უფრო ფართოა და 18,8 მმ-ს შაედგენს, ხელს უწყობს ვაზნის ბოლომდე დახარჯვას და წნევის სრულყოფილად გამოყენებას. ვაზნის სიჩქარეს ხდის უფრო სწრაფს და აუმჯობესებს ბალისტიკურ მონაცემებს. რაც ასევე აუცილებლად აღსანიშნავია იარაღის უკუცემის ძალას ამცირებს 6 %-ით. სერიულ „სინერჯის“ აღნიშნულ სისტემასთან ერთად ბალისტიკის გაუმჯობესებაში ეხმარება 5 ცვლადი „ინვექტორ+“ ჩოკები. ისინი ლულის ბოლოში ეხრახნება იარაღს და წარმოადგენენ ექსკლუზიურად ბრაუნინგის მიერ შექმნილ diamond titanium choke – ტიტანის გრძელი ჩოკებს. ისინი უფრო კარგად ასრულებენ თავისზე დაკისრებულ მოვალეობას, ვიდრე ჩვეულებრივი მოკლე ფოლადის სხვა შენადნობისაგან შექმნილი აღნიშნული დეტალები. Beretta Silver Pigeon III-ის ის მონაკვეთი, რომელიც აკავშირებს სავაზნეს ლულასთან სხვა ზომის, უფრო მალე შევიწროვებადი აქვს და გაგრძელებაც უფრო ვიწროა. (მე ვერ გავიგე?:)) მისი დიამტერი შეადგენს სტანდარტულად 18,4 მმ-ს. ამ შემთხვევაში ალბათ უპირატესობა „სინერჯის“ მხარეს იქნება. სასროლეთზე გასინჯვისას ბალისტიკური ფურცლები შევადარეთ ერთმანეთს და უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით „ბრაუნინგმა“ გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით აჯობა „Beretta“-ს. მანძილი არასტანდარტულად შევარჩიეთ და სხვადასხვა დისტანციაზე მოხდა ტესტი-





Beretta-ს სელექტორის სისტემა მსროლელისათვის მოსახერხებელ ადგილზეა განთავსებული





Beretta-ს ოთხმაგი ჩამკეტი სისტემა



Browning-ისა და Beretta-ს დამცველი ღილაკები

რება. ესენი იყო 20-25-30-35-40 და 50 მ, რამაც საბოლოოდ, ზემოთაღნიშნულ შედეგებამდე მიგვიყვანა.

სპორტული ვერსიებისაგან განსხვავებით სანადირო *სინერჯის* კონდახის საყრდენი, ზომის მარეგულირებელი რბილი რეზინები საერთოდ არ აქვს. მისი პრაქტიკაში გამოცდისას კი დავრწმუნდით რომ ნადირობისას ბევრად ჯობია არასპორტული, კლასიკური კონდახი ზემოთხსენებულ ვერსიას. იარაღის ხის დეტალების დამზადება ხდება მე-3 კატეგორიის კაკლის მასალისაგან. ეს თოფის სახელწოდებიდანაც ადვილი მისახვედრია, Cynergy Hunter Light Grade III გულისხმობს „სინერჯის“ მსუბუქ ვერსიას კაკლის მე-3 კლასით. *ბერეტა* ნახევრადფისტოლეტისებრი კონდახით იყო აღჭურვილი, რომელსაც ბოლოში *ბრაუნინგზე* აშკარად უფრო ლამაზი, ხის მხარზე საყრდენი ჰქონდა გაკეთებული. კომპლექტაციაში კი დამატებით მოყვებოდა მეორე რბილი საყრდენი. ორივე იარაღს ტიბჟირები არაჩვეულებრივად იყო დამუშავებული. მათზე ხელის მოკიდებისას ნამდვილად იგრძნობოდა კომფორტი.

მექანიზმები ორივე მოდელს უნაკლო აქვს. მათ შექმნაში ჩადებულია ინგლისელი გამომგონებლების აღმოჩენები. შემდგომ ისინი უფრო გაუმჯობესებულია და დახვეწილია. *ბერეტას* ჩარჩო ორი, ცილინდრული მყარი ფოლადის ჩხირით უკავშირდება ლულას. ჩაკეტვისას ისინი შედიან ლულების ცენტრალურ ზოლზე, მარჯვნივ და მარცხნივ გარედან განთავსებულ ჭრილებში, რომლებიც სპეციალურ ბუდეშია გაკეთებული. ბუდე საჭირო სიგრძისაა და მისი ბოლო ნაწილის შემდგომ კიდევ ერთი ჭრილია გაკეთებული, სადაც მთლიანი ჩარჩოს ნაწილი, სისტემური კოლოფის მარცხენა და მარჯვენა ფრთები





ზემოდან: Beretta Silver Pigeon III Limited Edition და Browning Dynergy Hunter Light Grade 4

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
Browning Cynergy Light Grade 3 –	
იდეალური ბალისტიკური მონაცემები.	საქამრე (სარტყელის) დამჭერების უქონლობა
თანამედროვე დიზაინი	
შესრულების მაღალი ხარისხი	
წონა (3.1კგ)	
Beretta Siliver Pigeon III – Limited Edition –	
კლასიკური, დახვეწილი დიზაინი	წონა არ ემთხვევა მონაცემებში მითითებულ ციფრს
შესრულების მაღალი ხარისხი	
არასერიული ნაწარმი	
ხელით შესრულებული გრავირება	

A.UBERTI

1959 წელს ალდო უბერტიმ, იტალიის ქალაქ ბრეშას ერთ-ერთ პროვინციაში, Gardone Val Trompia-ში, შექმნა იარაღების მწარმოებელი კომპანია „A.Uberti S.r.L.“ ქარხანაში მზადდება ძველებური სტილის რევოლვერები და ვესტერნის ტიპის, ტარქვეშა ბერკეტით მტენი შაშხანები. მათი ვიზუალური მხარე „კოვბოების“ იარაღებს მოგვაგონებს. ხარისხის დონის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და პროდუქცია სრულად აკმაყოფილებს ამჟამინდელ მსოფლიო სტანდარტებს. შესაბამისად იატალიაშიც და მის ფარგლებს გარეთაც საკმაოდ ძვირად ფასობენ „უბერტ“-ის მოდელები. სამწუხაროდ თავად დამფუძნებელი და ძველი, ტრადიციული იარაღების მოტრფიალე, ალდო უბერტი 1998 წლის 21 მარტს გარდაიცვალა. იგი ერთ-ერთი პირველი იყო ვინც ფრთები შეასხა დღესდღეობით უკვე წარმატებულ ბიზნესს მსოფლიოში. მან გათვლა გააკეთა თანამედროვე კოლექციონერებზე და იმ პიროვნებებზე, რომელთაც იზიდავთ ძველებური იარაღები. კომპანიის სლოგანი გახლავთ „ისტორია თავად მეორდება“. აქედან გამომდინარე ალბათ მარტივი მისახვედრია რა იდეები ჰქონდა და რისი განხორციელება უნდოდა ალდო უბერტის. მისი გარდაცვალების შემდგომ, შთამომავლები უძღვებიან მშობლის მიერ დაწყებულ საქმიანობას.

„უბერტის“ იარაღების საწარმოში თავდაპირველად ხორციელდებოდა ძირითადათ Colt-ისა და მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციის რევოლვერების ანალოგი ვერსიების აგება. შემდგომ თანდათანობით დაიწყო სხვა მოდელების ასლების დამზადება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. კეთდებოდა *რემინგტონის, ვინჩესტერის, ქეთლმენის, მეისონისა* და სხვა და სხვა მწარმოებლების ასლების დამზადება. ამჟამად კომპანია უამრავი უცხო, განსხვავებული დიზაინისა და აგებულების ტრადაციული ტიპის რევოლვერებისა თუ შაშხანა-რევოლვერების კომბინირებული ვერსიების აგებითაა დაკავებული.

რაც შეეხება უკანა, ტარქვეშა ბერკეტით მტენ ვესტერნის სტილის შაშხანებს, მათი დამზადება ხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ისე, რომ მოდელი მაქსიმალურად ჰგავდეს ორიგინალ ვერსიას. ქარხანაში იგება ძველებური Henry Rifle-ჰენრის შაშხანის დიზაინის მქონე იარაღები. მოდელები დაახლოებით 1860 წლისათვის ტაილერ ჰენრიმ დააპატენტა და 500 ერთეულზე მეტი



A. Uberti-ს რეტრო სტილის რევოლვერები

არაა დამზადებული. მათი ყალიბებია .44/40 – .45LC. მჭიდში ეტევა 9-დან 13 ვაზნამდე. აღსანიშნავია, რომ მათი ყოველი დეტალი მყარი რკინისაგან შედგება და ალუმინის, ერგალისა და მსგავსი თანამედროვე ტიპის, ხშირად გამოყენებადი მასალები არაა ნახმარი.

კოლექციონერებსა და ამ ტრადიციული, ძველებური მოდელების მოყვარულთა შორის ძალზედ პოპულარულია 1866 წლის Yellowboy-ის შაშხანები, რომელიც ყველაზე ფართედ „ვინჩესტერმა“ აწარმოა. ის მზადდება როგორც მსხვილი ყალიბებით, ისე მცირე, სპორტული ყალიბებითაც (.22LR, .22MAG, .38SP, .44/40, .45LC.). მათთან ერთად კომპანია ამზადებს წინა, ლულისქვეშა ბერკეტით მტენ შაშხანებსაც, რომლებიც აგებულებითა და ტექნიკური მონაცემებით მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში გავრცელებულ ვერსიებს მოგვაგონებენ.

აღნიშნული იტალიური ბრენდი უკვე დიდი ხანია რაც „ბერეტა ჰოლდინგის“ გუნდის წევრია და სხვა კომპანიონებთან ერთად ახორციელებს პროდუქციის გაყიდვას. „უბერტის“ შეკვეთის შემთხვევაში ძალზედ კონკრეტული, არსებული მოდელი დამზადება ან საკუთარი, წარმოებაში არსებული ვერსიის სხვაგვარად აგება და მოპირკეთება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხარისხის მაჩვენებელი მაღალია, რაც პროდუქციის დათვალიერებისასაც ჩანდა გამოფენებზე წარმოდგენილი იარაღების ნახვისას. „უბერტის“ რევოლვერებსა და შაშხანებს უამრავი მნახველი ათვალიერებდა, აკვრიდებოდა და თითქმის ყველას მოწონდა მისი დახვეწილი შესრულება და ხელით გაკეთებული მოხატულობა.



BENELLI RAFFAELLO DE LUXE & BROWNING FUSION EVOLVE II GOLD

მწარმოებელი:	Benelli, Beretta Holding-Italy.
მოდელი:	Benelli Raffaello de Luxe
ყალიბი:	12/76
სისტემა:	ინერციული სისტემა
მჭიდის ტევადობა:	5 ვაზნა
ლულის სიგრძე:	71 მმ.
სახრახნი ჩოკები:	0, 1/4, 1/2, 3/4, 1.0 (HP).
წონა:	3,0 კგ.
მიახლოებითი ფასი: (2011 წელი)	1800 ევრო



Benelli Raffaello Deluxe დაახლოებით ისეთივე პოპულარობით სარგებლობს საქართველოში, როგორც ესპანური Miguel Nieto-ს სანადირო დანები

„ბენელის“ იარაღების ქარხნის ისტორია, როგორც უკვე კომპანია „ფრანკის“ განხილვისას ვახსენეთ, ძმებ ბენელებთან ერთად 1967 წელს იწყება, მაშინ როდესაც ისინი ჯერ კიდევ იტალიაში, პესაროში მხოლოდ და მხოლოდ მოტოციკლების დამამზადებელი ქარხნის მფლობელები იყვნენ და არავითარი შეხება არ ჰქონდათ იარაღების ბიზნესთან. იარაღების ქარხანამ ტრადიციულ ურბინოში, რაფაელის სამშობლოში დაიდო ბინა. 1983 წელს ფირმა გახდა ბერეტას ჯგუფის წევრი და მას შემდგომ წამყვანი პოზიცია უკავია თვითმტენი, გლუვლულიანი თოფების კატეგორიაში. ერთობლივმა მუშაობამ დიდი შედეგი გამოიღო და „ბენელის“ ინერციული სისტემა, რომელიც გლუვლულიანი იარაღებისათვის დაახლოებით მე-19საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, უკვე დიდი ხანია დახვეწილი და სრულყოფილი სახით ლიდერ პოზიციას იკავებს ბაზარზე. თუმცაღა, ევროპაში ტესტების ჩატარების და სხვა და სხვა პროფესიონალთან შეხვედრის შემგომ, აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ტრადიციული ევროპელები მას ზედმეტად გათანამედროვებულ, ფუტურისტული დიზაინის მქონე, არაფრის მაქნის თოფსაც უწოდებენ. მიუხედავად ყველაფრისა კომპანიის მფლობელების საბედნიეროდ ბევრია ასეთი დიზაინის მქონე თვითმტენი გლუვლულიანების მოყვარული მონადირე და შესაბამისად მათი გაყიდვების წლიური რაოდენობა აშკარად აღემატება სხვა, მსგავსი ტიპის იარაღების (თუნდაც „ბრედას“) გაყიდვების რიცხვს. ზოგადად მონადირეების ძირითადი ნაწილი მასზე არჩევანს გაუმჯობესებული ბალანსისა და გამარტივებული დაშლა-აწყობის – გასუფთავების გამო აკეთებენ. თუმცაღა არც მის კუნკურენტებს აქვთ „დარღვეული“ ბალანსი და ყველას კარგად მოგეხსენებათ იარაღის მოვლის პირველი წესები, რაც მის გაწმენდასა და გასუფთავებაში მდგომარეობს. ასე რომ ყველას და ყველაფერს უნდა მოვლა და ამ შემთხვევაში მე პირადად, როგორც წიგნის ავტორი ბალისტიკურ მონაცემებს, უტყუარ მუშაობასა და ტრადიციულ დიზაინს უფო მივაქცევდი ყურადღებას, ვიდრე ზედმეტ თანამედროვეობას.

თოფის მექანიზმი მართლაც რომ ზედმიწევნით პრაქტიკულადაა აგებული და მთავარი აქცენტი გაკეთებულია მის იოლ დაშლა აწყობასა და მოხმარებაზე. დაშლისას მას ძვრება თითქმის ყველა დეტალი რაც სხვა, მის კონკურენტ მოდელების შემთხვევაში ხელს უშლის ან ოდნავ ართულებს გაწმენდას, დაწყებული სისტემური კოლოფიდან, დამთავრებული მჭიდამდე. ინერცია-ამ შემთხვევაში კი გასროლილი ტყვის უკუცემის ძალა გახლავთ მთავარი პრინციპი, რაზეც აგებულია სისტემა. სწორედ ამ ერთის შეხედვით მარტივი ცნების საფუძველზე, უფრო ზუსტად კი კინეტიკური ენერგიეს ხარჯზე ხორციელდება „ბენელის“ ნახევრადავტომატური იარაღის ვაზნების გადატენვის პროცედურა. ამგვარი ტიპის მექანიზმს არც „ინერციული“ და არც „კინეტიკური“ სისტემები არ ეწოდებათ. ესენი ამა თუ იმ სახელწოდებებიდან გამომდინარე ფრაზებია, რომელიც ხალხში ტრიალებს, ან სლენგის სახითაა შემოსული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. ამის მარტივი მაგალითია თავად თოფის საკეტი მექანიზმის იმ ნაწილზე გაკეთებული წარწერა, რომელიც სავაზნე ფანჯრიდან მოჩანს – Benelli Inertia System. სინამდვილეში ეს გახლავთ ჩვეულებრივი, თავისუფალი საკეტი მექანიზმი. სროლისას დამშვებ-დამრტყმელის მოძრავი თავი ბრუნავს, იხსნება და ეჯახება თავადვე, ანუ საკეტ მექანიზმშივე მოთავსებულ ინერციულ ზამბარას. შედეგად ის იწყებს აჩქარებით მოძრაობას უკუმიმართულებით. ამ დროს ხდება გასროლილი ჰილზის სავაზნიდან ამოღება და სავაზნე ფანჯრიდან ამოგდება. შემდგომ უკვე მთლიანი მექანიზმი მოძრაობს უკუ მიმათულებით და ეჯახება კონდახში ჩამაგრებულ ზამბარა-ამორტიზატორს, რომელსაც თავი ჩამაგრებული აქვს სისტემური კოლოფის ყელში. ზამბარა ამორტიზატორისა და მთავარი ინერციული ზამბარის მოქმედების შედეგად საკეტი მექანიზმი ბრუნდება კვლავ წინ, საწყის პოზიციაში და მჭიდიდან ენის მიერ სისტემურ კოლოფში ჩამოგდებული ვაზნა მიაქვს პირდაპირ ლულაში-სავაზნეში.

DeLuxe-სს ვაზნის სისტემურ კოლოფში ჩამომგდები ღილაკი



Benelli-ს ინერციული მექანიზმი



Benelli-ს მჭიდიდან სისტემურ კოლოფში ვაზნის ჩამომგდები ღილაკი



Benelli-ს საკეტი მექანიზმის დამჭერი – დამშვები ღილაკი

სტანდარტულად, სასხლეტის ბუდის თავში აქვს განთავსებული. როდესაც მჭიდის სავსეა, მასზე თითის დაჭერით ვაზნა გადმოინაცვლებს სისტემურ კოლოფში და უკვე შესაძლებელი გახდება საკეტი მექანიზმის მოძრაობით გადატენვა. გასროლის შემთხვევაში, თუ დავცლით მჭიდს, საკეტი მექანიზმი დარჩება ღია პოზიციაში. სისტემური კოლოფის მარჯვენა, წინა მხარეს განთავსებულ ღილაკზე თითის დაჭერით შესაძლებელია მისი დაშვება.

უნდა აღინიშნოს რომ ამგვარი სისტემა ერთგვარად იცავს ადამიანს უბედური შემთხვევისაგან. თუმცაღა დაცლისას „ბრაუნინგისაგან“ განსხვავებით დაბალი აქვს. ის ზუსტად უტოლდება სისტემური კოლოფის სიმაღლეს და მასთან ერთად, ერთ ზოლში, მის პარალელურადაა განთავსებული. ერთის მხრივ ესკარგია, რამეთუ კლასიკური, ტრადიცული თოფის იმიჯს მატებს მოდელს. ამასთანავე კონკრეტული აღნაგობის მსროლელთათვის მისი ხმარება გარკვეულწილად მოხერხებულია. თუმცაღა უმეტესი წილი მონადირეებისა თუ სპორტსმენებისა მაინც შედარებით მაღალ თამასას ანიჭებს უპირატესობას, რამეთუ ასეთ შემთხვევაში თავის დაბლა დაწევა და უხეშად რომ ვთქვათ, „კისერის მოღრეცვა“ აღარ ხდება აუცილებელი.

Benelli Raffaello De Luxe-ის ვერცხლისფერი სისტემური კოლოფის ის ძირითადი, ქვედა მონაკვეთი, რომელიც დაშლისას კონდახთან რჩება, მთლიანად გრავირებებითაა გაწყობილი. დამატებითი აქსესუარების და ნაწილების სახით კომპანიას თვითმტენი თოფებისათვის მართლაც რომ ფართო არჩევანი აქვს. „ბენელის“ დილერებთან შესაძლებელია დამატებით ლულების შეძენა, იქნება ეს სლუგერის, ნადირზე სანადირო თუ გრძელი, საფანტისა და სტანდარტული ტყვია-ფინდიხის სასროლი ვერსია. ასევე კომპლექტაციაში შედის 5 ცვლადი ჩოკი, ზეთი, კონდახის კუთხის შემცვლელი ფირფიტები, კონდახზე დასამაგრებელი რეზინი უკუცემის შესამცირებლად და საწმენდი ხელსაწყოები. ეს ყველაფერი კი განთავსებულია იტალიური მწარმოებელის, „ნეგრინის“ პოლიმერის კეისში.

ბელგიური თოფი, რომელიც „ბენელისთან“ ერთად უნდა განვიხილოდ 2010 წლიდან სერიულ წარმოებაშია აღარაა. მიუხედავად ამისა ის მაინც რჩება უამრავი მონადირის საყვარელ ნახევრადავტომატურ თოფად. ამის საბაბი მის მფლობელებსა თუ მოყვარულებს ნამდვილად აქვთ, რამეთუ თოფს უამრავი დადებითი, ბევრისათვის კი საუკეთესო თვისება ახასიათებს. Browning Fusion Evolve II Gold ბელგიელებისა და ამერიკელების ერთობლივი პროექტია, რომელიც კომპანიის საუკეთესო ოსტატებმა ერთიანი შრომის შედეგად შექმნეს. იარაღმა უამრავი პრიზი დაიმსახურა ამა თუ იმ ქვეყანაში გამართულ ნახევრად სპორტულ თუ სანადირო-სამოყვარულო შეჯიბრებებზე. ყველაზე დიდ მონონებას აღნიშნული მოდელი საერთაშორისო გა-



საკეტი მექანიზმი ჩასმისას, უმჯობესია სასხლეტი მექანიზმის დაყენებამდე მოვარგოთ ბუდეს, წინააღმდეფ შემთხვევაში რთულია მისი მამოძრავებელი კუდის მართებულად – ზუსტად ჩასმა სისტემური კოლოფის ყელში განთავსებულ ამორტიზატორის თავში



Benelli-ს სისტემური კოლოფის ქვედა ნაწილი



მოფენებზე იმსახურბდა ხოლმე, სადაც თავს იყრიდნენ მსოფლიო დონის გამოცდილი სპეციალისტები და მეიარაღეები. გარკვეულ კატეგორიაში, ძირითადათ კი სანადირო განხრით, მან ბევრჯერ პირველი ადგილი დაიმსახურა მსგავს-ნახევრადავტომატურ ვერსიებში. თოფს თავად ზოგიერთი იტალიელი თვითმტენი გლუვლულიანების დედოფალს უწოდებს. მათთვის მეფე კი ლეგენდარული „კოსმი’ გახლავთ. საინტერესო ისაა რომ თანანმემამულე „ბერეტასა“ და „ბენელის“ ისინი (იქაურ მეიარაღეთა საკმაოდ დიდი ნაწილი) ბრაუნინგზე „დაბლა“ აყენებს. იმავე აზრს გამოთქვამდნენ ხოლმე გერმანელი, ინგლისელი თუ ამერიკელი სპეციალისტები სხვა და სხვა გამოფენებსა თუ პრესკონფერენციებზე. რათქმაუნდა იყვენენ ისეთებიც, რომლებსაც არ მოსწონდათ აღნიშნული მოდელის ესა თუ ის თვისება და ცდილობდნენ ამ უარყოფითი მხარეების სააშკარაოზე გამოტანას. ამასთანავე იყვნენ ისეთებიც, (ძირითადათ კონკურენტი ბრენდების ინტერესების დამცველი პიროვნებები) რომელთაც არგუმენტებათ მოჰყავდათ დანარჩენი ნახევრადავტომატური იარაღების ის დადებითი მხარეები, რომელიც შეესაძლოა „ბრაუნინგს“ არ ჰქონოდა იმ დონეზე დახვეწილი. თუმცაღა მთავარი მაინც ისაა, რომ საერთო ჯამში ყველაფერს ხალხი აფასებს და რაც არ უნდა ეცადოს პიროვნებათა გარკვეული ჯგუფი „ნაძალადევი სიმართლის“ დამტკიცებას, მაინც ვერაფერს გახდება.

Browning Fusion Evolve II Gold გაზებით მტენი თვითმწმენდი, თვითრეგულირებადი სისტემითაა აღჭურვილი. აირების გამომშვები მბრუნავი ცილინდრი, რომელიც ტიბჟირშია დამალული ყოველგვარი შეფერხების გარეშე ახორციელებს 28 გრამიდან 56 გრამამდე ვაზნების გადატენვას. ამავდროულად ჭარბი გაზები, რომლებიც აღარაა საჭირო და ზედმეტია ვაზნის გადასატენად, ტიბჟირის მარცხენა და მარჯვენა გვერდების ზედა კედლებზე გაკეთებული ჭრილებიდან გამოდიან გარეთ. რაც შეეხება თავად საკეტ მექანიზმს, ის ტრადიციული ფორმისაა და არც მბრუნავი თავი უყენია, რომელიც გახნსა დაკეტვისას ტრიალებს. თუმცაღა სისტემა მთლიანობაში უფრო უკეთესად და უტყუარად მუშაობს, ვიდრე ეს „ბენელის“ შემთხვევებში გვხვდება. ამ ინფორმაციის გადამოწმება ავსტრიელ მეიარაღეებთან გადავწყვიტეთ, რომელთაც დაგვიდასტურეს „Fusion Evolve“-ს სტაბილური ფუნქციონირება თითქმის ნებისმიერ კრიტიკულ პირობებშიც კი. რაც შეეხება საქართველოში მიღებულ გამოცდილებას, ზემოთხსენებული მოდელების შესახებ, უამრავი შემთხვევა ცხადყოფს მის გამართულ, საიმედო მუშაობას. Active Valve სისტემა, რომელიც 1994-95 წლებში საუკეთესო თვთმტენ



მწარმოებელი:	Browning, – FN Belgium, Herstal
მოდელი:	Browning Fusion Evolve II Gold
ყალიბი:	12/76
სისტემა:	აირებით მტენი სისტემა
მჭიდის ტევადობა:	5 ვაზნა
ლულის სიგრძე:	71 მმ.
სახრახნი ჩოკები:	1/4, 1/2, 3/4, 3/4-L, 1.0
წონა:	2,9-3 კგ.
მიახლოებითი ფასი: (2010-2012წ.)	1800 ევრო



Browning-ის დაშლილი სისტემური კოლოფი



Browning Fusion Evolve Gold-ის არასრული დაშლა

მექანიზმად იქნა დასახლეებული, უკვე დიდი ხანია ჩვენს ქვეყანაში „ბრაუნინგისა“ და „ვინჩესტერის“ თვითმტენ ვერსიებზე გვხვდება. მათი იმ ნაწილის 100%, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მოვიპოვეთ დღემდე უტყუარად მუშაობს. რამოდენიმეჯერ მოხდა საკმაოდ საინტერესო ფაქტი, რომელიც ზოგჯერ გაკვირვებასაც იწვევს ხოლმე. ჩვენს ქვეყანაში და არა მარტო აქ, ხშირია იარაღის გადამეტებულად დაბინძურების ფაქტი უცოდინრობის ან უბრალოდ მოუვლელობის-სიზარმაცის გამო. თუმცაღა მოხდა ესეთი რამ. „ბრაუნინგის“ ნახევრადავტომატურ თოფს პატრონი უვლიდა და წმენდავდა, მაგრამ არა ჩვეულებრივი ლულის საწმენდი ზეთით, არამედ მისსავე კომპლექტაციაში არსებული ხის (კონდახის დასამუშავებელი) სპეციფიკური ზეთით. მიუხედავად ამისა იარაღი ნახევარი წლის განმავლობაში „თურმე“ ყოველგვარი დაბროკელებებისა თუ შეფერხების გარეშე, უპრობლემოდ მუშაობდა. მისი არც ერთი დეტალი არ დაზიანებულა. ამგვარ მდგომარეობაში აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ თუ თეორიულად მივუდგებით ამ საკითხს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იარაღის ის შიდა პერიმეტრი, რომელიც გარედან არ ჩანს არასრული დაშლის შემთხვევაში, მთლიანად გაბიდნული იქნებოდა წებოვანი ჭუჭყით. მისი არსებობის შემთხვევაში კი სისტემა წესით და რიგით მწყობრიდან უნდა გამოვიდეს. სინამდილეში ანალოგიური სურათი დაგვხვდა სისტემური კოლოფის გახსნის შემდგომ. მთლიანი სისტემა საშინლად დაბინძურებული იყო. მფლობელმა კი ნახევარი წლის შემდგომ „ცოტა პრეტენზიულად“ განაცხადა, რომ ვუვლიდი და მსუბუქი ვაზნა რამოდენიმეჯერ გაჭედაო. სწორედ ამ მიზნით მივიდა ის იარაღის მაღაზიაში. შემდგომ მას აუხსენს, რომ ასე არ უნდა გაკეთებინა, მოხდა იარაღის სრულყოფილად დაშლა და სათითაო დეტალების გაწმენდა. თოფმა გააგრძელა უტყუარი ფუნქციონირება ყოველგვარი დამატებითი ჩარევის გარეშე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ასევე მოხდა თოფის გარეცხვისა და სხვა ამგვარი ტიპის ფაქტები. რის შემდგომაც მათი მფლობელები სწავლობდნენ მართებულ ექსპლუტაციას და ჩადენილი შეცდომების მიუხედავად, იარაღები გამართულად აგრძელებდნენ მუშაობას. რაც შეეხება „ბენელის“ ნახევრადავტომატებს, მათ ამგვარ ამტანობას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. თუმცაღა გარკვეული უპირატესობები მათაც გააჩნიათ სხვა თვითმტენ გლუვლულიანებთან მიმართებაში.

Browning Fusion Evolve II Gold-ი კიდევ ერთი საინტერესო ფუნქციითაა აღჭურვილი, რომელიც სხვა არც ერთ კონკურენტ მოდელს არ გააჩნია. ეს გახლავთ სწრაფი დატენვის ფუნქცია, რომელიც ამავდროულად მჭიდის ჩაკეტვასაც ახორციელებს. თუ სისტემური კოლოფის მარცხენა მხარეს არსებული ბერკეტი წინაა გადართული და ამ დროს საკეტი მექანიზმი ღიაა, ქვემოდან, სტანდარტული წესით მჭიდის მიმართულებით მიწოდებული ვაზნე პირდაპირ გადაინაცვლებს ლულაში-სავაზნეში. ამასთანავე შეგვიძლია ჩავკეტოთ მჭიდი და გასროლისას იარაღის საკეტი დარჩება ღია, ისე რომ ენა ვაზნას არ გამოაგდებს მჭიდიდან სავაზნე კოლოფში. შედეგად შეგვიძლია სხვა, სასურველი ვაზნა მივაწოდოთ



თოფს ლულაში ან კვლავ იმავე ბერკეტზე ზემოქმედებით ერთდროულად მჭიდში არსებული ვაზნა გამოვიღოთ და მივაწოდოთ იარაღს სავაზნეში.

არაჩვეულებრივი ბალანსისა და უკუცემის შემამცირებელი სისტემის ხარჯზე ნადირობის მოყვარულთათვის „ბრაუნინგის“ ნახევრადავტომატი იდეალური არჩევანია. აირებით მტენი სისტემა, იმის გარდა რომ ჭარბ გაზებს ფანტავს ჰაერში და ამცირებს უკუცემას, ამავდროულად გასროლისას – უკუმიმართულებით მოძრაობისას ეჯახება სპეციფიკურ ზამბარა-ამორტიზატორს, რის შედეგადაც საგრძნობლად მცირდება მხარზე დარტყმის ძალა. ამას ემატება Back-Bore-სისტემა, რომელიც თავისწილ ამცირებს უკუცემას 6 %-ით და რაც მთავარია, საგრძნობლად აუმჯობესებს ბალისტიკურ შედეგებს.

იარაღს მოყვება ხის დასამუშავებელი ზეთი კონდახზე გაჩენილი ნაკაწრებისა და დაზიანებების აღმოსაფხვრელად. ხუთი ცვლადი ჩოკი, რომელთაგანც ერთი სტანდარტულზე დაახლოებით 5 სანტიმეტრით გრძელია და ჩარხრახნილ მდგომარეობაში გამოდის გარეთ, ანუ სცდება ლულის პირის ღრუსანათურს. თოფს ამავდროულად მოყვება ღვედის დამჭერები, ჩოკების ქანჩი, ტრირიუმის 5 სხვა და სხვა ფერის წინა სამიზნე მოწყობილობა, აგრეთვე კონდახის კუთხის შემცვლელი ფირფიტები, რომელთა საშუალებითაც მფლობელს ძალუძს იარაღის უკეთ მხარზე მორგება. ეს ყოველივე განთავსებულია მყარ კეისში.

საერთო ჯამში Browning Fusion Evolve II Gold გახლავთ იდეალური იარაღი თითქმის ნებისმიერი ტიპის ფრინველსა თუ ცხოველზე სანადიროდ. ყველაზე მატად მასში მონადირეები, პროფესიონალი მეიარაღეები, თავად შემქმნელები და კუნკურენტი კომპანიის წარმომადგენლებიც კი ბრწყინვალე ბალისტიკურ მონაცემებსა და ერგონომიულობას აფასებენ. მიუხედავად იმისა, რომ მისი დაშლა და აირების შედეგად დარჩენილი სიბინძურის გაწმენდა უფრო რთულია, ვიდრე ეს „ბენელის“ შემთხვევაშია, მყიდველები ძირითადათ მაინც მასზე აკეთებენ ხოლმე არჩევანს სწორედ რომ უკეთესი ბალისტიკური მაჩვენებლების გამო!..



Browning-ის საკეტი მექანიზმი



Browning-ის აირებით მტენი სისტემის აირების გამშვები – მარეგულირებელი ცილინდრი

მეიარაღეობა ესპანეთში ARRIETA

მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1916 წელს მეიარაღეთა ასპარეზში ჩაება 19 წლის აველინო არიეტა. მან მალე მოიპოვა ხალხის, კერძოდ მონადირეებისა და იარაღის მოყვარულთა ნდობა. მიუხედავად კონკურენტუნარიან გარემოში, ქალაქ ეიბარში მოღვაწეობისა, ნიჭისა და ხელმარჯვეობის წყალობით ახალგაზრდა ოსტატმა იოლად მოახერხა საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაცია. კარიერის დაწყებიდან რამოდენიმე წელიწადში საგრძნობლად გაიზარდა შეკვეთების რაოდენობა რასაც არც არიეტა მოელოდა და არც მისი კონკურენტები. რიგით მყიდველებთან ერთად მას ისეთი პიროვნებები აძლევდნენ შეკვეთებს, როგორიც იყო მეფე ალფონსო XIII.

თავდაპირველად აველინო პატარა საწარმოში მუშაობდა, სადაც ისე მცირე მეწარმეობას ეწეოდა და ინდივიდუალური შეკვეთების ხარჯზე ახორციელებდა კარიერულ წინსვლას. როგორც ასეთი მასიური წარმოება მას არ გააჩნდა, თუმცა ყოველთვის ფიქრობდა, რომ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ ახალი, უფრო მაშტაბური წარმოების დაწყება აუცილებლობას წარმოადგენდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე იდეების რეალიზაცია და საოცნებო წარმატების მიღწევა მან შვილებთან, ხოსესთან და ვიქტორთან ერთად მოახერხა. მათ 1940 წელს ფაქტიურად აიძულეს მშობელი შეექმნა ახალი ქარხანა. ქალაქ Elgoibar-ში არსებულმა კომპანიამ 1970 წელს სახელი შეიცვალა და ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება Manufacturas Arrieta. იმ ჟამიდან დაიწყო ბრენდის მასიური გაყიდვები როგორც ესპანეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ამჟამად კომპანიას სათავეში უდგანან აველინო არიეტას შვილიშვილები, ხუან კარლოსი და ასიერი. მათი მეშვეობით ხორციელდება ექსპორტი ბევრ ქვეყანაში. მაგრამ ბრენდი არც თუ ისე პოპულარულია მსოფლიო მაშტაბით და მათ მიერ დამზადებული იარაღები კონკურენტებთან შედარებით ძირითადად იაფია ხოლმე. მათ ელიტარულ მეიარაღეთა წრეებში უფრო ოჯახური ბიზნესის წარმომადგენლებად მიიჩნევენ.

დღესდღეობით Arrieta სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე ახორციელებს საკუთარი პროდუქციის წარდგენას. 2012 წელს ერთ-ერთ ასეთ საგამოფენო კომპლექსში მოხერხდა მათი საუკეთესო მოდელების ხილვა, გარკვეული ინფორმაციის და ფოტომასალის მოპოვება.

Modelo 872 სრული-გვერდითი, სწრაფად ხსნადი, ეგრეთწოდებული




Arrieta გლუვლულიანი თოფი სრულყოფილი გვერდითი საკეტებით

7+1 ჩხირიანი ჰოლლანდ&ჰოლლანდის მსგავსი საკეტებით იწარმოება. საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო 71 სანტიმეტრი სიგრძის (ლულა) ვერსია ინგლისური ტიპის კონდახითა და ფიქსირებული ჩოკებით. მას გვერდს უმშვენებდა ზუსტად იმავე ტიპის საკეტი მექანიზმით აღჭურვილი Modelo 801. ცალკე, დახურულ დახლში იყო წარმოდგენილი კომპანიის ერთ-ერთი საუკეთესო თოფი Modelo 873. ერთ სასხლეტიანი თოფი ზემოთხსენებული ორის მსგავსად ანალოგიური ტიპის საკეტი მექანიზმითაა აღჭურვილი. ზოგადად შესაძლებელია მათი დამზადება დღესდღეობით არსებული თითქმის ყველა მოდიფიკაციით.

მათი ყალიბი შეიძლება იყოს 12, 16, 20, 28 ან 410, მაგრამ სწრაფად ხსნადი საკეტები მხოლოდ 12, 16 და 20 ყალიბიან ვერსიებს აქვთ. ჩოკები კეთდება ნებისმიერი ზომის როგორც ფიქსირებულად ლულაზე, ისე სახრახნ ვერსიებად. „არიეტას“ ყველა მოდელის ლულების შიდა ზედაპირს უკეთდება სპეციალური მოპირკეთება ქრომით. გარედან ისინი დამუშავებულია პრიალა, ჟანგსაწინააღმდეგო ნივთიერებით. ზოგჯერ მათ ეგრეთწოდებული „მოლურჯო ეფექტი“ აქვთ. კონდახისა და ტიბჟირის ნებისმიერი ვერსიის შეკვეთაა შესაძლებელი, როგორსაც მყიდველი მოისურვებს. ყველაზე მთავარი, გრავირება მხოლოდ ხელით ხდება და ძირითადათ არა შემკვეთის, არამედ ოსტატის მიერაა შერჩეული



IWA MESSE-2013 წელი. „ARRIETA“-ს იარაღები წარმოდგენილი ნიუმბერგში გამართული იარაღების საერთაშორისო გამოფენაზე

AYA

ბასკების ქვეყანა შედგება სამი პროვინციისაგან და მდებარეობს ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ეს გახლავთ გადამწვანებული ადგილები, სადაც გვხვდება მთები თვალწარმტაცი ხეობებითა და ბუნების უამრავი თვალსაჩინოებით გამორჩეული. ეს ტერიტორია ოდითგანვე მებრძოლი ხალხით იყო დასახლებული. იქ ოდითგანვე ცხოვრობდნენ მჭედლები და იარაღის ოსტატები. ბასკეთი თამამად შეიძლება ითქვას რომ ითვლებოდა ესპანეთის მეიარაღეთა ცენტრად. სწორედ ასეთ ადგილასაა განთავსებული თითქმის ერთ საუკუნოვანი ევროპული ბრენდი AYA, Aguirre y Aranzabal. 1915 წელს მეიარაღეებმა Miguel Aguirre da Nicolas Aranzabal-მა დატოვეს საკუთარი მამული ერთ-ერთ ბასკეთის პროვინციაში, კერძოდ Guipuzcoa-ში და სამუშაოდ წავიდნენ გერმანიიდან ბარსელონაში გადმოსულ ედუარდო შილინგთან. იმ დროისათვის გერმანელი ერთ-ერთ წამყვან ფიგურედ ითვლებოდა იარაღების ესპანურ ინდუსტრიაში და ბასკმა ახალგაზრდებმაც გადაწყვიტეს კვალიფიკაციის ამაღლება და შემდგომ ამის ხარჯზე მომავალი გეგმების განხორციელება. აქედან იწყება კომპანის ისტორია. დღევანდელი გადასახედიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ მსოფლიო დონის ბრენდად ჩამოყალიბება მოახერხეს. ამჟამად კომპანია AYA აკეთებს მხოლოდ ძვირფას, ლუქს და ნახევრად ლუქს კლასის იარაღებს. მათი ძირითადი მიმართულება და მუშაობის პრინციპი მსოფლიოში ყველა დროის საუკეთესო მოდელების ასლების დამზადებაა. კომპანია ახორციელებს ჰორიზონტალურად განლაგებულ, ორლულიანი თოფების წარმოებას. სრული-გვერდითი საკეტებიანი (Sidelock) თოფები ძალიან გვანან ინგლისური იარაღების, კერძოდ „პერდეს“ მოდელებს. ისინი ბრიტანული თოფის ფასთან შედარებით იაფია, მაგრამ საკმაოდ ძვირს ფასობენ. ღირებულება 500 ევროდან დაახლოებით 17.000 ევრომდე მერყეობს. ხოლო მათი საუკეთესო მოდელი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ხელით კეთდება, ჩახმახიანი მოდელი Annyversary-2011 წელს ზუსტად 22.152 ევრო ღირდა. ესპანელები ამავდროულად აკეთებენ შედარებით დაბალი კლასის ჰორიზონტალურ თოფებს სტანდარტული, არასრული „კოლოფისებრი“ საკეტი მექანიზმით (Boxlock). მათი ფასი ჩვეულებრივ შემთხვევაში 3500-დან 4500 ევრომდე მერყეობს. ქარხანაში მზადდება გლუვლულიანი იარაღები ვერტიკალური ლულების განლაგებითაც. მათგან ერთ-ერთი საუკეთესოა „მერკელ-303“-ის ბაზაზე აგებული ვერსია, სახელწოდებით „აუგუსტა“.



მისი ფასი ორიგინალი სტანდარტული „მერკელის“ ფასს აშკარად აჭარბებს და დაახლოებით 27.800 ევრო ღირს. კომპანია ცილინდრული საკეტი მექანიზმით აღჭურვილ შაშხანებსაც აკეთებს Mauser-98-ის ბაზაზე. ესპანურ კომპანიას თითქმის ყოველ წელიწადს გააქვს საკუთარი პროდუქცია აზიის, ამერიკისა და ევროპის გამოფენებზე. მათთან გასაუბრება ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ ერთ-ერთ გამოფენაზე მაინც მოვახერხეთ თანამშრომლებთან შეხვედრა და გარკვეული ინფომაციის მიღება. რაც ყველაზე საინტერსო იყო ჩვენთვის კომპანია AYA-ს მოდელებიდან ყველაზე ძვირფასი თოფის ნახვა მოვახერხეთ და მისი ფოტომასალაც მოვიპოვეთ.


AYA Annyversary-2011

GRULLA

ესპანეთი ნამდვილად არ უჩივის მსოფლიო დონის მეიარაღეებისა და ოსტატების ნაკლებობას. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია კომპანია Grulla, რომელიც EIBAR-შია განთავსებული. ის Aya-ს მსგავსად მხოლოდ ძვირფას თოფებს აკეთებს. ფირმამ წარმოება 1932 წელს დაიწყო. მაგრამ დღემდე მოკრძალებული საწარმო გააჩნია და სხვა ბრენდებთან შედარებით ბევრად უფრო ნაკლებ იარაღებს ყიდის ყოველწლიურად, ვიდრე სხვა ესპანური ბრენდები. Grulla ძირითადად კერძო შეკვეთებზე მუშაობს. ესპანეთში ჩასვლის შემთხვევაში მყიდველს ეძლევა შესაძლებლობა ადგილზე ნახოს თუ როგორ მზადდება მისი მომავალი იარაღი. ისინი აგრეთვე თავის მომხმარებელს აძლევენ შესაძლებლობას იარაღი გაკეთდეს კონკრეტული პიროვნების აღნაგობის, ფიზიკურ მონაცემებზე დაყრდნობის საფუძველზე. ოსტატი აღნიშნული ზომების აღების შემდეგ იწყებს თოფის მზადებას. აღსანიშნავია რომ საწარმოში ძალიან ბევრი დეტალი კეთდება ხელით. ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ეს სხვა თანამედროვე ტექნოლოგიებითა და დანადგარებით დაკომპლექტებულ ქარხნებში ხდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვები რადგანაც CNC – მანქანებით აკეთებენ კონკრეტულ დეტალებს, ცუდია. ყველას მოეხსენება რომ ლულა, რომელიც წრთობის, გაჭრის, ზომაზე დასმის, ერთმანეთზე გადაბმის, სისტემურ კოლოფზე შეერთების და მოპირკეთების პროცედურებს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ხელის ჩარევით გადის, გარკვეულწილად უფრო საიმედო დარაც მთავარია, შესაბამისადაც ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე მანქანითა თუ სხვა ტიპის დაზგა დანადგარით გაკეთებული ვერსია. რა თქმა უნდა აუცილებელია, რომ მისი შემქმნელი კარგი და გამოცდილი ოსტატი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე სულ სხვაგვარად წარიმართება.

ბოლო ათწლეულია რაც კომპანია ხშირად ახორციელებს პროდუქციის გამოფენებზე გატანას და ამგვარი ხერხით ცდილობს თავი გააცნოს მსოფლიო საზოგადოებას სხვადასხვა კუთხეში. მათ მიერ წარმოებული იარაღების მფლობელები ქართველებიც არიან. ერთ-ერთი საკმაოდ ძვირადღირებული თოფის შეკვეთა შ.პ.ს. „ქარავანი+“-ის სახელით განხორციელდა 2010 წელს, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ვეღარ დასრულდა. გერმანიაში გამოფენაზე შეხვედრისას ბატონმა Iñigo Usobiaga-მ გამოფენილი პროდუქციით ნამდვილად გაგვაკვირვა. იმდენად აშკარა და ნათელი იყო თოფების ხელით შესრულების ოსტატობა, რომ



საერთოდ არ გახდა საჭირო კითხვა იმისა, თუ როგორ ან რა ვითარებაში მზადდებოდ ესა თუ ის მოდელი. მითუმეტეს მაშინ როდესაც გამოფენის გამართვამდე ვიცოდით მიმოწერის ხარჯზე და ინტერნეტით გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ ყოველივეს შესახებ. სამწუხარო კი ის ფაქტია რომ დადებითი პასუხის მიუხედავად ქართულ წარმომადგენლობასთან თანამშრომლობის შესახებ, არავითარი დაინტერესება ქართველ მონადირეებსა და ამგვარი იარაღის მოყვარულებში არ გაჩნდა. სხვათაშორის კომპანია „ქარავანი+“-ს არც სარეკლამო ხარჯები დაუზოგავს და არც ენერგია „გრულას“ პროდუქციის პოპულარიზაციის საკითხში. მაგრამ უშედეგოდ, ქართველი მონადირეების დიდი ნაწილი მატერიალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე იაფფასიან თოფის ყიდვას ამჯობინებს. შეძლებული ფენის 95 % კი ძვირფას თოფს ეძებს რომელიც მათი აზრით (რატომღაც) ევროპულ ფასთან შედარებით მისი მესამედი ან მაქსიმუმ ნახევარი უნდა ღირდეს, რომ მათ ის შეიძინონ. საბედნიეროდ ესპანელები ქართველებს ბევრი რამით გვანან. ასეა თუ ისე არც სტუმართმოყვარეობა ეშლებათ. განსაკუთებით იმ ფენას, რომლებიც ამგვარი ოჯახური, ტრადიციული ბიზნესითაა დაკავებული და სანადირო, კლასიკური იარაღების წარმოებას ახორციელებს. მათ შემოგვთავაზეს შეკვეთები პირდაპირ თბილისში მიგვეღო და კონკრეტული მონაცემების ესპანეთში გაგზავნის შედეგად იარაღი 3-დან 6 თვემდე მზად იქნებოდა თბილისში, მის მომავალ პატრონთან გამოსაგზავნად. ჩვენ რა თქმა უნდა დავთანხმდით ესპანელ პარტნიორებს და იმედი დავიტოვეთ რომ ჩვენში მალე გაიგებენ ხელნაკეთი გლუვლულიანი თოფების გემოს, რომლებიც ლეგენდარული „პერდეს“, „ჰოლანდ&ჰოლანდისა“ ან თუნდაც „მერკელის“ ასლები შეიძლება იყვნენ. შესაძლოა ორიგინალ ვერსიაზე კარგადაც შესრულებული. ყოველშემთხვევაში თუ ვერ მიხვდნენ აღნიშნულ ფაქტს ჩვენებურები, იქნებ თავად ვისწავლოთ იმათზე კარგად ამგვარი იარაღის კე-



Grulla-ს ორლულიანი თოფები სრულყოფილი გვერდითი საკეტებით

თება. რაც მთავარია წინაპრები და მათ მიერ დატოვებული კვალი ქართული მეიარაღეობის შესახებ ამაში ნამდვილად გვეხმარება და გვიწყობს ხელს. ალბათ ჩვენ ვერ ვართ მოწოდების საფეხურზე და არ ძალგვიძს (იმედია დროებით) იარაღის კეთება.

კომპანია „Grulla“-ს 2012-2013 წლებში რამოდენიმე სახეშეცვლილი მოდელი ჰქონდა საგამოფენო კომპლექსში წარმოდგენილი. ძირითადათ შეცვლილი იყო მოხატულობა, კონდახის მოყვანილობა და გრავირება. ესპანური ბრენდის მთავარ ხიბლს წარმოადგენდა ეგრეთწოდებული „შვიდ ჩხირიანი“ სრულიგვერდითი საკეტებით აღჭურვილი გლუვლულიანი თოფები. ისინი ბევრი, განსხვავებული გრავირებებითა და ხის კატეგორიებით ჰქონდა მწარმოებელს საკუთარ დახლზე წარმოდგენილი.

უნდა აღინიშნოს რომ ზოგადად ხარისხი, რომელიც კომპანია „გრულას“ აქვს ბოლო წლებში წარმოდგენილი საკუთარი პროდუქციის სახით გამოფენებსა თუ ზოგადად თავისი დილერების მაღაზიებში აშკარად აღემატება იარაღების გასაყიდ ფასს. ეს ყოველივე კი პირველ რიგში განპირობებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე ოსტატების კომპანიაში მუშაობითა და თითოეული იარაღის დამზადებისას ტრადიციების თანამედროვე ტექნოლოგიებთან ჰარმონიული შერწყმით

მეიარაღეობა ფინეთში SAKO და TIKKA

1921 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ ფინეთში შეიქმნა იარაღების მწარმოებელი კომპანია „Sako L.T.D“. მისი ოფიციალური სახელწოდება გალხდათ Suojeluskuntain Ase-ja Konepaja Osakeyhtiö (Firearms and Mashine workshop of the civil Guard). სახელწოდებიდანვე გამომდინარეობს ქარხნის მუშაობის პროფილი. მათ მიერ თავიდანვე დაგეგმილი იყო სანადირო იარაღების დამზადება ცივილური ბაზრისათვის. თუმცა დღესდღეობით შექმნის მიზეზად სახელდება სამხედრო შაშხანების შეკეთება და მოდიფიცირება, განსაკუთრებით სანადირო დანიშნულებით. კომპანია ამჟამად განთავსებულია სამხრეთ ფინეთში, პატარა ქალაქ Riijimäki -ში, 75 კმ-ის დაშორებით ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიდან.

სხვა იარაღების მწარმოებლების მსგავსად კომპანია „Sako“ უამრავი პრობლემების წინაშე იდგა 30-იანი წლების დეპრესიების დროს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მან ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა. 1946 წლისათვის კომპანიას ესაჭიროებოდა მთლიანად განახლება და გარკვეული რაოდენობის თანხები წინსვლისათვის. მათ კვლავ თავდაპირველ ხერხს მიმართეს და სამხედრო შაშხანების გადაკეთება დაიწყეს სანადირო და სპორტულ ვერსიებად.

„Sako“-ს პირველი სამოქალაქო ცეცლსასროლი შაშხანა ამავე სახელით ოფიციალურად წარმოებაში გაუშვა L42 (Luodikko Rifle – 1942) სერიული სახელიწოდებით 1942 წელს. იარაღი ისროდა 7x33mm Sako-ს ვაზნებს, რომელიც ფისტოლეტის 9x19-ის ვაზნების ბაზაზე იქნა აგებული და 1960 წლამდე კომპანია მას აწარმოებდა. Sako L42-ის საწყისი სიჩქარე ზემოთხსნებული ვაზნით შეადგენდა 732 მ/წმ-ს, ენერგია კი 1353 ჯოულს. აღნიშნულ შაშხანას მოჰყვა იმავე ტიპის იარაღი სახელწოდებით L46. კომპანია უკანა ბერკეტით მტენ შაშხანებსაც აწარმოებდა, ეგრეთწოდებული VL-63 – Lever Action-ebi Finnwolf-ის (ფინური მგლის)-სერიული სახელწოდებით მზადდებოდა.

50-იანი წლების დასაწყისისათვის „Sako“-მ სამი განსხვავებული სისტემის მქონე შაშხანის ბაზაზე განავითარა საკუთარი, წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანების ტიპი – კლასიფიკაცია. ესენი გახლდნენ S491 და M591 მოკლე სისტემებიანი შაშხანები და მაგნუმის-გრძელ



SAKO-ს ქარხანა

სისტემიანი ვერსია L691.

80-იან წლებში ფირმამ შორს მსროლელი, უზუსტესი შაშხანები აწარმოა და მათი სერიული გაყიდვები დაიწყო. იარაღები „Sako“ ახალი სისტემებით (მექანიზმით) იყო აღჭურვილი და TRG-ს სერიული სახელწოდებით იყიდებოდა. მოგვიანებით იმავე სისტემებით იწარმოა სანადირო-სპორტული ვერსიებიც. დღესდღეობით კომპანია აღნიშნულ მექანიზმებსა და მათი დამზადების პრინციპების პატენტსაც ყიდის. სანადირო „ბოლტების“ გვერდით ფირმა სამხედრო პროდუქციასაც აწარმოებდა. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ Sako RK-95 ყალიბებით .223 ღემინგტონ და 7,62x39 მმ. ქარხანაში აგრეთვე მზადდებოდა თითქმის ყველა სახეობის ვაზნა ხრახნლულიანი იარაღებისათვის. „ამუნიციიდან“ ბევრი ვაზნის გამოყოფა შეიძლება. შაკო უამრავ ყალიბს აწარმოებს, რომელსაც დღემდე ხარისხობრივი თვალსაზრისით სერიოზული კონკურენტი მსოფლიოში სამი ოთხი თუ მოიძებნება. აღსანიშნავია თანამემამულე მწარმოებლის „Lapua“-ს მიერ შექმნილი ვაზნა .338 Lapua Magnum. აღნიშნული ვაზნა იდეალურია შორს მსროლელი შაშხანებისათვის და მისი ეფექტური სროლის მანძილი შესაბამისი შაშხანით 1500 მეტრამდე მერყეობს. თავად შაკო მას საკუთარი მოდელებისათვის, TRG-ს სერიის შაშხანებისათვის იყენებს. Sako TRG-ს გამოჩენამ უამრავი სპორტსმენის, მონადირისა თუ მოყვარულის გულები დაიპყრო. მალევე მოხდა ქყვენების მიერ მათი სხვადასხვა სამხედრო და პოლიციური ქვედანაყოფებისათვის შესყიდვები. დრო და დრო უფრო იხვეწებოდა და უმჯობესდებოდა მოდელის დიზაინი და ეფექტური სროლის სიშორე. დღესდღეობით იარაღს საქართველოშიც კარგად იცნობენ და ის ქართველი მონადირეების მფლობელობაშიც გვხვდება

სკანდინავიური ქვეყნების პოლიციურ დაჯგუფებებში ყველაზე მოთხოვნადი და პოპულარულია კომპანიის მიერ შექმნილი სპეციფიკური ვაზნაა 9 მმ Para KPO. 1993 წელს ფინელმა მეიარაღეებმა დაგროვილი გამოცდილების ხარჯზე შექმნეს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ვერსია მათ მიერვე წარმოებული იარაღებიდან-Sako-75.

დღესდღეობით „საკოს“ საწარმო მთლიანად კომპიუტერიზირებულია. პროდუქციის დამზადება CNC მანქანების მეშვეობით, მაქსიმალური სიზუსტისა და კანონზომიე-



დასაპატარავებელია ან შესაცვლელი

www.caravani.ge

რებების დაცვით ხორციელდება. მიუხედავად ამისა ადამიანი მაინც შეუცვლელია გარკვეულ საქმეში. ლულების დამზადების პროცედურების დასრულების შემდგომ ქარხნის ყველაზე გამოცდილი ოსტატები თვალით ამოწმებენ ლულებს და მათი დასტურის შემთხვევაში ხორციელდება პროდუქციის ექსპლოტაცია. ზოგიერთ იარაღზე მოხატვაც აგრეთვე ხელით ხორციელდება და მანქანა-დანადგარების ჩარევის გარეშე შესრულებული სამუშაო ბევრად უფრო ძვირადაც ფასობს. „Sako“ და „Tika“ XXI საუკუნის დასაწყისისათვის ბერეტას ჯგუფს – Beretta Holding-ს შეუერთდნენ. მათი მხრიდან იტალიელთა გუნდში განხორციელებული გაწევრიანება ძალიან ჭკვიანური გადაწყვეტილება და წინ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ ფინური კომპანიებისათვის ეკონომიური თვალსაზრისით. ამის შემდგომ აშკარად შეიმჩნეოდა გაყიდვების რაოდენობის მატება. გაიზარდა კომპანიის კაპიტალი და მოიმატა მათმა აქციების ფასმაც. თუმცა დადებითთან ერთად გარკვეულ წილად პრობლემებმაც იჩინეს თავი, რომლებიც იოლად აღმოფხვრადი აღმოჩნდა.

ბოლო ათწლეულში კომპანიამ ბევრი ახალი მოდელი შემატა ბაზარს. ჩინებული გამოუვიდათ და უაღრესად სასიამოვნო სახმარია მათი კლასიკური მოდელი Sako-85. იარაღი იმდენად დაიხვეწა და განვითარდა რომ დღესდღეობით მისი ექვსი ზომის სისტემური კოლოფი-საკეტი-მექანიზმის ბუდე იწარმოება შესაბამის მექანიზმებითურთ. დიდი პოპულარობა მოიპოვა 2012 წელს გამოსულმა ახალმა მოდელმა სახელწოდებით Sako A-7. მცირეკალიბრიანი ვერსიებში ტოლი არავის დაუდო ფინურმა კომპანიამ და უნივერსალური კომბინირებული, ოთხლულიანი (ცვლადი ლულებით) შაშხანა აწარმოა. Sako Quad-ს კომპლექტაციაში ერთი პერიოდი „ბურისის“ ოპტიკური სამიზნეც მოყვებოდა, რომელსაც ზედა დოლურაზე ოთხი ფერის აღმნიშვნელი რგოლი აქვს გაკეთებული, რომელიც ლულის სავაზნესთან განთავსებული რგოლების – ფერების იდენტურია. აღნიშნული გარემოება კონსტრუქტორებმა იმისათვის შექმნეს, რომ გასწორების შემდეგ ლულის შეცვლის შემთხვევაში ერთი და იგივე ოპტიკა გამოვიყენოთ იარაღისათვის და ნიშნულის ერთი მოძრაობით, იოლად მოვიყვანოთ სამიზნე ბადე სასურველ, მართებულ პოზიციაში.

ჩვენ კომპანია „ქარავანი+“-ის სახელით, 2010 წლიდან, ვცდილობდით ფინური კომპანიის მმართველებთან სამომავლო, პარტნიორული ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებას. საბოლოოდ ხანგრძლივმა შეხვედრებმა და გამოფენაზე გამართულმა მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღო და საქართველოში აღნიშნული შაშხანების ხილვა ქართველ მოყვარულ თუ პროფესიონალ მონადირეებსა და სპორტსმენებს ქვეყანაში უკვე შეუძლიათ.



SAKO M10 338 Lapua Magnum

2011 წელი Sako-თვის საიუბილეო თარიღი იყო და კომპანია 90 წლისთავს ზეიმობდა. როგორც წესი, ამ დროს ქარხანაში იგება ხოლმე იარაღები შეზღუდული რაოდენობით და გამოფენაზე წარდგენის შემდგომ იყიდება. ერთ-ერთი ასეთი შაშხანა Sako-85 XL 90 Limited Anniversary ფინელმა მეიარაღეებმა IWA-2011-ის აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს. იარაღი სულ 10 ერთეული დამზადდა. მათგან ერთ-ერთი, მე-3 ნომრიანი საგამოფენო კომპლექსში, Sako-Tika-ს დახლზე იყო წარმოდგენილი. შაშხანის საკეტი მექანიზმი სტანდარტულად Sako-85-ის იყო. მისი კალიბრი გახლდათ 1994 წელს შექმნილი 11,6 მილიმეტრიანი 450 Rigby-ის ვაზნა. აფრიკაში ნადირობისას მიღებული გამოცდილების შედეგად და გარკვეული დაბრკოლებების გამო 11,6x95,3 მილიმეტრიანი ყალიბი სპეციალურად სპილოების მოსანადირებლად შექმნეს. აღნიშნული ვაზნით იარაღები ერთი წლით გვიან, 1995-ში გამოჩნდა ბაზარზე.

ზემოთხსნებული შაშხანის გასროლისას საწყისი სიჩქარე შეადგენს 725 მ/წმ-ს. ენერგია კი ტყვიას უზარმაზარი აქვს და ის 8.525 ჯოულს აღემატება. ლულის სიგრძე 62 სანტიმეტრია, ხოლო მთლიანი სიგრძე 115 სმ. თუ მის მსხვილ ყალიბს გავითვალისწინებთ, 4,5 კილოგრამი მისთვის უცნაურად ნამდვილად არ უნდა მოგვეჩვენოს. მჭიდის ტევადოვა 4 ვაზნაა. მეხუთე კი შესაძლოა სავაზნეში/ლულაში განვათავსოთ. იარაღს ზემოდან აუცილებლად საუკეთესო ოპტიკური სამიზნე უნდა ჰქონოდა დამაგრებული. ეს გარემოება არც მის შემქმნელებს დაუტოვებიათ გულგრილად და მასზე ავსტრიული, უნიკალური ლინზების მქონე.

ტყეში, სარეკში სანადიროდ ან უბრალოდ მოძრავ სამიზნეზე სასროლად კომპანია „Sako“ არაჩვეულებრივ მოდელს, Sako 85 Bavarian-ს აწარმოებს. მისი იმპორტი საქართველოში თავად ფირმის წარმოადგენლების რჩევით განხორციელდა. მათივე რჩევით მოხდა ყალიბისა და მოდელის სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების შერჩევა. კომპანია „ქარავანი+“-ის მიერ შაკო-ს იარაღების იმპორტის შემდგომ აშკარა გახდა რომ ნახევრად ავტომატური შაშხანა არაა ერთადერთი ლიდერი მსავსი ტიპის ნადირობისათვის. თუ ცილინდრული, მექანიკური საკეტით დაკომპლექტებული ვერსია აღჭურვილია შესაბამისი ლულითა და მისი ტექნიკური მახასიათებლები თუ აგებულება მართებულად-მიზანმიმართულადაა ჩამოყალიბებული კონრეტული ტიპის ნადირობისათვის, იდეალურადაა მისი ექსპლოტაცია შესაძლებელი რთულად გასავლელ ტყეში, თუნდაც მოძრავ ცხოველზე სასროლად.

Sako 85 Bavarian-ი დაკომპლექტებული იყო 9,3x62 მმ ყალიბით. იარაღს რომ თავი გავანებოთ, უკვე თავად ვაზნა ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო და ეფექტურ ვერსიად ტყეში ღორზე და დათვზე სანადიროდ. კომპანია

www.caravani.ge



Sako-85 XL 90 Limited Anniversary



SAKO – 85 Bavarian კალ. 9,3x62mm



SAKO – 85 Finnlight კალ. 308Winchester

მწარმოებელი:	SAKO Limited; ფინეთი	SAKO Limited; ფინეთი
მოდელი:	SAKO – 85 Bavarian	SAKO – 85 Finnlight
ყალიბი:	9,3x62 მმ	.308 Winchester (7,62x51 მმ)
ლულის სიგრძე: (მმ)	510	515
მთლიანი სიგრძე: (სმ)	1085	1030
წონა: (გრ)	3200	2590
სასხლეტზე ზემოქმედების ძალა:	1-დან 2 კგ-მდე	1-დან 2 კგ-მდე
ეფექტური სროლის მანძილი:	300-400 მეტრი	500 მეტრი
მიახლოებითი ფასი ევროპაში:	2450 EU	2200 EU

„Sako“-ს რეკომენდაციით აღნიშნული მოდელისათვის იდეალურია თავისივე წარმოების ვაზნის ორი განსხვავებული მოდელი. ესენია 18,5 გრამიანი 9,3x62 Hammerhead და 16,2 გრამიანი 9,3x62 Powerhead. ორივე მათგანი იდეალურად ასრულებს თავისზე დაკისრებულ მოვალეობას. თავად ბატონმა იოახიმ ფაზერმა კი უპირატესობა მაინც Powerhead –ის მოდელს მიანიჭა, რადგანაც ვაზნა ერთდროულად ენერგიასაც და სიზუსტეაც საკმაოდ შედეგიანად ინარჩუნებს გარკვეულ დისტანციებზე.

51 სანტიმეტრიან, ცივად ნაჭედ ლულაზე იარაღს გაკეთებული ჰქონდა ღია ხედვის სამიზნე მოწყობილობა. ის თავისუფალი რხევის ზონაში იმყოფება, როგორც „საკო“-ს ყველა სხვა მოდელის შემთხვევაშია. აღნიშნული სიგრძის ლულა, როგორც უკვე ვთქვით, ძალზედ მოსახერხებელი სახმარია ტყეში ნადირობისას. ხოლო მასზე განთავსებული სამიზნე მოწყობილობა თავად ქარხნის მიერ იყო რეკომენდირებული და იგივე ფასი ღირდა, რაც იარაღი მის გარეშე. აღსანიშნავია, რომ სხვა მოდელებზე ანალოგიური ფასდაკლება არ ვრცელდება და ღია სამიზნით დაკომპლექტებული მოდელები უფრო ძვირი ღირს, ვიდრე იარაღების მის გარეშე.

ძალზედ საინტერესოა Bavarian-ის სასხლეტის მოდიფიკაცია. ის სერიულად აღჭურვილია ეგრეთწოდებული „დამაჩქარებელით“ (Set Trigger). ეს გახლავთ სასხლტის დამატებითი ფუნქცია, რომელიც მსროლელს ეხმარება ჩვეულებრივზე შედარებით, უფრო ზუსტი სროლის წარმოებაში. გადატენვის შემდგომ სასხლეტს ვწვეთ წინ. როდესაც ის ამ პოზიციაში იმყოფება, მასზე თითის გამოკვრისას ფაქტიურად არავითარი ძალაა არაა საჭირო და ოდნავ შეხებაც საკმარისია გასროლის საწარმოებლად. აღსანიშნავია რომ ამგვარი ფუნქციით დატვირთული „Sako“-ს ყველა დანარჩენი მოდელი, აღნიშნული ფუნქციის არ მქონე იარაღებზე ძვირია ხოლმე. სწორედ ეს ფაქტი მეტყველებს რომ Bavarian-ის მოდელით კომპანია რეკომენდაციის სახით ურჩევს მყიდველებს მის გამოყენებას ღორზე სანადიროდ, ტყეში. ჩვენს ქვეყანაში კი სწორედ ზემოთხსენებული ტიპის ნადირობა გახლავთ ყველაზე პოპულარული და ამავდროულად ელიტარული.

უჟანგი, ლეგირებული ფოლადისაგან დამზადებულ საკეტს თავზე 3 წახნაგი-ჩამკეტი კბილი აქვს გაკეთებული. მექანიზმის გამოღებისას აშკარად ჩანს მათი განთავსების მართებული, ძალზედ ჭკვიანური პერიმეტრი. ეს გახლავთ ერთ-ერთი ფაქტორი რითიც Sako-ს შაშხანების განსხვავდება Tika-ს შაშხანებისაგან. გაღება დაკეტვისას უმალვე იგრძნობს თუნდაც გამოუცდელი მონადირე, თუ რა პრაქტიკულადაა საკეტის სახელური-მამოძრავებელი ბერკეტი აგებული და რაოდენ იოლად და სწრაფად ხორციელდება საკეტის წრფივად მოძრაობა. აღსანიშნავია, რომ როდესაც შაშხანას გადავტენით, საკეტის თავში, მისი ქუდის ქვედა ბოლოში განთავსებულია გამაფრთხილებელი წითელი ფერის ღილაკი, რომელიც მსროლელს მიანიშნებს რომ იარაღი მზადაა სროლის საწარმოებლად.

სერიულად, საკეტის გაღებისას იარაღი ავტომატურად არ დგება დაცვაზე. ეს დადებითი ფაქტორია ყოველი მეორე ვაზნის სწრაფად გასასროლად. სასხლეტის დამცველი ღილაკი განთავსებულია სისტემური კოლოფის უკანა, მარჯვენა გვერდზე. იქვეა გაკეთებული მისი რბილი დამშვები, რომელიც მსროლელს საშუალებას აძლევს უხმაუროდ შეასრულოს საცეცხლე პოზიციაში იარაღის მოყვანა – დაცვიდან მოხსნა.



SAKO-ს მიერ წრმოებული ვაზნები, მოდელი SAKO Hammerhead
მარცხნიდან: 9,3x62mm და .308 Win



SAKO-85 Bavarian-ის ღია ხედვის წინა სამიზნე



SAKO-85-ს საკეტი 3 ჩამკეტი კბილით



SAKO-85-ის უმარტივესი სასხლეტი მექანიზმი

დამცემ-სასხლეტი მექანიზმის არასრული დაშლა ძალიან იოლად ხორციელდება. კონდახის შუა პერიმეტრში და სასხლეტის ბუდის თავში გაკეთებული ორი ჭანჭიკის მოშვებით კონდახი მთლიანად ძვრება იარაღს და სააშკაროზე გამოდის მთლიანი სისტემა. გამოღებისას მექანიზმის სიმარტივიდან, დახვეწილი ნამუშევრიდან თუ ზოგადად აგებულებიდან გამომდინარე ნათელი ხდება რომ SAKO მართლაც Merkel-ის Blaser– ისა და Sauer– ის დონის შაშხანებს აწარმოებს. აღსანიშნავია, რომ სწორედ იარაღის კონდახის მოძრობის-დაშლის შემდგომ ხორციელდება სასხლეტზე ზემმოქმედი ძალის რეგულირება სპეციალურად ამისათვის არსებული ჭანჭიკის დატრიალების მეშვეობით.

Sako-85 Bavarian-ის კონდახი სპეციალური, საკმაოდ მაღალი ხარისხის ზეთითაა დამუშავებული. ის ძალზედ პრაქტიკული მოსახმარია და ამავდროულად მომხიბლავად გამოიყურება კონდახის მარცხენა მხარეს არსებული სალოყე ბალიში, რომელსაც ტრადიციული, ბავარიული ფორმა აქვს ოსტატების მიერ მიცემული. მას გერმანელები „deutsche Backe“-ს უწოდებენ.

Sako-85-ის მფლობელი მჭიდის დაკარგვაზეც დაზღვეულია. იარაღის ქვედა მხარეს, მჭიდის ხუფის ბოლოში განთავსებულია დამჭერი – გამომღები ღილაკი. თუმცა მხოლოდ მასზე ზემოქმედება არაფერს გვაძლევს. აუცილებელია თავად მჭიდს დავაწვეთ და ოდნავ შიგნით შევწიოთ, რათა შემდგომ ღილაკის უკან მოწევით შესაძლებელი გახდეს მჭიდის გამოღება.

საქართველოში იმპორტირებული შაშხანებიდან საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა დაახლოებით იმავე დანიშნულების მქონე, გარკვეულწილად Bavarian-ის მსგავსმა მოდელმა, სახელწოდებით SAKO-85 Finnlight-მა. იარაღი ანალოგიური, მოკლე ლულით არის დაკომპლექტებული. თუმცა ლულას ღია სამიზნე მოწყობილობა არ აქვს გაკეთებული და ისვრის .308 Winchester-ის ვაზნებს. მთავარი განსხვავება კონდახი გახლდათ, რომელიც საკმაოდ რბილი და სასიამოვნო სახმარი, პოლიმერის მასალისაგან იყო დამზადებული. მისით აღჭურვილი შაშხანა 515 მილიმეტრიანი ლულით სულ რაღაც 2590 გრამს იწონის. ამას ემატება ის ფაქტორიც რომ Finnlight-ს საკონდახე მასალა ბევრად უფრო საიმედო და გამძლეა წყლიან, ტალახიან და ზოგადად ექსტრმალურ პირობებში ვიდრე ჩვეულებრივი SAKO-85 Syntetic Stainless-ის კონდახი. როგორც კომპანიის თანამშრომლებმა გაგვიმარტეს, მისი ყიდვის შემთხვევაში მფლობელი ერთდროულად ხდება სამი სხვადასხვა დანიშნულების მქონე შაშხანის მფლობელი.

პირველი ფაქტორი მისი წონიდან გამომდინარეობს. იარაღი ძალზედ მსუბუქია და ადვილი სატარებელია ჯიხვზე, არჩვზე, ნიამორზე, ჯიქზე და სხვა ამგვარ, მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხეში არსებულ სანადირო მეურნეობებში თუ უბრალოდ მთებში მობინადრე ცხოველებზე ნადირობისას, მაშინ როდესაც მონადირეს უხდება დიდხანს სიარული ექსტრემალურ, რთულად გადასალახავ პირობებში. ამასთანავე .308 Winchester-ის ვაზნებით აღჭრუვილი Sako-85 Finnlight თავისი სიზუსტითა და ზოგადადაც დადებითი ბალისტიკური მაჩვენებლების ხარჯზე უკმაყოფილოს ნამდვილად არ დატოვებს ნებისმიერი კატეგორიის მსროლელს. ზუსტი სროლის საწარმოებლად თავად კომპანია საკოს ვაზნის რამოდენიმე განსხვავებული, სანადირო თავიანი ვერსია იწარმოება. ერთ-ერთი მათგანი გათვალისწინებულია სავარჯიშოდ და სხვებთან შედარებით ბევრად ზუსტი და თან იაფია. სწორედ ეს გახლავთ მეორე დანიშნულება, რისთვისაც ეს იარაღი შეიძლება გამოვიყენოთ. მსროლელს, იქნება ეს სპორტსმენი თუ უბრალოდ მონადირე, თუ აქვს სურვილი ივარჯიშო, იგი იარაღის შეძენის შემთხვევაში ხდება არაჩვეულებრივი ხარისხის მქონე შაშხანის მფლობელი, რომლის ყალიბიც ფასიდან და სიზუსტიდან გამომდინარე მას საშუალებას აძლევს ბევრი ვაზნა შეიძინოს და ეფექტურადაც განახორციელოს თითოეული გასროლა. მესამე ფაქტორი, რა დანიშნულებისამებრაც იარაღის გამოყენებაა ფინელი სპეციალისტების მიერ რეკომენდირებული, გახლავთ ტყეში, სარეკში მოძრავ ცხოველზე ნადირობა. ამ შემთხვევაში, მის შესახებაც იგივე რეკომენდაციას იძლევიან ფინელები, რაც „ბავარიანის“ მოდელის შემთხვევაში გვხვდება. საკმაოდ მოკლე და მოხერხებული, 515 მილიმეტრიანი სიგრძის ლულა საშუალებას იძლევა ტყეში მონადირე იოლად გადაადგილდეს და სწრაფი მანევრის საშულებით შაშხანა სტანდარტულზე მალე დაუმიზნოს მსხვერპლს. თავად sakos წარმომადგენლები ამგვარი ტიპის ნადირობისათის თავისი წარმოებული ვაზნებიდან SAKO .308 Winchester HAMMERHEAD-ის მოდელს გვირჩევენ 13 გრამიანი (200 გრეინი)

თავით. ამგვარი ტყვიით ბევრად იოლია ღორის ან თუნდაც ოდნავ უფრო მოზრდილი ცხოველის შეჩერება, ვიდრე სტანდარტული, შედარებით მსუბუქი, მაგრამ ზუსტი მოდელებით. შესაბამისად მონადირეებიც სწორედ მის ეფექტურობას უფრო ანიჭებენ ხოლმე უპირატესობას ტყეში ნადირობისას.

ჩვენს ქვეყანაში არსებული სიტუაციის მიხედვით და ფინელი მეგობრების მიერ მოწოდებული რჩევების საუძველზე სწორედ ზემოთ განხილული ორი შაშხანაა ერთერთი საუკეთესო, უნივერსალური სახმარი ჩვენში მობინადრე ცხოველებზე სანადიროდ. ეს გახლდათ მიზეზი კონკრეტული მოდელების ჩვენს წიგნში წარმოდგენისა.

ფინური მწარმოებელი „Tika LTD“ თავად „Sako“-ზე ძველი კომპანიაა. ის ჯერ კიდევ 1893 წელს დაარსდა ქალაქ საკარში, მისი ფინური სრულყოფილი სახელწოდება გახლდათ Tikkakoski O/Y. თავდაპირველად ქარხანაში ხდებოდა მხოლოდ მანქანებისა და შესაბამისი მოტორების აგება, 1918 წლამდე, სანამ ფინელები გამათავისუფლებელ ომს არ დაიწყებდნენ რუსეთის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ფაქტიურად შეჩერდა სამოქალაქო – არა სამხედრო დანიშნულების პროდუქციის დამზადება და ქარხანაში მომუშავე პერსონალის მთელი ყურადღება იარაღების წარმოებაზე იქნა გადატანილი. უკვე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კომპანიას უამრავი Suomi-konepistooli-ის, ანუ „ფინური-ავტომატი“-ის მოდელები ჰქონდათ დამზადებული. 1945 წლის შემდეგ ფირმამ დინჯი სვლით განაგრძო საქმიანობა და ცოტა ხანში პროფილი საერთოდ შეიცვალა. მათ საკერავი მანქანებისა და მტვერსასრუტების წარმოება დაიწყეს. 1965 წლიდან კვლავ განახლდა იარაღების წარმოება და ძირითადი მიმართულება გახლდათ არა საბრძოლო, არამედ სანადირო შაშხანების დამზადება. ამ პერიოდისათვის უკვე მიხვდნენ ფინელები



SAKO-85 BAVARIAN-s სპეციფიკური მოყვანილობის კონდახი გერმანული ტიპის სალოყე ბალიშით, რომელსაც ტრადიციულად თავად გერმანელებიც Deutsche Backe-ს(დოიჩე ბაქე) უწოდებენ



აღნიშნულ ღილაკზე ხელის დაჭერით თავისუფლდება საკეტი და შესაძლებელი ხდება მისი შაშხანიდან მოხსნა

რომ ამ ბიზნესს მათთვის დიდი მოგება შეეძლო მოეტანა. წარმოების დაწყებისას მზადდებოდა როგორც სანადირო, ცილინდრულ საკეტიანი შაშხანები, აგრეთვე გლუვლულიანი თოფები. მათი ძირითადი ნაწილი გადიოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპორტზე. 1983 წელს მოხდა კომპანიის შეერთება მეორე, უფრო მძლავრ ფინურ იარაღების მწარმოებელ „Sako“-სთან. შესაბამისად სახელწოდებაც გაერთიანდა და „Sako-Tikka“-თი შეიცვალა. Tikka-ს იარაღების დამზადება კი მას შემდეგ სრულად საკოს ქარხანაში, რიიჰიმაკიში ხორციელდება. არაოფიციალური წყაროებიდან, ჭორის სახით შევიტყვეთ ინფორმაცია, რომ ზემოთხსენებული ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ ორივე ფირმის აქციების სამართავი, მთავარი პაკეტი, გიგანტმა ფინურმა ჯგუფმა, „NOKIA-KONZERN“-მა შეისყიდა.

დღესდღეობით კომპანია სერიულად მხოლოდ Tikka T3-ების



SAKO-85 Finnlight-ის საკონდახე მასალა სხვა ძაან მაღალი ხარისხისაა, თუნდაც თავად ფინელი მწარმოებლის მიერ წარმოდგენილი ხელოვნურ კონდახებთან შედარებისას



კონდახის ტარის ყელში განტასებული მსგავსი ლოგო SAKO-ს თითქმის ყველა შაშხანას ამშვენებს



ლულისა და სისტემური კოლოფის მოხსნა კონდახიდან ორი, საკმაოდ მძლავრი ჭანჭიკის მოშვებით ხორციელდება, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს SAKO-ს სიმარტივეს



SAKO-ს ნებისმიერი შაშხანა გამოირჩევა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო დამუშავებითა და საფარით

წარმოებას ახორციელებს. თუმცა მანამადე ის Tikka Master-ის განსხვავებულ ვერსიებს ამზადებდა, რომლებიც ძალზედ პოპულარული და გაყიდვადი იყო მისი ხელმისაწვდომი, დაბალი ფასისა და ფასთან მიმართებაში აშკარად დამაკმაყოფილებელი ხარისხის ურთიერთშეთანხმებიდან გამომდინარე.

ბოლო წლებში ზემოთხსენებულ ორიგინალურ, საიუბილეო Sako-85-თან ერთად კომპანიას სხვა სიახლეებიც ჰქონდა გამოფენებზე წარმოდგენილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამჯერად Tikka T-3-ები მთლიანად საკოს ქარხანაში მზადდება და ფაქტიურად იგივე ხარისხის მაჩვენებელია, რაც აღნიშნული კომპანიის მიერ დამზადებული იარაღები. მათგან ყველაზე პოპულარული სპროტსმენებსა და ტაქტიკური სროლის მოყვარულებში გახლავთ ვარმინტისა და სუპერ ვარმინტის მოდელები. Tikka-მ კი ამ დარგის მიმდევართათვის სიახლე შემოიტანა ბაზარზე და შექმნა ახალი მოდელი Tikka T3 Sporter. წრფივად მოძრავ საკეტიანი სპორტული შაშხანა ფერებში სიმბოლურად, კომპანიის ლოგოს წააგავს და „ნაცრისფერ-ფოლადისფერი“ კონდახით არის დაკომპლექტებული. მისი დიზაინი რადიკალურად განსხვავდება ტრადიციული, სანადირო კლასიკური ტიპის შაშხანებისაგან. იარაღს ნახევრად ტაქტიკური ფორმის კონდახზე განთავსებული სალოყე ბალიში და მხარზე საყრდენი რეგულირებადი აქვს და მისი მსროლელის სურვილისამებრ კონკრეტულ ზომაზე მორგება მარტივადაა შესაძლებელი. ყველაზე საინტერესო კომპონენტი გახლავთ მაყუჩი, რომელიც თანამედროვე დიზაინისაა და თანამედროვე მეთოდოლოგიის მიხედვით,უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებითაა შექმნილი. ორიგინალური ფორმის მაყუჩის პირველი მეორედი ბოლოზე უფრო თხელია. როგორც კომპანიის წარმომადგენლებმა განგვიმარტეს, იარაღის აღნიშნული დეტალი თავისზე დაკისრებულ მოვალეობას ბევრ სხვა, შედარებით მოძველებული პრინციპებით აგებულ მაყუჩზე კარგად ასრულებს.



შაშხანას ლულის ბოლოში ჰქონდა ხრახნი, რომელზეც მაყუჩის მოხსნის შემთხვევაში, ლულის დიამეტრის ტოლი ლეგირებული ფოლადის დეტალი უყენდებოდა და მისი ამ ვითარებაში ხმარებაც შესაძლებელი იყო. თავად იარაღის ლულა ორი განსხვავებული ზომის, 51 და 60 სმ-იანი იწარმოება და ორივე შემთხვევაში საკმაოდ სქელია. წესით ასეც უნდა იყოს ამგვარი ტიპის იარაღზე. T3 Sporter-ის წონა მოკლე ლულის შემთხვევაში შეადგენს 4,1 კილოგრამს, ხოლო გრძელი ლულის შემთხვევაში 4,4 კილოგრამს. იარაღი მისი პროფილიდან გამომდინარე მხოლოდ და მხოლოდ სტანდარტული ზომის ყალიბით იწარმოება. ესენია 222 Rem, 223 Rem, 6.5x55 SE, 260 Rem da 308 Win. ეს უკანასკნელი ჩამოთვლილი კალიბრებიდან ყველაზე მძლავრია და ამასთანავე მისი გამოყენება – ეფექტური და ზუსტი გასროლა მათგან ყველაზე შორ დისტანციებზე ხორციელდება. ეფექტური სროლის მანძილი Tikka T3 Sporter-308 Win-60cm-ის შეადგენს 700 მეტრს. თუმცაღა გარკვეულ შეჯიბრებებზე სპორტსმენები 1000 მეტრამდეც ისვრიან ხოლმე ამგვარი ტიპისა და ყალიბის მქონე შაშხანებს. 1 კილომეტრზე კი მიზნის მიღწევა და სასურველი შედეგების მიღება ზემოთხსენებული იარაღით დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. T3 – Sporter-ის სასხლეტი მექანიზმი ერთსაფეხურიანია და მასზე თითის გამოკვრისას ზემოქმედების ძალა შეადგენს 1-2 კილოგრამს. იარაღის მჭიდში 5 ან 6 ვაზნა ეტევა. შაშხანას სტანდარტული T3-ვით 2 წახნაგიანი, ცილინდრული საკეტი აქვს და მისი გახსნის კუთხე 70°-ს შეადგენს. ზემოდან გაკეთებულ პიკატინის ხიდზე იარაღს ზოგიერთ გამოფენებზე „სვაროსვკის“ შორსმხედველი ოფტიკური სამიზნე ჰქონდა განთავსებული, ზოგჯერ კი „ბერეტას“ ჯგუფის წერვის, კომპანია Burris –ის ოფტიკა. მიზანში სროლის მოყვარულები და პროფესიონალი სპორტსმენები მისთვის ალბათ უფრო Schmidt-Bender-ისა და Carl Zeiss-ის ოფტიკურ სამიზნეებს არჩევენ, რაც გამოფენაზეც დადასტურდა და არა ერთხელ აღინიშნა ბევრი მეიარაღის მიერ. იარაღის მიახლოებითი ფასი ევროპაში 2000



Tikka T3 Sporter კალ. 308 Winchester

ევროა. საქართველოშიც ბრენდის ოფიციალური წარმომადგენელი კომპანია „ქარავანი+“-ის სახით ცდილობს სამშობლოშიც მიახლოებით იგივე ფასად გაყიდოს აღნიშნული იარაღი. შესაბამისად ჩვენში მისი ღირებულება 4500 ლარის ფარგლებში მერყეობს. ზუსტი გასაყიდი ფასი კი დამოკიდებულია ტრანსპორტირებასა და იმ დროინდელ ვალუტის კურსზე, რასაც ვერც თავად ფინელი მწარმოებელი და ვერც ქართველი დილერი ვერ გაითვალისწინებენ წინასწარ.

შაშხანამ გამოჩენისთანავე მიიპყრო ყურადღება და უამრავი სპორტსმენი და მონადირე დაინტერესდა მისით. მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ საქართველოშიც არ იქნებოდა ურიგო. მითუმეტეს თუ ამ სპორტს საფუძველი ჩაეყრება და განვითარების გზას დაადგება. თუმცაღა Tikka T3 Sporter-ით ნადირობაც არ იქნება ცუდი და არაეფექტური, მიუხედავად მისი წონისა. მიტუმეტეს ქართველი მონადირეების ფონზე, რომლებიც ძირითად შემთხვევებში რუსულ СКС-ისა და სხვა, იმავე ქვეყნის წარმოებულ 4-4,5-კილოგრამიან შაშხანებს დაატარებენ.

ჩვენ ქვეყანაში განხორციელებული იმპორტის შემდგომ Tikka-ს ბრენდის ერთ-ერთი საუკეთესო ვერსიით დავინტერესდით. ეს გახლდათ შორ დისტანციებზე გამოყენებადი, „ზუსტმსროლელი“ მოდელი Tikka T3 Tactical, რომელიც .308 Winchester.-ის ვაზნებს ისროდა. აღნიშნული ყალიბი (7,62x51 მმ) მისთვის სპეციალურად შეირჩა. პირველ რიგში ვაზნას ახასიათებს მაღალი სიზუსტე და ამასთანავე ეფექტურობა 500 მეტრიდან 1000 მეტრ დისტანციაზე სროლისას. რა თქმა უნდა ყოველივე დამოკიდებულია იარაღზე, რომელიც ჩვენ შემთხვევაში ნამდვილად შესაბამისი იყო. ამავდროულად ემატება ის ფაქტორიც, რომ ვაზნის ფასი, სხვა ზუსტ მოდელებთან შედარებით იაფია. მაგალითის სახით Sako-ს .308 Winchester (Hammerhead-13gr.)-ის ვაზნები 4,5 ლარი ღირს. მაშინ როდესაც .300 Winchester Magnum-ის ფასი 7-დან 8 ლარამდე მერყეობს. მესამე ფაქტორი, რის გამოც იარაღის იმპორტი განხორციელდა, გახლდათ ვაზნის პოპულარობა და შოვნადობა საქართველოში. ანუ, იმის გარდა რომ ბევრი სამხედრო ტიპის იარაღებია დამზადებული ზემოთხსენებულ ვაზნაზე და შესაბამისად ძალიან ბევრიც იცნობს მას, ამავდროულად მისი ყიდვა და მოძიება საქართველოში სხვა ყალიბებთან შედარებით ბევრად მარტივი და ხელმისაწვდომია.

შაშხანა შავი ფერის, საკმაოდ ხარისხიანი სინთეტიკური მასალის კონდახით იყო აღჭურვილი. ის შექმნილ იქნა ბოჭკოვანი მინის, წყალგამძლე კოპოლიმერისა და პოლიპროპილენის ნაერთებისაგან. შესაბამისად მაქსიმალურად მყარია თითქმის ნებისმიერ ექსტრემალურ პირობებშიც კი. მხარზე საყრდენ ბალიშსა და კონდახს შუა ჩამაგრებული ფირფიტები საშუალებას იძლევა დავარეგულიროდ იარაღის სიგრძე და უკეთ მოვირგოთ მხარზე. კონდახის ზემოდან განთავსებული იყო რეგულირებადი სალოყე ბალიში, რომლის მოძრაობაც მარჯვენა მხარეს არსებული მასიური ჭანჭიკის მეშვეობით ხორციელდებოდა და მხოლოდ ვერტიკალურად იყო შესაძლებელი.

იარაღის მჭიდში ექვსი (5+1) ერთეული .308 Winchester-ის ვაზნა ეტევა. ის „საკოსაგან“ განსხვავებით არა ფოლადის, არამედ სრულად მყარი პოლიმერის მასალისაგან შედგება. ეს გარემოება გარკვეულწილად დადებითად აისახება მის მომავალ ექსპლოტაციაზე. მსგავსი მასალისაგან გაკეთებული მჭიდი საკმარისად მყარია, არ იჟანგება და რაც მთავარია რკინაზე მსუბუქია. მისი გამოღება ხორციელდება მჭიდის ბუდის წინა ბოლოში არსებული ღილაკის უკან მოწევით.

შაშხანის ცილინდრული საკეტი წრფივად მოძრავი მექანიზმის პრინციპზეა აგებული. მის თავზე ორი მასიური წახნაგია გაკეთებუ-



ლი. T3 Tactical სხვა, დანარჩენი „ტიკებისაგან“ განსხვავებით შავი ფერის, ეგრეთწოდებული „ტეფლონის“ საფარიანი „ბოლტი“-ით არის აღჭურვილი და სხვებზე ბევრად უფრო დიდი და მასიური საკეტის სახელური, იგივე მამოძრავებელი ბერკეტი უყენია. ის გაღება-დაკეტვისას უხეშად რომ ვთქვათ, „კარაქივით“ სრიალებს და მისი მოძრაობა გარკვეულ სიამოვნებასაც კი ანიჭებს მსროლელს. საკეტი მექანიზმი უჟანგი ფოლადისაგან არის დამზადებული. მისი დაშლა და ნემსის ზამბარითურთ გასუფთავება ძალზედ მარტივად ხორციელდება.

სისტემური კოლოფის თავზე დამაგრებულია არა სერიულად Tikka-ს სპეციფიკური ტიპის სამიზნე ხიდი, არამედ პიკატინის ტიპის ჭრილებიანი ვერსია. მასზე შესაძლებელია თითქმის ნებისმიერი სახის სამიზნე მოწყობილობის დამაგრება. ჩვენ ზემოდან მას გერმანული ოპტიკა, Bauer 2,5-10x50 SL დავუყენეთ. შესაძლოა ამ მოდელით სრულყოფილად ვერ გამოგვეყენებინა შაშხანის შესაძლებლობები, მაგრამ იმ კონკრეტულ დისტანციებზე, სადაც იარაღით ეფექტური გასროლის წარმოებაა შესაძლებელი, გერმანული ოპტიკა სრულიად აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნებს. აგრეთვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზემოთხსენებული ბრენდი ახორციელებდა ათწლეულების მანძილზე ყველასათვის კარგად ცნობილი, Leica-ს პროდუქციის გაყიდვებს.

70 წლოვანმა კომპანიამ ბოლოს გადაწყვიტა თავად, ცალკე ბრენდად ჩამოყალიბებულიყო და აგერ უკვე წლებია წარმატებულად ახორციელებს კარიერულ წინსვლას. უნდა

www.caravani.ge



მწარმოებელი:	SAKO Limited
მოდელი:	Tikka T3 Tactical
ყალიბი:	.308 Winchester (7,62x51 mm)
ლული სიგრძე: (სმ)	60
მთლიანი სიგრძე: (სმ)	111
წონა: (კგ)	3,7
მჭიდის ტევადობა:	5+1 ვაზნა
სავარაუდო ფასი ევროპაში:	2100 EU







აღინიშნოს რომ ფასთან მიმართებაში T3 Tactical-ის შერჩეული Bauer-ის ოფტიკა ევროპული, მაღალი კლასის კრიტერიუმებს სრულიად აკმაყოფილებს და ამავდროულად ფასი მათთან შედარებით ბევრად დაბალი აქვს. მისი ღირებულება უტოლდება ზოგიერთი ამერიკული, მასიური წარმოების ოპტიკური სამზინეების ფასს, რომელთაც ხარისხობრივად რა თქმა უნდა გერმანული ბრენდი ბევრად აღემატება.

ლულა ცივად ჭედვის მეთოდითაა დამზადებული. მისი ზედაპირი სხვა „ტიკას“ მოდელებისაგან განსხვავებული კოროზიისა და ჟანგსაწინააღმდეგო, მძლავრი და სპეციფიკური საშუალებებითაა დაფარული. ხრახნის ბრუნის (ბიჯის) სიგრძე .308 Winchester-ის შემთხვევაში (11“) 27,9 სანტიმეტრია. თავად ლულის სიგრძე 60 სანტიმეტრს შეადგენს. სანათურის პერიმეტრში გაკეთებულია ხრახნი ალმაქრი – კომპენსატორისა ან მაყუჩის დასამაგრებლად.

ფინეთმა მე-20 საუკუნეში უამრავ ჭირ-ვარამს გაუძლო და ბევრი ტრაგედია გადაიტანა. სახელმწიფომ დაკარგა დიდი ტერიტორიები. დღევანდელი ვითარება და ცხოვრების დონე ქვეყანაში იმ რთულ პერიოდებთან შედარებით ბევრად გაუმჯობესებულია. ქვეყნის იარაღთმშენებლობა განვითარების გზაზე დგას, საკმაოდ ძლიერია და მსოფლიო მაშტაბით ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება. ის არაფრით ჩამოუვარდება ევროპის სხვა განვითარებულ ქვეყნებს. Sako-თან და Tikka-თან ერთად ქვეყანაში ფუნქციონირებს მსოფლიო დონის ქარხანა სახელწოდებით Lapua LTD, რომელიც მხოლოდ ტყვია-წამალს ამზადებს. აგრეთვე აღსანიშნავია რომ მიუხედავად პროგრესისა აღნიშნულ დარგში, ფინელებს აგრესია საერთოდ არ გასჩენიათ სხვა ქვეყნებისადმი და იარაღის განვითარებასთან ერთად დისციპლინირებული, მართებული ნადირობაც უკვე ძალიან დიდი ხანია ისწავლეს. რა თქმა უნდა ამას ხელი შეუწყო პირველ რიგში სანადირო კულტურამ, რომელიც უფრო დაიხვეწა და განვითარდა. ეს ფაქტი ჩვენთვისაც და არა მარტო ჩვენთვის მისაბაძი მაგალითია. ამ სფეროში დასაქმებული ქართველების ურთიერთობა ფინურ კომპანიებთან იძლევა სანადირო და სპორტული ხელოვნების წინსვლისა და განვითარების კარგ შესაძლებლობებს.



იჟევკის მიერ წარმოებული ნახევრადავტომატური შაშხანები გამოირჩევა დაბალი ფასითა და ფასთან მიმართებაში სტაბილური, ექსტრემალურ პირობებში უტყუარი მუშაობით

რუსეთში, იჟის ტბის სანაპიროს სიახლოვეს 1807 წელს იარაღთმშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. ნაპოლეონის ომის პერიდში, მეფე ალექსანდრე I-ის მიერ დაარსებული მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე აიგო „იჟევსკის მანქანათმშენებელი ქარხანა“. საწარმოს შექმნა დაევალა ინჟინერს ალექსანდრე დერიაბინს, რომელმაც თავისზე დაკისრებული მოვალეობა საკმაოდ კარგად შეასრულა. იმავე წელს უკვე წარმოებულ იქნა პირველი გლუვლულიანი იარაღი „ნომერი-15“-ყალიბით 17,7 მმ.

მას შემდგომ ეს საწარმოც და ტერიტორიაც, „ტულასთან“ ერთად, ითვლება რუსეთის მეიარაღეთა ცენტრად და მთავარ ხერხემლად სახელმწიფოსათვის იარაღების დამზადების საკითხში. ქარხანა დღესდღეობით ამარაგებს არა მარტო რუსეთის მთავრობას, არამედ უამრავ სხვა ქვეყნებს საბრძოლო იარაღით. ხორციელდება სანადირო, ცივილური ბაზრისთვის განკუთვნილი პროდუქციის საგრძნობლად დიდი რაოდენობით წარმოებაც.

სწორედ ზემოთხსენებულ ქარხანაში მოხდა ოდესღაც მილიონობით „მოსინის“ შაშხანების დამზადება. მოგვიანებით კი მიხეილ კალაშნიკოვისა და ევგენი დრაგუნოვის იარაღების აგება და მათი შემდგომი განვითარება.

1998 წლის 17 სექტემბერს „იჟევსკის მანქანათმშენებელი ქარხნის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა „იჟმაჟ-კონცერნი“ (Концерн Ижмаш), რომელიც დღემდე ახორციელებს ცივილური იარაღების წარმოებას სანადირო და თავდაცვით დანიშნულებისამებრ. კომპანიას უამრავი პარტნიორი ჰყავს და საერთაშორისო გამოფენების მეშვეობით ახორციელებს პროდუქციის ექსპორტს ორმოცდაათამდე ქვეყანაში. საკმაოდ დაბალი ფასისა (რაც ყველაზე მეტად იზიდავს საზოგადოებას) და სტაბილურად ფუნქციონირების გამო ძალიან ბევრი დილერი ახორციელებს აღნიშნული კონცერნის მიერ წარმოებული იარაღების იმპორტს სამშობლოში.

გლუვლულიანი იარაღი „საიგა“ მზადდება ავტომატ კალაშნიკოვის ბაზაზე სანადირო დანიშნულებით. იწარმოება მისი რამოდენიმე განსხვავებული მოდიფიკაცია ყალიბებით 12, 20 და 410. იარაღის სისტემა ფუნქციონირებს გასროლის შედეგად გამოყოფილი გაზებისა და დამაბრუნებელი ზამბარის ხარჯზე. თითოეულ მათგანს სანათურში უმაგრდება ჩოკები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ფრინველსა თუ ნადირზე შედარებით



Kalashnikoc Koncern-ის მიერ წარმოდგენილი ნახევრადავტმატური შაშხანები ძვირფასი კაკლის მასალითა და სერიულთან შედარებით უკეთესი ფოლადის საფარით

უკეთესი ბალისტიკური შედეგების მიღება, ვიდრე ფიქსირებული ჩოკით, რომლის სანათურიდან მოხსნაც შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული, ფუტურისტული დიზაინის მქონე თოფები სანადირო დანიშნულებით ნაკლებად გამოიყენება და მათით უფრო „კალაშნიკოვის“ მოტრფიალე პიროვნებები ან უბრალოდ არაკლასიკური, თავდაცვითი იარაღის მოყვარულები აკეთებენ არჩევანს. ზოგადად იარაღი კარგი ვაზნის გამოყენების შემთხვევაში კარგად ფუნქციონირებს. თუმცა საკმარისია ვანზა რომელიმე კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებდეს, რომელიც გათვალისწინებულია თოფისათვის, რომ იარაღი ვეღარ განახორციელებს გამართულად გასროლასა და გადატენვას.

ხრახნლულიანი ნახევრადავტომატური შაშხანა „საიგა“ თავისთავად აგებულია ძმობილი გლუვლულიანივით კალაშნიკოვის ავტომატის ბაზაზე. ძალიან ბევრი რუსი, ევროპელი თუ ამერიკელი მეიარაღე იძლევა მასზე რეკომენდაციას, რამეთუ ის ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მარტივ, ეფექტურ, იაფ და უტყუარ იარაღად როგორც ნადირობისას ისე თავდაცვის დროს. ამასთან ყველაზე მეტად გასათვალისწინებელია მისი დაბალი ფასი, რომელიც ანალოგიურ სტაბილურ შაშხანებთან შედარებით თითქმის მათ ნახევარს ან უფრო ნაკლებს უდრის. იარაღი აირებით მტენი სისტემითაა აღჭურვილი. ამჟამად იწარმოება „საიგის“ უამრავი განსხვავებული მოდიფიკაცია და შესაბამისად შაშხანას ამზადებენ რამოდენიმე განსხვავებულ ვაზნებზე. ესენია: 7,62x39 მმ, .223 Rem (5.56ხ45 მმ), 5,45x39 მმ, .308 Winchester (7,62x51 მმ), .243 Winchester (6,2x51 მმ), 30-06 (7,62x63 მმ), 9x53R, და 5,6 მმ-22L.r.

ნახევრადავტომატურ შაშხანებთან ერთად „იჟმაჟის კონცერნი“ მექანიკურად მტენ იარაღებსაც ამზადებს ცილინდრული ტიპის საკეტი მექანიზმით. წრფივად მოძრავი საკეტებითაა აღჭურვილი მოდელები Рекорд (7,62x54R, .308 Winchester da .338 Lapua Magnum), Барс (.223 Remington, 7,62x39-მმ და 5,6x39 მმ), Лось (.308 Winchester, 30-06 Sprg. da 9,3x64) და СМ-2КО (5,6მმ-22L.r.).

შეზღუდული რაოდენობით იწარმოება იარაღები სახელწოდებით Волк, Изюбр, და Медведь-4. ამათთაგან პირველი Волк, კომბინირებული, გადასახსნელ ლულებიანი იარაღია, ერთი გლუვი (12/76) და ერთიც ხრახნიანი (9,3x64 მმ) ლულით. სერიულ ვერსიებთან შედარებით მისი სტრუქტურული აგებულება და დამუშავების ხარისხიც აშკარად უფრო უკეთესია. ნახევრადავტომატუ-

მწარმოებელი:	იჟევსკის მანქანათმშენებელი ქარხანა				
მოდელი:	SVD	Tigr 308	Tigr 762	Tigr 9	Tigr 30-06
ყალიბი:	7,62 x 54 R	.308 Win.	7,62x54R	9,3 x 64 მმ	30-06 Sprg.
სისტემა:	აირებით მტენი სისტემა საკეტის მბრუნავი თავით				
მჭიდის ტევადობა:	10	.2/10	.2/10	.2/5	.2/5
ლულის სიგრძე: (მმ)	615	565/620	565/620	565/620	565/620
მთლიანი სიგრძე: (მმ)	1220	1100/1165	1100/1200	1100/1200	1115/1120/1175
სამიზნეთაშორისი მანძილი: (მმ)	585	485/550	585	585	580
წონა: (გრ.)	4550 (ოპტიკ. ერთად)	3900	4150	4250 (ოპტიკ. გარეშე)	3900
მიხალოებითი ფასი ევროპაში:	2000 – 2300 EU.	1400 EU	1500 EU	2300 EU	1400 EU





SVD-ს ტიპიური ალმაქრი კომპენსატორი

რი შაშხანა Изюбр ამერიკულ Remington 7400-ს მოგვაგონებს. მისი სისტემური კოლოფი გრავირებებშია ჩასმული. რუსული იარაღის კვალობაზე შაშხანა საკმაოდ ხარისხიანადაა აგებული და დიზაინიც ჯდება, უხეშად რომ ვთქვათ „საერთაშორისო გემოვნების“ ფარგლებში. მისი ყალიბია 7,62 მმ. Медведь-4-იც ნახევრადავტომატური შაშხანა გახლავთ იმავე ვაზნებზე, შედარებით სახეშევიცილი დაზიანითა და სისტემით.

კომპანიის მიერ წარმოებული იარაღებიდან ყველაზე მეტად საინტერესო გახლავთ ზუსტმსროლელი სნაიპერული შაშხანა – СВД (Снайперская винтовка Драгунова) და ცივილური ვერსია „ტიგრი“ – Тигр. დაინტერესებული საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი აღნიშნული შაშხანის სახელი. მას განსაკუთრებით კარგად იცნობენ ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებში. წარმოების პირველ ათწლედში აღნიშნული მოდელი მართლაც ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ვერსიად მსოფლიოში. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ძალიან დიდი ხანი ის რჩებოდა არა მარტო რუსი, არამედ ნებისმიერი სხვა ეროვნების სნაიპერის ერთ-ერთ საყვარელ იარაღად. თუმცა გარკვეული პერიოდის შემდგომ წარმოებულ იქნა მასზე ბევრად უფრო კარგი და მეტი ეფექტის მომცემი შაშხანები. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის დღემდე სხვადასხვა ქვეყნის არმიის შეიარაღებაშია და თავად რუსეთიც გარკვეულწილად წარმატებულად იყენებს ზოსტმსროლელ ნახევრადავტომატურ „დრაგუნოვს“.

ნეტავ ვინმეს თუ ესმის კონკრეტულ საკითხში ხელისუფლების და პოლიტიკოსების: ერთის მხრივ ისინი უჩივიან უმუშევრობას და კანონის მაქსიმალური გამოყენებითა თუ სხვა მეთოდებით ცდილობენ გადასახადების აკრეფას. მეორეს მხრივ კი თითქმის მთლიან ნაშოვნ ფულს „გაშლილი ხელებით“ ფანჯრიდან ყრიან. სწორედ ამგვარი შინაარსის ტექსტი აქვს გერმანელ მეიარაღესა და ჟურნალისტს, ბატონ ფრანკ ვაიზერტს თავის წიგნში „ნახევრადავტომატები“ მოყვანილი. ამ ფრაზის თვალსაჩინო მაგალითი გახლდათ სწორედ რუსული სნაიპერული შაშხანა SVD, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (DDR-Deutschen Demokratischen Republik) ნაციონალურმა არმიამ აითვისა. კონრეტულ იარაღებში ფულის დახარჯვისა და შეიარაღებაში მიღებიდან დიდი ხნის გასვლის შემდგომ, 1989 წლის გადატრიალებისას „ბუნდეს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელმა პირებმა ათასობით ავტომატის ჩამოწერა განახორციელეს და თავიდან გადახდილთან შედარებით ბერად უფრო ნაკლები მილიონით შეავსეს ქვეყნის ბიუჯეტი. მოსახლეობა, კერძოდ კი სპორტული სროლის მოყვარულები და მონადირეები წესით და რიგით გახარებულები უნდა ყოფილიყვნენ, მთავრობას SVD-ები კომპანია WBK-სთვის რეალურ, დაბალ ფასად რომ მიეყიდა. მაგრამ მიუხედავად უფასო NVA-ს მასალისა ქურთ – თურქებზე მილიარდობით მარკის ოდენობის პროდუქციის მიყიდვისას გარკვეული წნეხის ქვეშ იმყობებოდნენ ესა თუ ის მხარეები. ამ ყოველივემ გამოიწვია გერმანიაში SVD-ს ფასის გაზრდა და იარაღის დეფიციტი, რომელიც დღემდე გრძელდება.

სწორედ ამგვარი გადაწყვეტილებების მომხრე არ არის ბევრი გერმანელი მეიარაღე. თუმცა არავინ იცის რა უფრო სწორია. აღნიშნულ ქვეყანაში იარაღთმშენებლობისათვის თავისუფალი გზის მიცემა და ამგვარი შაშხანების მოსახლეობისათვის იოლი ხელმისაწვდომობა თუ პირიქით, ერთ დროს მსოფლიოს დაპყრობის სურვილით გამსჭვალული ერისათვის გარკვეული შეზღუდვების დაწესება და განხორციელება. ალბათ ამ საკითხზე ბევრი ფიქრობდა და შეესაბამისად ღებულობდნენ შემდგომ გადაწყვეტილებებს. ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ მიუხედევად ამა თუ იმ დაწესებული აკრძალვებისა, გერმანელებმა მაინც მოახერხეს SVD-ზე კარგი, ანალოგიური დანიშნულების მქონე არაერთი შაშხანის შექმნა. ამჟამად ევროპაში, კერძოდ კი ავსტრიასა და გერმანიაში „დრაგუნოვის“ პოვნა რთულად, იშვიათ „ჰენდლერებთანაა“ შესაძლებელი. მათი ფასი ძირითადათ 2000 ევროს ფარგლებში მერყეობს. ამ ფასში შედის ქარხნული ოფტიკური სამზინე PSO-1 და სხვა აქსესუარები.

თვითმტენი იარაღის ორიენტირი გახლდათ თანამემამულე „კალაშნიკოვის“ ავტომატი. სწორედ მის პრინციპებზეა სნაიპერული შაშხანის მბრუნავ თავიანი საკეტი სისტემა დაფუძნებული. მოდელი აგებულ იქნა ევგენი ფეოდოროვიჩ დრაგუნოვის მიერ 1958 წელს, ძველი რუსული ყალიბის, 7,62x54 R-ის მიხედვით იჟევსკის იარაღების ქარხანაში. მას მანამდე შეიარაღებაში მყოფი Mosin – Nagant M1891/30 და Tokarv SWT 40 უნდა შეეცვალა. 1963 წელს მოხდა საბჭოთა კავშირის მიერ წითელი არმიის შეიარაღებაში კონკრეტული მოდელის მიღება. ამჟამად მისი ცივილური ვერსიები სხვა ყალიბებითაც იწარმოება.

შაშხანის მონითალო-მოყავისფრო



SVD ნახევრადავტომატური შაშხანა კალ. 7.62X54mm ჩეხეთში წარმებული რეტრო სტილის ნახევრადავტომატურ Works ZS-თან კალ. 7,62x39mm ერთად



SVD-ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა, რომელსაც თავად მისი შემქნელები უწევენ რეკომენდაციას. თუმცაღა დრესდღეობით მასზე ბევრად უკეთესი ოფტიკური სამიზნის გამოყენება შეიძლება აღნიშნული იარაღისათვის



SVD-ს სალოყე ბალიშ

ხის კონდახი ამოღებული გულით ჩარჩოს – ჩონჩხს მოგვაგონებს. თუმცა, როგორც ხშირად ხდება, საგამოფენო ვერსიები საკმაოდ კარგადაა ხოლმე დამუშავებული. მას ზემოდან დამაგრებული აქვს სალოყე ბალიში, რათა მსროლელისათვის უფრო კომფორტული და იოლი გახდეს საკმაოდ უხეშად აგებული კონდახის გამოყენებით ზუსტი და ეფექტური გასროლის წარმოება.

ოფტიკური სამიზნის სამაგრი ჭრილები შაშხანას რკინის სისტემური კოლოფის მარცხენა მხარეს აქვს განთავსებული. მასზე ორიგინალი, დღესდღეობით უკვე არც თუ ისე ეფექტური, PSO-1-ის გარდა შესაძლებელია სპეციალური სამიზნე ხიდის გამოყენებით ნებისმიერი სხვა ოპტიკის დამაგრება. ბევრი მეიარაღისა და პროფესიონალის აზრით, განსაკუთრებით რუსეთში, იარაღის ეფექტური სროლის მანძილი შეადგენს 800 მეტრს. მაგრამ ეს რეალური ნამდვილად არაა. მითუმეტეს დღევანდელი გადასახედიდან, როცა უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა მიზანში სროლა. პირობითად „ეფექტური სროლის“ მანძილი, რაც ადრე აღიქმებოდა ეფექტურად, დღეს უკვე არაეფექტურია და მსროლელებიც და სპეციალისტებიც უფრო მეტს მოითხოვენ. ამასთანავე საქართველოში დაგროვილი გამოცდილების ხარჯზე და ევროპელი პარტნიორებისა თუ მეგობარი, პროფესიონალი მეიარაღეების ინფორმაციაზე დაყრდნობით იარაღიდან რეალურად 400-დან 500 მეტრამდე ეფექტური გასროლის წარმოებაა შესაძლებელი. ანუ გასროლის წარმოება, რომელიც ყოველგვარი დამატებითი ჩარევის გარეშე, სწრაფი და იოლი დამიზნების ხარჯზე მოხვდება მაქსიმალური გარანტიით მიზანს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შაშხანას არც თუ ისე კარგი სტრუქტურის მქონე ფოლადის ლულა აქვს და მისი მეორედ გასროლის შემთხვევაში ყურადღებაა საჭირო. თუ მსროლელს სურს რომ პირველი გასროლისას მიღებულ შედეგს გაუტოლდეს მეორედ ან მესამედ ნასროლი ვაზნის ბალისტიკური შედეგი, აუცილებელია გასროლიდან 40-50 წამი დაიცადოს იარაღს, რათა მოხდეს ლულის გაცივება. 100 მეტრ დისტანციაზე 5 გასროლის შედეგად საუკეთესო მაჩვენებლების სახით მივიღეთ „გაფანტვის წრეები“ 30 მილიმეტრიანი დაშორებით. ამგვარი ბალისტიკის მისაღებად თოთოეული გასროლის შემდგომ აუცილებელი იყო საკმაოდ ვრცელი პაუზის გაკეთება. ხოლო ამუნიციად გამოყენებულ იქნა საკმაოდ ზუსტი ვაზნები, რომელთა ტყვიის თავის წონა შეადგენდა 147 გრეინს (9,5 გრამი). შედარებით მძიმე და სტანდარტული ვაზნების გასროლის შემთხვევაში სულ სხვა სურათის მომსწრენი ვხდებით. გასროლის შედეგად მიღებული გაფანტვის წრეთა შორისი დაშორება 70-80 მილიმეტრია. ხოლო სწრაფად გასროლის შემთხვევაში ლულა საგრძნობლად მალე და ძლიერად ცხელდება. შეაბამისად გაფანტვის წრეები იწყებენ უკვე „მოგზაურობას“ და ზოგჯერ დაზიანებული ადგილის პოვნა შეუძლებელია.

SVD-ს წონის განაწილება – ბალანსი სროლისას ფაქტიურად არ შეიმჩნევა და იარაღი საკმაოდ ტლანქად ურტყავს მხარში. კონსტრუქტორებმა მისი აგებისას AK-ს სისტემისაგან განსხვავებული ვერსია წარმოადგინეს. ზუმბა (რუს.-დგუში) ცალკე კომპონენტად არის გაკეთებული და გამოყოფილია საკეტის მამოძრავებელისაგან. როგორც „ტოკარევის“ სიტემებში გვხვდება, ის მაშინ ეჯახება მამოძრავებელს, როდესაც მოემართება უკან. ამ გარემოების გამო ზოგიერთი მას „ტოკარევისა“ და „კალაშნიკოვის“ ნაზავ ვერსიასაც უწოდებს.

ცივილური ვერსიის შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინარმოება Tigr-ის განსხვავებული მოდელები განსხვავებული ყალიბებით. რუსეთის ბაზარზე ყველაზე პოპულარი და გავრცელებული ვერსია აღჭურვილია ყალიბით 7,62x54 R. საკმაოდ წარმატებულად ხორციელდება .308 Winchester-ის, 30-06-ისა და 9,3x64 მმ-იანი ვაზნებზე დამზადებული მოდელების გაყიდვებიც. სამხედრო ვერსიისაგან განსხვავებით „იჟმაშის კონცერსნის“ მიერ ხორციელდება სხვადასხვა სიგრძის, დიზაინისა და კონდახის მქონე მოდელების დამზადება.

სროლისას მისი მაღალი წონა და ზუსტად თვალის ხედვის არეალის სიგრძივ არსებული ეფექტური დიზაინის მქონე ლულა ერთობლიობაში იწვევს სროლისას განსაკუთრებულ, გარკვეულწილად სასიამოვნო შეგრძნებას, რომელიც ბევრს მოწონს და ეს ალბათ მოსაწონიც არის. რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, Tigr-საც SVD-სავით არ გააჩნია სასხლეტზე გამოკვრისას ნათლად დეფინირებული წერტილი, როდესაც უნდა განხორციელდეს დამცემ დამრტყმელი მექანიზმის ამოქმედება და გასროლის წარმოება

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
კარგი და ზუსტი ბალისტიკური შედეგები სროლის დინჯად და აუჩქარებლად წარმოებისას	კონდახი ოდნავ მოკლეა
სროლისას იწვევს სასიამოვნო შეგრძნებებს	მთლიანობაში ძაან გრძელია
უნივერსარულობა	ლულა ცხელდება ძალიან მალე
არასერიული ნაწარმი	
ხელით შესრულებული გრავირება	

იჟევსკის მექანიკური ქარხანა

1942 წლის 20 ივლისს „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის“ გადაწყვეტილების შედეგად ფუნქციონირება დიწყო „იჟევსკის მექანიკურმა ქარხანამ“ – Ижевский механический завод – Baikal. მას უნდა განეხორციელებინა მთავრობისათვის საბრძოლო იარაღის მზადება. თუმცა მოგვიანებით წარმოებაში გაეშვა ცივილური ვერსიებიც. კომპანია ძალიან ბევრს ერევა უკვე განხილულ „იჟმაჟის კონცერნში“, რომელიც ცალკე ფირმად – მწარმოებლად გვევლინება. ომის პერიოდში ქვეყანას აშკარად ჰქონდა კრიზისული მდგომარეობა და გერმანიის ჯარის ტულის მიდამოებში მიახლობის გამო შეიქმნა აუცილებლობა ახალი იარაღების საწარმოს აგებისა, რაც განხორციელდა კიდეც. „ბაიკალის“ ქარხანაში ომის მიმდინარეობისას დამზადებულ იქნა დაახლოებით მილიონნახევრამდე ფისტოლეტი და რევოლვერი.

ამჟამად ქარხანაში იარაღის გარდა ხორციელდება ბევრი რადიკალურად განსხვავებული დანიშნულების მქონე პროდუქციის წარმოება. რაც შეეხება იარაღს, „ბაიკალის“ ქარხანა ძირითადათ დაკავებულია საშუალო კლასის სანადირო ვერსიების დამზადებით, რომლის წარმოებაც დაახლოებით 1949 წლისათვის დაიწყო. გარკვეულწილად ხორციელება თავდაცვითი და სპორტული მოდელების აგებაც. ბოლო წლებში ძალიან პოპულარული გახდა მაღალ-მხატვრულად გაფორმებული, საიუბილეო ვერსიების აგება „ბაიკალის“ კონსტრუქტორთა ჯგუფის მიერ.

რუსეთის არსებობის ისტორიაში ალბათ ყოველთვის ხორციელდებოდა ამა თუ იმ პროდუქციის პირდაპირ ან შემოვლითი გზებით საქართველოში იმპორტი ან პირიქით, საქართველოდან ექსპორტი. შესაბამისად ახლაც ხორციელდება მათ მიერ დამზადებული იარაღების საქართველოში შემოტანა და გაყიდვა. რა თქმა უნდა ძირითადი აქცენტი გაკეთებულია გლუვლულიან ვერსიებზე. ეს განპირობებულია დაბალი ფასიდან გამომდინარე. ხარისხობრივი თვალსაზრისით კი „ბაიკალის“ თოფები შეიძლება ითქვას რომ სავსებით აკმაყოფილებენ მის ამჟამინდელ გასაყიდ ფასს. ისიც შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ბაზარზე მასზე უკეთესი ვერსიების ყიდვა ანალოგიურ ფასში ძალიან რთულია, ბევრისათვის კი საერთოდ შეუძლებელია. დღეს დღეობით ხშირია მეზობელი თურქეთის მიერ წარმოებული ორლულიანი და ნახევრად ავტომატური თოფების საქართველოში შემოტანა და გაყიდვა. ძალიან ბევრმა დამწყებმა თუ მოყვარულმა მონადირემ ან უბრალოდ მყიდველმა არ იცის თუ რასთან აქვს საქმე და არჩევანს აკეთებს არა რუსულ თოფზე ან თუნდაც შედარებით მაღალი ხარისხის თურქულ ვერსიაზე, არამედ იმ მოდელზე, რომელიც მას ვიზუალურად უფრო კარგად ეჩვენება და გარედან დამუშავებული ზედაპირის ნახვის შემდგომ „ჰგონია“ რომ ყველაფერი კარგადაა შესრულებული. სწორედ ამიტომ ხდება იარაღის მალე მწყობრიდან გამოსვლისა და ალუმინის მექანიზმის (სისტემური კოლოფის) ან კონდახის დაზიანების ფაქტები. განსაკუთრებულად ხშირია ორლულიანი თურქული თოფების დეფექტები ან საკმაოდ მცირეხნიანი მუშაობის შედეგად გამოწვეული დაზიანებები. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, თითქმის ყველა „ბაიკალის“ ორლულიანი მოდელის ტოლი ღირებულების თურქული ორლულიანი თოფის სისტემური კოლოფი და ჩარჩო მთლიანად აგებულია მყარი ალუმინისაგან. თანაც ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა იმ ტექნოლოგიებსა და მასალაზე, რასაც „ბენელი“ ან თუნდაც „ბრაუნინგი“ იყენებენ, არამედ გაცილებით უფრო ცოტა გამოცდილებისა და ნაკლებად განვითარებული დაზგა-დანადგარებით აღჭურვილ თურქულ მწარმოებლებზე, რომელთაც არ შესწევთ შესაბამისი ძალა, აწარმოონ იმაზე კარგი იარაღი, რასაც ამჟამად აწარმოებენ. რუსული, „ბაიკალისა“ თუ სხვა ქარხნის მიერ აგებული ორლულიანი თოფი, ძალიან იშვიათი გამონაკლისების გარდა, მზადდება ბევრად უფრო მყარად, უტყუარად და სტაბილურად. რაც მთავარია მათი სისტემური კოლოფები დამზადებულია რკინისაგან და არა ერგალისაგან – მყარი ალუმინისაგან. შესაძლოა „იჟევსკის“ ოსტატების მიერ აგებული იარაღის ზედაპირული მოპირკეთების ხარისხი არ იყოს მოსაწონი, ან კონდახის აგებულება, ხესა და რკინას შორისი გადასაველები არ იყოს შესაბამისად გაკეთებული, ან როგორც ხშირ შემთხვევებში გვხვდება, სტანდარტულზე მძიმე გამოდგეს ესა თუ ის იარაღი. მიუხედავად ამისა ისინი ისვრიან და ფუნქციონირებენ ნებისმიერ კრიტიკულ პირობებში სტაბილურად და არც ბალისტიკურ შედეგებსა თუ დამუშავების ხარისხს ემდურიან ყიდვისას კარგად არჩევის შემთხვევაში. ზემოთხსენებული ინფორმაცია რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს, რომ თურქეთს ცუდი იარაღების წარმოება აქვს და მათ მიერ შექმნილი მოდელები უხარისხოა. მათ აქვთ რამოდენიმე ისეთი ბრენდი, რომლის შეძენის შემთხვევაში მყიდველი მოგებული რჩება და ხდება საკმაოდ კარგი იარაღის მფლობელი. მაგრამ ამ ვითარებაშიც მათი ფასიც ოდნავ მაღალია რუსულ, სტანდარტულ ორლულიანებთან შედარებით. აგრეთვე აუცილებელია ვიცოდეთ, ან ყიდვისას დახმარება ვთხოვოთ პროფესიონალებს. ამ წიგნის არსი იმაშიც მდგომარეობს რომ შეძლებისდაგვარად ქართველ მონადირეებსა თუ უბრალოდ იარაღების მოყვარულებს მივაწოდოთ მართებული ინფორმაცია საქართველოს ბაზარზე გაყიდვაში არსებული იარაღების შესახებ.



Baikal-ის ნახევრადავტომატრული თოფის MP-153-ის არასერიული, ხელნაკეთი ვერსიები



ზემოდან: Baikal MP-153 კალ. 12 და Stoeger M2000 კალ. 12

„ბაიკალის“ მოდელებიდან ჩვენს ქვეყანაში ყველაზე გაყიდვადი და პოპულარულია MP-153-MP-155. ამჟამად იარაღის რამოდენიმე განსხვავებული მოდიფიკაცია იწარმოება. მზადდება როგორც ხის კონდახით აღჭურვილი ვერსიები, ისე სინთეტიკური მასალის გამოყენებით აგებული კონდახებითა და ტიბჟირებით დაკომპლექტებული თოფები. ზოგიერთი მათგანის ლულა ისვრის ეგრეთწოდებულ მაგნუმის ვაზნებს (12/76), ხოლო ზოგიერთი მაქსი მაგნუმის (სუპერ მაგნუმის – 12/89) ლულებითაა აღჭურვილი. საქართველოში მას ბევრი კონკურენტი არ ჰყავს. რამოდენიმე თურქული ფირმა აწარმოებს მხოლოდ მსგავსი კლასის თოფებს, რომელთაგანაც ალბათ საუკეთესო Beretta Group-ის წევრი Stoeger-ი გახლავთ. მიუხედავად გარკვეული უპირატესობებისა თურქულ ნახევრად ავტომატთან მიმართებაში MP153-ს მაინც ენიჭება გარკვეული თვალსაზრისით უფრო უკეთესი თოფის სტატუსი. ის უფრო სტაბილური და უტყუარია. ხოლო ქართველი მონადირისათვის და არა მარტო ჩვენთვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება უტყუარ, ექსტრემალურ პირობებში გამართულ ფუნქციონირებას. მითუმეტეს როდესაც მონადირე არჩევანს აკეთებს ამ თოფზე, მისთვის ვიზუალური მხარე და დამუშავების ხარისხი ნაკლებად მნიშვნელოვანია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც „სტოგერია“ ოდნავ უფრო კარგი ბალისტიკური შედეგებით გამოირჩევა და დამუშავების ხარისხიც შედარებით უფრო დახვეწილია.

წიგნში წარმოგიდგენთ ზემოთხსენებული ორი ნახევრადავტომატური თოფების, Stoeger M2000 Syntetic-ისა და MP-153 Syntetic-ის შედარებას. განსახილველად სპეციალურად ხელოვნური მასალისაგან დამზადებული კონდახებით აღჭურვილი მოდელები შეირჩა. ორივე მათგანის მაგნუმის (12/76) ლულის სიგრძე 71 სანტიმეტრი იყო, რომელიც ზოგადადაც და ჩვენს ქვეყანაშიც სტანდარტულ ვერსიად ითვლება. ამასთანავე არც „სტოგერის“ ახალ 3500 მოდელისა და MP-153-ის შედარებით გრძელ სავაზნიან ვერსიებზეა დიდი მოთხოვნა საქართველოში. ვინაიდან აღნიშნულსა და განხილვად მოდელებს შორის ძირითადი სხვაობა სავაზნის სიგრძეა (76 მმ-ის ნაცვლად 89 მმ). ჩვენთან კი ეგრეთწოდებულ „სუპერ მაგნუმის“ ვაზნებს არც ფასის გამო ჰყავს ბევრი მომხმარებელი და არც განსაკუთრებულად ინფორმირებულია მონადირეთა დიდი ნაწილი მისი არსებობის შესახებ.

MP-153-ის ლულა საკმაოდ მაღალი სიმტკიცის, კარგად ლეგირებული ფოლადის შემადგენლობისაა. თუმცა ნამდვილად ემჩნევა რუსების, უხეშად რომ ვთქვათ „ნაჯახით ნათალი“ ხელი. მისი გარე ზედაპირი დატალღულია, რაც ჰორიზონტალურად დაჭერისა და ცალი თვალით სიგრძივ გახედვის შემთხვევაში კარგად შეიმჩნევა. შიდა ზედაპირი გარესაგან განსხვავებით რა თქმა უნდა ბევრად კარგადაა დამუშავებული და შესაბამისად ბალისტიკური მონაცემებიც შეძლებისდაგვარად შეესება-



მსუბუქ წონიანი (24, 28, 30,,, გრ. საფანტის შემცველობის) ვაზნის გასროლის შემთხვევაში ცილინდრულ კოლოფში არსებული რკალისებრი ჭანჭიკი უნდა დავატრიალოთ ზევით, ისრის მიმართულებით Light loads. ხოლო შედარებით მძიმე წონიანი ვაზნის გასროლის შემთხვევაში აღნიშნულ დეტალს ვაბრუნებთ ქვემოთ, ისრის მიმართულებით Heavy loads









ზემოდან: MP-153-ის ლულა და Stoeger M2000-ს ლულა



MP-153-ის საკეტი მექანიზმი



Stoegar M-2000-ის საკეტი მექანიზმი

მა მსოფლიო სტანდარტებს. თოფს სამი ერთეული ცვლადი, ფოლადის საფანტზე გათვლილი ჩოკი მოყვება 0.25 (გაუმჯობესებული ცილინდრი) 0.5 (ნახევრად ჩოკი) და 1.0 (სრული ჩოკი) შევიწროებებით. თურქულ მოდელს კი 5 განსხვავებული ვერსია ახლავს 0-დან 1.0-მდე. აღნიშნული გარემოება ძალიან ბევრ მონადირეს არ მოსწონს გარკვეული მიზეზების გამო. ბევრი მათგანი თვლის რომ ჩოკი მალე ფუჭდებადია და განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს. სინამდვილეში კი ეს არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. უბრალოდ აუცილებელია თოფის ყიდვის შემთხვევაში კარგად დავაკვირდეთ ჩოკების ჩახრახვნისას მათ კონუსურ გადასვლას ლულაზე. ანუ წრე, რომელსაც თვალით ვხედავთ ჩოკსა და ლულას შორის, გადასვლის თითოეულ წერტილში მაქსიმალურად ტოლი სისქის უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს რომ ჩოკი სწორედ იქნება ჩახრახნილი და არა დამრეცად. შესაბამისად სროლისას მასში ჭუჭყი არ ჩავა და არც ჩოკს შეექმნება პრობლემა.

აგრეთვე გასათვალისწინებელია ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტი. გარკვეული რაოდენობის ვაზნის გასროლისას, ლულასთან ერთად უნდა მოიხსნას და გაიწმინოდს ჩოკებიც. ამ მოქმედების ჩატარება აუცილებელია არა მარტო რუსული ვერსიის შემთხვევაში, არამედ ზოგადად, ნებისმიერი სხვა თოფის ხმარებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ჩოკების შიგნით, ანუ ლულასა და ჩოკებს შორის დაგროვდეს ჭუჭყი, რომელიც გამოიწვევს მის გაჭედვას. შედარებით მეტად დაბინძურების შემთხვევაში დიდი შანსია რომ მისი მოხსნა საერთოდ შეუძლებელი გახდეს.

არსებობს მონადირეთა მხრიდან ხშირად ჩვეული ჩოკის თუ ლულის გახეთქვის ან გაბერვის შესახებ. ამის ერთ-ერთი მიზეზია არამიზანმიმართულად, შეუმჩნეველად, ლულაში შემთხვევით ჩავარდნილი ნაგავი, ტოტის ნატეხი, ქვა, კენჭი ან მსგავსი რამ, რომელიც იწვევს გასროლისას ლულის ერთ კონკრეტულ წერტილში გადიდებას ან ლულის კედლის გახეთქვას.

არის შემთხვევები, როდესაც თავად მონადირეები – თოფის მფლობელები გაწმენდისა და დამაგრების შემდგომ ბოლომდე, კარგად არ ხრახნიან და არ უჭერენ ჩოკს ლულაში, რის შედეგადაც შესაძლებელია იგივე, ზემოთხსენებული დაზიანებები მიიღოს ლულამ. ეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი თითოეული მონადირისათვის საყურადღებო და გასათვალისწინებელია. არ აქვს მნიშვნელობა არის თუ არა ის რუსული MP-153-ისა თუ ბელგიური Browning Fusion Evolve II -ის მფლობელი.

გარედან შედარებით კარგად არის „სტოგერის“ ლულა დამუშავებული. განხილვად, Benelli M1-Super 90-ის ანალოგ თურქულ ვერსიას „ბაიკალისაგან“ განსხვავებით ლულის გარე საფარად აქვს არაპრიალი ქრომი გაკეთებული. თამასის ბოლოში კი საექსპორტო MP-153 -ით ტრიტიუმის სამიზნე ბურთულა აქვს დამაგრებული. ვიზუალურად ხვრელში გახედვისასაც აღინიშნება ოდნავ უფრო უკეთესი დამუშავება რუსულ ვერსიასთან შედარებით. მაგრამ რაც მთავარია, მიუხედავად იმისა, რომ „სტოგერი“ გახლავთ ნახევრადავტომატურ თოფებში ერთ-ერთი საუკეთესო თურქული ვერსიებიდან, „ბაიკალის“ თვითმტენს საგრძნობლად მაინც ვერ ჯობნის. კონკრეტულ დისტანციებზე გასროლისას ბალისტიკური ფურცლები ერთმანეთისაგან მცირედით განსხვავდებიან ხოლმე.

აღსანიშნავია ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც მონადირეთა დიდი ნაწილი იარაღის შეძენისას არ აქცევს ყურადღებას. რუსულ ვერსიას ლულის გამერცობი – ჩამკეტი, ანუ დეტალი რომელიც ლულის თავში, სავაზნეზეა გადაბმული, ამავდროულად სისტემურ კოლოფშიც შედის და სპეციალურად მისთვის განთავსებულ ჭრილებში იკეტება. ის თავის თავზე იღებს ძირითად ენერგიას, რომელიც გასროლის დროს გამოიყოფა და ამით იცავს სისტემურ კოლოფს უარყოფით, დამაბინძურებელი თუ გამანადგურებელი ძალებისაგან. შესაბამისად რაც უფრო მძლავრი, გრძელი და მასიურია ზემოთხსენებული დეტალი, მით უფრო უტყუარი, სტაბილური და რაც მთავარია მეტი რესურსის მქონე იქნება თოფი. ამ შემთხვევაში კი „სტოგერს“ „ბაიკალი“ სჯობნის, რაც სურათზეც კარგად ჩანს.

„ბაიკალის“ თვითმტენის სისტემური კოლოფი მყარი ალუმინის მასალისაგანაა დამზადებული. ის ერთიანი, მასიური დეტალისაგან არ იჭრება. მათთვის ქარხანაში არსებობს ყალიბი, სადაც ხორციელდება დეტალების ჩამოსხმა. რა თქმა უნდა ეს მეთოდი უფრო იაფაია, მაგრამ ნაკლებად საიმედო მომავალი ექსპლოატაციის დროს. თუმცა ამ შეთხვევაში გასათვალისწინებელია თავად მასალის შემადგენლობა და სიმტკიცე. მითუმეტეს ნახევრად ავტომატის შემთხვევაში ალუმინის სისტემური კოლოფები არ წარმოადგენენ არავითარ პრობლემას. აღსანიშნავია რომ რკინის სისტემური კოლოფები თვითმტენი თოფებიდან დღესდღეობით მხოლოდ იტალიურ „კოსმისა“ და ამერიკულ „რემინგტონს“ აქვთ.

სისტემური კოლოფისა და ზოგადად რუსული იარაღის გამძლეობისა და საიმედოობის ძალიან ბევრს სჯერა. ძალზედ პოპულარულია ინტერნეტში არსებული ვიდეო რეკლამა MP-153-ის შესახებ. პიროვნება, რომელიც თოფს ყოფს წყალში და რეცხავს, აყრის მას ზემოდან ტალახს რამოდენიმეჯერ, მაგრამ მიუხედავად ზემოთხსნებეული ხელოვნურად შექმნილი ექსტრემალური პირობებისა თოფი უპრობლემოდ ახორციელებს გასროლას. რა თქმა უნდა ეს ფაქტი ადასტურებს ეგრედწოდებულ „რუსულ საიმედოობას“. ქართველ მონადირეებსაც სწორედ ამიტომ უყვართ ზემოთხსენებული იარაღი. ისინი ენდობიან მას და ჯერათ რომ საჭირო ვითარებაში თოფი არ უმტყუნებთ.

იმავე მყარი ალუმინის მასალისაგან დამზადებული სისტემური კოლოფებით აღჭურვილ „სტოგერებზე“ ნამდვილად ვერ ვიტყვით რომ ბევრად ჩამოუვარდებიან რუსულ ვერსიას. ძალზედ ხშირია საქართველოში ფაქტები, როდესაც მისი მფლობელები დაახლოებით ანალოგიურ ექსტრემალურ პირობებში იყენებენ მას და ისიც იდეალურად ართმევს თავს თავისზე დაკისრებულ მოვალეობას.

სასხლეტის დამცველი ღილაკი ორივე თოფს კონდახის ყელთან ახლოს, იმავე სასხლეტის ბუდის თავში აქვთ გაკეთებული. საკეტის დამშვები ღილაკი სისტემური კოლოფის წინა, მარჯვენა ბოლოშია განთავსებული. ორივე ვერსიის მჭიდში სტანდარტულად 4+1 ვაზნა ჩადის.

MP-153-ი აღჭურვილია გაზებით მტენი, მექანიკურად რეგულირებადი ნახევრად ავტომატური სისტემით. თოფს მოყვება სპეციალური ქანჩი, რომლის საშუალებითაც ხდება ლულის ქვეშიდან მიმაგრებული აირების სისტემის ცილინდრული რგოლის დატრიალება. შედეგად რეგულირდება ლულიდან გასროლის შედეგად გამოყოფილი აირების რაოდენობა. მსროლელს ამით ეძლევა შესაძლებლობა გაისროლოს სასურველი დაბალ წონიანი ან მაღალ წონიანი ვაზნა. ხარისხიანი ვაზნების გამოყენების შემთხვევაში სისტემისაგან გამოწვეული მიზეზების გამო გაჭედვა ფაქტიურად შეუძლებელია.

Stoeger M2000-ი აღჭურვილია ინერციული სისტემით, რომელიც გადატენვას ახორციელებს კინეტიკური ენერგიეს ხარჯზე, ვაზნის გასროლისას გამოყოფილი ენერგიისა და ინერციული ზამბარის საშუალებით. „ბაიკალის“ ნახევრად ავტომატისაგან განსხვავებით მას რეგულირება არ სჭირდება და შესაძლებელია მჭიდში ერთდროულად ჩავდოთ 28-გრ-დან 56-გრ-მდე საფანტით დატენილი ვაზნები, თუ საერთოდ არსებობს ამის აუცილებლობა. ამასთანავე აირებით მტენ სისტემებთან შედარებით „სტოგერის“ მექანიზმის გაწმენდაც უფრო იოლია და სწრაფად ხორციელდება. სწორედ ეს გახლავთ მთავარი დადებითი მახასიათებელი Beretta Group-ში შემავალი, ინერციული სისტემით აღჭურვილი და Benelli M1-ს დამსგავსებული Stoeger M2000-ისა, რომლის გამოც მასზე აკეთებენ მონადირეები არჩევანს.

ზოგადად ორივე იარაღი კარგ შთაბეჭდილებებს ტოვებს და მათზე არჩევანის გაკეთება ყიდვის შემთხვევაში ურიგო გადაწყვეტილება ნამდვილად არ იქნება. ხოლო თუ MP-153 არასერიული ვერსიაა, რომლის ანალოგი, კონკურენტი სტოგერს საერთოდ არ აქვს, მისი მფლობელი გახდება საკმაოდ დიდი ისტორიის მქონე ბრენდის მიერ შემქნილი მაღალი კატეგორიის იარაღის მფლობელი. ამგვარი ვერსიები „ბაიკალს“ წარმოდგენილი აქვს როგორც საკუთარ ინტერნეტ გვერდზე, ასევე ყოველწლიური საიუბილეო მოდელის სახით საგამოფენო კომპლექსებში. მათზე ძირითადად მუშაობენ საკმაოდ გამოცდილი და თავისი საქმის მცოდნე ადამიანები – მეიარაღე-მჭედელი ა.კოტომჩანინი და გრავირების ოსტატი მ.სოკოლოვი. მათ მიერვე ხორციელდება სტანდარტული მოდელების დაპატარავებული ვერსიების, სუვერინული ტიპის ცეცხლსასროლი თოფების აგებაც.

მეიარაღეობის განვითარება ტულაში და ტულის იარაღების ქარხანა

ტულაში ყოველთვის არსებობდა რკინის მოპოვების კარგი შესაძლებლობა. ეს რა თქმა უნდა კარგად იცოდა რუსეთის მოსახლეობამ, ხელისუფლებამ და თავად ქვეყნის მმართველმა. ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის მიწურულს ტულის მიდამოებში სახელმწიფოს მიერ წარგზავნილ იქნა ოცდაათამდე თვითნასწავლი მეიარაღე. მათ მიცემული ჰქონდათ კონკრეტული დავალებები, მინიჭებული ჰქონდათ განსაკუთრებული უფლებები და აქტიურად ეწეოდნენ მეიარაღის ცხოვრებას. მათი რიცხვი დრო და დრო მატულობდა. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ „ტულა“ ჩამოყალიბდა, გერმანული ზულის მსგავს მეიარაღეთა ქალაქად – ცენტრად. იქ მე-17 საუკუნის მიწურულსა და მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის უკვე უამრავი კერძო საწარმო იყო გახსნილი. ზოგიერთი ცივსა თუ ცეცხლსასროლ იარაღს სახლში ამზადებდა, ზოგიერთი კი შედარებით უფრო წარმატებულად ახორციელებდა პროფესიული შესაძლებლობების გამოვლინებას და საკუთარი, მომცრო ზომის ქარხნები ჰქონდათ გაკეთებული. იქ ისინი ახდენდნენ იმ დროს არსებული თითქმის ყველა ტიპის იარაღის წარმოებას. ამ პერიოდისათვის ტულაში დაახლოებით ათასამდე მეიარაღე ახორციელდებდა საკუთარი პროფესიის მიხედვით საქმიანობას. ეს კი საკმაოდ დიდი ციფრია იმისათვის, რომ ქალაქს სხვა თვალით შეხედო და ოსტატთა, მჭედელთა თუ მეიარაღეთა ცენტრი უწოდო.

1712 წელს რუსეთის მეფის, პეტრე I-ის უშუალო მითითებით საფუძველი ჩაეყარა ამჟამად უკვე „ტულის იარაღების ქარხნა“-დ (Тульский оружейный завод) წოდებულ საწარმოს ჩამოყალიბებას, რომელიც შეიქმნა რამოდენიმე წლით ადრე, ნიკიტა დემიდოვის მიერ აგებულ კერძო ქარხნის ბაზაზე.

1875 წელს, მიხაილოვის საარტილერიო აკადემიის ოქროს მედალზე დამთავრების შემდგომ ტულის იარაღთმშენებელ ქარხანაში მუშაობა დაიწყო სერგეი ივანოვიჩ მოსინმა. მისმა ამ ნაბიჯმა კონსტრუქტორს დიდი წარმატება მოუტანა. 1891 წელს შეიქმნა და 1892 წელს დაიწყო „მოსინის“ შაშხანების სერიული წარმოება ყალიბით 7,62x54 მმ. ამ პერიოდიდან განსკუთრებული წარმატებით განხორციელდა საწარმოსა თუ იქ მომუშავე პერსონალის კარიერა.

1907 წელს, რუსი ინჟინერი, ფიოდორ ვასილევიჩ ტოკარევი უკვე მუშაობდა თავის კოლეგებთან, ფიოდოროვთან და როტჩევთან ერთად ნახევრად ავტომატური შაშხანის აგებაზე, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა ძველი ვერსიები და აგებულ უნდა ყოფილიყო რატომღაც მოსინის ბაზაზე. აღნიშნული გარემოება ტექნიკურ ჩარჩოებს სცდებოდა. პირველმა მსოფლიო ომმა გარკვეულ წილად შეაჩერა ინჟინერის კონსტრუქციული აღმოჩენებზე მუშაობა. თუმცა ტოკარევმა რამოდენიმე წლის შემდგომ მაინც მოახერხა ნიჭის დემონსტრირება ქვეყნის მაშტაბით და შექმნა იმ პერიოდისათვის არა ერთი ჩინებული მოდელი.

1925 წელს, დაახლოებით 250 კილომეტრის დაშორებით მოსკოვიდან, ტულას იარაღთმშენებლ ქარხანაში შეიქმნა „მაქსიმის ტყვიამფრქვევი“ სერიული სახელწოდებით MT (Maxim Tokarev). მე-20 საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ ტოკარევმა შექმნა ფისტოლეტი TT (Tula Tokarev).

იმავე ქარხანაში მეორე მსოფლიო ომის პერიდში დაიწყო ნახევრადავტომატური მოდელის самозарядные винтовки системы Токарева образцов 1938 и 1940 годов – ტოკარევის სისტემის, 1938-1940 წლების თვითმტენი შაშხანის წარმოება ყალიბით 7,62 x 54 R. იარაღის მთლიანი სიგრძე იყო 1220 მილიმეტრი, ლულის სიგრძე 620 მილიმეტრი. შაშხანის წონა შეადგენდა 3800 გრამს. მის მჭიდში 10 ვაზნა ეტეოდა და მათ გადატენვას იარაღი დენთის აფეთქების შდეგად გამოყოფილი აირების მეშვეობით ახორციელებდა.

არაერთი მცდელობის შედეგად ტოკარევმა მოახერხა სტალინის პირადი მითითებით მის მიერ აგებული შაშხანების 40 000-მდე ეგზემპლარის 1939 წელს რუსეთის ჯარისათვის მიწოდება. იმ პერიოდისათვის გავრცელდა ხმები იარაღის შესახებ ვაზნის შეფერხებით მიწოდებასა და ჰილზის ამოგდებისას გარკვეულ სირთულეებზე. აგრეთვე იმისაც ამბობდნენ, რომ მიუხედავად ძველი ვერსიის ანალოგი ყალიბისა, მას შედარებით ნაკლები უკუცემა ჰქონდა. პირველმა პარტიამ რუსეთის არმიამდე 1939 წლის დასაწყისისათვის მიაღწია. „მოსინის“ 1938 წლის მოდელის მასიური წარმოება ოქტომბერში დაიწყო, სწორედ მაშინ როდესაც გერმანელებს პოლონეთის საზღვარი უკვე გადალახული ჰქონდათ.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას რუსეთ ფინეთის დაპირისპირების დროს გამოვლინდა СВТ-ს სუსტი მხარეები. შესაბამისად ტოკარევი შეეცადა გაეუმჯობესებინა შექმნილი ვერსია. პირველ რიგში მან ორ ნაწილად განცალკევებული კონდახი გააერთიანა. ახალ მოდელს ეწოდა უკვე СВТ 1940 და კონდახის გარდა სხვა დეტალებითაც შეიძლებოდა მათი ურთიერთ-განსხვავება. ახალ ვერსიას არ ჰქონდა კონდახის რგოლები და დამატებული ჰქონდა ლულის ქვეშ განთავსებული საწმენდი ჯოხი. აგრეთვე მჭიდის დამჭერი – გამომღებიც უფრო მასიური, დიდი ზომის იყო. ნახევრადავტომატური მოდელების გარდა ბევრად მცირე რაოდენობით წარმოებულ იქნა ავტომატური ვერსიებიც AWT 40-ის სახით. СВТ-38-ის სულ დაახლოებით 4 450 000 ერთეული იქნა დამზადებული, ხოლო СВТ-40-ის 1 322 085. შედარებით ზუსტმსროლელი ვერსია – PU ტიპის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობით მოგვიანებით იქნა წარმოებული 51 710 ეგზემპლარის სახით. პროდუქციის წარმოებისას, მეორე მსოფლიო ომი დასრულდა და სწორედ მაშინ დაიწყო СКС-ის განვითარება და მასიური წარმოება.



ტულაში წარმოებული არასერიული, ხელნაკეთი მოდელი კალ.12 ლულათა ვერტიკალური განლაგებით, მოვერცხლილი გრავირებებიტა და ინგლისური ტიპის კონდახით

ხსნადი მჭიდით აღჭურვილი СВТ-ს წარმოება წინ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ 1936 წელს შექმნილი ამერიკული „გარანდის“ კვალობაზე. მჭიდი მოსახერხებელი მოსასხნელი იყო და სპორტული თვალსაზრისითაც ბევრად პრაქტიკულად გამოიყურებოდა. მისი დამჭერი – გამომღები ღილაკის ზომა საკმარისზე დიდი გახლდათ იმისათვის რომ მსროლელს მასზე ზემოქმედება სწრაფად და იოლად, ყოველგვარი შეფერხებების გარეშე განეხორციელებინა. უნდა აღინიშნოს, რომ ტოკარევმა თავის იარაღი ააგო ეგრეთწოდებული, მოკლე ბიჯიანი, აირებით მტენი სისტემით, რომელიც კონსტრუქციულად „გარანდთან“ შედარებით ბევრად მარტივად გამოიყურებოდა და გასროლისაც ბალანსი ნაკლებად ირღვეოდა.

რუსული იარაღის კვალობაზე შაშხანის სასხლეტი არც თუ ისე ცუდად გამოიყურება. მის ასამოქმედებლად 2600 გრამი ზეწოლის განხორციელებაა საჭირო. გასროლის წარმოებისას საუკეთესო ბალისტიკური შედეგები მივიღეთ 200 გრეინის წონის „მატჩის“ ტიპის ვაზნების გასროლისას (ფინური ლაპუას წარმოების). ლულის გაცხელებამდე გაფანტვის წრეთა შორისი დაშორება შეადგენდა 70 მილიმეტრს. როდესაც ლულა ცხელდებოდა, 100 მეტრ დისტანციაზე 5 გასროლის შედეგად მიზანში მოხვედრილი ტყვიების დაშორება უკვე 150 მილიმეტრს უტოლდებოდა. 147 გრეინიანი, შედარებით მსუბუქი, თუმცა სამხედრო ვერსიის (ვანზების) გასროლისას გაფანტვის წრეები დაახლოებით 100 მილიმეტრიან დაჯგუფებებს აკეთებდა.

საერთო ჯამში იარაღი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო ზუსტმსროლელ შაშხანად თავისი პერიოდის ვერსიებში. მისი ამჟამინდელი ექსპლოტაცია სანადირო მიზნებისათვის საქართველოშიც საკმაოდ წარმატებულად ხორციელდება. ზოგადად მსოფლიო კოლექციონერთა წრეებში (რომელთაც განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროინდელი იარაღები იზიდავთ) კი ის პიროვნება, რომელსაც СВТ არ აქვს საკუთარ საცავში, მისი კოლექცია სრულყოფილად არ ითვლება.

ამჟამად იარაღის ღირებულება ევროპაში საგრძნობლად ძვირია და დაახლოებით 1000 ევროს უტოლდება. საქართველოში ბევრად იაფი ღირს და მაღაზიებში მისი ყიდვა 900-დან 1000 ლარის ფარგლებშია შესაძლებელი. თავად უკრაინასა თუ რუსეთის საწყობებში, რომლებიც ახორციელებენ ძველი, საბრძოლო იარაღის გაყიდვას ამჟამად უკვე სანადირო ან სპორტული დანიშნულებით, შაშხანის ფასები 100 დოლარის ფარგლებში მერყეობს.

სამხედრო ვერსიებიდან „მოსინისა“ და „СВТ“-ს გარდა „ტულის“ ქარხანა გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოდელების მწარმოებელი. იქ „კალაშნიკოვის“ სისტემის АКСУ-74-ს მზადება დღემდე წარმატებულად ხორციელდება. კომპანია აგრეთვე ახდენს 9 მილიმეტრიანი ყალიბის მქონე, რამოდენიმე განსხვავებული მოდიფიკაციის ავტომატური შაშხანების მზადებას. ერთ-ერთი მათგანია ზემოთხსენებული АКСУ-74-ვით მოკლე ვერსია. დანარჩენები კი მაყუჩით აღჭურვილი, აირებით მტენი ავტომატებია ცოცხალი ძალის გასანადგურებლად, მათ შორის ბრონიჟილეტით აღჭურვილი ძალისა. მისი შემქმნელების მიერ საგამოფენო კომპლექსში გაკეთებული განმარტებითა თუ მათ მიერვე გამოქვეყნებულ, ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იარაღით ეფექტური გასროლის განხორციელება შესაძლებელია 300-დან 400 მეტრ დისტანციამდე. თუმცა მაყუჩით აღჭურვილი 9 მმ-იანი ვერსიით, რომელიც თვითდატენვას ახორციელებს, ძალიან საეჭვო ციფრია

400 მეტრი და ცოტა არ იყოს გადამეტებულად გამოიყურება.

სანადირო მოდელებიდან TULA-ს საკმაოდ ფართო არჩევანი აქვს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ დამზადებული პროდუქცია გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოშიც შემოდიოდა. ძირითადათ ესენი გახლდათ ნახევრად ავტომატური МЦ – 21-12 და ორლულიანები TOZ-34 და TOZ-120. ამათთაგან პირველი, ნახევრად ავტომატური ვერსია საკმაოდ პრობლემატურად ახორციელებდა გადატენვის პროცედურებს, რაც საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია. მისი მექანიზმი, ცოტა უხეში შედარება რომ მოვიყვანოთ, ყველასათვის ცნობილი Browning Auto-5-ვით ფუქციონირებს. ანუ გასროლისას მოძრაობს ლულა და შემდგომ ხორციელდება გადატენვის პროცედურა. სწორედ ამიტომ თოფიდან რთულია როგორც დაბალ წონიანი ვაზნების გასროლა, ისე მაღალ წონიანისა, რაც განპირობებულია სავაზნის სიგრძით. ის სტანდარტულ, არა მაგნუმის ვაზნებზეა გათვლილი და სიგრძეში 70 მილიმეტრია. რაც შეეხება ორლულიანებს, განსაკუთრებით კი TOZ-34-ებს, ჰქონდათ გარკვეული პრობლემები მექანიზმში, მაგრამ არა სერიოზული და იოლად აღმოფხვრადი. საქართველოში იმპორტირებული ვერსიები თუ ზოგადად ქარხნის მიერ დამზადებული სხვა მოდელები განსაკუთრებული დამუშავებისა და მოპირკეთების ხარისხითაც ვერ გამოირჩეოდნენ. შეიძლება ითქვას რომ „ბაიკალის“ მიერ წარმოებული მოდელები ოდნავ უკეთესად გამოიყურებოდნენ დამუშავების თვალსაზრისითაც და ზოგადად მექანიზმის აგებულებითაც. რაც ყველაზე მთავარია და რის გამოც „ტულას“ თოფები, კერძოდ კი დაბალ ფასიანი ვერსიები ბევრს მოწონს, ეს გახლავთ მისი ბალისტიკური მონაცემები. ისინი ძირითად შემთხვევებში, თუ არ ჩავთვლით გამონაკლისებს, ბევრად აღემატებიან იჟევსკის ქარხნის მიერ წარმოებულ მოდელებს. ეს კი პირველ რიგში განპირობებულია მეიარაღეებისათვის თუ სპორტსმენებისათვის უკვე კარგად ცნობილი, ჰორიზონტალურად განლაგებულ ლულებიანი МЦ 109-12-ისა თუ ვერტიკალურად განლაგებულ ლულებიანი МЦ 111-12-ის ქარხანაში არსებული წარმოების გამო. კომპანია, რომელიც მაღალი კლასის თოფებს ამზადებს, ვალდებულია შედარებით დაბალი კლასის ვერსიების აგებისას კონკრეტულ თოფებს გაუკეთოს ისეთი ლულები, რომელთაგანაც მსროლელი მიიღებს კონკურენტ იარაღებთან შედარებით, უკეთეს ბალისტიკურ მონაცემებს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ბოლო წლებში რატომღაც შეჩერდა ქარხნის მიერ წარმოებული სანადირო ვერსიების მასიურად აგება. ისინი ექსპორტზე ფაქტიურად აღარ გადიან და დამზადებული რაოდენობა ძირითადათ გათვლილია რუსეთის ბაზარზე. სწორედ ამ მიზეზის გამო დროებით შეჩერებულია მათი საქართველოში შემოტანა. ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მცირეკალიბრიანი (5,6 მმ) ვერსიები, TOZ-99 და TOZ-78 შემოდის

სანადირო და სპორტული იარაღების ცენტრალური კვლევებისა და განვითარების სააგენტო (ЦКИБ СОО) იარაღების ქარხანა

სწორედ სათაურში მითითებული გრძელი სახელწოდება ეკუთვნის იმ კომპანიას, რომელიც 1946 წელს, ტულის იარაღების ქარხანასთან არსებულ მეიარაღეთა ჯგუფს – კვლევით სანაწარმოს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ის დღემდე ახორციელებს რუსეთში საუკეთესო სამხედრო, სპორტული და სანადირო იარაღების წარმოებას. ЦКИБ СОО – (Центральное конструкторско-исследовательское бюро спортивного и охотничьего оружия) წარმოადგენს ჯერ კიდევ 1927 წელს, ტულაში დაარსებული იარაღების მსხვილი მწარმოებლის „ინსტრუმენტალურ საპროექტო სააგენტოს“ ფილიალს. ბევრს ჰგონია რომ ტულის იარაღთმშენებელი ქარხანა და ზემოთხსენებული კომპანია ერთი და იგივეა. სინამდვილეში საქმე სულ სხვა გვარადაა და საგამოფენო კომპლექსებშიც ისინი ცალკე არიან ხოლმე წარმოდგენილები.

ЦКИБ СОО-ის ძირითადი დანიშნულებებია სპორტული, ყველასთვის ცნობილი МЦ-ს სერიის თოფების პოპულარიზაცია და დახვეწა. აგრეთვე სამხედრო დანიშნულების პროდუქციის აღმოჩენა და განვითარება. იქ მუშაობდნენ ისეთი ცნობილი მეიარაღეები – კოსტრუქტორები, როგორებიც არიან ნიკოლაი მაკაროვი, იგორ სტეჩკინი და სხვები. უნდა ითქვას რომ ქარხანაში მოღვაწე საზოგადოება თავისზე დაკისრებულ მოვალეობას დღემდე საკმაოდ დიდი წარმატებით ასრულებს. ЦКИБ СОО დღემდე ახორციელებს საერთაშორისო გამოფენებზე საკუთარი იარაღების გაყიდვასა და ზოგადად პოპულარიზაციას.

ბოლო წლებში წარმოდგენილი მოდელებიდან საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს სანადირო ვერსია (თოფი/შტუცერი) МЦ-109. კომპანიის წარმომადგენლები ძირითადათ თავს იწონებენ მოდელის გლუვლულიანი ვერსიით, რომელიც წარმოდგენილი აქვთ ხოლმე საგამოფენო კომპლექსებსა თუ სადილერო დახლებში. მე-20 საუკუნის



ЦКИБ СОО რუსეთში არსებული მწარმოებლებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა





70-იანი წლების დასაწყისში, რუსეთში, ტულაში, წითელი არმიელების პროსპექტის 17 ნომერში მომუშავე მეიარაღე-ოსტატთა ჯგუფის ძალისხმევით ასპარეზზე გამოჩნდა ორლულიანი მოდელი МЦ-109, რომელიც მოისაზრებოდა МЦ-9-ს გაუმჯობესებულ, შემცვლელ ვერსიად. თუმცა ეს ორი იარაღი ერთმანეთისაგან საკმაოდ ბევრი რამით განსხვავდება. კონკრეტული აზრის წარმოშობა თუ ზოგადად შედარება გაკეთდა ყველაზე მეტად მოდელების დასახელებაში არსებული ციფრების მსგავსების გამო. მითუმეტეს მაშინ როდესაც МЦ-7-ის МЦ-109-თან მგვანება ბევრად უფრო მეტია და სხვაობა ფაქტიურად მხოლოდ ჩამკეტ სისტემაში აისახება, იოლი მისახვედრია, რომ მასიურად, ნაკლებად გათვითცნობიერებულ საზოგადოებაში გავრცელდა ხმები რომ МЦ-9-ს შემცვლელი იყო МЦ-109.

მსოფლიო დონის, მაშტაბურ გამოფენებზე კომპანიას ძირითადათ საიუველირო, ხელნაკეთი, არასერიული ვერსია აქვს ხოლმე წარმოდგენილი. ვერტიკალურად განლაგებულ ლულებიანი მოდელი სამმაგი ჩამკეტი სისტემებითაა აღჭურვილი. თოფს ამშვენებს სრული-გვერდითი საკეტი მექანიზმები, რომლებიც ძირითად შემთხვევებში Holland&Holland-ის ტიპის მექანიზმებიდანაა აღებული. მზადდება როგორც ორ სასხლეტიანი ვერსიები, ისე ერთ სასხლეტიანი მოდელები გადამრთველი ღილაკით. ვაზნის ამომგდები ეჯექტორები და სასხლეტის დამცველი რა თქმა უნდა ჩვეულებრივი მოვლენაა ამგვარი კლასის თოფისათვის. იწარმოება განსხვავებული კომბინაციები, როგორც გლუვი ისე ხრახნიანი ლულებით. ქარხანაში ხორციელდება აგრეთვე კერძო შეკვეთების მიღებაც.

თითქმის ყოველთვის სპორტსმენების დიდ ყურადღებას იმსახურებს სპორტული მოდელი МЦ7-12С. ბოლო წლებში კომპანია კერძო შეკვეთებსაც ღებულობს კონკრეტული იარაღების დამზადებაზე. თავად მოდელი კი აიგო არა მარტო ქარხანაში არსებული ოსტატების ძალისხმევით, არამედ სპორტსმენების რჩევებითა და დაგროვილი გამოცდილებების გაზიარების ხარჯზე. აღსანიშნავია რომ თოფის სავაზნე და ლულები შიგნიდან ქრომირებული არაა. ლულა სისტემური კოლოფის ჩარჩოს ორმაგი ჩამკეტებით უკავშირდება. ტიბჟირი МЦ-109-ისაგან განსხვავებით სპორტულ მოდელს მთლიანი აქვს და ქვედა მხარეს განთავსებულ ბერკეტზე ზემოქმედებით მისი ლულისაგან განცალკევებაა შესაძლებელი. კაკლის ხისაგან დამზადებული კონდახი დაკომპლექტებულია რეგულირებადი სალოყე ბალიშით. სახლეტის გადამრთველი ღილაკის მარცხნივ გაწევით იარაღი პირველად გაისვრის ზედა ლულიდან, ხოლო მარჯვნივ გაწევისას ქვედა ლულიდან. თოფს სისტემურ კოლოფში განთავსებული აქვს, სპეციალური, საკმაოდ მარტივი შიდა ჩახმახები, რომელიც გადახსნისას სტანდარტულად მოდიან დასარტყმელ პოზიციაში და სასხლეტზე ზემოქმედების შედეგად აქტიურდებიან. გასროლილი ჰილზები ეჯექტორის, იგივე ვაზნის ამომგდების მეშვეობით იარაღის გადახსნის შემგომ ავტომატურად ვარდებიან სავაზნიდან დედამიწაზე.

ამჟამად ЦКИБ СОО ფაქტიურად ითვლება საუკეთესო რუსულ მწარმოებლად კონკრეტული კატეგორიის იარაღებში. სპორტული და სანადირო თოფების გარდა ქარხანაში აგრეთვე ხორციელდება სამხედრო დანიშნულების, სნაიპერული შაშხანების, ყუმბარმტყორცნების, მცირეგაბარიტული ავტომატების, მაყუჩით აღჭურვილი ზუსტმროლელი შაშხანების, ფისტოლტ-ტყვიამფრქვევების, ფისტოლეტებისა და ყუმბარმტყორცნების წარმოება. საგრძნობლად ფართო არჩევანს სთავაზობს კომპანია საზოგადოებას სპორტულ და სანადირო იარაღებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ქარხანაში მომუშავე რუსი ოსტატები ღებულობენ კერძო შეკვეთებსაც და ახორციელებენ არასერიული, საცალო მოდელების დამზადებას.

ВЯТСКО-ПОЛЯНСКИЙ МАШИНОСТРОИТЕЛЬНЫЙ ЗАВОД – МОЛОТ

ქარხნის ისტორია მეორე მსოფლიო ომამდე დაიწყო. 1938 წელს, ამჟამინდელ კიროვის ტერიტორიაზე, ქალაქ ვიაცკიე პალიანაში, მუშათა დასახლებასთან ახლოს დაარსდა ქარხანა, სადაც მოგვიანებით 1941 წელს, მოსკოვის გარეუბანში არსებული მანქანათმშენებელი საწარმოს გადაბარგება მოხდა, რათა იქ განხორციელებულიყო გიორგი „სიმიონოვიჩ“ შპაგინის მიერ შექმნილი, 7,62 მმ-იანი ფისტოლეტ-ტყვიამფრქვევის – ППШ-ს (პეპეშა) წარმოება. გეგმა წარმატებით განხორციელდა. იმავე წლის ბოლოს დამზადებულ იქნა აღნიშნული იარაღები, რომლებიც გაგზავნილ იქნა ფრონტის ხაზზე. უკვე 1943 წლისათვის ქარხანას უკვე ჰქონდა ორ მილიონზე მეტი ფისტოლეტ-ტყვიამფრქვევი ნაწარმოები. სულ დამზადებულ იქნა ექვს მილიონზე მეტი იარაღი და სერიული წარმოება 1945 წლამდე ხორციელდებოდა.



ომის დასრულების შემდგომ ქარხანამ დაიწყო რადიკალურად განსხვავებული პროფილის, სამოქალაქო დანიშნულების მქონე პროდუქციის წარმოება. თუმცა საწარმოს მუშაობის მთავარი მიმართულება საბრძოლო იარაღების წარმოება იყო. „მოლოტის“ მიერ ხდებოდა საზენიტო დანადგარების, ტყვიამფრქვევების, ყუმბარმტყორცნებისა თუ „კალაშნიკოვის“ ტიპის ტყვიამფრქვევ-ავტომატების დამზადება. 1953 წელს ქარხანაში შემქნილ იქნა საქართველოში ბევრისათვის საყვარელი და კარგად ნაცნობი მოდელი, „სტეჩკინის ავტომატური ფისტოლეტი“. უკვე 90-იანი წლების დასაწყისისათვის მმართველმა გუნდმა გადაწყვიტა დაეწყო სამოქალაქო დანიშნულების მქონე იარაღის წარმოება.

დღესდღეისობით უკვე სახეზეა დაგეგმილი პროექტის წარმატებული, თვალსაჩინო მაგალითები ნახევრად ავტომატური შაშხანის – „ვეპრისა“ და ნახევრად ავტომატური თოფის – „ბეკასის“ სახით. სხვა რუს მწარმოებლებთან შედარებით სერიულად უფრო მაღალი ხარისხისა და არც თუ საგრძნობლად დიდი ფასების გამო მალევე განხორციელდა ევროპასა და ამერიკის ბაზარზე „მოლოტის“ ცივილური იარაღების ექსპორტი რუსეთიდან.

კომპანია ამჟამად ახდენს „მოსინის“ ბაზაზე ცილინდრული საკეტით აღჭურვილი შაშხანების КО-91-ის წარმოებას ყალიბით 7,62х54 ღ. ქარხანაში დღემდე ხორციელდება ოდესაც საბრძოლო დანიშნულების მქონე, საქართველოში საკმაოდ გავრცელებული, ნახევრად ავტომატური შაშხანის, ჩჯ-ის წარმოება ყალიბით 7,62х39 მმ.

საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც რუსეთში, ისე ჩვენს ქვეყანაში გლუვლულიანი, „კალაშნიკოვის“ დიზაინის მიხედვით აგებული ნახევრად ავტომატური თოფი – Вепрь–12 Молот, რომლის რამოდენიმე, განსხვავებული მოდიფიკაცია იწარმოება. იარაღი გამოიყენება როგორც სანადირო დანიშნულებით, ისე თავდაცვის მიზნით. მყიდველთა მხრიდან განსაკუთრებით დიდ მოწონებას იმსახურებს მოკლე, 867 მილიმეტრიანი ვერსია, რომელიც დაკეცილი ტარით სულ რაღაც 601 მილიმეტრია. იარაღის ლულის სიგრძე დაახლოებით 30 სანტიმეტრს უტოლდება, ხოლო წონა 4,2 კილოგრამია. ნახევრად ავტომატური თოფი სხვა მოდელებთან ერთად ხშირად გვხვდება საერთაშორისო გამოფენებზე ევროპასა თუ ამერიკაში.



მეიარაღეობა საფრანგეთში – CASIMIR LEFAUCHEUX

ფრანგი მეიარაღე, ქესიმირ ლაფოშე, დაიბადა ქალაქ ბონეტაბლში (Bonnétable) 1802 წლის 26 იანვარს. ლაფოშემ 1832-33 წლებში სცადა მსოფლიო მეიარაღეთა ყურადღება მიეპყრო და გადასახსნელ ლულებიანი თოფის პროექტი წარმოადგინა. ჯერ კიდევ შვიდი წლით ადრე დაწყებული პროექტი, იმ დროისათვის ყველაზე პრაქტიკული, მოხერხებული ვაზნა, თავისივე გადასახსნელ ლულებიანი თოფისათვის 1835 წელს ოფიციალურად განახორციელა და დააპატენტა. აღსანიშნავია რომ მანამადე რამოდენიმე სხვა მეიარაღემაც სცადა მსგავსი აგებულებისა მქონე კონსტრუქციის შექმნა ვაზნის სახით. ერთ-ერთი პირველი შვეიცარიელი მეიარაღე, სერჟანტი სემუელ პაული იყო (1766-1821), რომელმაც მე-19 საუკუნის ათიან წლებში (1907-1911) შექმნა მსგავსი პროექტი.

1835 წელს წარმოდგენილი ვაზნა მუყაოში იყო გახვეული და ყვითელი სპილენძის-თითბერის ბუდეში ივდა. ბუდე ქუდის ფორმის იყო და ძირში გაკეთებული ჰქონდა მოგრძო ფორმის, ოდნავ დახრილი ნემსი – ჩხირი. ის გადასახსნელ ლულებიანი თოფის დაკეტვისას გარეთ რჩებოდა. ზემოდან მას ჩახმახი ურტყავდა თავს. თავად ნემსი ეჯახებოდა კაფსულს, აფეთქებდა მას, შედეგად ხორციელდებოდა დენთის აფეთქება და გასროლა. ამგვარმა აღმოჩენამ სათავე დაუდო დღევანდელი ვაზნების დახვეწასა და განვითარებას. ლაფოშემ ფაქტიურად შექმნა, უხეშად რომ ვთქვათ, ამჟამინდელი ვერსიის ფუძე ვაზნა, რომელსაც უკვე მთელი მსოფლიო აწარმოებს.

ქესიმირ ლაფოშეს გადასახსნელ ლულებიანი თოფის ვაზნა



MANUFACTURE D'ARMES DE ST. ETIENNE – (MAS)

ფრანგული იარაღების მწარმოებელი ქარხანა დაარსდა 1764 წელს შარლევილში, მარნში. ამჟამად ეს კომპანია მდებარეობს ფრანგ მეიარაღეთა ქალაქ სანტ ეტიენში, სწორედ იქ, სადაც თავდაპირველადვე მისივე სამმართველო ცენტრი იყო განთავსებული. საწარმოს აშენება თავიდანვე სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა და მის კუთვნილებას წარმოადგენდა. ქარხნის დანიშნულება იყო სანადირო და სპორტულ პროდუქციასთან ერთად, სამხედრო ტიპის იარაღების წარმოება. ქალაქი სანტ ეტიენი შუა საუკუნეებში განთქმული იყო ხმლებისა და დანების საუკეთესო ოსტატებითა თუ საწარმოებით. მე-17 საუკუნის 60-იან წლებში საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ახალი, სამეფო კლასის იარაღების ქარხანა ააგეს, რათა „სანტ ეტიენს“ ძირითადათ სამხედრო დანიშნულების პროდუქცია დაემზადებინა, მაგრამ გეგმა, როგორც დაგეგმილი იყო ვერ განხორციელდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში დაძაბულობა იყო, რევოლუცია მიმდინარეობდა და ყოველ წლიურად მინიმუმ 11.000-დან 14.000 ერთეულამდე ცეცხლსასროლი იარაღი მზადდებოდა „სანტ ეტიენის“ ჯგუფის მიერ. მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქარხანას სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და შიგნით ახალი დაზგა-დანადგარები დამონტაჟდა. 1777 წელს დაპროექტდა იმ დროისათვის ძალზედ პოპულარული და გავრცელებული მუსკეტის კონსტრუქცია, რომელიც ძალიან დიდი ხანი იწარმოებოდა და თითქმის 7 მილიონ ერთეულამდეა დამზადებული. 1855-57 წლებში დახვეწეს და განავითარეს ჩახმახიანი მექანიზმი გრძელლულიანი მოდელებისათვის. დაახლოებით ათი წლის შემდგომ დაპროექტდა ანტუან ჩასეპოს ხიშტიანი, გრძელლულიანი ცილინდრული საკეტით აღჭურვილი შაშხანები („ბოლტები“), რომლებიც დაახლოებით 1 მილიონზე მეტია დამზადებული და დიდი წარმატებით გამოიყენებოდა ფრანგული არმიის მიერ. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მისი ეფექტური სროლის მანძილი 1200 მეტრს აღწევდა, ტყვიის საწყისი სიჩქარე კი 400 მ/წმ-ს შეადგენდა. მისი ლულის სიგრძე საგრძნობლად დიდი ზომის გახლდათ და 80 სანტიმეტრს უტოლდებოდა.

ძალზედ პოპულარული იყო ქარხნის მიერ 1873 წელს განხორციელებული პროექტი მეზობელ, ბელგიასთან ერთად, რომელიც კონკრეტული რევოლვერების წარმოებას ითვალისწინებდა. MAS-1873-ის კონსტრუქციის ავტორი ფრანგი ჯარისკაცი, ჰენრი გუსტავ დელვინი გახლდათ. 1 კილოგრამიან რევოლვერს 115 მილიმეტრის



მოდელი:	**MAS-1949**
მწარმოებელი:	Manufacture d'armes de St. Etienne (MAS)
სისტემა:	აიარებით/გაზებით მტენი სისტემა
მჭიდის ტევადობა:	10
ლულის სიგრძე: (მმ)	500
მთლიანი სიგრძე: (მმ)	995
სამიზნეთაშორისი სიგრძე: (მმ)	570
წონა:	4100
მიახლოებითი ფასი: (EU)	500-დან 700-მდე
დადებითი მხარეები:	.+ ხელმისაწვდომი, დაბალი ფასი
უარყოფითი მხარეები:	.- უხეში დამუშავება
	.- ნაკლებად ზუსტი ბალისტიკური მონაცემები
	.- ვაზნების დეფიციტურობა და ძვირი ფასი

სიგრძის ლულა ჰქონდა და 11 მმ-იან ვაზნებს ისროდა. მისი ეფექტური სროლის მანძილი 50 მეტრს შეადგენდა. ტყვია მაქსიმუმ 350-400 მეტრამდე აღწევდა. მის ცილინდრულ მჭიდში – იგივე დოლურაში 6 ვაზნა ჩადიოდა. რევოლვერი 1887 წლამდე იწარმოებოდა. ამ პერიოდის განმავლობაში ქარხანამ დაახლოებით 340.000 ერთეულის წარმოება მოასწრო.

მე-19 საუკუნეში უკვე საკმაოდ დახვეწილი იყო საფრანგეთის მეიარაღეთა სკოლები თუ საწარმოები. მათ ძალზედ დიდი და საჭირო გამოცდილებაც ჰქონდათ დაგროვილი და ამავდროულად წარმოადგენდნენ ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს თანამედროვე თეორიებისა თუ ტექნოლოგიების განვითარების მხრივ. 1874-75 წლებში სანტ ეტიანის ქარხნის მიერ შეიქმნა საკმაოდ წარმატებული წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანა. ცოტა მოგვიანებით, რამოდენიმე წლის შემდგომ საფუძველი ჩაეყარა ახალი „ბოლტის“ დაბადებას. პროექტი 1886 წელს განხორციელდა და შეიქმნა შაშხანა სახელწოდებით Lebel-1886 (rifle). 4,5 კილოგრამიანი შაშხანის ლულის სიგრძე 80 სმ-ს შეადგენდა და ინარმოებოდა 8 mm Lebel –ის (8x50Rmm) ყალიბზე. იარაღის ლულიდან გამოტყორცნილი ვაზნის საწყისი სიჩქარე 600-დან 700 მ/წმ-მდე მერყეობდა და მისი ეფექტური სროლის მანძილი დაახლოებით 400 მეტრს შეადგენდა. ეს მაშინ როცა ვაზნა თითქმის ორ კილომეტრამდე აღწევდა. იარაღის მჭიდის ტევადობა 8 ვაზნას შეადგენდა. მას 1940 წლამდე აწარმოებდნენ და სულ დაახლოებით 3 მილიონამდეა დამზადებული. იარაღს იყენებდნენ საფრანგეთი, ბელგია, რუსეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, პოლონეთი და კიდევ რამოდენიმე სხვა ქვეყანა.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში წარმოებულ რევოლვერს გაუმჯობესება ესაჭიროებოდა. ამიტომაც ქარხანამ 1882 წელს გადაწყვიტა ახალი მოდელი წარედგინა საზოგადოების წინაშე. მანამდეც და მას შემდეგაც უამრავი ახალი ვერსია შეემატა „სანტ ეტიანის“ ქარხნის მიერ დამზადებულ იარაღების სიას. გახმაურებული ფაქტი 1917 წელს მოხდა, როდესაც კომპანიამ ნახევრად ავტომატური შაშხანა წარადგინა ბაზარზე. რომელსაც ფართოდ იყენებდნენ პირველ მსოფლიო ომში. გასული საუკუნის 30-იან წლებში საკმაოდ გავრცელებული მოდელი შეიქმნა MAS-36-ის სახით.

ჩვენ ყველაზე ძალიან დაგვაინტერესა ნახევრად ავტომატური MAS-49 -ის გამოჩენამ. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ თითქმის ყველა ქვეყანა ზრუნავდა იარაღის წარმოებისა თუ გამოყენების მაქსიმალურად შეზღუდვაზე (ყოველშემთხვევაში ბევრი ასეთ ინფორმაციას ავრცელებდა), ფრანგებმა დაიწყეს ზრუნვა იარაღების განვითარებაზე. მოთხოვნის ფურცელში, რომელიც წარდგენილი იყო მმართველი ორგანოების მიერ ქარხნის მისამართით, ითვალისწინებდა ისეთი ნახევრად ავტომატური შაშხანის წარმოებას, რომელიც წამში მინიმუმ 20 გასროლას გააკეთებდა (ეს კადენცი იმ დროს დიდი ხნის გადალახული იყო) და „ბოლტის“ ბალისტიკური მონაცემების მსგავსი შედეგები ექნებოდა. ამის გადალახვა რა თქმა უნდა ფრანგ კონსტრუქტორებს არ გაუჭირდებოდათ და ასეც მოხდა. გასათვალისწინებელია რომ იარაღის არასრულყოფილი ვერსია ჯერ კიდევ 1945 წლის ბოლოსათვის უკვე აფრიკაში, ევროპის სხვადასხვა ყოფილ კოლონიებში გამოჩნდა Mle-44-ის სახელით. იარაღმა იქ პოპულარობა ვერ მოიპოვა არაეფექტურობისა და კიდევ სხვა უამრავი მიზეზის გამო. 4 წლის შემდგომ კი შედარებით უფრო დაიხვეწა მისი კონსტრუქციაც და დიზაინიც. ხალხის წინაშე წარსდგა MAS-49. მისი სისტემა აირებით მტენ მექანიზმის თეორიაზე დაყრდნობით იქნა აგებული. მას M-16-ვით გაზების მილში საერთოდ არ ჰქონდა ზუმბა და გასროლის შედეგად გამოყოფილი აირები ლულიდან გამომავალი ხვრელის გავლით, პირდაპირ გაზების მილის ბოლოში არსებულ საკეტი მექანიზმის მამოძრავებელს ეჯახებოდნენ. შაშხანის წარმოება მალევე შეწყდა, რასაც „ნატოს“ სტანდარტების ჩამოყალიბებამ შეუწყო ხელი. მის შემცვლელ იარაღად კი ფრანგებმა შექმნეს ახალი, მოდერნიზებული ვერსია FAMAS ყალიბით 5,56x45mm NATO.

MAS-49-56 (7,5x54 mm MAS/7,5x54 mm Franch)-ის კონდახი ძალიან უბრალოდ გამოიყურება. აშკარაა რომ იგი სრულყოფილად არაა დამუშავებული და ისეთი შეხედულება აქვს, თითქოს ადრეულ ჩინეთში იყოს დამზადებული. გასაკვირია რომ ლულისქვეშა კონდახი პირიქით, კარგადაა მოპირკეთებული. შესაძლოა ეს იმ კონკრეტული იარაღის ბრალი იყო, რომელიც ჩვენ ვნახეთ. მჭიდის გამომღები ღილაკი ზედ მჭიდზევეა განთავსებული და მისი იარაღზე გაკეთებისას ბუდეზე გაკეთებულ ჭრილში ჯდება და იკეტება კბილის მეშვეობით. იარაღს ღია ხედვის სამინე საკმაოდ პრაქტიკული აქვს. მისი წინა და უკანა მხარეები რეგულირებადია სურვილისამებრ, სასროლი მანძილის მიხედვით. სპეციალურად ამ შაშხანისათვის შეიქმნა ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა APX L 806. ის საკმაოდ უცნაური აგებულებისაა და იარაღზე მარცხნიდან მაგრდება, სისტემური კოლოფის ზედა მხარეს გაკეთებულ სპეციალურ ჭრილში.

იარაღის გასროლისას აშკარად იგრძნობა ცუდად დაბალანსებული წონის უკუცემა მხარზე. ყალიბის მიუხედავად დარტყმის სიმძლავრე ალბათ აჭარბებდა თანამედროვე, .30-06-ყალიბიან იარაღის უკუცემას. ხუთი გასროლის შედეგად 10 სმ-ზე მეტი ურთიერთ დაშორებული გაფანტვის წრეები ალბათ სპორტული და ზუსტი სროლის მიმდევრებსა თუ მოყვარულებს არ დააკმაყოფილებდათ.

დღესდღეობით ქარხანათა ჯგუფი თითქმის სრულად სახელმწიფოს დაკვეთებს ასრულებს და ამავდროულად კომპანია „ნექსტერის“ საკუთრებასაც წარმოადგენს

UNIQUE

Unique გახლავთ ფრანგული იარაღების მწარმოებლის, MAPF-ის სამარკო სახელწოდება. ქარხანა განთავსებული სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, ესპანეთისა და საფრანგეთის საზღვართა შორის არსებულ პირენეების ქედზე. მისი ადგილმდებარეობა სახელწოდებაშივე აისახება, რამეთუ MAPF-ის სრული ვერსია ჟღერს როგორც (Manufacture d'armes des Pyrénées françaises) საფრანგეთის პირენეის იარაღების ქარხანა. კომპანია 1923 წელს შეიქმნა და იქიდან მოყოლებული უამრავ განსხვავებული ტიპის იარაღებს ამზადებდა. ხშირად ადგილი ჰქონდა დაკვეთებს სახელმწიფოს მხრიდან. აგრეთვე ხორციელდებოდა იარაღების დამზადება სხვა ქვეყნების არმიებისათვისაც. ქარხანაში იწარმოებოდა სანადირო და სპორტული ვერსიებიც. აღსანიშნავია ფრანგული მწარმოებლის მიერ დამზადებული სანადირო და სპორტული შაშხანები, რომელთაც ლულების ცვლადი, განსხვავებული კომბინაციები გააჩნიათ. ესენია მცირეკალიბრიანი ვერსიები სერიული სახელწოდებებით T-2000 -ი და მსხვილკალიბრიანი მოდელები T-3000 -ი.

T-2000-ს კარგად იცნობენ სპორტული სროლის მიმდევრები. მათი ყველაზე პოპულარული ვერსიები



გახლდათ შაშხანები ყალიბით 22-L.r. ისინი მოზრდილი, მასიური ფორმისები იყო და მათი წონა 5 დან 6,5 კილოგრამამდე მერყეობდა. იარაღები ძირითადათ მჭიდის გარეშე მზადდებოდა და შესაბამისად მათში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ვაზნა ჩადიოდა. ლულის სიგრძე საკმაოდ გრძელი გახლავთ და სტანდარტული მოდელების შემთხვევაში 71 სმ-ს შეადგენს. თითოეულ მათგანს უკანა და წინა სამიზნე მოწყობილობები დიოპტრიული ხედვის ელემენტებით აქვთ აღჭურვილი. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მათი ეფექტური სროლის მანძილი 300 მეტრს შეადგენდა და ეს მაშინ როდესაც აღნიშნული ყალიბის ვაზნების მაქსიმალური სიჩქარე 330 მ/წმ-ზე მეტი ჯერ არ იყო მიღწეული.



რაც შეეხება T-3000-ს, ისინიც სპორტული სროლისათვის გამოიყენება და პოპულარიზაცია მათაც სწორედ დანიშნულებისამებრ გამოყენებისას განიცადეს. აღნიშნული მოდელები საკმაოდ ბევრი, განსხვავებული ყალიბებით იწარმოება. .243 Win, .6,5x55, 7mm-08 Rem, .7,5x55 Swiss, .308 Win-ეს გახლავთ იმ ვაზნების ჩამონათვალი, რომელთაც იყენებდნენ ზემოთხსენებული შაშხანების აგებისას. იარაღების ეფექტური სროლის მანძილი მცირეკალიბრიანი ვერსიების მსგავსად 300 მეტრს შეადგენს. მათი წონა 5,3 კგ-დან 6,3 კგ-მდე მერყეობს. ლულის სიგრძე 71 სმ-ია, მთლიანი სიგრძე კი 115 ან 125 სმ. სპორტული ვერსიების შესაფერისად მათაც სალოყე ბალიში და მხარზე საყრდენი რეგულირებადი აქვთ, ხოლო სამიზნე მოწყობილობად გამოყენებულია დიოპტრიული ტიპის ცილინდრული მილაკი წინა განყოფილებასთან ერთად. მათი მფლობელები და ევროპელი ექსპერტები აღნიშნული სერიების იარაღებს მაღალ შეფასებებს აძლევენ და დადებითად მოიხსენიებენ.

საკმაოდ პოპულარულია კომპანიის მიერ დამზადებული ფისტოლეტები DES-69 (სპორტული) და IS (International Silhoutte). აგრეთვე დიდი პოპულარობით სარგებლობს ფისტოლეტები Unique – L და Unique – D6. ისინი ერთმანეთს ძალიან გვანან და სხვაობა ფაქტიურად მხოლოდ ლულის სიგრძეშია. მათგან ერთ-ერთის, Unique-L-ის იმპორტი საქართველოში კომპანია შ.პ.ს. „ქარავანი+“-ის მეშვეობით განხორციელდა. ქართველ სპორტსმენებსა და იარაღის მოყვარულებზე ფისტოლეტებმა დადებითი შთაბეჭდილებები დატოვა. ის მთლიანად რკინის ბუდეშია განთავსებული და სინთეტიკური მასალის მხოლოდ ხელსაკიდზე დამაგრებული ფირფიტები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იარაღი საკმაოდ ადრეულ პერიოდშია დამზადებული, ყოველგვარი დაბრკოლებებისა თუ რესურსული შესაძლებლობების მალე ამოწურვის გარეშე ძალულს ახალი თაობის დენთით დამზადებული, ძველზე უფრო სწრაფი და მეტი ენერგიის მომცემი ვაზნების გასროლა სტანდარტული რაოდენობით. ფისტოლეტის სიგრძე 148 მმ-ია, სიმაღლე 101 მმ, ხოლო მისი წონა 585 გრამია. ფისტოლეტს ჩვეულებრივთან შედარებით, ბევრად უფრო სქელი ლულა აქვს. ის დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმის უკან გადაწევის და დამშლელი ბერკეტის მარჯვნივ და უკუ მიმართულებით მოტრიალების შედეგად მარტივად ცალკევდება იარაღისგან. მჭიდის გამომლები ღილაკი ტარის მარცხენა ქვედა ბოლოშია განთავსებული და მასზე ხელის შემთხვევით დაჭერა ფაქტიურად გამორიცხულია. ის ფისტოლეტის სხვა დეტალებთან ერთად საკმაოდ უხეში სახმარია. მაგალითისათვის სასხლეტის აგებულებაც გამოდგება, რომელიც მასიურ რკინას წარმოადგენს. თუმცაღა არც თუ ისე ცუდი სახმარია სროლისას. იარაღი თავისუფლად ეტევა ხელის გულზე და ამავდროულად Unique-L-ის მჭიდში საკმაოდ ბევრი, 10 ვაზნა ჩადის. ამგვარი მონაცემების მქონე იარაღი, რომელიც იქნება ერთდროულად პრაქტიკული და მრავალვაზნიანი, დღეს დღეობითაც იშვიათია და ხშირ შემთხვევებში მსგავსი დადებითი ფუნქცია განსაზღვრავს მის უპირატესობას კონკურენტებთან მიმართებაში.

ფრანგი პოლიციელების აზრს თუ გავითვალისწინებთ, Unique-ს მოდელებიდან ისინი ერთ-ერთ საამაყო იარაღად მიიჩნევენ საკმაოდ ზუსტ, შორს მსროლელ შაშხანას TGC-Varmint-Match-ს. მის მჭიდში 3-დან 5 ვაზნამდე ეტევა. მოდელის წრფივად მოძრავ საკეტიან მექანიზმს თავზე 3 ნახნაგი აქვს გაკეთებული. მისი წონა 5,5 კგ-ს შეადგენს. ლულის სიგრძე 51,5 სმ-ია, მთლიანი სიგრძე კი 104 სმ. ყველაზე გავრცელებული ყალიბები მათთვის გახლავთ .308 Win, 30-06 Sprg. და .300 Win.Mag.

მიუხედავად უამრავი წარმატებებისა ფირმა 2001 წელს გადაულახავი პრობლემების წინაშე დადგა. ვერც ფინანსურად და ვერც ფიზიკური ძალებით ფრანგ მეიარაღეთა ჯგუფმა ვეღარ გადალახა კრიზისული ვითარება და ქარხანა დაიხურა. მათი აქციების პაკეტი კი კომპანია FMR-მა შეიძინა.



ფისტოლეტების მწარმოებელი კომპანია – „Astra Unceta y Cía-SA“ დაარსდა 1908 წლის 17 ივლისს Juan Esperanza-სა და Pedro Unceta-ს მიერ ბასკების ცენტრში, ქალაქ ეიბარში. 1913 წელს საწარმომ ადგილმდებარეობა შეიცვალა და გერნიკაში დაიდო ბინა. მანამადე, 1912-ში ქარხანამ აწარმოა პირველი ფოსტოლეტი, რომელიც ერთი წლის შემდგომ ახალ საწარმოში მზადდებოდა. 1941 წლისათვის კი უკვე დაახლოებით 1500-მდე მოდელი იყო მზად. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში კომპანიამ დაამზადა უამრავი Browning –1903-ის ბაზაზე აგებული ფისტოლეტები სპეციალური ლიცენზიის მოპოვების შემდგომ. 1927 წელს დაიწყო ყველასათვის ცნობილი „მაუზერ-C96“-ის ასლების წარმოება სერიული სახელწოდებით M900. ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ASTRA რესპუბლიკის მხარეს აღმოჩნდა. მოგვიანებით, 1937 წელს გუერნიკა დაიმობმა იტალიური ლეგიონისა და კონდორის ლეგიონების მიერ. ამის შედმეგ Pedro Unceta თავის ძველ საწარმოს დაუბრუნდა და იქ გააგრძელა ფისტოლეტების წარმოება. ერთ-ერთი გახლდათ მოდელები სერიული სახელწოდებით M400, რომლებიც დაახლოებით 8000-მდე ეგზემპლარი დამზადდა. ცოტა მოგვიანებით ოდნავ სახეშეცვლილი ვარიანტ 14500-მდე იწარმოა. საერთო ჯამში კი ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრნობით, საიდანაც ვიგებთ დამზადების მიზეზს, შემკვეთის ვინაობასა და იარაღების რაოდენობას კონკრეტული შეკვეთისათვის მოიპოვება ინფორმაცია, რომ აღნიშნული იარაღები ამა თუ არმიისათვის დაახლოებით 100 000-მდეა დამზადებული. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, უამრავმა იარაღების მწარმოებელმა კომპანიამ შვებით ამოიოსუნქთა. ზოგიერთი კი პირიქით, საერთოდ განადგურდა და ათწლეულები დასჭირდა იმისათვის რომ აღდგენილიყო. Augusto Unceta გახლდათ 50-იანი წლების შემდგომ პერიდოში კომპანიის მფლობელი. იგი 1977 წლის 8 ოქტომბერს დახვრეტილ იქნა ბასკების ტერორისტული გაერთიანების ETA-ს მიერ.

2008 წელს სახეშეცვლილი, სულ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განახლდა საწარმო და შეიქმნა ახალი კომპანია სახელწოდებით „Astra Arms SA“. ფირმა განთავსებულია შვეიცარიის ქალაქ სიონში. ქარხანაში ამჟამად იწარმოება ჯონ მოზეს ბარუნინგის მიერ 1911 წელს დაპატანეტებული, კოლტის მიერ წარმოებული ფოსტოლეტები. ისინი .45 A.C.P.-ს გარდა სხვა ყალიბებით, 9 mm-თა და .38 Special-ითაც მზადდება.



ASTRA ARMS-ის ტაქტიკური საშხანები



შვეიცარიელები ქარხანაში ამზადებენ AR-15-ის და M4-ის ტიპის ევროპულ, გაუმჯობესებულ ვერსიებს სერიული სახელწოდებით STG Rifles. სწორედ აღნიშნული შაშხანების განახლებული და აშკარად გაუმჯობესებული ვერსიები ვიხილეთ 2011-2012-2013 წლებში გამართულ გამოფენაზე. იქ ნანახმა ნოვატორულმა იდეებმა და კონსტრუქციამ მოგვხიბლა. მითუმეტეს მაშინ, როდესაც 2009-2010 წლებში წარმოდგენილ და ნანახს ვადარებდით ახალ პროდუქციას. ისტორიულ მასალებთან ერთად სტუმართმოყვარეობა აშკარად ეტყობოდათ კომპანიის წარმომადგენლებს, რომლებთაც დაწვრილებით აგვიხსნეს ახალი, პროტოტიპი მოდელების შესახებ. მათ პირველ რიგში შედარება გააკეთეს სტანდარტულ AR-15-ისა და M4-ის ტიპის ამერიკულ ვერსიებთან. მათი თქმით შვეიცარიული მოდელები ბევრად დახვეწილი და გამძლეა. მთავარი პირობა კი ამისა გახლავთ სისტემური კოლოფის არა უბრალოდ ალუმინისაგან ჩამოსხმა, არამედ ლეგირებული, ერთ მასად შეკრული ფოლადის ნაჭრისაგან გამოყვანა – დამზადება. თავად იარაღის სტრუქტურული აგებულება, დაკუთხვა, მოპირკეთება, დეტალების ურთიერთშეთანხმებული განლაგება და ზოგადად მუშაობის პრინციპები ბევრად დახვეწილია და ამავდროულად მრავალგზის გატესტილი და ნასინჯი. მათი თქმით იარაღის თითოეული მილიმეტრიც კი ისეა აგებული, რომ გათვალისწინებულია თითქმის ყველა ფაქტორი. მითუმეტეს ამ ტიპის იარაღების შემთხვევაში დიდი ყურადღება ეთმობა გამძლეობასა და პრაქტიკულობას, ვინაიდან და რადგანაც მისი მომავალი მფოლებელი მეომრები ან პროფესიონალი მსროლელები არიან და საქმეში ხმარებისას მათ იარაღმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა უღალატოს. წარმოდგენილი იყო როგორც შავი, ისე მომწვანო ფერისა და სხვა ტაქტიკური შეფერილობის მქონე ვერსიები. კონდახებიც მხოლოდ ახალი თაობის, უფრო პრაქტიკული ეყენათ შაშხანებს. მათი რეგულირება კონდახის შუაში განთავსებული ღილაკის ორი თითით ზემოთ მოქაჩვის შემთხვევაში შეიძლებოდა. სისტემური კოლოფი აშკარად განსხვავდებოდა ძველი ბუდისაგან და მისი ვიზუალური მხარეც ამის თქმის საშუალებას იძლეოდა. მასალა რისგანაც ის გაკეთებული იყო, ძალიან წააგავდა გერმანული Heckler&Koch MK-23-ის დამშვებ დამრტყმელი მექანიზმის ნაკეთობას. აღნიშნული ფაქტი თავად კომპანიის თანამშრომლებმაც დაგვიდასტურეს და დასძინეს, რომ იარაღი წყალშიც მუშაობს და ვერც უდაბნოს ქვიშანარევი ჭუჭყი აშინებს. ამის ერთ-ერთი წინაპირობა კი სწორედ აღნიშნული მყარი ფოლადისაგან ნაწრთობი, ცივად ჭედვის წესით დამზადებული სისტემური კოლოფია. ხშირია შემთხვევები როდესაც საქმე გვაქვს მყარი ალუმინის ბუდეებთან, რომლებთაც ბევრად ნაკლები რესურსი აქვთ და კრიტიკულ, ექსტრემალურ პირობებში ზიანდებიან. შაშხანის ზედა მხარეს განთავსებული პიკატინის ტიპის სამიზნე ხიდი, რომელიც ორ ნაწილად იყოფა. ერთი ლულის ზემოდანაა განთავსებული, მეორე კი მექანიზმის ზემოდან.

კონდახის ყელის წინ, სისტემური კოლოფის ბოლო ნაწილში კი სიმბოლური სახე აქვს მიცემული შვეი-







ცარიის გერბის მსგავს ნიშანს. მარცხენა მხარეს, იმავე ზედა სისტამურ ბუდეზე გაკეთებულია წარწერა STG-შემდგომ სერიული ნომერი, შემდგომ კი Astra Arms-Sion-Switzerland-Swiss made. იარაღის შემქმნელების პატრიოტიზმი შაშხანის ვიზუალურ დათვალიერებისას უმალვე აშკარა ხდება. იგივე გერბი გვხვდება ქვედა მხარესაც. სასხლეტის მაღლა კი განთავსებულია წარწერა Astra Arms-Sion Swiss made. ზუსტად მის ჰორიზონტალურად კი კვლავ წარწერა Astra (ლოგოს სახით), ყალიბის აღმნიშვნელი ციფრები (5.56x45mm) და სერიული ნომერი.

დამცველი ღილაკი, როგორც წესი ორივე მხარეს არის გაკეთებული და მას ავტომატურ რეჟიმზე გადამრთველის ფუნქცია ძირითად შემთხვევებში არ აკისრია, ის მხოლოდ სასხლეტის დამცველის ფუნქციას ასრულებს. იარაღის მეორე მხარეს, მჭიდის მაღლა, სისტემურ კოლოფზე მეოთხე სიმბოლური ლოგო გვხდება შვეიციარიის გერბის მსგავსი, რომელსაც ქვეშ წარწერა აქვს გაკეთებული Swiss made. ლულის გარე კონდახზე შაშხანის თითქმის ნებისმიერ ახალ ვერსიას ზედა სამიზნე ხიდის გარდა, კიდევ 3 დამატებითი პიკატინის ტიპის ხიდი აქვს გაკეთებული მარჯვნივ, მარცხნივ და ქვემოთ. დიდი მოწონება დაიმსახურა წინა სამიზნე ჩხირმა/სამიზნე რქამ, რომელიც იმავე პიკატინის ბუდეშია განთავსებული და ზემოდან გრძელი ოპტიკური სამიზნის დაყენების შემთხვევაში მისი მოხსნა საჭირო არაა, შესაძლებელია უბრალოდ ის ჩავკეცოთ და საჭიროების შემთხვევაში კვლავ საწყის პოზიციას დავუბრუნოთ. წარმოდგენილი იყო ჩვეულებრივი, ხშირად ნანახი სტანდარტული ტიპის მაყუჩიანი მოდელები. მათთან ერთად გვხვდებოდა ახალი მეთოდიკითა და თანამედროვე დიზიანერების მიერ დაპროექტებული მაყუჩი. მას შუაში SWT-ს ლოგო ჰქონდა გაკეთებული (Schweizer Waffen Technik – შვეიცარიული იარაღების ტექნიკა). ლოგოს გვერდითა მხარეებზე გაკეთებულია მინიშნებები, რომ მაყუჩი დამზადებულია მხოლოდ სამხედრო დანიშნულებისამებრ და მათი გამოყენება მხოლოდ ამ პროფილითაა დაშვებული. აგრეთვე წარწერა XSS – Extreme Sound Suppresor, რაც ნიშნავს, რომ მაყუჩი თავისზე დაკისრებულ მოვალეობას უნაკლოდ ასრულებს და მაქსიმალურად ახშობს ხმას. ყველაზე საინტერესო და ცოტათი სასაცილოც გახლავთ მაყუჩის ბოლოში გაკეთებული წარწერა – Front Toward Enemy-წინ, მტრის მიმართულებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომპანია ერთ-ერთი საუკეთესოა ზემოთ ხსენებული ტიპის იარაღების მწარმოებელ ქარხნებს შორის. შვეიცარიელებისაგან ალბათ სხვაგვარ შედეგებსა და ნაწარმს არც უნდა ველოდეთ.

B&T BRÜGGER&THOMET

მსოფლიო მაშტაბით ტარდება გამოფენები, სადაც სანადირო და სპორტული დანიშნულების იარაღებთან ერთად წარმოდგენილია ხოლმე პოლიციური, სამხედრო დანიშნულების მქონე პროდუქციაც. სადაც შესაძლებელია ჩვეულებრივი მეიარაღისათვის, ცივილური იარაღით მოვაჭრე დილარისათვის ან უფლებამოსილი ჟურნალისტისათვის ამ პროდუქციის დათვალიერება და მათი ტექნიკური თუ სხვა მახასიათებლების განხილვა.

ერთი-ერთი ფირმა, რომელიც აღნიშნული ტიპის პროდუქციას აწარმოებს, შვეიცარიაში, ქალაქ ტუნში განთავსებული ადგილობრივი ბრენდი – „B&T“-ი გახლავთ. ქარხანა სპორტულ ვერსიებთან ერთად სამხედრო და პოლიციის იარაღებსაც ამზადებს.

სახელწოდება:	APC 9 Carbine
მწარმოებელი:	B&T (Brüger&Thomet)
ყალიბი:	9x19 mm NATO, 45ACP.
მჭიდის ტევადობა:	9 მმ-15, 20, 25, 30. .45 ACP-12,17 და25.
ლულის სიგრძე:	175 ან 406 მმ
მთლიანი სიგრძე:	600 მმ. ან 385 მმ.
იარაღის წონა:	2400 გრ, (მჭიდის გარეშე)
კადენცი:	900-1080 გასროლა წუთში
გასროლის ხმა მაყუჩის გარეშე:	158 DB (დეციბალი)
გასროლის ხმა მაყუჩით:	128 DB-30 დეციბალით ნაკლები
გარანტია:	2 წელი



&T APC 9 Carbine

ერთ დროს Brügger&Thomet-ის სახელით ცნობილი წარმოება 1991 წელს ჩამოყალიბდა. უმთავრესი როლი მის განვითარებასა და დაარსებაში მისმა ამჟამინდელმა მფლობელმა კარლ ბრუგერმა ითამაშა. საწარმო აგრეთვე ცნობილია, როგორც მსოფლიო ლიდერი სხვადასხვაგვარი მაყუჩების დამზადებაში. ამჟამად შვეიცარიელები აწარმოებენ ყუმბარმტყორცნებს, მოკლე ავტომატებს – ცივილურ ნახევრად ავტომატურ შაშხანებს და სნაიპერულ-სპორტულ შორსმსროლელ შაშხანებს.

პრესაში არაერთხელ გახმაურდა და დაიწერა B&T-APC-9 (Advanced Police Carbine)-ს შესახებ. ის ორი განსხვავებული ყალიბით იწარმოება, 9 mm Luger და .45 ACP. საინტერესოა, რომ იარაღის ორი განსხვავებული ზომის სისტემური კოლოფი მზადდება, 316 და 380 მილიმეტრი სიგრძის. რაც შეეხება მთლიან სიგრძეს, ის უამრავი განსხვავებული აქსესრუარებისა თუ რეგულირებადი კონდახების გამო სხვადასხვა ზომის შეიძლება იყოს. დღესდღეობით იწარმოება იარაღის როგორც ავტომატური, ისე ნახევრად ავტომატური ვერსია. მყარი, ლეგირებული და ანოდიზირებული ალუმინის სისტემური კოლოფი ერთი, მასიური დეტალისაგან არის გამოჭრილი. ორივე პიკატინის ტიპის ხიდები მასზევე არსებულ ერთ საერთო მასას წარმოადგენენ. მოკლე ვერსიების შემთხვევაში ზედა პიკატინის ხიდის სიგრძე 230 მმ-ს შეადგენს, ხოლო ქვედასი 77 მმ-ს. აღნიშნული ზომები საშუალებას იძლევა მასზე დამაგრდეს თითქმის ნებისმიერი იარაღისათვის მიზანშეწონილი სამიზნე მოწყობილობა. დამატებითი იგივე ზომის, 77 მილიმეტრიანი პიკატინის სამიზნე ხიდები განთავსებულია სისტემური კოლოფის მარჯვენა და მარცხენა გვერდებზე, სადაც შესაძლებელია სურვილის შემთხვევაში ლაზერის, ფანარის, ღამის ხედვის მოწყობილობის ან რაიმე სხვა მსგავსი აქსესუარის დამაგრება.

სისტემური კოლოფის უკანა მხარეს განთავსებულია მასიური ლულის ფუძე-ბლოკი, რომელზეც ლულაა ჩასმული და რომელიც ძალზედ მყარადაა დამაგრებული თავად ბუდეზე. ლულის სიგრძე 170 მილიმეტრს შეადგენს. იმის გარდა რომ მისი უკანა მხარე ჩასმულია ფუძეში, შუაში განთავსებულია რგოლისებრი დამჭერი, რომელიც ლულაზევეა შემოხვეული და ამავდროულად სისტემურ კოლოფზე ეყრდნობა.

ლულის დედა ფუძეზე ინტეგრირებულია სპეციალური გადამრთველი. როდესაც მსროლელი მას ხსნის, აირების წნევის გარკვეული ნაწილი გადაინაცვლებს სავაზნის წინ და შესაბამისად მათი გამოყენება გადასატენად აღარ ხდება. ამით მიიღწევა ის, რომ ზებგერითი ვაზნების სიჩქარე გასროლისას მცირდება და ისინი მიფრინავენ ბგერის სიჩქარეზე ნელა. შესაბამისად აღარაა აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში ზებგერითი ამუნიციის შედარებით ნელი ვერსიებით შეცვლა. უფრო ნათელი რომ გახდეს ზემოთხსენებული ფუნქციის დადებითი მხარე მაგალითის სახით დავასახელებთ პრაქტიკაში უკვე ნაცად სროლის ხერხს. თუ სპეციალური დანიშნულების ჯგუფს იარაღზე დამაგრებული აქვს მაყუჩი, რომლითაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ზებგერითი ვაზნების გასროლა, იარაღს და შესაბამისად მსროლელს ძალულს აღნიშნული ფუნქციის გამოყენებით აწარმოოს ზებგერითი ვაზნების გასროლა ისე რომ მაყუჩი არ დაზიანდეს ან შეინარჩუნოს მისთვის მინიჭებული რესურსი და მალე არ გამოვიდეს მწყობრიდან.

იარაღის დაშლისას შესაძლოა ცოტა გაგვიკვირდეს, როდესაც სისტემურ კოლოფში განთავსებულ არამბრუნავ თავიან, თავისუფალ, მასიურ საკეტს დავინახავთ. ამ უბრალო მაგრამ ფუნქციონალურად უტყუარ სისტემას გარკვეული უარყოფითი მხარეების გამო ბევრი მწარმოებელი აღარ იყენებს. თუმცა ჩვენს შემთხვევაში საკეტი სტანდარტულზე ბევრად გაუმჯობესებულია. ეს პირველ რიგში გამომდინარეობს მექანიზმის წონიდან, რომელიც 460 გრამს შეადგენს. აღნიშნული წონა გახლავთ ისრაელის „უზის“ საკეტი მექანიზმის დაახლოებით მესამედი. ამავდროულად საკეტი მექანიზმის უკან დამაგრებულია სპეციალური უკუცემის ელიმინატორი – უკუცემის აღმომფხვრელი, რომელსაც სროლისას ევჯახება საკეტი მექანიზმი და მისი ზემოქმედების შედეგად მუხრუჭდება. შესაბამისად მცირდება უკუცემაც. 79 მილიმეტრის სიგრძის საკეტი მექანიზმის თავსა და ბოლოში დაფიქსირებულია რგოლები, რომლებიც გასროლისას სასხლეტზე თითის არ აშვების შემთხვევაში თავად ხსნიან საკეტს და იწარმოება ავტომატური გასროლა. აღსანიშნავია რომ ნახევრად ავტომატურ ვერსიებში ეს რგოლები საერთოდ ამოღებულია და ავტომატურის საკეტი მექანიზმი ნახევრად ავტომატურის სისტემურ კოლოფში არ თავსდება. შესაბამისად ფაქტიურად შეუძლებელია კუსტარულ პირობებში ნახევრად ავტომატურიდან ავტომატურ ვერსიაზე გადაკეთება.

საკეტი მექანიზმის სახელური – ბერკეტი, რომლითაც გადატენვა ხორციელდება სტანდარტულად სისტემური კოლოფის მარცხენა მხარესაა





B&T APC 9 Carbine საკეცი კონდახით



სახელწოდება:	SPR-300
მწარმოებელი:	B&T AG
კალიბრი:	300 Whisper
სისტემა:	მექანიკური – ცილინდრული – წრფივად მოძრავი საკეტი
ლულის სიგრძე: (მმ)	250
საერთო სიგრძე: (მმ)	გაშლილი კონდახით 955, დაკეცილი კონდახით 740
ეფექტური სროლის მანძილი: (მ)	150
იარაღის წონა: (აქსეს. გარეშე)	3,4 კგ.
მჭიდის ტევადობა:	10 და 20 ვაზნა
დამატებითი აქსესუარები:	ტაქტიკური ღვედი, მყარი კეისი.
ტყვიის მიახლ. სიჩქარე: V0	14 გრ-320 მ/წმ, 8 გრ-640 მ/წმ.
ტყვიის მიახლ. ენერგია: E0	14 გრ-720 ჯოული, 8 გრ-1670 ჯოული

განთავსებული. დაახლოებით ისე, როგორც ეს გერმანული Heckler&Koch-ის რამოდენიმე მოდელის შემთხვევაში ჩვგხვდება. სისტემის დადებითი მხარე მდგომარეობს სწრაფ სროლაში და მოქნილ, მანევრირებად საბრძოლო მზადყოფნაში. ანუ როდესაც მჭიდს ვუკეთებთ იარაღს, მარჯვენა ხელში, ტარით მხარზე მიბჯენილი გვიჭირავს იგი. მჭიდის ჩასმის შემდგომ მარცხენა ხელით ვახორციელებთ გადატენვის პროცედურას და შემდგომ უკვე შეგვიძლია ვაწარმოოთ გასროლა. ხოლო იმ იარაღების შემთხვევაში რომლებსაც საკეტი მექანიზმის სახელური მარჯვენა მხარეს აქვთ განთავსებული, მემარჯვენეებისათვის აუცილებელია მხარზე მიბჯენილი იარაღის ჩამოღება, მარჯვენა ხელით გადატენვა და შემგომ ახლიდან მხარზე მიბჯენა. ამასობაში დაკარგულია მინიმუმ 3-5 წამი. რაც შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს კონკრეტულ ვითარებაში. აღსანიშნავია რომ იარაღზე ორივე მხარეს შეიძლება დამაგრდეს ზემოთხსენებული საკეტის ხელსაკიდი-სახელური, ანუ შესაძლებელია სისტემის ცაციებისათვის გადაკეთება.

სასხლეტი, მისი მექანიზმი და დამრტყმელი მექანიზმი ძალიან ჰგავს M-16-ის სისტემას. დამცველი ღილაკი ამავდროულად წარმოადგენს ნახევრად ავტომატურ და ავტომატურ ჯერზე გადამრთველს. იარაღზე ორნაირი ტარი მაგრდება, რომელთა დაკეცვაც მარტივად, ღილაკზე თითის დაჭერითაა შესაძლებელი.

ჩვენს მიერ საგამოფენო კომპლექსში ნანახი ცივილური, ნახევრად ავტომატური ვერსიის ყალიბი იყო 9-მმ. მას ზემოდან დამაგრებული ჰქონდა Aimpoint-ის ოფტოელექტორნული სამიზნე მოწყობილობა TL1. მჭიდი 30 ვაზნიანი, სინთეტიკური მასალის ეკეთა. ლულისქვეშ, პიკატინის ხიდზე დამატებითი, დამხმარე სახელური იყო განთავსებული. შაშხანას კომპლექტაციაში მოყვებოდა დამატებით ერთი 15 ვაზნიანი მჭიდი, ერთი 30 ვაზნიანი მჭიდი, ტაქტიკური საყრდენი კონდახი და საწმენდი მოწყობილობა. ეს ყველაფერი პოლიმერის კომპაქტურ ყუთში თავსდებოდა.

ზოგადად იარაღმა ძალინ ბევრი სპორტსმენის, კოლექციონერისა თუ გამოცდილი, ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე მსროლელის გული დაიპყრო. აგრეთვე დადებითი შეფასებები დაიმსახურა პრესის მხრიდანაც. თუმცა გამოჩნდნენ კრიტიკოსები, განსაკუთრებით გამოფენებზე და უფრო მეტად ინტერნეტ ფორუმებში, რომლებმაც თავისებური უარყოფითი თვისებები მოუნახეს იარაღს. ამ დროს ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს სრულყოფილი ქმნილების შექმნა სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ადამიანებს არ შეგვიძლია...

დიდი ხანი არაა რაც ბაზარზე გამოჩნდა SPR300 (cal.300 whisper) special purpose rifle-SPR 300 (.300 Whisper-ის კალიბრიანი) სპეციალური დანიშნულების იარაღი. შვეიცარიელების მიერ აგებული „ზუსტმსროლელი" შაშხანა შექმნილია განსაკურთრებული ოპერაციების შესასრულებლად. ის არ არის დაპროექტებული იმისათვის რომ შეცვალოს ანალოგიური ტიპის იარაღები .308 Winchester-ის კალიბრით. მისი დანიშნულებაა გახდეს ელიტარული ქვედანაყოფების განუყოფელი ატრიბუტი, რომელიც განახორციელებს სნაიპერის მოთხოვნებსა და სურვილებს საუკეთესოდ. მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება იარაღის შემქმნელების თქმით უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური ობიექტების ნეიტრალიზირებისას, დისკრეტული განადგურებისას – გარე განათებების განადგურებისას, სპეციალურად დაგეშილი ძაღლების შორ დისტანციაზე ლიკვიდაციისას, მანქანის საბურავების და სხვა წინაალმდეგობების გადალახვისას, რომლებიც შეიძლება შეექმნას პოლიციის სპეციალურ ქვედანაყოფებს ან სამხედრო ოპერაციების შესრულებისას სპეცრაზმს.

SPR 300-ის კონდახზე ვერტიკალურად, რეგულირებადი სალოყე ბალიში აყენია. ფისტოლეტისებრი ტარის მოყვანილობა და დიზაინი ავსტრიულ Steyr Mannlicher-ის რამოდენიმე მოდელს ჰგავს. კონდახი იკეცება და მომწვანო-სალათისფერი სისტემური კოლოფის გვერდზე მაგრდება. გრძელ პიკატინის ხიდზე, რომელიც სისტემურ კოლოფზე ოდნავ გძელია და ზუსტად ორფეხა სადგამის ზემოთ მთავრდება, დამაგრებულია გერმანული წარმოების Schmidt&Bender-ის ბრენდის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა. მარცხენა და მარჯვენა მხარეს განთავსებულ მოკლე პიკატინის ხიდებზე შესაძლებელია სურვილის შემთხვევაში სხვადასხვა აქსესუარის (ლაზერის, ფანარის, ოფტოელექტორნული მოწყობილობების...) დამაგრება. ნახევრად გამჭვირვალე მჭიდი სისტემური კოლოფის შუაშია განთავსებული. მისი გამომღები ღილაკი კი იქვე, მჭიდისა და სასხლეტის ბუდის შუაში მდებარეობს. სამ ბიჯიანი სასხლეტის დამცველი ღილაკი ფისტოლეტისებრი ტარის ზევით, სისტემური კოლოფის მარჯვენა ბოლოზეა განთავსებული. პირველი საფეხური, რომელიც თეთრი ფერის S-ითაა აღნიშნული, მიგვითითებს რომ იარაღი სრულად იმყოფება დაცვაზე. მას შემდგომ მოდის წითელი ფერის წერტილი, რომელიც მიგვითითებს, რომ შესაძლებელია მხოლოდ საკეტი მექანიზმის გახსნა, მაგრამ სასხლტზე გამოკვრა და ცეცხლის წარმოება შეუძლებელია, რამეთუ თავად სასხლეტი „ბოლტისაგან" განხვავებით დაცვაზე იმყოფება. მესამე საფეხურია წითელი ფერის F, რომელიც მიგვითითებს რომ შაშხანა სრულ მზადყოფნაშია და მზადაა ცეცხლის საწარმოებლად.



ყველაზე საინტერესოა იარაღის ლულისა და მაყუჩის ურთიერთ კავშირი სავაზნესთან, სწორედ იმ ადგილში, სადაც ხდება საკეტის თავის მისთვის განკუთვნილ ჭრილებში ჩაკეტვა, ლულასთან ერთად იწყება ფიქსირებული, ძალიან გრძელი მაყუჩი. იგი ფაქტიურად ლულის სიგრძის ტოლია. თუმცა ისეთი ძლიერი და ხარისხიანი ხმის ჩამხშობი სისტემების მწარმოებლისგან, როგორიც ზემოთხსენებული კომპანიაა, გასაკვირი არ უნდა იყოს მსგავსი მოდელის პროექტირება. აღნიშნულ იარაღს ამგვარი ლულითა და მაყუჩით იდეალური ვაზნა შეურჩიეს. ეს გახლავთ ყალიბი სახელწოდებით. 300 Whisper-ი. მოდელი შექმნილია იმისათვის რომ არ აჭარბებდეს ბგერითი სიჩქარის ბარიერს და ამავდროულად სროლისას შენარჩუნებულ იქნას მაღალი ენერგია 150 მეტრ მანძილზე გრკვეული ობიექტების მწყობრიდან გამოსაყვანად ან გასანადგურებლად. ამგვარი ვაზნის SPR-300 -დან გასროლის შემთხვევაში ხმოვანება 40 დეციბალს არ აღემატება. ეს კი ტოლფასია სუსტი ჰაერის თოფიდან გასროლილი ხმისა, რაც არაჩვეულებრივი ვითარებაა ახლო დისტანციებზე სნაიპერული სროლის წარმოებისა. ვაზნა, რომელიც მაყუჩიანი იარაღებისათვის 1990 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჯ.დ. ჯოუნსის მიერ შეიქმნა, სიმაღლეში ფაქტიურად .223 Remington-ს უტოლდება. ხოლო მისი ტყვია ბევრად აღემატება აღნიშნული ყალიბის ვაზნის თავს და დაახლოებით .308 Winchester-ის ტყვიის წონის მოცულობისაა, ხოლო ზოგ შემთხვევებში აღემატება კიდეც.

იარაღის ხილვა 2012 წელს გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე მოვახერხეთ, რომელიც ქალაქ ნიურნებრგში გაიმართა. კომპანიის თანამშრომლებთან საუბრისას დავრწმუნდით იარაღის სტრუქტურული აგებულებისა და მისი თეორიული მხარის უნაკლოებაში. ვიზუალური დათვალიერებისას და ფოტომასალის მოპოვებისას კი აშკარა გახდა რომ Brügger&Thomet თავის ჩვეულ ხარისხსა და სტანდარტებს არ ღალატობდა.

კომპანია „B&T AG-ს საგამოფენო კომპლექსში ცალვაზნიანი ყუმბარმტყოცნი GL-06 ჰქონდა წარმოდგენილი. იარაღი ისვრის 40x46 მმ-ის ნებისმიერი სახეობის ვაზნას. ლულის ზემოდან გაკეთბული ინტეგრირებულია პიკატინი, გრძელი ხიდი, რომელზეც მაგრდება სასურველი სამიზნე მოწყობილობა. ყუმბარმტრყოცნს ლულის პირთან, მარჯვენა, მარცხენა და ქვედა მხარეს მოკლე პიკატინის ხიდები აქვს გაკეთებული. გვერდებზე ფანრისა და ლაზერის დამაგრება შეიძლება, ქვემოდან დამხმარე სახელური ან ორფეხა სადგამი უკეთდება და ბევრად უფრო მოხერხებული და კომფორტული ხდება სროლის წარმოება.

დატენვისას ცალლულიანი თოფის მსგავსად იარაღის ლულა იხსნება და სავაზნეში იდება მხოლოდ ერთი ვაზნა. მასიურ სასხლეტზე თითის გამოკვრისას შესაძლებელია ყოველგვარი დამცველისა თუ სხვა ბერკეტის გადართვის გარეშე ცეცხლის წარმოება. ყუმბარმტყორცნზე მაგრდება ორი განსხვავებული ფორმის რეგულირებადი კონდახი. იარაღის ლულის სიგრძე შეადგენს 280 მილიმეტრს და მასში გაკეთებულია 12 ხრახნი – ჭრილი. რაც შეეხება მთლიან სიგრძეს, ის გახსნილი ტარის შემთხვევაში 590 მმ-ია, ხოლო დაკეცილის შემთხვევაში 385 მმ. სიმაღლეში იარაღი 20 სანტიმეტრს უტოლდება და სულ რაღაც 2,15 კილოგრამს იწონის.

საგამოფენო კომპლექსში წარმოდგენილ ვერსიას დამაგრებული ჰქონდა Aimpoint-ის სამიზნე მოწყობილობა Red Dot Sight Micro T-1. თვალსაჩინოების მიზნით წარმოდგენილი იყო გაჭრილი ვერსია, რათა ხილვადი ყოფილიყო შიდა სტრუქტურული აგებულება და მუშაობის პრინციპები.

შორს მსროლელი შაშხანის, Brügger&Thomet APR 338-ის ხილვა გამოფენებზე ვერ მოხერხდა. შესაბამისად ქართველების მეგობარ მეიარაღეებთან და პარტნიორებთან შევეცადეთ ზემოთხსენებული მოდელი ახლოს გვენახა და მის შესახებ გარკვეული ინფორმაცია თუ ფოტომასალა მოგვეპოვებინა. ძიების შედეგად შვეიცარიული კომპანიის ერთ-ერთ წარმოადგენელთან, ავსტრიაში არსებულ კომპანია Austria-arms -სთან მივაგენით აღნიშნულ მოდელს.

APR განიმარტება როგორც Advanced Precision Rifle – განვითა-



B&T SPR-300 კალ. 300 Whisperi-ის ლულას თავიდან ბოლმდე მაყუჩი აქვს დამაგრებული



B&T GL-06 ყუმბარმტყორცნი ყალიბით 40x46

რებული ზუსტ მსროლელი შაშხანა. იარაღის საკეც კონდახზე განთავსებული სალოყე ბალიში და მხარზე საყრდენი რეგულირებადია. ამავდროულად კონდახის ქვეშ განთავსებულია საყრდენი ფეხი, რომლის სიმაღლის კონტროლიც შესაძლებელია. ის ეხმარება მსროლელს დააყრდნოს უკანა მხარე და უფრო იოლად განახორციელოს ზუსტი გასროლა. ფისტოლეტისებრი ტარი მოხერხებულად ჯდება ხელში. სასხლეტი ცვლადია და მასზე დამატებითი დამცველი ღილაკია განთავსებული. ორ საფეხურიანი მთავარი დამცველი ღილაკი სისტემური კოლოფის მარჯვენა მხარეს, ფისტოლეტისებრი ხელსაკიდის თავშია განთავსებული. მასიური სახელურის – ბერკეტის მოქაჩვისას სამ კბილიანი საკეტი მექანიზმის გახსნის კუთხე 60°-ს შეადგენს.

სისტემური კოლოფის ზემოდან, პიკატინის ტიპის ხიდზე Schmidt&Bender TRS (Tactical Rifle Scope) BT-3-12x50-CC-ის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობაა განთავსებული, რომელიც სპეციალურად აღნიშნული იარაღისათვის დაამონტაჟა და გერმანელი მწარმოებლების რეკომენდაციის საფუძველზე შეიძინა ავსტრიელმა მეიარაღემ. ობიექტივის ლინზა საკმაოდ მოხერხებულად და ჭკვიანურად განთავსებული შტრიხებით – წერტილებითაა მონიშნული. სიგრძივ ვერტიკალურად, მარჯვნივ და მარცხნი,ვ ოთხ-ოთხი წერტილია განთავსებული, რომელთა შორისი დაშორებაც ტოლფასია 100 მეტრისა. ხოლო ქვედა მხარეს ჰორიზონტალურად გავლებულია ხაზები, რომლებიც ტოლფასია: I ხაზი – 800 მეტრი, II ხაზი – 400 მეტრი, III ხაზი 600 მეტრი და IV ხაზი – 1200 მ. პარალაქსისა და ილუმინაციის მარეგულირებელი რგოლები მარცხენა გარე კედელზეა განთავსებული, ელევაციის მარეგულირებელი ზედა მხარეს, ხოლო ქარის წინააღმედგ მოქმედება მარჯვენა გარე კედელზე არსებული რგოლითაა შესაძლებელი. სისტემური კოლოფიდან ლულის ბოლომდე გაბმულია მირაჟის საწინააღმდეგო ღეედი, რათა უფრო უკეთ მოახდინოს მსროლელმა მიზნის დანახვა.



მწარმოებელი:	Brügger&Thomet AG, Switzerland
სახელწოდება:	B&T APR338
კალიბრი:	.338 Lapua Magnum (8.6x70 mm)
სისტემა:	ცილინდრული – მექანიკური ტიპის წრფივად მოძრავი საკეტი
ლულის სიგრძე: (სმ)	71
მთლიანი სიგრძე: (მმ)	დაკეცილი კონდახით – 1002 გაშლილი კონდახით 1236 (+75 მმ)
ეფექტური სროლის მანძილი:	1300-1500 მეტრი
წონა: (კგ)	7,7
მჭიდის ტევადობა:	10 ვაზნა
სამუშაო ტემპერატურა:	.-30°C-დან +50 °C-მდე.
ლულის რესურსი:	5000 ვაზნა²

ცივად გამოჭედილი, მასიური, სქელი ლულა სრულად თავისუფალი რხევის ზონაში იმყოფება. მის ბოლოში მაგრდება ცეცხლმაქრი-კომპენსატორი ან მაყუჩი. ფაქტიურად შაშხანა ყველაფრითაა დაკომპლექტებული, რაც აუცილებელია ამგვარი ტიპის იარაღისათვის. ამავროულად შესრულების ხარისხი უმაღლესია. იარაღის ფასი დამოკიდებულია კომპლექტაციაზე და დაახლოებით 5000 ევროდან იწყება.

შორს მსროლელ შაშხანას მოკლელულიანი ფისტოლეტ-ტყვიამფრქვევიც უმშვენებდა გვერდს, თუმცა მას მთლად ტყვიამფრქვევს ვერ ვუწოდებთ, რადგანაც ჩვენს პარტნიორს მიუხედავად იმისა რომ ავტომატური იარაღის გაყიდვის უფლება ჰქონდა, ორივე მოდელი, შავიც და სალათისფერიც ცივილურ, ნახევრადავტომატური ვერსიების კატეგორიას განეკუთვნებოდა.

მოდელები Brügger&Thomet TSP42 Desert Sand და Brügger&Thomet TSP42 Tactical Black იწარმოება ყალიბით 9 x 19 mm. ორივე მათგანი აღჭურვილია ინტეგრირებული საკეცი კონდახითა და ლულისქვეშა დამხმარე სახელურით. პიკატინის ხიდები ზედა და მარჯვენა მხარეებზეა განთავსებული. სტანდარტულად ზემოდან აყენია Aimpoint-ის სამიზნე მოწყობილობა Micro T1. იარაღი M-4-ვით იტენება და სისტემური კოლოფის

თავში განთავსებული ბერკეტის უკან მოქაჩვით ხორციელდება ვაზნის მჭიდიდან სავაზნეში გადატანა. საკეტი მექანიზმის დამშვები ღილაკი სისტემური კოლოფის მარცხენა მხარესაა განთავსებული. სასხლეტის დამცველი აღნიშნული ღილაკის ქვემოთაა, ხოლო მჭიდის გამომღები – დამჭერი მარჯვენა მხარეს, ტარის თავში გვხვდება. იარაღებს კომპლექტაციაში მოყვებათ პოლიმერის მასალის მყარი კეისი, ტაქტიკური ტიპის ღვედი, საწმენდი მოწყობილობა და ინსტრუქტაჟი CD დისკის სახით. მისივე აღჭურვილობაშია ორი ერთეული ცვლადი მჭიდები, 15 და 30 ვაზნის ტევადობით. შავი ვერსიის, ანუ Brügger&Thomet TSP42 Tactical Black-ის ფასი შეადგენდა 1750 ევროს, ხოლო სალათისფერის, Brügger&Thomet TSP42 Desert Sand-ის 1820 ევროს.





Brügger & Thomet TSP42 Desert Sand და Brügger & Thomet TSP42 Tactical Black



მეიარაღეობა ჩეხეთში – CZECH SMALL ARMS

ჩეხური იარაღების მწარმოებელი Czech small Arms დღესდღეობით წარმოადგენს ერთადერთ SA vz. 58 შაშხანებისა და SA vz. 61-ის ტიპის ფისტოლეტების დამამზადებელ კომპანიას მსოფლიოში. თუ სადმე იხილავთ ამგვარ მოდელს სხვა ბრენდის სახელით, ისინი ან აღნიშნული ქარხნის მიერაა გაკეთებული კონკრეტული ფირმისათვის ან მათ მიერ წარმოებული დეტალების გამოყენებით ხორციელდება მათი სხვა სახელით აწყობა და შემდგომ რეალიზაცია.



მოდელი:	SA VZ. 58 SPORTER COMPACT
ყალიბი:	.223 REM (5.56 X 45 MM)
სიჩქარე:	675-685 მ/წმ
ხრახნების რაოდენობა ლულაში:	4
ხრახნებს შორისი ბიჯი:	1:07
შაშხანის სიგრძე გახსნილი კონდახით:	645 MM
შაშხანის სიგრძე დაკეცილი კონდახით:	435 MM
ლულის სიგრძე:	190 MM
შაშხანის სიგანე:	59 MM
შაშხანის სიმაღლე მჭიდთან ერთად:	170 MM
პრაქტიკული სროლა / კადენცი:	40 ვაზნა/წუთში
მაქსიმალური სროლის მანძილი/ლეტალური ეფექტით:	1,100 M
ეფექტური სროლის მანძილი:	300 M
შაშხანის წონა მჭიდის გარეშე:	2.75 კგ
შაშხანის წონა დატენილი მჭიდით:	3.26 კგ
ცარიელი მჭიდის წონა:	0.15 კგ
სავსე მჭიდის წონა:	0.51 კგ
სასხლეტზე ზემოქმედებს ძალა:	2.5-2.7 კგ (24.5-26.5)
მიახლოებითი ფასი ევროპაში:	1100 EU

აგრთვე აღსანიშნავია, რომ ხორციელდება ზოგიერთი კომპანის მიერ ძველი, ავტომატური შაშხანების ნახევრად ავტომატურ ვერსიად გადაკეთება და ცივილერ ბაზარზე გაყიდვა.

Czech small Arms-ი სხვა დადებით მახასიათებლებსაც სთავაზობს თავის მომხმარებელს და ახდენს SA vz. 58 შაშხანების სერიულად უკვე .222 და .223 Remington-ის ვაზნებზე წარმოებას, რაც სიახლეს წარმოადგენს. აქამდე ისინი მხოლოდ 7,62x39 mm-ის ყალიბით იწარმოებოდა.

2014 წელს შესაძლებელი გახდა ჩეხური კომპანიის მმართველ



გუნდთან გასაუბრება და მცირედი ინფორმაციის მიღება მათი პროდუქციის შესახებ. აგრეთვე შესაძლებელი გახდა მათ მიერ წარმოებული იარაღების საქართველოს ბაზარზე შემოტანა შ.პ.ს. „ქარავანი+“-ს მეშვეობით, რამაც საგრძნობლად შეცვალა ქართველი სპორტსმენებისა და მონადირეების აზრი რუსულ პროდუქციაზე, რამეთუ ჩეხური ნაწარმი თითქმის იგივეს ფასობდა და ხარისხით ბევრად აღემატებოდა დაახლოებით იმავე ტიპის შაშხანებს. როგორც ჩეხებმა განგვიმარტეს, ისინი ლულებს გერმანულ მწარმოებელს, Lothar Walther-ს უკვეთავენ და მხოლოდ აღნიშნული ფირმა ახორციელებს ჩეხებისათვის ამ კონკრეტული დეტალების დამზადებას. შესაბამისად ყველაზე მოკლე ვერსიის SA vz. 58 Sporter Compact-ის ეფექტური სროლის მანძილი 223 Remington-ის ვაზნებზე, რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს 300 მეტრს წარმოადგენს. თავად ჩეხები კი ამ შედეგს პირველ რიგში გერმანელ პარტნიორებს მიაწერენ. აგრეთვე აღსანიშნავია შაშხანების სისტემური კლოფები, რომლებიც მხოლოდ რკინისაგან მზადდება და თავად მწარმოებლების განცხადებით, თითოეული მათგანის გამოჭრას CNC-ის მანქანით ორ ნახევარი საათი ესაჭიროება. ეს ყველაფერი მეტყველებს უტყუარობასა და სტაბილურ ფუნქციონირებაზე მომავალში.

დღესდღეობით ჩეხური შაშხანები უკვე დიდი ხანია რაც წარმატებულად იყიდება ამერიკის შეერთებულ შტატებში. გახორციელდა ასევე მათი პოპულარიზაცია ჰოლივუდის ერთ-ერთ წარმატებულ პროექტში, სადაც ექსკლუზივურად მხოლოდ ზემოთხსენებული ჩეხური კომპანიის იარაღებია გადაღებული. Czech small Arms-ის პროდუქციის წარმატებული რეალიზაცია ევროპაშიც ხორციელდება. აღსანიშნავია გერმანელი დილერი Waffen Schumacher, რომელიც წარმოადგენს ჩეხური ბრენდის ექსკლუზივურ წარმომადგენელს გერმანიაში.

სავარაუდოდ, თუ გავითვალისწინებთ Czech small Arms-ის მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხს, ფასსა და ქართული კომპანიის გამოცდილებას, მათი იმპორტი და რეალიზაცია ქართულ ბაზარზეც წარმატებულად უნდა გახორციელდეს.

მეიარაღეობა სამხრეთ აფრიკაში – Truvelo

კომპანია „Truvelo Manufactures LTD „ დაარსდა 1966 წელს, ფრანც იოსეფ გებერტის მიერ. ერთ დროს შესაძლოა საკვირველიც ყოფილიყო ბევრისათვის ფირმის წარმომავლობა და მისი ამჟამად თანამედროვედ აღჭურვილი საწარმოს ადგილმდებარეობა. თუმცა უკვე აღარავის უკვირს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის განვითარება და ამა თუ იმ ქვეყნისათვის სასარგებლო პროექტების წარმოება. ქალაქ მიდრანდში, სადაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტრუველო“-ს ქარხანა მდებარეობს, უახლესი მანქანა დანადგარებითაა აღჭურვილი. იარაღები რომლებიც იქ მზადდება ბევრი ლიდერი ქვეყნის მწარმოებელი კომპანიის მიერ წარმოებულ, მსგავს პროდუქციას უწევს კონკურენციას. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა ჯობდნენ კიდეც მათ. სამხრეთ აფრიკული კომპანია ამზადებს როგორც შაშხანებს შორ დისტანციაზე ზუსტი სროლისათვის, ისე სტანდარტულ სანადირო ვერსიებსაც.



სნაიპერული ტიპის შაშხანებს „ტრუველო“ ამზადებს როგორც სპორტსმენებისათვის და მონადირეებისათვის, ასევე სპეციალური პოლიციური ან სამხედრო დანაყოფებისათვის. ძალოვანებს არჩევანის გაკეთება ისეთ მსხვილ ყალიბიან იარაღებზე უწევთ, რომლის მსგავს ზოგიერთი ლიდერი კომპანიებიც კი არ, ან ვერ ამზადებენ. ზოგი კი უბრალოდ საჯაროდ არ აქვეყნებს მსგავს ინფორმაციას.

ყველაზე მცირე კალიბრიანი სნაიპერული შაშხანა გახლავთ Truvelo- Long Range Sniper Rifle 7,62x51mm. ანუ კალიბრით .308 Winchester. მექანიზმი მექანიკური წესით მტენი, ცილინდრული ტიპის, კერძოდ კი წრფივად მოძრავ საკეტიანი სისტემითაა აღჭურვილი. იარაღი სრულიად აკმაყოფილებს „ნატო“-ს სტანდარტებს. მჭიდის ტევადობაა 10 ვაზნა. კონდახის ფორმა აშკარად ჭკვიანი დიზაინერის მიერაა მოფიქრებული და საკმაოდ მოხერხებულია სროლისას. მხარზე საყრდენი რეგულირებადია და ძალიან მარტივად იხსნება. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას სალოყე ბალიშზეც. სისტემური კოლოფის ბოლოში, რომელიც არც თუ ისე გრძელია, დამაგრებულია ორფეხა სადგამი. ლულა თავისუფალ რხევის ზონაში იმყოფება, სწორედ ისე როგორც ეს ამავე კომპანიის მიერ წარმოებულ შედარებით მსხვილ კალიბრიან ვერსიებზეა. ლულას ბოლოში დამონტაჟებული აქვს მაყუჩი. იარაღს ზემოდან პიკატინის სტილის ხიდი ადგას, რომელზეც ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა მაგრდება. წონა ნამდვილად არაა სახარბიელო ამ ტიპის, მსგავსი ყალიბის მქონე შაშხანისათვის და 7,95 კგ-ს შეადგენს. ლულის სიგრძე 762 მმ-ია, მთლიანი იარაღის სიგრძე კი 1460 მმ. ეფექტური სროლის მანძილია 1000 მეტრი.

შემდგომ მოდის .338 Lapua Truvelo Sniper Rifle ვერსია ყალიბით 8.6 x70 მმ. კონდახის ფორმა და მისივე კომპონენტები ზემოთ ხსენებული მოდელის ანალოგია და შესაბამისად მათი ზომის რეგულირებაც შესაძლებელია. სამხრეთ აფრიკული წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანის წონა 8,9 კილოგრამია. მჭიდის ტევადობაა 5 ვაზნა. პიკატინის სტილის, ერთის შეხედვით შეუხედავი და ტლანქი სამიზნე ხიდი მას ზემოდან აქვს დამაგრებული, რომელზეც თითქმის ნებისმიერი სახეობის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობის დამაგრებაა შესაძლებელი. ლულის სიგრძე 762 მმ-ია. ხოლო მთლიანი სიგრძე დაუკეცავი კონდახით 1350 მმ-ია. ლულის ბოლოში იარაღს ფიქსირებული ცეცხლმაქრი-კომპენსატორი აქვს. ამ ყოველივეს ერთობლივად არსებობა იძლევა საშუალებას იარაღი ეფექტურად ვამუშავოდ 1200 მეტრიდან 1500 მეტრამდე.

კიდევ უფრო მსხვილ კალიბრიანი, წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანა სახელწოდებით .50 BMG Truvelo Long Range Sniper Rifle იწარმოება ყალიბით 12,7x99-მმ. ეს იარაღი, ისევე როგორც ყველა მსგავსი მოდელი, გახლავთ ანტი სნაიპერული ვერსია, რომელშიც სპორტული ელემენტებიცაა ჩადებული. მისი წონა შეადგენს 16 კილოგრამს. მოდელი სწრაფად ხსნადი მჭიდით არის დაკომპლექტებული. ტევადობა 5 ვაზნაა. მთლიანი სიგრძე დაუკეცავი კონდახით გახლავთ 1,70 მ. ხოლო ლულის სიგრძე ზუსტად 1 მეტრს უტოლდება. ამ ზომის ლულა აშკარად აჭარბებს სხვა, ძალიან ბევრი ლიდერი კომპანიის მიერ შექმნილი მსგავსი ტიპის იარაღების ლულის სიგრძეებს. მაგრამ ზუსტი და ეფექტური სროლა მხოლოდ ზემოთხსენებული ფაქტორით, ანუ ლულის სიგრძით არ განისაზღვრება. საკითხავი ისაა, თუ რამდენად აჯობებს სამხრეთ აფრიკული კომპანია ევროპულ ან ამერიკულ ბრენდებს. ლიდერი მწარმოებლების ლულების სტრუქტურული აგებულება, მისი წრთობის პროცედურები და მექანიზმთან ერთად ყალიბის შესაბამისობა ალბათ იმ ოსტატს უფრო კარგად გამოუვა, რომელიც მუშაობს ამ ტიპის იარაღების ერთ-ერთ გამომგონებელ კომპანიაში. თუმცა არც „ტრუველო“ გახლავთ მხოლოდ სამხრეთ აფრიკელების მიერ დაარსებული ქარხანა და მთავარი წვლილი ხარისხიანი პროდუქციის დამზადებისა შეტანილია თანამედროვე ევროპული თუ ამერიკული მანქანა დანადგარების გამოყენებით.

შემდეგია კიდევ უფრო მსხვილ კალიბრიანი წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანა გახლავთ 14,5x114 mm – Truvelo Sniper Rifle. მისი ყალიბი სახელწოდებაშივეა ასახული. უზარმაზარი შესაძლებლობების მქონე ვაზნა ყოფილმა საბჭოთა კავშირმა 1941 წელს შექმნა. ის გამოყენებულ იქნა მეორე მსოფლიო ომში, ავღანეთის ომის დროს და აგრეთვე 2011 წელს, ლიბიაში საბრძოლო მოქმედების ჩასახშობად. ტყვიის წონა 920 გრამია, ანუ თითქმის ერთი კილოგრამი. ამხელა ვაზნა კი იმდენად სწრაფია, რომ მისი საწყისი სიჩქარე 1000 მ/წმ-ს აღემატება. გასროლის შედეგად მიღებული ენერგია კი ჩვეულებრივ სნაიპერულ შაშხანებთან შედარებით არანორმალურად დიდია და მიახლოებით 29800-დან 32200 ჯოულამდე მერყეობს. თავად იარაღის წონა 20 კილოგრამია. მჭიდის ტევადობა კი 5 ვაზნაა. მსროლელს უკუცემის შემამცირებელი კომპონენტები საგრძნობლად ეხმარება და 60%-ით მცირდება იარაღის მხრაზე დარტყმა. შაშხანის მთლიანი სიგრძე შეადგენს 1,82 მეტრს. შესაბამისად მისი გადატანა გადაადგილებისას ერთი პიროვნებისათვის საკმაოდ რთულია. განსაკუთრებით მაშინ თუ მას დიდი მანძილის დაფარვა უხდება. იარაღი ძირითადად გამოიყენება მსუბუქი ჯავშან ტექნიკის, საკომუნიკაციო და სარადარო საშუალებების მწყობრიდან გამოსაყვანად. თუ სამხრეთ აფრიკელ მწარმოებლებს დავუჯერებთ შაშხანის ტექნიკური მონაცემები, მისი აგებულება და ყალიბი იმდენად იდეალურადაა ერთმანეთთან შეთავსებული, რომ ტყვიას გააჩნია შეღწევადობის უზარმაზარი ძალა. იარაღის ეფექტური სროლის მანძილია 2300 – 2500 მეტრი.

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, სამხრეთ აფრიკული კომპანია ზემოთ ხსენებულზე კიდევ უფრო მსხვილ ყალიბიან სნაიპერულ/ანტისნაიპერულ შაშხანებსაც აწარმოებს. ეს გახლავთ იარაღი Truvelo Sniper Rifle – ყალიბით 20 x 82 მმ (20-მმ Mauser). ის ანტიმატერიაულური (სნაიპერული) შაშხანის, Denel's Mechem NTW-20-ის, შეიძლება ითქვას კონკურენტია. ეს უკანასკნელი კი ქვეყნის საუკეთესო, ლიდერმა მწარმოებელმა კომპანიამ Denel Aerospace Systems-მა დაამზადა. შესაძლოა ნაკლებად გათვითცნობიერებული მკითხველისათვის უცხო იყოს ზემოთ ხსენებული ქვეყნის იარაღის ასეთი ფართო სპექტრით წარმოება და მისი განვითარების საფეხურები. თუმცა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ მათ ძალიან ბევრს მიაღწიეს უამრავი პრობლემებისა და ემბარგოების ფონზე. იმ ფაქტორმა, რომ ქვეყანაში იარაღის შეტანა ხშირ შემთხვევაში გადაულახავ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, განაპირობა საკუთარი, ეროვნული იარაღის წარმოების დაწყება და გაფართოება. უკანასკნელ წლებში გამოფენაზე წარმოდგენილი იყო NTW-20-ის ერთ-ერთი ვერსია, რომელსაც საერთოდ არ ჭირდება მსროლელი. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მის სასხლეტზე თითის გამოკვრის გარეშეც შესაძლებელია გასროლის წარმოება. ამ ყველაფერს კი კომპიუტერი აკეთებს. იარაღს ზემოდან, სამიზნე ხიდზე დამაგრებული აქვს, სპეციალურ (განსხვავებული)





www.caravani.ge



სამხრეთ აფრიკული ანტიმატერიალური-ანტისნაიპერული შაშხანა კალ. 20x110mm Truvelo Sniper Rifle

ოპტიკურ სამიზნე მოწყობილობასთან ერთად თერმული მაჩვენებელი სისტემა და კიდევ დამატებითი, სხვა სპეციალიზირებული სამხედრო მოწყობილობები. მსროლელი საერთოდ სხვაგან, იარაღისაგან განცალკევებულად ზის კომპიუტერთან და მართავს მას. ეს ფაქტი აშკარად მეტყველებს აფრიკელი მწარმოებლების დახვეწილ, გაუმჯობესებულ ტექნიკაზე. თავად „ტრუველოს“ იარაღი ყალიბით 20x82 მმ ასეთი ტექნიკური აღჭურვილობით ჯერჯერობით არ გამოირჩევა. თუმცა ისიც ანალოგიური ოპერაციებისათვის გამოიყენება და ელექტრონული-სამიზნე მოწყობილობები და GPS სისტემები მისთვის უცხო ნამდვილად არაა. მისი წონა შეადგენს 23 კგ-ს. მთლიანი სიგრძეა 1,28 მეტრი. მჭიდის ტევადობაა 5 ვაზნა. ლულაზე დამაგრებული ცეცხლმაქრი კომპენსატორი სხვა შესაბამის საშუალებებთან (იარაღის კომპონენტებთან) ერთად 60%-ით ამცირებს უკუცემას. იარაღის ეფექტური სროლის მანძილია დაახლოებით 1500 მეტრი.

კომპანიის მიერ შემოთავაზებული იარაღებიდან ყველაზე მძლავრ ყალიბიანი ანტიმატერიალური წრფივად მოძრავ საკეტიანი შაშხანა გახლავთ მოდელი 20x110mm Truvelo Sniper Rifle. ის გამოიყენება მსუბუქი ჯავშან ტექნიკის, მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების და ადამიანის ტოლი მიზნების გასანადგურებლად. მოდელი წარდგენილი იყო ერთ-ერთ საერთაშორისო გამოფენაზე საფრანგეთში, ქალაქ პარიზში და მისი მიახლოებითი ფასი გახლდათ 36000 $. ის იმდენად მასიური, გრძელი და მძიმეა, რომ ყუმბარმტყორცნის მსგავსად დაკომპლექტებულია სპეციალური სამფეხა სადგამით, რომელიც მაგრდება ერთი მასიური ხრახნით სისტემური კოლოფის ბოლოში, ლულის ქვეშ. მისი სიგრძე ორ მეტრს უტოლდება და ზუსტად 1990 მილიმეტრს შეადგენს. მჭიდი მას საერთოდ არ გააჩნია და გასროლის შემდგომ აუცილებელია მისი ახლიდან დატენვა. ტყვიის საწყისი სიჩქარეა 920 მ/წმ, ხოლო ენერგია არანორმალურად დიდია და 37000 ჯოულს სცდება. იარაღის ეფექტური სროლის მანძილია 1800-2000 მეტრი.

მეიერაღეობა ისრაელში I.M.I. – Israel Military Industries

დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ისრაელი 1948 წლის 14 მაისს ჩამოყალიბდა. არსებულმა გარემოებამ გამოიწვია არეულობა და დაიწყო დაპირისპირება მეზობელ ქვეყნებთან. „ნორჩ“, იზოლირებულ ქვეყანას თავიდან სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომუკურ პრობლემებთან უხდებოდათ ბრძოლა. ვალუტის ნაკლებობიდან გამომდინარე ისინი თითქმის სრულად დამოკიდებულები იყვნენ ქვეყნის შიდა მრეწველობასა და პროდუქციაზე. ისრაელისა და არაბული სამყაროს დაპირისპირებისას, რომელმაც ისრაელის დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ იფეთქა დაარწმუნა ქვეყნის მმართველები, რომ შეიარაღებულ ძალებს ძალიან ცოტა თანამედროვე იარაღი ჰქონდათ. ჯარის ავტომატურ იარაღს მანამდე მოძველებული, იგნლისური Sten MP-ს მოდელები წარმოადგენდნენ. 1949 წელს ისრაელის არმიის პოლკოვნიკმა, Uziel Gal-მა შექმნა განთქმული UZI-ის ავტომატი, რომელიც ქვეყნის შეიარაღებაში ოფიციალურად 1953 წელს შევიდა. იარაღი ძალიან მალე გახდა პოპულარული და სხვა ქვეყნის იარაღის მწარმოებლებმაც დაიწყეს მისი დამზადება. მათგან შეიძლება გამოვყოთ ბელგიური FN Browning-ის, ჰერშტალში და ჰოლანდიური Hemburg-ის ქარხნები. გარკვეული პერიოდის გასვლის შედგომ „უზი“ შევიდა NATO-ს შეიარაღებაში. ომის დასრულების შედგომ, 1967 წელს ისრაელის არმიის კონსტრუქტორებმა გადაწყვიტეს რუსული AK-47-ის ბაზაზე საკუთარი, მსუბუქი სამხედრო ვერსიის აგება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული შაშხანისათვის მათ გამოიყენებას იმავე NATO-ს სტანდარტების ვაზნა სახელწოდებით .223 Remington. იმისათვის რომ რაც შეიძლება მეტი იარაღი დამზადებულიყო მაქსიმალურად მოკლე დროში ხდებოდა ფინეთიდან Valmet-62-ის გარკვეული დეტალების ისრაელში იმპორტი და შედგომ მათი გამოყენებით Galil-ის ავტომატის ადგილზე აწყობა სა-



UZI-ს ნახევრადავტომატური შაშხანა

www.caravani.ge

კუთარი პროდუქციის დამატებით. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ იმდენად გაიზარდა მოთხოვნა საზღვარგარეთის ქვეყნებში ისრაელის მიერ წარმოებულ იარაღზე, რომ პროდუქციის დიდი ნაწილი ექსპორტზე გადიოდა. თავად ქვეყნის ჯარის გარკვეული ნაწილი კი უკვე ამერიკული M-16-ებით აღიჭურვა.

Galil-ის მიერ შექმნილი მოდელებიდან საინტერესოა ნახევრად ავტომატური შაშხანა (Semi Automatic Sniper Rfile)-ყალიბით .308 Winchester. მის მჭიდში 25 ვაზნა ეტევა. ლულის სიგრძე ამ ტიპის იარაღისათვის არც თუ ისე გრძელი-51 სმ-ია. კონდახზე ლოყის დასადები ბალიში აქვს გაკეთებული. მისი წონა კი კატასტროფულად მძიმეა და 6,4 კილოგრამს შეადგენს. სისტემურ კოლოფზე იარაღს ორივე მხარეს აქვს განთავსებული დამცველი ღილაკი. საერთო ჯამში შაშხანამ ბაზარზე გამოჩენისას ცუდი შთაბჭდილებები არ დატოვა დამთვალიერებლებზე, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან მას ბევრი წუნი შეიძლება მოვუძებნოთ.

მეიარაღეობა თურქეთში

დღესდღეობით თურქეთში მეიარაღეობა უკვე საგრძნობლად განვითარებულია. განსაკუთრებული წინსვლა შეიმჩნება ბოლო ათწლეულში, რაც გარკვეულწილად ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის წინსვლის შედეგიცაა. ქვეყანაში ამჟამად ძირითადი აქცენტი კეთდება სანადირო გლუვლულიანი თოფებისა და მეტნაკლებად თავდაცვითი თუ სამხედრო ტიპის თვითმტენი ფისტოლეტების წარმოებაზე. სანადირო შაშხანებისა ან საბრძოლო, ავტუმატური იარაღების მზადებას ქვეყანაში ძირითადათ ერთი კომპანია, MKEK ახორციელებს. მისი მეშვეობით ასევე ხდება ცივილური მოდელების წარმოებაც, რაც გამოიხატება სანადირო დანიშნულების ვერსიების მზადებაში. აღნიშნული თურქული კომპანია ამავდროულად ამზადებს მსოფლიოში გავრცელებული ყალიბების მიხედვით რამოდენიმე შაშხანის ვაზნებსაც.

თურქი მეიარაღები თუ მეიაღეთა ჯგუფები დღესდღეობით ცდილობენ ცნობილი ბრენდების სახელით განახორციელონ იარაღის აწყობა და შემდგომ პარტნიორების მეშვეობით მოახდინონ მათი რეალიზაცია. ძირითადათ ამგვარი საქმიანობის განხორციელებისას ისინი ინგლისურ ბრენდებს ირჩევენ ხოლმე მათი პოპულარული იმიჯიდან გამომდინარე. თუმცაღა რათქმაუნდა არც ბრიტანელების დათანხმება არის იოლი და ცოტა ქარხანა გვხვდება თურქეთში, რომელთაც მოახერხეს და თანამშრომლობა წამოიწყეს ყველასათვის ცნობილ და მძლავრ ევროპულ თუ ბრიტანულ ბრენდებთან. ასეთებია კომპანიაა AKKAR, რომელიც Churchill-ის სახელით ახორციელებს გლუვლულიანი თოფების წარმოებას და Commando AV – Yazicilar AV (ჯგუფი), რომელიც Webley&Scott-ის სახელით ახორციელებს გარკვეული მოდელების მზადებას (თუმცაღა მხოლოდ ბოლო წლებში და არა ყველა ზემო აღნიშნული ბრენდის მოდელის). არსებობენ ისეთი კომპანიებიც, რომლებიც უბრალოდ ბაძავენ ევროპულ, ძირითად შემთხვევებში იტალიურ ან ინგლისურ ბრენდებს და ვიზუალური თუ ტექნიკური მხარეების გათვალისწინებით (ჩინური მწარმოებლების მსგავსად) ანალოგიურ მოდელებს აგებენ.

საინტერესოა საქართველოში გავრცელებული ინფორმაცია ერთერთი ამერიკული ბრენდის, „სტოგერის“ შესახებ, რომელიც ნახევრადავტომატურ იარაღებს თურქ მწარმოებლებს – „ვურსანის“ ქარხანას აკეთებინებს, ორლულიან მოდელებს კი ბრაზილიურ „ამანტინოს“. სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო გავრცელდა საქართველოში მცდარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „სტოგერი“ თურქული ბრენდია. სინამდვილეში კომპანია „სტოგერს“ სულ სხვაგვარი ისტორია აქვს, რომელიც 1923 წელს დაიწყო. სწორედ მაშინ, როდესაც ავსტრიელმა ემიგრანტმა, Alexander Stoeger-მა ქალაქ ნიუ-იორკში არსებულ, კუთვნილ იარაღების მაღაზიაში, ფასების სია გამოაქვეყნა. სიაში აგრეთვე საუბარი იყო, რომ პიროვნება წარმოადგენდა კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში „მაუზერისა“ და „ლუგერის“ ავტორიზებულ დილერს. 1990 წელს „სტოგერის“ ფირმა შეისყიდა ფინურმა მწარმოებელმა „საკომ“. 10 წლის შემდგომ კი კომპანიის მმართველობა Beretta holding S.p.A.-მ გადაიბარა. ამჟამაად ის რჩება აღნიშნული ფირმის მფლობელობაში და შესაბამისად წარმოადგენს Benelli USA ჯგუფის ერთერთ წევრს. აღსანიშნავია, რომ წიგნში რუსულ, „ბაიკალის’ მიერ წარმოებულ MP-153-თან განხილული Stoeger M2000 სწორედ რომ Benelli M1- ის ბაზაზეა აგებული.

დღესდღეობით საკმაოდ ხარისხიან პროდუქციას ამზადებს კომპანია Uzkon, რომელიც სხვა ფირმებისაგან განსხვავებით თავადაა მწარმოებელი. მის ქარხანაში ხორციელდება იარაღითან ერთად გარკვეული დეტალების წარმოებაც, როგორც საკუთარი იარაღებისათვის, ასევე სხვა თურქული ბრენდებისათვის. შემდგომ ეს სხვა კომპანიები ახდენენ საკუთარი სახელით მათ რეალიზაციას. ძაან მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ Uzkon-ის თითქმის ყველა მოდელი გამოირჩევა კონკურენტებთან შედარებით დაფალი ფასითა და ფასთან მიმართებაში საგრძნობლად მაღალი ხარისხით. მათი წლების წინ საქართველოში გახორციელებული იმპორტის შემდგომ დღემდე საიმედო თოფის სტასტუსი აქვს აღნიშნული მწარმოებლის მიერ დამზადებულ იარაღს ქართველი პროფესიონალი მეიარაღეებისა თუ მონადირეების ხედვით.



www.caravani.ge



Stoeger Couch Gun SS Nickel კალ. 12

სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე არსებული ქვეყანა, სადაც ფეხბურთი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე სპორტის სახეობა, დღესდღეობით უკვე საკმაოდ დიდი წარმატებით ახორციელებს ცივილური ბაზრისათვის იარაღების წარმოებას. ერთ დროს პორტუგალიის კოლონიად გადაქცეულ მიწაზე პოპულარული გახდა ეგრედწოდებული Lever Action-ის ტიპის, ანუ ტარქვეშა ბერკეტით მტენი შაშხანები და ვესტერნის ტიპის ორლულიანი, მოკლე თოფები. აღნიშნული ტიპის შაშხანების მზადებას „როსის“ ბრენდის სახელით დღესდღეობით დიდი წარმატებით ახორციელებს ფისტოლეტებისა და რევოლვერების მსხვილი მწარმოებელი კომპანია „ტაურუსი“. მის მიერ დამზადებული იარაღები გამოირჩევა დაბალი ფასითა და ფასთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელი ხარისხით. თუმცაღა საკმაოდ ბევრი მეიარაღისა და სპორტსმენის აზრით მსოფლიო ლიდერთა შორის ადგილის დასამკვიდრებლად მას ჯერ კიდევ ბევრი ფაქტორი აქვს გადასალახი.

ჩვეთვის ძალზედ საინტერესოა საქართველოში ნაკლებად პოპულარული, ბევრისათვის კი საერთოდ უცნობი ბრენდის E.R. Amantino Armas-ის იარაღები. როგორც უკვე აღვნიშნეთ აღნიშნული მწარმოებელი ამერიკული ბრენდისავის, კომპანია Stoeger-ისათვის ახორციელებს იარაღების დამზადებას.

საწარმოს ისტორია ჯერ კიდევ 1921 წელს დაიწყო, როდესაც იტალიელმა ემიგრანტმა ჟოაო ბოიტომ ალფრედო ხავას ტაუნში, დღესდღეობით ვერანოპოლისად წოდებულ პატარა და მყუდრო ქალაქში იარაღების წარმოება გადაწყვიტა. აქედან დაიწყო „ბოიტოს“ იარაღების განვითარება, რომელიც ამჟამად „ამანტინოს“ მიერ წარმოებული იარაღების ერთერთ ბრენდს წარმოადგენს. ქარხნის აღნიშნული სახელი 1955 წელს შემდგარ და წარმატებით განვითარებულ ურთიერთობებს უკავშირდება ბატონ ელიას რუას ამანტინოსა და ქარხნის მაშინდელ წარმოადგენლობას შორის.

თავად ბრაზილიაშიც და ამერიკა – კანადის ბაზარზე დიდი პოპულარობით სარგებლობს თოფი ლულათა ჰორიზონტალური განლაგებით – Coach Gun. მისი ფასი ადგილზე დაახლოებით 450-დან 500 დოლარამდე მერყეობს. აღნიშნული მოდელი რამოდენიმე განსხვავებული ტიპისა თუ მასალის კონდახისაგან მზადდება. მყიდველი მის შეძენას თუ „ბოიტოს“ ბრენდის სახელით გადაწყვეტს და „სტოგერის“ სამარკო ნიშნიან თოფის ფლობას არ ისურვებს, უფრო მეტი არჩევანის წინაშე დადგება, რამეთუ „ამანტინო“ ამ კონკრეტულ, ნაკლებად პოპულარული ბრენდის სახელით იარაღებს უფრო მეტი განსხვავებული მოდიფიკაციებით აწარმოებს. მათგან გაყიდვების თვალსაზრისით გამორჩეულია ინგლისური ხის კონდახით გაწყობილი 12 ყალიბიანი ვერსია, რომელის ლულის სიგრძეც 51 სანტიმეტრს შეადგენს. მისი ლულები და მთლიანად სისტემური კოლოფი უანგი რკინისაგან-Stainless Steel-ის მასალისაგან არის დამზადებული. ფერიც კლასიკური, „ვესტერნის“ თოფს როგორც შეეფერება ვერცხლისფერია. სწორედ მასში ჩადებული ხასიათიდან გამომდინარე აკეთებენ მონადირეები თუ უბრალოდ იარაღის მოყვარულები მასზე არჩევანს. ისინი თოფის შეძენისას ფიქრობენ, რომ ხდებიან ისეთი იარაღის მფლობელები, რომელიც ისევე იდეალურად გამოადგებათ ტყის ქათამზე და მწყერზე სანადროდ, როგორც გარეულ ღორზე ან მგელზე ნადირობისას. აგრეთვე კომპაქტური და მოხერხებული კლასიკური მოდელიჩინებული საშუალებაა სახლისა თუ საველე პირობებში თავდაცვისათვის. ამგვარ მოდელებს ამერიკის კონტინენტზე დიდი წარმატებით იყენებდნენ ხოლმე მე-19 საუკუნეში. შწორედ ეს ფაქტორიც დიდ როლს თამაშობს მისი გაყიდვების საკითხში.

დიდი მადლობა კომპანია შ.პ.ს. „ქარავანი+” — ს და მის დამფუძნებელს, ბატონ ფარადაშვილ ნუგზარს იმ შეუფასებელი დახმარებისათვის, რომელიც მან წიგნის შექმნისათვის გაგვიწია. მისი მეშვეობით მოხერხდა ძირითადი ფოტო მასალის მოპოვება, იარაღების საერთაშორისო გამოფენების დათვალიერება და სასურველი ინფორმაციის მიღება, აგრეთვე ფიზიკისა და ქიმიის საკითხების ახსნა-განმარტებითი ინფორმაციის მოპოვება, ინფორმაციის მოპოვება იარაღების მექანიზმებსა და მათი სისტემების მუშაობის პრინციპების შესახებ.

დიდი მადლობა ბატონ ბადრი ამაღლობელს, რომელიც უანგაროდ დაგვეხმარა ზოგადად ხმლის და „ჯავარის” შესახებ ჭეშმარიტი ინფორმაციის გარკვევასა და ზოგადად აღნიშნულ საკითხში კარგად და საფუძვლიანად გათვითცნობიერებაში.

დიდი მადლობა აწ გარდაცვლილ უნიჭიერეს პიროვნებას, ლინგვისტს, ბატონ ზაზა კიკნაძეს უნივერსიტეტში მოღვაწეობისას იმ გაწეული შრომისათვის, რაც მან წიგნის ავტორის, ავთანდილ ფარადაშვილისა და რედაქტორის, ნატალი ქიტესაშვილისათვის გაწია. აგრეთვე დიდი მადლობა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მოღვაწე სხვა, თავისი საქმის პროფესიონალებს, ქართულ ენაზე, საქართველოსა და საკუთარ პროფესიაზე შეყვარებულ პიროვნებებს...

დიდი მადლობა ინჟინერსა და კონსტრუქტორს, უნიჭიერეს პიროვნებას, სადილერო კომპანიისა და ცეცხლსასროლი იარაღების მწარმოებლის Aუსტრიაარმს-ის მფლობელს, ბატონ მარკუს ფრიჩს, რომელიც უამრავ საკითხში დაგვეხმარა. მან სრულიად უნაგაროდ მოგვაწოდა ინფორმაცია ამა თუ იმ ბრენდების, მეიარაღეებისა და კონკრეტული იარაღების ისტორიის შესახებ, იარაღების აგებულებისა და მათი ფუნქციონირების პრინციპების შესახებ. დაგვეხმარა ფოტო და ვიდეო მასალის მოპოვებაში. ასევე მისგან მივიღეთ იარაღების ექსპერტის საერთაშორისო სერტიფიკატი და შესაბამისი თეორიული თუ პრაქტიკული განათლება.

GEWEHRE ENZYKKLOPÄDIE – A.E. Hartink — გერმანული გამოცემა.

HALBAUTOMATEN – für Schützen, Jäger, Security und Sammler — ავტორი: ფრანკ ვაიზერტი (ფრანკ ჭეისსერტ); გერმანული ვერსია.

DAS WAFFENSACHKUNDEBUCH — ავტორი: კარლ ჰაინც მარტინი (Karl Heinz Martini) — გერმანული ვერსია.

GEWEHRE – Für interessierte, Liebhaben und Sammler – Deutsche Ertsausgabე — გერმანული ვერსია. ავტორი: ადრიანო სალა (Adriano Sala).

Загадка булатного узора — ავტორი: გრიგორევიჩ გურევიჩი, საქართველოს ისტორიის ოთხტომეული — ავტორი: მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, დავიტ მუსხელიშვილი, როინ მეტრეველი. www.caravani.ge http://www.iwa.info/de www.austriaarms.com C.Jul.Herberzt Katalog – 20010-2011-2012 http://www.hubertus-solingen.com http://www.marttiini.fi http://www.sanderknife.ru http://www.rosorujie.ru http://www.zzoss.ru http://www.maserin.com http://www.viper.it http://www.albainox.com www.hoferwaffen.com/ http://www.jagdwaffen-scheiring.at

http://www.fontenille-pataud.com http://www.perceval-knives.co.uk http://www.dozorme-claude.fr

http://www.robert-david.com http://www.laguiole-arbalete.com http://www.forge-de-laguiole.com/

http://www.laguiole-en-aubrac.fr/ http://www.opinel.com/uk http://www.victorinox.com/ Purday – gun & rifle makers – Catalog http://www.waffeninfo.net/ http://www.atkingrantandlang.com/joseph-lang.php, http://www.cogswellandharrison.com/ http://www.bossguns.co.uk http://www.ejchurchill.com/ej/default.asp http://www.gallyon-and-sons.co.uk/ http://www.johnrigbyandco.com/ http://www.westleyrichards.com/ http://www.christies.com http://www.accuracyinternational.com/ Arrieta Catalog–2012 http://www.arrietashotguns.com

Grulla Catalog -2011 – http://www.grullaarmas.com/in/index.php AYA catalog -2011 – 2012

Sako catalog – 2012, Tikka Catalog 2012 – www.sako.fi, www.tika.fi Baikal catalog 2012 – http://baikalinc.ru/ http://tulatoz.ru/ http://www.tulatskib.ru/ http://www.iwa.info/de/ http://www.fusildarne.com/ http://www.verney-carron.us/ http://www.l.atelier.verney-carron.fr/pages-de/catalogue.htm http://www.pgmprecision.com/fr_FR/accueil/

http://www.swissarms.ch/ http://www.luvo.cz/products/rifles/index.html http://www.truvelo.co.za/ http://www.customsportingarms.com/Jeffery.html http://www.hollandandholland.com The shooting Field – Volume 14 – Holland & Holland Centenarybrochure – Holland & Holland http://www.truvelo.co.za/armoury/content/welcome-truvelo

http://www.serbu.com/legacy/ www.largrizzly.com www.edmarms.com/ CATALOGUE LEBEAU COURALLY – Armes de Grand Luxe http://www.browning.com http://www.browningint.com The American Gun maker – John M. Browning – A complate comic strip story Album http://www.ferlachguns.com/ http://www.hms-strasser.at/ http://www.perazzi.com/ – Perazzi catalogo 2010–2011–2012 http://www.cosmi.net/ – cosmic catalogo http://www.fusildarne.com/

catalogue-2011-FR-Verney-Carron-LAtelier-FR-luxe-2011-L_Atelier_Verney-Carron http://www.pgmprecision.com DWJ_10_2011 – Waffen Magazin AYA – AYA, Aguirre y Aranzabal Catalog 2011- 2012. (IWA Messe) Arrieta Catalog 2012 (IWA-Messe) http://www.luvo.cz/ Sako Catalog–2011-2012 Tikka catalog 2011–2012 http://www.tulatskib.ru/ http://www.atkingrantandlang.com/joseph-lang.php http://www.bossguns.co.uk/history.asp Purdey Gun and Rifles maker Catalog http://www.cogswellandharrison.com/ http://www.ejchurchill.com/ej/default.asp?title=E.J.Churchill-Guns&contentID=89 http://www.gallyon-and-sons.co.uk/ http://www.wjjeffery.co.uk/ http://www.ferlachguns.com/ http://www.hauptmann-rifles.com

http://www.johnrigbyandco.com/ Merkel Buch 2012, Merkel Katalog 2011- 2012. Hänel Katalog 2011 – 2012 INNOGUN Katalog 2011 – http://www.innogun.de/ Krieghoff Katalog – 2011 – 2012 – www.krieghoff.de Mauser Katalog 2011 – 2012 – www.mauser.de http://www.schmeisser-germany.de/en/products_civil.html Sauer 2011 Katalog, Sauer Katalog 2012 – www.sauer.de http://www.dsr-precision.com/ http://www.saxonia-spezialtechnik.de/Waffen.html http://www.lebeau-courally.com/ www.voere.at

Smith & Wesson 2012, 2013 Product Catalog. Thomson 2013 Catalog. – http://www.smith-wesson.com

http://www.keltecweapons.com/. Winchester 2010-2011-2012-2013 Catalogs. www.winchesterint.com. Remington 2012-2013 Catalogs. www.remington.com; http://www.mcmfamily.com/; Barrett Catalog 2011 – www.barrett.net/firearms; Steyr Mannlicher Catalog 2011-2012 – www.mannlicher.at/

სარჩევი

იარაღის ისტორია და განვითარება 3

მეიარაღეობა საქართველოში 3

ბულატი, ჯავარი, დამასკო 6

Miguel Nieto 14

Muela 15

დანები თანამედროვე ყოფაში 19

Laguolle – Fontenille Pataud 23

დენთი 28

მეიარაღეთა სკოლები და სანადირო განათლება 30

ცეცხლსასროლი იარაღი 33

იარაღის ზოგადი დახასიათება 35

ბალისტიკა 36

ცეცხლსასროლი იარაღების პირვანდელი მექანიზმები 38

ჩამკეტი ჩარჩოები სანადირო იარაღებისთვის 40

ლულის ქვეშა ბერკეტით მტენი იარაღი Pump Action 42

ტარქვეშა ბერკეტით მტენი იარაღი Lever Action 42

შაშხანა და მისი საკეტი მექანიზმები 45

თვითმტენი იარაღი 46

მაჯის (ხელის) იარაღი-ფისტოლეტი 48

რევოლვერი 52

მეიარაღეობა ინგლისში. თოფი&ინგლისი 54

William Greener-W.W. Greener 57

Joseph Lang & Son, Atkin, Grant & Son 58

BOSS&CO. 60

Purdey 60

Cogswell&Harrison Gunmakers Ltd 62

Churchill 62

Gallon & Sons LTD 63

W.J. Jeffery&Co. 64

John Rigby&Co 65

Westley Richards 65

Webley & Scott 67

Holland&Holland 70

Accuracy International 78

მეიარაღეობა გერმანიაში 79

Merkel 303 86

Blaser 89

Dreyse 97

Blaser R-93 LRS 2 • H&K SLB-2000
Target • FN Browning Bar Match 99

Innogun 103

Heckler&Koch 104

Krieghoff 106

მაუზერი 109

Schmeisser – შმაისერი 111

Sauer 202 113

Sauer&Sohn Meisterwerkflinte – Merkel 60 E 122

SIG 125

Carl Walther GMBH 131

Walther P-99 – Heckler&Koch P-30 134

თვითმტენი იარაღების წარმოება და მათი განვითარება 139

Mauser G-41 (M) – Walther G-41 (W) 140

STG-44 (Sturmgewehr) 141

Walther WA-2000 143

308 Winchester (7.62x51mm NATO) და მისი იარაღები 144

Heckler & Koch G3 146

Heckler & Koch SL8 - G36 148

7,62×39 mm Kalashnikov 152

AK-47&CO.-saiga – Vepr 153

.223 Remington – 5,56×45 mm NATO 157

„Walther“-ის მიერ წარმოებული 162

Colt – Heckler&Koch – IWI 163

მცირეკალიბრიანი ვაზნები - 5,6 მმ 170

ეფექტური სროლის მანძილი 171
DSR-precision Gmbh..... 173
Heinrich Fortmeier 174
მეიარაღეობა ბელგიაში — LEBEAU 174
ბრაუნინგი 176
Benelli Vinci 191
Browning A5 194
BROWNING BAR..... 196
FN FIVE-SEVEN 201
მეიარაღეობა ავსტრიაში 202
Steyr Mannlicher..... 204
Hambrusch Jagdwaffen GmbH 208
Joh. Outschar's&Sohn..... 210
Josef Just 211
Karl Hauptmann..... 212
Peter Hofer 213
H. Schering GmbH 214
Strasser 215
IGB AUSTRIA..... 216
მეიარაღეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში.....216
Ruger..... 220
Colt International 222
Harrington&Richardson 223
Marlin..... 223
Smith&Wesson 225
KEL-TEC 228
Lakefield – Savage Arms..... 229
Winchester..... 230
Winchester SX-3..... 232
Winchester 70 S.P.R..... 239
Remington 240
Harris Gunworks..... 248
McMILLAN..... 250
Barrett..... 253
Gatling 257
მეიარაღეობა იტალიაში — COSMI 258
Perazzi..... 260
Beretta 264
Browning Cynergy-Light Grade III Beretta; Silver Pigeon III – Limited Edition.. 268
A.Uberti..... 270
Benelli Raffaello de Luxe & Browning Fusion Evolve II Gold 271
მეიარაღეობა ესპანეთში Arrieta 276
AYA..... 277
Grulla 278
მეიარაღეობა ფინეთში SAKO და TIKKA.....279
იარაღთმშენებლობის განვითარება რუსეთში „იჟევსკი“ 287
იჟევსკის მექანიკური ქარხანა 290
მეიარაღეობის განვითარება ტულაში და ტულის იარაღების ქარხანა 293
სანადირო და სპორტული იარაღების კვლევებისა და განვითარების სააგენტო - ЦКИБ СОО იარაღების ქარხანა..... 295
Вятско-Полянский машиностроительный завод – Молот 296
მეიარაღეობა საფრანგეთში CASIMIR LEFAUCHEUX.....297
Manufacture d'Armes de St. Etienne – (MAS)..... 298
Unique 299
მეიარაღეობა შვეიცარიაში ASTRA ARMS 301
Brugger & Thomet 302
მეიარაღეობა ჩეხეთში CZECH SMALL ARMS 307
მეიარაღეობა ისრაელში I.M.I. - ISRAEL MILITARY INDUSTRYS 310
მეიარაღეობა თურქეთში 311
მეიარაღეობა ბრაზილიაში.....312

CARAVANI

იარაღების მაღაზია

ნებართვით

Baikal

www.caravani.ge





მის: თბილისი: მიცკევიჩის ქ. N46
თბილისი: ბათუმის ქ. N 29ა

ტელ: 0790 300 330
032 234 46 41







ავთანდილ ფარადაშვილი ● მეიარაღე



წიგნში წარმოდგენილია სამოქალაქო იარაღის სერიულ წარმოებაში არსებული თითქმის ყველა სახეობა. ასევე წარმოდგენილია არასერიულ წარმოებისათვის შექმნილი ძვირფასი მოდელებიც. ჭეშმარიტი ინფორმაციის მოპოვებისას წყაროდ გამოყენებული ლიტერატურის გარდა ძალაინ დიდი როლი ითამაშა უცხოელი, მათ შორის ევროპელი მეიარაღეების, იარაღების მწარმოებელი ქარხნების თუ უბრალოდ დილერების მიერ გაწეულმა დახმარებამ. წიგნის შემქმნელების მიერ გახორციელდა მრავალგზის მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხეში გამართული იარაღების საერთაშორისო გამოფენების მონახულება და პარტნიორ თუ მეგობარ კომპანიებისაგან ინფორმაციის მოპოვება. ამასთანავე ამა თუ იმ კურსის გავლა და ცოდნასთან ერთად სერთიფიკატების მოპოვება. ჩვენ შევეცადეთ მოკრძალებული სახით წარმოგვედგინა ქართველი იარაღის მოყვარული საზოგადოებისათვის მშობლიურ ენაზე ინფორმაცია მათი საყვარელი იარაღების შესახებ, შედარებითი განხილვა სხვა და სხვა იარაღებისა და ა.ს.შ. წიგნმა რათქმაუნდა მონადირეთა დიდი ინტერესიც უნდა გამოიწვიოს, ვინაიდან ნადირობა პირდაპირ ასოცირდება იარაღთან. ამასთანავე წიგნში განხილულია ცივი იარაღებიც და მათი აგება ძველი ქართული, ტრადიციული მეთოდიკის გამოყენებით.

www.caravani.ge